რევაზ

რჩეული თხზულებანი

ოცდახუთ ტომად

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგახანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

2013

მიშველაძე

ოცდაცხრა მრისხანე წელი

ქრონიკა

ტომი

XV

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)
ISBN 978-9941-16-319-7 (XV ტომი)

რედაქტორი **მერაბ ცაგარეიშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა **მავრა ბანცური**
ციალა ძიმისტარიშვილი

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთ ტომად**
© **გამომცემლობა** „საქართველოს მაცნე“, **თბილისი,** 2013

მისამართი: თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. №27

„მიიქეც სახით შენდა“...
მათეს სახარება, 12

ლადო ასათიანზე დაწერილ წიგნებში (ნიკა აგიაშვილი, გიორგი შალამბერიძე, შოთა ქურიძე, ნაზი დუმბაძე...) ხშირად ახსენებენ ლადოს სტუდენტობის მეგობარს ავქსენტი მიშველაძეს.

ავქსენტი მიშველაძე მამაჩემია.

იგი 1935-1940 წლებში ლადო ასათიანთან, გიორგი შალამბერიძესთან, ლევან კიკნაძესთან, ნაზი დუმბაძესთან, შოთა ქურიძესთან... ერთად სწავლობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

სტუდენტობაშივე შეირთო 17 წლის ქუთაისელი გოგონა თინა გველესიანი (დედაჩემი) და მოკრძალებულ სტუდენტურ ქორწილზე სიძე-პატარძლის ხელისმომკიდე ლადო ასათიანი გახლდათ.

მიშველაძეები იმერელი აზნაურები ვართ, თუმცა მამაჩემი მარტვილის რაიონის უმშვენიერეს სოფელში – თარგამეულში დაიბადა და აღიზარდა.

თურმე მამაჩემის დიდი ბაბუა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მღვდლად განამწესეს მარტვილში და ასე მოხდა ჩვენი „გამეგრელება“.

თარგამეული, ანუ „თარგამოსისეული“, უძველესი ქართული სოფელია ტეხურის პირას, ქართველთა წინაპრის სახელთან დაკავშირებულ ამ სოფელში დღესაც დგას ქუჯისდროინდელი ციხესიმაგრე „ჯიხა“ და მეთერთმეტე საუკუნეში აშენებული ეკლესია.

თითქმის შუაგულ სამეგრელოში მდებარე ამ სოფელში მიშველაძეებთან (ზოგი მათგანი „მიშველიად“ იწოდებოდა) ერთად ცხოვრობენ სიხარულიძეები, ბერიძეები, გახოკიძეები, ნაროუშვილები, ჯანაშიები, აბაკელიები და გაბუნიები.

როგორც ხედავთ, უმეტესობას ხონიდან (ორ ნაბიჯზეა) და ქუთაისიდან გადმოსახლებული იმერლები შეადგენენ.

მე დავბადებულვარ 1940 წლის 1 იანვარს სოხუმის რაიონის სოფელ ბაბუშერაში.

როგორ აღმოვჩნდი „აფხაზეთში“?

საქმე ისაა, რომ ქუთაისის პედინსტიტუტის დამთავრებისთანავე მამაჩემი ბაბუშერის (დრანდასთან ახლოს პატარა სოფელია), საშუალო სკოლის დირექტორად გაუგზავნიათ, სადაც 1941 წლის 12 ივლისამდე მუშაობდა.

ომი რომ დაიწყო, მამაჩემმა თავისი მცირეწლოვანი შვილებით დედმამისეულ კერას მიაშურა. ასე რომ, წლინახევრის გახლდით, მარტვილში რომ ჩამომიყვანეს. სწორედ თარგამეულს უკავშირდება ჩემი პირველი ნაბიჯები (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით).

ბაბუაჩემი ესტატე სოფლის სკოლის მასწავლებელი გახლდათ, ბებია – ქრისტინე დიასახლისი.

მართალია, ჩვენი წინაპრების სასულიერო ტრადიცია (მღვდლობა) ვერ

შევინარჩუნეთ, მაგრამ ესტატე მიშველაძის მიერ ლიბოდადებული პროფესიის ერთგულნი დავრჩით.

მამაჩემი ომის წლებში თარგამეულის საშუალო სკოლის დირექტორად დანიშნეს და მთელი სიცოცხლის მანძილზე პედაგოგიურ საქმეს ემსახურებოდა (სოფლის მასწავლებელი, ქუთაისის პედინსტიტუტის დოცენტი, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი...)

დედა – საჩხერელი მასწავლებლის (მერჯევი) ვლადიმერ გველესიანის და ქუთაისელი მარიამ კუხიანიძის მხოლოდშობილი ასული გახლდათ და ღრმად მოხუცობამდე ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.

შვიდი წლის რომ შევსრულდი, ჩვენი მრავალშვილიანი ოჯახი (ოთხი შვილი: ნათელა (1937), რევაზ (1940), გოგი (1942), ბორისი (1945), დედა (1920), მამა (1915)) ქუთაისში გადმოსახლდა.

ბინა კუხიანიძეების (დედულეთი) მამაპაპურ სახლში დავიდეთ.

ომი ახალი დამთავრებული იყო.

გვიჭირდა.

ამ სიტყვის („გვიჭირდა“) გამოყენებას მომავალში, რაც შემეძლება მოვერიდები.

ჯერ ერთი, ვის არ უჭირდა მაშინ და მეორეც, ჩვენს ოჯახს, რაც თავი მახსოვს, ეკონომიურად სულ უჭირდა და დღესაც, როცა დავცალცალკევდით და ჩვენ ჩვენი ოჯახები გვაქვს, ხელმომართულად რა დასამალია და ვერ ვცხოვრობთ.

ყველაფერი გვასწავლა ცხოვრებამ ფულის შოვნის გარდა.

„უმარიფათობა“ ჩვენი ხასიათის თვისებაა და, სიმართლე გითხრათ, ამას დიდად არ განვიცდით.

სწავლა ქუთაისის ვაჟთა VII სკოლაში დავიწყე.

ერთ საღამოს მამამ მეხუთეკლასელი ბიჭი ჩვენს მეზობლად ნინოშვილის ქუჩაზე მცხოვრებ სანდომიან ჭაღარა კაცთან მიმიყვანა; ბატონო ალიოშა, ესაა რეზო, იმ დღეს რომ გეუბნებოდი, შენთვის ჩამიბარებიაო.

„ბატონი ალიოშა“ შემდგომში ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელი ალიოშა ტოგონიძე პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თანამშრომელი გახლდათ. კაცი, რომელსაც ხელოვნებაში ჩემს პირველ წვრთნებს დიდად ვუმადლი.

ალიოშა ტოგონიძე პიონერთა სასახლეში თავდაპირველად ხან ერთ წრეს ხელმძღვანელობდა, ხან „მეორეს“, მგონი, თავიდან უშტატო „შემცვლელ მასწავლებლად“ მუშაობდა და მეც, რასაკვირველია, ქამარზე ვყავდი გამობმული.

სამ თვეს თუ დრამწრეში დავდიოდი, მომდევნო ხუთ თვეს ნორჩ დეკლამატორთა წრეს „ვამშვენებდი“, ერთხანს ხატვის წრეში ვმეცადინეობდი და ცოტა ხანში ალპინისტთა წრეშიც ამოვყავი თავი.

ბოლოს, როგორც ჩანს, სასახლის დირექციამ შეამჩნია ბატონი ალიოშას დიდი პედაგოგიური ნიჭი (ბავშვებს ანდამატივით იზიდავდა) და ერთდროულად ოთხი წრის ხელმძღვანელად განამწესეს.

მეც ერთდროულად ოთხი წრის მსმენელი გახლდით; ნორჩ შემოქმედთა წრის, ხატვის წრის, დრამწრის და გიტარის კვირის წრისა.

ოთხივე წრის საერთო ხელმძღვანელი ალიოშა ტოგონიძე გახლდათ. გიტარის წრეში კი თანაშემწეობას მურმან ანჯაფარიძე უწევდა.

შვიდსიმიან გიტარაზე მურმანმა ისე დაგვაოსტატა მისი შეგირდები, რომ დღესაც ამ ხნის კაცი შევბედავ ხოლმე გიტარას და „არაუშავს“ ვმღერი. მახსოვს სამოციანი წლების დასაწყისში ოთარ რამიშვილთან მოვხვდი (ჩემს მეზობლად ცხოვრობდა) და ჩემს აკორდებზე ზუსტი დიაგნოზი დამისვა – გეტყობა მურმან ანჯაფარიძის სკოლა გაქვს გავლილიო.

მეცხრე კლასში რომ გადავედი, ყველასგან მოულოდნელად ალიოშა ტოგონიძე დაიჭირეს.

არ იკითხავთ რა დააშავა? თურმე სამსახურიდან თავისუფალ დროს სამგლოვიარო გვირგვინების წარწერებს წერდა და ამისთვის ზოგჯერ სასახლის მუყაოსა და „ბრონზეს“ საღებავსაც იყენებდა (არ დაუქცევია ქვეყანა? მეტი „დანაშაული“ რაღა გინდა).

საყვარელი მასწავლებლის დაპატიმრებამ თავზარი დამცა.

რამდენჯერმე მივედით მისი მოწაფეები მე, ზურაბ ფორჩხიძე, ანზორ ხერხაძე და რეზო რამიშვილი წულუკიძის ქუჩაზე ციხეში ალიოშას მოსანახულებლად, მაგრამ პატიმარს ვინ გვაჩვენებდა. ერთხელ ნაცნობი ზედამხედველის ხელით წერილიც კი შევუგზავნეთ.

ოთხი წლის მერე უკვე უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ქუთაისში ჩასვლისას ციხიდან ახალგათავისუფლებული ბატონი ალიოშა ვინახულე და სხვათა შორის, ვკითხე, ჩვენი წერილი თუ შემოგიტანეს-მეთქი.

ცრემლი მოადგა, როგორ არაო, აქამდე ვინახავო. გავიდა მეორე ოთახში და ჩემი ხელით დაწერილი ოთხივე შეგირდის ხელმოწერილი წერილი გამოიტანა, აკოცა და ჯიბეში ჩაიდო.

სუფთა სულის მქონე, ჭეშმარიტი ინტელიგენტი და მართლაც რომ სახალხო მასწავლებელი იყო, აცხონოს ღმერთმა.

მეშვიდე კლასიდან ქალთა და ვაჟთა სკოლები შეაერთეს და მე ტერიტორიულად ყოფილ ქალთა მეორეში, იმჟამად ქუთაისის მეოთხე საშუალო სკოლაში მომიწია სწავლის გაგრძელებამ.

სწორედ მეოთხე სკოლა დავამთავრე 1958 წელს როინ მეტრეველთან, ვალიდა ფესტვენიძესთან, გიაზ წიქორიძესთან, მიხეილ ღოღობერიძესთან, გულიზა ბართაიასთან, მირზა გოლეთიანთან, სერგო ჭეიშვილთან და სხვებთან ერთად.

კინორეჟისორობა ან უკიდურეს შემთხვევაში მსახიობობა მინდოდა. კინემატოგრაფიის ინსტიტუტი მხოლოდ მოსკოვში იყო და სად ჰქონდა მამაჩემს მოსკოვში სტუდენტის შენახვის საშუალება. მსახიობობა უფრო რეალური ჩანდა, მაგრამ თეატრალურ ინსტიტუტში უსაშველო კონკურსიაო მითხრეს და ესეც არ იყოს, ერთი თვით ადრე „ტურები“ უნდა გაიაროო, თანაც თეატრში ან კულტურის სასახლეში მუშაობის ორი წლის სტაჟი უნდა გქონდესო. არც ერთი მქონდა და არც მეორე. ჩემს ოცნებას ფრთები ერთბაშად შეეკვეცა და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში (სადაც მამაჩემი პედაგოგიკის კათედრის დოცენტი იყო) ჩავაბარე მისაღები გამოცდები ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

პედინსტიტუტს ძლიერი დრამწრე ჰყავდა და სულმოუთქმელად მივაშურე. სექტემბრიდან იანვრამდე ორი სპექტაკლი დავდგით – ეგნატე ნინოშვილის „ქრისტინე“ (იასონს ვთამაშობდი) და ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ (გაბრიელი გახლდით).

ინსტიტუტის სახალხო თეატრში თავის გამოჩენა არ გამჭირვებია. მე ხომ გიგა ლორთქიფანიძის სკოლა მქონდა გავლილი. მეათე-მეთერთმეტე კლასელთათვის ახალგაზრდა რეჟისორს გიგა ლორთქიფანიძეს თეატრთან სასწავლო სტუდია ჰქონდა გახსნილი და ალიოშა ტოგონიძის დაჭერის შემდეგ იქ მივიტანე თავი.

იანვარში პედინსტიტუტში გამოცდები ვადაზე ადრე ჩავაბარე და თბილისისკენ გამოვეშურე.

თეატრალურ ინსტიტუტში გადმოყვანაზე რომ უარი მითხრეს, უნივერსიტეტში მივადექი მამაჩემის მეგობარს გიორგი შალამბერიძეს, რომელიც ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ მუშაობდა.

გოგი ბიძია, უნივერსიტეტში მინდა გადმოსვლა და უნდა მიშველო-მეთქი.

როდის ჩამოხვედიო.

გუშინ-მეთქი.

სად ათევ ღამესო.

დედაჩემის დეიდა ლოლა კუხიანიძე ცხოვრობს ლუნაჩარსკის ქუჩაზე და იმას შევეკედლე-მეთქი.

მამაშენმა ხომ იცის, რომ პერიფერიის ინსტიტუტებიდან არ გადმოგვყავს სტუდენტებიო, თავიდან რატომ აქ არ ჩააბარეო.

მამაჩემმა გზის ფული ვერ მომიხერხა-მეთქი.

კაი ჯიბგირია, ნუ გეშინია, თეთრ ხიდთან სალობიეში რომ ყოველ საღამოს ყანწებს ატრიალებს, იმის ფულს ხომ „ახერხებსო“, იხუმრა.

მართლა ძალიან გინდა უნივერსიტეტში სწავლაო?

სერიოზული სახე მიიღო.

თავი დავუქნიე.

დამიწერე განცხადება რექტორის სახელზე და ვეცდები, თუ რამე გამომივიდაო.

დავწერე განცხადება, როგორც მიკარნახა.

აქ მომიცადეო.

მალე დაბრუნდა.

ახლა რექტორთან შეხვალ, თუ გკითხოს ირაკლი აბაშიძე რა არის შენიო, მამას მეგობარია, ჩვენთან იყო სტუმრად ქუთაისში და ჩემს ნაწერებს გადახედა-თქო, იღიმება.

შევედი რექტორთან.

აკადემიკოსი ევგენი ხარაძე სათვალიანი, გამხდარი, შავგვრემანი კაცი ჯერ სათვალიდან მაკვირდება, მერე სათვალეს იხსნის და, ცოტა არ იყოს, გულმოსული მიცქერის.

ხომ იცით, რომ პედინსტიტუტებიდან უნივერსიტეტში არავინ გადმოგვყავსო.

შევშინდი.

კარგი პატივცემულო, ბოდიშს ვიხდი, რომ შეგაწუხეთ-მეთქი და კარებისკენ გავიწიე.

რას წერთო, მეკითხება.

მოთხრობებს, ლექსებს და კრიტიკულ წერილებს-მეთქი.

მერე? ქუთაისში გიშლით ვინმე წერასო? რა აუცილებელია თბილისში ცხოვრობდეთო.

ირაკლი ბიძიამ დამიჟინა, თორემ, გითხრათ სიმართლე, მე ქუთაისში მირჩევნია-მეთქი.

ჩანს, ჩემშიც იჯდა პატარა მატყუარა.

რა არის ბატონი ირაკლი თქვენიო.

არაფერი, მამაჩემს მოყვა სახლში, მგონი შორებელი ნათესავი უნდა იყოს, კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი.

მოიცა, სად გეჩქარებაო.

ჩემს განცხადებას რაღაც წააწერა და გამომიწოდა, დეკან ფანჩვიძეს მიუტანეო.

გიორგი შალამბერიძეს განცხადება რომ გადავეცი, სიცილი აუტყდა.

„ბატონო ვლადიმერ, ახალგაზრდა მწერალს გამონაკლისის წესით უნდა დავეხმაროთ“, ასეთი, რომ იტყვიან, ქვისგამხეთქი რეზოლუცია დაედო რექტორს.

მერე მიამბო გოგი ბიძიამ:

„შევედი რექტორთან და ვთხოვე, დღეს ამ ბავშვზე მესამეჯერ დამირეკა ირაკლი აბაშიძემ, უნიჭიერესი ახალგაზრდა მწერალია და არ დაგვეკარგოსო. ვეუბნები, რომ გადმოყვანა არ შეიძლება, მაგრამ ვერ დავარწმუნე, დამიწერეთ რომ საერთოდ არ გადმოგვყავს პერიფერიის ინსტიტუტებიდან, თქვენს რეზოლუციას უფრო დაუჯერებს-მეთქი. რექტორმა ჯერ განცხადება წაიკითხა, მერე ტელეფონს დაწვდა, მე წელში გამაცივა, კიდევ კარგი ირაკლიმ ყურმილი არ აიღო. მერე გამომცდელად შემომხედა და, თუ არის აქ მიშველაძე შემოვიდესო“.

მწერლობასთან უმნიშვნელო კავშირი სკოლაშივე მქონდა, მაგრამ ეს გიორგი შალამბერიძეს საიდან ეცოდინებოდა.

მეშვიდეკლასელმა „ნორჩ ლენინელში“ ლექსი გამოვაქვეყნე, მეცხრე კლასიდან კი ქუთაისის გაზეთ „სტალინელში“ პატარა-პატარა რეცენზიებს ვწერდი ახალ წიგნებზე.

ასე რომ, ბატონ გიორგის რექტორისთვის მთლად ტყუილი არ უთქვამს, თუმცა ირაკლი აბაშიძე ამ საქმესთან რა შუაში იყო.

ისე, სანამ ევგენი ხარაძე რექტორობდა, მის დანახვაზე კედელზე აკრულ სტუდენტთაგან გამომარჩევდა, ხელს მომკიდებდა, გვერდით გამიყოლებდა და ყოველთვის ერთსა და იმავეს მეუბნებოდა: „რას წერთ ახალს? ბატონი ირაკლი მომიკითხეთ“.

როგორ არ მოვიკითხავდი ბატონ ირაკლის, მაგრამ მე თვითონ არ ვიცნობდი.

ირაკლი აბაშიძე მოგვიანებით გავიცანი.

მაშინ მეოთხე კურსის სტუდენტი გახლდით.

მწერალთა კავშირში ღონისძიებას არ ვაცდენდი.

მივჯდებოდი კუთხეში და ვუსმენდი კონსტანტინე გამსახურდიას, სიმონ ჩიქოვანის, კოლაუ ნადირაძის, დემნა შენგელაიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, მიხეილ მრევლიშვილის, სერგი ჭილაიას, ბესო ჟღენტის, შალვა რადიანის, თვით თავმჯდომარის – ირაკლი აბაშიძის გამოსვლებს.

რას მოისმენდი უკეთესს სამწერლოდ შეღერებული ახალგზარდა კაცი.

„ცისკრის“ განხილვა მიმდინარეობდა.

ბოლოსკენ ირაკლი აბაშიძემ დარბაზს ჰკითხა – კიდევ ხომ არავის სურს გამოსვლაო.

არ ვიცი, გაბედულების რა ჩიტი დამაფრინდა მხარზე, ხელი ავწიე.

ტრიბუნასთან რომ მივედი და დარბაზს გადავხედე, სითამამე (თუ უტიფრობა) უფრო მომემატა და გავუტიე.

მე შენ გეტყვი, ენაზე ჭალი მომედებოდა. ჩავაჭიკჭიკე ჩემი სათქმელი. ზოგი რამ მოვიწონე, ზოგი დავიწუნე (პროზაული ნაწარმოებების მიმართ ჩემი ძირითადი შენიშვნა იყო „გაჭიანურებული“). რა თქმა უნდა, სისულელე იქნებოდა, რაც მაშინ ვთქვი, მაგრამ მწერლებმა დიდსულოვნად, ყურადღებით მომისმინეს და რომ დავამთავრე, დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა.

„მართალს ამბობს ეს ბავშვი“, ჩაილაპარაკა დემნა შენგელაიამ.

მეც მეტი რა მინდოდა.

დისპუტი რომ დამთავრდა, მწერალთა კავშირის კარებთან „შემთხვევით“ ირაკლი აბაშიძის წინ გავიარე.

მანქანაში ჯდებოდა.

ორი თითით მიხმო.

მივირბინე.

– სადაური ხარ, ბიჭო შენ?

ქუთაისელი გახლავართ-მეთქი.

გაეცინა და ხელი გამომიწოდა.

– ხონი! ქუთაისი და ხონი რამ გაყო, სწავლობ?

უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ-მეთქი.

– გვარი შემახსენე.

– მიშველაძე.

პლაშის კალთა აიკეცა.

– ერთ რჩევას მოგცემ მიშველაძე. არ ხარ ურიგო ბიჭი, მარა ცოტა თამამი ხარ, გეტყობა. სადაც არ გეკუთვნის ყველაზე კაი სიტყვის თქმა, არ თქვა, თვარა შეგიძულებენ. მწერლები უბედური ხალხია.

გაიცინა, ჩაჯდა და ხელი დამიქნია.

ახლა რაც შეეხება მწერალთა კავშირში ჩემს პირველ მისვლას:

თექვსმეტი წლის ვიყავი ლადო მრელაშვილმა რომ მიმიყვანა მაჩაბლის ცამეტში. ჯერ რეზო კვერენჩხილაძეს ჩამოართვა ხელი და ბიბლიოთეკის ღია კარიდან პირდაპირ მწერალთა კავშირის ბაღში აღმოვჩნდით.

1957 წლის 11 სექტემბერი იყო.

ძელსკამზე ორი კაცი იჯდა.

ერთს, სიცხის მიუხედავად, მოშავო, „პლეჩებიანი“ პიჯაკი ეცვა.

ჟღალი წვერი მუჭში მოექცია, ფეხებთან პორტფელი ედო და თავზე ჭილოფის ქუდი ეხურა.

მეორეს – მკაცრი გამომეტყველების, ქუთუთოებდაბერილ მოხუცს ევროპულად, პიწკად ეცვა, ხოლო თავზე რატომღაც კრაველის ბოხოხი ეხურა.

– ლადოს გაუმარჯოს! – ხელი გაუწოდა ბოხოხიანმა.

წვეროსანს კი ჩვენი მისვლით დიდი აღფრთოვანება არ დატყობია.

– ჩემი ცოლისძმაა, ქუთაისელია, – მგონი უფრო პაუზის დასარღვევად ჩემზე მოათითა ლადომ.

– რას ლაპარაკობ, – აშკარად გაეხარდა, წამოხტა და ხელი ჩამომართვა წვეროსანმა, – სად ცხოვრობ ქუთაისში, ძამიკო?!

– ბაკისუბანში, ნინოშვილის ქუჩაზე.

– ბაკისუბანში? დიდებულია ძამიკო. ძლივს არ ვნახე ბაკისუბნელი კაცი? ბაკისუბანშიც ვიმალებოდი ერთ დროს.

– ვის ემალებოდი, გალაკტიონ? – ირონიაგარევით, ხრინწიანი ხმით, შესამჩნევი მეგრული აქცენტით ჰკითხა ბოხოხიანმა.

– ვის ვემალებოდი და ვინც მეძებდა, კოწია – წყენა შეეპარა ხმაში გალაკტიონს, – შენ კონსპირაცია მარტო მიუნხენში და ლაიფციგში სეირნობა გგონია.

კრაველის ქუდიანმა ამ თემაზე მსჯელობა აღარ გააგრძელა და კვლავ ლადოს მიუბრუნდა.

– ლადო, შენ ცოლი გყავს? არ ვიცოდი.

– აბა ცოლისძმა საიდან ეყოლება, შენი არ მიკვირს?

გადაიხარხარა წვეროსანმა და ძველი, ყავისფერი პორთფელი მუხლებში მოიქცია.

აივანზე ახალგაზრდა ქალი გადმოდგა:

– ბატონო გალაკტიონ, ბატონო კონსტანტინე, გთხოვენ.

ორივენი წამოდგნენ და შარვლის ფერთხვით კიბისკენ გაეშურნენ.

ასეთი იყო ჩემი პირველი მისვლა მწერალთა კავშირში და ჩემდაიღბლად, პირველმისვლაზევე ორ გენიოსს შემახვედრა ბედმა – კონსტანტინე გამსახურდიას და გალაკტიონ ტაბიძეს.

მხოლოდ წიგნებიდან ვიცი, რა რუდუნებით შეიქმნა ამ ოთხმოცდაოთხი წლის წინ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი და როგორ დაისახა მან პირველი დღიდანვე მიზნად, ებრძოლა ქართული ეროვნული ცნობიერების გადარჩენისთვის – „არავითარი უნაპირო ინტერნაციონალიზმი და არავითარი პირმორღვეული კოსმოპოლიტიზმი! საქართველოში უნდა იყოს მხოლოდ ქართული ენის, ქართული კულტურის დომინანტი!“ – ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა მწერალთა პირველ ყრილობაზე კონსტანტინე გამსახურდია.

მე მხოლოდ წიგნებიდან ვიცი, კაენის აღზევების დროს როგორ გადაუმტვრიეს ხერხემალი ჯავახიშვილს და ტიციანს, როგორ მიიყვანეს თვითმკვლელობამდე პაოლო, როგორ დაუჭრეს პირველი წიგნი ლადო ასათიანს არტანუჯზე დაწერილი ლექსისათვის „ციხის სიზმარი“.

მაგრამ მეც ბევრს რასმე შევესწარ და ის „ბევრი რამეა“ ამ უთანასწორო ბრძოლაში რომ მაძლებინებს, შუაღამისას წამომაგდებს და მაგიდასთან დამსვამს, რომ არ მასვენებს და ტვინს მიბურღავს.

მახსოვს, გალაკტიონის გადაფრენა მეოთხე სართულიდან – პირველი ელდა ჩვენთვის და პროტესტის ყველაზე დიდი ყუმბარა უკვდავი პოეტის მიერ ხელისუფლების წინააღმდეგ ნასროლი.

მახსოვს, როგორ გადაიქცა 90-იან წლებში მწერალთა სასახლე ეროვნული მოძრაობის მთავარ შტაბად.

მახსოვს, 1978 წლის 10-14 აპრილს მწერალთა კავშირში ქართული ენის დასაცავად გამართული მიტინგები და თავგანწირული ერთსულოვნება.

მახსოვს, 1989 წლის 10 აპრილის დაზაფრული სხდომა, ნოდარ წულ-

ეისკირმა ცეცხლი რომ წაუკიდა კომუნისტური პარტიის მანდატს და ყველას თვალწინ საჯაროდ დაწვა.

მახსოვს, ზვიად გამსახურდიას დაჭერით მეორე დღეს კოლხურ კოშკში მივედი და ჩემი ჭკუით ვანუგეშე ქ-ნი მანანა – ნუ გეშინია-მეთქი.

მე რისი მეშინია, რეზო, იმათ ეშინოდეთ, ვინც ზვიადი მწერალთა კავშირიდან ასე ერთსულოვნად გარიცხაო, მიპასუხა.

მახსოვს, რევაზ ჯაფარიძის გამოსვლა მწერალთა V ყრილობაზე, როცა „აწონილი სიტყვის“ ავტორმა, ყველასათვის მოულოდნელად, გრიგოლ რობაქიძის რეაბილიტაცია მოითხოვა.

მახსოვს, ციმბირის გულაგებიდან ახალდაბრუნებული ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ ბეჭდვის დაწყება „ცისკარში“, რის გამოც „ცისკარი“ პროკლამაციასავით ხელიდან-ხელში გადადიოდა.

მახსოვს, ზურაბ ბოლქვაძის „ნიანგის“ ახალი ნომერი ნაცხრააპრილევს და ჟურნალის ყდაზე დახატული რუსი ჯარისკაცი ორლესური ნიჩბით ხელში.

მახსოვს, ლამის ჯვარს რომ აცვეს გურამ ფანჯიკიძე სამოციანი წლების აშკარა რევოლუციური რომანისათვის „თვალი პატიოსანი“.

მახსოვს, სერგი ჭილაიას კაბინეტში გაცხარებული ქართული პროზის პატრიარქი: „ლანდებთან ლაციცი“ შემიჩერეს, მომეცი სასწრაფოდ ინაურის ტელეფონი. აღარ გათავდა ჩემი დევნა?“

მახსოვს შოთა ნიშნიანიძის წინააღმდეგ აგორებული ინტრიგის ტალღა აქლემისა და ლექსის ქურდის პოეტური ალეგორიისათვის და იმ დროს დაწერილი მისი საბარიკადო ლექსი „ზიგ ჰაილ! ზიგ ჰაილ!“

მახსოვს როგორ გამოვაპარეთ სტამბიდან ლევან სანიკიძემ და მე „უქარქაშო ხმლების“ უკვდავი ავტორის წიგნი – ბრალდება „ვაი რუსისგან“ და მეორე დღესვე როგორ იზრუნა ხელისუფლებამ იმაზე, რომ წიგნის მთელი ტირაჟი სადღაც გამქრალიყო ისე, რომ ბიბლიოთეკებშიც ვერ იპოვით – ლევანის ოჯახს შემორჩა, მე და ალბათ ლევანის ორიოდე მეგობარს.

რომელი ერთი გავიხსენო.

პირველ გაბედულ, ეროვნულ სიტყვას მწერალი ამბობდა ყოველთვის, მწერალთა კავშირის ტრიბუნიდან ნათქვამი მართალი სიტყვა მეორე დღესვე საქართველოს მოეფინებოდა ხოლმე და პირველ დარტყმასაც მწერალი იღებდა.

მარტო იმის ხაზგასმა რად ღირს, რომ XIX საუკუნის საქართველოს სულიერი მამა და უგვირგვინო მეფე სწორედ მწერალი გახლდათ და საქართველოს პირველი პრეზიდენტიც მწერალი იყო.

მწერალთა კავშირი დღესაც პირნათლად ასრულებს თავის ეროვნულ ფუნქციას – იგი ჯანმრთელი, ზომიერი ოპოზიციონერია და ამიტომაც ებრძვიან მას გააფთრებით; ხან ლიკვიდაციით ემუქრებიან და ხან შენობას ართმევენ.

დათვალეთ, აწონეთ საქართველოს გაღვიძებაში მწერლის მიერ შეტანილი წვლილი და მერე უწოდეთ პატარა, მომხვეჭელო კაცუნებო, მწერალთა კავშირს „გადმონაშთი“.

ზემოთ ვთქვი, 37 წელი არ მახსოვს-მეთქი, მაგრამ ახლა არანაკლებ მძიმე დროა ქართული მწერლობისთვის.

ილიას ლოზუნგი – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ დღის წესრიგიდან წუთითაც არ მოხსნილა.

ჩვენ ახლაც ბარიკადებზე ვდგავართ და ეროვნული სანგრებიდან ვუტე-ვთ ჩვენი ნაციონალური სახის წასაშლელად გამოგზავნილ მანქურთებს.

მე უაღრესად დრამატულ, ბობოქარ, მღელვარე დროში ვიცხოვრე.

ეს ის დრო გახლავთ, დედამიწაზე ყველაზე დიდი და მძვინვარე – რუსეთის წითელი იმპერია რომ დაინგრა და ჩემმა სამშობლომ მეოცე საუკუნეში მეორედ მოიპოვა დამოუკიდებლობა 1990 წელს.

რუსეთმა ვერ აიტანა თავისი ყოფილი კოლონიის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა და 1993 წელს ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო იგი.

მაგრამ ქვეყნის მთლიანად დამონება ვერაგმა რუსმა ვეღარ შეძლო.

საქართველო ნაწილობრივ „გამოხოხდა“ იმპერიის ნანგრევებიდან და განაგრძო დამოუკიდებლობის დეკლარირება.

ამერიკამ და ევროპამ დახმარების ხელი გამოუწოდეს საქართველოს და ქვეყანა აღორძინების გზას დაადგა.

მაგრამ „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის არმია (ავიაცია, 2000 ტანკი, 20 000 ქვეითი) კვლავ ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საქართველოს და ამჯერად მის მიერ მუხანათურად მიტაცებული ქართული კუთხეები (აფხაზეთი, სამაჩაბლო) დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა.

საქართველოს მთლიანად დაპყრობა ვერც ამჯერად შეძლო.

ახლა ტერიტორიებწაგვრილი საქართველო ორ ზესახელმწიფოს – ამერიკასა და რუსეთს შორის კოზაკივით იჭყლიტება და მათს იმპერიულ ინტერესებს ჩვენი ეროვნული სახე, სახელმწიფოებრივი ფორმირება ეწირება.

ასეთია ისტორიის ულმობელი განაჩენი.

რაც შემეხება მე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვცდილობდი ისტორიის სრბოლისთვის ფეხი ამეწყო.

აჩქარებულ საუკუნეში ეს იოლი საქმე როდი გახლდათ.

ვწერდი მხოლოდ მაშინ, როცა არ შემეძლო არ მეწერა.

ჟანრზე არასოდეს მიფიქრია.

ფორმას თვითონ სათქმელი მკარნახობდა.

გარდა წმინდა ლიტერატურული საქმიანობისა (რაიც მუდამ ჩემს მთავარ საქმედ მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია) ვკითხულობდი ლექციებს, ვცოდვილობდი მეცნიერებაშიც, ვიცავდი დისერტაციებს, ვრედაქტორობდი ჟურნალ-გაზეთებს, ვაარსებდი აკადემიებს (ქართული ფენომენის აკადემია), საზოგადოებებს (ეროვნული ცნობიერების გადარჩენის საზოგადოება, საზოგადოება „თვისტომი“), ერთ დროს პარლამენტის წევრიც გახლდით.

ვერ ვიტყვი, დრომ სწრაფად გაირბინა-მეთქი.

ჩემმა ნაწერებმა (პროზა, პუბლიცისტიკა, დრამატურგია, მეცნიერება) ორმოცი საკმაოდ მოზრდილი ტომი ეშადგინა. ამ „პროდუქციისთვის“ მსჯავრის გამოტანა მკითხველისთვის მიმინდვია, ჩემი მხრივ კი იმას დავძენ, რომ ყველა სტრიქონი ცხოვრების შუაგულში ტრიალის შედეგადაა „გამოტანჯული“ და გულსგარეთ არაფერი დამიწერია.

თუ ჩემს ბობოქარ ცხოვრებაში იშვიათად ნათელი დღეებიც გამოერეოდა ხოლმე, წუთისოფელმა მეც საკმაოზე მეტად დამსეტყვა (ერთადერთი შვილის, აჩიკოს, დაღუპვა რუსეთის წინააღმდეგ ომში 1993 წელს).

თუ ჩემი ბიოგრაფიით ოდესმე ვინმე დაინტერესდება, შეუძლია ამოიკითხოს ჩემი წიგნებიდან – „დოკუმენტური ნოველები“, „მწერალი და ავი საუკუნე“, „რა გადაარჩენს საქართველოს“, „არ უნდა მეთქვა?“, „ოთხი საპარლამენტო წელი“ და სხვა.

ჩემი შემოქმედების ქვაკუთხედად ნოველების 15 ტომი და რომანი „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ მიმაჩნია.

რატომ დავარქვი მემუარების ამ წიგნს „ოცდახუთი მრისხანე წელი?“

დიახ, უკანასკნელი ოცდახუთი წელი (1989-2013) მართლაც რომ მრისხანე წლები იყო ჩემი და ჩემი ხალხის ცხოვრებაში.

საქართველოს საზოგადოებრივი მდუღარება ალბათ კარგა ხანს არ დაწყნარდება, მაგრამ ეს ოცდახუთი წელი მაინც სხვა იყო.

ამ ოცდახუთ წელიწადში საქართველოს ბედი მართლაც რომ ბეწვზე ეკიდა.

ქვეყანა დამოკლეს მახვილის ქვეშ აღმოჩნდა და არაერთგზის მისი ყოფნა-არყოფნის საკითხიც დადგა.

ასე განსაჯეთ ჩემს სამშობლოს – სამმილიონნახევრიან პაწაწინა ქვეყანას მოუწია ორმა სისხლისმღვრელმა ომმა (1993, 2008) რუსეთთან – იმ საშინელ დრაკონთან მთელ მსოფლიოს რომ დღესაც შიშის ზარს სცემს.

ამ ომთა შუალედში (1993-1994) საქართველოს სამოქალაქო ომის დამთრგუნველმა ქარიშხალმა გადაუარა.

დაამატეთ ამას ხელისუფლებათა და სახელმწიფო პოლიტიკის წამდაუწუმი ცვლა პარტიათა და მიმართულებათა მუდმივი ძიძგილაობით გამოწვეული, ამასთან ერთად მსოფლიო გლობალიზაციის ყოვლისწამლეკი ტალღა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ ფენომენს წალეკვით რომ ემუქრება...

და თქვენ შედეგად მიიღებთ თანამედროვე, დენზე ჩართულივით მოდგანდარ-მოძიგძიგე საქართველოს.

ორმოცდარვის გახლდით, როცა საქართველოს ეს უმძიმესი ოცდახუთწლეული დაიწყო.

ინტუიციით ვიგრძენი, რომ მოვალე ვიყავ ეს ეპოქა შეულამაზებლად, განსჯა-ანალიზის გარეშე ყოველდღიურად აღმებეჭდა.

დავიწყე დღიურების წერა და სწორედ ამ დღიურებს გაწვდით ახლა ყოველგვარი შესწორების გარეშე.

როგორ არ ვიცი; ზოგი მოვლენის მიმართ მეც სხვაგვარად განვეწყვე დროთა ვითარებაში, ზოგი რამ შერბილება-შესწორებას საჭიროებს, მაგრამ გადავწყვიტე დავტოვო ისე, როგორც ჩამიწერია.

ეპოქის სურნელი პირველ ნაწერს უფრო ასდის.

10.XI.1988 – 1.XII.1988

ნოემბრის ცივი, ქარიანი დღეა.

იპოდრომის შესასვლელთან პოლიციელები დგანან და მოახლოვებულ მოქალაქეებს მორიგეობით ჩასძახიან:

– გადაიდო მიტინგი... ალბათ, ზეგ იქნება... მე რა ვიცი... გამოაცხადებენ...

ამას სახემიბრუნებით, დამორცხვებით, იმგვარი ინტონაციით ამბობენ, აშკარად ეტყობათ, ცრუობენ.

უკან მობრუნებას მაინც არავინ აპირებს.

ასე თორმეტი საათისთვის ზღვა ხალხი მოაწყდა იპოდრომს.

ეშვებიან ყველა ბილიკიდან, ხტებიან ღობეზე, ძვრებიან რკინის გისოსებში და ვეებერთელა მწვანე მინდორს ავსებენ.

განაპირას სახელდახელო ფიცარნაგ-ტრიბუნაზე დგანან ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი, თამრიკო ჩხეიძე და სხვანი.

ორ საათზე დაიწყო მიტინგი.

ეს გახლავთ პირველი ყველაზე მასშტაბური მიტინგი თბილისში.

ზვიადმა სიტყვა რომ დაამთავრა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სურათი აღმართა ორივე ხელით და დაიძახა: „აი, ვისი გზით უნდა ვიაროთ, მეგობრებო!“

ტაშმა და ოვაციამ იქაურობა გააყრუა.

არა, ამ ხალხის დაოკება და მოთმენის ბუდეებში შერეკვა უკვე არავითარ ძალას აღარ შეუძლია.

„საქართველომ გაიღვიძა!“ ვწერ გვიან ღამით შინ მობრუნებული და სიამაყის ჟრუანტელი მიპყრობს.

იპოდრომის მიტინგი ნოემბრის ბოლო კვირას პარლამენტის წინ გრანდიოზული შიმშილობით გვირგვინდება.

ეროვნული მოძრაობის მეთაურებმა ხელში აიღეს სახალხო მოძრაობის მართვა და სტიქიურად კი არა, დიდი ტაქტით და მოთმინებით ყოველდღე სასიკვდილო ყუმბარებს უშენენ კომუნისტურ რეჟიმს.

9.IV.89

ველოდი... როგორ არ ველოდი. ვიცოდი, რომ იმპერია ნიავისთვის სახის მიშვერას არ გვაპატიებდა.

რუსთაველი შეკრულია. სახანძრო მანქანებს თავისი საქმე დაემთავრებიათ. მეეზოვენი ლეიბ-საბნებს, ფეხსაცმელებს, ჩანთებს და დაფხრეწილ დროშებს საბარგო მანქანებზე ყრიან.

10 საათზე მწერალთა კავშირში ვიკრიბებით.

26.IV.89

დღიურების წერას არ ვაპირებდი.

არ მიმაჩნდა ჩემი ცხოვრების მოსაწყენი დღეები დაწვრილებითი აღნუსხვის ღირსად.

დღეს გადავწყვიტე მაინც ჩავინიშნო ყოველდღე, რაც გადამხდება.

საოცარი ეპოქა დადგა და ორმოცდაათს მიახლოვებული კაცი ჩემს მეხსიერებას ველარ ვენდობი.

ვინ იცის, იქნებ მომავალში ეს დღიურებიც დასჭირდეს ვინმეს ჩვენი დღეების მძიმე სურათის აღსადგენად.

გუშინ, 25 აპრილს, ცხრა აპრილს უწყალოდ დახოცილთა ხსოვნის აღსანიშნავი მიტინგის გასამართავად შევიკრიბეთ ქაშუეთის ეკლესიის ბაღში. „მშობლიურმა მილიციამ“ შესასვლელი გადაგვიღობა და ბაღში არ შეგვიშვა, უსანქციო მიტინგიაო.

სამი ათასამდე კაცი ქუჩაში იდგა და ზუზუნებდა.

მიტინგი იშლებოდა.

ვერ მოვითმინე და ხალხს მივმართე; ხომ ხედავთ, როგორ პატივს გვცემენ, გავეცალოთ აქაურობას და სხვაგან გავმართოთ-მეთქი მიტინგი.

გავუძეხი დემონსტრაციას რუსთაველის პროსპექტზე. რუსთაველის თეატრის წინ მდგარი მსახიობები ჯერ ტაშით შეგვხვდნენ, მერე შემოგვიერთდნენ.

მოძრაობა ცალ მხარეს შეჩერდა.

მივედით კონსტიტუციის მოედნამდე. იქ შადრევანთან ფილაქანზე შევდექი და სიტყვით მივმართე შეკრებილთ:

„დღევანდელმა ჩვენმა შეკრებამ და დემონსტრაციამ დაადასტურა, რომ ხოცვა-ჟლეტით ჩვენი დაშინება შეუძლებელია. ჩვენ გამოსვლებით, პრესით და სისხლზე დაფარებული ყვავილებით ხელისუფლებაზე უდიდესი გამარჯვება მოვიპოვეთ. მართალია, „არაფორმალურ გაერთიანებათა“ ლიდერები დააპატიმრეს, მაგრამ ბრძოლაზე ხელი არ უნდა ავიღოთ. მტკიცედ უნდა მოვთხოვოთ მთავრობას, თუ საქართველოს დამშვიდება სურს, გაათავისუფლოს პოლიტპატიმრები, გააუქმოს არაკონსტიტუციური ავტონომიები და საქართველოს ეროვნული სხეულის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში ხელი შეგვიწყოს.

მე გულისტკივილით ვაყენებ ამ უკანასკნელ წინადადებას, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს. დაპირებები და წყლულის სახელდახელო მობანვა ახლა საქართველოს ვერ უშველის“.

მიტინგი რომ დამთავრდა, ძნელაძის ქუჩით დავბრუნდით რუსთაველზე.

ღამდებოდა.

საოცარი სანახავი იყო მოკლულთა სურათებით და გვირგვინებით დაფარული მთავრობის სასახლისწინა მოედანი. ხალხი უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა.

დღეს, ოთხ საათზე ჩემთან „კრიტიკის“ რედაქტორის კაბინეტში მოვიდა ჩემთვის უცნობი ახალგაზრდების ჯგუფი. ათიოდე კაცი და გამომიცხადეს: „ბატონო რევაზ, გვიშველე, მილიციის პოლკოვნიკია მოსული და მთავრობის სახელით მოგვიწოდებს, ახლავე ავკრიფოთ ყვავილ-გვირგვინები და გავათავისუფლოთ მოედანი, საპირველმაისო მზადებას სამგლოვიარო მიტინგი ხელს უშლისო.

გავყევი. პოლკოვნიკი, როგორც გამეცნო, თბილისის მილიციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსია. პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ტელევიზიიდან არაერთხელ მომისმენია მისი გამოსვლები. ურიგო კაცის შთაბეჭდილებას არ სტოვებდა.

ნუ ჩაიდენთ ამ ცოდვას, ხალხს გლოვის საშუალება მაინც მიეცით-მეთქი.

შენ ვინ გკითხავსო, შემომიბღვირა, ჩანდა, ვერ იყო ხასიათზე. შენისთანებია ხალხს რომ აბუნტებენო. შენისთანა ვაიპატრიოტების ბრალია ცხრა აპრილის ხოცვა-ჟლეტაო. კარგად გიცნობ, რევაზ მიშველაძე ხარო.

ვიგრძენი, რომ მასთან საუბრის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. გავარდი მუხრან მაჭავარიანთან.

მუხრანმა თვლემით მომისმინა, მაგრამ საქმიანი ვერაფერი მოიმოქმედა. მითანაგრძნო; „რას ვიზამთ, ჩემო რეზო, ძალა აღმართს ხნავსო“.

დავურეკე მინისტრ შოთა გორგოძეს, შინაგან საქმეთა მინისტრმა „დამიყვავა“, ჩვენ მაგ საქმეში არ ვერევით, ეგ კათალიკოს ილია მეორის გადაწყვეტილებაა. ვრეკავ მთავრობაში. ტელეფონს არავინ იღებს. გუმბარიძე მოსკოვშია.

ექვს საათზე შოთა გორგოძემ მიხმო.

შევედი თუ არა მინისტრის კაბინეტში, კაპუეტივით მეცა ის პოლკოვნიკი.

აი, ვინ ჩაგვიშალა ოპერაციაო. მინისტრის და პოლკოვნიკის გარდა კაბინეტში იყვნენ მინისტრის მოადგილე შადური და კოლეგიის წევრი, პროფესორი მამია დარჩია. პოლკოვნიკის გარდა ყველანი სდუმდნენ.

ლაპარაკი არავის აცალა; ხალხიო, უკვე დათანხმებული მყავდა და მიშველაძემ ყველაფერი ჩამიშალაო. სიცრუეა! ჩემს ირგვლივ შეკრებილნი გაიძახოდნენ ცოცხალი თავით არ გავატანინებთ მილიციას აქედან გვირგვინებსო.

როცა შევკადრე, ტყუილს რატომ კადრულობთ-მეთქი;

უკანასკნელი სიტყვებით მლანძღა მეც და მთელი ქართული მწერლობაც. თქვენაო, სისხლის დაღვრის მომხრენი ხართო, საქართველოს თქვენნაირები ღუპავენო. კარგად დაგინახეთ, გუშინ რუსთაველზე რომ დემონსტრაციას მიუძღოდიო.

დასაპატიმრებელი და გამსახურდიასთან ერთად ციხეში ჩასალპობი ხარ შენცო.

კაბინეტში მყოფთაგან არცერთმა არ „შეჰკადრა“, ხულიგნობას თავი დაანებეო.

ცოტა დააკლდა საცემრად კინაღამ გამოიწია. პირზე ქაფმომდგარი გაჰყვიროდა უშვერ სიტყვებს.

„ყოჩაღ, ბატონო შოთა, მშვენიერი „კადრი“ შეგირჩევიათ მილიციის განყოფილების უფროსად-მეთქი“, ამის თქმაღა მოვახერხე და მინისტრის კაბინეტი დავტოვე. პოლკოვნიკმა მუქარა მომადევნა.

მთელი გზა გულს მაზიდვინებდა ჩემი უმწეობის გამო. იმის გამო, რომ არავითარი ძალა არ მქონდა, რაიმე შემეცვალა.

27/IV 89

დღეს მედეა კახიძე, გრიგოლ ჯულუხიძე, ტაგუ მებურიშვილი და მე მარნეულის რაიონში წავედით ლიტერატურული საღამოს გასამართავად. სოფელ თამარისს ვესტუმრეთ;

რა გველიტერატურულსაღამოებოდა, მაგრამ მივიჩნიეთ რომ სწორედ ახლა იყო საჭირო სახლთან შეხვედრა და საერთო სატკივარზე გულახდილი საუბარი.

რასაკვირველია, თავიდანვე ჩამოვაგდეთ სიტყვა 9 აპრილის ტრაგედიაზე. შეძლებისდაგვარად გავაანალიზეთ მისი მიზეზები. შევეხეთ თანამედროვე საქართველოს დემოგრაფიულ-სოციალურ და ეროვნულ-პოლიტიკურ ვითარებას და იქვე, რაკი სიტყვამ მოიტანა, მოვუწოდეთ სოფლის გამრავლებისაკენ.

წამოდგა ერთი ხანშიშესული სოფლელი კაცი და გამოგვიცხადა; როგორ უნდა გავმრავლდეთ, როცა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე სოფელში არც ერთი მეტრი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არ გაცემულაო.

ენა ვერ აღწერს, რაც შემდეგ მოვისმინეთ.

რაისაბჭოს დეპუტატი ვარა დვალი ამბობს, ერთ ბინაში ოთხი ოჯახი ვცხოვრობთ. სამი ძმა სამივე დაცოლშვილიანებული და მიწის ნაკვეთს არ გვაძლევენ, იძულებული ვართ ავიბარგოთ და სოფელს გავეცალოთო.

ვარას სხვები ამოუდგნენ მხარში. ლამის მთელი დარბაზი ტიროდა. რა დროს მწერლობა და ლამაზი სიტყვებია, ვიღუპებითო.

დაღამდება თუ არა, სინათლეს გვითიშავენო.

ჩვენ ქართველებს ოცი წელია ერთი მეტრი მიწაც არ გვაღირსეს ჩვენს ქვეყანაში, გადახედეთ მეზობელ სოფლებში ყოველდღე ჩნდება მეზობელ „ძმათა“ ახალ-ახალი სახლებიო.

გაგვაგებინეთ, რა პრივილეგია აქვთ, რა დაიმსახურეს ასეთიო.

სულ ხუთი პატარა სოფელია მარნეულის რაიონში – თამარისი, წერეთელი, ორჯონიკიძე, სიონი, წერაქვი და ხუთივე ასეთ დღეშიაო.

სკოლის დირექტორმა გურამ ქადარიამ, 14 წელია სკოლაში ვმუშაობ, აქეთ უნივერსიტეტმა გამომანაწილა, ჩამოვედი და ცოლ-შვილით დღემდე მეურნეობის საერთო ბინაში ვცხოვრობ, ყოველდღე ვაწუხებ რაიონის ხელმძღვანელობას, მაგრამ ცივი უარით მისტუმრებენ, მივმართე ხელისუფლებას, მაგრამ იქედანაც უარი მითხრეს. ამ ბოლო დროს სკოლის დამხმარე მეურნეობისთვის მოვითხოვე ფართობი და იმაზეც უარი მტკიცესო.

სკოლაში ჯიუტად არ ხსნიან წიგნების მაღაზიას, რომ სოფელი ეროვნული წიგნებით არ განათლდეს.

სოფელს გვერდით ჩაუდის გაზგაყვანილობა, მაგრამ დღემდე სოფელს გაზს არ აძლევენ.

გზა საშინელია.

ავტობუსი გვერდით, აზერბაიჯანულ სოფელში დადის და აქეთ არც შემოუხვევს, წრიულზეო.

ერთი ქორეოგრაფი გვყავდა კულტურის სახლში და ახლახან ისიც შტატების შეცმირებაში მოგვიყოლესო.

ეს ხდება მარნეულში. სადაც ქართველი მოსახლეობა 5%-ია, ხოლო აზერბაიჯანელი 95%.

ესაა ქვეყნის პატრონობა და სამართალი?

ხვალვე უნდა გავვარდე აგრომრეწვის თავმჯდომარე გურამ მგელაძესთან, უნდა ავტეხო ზარების რეკვა, უნდა ვეცე ყელში ტელევიზიას; ჩავიდეს თამარისში და სოფლის ყრილობა გადაიღოს.

ახლა თეორეტიკოსობის დრო არ არის, პრაქტიკული საქმეები უნდა ვაკეთოთ.

28/IV 89

მცხეთაში სოფელ საგურამოს ვეწვიეთ მე და მედეა კახიძე.

შეხვედრა თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა.

გვეკითხებოდნენ ყველაფერზე და განსაკუთრებით ცხრა აპრილის ტრაგედიაზე.

რა გზას დავადგეთ, რა გველის, როგორ გადავირჩინოთ თავიო.

მიყვარს ამგვარ „უსანქციო“ შეხვედრებზე გამოსვლა.

მოვხსენი გუდას თავი და ვილაპარაკე. ჩვენი მთავარი საქმე ახლა ჩვენი ეროვნული სახის შენარჩუნებაა.

რუსეთი სანუკვარ თავისუფლებას საქართველოს ცოცხალი თავით არ მისცემს, იმპერიის რღვევა დაწყებულია. ეს რამდენიმე წელიწადში თავისთავად მოხდება, მთავარია, ჩვენ ახლა თავი გადავირჩინოთ-მეთქი.

ლამის კიბეზე ჩამოგვყვნენ შეკითხვებით.

როგორაა ხალხი აქოჩრილი და გაღვიძებული!

29/IV 89

დღეს, 11 საათზე, კინოს სახლში საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა ჩავატარეთ.

რუსთაველის საზოგადოებამ, რომელიც აკაკი ბაქრაძის არჩევამდე (2 თვე არცაა) ფიქტიურად არსებობდა, თავის უბეში მოიქცია და აშკარად დაჩაგრა ე.წ. დემოგრაფიული ფონდი. ჩვენ შევიკრიბეთ, რათა რუსთაველის საზოგადოებას გამოეყოს დემოგრაფიული ფონდი და ცალკე საზოგადოებად ჩამოყალიბდეს.

ამაზე ფაქტიურად ა. ბაქრაძეც თანახმაა, მაგრამ, რატომღაც ყრილობაზე მ. მაჭავარიანი და ა. ბაქრაძე არ მოვიდნენ.

ყრილობა აკაკი ჯორჯაძემ გახსნა.

მოხსენება მიხეილ ქურდიანმა გააკეთა.

პირველი სიტყვა მე ვთქვი. აღვნიშნე, რომ ამ საზოგადოების პროგრამა უნდა იყოს საქართველოს ეროვნულ-დემოგრაფიული გადარჩენა. მოვიტანე უამრავი მაგალითი იმისა, თუ როგორ იტაცებენ და იპყრობენ ქართულ მიწებს უცხო ტომის წარმომადგენლები. შევეხე აფხაზებად თავგასაღებული ადიღეველი ტომების საკითხსაც. კონკრეტულად ჩამოვაყალიბე ამ საზოგადოების უახლოესი ფუნქციები: საქართველოს დემოგრაფიული მოწესრიგება: არაკონსტიტუციური „ავტონომიების“ გაუქმება. ხელისშეწყობა ქართველი ერის გამრავლებისთვის. საზოგადოების თავჯდომარედ წამოვაყენე ლევან სანიკიძე.

შემდეგ გამოვიდნენ ნ. ნათაძე, ნ. წულეისკირი, ი. იაშვილი, ი. სარიშვილი (გ. ჭანტურიას ცოლი, ორი დღის გამოშვებულია ციხიდან, მშვენიერი სიტყვა თქვა), ი. ბეგიაშვილი, ლ. სანიკიძე, ტ. მებურიშვილი და სხვები.

ავირჩიეთ გამგეობა. თავმჯდომარედ ჩემს მიერ შეთავაზებული ლ. სანიკიძის კანდიდატურა გავიდა.

იქვე ნ. ნათაძემ განზე გამიწვია და მითხრა; სახალხო ფრონტის მუშა ჯგუფმა გადაწყვიტა, მწერალთა კაშვირის სახალხო ფრონტის ორგანიზაციას შენ ჩაუდგე სათავეშიო. ერთ კვირაში სხდომა უნდა ჩავატაროთ და გამგეობა ავირჩიოთ.

30/IV 89

დღეს აღდგომაა.

ქრისტე აღსდგა! – ტელევიზიამაც კი მოგვილოცა ამ დილით.

პრესა და ტელევიზია საინტერესო გახდა:

ყოველ ღამე აცხადებს „ვრემია“, შემოწმებამ დაადასტურა, რომ 9 აპრილს გაზი და ქიმიური იარაღი ჯარს არ უხმარიაო. სამაგიეროდ, ყოველდღე აცხადებს საქართველოს ტელევიზია: საქართველო პროტესტს გამოთქვამს, „ვრემიას“ ინფორმაცია ჭორიაო.

ასეთ „სამართლებრივ სახელმწიფოში“ ვცხოვრობთ ჩვენ.

გორბაჩოვმა ხომ იცის, რომ იხმარეს ქიმიური იარაღი, რატომ არ უწევს ყურს ცრუჟურნალისტებს, სიმართლეს ხელს ნუ აფარებთო.

აი სადაა „ძაღლის თავი დამარხული“.

შუაღამემდე ვიკამათეთ მე და მამაჩემმა იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა იაროს საქართველომ.

1/V 89

პირველი მაისი!

რა ბედნიერებაა, პირველად ჩემს მახსოვრობაში, დღეს საქართველოში პარადი არ ჩატარდა.

მე რა მაქვს საწინააღმდეგო ჩიკაგოში დაღუპული მუშებისათვის სოლიდარობის გამოცხადებისა, მაგრამ თვით პარადი, ისე როგორც ჩვენში ტარდებოდა, დამამცირებელია, დამთრგუნველია პიროვნების!

2/V 89

ამ ერთი კვირის წინათ კოტე მახარაძის თხოვნით, ერთი მსახიობის თეატრისთვის სპეციალურად დავწერე პიესა „აპრილი“. რა დიდი მიხვედრა უნდა, რომ პიესა 9 აპრილის ტრაგედიას შეეხება.

ამ საღამოს დამირეკა. აღფრთოვანებული ვარ. უკვე დავიწყე მუშაობა. 9 ივნისს პრემიერა უნდა ვითამაშოო. რვა საათზე თავის თეატრში მისვლა მთხოვა. მივედი.

საოცარი იდეები დამახვედრა. მაყურებელს თეატრის გარეთ დახვდება დასი შავი დროშებით ხელში. ვნახოთ, რა გამოვა.

3/V 89

დღემ ჩვეულებრივ ბრძოლა-ქაქანში გაიარა.

ხალხი შეშფოთებული, ანერვიულებულია, ცოტა დაბნეულიც, მაგრამ შეშინებული არ არის.

საღამოს ტელევიზიაში ჩაწერა გვქონდა, გადამთიელთა მიერ ქართული მიწების მიტაცების საკითხებზე.

მედეა კახიძე, გრიგოლ ჯულუხიძე, ტაგუ მებურიშვილი ტელევიზიის თანაშმრომელი – მანანა ლომაძე და მე დაგვსვეს სასაუბროდ.

თუ გადასცეს ეთერში, თუ, როგორ იციან არ შეკრიჭ-შემოკრიჭეს, საკმაოდ მწვავედ ვილაპარაკეთ.

4/V 89

„კრიტიკის“ მეორე ნომრის სასიგნალო მივიღე.

საოცარია, ისე ველოდები ყოველ ნომერს როგორც საკუთარ წიგნს.

არაუშავს, მებრძოლი ნომერია.

ყდაზე დავბეჭდე 9 აპრილის სამძიმარი, გრიშა ჯულუხიძის ლექსი და მწერალთა „დეპეშები“ ცხრა აპრილთან დაკავშირებით.

მოწინავეშიც გავაპარე ცხრა აპრილის შეფასება, მიუხედავად იმისა, რომ მთავლიტი ძალიან იკბინება.

მთავლიტი კვლავ საზიზღრად მთავლიტობს. მთავლიტმა „ლიტერატურული საქართველოდან“ 9 აპრილზე დაწერილი ნოველა ამომიღო, მაგრამ ხალხმა ქუჩაში რომ გააკრა ნაწერები ამ ძალადობის შესახებ, მთავლიტი შეშინდა და იძულებული გახდა მომდენვო ნომრისთვის დაერტყა ბეჭედი და 28 აპრილის გაზეთში გაუშვეს. ნოველას ჰქვია „წარღვნით ჩაქცეულ ნაპირზე“ და პირველი პროზაული (დაბეჭდილი) ნაწარმოებია 9 აპრილის თემაზე.

საღამოს რვა საათზე დამიბარა ცეკას პირველმა მდივანმა გივი გუმბარიძემ და 11 საათამდე ბოლთას ვცემდი მის მოსაცდელში. იქვე იჯდა

და გულახდილად ვესაუბრე დისიდენტს, ყოფილ პოლიტპატიმარს ბორის კაკუბავას. ჩვენს შორის აზრთა აბსოლუტური თანხმობაა. მდივნის კაბინეტში 25-მდე აფხაზეთიდან ჩამოსული ქართველი იყო შესული.

აფხაზეთში დიდი არეულობაა.

ადიღეველი ტომები, რომლებიც თავს აფხაზებად აცხადებენ (სხვისი ეროვნულობის მითვისება სირცხვლი არ არის?) ძალიან ავიწროვებენ ადგილობრივ, მკვიდრ, მიწის ძველთაძველ პატრონს – ქართველ მოსახლეობას.

როგორ ფიქრობთ, რა ვიღონოთ, მკითხა გუმბარიძემ. ჩემზე ხუთი წლით უმცროსია. ადრეც ვიცნობდი, მაგრამ ახლოს არა.

ვუთხარი, ერის მოთხოვნებს საქმით უნდა ვუპასუხოთ და არა დაპირებებით-მეთქი.

ჩამოვუკაკლე ჩემი ეროვნული და სოციალური პროგრამა:

აჭარელი სტიქიაში მოყოლილები წალკასა, ბოგდანოვკასა და ახალქალაქში უნდა ჩაასახლოთ-მეთქი.

სერგო ორჯონიკიძის ძეგლი უნდა აიღო-მეთქი.

გალაკტიონის მუზეუმი უნდა გახსნა-მეთქი თბილისში.

რუსთაველის მაღაზია-სალონი უნდა გაიხსნას-მეთქი.

დემოგრაფიულ საზოგადოებას ხელი უნდა შევუწყოთ-მეთქი.

ყურადღებით მომისმინა, თითქმის ორი საათის განმავლობაში.

ყველაფერზე დამეთანხმა.

ვნახოთ, რას იზამს.

5/V 89

დღეს რედაქციაში ჩემთან მოვიდა ზესტაფონელი ქალი – თამარ მუხურაძე. მე, სახალხო თეატრის რეჟისორი ვარო, ზესტაფონში თქვენი პიესა დავდგით და პრემიერაზე ჩამობრძანდით, თან შეხვედრა უნდა მოგიწყოთო. დავთანხმდი. 12 მაისს ბაღდადში მაქვს შეხვედრა და უკან გზად 13-ში ზესტაფონში გამოვივლი.

შეხვედრები საერთოდ არ მიყვარს, მაგრამ ახლანდელი შეხვედრები სხვაა. აღვკვეთე ჩემს შეხვედრებზე ყოველგვარი წინასწარ დაწერილი მოფიქრებული სიტყვები. მხოლოდ მე ვდგავარ და ვსაუბრობ ან შეკითხვებს ვპასუხობ, ესაა სულ. ხალხს უნდა დაელაპარაკო. მათ ბევრი რამ იციან და ბევრსაც შენგან მოელიან. კარჩაკეტილი მწერალი ერის მწერალი არ არის.

ჩემს ახალ პიესას – „ნაპრალი“ დგამს ფოთის თეატრი და ბოლნისის თეატრი. მგონი, ქუთაისიც, თუ სვანაძემ პირი არ მიშალა. ვერ ჩანს მთლად პირიანი კაცი.

ბოლნისიდან ჩამოვიდა ახალგაზრდა რეჟისორი – ზურაბ ხვედელიძე. თქვენი ნოველები ძალიან მომწონსო, რაიმე პიესას ხომ ვერ გამოიმეტებთო.

უარს რატომ ვეტყოდი. აქ კი თბილისის თეატრები ხელს მაფარებენ. სანამდე?

3 საათზე გუმბარიძეს რედაქტორების თათბირი ჰქონდა. ახალი არაფერი უთქვამს. დაპირებები და დაპირებები... თანაც დამშვიდებისკენ და გონიერებისკენ მოწოდება.

რა დაამშვიდებს საქართველოს, რომელიც ქრება ჩვენს თვალწინ.

როგორ შეიძლება დამშვიდება.

6/V 89

დღეს გვაცნობეს ტელევზიიდან, რომ მთავლიტმა ჩვენი გადაცემის გაშვებაზე უარი თქვა.

ესეც ჩვენი სიტყვის თავისუფლება.

საოცარია, „ახალგაზრდა კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში მთლიანად და უფრო მწვავედ, ვიდრე ტელევიზიაში ვილაპარაკე, დავბეჭდე წერილი იმის შესახებ, თუ როგორ ჩაგრავენ თამარისში ქართველებს. წერილს ჰქვია „ესაა ქვეყნის პატრონობა და სამართალი?“

რისი დაბეჭდვაც გაზეთში შეიძლება, ტელევიზიით ვერ გადაიცემა?

საღამოსპირს, 5 საათზე ვეწვიე ქავთარაძის ქუჩაზე №2 საავადმყოფოს მოშიმშილეთა და მოწამლულთა მოსანახულებლად.

მოვიარე პალატები ექიმ ნატოს თანხლებით.

მძიმე მდგომარეობაა.

ბევრ მათგანს წვეთოვანი უდგას. საყლაპავი მილი პარალიზებულია, კუჭი საჭმელს ვერ ინელებს, მეხსიერება დაქვეითებული აქვთ, შეინიშნება ცნობიერების დაკარგვა დღეში რამდენჯერმე.

ფერდაკარგული, წვეროსანი ბიჭები, თვალებჩაცვენილი, ტუჩებშეთეთრებული გოგონები. რა დამავიწყებს მათს ნაღვლიან გამოხედვას.

რა საცოდაობაა, რით მოგვწამლეს, რატომ გაგვიმეტეს ასე.

ვცდილობდი გამხნევებას. მორჩენის იმედი დაკარგული აქვს ბევრს. უარესად ვართო.

მეორე სართულზე 211-ე პალატაში რვა ბიჭი შიმშილობს.

ეს აქცია მიმართული სამხედრო ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც ენერგიულად ცდილობს მოწამვლის ფაქტის მიჩუმათებას და შესაბამისი წამლის არგამხელას.

რა სახელმწიფოში ვცხოვრობთ, რა გვეშველება.

ორ საათს ველაპარაკე მოშიმშილე ბიჭებს მომავალი ბრძოლების მეთოდების შესახებ. ყურადღებით მისმენდნენ და მეთანხმებოდნენ.

იქვე თამაზ გამყრელიძის და გორბაჩოვის საუბრის შესახებ გავიგე. „ხელმწიფე“ თურმე ჩვენზე ნაწყენია (?!).

7/V 89

მთელი დღე წერა-კითხვაში გავატარე.

ვწერდი წერილს რუსთავის გაზეთისავის სათაურით „ყურს ნუ დავუგდებთ დემაგოგს“. წერილში ქართველ მუშებს მივმართავ –ალმაცერად ნუ შეხედავენ ინტელიგენციას. ერის თავი ინტელიგენციაა.

ვკითხულობდი გურამ გეგეშიძის რომანს „მნათობში“ („სისხლის წვიმები“), სიუჟეტს არა უშავს. პრობლემა აქტუალურია. წერა (ხატვა) არ იცის. ფერწერულად ვერ ხედავს. „ცოდვილშიც“ ეს ნაკლი ჰქონდა.

8/V 89

მუხათწყაროში აგარაკზე ვარ.

მოვიძღე გული ტყეში სიარულით.

გაღვიძებული, აფეთქებული ბუნება! ხემ არც ინტრიგა იცის, არც თავისუფლებისათვის ბრძოლა, არც მიტინგი და დემონსტრაცია.

ღამით ტყეში, მთელი ღამე მიკიოტი ჰკიოდა.

9/V 89

კუს ტბაზე მე და აჩიკომ დიდხანს, გემრიელად ვივარჯიშეთ.

აფსუს, ვბერდები! როგორ მიყვარს სპორტი. ერთადერთი, რაზეც სიბერის გამო გული მწყდება, ის არის, რომ ვეღარ ვირბენ, ჩოგბურთს ვერ ვითამაშებ, თხილამურებით ვერ ვისრიალებ.

საღამოს მე და სოსო ბუხაიძე წვეულებაზე ვიყავით ჩვენს მეგობარ ლამარა მინდორაშვილთან (სამოცსგადაშორებული, მარტოხელა ქალია. მეცნიერობს). ვითამადე. ოციოდე კაცი შევიკრიბეთ. დიდხანს, სევდიანად ვისაუბრეთ საქართველოს ჭირ-ვარამზე.

10/V 89

„კრიტიკაში“ დავაღამე.

მურმან ჯგუბურია იჯდა დიდხანს ჩემს კაბინეტში.

ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ დრო ელვისსისწრაფით გარბის. სიტუაცია, ცხოვრების სტილი იცვლება. ჩვენი აზროვნებაც უნდა შეიცვალოს. ეპოქას უნდა ავაყოლოთ კალამი. ახლა „ტრადიციული ხელწერა“ არ გამოდგება.

ვილაპარაკეთ იმაზეც, თუ როგორ დაღუპა კონიუნქტურამ და პანეგირიკმა არაერთი ნიჭიერი მწერალი წარსულში. ამ საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურული ბრძოლებიდან სუფთად მხოლოდ გალაკტიონი, ჯავახიშვილი, გამსახურდია და კიდევ რამდენიმე მწერალი გამოვიდნენ.

შინისაკენ რომ მოვდიოდი, რადიო „უიარაღოს (კონდრატე თათარაშვილი) ცნობილ მოთხრობას „მამლუქს“ გადმოსცემდა. ჩემი ბავშვობის მოთხრობა. რამდენჯერ მიტირია ქართველ მამლუქთა უბედურ ბედზე.

მშვენივრად მახსოვს „მამლუქი“ ასე მთავრდებოდა:

„ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი.

ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ“.

რადიოდადგმაში კი ასე შეუცვლიათ:

„სინამდვილეში, არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი.

ორივენი იმდროინდელი, ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ“.

აი ჩვენი „რკინის რედაქტირების“ და „მოუსყიდველი მთავლიტის“ მშვენიერება.

რა საძაგლობაა, ღმერთო ჩემო. ღმერთი არ არსებობსო და რა უნდა იცოდესო (ლოგიკა!) ბედკრული თანამედროვე საქართველო ხომ ვერ იქნება, უსათუოდ უნდა დავაკონკრეტოთ და „იმდროინდელი საქართველო“ უნდა ვუწოდოთო.

მოფიქრება არ გინდა?!

11/V 89

დღეს დავწერე მიმართვა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის პროკურორის – ვ. რაზმაძის სახელზე ფაკულტეტის სახელით: კათედრის გამგეები და პროფესორები მოვითხოვთ, გაათავისუფლონ პატიმრობიდან ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, გ. ჭანტურია, ი. წერეთელი...

მთელი დღეა ხელმოწერების შესაგროვებლად დავრბივარ. მაინც როგორ ვართ დაშინებულები. ზოგი ხელის კანკალით აწერს ხელს ზოგი ვაჟკაცურად აწერს და ისე შემომხედავს თითქოს თავი გასწირა და დაფნის გვირგვინით უნდა შევუმკო შუბლი. ყველამ მოაწერა ორი პროფესორის გარდა: ერთმა ენათმეცნიერმა აღშფოთება გამოთქვა – რას ჰქვია გამოშვება,

ისინი ციხეში ჩალპობის ღირსნი არიანო. აი რას ჰქვია ვერაგობა. მეორემ, ანტიკური კულტურის სპეციალისტმა, მეო, კომისიის წევრი ვარ და ჩემგან ხელმოწერა უხერხულიაო. ხვალ მივიტან გაზეთ „თბილისში“. იქნებ რაიმე ვუშველოთ უსამართლოდ ციხეში ჩაყრილთ.

შუადღისას უნივერსიტეტში მანანა არჩვაძემ მომაკითხა. რა ვქნათო, ხომ არ დავწეროთ განცხადება უნივერსიტეტის პროფესურის ხელმოწერითო!

უკვე დაწერილი მაქვს და ხელმოწერებზე დავრბივარ-მეთქი.

გაეხარდა.

12/V 89

დილით „თბილისის“ რედაქტორს – ა. გოგელიას მივუტანე განცხადება – 31 პროფესორის ხელმოწერილი. აჩიკომ დაიტოვა, მაგრამ შეყოყმანდა. გუმბარიძე „არაფორმალების გამოშვებას არ აპირებს და უნდა შევუთანხმო ამ განცხადების დაბეჭდვაო. დაცდილი მაქვს, რედაქტორი რომ შეყოყმანდება, ის მასალა არ დაიბეჭდება.

11 საათზე გავუყევით გზას მე და თამაზი (ჩემი მძღოლი) ბაღდადი-საკენ! 2.30-ზე „მაიაკოვსკში“ ვართ. რაიკომის პირველმა მდივანმა გაიოზ ნოზაძემ გულთბილად მიმიღო. სამ საათზე ღია ცის ქვეშ ახალგაზრდობას შეეხვდი,საღამოს შვიდ საათზე რაიონის კულტურის სახლში დიდი საღამო გამიმართეს. მოხსენებები წაიკითხეს (მოკლე) გოგი ლაბაძემ (მწერალი) და ანზორ ჯანელიძემ (ჟურნალისტი) თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი ჩემზე სიტყვების თქმის მაგრამ დაგეგმილი ჰქონდათ და ხელი ვერ შევუშალე.

ორ საათზე მეტ ხანს ვილაპარაკე. ვუპასუხე შეკითხვებს. დარბაზი გაჭედილი იყო, ფეხზე იდგნენ.

ერთმა სტუდენტმა მკითხა, თქვენ, ასეთი მართალი მწერალი რომ ხართ, მიკვირს ცხრა აპრილს სად მიიმალეთ ისე, რომ არც გალახული ხართ და არც მოწამლულიო. ეს მითხრა შენიშვნის სახით. მე ვფიქრობდი რომ მეტყოდა, მოხარული ვარ, რომ არ მოგხვდათ ნიჩაბიო. თურმე, თუ დავდგებოდი სცენაზე და ვიყვირებდი, მე მცემეს-მეთქი, მაშინ ვიქნებოდი კარგი კაცი. რა ვუყოთ, ახალგაზრდაა, ეპატიება.

ღამე ბაღდადში გავათიე.

აკადემიის კომისიამ გადაწყვიტა ძველი სახელები დაუბრუნოს ოზურგეთს, ხარაგაულს, მარტვილს, სენაკს, ხონს – რატომღაც მაიაკოვსკის სახელს არ შეეხნენ. ასე რომ, „მაიაკოვსკს“ ჯერ არ უბრუნებენ ძველ სახელს – ბაღდადს. რატომ? ვერ გეტყვით.

13/V 89

შუადღის ორ საათზე დავაღწიე თავი ბაღდადელ მასპინძლებს და ზესტაფონში ჩამოვედი.

რაიკომის მდივნები – ბესარიონი და ნათელა სიყვარულით შემომეგებნენ.

სასტუმროში დავისვენე და ექვს საათზე შორაპანს ვესტუმრეთ.

შორაპნის სახალხო თეატრს დაუდგამს ჩემი „უფანდუროდ სამღერი“.

დაიწყო სპექტაკლი. მღელვარება მიპყრობს. სახელმწიფო თეატრებში რა იყო და სახალხო თეატრის დადგმა რა იქნება.

დადგმამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ჭეშმარიტად ამაღელვებელი სპექტაკლი დაუდგამს თამარ მუხურაძეს.

არ ველოდი.

ხალხი დიდხანს უკრავდა ტაშს. ორიგინალურადაა გადაწყვეტილი, ბაქრაძე საფლავიდან ლაპარაკობს.

ხალხი დარბაზში ქვითინებდა.

მერე ჩემთან შეხვედრა გაიმართა.

ისევ შეკითხვები, სიყვარული, კამათი.

და იყო დემონსტრაცია იმისა, თუ როგორ აფასებს ერი ჩემისთანა რიგით მწერალსაც კი.

ღამის 4 საათზე დავიძინე.

14/V 89

დღეს კვირაა.

თბილისში დავბრუნდით.

„კომუნისტში“ ჩემი ნოველაა ლეკებზე „საყდარი სოფლის სასაფლაოზე“.

მესიამოვნა.

15/V 89

რესპუბლიკის პროკურატურის შენობაში დაიწყო ლეკი მკვლელების გასამართლება. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ მიმავლინა სასამართლოზე დასასწრებად, იცოდა რა ჩემი დამოკიდებულება ამ საქმისადმი. მე და სოსო სიგუა წავედით. დგას სამი ლეკი და ჰყვება, როგორ დაიჭირეს საღამოს რვა საათზე თავის ეზოდან გამოსული ქართველი ლელაძე – სამოცდახუთი წლის ცალთვალა კაცი, როგორ შეუკრეს ხელ-ფეხი, წამოიყვანეს მოტოციკლით ტყეში, როგორ დაკლეს ღორივით, როგორ დაანთეს კოცონი, დაჭრეს მიცვალებული ნაწილ-ნაწილ და დაწვეს. თავი კი მთავარმა მკვლელმა ტომარაში ჩადო და როგორც რელიქვია სახლში წაიღო.

გამოძიებისას აღიარებულს უარჰყოფენ მკვლელები და უსირცხვილოდ ამბობენ, მთვრალები ვიყავით და არ გვახსოვს, რა ჩავიდინეთო.

ადამიანი შეგძულდება, როცა ამას ისმენ.

ხომ უნდა განსხვავდებოდეს ადამიანი და მგელი ერთმანეთისაგან.

მოსამართლე, პროკურორი და დამცველები მკვლელებს ყოველგვარ შეკითხვას აძლევენ, გარდა ერთისა – იცოდნენ თუ არა გადამთიელებმა, რომ ქართველს ჰკლავდნენ. ყველაფერი აქედან უნდა დაიწყოს.

საგამომძიებლო დასკვნაში სწერია – არ ვიცოდით, რა ეროვნებისა იყო, ხმას არ იღებდაო. სასამართლოზე მკვლელები ამბობენ, ჩვენ ცხვრის მოპარვა დავაბრალეთ, ის კი უარყოფდა, გვაგინებდა და ჩვენზე ხელითაც იწევდაო.

რა ენაზე აგინებდა? ან ამ ჩხუბში ვერ გაარკვიეს, რომ ქართველი იყო?

ლეკებმა მოჰკლეს ქართველი, სწორედ ქართველი და აქ ეროვნული სასამართლოა. გენოციდის ფაქტთან გვაქვს საქმე. ვინ მოჰკლა ვინ? სტუმარმა – მასპინძელი, მასპინძელი, რომელმაც თავისი გულუბრყვილობით მიწა დაუთმო და გვერდით დაისახლა.

მოსამართლემ კერძო განჩინება უნდა გამოიტანოს, რომ ამათი ერთად ცხოვრება არ შეიძლება. ყვარელში „ჩამოთესლებული“ ორი ათასი ლეკი უნდა აიყაროს და თავის მთებს დაუბრუნდეს, სანამ მეტი სისხლი არ დაღვრილა.

შესვენების დროს შევედი და მოსამართლეს ვუთხარი – ღმერთი არ გაგიწყრეს და მკვლელები ცოცხალი არ დატოვო, ხომ ხედავ, რა სადისტური (დაჭრა, დაწვა) მკვლელობაა-მეთქი. რა ვქნა, ბატონო, გამოძიებას მრუდედ

წაუყვანია საქმე, თითქოსდა, მთვრალ მდგომარეობაში, წინასწარგანზრახვის გარეშეა მოკლულიო.

16/V 89

დღეს გაზეთებმა დაბეჭდეს 9 აპრილის საგამოძიებო კომისიის მეოთხე სხდომის ოქმი. დაუძახეს და ახსნა-განმარტებანი (ფაქტიურად ჩვენებები) ჩამოართვეს საქართველოს ყოფილი მთავრობის ხელმძღვანელებს ჯ. პატიაშვილს, ო. ჩერქეზიას, ზ. ჩხეიძეს. სავალალო სურათია. ერთმანეთს აბრალებენ. არა ჰყოფნით ვაჟკაცობა, სულგრძელობა, რომ დაასახელონ ნამდვილი დამნაშავე – რუსეთი. რას ელიან, კიდევ რას მოითხოვენ?

საღამოს იპოდრომზე გავიარე. ვესაუბრე ინჟინერ გიორგი ... (გვარი არ უთქვამს). საინტერესო რამ მითხრა: საქართველოს გადარჩენის საკითხი ყველამ უნდა ავიღოთ ხელში. არ შევატოვოთ მარტო რჩეულთ და შეწირულებსო. ახლა ყველა უნდა აღრიცხული გვყავდესო. გაორებული, ნახევრადეროვნული ადამიანების იმედზე ნუ ვიქნებითო. საღამოს გალახულივით მივდივარ სახლში. ასე მგონია, ერთი დღეც გავაცდინეთ. ერთი დღითაც დავაგვიანეთო. თქვენ ძალიან პოპულარული კაცი ხართ და გაჩუმების უფლება არა გაქვთო.

მიხარია, რომ საქართველო ერთი მიზნით ცხოვრობს, ერთ ფიქრს ემსახურება.

17/V 89

გუშინდელ „თბილისში“ ჩემი სტატია (ოთხი კაცის ხელმოწერით) დაუბეჭდავთ - „ჯერ კიდევ არის დრო“. მოვითხოვთ, როდიონოვი სასწრაფოდ იქნას გაწვეული დეპუტატობიდან და მის ნაცვლად დეპუტატად კათალიკოსი ილია მეორე იქნას არჩეული.

საღამოს გურამ მგელაძემ დაგვიძახა. გ. მგელაძე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეა. მის კაბინეტში შევიკრიბეთ მ. მაჭავარიანი, ა. ბაქრაძე, ნ. ნათაძე, ლ. სანიკიძე, გ. ფანჯიკიძე და მე. „რით ვუშველოთ საქართველოსო“, აქეთ გვეკითხება.

სასტიკი სიტყვა ვთქვი. სამოცდაათი წლის განმალვობაში იმას აკეთებდით, რომ როგორმე დაგექციათ, ჩაგეძირათ საქართველო და ახლა რა ბზიკმა გიკბინათ-მეთქი.

18/V 89

ჩვენს შვიდეულს (იგივენი და რ. ჯაფარიძე) მინისტრთა საბჭოს ახალ თავმჯდომარესთან – ნოდარ ჭითანავასთან გვიხმეს.

დიდხანს ვისაუბრეთ. საკითხი ძირითადად გადამთიელთაგან ქართული მიწების დატაცებას შეეხებოდა.

როგორც ჩვეულებრივად მთავრდება თათბირები, ახლაც ასე დამთავრდებოდა: „შევისწავლოთ, გავაანალიზოთ, შევიმუშავოთ ღონისძიებები“...

ვერ მოვითმინე და ვთქვი: დავიღალეთ ამ უსაქმო ლაპარაკით. თუ საქართველოს სიკეთე გინდათ, და, თუ თვალთმაქცები არა ხართ, დღესვე მივიღოთ გადაწყვეტილება და ხვალვე დავურიგოთ მიწები დაჩაგრულ ქართულ სოფლებს-მეთქი. იჭოჭმანეს, მაგრამ მარნეულისთვის კერძო დადგენილება მაინც გამოვატანინე.

19/V 89

დღეს 23-ის საღამოსთვის მოსაწვევები მომიტანეს. შეხვედრა თეატრალურ საზოგადოებაში გაიმართება.

აფიშები გაკრულია ქალაქში.

რანაირად წარვმართო შეხვედრა? სევდიანად, მაგრამ სულ ტირილს ხომ არ უნდა გადავყვეთ? რაღაც გზა ხომ უნდა ვუჩვენოთ ხალხს?

ვნახოთ. ჩემი მტრების გადამკიდეს, არ მინდოდა, ეს საღამო, გიგა ლორთქიფანიძემ შემაგულიანა.

მწერლის ხმას ახლა დიდი მნიშვნელობა აქვსო.

20/V 89

დღესაც გვქონდა მიწების დატაცების კომისიის სხდომა.

აზრი გამოვთქვით, წავიდეთ დაღესტანში, იქნებ იქაურ ხელმძღვანელობას მოველაპარაკოთ ლეკების თავიანთ სამშობლოში დაბრუნებაზე-მეთქი.

აქ ლეკების ადგილი არ არის-მეთქი.

კვლავ სისხლი დაიღვრება-მეთქი.

დამთანხმდნენ.

ალბათ, იმ კვირაში გავფრინდებით.

მიხარია, რომ მარნეულის ქართულ სოფლებს ოთხშაბათიდან მიწებს დაურიგებენ.

თამარისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ მთელი სოფლის სახელით მადლობა მითხრა.

21/V 89

დღეს კვირაა.

ვზივარ და ვწერ წერილს სათაურით „ვინ ამღვრევს წყალს“?

ვწერ იმაზე, რომ საქართველო კვლავ იწამლება (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით). ვწერ იმაზე, რომ ზოგი ჩინოვნიკი 9 აპრილს დემონსტრაციის მონაწილეთა წინააღმდეგ რეპრესიებს მიმართავს.

22/V 89

გუშინ საღამოს ფეხბურთს ვუყურებდით. ჩვენი „დინამო“ „დნეპრს“ ეთამაშებოდა. მსაჯს რაღაც შეეშალა და მაყურებელი სტადიონზე შევარდა. გამაკანკალა. დაიწყო ცემა-ტყეპა. „მსაჯი“ და „დნეპრის“ ფეხბურთელები მოედნიდან გაიქცნენ.

შეიძლებოდა ახალი კატასტროფა მომხდარიყო.

ოცდახუთ წუთს თამაში შეჩერებული იყო.

მერე დაიყოლიეს დამფრთხალი სტუმრები და თამაში განახლდა.

ნერვებმოშლილია ხალხი.

საღამოს ტელევიზორში ამერიკელმა და ფრანგმა ექიმებმა განაცხადეს, რომ გუშინ და გუშინწინ საავადმყოფოში მიყვანილი ბავშვები მოწამლული არ არიან – ეს არის კატასტროფის სინდრომი ანუ შიში.

ეჭვი მეპარება.

საბავშვო ბაღის ბავშვებს რა შიში შეიძლება ჰქონდეთ?

23/V 89

მსახიობის სახლში დიდი საღამო მქონდა.

დარბაზი ხალხით ისე გადაიჭედა, რომ დირექტორს – ლ. მილორავას შეეშინდა, შენობა არ დაინგრესო. უამრავი კაცი ქუჩაში იდგა.

გიგა ლორთქიფანიძემ გახსნა.

როგორც მითხრეს, კარგი საღამო გამოვიდა.

ბრალი დავდე მთელ სოციალისტურ სისტემას.

საქართველოს დაუყოვნებლივი გამოსვლა მოვითხოვე სსრკ-ს შემადგენლობიდან.

ვთქვი, რა უყვეს ჩვენს თაობას ლიტერატურაში და ისიც დავსძინე, რომ ახლა ჩვენში მოჩვენებითი დემოკრატიაა. სინამდვილეში არავითარი დემოკრატია არ არსებობს.

სცენაზე ამოცვივდა ბოლოს მაყურებელი და ლამის ხელში ამიყვანეს.

მარტო ვიდექი სცენაზე როგორც ყოველთვის.

საღამო ჩაწერილია ვიდეოფირზე.

24/V 89

დილით სამტრედიას გავემგზავრე.

რაიკომის მდივანია თამაზ მიქაძე.

ჩემთან და გრ. ჯულუხიძესთანაა შეხვედრა თეატრის შენობაში.

რაიკომის მდივანს ვკითხე ჩამოსახლებულ მესხებზე.

ქართული პასპორტის აღებას არ აპირებენო. თავს თურქებად თვლიანო.

წამიყვანე, მე გავესაუბრები-მეთქი.

მივედით. 50-მდე მესხი შემომეხვია.

თქვენ ხომ ქართველები ხართ (მესხები), რატომ არ გინდათ პასპორტში ქართველები გეწეროთ, ან შვილები ქართულ სკოლაში შეიყვანოთ-მეთქი, როგორ არ გვინდაო. შევხედე რაიკომის მდივანს – გაწითლდა.

დაწერეთ განცხადებები და ორ დღეში ახალ პასპორტებს დაგირიგებენ-მეთქი.

სიამოვნებითო. უნდა გადავამოწმო.

საღამოს დიდი საღამო-მიტინგი ჩავატარეთ.

25/V 89

დავბრუნდი სამტრედიიდან.

მთელი დღე კათედრის საქმეებით ვარ დაკავებული.

თბილისში დიდი მზადებაა ხვალინდელი ზეიმისათვის.

ღამით სამფეროვანდროშიანი ახალგაზრდები მთელი ღამე დადიოდნენ ქალაქში და თავისუფლების ლოზუნგებს გაჰყვიროდნენ.

სასწავლო დაწესებულებათა წინ მთელი ღამე ისხდნენ ახალგაზრდები სანთლებით ხელში.

26/V 89

დღეს 26 მაისია.

მონობისაგან დახსნის ჩვენი ეროვნული ზეიმი.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ საქართველო კვლავ თავისუფალი გახდეს.

თავისუფალ საქართველოში უნდა შევხვდეთ ოცდამეერთე საუკუნეს.

გრანდიოზული მიტინგი ჩატარდა ვაკის პარკში.

ჯანსუღ ჩარკვიანმა გახსნა.

მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ ზვიად გამსახურდია, ნოდარ ნათაძე, გია ჭანტურია, ირაკლი შენგელია, ირაკლი ნერეთელი, მერაბ კოსტავა, რუსი, სომეხი და ლიტველი სტუმრები.

ასიათასკაციანი დემონსტრაციები გაიმართა რუსთაველზე, ჭავჭავაძის პროსპექტზე.

მიტინგები ჩატარდა აგრეთვე უნივერსიტეტთან და მეტეხის ტაძრის ქვემოთ, რიყეზე.

ნუთუ ამ მოძრაობას რაიმე ძალა შეაჩერებს?

მანქანაზე დავამაგრეთ თავისუფალი საქართველოს დროშა და მთელი საღამო ამ დროშით ქალაქში დავქროდით მე და აჩიკო.

27/V 89

მიწას მივაბარეთ მამაჩემის უახლოესი მეგობარი, ცნობილი ენათმეცნიერი გიორგი შალამბერიძე. ქელეხზე თამადობამ მომიწია.

ვთქვი, რომ კომუნისტებისაგან გაწამებული გიორგი ვერ მოესწრომეთქი ჩვენი ეროვნული მოძრაობის გამარჯვებით დაგვირგვინებას, იქნებ, ჩვენც ვერ მოვესწროთ, მაგრამ ვალდებული ვართ ბოლომდე ვიბრძოლოთ-მეთქი.

P.S. მიცვალებულის კუბოს მიწა რომ მივაყარეთ, სასაფლაოდან ერთად გამოვედით მე და ცეკას თანამშრომელი, ჩემი მეგობარი ვაჟა აბაკელია.

ვაჟამ საიდუმლოდ მაცნობა, რომ ჩემს თავზე შავი ღრუბლები გროვდება. ცეკაში უკანასკნელი კვირის მანძილზე ორჯერ გამოიგზავნა ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ მიშველაძე უკიდურეს ნაციონალსიტურ პროპაგანდას ეწევაო, მოსახლეობას რუსული ჯარის წინააღმდეგ ამხედრებსო.

მაშ ასე, კარტი გახსნილია. ხელისუფლებამ ომი გამომიცხადა. თუ რაიმე ცუდი შემემთხვა, იცოდეს ამ სტრიქონების წამკითხველმა, რომ მხოლოდ ხელისუფლების სამსახურის აგენტების „მუშაობის“ შედეგი იქნება.

28/V 89

ოთხ საათზე სასტუმრო „მუზაში“ შევხვდი ორ ბულგარელ მწერალს. დამირეკეს, თქვენთან საუბარი გვსურს ბულგარეთში თქვენი წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებითო.

სამსაათიანი ინტერვიუ ჩამომართვეს.

ვილაპარაკე საქართველოს განწყობილებაზე, ჩვენს ეროვნულ ბრძოლაზე... იმაზე, თუ რაზე ვმუშაობ ამჟამად.

თუ ნებას მოგვცემთ, ამ საუბარს ბულგარეთის რადიოთი გადავცემთ და პრესაშიც გამოვაქვეყნებთო. დასტური მივეც.

29/V 89

რადიოში ჟურნალისტმა მაისურაძემ გარდაქმნის და საბჭოთა წყობილების მტრად გამომაცხადა.

მივედი რადიოს უფროს რამინ ჭელიძესთან. ბატონო რევაზ, ვწუხვარ რომ ასე მოხდა, მაგრამ ყველაფერს ვერ გეტყვითო.

სათანადო ორგანოების დავალებაა.

აღარ დამიკონკრეტა, მეც აღარ ჩავაცივდი.

გამაცემინეთ პასუხი ამ ცილისწამებაზე-მეთქი. რადიოში პასუხის პრაქტიკა არ არსებობსო.

მოსკოვში დეპუტატთა ყრილობა მიდის.

ანარქია სუფევს ყრილობაზე.

ჩვენ ხომ დემოკრატიული სხდომის ელემენტარული გამოცდილება არა გვაქვს.

30/V 89

მთელი დღე უნივერსიტეტში გავატარე.

დიდი შეხლა-შემოხლაა მოსკოვის ყრილობაზე.

გორბაჩოვს ლამის წყალი შეუდგეს:

ერთ-ერთი მთავარი საკითხია საქართველოს საკითხი, რომლის ყოველმხრივ მიფუჩეჩებასაც ცდილობს მოსკოვი.

გამოვიდა თამაზ გამყრელიძე, რომელმაც ბრალი დასდო ცენტრს და როდიონოვს 9 აპრილის ტრაგედიაში.

მერე გამოვიდა როდიონოვი. უტიფრობა უფრო შორს ვერ წავა, ვიდრე როდიონოვმა ჰკადრა თავს.

ქართველებიო, უსირცხვილოდ თავს იცავენო, ჩვენ გვაბრალებენ ყველაფერსო. ეს იყოვო საბჭოთა ხელისუფლების დამხობის ცდაო. ჩვენ მიტინგის მონაწილეებმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაგვიწიეს და იძულებული გავხდით თავი დაგვეცვაო.

არავითარი ბარები და მომწამლავი ქიმიური ნივთიერებანი ჩვენ არ გვიხმარიაო.

როდიონოვის შემდეგ პატიაშვილი გამოვიდა. შეშინებული, დამფრთხალი კაცის სიტყვა თქვა.

თავის მართლება დაიწყო და ჩამოაგდეს ტრიბუნიდან.

ჯუმბერი ჩემს მეგობრად მიმაჩნია. გულწრფელად თანავუგრძნე, 9 აპრილი რომ მოუწყვეს. დავწერე კიდეც მცირე გამოსარჩლება, მაგრამ ე. ჯაველიძემ არ დაბეჭდა.

არადა, რა საშუალება ჰქონდა ჯუმბერს ხალხის თანაგრძნობა გამოეწვია.

მის აგილზე გამოვიდოდი და ვიტყოდი; რა ვიცოდი რომ მთელი ცხოვრების მანძილზე უსამართლობას და ძალმომრეობას ვემსახურებოდი. მე მომატყუეს. ხალხი დამიხოცეს. აღარ მინდა ყოფნა თქვენს პარტიაში-მეთქი. და დავაგდებდი მანდატს. გმირად იქცეოდა.

31/V 89

რედაქციის თათბირი ჩავატარე.

მე-2 ნომერში სავალალო ტექნიკურ-ენობრივი ლაფსუსები გაიპარა და გავკიცხე თანამშრომლები.

თუმცა, ვის ვემართლები, ჩემი ბრალია. მე ხომ არც ერთი პროფესიონალი სტილისტი არა მყავს რედაქციაში.

აწი კორექტურაც მე უნდა წავიკითხო, სხვას ვერ ვენდობი.

და საერთოდ, როდის წავალ ამ „კრიტიკიდან“, მომწყინდა უკვე.

საღამოს მე და ლევან სანიკიძეს დიდი შეხვედრა გვქონდა მცხეთაში, სოფელ გალავანში.

ინიციატორი და მასპინძელი იქაური პოეტი დავით ნავდარაშვილი იყო.

დაგვესწრო რაიკომის მეორე მდივანი რობერტ ყიფშიძე.

ვისაუბრეთ დემოგრაფიულ (ლევანი) და ეროვნულ-განმათავისულფებელ (მე) მოძრაობაზე, ვუპასუხეთ უამრავ შეკითხვას.

„სახალხო განათლებაში“ დაიბეჭდა სახალხო ფრონტის მიმართვა საქართველოს არაქართველი მოსახლეობისადმი.

1/VI 89

დღეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა.

ჩვენ, რუსის ჯარის წყალობით, „ბედნიერნი“ ვხვდებით ბავშვთა დაცვის დღეს.

თავისუფლებისათვის მებრძოლი ბავშვები 9 აპრილს ისე მოგვიქციეს, რომ ზოგი მიწაში გვიწევს, ზოგი საავადმყოფოში მოწამლული და დაჟეჟილი.

არ შევარჩინეთ მათს უმანკო სისხლს მტარვალთ ქართველები.

შეხვედრა მქონდა შეროზიას ქუჩაზე ბიბლიოთეკათა გაერთიანებაში.

კვლავ დემოგრაფიულ პრობლემაზე და 26 მაისის საქართველოს დაბრუნებაზე ვისაუბრე.

ჩემი პროგრამა ადრე უტოპიად მიაჩნდათ. ვგრძნობ თანდათან ბევრი მეთანხმება.

ვინძლო... ვინძლო არ გავახაროთ მომხვდური ჩვენს მიწაზე.

დღეს „ახკომში“ ორი წყალტუბოელი ახალგაზრდა ოჯახი გამომეხმაურა: მიშველაძის მოწოდებისამებრ საცხოვრებლად მარნეულში მოვდივართ, ახალი ქართული სოფელი უნდა შევქმნათო.

აბა ჰე, ახალგაზრდებო, თქვენი იმედი მაქვს.

2/VI 89

პრაღიდან მივიღე ჟურნალი, რომელშიც ჩეხურ ენაზე ჩემი სამი ნოველაა დაბეჭდილი.

„კომუნისტის“ რედაქტორს ნიკა ჩერქეზიშვილს დავურეკე და ბოდიშისმოხდით ვკითხე, ჩემი პატარა წერილი „ვინ ამღვრევს წყალს?“ რატომ არ იბეჭდება-მეთქი.

„არ მომეწონაო“, მოკლედ მომიჭრა და ყურმილი დამიდო. ხომ უნდა ეთქვა, თუნდაც ორი სიტყვით, რატომ არ მოეწონა.

მე ვიცი, რატომაც არ მოეწონა. იმ წერილში გზას ვუჭრიდი ხელისუფლებას თავისი ბნელი აქციის შესრულებაში. ჩუმად, გაუხმაურებლად ანგარიშს უსწორებენ 9 აპრილის დემონსტრაციის მონაწილეებს. სამსახურიდან ათავისუფლებენ არაფორმალურ გაერთიანებათა წევრების მშობლებს, თვით წევრებს, საყვედურებს აძლევენ სკოლის დირექტორებს, რომელთაც თანამშრომლები და მოწაფეები „გაექცათ“ 8-9 აპრილს დემონსტრაციაზე.

ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ ჩვენ.

3/VI 89

უცნობი მკითხველები მირეკავენ და მეკითხებიან. რაშია საქმე, რით ხსნით ყრილობაზე ქართული დელეგაციის პასიურობასო.

აი რით ვხსნი: ამ ოთხი დღის წინათ გორბაჩოვი და შევარდნაძე შეხვდნენ ქართველ დეპუტატებს. საუბრის შედეგი გასაიდუმლოებულია.

ჩემთვის გასაგებია: თავზე ხელი გადაუსვეს და ტყუილი დაპირებებით გააჩუმეს.

აკაკი ბაქრაძემ მაინც როგორ დაიჯერა, რომ რუსები საქართველოს სიკეთეს მოუტანენ? და თუ არ დაიჯერა, რატომ არაფერი თქვა?

4/VI 89

კვირაა, ვწერ ნოველას. მოქმედება კუნძულ ოლაჭვათირეზე ხდება (მთავლიტის თვალის ასახვევი ძველი მეთოდი).

გერმანიიდან მივიღე ჟურნალი, რომელშიც ჩემი ნოველაა დაბეჭდილი.

დამირეკა კოტე მახარაძემ და მაცნობა, რომ პრემიერა სექტემბრისთვის გადაიტანა.

ველოდი. ჩანს შეეშინდა, ან შეაშინეს.

მთელი საქართველო კარიაკინის და არძინბას გამოსვლაზე ლაპარაკობს.

კარიაკინი გამოვიდა ყრილობაზე ბრწყინვალედ.

მუზეუმიდან ლენინის გამოსვენება, 9 აპრილის ტრაგედიის დამნაშავეთა დასჯა, ავღანეთის ანექსიის პოლიტიკური შეფასება, სოლჟენიცინის სამოქალაქო უფლებებში აღდგენა მოითხოვა.

არძინბა („აფხაზეთის“ წარმომადგენელი) გამოვიდა, როგორც მოსალოდნელი იყო, პროვოკაციულად. ქართველების მიერ „აფხაზთა“ ჩაგვრაზე ილაპარაკა. ღმერთო! ნუთუ არავინ გაარკვევს სამართალს?

თავის ისტორიულ მინაზე აფხაზეთში მცხოვრებ 52% ქართველს კისერზე აზის (ყველა ხელმძღვანელი თანამდებობა უკავია) 15% ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოაბრაგებული „აფსნი“ (რომელიც თავის თავს ქურდულად აფხაზს ეძახის) და კიდევ აქეთ გვდებენ ბრალს?

5/VI 89

ორ იტალიელ მწერალს შევხვდი საღამოს „ივერიაში“.

„ახალი ამბების საააგენტოს“ კორესპონდენტმა მ. მამაცაშვილმა დამირეკა, სპეციალურად არიან ჩამოსული, ცხრა აპრილთან დაკავშირებით წიგნს წერენ და შენთან შეხვედრა უნდათო.

დიდხანს ვისაუბრეთ. შეკითხვები დამაყარეს. იწერდნენ მაგნიტოფონზეც და უბის წიგნაკებშიც.

როცა შეიტყვეს, რომ საქართველოს მღელვარების ერთ-ერთი მიზეზი გაქრობის საკითხი, დემოგრაფიული სინდრომი იყო, ორივემ ერთხმად მითხრა: თქვენ წარმოიდგინეთ, იტალიასაც იგივე ემუქრებაო.

იტალიაში შავ მუშებად და მომსახურების სფეროს თანამშრომლებად, ძირითადად არაბები ჩამოდიან აფრიკიდან. ისინი უსაშველოდ მრავლდებიან, ჩვენ კი თითქმის არ ვმრავლდებითო.

ასე რომ საქართველოს სატკივარი მთელი ცივილიზებული სამყაროს სატკივარია.

დამავიწყდა! დღეს გურამ შარაძის მიერ „მერანში“ მოწყობილი გამოფენა დავათვალიერე – „ქართველი უცხოელები“.

ღმერთო, რა დიდი საქართველო ყოფილა იქეთ.

აი, „სამშობლოს მოღალატენი“; ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, შალვა ამირეჯიბი, გიორგი გამყრელიძე, პაპავა, მიხაკო წერეთელი, ვიქტორ ნოზაძე...

6/VI 89

დილით ლევან სანიკიძე, თამაზ წივწივაძე, გივი ძნელაძე და მე დმანისს გავემგზავრეთ.

მოვიარეთ ლამის მთელი რაიონი. სამ სოფელში შევხვდით მოსახლეობას.

ამ ოთხი წლის წინათ დმანისში ქართველი მთელი რაიონის მოსახლეობის 12%-ს შეადგენდა. ახლა 36%-მდე ასულა.

ეს დიდი გამარჯვებაა.

დმანისში დასახლდნენ სვანები,ახლა მალე აჭარლები ჩამოვლენ, დაახლოებით ორი ათასამდე კაცი.

საქართველოსთვის ლამის დაკარგული კუთხე ისევ ქართულად მოექცა.

უძველეს დმანის-ქალაქში ქართული სიტყვა გაისმის.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ამ პატრიოტულ ლაშქრობაში ლომის წილი უდევს ყოფილ მდივანს – ბერიძეს და ახლანდელ რაიკომის მდივანს, ომარ ელოშვილს.

იმედიან განწყობილებაზე დავბრუნდით შინ.

„ღმერთო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი“ სხვა რაიონებშიც გამაგონე!

7/VI 89

ბულგარეთიდან მივიღე მშვენივრად გამოცემული ჩემი წიგნი. მასში 25 ნოველაა შეტანილი. „ვარნის გამომცემლობა“ „გეორგი ბაკალოვს“ გამოუცია. მთარგმნელები არიან ანტონი დიმიტროვი და კუზმან სავოვი.

მარნეულში ვართ გურამ ფანჯიკიძე, ლევან სანიკიძე, ტაგუ მებურიშვილი, გრიგოლ ჯულუხიძე და მე. მიწები დავურიგეთ ქართულ სოფელ წერეთელში მცხოვრებთ.

ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უბედნიერესი დღე.

უნდა გენახათ, ქართველთა გახარებული სახეები.

მათ ხომ ოცდაათი წელია არც ერთი გოჯი მიწა არ მიუღიათ თავიანთ საქართველოში.

ვერაფრით ვერ გამიგია,რით იყო გამოწვეული ქართველთა ეს ტოტალური დისკრიმინაცია თვით მათსავე სამშობლოში.

ქართველებს ერეკებოდნენ თავიანთი მიწებიდან და ამას ყოველთვის მშვიდად უცქეროდა საქართველოს მთავრობა.

8/VI 89

ლევან სანიკიძე და მე მცხეთაში ჩავედით.

პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებლებს და მოწაფეებს შევხვდით.

ყველგან პირველყოვლისა ერთსა და იმავეს გვეკითხებიან: რატომაა ასე პასიური საქართველოს დეპუტაცია მოსკოვში საბჭოების ყრილობაზეო.

რა უნდა ვუპასუხოთ? მაშინ როდესაც ბალტიისპირეთის ქვეყნების დეპუტატები ბრძოლის სასწაულებს ახდენენ, ჩვენები სდუმან ან უღიმღამო „განცხადებებით“ იქცევენ ყურადღებას.

9/VI 89

შეხვედრა მქონდა მუშთაიდის ბაღში.

შესასვლელში ცარიელ კვარცხლბეკს მოვკარი თვალი, ორჯონიკიძის ძეგლი აუღიათ, გამეხარდა.

რამდენი უკანონობა და საქართველოს ღალატია დაკავშირებული „რკინის სერგოს“ სახელთან.

მარტო 25 თებერვალს, XI არმიის შემოძღოლას ვინ აპატიებს.

შეხვედრაზე ორსაათიანი სიტყვა ვთქვი.

შეკითხვები სეტყვასავით დამაყარეს.

საბჭოების ყრილობა დამთავრდა.

ბოლოს სახაროვი გამოვიდა და განაცხადა, ეს ყრილობა კი არა მასხარაობა იყო, ვერაფერს ვერ მივაღწიეთო.

გორბაჩოვს ძალიან ეწყინა „ყრილობის“ გაბაიბურება.

10/VI 89

დიპლომების დაცვა გვქონდა.

უნიჭიერესი ახალგაზრდობა გვყავს.

დაცვა რომ დამთავრდა, სიტყვით მივმართე კურსდამთავრებულებს.

თქვენ ახალი საქართველოს, თავისუფალი საქართველოს მოქალაქენი უნდა აღზარდოთ-მეთქი.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელზე უფრო საპატიო პროფესია არ მეგულება-მეთქი.

აბა თქვენ იცით, არ შეარცხვინოთ სამშობლო-ქვეყანა, დედა-უნივერსიტეტი. იცოდეთ, ვისი გორისა ხართ-მეთქი.

მივულოცე ყველას უნივერსიტეტის დამთავრება და ხელი ჩამოვართვი.

11/VI 89

კვირაა.

ვწერ ნოველას იმაზე, თუ როგორ ჩატარდა საბჭოების ყრილობა.

რა ყალბი დემოკრატობანა გაითამაშეს.

ალეგორიული, სატირული ნოველა იქნება.

ტელევიზიამ გადმოსცა, რომ 500 აჭარელი ახალქალაქში ჩასახლდება, 2000 კი დმანისში.

მააშ!

ფეხს იდგამს ჩვენს მიერ დაწყებული მოძრაობა; პირველ რიგში საქართველოს გადარჩენის შესახებ.

12/VI 89

ბრუნდებიან ჩვენი დამორცხვებული დეპუტატები მოსკოვიდან.

ინტერვიუებს იძლევიან, ჩიხში მოგვამწყვდიეს, სიტყვა არ მოგვცეს, ტრიბუნაზე არ მიგვიშვეს რუსებმაო.

რა ვიცი, ყოველ შემთხვევაში მეტის გაკეთება შეეძლოთ.

დავწერე „ღია წერილი ვალენტინ რასპუტინს“.

მის მიერ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ნათქვამ სიტყვაში სამ ადგილას ვართ გალანძღული ქართველები.

ვპასუხობ თავშეკავებით; შე კაი კაცო, მშვენიერი ხელობა გაქვს, მწერალი ხარ, ქართველთა ლანძღვის პროფესია რაღაზე მიიმატე-მეთქი.

გიწერ ამ პასუხს, მაგრამ ენაზე როდი მადგას ის „ვალშებნოე რუსკოე სლოვო“ შენს თავხედ გენერალს რომ მოადგა-მეთქი.

„კომუნისტში“ მივიტან ხვალ, დაბეჭდავენ?

13/VI 89

„კრიტიკაში“ სამტრედიის სახალხო ფრონტის წარმომადგენელი მოვიდა.

ჩემს კაბინეტში გრიშა ჯულუხიძემ შემოიყვანა.

სამტრედიის სახალხო თეატრმა ამ დღეებში თქვენი პიესა „სპექტაკლი ფეხით მოსიარულეთათვის“ დადგაო.

რატომ არ შემატყობინეთ-მეთქი.

ნიკა ჩერქეზიშვილს მივუტანე „პასუხად რასპუტინს“.

ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ მე მგონი დაბეჭდავს.

14/VI 89

„სახალხო განათლებაში“ ნოდარ ნათაძის წერილია 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიაზე.

ერის მოღალატეთა შორის, სხვებთან ერთად დასახელებულია მაშინდელი ცკ-ს მდივანი დავით მჭედლიშვილი.

ნოდარ ნათაძე გულმხურვალე პატრიოტია, მაგრამ მე არა ვარ მომხრე ადამიანთა ასე განირვის.

კაცზე ლირიკით და ზეპირსიტყვიერებით როგორ შეიძლება ბრალდების შეთხზვა.

მოსკოვმა გადაწყვიტა დემონსტრაციის დახვრეტა, რა შუაშია დ. მჭედლიშვილი. რა შეეძლო ეღონა ცკ-ს მდივანს იდეოლოგიის დარგში?

ღმერთმა შეუნდოს ცოდვილთ, მაგრამ წარსულის ხელაღებითმა უარყოფამ საკუთარი მამების გმობამდე არ მიგვიყვანოს.

ყველა კაცი კონკრეტული ისტორიული ეპოქის შვილია და იმ ეპოქის დაღი აზის, მეტად ან ნაკლებად.

15/VI 89

დღეს დაიბეჭდა „კომუნისტში“ ჩემი „ფიქრები ყრილობის შემდეგ (ვალენტინ რასპუტინის გამოსვლის გამო)“.

ბევრმა დამირეკა და მომილოცა.

მწერალთა კავშირში სამ საათზე მიტინგი გავმართეთ.

გამოვედით გურამ ფანჯიკიძე, მე, ლევან სანიკიძე, კობა იმედაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, მიხეილ ქურდიანი, ჯუმბერ თითმერია, ოთარ ჭელიძე და სხვები.

დავადგინეთ: ეთხოვოს ხელისუფლებას მოწვეულ იქნას რიგგარეშე სესია საქართველოს უმაღლესი საბჭოსი. განხილულ იქნას საქართველოს ანექსსიის, მოქალაქეობრივი სტატუსის, სამხედრო სამსახურის საქართველოში გავლის და სხვა ეროვნული საკითხები.

საკმაოდ მწვავე რეზოლუცია მივიღეთ. ვნახოთ რა მოჰყვება. სწორად აქტიურობს ფანჯიკიძე.

ახლა მოქმედების დროა და არა კლასიკოსური განზე დგომის.

16/VI 89

დღეს მწერალთა კავშირში სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობა გვქონდა.

ავირჩიეთ საქართველოს სახალხო ფრონტის ყრილობის დელეგატები.

ძალიან ხომ არ დავქუცმაცდით? მთავარია საქმე ვაკეთოთ. ამდენი ფრონტი და ამდენი პარტია რა საჭიროა.

გუშინ მიტინგი შუაზე გახლიჩა წერეთლისა და გამსახურდია-კოსტავას პარტიების უთანხმოებამ.

არ შეიძლება ასე. ყველა კრებაზე ვამბობ და დღესაც გავიმეორებ: საქართველოს ახლა ორი საქმე აქვს: დამოუკიდებლობის მოპოვება და დემოგრაფიული მოწესრიგება. ამ მიზნის განხორციელებისთვის ყველა პარტია უნდა გაერთიანდეს.

დღეს „კომუნისტში“ გ. ფანჯიკიძის ინტერვიუა – აცხადებს, დაღესტანში უნდა გავფრინდეთ იქაურ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, რათა ლეკები თავის ქვეყანაში გავასახლოთო.

რაც მთავარია! დღეს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ჩვენი კრების რეზოლუცია. მოთხოვნა საქართველოს მთავრობის მიმართ.

უბრწყინვალესი დოკუმენტია.

მთელი დღე მიხაროდა, რომ ქართველი მწერალი ვარ.

დღეს ჟიურიმ მომანიჭა მწერალთა კავშირის პრემია 1988 წელს „მნათობში“, „ცისკარსა“ და „განთიადში“ გამოქვეყნებული ნოველებისათვის.

11 წევრიდან 11-ივემ ხმა მომცა.

ჟიურის წევრები იყვნენ (გ. ფანჯიკიძე, თ. ბუაჩიძე, რ. ჯაფარიძე, გ. ალხაზიშვილი, რ. მიმინოშვილი, გ. გაჩეჩილაძე, თ. დოიაშვილი, კ. იმედაშვილი, ი. ქემერტელიძე და სხვ.).

17/VI 89

შაბათია.

დავამთავრე ნოველა „მესაყვირე“.

ვცადე დამეხატა დელეგატთა ყრილობაზე გათამაშებული გორბაჩოვის დემოკრატია.

მე მგონი არა უშავს.

ახლა მთავარია, დავბეჭდო, გავაპარო სადმე.

ბეჭდვის პრობლემა ისევ ისე დგას ჩემთვის.

რა ბედნიერი ვიქნებოდი ჩეხოვის და ილია ჭავჭავაძის დროინდელ ცენზურასთან რომ მქონდეს საქმე.

ისინი ხომ რასაც წერდნენ, თითქმის ყველაფრის დაბეჭდვას ახერხებდნენ.

18/VI 89

მარჯანიშვილის თეატრში პრემიერას დავესწარი.

გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველნი“ წარმოადგინეს.

ოთარ მეღვინეთუხუცესი და გია ბურჯანაძე მთავარ როლებში. ორივენი მაღალი კლასის მსახიობები არიან, მაგრამ მაინც ვერაფერს უხერხებენ რობაქიძის დაღვარჭნილ ქართულს.

პირველმა მოქმედებამ აღმაშფოთა, თითქმის ვერაფერი გავიგე. მაღალფარდოვანი, ყალბრომანტიკული, პათეტიკური ლაპარაკი.

მეორე მოქმედება მომეწონა. რეჟისორს ცხრა აპრილისთვის დაუკავშირებია. ფინალში შემოდის სერგო ორჯონიკიძე და ტყავის პალტოზე მოცხებულ სისხლს გულმოდგინედ იწმენდს.

ესადაგება იმას, რაც ახლა სჭირს ორჯონიკიძის ძეგლს.

საერთოდ, არც თუ ურიგო, გულის მომფხანი სპექტაკლია.

თემურ ჩხეიძემ მითხრა, შენს პიესას („ნაპრალი“) სექტემბრის ბოლოს წარმოვადგენთო.

ვნახოთ, კ. მახარაძესავით თუ არ დაფრთხა და პირი არ მიშალა.

19/VI 89

დღეს ჩემთან მოვიდა სამი ახალგაზრდა ახალდაქორწინებული – დათო გავაშელი, კობა კობაური და დიმიტრი არეშიძე.

ახალქალაქის რაიონში გვინდა საცხოვრებლად წასვლა და ვერ აღმოვაჩინეთ ინსტანცია, რომელიც ჩვენს საკითხს გადაწყვეტსო.

სადაც კი მივედით „მე არ მეხებას“ კედელი გვხვდებაო.

დავიწყე რეკვა მთავრობის ტელეფონით. მეც ასევე მპასუხობენ მინისტრების და მათი მოადგილეების დონეზე.

ავდექი და დავურეკე გივი გუმბარიძეს.

ასე და ასეა საქმე, ახალგაზრდებს ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური აპარატი ვერ გადაულახავთ-მეთქი.

ხვალვე მოვიდნენ ჩემთან და ყველაფერს გავაკეთებო.

წარმოგიდგენიათ? პირველ მდივნამდე უნდა მიხვიდე კაცი, რომ ახალგაზრდებს ამ უაღრესად ეროვნულ საქმეში ხელი გაუმართო?

ასეთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ.

სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობის დეპუტატად ავურჩევივართ.

დღეს დეპუტაციის სხდომა გვქონდა.

ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს სახალხო ფრონტმა.

ჩემი და ნოდარ წულეისკირის აზრი ერთმანეთს ძალიან დაემთხვა.

20/VI 89

დილით სამსახურში დამხვდნენ ჩემი ახალგაზრდა პატრიოტები.

სამივე მოქუფრული.

გუმბარიძემ ჩვენთვის „ვერ მოიცალა“ და მისმა თანაშემწემ გურგენიძემ მიგვიღოო.

ახლა იქედან მოვდივართ. კვლავ გაურკვეველი პასუხი მივიღეთო.

ხვალ სახალხო ფრონტის ყრილობაა.

თუ „დავიჭირე“ გუმბარიძე, უნდა ვუსაყვედურო.

თანდათანობით განმიმტკიცა აზრი, რომ კომუნისტების ხელში ჩვენი საშველი არ იქნება.

21/VI 89

სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატი ვარ.

დიდი პატივია.

იმედით სავსე მივდივარ ყრილობაზე.

ფილარმონიის დიდ დარბაზში ყრილობა გახსნა ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილმა. დიდი ივანეს შვილმა.

პირველ სხდომას თავმჯდომარეობს ავთანდილ იმნაძე.

წესდების დამტკიცებაზე დიდი კამათი გაიმართა.

მგზნებარე სიტყვა თქვა ზვიად გამსახურდიამ.

სახალხო ფრონტმა კომუნისტურ პარტიას ნელ-ნელა უნდა ჩამოართვას ფუნქციებიო.

კომუნისტური პარტია უკვე კარგა ხანია სახელგატეხილი პარტიაა და ქვეყნის მართვის მორალური უფლება არა აქვსო.

სახალხო ფრონტი მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდესო.

საინტერესო სიტყვები თქვეს: ნოდარ ნათაძემ, ირაკლი შენგელაიამ, რეზო ჩხეიძემ და სხვებმა.

ძალიან კარგად, ვაჟკაცურად გამოვიდა ზვიად გამსახურდია.

დიდი, დემოკრატიული კამათი გაიმართა.

22/VI 89

დილით, 9.30-ზე ტელევიზიამ მთხოვა, როგორც დელეგატს აზრი

გამომეთქვა ყრილობის შესახებ.

ვილაპარაკე; ძალიან მომწონს ამ ყრილობის დემოკრატიული ხასიათი-მეთქი.

პირველ ყრილობას ვესწრები, რომელიც არ ვიცი, როგორ დამთარვდება-მეთქი.

ამ ყრილობამ სწორედ რომ ერთიანი ფრონტი უნდა შექმნას-მეთქი.

ვეთანხმები ზვიად გამსახურდიას გუშინდელ გამოსვლას-მეთქი.

დღეს უფრო საინტერესო იყო ყრილობა.

კვლავ გამოვიდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

გამოვიდნენ ქართველები ოსეთიდან(?) და აფხაზეთიდან(?).

ილაპარაკეს იმ უკანონობაზე, რაც ამ თავსმოხვეულ ავტონომიურ ერთეულებში ხდება.

ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ ჩაგრავენ სტუმრები – ოსები და აფსუები ადგილობრივ, მკვიდრ, მიწის კანონიერ პატრონს – ქართველ მოსახლეობას.

რა სამართალი დაგვიმკვიდრა საბჭოთა წყობილებამ?

ყველა წამოგვასვა კისერზე, ყველა ჩვენზე გააბატონა.

ჩვენ გაგვაჩუმა და გადამთიელი უფლებებით აღჭურვა.

ცხინვალელმა ქართველმა წინადადება შემოიტანა გაუქმდეს „ოსეთის ავტონომიური ოლქი“ და ეწოდოს „ცხინვალის ოლქი“.

დარბაზი ამ წინადადებას ტაშით შეეგება.

დევური ნაბიჯით მიიწევს წინ საქართველო დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის გზაზე.

23/VI 89

თამარისში სოფლის ყრილობაზე მიგვიწვიეს გურამ ფანჯიკიძე, ლევან სანიკიძე და მე.

გ. ფანჯიკიძე ვერ წამოვიდა.

ყრილობა საკმაოდ მღელვარედ ჩატარდა.

„მოტყუებული“ სვანები აქტიურობდნენ.

ისე, კაცმა რომ თქვას, მართალია ეს ხალხი. აყარეს სვანეთიდან, ჩამოასახლეს მარნეულში. სახლებს აგიშენებთო დაპირდნენ. აგერ, მესამე წელი მთავრდება, ფუნდამენტი ჩაყარეს და მიატოვეს ხალხი ცის ანაბარა.

ჩვენაო, სვანებმა, თუ ასე გაგრძელდა, ისევ სვანეთში დავბრუნდებითო.

კვლავ განუკითხაობა, კვლავ მოტყუება...

არავინ არავის წინაშე პასუხს არ აგებს.

ყველა ცდილობს მოჩვენებითი ფაციფუცით საქმიანი კაცის ილუზია შექმნას და ხალხს თვალში ნაცარი შეაყაროს.

რა ეშველება ქვეყანას?

სანამ მარნეულში წავიდოდით, გ. ფანჯიკიძის კაბინეტში ვისხედით, მოხუცი, შაოსანი ქალი შემოვიდა; ათი შვილის დედა ვარო, ხუთი ვაჟი დავაქორწინე და წყალტუბოს რაიკომის მდივანი სამოსახლოს არ მაძლევს, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდეო.

ესეც შენი „გარდაქმნა“. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველო დაკეტილია ქართველებისთვის.

ღამით უკან რომ ვბრუნდებოდით, ავტოინსპექციამ გაგვაჩერა, მარნეულში ვერ გაივლით, შემოუარეთ, გზის შეკეთება მიდისო.

დავბრუნდით და მარნეულს გვერდი ავუქციეთ.

თურმე მოგვატყუეს.

თურმე მარნეულში იმ დროს ხელჩართული ბრძოლა მიდიოდა სვანებსა და თათრებს შორის.

რომ ჩამოვედი, ღამის პირველ საათზე დამირეკა წერეთლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ, ასეთი რამ მოხდაო.

ახლავე წამოვალ-მეთქი.

აღარ არის საჭირო. ახლა მოედანი „გაწმენდილია“.

რამდენიმე მძიმედ ნაცემი საავადმყოფოში წაიყვანეს. მილიციის ჯარებმა ხალხი, როგორც იქნა დააშოშმინესო.

მთელი ღამე არ მიძინია.

24/VI 89

დილით, ალიონზე, დავრეკე შინაგან საქმეთა სამინისტროში, მორიგემ დამამშვიდა: ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდაო.

თათრები ახლაც იკრიბებიან, მიტინგს აპირებენო.

რა „პრობლემაზე“ მიტინგობენ მოძმე აზერბაიჯანელები?

რას მემართლები, შე კაი კაცო. რა დაგიშავე?

დღეს უსისხლოდ დამთავრდა, მადლობა ღმერთს, შეტაკება. ხვალ? ხვალაც უსისხლოდ დამთავრდება?

რატომ ცდი ასე ბეჯითად ჩემს მოთმინებას?

დავიწყე მიშა ქვლივიძისადმი მიძღვნილი ნოველა:

კინოოპერატორი საბა სუთიძე რუსეთის მივარდნილ რაიონებში 9 აპრილზე გადაღებულ ფილმს აჩვენებს, მაგრამ ვერავინ ააღელვა. სასტუმროდანაც დაითხოვეს, როცა გაუგეს, რომ ამგვარი „ვერაგი“ მისიითაა ჩამოსული.

ეჩვენება, რომ სიამოვნებით გამოხდიდნენ მისგან და მის მიერ ჩამოტანილი ფილმისგან არაყს.

25/VI 89

კვირაა.

ვწერ.

მნიშვნელოვანი თითქმის არაფერი მომხდარა, გარდა იმისა რომ სახალხო ფრონტის ყრილობა დამთავრდა.

ბოლო სხდომაზე ყრილობას აცნობეს მარნეულის ამბები.

აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა.

გამოვიდა ცკ-ს ორგანიზაციული განყოფილების გამგე პეტრე ჩხეიძე და დაგვამშვიდა, ახლა ყველაფერი წყნარადაა, თქვენი ჩასვლა უფრო გაზრდის დაძაბულობას, ორივე მხარეს გააღიზიანებს და ნუ წახვალთო.

26/VI 89

მთელი თბილისი მდუღარე ქვაბს წააგავს.

ყოველ კუთხეში მიტინგები და კრებებია.

ამ დილით ექვს საათზე მარნეულში კვლავ გამართულა ოციათასკა-

ციანი მიტინგი.

რას აკეთებს საქართველოს მთავრობა?

ნუთუ, მართლა არა გვყავს პატრონი?

სიტყვით მივმართე კინოს სახლის წინ შეკრებილთ.

მოვუწოდე კეთილგონიერებისკენ, მაგრამ იმასაც გავუსვი ხაზი, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა ერი საქართველოს ინტერესებს უნდა იცავდეს.

27/VI 89

მარნეულსა და ბოლნისში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა.

ჩემი მძღოლის, თამაზ ციმაკურიძის ძმა ბოლნისში, მკერდში ხანჯლით დაუჭრიათ.

უამრავი დაჭრილ-დასახიჩრებულიაო.

მარნეულისკენ გზები შეკრულია.

ჩვენი ინფორმაციის საშუალებანი კვლავ ძველებურად სტყუიან.

რა ხდება, თბილისიდან სულ რაღაც ოცდაათ კილომეტრზე საიდუმლოდ რჩება ჩვენთვის.

„მოამბემ“ მკვდრების გვარები დაასახელა და იმასაც გაუსვა ხაზი, თუ როგორ აუტეხა სროლა საბარგო მანქანიდან ქართველებს ვიღაცამ, როგორ დააკავეს ის მანქანა და როგორ უპოვეს ასაფეთქებელი ნივთიერებანი და ბენზინით სავსე ბოთლები.

ვურეკავ მწერლებს, ხვალ დილით ცეკაში გუმბარიძეს შევხვდეთ და გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ-მეთქი.

უმეტესობა თანახმაა მოვიდეს.

მუხრან მაჭავარიანმა, არ მცალია, სხვა კომისიის სხდომა მაქვსო.

28/VI 89

თერთმეტ საათზე შევგროვდით ცკ-ში.

ორი „კლასიკოსი“ დაიღმიჭა; ვინ დაგვიბარა, ვინ დაარღვია ჩვენი ბიბლიურ-კლასიკური მყუდროებაო.

ავუხსენი ორივეს, ჩვენი დუმილი ახლა დანაშაულია, საქმე რომ გაფუჭდება, თავში ცემა მერე ვერ გვიშველის-მეთქი.

გუმბარიძე, ალბათ, დაგვემალა.

ეს იმაზე შევატყვე, რომ ჯერ თანაშემწემ გამოგვკითხა, რა უნდა უთხრათო. როცა დაუფარავად მივახალე, ქართველი მწერლების აზრია მარნეულში მცხოვრებ ერთი მუჭა ქართველების გვერდით დავდგეთ-მეთქი, „ზომები მიიღო“, რათა გუმბარიძე არ შეგვხვედროდა.

29/VI 89

მარნეულსა და ბოლნისში მდგომარეობა დღითი-დღე მწვავდება.

საქართველოს მთავრობა კვლავ უმოქმედობის პოზიციას ადგას.

ქართული გაზეთები მოკლე და ყალბ ინფორმაციებს ავრცელებენ.

რუსული პრესა საერთოდ სდუმს.

გზები გადაკეტილია. ჩვენ, რედაქტორებსაც კი არ გვიშვებენ. არა და ყოველდღე ჩამოაქვთ ცნობები დაღუპულთა და დასახიჩრებულთა შესახებ.

სანამ გაგრძელდება ასე?

უნივერსიტეტში სტუდენტები აღარ არიან, რომ დავრაზმო და მიტინგი გავმართო, ან მანიფესტაცია მოვაწყო მარნეულში ქართველთა რბევის წინააღმდეგ.

30/VI 89

ავად ვარ. ჩემმა „აქილევსის ქუსლმა“ გამიხსენა (ქუსლი მაქვს ვარჯიშის დროს დაბეჟილი და დროდადრო გამიხსენებს ხოლმე).

შინ ვწევარ.

ჩვეულებრივი, მოწყენილი დღეა.

1/VII 89

ხელჯოხით, ძლივს მივაღწიე უნივერსიტეტამდე.

ფეხი კვლავ მტკივა.

ბოლო საბჭოა და უსათუოდ უნდა დავესწრო.

საბჭოს მთელი შემადგენლობა პროტესტს და გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ იჩენს სათანადო აქტიურობას მარნეულის ამბებთან დაკავშირებით.

ჩვენს მარიონეტულ მთავრობას კი არც ძალა ჰყოფნის და არც გამბედაობა, რომ საქართველო სამუდამოდ გადაარჩინოს.

გვიან საღამოს გორბაჩოვი გამოვიდა ტელევიზიით.

ნაციონალური ურთიერთობები ისე გამწვავდა, რომ ქვეყანას კატასტროფას უქადისო, იმპერატორმა.

არავითარი გადასახლ-გადმოსახლება. ვინ სადაც ცხოვრობს, იმ მინაზე ბატონ-პატროონად უნდა იგრძნოს თავიო.

მაშ ასე, ჩვენმა აუხსნელმა ყოყმანმა ხელმწიფე გამოაღვიძა და გამოგვიცხადა: პატარა ერები შეეგუეთ ავანტურისტი „დიდი ერებისაგან“ ჩაყლაპვასო.

ამჯერადაც დავაგვიანეთ.

სად არიან ახლა ჩვენი „არაფორმალები“?

მათი იმედი მქონდა, ისინიც საეჭვოდ სდუმან.

2/VII 89

კვირაა.

ვწევარ.

მარტო ვარ.

ქუსლი მტკივა, სიარული არ შემიძლია.

ერთადერთი იმედი ტელეფონია.

თუ ასე გაგრძელდა, ხვალ საავადმყოფოში უნდა დავწვე.

3/VII 89

აფხაზეთიდან მეწვია პოეტი გული ზუხბა.

საბავშვო პოეტია.

მელაპარაკე, ცოტა ხანს, თუ ქალი ხარ, რა ხდება თქვენსკენ, როგორ, რანაირად გვმართევთ აფხაზეთს-მეთქი. არ შეიძლება, თქვენ არ იცოდეთ, რომ თქვენ ხართ აფსუა, ვინ გასწავლათ ამგვარი ისტორიული ავანტიურა-მეთქი.

მეო, ბატონო, ქართულად რომ ვწერ ლექსებს, მე მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამიო.

თუ ზუხბა ხარ (ე.ი. აფსუა), რამ გაიძულა, რომ ქართულად წერ-მეთქი.

მეო, დედა ქართველი მყავს, ქართული სკოლა დავამთავრე და სხვანაირად ვერ წარმომიდგენიაო. მამა აბაზგი მყავს. თვითონ კარგად იცის, რომ ჩვენი წინაპრები ჩრდილოკავკასიიდან ჩამოსული ტომებია, მაგრამ ხმამაღლა ამას ვერ ამბობს, რაკიღა სხვები გულმოდგინედ მალავენო.

ასახელებს იმ აულსაც, საიდანაც ჩვენი პაპის პაპა ჩამოსახლებულაო.

რა ვქნათ ახლა ჩვენ? გული ზუხბა – კარგი პოეტი და ქართული ორიენტაციის აფხაზია, მაგრამ რამდენია სისხლმოწამლული, ჩვენი მიწის დაპატრონების მოსურნე აფსუა?

ხომ შეიძლება, ერთ დღეს აფსუამ თავისად დაიჩემოს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“?

4/VII 89

გივი გუმბარიძესთან ვიყავი.

დიდხანს ვისაუბრეთ.

მე მოვთხოვე, უფრო ქმედითად, უფრო აქტიურად იმოქმედე-მეთქი.

ახლაო, როცა როდიონოვი საქართველოზე გამწყრალია, ის ყოვლის ღონისძიებით ეცდება, ინციდენტი სისხლისღვრაში გადაზარდოსო.

თანაც ამ საქმის დამკვრელურად გაკეთება სწორად არ მიმაჩნიაო.

მე მაინც ჩემს აზრზე ვდგავარ, მაგრამ ვინ იცის, იქნებ გუმბარიძე მართალია.

იქნებ მეთოდური, მშვიდობიანი პოლიტიკა სჯობდეს?

მოქმედება კი აუცილებელია.

სხვა შემთხვევაში საქართველო დაიღუპება.

5/VII 89

დღეს ვესაუბრე ნოდარ ჭითანავას, ბევრი საგულისხმო რამ მითხრა. სხვათა შორის, ვკითხე, რატომ ჭიანურდება-მეთქი ქართველი ერისთვის საძულველი სერგო ორჯონიკიძის ძეგლის აღება.

მიპასუხა, გუშინ ოპოზიციის მთელი დელეგაცია იყო ჩემთან. დღეს მოვაწერე ხელი, ხვალ დილით ძეგლი უკვე აღარ იქნებაო.

საერთოდ ჭითანავა ყოჩაღი, საქმიანი კაცია.

მთელი თბილისი ლაპარაკობს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ თამაზ წივწივაძის წერილზე. წარმოუდგენლად გამასხარავებული არიან მარქსი და ენგელსი.

ვერც კი წარმოვიდგენდი შარშან ასეთი წერილის გამოქვეყნებას.

ყოჩაღ, თამაზ!

დღეს, საღამოს „ცოდნის“ დარბაზში გაიმართა ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობის საღამო.

ლამის ერთადერთი ერთგული ერი შეგვრჩა დედამიწაზე – ებრაელობა.

დარბაზი გადაჭედილი იყო.

ბლომად იყვნენ უცხოეთიდან ჩამოსული ებრაელებიც.

ალალი, გულიდან ამოსული სიტყვებით მივმართეთ ერთმანეთს.

მე ვთქვი, უთქვენოდ ჩვენი ისტორია აღარც გვახსოვს-მეთქი, თქვენ

ყველაზე სანდო მოწმენი ხართ ქართველთა სიკეთის-მეთქი. ახლა, როცა ჩვენს მიწას მტკაველ-მტკაველ გვართმევენ, თუ გაგვაგდეს საქართველოდან ქართველები, თქვენი იმედი გვაქვს, უნდა გვასწავლოთ თქვენი ბიბლიური გაძლებით; როგორ გადავრჩეთ-მეთქი.

6/VII 89

საგარეჯოში დიდი შეხვედრა მქონდა.

მკითხეს მარნეულის მდგომარეობაზე, მკითხეს რესპუბლიკის ხელმძღვანელთან ჩემი შეხვედრის შესახებ.

მკითხეს, ეშველება თუ არა საქართველოს, მივაღწევთ თუ არა, რომ ჩვენმა შვილებმა სამხედრო სამსახური საქართველოში გაიარონ.

სამი საათი ვიდექი ფეხზე და ვპასუხობდი შეკითხვებს.

ოფლში გაღვარულმა ბოლოს მადლობის თქმა ძლივს მოვახერხე ასეთი თბილი მიღებისათვის.

ხალხი, მართლაც, რომ მოწყურებულია მართალ სიტყვას.

თბილისში გვიან ღამით დავბრუნდით.

„თ“-ს იმ იტომ ვამბობ, რომ შეხვედრა დაამშვენა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, ბ-ნმა შოთა ხაჟალიამ, რომელმაც დიდი შთაგონებით წაიკითხა ჩემი ნოველა „ტელეხიდი“.

საოცარია, როცა მსახიობი ხმამაღლა კითხულობს ჩემს ნაწერს, სირცხვილის გრძნობა მიპყრობს. არ მომწონს, რაც დამიწერია.

ინტონაციების, აქცენტების სწორად დასმას დიდი მნიშვნელობა აქვს.

7/VII 89

შიშგარეულად გავიღვიძე.

ცუდად, უამურად მეძინა.

ნიადაგ ხვალინდელ დღეზე ვფიქრობ. რა მოხდება ხვალ?

საღამოთი გურჯაანს ვესტუმრე.

კულტურის სასახლეში დიდი შეხვედრა მქონდა.

ვისაუბრე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მიზნებსა და მიმართულებებზე.

ვუპასუხე შეკითხვებს.

8/VII 89

შაბათია.

კინოს სახლთან, სადაც სახალხო ფრონტის შტაბ-ბინაა, დილამდე გაგრძელდა მიტინგი.

ძირითადად ანარქიული ხასიათის მიტინგებია: ერთნი მოუწოდებენ მშვიდობიანობისა და გონივრული მოქმედებისაკენ, მეორენი – შეიარაღებულნი ბრძოლით საქართველოს განთავისუფლებისკენ.

შეიარაღებით და ძალით რუსეთთან ეროვნული საკითხის მოგვარება შეუძლებელია.

სისხლი არ უნდა დაიღვაროს.

მშვიდობიანი გზით უნდა გავიდეთ სსრკ-დან.

9/VII 89

გუშინ, 8 ივლისს, საქართველოში სისხლი არ დაღვრილა.

მილიციამ იყოჩაღა.

დაკეტილია მარნეულის ყოველი სოფლიდან გამოსასვლელი გზა.

მოწმდებოდა მარნეულისკენ მიმავალი ყოველი მანქანა.

სპეციალური საშვის გარეშე მარნეულ-ბოლნისი-დმანისში მიმოსვლა არ არის.

რუსთაველზე შემხვდა მარჯანიშვილის თეატრის მთავარი რეჟისორი თემურ ჩხეიძე.

გეძებდიო. კოტე მახარაძის თეატრი დარეჯანის სასახლიდან გამოაგდეს (იქ სასტუმროს მსგავსი იხსნება), ჩვენ შევიფარეთ, კვირაში ორი დღე დავუთმეთო.

მივხვდი, საითაც უკაკუნებდა.

შენთან უმორჩილესი თხოვნა გვაქვსო; უნდა გადაწყვიტო; კოტემ დადგას „აპრილი“ თუ მე - „ნაპრალიო“.

ორივე ერთ თემაზეა და ერთ თეატრში ორი მსგავსი სპექტაკლი არ შეიძლებაო.

შენ როგორ ფიქრობ-მეთქი. მეო, გამოსავალს იმაში ვხედავ, რომ რაკი კოტეს დაწყებული აქვს, მე თვითონ დავდგამ „აპრილს“ (კოტეს თეატრის სახელით), ხოლო „ნაპრალი“ სხვაგან წაიღეო.

უკვე გადაგიწყვეტია-მეთქი, გამეცინა.

ასე გამოკრეს კვანტი ჩემს „ნაპრალს“.

ფიასკო, მარჯანიშვილის თეატრშიც!

თემურ ჩხეიძე უფრო პატიოსანი კაცი მგონია, ვიდრე ამ ეპიზოდიდან გამოიყურება.

უნივერსიტეტში ვახტანგ ქარუმიძეს შევხვდი. იშვიათად მინახავს ასეთი თავაზიანი, დახვეწილი და გულითადი კაცი. ყველაფერი წაკითხული აქვს, ყველაფერი იცის. თვითონ არ უთქვამს, მაგრამ სხვებმა მიამბეს, როგორ დამიცვა თურმე ერთხელ ცეკაში „კომუნისტში“ დაბეჭდილი ნოველის გამო („თვითმკვლელობა“), მორიგ „ჭკუის სწავლებას“ რომ მიპირებდნენ.

გვიან ღამით გურამ მგელაძემ (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) დამირეკა და შემახსენა, არ დაგავიწყდეს, ხვალ დაღესტანში მივფრინავთო.

ცხრა საათზე გამომივლის.

10/VII 89

დილის ათ საათზე მახაჩყალაში გავფრინდით გურამ მგელაძე, მუხრან მაჭავარიანი, გურამ ფანჯიკიძე, მე, ვახტანგ გოგუაძე და თეიმურაზ ოსეფაიშვილი (ყვარლის რაიკომის მდივანი).

თან მიგვქონდა სამასი ლეკის ხელმოწერილი სია, რომლის ძალითაც ლეკები მოითხოვდნენ თავიანთ სამშობლოში, დაღესტანში დაბრუნებას.

დილით მიგვიღო დაღესტნის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აბდურაზაკ მარდანოვიჩ მირზაბეკოვმა და მოადგილემ მაგომედ რაჯიდოვიჩ აბდულბასიროვმა.

პოლიტიკის და დიპლომატიის რა მეთოდები არ ვიხმარეთ, მაგრამ ლეკებმა თავიანთი ხალხის უკან დაბრუნებაზე უარი განაცხადეს.

მოსალოდნელ საშიშროებაზეც ვესაუბრეთ, ისიც შევთავაზეთ, რომ დაღესტანში მცხოვრებ (150 ოჯახი ცხოვრობს თურმე ქართველები) ქართველებზე გაგვეცვალა, არა და არა.

დაუსაბუთებელმა, აუხსნელმა უარმა ნერვები მომიშალა. განსაკუთრებით ვაქტიურობდით მე, გურამ მგელაძე და გურამ ფანჯიკიძე.

ოთხ საათზე მიგვიღეს საოლქო კომიტეტში.

პირველი მდივანი მოგამედ იუსუპოვიჩ იუსუპოვი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე – მუგამედ ალი მუგამედოვიჩ და იგივენი ვუსხედვართ სათათბირო მაგიდას (ჩვენს გარდა დაღესტნის შინაგან საქმეთა მინისტრი და უნივერსიტეტის რექტორი).

კვლავ მტანჯველი სამსაათიანი მოლაპარაკება.

ლეკის მიზანი აშკარა გახდა. არ გვსურს ლეკების დაბრუნებაო. პირიქით, ისინი მანდ უნდა გამრავლდნენ, საქართველოში კარგი მიწებიაო. გურამ მგელაძემ ყიზლარის საძოვრებზე დასახლება შესთავაზა. უარი გვითხრეს, იქ ცუდი პირობებია და ჩვენს მოძმეებს ხომ ვერ მოვატყუებთო.

ისე ჯიუტობთ, თითქოს ქართველებს გიგზავნიდეთ, ეს ხომ თქვენი ხალხია-მეთქი, რომლებსაც დახოცვის საშიშროება ემუქრებათ თავიანთი ცუდი საქციელის გამო-მეთქი.

გურამ მგელაძემ, 300 მოსახლე სოფელ სარუსოს და თხილისწყაროს ყველა მცხოვრები მოითხოვს სამშობლოში დაბრუნებას, ნუთუ თქვენ მორალური უფლება გაქვთ, მათ უარი უთხრათო.

უცერემონიო, უშეღავათო უარი გვითხრეს.

რაიკომის მდივანმა განმარტა, ჩვენი ლეკები უპრეტენზიო ხალხია, წუნთის და კიზილუტოვსკის მთიან რაიონებში დასახლებაზე თანახმა არიანო.

საქართველოში სულ 811 ლეკის ოჯახი ცხოვრობს (3500 კაცი).

ჩვენ ამჯერად 300-ის გაცვლა გვსურდა. 500 ლეკის ოჯახი საქართველოში რჩებოდა.

არც 300-ს იბრუნებენ.

გურამი 50-ზე ჩამოვიდა. თავდაპირველად 50-ზეც უარი თქვეს. მერე, როგორც იქნა, დათანხმდნენ განაპირა მთიან სოფლებში მათ ჩასახლებაზე. ოღონდ ნაწილ-ნაწილ, დროთა განმავლობაში.

მუხრანი, როგორც ყოველთვის, ჩუმად იჯდა.

შენ წაუშალე საფლავი, ღმერთო, ვინც ჩვენ ამ დღეში ჩაგვაგდო.

ვინც საქართველოს ყველა ჭიშკარი გააღო და გადამთიელი შემოუშვა.

11/VII 89

მთელი დღეა მირეკავენ და დაღესტნის ვიზიტზე მეკითხებიან.

ჩვენი ხალხის მოთმინების ფიალას რამდენიმე წვეთი აკლია, ეტყობა, მის ავსებას ელოდებიან.

რა გაეწყობა, ვიღებთ ამ ორთაბრძოლას (ხუთთან ბრძოლას, ასთან ბრძოლას).

რადიოში მედეა გეგეშიძემ ერთსაათიანი ინტერვიუ ჩაწერა ჩემთან. ჭკვიანი, ლამაზი ქალია.

შევიარე ივლიტა მესხიშვილთან ტელევიზიაში.

„ხორავას სახლის დიალოგის“ გადაცემის ბედი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია.

ეშინია ქ-ნ ივლიტას. ახ, ეს ძველი სკოლა!

12/VII 89

ჩვენი „დაღესტნის დელეგაცია“ შვიდ საათზე გუმბარიძემ გვიხმო.

დაწვრილებით ვუამბეთ მოლაპარაკების შედეგებზე.

კმაყოფილი დარჩა. ეს უკვე კარგი დასაწყისია, მომავალში ვცადოთ, ეს კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთო.

ხუთ თვეში პირველი 50 ოჯახი თუ გავასახლეთ, მერე თანდათანობით ყველანი მიჰყვებიან. ასე რომ, სამ-ოთხ წელიწადში ლეკები აღარ უნდა დარჩნენ საქართველოში.

ერთი რამ არ მომეწონა: ჩვენს იქ ყოფნაში მოსკოვიდან დარეკა რიჟკოვმა, ერთი წუთითო, ბოდიში მოუხადა მოსკოვს გუმბარიძემ და ჩვენ გვანიშნა, გამოვსულიყავით კაბინეტიდან.

გამოვედით. ხუთი წუთის შემდეგ გვიხმო და ბოდიში მოგვიხადა, რიჟკოვი მელაპარაკებოდა და თან მკითხა, ხომ მარტო ხართო.

რა უთხრა რიჟკოვმა, ჩვენთვის არ გაუმხელია.

რას გაიგებ, იმპერიის მეორე კაცს ათასი საიდუმლო აქვს მეფისნაცვალთან.

ისევ გავაგრძელეთ საუბარი. აშკარაა, რომ გივი პატიოსანი ბიჭია და სასიკეთოდ მონდომებულიც, მაგრამ გაბედულება არ ჰყოფნის. გ. ფანჯიკიძემ უთხრა: გუდაუთის გაზეთის რედაქტორი წამდაუწუმ გვლანძღავს ქართველებს და ის მაინც მოხსენი დასაწყისისთვისო.

ესეც ვერ გაბედა. საწყალი კაცის თვალებით შემოგვხედა. მანდო, მე ვფიქრობ, რედაქტორის მოადგილე უფრო ამღვრევს წყალსო.

ჩემი მოადგილე უჩემოდ რას გაბედავს-მეთქი.

მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა.

13/VII 89

დიღომს ყელში წაუჭირა ბეტონის ხელის ქალაქმა და სოფელი სულს ძლივს ღაფავს.

დიღომი მალე გაქრება.

რა უბედურება ეგ არიო, იკითხავს მკითხველი. ურბანიზმს დიდი მუცელი აქვს და ინდუსტრია თუ ჭარბმოსახლეობა ყლაპავს ქალაქის ახლობელ პატარა სოფელსო. განა იგივე ბედი არ ეწია სოფელ ვერეს, სოფელ დელისს, სოფელ ვაკეს, გლდანს და სხვა სოფლებსო.

დიღომი კი არა, შე კაი კაცო, პომპეუსი გაქრა და ტროა გაქრა მიზეზთა გამო პირისაგან მიწისაო.

კი მაგრამ დიღომი – ეს თბილისის კარზე მომდგარი სუფთა ქართული სოფელი, რომ გაქრება და ქალაქი შეიწვოს, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ გაქრება დიღმური კიტრი და პამიდორი, მშვენიერი დიღმური ვაშლი და ატამი, დიღმური ყველი და მაწონი... ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ქალაქს გადაეჭრება ერთი სასიცოცხლო ქართული არტერია და კიდევ უფრო აღმოვჩნდებით თბილისის ირგვლივ შემოჯარულ გადამთიელთა კაბალაში-მეთქი, ვუპასუხებ ჩემს სკეპტიკოს ოპონენტს.

რა დაემართა დიღომს?

რაც სხვა სოფლებს სჭირს საქართველოში.

უკანასკნელად საკარმიდამო ნაკვეთი მკვიდრ ქართველ კაცზე დიღომში ამ ოცი წლის წინათ გაიცა. ამის შემდეგ განცხადება-თხოვნების ნიაღვარი მოდის გამრავლებული, კომლგაყოფილი დიღმელი გლეხისგან სათანადო ორგანოებში, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ყურსაც არავინ იბერტყავს დიღმელთა გასაჭირზე.

სამაგიეროდ, დაქიჩმაჩებული არიან სხვადასხვა უწყებები, როგორ შეავიწროვონ დიღმელები, დღითი-დღე, მტკაველ-მტკაველ როგორ წაართვან მარჩენალი მიწა.

ქალაქი თავკომბალასავით იზრდება, თბილისის უთავბოლო გაზრდის წინააღმდეგ ბოლო ათეულ წლებში მხოლოდ სიტყვით, გულზე პატრიოტული მჯიღისცემით ვიბრძვით. ადმინისტრაციულ-ჩინოვნიკურ მაფიას კი გულში ეცინება ჩვენს პატრიოტულ აღტკინებაზე. იგი თავის საქმეს აკეთებს.

კერძოდ, რა საქმეს?

ჯერ საუკეთესო სავარგულები წაართვეს დიღომს და იმ ადგილებზე, რომელიც მწვანილეულით კვებავდა ქალაქს, „დიდი დიღომი“ ააშენეს.

ამასაც არ დასჯერდნენ, ქალაქი იზრდებაო და ახლა დარჩენილ 250 ჰექტარსაც ართმევენ ლამის უმიწოდ დარჩენილ სოფელს.

გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს დიღმელებსა და საინჟინრო-ინდუსტრიულ ხელისუფალთ შორის.

სოფლელებმა ბარიკადები აღმართეს და უკვე მესამედ გააბრუნეს უკან ცემენტითა და სამშენებლო ტექნიკით დატვირთული მანქანები.

ეს „აქცია“ (ასე მოდაში რომ შემოვიდა ამ ბოლო დროს) დიღმელებს ინდუსტრიის წინააღმდეგ რეზერვაციაში შერეკვის შიშით შეპყრობილ ინდიელთა მსგავსად კი არ მოუგონიათ, ეს ურბანიზმთან მებრძოლი გაჭირვებული სოფლის ამბოხება კი არ არის, ისინი თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისთვის იბრძვიან,

თუ ეს 250 ჰექტარიც დათმეს, ეს იმას ნიშნავს, რომ დიღომი აღარ იარსებებს, უნდა აიყაროს ათასწლოვანი ქართული სოფელი და ქალაქს უნდა შეეხიზნოს. მებოსტნე-მწარმოებელი უნდა ჩაკლას თავის თავში და მომხმარებელთა მოსაწყენ რიგებს მიემატოს.

სხვა მხრიდანაც შემოუტია აგრესიულმა ინდუსტრიამ დიღომს. სოფლის ბოლოს მეცხოველეობის ფერმების გვერდით ცემენტის ქარხანას აშენებენ.

ჯერ ერთი, ცემენტის ქარხანას რა უნდა თბილისთან ასე ახლოს. ნუთუ თბილისის ისედაც მოწამლულ ჰაერს ცემენტის მტვრით დამშვენება აკლია. თბილისი ხომ თავისი ლანდშაფტით დიდი ქალაქისთვის სრულიად შეუფერებელ ტაფობშია მოქცეული. ტაფობი კი ბუნებრივი ვენტილაციის პირობებს ზღუდავს და ზემოდან რომ დავხედოთ თბილისს, წელიწადის ყველა დროს აღმოვაჩენთ ქალაქის თავზე დაკიდებულ მომწამვლელ ჯანღს. დაემატება „ამ სიკეთეს“ ცემენტის ქარხანა და თბილისში სუნთქვა საერთოდ შეუძლებელი გახდება.

თუ ცემენტის ქარხანა აშენდა, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ იმ დღესვე უნდა გაქრეს იმ შემოგარენიდან საძოვრების უქონლობის გამო ისედაც შეჭირვებული დიღმელთა პირუტყვი?

ვინ მოამარაგოს თბილი, ბუნებრივი რძით დედაქალაქი? ახლა რომ დიღმელები ნატურალური რძის ქალაქის ფონდის ნახევარს თბილისს აწვდიან. გადავიდეთ მთლიანად ფხვნილ-რძეზე და არაქართული სოფლების მერყევი ორიენტაციის იმედზე ვიყოთ?

ინდუსტრიის ალყა მესამე მხრიდანაც მოაწვა დიღომს.

გაუთავებელ საბოსტნე-სააგარაკე დოღში ეს უმიწო სოფელიც აღმოჩნდა ჩართული.

ჩვენ ხომ აგარაკიც ახლოს უნდა გვქონდეს, აქვე, ქუჩის ბოლოში, ერთი ხელის გაწვდენაზე.

ამიტომაც ჩნდება და ჩნდება გავლენიან პირთა ბოსტან-ვილები დიღმის ტერიტორიაზე.

ჩნდება ძლიერთა ამა ქვეყნისათა გაფორმებულ-გაუფორმებელი ნაკვეთები. აბა ერთი უბატონოდ ხმა გასცეს სასოფლო საბჭომ მოაგარაკე ყოვლისშემძლეს? იგი მინას კი არ იტაცებს, მას „ეკუთვნის“ მსოფლიო პროლეტარული მოძრაობის წინაშე თავისი განსაკუთრებული დამსახურების გამო.

კიდევ ერთ სადიღმე პრობლემას უნდა შევეხო.

სოფლის ბოლოს გაშლილია უზარმაზარი მინდორი, რომელსაც დიდგორის ველი ჰქვია. დიდგორის ველი მთავრდება მაღალი ულამაზესი მთით, რომელსაც ოდითგან დიდგორს ეძახიან, ხოლო დიდგორის ველს მარჯვენა მხარეს აკრავს ხევი, რომელსაც ჩახერგილას ხევს ეძახიან.

დიდგორის ბრძოლის ადგილის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში საბოლოო შეთანხმება არ არსებობს. მე ვფიქრობ, საკმაოზე მეტი არგუმენტები იმ მოკამათეთა მხარესაა, ვისაც მიაჩნია, რომ დიდგორის ბრძოლა სწორედ აქ უნდა მომხდარიყო. უკანასკნელ ათწლეულებში დიდგორის ბრძოლის ადგილად მიჩნეულია ტერიტორია, სადაც მემორიალი უნდა აღიმართოს, ეს ადგილი მთიანი რელიეფისა და ციცაბო ზედაპირის გამო ხუთასი ათასამდე ერთმანეთს შერკინებულ ლაშქარს ვერ დაიტევდა. ესეც არ იყოს, თბილსის დაცვა სწორედ აქ, ამ „დიღმის დიდგორში“ მოხდებოდა და არა თბილისიდან საკმაოზე მეტი მანძილით დაშორებულ ადგილას, ხოლო ხევი „ჩახერკილაც“ ჯიუტად მიგვანიშნებს ისტორიკოსთა ცნობებზე დავით აღმაშენებლის საოცარი სტრატეგიული ნაბიჯის გამო.

ეს საკითხი გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე ერთხელ უკვე დაისვა, მაგრამ ისტორიკოსთაგან არავინ გამოხმაურებია. დიდგორის ნამდვილ დიდგორობაში ისიც გვარწმუნებს, რომ ველზე არაერთი სალოცავ-ნიშია და ბულდოზერის ნიჩაბს მიწიდან ხშირად ამოჰყვება ხოლმე კაცის თავის ქალა.

ჩვენ, მსოფლიო პრობლემებს შეჭიდებულებს, არქეოლოგიურ ძიებათა ინტერესით დედაქალაქიდან გაწეულებს, ხანდახან ახლო ყური, უპირველესი ჭიშკარი გვავიწყდება ხოლმე.

დიღომი საქართველოს დემოგრაფიული მოვლის, ეროვნული სისუფთავისთვის ბრძოლის ჩვენი წარსულის ატრიბუტების შენარჩუნების ორგანული ნაწილია და დროულ ყურადღება-მკურნალობას მოითხოვს.

სახელდობრ: სოფელ დიღომს დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს უსამართლოდ ჩამორთმეული 250 ჰექტარი, უნდა გადაისინჯოს და გაუქმდეს

დიღმის სიახლოვეს ცემენტის ქარხნის აშენების პროექტი და ისტორიკოსებმა დროულად შეისწავლონ დიდგორის ველის პრობლემა საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი, ძლევამოსილი ომის ჭეშმარიტი ადგილის დასადგენად.

ეს ფიქრები აღძრა ჩემში დიღმელებთან შეხვედრამ.

14/VII 89

თიანეთს ვესტუმრე.

რაიკომის პირველი მდივანი მოკრძალებული, წესიერი ბიჭი ჩანს – ნოდარ მგელიაშვილი.

საქართველოს უნდა ვუშველოთ, საზღვრები უნდა გავამაგროთ, ერთმანეთს მხარი უნდა მივცეთ-მეთქი, ვუთხარი თიანელებს.

გამოცილებისას ნოდარმა მკითხა: ბატონო რევაზ, ჩვენთან გაქართველებული ოსები ცხოვრობენ, მოითხოვენ პასპორტში ეროვნებად – ქართველის ჩაწერას, როგორ მოვიქცეთო.

უსათუოდ უნდა ჩაუწეროთ-მეთქი.

15/VII 89

შაბათია.

ჩემს ღარიბულ აგარაკზე ვარ – მუხათწყაროში.

მაინც ვერ დავისვენე. დავწერე თორმეტგვერდიანი სტატია „რა გადაარჩენს საქართველოს“.

„ახალგაზრდა კომუნისტში“ უნდა ვცადო დაბეჭდვა.

ცოტა არ იყოს, მწვავე სტატიაა.

16/VII 89

დილიდან „კრიტიკის“ მეექვსე ნომრის მასალებს ვასწორებ.

მარნეულის სოფ. წერეთლის მეურნეობის დირექტორმა, ვალერი გაბელიამ, მომიტანა 27 ივნისის გაზეთი „ახალი მარნეული“.

ვინმე პ. მურსაგულოვას წერილში გაკრიტიკებული ვარ.

პასუხია 11 მაისის „სოციალისტურ რუსთავში“ დაბეჭდილ ჩემს სტატიაზე: „ყურს ნუ ვათხოვებთ დემაგოგს“.

ღმერთი, რჯული, მე არც ერთი ერი არ მძულს (სასაცილოა ამის მტკიცება), მაგრამ საქართველოს გადაშენების მომხრე რომ არ ვიყო, ხომ მაქვს ამის უფლება?

ტელევიზიამ ეს წუთია საშინელი ამბავი გადმოსცა.

„აფხაზი“ მკვლელები თავს დასხმიან თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალს.

მოკლულიაო 11, უგონო მდგომარეობაშია 12, დაჭრილ-დასახიჩრებულიაო 120 კაცი.

რა ვქნა?

ნუთუ ამ ქვეყნად საღი გონება არსად ჭაჭანებს?

„აფხაზები“ გათამამდნენ, აფხაზებს ყველაფერი ვაპატიეთ და თუ დროზე არ იქნა ზომები მიღებული, ისინი თავს დაგვესხმიან-მეთქი, სწორედ ოთხი დღის წინათ ვუთხარი გ. გუმბარიძეს.

ყურად არ იღო. მე ქართველების მეშინია, თორემ „აფხაზები“ ვერაფერს

გაბედავენო.

აი, თუ ვერ გაბედეს.

17/VII 89

თბილისში დიდი მიტინგებია.

დავაპირე წასვლა აფხაზეთში, მაგრამ ყოველ წუთს რადიო აცხადებს, რომ გზები შეკრულია.

გუშინდელ გაზეთში („კომუნისტი“) იოსებ გობეჩია გადმოგვცემს სიმართლეს – აფხაზეთის ამბებზე.

ქართველები უდანაშაულონი არიან.

უნივერსიტეტის ქართულ ფილიალს დაესხნენ თავს, მერე – რუსთაველის ქუჩაზე შეკრებილ შეუიარაღებელ ქართველებს.

აი, სანამდე მიგვიყვანა “აფხაზეთისთვის“ ყველაფრის დათმობამ.

18/VII 89

მთელი დღე „კრიტიკის“ რედაქციაში გავატარე.

აფხაზეთისკენ გზები კვლავ დაკეტილია.

ქართული საინფორმაციო ორგანოები გადმოსცემენ, რომ ზუგდიდში, აბაშასა და ამბროლაურში ქართველებმა მილიციიდან იარაღი გაიტაცეს.

საქართველო იარაღდება. სხვა გზა არ არის.

ჩვენსავე მიწაზე გადამთიელებმა სამოქალაქო ომი გაგვიმართეს.

სხვა არა იყოს, რა, თავი მაინც უნდა დავიცვათ.

კინოსახლთან მიტინგი გაიმართა 5 საათზე.

გამოვიდნენ აფხაზეთიდან ჩამოსული ქართველები და ილაპარაკეს, თუ რა ბარბაროსულად დახოცეს უიარაღო ქართველები, როგორ სცემეს გამომცდელებს და აბიტურიენტებს.

ძირს გულისამრევი, დამდედლებელი, ყველაფრის დამთმობი ინტელიგენტობა.

კბილი კბილის წილ!

19/VII 89

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა გავმართეთ აფხაზეთის საკითხზე.

ყველამ სათითაოდ გამოვთქვით ჩვენი აღშფოთება მომხდარი ფაქტის გამო.

აფხაზი ტერორისტები არ ცხრებიან, ქართველებს აპატიმრებენ და მძევლად იტოვებენ.

გზებზე ბარიკადებია აღმართული.

დაღუპულთა რიცხვმა 18-ს, დაჭრილთა რიცხვმა 300-ს მიაღწია.

ტრასაზე მიმავალ მანქანას ქართული ნომრებით განუკითხავად, პარტიზანულად ესვრიან ფანჯრებიდან.

მილიცია მკვლელთა „ვერაღმოჩენის“ პოლიტიკას ადგას.

ამ და სხვა საკითხებზე იყო ცხარე საუბარი პრეზიდიუმის სხდომაზე.

გადავწყვიტეთ, განცხადება გავაკეთოთ მთელი ქვეყნის გასაგონად.

ტექსტის შედგენა დაგვევალა რევაზ ჯაფარიძეს, ტარიელ ჭანტურიას, რომან მიმინოშვილს, გურამ გვერდწითელს, კობა იმედაშვილს და მე.

ტექსტი მე შევადგინე. გავაცანი ხუთეულს. მეთანხმებიან. ხვალ ეს ტექსტი პრეზიდუმზე უნდა განვიხილოთ.

20/VII 89

პრეზიდუმზე ოთხსაათიანი კამათი გვქონდა განცხადების ტექსტთან დაკავშირებით.

დაახლოებით ერთი, გაბედული, უკომპრომისო აზრისანი ვართ: მე, მორის ფოცხიშვილი, გურამ ფანჯიკიძე, მუხრანი (ნაწილობრივ), შოთა ნიშნიანიძე, მედეა კახიძე, რევაზ ჯაფარიძე, რომან მიმინოშვილი, ენვერ ნიჟარაძე...

შიშის, დათმობის, ქვეშგამოსვლის, აუხსნელი სიფრთხილის პოლიტიკას ადგანან სხვები.

ვინ იცის, იქნებ ეს უკანასკნელნი მართალნი არიან, მაგრამ დათმობამ ჩვენ 70 წლის განმალვობაში კარგი არაფერი მოგვიტანა.

რისი გვეშინია, რა გვემართება?

ნუთუ მამულისთვის თავდადების გრძნობა ასე ერთბაშად ამოვიღეთ გულიდან?

„მორჩილმა უმრავლესობამ“ თავისი გაიტანა.

კბილებით დავტოვეთ, რაც გაბედულია ჩვენს განცხადებაში.

ბევრი რამ, რასაკვირველია, არ მომწონს.

ხვალ დაიბეჭდება „ლიტერატურულში“.

21/VII 89

ჩვენი პრეზიდიუმის განცხადებამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

მუხრანმა მითხრა, მწერალთა კავშირში უამრავმა კაცმა დარეკა საქებარი სიტყვებით, ხოლო მთავრობა ჯერ დუმსო.

საღამოს ტელევიზიით სახალხო ფრონტის წარმომადგენლები გამოვიდნენ.

გამიკვირდა. ესენიც „კეთილგონიერებისკენ“, „დამორჩილებისკენ“, “პატიებისკენ“ მოგვიწოდებენ.

გასკდი გულო! რა დაგვემართა ასეთი?

ველური ბრბო გვხოცავს და ჩვენ მოთმინებისკენ მოგვიწოდებენ.

ვინ ლაპარაკობს ქართველი ერის სახელით?

ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ რა უფლება აქვთ, ერის სახელით ილაპარაკონ და ქვეყანას მორჩილი, ნელ-ნელი სიკვდილისკენ მოუწოდონ?

როგორ მოიქცეოდა ამ შემთხვევაში დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი სააკაძე, ერეკლე...

ნუთუ ჩვენი პატრიოტული ისტორია არაფერში აღარ უნდა გამოგვადგეს?

მტერს მტრულად უნდა დახვდე.

„ახკომის“ რედაქტორმა მითხრა: თქვენს სტატიას – „რა გადაარჩენს საქართველოს“ – ამ ვითარებაში ვერ დავბეჭდავო.

გიგა ლორთქიფანიძე დაბრუნდა აფხაზეთიდან. იმათთან ლაპარაკი არ შეიძლებაო, „ტუზემცებივით“ ჩხავიანო.

22/VII 89

შაბათია.

რადიომ გადმოსცა, რომ ოჩამჩირეში ორი რუსი ოფიცერი და ჯარის-

კაცი მოუკლავთ.

ცუდი ფაქტია.

ნეტა ვინ მოჰკლა, რა ვითარებაში –ჩვენი ინფორმაციის საშუალებებიდან ხომ სიმართლეს ვერ გაიგებ.

მეშინია, ესეც ჩვენ, ქართველებს არ დაგვბრალდეს.

საღამოს ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ საქ. კომპარტიის აფხაზეთის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა რამდენიმე ბიუროს წევრი ტარკილი, წულაძე, კობახია გაათავისუფლა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა გივი ანჩაბაძე-ცეკას ყოფილი მდივანი.

გ. ანჩაბაძისთვის ეს დაქვეითებაა. ჭორი დადის, რომ მას ერთ თვეში საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩევენ.

ვნახოთ.

რას ნიშნავს ეს ცვლილებები?

ნუთუ შეურაცხყოფილი შევარდნაძე არაფერს მოიმოქმედებს?

23/VII 89

მთელი დღე ვწერ ნოველას „იაპონელი“.

საღამოს მუხათწყაროში გავიარე.

შევხვდი და ველაპარაკე იქ მცხოვრებ ინტელიგენტებს: რევაზ ნემსაძეს, გივი ზაუტაშვილს, მერაბ ბერაძეს, გურამ სიხარულიძეს, ჯამბულ ბახტაძეს – აფხაზეთის მთავრობის ცვლილებებზე ყველა ერთი აზრისაა – გუმბარიძემ მთავრობიდან ქართველები გაიყვანა და აფხაზები შეიყვანაო.

გასაგებია ეს პოლიტიკა: რუსს სურს აფხაზეთი წაგვართვას, საქართველოს ხელისუფლება მარიონეტულია. ასე რომ, ჩვენთვის, ქართველებისთვის, სასიკეთო ამათგან არაფერია მოსალოდნელი.

რუსსაც და ქართველსაც (შევარდნაძე და კამპანია) გაყიდული და განწირული ვყავართ.

24/VII 89

თბილისში დაიწყო საქართველოს ხელისუფლებისადმი მიმართული საპროტესტო დემონსტრაცია-გაფიცვების ახალი ტალღა.

მღელვარება გამოიწვია სოხუმში გამართული პლენუმის შედეგებმა და საქართველოს მთავრობის გამყიდველმა ორიენტაციამ.

რა მოხდება ხვალ?

მე უკვე შიშისა და სიფრთხილის მიჯნას გავცდი.

მოსახდენი უნდა მოხდეს.

საქართველო უნდა განიწმინდოს!

25/VII 89

ნოდარ ჭითანავას შევხვდი.

შეშფოთებულია სქარათველოს მდგომარეობით და აფხაზეთის ამბების მოსალოდნელი შედეგებით.

მოურიდებლად ვუთხარი: ყველაფერი გ. გუმბარიძის და შენი ბრალია-მეთქი. გაუბედავი ხალხი აღმოჩნდით. ვერც ერთი საკითხი ბოლომდე ვერ მიიყვანეთ-მეთქი. რაც თქვენ აფხაზეთში ჩაიდინეთ (ხელმძღვანელობაში აფ-

ხაზური ფრთის გამაგრება) ეს მალე მარნეულის და ოსეთის ახალ აჯანყებად მოგვევლინება-მეთქი. რაკი აფხაზებს ჩვენი ძალა ვერ ვუჩვენეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვები სულ კისერზე წამოგვაჯდებიან-მეთქი.

თუ არ შეგიძლიათ ქვეყნის მართვა, გადადექით-მეთქი.

შეწუხდა ჩემი შეტევით.

მართალიაო, ჩვენც გაუბედავობა გამოვიჩინეთ, მაგრამ მთლად ჩვენი ბრალი როდია ყველაფერიო.

იცოდე, ჩვენც ისევე დაგვსდევს და გვაკონტროლებს მოსკოვიო.

ყველაფერი „ცენტრმა“ გვიკარნახა. ანჩაბაძის ვარიანტიც მოსკოვიდან მოდისო.

არ გირჩევნიათ ამ საძრახის მარიონეტობას, დაიხუროთ ქუდი და წახვიდეთ შინ-მეთქი?

ადრე თუ გვიან ასეც მოვიქცევითო.

უნდა დაიწეროს ვრცელი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გააკეთეთ აფხაზეთში ქართველთა მხარდასაჭერად, საჭიროა ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს პრესაში და ხალხმა წაიკითხოს-მეთქი.

საერთოდ, ნ. ჭითანავა ჭკვიანი, პატრიოტი კაცია, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავს.

26/VII 89

დილის ათ საათზე მივუტანე ნ. ჭითანავას წერილი „აფხაზეთის ამბების გამო“, „კომუნისტში“ გამოსაქვეყნებლად შუამდგომლობა ვთხოვე.

წაიკითხა. ძალიან გაბედულიაო. ადგილები შეარბილა. ხელახლა გადავბეჭდეთ. ნ. ჭითანავას თანაშემწე მშვენიერი ბიჭია – სოსო სტურუა (დევის ბიჭი).

ნ. ჭითანავას კაბინეტში ჩემი ყოფნის დროს ზვიად გამსახურდია შემოვიდა. მოგვესალმა და პირდაპირ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა:

– ხომ გთხოვეთ, ქართველთა დევნას თავი დაანებოს მილიციამ და უშიშროებამ-მეთქი.

იცით, როგორ ელაპარაკებოდა? როგორც ჩინით უფროსი, ჩინით უმცროსს.

– რა მოხდაო, – ჰკითხა ნოდარმა.

– წალენჯიხაში არაფორმალები დაუპატიმრებიათ და დაუყოვნებლივ გაათავისუფლონო, თუ არა და ასიათასკაციან დელეგაციას მოვიყვან ხვალ, 12 საათზე, აქაო.

ნ. ჭითანავა ტელეფონს მიწვდა. მაშინვე დარეკა წალენჯიხის რაიკომის მდივანთან და დაავალა, მანდ მილიციაში თავდასხმის მცდელობაში ეჭვმიტანილი ახალგაზრდების საქმე კარგად გაარკვიეთ და, თუ მართლები არიან, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონო.

ზვიადმა მადლობა გადაუხადა და გავიდა.

ესაა ზვიადი. ვერ გაიგებ, ვის უპყრია ხელთ ფაქტიური ხელისუფლება.

27/VII 89

ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა ეკონომიური დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

საკავშირო სესიაზე გვიან ღამემდე გაგრძელდა კენჭისყრა.

როგორც იქნა, გაიმარჯვეს ბალტიისპირელებმა, მაგრამ კენჭისყრის შემდეგ მიხვდნენ რუსები, რომ შეცდომა დაუშვეს.

დაიწყო დეპუტატთა გამოსვლები: ამ სამი რესპუბლიკის ტერიტორიაზე რომ საკავშირო ქარხნები და კურორტებია გაშენებული, ის ვისი იქნებაო, მაგრამ რაღა დროსი იყო.

შევისყიდით ყველაფერსო, ჭკვიანმა ბალტიისპირელებმა.

ესეც ასეა. ეს უკვე რღვევის სერიოზული სიმპტომია.

საქართველოს კვლავ ენერგიულად აძინებს საქართველოს მთავრობა.

28/VII 89

შეხვედრა მომიწყვეს სოფელ წილკანში.

დიდებულია წილკნის ტაძარი.

ხალხს მოვწუოდე საქართველოს გადარჩენისკენ.

ვუპასუხე შეკითხვებს.

მეკითხებოდნენ საქართველოს მთავრობის უნიათო პოლიტიკაზე, უსუსურობაზე, აინტერესებდათ, რატომ არ ისჯებიან მკვლელები, რატომ ადგას გუმბარიძე დამთმობ პოლიტიკას.

შეხვედრა გვიან ღამემდე გაგრძელდა. მერე გვქონდა მცირე ტრაპეზი წილკნელ კაცთან – ომარ აღსაბაძესთან.

29/VII 89

დღეს „ახალგაზრდა კომუნისტში“ ჩემი წერილია სათაურით „რა გადაარჩენს საქართველოს“.

ოდნავ შეუმცირებიათ. ამოუღიათ ის ადგილები, სადაც მოვითხოვ აფხაზეთისა და ოსეთის ავტონომიათა გაუქმებას.

ჩემმა ძმისშვილმა, ეკა მიშველაძემ, მესამე ხუთიანი მიიღო. უნივერსიტეტში ჟურნალისტიკაზე აბარებს. ჭკვიანი გოგოა.

გაზეთებში (განსაკუთრებით „კომუნისტში“) კვლავ საქართველოს ხელისუფლების დედლური, შემრიგებლური პოლიტიკის მხარდამჭერი მასალებია.

მხოლოდ „ლიტ. საქართველო“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „მალადიოჟ გრუზიი“ აქტიურობენ და რაღაცას ბედავენ.

30/VII 89

სულისშემუხთველი სიცხეა თბილისში.

აგარაკს შევაფარე თავი, მაგრამ იქაც ცხელა.

წუხელის, გვიან ღამით, საქართველოს ტელევიზიამ სამი აფხაზი გამოიყვანა ტელევიზიით. ლაპარაკობდნენ, ჩვენ ხომ ძმები ვართო, როგორ შეიძლება, ჩვენს შორის ჩხუბიო.

გული ამერია. რასაკვირველია, ჩვენ დაგვხოცეს და სამაგიერო რომ არ გადავუხადოთ, ახლა „შერიგებაზე თანახმა არიან“. აშკარად ჩანს, გვატყუებენ.

რა პრიმიტიულად აზროვნებს ჩვენი ცეკა.

31/VII 89

აჩიკო გოგელიამ დღეს დიდი სიმპათია მოიპოვა ტელემაყურებელთა თვალში.

ერთი კვირაც არ არის, რაც ტელევიზიის დირექტორად დანიშნეს და ამ

საღამოს ერთბაშად დაამსხვრია რუტინის ყინული, რაც ტელევიზიას სულს უხუთავდა.

„დიალოგი“ – საუბრობენ გია ჭანტურია, ლოვარდ ტუხაშვილი, ნოდარ ნათაძე, ნოდარ წულესკირი.

დიდებული, მართალი საუბარი იყო; ჩვენი მომავლის გზებზე, არჩევნებზე, ხელისუფლების საქმიანობაზე, მესიამოვნა, რომ ზუსტად ემთხვეოდა ჩემი აზრები ოპოზიციონერთა აზრებს.

ყოველშემთხვევაში, ეპოქას ჯერჯერობით არ ჩამოვრჩი და მიხარია. სიბერე (აზრის) ჯერ შორსაა.

1/VIII 89

მთელი თბილისი წუხელის ტელეივზიით „არაფორმალთა“ დიალოგზე ლაპარაკობდა.

გიამ ერთბაშად დაამტკიცა, რომ იგი „დარტყმული ექსტრემისტი“ კი არა, ჭეშმარიტად პოლიტიკური მოღვაწეა.

ოთარ ქვილითაიასთან (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) მივყევი მხატვარ დემურ ბაშალეიშვილს, რომელსაც უნდა კულტურის ასოციაცია „პეგასი“ ჩამოაყალიბოს.

ნათლად, გამოკვეთილად ვერ გამაგებინა, რა საჭიროა კიდევ ერთი ასოციაცია, მაგრამ მაინც მივყევი და ქვილითაია დიდი ყურადღებით მოგვეკიდა. რომ იტყვიან, „საკითხი დადებითად გადაწყდა“.

დავიწყე ნოველის წერა ლენინზე.

ლენინი იღვიძებს და მოსკოვში დადის.

ვნახოთ, რა გამოვა.

2/VIII 89

დავასრულე ნოველა ლენინზე, რომელსაც „მავზოლეუმი“ ვუწოდე.

თანამედროვე მოსკოვში მოსიარულე ლენინი, რომელიც გაოცებულია, ეს რა მახინჯი სოციალიზმი აგვიშენებიაო, იცნო ვიღაცამ. მარქსის ძეგლის წინ ჩამოსხდნენ და საუბარი დაიწყეს.

უცნობი ბრალს სდებს ლენინს მარქსიზმის დამახინჯებაში, ამ საოცდაათწლოვანი უაზრო ექსპერიმენტის ლიბოსდადებაში.

ლენინი თავს იმართლებს, მაგრამ ლოგიკა და ისტორიული სიმართლე უცნობის მხარეზეა.

ბოლოს, ხდება ისე, რომ ლენინი მავზოლეუმში აღარ ბრუნდება.

მე ვფიქრობ, უკანასკნელ წლებში დაწერილთაგან ჩემი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და გაბედული ნოველაა.

ახლა მთავარია, როგორმე მივაღწიო მის დაბეჭდვას.

3/VIII 89

„კრიტიკის“ მოწინავეს ჩავუმატე აფხაზეთის საკითხი.

ვთქვი ის, რაც არაერთხელ მითქვამს ამ დღეებში სხვადასხვა შეკრებებზე.

რატომ ჭიანურდება მკვლელების დასჯა, რატომ ადგას საქართველოს მთავრობა დროის გაყვანის საძრახის პოლიტიკას-მეთქი.

4/VIII 89

„კომუნისტში“ გურამ ფანჯიკიძის წერილზე ვიღაც იურისტის ბნელი გამოხმაურებაა.

შენაო, გურამს ეუბნება, ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგო გზას ადგეხარო.

როგორ შეიძლება, ახალგაზრდებს უკიჟინო: გონებას მოუხმეთ, ნუ იქნებით მაქსიმალისტებიო.

გადავაბეჭდინე ნოველა ლენინზე სათაურით – „მავზოლეუმი“.

არა მგონია, მისი დაბეჭდვა ვინმემ ჯერჯერობით გაბედოს.

5/VIII 89

ნაღვლის ბუშტმა ძალიან შემომიტია და რაჭას გავემგზავრე – უწერაში.

რაჭა ძალიან მიყვარს.

6/VIII 89

უწერაში ვარ.

საღამოს მე და ნათელა ათასწლოვანი ცაცხვის ძირას ჩამოვჯექით.

ჩვენს ირგვლივ რამდენიმე წუთში ცნობისმოყვარეთა უზარმაზარი წრე შეიკრა.

კითხვა-პასუხი... კითხვა-პასუხი...

ღამის ორ საათამდე ვიქაქანე.

დაღლილმა დავიძინე. ცუდად მეძინა. საერთოდ, ახალ გარემოში პირველ ღამეს ვერ ვიძინებ.

7/VIII 89

სანატორიუმის კლუბში შეხვედრა მომიწყვეს.

კულტმუშაკმა (მერაბი) შეხვედრის გახსნისას გამოაცხადა; ორი დღეა რევაზ მიშველაძეს მოსვენებას არ აძლევთ შეკითხვებით, თქვენი თხოვნით გადავწყვიტეთ, შეხვედრა მოვუწყოთ და რაც შეკითხვები გაქვთ, ახლა მიეცით, რომ მერე მაინც დავასვენოთო.

არ გამოვიდა ურიგო შეხვედრა.

ყოველ ჩემს პასუხს დარბაზი ტაშის გრიალით ხვდებოდა.

საღამოს „მოამბეში“ გვაცნობა, რომ 9 აპრილის „გმირი“, სისხლიანი როდიონოვი, მოსკოვმა სხვა სამსახურში გადაიყვანა. ამიერკავკასიის ჯარების სარდლად სხვა რუსი დაინიშნა.

როდიონოვი მოსკოვის სამხედრო უნივერსიტეტის პრორექტორია.

8/VIII 89

უწერაში ვარ.

საინტერესო არაფერი მომხდარა.

9/VIII 89

„მოამბემ“ გამოაცხადა, რომ მარნეულის გაერთიანებული რაიკომის მდივნად არჩეულია რ. მემარნიშვილი.

ბარაქალა, გუმბარიძევ, ძლივს მარნეულში ქართველი რაიკომის მდივანი დაბრუნდა.

გუმბარიძე დადის თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში და სთხოვს მუშებს, არ გაიფიცონ.

აფხაზეთიდან ჯერჯერობით არაფერი ისმის. ამ დილით უწერაში ხმა

გავრცელდა, ოზგანი დაიჭირესო.

ორიოდე საათის შემდეგ გაირკვა, რომ ჭორია.

10/VIII 89

მთელი დღე ვწერდი სტატიას „რა გვჭირს, რა გვიშველის“.

თოთხმეტგვერდიანი სტატია ერთ დღეში, სულ რაღაც სამ საათში დავწერე.

თითქოს მკარნახობდა ვიღაც. სიტყვები თავისთავად მომდიოდა. პირდაპირ ყურში ჩამესმოდა. მე მხოლოდ ვწერდი.

11/VIII 89

მშვენიერმა გოგონამ, ეკა ხერხეულიძემ შოვში მომძებნა, მომიტანა წმინდა ილია მართლის საზოგადოების ორგანო – ჟურნალი „საქართველო“, №2.

მშვენიერი პოლიტიკური ჟურნალია.

აშუქებს მარტო საქართველოს კი არა, საკავშირო გამათავისუფლებელ მოძრაობასაც.

კარგი წერილებია კოსტავასა და ჭანტურიასი.

განსაკუთრებით ცუდ დღეშია ლენინი. დაბეჭდილია ლენინის რეზოლუციები და წერილები. შეუბრალებელ, მკაცრ, არადემოკრატ, ვერაგ კაცად ჩანს „პროლეტარიატის ბელადი“.

ყოჩაღ, ახალგაზრდებო!

12/VIII 89

დღესაც მეწვია ეკა ხერხეულიძე.

დიდხანს ვისაუბრეთ.

რა მშვენიერი აზრები აქვს. ეროვნულ მოძრაობას დღეს ბევრი საქმოსანი ეტმასნებაო.

განათლებული და, რაც მთავარია, მტკიცე რწმენის ქალი ჩანს.

13/VIII 89

ონი მოვიარეთ.

უძველესი პატარა ქალაქი.

ორიათასხუთასი წლის წინათ მოსულან აქ ებრაელები.

ჩვენ ხომ მეტად ბუნდოვნად ვიცით ჩვენი ისტორია. ყოველ შემთხვევაში, ორიათასი წლის წინა ისტორია.

რა კარგი იქნებოდა, ებრაელებს მაინც შეექმნათ თავიანთი მოსვლის შემდეგ დღიურები; რას წარმოადგენდა ონი და, საერთოდ, საქართველო.

ონის სახალხო თეატრი – თავდადებული გიგა ჯაფარიძე.

ვესაუბრე კოოპერატივ „რაჭის“ თავმჯდომარეს.

ჩამოვედიო თბილისიდან. შევქმენი ფერმა, ტკბილეულის საცხობი, კაფე. აღმასკომი, რომელსაც ქრთამს არ ვაძლევ, ყველანაირად ხელს მიშლისო.

დევი კაჭარავა ღვინოს ვერ მოვწყვიტე.

მე წვეთი არ დამილევია.

14/VIII 89

გურამ მეტრეველმა მომაკითხა და მდინარის პირას, ბალახზე სუფრა

გავშალეთ.

ხუთნი ვუსხედით.

ვისაუბრეთ გემრიელად. გემრიელი საუბარი ჰქვია, როცა არსად გეჩქარება და ყველაფერს იტყვი, რაც ქვეყანაზე იცი. რომ იტყვიან, გულს მოიოხებ.

მაქეს, მადიდეს, როგორც ქართულ სუფრას ჩვევია.

ბოლოს უეცრად სევდამ შემიპყრო და კრიჭა შემეკრა. ვიფიქრე, ჩვენ აქ ერთმანეთს ვადღეგრძელებთ, საქართველო კი ჩვენს თვალწინ იღუპებამეთქი.

გული კინაღამ გამიხეთქა უმწეობის შეგრძნებამ.

რას ვუკეთებ მე, პირადად საქართველოს? დასჭირდება ვინმეს ჩემი ნაჯღაბნი?

შუაღამისას გამეღვიძა.

საშინელი დელგმა-წვიმაა. რიონის ღრიალი აყრუებს გარემოს.

ჩაქრა სინათლე. ალბათ, მეხი დაეცა ელექტრობოძს.

დილამდე აივანზე ვიჯექი.

გულს მაზიდვინებს.

არ მინდა, ჩემები გავაღვიძო.

15/VIII 89

დილით ხუთიოდე კაცი რიონისპირს ჩავყევით.

საშინელ სტიქიას დაუნგრევია წუხელის გზები, დაუტბორია სახლები, მოუტაცნია საქონელი.

წალეკილია მდინარის პირას სახერხი და წყლის ჩამოსასხმელი ქარხნები.

მივეშველეთ მე და ჩემი შვილი, აჩიკო, ატირებულ გლეხებს, რაც შეგვეძლო. გაჭირვებულის შველა ხომ აჩიკოს სტიქიაა.

არც ერთი ბულდოზერი არ ჩანს.

უპატრონო ქვეყანაა.

დასწერენ ხვალ გაზეთში: ოპერატიული შტაბი შეიქმნაო.

16/VIII 89

უწერა წყალდიდობამ ლამის მოწყვიტა ცივილიზებულ სამყაროს.

მეორე დღეა სანატორიუმში არ არის წყალი, სინათლე...

ონამდე გზა დაკეტილია.

შოვიდან ვერტმფრენებით გაჰყავთ დამსვენებლები.

შემხვდა ვილაც კაცი, რომელმაც მაცნობა, რომ ინგლისელმა პრავაკატორმა ჰიუიტმა (აფხაზთა ქომაგობა რომ უღირსად იკისრა) ტელევიზორში გაგლანძღაო...

ასეა, ჩვენ ქომაგ-პატრონი არავინა გვყავს.

უწერაში უწყალოდ და უსინათლოდ გაჩერება შეუძლებელია.

თუ ასე გაგრძელდა, ხვალვე უნდა ავიბარგო.

ნეტა, რა ხდება თბილისში?

15-ში დაუმორჩილებლობის კვირეული უნდა გამოეცხადებინათ. მოაბეს თავი?

გულს მიღრღნის უმწეობის გრძნობა.

17/VIII 89

ამბროლაურ-ტყიბულის გზით ჩამოვბრუნდით მე და აჩიკო.

მანქანა აჩიკოს მიჰყავს.

მიხარია, ვაჟკაცი მომესწრო.

სად მივდივარ? რა მინდა?

მინდა, აჭარაში გავიარო. იქაურთა განწყობილება გავიგო, დავწერო რამე.

ბარაკონის ეკლესიაში და ნიკორწმინდაში შევჩერდით.

კისერი მომეღრიცა, თვალები უკან მრჩება.

„რა ხელმა ააგო“...

წვიმს მთელს დასავლეთ საქართველოში.

წვიმს ჩემს გულშიც.

საღამოს ქობულეთში, „საქართველოში“, დავბინავდით.

აქედან ვივლი აჭარის „დასალაშქრავად“.

აჭარა ჩემი საყვარელი კუთხეა.

18/VIII 89

თავი დამძიმებული მაქვს.

ზღვაში არ ჩაისვლება. ზღვა ამღვრეულია და ბობოქრობს.

მე და ფანჯიკიძე ვსაუბრობთ.

ფანჯიკიძეს და მე ბევრი საერთო გვაქვს. ორივეს მებრძოლი, შეუპოვარი ხასიათი გვაქვს.

საერთოდ კარგი, ქვეყნისთვის საჭირო კაცია.

19/VIII 89

შემოვიარე ქობულეთი.

შევხვდი და ვესაუბრე უბრალო ადამიანებს.

ყველანი აღშფოთებას გამოთქვამენ საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობის გამო აფსუათა წინააღმდეგ.

გულამღვრეული დავბრუნდი.

საითაც გაიხედავ, სრული იგნორირება ჩვენი ეროვნული სატკივარისა.

მომსახურების სფერო რუსულად, წარწერები რუსული, კატერებიც კი რუსულ ენაზე გთავაზობენ გასეირნებას.

საქართველოში „საკურორტო ენა“ რატომღაც რუსულია, აფხაზეთშიც და აქაც.

20/VIII 89

ჩემი ჩამოსვლის წინა დღეს აქ თბილისელი ბიჭი (17 წლის) მოუკლავს დანით თანატოლ თბილისელ ბიჭს.

ღმერთო, რა უბედურებაა.

ვერც ამ ეროვნულმა ბრძოლამ გაგვაერთიანა?

არ არის დრო, ქართველებმა ერთმანეთის კბენას თავი ვანებოთ და იარაღი ჩვენი ეროვნული მტრების წინააღმდეგ მივმართოთ?

დღეს შევხვდი და ვესაუბრე ჟიული შარტავას.

დიდი განათლების დონით არ ბრწყინავს, მაგრამ, ეტყობა, მტკიცე ხასიათის ბიჭია.

რასაც ამბობს, გულდაჯერებულად ამბობს.

მოსკოვში მუშაობს ახლა პარტიული კომისიის აპარატში.

ჩემს კითხვებზე ფრთხილი, ბუნდოვანი, ორაზროვანი პასუხი მომცა, თუმცა ჩანს, გულმხურვალე პატრიოტია. ნოსტალგია მკლავსო, მითხრა.

21/VIII 89

ქალბატონმა ანიკო ვაჩნაძემ, ლადო ასათიანის მეუღლემ მათხოვა ლადოს სალაღობო, ფუნაგორიების რვეული.

გვიან ღამემდე ვკითხულობდი. რა მაღალი იუმორი აქვს, რა „დაუნდობი“ სიცილი სცოდნია ლადოს – ჩემს ნათლიას.

ამოვწერე რამდენიმე ფუნაგორია. უსათუოდ „კრიტიკაში“ უნდა გამოვაქვეყნო. ახლა შეიძლება ზოგი მათგანის დაბეჭდვა. ადრესატების უმრავლესობა აღარ არის ცოცხალთა შორის.

ვესაუბრე სტალინის შვილიშვილს, ევგენი ჯუღაშვილს. იგი იაკობის ბიჭია. მუშაობს მოსკოვში, ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში. ორი ბიჭი ჰყავს. ცოლი ნოზაძეა.

არ ვიცი, სტალინობა ძნელი იყო თუ არა, მაგრამ სტალინის შვილიშვილობა ძალიან ძნელიაო. ჯერ ერთი, უამრავი თვითმარქვია სტალინის შვილიშვილია დღეს მსოფლიოში, მეორეც, ზოგი ისე მეკამათება, თითქოს სტალინი იყოს ჩემი შვილიშვილიო.

მადლობა მითხრა „კრიტიკაში“ სტალინზე დადებითი აზრების გამოთქმისათვის. მეო, ამ ბოლო დროს, ძალიან მჩაგრავენო. ჩემი შვილი უნივერსიტეტში არ მიიღესო. ორივეს ვასწავლე ქართული და მინდა ქართველობა არ დაჰკარგონო.

სვეტლანა ლონდონში ცხოვრობსო. ამბობს, რომ ველურებში (საქართველოში) ვერ გავძელიო. ევგენისთვის არ მითქვამს, რომ თბილისში სვეტლანა ალილუევას შევხვდი და დიდხანს ვისაუბრეთ. იგი ფაქტიურად გადმოასახლა მოსკოვმა.

აფსუს, რუსთაველის ქვეყანავ?!

22/VIII 89

დავამთავრე ნოველა ლადო ასათიანზე და ანიკო ვაჩნაძეზე.

„ცხოვრება“ დავარქვი.

ვწერ იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდნენ ერთმანეთს. რა გადახდათ. როგორ მოაწერეს ხელი. როგორ გარდაიცვალა ლადო.

ლამის დოკუმენტური ნოველაა.

ნაშუადღევს ბათუმში გავემგზავრე.

ერთ დროს კოპწია ბათუმი, ახლა მიტოვებულის, მოუვლელის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ჭუჭყიანი ზღვა. ჭუჭყიანი ქუჩები.

საღამოს ვესაუბრე მსახიობ ავთო მახარაძეს. ყველაფერი ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი რუსთაველის თეატრზე და რობიკო სტურუაზე.

დღეს თეატრი ეროვნული უნდა იყოს-მეთქი. ქართულ საქმეებს უნდა აკეთებდეს-მეთქი. არ შეიძლება, რუსთაველის თეატრის სცენაზე ქართველი კაცი არ იდგეს თავისი ტკივილებით და ფიქრებით-მეთქი.

სანამდე გინდათ, საგასტროლო რეპერტუარზე ააგოთ-მეთქი თქვენი

შემოქმედება.

ყველაფერში დამეთანხმა. რა ვიცი, ზრდილობის გულისთვის, თუ თვითონაც ასე ფიქრობს.

23/VIII 89

ქუთაისიდან ფანჯიკიძეს ამოაკითხეს თეიმურაზ ლანჩავამ (ქუთაისის მწერალთა კავშირის ახლადარჩეული თავმჯდომარე), დავით მანდარიამ (სტამბის დირექტორი) და ბეჟან ნამიჭეიშვილმა (გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორის მოადგილე) კარგი ქუთაისური პურმარილით.

ჩემს ქუთაისელებში ყოფნა განსაკუთრებულ სიხარულს მანიჭებს.

ფანჯიკიძე თბილისში იყო წასული და გვიან ჩამოვიდა.

ლანჩავას კარგი გეგმები აქვს. აპირებს, დააარსოს ლიტერატურული გაზეთი „ლიტერატურული ქუთაისი“, რომელიც ჯერჯერობით თვეში ერთხელ გამოვა.

მთხოვა, პირველი ნომრისთვის რამე მომეციო. მივეცი ახალდამთავრებული „ცხოვრება“. დამუშავება ვერც კი მოვასწარი, მაგრამ, მე მგონი, ცუდი არ უნდა იყოს.

საერთოდ, თ. ლანჩავა ნიჭიერი მწერალი და გულისხმიერი კაცია.

ნაღვინევზე ზღვის პირას დიდხანს ვისეირნეთ.

ზოგჯერ ღვინო აუცილებელია, დარდს აქარვებს.

24/VIII 89

სანატორიუმ „საქართველოს“ დირექტორმა, შეხვედრა გვინდა მოგიწყოთ დამსვენებელთა სურვილითო. მაგრამ უარი ვუთხარი.

არ მაქვს შეხვედრის განწყობილება, თანაც თავის გამოჩენასავით, ჩაწყობილივით გამოდის.

სად იყო, სად არა, ჩემმა ძმაკაცმა სოსო ბუხაიძემ მომაკითხა.

დიდხანს ვისეირნეთ ზღვის ნაპირას მე, აჩიკომ და სოსომ.

სოსო დიდი განათლების პატრონია, მაგრამ უსისტემო განათლება აქვს, ყველაფერს ერთად ედება. შესახედავად ეზოპეს ამგვანებენ.

25/VIII 89

შევხვდი აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს გურამ ემირიძეს.

ვისაუბრეთ აჭარელთა ახალქალაქ-ბოგდანოვკის რაიონში დაბინავების პრობლემებზე. თქვა, რომ ყველაფერს აკეთებს, რათა ლტოლვილთა სახლები დროზე აშენდეს.

ახალქალაქელი და ბოგდანოვკელი სომხები ხელს გვიშლიანო.

ხომ ხედავთ, სომხებს უნდა ვკითხოთ, ჩავასახლოთ თუ არა ქართველები საქართველოშიო.

მერე დაწვრილებით მიამბო ტრაგედიის ამბები მიმდინარე წლის აპრილში.

ვთხოვე, ის დამეწყრილი ადგილები დამათვალიერებინეთ-მეთქი. დახმარება აღმითქვა.

საღამოს ვახშამი გაგვიმართა. ვახშამზე იყვნენ ლევან საყვარელიძე (ყოფილი ჯანმრთელობის მინისტრი), თემურ ჭანიშვილი (აკადემიკოსი), ომარ გრიგალაშვილი (პროფკავშირული მუშაკი), ზურაბ დუმბაძე (ექიმი) და დათო ციციშვილი (კულტურის ფონდი).

ემირიძემ გვიამბო, როგორ მოხდა ბათუმში ტაძრის კურთხევა და როგორ მოინათლა ერთბაშად 500 მაჰმადიანი ქართველი ქრისტიანად.

ეს აუცილებლად უნდა დავწერო.

26/VIII 89

სანდრო მამასახლისი და მე დამსვენებელთა საკმაოდ დიდი გარემოცვის თანდასწრებით შევასკდით ერთმანეთს კამათში.

მე ვამბობ, რუსეთს ჯერ ნუ ვებრძვით, მთავარია, ცოტა მოვძლიერდეთ დემოგრაფიულად და ეკონომიურად. მთავარია, იმპერიის ნანგრევებში არ მოვყვეთ. დრო უნდა ვიხელთოთ.

სანდრო ამბობს: ჩვენ ზედმეტად ინტერნაციონალისტები ვართ, ჩვენი მთავარი ამოცანაა, რუსეთს ახლავე გამოვეყოთ.

ღმერთმა განსაჯოს, ვინაა მართალი.

27/VIII 89

შევხვდი საქ. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრს შოთა გორგოძეს.

არ ვაპირებდი იმ ინციდენტის მერე მასთან საუბარს, მაგრამ თვითონ გამომელაპარაკა.

ზრდილი, პეწიანი იმერელია.

შევრიგდეთო, მე და იმ პოლკოვნიკმა მაშინ რომ გაწყენინეთ, ფსიხოზის მდგომარეობაში ვიყავით ცხრა აპრილის შემდეგ და გვეპატიებაო.

დიდხანს ვისაუბრეთ.

რატომ აქამდე არ არიან დაჭერილი დამნაშავეები და მათ შორის ოზგანი-მეთქი.

14 აფსუა-მკვლელი დაპატიმრებულია, ოზგანი მოხსნილია და მალე დავაპატიმრებთო.

28/VIII 89

სამწუხარო ამბავი შევიტყვე; ფანჯიკიძისთვის ხმა არ მიუციათ, დეპუტატად რომ გასულიყო. აურჩევიათ ნ. ნათაძე.

ეს ჩვენი, საერთოდ, მწერლობის დამარცხებაა. ჩვენ არ მოგვცეს ხმა.

მერე და რატომ? განა ფანჯიკიძემ ერთ-ერთმა პირველმა არ დარეკა ზარები საქართველოს გასაღვიძებლად?

დიდ პატივს ვცემ ნათაძეს, მაგრამ ნათაძეს თავისი ადგილი ექნებოდა პარლამენტში და ფანჯიკიძეს – თავისი. ორივე უნდა აერჩიათ.

„პრავდაში“ ბალტიისპირეთია სასტიკად გაკრიტიკებული.

ეს ცუდი ნიშანია. იმპერია შეტევაზე გადმოდის.

ხვალ თბილისში უნდა წავიდე.

29/VIII 89

აჭარაში მოგზაურობა დავამთავრე და თბილისისაკენ გამოვემგზავრე.

რა გავაკეთე?

ვიღაც-ვიღაცეები გამოვაღვიძე, ვიღაც-ვიღაცეებს შემოვუძახე. რაც მთავარია, დავრწმუნდი, რომ აჭარა სწორ გზას ადგას. მიხარია.

გზად ქუთაისში გამოვიარე.

ჩემს ქუთაისში.

ვნახე თემურ ლანჩავა, დავით კვიცარიძე, ზურაბ კუხიანიძე...

დიდხანს ვისაუბრეთ ჩვენს საერთო სატკივარზე.

მივესალმები გაზეთ „ლიტ. ქუთაისის“ გამოცემას.

გზად დ. კვიცარიძემ და თ. ლანჩავამ გამომაცილეს და დიდი პატივი მცეს.

30/VIII 89

როგორც მოველოდი, წამოვსულვარ თუ არა თბილისიდან, ჩემი რედაქციის თანამშრომელთაც გამოუკეტავთ კარები და გაკრეფილან.

მე-4 ნომერი უკვე ოცი დღის დაბეჭდილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მორიგეებს ყველაფერი გაუკეთებიათ, რომ ჟურნალი არ გამოსულიყო.

გადაყოლილი ვარ რედაქციის მუშაკებზე, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ყველა „ბრუტუსი“ აღმოჩნდება.

31/VIII 89

უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორი შევხვდით ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეს – გივი კეკელიძეს.

სახლი, სადაც ვცხოვრობ, ერთი უეზოვო, მიგდებული, მიტოვებული სახლია. ჩვენ ვცხოვრობთ იქ, უნივერსიტეტის თანამშრომლები, უფულო და უპატრონო ხალხი.

ჩვენს გვერდით №9-ში მცხოვრებლებმა სახლს უზარმაზარი ლოჯიები მოაშენეს.

ჩვენც მოვინდომეთ ლოჯიების კი არა, უბრალო აივნების მოშენება საღამოობით სულის მოსათქმელად.

გივი კეკელიძემ, რასაკვირველია, უარი გვითხრა.

ვეძებო სამართალი? სად? ვისთან? ჩვენ ხომ უპატრონო და დაუცველი მოქალაქეები ვართ.

1/IX 89

მომიტანეს „კრიტიკის“ მე-4 ნომრის სასიგნალო.

მე რომ არ ჩამომესწრო, დღემდე დაბეჭდილი არ იქნებოდა.

კორექტურა ბევრია, მაგრამ ურიგო ნომერი არ არის.

მიშა ქვლივიძეს ვესაუბრე დიდხანს.

ნამდვილი პოეტი და გულუბრყვილო კაცია.

ნოველა „დიდი წითელი ბუშტი“ რომ მივუძღვენი, ძალზე გაეხარდა.

2/IX 89

შაბათია. აგარაკზე ვარ. ახალი ნოველების წიგნს ვამზადებ დასაბეჭდად. „განაჩენი“ უნდა დავარქვა. იგი, მართლაც, განაჩენი იქნება, ჩემი ფიქრით.

3/IX 89

მთელი დღე კვლავ წიგნზე ვმუშაობ.

ხვალ რუსთაველის საზოგადოების ყრილობაა. მიწვეული ვარ.

4/IX 89

გაიხსნა რუსთაველის საზოგადოების ყრილობა. პირველი სიტყვა თქვა აკაკი ბაქრაძემ.

დაიწყო წესდების დამტკიცების შესახებ მსჯელობა.

გამოვიდნენ ზვიად გამსახურდია,მარიკა ლორთქიფანიძე, რევაზ თაბუკაშვილი, ჯანო ჯანელიძე...

მეც გამოვედი: ყოველი მსგავსი საზოგადოების წესდება იმ პირის პატი-

ვისცემისთვისაცაა შექმნილი, ვის სახელსაც ატარებს-მეთქი.

თქვენ კი რუსთაველი დაგვიწყებიათ-მეთქი.

მართლაც, მთელს წესდებაში რუსთაველზე არაფერია ნათქვამი.

5/IX 89

რუსთაველის საზოგადოების ყრილობა უფრო გამძაფრდა.

წესდების დამტკიცების შემდეგ სხვადასხვა საკითხზე გაიმართა ბჭობა.

დღეს გამოვიდნენ – მარიკა ლორთქიფანიძე, ჩეჩენი – რომელმაც ქართველებისადმი დიდი სიყვარულით ილაპარაკა და დაგმო აფსუები. ე. ჯაველიძე, ითონიშვილი, ლიპარტელიანი (მიწათდატაცებაზე), ზვიად გამსახურდია, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ჩხეიძე, აფხაზეთიდან ქართული სკოლის დირექტორი.

ცხარე, ეროვნული ლაპარაკია, მაგრამ მხოლოდ ლაპარაკი.

ვნახოთ, რა რეზოლუციას მიიღებს ყრილობა.

ესაა მთავარი.

6/IX 89

ყრილობა დღესაც გაგრძელდა.

აკაკი ბაქრაძემ თანათავმჯდომარედ თამაზ კვაჭანტირაძე დაასახელა.

დღეს კარგად გამოვიდნენ თედო ნინიძე, ინგუშეთის წარმომადგენლები, ზვიად გამსახურდია...

ოთხ საათზე მოულოდნელად მიხმეს ცეკაში.

დიდი იმედით წავედი. იქნებ დამადგა საშველი და „კრიტიკის“ რედაქტორობიდან მათავისუფლებენ-მეთქი, რაც ადრე არაერთგზის ვითხოვე.

გუმბარიძის მოსაცდელში ოცდაათამდე ცნობილი მწერალი, ხელოვანი და მეცნიერი იცდიდა.

როგორც გაირკვა, შევარდნაძეს უნდა შევხვედროდით.

ილაპარაკა იმპერიის მინისტრმა. ისე, როგორც ველოდით, თან გვაგრძნობინა, რომ საქართველო უყვარს, თან დაგვარწმუნა, რომ უბედური საქართველოსთვის ვერაფერ სასიკეთოს ვერ გააკეთებს.

საკმაოდ მკაცრად გავაკრიტიკეთ პოლიტბიუროს ხაზი ჭაბუა ამირეჯიბმა, ნოდარ ნათაძემ, ელდარ შენეგლაიამ, თამაზ შავგულიძემ, რეზო ჩხეიძემ, ჯანსუღმა, ლანა ღოღობერიძემ, მე...

პირდაპირ დავუსვი საკითხები, რატომ არ აუქმებთ არაკონსტიტუციურ ავტონომიებს, რატომ არ გინდათ აღიაროთ საქართველოს ანექსია, თქვენ ახლა თქვენი სამშობლოსთვის ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, იქნებ დაგვეხმაროთ-მეთქი.

მაინც, უპირველესად რაში გსურთ დახმარებაო, მკითხა თავაზიანად.

იქნებ მიაღწიოთ ავტონომიების გაუქმებას, რადგანაც დამოუკიდებლობის მიღების დროს ეს ავტონომიები ბომბებად იქცევიან-მეთქი.

გაიღიმა. რუსეთმა საქართველოს რესპუბლიკა რომ გააუქმოს, რას იტყვითო.

ეს უსამართლობა იქნება და მთელი საქართველო აჯანყდება-მეთქი.

ჰოდა, ასე უყვართ აფხაზებს და ოსებს (აჭარაზე არაფერი თქვა) თავიანთი ავტონომიაო. საერთოდ, დამოუკიდებლობა რომ გინდათ, იფიქრეთ იმაზეც, შეუძლია თუ არა საქართველოს დამოუკიდებლად არსებობაო.

იცით თუ არა თქვენ, რომ ამჟამად, რუსის პურს და კარაქს ჭამთო.

7/IX 89

უნივერსიტეტში კათედრის სხდომა ჩავატარე.

ვრცელი სიტყვა ვთქვი. აღარ შეიძლება-მეთქი ლექციების ძველებურად კითხვა. ამოვიღოთ-მეთქი პროგრამიდან ძველი თემები „საბჭოთა ლიტერატურისა“ და „კომუნისტის სახის შესახებ ლიტერატურაში“. უნდა ვიკითხოთ იმგვარი ლექციები, როგორც ეკადრება-მეთქი თანამედროვე საქართველოს მოძრაობას.

რაც შეიძლება დიდი სევდით ვილაპარაკოთ-მეთქი 1921 წლის 25 თებერვალზე.

მერე კათედრას გავაცანი შევარდნაძესთან შეხვედრის შედარებით სრული (რაც დამამახსოვრდა) ინფორმაცია.

8/IX 89

„ლიტ. საქართველოში“ დაიბეჭდა ჩემი ნოველა „მესაყვირე“.

დილიდანვე რეკვით ამიკლეს. ყველა მიხვდა, რომ კრება, რომელზეც ნოველაშია ლაპარაკი, არის გორბაჩოვის მიერ ჩატარებული საბჭოების დელეგატთა პირველი ყრილობა.

მკითხველს რას გამოაპარებ.

მართლაც, გულით დავცინე იმ მოჩვენებით დემოკრატიას, ჩვენში რომ სუფევს.

9/IX 89

კიევიდან რაულ ჩილაჩავა მესტუმრა მეუღლითურთ.

დიდხანს ვისაუბრეთ.

უნდა თბილისში დაბრუნება, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება არც ბინას აძლევს, არც სამსახურს.

10/IX 89

კვირაა.

მთელი დღეა ვმუშაობ „კრიტიკის“ პირველი ნომრის (1990) მოწინავეზე.

მინდა გავაანალიზო 1989 და ვუთხრა ქართველს, რა გვასწავლა ამ წელმა საგულისხმო და გასათვალისწინებელი.

11/IX 89

ამ დილით ტელევიზიამ მოსკოვიდან გადაცემაში („120 წუთი“) განაცხადა, ახალი წლიდან ფასებს მოვუმატებთ სურსათს და მრეწველობის ზოგიერთ ნაწარმსო.

უჭირს, უჭირს სოციალიზმს.

ნუთუ არ დადგა დრო, ერთხელ და სამუდამოდ უარი ვთქვათ მარქსიზმ-ლენინიზმზე?

12/IX 89

დღესაც ბევრმა დამირეკა „მესაყვირის“ გამო.

დილით ვახტანგ გოგუაძემ და ლევან ალექსიძემ (თსუ პრორექტორებმა) კათედრის გამგეების თათბირი ჩაატარეს.

სტუდენტები გაუგულგრილდნენ უნივერსიტეტსო.

ნეტა რა მიზეზითო?

გამოვედი და ჩამოვთვალე მიზეზები.

წვერები მოეზარდა ძალიან სწავლების ჩვენეულ სისტემას, ლექციების ფორმას და იმას, რასაც ვასწავლით – კომუნისტურ მეცნიერებას-მეთქი.

შეიშმუშნენ.

13/IX 89

ტელევიზიით „მოამბეში“ გამოვედი და ვთქვი, რომ გამოქვეყნებული კომუნისტური პარტიის პლათფორმა სამარცხვინოა. რომ იგი მხოლოდ იმ-პერიის, გარუსების წისქვილზე ასხამს წყალს.

ვთქვი, რომ მივიღეთ ქართული ენის სახელმწიფოებრიობის პროგრამა, მაგრამ რაკი ჩვენ დიდოსტატები ვართ ჩვენივე კანონების არშესრულებისა, არც ამ პროგრამას ვასრულებთ.

კვლავ რუსული წარწერები, კვლავ არაქართული საქმის წარმოება.

ქართველები არ ვთვლით თავს საერთო ეროვნული ლაშქრის წევრებად. ეროვნული ბრძოლა ვინმეს პრიორიტეტი სრულიადაც არ არის, მთელი ერის საქმეა-მეთქი.

სხვაც ბევრი რამ ვთქვი, მაგრამ წაუშლიათ.

14/IX 89

კოტე მახარაძემ მითხრა; ახლა, ოქტომბერში უნდა ვითამაშო შენი პიესა და, თუ კაცი ხარ, ერთხელ კიდევ გადახედე, ამ სამ თვეში ხომ არაფერი მოძველდაო.

წამოვიღე „გადასახედად“.

თეატრის ხალხზე სამუდამოდ გამიტყდა გული.

არასერიოზული, უპირო, ცანცარა ხალხია.

კიდეც იმიტომაა წინ ჩვენი თეატრის საქმე.

15/IX 89

როსტოვიდან ჩამოვიდა ლიტერატორი ბიბიკ ლ. თქვენი ყველა ნოველა მაქვს წაკითხული რუსულადო. ახლა რუსეთს თქვენზე დიდი მწერალი არა ჰყავსო.

გამეცინა. რა შუაშია რუსეთი-მეთქი. გაასწორა – საბჭოთა კავშირსო. ან საბჭოთა კავშირი რა შუაშია, მე ქართველი მწერალი ვარ-მეთქი.

ისე გამაბრაზა მისმა შესავალმა სიტყვამ, კინაღამ დამავიწყდა მასპინძლის მოვალეობა, მაგრამ მერე დავცხრი, როცა გამიმხილა, იქნებ ჩემი ლექსები ქართულად ვინმეს ათარგმნინოთო, ქათინაური რუსებმაც ისწავლეს.

დიდხანს ვისაუბრეთ.

ჩვენც იგივე გასაჭირი გვადგას, რაც თქვენაო.

თქვენ სსრკ-დან გასვლა გინდათ. რუსეთს კი – სოციალიზმიდანო.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ ჭირსო როსტოვში ცხოვრება.

თქვენთან კონსერვები მაინც იშოვებაო.

16/IX 89

დღეს შაბათია.

კოტესთვის ორშაბათს მისატან პიესას ვუკირკიტებ.

რაღაც ახალი აზრები გამიჩნდა.

სპექტაკლი მინდა იყოს და არა ქადაგება-მონოლოგი.

17/IX 89

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა „საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფცია“.

თუ ეს გულწრფელად მთავრობის აზრია და არ არის „სატყუარა“ ხალხის აბმოხების მისაძინებლად, მშვენიერი საქმეა.

ეჭვის თვალით შევცქერი კომუნისტების ზრუნვას ქვეყნისთვის და ერებისთვის.

არ მჯერა!

18/IX 89

გიგა ლორთქიფანიძეს 9 აპრილზე პიესა მივუტანე. ჩანს ასე მოეწონა, რადგანაც რებუსური აზრი შემომთავაზა, სურვილი მაქვს ოდესმე შენი სცენარის მიხედვით გადავიღო მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი 9 აპრილზეო.

უარი არ მითქვამს. თუმცა დარწმუნებული ვარ, უსახსრობის გამო ეს სურვილი ჩქარა გაუნელდება.

„კრიტიკის“ გამოსვლა გვიანდება.

არ შეიძლება ჩემი რედაქტორობა, სიმკაცრეს ვერ ვიჩენ.

19/IX 89

თათია ხაინდრავა მესტუმრა რედაქციაში და თავისი აღსარება გამანდო. 60 წლის ისე მოვიყარე, რომ თეატრში არ შემიშვეს, როლი არ მღირსებიაო. ჩემსავით მსახიობთა მთელი თაობა „მოკლეს“, გაზრდის საშუალება არ მისცეს თეატრალურმა მაფიებმაო.

როგორ დაუტანჯავთ ეს ნიჭიერი ქალი.

დავწერე ყველაფერი, რაც თქვი და დავბეჭდავ-მეთქი.

მართლაც, უნდა ითქვას ამაზე, რომ სხვებს არ არგუნონ მკაცრი ბედი.

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო“...

20/IX 89

მედეა კახიძე, ლევან სანიკიძე და მე ვიყავით დუშეთში.

შეხვედრა გვქონდა.

კარგად ჩატარდა.

ვთქვი, მოსკოვიდან სიკეთეს ნუ ველოდებით, ჩვენვე უნდა მოვიპოვოთ თავისუფლება, უნდა წავართვათ (ან მოვპაროთ) რუსეთს თავისუფლება, ნელ-ნელა უნდა გამოვაცალოთ მძინარეს სასთუმალი და არა დაფ-ღრიალით გავაღვიძოთ-მეთქი კენტავრი.

21/IX 89

მოსკოვში ჩატარდა ცეკას პლენუმი.

გორბაჩოვი თითის ქნევით დაემუქრა მთელს ეროვნულ მოძრაობას.

სსრკ-დან გამოყოფაზე არც იფიქროთ, თორემ გიჩვენებთ სეირსო.

მის მოხსენებაში და შემდეგ რეზოლუციაში არც ერთი საკითხი არ გადაწყდა ხალხის, განსაკუთრებით, მცირე ერების, სასარგებლოდ.

ყველაფერი ძველებურად დარჩა.

გააფეტიშა რუსი. მისცა დიდმპყრობლის უფლებები.

მობრუნდა „უფროსი ძმის“ ინსტიტუტი.

უნივერსიტეტში დღეს კათედრის სხდომა ჩავატარე და ვთქვი საჯაროდ:

ახლა დაიწყება ეროვნული მოძრაობის დევნის პერიოდი. იქნებ რეპრესიებიც მოჰყვეს. არ შეგვეშინდეს. უმწიფარ პოლიტიკანებს ჩვენ უნდა გამოვართვათ დროშა და წარვუძღვეთ ჩვენს ტანჯულ ხალხს-მეთქი.

22/IX 89

მწერალთა კაშვირში შევიტყვე, რომ იტალიაში დარჩა და ამერიკის საელჩოს მოქალაქეობა სთხოვა ვლადიმერ ალფენიძემ.

ვალოდიაზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი, უნიჭო კაციც არ იყო, მაგრამ ეს რამ მოაფიქრებინა, როგორ შეიძლება, რა უნდა გაგიჭირდეს, რომ სხვაგან იცხოვრო. გაიქცე.

თუმცა... სხვა სხვის ომში ხომ ყოველთვის ბრძენია.

23/IX 89

მოვუსმინე „განთავისუფლებას“.

მგონი, ნუგზარ შარია ლაპარაკობდა.

ალფენიძე არ უხსენებიათ; სამაგიეროდ, ტყავი გააძვრეს გორბაჩოვს.

სკკპ-ს ამ ბოლო პლენუზმე უფრო სამარცხვინო რამ არ ჩაუტარებიაო.

ნუთუ, არ უნდა გადადგეს გაკოტრებული მთავრობა?

24/IX 89

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, გოგი ჯავახიშვილმა, დამიბარა: ისრაელში 5-კაციანი დელეგაცია მიდის და მწერლებიდან შენ უნდა ჩაგრთოთო.

რა უნდა გავაკეთო-მეთქი.

ლიტერატურული საღამოები უნდა გამართო, შენი წიგნები აუქციონზე უნდა გავყიდოთ და ფული ქართველ სტუდენტთა უცხოეთში მომზადების ფონდში გადაირიცხებაო.

დავთანხმდი.

25/IX 89

ლევან სანიკიძემ წერილი მომიტანა რობერტ სტურუას შესახებ.

დიდხანს ვყოყმანობდი, დამებეჭდა თუ არა, ბოლოს გადავწყვიტე, რომ ღირს დაბეჭდვა. ბოლოს და ბოლოს, რ. სტურუას სიმართლე უნდა ეთქვას ქართული თეატრის უცხოურ ჰანგზე გადაწყობისთვის, თუმცა მის დიდ ნიჭს პატივი უნდა ვცეთ.

ქართული მწერლობის იგნორირება არ ეპატიება „რობიკოს“.

26/IX 89

„მამულის“ ახალი ნომერი წავიკითხე.

ტარიელ ჭანტურიაა ფაქტიური რედაქტორი, ტარიელის ნიჭის ძალა ამ ბოლო ნომერსაც ეტყობა.

27/IX 89

საზოგადოება „ცოდნამ“ სადისკუსიო კლუბის - „რას ვამბობთ, რას ვაკეთებთ“ პრეზიდენტობა შემომთავაზა.

დავთანხმდი. არ ვიცი, რა გამოვა ამ საქმიდან.

კიდევ ერთი კლუბი კი არა, საქმე სჭირდება საქართველოს.

რეჟისორმა თამაზ მესხმა მითხრა დღეს: შენი რომელიმე პიესის დადგმა მინდაო.

დასადგმელად ჩემი ოთხივე პიესა წაღებული აქვთ რეჟისორებს, მაგრამ ვინ დგამს.

ტყუილი. ტყუილი და ორპირობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

28/IX 89

23 სექტემბრის ნომერში გაზეთ „ქუთაისს“ მესამე გვერდზე კორპუსით დაუბეჭდავს ჩემი ნოველა „კარგად ცხოვრობენ გუბერნატორები?“ ამ ნოველის მთავარი სიმბოლური პერსონაჟი ზვიად გამსახურდიაა. ღმერთმა ნუ ქნას, გამართლდეს ჩემი წინათგრძნობა.

დღეს გამოვიდა რუსთაველის საზოგადოების კიდევ ერთი არაფორმალური გაზეთი „მოძღვარი“. შიგ ჩემი წერილია - „ვინ ამღვრევს წყალს“.

არ უნდა იყოს ურიგო წერილი.

გიორგი ჯიბლაძე გარდაიცვალა.

დღეს დაკრძალვაზე ვიყავი.

29/IX 89

აფხაზეთში და ოსეთში კვლავ მღელვარებაა საქართველოს წინააღმდეგ.

ხმა ჩამოვიდა, ოსებმა გზა გადაკეტეს და ქართველ კაცს „ოსეთის ტერიტორიაზე“ არ ატარებენო.

აი, სადამდე მივედით!

30/IX 89

„ახალგაზრდა კომუნისტში“ ლოვარდ ტუხაშვილის წერილია „ცოცხლებს მოვუხმობ“. ბრწყინვალე წერილია. ამ წერილიდან აშკარაა – რა არის რუსეთი და რუსი ხალხი საერთოდ.

არც ბოლშევიკთა ებრაელი და ქართველი ლიდერებია დატოვებული გაკენწვლის გარეშე.

ერთი სიტყვით, ქართულმა პრესამაც ამოიღო ხმა რუსეთის წინააღმდეგ.

1/X 89

კვირადღეა.

ავად ვარ. გავცივდი, სურდო მაწუხებს.

2/X 89

სწავლა დაიწყო.

დიღომში ახალი სკოლა გაიხსნა. სიტყვა ვთქვი გახსნის ზეიმზე. ახალი სკოლა! ეს ხომ ერის ზეიმია. ესე იგი, ბავშვები არსებობენ. ქართველობა მრავლდება.

გ. გუმბარიძეც იყო. მოეწონა ჩემი სიტყვა. ბატონ რევაზსო, გამოაცხადა, ვთხოვოთო ამ სკოლის შეფობა.

3/X 89

კინოს სახლში ვნახე ესტონელ კინომატოგრაფისტთა დოკუმენტური ფილმი „ჰიტლერ-სტალინი“.

ჰიტლერს და სტალინს – როგორც ტირანებს, ერთ სიბრტყეზე აყენებენ

ბალტიელნი და ორივეს მათს ბედში ერთნაირ დამნაშავეებად თვლიან.

ასეა?

მე პირადად სტალინს ჰიტლერის გვერდით ვერ დავაყენებ.

4/X 89

„სახალხო განათლებაში“ გამოქვეყნდა ჩემი სტატია „რა გვჭირს, რა გვიშველის“,

შეუკრეჭ-შეუმცირებიათ, მაგრამ რაც დარჩა, მაინც იკბინება – არ ვინდობ გადამთიელ თავხედ ერებს.

მირეკავს მთელი თბილისი.

ვიღაცამ მითხრა; არ გეშინია, ტერორი რომ დაგინიშნონო?

რა დროს შიშია, ქვეყანა იღუპება.

5/X 89

დღეს დასავლეთ ევროპელთა ფაკულტეტზე ლექცია წავიკითხე. შევეხე მარქსიზმის 4 ნაკლოვანებას.

რა ყურადღება-აღფრთოვანებით მისმენდნენ სტუდენტები.

თათბირი გვქონდა მინისტრ გოგი ჯავახიშვილთან – საგარეო საქმეთა სამინისტროში.

მოხსენება უნდა წავიკითხო ისრაელში სიმპოზიუმზე – „თანამედროვე ქართული მწერლობა“.

საღამოს მიშა ქვლივიძემ, თემურ ჩალაბაშვილმა და მხატვარმა ვახტანგ გულისაშვილმა ვისაუბრეთ „ჭიქა ჩაიზე“.

6/X 89

დღეს თბილისში დაარსდა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი.

ეს დიდი საქმეა. კიდევ ერთი ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ.

თუ ევროპამ მხარი დაგვიჭირა, ჩვენი სპორტსმენები მსოფლიო არენაზე გამოვლენ არა როგორც სსრკ-ს, არამედ როგორც საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები.

„ლიტ. საქართველოში“ დაბეჭდილია დიალოგი მერაბ კოსტავასთან.

მერაბი მის მიერ 2 წლის წინათ წამოყენებულ თეორიას სიტყვა-სიტყვით იმეორებს: „ჯერ დემოგრაფიული გაწმენდა, მერე გამოყოფისათვის ბრძოლა“.

7/X 89

დღეს შაბათია.

მიშა ყანდაშვილის (ექიმი, 1951 წლის რეპრესიების მსხვერპლი, ბრწყინვალე ინტელიგენტი) წლისთავზე გახლდით. ცრემლი მომდიოდა, მის ეულ საფლავს რომ დავცქეროდი.

ნუთუ აქ თავდება ყველაფერი?

საღამოს, ჩემს ცხოვრებაში პირველად, რადიკულიტმა შემომიტია ისე, რომ ნაბიჯი ვერ წავდგი.

სიბერემდე – სიქაჩლეო.

8/X 89

მთელი ღამე თეთრად გავათენე.

რადიკულიტი?

„სასწრაფო“ გვყავდა.

რადიკულიტს, თურმე, ჩვენი მედიცინა ვერ მკურნალობს.

სხვას რას მკურნალობენ!

ჯოჯოხეთური ტკივილები მაქვს.

ეს მინდოდა ჩემი საქმეების გადამკიდეს?

რადიკულიტი რატომ უნდა ყოფილიყო ჩემი ცურვის, ჩოგბურთის, ჩემი სპორტსმენობის ლოგიკური შედეგი?

კაცმა არ იცის, რა სჯობია.

სოსოია ბუხაიძეს მის სიცოცხლეში ხელი არ გაუქნევია.

აჩიკომ მასაჟი გამიკეთა, ცოტა მომეშვა.

9/X 89

დღეს მინისტრთა საბჭოში დაგვიძახეს მწერლებს და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებს.

საკითხი იდგა პუშკინის ინსტიტუტის სახელწოდების შესახებ. ამ ორიოდე კვირის წინ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მოთხოვნით ინსტიტუტს ეწოდა სულხან-საბა ორბელიანის სახელი.

როგორც გაირკვა, მოსკოვი განრისხებულა ამაზე. ახლავე დაუბრუნეთ სახელიო.

საოცარია, ჩვენგან მთავრობა თანაგრძნობას ელოდა, მაგრამ არ გამოუვიდათ.

ყველამ ერთხმად დავიცავით სულხან-საბა და პუშკინის პატივისცემის მიუხედავად ინსტიტუტს სახელი შევუცვალეთ.

ვნახოთ, სამაგიეროს როგორ გადაგვიხდის მოსკოვი!

მერაბ კოსტავამ თქვა მქუხარე სიტყვა მისებურად, ნერვიულად.

მოიტანა ციტატები რუსი კლასიკოსების (და მათ შორის, სამწუხაროდ, თვით პუშკინის) ნაწერებიდან საქართველოს ზემოდან რომ დასცქერიან, ქედმაღლურად რომ ელაპარაკებიან და ბუსურმანების ბნელ ქვეყანას ეძახიან.

არ მეგონა-მეთქი, ვუთხარი მერაბ, თუ ასე კარგად იცოდი რუსული ლიტერატურა. გაიცინა. ციხეში მეტს რას ვაკეთებდიო.

10/X 89

გამსახურდიამ და კოსტავამ რუსთაველზე მიტინგი ჩაატარეს.

ვესწრებოდი. სიტყვის თქმა მსურდა, მაგრამ ხმა ვერ მივაწვდინე.

დააყენეს საკითხი ასე: ქართველმა ახალგაზრდობამ უარი განაცხადოს სამხედრო სამსახურის სხვაგან მოხდაზე.

ბოიკოტი რუსულ არმიას!

11/X 89

ბაზარზე გამოვიდა ჩემი წიგნი „ცხელ გულზე დაწერილი პიესები“. 4 პიესა შევიტანე.

ვნახოთ, როგორ მიიღებს მკითხველი.

თეატრებმა როგორ მიიღეს? ორი დაიდგა, ორი – ჯერჯერობით ვერა.

ზოგიერთ რუსაპეტა ქართველ რეჟისორს ქართული პიესები არ მოსწონს.

12/X 89

დღეს გალაკტიონის სემინარი ჩავატარე.

დავით თევზაძემ წაიკითხა მოხსენება: „ახალი თვალსაზრისი გალაკტიონის რევოლუციასთან დამოკიდებულებაზე“. გალაკტიონიო რევოლუციას აღტაცებით არ შეხვედრიაო. სწორია.

საღამოს „ცოდნაში“ შეხვედრა მქონდა.

შოთა ძიძიგურმა გახსნა და დიდი შესავალი სიტყვა თქვა.

არ მეგონა, თუ ასე ვუყვარდი.

„ცოდნის“ მდივანმა, ავთანდილ სვანმა, ოთხი თვით ადრე მომილოცა 50 წლის შესრულება. ბატონმა შოთამ „ცოდნის“ სიგელი გადმომცა.

მიყვარს „ცოდნა“ და ყოველთვის სიამოვნებით ვთანამშრომლობ მასთან.

13/X 89

გამოვიდა ქუთაისის ლიტერატურული გაზეთი „უქიმერიონი“ – რედაქტორია თეიმურაზ ლანჩავა.

ძალიან მიხარია.

პირველივე ნომერში ჩემი ნოველა „ცხოვრება“ დაუბეჭდავთ.

დღეს კარგი დღეა. მაცნობეს, რომ „ცისკრის“ რედაქტორად ჯანსუღ ღვინჯილიას ნაცვლად ჩემი დეიდაშვილი იორამ ქემერტელიძე დანიშნა მუხრანმა.

იორამი კარგი ბიჭი და კარგი პოეტია. თუმცა, ვერ დავუკარგავ, ჯანსუღი კარგი რედაქტორი იყო.

ახლა, ამ წუთში ყველაფერი ჩამამწარეს:

ჩემმა ცოლმა-ნათელამ, ამბავი მომიტანა, მერაბ კოსტავა ავარიაში მოხვედრილა და გარდაცვლილაო.

გავგიჟდები, თუ ეს ჭორი არ აღმოჩნდა.

რა უბედურებაა!

14/X 89

მერაბ კოსტავას გარდაცვალების ამბავი მართალი აღმოჩნდა.

მთელი დღე ქუჩაში გაოგნებული დავდივარ.

მოწამლული, მოშხამული მაქვს გული და გონება.

ხარაგაულთან კატასტროფაში მოხვედრილა.

იქნებ მოახვედრეს?

„კომუნისტში“ დღეს დაიბეჭდა ჩემი ნოველა „უფასო პანსიონატი“, მაგრამ არ გამხარებია.

ამ დღეებში ვერაფერი ვერ გამახარებს.

საქართველოს მოსისხლე მტერი – ოზგანი გუდაუთის აღმასკომის თავმჯდომარედ აურჩევიათ.

თუ ეს მართალია, ყველაფერი დამთავრებულია!

რუსეთს საბოლოოდ უნდა გავემიჯნოთ.

იმ რუსეთს, რომელიც ქართველთა სისხლის დაღვრისთვის ნამუსგარეცხილ მოხელეს ციხეში კი არ სვამს, არამედ აწინაურებს.

მიკვირს, გული რომ არ მისკდება.

თუმცა, თავს ცუდად ვგრძნობ. ძალიან ცუდად.

ნეტა ყველაფერი დამთავრდებოდეს. აღარ შემიძლია საქართველოს დაღუპვას ვუცქირო.

საკუთარი უმწეობის გრძნობა ყელში მიჭერს, სუნთქვა მეკვრება.

15/X 89

რეჟისორი კანდიდ გურგენიძე მეწვია.

თუ გაქვთ რამე, ახალი პიესა დასადგმელად მომეცითო.

ნიჭიერი კაცია, მაგრამ მაინც უარი ვუთხარი.

არ ვარ თეატრის ხასიათზე.

საერთოდ ყველაფერი სისულელედ მეჩვენება.

16/X 89

მერაბ კოსტავას ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგს დავესწარი.

ზვიად გამსახურდიამ მოითხოვა: მთაწმინდაზე დაიკრძალოსო.

მისი სახელი რომელიმე პროსპექტს ეწოდოსო.

ქალაქში ძეგლი დაიდგასო.

ბოლშევიკებს ვაკრიტიკებთ, განდიდების მანიით იყვნენ შეპყრობილნიო და ჩვენ იგივეს ხომ ვაკეთებთ?

ახლა ზვიადს რომ შევთავაზო; თბილისს სახელი გადავარქვათ და ამიერიდან კოსტავა ვუწოდოთ-მეთქი, ალბათ, დამეთანხმება.

კოსტავა ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი იყო თანამედროვე რევოლუციურ ბრძოლაში.

იქნებ რაიმე დიდი ნაშრომები დაგვიტოვა, ან ერის ხსნის ახალი კონცეფცია შემოგვთავაზა?

არ ვიცი, არ ვიცი...

მთაწმინდა?

მერაბის ილიას გვერდთი დაკრძალვა არ ეხამუშება ზვიადს.

იქნებ მართალია.

მერაბი მართლაც გმირია, მაგრამ მთაწმინდა?

17/X 89

სასწრაფოდ მოსკოვში გამომიძახეს. ქართულ მწერლობაზე სიტყვა უნდა ვთქვა წიგნის მოყვარულთა ყრილობაზე.

რა დროს მოსკოვია-მეთქი.

აფსუები და ოსები აპირებენ ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლას და შენ უნდა უპასუხოვო.

რა გაეწყობა, უნდა წავიდე, მხოლოდ იმ პირობით თუ კოსტავას დაკრძალვის დღეს, შაბათს, თბილისში ვიქნები.

18/X, 19/X, 20/X, 21/X 89

მოსკოვს გავფრინდი.

ჰაერში გამოგვიცხადეს, ბენზინის უკმარისობის გამო თვითმფრინავი როსტოვში უნდა დავსვათო.

გაგიგონიათ ასეთი რამ?

ჩავფრინდით საღამოს მოსკოვში მე და აჩიკო. ვიცოდით, რომ „ოსტანკინო“ – სასტუმროში გვქონდა ბინა. ღამის სამ საათამდე არ დაგვაბი-

ნავეს. არ გვაქვს ადგილიო. ვიჯექით მოსაცდელში თავმიდებულები.

დავურეკე პლენუმის ორგანიზატორს. რას ჰგავს-მეთქი ეს? ჩვენ სრულიადაც არ გვეხალისება მოსკოვში ჩამოსვლა, თუ ღამის გასათევი არა გაქვთ, რატომ გვეძახით-მეთქი.

გადავწყვიტე, არ დავესწრო პლენუმს, პროტესტის ნიშნად ხვალვე უკან გავბრუნდე.

ასეც მოვიქეცი.

მეორე დღესვე ვიშოვე ბილეთი და მატარებლით გამოვბრუნდი თბილისში.

ასე რომ, მოსკოვს (!) მხოლოდ ერთი დღე გახლდით.

იმ იმედით წამოვედი, რომ კოსტავას დაკრძალვას ჩამოვუსწრებდი თავისუფლად. მაგრამ მატარებელმა ზუსტად 18 საათი დააგვიანა და დაკრძალვას ვერ დავესწარი.

მთაწმინდაზე დაუკრძალავთ.

იქნებ სწორად მოქცეულან? იქნებ ამით წაახალისეს საქართველოს გათავისუფლებისთვის ყველა მებრძოლი?

დღეს ჭკვიანმა კაცმა შენი ქვეყნიდან ფეხი არ უნდა გადგა.

საშინელებაა მოსკოვი. ასანთიც კი ძნელი საშოვნია.

ყოველ ნაბიჯზე გაბოროტებული, ნერვებმოშლილი ადამიანები გვხვდებიან.

აფსუებმა რკინიგზის ლიანდაგი აჰყარეს, მატარებელმა თბილისამდე 18 საათი დააგვიანა და პასუხს არავის სთხოვენ.

მატარებლის კონდუქტორებს არ აძლევენ ჩაის, შაქარს, ნამცხვარს, როგორც ადრე აძლევდნენ.

მატარებელში გათბობა არ არის.

უპატრონობა გამეფებულა მთელს ქვეყანაში და სულელი გორბაჩოვი გაზეთ-ჟურნალების რედაქტორებს თითს უქნევს; რა თავს გაგივიდათო.

ნუთუ, ახლა მაინც არ დადგა საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელი დღე?

22/X 89

კვირაა.

„განთიადი“ მივიღე. ჩემი ორი ნოველაა დაბეჭდილი.

ერთს ჰქვია „როდემდე“.

1988 წლის ნოემბრის დღეებზეა დაწერილი.

23/X 89

გამოვიდა „კრიტიკის“ №5.

გადავიკითხე.

ლევან სანიკიძის წერილში მკაცრადაა გაკრიტიკებული რეჟისორი რობერტ სტურუა. არც ჩემი მინაწერი აკლებს ხელს.

რობერტ სტურუა ნიჭიერი რეჟისორია, მაგრამ მის ბოლო სპექტაკლებს ეროვნული სული არა აქვს. ქართულ მწერლობას პატივს არ სცემსო, წერს ლევანი.

მისმა თეატრმა დაკარგა ეროვნული სახე და მოხეტიალე დასად იქცაო.

იქნებ ავჩქარდი მე, როგორც რედაქტორი, მაგრამ ეროვნულობის ღალატს ვერავის ვაპატიებ. არა უშავს. იქნებ, მოუხდეს რობიკოს ეს მცირე წკიპურტი.

24/X 89

შეხვედრა მქონდა თბილისის სამკერვალო ფაბრიკაში.

ვუამბე იმ საშინელ ეკონომიურ კრიზისზე, რაც მოსკოვიდან თბილისამდე მგზავრობისას ვიხილე.

ხალხი სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი.

25/X 89

ჩავატარე სადისკუსიო კლუბის პრეზიდიუმის პირველი სხდომა. შევადგინეთ გეგმა. პირველი სხდომა დავნიშნეთ 27 ოქტომბერს.

მინდა ეს კლუბი იქცეს ერთგვარ დამკვალიანებლად ჩვენი ეროვნული მოძრაობისა.

პირველ დისპუტზე მომხსენებლად გამოვყავი პროფ. გ. მუჩაიძე, პროფ. ვლ. გულუა, დოც. გ. ფაცაცია.

ვნახოთ, რა გამოვა.

26/X 89

დიდი გამოხმაურებაა რობერტ სტურუას „ჭკუის სწავლებაზე“.

„როგორ გაუბედეთო“, მირეკავენ მისი მეგობრები.

„შენ გენაცვალეო“, მირეკავენ მასზე განაწყენებულნი.

არც პირველი მწყინს, არც მეორე მიხარია.

მე, რაც მჯეროდა ის დავწერე.

ხმა გავრცელდა, გუმბარიძე მოსკოვს გადაჰყავთო.

ვინ იცის, ვინ მოვა.

27/X 89

დღეს პირველი დისკუსია გავმართეთ. „ცოდნის“ დიდ დარბაზში.

პირველი სიტყვა ვთქვი, როგორც პრეზიდენტმა და დისკუსიას მიმართულება მივეცი.

სიტყვებით გამოვიდნენ გურამ მუჩაიძე, ვლადიმერ გულუა, გერმანე ფაცაცია, გურამ ყორანაშვილი, რომან გოცირიძე, შოთა ნადირაშვილი, გურამ პეტრიაშვილი...

დისპუტმა კარგად, მღელვარედ ჩაიარა.

შევიმუშავეთ და იქვე წავიკითხეთ სადისკუსიო კლუბის რეკომენდაციები. პირველი დისკუსიის თემა იყო: „რა ვიღონოთ ეროვნული მოძრაობის ქმედითობისათვის?“

რეკომენდაციაში, რომელიც ალბათ, დაიბეჭდება, აბსოლუტური მხარდაჭერაა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ.

28/X 89

შაბათია.

„კრიტიკისათვის“ მოწინავეს ვწერ.

უგემური ამინდია.

ახლა დაიწყება შემოდგომის გრძელი წვიმები.

29/X 89

შოთა ნიშნიანიძე და მე ერთი თანამდებობის პირის ოჯახში სტუმრად მიგვიწვიეს.

გავუარე შოთას და წავედით.

დამნიშნეს თამადად.

პირველი სადღეგრძელო საქართველოსი დავლიე და შევეხე იმ ვითარებას, რაც ახლა საქართველოშია შექმნილი.

სუფრას თხუთმეტი კაცი უჯდა.

მინისტრები და მინისტრის მოადგილეები. ორიოდე ქალი.

ერთმა სტუმართაგანმა განაცხადა; მწერლების წვლილით ამ ახალ მოძრაობაში კმაყოფილი არ ვარო.

როცა ჩავეკითხე, მწერლობაზე ზოგადი ლაპარაკი არ გეკადრებათ, თუ კონკრეტულად ვინმეს გულისხმობთ, უნდა თქვათ, თორემ, არა მგონია, თქვენი სიტყვა გავრცელდეს მწერლებზე: შ. ნიშნიანიძეზე, მ. მაჭავარიანზე, მ. ლებანიძეზე, ნ. წულეისკირზე, ჩემზე, აკაკი ბაქრაძეზე, ზვიად გამსახურდიაზე-მეთქი.

როგორ, ეს ორი უკანასკნელიც მწერლები არიანო? საერთოდ მე მგონია, მწერლები ცეკას მარჯვენა ხელს წარმოადგენენ და ისევე ატყუებენ ხალხს, როგორც კომუნისტური პარტიაო.

გავცხარდი და წამოვდექი; როცა მწერალს აუგად ახსენებს ის, ვისაც არაფერი წაუკითხავს ამ ბოლო წლებში ქართველი მწერლის ნახელავი, მე არავითარი სურვილი არა მაქვს მისი თანამესუფრე ვიყო-მეთქი. ვატყობ, ამ ბოლო დროს ნერვები მღალატობს. არ უნდა ავყოლოდი, ჩემი ბრალია.

ხვეწნა-მუდარით დამაშოშმინეს მასპინძლებმა.

მერე ძალით შუბლის გახსნა ვერ შევძელი, გულმოსულად, უამურად წავიყვანე სუფრა.

შოთა ნიშნიანიძე და სოსო პაიჭაძე (პროზაიკოსი) წამომეშველნენ – პირდაპირ უთხრეს იქ მყოფთ; ეს სახალხო მოძრაობა ჩვენი დაწყებულია, ჩვენ გადავაგდეთ (მწერლებმა) ერში თავისუფლების თესლი, რაც შეეხება რევაზ მიშველაძეს, მან ერთ-ერთმა პირველმა აღმართა მახვილი უსამართლობის წინააღმდეგ, იგი დღეს გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი წინამძღოლია და, კეთილ ვინებოთ, მწერლის ხსენებისას, იმაზე დავფიქრდეთ, გაქვთ მორალური უფლება მრავალტანჯულ მწერლებზე ლაპარაკობდეთო?

მაინც საიდან გაჩნდა „ობივატელში“ ასეთი აზრი?

სხვათათვის ჩირქის მოცხებით ისინი საკუთარი უმწეობის; საკუთარი სახის დამალვას ხომ არ ცდილობენ?

30/X 89

დღეს, ადრე დილით, მთავრობის სასახლის წინ სარემონტო ფიცრის ღობე მოანგრიეს ახალგაზრდებმა და მჯდომარე დემონსტრაცია გამო-

აცხადეს.

მათი მოთხოვნებია: უარი ეთქვას სამხედრო უწყებას ქართველი ახალგაზრდების საქართველოს ფარგლებს გარეთ ჯარისკაცად გაწვევაზე.

ბოიკოტს ვუცხადებთო საქართველოს მთავრობას აფსუა ექსტრემისტების დაუსჯელობისათვის.

ორივე მოთხოვნა სამართლიანია.

ვესაუბრე მთავრობის თავმჯდომარეს ნოდარ ჭითანავას.

რაშია საქმე; რატომ აღიზიანებთ ახალგაზრდებს, რატომ არ იჭერთ აფსუა მკვლელებს, რატომ აგზავნით რუსის საოკუპაციო არმიაში ქართველებს-მეთქი.

თუ აქამდე მეცოდებოდა ნოდარ ჭითანავა, დღეს არ შემცოდებია, რადგანაც ვიგრძენი, რომ ამ პატიოსან კაცსაც კი ტყუილის თქმა უსწავლია.

მჯდომარე დემონსტრაცია გრძელდება.

31/X 89

შეხვედრა მქონდა თბილისის №3 სამედიცინო სასწავლებელში.

მოვუწოდე ახალგაზრდებს, შეუერთდნენ მთავრობის სასახლის წინ მჯდომარე დემონსტრაციას. ავუხსენი „არაფორმალთა“ მოთხოვნების სამართლიანობა. მთავრობა გვატყუებს, დროის გაყვანის პოლიტიკას ადგას, ჩვენ კი წერტილი უნდა დავუსვათ ყალბ იმედებს და ილუზიებს, ჩვენ თვით უნდა გავიჩინოთ ჩვენი სამართალი-მეთქი.

1/XI 89

„თბილისის“ კორესპონდენტი მესტუმრა და ინტერვიუ ჩამომართვა.

ვთქვი ჩემი აზრი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. საქართველოში დისლოცირებული არც ერთი საბჭოთა ჯარისკაცი არ გაეკაროს დემონსტრანტებს, მთავრობის საქმე ახლა მხოლოდ ის არის, რომ ხელი შეუწყოს ამ ბრძოლას, დაანებოს თავი მოსკოვთან რევერანსებს-მეთქი.

2/XI 89

კათედრის წევრებს განვუცხადე, რომ პირველად ჩემს სიცოცხლეში არ ვზეიმობთ მოგონილ ზეიმს, ყალბ ზეიმს – 7 ნოემბერს-მეთქი.

საღამოს შეხვედრა მქონდა წინდების ფაბრიკაში.

მუშებს მოვუწოდე, მხარი დაუჭირონ აქციებს.

3/XI 89

შეხვედრა გვქონდა თბილისის სპორტულ ნაკეთობათა ფაბრიკაში გოგი გაჩეჩილაძეს, ირაკლი კენჭოშვილს და მე.

კვლავ პოლიტიკა იდგა ყურადღების ცენტრში.

ჩვენ ხომ ახლა ყველანი პოლიტიკურ მიმომხილველებად ვიქეცით.

ირაკლიმ თქვა: სოციალიზმის მარქსისტული თეორია თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ სსრკ-ში ვერ განვახორციელეთო.

არ დავეთანხმე. სწორედ მარქსიზმია ჩვენი დადმღუპველი-მეთქი და ჩემ შეზღუდული ცოდნის ფარგლებში დავამტკიცე მარქსიზმის უტოპიურობა.

4/XI 89

კვირაა.

რადიო და ტელევიზია „გვიმტკიცებენ“, რომ ძნელი ზამთარი გვექნება.

არ გვყოფნის სურსათი, ელექტროენერგია.

შაბათ-კვირის ადგილას ოთხშაბათ-ხუთშაბათი გადმოიტანეს. ეს გვიშველის?

ვიყავი შოთა ხაჯალიას ცოლის ორმოცზე.

საწყალი შოთა, ტიროდა. 75 წლის ასაკში განსაკუთრებით ძნელია მეუღლის დაკარგვა.

საღამოს დემონსტრანტებთან დავყავი 2 საათი. დიდხანს აგრძელებენ მიტინგს.

5/XI 89

მივედი და დიდხანს ვესაუბრე დემონსტრანტებს. ჩავჯექი მათ შორის.

შემომეხვივნენ, ბატონო რევაზ, თორმეტი დღეა აქა ვზივართ და თქვენს გარდა მწერალი არ გვინახავსო, ერთმა ქალმა.

მწერლის საქმე აქ ჯდომა არ არის, ქალბატონო, მწერლის საქმე წერაა-მეთქი. მე თუ მოვდივარ, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შემიძლია. საეთროდ, მწერლის დაწყებულია ეს თავისუფლებისთვის ბრძოლა. ლიდერები – ზვიად გამსახურდია, ნოდარ ნათაძე და აკაკი ბაქრაძეც ხომ მწერლები არიან-მეთქი.

6/XI 89

მოხდა, რისაც ძალიან მეშინოდა.

წუხელის, გვიან ღამით დემონსტრანტებმა აყარეს ბანაკი და სამად გაიყვნენ: ერთი ნაწილი სპორტის სასახლის წინ დაჯდა, მეორე კინოსახლთან შეიკრიბა, მესამე ნაწილი – ქართველთა მცირე ჯგუფი (აფხაზეთიდან ჩამოსულნი), სამხატვრო გალერეის წინ დარჩა.

დილიდანვე აქ ვარ. იღებენ ლეიბ-საბნებს, კარვებს, რაშია-მეთქი საქმე?

გამსახურდიას, ჭანტურიას და წერეთელს ჩხუბი მოუვიდათო.

ეს მერამდენედ ვერ თანხმდებიან.

აკი შერიგდნენო?

როგორ შეიძლება კინკლაობა ასეთი დიდი ეროვნული საქმის დროს?

მთავრობის სასახლიდან უკანდახევა დიდი მარცხია ჩვენი მოძრაობისთვის.

შუაღამისას კვლავ გავედი სამხატვრო გალერეის წინ შეგროვილ დემონსტრანტებთან.

ფეხი არ მოიცვალოთ-მეთქი, ხალხს მივმართე. ეს გათიშულობა დაღუპავს-მეთქი ჩვენს მოძრაობას, ყურიც არ მათხოვეს.

7/XI 89

რობერტ სტურუას კრიტიკის გამო ახალგაზრდა თეატრმცოდნეებმა მიპასუხეს „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებიდან.

უნდა მოვიცალო და ვუპასუხო, სხვა გზა არ არის.

ღამით „ამერიკის ხმამ“ გადმოსცა, მოსკოვში ოციათასკაციანი დემონსტრაცია გამოსულა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

8/XI 89

დავესწარი გოგი ქავთარაძის თეატრის სპექტაკლს „ერთი ცის ქვეშ“.

პიესა, დრამატურგია არ არის – კონცერტია.

9/XI 89

„კომუნისტმა“ დაბეჭდა კინემატოგრაფისტთა კავშირის გამოხმაურება „კრიტიკაში“ რობერტ სტურუას „ხელჰყოფაზე“.

რუსულად „განატლებული“ „კინოშნიკები“ იცავენ სტურუას. სტურუას სიყვარულს მე ვინ მასწავლის, მაგრამ ილია ჭავჭავაძესაც ხომ აკრიტიკებდნენ?

„ვაი, სირცხვილო, სადღა არის შენი სიწითლე“.

10/XI 89

გაზეთ „თბილისში“ ჩემი ინტერვიუ დაიბეჭდა.

მესაუბრა ნარგიზა მგელაძე.

შევუტიე საქართველოს ხელისუფლებას.

დიდი გაბედულება იყო "თბილისის“ რედაქტორისგან მისი დაბეჭდვა.

ვამბობ; სანამ უნდა ვატყუებდეთ-მეთქი ქართველ ხალხს, სანამ შეიძლება ქართველის მოკვლა საქართველოში კანონით არ ისჯებოდეს-მეთქი.

რატომ იჩენს-მეთქი ასეთ გულდედლობას საქართველოს მთავრობა?

11/XI 89

მსახიობ პავლე ნოზაძის შვილის ქორწილში გახლდით.

სანდრო მრევლიშვილმა, „სწორი ხარ, მაგრამ „კრიტიკის“ რედაქტორის მინაწერში გაცხარებული ტონი გეტყობაო“.

რა ვიცი.

მე ასე ვფიქრობ: „როგორადაც უნდა ეწყინოს რობიკოს, ის მაინ გავაკეთე, რომ მომავალში დაფიქრდება და საქართველოსკენ მოიხედავს; თავისი საწყალი, უბედური საქართველოსკენ.

12/XI 89

შუაღამემდე ტელევიზიაში დავყავი.

რეჟისორ უშანგი კაპანაძესთან ერთად ა/წ 23 მაისს ჩატარებული ჩემი საღამო გადავწერეთ ტელეფირზე.

ექვსი თვეა ტელევიზიაში უდევთ ეს ფირი და ეშინიათ გაშვება.

ახლა იქნებ დაადგეს საშველი, მაგრამ მიანც არა მჯერა.

არ მჯერა იმიტომ, რომ ტელევიზიაშიც, როგორც თეატრში, უამრავი ტყუილი იციან.

გადაცემაში მარქსიზმ-ლენინიზმის შეცდომებზეა ლაპარაკი და ეს არ აძლევდათ ხელს.

„ვრემიამ“ გადმოსცა მოლდავეთში მილიციასა და დემონსტრანტებს შორის შეტაკების ამბავი.

150 კაცი დაშავდაო. რამდენი დაილუპა, ამას ჯერ არ აცხადებენ.

13/XI 89

„მერანს“ ჩავაბარე ნოველების კრებული „განაჩენი“.

ამ წიგნში საქართველოს ბოლო ორი წლის ცხოვრებაა დახატული.

რედაქორმა ლია არაბიძემ დღეს დამწუხრებულმა მითხრა: მეშინია ამ წიგნს „მთავლიტი“ არ გაუშვებსო.

ვნახოთ.

14/XI 89

„ახალგაზრდა კომუნისტში“ დაბეჭდილია ჩემი პასუხი – „ღია წერილი“ ახალგზარდა თეატრმცოდნეებს. იქვეა თეატრის მოღვაწეთა კავშირის წერილი. „თეატრალები“ კბილებს აღრჭიალებენ. ყოველგვარი ხერხით ცდილობენ რობერტ სტურუას გამართლებას, მაგრამ ვერ ახერხებენ.

ჩემი წერილიც მკვახეა, გაბრაზებული ტონითაა დაწერილი, მაგრამ „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“, „თეატრმცოდნე“ ახალგაზრდებმა გამომიწვიეს. ორი აზრი არ არსებობს იმის შესახებ, რომ „დაჯგუფება“ ერთი რამითაა გამოწვეული. ხვალ ჩვენც მოგვწვდებაო.

მეუბნებიან, შენს წინაალმდეგ ამ კომპანიას კაკული ვასაძე ხელმძღვანელობსო. მართალი იქნება.

15/XI 89

„კრიტიკის“ რედკოლეგიის სხდომაზე შევიმუშავეთ კოლექტიური წერილი – „კრიტიკის“ რედაქციის განცხადება“.

აკაკი გაწერელიამ განაცხადა: მე თანამედროვე თეატრს კარგად ვიცნობ და უნდა მოგახსენოთ, რომ რაც „კრიტიკის“ №5–შია, სრული ჭეშმარიტებაა.

რედკოლეგიამ მღელვარედ ჩაიარა.

16/XI 89

„ცოდნის“ დიდ დარბაზში ჩემი კლუბის („რას ვამბობთ, რას ვაკეთებთ“) დისპუტი ჩავატარე.

ოთხ საათს გაგრძელდა.

გამოვიდნენ სოსო ცინცაძე, გიორგი ჟორჟოლიანი, ქართლოს ღარიბაშვილი და სხვანი.

სტუდენტმა დათო არაბიძემ განაცხადა, თეატრის საკითხში მიშველაძეს აბსოლუტურად ვეთანხმებიო.

ეს იმას ნიშნავს, რომ მართალი ვარ.

სხვა არაფერი მაინტერესებს.

დისკუსიაზე შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რომელიც ხვალ სესიას უნდა მოვახსენო.

17/XI 89

დღეს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს სესია გაიხსნა.

მივედი დილით. მეგონა, როგორც რედაქტორს, შემიშვებდნენ. თქვენც არ მომიკვდეთ. კარი მომიხურეს.

რეკომენდაციები, რომელიც უნდა მეთქვა, კარებში მდგომ რეფერენტს გადავეცი გუმბარიძისთვის გადასაცემად.

ჩვენი კლუბი მოითხოვდა ქართული საჯარისო ფორმირებების შექმნას და ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულების გაუქმებას.

ვნახოთ, რას იზამენ.

გუმბარიძე აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად.

18/XI 89

შაბათია.

ვწევარ. ფეხი მტკივა საშინლად.

მთელი დღე სესიას ვუცქერი.

რბილად მიდის.

არაფერი სახეირო ამ პარლამენტისგან არაა მოსალოდნელი.

სესია დამთავრდა. ლაყბობის მეტი არაფერი მომხდარა.

19/XI 89

კვირაა.

გურამ პეტრიაშვილმა დამირეკა და ტელეფონში ორ საათს მელაპარაკა.

ყველაფერში გეთანხმებიო. მართლაც, რომ ძნელი, მაგრამ საჭირო ბრძოლა წამოიწყეო. ეს ჩვენი სახელოვანი წისქვილები ეროვნულ ბრძოლაში თუ არ ჩავაყენეთ, არაფერი გამოგვივაო.

საღამოს ტელევიზორში თეატრმცოდნე ნათელა არველაძემ თქვა: ქართულ თეატრს თითქოს სძინავსო, 9 აპრილი მოხდა და თეატრში ამ თემაზე სიო არ იძვრისო.

აბა, სხვა რა ვთქვი მე, ასე ჯგუფურად და ენერგიულად რომ დამესხნენ თავს?

20/XI 89

ტელეფონის ყურმილის აღებას ვერ ავუდივარ, იმდენი მირეკავს და მიცხადებს, რომ მართალი ვარ.

ამ დარეკვით ყველაფერი მთავრდება. არავის მოსდის აზრად, კოლექტიური წერილი დაწეროს. ამასობაში კი უტიფრობა თავის საქმეს აკეთებს. უნიჭობა მუდამ ერთადაა.

ღამით ექსტრასენსი კაშპიროვსკი ტელევიზიით ხალხს ატყუებდა.

21/XI 89

უფერული, უინტერესო დღე იყო.

საღამოს „ნოვი მირში“ დაბეჭდილი №8,9,10 „არხიპელაგ გულაგის“ კითხვა გავაგრძელე.

ღმერთო, რა საშინელებანი გამოგვივლია. რა ურჩხულად გამოიყურება ლენინი.

22/XI 89

მწერალთა კავშირში მუხრან მაჭავარიანმა პრეზიდიუმი მოიწვია.

მოულოდნელად, ჩემთან შეუთანხმებლად განაცხადა: ახლა „კრიტიკის“ შესახებ ვილაპარაკოთო.

მუხრანის მერე ტარიელ ჭანტურიამ გამაკრიტიკა რობერტ სტურუას გაკრიტიკების გამო.

მას მხარი აუბეს: ოთარ ჭილაძემ, ოთარ ჭელიძემ.

დამიცვეს შოთა ნიშნიანიძემ, გურამ ფანჯიკიძემ, ენვერ ნიჟარაძემ, ჯანსუღ ღვინჯილიამ, რომან მიმინოშვილმა...

ბოლოს მუხრანმა ბრძანა მიშველაძემ სტურუას საჯაროდ ბოდიში უნდა მოუხადოსო.

უარი ვთქვი; თქვენ ის პრეზიდიუმი ხართ, ზვიად გამსახურდია რომ ერთხმად გარიცხეთ-მეთქი.

23/XI 89

შეხვედრა მქონდა მედიცინის მუშაკთა კულტურის სასახლეში.

ჩინებულად ჩაიარა.

მკითხეს სტურუაზეც.

საღამოს მეტად უსიამოვნო ამბავი შევიტყვე: ოსეთში სამიტინგოდ წასული ჩვენი ახალგაზრდები რუსის ჯარს ცხინვალში არ შეუშვია და, თურმე, ღამეს იქვე, მინდორში (ამ სიცივეში) ათევენ!

ასე ზრუნავს საქართველოსთვის რუსის მთავრობა!

24/XI 89

მთელი დღე რუსთაველის პროსპექტზე გავატარე.

მთელი თბილისი აქ არის.

ხალხი დრტვინავს. ბორგავს. მოითხოვენ გამყიდველი მთავრობის გადადგომას რომელმაც ცხინვალში ჩასულ ქართველებს რუსის ჯარი დაახვედრა.

ჩაატარებდნენ მიტინგს ცხინვალში და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. ჩანს, ვიღაცას ხელს აძლევს სისხლისღვრა.

გვიან ღამით შევიტყვეთ, რომ სიცივისაგან გათოშილი, მშიერი ქართველები უკან დაბრუნებულან.

მადლობა ღმერთს, უსისხლოდ გადავრჩით.

25/XI 89

„ახკომში“ დაბეჭდილია წერილი გურამ გვერდწითელის, ემზარ კვიტაიშვილის, გურამ ბენაშვილის, აკაკი გაწერელიას და როსტომ ჩხეიძის ხელმოწერით.

ბოდიშს უხდიან რობერტ სტურუას და აცხადებენ, რომ გადიან კრიტიკის რედკოლეგიიდან. ეგ არაფერი, აცხადებენ, რედაქტორს ჩვენთვის „განცხადების“ ტექსტი არ უჩვენებიაო.

რაშია საქმე?

აკი თვითონვე მოაწერეს ხელი რედაქციის განცხადებას?

ასეთი ორპირობა?

26/XI 89

მივედი „ახკომის“ რედაქციაში.

მივიტანე რედკოლეგიის წევრების მიერ ჩასწორებული და ხელმოწერილი „განცხადება“.

რედაქტორს – მერაბ ბალარჯიშვილს, ძალიან გაუკვირდა.

მსგავსი თვალთმაქცობა ჯერ არ მინახავსო.

ახლა ვხვდები, რა ხდებოდა ოცდაჩვიდმეტში.

ესენი ხომ ჩემს დახვრეტასაც მოაწერენ ხელს. ჩემი „მეგობრები“.

27/XI 89

დიდი ჩხუბითა და დავიდარაბით მოვახერხე „ახკომში“ საპასუხო წერილის დაბეჭდვა.

ასე და ამრიგად, ვამხილე „კრიტიკის“ რედკოლეგიის წევრები თვალთმაქცობაში.

რაი მერე?

მათზე სამუდამოდ გამიტყდა გული. ემზარს მაინც რაღა მოუვიდა. რა პირით ჩამომართმევენ ხელს ემზარი, გურამი?

28/XI 89

დღეს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის განცხადება დაიბეჭდა სესიასთან დაკავშირებით.

მუხრანმა სამდივნოზე დამიძახა და კატეგორიულად მომთხოვა ახსნა-განმარტება „მომხდარ ინციდენტთან“ დაკავშირებით.

ეწყინა, რომ მართალი აღმოვჩნდი.

გარეთ გამომაცილა და კიბეზე ჩამჩურჩულა: ისე, მე რომ შენს ადგილას ვიყო, „კრიტიკის“ რედაქტორობას თავს გავანებებდი, სანერვიულო საქმეაო.

29/XI 89

კიტა ბუაჩიძემ – ცნობილმა დრამატურგმა და დისიდენტმა, ნიჭიერმა მწერალმა და მართალმა კაცმა, რომელიც 20 წელი იჯდა, წერილი მომწერა: რუსთაველის თეატრის საკითხში აბსოლუტურად მართალი ხარო. თან გამომიგზავნა მის მიერ რვა წლის წინათ დაწერილი თითქმის იდენტური წერილი. მეო, ის რაც ახლა ხდება, ცხრა წლის წინათ ვიწინასწარმეტყველეო.

უნდა დავბეჭდო პირველ ნომერში.

30/XI 89

დღეს მუხრან მაჭავარიანმა ტელეფონზე დამირეკა – პირველ საათზე სამდივნოზე გამოცხადდი; უნდა გაგათავისუფლო რედაქტორობიდანო.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ხომ შეიძლება გკითხო; რატომ-მეთქი.

ნუ მკითხავო. როცა იქნება, გაიგებ, რომ მე არაფერ შუაში ვარო.

მე ვხვდები, რაშია საქმე. ეს არის გივი გუმბარიძის, ხუტა ბერულავას და, რა თქმა უნდა, მუხრან მაჭავარიანის ერთობლივი შეთქმულება ჩემს წინააღმდეგ.

სიამოვნებით დავთმობ მთავრობის მიერ ნაბოძებ ხალათს. მე ვიცი, ეს ჩემი პოზიციის, ჩემს მიერ გამოშვებული „კრიტიკის“ ნომრების გამო ხდება. „სტურუა“ მხოლოდ საბაბია.

მუხრანი რატომ არ მეუბნება სიმართლეს?

1/XII 89

სამსახურში არ წავსულვარ.

ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ.

ადამიანთა ამ მასშტაბის სისაძაგლეს ვერ წარმოვიდგენდი.

არც „კრიტიკის“ რედაქტორობა მინდა და არც „კრიტიკოსების“ (გ. გვერდწითელი, ა. გაწერელია, გ. ბენაშვილი, ე. კვიტაიშვილი, რ. ჩხეიძე) სახის დანახვა და მათთან თანამშრომლობა.

საღამოს ფანჯიკიძემ დამირეკა; ეტყობა, ვენანები და ძალიან აინტერესებს, დავეთანხმები თუ არა ჩემს განთავისუფლებას. მეო, წინააღმდეგი ვარო. მჯერა.

გამათავისუფლეთ-მეთქი, ოღონდ თქვენს სამსჯავროზე არ გამოვალ და ჭკუის დარიგებებს არ მოვისმენ-მეთქი.

მუხრანი, თურმე, ბდღვინავდა, ხუტა გადი-გამოდიოდა – რას ჰქვია, არ გამოცხადდა, დღეს სამსახურიდან უნდა მოგვეხსნაო.

სასაცილო სიტუაციაა, თავისი შინაარსით საზიზღარი რომ არ იყოს.

2/XII 89

ჩემი ძმისშვილის – ეკა მიშველაძის, ქორწილში გახლდით.

კარგ, ზრდილ ყმაწვილს – დათო კვიტაიშვილს, გაჰყვა.

ვითამადე. დიდი ქორწილი იყო.

ვიმღერე და ვიცეკვე კიდეც.

შინ მთვრალი დავბრუნდი.

კვიტაიშვილების გვარმა ჩემი მეგობარი ემზარი გამახსენა.

3/XII 89

დღეს კვიტაიშვილების ოჯახში იყო ქორწილი.

ემზარის ახლო ნათესავი აღმოჩნდა სიძე.

კაცი შემომიგზავნა, თუ შემომიშვებსო ქორწილში, ბოდიშს მოვუხდი. შევცოდე და მაპატიოსო.

შემოვიდეს-მეთქი.

ჩემსკენ წამოვიდა ხელის ჩამოსართმევად, მაგრამ ზურგი შევაქციე.

მოშორებით დაჯდა, თავჩაქინდრული. მიყვარს ემზარი და მისგან არ ველოდი ზურგში ხანჯლის ჩაცემას. ვერ გავძელი, მასთან ერთ სუფრაზე.

ხუთ წუთში ავდექი და სუფრა დავტოვე.

მასპინძელს ბოდიში მოვუხადე.

4/XII 89

ორშაბათია.

ვესაუბრე მთავრობის სასახლის წინ მოშიმშილე დედებს. ისინი რუსეთში, ახლახან (მშვიდობიანობის დროს) ჯარში დახოცილი ბიჭების დედები არიან.

მოუწოდებენ ქართველ ახალგაზრდებს, უარი თქვან რუსსი ჯარში სამსახურზე.

ხუტა ბერულავა და მუხრან მაჭავარიანი გააფთრებით მებრძვიან.

კაცი გაუგზავნიათ პოლიკლინიკაში, ვარ თუ არა ბიულეტენზე.

5/XII 89

შეხვედრა მქონდა რადიოქარხანაში.

ყველანი მეკითხებოდნენ, დღეს „კომუნისტში“ დაბეჭდილ ჩემს წერილზე – (ნუ გავაზვიადებთ“).

დიდის ვაიანჩარობით დაბეჭდა სტატია „კომუნისტის“ რედაქტორმა და ქვეშ მიაწერა: რევაზ მიშველაძეს არ ვეთანხმებითო.

ეს კარგია. „კომუნისტი“ რომ დამეთანხმება, მაშინაა ცუდად ჩემი საქმე.

შეხვედრაზე დიდი სიყვარული გამომიცხადეს: იცოდე, ბატონო რევაზ, ახალგაზრდები თქვენს გვერდით ვართო.

6/XII 89

სომხეთში ჩატარდა სესია და დაადგინეს: სომხეთი გამოეყოს საბჭოთა კავშირს.

სხვა საკითხია, როგორ შეხედავს ამ ფაქტს მოსკოვი.

რაც მთავარია, სომხებმა ხომ დაადგინეს!

7/XII 89

მცხეთის რაიკომის მდივანს ჩავაკითხეთ მედეა კახიძემ, გრიგოლ ჯუ-ლუხიძემ და მე, პოეტ დავით ნავდარაშვილის სამსახურში მოწყობის საქ-მეზე.

დაგვპირდა, დავეხმარებიო.

8/XII 89

დღეს „ლიტერატურულ საქართველოში“ ჩემთვის სრულიად მოულოდ-ნელად, განცხადებაა: მიშველაძე განთავისუფლდეს „კრიტიკის“ რედაქტო-რობიდან და თეიმურაზ დოიაშვილი დაინიშნოსო.

ეგ არაფერი. ჩემს წინააღმდეგ ორი მოზრდილი წერილი შეუთითხნიათ: ერთს ხელს აწერს აკაკი ვასაძე, მეორეს – სოსო ცისკარიშვილი(?!)

„გაიპე გულო, რაკი ენა უნდა დადუმდეს“.

მიყელეს მტრებმა. შური აბობოქრდა.

ამ ბინძური კამპანიის მთავარი დამნაშავეები იცოდეს შთამომავლობამ: გივი გუმბარიძე, მუხრან მაჭავარიანი, ხუტა ბერულავა, ვასაძე...

მგონი, ამით ყველაფერი არ მთავრდება, „სანთელ საკმეველი...“

9/XII 89

მოდიან ნაცნობები, უცნობები, მიცხადებენ, რომ ეს ლიტერატურული ტერორიზმია, რომ ჩვენი საზოგადოება ამ საკითხს ასე არ დატოვებს...

ეს თანაგრძნობა სიყალბედ მეჩვენება. ღმერთო, შეგცოდე, იქნებ ვცდე-ბი, მაგრამ მეჩვენება, რომ არავინ ჩემს დასაცავად თავს არ გამოიდებს.

გულში ბევრსაც გაეხარდებოდა. ჩანს, სეირის ნახვით მაინც ერთობა ადამიანი.

როგორ მოვიქცეოდი მე, სხვისთვის რომ დაეტეხათ ეს უსამართლობა?

უსათუოდ დავიცავდი სახალხოდ. პროტესტს განვაცხადებდი.

ჯერ არსაიდან ხმა ჩემს დასაცავად, გარდა ტელეფონების ზარისა.

თუმცა... დღევანდელ „ახკომში“ მოთხრილია ხუტა ბერულავა. პო-ემა „რუსული გული“ იმ ფროლოვზე აქვს დაწერილი, ვინც 1921 წლის 25 თებერვალს ქართველები დახვრიტაო.

აი, ეს ხუტა ბერულავა, მხსნის მე, რევაზ მიშველაძეს, და ჩემს წინააღ-მდეგ „პასკვილების“ ორგანიზაციას აკეთებს.

ნუთუ ჩემი მწერლობით არაფერი სასიკეთო გამიკეთებია? მე არ ვიდ-ექი ცერბერივით ჩვენი ეროვნული ღირსების სადარაჯოზე? მე არ დავწერე მრისხანე ნოველა ასტაფიევზე, არ მივწერე „კომუნისტიდან“ წერილი რას-პუტინს? მე არ დავუჭირე მხარი ჩემი ნოველებით, წერილებით და ინ-ტერვიუებით ამ სახალხო ლაშქრობას? მე არ დავრბოდი წერილით ხელში აკადემიკოსთა და პროფესორთა კიბეებზე ზვიად გამსახურდიას ციხიდან გამოსახსნელად?

სად არის ახლა ზვიადი?

აი, ასეთები ვართ ჩვენ!

შეუნდოს ყველას ღმერთმა.

10/XII 89

დღეს პოეტი თემურ ჩალაბაშვილი მესტუმრა და მამცნო: არაფორმალე-ბი აღშფოთებული არიან და ზვიად გამსახურდიამ და ვახტანგ გურგენიძემ

შემოგითვალეს; შენს დასაცავად წერილის დაწერას ვაპირებთ; რომელსაც გ. ჭანტურია, ნ. ნათაძე და ი. წერეთელიც მოაწერენ ხელსო.

ვთხოვე, მადლობა გადაეცი, მაგრამ წერილის გამოქვეყნება უხერხული იქნება, ხალხს, მართლაც, საწყალობლად მოვეჩვენები, თუ რამედ ვღირვარ, ისედაც უნდა იცოდეს-მეთქი ქვეყანამ.

11,12/XII 89

გაიხსნა მოსკოვში დეპუტატთა ყრილობა.

გორბაჩოვი წარმოუდგენლად იკბინება, უხეშობს, დეპუტატებს სიტყვას ართმევს პირიდან, მიკროფონს უთიშავს.

ეშინია, ძალაუფლება შეუმჩნევლად არ გამოაცალონ.

საღამოს მარჯანიშვილის თეატრში თ. ჩხეიძის დადგმა „ლამბალო და ყაშა“ ვნახე.

ნიჭიერ რეჟისორს, თითქოსდა, გაუთანამედროვებია, კარგი სპექტაკლია.

13/XII 89

მოსკოვში სესიაზე საოცარი ამბები ხდება.

დეპუტატები აშკარად გამოხატავენ უკმაყოფილებას სსრკ-ს სახელმწიფო წყობის და გარდაქმნის მიმართ.

გორბაჩოვი გააფთრებით იცავს თავს ხშირად აკრძალული მეთოდებით.

14/XII 89

დღეს კათედრის სხდომა მქონდა.

კათედრის წევრებს პირდაპირ განვუცხადე: თუ ერთი პროცენტი მაინც გჯერათ ა. ვასაძის მონაჩმახისა, დღესვე გადავდგები კათედრის გამგეობიდან-მეთქი.

უნდა გენახათ, რა სიყვარული გამომიცხადეს.

ერთხმად დაგმეს „ლიტ. საქართველოს“ და ა. ვასაძის საქციელი.

კიდევ კარგი... ამათ მაინც ვყვარებივარ.

15/XII 89

ჩავატარე ჩემი პოლიტიკური კლუბის „რას ვამბობთ, რას ვაკეთებთ“ მორიგი დისპუტი – „სტუდენტი და საზოგადოებრივი მეცნიერებანი“.

შესავალ სიტყვაში დისპუტს ასეთი მიმართულება მივეცი: „მარქსიზმი, როგორც ყალბი, გაკოტრებული მეცნიერება, არ უნდა ისწავლებოდეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. საერთოდ, დაუშვებელია ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების პოლიტიზაცია“.

ფაქტიურად კამათი არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ 9 კაცი გამოვიდა (მათ შორის პროფ. თ. კუკავა, დოც. ჯ. კახნიაშვილი, დოც. ჯ. ჯალიაშვილი, დოც. ქ. ღარიბაშვილი...). ფაქტიურად ყველანი ამ აზრისანი აღმოჩნდნენ.

ბოლოს შევიმუშავეთ რეკომენდაციები.

16/XII 89

დეპუტატთა მეორე ყრილობაზე სახაროვმა თქვა: კონსტიტუციიდან ამოვიღოთ მე-6 მუხლი სკკპ-ს მმართველი როლის შესახებო.

ორი წინადადებაც კი არ ჰქონდა ნათქვამი; გორბაჩოვმა უხეშად შეაწყვეტინა: არც თქვენ გესმით, რა უნდა თქვათ და არც ჩვენო.

სახაროვი ტრიბუნას გაფითრებული მოშორდა და იმავე საღამოს გამოაცხადეს, გარდაიცვალაო.

ასეთი დემოკრატია გვაქვს ჩვენ.

17/XII 89

დილით ბორისმა (ჩემი ძმა) გამომიარა და გუდაურისკენ წასვლა შემომთავაზა, იქნებ გული გადააყოლოო.

წავედი, მაგრამ სევდა მაინც ვერ მოვიშორე.

მღრღნის საშინელი ეჭვი მხოლოდ ერთი რამის გამო; რატომ სდუმან ჩემი მეგობარი და თანამოაზრე მწერლები? იქნებ მართალნი არიან ჩემი მტრები?

რა საშინელებაა ამის გაფიქრება.

რატომ აღმოვჩნდი ასე უპატრონო?

საღამოს მედეა კახიძემ დამირეკა და მაცნობა; უნივერსიტეტში შენს საწინააღმდეგო ხელმოწერებს აგროვებენ და გაფრთხილდიო.

ესეც ახალი ამბავი. რაც იქნება, იქნება!

18/XII 89

დღეს დედაჩემს 69 წელი შეუსრულდა.

უფრო კეთილი, ღვთისნიერი, მლმობელი გული ქალი ამ ქვეყანაზე არ მეგულება.

საღამოს ნ. ჭითანავამ დამიბარა:

შენაო, ყველაფერში მართალი აღმოჩნდიო, შეცდომა იყო შენი განთავისუფლება და უნდა გვაპატიოო.

არაფერი მითქვამს, უხმოდ გამოვედი. ნოდარი კარგი კაცია, მაგრამ მისთვის არავის უკითხავს ჩემი მოხსნა.

19/XII 89

ვიღაცამ დამირეკა, გარეწართა ბანდას პასუხს რატომ არ აძლევო. არ მინდა დავეშვა ლიტერატურული მეჯღანეების დონეზე-მეთქი.

20/XII 89

მოახლოვებულია სესიაზე 9 აპრილის განხილვის დღე.

სამხედრო პროკურატურა ყოველი ღონით ცდილობს ფაქტების მიჩქმალვას.

დავწერე „წერილი ყრილობას“. იქნებ „პეგასის“ ეგიდით გავაპარო პრესაში?

ახლა ჩემი სახელით არავინ არაფერს დაბეჭდავს.

21/XII 89

რუმინეთის „ბელადმა“ ჩაუშესკუმ დემონსტრანტები დახოცა.

მთელი მსოფლიო აღშფოთებულია.

ჩამოვიარე რედაქციები. შევთავაზე ჩემი „მავზოლეუმი“, მაგრამ სათოფეზეც არ გამიკარეს.

ჩემი დანახვაც ეშინიათ, რას ვიზამ, შერისხული ვარ.

22/XII 89

„ლიტერატურული საქართველოში“ რამდენიმე წერილია იმის „დასამტკიცებლად“, არიან თუ არა მეგრელები ქართველები(?!), ესაა დღეს „პრობლემა“?

23/XII, 24/XII 89

შემაძრწუნებელი ამბავი გადმოსცა „ამერიკის ხმამ“.

რუმინეთში ამბოხებულებმა საბჭოთა წყობილება დაამხეს და რადიოტელევიზია დაიკავეს. ეს დიდებულია, მაგრამ შემაძრწუნებელი ის არის, რომ ჯარმა დემონსტრანტებს ომი გაუმართა. რამდენიმე კაცი მოკლულია.

რა ძვირი გვიჯდება მარქსო და ლენინო, – თქვენი შემზადებული საშინელი ბანგისაგან განთავისუფლება.

25/XII 89

ამბოხებულებმა ჩაუშესკუ და მისი ცოლი დახვრიტეს.

რა სამართლიანიც უნდა იყოს განაჩენი, დახვრეტა მაინც სისასტიკეა.

საქართველოს (9 აპრილის) საკითხის განხილვა ხვალისთვის გადაიდო.

26/XII 89

დღეს გამოვიდა ყრილობაზე სობჩაკი და წაიკითხა დასკვნა, სადაც ცხრა აპრილის დანაშაულში ამხილა საქართველოს მთავრობა, ჯარის სარდლობა და კინაღამ მოსკოვის ხელისუფლებაც.

მერე გამოვიდა სამხედრო პროკურორი და ყველაფერი უკუღმა შეატრიალა. ქართველებმა, თვით დახოცეს თავიანთი ქალებიო.

საქართველოს დეპუტაციამ პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა.

მხოლოდ გორბაჩოვის პირადი თხოვნის შემდეგ (?!) დაბრუნდნენ ისინი დარბაზში.

დღეს პლენუმი ჩატარდა მოსკოვში და გორბაჩოვმა განაცხადა, რომ ლიტვის ცკ-ს გადაწყვეტილება, გამოეყოს სკკპ-ს, „უკანონოა“.

აი, როგორი დემოკრატია გორბაჩოვი.

28/XII 89

კათედრის სხდომა ჩავატარე: „1989 წლის შედეგები და ჩვენი ამოცანები“.

ვრცელი სიტყვა ვთქვი. დავახასიათე კომუნისტური წყობის საშინელებანი და შევეხე ქართველი მწერლის, მეცნიერის ადგილსაც ამ ბრძოლაში.

საღამოს კარგი კაცის – დავით გოქსაძის, დაკრძალვაზე ვიყავი.

29/XII 89

„ლიტერატურულ საქართველოში“ კვლავ არც ერთი სიტყვა ჩემს დასაცავად.

საოცარია! სად არიან ჩემი მეგობარი ქართველი მწერლები?

ნუთუ ლიტერატურულ ხულიგნებს ყველაფერი უნდა შერჩეთ?

20/XII 89

შაბათია.

კუს ტბაზე ფეხით გავიარეთ მე და აჩიკომ.

ნუგზარ ჯუღელი და ჯურხა ნადირაძე ამემგზავრნენ. ყველაფერში მართალი ხარო, ორივემ. მთელი საქართველო შენს გვერდით არისო. ოჯახებში შენს სადღეგრძელოს სვამენო.

31/XII 89

იწურება ეს საშინელი, ბინძური წელი – 1989!

საათებიღა რჩება.

ჩემი ხალხის რამდენი სისხლი, იმედი და რწმენა წაიღო.

ნუთუ მომავალ წელს მაინც ვერ განვთავისუფლდებით ბოლშევიკური მარწუხებისგან?

ნუთუ ვერ მოვესწრები თავისუფალ საქართველოს?

დღეს ვკითხულობდი „განთიადის“ №4-ში მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობას „წრებრუნვა“. რუსთაველის თეატრზე ზუსტად იმ აზრისაა, რა აზრიც მე მაქვს. გამეხარდა.

გამარჯობა, უცნობო 1990!

ხვალ 50 წელი მისრულდება. ალბათ, არც ერთი გაზეთი ხმას არ ამოიღებს. არავინ აღნიშნავს. მე ხომ შერისხული ვარ საქართველოს ხელისუფლების მიერ...

მუხრანი და ხუტა იზრუნებენ, რათა ჩემი საიუბილეო „თემა“ არსად გაჭაჭანდეს.

კარგია. იუბილარის კმაყოფილ პოზაში თავი ვერც წარმომიდგენია.

ხვალ დილითვე გავიქცევი თბილისიდან ბაკურიანში.

1/I 9/I 90

ბაკურიანში ვარ.

სიბერეს და მოწოლილ სევდას ვებრძვი.

ცუდი ამბებია.

ოსები შემჭმელი თვალებით გვიცქერიან.

3 იანვარს „მოამბემ“ გვაცნობა, რომ ოსებმა აკვანში ცხრა თვის ბავშვი ტყვიით მოკლეს.

გამოვიდა მეორე დღეს გუმბარიძე ტელევიზორში და სიმშვიდისა და კეთილგონიერებისკენ მოგვიწოდა.

დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს ოსეთის ავტონომიური ოლქი, როგორც უკანონო.

„ლიტერატურულმა საქართველომ“ როგორც იქნა, დაბეჭდა პატარა წერილი, რომელშიც მშვენიერი პიროვნებები მიცავენ ა. ვასაძის და ს. ცისკარიშვილის ხელყოფისაგან. აი ისინიც: აკადემიკოსი ა. აფაქიძე, ნონა გაფრინდაშვილი, სოლომონ ხუციშვილი, ვახტანგ გურგენიძე, მხატვრები, დემურ ბაშალეიშვილი, გიორგი თოთიბაძე, კომპოზიტორი ჯუმბერ ჯანდიერი. ამაზე მეტი რეაბილიტაცია მე არ მჭირდება.

დანარჩენი საქართველომ თვითონ იცის.

ეგ არაფერი, მე ის მაწუხებს, რომ საქართველოს მარიონეტული მთავრობა კვლავ საქართველოს დადედლების პოლიტიკას ადგას. საქართველოს მტრებს, მკვლელებს არც თვით სჯის და არც ჩვენ გვაძლევს საშუალებას, მტერს გავუსწორდეთ.

10/I 90

დღეს მთავრობის სასახლის წინ მოშიმშილენი დასხდნენ.

ხუთ საათზე დიდი მიტინგი გაიმართა.

მოითხოვენ საბჭოთა ხელისუფლების დაუყოვნებლივ გაუქმებას (ი. წერეთელი).

„არაფორმალთა“ ჯგუფი ცეკას შენობაში შეიჭრა და მოითხოვა: კომუნისტებმა სასწრაფოდ გაათავისუფლონ შენობა.

ქალაქი, როგორც ჟურნალისტებმა იციან თქმა, „პარალიზებულია“.

დაიწყო საყოველთაო გაფიცვა.

დღეს სწავლა არ დაწყებულა სკოლებში.

11/1 90

ქალაქი გაფიცულია.

არ მუშაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

ქუჩაში დემონსტრანტები დადიან.

რუსთაველის პროსპექტი გადაკეტილია.

სამი საათი დავყავი მოშიმშილეებთან.

მაინც ვფიქრობ, ცეცხლს ეთამაშებიან.

მთავრობა მელურ პოლიტიკას თამაშობს.

დღეს ჩემს წიგნს „განაჩენი“, გ. გვერდწითელმა ხელი არ მოაწერა სტამბაში გასაგზავნად.

12/I 90

„ლიტერატურულ საქართველოში“ სოლომონ ხუციშვილის „განცხადებაა“ დაბეჭდილი. ოთხმოცი წლის კაცი დაუშინებიათ ჩემს მტრებს და შემკრთალი წერს. მე მინაწერი მქონდა, რომელიც გაზეთში არ ჩანსო.

სინამდვილეში არავითარი მინაწერი არ ყოფილა. ერთხელ კიდევ მიკვირს ქამელეონობას საზღვრები რომ არა აქვს.

13/I 90

უნივერსიტეტში კრება ჩატარდა ოსეთში შექმნილი ვითარების გამო.

გამოვიდნენ ზვიად გამსახურდია, თემურ ქორიძე, მოკლული ცხრა თვის ბავშვის მამა. მერე რეზოლუცია მივიღეთ. ავდექი და კატეგორიულად მოვითხოვე, რეზოლუციაში შეეტანათ:

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის – როგორც პოლიტიკური ერთეულის, გაუქმება.

მოეთხოვოს მთავრობას, დაუყოვნებლივ დააპატიმროს ოსი მკვლელები.

შეიქმნას მოხალისეთა რაზმი ქართველთა დასაცავად, რომელშიც პირველი მე ჩავეწერები-მეთქი.

ორი წინადადება მიიღეს, მესამეზე თქვეს, ამას დადგენილებაში ნუ შეიტანთო.

სხვა გზა არ დაგვრჩენია, იარაღით უნდა დავიცვათ ჩვენი თავი.

14/I 90

კვირაა.

დაბადებული ვარ 1940 წლის 1 იანვარს. 50 შემსრულებია.

ნათესავ-მეგობრებისთვის პატარა ვახშამი გავმართე.

მხიარული, ტკბილი სუფრა იყო.

15/I 90

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ლამის ომი დაიწყოს.

მეორე დღეა ხოცვა-ჟლეტა მიმდინარეობს.

იქეთ ირანი ბორგავს.

იქნებ ეს მსოფლიო ომის წინადღეა?

რა გვეშველება, მსოფლიოვ, რა გვეშველება, ჩემო პატარა საცოდავო საქართველოვ.

ოთხ საათზე მთავრობის სასახლის წინ მიტინგს დავესწარი.

ზვიად გამსახურდია და გია ჭანტურია შეპაექრდნენ. ზვიადმა – ოსეთის ავტონომია უნდა გაუქმდესო. გიამ – არაო. ზვიადმა – არჩევნებში მონაწილეობა მივიღოთ, გიამ – არაო.

მერე რუსლან მიქაბერიძემ იკითხა თავისი მშვენიერი, სატირული ლექსები.

მოშიმშილეთა კარვები მოვიარე. ყველას სიტყვით მივმართე. პრეზიდიუმის კიბეზე მსხდომ მოშიმშილეებს ვესაუბრე.

16/I 90

უფერული, ჩვეულებრივი დღე იყო.

17/I 90

დღეს უნივერსიტეტში გამოცდა მქონდა.

ჩემდა გასაოცრად, სტუდენტები მშვენივრად მომზადებულნი მოვიდნენ.

ვისაც „ირაკლი აბაშიძე“ შეხვდებოდა, ბილეთის საკითხად, მთხოვდა თუ შეიძლება გამოვცვლი ბილეთს – ირაკლი არ გვიყვარსო.

ვუხსნიდი, რომ მართლები არ არიან, არ შეიძლება-მეთქი ადამიანზე კომუნისტური წარსულით ვიმსჯელოთ-მეთქი. ირაკლი ბრწყინვალე პოეტია-მეთქი.

ჩანს, სასტიკი დროა, რევოლუციების ეპოქა. რევოლუციამ მხოლოდ მაქსიმალიზმი იცის.

„სოფლის ცხოვრებამ“ შეკითხვები გამომიგზავნა. ვუპასუხე. ვნახოთ, დაბეჭდავენ თუ არა. ოთარ იოსელიანი გაბედული, მართალი რედაქტორია.

18/I 90

ჩავატარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლუბის „რას ვამბობთ, რას ვაკეთებთ“ მორიგი სხდომა. გავხსენი მწვავე სიტყვით. მოვითხოვე ოსეთის ავტონომიის გაუქმება და საქართველოს მარიონეტული მთავრობის გადადგომა.

სიტყვებით გამოვიდნენ ირინე ტალიაშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, სოსო ცინცაძე, ბორის ლომსაძე, გურამ ბერიშვილი, ქართლოს ღარიბაშვილი, ნოდარ გრიგალაშვილი და სხვები.

ბოლოს ხმის უმრავლესობით მივიღეთ საკმაოდ მკაცრი რეზოლუცია.

დავესწარი თენგიზ ჩანტლაძის ხსოვნის საღამოს.

თენგიზი უნიჭიერესი არტისტი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ მისი თეატრი, ფაქტობრივად, დაიშალა, ჩემი მეგობარი იყო თენგიზი და თანამოაზრე.

19/I 90

„ლიტერატურულ საქართველოში“, როგორც იქნა, გამოჩნდა ჩემი დასაცავი წერილი. ერთადერთმა მწერალმა, ნოდარ წულეისკირმა, გაბედა დაეწერა: მიშველაძე მართალი იყო და მის მიმართ თავდასხმა არაკანონიერია, ხოლო გათავისუფლება მით უფრო მოულოდნელიო.

იქვე სოლომონ ხუციშვილს პასუხს აძლევს გაზეთი. არავითარი მინაწერი თქვენს ხელმოწერას არ ახლდა და ტყუილს რატომ კადრულობთო.

ეგ არაფერი. ჩემი თავი ჯანდაბას.

დღეს რუსის ჯარები შეიჭრნენ ბაქოში და ხალხი დახოცეს საბჭოთა ხელისუფლების გადასარჩენად.

წუხელის, გვიან ღამით, ირაკლი წერეთელმა მიტინგზე გამოაცხადა; დავშალოთ მოშიმშილეთა მშვიდობიანი აქცია და დროებით შევაჩეროთ ეროვნული მოძრაობა, თორემ კრემლისგან ახალი პროვოკაციაა მოსალოდნელიო.

იქნებ მართალია ირაკლი?

მე და აჩიკო გულამღვრეული დავბრუნდით შინ.

20/I 90

შაბათია.

დილით „განთავისუფლებას“ მოვუსმინე. მსოფლიო შეძრწუნებულია ბაქოში მომხდარი საშინელებებით.

ესეც თქვენი დემოკრატი გორბაჩოვი.

დეპუტატმა პოპოვმა „განთავისუფლების“ კორპენდენტთან საუბარში განაცხადა: ეროვნებათშორისი სისხლისღვრა გამოწვეულია გორბაჩოვის უნიათო პოლიტიკითო. კავკასია დაწყნარდება, თუ გავაუქმებთ ყალბ ავტონომიებს და ყველას თავ-თავის ქვეყანაში წავიყვან-წამოვიყვანთო.

21/I 90

„თბილისმა“ ჩემი საუიბილეო თარიღი აღნიშნა. გამოაქვეყნა მიხეილ ქვლივიძის წერილი და ჩემი ნოველა „დაღლილი კაცის ნათქვამი“.

მიხეილის წერილი მშვენიერია.

22/I 90

მუხრან მაჭავარიანმა იორამ ქემერტელიძის პირით შემომითვალა; განცხადება დაწეროს, რომ თავისი ნებით წავიდა „კრიტიკიდანო“. მეო, მისთვის კარგი მინდა, შეიძლება მალე „ცისკრის“ რედაქტორად დავნიშნოო.

უარი შევუთვალე.

23/I 90

როგორც იქნა, გ. გვერდწითელმა ჩემი წიგნი გაუშვა სტამბაში. ათი დღე ხელს არ აწერდა, მაგრამ ბოლოს მაინც მოაწერა.

„სოფლის ცხოვრებამ“ დაბეჭდა ჩემი ინტერვიუ.

„ახკომში“ ჩემი პოლიტიკური კლუბის განცხადებაა.

დღეს კარგი დღე იყო.

24/I 90

ერთი ამბავია „სოფლის ცხოვრების“ ინტერვიუზე.

ზოგი მეუბნება, ნამეტანი მკაცრად მიარტყი ცხვირში შენს მტრებსო.

25/I 90

მარტვილიდან გაზეთის რედაქტორის მოადგილე – დემურ კილასონია – ჩამოვიდა, უნივერსიტეტში მომაკითხა და ინტერვიუ მთხოვა. თანაც მეო მთელი რაიონის სახელით გილოცავთ და მარტვილში საიუბილეო საღამო უნდა გაგიმართოთო. ინტერვიუ მივეცი. საღამოზე უარი მოვახსენე. ახლა იუბილეების დრო არ არის-მეთქი.

ქუთაისს სძინავს? ნუთუ ქუთაისს სულ არ ვახსოვარ?

26/I 90

„თბილგანათებაში“ შეხვედრა გვქონდა კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილს, გოგი თოთიბაძეს, დემურ ბაშელეიშვილს და მე – „პეგასის“ ხაზით.

„პეგასი“ მშვენიერი ასოციაციაა. თუ დაგვაცალეს. მან ქართული კულტურის პროპაგანდა უნდა გასწიოს ჩვენში და საზღვარგარეთ. რაც მთავარია, იგი ცეკაზე და სამინისტროზე (კულტურის) არ არის ჩამოკიდებული. არ არის შეზღუდული, არტახებში მოქცეული.

„პეგასს“ სული უნდა ვუბეროთ, რომ არ ჩაგვაქრეს ხელში.

27/I 90

„თბილისში“ ჯ. ჩარკვიანის წერილია.

არაა ურიგო წერილი. საქართველომ სრული თავისუფლება უნდა მოიპოვოსო, წერს.

28/I 90

მირანგულ ავსაჯანიშვილის ბიჭის ქორწილში ვიყავით მე და აჩიკო. რიტუალების სასახლეში იქორწინეს.

ახალგაზრდებთან მოვხვდი სუფრაზე. ყველანი განსაკუთრებულ სიყვარულს და მოწიწებას ამჟღავნებდნენ ჩემს მიმართ. თქვენაო, ბატონო რევაზ, ახალგაზრდების საყვარელი მწერალი ბრძანდებითო, ბრძოლაში თეატრის გაქართულების თაობაზე აბსოლიტურად თქვენს მხარეზე ვართო. ერთმა მათგანმა მომახარა, გუშინდელ “საქართველოში“ (სახალხო ფრონტის გაზეთი) თქვენზე ბრწყინვალე წერილიაო. გურამ პეტრიაშვილი თავგამოდებით გიცავთო. საინტერესოა.

საღამოს დემოგრაფიულმა საზოგადოებამ (ეს უკვე მერამდენედ) კატეგორიულად მთხოვა ვიყო მისი დეპუტატი უზენაეს საბჭოში.

ვიცი, მაინც არ ამირჩევენ, ამიტომ ვჭოჭმანობ.

29/I 90

დღეს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა გვქონდა.

დღის წესრიგში ორი საკითხი იდგა – ოსეთის საკითხი და მაიაკოვსკის რაიონისთვის თავისი ძველი სახელის – ბაღდათის დაბრუნების საკითხი.

პირველ საკითხზე მუხრან მაჭავარიანმა განაცხადა – ავტონომიური ოლქის სტატუსის გაუქმების და როკის გვირაბის დაკეტვის საკითხი ჩვენ არ გვეხება, ჩვენ მხოლოდ ნაფი ჯუსოითის გარიცხვის საკითხი გვაინტერესებსო.

მე პროტესტი განვაცხადე. მთავარი ის საკითხებია, ჩვენ ჩვენი პოზიცია უნდა გამოვხატოთ. ჯუსოითის გარიცხვას მოსკოვი მაინც არ დაგვიმტკიცებს-მეთქი. იმსჯელეს და საკითხი გადაიდო ჯუსოითის გამოუცხადებლობის გამო.

მეორე საკითხზე ყველანი ერთსულოვანნი აღმოვჩნდით. საქართველოში არცერთს ქალაქს არ ჰქვია რუსთაველი და ჭავჭავაძე, რატომ უნდა ერქვას მაიაკოვსკი?

დავადგინეთ: მაიაკოვსკის ნაცვლად ბაღდათს ბაღდათი ეწოდოს.

30/I 90

ქუჩაში შემხვდა მწერალი ამირან კალაძე და მითხრა; ვისაც კი შევხვდი, ყველანი შენზე ლაპარაკობენო. მუხრან მაჭავარიანმა და ხუტა ბერულავამ სამუდამოდ თავი მოიჭრეს შენი მოხსნითო.

მე მეთქი, ამ ამბავს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. არ გეგონოთ, თითქოს გული მწყდებოდეს „კრიტიკაზე". როგორც ჩანს, სამართლებრივ სახელმწიფომდე ჯერ კიდევ დიდი გზა გვიძევს-მეთქი.

საღამოს „მოამბემ" გამოაცხადა: ვაჟა ლორთქიფანიძე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ გადაუყვანიათ.

31/I 90

აჩიკოს პირველად პირში სიგარეტის სუნი ჰქონდა.

ძალიან გავუჯავრდი.

ღამით ვფიქრობდი თვეების სახელწოდებებზე. ძველი სახელწოდებებიდან იანვარის, თებერვალის, მარტის და აპრილის სახელები არ მომწონს. ხომ არ შეიძლება ასე მოვნათლოთ:

იანვარი – ახალწლისთვე;

თებერვალი – რუსთვე;

მარტი – განახლებისთვე;

აპრილი – მზისათვე;

ეს ოთხი სახელი ჩემი შერქმეულია (იცოდეს შთამომავლობამ);

და მერე როგორც არის.

მაისი – ვარდობისთვე, ივნისი – თიბათვე, ივლისი – წიფობისთვე (და არა მკათათვე), აგვისტო – მარიამობისთვე, სექტემბერი – ენკენისთვე, ოქტომბერი – ღვინობისთვე, ნოემბერი – გიორგობისთვე, დეკემბერი – ქრისტეშობისთვე.

1/II 90

„ახკომში" ჩემი ნოველაა „არჩევანი".

ვუკბინე ჩვენს ყალბ დემოკრატიას.

მიკვირს, რომ დაბეჭდეს.

ნელ-ნელა გამიარა სიბრაზემ, ზაფრმა, იქნებ ადამიანებისადმი რწმენაც დამიბრუნდეს და კალამს მოვკიდო ხელი.

„მამულში" ამირან კალაძის და ნოდარ წულეისკირის დიალოგია იმის შესახებ, თუ როგორ დაიბრუნეს „დაყრილი" პარტიის მანდატები რ. ჯაფარიძემ, გ. ჯულუხიძემ, ნ. ჯალაღონიამ, თ. ჩალაურმა, კარლო ტაბატაძემ, როდამ ჩაჩანიძემ, თ. ჭოჭუამ.

თუ მართალია, სირცხვილი სწორედ ეს არის. იმ დღეს წინა რიგში ვიჯექი და გადმოწოდებულ პარტიის მანდატებს მე ვაწვდიდი ნ. წულეისკირს, მე მანდატი თან არ მქონდა. ამიტომაც განცხადება დავწერე, პარტიიდან გავდივარ-მეთქიდა იქვე გადავეცი ნ. წულეისკირს. მან კი ნ. კანდელაკს გადასცა.

ბოღმით გულანთებულმა ერთმა ნაძირალამ დამაბრალა; მიშველაძემ სხვისი მანდატი დადოო. თავი კინაღამ მოვიკალი.

ჩემი წერილი „9 აპრილის შემდეგ პარტიიდან გავდივარ-მეთქი“, ახლაც მწერალთა კავშირში დევს.

2/II 90

„ცოდნას“ ჩავაბარე ბროშურა „ეპოქა და თანამედროვე მწერლის როლი“. თუ ისე გადმოსცეს, როგორც დავწერე, ურიგო არ იქნება. ვლაპარაკობ მწერლის ადგილზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

მინდოდა ჩამეტარებინა ჩემი კლუბის დისპუტი „უზენაესი საბჭოს არჩევნები“, მაგრამ უარი მითხრეს, არჩევნებზე ყოველგვარი ზემოქმედება კანონით აკრძალულიაო.

ჩავატარე კათედრის სხდომა: 1. „მიმდინარე მომენტი და კათედრის ამოცანები“, 2. „უნივერსიტეტის ავტონომიის შესახებ“.

რაც შეეხება უნივერსიტეტის ავტონომიას, უსათუოდ უნდა მივაღწიოთ და რაც შეიძლება, მალე.

3/II 90

შაბათია.

ჩემი მეზობლის, დავით პავლიაშვილის, სიდედრი დავკრძალეთ მუხათგვერდში.

რა ბრწყინვალე სოფელი იქნებოდა მაღლა მთაში. ახლა სასაფლაოს დაუპყრია. საფლავებს დაუფარავს მთელი სოფელი.

თოვდა. ცრემლი მომგვარა თოვლით შესუდრული საფლავების ხილვამ.

აქ, სასაფლაოზე, ყველაფერი მთავრდება.

4/II 90

კვირა.

ჩვეულებრივი, ნაცრისფერი დღე.

5/II 90

დილით მარნეულელი ვალერი გაბელაია დელეგაციით მეწვია.

იზა ორჯონიკიძემ აგვიკლო და მისგან დაგვიხსენითო.

რას აშავებს-მეთქი.

ობობასავით მოედო მარნეულს, რაიკომის მდივანი მუჭში მოიმწყვდია. თათრებთან შეთანხმებას მიაღწია. თანამდებობებს ანაწილებსო.

მომკალი და არ მჯერა-მეთქი.

რა პოეტის საქმეა ეს ყოველივე?

საღამოს სხვა დელეგაცია მესტუმრა. ილია მართლის საზოგადოების და სახალხო ფრონტის წარმომადგენლები. ჩვენ გადავწყვიტეთ, შევქმნათ საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის საზოგადოება „სვეტი ნათლისა“ და პრეზიდენტობაზე უარი არ გვითხრათო – განაცხადა რწმუნებულმა ანდრო გოგოლაძემ.

მოსაფიქრებელი ორი დღე მომეცით-მეთქი.

მოსკოვში პლენუმი დაიწყო.

ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია. ამაღამ „ამერიკის ხმას“ მოვუსმენ. იქნებ გვითხრას, რაზე იყო საუბარი.

6/II 90

მოსკოვში პლენუმზე ლიგაჩოვმა „ნამუსი“ არ შეუნახა გორბაჩოვს და შევარდნაძეს. როცა 7 აპრილს თბილისში ჯარების შეყვანა გადაწყდა, მაგიდას გორბაჩოვი და შევარდნაძეც უსხდნენო.

7/II 90

უნივერსიტეტის ავტონომიაზე საუნივერსიტეტო კრება ჩატარდა.

როგორც შევატყვე, არც რექტორს და, მითუმეტეს, არც პრორექტორებს, წარმოდგენა არა აქვთ ავტონომიაზე უმაღლესი სასწავლებლისა.

8/II 90

გავასწორე, დავხვეწე წესდება ახალი საზოგადოებისა (რომესაც „თვისტომი“ დავარქვი) და დავნიშნე კიდეც საინიციატივო ჯგუფის კრება შაბათს 12 საათზე.

9/II 90

დღეს „ლიტ. საქართველოში“ შარშან მისალოც 60 წელს ულოცავენ მუხრან მაჭავარიანს. მუხრანი მართლაც ეროვნული პოეტია.

მისადმი წყენამ კარგა ხანია გამიარა.

10/II 90

დღეს, 12 საათზე უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში ჩავატარე საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის ხელშემწყობი საქველმოქმედო საზოგადოება „თვისტომის“ დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფის პირველი სხდომა.

უამრავი ხალხი დაესწრო. წავიკითხე პროგრამა (ჩემი დაწერილი) და წესდება (ანდრო გოგოლაძის დაწერილი და ჩემი გასწორებული). გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი. თხუთმეტი ორატორი გამოვიდა. ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ მართლაც საჭირო საზოგადოება იქმნება! მე ბოლოს განვაცხადე; პრეზიდენტის სკამი ჯერჯერობით თავისუფალია, მე თვითმარქვია არ გახლავართ, ვისაც აირჩევთ, ის იქნება-მეთქი. პროგრამისა და წესდების მიმართ არაერთი შენიშვნა გამოითქვა. შენიშვნათაგან ზოგი სწორი იყო, ზოგი გულუბრყვილო, ისე, შენიშვნისთვის სათქმელი, ასე იყო, თუ ისე, თათბირმა კარგად ჩაიარა. დავთქვით, რომ ყრილობას ერთ თვეში ჩავატარებთ.

სად მცალია საპრეზიდენტოდ, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ კარგ საქმეს გავაკეთებთ; ჩამოვასახლებთ საქართველოდან განთესილ შვილებს...

11/II 90

დილით ტელეფონით ველაპარაკე ზვიად გამსახურდიას. ვკითხე; ანდრო გოგოლაძეს თუ იცნობ და სანდო თუ არის-მეთქი. კიო, ვიცნობო, ჩვენი კაციაო. გამეხარდა.

10 საათზე მე და აჩიკო გუდაურში გავემგზავრეთ.

ამ უბენზინობის დროს, რასაკვირველია, ძნელია და ძვირი ერთგულებდე სათხილამურო სპორტს, მაგრამ სასიამოვნოდ დაღლილ-დასვენებული დავბრუნდი.

12/II 90

დღეს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა გვქონდა.

დღის წესრიგში კვლავ ოსეთის საკითხი იდგა.

სიტყვა ვთქვი: მე მომხრე ვარ როკის გვირაბის გაუქმების, ადამონ ნიხასის დაშლის და ნაფი ჯუსოითის გარიცხვის-მეთქი.

განსხვავებული აზრი მხოლოდ გიორგი ციციშვილმა გამოთქვა.

იქნებ გარიცხვა მეტისმეტიაო.

დავადგინეთ ავტონომიის გაუქმება, „ადამონ ნიხასის“ დაშლა, როკის უღელტეხილის ლიკვიდირება და ჯუსოითის გარიცხვა.

13/II 90

სამშაბათი.

დუშამბეში სომხებს დაერივნენ.

პანისლამური სამყაროს ანტისომხური მოძრაობიდან ერთი ნაბიჯია ანტიქართულამდე.

ომი იწყება ისლამსა და ქრისტიანობას შორის.

მარნეულის დელეგაცია ისევ მესტუმრა.

ხალხი ირჩევს ვალერი გაბელიას, რაიკომის მდივანს არ უნდა.

ნუთუ ესაა სამართალი.

ზვიადს დავურეკე, ვერ ჩავერევიო.

14/II 90

შეხვედრა მქონდა ვაჟა-ფშაველას გამზირზე საკვალიფიკაციო-ეკონომიკურ ინსტიტუტში.

ჩემი შეხედულება თანამედროვეობაზე, ეროვნულ მოძრაობაზე ყველამ გაიზიარა. პირდაპირ ვთქვი; მოდით, ვიკამათოთ-მეთქი.

კამათი არ შედგა. ყველანი მაგ აზრისა ვართო.

15/II 90

კათედრის სხდომა ჩავატარე.

ახალმიღებული ასპირანტები წიფურია, ცომაია, სხირტლაძე და ჩოხარაძე გავანაწილე, სადისერტაციო თემები დავუმტკიცე.

16/II 90

„ლიტ. საქართველოში“ თამაზ წივწივაძე ტყავს აძრობს დოიაშვილ-ბრეგაძეს.

ამჟღავნებს „კრიტიკიდან“ ჩემი მოხსნის ერთადერთ მიზეზსაც რაც ხ. ბერულავაზე თ. წივწივაძის წერილის დაბეჭდვა იყო, რისთვისაც „დააპატიმრეს“ „კრიტიკის“ მეექვსე ნომერი.

ხომ ყველაფერი გაირკვა?

არა და ხომ შეიძლება აქამდე ვერ მეცოცხლა?

17/II 90

დეპუტატობის კანდიდატთა და საარჩევნო კომისიის სხდომა ჩატარდა.

ჩვენ - ჩვენი პროგრამა წარვადგინეთ.

თორმეტი კანდიდატი ვიყრით კენჭს.

ვნახოთ, რა იქნება.

18/II 90

კვირაა.

დავწერე პატარა ნოველა „მე რომ მკითხო“.

თითქმის სამი თვის შესვენების შემდეგ პირველად მოვკიდე კალამს ხელი.

ეს კარგი ნიშანია. იქნებ ვძლიო წყეულ „აპათიას“, რამაც შემიპყრო „ლიტერატურული საქართველოს“ თავდასხმის შემდეგ.

19/II 90

მე და შოთა ნიშნიანიძემ ვისაუბრეთ მწერალთა კავშირის ფოიეში.

საქართველოს ბრძოლაზე ჩვენი თვალსაზრისები ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს.

მერე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაზე ჩამოვარდა სიტყვა.

ორივეს მიგვაჩნია, რომ ხელმძღვანელობის სტრუქტურა უნდა შეიცვალოს.

20/II 90

მწერალთა კავშირში პრეზიდიუმის სხდომა გვქონდა წესდების საკითხზე.

წესდების „პროექტი“ („ლიტ. საქართველოში“ გამოქვეყნებული) დავიწუნეთ მე და თამაზ ჭილაძემ. მხარი დაგვიჭირა ე.წ. „ოპოზიციურმა ლიტერატურულმა ჯგუფმა“ დავით მჭედლურის, მამუკა წიკლაურის, გივი ალხაზიშვილის და ვახტანგ ხარჩილავას შემადგენლობით.

მე ვთქვი, ჩვენ თავისუფალი საქართველოსთვის ვემზადებით და წესდებაც დამოუკიდებელი საქართველოს შესაფერისი უნდა გვქონდეს-მეთქი.

რაც შეეხება ოს და აფხაზ მწერლებს, ისინი უნდა შემოვიდნენ, როგორც ასოციაციები და არა როგორც მწერალთა კავშირის სრულუფლებიანი წევრები-მეთქი. ყრილობა 5-ის ნაცვლად 3 წელიწადში ერთხელ უნდა მოეწყოს-მეთქი. გამგეობა უნდა გაუქმდეს და პრეზიდიუმი უნდა გაფართოვდეს-მეთქი.

ელიზბარ ჯაველიძემ დააყენა საკითხი – ხუტა ბერულავა გაძევებულ იქნას სამდივნოდანო. მხარი დაუჭირა ჯანსუღ ღვინჯილიამ.

21/II 90

მე და ბორისი რუსთაველის თეატრში დავესწარით სპექტაკლს - „გარეუბნის მარტოსახლი“.

უფრო ცუდი სპექტაკლი მე არ მინახავს.

ეს იყო უნიჭობის მწვერვალი.

პერსონაჟებს შორის ურთიერთობა არ არის, სიტყვებს ისვრიან. იცინიან და ტირიან სრულიად უმიზეზოდ, უაზროდ.

სიუჟეტი – არა, ხასიათები – არა.

ღმერთო, რა განუკითხაობაა.

დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. სპექტაკლი რომ დამთავრდა, სცენაზე ტაშის სათხოვნელად გამოსულ მსახიობებს შევძახე: „თქვენი ბრალი არ არის-მეთქი“.

უკლებლივ ყველა გაიგონა და თავი დამიქნიეს.

22/II 90

კათედრის სხდომა მქონდა.

„ახკომში“ ალექსანდრე ფოცხიშვილის განმაქიქებელი წერილია ხუტა ბერულავაზე.

23/II 90

ისევ ხუტაა მოთხრილი „ლიტერატურულ საქართველოში“ თ. წივწივაძის მიერ.

რა ჩქარა გადაუხადა ღმერთმა სამაგიერო ჩემი გამწარებისთვის.

შუადღისას უნივერსიტეტში დიდი კრება გაიმართა.

კრებას უძღვებოდნენ ირაკლი კაკაბაძე, გია მამალაძე და სხვები – არაფორმალები.

საკითხი იდგა უნივერსიტეტში პარტიული და კომკავშირის კომიტეტების გაუქმების შესახებ.

ტარიელ კვანჭილაშვილმა იკითხა, ვთქვათ პარტიული კომიტეტი გავაუქმეთ, მაშ, რომელი პარტიის კომიტეტი უნდა შევქმნათო.

არც ერთიო, უპასუხეს, უნივერსიტეტი იდეოლოგიზებული არ უნდა იყოსო.

ერთხმად დავადგინეთ: ა) უნივერსიტეტში გაუქმდეს პარტიული და კომკავშირის კომიტეტები; ბ) გაიხსნას მესამე სართულზე სამლოცველო.

ხვალ დიდმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს ეს დადგენილება.

საღამოს მე და თემურ ჩალაბაშვილი მხატვარ ვახტანგ გულისაშვილს ვესტუმრეთ.

ჩვენ სასტიკ დროში ვიცხოვრეთ და მით ურფო მაამაყებს ამ ბოლო დროს მოყვასისადმი ყურადღება რომ გავაფაციცეთ.

ჩვენ შეგვიძლია ავღელდეთ ნიკო ფიროსმანის ბედზე, მაგრამ დღეს რომ ნიკო ფიროსმანივით ღატაკ და საწყალ კაცს შევხვდეთ, გულგრილად ჩავუვლით.

უჭირს ვახტანგ გულისაშვილს.

„წყალში დგას“ და ცეცხლი უკიდია. ნახატები უფუჭდება. სახლი ანგრეულ-დანგრეული.

ხვალ უნდა ავტეხო ზარების ცემა.

24/II 90

ისევ შედგა უნივერსიტეტში კრება პარტკომის და ალკკ-ს გაუქმების საკითხზე.

რექტორმა ნ. ამაღლობელმა დაარღვია გუშინდელი შეთანხმება და საბჭო არ მოიწვია.

კრებამ ხელმეორედ მიიღო რეზოლუცია, რაკი რექტორი საბჭოს არ იწვევს, ორშაბათს 12 საათიდან ვაცხადებთ პარტკომის წინ უვადო შიმშილობას.

კრება რომ დამთავრდა, თავმჯდომარეს – დათო ტურაშვილს ველაპარაკე; პოლიტიკური ბრძოლის ფორმებს არა ხართ-მეთქი დაუფლებული, შვილო. რად უნდა-მეთქი ამას შიმშილობა. დღეს მეორედ ვიკრიბებით; მიგვეღო რეზოლუცია, დადგენილება გატანილ იქნას უნივერსიტეტიდან პარტიული და კომკავშირული კომიტეტები. ამ დადგენილების შემსრულებლად გამოგვეყო რამდენიმე კაცი. მიგვეტანა ეს დადგენილება და ვერ გაბედავდა ვერავინ, რომ არ შეესრულებინა-მეთქი. რატომ არ გვითხარით კრებაზეო. ხელს ვიწევდი, მაგრამ ყურადღება არ მომაქციე-მეთქი.

დღეს დავწერე პატარა ნოველა „იარა“.

25/II 90

კვლავ შევიკრიბეთ უნივერსიტეტიდან პარტკომის და ალკკ კომიტეტის გასატანად.

რექტორმა პირობა მოგვცა, ხვალ საბჭოს სხდომას მოვიწვევ და გადავწყვეტო.

ვნახოთ.

27/II 90

მედეა კახიძე, ანზორ აბულაშვილი, ზაზა ბაწელაშვილი და მე კასპში ვიყავით შეხვედრაზე. სოფელ ქვემოჭალის კლუბში დიდი შეხვედრა მოგვიწყეს. დარბაზი ხალხით გაჭედილია. დაგვაყარეს შეკითხვები. მკითხეს ეროვნულ მოძრაობაზე, ჩემს პოლემიკებზე, ხუტა ბერულავაზეც კი.

კარგი შეხვედრა იყო.

28/II 90

დღეს საბოლოოდ გავთავისუფლდი პარტიის მძიმე უღლისგან, რომელიც ლამის 30 წელი ვატარე.

თსუ პარტიული კომიტეტის მდივანს – ჩარიტა ჯაშს, ჩავაბარე პარტბილეთი და სათანადო განცხადება იმის შესახებ, რომ გავდივარ პარტიიდან.

1/III 90

დღეს უნივერსიტეტის 93-ე აუდიტორიაში საჯარო ლექცია მქონდა „ქართული მწერლობა და თანამედროვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“.

დარბაზი ხალხით გაჭედილია.

სხდომა გახსნა დეკანმა კორნელი დანელიამ და 50 წელი მომილოცა.

გულთბილი სიტყვა თქვა ჩემს შემოქმედებაზე პროფესორმა ჯემალ აფციაურმა.

მე პირადად ორი საათი ვილაპარაკე.

ჯერ მოხსენება წავიკითხე, რომელშიც დავამტკიცე, რომ ქართული მწერლობა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ახლაც მეთაურობს.

მერე შეკითხვებს ვუპასუხე.

კარგი დღე იყო. შეხვედრის დასასრულიც მშვენიერი იყო. ჯემალ აფციაურმა შინ მიგვიპატიჟა და დიდი სუფრა გაგვიმართა.

2/III 90

სერგი ჭილაია დიდხანს მესაუბრა ჩემს ნაბიჯზე, არ უნდა გასულიყავი პარტიიდანო, ესენი კუდს კიდევ მოიქნევენო, რეპრესიები დაიწყებაო, იჩქარეო. ვიჩქარე კი არა, პირიქით, დავაგვიანე-მეთქი. სანამ დავრჩენილიყავი-მეთქი იმ პარტიაში, რომლისაც არც ერთი დღე არა მჯეროდა, იმ პარტიაში, რომელმაც ჩემს სამშობლოს მონობის მეტი არაფერი მოუტანა-მეთქი.

მეო, ძველი კაცი ვარო, მე ოცდაჩვიდმეტი გამოვიარე და მეშინიაო.

3/II 90

შაბათია.

ყარამან ნემსაძის ორმოცდაათი წლისთავის ვახშამზე გახლდით.

ძლივს მივაგენით მე და აჩიკომ.

დიდი სიყვარულით შემხვდნენ.

ჩემს სადღეგრძელოში ერთმა ინჟინერმა (ომარი ერქვა, გვარი არ ვიცი) – ბატონი რევაზის წიგნი ქართულად ვერ ვიშოვე და მოსკოვში რუსულად ვიყიდე-რომ წავიკითხე, მთელი კვირა დავდიოდი და მარტო, ჩემთვის ვიცინოდიო.

გვერდით უკრაინიდან ჩამოსული რუსი მეჯდა. დათვრა და მთელი საღამო მარიგა: ქართველები, ასეთი კარგი ხალხი ხართ და, თუ ღმერთი გწამთ, ნუ გახვალთ საბჭოთა კავშირიდანო.

4/III 90

რევაზ ლალიძეზე მოგონებას ვწერდი.

რა კოლორიტული, რაოდენ ქართული ბუნების კაცი იყო.

5/III 90

მუხრანთან ვიყავი, ეროვნულ მოძრაობაზე ველაპარაკე.

ელაპარაკები, გგონია, გისმენს, მერე თავს აწევს, ნახევრადმძინარე თვალებით შემოგხედავს და გეკითხება:

– ა, რა თქვი?

საღამოს მიტინგზე ვიღაცამ მოითხოვა ნაირა გელაშვილისა და რევაზ ჯაფარიძის წიგნების დაწვა. ისინიო თურქი მესხების ჩამოსახლებას მოითხოვენო.

ვაი, სირცხვილო?!

წიგნების კოცონზე დაწვა?

6/III 90

ელიზბარ ჯაველიძემ დამირეკა, „კრიტიკაში“ უსათუოდ უნდა დაბრუნდეო. შენს სიმართლეში დავრწმუნდი და ბოლომდე გვერდით მიგულეო. შენს წინაშე „ლიტ. საქართველო“ დამნაშავეაო.

7/III 90

დილით თ. წივწივაძემ გამომიარა, მწერალთა კავშირი უნდა ვაიძულოთ, „კრიტიკის“ რედაქტორად დაგაბრუნოსო.

2 საათზე პრეზიდიუმი გვქონდა.

ელიზბარ ჯაველიძემ დასვა საკითხი: მიშველაძე რატომ გაათავისუფლეთ, ეს კანონის დარღვევაა.

გამოყვეს კომისია.

მერე ხუტა გაატარეს წნეხში ჩემი მოხსნისთვის.

რა ხდება: აკი აქამდე სდუმდნენ?

8/III 90

ქალთა დღე.

ჩამოვურეკე ნაცნობ-მეგობარ ქალბატონებს. ჩემი კათედრის წევრ ქალებს მივულოცე.

გახურდა პოლიტიკური ბრძოლა.

გორბაჩოვი ერთმმართველი პრეზიდენტის თანამდებობისკენ მიილტვის. ეს მონარქობას, მეფობას ნიშნავს.

მაშინ ნახე იმპერიის გამაგრება.

დღეს მიტინგზე ქართველმა დეპუტატებმა დაადგინეს, უარი თქვან დეპუტატთა ყრილობაზე გამგზავრებაზე და გორბაჩოვისთვის ხმის მიცემაზე.

ეს დიდი პროტესტია.

მიტინგზე ისიც ითქვა, რომ თუ გორბაჩოვმა თავისი გაიტანა, საქართველო სსრკ-დან ავტომატურად გასულად ითვლება.

საღამოს ტელეფონით ვესაუბრე პროფესორ ოთარ აბუთიძეს. უაღრესად ინფორმირებული მეცნიერ-პოლიტიკოსია. ნამდვილი ენციკლოპედიაა.

9/III 90

დღეს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესია ჩატარდა.

მიტინგებმა აიძულეს გუმბარიძე, სესიაზე მიეღო მისთვის ფრიად არასასურველი დოკუმენტი:

საქართველო უარს ამბობს, დამტკიცდეს პრეზიდენტის პოსტი. უარს ამბობს, ხმა მისცეს გორბაჩოვს, როგორც პრეზიდენტს.

გამოვიდნენ გ. ციციშვილი, ჯ. ჩარკვიანი, ვ. ლორთქიფანიძე, დ. ხახუტაშვილი, ა. ბურჯანაძე.

კარგია. საქართველოს უზენაესი საბჭო პირველად ხალხის მხარეზე დგება.

10/III 90

მთელი დღე „ვეფხისტყაოსანს“ ვკითხულობდი.

ბევრი ვიყეფე „კრიტიკაში“. აკადემიის კომისიამ დაამახინჯა ჩვენი უპირველესი წიგნი-მეთქი, მაგრამ ყური არავინ მათხოვა.

საერთოდ, არსებობს, ნეტავ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია?

თუ არსებობს, ნუთუ მშვიდად უცქერის, მისი კომისია როგორ რყვნის „ვეფხისტყაოსანს“? ათას ლაფსუსთა შორის ერთის დასახელებაც კმარა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“, ასე შეცვალეს: „იგი წარჰხდების, სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

„ვეფხისტყაოსანი“ კი არა, ქვეყანა დარჩა უპატრონოდ!

11/III 90

ფანჯიკიძემ დამირეკა და მითხრა, თხუთმეტი კაცი აგირჩიეთ მწერალთა კავშირიდან, 13-ში, 12 საათზე ფილარმონიის დიდ დარბაზში პოლიტიკური პარტიების ყრილობას უნდა დაესწროთ, სადაც დროებით, კოალიციურ მთავრობას აირჩევენო.

როგორც იქნა, გვეღირსება ნამდვილი მთავრობა.

12/III 90

მოსკოვში სესიაზე გამოაცხადეს, პრეზიდენტის არჩევნებს კარგი პირი უჩანსო.

სასაცილოა, რა არჩევნები, რის არჩევნები, როცა 1800 დეპუტატიდან 1600 იმპერიის მომხრე რუსია. საქართველომ და ლიტვამ რაც უნდა იყვირონ და „იპროტესტონ“, მათი სურვილი წინასწარ განწირულია.

საღამოს ტელევიზიით გამოვიდნენ ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი და ხონელიძე. ილაპარაკეს საქართველოს ეროვნულ მოძრაობაზე და ხვალინდელ ყრილობაზე.

ვნახოთ, რა იქნება, მე სიამოვნებით წავალ ხვალ. უკვე ლიტვამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. „ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი, გამაგონე ჩემს მამულში“.

13/III 90

დღეს ფილარმონიის დიდ დარბაზში პოლიტიკური პარტიების ყრილობა გაიხსნა.

სიტყვებით გამოვიდნენ ნ. ნათაძე, ზ. გამსახურდია, ი. ბათიაშვილი, ი. წერეთელი, თ. ქორიძე და სხვანი.

თ. ქორიძემ სასტიკად გააკრიტიკა სახალხო ფრონტი.

არ მომწონს, რომ „არაფორმალები“ ერთმანეთს დაერივნენ.

დღეს რესპუბლიკის პროკურორმა გადმომცა „პროტესტი“, რომლითაც მუხრან მაჭავარიანის ბრძანება ჩემი მოხსნის შესახებ, როგორც უკანონო, გაუქმებულია.

მე მაინც არ დავბრუნდები „კრიტიკაში“.

მაგრამ ეს ფაქტი ურიგო როდია.

მტკიცდება ჩემი სიმართლე.

14/III 90

დავწერე „ერთი სევდიანი ისტორია“ – პატარა წერილი, რომელიც „ახალგაზრდა კომუნისტში“ მივიტანე.

არ მინდოდა ძველი იარის გახსენება, მაგრამ რედაქციამ მთხოვა.

„კრიტიკიდან“ შენი გათავისუფლების ისტორია მკითხველმა უნდა იცოდესო. ყველამ უნდა დაინახოსო სიმართლე.

ვნახოთ, დაბეჭდავენ თუ არა.

რა ხდება? რატომ შემობრუნდა პრესა ჩემსკენ?

15/III 90

დღეს მკითხველებთან შეხვედრა მქონდა ცეკავშირის ტექნიკუმის შენობაში.

წარვუდექი მრევლს ჩემი შეხედულებებით. რამდენიმე ნოველაც წავიკითხე.

მკითხეს ბევრი რამ, მათ შორის ცისკარიშვილის და ვასაძის ბინძური წერილების ისტორიაც.

16/III 90

უსიამოვნო საუბარი მქონდა მუხრან მაჭავარიანთან.

კონფერენციაზე ან შენ უნდა გამოსულიყავი, ან ჩვენთვის მოგეცა საშუალება გამოვსულიყავით-მეთქი. შენი სიჩუმით იქმნება ილუზია, თითქოს ქართველი მწერლები გულგრილნი არიან იმის მიმართ, რაც მიტინგებზე ხდება-მეთქი.

შენ რომ იქნები თავმჯდომარე, შენ მართე მწერალთა კავშირი, როგორც გაგეხარდება, ახლა მე ვარ უფროსიო, შემომიბღვირა.

ვინ ეცილება?

დღეს საღამოს რუსთაველის თეატრში ვნახე გურამ ბათიაშვილის „შეთქმულება“. ძველი პიესა „1832“, რომელიც რუსთაველის თეატრში 10 წელიწადს იდო, კაცმა რომ თქვას, რა სჭირდა ამ მშვენიერ პიესას არდასადგ-

მელი. მომეწონა სპექტაკლი. ძლივს რუსთაველის თეატრში ქართული პიესა ვნახე ქართულ ტკივილზე. შესვენებისას მსახიობი ელენე საყვარელიძე გადამეხვია: ერთი კვირის წინათ ჩვენ: მე, მედეა ჩახავა, გიგოლა თალაკვაძე და სხვები შევედით რ. სტურუასთან და რეპერტუარის განახლება მოვითხოვეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში განვუცხადეთ, რომ აქციას მოვაწყობთ, მიშველაძე შენთან ყველაფერში მართალი იყოო, უთხრაო მედეა ჩახავამ. ერთი კვირის შემდეგ ხუთივენი კულტურის სამინისტროში დაგვიბარეს და წინადადება მოგვცეს, პენსიაზე გავიდეთო.

ასეთი სამართალი აქვს, თურმე, კულტურის მინისტრს.

17/III 90

„ახკომში“ დაბეჭდილია პარტიათა ყრილობის დადგენილება და რეზოლუციები. ეროვნულმა მოძრაობამ არნახული ნახტომი გააკეთა.

„ბოიკოტი არჩევნებს, ბოიკოტი „საბჭოთა საქართველოს“, ბოიკოტი უმაღლესი საბჭოს სესიას, ბოიკოტი მთავრობას, ბოიკოტი საბჭოთა არმიას, ბოიკოტი კომუნისტებს!

დიდებულია. ამ რეზოლუციებით ყველაფერია ნათქვამი, ახლა მთავარია პრაქტიკაში გატარება („პრაქტიკაში“ რუსულია).

18/III 90

კვირაა.

მირანგულ ავსაჯანიშვილმა დამირეკა. ყური მოვკარი, რომ არჩევნებში შენი კანდიდატურის მოხსნას აპირებ, მართალია თუ არაო.

არც დასახელებაზე მიზრუნვია და არც კანდიდატურის მოხსნაზე ვიზრუნებ-მეთქი.

ახლა უნდა ვეცადო, არჩევნების დღეებში თბილისში არ გავჩერდე. ვინმეს არ ეგონოს, ქართველ ხალხს ხმას ვთხოვდე. თუ ჩემს ერს ვუღირვარ რამედ, ამირჩევენ, თუ არა და გული მიანც არ გამიტყდება. ჩემს საქმეს ძველებურად გავაკეთებ.

19/III 90

მიტევებისა და შეწყალების დღედ გამოაცხადა ეს დღე ეროვნულმა მოძრაობამ.

დავიძარით უნივერსიტეტიდან, სიონში უნეტარესმა ილია II-მ ლოცვა აღავლინა.

20/III 90

მწერალთა კავშირში პროზის სექციის სხდომაზე მე და ნოდარ წულეისკირმა დავსვით საკითხი მწერალთა კავშირის არსებული სტრუქტურის გაუქმების შესახებ.

არ შეიძლება მწერალთა კავშირი რაიკომს ჰგავდეს.

შევარდნაძე ნამიბიაში ჩაფრინდა.

ლიტვას ბლოკირებას უკეთებს მოსკოვი.

21/III 90

საავადმყოფოში მივაკითხე ჩემს კახელ მეგობარს, კარგ ყმაწვილს, ჯეემალ სანდოშვილს ხელი გასივებია. „ტრომბს“ ვარაუდობენ.

„გეპარინი“ მჭირდებაო. მთელი თბილისი შემოვიარე და როგორც იქნა, ვუშოვე. თან ცოტაოდენი ფულიც (50 მან.) შევუდე ბალიშქვეშ.

ამაღამ მშვიდად დამეძინება.

ლიტვას ცუდ დღეში აგდებენ. იმპერია კბილებს აღრჭიალებს. უკანონოა ლიტვის გასვლა, ჯერ ვალი (?!) უნდა გადაგვიხადოსო.

22/III 90

ლიტვას მილიცია განუიარაღეს. ჯარისკაცებს, ვინც ლიტვის განთავისუფლების გამო შინ წავიდა, აპატიმრებენ.

მოსკოვი შურისძიებაზე გადავიდა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ლიტვას სასტიკად დასჯიან გასვლის გამო.

იმპერია არ დათმობს ძალაუფლებას.

ცუდ ხასიათზე ვარ.

23/III 90

დღეს მიტინგზე ირაკლი წერეთელმა გამოაცხადა: საქართველომ მხარი უნდა დაუჭიროს ლიტვას, ლიტვის დამარცხება ჩვენი დამარცხებაა.

ისტორიკოსმა აკაკი მათიაშვილმა რუსთაველზე შემომჩივლა; რა საშინელებაა, რომ მუხრან მაჭავარიანი არავითარ ეროვნულ აქციაში არ მონაწილეობსო.

საწყალ ვანო ქობალიას ოცდაცამეტი წლის ბიჭი მოუკვდა მენინგიტით.

პანაშვიდზე ვიყავი.

ხვალ ბათუმში და იქიდან თურქეთში მივდივარ ერთი კვირით.

24/III 90 – 9/IV 90

თურქეთში ვიმოგზაურეთ (7 დღით) ნათელამ, აჩიკომ და მე.

თურქეთი ნახევრად ხრიოკი ქვეყანაა.

გასაგებია, რატომ ილტვოდნენ ჩვენსკენ.

მითხრეს, რომ თურქეთში 15 მილიონამდე ქართველი ცხოვრობს.

მართლაც, სტამბოლში, სამსუნში და ტრაპიზონში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ქართველს.

ქართულს ძლივს ღერღავენ, თურქულ პასპორტში ეროვნება ყველას თურქი უწერია.

აკრძალულია ქართული ენა, ქართულ სკოლებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ამაწსინათ ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თურქეთს ნოტა გამოუგზავნა, ქართულს რატომ ზღუდავთო, თურქეთმა უპასუხა, ჩვენთან ერთი ქართველიც კი არ ცხოვრობსო.

შევხვდი ქართველებს – ოთარ იმედაშვილს, ილია ხიმშიაშვილს, გურამ ხიმშიაშვილს, ჩელებაძეს...

მე ვფიქრობ, თქვენი მუშაობა ასე აჯობებს-მეთქი: თავდაპირველად საჭიროა ეროვნული გამოღვიძება. უნდა გაახსენოთ ყველას ქართველობა-მეთქი. მერე გზა თვითონ გამოჩნდება-მეთქი.

ჩამოვედი თბილისში. სასიხარულო ამბები დამხვდა. „ახკომს“ (27/III) დაუბეჭდავს ჩემი წერილი „ერთი სევდიანი ისტორია“. რომელშიც ხ. ბერულავას ვაკრიტიკებ.

„ლიტ. საქართველოს“ დაუბეჭდავს ჩემი 50 წლისთავისადმი მილოცვები.

9/IV 90

წუხელის მთავრობის სახლთან გავათენეთ დაახლოებით 10 ათასმა ქართველმა.

რა თეატრალური გლოვა ვიცით.

რა ფეიერვერკი იყო. დაწვეს როდიონოვის ფიტული.

დილის 7 საათზე დავბრუნდით შინ.

10/IV 90

2 საათზე მწერლები მარნეულს, თამარისს ვეწვიეთ.

გაიხსნა 9 აპრილის მემორიალი.

სიტყვა ვთქვი.

მერე ნიკო ბარტყულაშვილის ოჯახს ვეწვიეთ (ლამარა, მაია, გია, დათო).

მშვენიერი ქართული სოფელია თამარისი.

რა მადლიერებას გამოთქვამენ ჩვენს მიმართ.

თქვენაო, მწერლებმა, მიწის ნაკვეთები დაგვირიგეთო.

შინ დაბრუნებისას ერთხელ კიდევ ჩავუარეთ მიხაკების ზღვას.

ერთი საოცარი საქმე აღსრულდა; აზერბაიჯანელები შეგვირიგდნენ. მიხვდნენ, რომ რუსები ჩვენი საერთო მტრებია.

მოდიოდნენ და მოდიოდნენ დელეგაციებად.

11/IV 90

დღეს, როგორც იქნა, რექტორს ხელი მოვაწერინე სოსო ბუხაიძისთვის შტატის გამოყოფაზე.

გახარებული ვარ.

55 წლის გახდა სოსო და ახლა, ამ სიბერეში ძლივს აღირსეს შტატი.

გამოვიდა პროფკავშირის გაზეთი „კაბადონი“. პირველ ნომერს არა უშავს. ვნახოთ, იქცევა თუ არა მებრძოლ ორგანოდ.

მწერალთა კავშირში წესდებაზე დიდი კამათი გვქონდა.

მე მხარი დავუჭირე მწერალთა კავშირში „პარტიული წყობის“ რღვევის წინადადებას.

12,13,14/IV 90

„თვისტომის“ ყრილობა ჩატარდა.

აკაკი ძიძიგური თავმჯდომარეობდა.

ერთხმად ამირჩიეს პრეზიდენტად.

ვიცე პრეზიდენტებად – ანდრო გოგოლაძე და სევარიონ ნადირაძე.

უნდა დავეხმაროთ საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველებს.დიდი ტვირთია,მაგრამ უნდა გავწიო.

აკაკი ძიძიგურმა ბიბლიოთეკის შენობაში ერთი ოთახი თავაზიანად დაგვითმო.

ხვალ აღდგომაა.

15/IV 90

ქრისტე აღდგა!

რა მშვენიერი, რა ძლიერი და რა წმინდაა ქრისტე.

მართლა შეიძლება მტრების დამარცხება სიყვარულით.

16/IV 90

მთელი დღე ვიცე-პრეზიდენტებთან – ანდრო გოგოლაძესთან და სევარიონ ნადირაძესთან გავატარე.

ჯერ რედაქციები ჩამოვიარეთ; პროგრამის დაბეჭდვას ვერავინ ბედავს – ძალიან გაბედულიაო.

შევადგინეთ გეგმა. წესრიგში მოვიყვანეთ ოქმები და რეზოლუციები.

17/IV 90

მთელი დღე „პირველი სხივის“ მასალებს ვასწორებდი.

ახალგაზრდებს ვერ ვუღალატებ.

არა და წელში გამტეხს ამდენი საქმე.

ჯერ მარტო „თვისტომის“ ფეხზე დაყენება, მისი პრეზიდენტობა პატარა საქმეა? აქ კათედრა, იქ ცოდნის კლუბი, ჩემი მთავარი საქმე – ნოველა, საქართველოს პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობა. ღმერთო, შემეწიე!

18/IV 90

სამი საათი ასწორა კარლო ბუხნიკაშვილმა (მინისტრთა საბჭო) ჩვენი „თვისტომის“ წესდება. როგორც იქნა, დაიყვანა საბჭოურ კონდიციამდე.

რა ჩემი ბრალიაო, ბოლოს გვითხრა, გვინდა თუ არა, ჯერ კიდევ არსებობს წყეული საბჭოთა ხელისუფლებაო.

19/IV 90

დილის 5 საათზე გულის ბრაგუნმა გამომაღვიძა. წნევა 160-115, ნათელა შეშინდა.

დავურტყი წნევის წამლები. გაბურბუსალებული წავედი სამსახურში.

20/IV 90

გუშინ საღამოს „კრიტიკიდან“ ა. გაბელიამ დამირეკა, ხვალ რედაქციის თათბირი გვაქვს და დაგვესწარიო.

მივედი. რედაქციის თანამშრომლების გარდა იქ იყვნენ სახალხო ფრონტის, დემოგრაფიული საზოგადოების, მერაბ კოსტავას საზოგადოების, საზოგადოება „თვისტომის“ და პრესკლუბის, აგრეთვე სხვადასხვა ლიტერატურული ორგანოების წარმომადგენლები.

მწერალ ალეკო გაბელიას მიერ ნაკითხულ იქნა რედაქციის ღია წერილი, რომელსაც ხელს ანერს „კრიტიკის“ ლიტერატურულ თანამშრომელთა უმეტესობა. ღია წერილში საუბარია იმის შესახებ, რომ მკვეთრად გამოკვეთილი ეროვნული პოზიციის გამო ორი თვის წინათ „კრიტიკის“ რედაქცია დარბეულ იქნა. უკანონოდ გაათავისუფლეს რედაქტორი რ. მიშველაძე და მალე რედაქციის სამი წამყვანი თანამშრომელი – გ. ჯულუხიძე, ნ. გრიგალაშვილი, ს. ნადირაძე აიძულეს წასულიყვნენ რედაქციიდან.

სიტყვები წარმოთქვეს: ს. სიგუამ, გ. ჯულუხიძემ, ს. ნადირაძემ, რ. მიშველაძემ, ჯ. ჯიქიამ, თ. ჩალაბაშვილმა, თ. ვეშაპელმა, ა. ჩხაიძემ, თ. დოიაშვილმა, ლ. ბრეგაძემ და სხვებმა.

თათბირმა რედაქციის თანაშმრომელთა სურვილისა და საქ. სსრ პროკურატურის, რესპუბლიკის პროფკავშირის და რესპუბლიკის სახალხო კონტროლის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დაადგინა: აღდგენილ იქნან სამსახურში რ. მიშველაძე (მთავარი რედაქტორი), გრ. ჯულუხიძე (რედაქ-

ტორის მოადგილე), ნ. გრიგალაშვილი (განყოფილების გამგე), ს. ნადირაძე (ლიტმუშაკი).

„კრიტიკას“ დაუბრუნდეს სახელწოდება და „ქართული მწერლობის“ ნაცვლად ეწოდოს „კრიტიკა“.

ამის შემდეგ თათბირის მონაწილენი ეწვივნენ მწერალთა კავშირს, აჭედეს მწერალთა კავშირის მდივნის, „კრიტიკის“ კურატორის – ხ. ბერულავას კარები და მწერალთა კავშირის მდივნის გ. ფანჯიკიძის და სხვა თანამშრომელთა თანდასწრებით ერთხელ კიდევ წაიკითხეს რედაქციის ღია წერილი. „კრიტიკის“ თანამშრომლები აცხადებენ, რომ თუ მათი კანონიერი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, იძულებული გახდებიან მიმართონ უკიდურეს ზომას – გამოაცხადონ შიმშილობა მწერალთა კავშირის შენობაში, მუხრან მაჭავარიანის კაბინეტის წინ.

21/IV 90

დილიდან უქეიფოდ ვარ.

ფანჯიკიძემ დამირეკა, ხუტას ფიცრები ჩამოუგლეჯია და უსირცხვილოდ შესულა თავის კაბინეტშიო.

თავმოყვარეობა არ ჰქონია.

რომ მცოდნოდა, რა საკითხზე მეძახდნენ, არამც და არამც არ მოვიდოდი „კრიტიკაში“.

უსიამოვნოა ჩემთვის ყოველივე.

„კრიტიკაში“ დაბრუნებას ფიქრშიც არ გავივლებდი, რომ დამენახა, ჩემს ადგილზე ეროვნული ბიჭები, თანამოაზრენი მოვიდნენ-მეთქი.

ჩემს გარდა სამი უდანაშაულო, ნიჭიერი კაცი გააგდეს. ჟურნალს სახელი შეუცვალეს. ანგარიშსწორების ტრიბუნად გამოიყენეს.

ვემუდარე რედაქციის ბიჭებს, ჩემი გულისთვის ცხოვრებას ნუ გაირთულებთ, შიმშილობას ნუ გამოაცხადებთ-მეთქი,მაგრამ არ დამიჯერეს. გადაწყვეტილებაზე მტკიცედ დგანან.

ნუთუ, დაუშვებს მუხრან მაჭავარიანი მწერლების შიმშილობას?

ნუთუ, არაფერს ეუბნება მას ხ. ბერულავას კარების აჭედვა?

22/III 90

დღეს გაზეთ „კაბადონში“ ფოტოები და ინფორმაციაა დაბეჭდილი – „რამ აამღვრია წყალი“, ნათქვამია, რომ მიშველაძის უსამართლოდ გათავისუფლების გამო რედაქცია და არაფორმალური საზოგადოებები პროტესტს გამოთქვამენო.

პრესაშიც გაჟონა. ახლა უკან დახევა აღარ შეიძლება.

მე რედაქციის გვერდით უნდა ვიყო.

23/IV 90

დღეს „კრიტიკის“ რედაქციის თანამშრომლებმა და ქალაქის ახალგაზრდებმა რედაქციის წინ მიტინგი მოაწყვეს.

მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად დაადგინეს რ. მიშველაძის დაბრუნება „კრიტიკაში“.

როგორც საღამოს თამაზ წივწივაძემ დამირეკა, მუხრანს განუცხადებია; უნდა დავაბრუნო მიშველაძე, სხვა გზა არა მაქვსო.

24/IV 90

ვწევარ. სურდო შემეყარა.

კვლავ „ვეფხისტყაოსანს“ ვუკირკიტებ.

25/IV 90

დღეს დამირეკეს მწერალთა კავშირიდან: თქვენი გულისთვის 5-მა ახალგაზრდა მწერალმა შიმშილობა გამოაცხადაო.

თურმე, 12 საათზე „კრიტიკის“ თანამშრომლები მისულან მუხრანთან. მუხრანს ჩემს დაბრუნებაზე კატეგორიული უარი უთქვამს.

ახალგაზრდა მწერლები (ა. ჩხაიძე, ა. გაბელია, ს. ნადირაძე, თ. ვეშაპელი, გ. კიკოლაშვილი) გამოსულან და იქვე საშიმშილოდ დამსხდარან.

მივვარდი მწერალთა კავშირში. ნუ იზამთ ამას-მეთქი. არ დაიშალეს.

რა საშინელებაა. ჩემი გულისთვის ეს კარგი ბიჭები წუხდებიან.

26/IV 90

მთელი დღე საშინლად აფორიაქებული ვარ. ადგილს ვერ ვპოულობ.

შუაღამისას მივედი მოშიმშილეებთან. „ნუ შვრებით-მეთქი ამას, ბიჭებო, გთხოვთ, გევედრებით, შეწყვიტოთ-მეთქი, შიმშილობა“.

27/IV 90

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა. საგანგებოდ, შიმშილობასთან დაკავშირებით.

მუხრან მაჭავარიანმა საოცარი სიმშვიდით განაცხადა: მთელმა მწერალთა კავშირმა რომ გამოაცხადოს შიმშილობა, „კრიტიკის“ რედაქტორად მიშველაძეს მაინც ვერ დავაბრუნებ, ვინაიდან, როგორც ცეკადან მაცნობეს, იგი ანტისაბჭოთა მწერალიაო.

ავდექი ბოლოს და განვაცხადე: რაკი მაჭავარიანს არ ჰყოფნის ვაჟკაცობა, რომ აღიაროს თავისი შეცდომა, სამაგიეროდ, მე მყოფნის ვაჟკაცობა უარი განვაცხადო „კრიტიკის“ რედაქტორობაზე, რათა ჩემი გულისთვის მოშიმშილე ახალგაზრდებს ზიანი არ მიადგეთ-მეთქი.

პრეზიდიუმის სხდომა ხვალისთვის გადაიტანეს.

28/IV 90

დღეს მწერალთა კაშვირის პრეზიდიუმის სხდომაზე მურმან ლებანიძის წინადადებით, როგორც უკანონოდ გათავისუფლებული, აღმადგინეს „კრიტიკის“ რედაქტორის თანამდებობაზე.

არავის ეგონოს, რომ „კრიტიკის“ რედაქტორის თანამდებობა ისევ „მოვიპოვე“-მეთქი, გავიფიქრე და იმ წუთშივე, იქვე დავწერე განცხადება „კრიტიკის“ რედაქტორობიდან გათავისუფლების შესახებ.

პრეზიდიუმს სხვა გზა არა ჰქონდა; „კრიტიკის“ რედაქტორად ჩემივე წინადადებით არჩეულ იქნა ჯანსუღ ღვინჯილია ნიჭიერი, მებრძოლი კაცია, რაც მთავარია, გაწონასწორებული და პატიოსანი.

29/IV 90

მე და აჩიკო ვიყავით ახალგაზრდა პოეტ სევარიონ ნადირაძის ქორწილში. მეგრელი გოგონა შეურთავს. იქ სხვა ახალგაზრდა პოეტებიც იყვნენ: თ. ფირცხალაიშვილი, მ. ღანიშაშვილი, კახა ლორია (კრიტიკოსი, ჩემი ასპირანტი), ა. ჩხაიძე, გ. კიკოლაშვილი და სხვები.

თინა ვეშაპელმა დამირეკა: „კრიტიკის“ რედაქტორობაზე უარი არ უნდა გეთქვათო.

30/IV 90

ცუდ ხასიათზე გავიღვიძე.

ყურში უსიამოდ ჩამესმის მუხრან მაჭავარიანის მიერ დასმული შეკითხვა პრეზიდიუმზე: „კრიტიკაში“ ორი მოწინააღმდეგე მიშველაძესაც ჰყავს, ახლა იმათ რომ გამოაცხადონ შიმშილობა, რაღა ვქნათო.

როგორ გაებადრა სახე, როგორ გაეხარდა, როცა რედაქტორობაზე უარი განვაცხადე.

რა დავუშავე, ვერასგზით ვერ მივხვდი.

მე და აჩიკო საღამოს მერი ვაშაკიძესთან ვიყავით სტუმრად. იქ იყვნენ სოსო, გედეონ ხელაია, მზია მიქაძე, ულამაზესი დალი თუშიშვილი და სხვები.

ვითამადე.

1/V 90

ქვეყანა მოწყენილია.

თბილისში პარადი არ ჩატარდა.

კომუნისტების ზეიმები მოდიდან გადის.

სულ სხვა საქართველოში ვცხოვრობთ.

2/V 90

მილიციამ გამოგვიძახა მცხეთაში. მე და აჩიკო წავედით.

დაუჭერიათ ქურდები, ვინც 4 სახლი გატეხა მუხათწყაროში და მათ შორის ჩვენიც.

ჩვენგან მარტო ტელევიზორი იქნა წაღებული. წარმოგვიდგინეს ქურდები: 23 წლის გოგო - გიორგაძე და მისი საყვარელი 27 წლის ვაჟი. შემეცოდნენ. ორივემ იტირა, ბატონო რევაზ, რა ვიცოდით, თუ თქვენს სახლსაც ვტეხავდითო.

აპატიეთ-მეთქი, ვუთხარი მილიციის უფროსს. თურმე რას აპატიებენ, ჩემს გარდა 14 სახლი ჰქონიათ სხვადასხვა დროს გატეხილი.

3/V 90

ლიტვის კვალდაკვალ ლატვიაც აპირებს სსრკ-დან გასვლას!

„ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში“.

4/V 90

დავამთავრე „პირველი სხივის“ რედაქტირება. ნიჭიერი ბავშვები კვლავ არიან. ახალბედისთვის, დებიუტანტისთვის ხელის გაწვდენა ჩემი სასიამოვნო მოვალეობაა.

დამირეკა ფანჯიკიძემ. მუხრანი, თურმე, კატეგორიული წინააღმდეგი იყო, გამოეცხადებინა გაზეთში პრეზიდიუმის დადგენილება ჩემი აღდგენისა და ჩემივე განცხადებით გათავისუფლების თაობაზე.

საღამოს მე და აჩიკო მცხეთაში ჩავედით. ჩვენი ტელევიზორი არც ახლა გამოგვატანეს. ჯერ ბოლომდე „ამოცნობილი“ არ არისო.

5/V 90

პაატამ (ჩემმა დისწულმა) ცოლის შერთვა გადაწყვიტა. დღეს ნიშნობა ჰქონდა. სამივე ძმები ვახლდით. მშვენიერი ოჯახია, არქიტექტორ დავით ქავთარაძის ქალიშვილი – ნინო მოჰყავს. იქ შევხვდი ლევან საღარაძის (სირია) დებს და ძმას.

საწყალი ლევანი, როგორ სტკიოდა საქართველო.

მთელი ქვეყანა სსრკ-დან ლატვიის გამოსვლაზე ლაპარაკობს.

იშლება იმპერია!

6/V 90

კვირაა.

„თვისტომის“ პრეზიდენტის მიმართვა დავწერე ყველა ქართველისადმი; რათა დაგვეხმაროს ქართველობა ქართველთა ჩამოსახლების რუკის შედგენაში.

7/V 90

ასანა ნადირაძე მელაპარაკა, მუხრანი გრძნობს, რომ შენს წინაშე დამნაშავეა, მაგრამ ყველაფერს მას ნუ დააბრალებ, მთავრობამ აიძულაო.

მე ვუპასუხე, მუხრანის პოეზიას პატივს ვცემ და მასზე აუგს არასოდეს ვიტყვი-მეთქი.

8,9/V 90

ტელევიზიაში დიდი აღლუმია.

გამოდიან 80-ს მიტანებული მოხუცი ვეტერანები და გორბაჩოვს მოუწოდებენ რეპრესიებისაკენ.

ხომ არ არის ეს დადგმული?

10/V 90

ჩვეულებრივი, მშვიდი დღე იყო.

ყველანი გუშინდელ მიტინგზე ლაპარაკობენ.

„ინტერფრონტი“ ჩაიშალა.

11/V 90

მწერალთა კავშირში წლიური პრემიების მინიჭების კომისიის სხდომა გვქონდა.

12/V 90

ვიყავით მე და სოსო ბუხაიძე ენვერ გიორგხელიძის ოჯახში სტუმრად. იქ იყო ედუარდ შევარდნაძის სიძე – ზვიად მოსაშვილი. ავადმყოფია საწყალი, ფერი არა აქვს. ლაპარაკი ედუარდზე ჩამოვარდა. მე ვუთხარი; გადაეცი-მეთქი ჩემგან, როგორმე მიაღწიოს ჩვენი მღრღნელი ავტონომიების გაუქმებას, მერე დაწეროს განცხადება და გამოერიდოს გორბაჩოვს, თორემ რუსები „პერესტროიკის“ მთელ მარცხს მაგას დააბრალებენ-მეთქი.

13/V 90

კვირაა.

„ტელევიზიაში“ ჩამწერეს „თვისტომზე“. გადასცეს „მოამბეში“.

შემხვდა ნიჭიერი ტელეჟურნალისტი ნანა წითელაშვილი. ბატონო რეზო, შოთა ნიშნიანიძეზე გადაცემას ვამზადებთ და თქვენი იმედი გვაქვსო.

სიამოვნებით-მეთქი.

14/V 90

„ცოდნაში“ თათბირი – შეჯახება იყო. ასეთი რამ ახლა ყოველ დაწესებულებაშია. ნუგზარ წერეთელს აუხირდა თანამშრომელთა ჯგუფი; გადადექიო.

სიტყვით გამოვედით მე და გურამ შარაძე. ვცადეთ შერიგება – დაშოშმინება მოქიშპეთა. განსაკუთრებით ლია ლაზაშვილი აქტიურობდა: ნ. წერეთელი პარტიის წევრია (კომუნისტი) და მოგვშორდესო, არ შეიძლება-მეთქი ერთი ჯოხით გავდენოთ ყველა პარტიის წევრი. მათ შორისაც ბევრია-მეთქი პატრიოტი.

საღამოს ტელევიზიით „დიალოგი“ გადაიცა.

ზვიად გამსახურდია სამხედროებს ებაასებოდა.

ტყავი გააძრო ოკუპანტებს. კარგ ხასიათზე დავდექი. ზვიადი, მართლაც, ნათელი გონებაა.

15/V 90

მამაჩემის ბიძაშვილი, ნინო მიშველაძე, გარდაიცვალა.

ღვთისნიერი, სათნო, ტკბილი ნინიკო. მწერალ ბორის კანდელაკის მეუღლე. უნიჭიერესი ფეხბურთელის – ჯუმბერის დედა.

ძალიან მეწყინა.

ადგილს ვერ ვპოულობ.

16/V 90

„თვისტომის“ კანტორაში (კეცხოველის 7) მიღება მქონდა. ათამდე მთხოვნელი მოვიდა. ბაქოში მცხოვრებ ბექაურს სამშობლოში დაბრუნება სურს. არ მივეხმარო?

ცხინვალელი ქართველი ქალი იყო. ჩემს ოჯახს ოსები გადაწვით ემუქრებიანო. აიბარგე ჩვენი მიწიდანო.

ბედის ირონია... შუა ქართლში ქართველს ოსი ემუქრება – აიბარგეო.

ვინ დაგვწყევლა, რა დავაშავეთ ასეთი.

17/V 90

კათედრის წევრებმა საიუბილეო ვახშამი გამიმართეს.

ყველა ყველა და ამათ, მე მგონი, გულწრფელად ვუყვარვარ.

არ თქმულა არც ერთი ყალბი სიტყვა, არც ერთი ნაძალადევი სადღეგრძელო.

18/V 90

დღეს „ლიტერატურულ საქართველოში“ როგორც იქნა, დაბეჭდეს ჩემი ნოველა „მავზოლეუმი“.

მილოცავენ, მირეკავენ, მოსწონთ.

გავიგე შემაძრწუნებელი ამბავი. ემზარ კვიტაიშვილის ბიჭს – დათოს, თავი მოუკლავს, მეხუთე სართულიდან გადმომხტარა.

საშინელებაა. რა დღეში იქნება ემზარი.

დათო ჩემი სტუდენტი იყო. ნიჭიერი, თავმდაბალი ბიჭი.

რით ვანუგეშო ჩემი ემზარი. კიდევ კარგი, რომ სოფიკო ვერ მოესწრო ამ დღეს.

19/V 90

შაბათია.

ეროვნულ ფორუმზე მოწვევა მივიღე.

დავურეკე ზვიად გამსახურდიას.

არ პასუხობს.

თუ ზვიადი არ შეირიგეს, იქ მისვლა არ ღირს.

20/V 90

დეიდა ნინიკო გავასვენეთ.

„კომუნისტში“ ჩემი ნოველაა „იაპონელი“.

21/V 90

მწერალთა კავშირში მუხრან მაჭავარიანმა თავისთან მიხმო, ფანჯიკიძეს ველოდებოდი, არ მინდოდა მუხრანთან მარტო შესვლა.

უბედური კაცი ვარო, თავმჯდომარეობა ჩამიფლავდაო, უნდა წავიდე აქედანო. შენი თავიც მომამდურესო.

მდუმარედ ვუსმენდი. არც ჰო მითქვამს, არც არა.

22/V 90

დღეს უნივერსიტეტში პირველკურსელებთან ჩათვლა მქონდა.

ორასამდე სტუდენტს გავესაუბრე. ზოგი მათგანი დაბადებულია ლიტერატორად. ზოგი „ტყემალზე ზის“.

ხვალ ეროვნული ფორუმია.

ვნახოთ, რა გამოვა. თუ სსრკ-დან გასვლაზე დადგა საკითხი, მე მხარს დავუჭერ.

23/V 90

10 საათზე დაიწყო ეროვნული ყრილობა.

დაახლოებით 6000 კაცი ვესწრებოდით.

გახსნა ირაკლი წერეთელმა. კარგი სიტყვა თქვა. მერე გამოვიდნენ გია ჭანტურია, სუმბათაშვილი, ხაინდრავა, ჯ. ჩარკვიანი, მაჭავარიანი, ირაკლი კაკაბაძე, ისევ ირაკლი წერეთელი.

მე პირადად გული მწყდებოდა, რომ ყრილობას არ ესწრებოდნენ ზ. გამსახურდია, ა. ბაქრაძე და ნოდარ ნათაძე. მაგრამ ყრილობა იმპერიისადმი ზიზღის ნიშნით მიმდინარეობს და მე სულითა და გულით მხარს ვუჭერ.

რეზო ჭეიშვილი, თამაზ წივწივაძე, იორამ ქემერტელიძე, ვაჟა აზარაშვილი და მე ერთად ვიჯექით.

ეტყობა, ეს ყრილობა მხოლოდ ეროვნული კონგრესის არჩევის პრინციპებს გამოიმუშავებს. მეტს არაფერს იზამს.

24/V 90

ეროვნულ ფორუმზე კონგრესის არჩევნების წესზე დიდი კამათი გაიმართა.

ირაკლი წერეთელი უკვე ჩამოყალიბდა ერთ-ერთ ლიდერად.

შუადღისას ემზარის დათოს დაკრძალვაზე ვიყავი. საღამოს – გოგი შალამბერიძის წლისთავზე.

საწყალი ემზარი, საბრალო გოგი.

25/V 90

სადიპლომო შრომების დაცვა მქონდა უნივერსიტეტში და ფორუმის ბოლო დღეს ვერ დავესწარი.

მითხრეს, რომ მაინცდამაინც სახარბიელოდ ვერ დამთავრებულა.

ადგილებიდან წამომხტარან დელეგატები და წერეთელ-ჭანტურიასთვის დაუძახიათ – ვინ ხართ თქვენ, ბელადობას რომ იჩემებთ, სად არის გამსახურდიაო.

ამასობაში გამსახურდია თავის მიტინგებს ატარებს, ხან რუსთაველზე, ხან მაჩაბელზე. უკანონოდ იქნას ცნობილი ფორუმიო, გაჰყვირის.

ეს არ ვარგა.

რა დროს კინკლაობის და განხეთქილების დროა.

საღამოს ელგუჯა მაღრაძემ დამირეკა; დამითმე „კრიტიკის“ რედაქტორობაო. დათმობილი არა გაქვს-მეთქი? თურმე ორშაბათს ახალი რედაქტორის არჩევნებია, რაკი ჯ. ღვინჯილიას უარი უთქვამს.

26/V 90

დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულია.

12 საათზე ვესწრებოდი მთავრობის სახლთან მიტინგს, – წერეთელი-ჭანტურიას ბრიგადა ხელმძღვანელობდა.

6 საათზე ვაკის ეროვნულ სტადიონზე მიტინგი გაიმართა. გახსნა თემურ ქორიძემ. პირველი სიტყვა ზვიადმა თქვა. შინაარსი ასეთი იყო. გვებრძვის ანტიქრისტე, ავაზაკი ბარაბა! – ქართველო ერო, გააკეთე სწორი არჩევანი. მერე ქორიძემ წაიკითხა ვიღაცის (?!) წერილი. ზვიადი გმირად გამოვაცხადოთ სიცოცხლეშიო. ტაში, ბრბო! ზვიადი ხელში აყვანილი შემოატარეს სტადიონს.

სამარცხვინო პროვინციალიზმად მეჩვენა ეს ხელში აყვანა.

27/V 90

კვირაა.

მთელი დღე აგარაკზე ვმუშაობთ მე და აჩიკო.

ჩემი შვილი 17 წლის ხდება. სკოლა დაამთავრა. სხვანაირი გახდა. ჩუმი, გულჩახვეული, ძველებურად აღარ მეგულგახსნილება.

28/V 90

მწერალთა კავშირში პრეზიდიუმი ჩატარდა.

წესდების საკითხი იდგა.

მუხრანი ცოტა ხანს კიდევ უნდა იყოს თავმჯდომარის პოსტზე და ამიტომ უარს ამბობს წესდების შეცვლაზე.

საღამოს წივწივაძემ დამირეკა და დაწვრილებით ვუამბე პრეზიდიუმის ამბები.

29/V 90

დღეს ზურაბ ღლონტს გავყევი „გამარჯვებაში“. იქ მეურნეობის დირექტორ ჯოხაძეს დაველრიჯე, რატომ აწვალებთ ამ კაცს, თავისი მკვდარი

მამის დანატოვარ სახლს რატომ არ უფორმებთ-მეთქი. კიდევ კარგი, მიცნო. დაგვპირდა, გავაკეთებო, გამეხარდა.

უნივერსიტეტში დიპლომების დაცვა გავაგრძელეთ. დათო ტურაშვილმა დაიცვა. დიპლომი, რასაკვირველია, სუსტი იყო, მაგრამ თვით დათო კარგი ბიჭია. ბევრი ტკბილი სიტყვა ვუთხარი.

6 საათზე დოცენტი გრიშა პაჭკორია (72 წლის) მოვნათლეთ მე და სოსო ბუხაიძემ დიდუბის ეკლესიაში. საოცარი სურათი იყო.

9 საათზე მომღერალი ქალის, ლამარა გორდაშვილის, საღამოზე გახლდით, მსახიობის სახლში.

30/V 90

„მერანის“ წიგნის კორექტურას ვკითხულობ.

მშვენიერი წერილი დაუწერია შოთა ნიშნიანიძეს ჩემზე.

ზუგდიდიდან რეჟისორი მერაბ ჯაფარიძე ჩამოვიდა და თქვა, რომ ზუგდიდის თეატრში დგამს ჩემს პიესას.

ცოტა ხომ არ მოძველდა-მეთქი, ვკითხე.

არ მიხარია თეატრებთან ურთიერთობა ჩემი შარშანდელი კონფლიქტის შემდეგ.

ნათელა (სვეტა) ავად გამიხდა. მაღალი სიცხე აქვს. ჩანს, გაცივდა.

31/V 90

დღეს უნივერსიტეტში ილია ჭავჭავაძის კაბინეტი გაიხსნა.

დავესწარი გახსნას. ძალიან მიხარია.

კაბინეტის გამგედ ჩემი მეგობარი ლადო მინაშვილი დანიშნეს.

1/VI 90

დღეს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, საშინელი ამბავი მოხდა. თბილისში ჩამოვარდა ფუნიკულიორის საბაგირო გზის ორი ვაგონი. ოცდაათი ბავშვი დაიღუპა.

მაშინვე გავვარდი შემთხვევის ადგილზე.

საშინელებაა.

შვილო, ბავშვები, ალბათ, გაოცებასაც ვერ მოასწრებდნენ.

ყველაფერი მოშლილია ამ საზიზღარ სახელმწიფოში.

2/VI 90

შაბათია.

გავარკვიე ავარიის მიზეზი. ოცდათორმეტი წელია საბაგირო მუშაობს და თურმე ერთხელაც არ გაურემონტებიათ.

3/VI 90

დავწერე სტატია – „ნუ ვაყოვნებთ“. მოვითხოვ, სასწრაფოდ გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობა.

სახელმწიფოებრიობა რომ აღდგება, თავისუფლების მოვლის სურვილი გაგვაერთიანებს, ერთ მუშტად შეგვკრავს.

4/VI 90

უნივერსიტეტში ვინახულე მოშიმშილენი.

დღეს შიმშილობის V დღეა.

მათი მოთხოვნაა ეროვნული ფრონტის გამთლიანება და დამოუკიდებელი საქართველოს გამოცხადება.

მე მხარს ვუჭერ-მეთქი, ბიჭებო, თქვენს აქციას.

ვატყობ, ძალიან უჭირთ შიმშილობა.

ღმერთმა ნუ ქნას, რაიმე მოუვიდეთ.

ორ საათზე უნივერსიტეტში მოვიდნენ გამსახურდია და წერეთელი (რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე).

ვცადე შერიგება, მაგრამ არ გამოდის.

თუნდაც ფიქტიურად მაინც უნდა შერიგდეთ-მეთქი,ხალხის შესახედად. ეს საქართველოს სჭირდება-მეთქი.

ვინ დაგიჯერა.

5/VI 90

ვკითხულობ ჩემი წიგნის კორექტურას.

თბილისში ასიცხდა.

6/VI 90

მედეა კახიძე, ნოდარ გურეშიძე, გრიგოლ ჯულუხიძე და მე ყვარელში გახლდით.

იქაურმა მდივანმა, თემურ ოსეფაშვილმა, ბევრი ვაჟკაცური საქმე გააკეთა. განსაკუთრებით ლეკების გასახლებას ცდილობს.

სოფლებში – თივი, ახალსოფელში და თხილწყაროში ლეკები ცოტანიღა დარჩნენ.

კარგია.

7/VI 90

უნივერსიტეტში შიმშილობა კვლავ გრძელდება.

დღეს 4 საათის განმალვობაში გუმბარიძე შეხვდა უნივერსიტეტის თანამშრომლებს და ერთგულად იცავდა თავის გადაწყვეტილებას (კრემლისაგან ჩაგონებულს); სესიას 15 ივლისამდე არ მოვიწვევო.

ავდექი და ვუთხარი; რაშია საქმე, ამ სტუდენტების სიცოცხლე ფეხზე რატომ გკიდია-მეთქი. ამ მოშიმშილეების პირით მთელი საქართველო ღაღადებს. უნდა მოიწვიოთ სესია და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადოთ-მეთქი.

მოვლენებს ნუ დავაჩქარებთ, ბატონო რეზოვო, თავის დროზე გავაკეთებთ ყველაფერსო.

კი, მაგრამ, რამდენ ხანს იცოცხლებენ მოშიმშილენი-მეთქი.

არ ვიციო.

არ იცის და არც აინტერესებს.

ბოლოს დავრჩი მოშიმშილეებთან და ასეთი გამოსავალი ვიპოვეთ. დავაწყებინოთ სესია და ამათ შეწყვიტონ შმიშილობა, მერე კი სესია რომ დაიწყება, ახალი მოშიმშილენი დასხდნენ. სწორედ იმ ახალმა მოშიმშილეებმა აიძულონ სესია გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

8/VI 90

მარტვილში 50 წლისთავის იუბილე გადამიხადეს.

გახსნა ვაჟა აბაკელიამ.

მომესალმნენ გივი ელიავა და მურმან სულავა.

აგრეთვე ახალგაზრდები – ფორმალები თუ არაფორმალები.

უამრავ შეკითხვას ვუპასუხე.

ადრესები, მილოცვები... ჭეშმარიტად ზეიმი იყო.

ნაბადი და ყანწები მაჩუქეს.

ჩემთვის ძნელი იყო ქება-სიყვარულის მოსმენა, მაგრამ რომ იცოდეთ, როგორ გავიმართე წელში.

თითქმის ყველა ორატორი ამბობდა, თქვენს ლიტერატურულ მტრებს ყურადღება არ მიაქციოთ, იმათ თავიანთივე ბოღმა დააღრჩობსო.

საბოლოო სიტყვაში ვთქვი: ჩვენს ხალხს, აღარც კი მეგონა ახლა მწერლისთვის და მისი იუბილესთვის თუ ეცალა-მეთქი. დიდი მადლობა, ვეცდები არც მომავალში შეგარცხვინოთ-მეთქი. მერე მოვდექი კომუნისტურ პარტიას, ვერც გუმბარიძე-გორბაჩოვს ავუარე გვერდი, ამათგან სიკეთე არაა-მეთქი მოსალოდნელი.

9/VI 90

დღეს გივი ელიავამ (ეთნოგრაფი, ენათმეცნიერი, სამეგრელოს ენციკლოპედია, გულმხურვალე ქართველი) მიმიწვია მუზეუმში.

თითქმის სამი საათი დავყავი მარტვილის მუზეუმში.

დავათვალიერე უნიკალური კოლექცია. ხელი შევახე 300 მილიონი წლის წინანდელ ქვებსა და ძვლებს.

ეს ყველაფერი გივი ელიავამ მოიპოვა და დაალაგა. ვაჟა აბაკელიას ვთხოვე, გივი ელიავას 70 წლისთავი სექტემბერში უნდა აღვნიშნოთ-მეთქი.

სიამოვნებით დამეთანხმა.

მერე ზღაპრულ მარტვილის ტაძარს ვეწვიე. მცირე სამლოცველო მე-7 საუკუნის – ულამაზესია, თვით ტაძრის ერთი მხარე მე-7 საუკუნისაა, მეორე მე-10 საუკუნისაა. ფანტასტიკური ფრესკა ღვთისმშობლისა.

ვაჟა აბაკელიამ მითხრა აქ მინდა გიორგი ჭოყნდიდელის ძეგლი დავდგაო. ადგილის შერჩევაში მომეხმარეო. აღვუთქვი დახმარება. უნდა შევუთანხმდე კარგ მოქანდაკეს.

10/VI 90

გივი სომხიშვილმა შინ მიმიპატიჟა. ეს ის გივია, უდანაშაულოდ რომ ჩასვეს ციხეში, სადაც ხუთი წელი გაატარა. იყვნენ თ. ჩალაბაშვილი, ე. მაღრაძე, გ. ხარაიძე.

საღამოს გრიშა ჯულუხიძესთან გახლდით. ბევრი ვისაუბრეთ.

11/VI 90

მორის ფოცხიშვილს 60 შეუსრულდა.

ფილარმონიაში მშვენიერი საღამო გაუმართეს.

მისი სურვილით მხოლოდ მუსიკოსები მიესალმნენ, არც ერთი მწერალი არ მისალმებია (?!).

სიამოვნებით მივესალმებოდი, რომ ეთხოვა.

მორისი ჭეშმარიტად ეროვნული, დიდებული პოეტია.

12/VI 90

დღეს ინტერვიუ მივეცი „ამერიკის ხმის“, „საკდესის“ და „აპნ“-ის კორესპონდენტებს „თვისტომის“ გამო.

„თვისტომში“ მივიღე 4 ფერგანიდან ჩამოსული ე.წ. „თურქი მესხი“. ოთხივეს ქართული გვარი აქვს. ოთხივე ქართულად ლაპარაკობს. ოთხივე ამბობს: ჩავიწერთ პასპორტში ქართველს, მოვინათლებით ქრისტიანად, ბავშვებს შევიყვანთ ქართულ სკოლაში, ოღონდ ჩამოგვიშვით საცხოვრებლადო.

რაშია საქმე?

შეიცვალეს ტაქტიკა? იქნებ, ეს ფანდია, იქნებ ტყუილს ამბობენ?

რა ვიცი... რა ვიცი...

თუ მართალს ამბობენ, ცოდოა, ხელი ჰკრა. თუ ცრუობენ – საშინელებაა.

13/VI 90

დღეს მწერალთა კავშირში პრეზიდიუმის სხდომა ჩატარდა.

სხდომაზე ორი საკითხი იდგა: 1. დავით მჭედლურის განცხადების განხილვა, 2. ლიტფონდის დირექტორის არჩევა.

მუხრან მაჭავარიანმა წაიკითხა დ. მჭედლურის განცხადება – გავდივარ მწერალთა კავშირიდან, რადგან მუხრან მაჭავარიანის ხელმძღვანელობის სტილი ჩემს პრინციპებს არ შეესაბამება. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში უზნეობა და უპრინციპობაა გამეფებულიო.

სათითაოდ თითქმის ყველამ (ტ. ჭანტურია, ე. ჯაველიძე, მ. ლებანიძე, რ. მიმინოშვილი, ო. ჭილაძე, გ. მერკვილაძე, ა. სულაკაური) მოითხოვა დ. მჭედლურის გარიცხვა, თუ იგი ბოდიშს არ მოუხდიდა მ. მაჭავარიანს.

ბოლოს მე ვთქვი: საიდან მოვიდა თქვენში ეს ფეოდალიზმი, თქვენ დაგავიწყდათ ის, რომ დავით მჭედლური მწერალთა კავშირიდან გადის. მწერლის მწერალთა კავშირიდან გასვლის მიზეზს არ კითხულობთ და რა ბოდიშზეა ლაპარაკი. ვიმსჯელოთ და ვნახოთ, იქნებ, ბოდიში თვით მ. მაჭავარიანს აქვს მოსახდელი-მეთქი. რაშია საქმე, რამ გაგაგულქვავათ ასე, ნუთუ კაცის ბედი არაფრად გიღირთ-მეთქი.

სიჩუმე ჩამოწვა.

ფანჯიკიძემ თქვა; სწორს ამბობს მიშველაძე, ნუ გამოვიტანთ ნაჩქარევ დასკვნას, გადავდოთ ეს საკითხიო.

საღამოს „თვისტომის“ პრეზიდიუმის სხდომა მქონდა. ანდრო გოგოლაძის გარდა ყველა ესწრებოდა.

14/VI 90

უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსელებმა სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებაზე უარი თქვეს.

რა მიზეზით? არ გვაქვს სურვილიო.

საიდან მოვიდა ეს გაიოლება ცხოვრების?

თავისუფალ საქართველოს სწორედ რომ კარგი სპეციალისტები სჭირდება.

არა მგონია მართებული იყოს ეს ნაბიჯი.

15/VI 90

სუმბათაშვილმა დღეს „თბილისში“ გამოაქვეყნა ამაზრზენი სტატია, რომელშიც გაამასხარავა 5 მოშიმშილე სტუდენტი.

როგორ შეიძლება უმრწმეს ძმათა განწირული კვეთება მასხრად აიგდოს „პოლიტიკოსმა“.

ჯერ რედაქცია გავლანძღე, მოშიმშილეებთან მივედი; ნუ გეშინიათ-მეთქი, ბიჭებო, თქვენ ნამდვილი გმირები ხართ, სუმბათაშვილი შემცდარია-მეთქი.

დღეს უნივერსიტეტში პარიზელ ვიქტორ ხომერიკს შევხვდით. ვკითხე, რა აზრისა ხართ-მეთქი ჩვენს ეროვნულ მოძრაობაზე. ყველაფერი კარგია, რომ არ ჭამდეთ ერთმანეთსო.

16/VI 90

მსოფლიო ჩემპიონატს ინტერესით ვადევნებ თვალს.

ბრაზილიის გულშემატკივარი ვარ.

ბრაზილია, მართლაც რომ ბრწყინვალე გუნდია.

დღეს კოსტა-რიკას მოუგო.

გურამ გვერდწითელის ბიჭის – მამუკას ქორწილში გახლდით.

შოთა ნიშნიანიძემ თამადად დამასახელა ჩვენს სუფრაზე. სხვადასხვა დარბაზში სამ ადგილას იყო სუფრა გაშლილი.

ვითამადე, მიუხედავად იმისა, რომ გურამმა ამ ზამთარს საკმაოდ მაწყენინა; კაცმა თავისი ხელითვე ჩასწორებული განცხადება უარჰყო, არ წამიკითხავსო.

წყენა, რომ იტყვიან, ჭიშკრამდე არ მიმყვება.

17/VI 90

გუშინდელ „თბილისში“ ჩემი სტატიაა „ნუ დავაყოვნებთ“.

ვაცხადებ: დაუყოვნებლივ უნდა გამოვაცხადოთ რუსეთისგან გამოყოფა და საქართველოს დამოუკიდებლობა-მეთქი.

რაც დრო გავა სიტუაცია შეიცვლება და უფრო დავშორდებით-მეთქი სანუკვარ მიზანს.

ალბათ, მიპასუხებენ ჩვენი პოლიტიკური ლიდერები.

არაუშავს, მიპასუხონ, ოღონდ საქმე გაკეთდეს.

18/VI 90

ვნახე რუსთაველის თეატრში დათო ტურაშვილის პიესა, ქუთაისის თეატრის დადგმა.

რა თქმა უნდა, პიესა არ არის, არც ხასიათებია და არც სიუჟეტი, მაგრამ დათო კარგი ბიჭია და ვენაცვალე მის გაბედულებას, რომ პირდაპირ პიესას დაეჭიდა.

სწორედ მას სჭირდება სულის ბერვა, დახმარება, გამხნევება. მადლობა მოვახსენე თეატრის მთავარ რეჟისორს სვანაძეს პიესის დადგმისთვის მის თეატრში (დადგმა ვიღაც უცნობ გოგონას ეკუთვნის, გვარი არ მახსოვს).

19/VI 90

ზუგდიდიდან დეპეშა მივიღე 20-ში პრემიერაა.

ხვალ დილით 6 საათზე უნდა წავიდე.

20-21/VI 90

ზუგდიდში ჩემი პიესის პრემიერა შედგა.

გადაკეთებულ პიესას („სპექტაკლი ფეხით მოსიარულეთათვის“) „ნგრევა“ ვუწოდე.

ახალგაზრდა, გაბედულმა რეჟისორმა მერაბ ჯაფარიძემ დადგა.

კარგი სპექტაკლი გამოვიდა. ხალხმაც კარგად მიიღო.

მე მგონი, კიდევ ერთი ყუმბარა ვესროლე საძულველ საბჭოთა წყობილებას.

22/VI 90

დავწერე მიმართვა ქართველი საზოგადოებისადმი სათაურით „ყურადღება“. ნუ გავუფუჭებთ-მეთქი ხასიათს საქართველოში დაბრუნების მსურველ ქართველებს, ნუ აღვმართავთ-მეთქი მათს წინაშე ათასგვარ ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკურ ბარიერს.

მე- როგორც „თვისტომის“ პრეზიდენტი, საქვეყნოდ ვაცხადებ-მეთქი, რომ საქართველოს მთავარი საქმე დღეს მისი დარღვეული ეთნიკური სხეულის გაძლიერებაა.

23/VI 90

აკაკი წერეთელზე (150) წერილი მთხოვა „ცისკარმა“.

მინდა დავწერო ის, სხვას რომ არ დაუწერია.

კლასიკოსზე კი არა, კაცზე, ვალებით გაწამებულ, საჩხერის მტვრიან გზაზე გაბმულ კაცზე, რომელმაც საქართველოს შესწირა გვარიშვილობაც, მამამისის სიმდიდრეც, ოჯახიც...

ნინო მიშველაძის ორმოცი იყო.

საოცარია, როგორ ეგუება სიკვდილს ადამიანის ბუნება. სასაფლაოზე რომ ვნახე, მეგონა მისი ადგილი სწორედ იქ იყო, თითქოს სულ იქ იყო და აქ არასოდეს ყოფილა.

24/VI 90

დღეს კვირაა.

ბრაზილიამ არგენტინასთან საფეხბურთო ჭიდილში წააგო 0:1. ორი ტაიმის განმავლობაში ბრაზილიელთა უპირატესობა აშკარა იყო და მაინც წააგეს. ასე უსამართლოა ფეხბურთი.

ჩემთვის მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა.

ხომ უნდა იყოს რაღაც წესი და კანონი. ერთი თამაშის დროს სამჯერ რომ ბურთი ძელს მოხვდება, არაფერს უნდა ნიშნავდეს?

25/VI 90

დავიწყე ნოველის წერა იმის შესახებ, თუ როგორ მართავს კგბ (სუკი) და ცკ ჯერ კიდევ გამოუცდელ სახალხო მოძრაობას.

ვნახოთ, რა გამოვა.

თბილისში ძალიან ცხელა.

აჩიკო ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩააბარებს.

ასე გადავწყვიტეთ.

სპორტი ჩემი სიყმაწვილის ოცნება იყო. ჯანმრთელი, სუფთა ხალხის სარბიელი.

სხვა რა უნდა ისწავლოს დღეს კაცმა.

ფილოლოგი? – ამისთვის განსაკუთრებული ნიჭია საჭირო, რაც აჩიკოს არა აქვს.

აინტერესებს ფიზკულტურა. ჰოდა, გამოვიდეს სპორტსმენი, რითია ცუდი, თუ კაცი იქნება, თავს აქაც გამოიჩენს.

26/VI 90

მთელი დღე მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე ვიჯექი ყეყეჩივით.

მუხრან მაჭავარიანმა ბრძანა: ოთარ ნოდია რაკი სამდივნოს ბრძანებას მისი მოხსნის შესახებ არ ემორჩილება, პროკურატურას უნდა გადავცეთო.

ასეთივე აზრის იყვნენ მურმანიც, ტარიელიც, მიმინოშვილიც, ო. ჭელიძეც, გ. ნატროშვილიც, ელგუჯა მაღრაძეც...

ავდექი და ვთქვი: როგორ შეიძლება, მწერლებმა მწერალი პასხუისგებაში მივცეთ-მეთქი. ნუთუ მთლად გაცოფდით, ნუთუ სირცხვილი და სიბრალული ყველამ დაკარგეთ-მეთქი.

გაჭრა ჩემმა სიტყვამ. გადაწყვიტეს სამთავრობო კომისიას გადაეცეს საკითხი. ეს კი ო. ნოდიას გადარჩენას ნიშნავს – ამ ეტაპზე მაინც.

27/VI 90

დღეს დავამთავრე ნოველა „თოჯინების თეატრი“.

გახარებული ვარ.

ეროვნული მოძრაობის გათიშვაზე დავწერე.

28/VI 90

„თვისტომის“ ბინის სამათხოვროდ ჩამოვიარე დაწესებულებები.

ჰეიდარ ფალავანდიშვილმა უარი მითხრა.

ჯერჯერობით საიმედო არაფერი ჩანს.

ერთი პატარა ოთახი გვინდა, მეტი არაფერი.

29/VI 90

ყვარელში შეხვედრა მომიწყვეს.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ინიციატივაა.

რაიკომ-აღმასკომს გვერდი ავუარე (საერთოდ არ მსიამოვნებს გაკოტრებულ ხელისუფლებასთან ურთიერთობა), პირდაპირ დარბაზში შევედი და მე თვით გავხსენი შეხვედრა.

სამი საათი ფეხზე ვიდექი.

შეკითხვები... შეკითხვები. მშვენიერი შეხვედრა გამოვიდა.

თბილისიდან მახლდნენ გურამ ბუხნიკაშვილი და ლეილა ბარაბაძე.

30/VI 90

„ახალგაზრდა ივერიელში“ ჩემი წერილია „ყურადღება“.

სიტყვა-სიტყვით დაუბეჭდავთ, არაფერი შეუცვლიათ.

„თვისტომმა“ უნდა გააკეთოს დიდი ეროვნული საქმე – ქართველების დაბრუნება საქართველოში.

ვიცი, დამესევიან ცრუპატრიოტები, მაგრამ უკან არ დავიხევ.

1/VII 90

კვირაა.

ხვალ დემოგრაფიული საზოგადოების კონფერენციაა, დამირეკეს.

დემოგრაფიული საზოგადოება კარგი საზოგადოებაა, მაგრამ ამ ბოლო დროს ეროვნულ მოძრაობას, ცოტა არ იყოს, ჩამოცილდა და კომერციაზე გადავიდა.

კომერციაც საჭიროა, თუ იგი ქვეყნის სამსახურშიც დგას.

ეროვნული საზოგადოება მაინც ეროვნული საზოგადოება უნდა იყოს.

უპირველეს ყოვლისა, მას სიწმინდე და უანგარობა მოეთხოვება.

მეოთხედფინალში დარჩნენ ინგლისი, არგენტინა, გფრ, იტალია.

ვინ გაიმარჯვებს?

2/VII 90

ელიზბარ ჯაველიძეს მივუტანე ნოველა „თოჯინების თეატრი“.

დღეს სიტყვით გამოვედი დემოგრაფიული საზოგადოების კონფერენციაზე.

3/VII 90

მთელი დღე „თვისტომში“ მოქალაქეთა მიღება მქონდა.

თხუთმეტამდე მთხოვნელს მოვუსმინე.

ყველას მივეცი შუამდგომლობა საქართველოში ჩამოსასვლელად, ქართველებს რასაკვირველია.

მერე „რესპუბლიკის“ კორესპონდენტი გალინა ხარებაშვილი მეწვია და მესაუბრა „თვისტომის“ ამოცანებზე.

„თვისტომმა“ ძალიან ჩამითრია.

4/VII 90

ვამზადებ წიგნს „იღბლად გადარჩენილი ნოველები“. წიგნში შევა ის ნოველები, რომლებიც ვერ დავბეჭდე, ან ცენზურამ დაასახიჩრა. ამ წიგნის გამოცემას რუსთაველის საზოგადოება მპირდება.

5/VII 90

ირაკლი აბაშიძესთან ვიყავი ენციკლოპედიაში პატარა ადგილი გამომიყავი „თვისტომისთვის“-მეთქი.

არაფორმალური საზოგადოების მეშინიაო. მე ძველი კაცი ვარ და, თუ ძმა ხარ, ფათერაკს რასმე არ შემამთხვიოო. ბოლოს დავითანხმე.

ირაკლი აბაშიძე ძალიან მიყვარს.

6/VII 90

ფაკულტეტის საბჭოს ოთხსაათიანი სხდომა გვქონდა.

გვესწრებოდნენ რექტორატიდან ლევან ალექსიძე და ვახტანგ გოგუაძე.

კურსდამთავრებულებმა პრინციპულად არ ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები. მივცეთ თუ არა მათ დიპლომი?

საბჭომ გადაწყვიტა არ მიეცეს.

ალბათ, სწორია, როგორ შეიძლება ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი უარს ამბობდეს ქართული ენისა და ლიტერატურის ჩაბარებაზე.

მე ვთქვი: მაინც ნუ ვიქნებით სტუდენტებთან ასე კატეგორიულები-მეთქი. შევხვდეთ, გულდასმით მოვესაუბროთ, იქნებ შევთანხმდეთ-მეთქი.

7-8/VII 90

შაბათ-კვირა მუხაწყაროში გავატარე.

დავწერე ნოველა „რა იციან მეზობლებმა“.
ნოველაა ნახევრად სახუმარო. კაცს რომ გააღიმებს ისეთი.
წავიკითხე ჩემი წიგნის „განაჩენის“ კორექტურა.
ვუყურე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს – გფრ-არგენტინა.
პენალტით ძლივს მოუგო გერმანიამ.
მარადონა ტიროდა.
წაგების გამო კი არა, სიბრაზის გამო: მსაჯმა პენალტი „აჩუქა“ გერმანელებს.

9/VII 90

დილით ვალერი გაბელიამ მომაკითხა.
კიდევ ერთი უსამართლობის შესახებ მიამბო.
მოატყუეს, გააცურეს. გადადექი მეურნეობის დირექტორობიდან და სხვა, უკეთეს ადგილზე გაგიშვებთო.
რაიკომის მდივანი – მემარნიშვილი გადაეკიდა გაბელიას და დაამარცხა მართალი ბიჭი, რომელსაც მთელი სოფელი უჭერდა მხარს.
მოტყუებული გაბელია სოფლიდან წამოსვლისთანავე სამართალში მისცეს. შენ და ფანჯიკიძემ უნდა მიშველოთო.
აი, ასეთი წყობა გვაქვს ჩვენ და ასეთი სამართალი.

10,11,12/VII 90

ვაჟა ლორქიფანიძეს ვეახელ „თვისტომის“ ბინის საკითხზე, გოგი ანდრონიკაშვილს დაურეკე-მეთქი.
დამპირდა.
თბილისში საშინლად ცხელა.
„ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქტორთან მივყევი ყვარლის დელეგაციას. კოლექტიურ წერილში ყვარლელები ამტკიცებენ, რომ ლეკთა სოფელთან პიკეტი თვით ლეკებთან შეთანხმებით მოეწყო.
რედაქტორმა მჟავე სახე მიიღო.

13,14,15/VII 90

კუს ტბა ორჯერ გადავცურე სიგრძეზე.
ჩემი თავი შევამოწმე, ხომ არ დავბერებულვარ.
ჯერ არა. არ ვიღლები.
მეწვია მიშა ქვლივიძე. მითხრა, ჩვენს საერთო იდეაზე პოლიტიკური თეატრის შექმნის შესახებ, უკვე ველაპარაკე გიგა ლორთქიფანიძეს. თანახმაა. ხორავას სახლის სცენა თვეში 4-ჯერ დაგვითმოსო.
ვფიქრობ, კარგი თეატრი შეიქმნება: მე და მიშა ქვლივიძე სცენაზე ერთად გამოვალთ.
ელცინი გავიდა პარტიიდან. ძალიან გამეხარდა.
მეწვია ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვარი ნუკრი ასლამაზიშვილი.
ყურადღებით ვათვალიერე მისი ნახატები. კარგი ბიჭია.
მივწერე ჯემალ ლოლუას და ჯანსუღ ღვინჯილიას – დაეხმარეთ-მეთქი.

16/VII 90

დღეს აჩიკოს პირველი გამოცდა აქვს ფიზკულტურის ინსტიტუტში.
მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აჩიკომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

კაცი გამოვა, ჯანმრთელი, სულმრთელი.

ქურდობას არ ისწავლის.

დღეს „რესპუბლიკაში“ დაბეჭდილია ვრცელი ინტერვიუ ჩემთან სათაურით „თვისტომი“ თვისტომს დაეძებს“. ვლაპარაკობ ჩემს დამოკიდებულებაზე საქართველოს პრობლემებთან.

17/VII 90

გუშინ აჩიკომ ხუთიანი მიიღო ცურვაში.

გახარებული მოვიდა, ყველაზე უკეთ გავცურეო.

18/VII 90

ვამზადებ წიგნს – „იღბლად გადარჩენილი ნოველები“.

მაწუხებენ უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებთან დაკაშვირებით.

ვერ გავაგებინე ამ ხალხს, რომ მე არა ვარ „გამოცდების“ კაცი.

არ ვეკუთვნი არც ერთ საგამოცდო მაფიას.

19/VII 90

ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი ჩვენი მტრების მიერ. ჩვენი მტრები-მეთქი რომ ვამბობ, ეს სიტყვა აჩემებული როდი მაქვს. დიახ, მტერს საკმაოზე მეტად კონკრეტული სახე აქვს: ეს არის საქართველოს დათრგუნვის მოსურნე იმპერიული ძალები.

ვაი, რომ ნებით თუ უნებლიეთ, ჩვენც ვუწყობთ ხელს.

სათანადო კაბინეტებში (ღრმად მჯერა) წინასწარ იყო გათვლილი ის, რაც ახლა ხდება და შეიძლება გათვლილი იყო 1-2 წლის წინადაც.

ვითამაშოთ გადაუწყვეტი უნიათო ხელისუფლების როლი, გავუნაწილოთ ხელისუფლება ეროვნულ მოძრაობას, რის შემდეგაც მას სწრაფად მიეტმასნებიან ფულის შოვნის სურვილით ანთებული პირები, ეროვნული მოძრაობა სიწმინდეზე ვეღარ ილაპარაკებს, მერე ლიდერები გადავკიდეთ ერთმანეთს და ესეც შენი ჩავლილი ეროვნული მოძრაობაო.

ჩვენ კი ეროვნული მოძრაობის შეფერხებას იმით ვუჭერთ მხარს, რომ ერთი მხრივ კომუნისტურ პარტიის დამოუკიდებლობაში ვხედავთ გამოსავალს, რაც ჩემი ფიქრით აბსურდია, არ შეიძლება მთელისგულისნაწილი მთელისაგან განსხვავებული იყოს. როცა იმ ნაწილის მეთაური მთელის სახელმძღვანელო აპარატში შედის. და მეორეც საქართველოს უმთავრესი საქმე მისი ეროვნული სხეულის გაძლიერება, ფერხდება პროვოკაციული, წინასწარდაგეგმილი დათმობებით.

მე თავისუფალი მწერალი ვარ. არცერთ პარტიას არ ვეკუთვნი და, რა თქმა უნდა, არც კომუნისტურ პარტიას, რომელსაც კარგა ხანია დავუქნიე ხელი.

ახლა საქართველოში მიტინგები და ქუჩის მოძრაობანი მიჩუმდა და მიწყნარდა.

მაგრამ ღრმად სცდებიან საქართველოს ეროვნული მოძრაობის განელების მოსურნენი.

ეს ქარიშხლის წინ ჩამოვარდნილი სიჩუმეა.

საქართველო თავისუფლებისთვის ბრძოლაში უკან აღარასოდეს აღარ დაიხევს.

ეკოლოგიურად კი მაგრამ, ეროვნულად არავითარი საერთო სახლი არ

არსებობს და არც საჭიროა. კავკასიაში ქართველს თავისი სახლი აქვს.

20/VII 90

მილიციის სამმართველოს წინაშე შუამდგომლობა თბილისში ჩაწერისთვის გავუწიე ბაქოდან ოჯახით ჩამოსულ ქართველს ომარ კვირტაიას, რომელსაც ენერგიულად აწვალებდა ჩვენი ბიუროკრატია.

21, 22/VII 90

ძირითადად აგარაკზე, მუხაწყაროში გავატარე.

დავწერე ორი ნოველა „დრამატურგ გაგაძის ჩვენება“ და „რა იციან მეზობლებმა“.

ვკითხულობ ბევრს.

ვცდილობ გავერკვე ჩვენი ეროვნული მოძრაობის შეფერხების მიზეზებში.

ამბიციურობამ, ერთიანი მიზნის უქონლობამ, მწყობრი გეგმის გარეშე მოქმედებამ დაგვწია უკან.

დღეს ტელევიზიაში მე და თამაზ ტყემალაძემ ორმოცწუთიანი დიალოგი ჩავწერეთ. იქაც იყო „ეს არ თქვა, ეს არ შეიძლებას“ მოტივები, მაგრამ თამაზის წყალობით მაინც გაბედული საუბარი გამოვიდა.

სხვათა შორის, მივაკითხე ზოგ არაფორმალთა გაზეთს, იქაც არ უნდათ თავისუფალი მწერალი. თუ იმას დასწერ, რაც ჩვენი პარტიის ინტერესებს შეესაბამება, კი ბატონოვო.

ისევ ამაოდ, ენაგადმოგდებული დავრბივარ „თვისტომის“ ბინაზე.

23...31/VII – 1/VIII 90

ზვიად გამსახურდიას პარტიამ მატარებლები გააჩერა სამტრედიაში.

დგას ახლა 30 მატარებელი მგზავრებით სავსე. საშინელი ანტისანიტარიაა „მოამბემ“.

მიზანი? „მრგვალი მაგიდა“ აცხადებს: უზენაესი საბჭოს სესია, ნაცვლად 17 აგვისტოსი გაიმართოს 7 აგვისტოს.

ვერ გავიგე, რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

საერთოდ, თითოეულ პოლიტიკურ ნაბიჯს თავისი მკვეთრად გამოხატული მიზანი უნდა ჰქონდეს.

„მერანში“ ჩემს ახალ წიგნს – „განაჩენს“ მივაკითხე. დამატრიცებულიაო, მალე ბეჭდვა დაიწყებაო. მიხარია.

„მერანის“ წინ რეზო ინანიშვილი შემხვდა. ამასწინათო, მითხრა, ჩემს დღიურებს ვათვალიერებდიო, ერთ ადგილზე ჩამიწერიაო – რევაზ მიშველაძე ამაყად, ცოტა ამპარტავნულად დაგვცქერისო. ახლა, „მნათობში“ და „განთიადში“ შენი ნოველები რომ წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ მართლაც გაქვს საბუთი და საფუძველი ბევრ ჩვენს კოლეგას ზემოდან დასცქეროდეო. მხარზე ხელი დამადო და გამშორდა

რეზოს ფერი არ მომეწონა. სიკვდილის ფერი ჰქონდა სახეზე. ცრემლი მომერია, მაგრამ არ დავანახე, არ შევიმჩნიე.

2/VIII – 27/VIII 90

ბიჭვინთაში, მწერალთა სახლში ვიყავით – აჩიკო, ნათელა და მე.

ვერ დავისვენე.

ვწერდი ბევრს. რვა ნოველა დავწერე.

თან აფხაზეთის ცხოვრებაში რაც შემეძლო ჩავიხედე.

ჯერ „თურქი მესხები“ შემოგვისია გორბაჩოვმა.

9-10 აგვისტოს ლამის მკერდით შევკარით ლესელიძის ჭიშკარი.

თვალი არ მომიხუჭავს. 10 ავგისტოს მიტინგზე ლამის ერთსაათიანი სიტყვა ვთქვი. საქართველომ თავისი საზღვარი უნდა დაიცვას-მეთქი. გვეყო „გულმოწყალება“ მიწების გაცემაში-მეთქი.

17 აგვისტოს რადიოში მქონდა დიალოგი, 25 აგვისტოს ტელევიზიაში. მე და თამაზ ტყემალაძე ვსაუბრობდით.

მე მგონი, ურიგო დიალოგი არ გამოვიდა.

25 აგვისტოს აფხაზეთმა საქართველოდან გასვლა – დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

წინა დღეებში გუმბარიძე გაჰყვიროდა – ჭორებს ავრცელებენ, თითქოს აფხაზეთს გასვლა უნდა, ეგ სიცრუეაო.

28/VIII 90

წუხელ, გვიან ღამით აიღეს ლენინის ძეგლი თბილისში.

ეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამთავრებას ნიშნავს!

ბედნიერი ვარ.

გვიან ღამემდე ვერ ვიძინებ.

თავისუფლებამდე, საქართველოს დამოუკიდებლობამდე ჯერ კიდევ შორია.

მაგრამ, ცისკარი უკვე მოადგა ფანჯრებს.

29/VIII 90

„თვისტომის“ განცხადება დავწერე აფხაზეთის საკითხის გამო.

„დროა სამოცდაათწლოვანი ბანგიდან ყურები გამოვიფხიკოთ და საგნებს თავისი სახელი დავარქვათ-მეთქი“.

ვნახოთ, თუ შევძელი დაბეჭდვა.

30/VIII 90

დღეს „ახალგაზრდა ივერიელში“ მარიკა ლორთქიფანიძის წერილია აფხაზეთზე. ძლივს, პირველად ქართველმა მეცნიერმა ისტორიკოსმა თქვა სიმართლე აფსუებზე.

ეს სიმართლე ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის? ადრე მარიკა სხვა აზრისა იყო.

31/VIII 90

„თვისტომის“ განცხადება „ახ. ივერიელში“ მივიტანე, შეიძლება სამშაბათს დაბეჭდონ.

1/IX 90

დიდგორში წავედით მე და ლევან სანიკიძე მემორიალის გახსნაზე.

იყო საზეიმო აღლუმი, ცეკვა-სიმღერა. დიდი საქმე გაკეთდა, მაგრამ მე მაინც სევდამ შემიპყრო.

ჩემი სევდა გამჟღავნდა კიდეც ინტერვიუში, რომელიც ნიჭიერმა მწერალმა ქალმა ირინე ტალიაშვილმა ტელევიზიისთვის ჩამომართვა.

ამდენი ფული თუ გვაქვს-მეთქი, ნუ გადავყვებით საზეიმო სანახაობებს, ახლა საქართველოს ამისთვის არა სცალია, უკეთესია იმ ფულით იარაღი შე-

ვიძინოთ, საქართველოს ჯარი შევქმნათ და საქართველოს საზღვრები გავა-მაგროთ, ის საზღვრები, ახლა რომ ფაქტიურად დაუცველია-მეთქი. ეს ჩემი სიტყვა საღამოს ტელევიზიამ, რა თქმა უნდა, არ გადასცა. მერაბ ბერძენიშ-ვილს (მემორიალის ავტორს) ეწყინებაო.

მერაბის საწინააღმდეგო მე რა უნდა მქონდეს, მერაბი ჩემი უსაყ-ვარლესი მოქანდაკეა. „კიდევაც დაიზრდებიან“ საქართველოსთვის ყველაზე საჭირო ქანდაკებაა, მაგრამ მე ჩემი აზრი ვთქვი, საქართველოს ახლანდელ გასაჭირზე.

2/IX 90

საქართველოს გამყიდველებმა ხელი მოაწერეს რუსეთთან ახალ კულ-ტურულ-ეკონომიკურ ხელშეკრულებას.

ქურდულად, ჩუმად გავარდნენ მოსკოვში და საქართველო ფაქტის წინაშე დააყენეს. არ უკითხავთ ნებართვა, არც უმაღლესი საბჭოს დეპუ-ტატებისთვის (საქართველოს სესია 17 აგვისტოს რომ გაიმართა), არც პრე-საში გამოუქვეყნებიათ ხელშეკრულების თუნდაც ზოგადი პრინციპები.

ეს ხომ შემზადებაა ახალი სამოკაშვირეო ხელშეკრულებისთვის, რომელსაც კრემლი ამზადებს?

ამით ხომ საქართველო კვლავ ვარდება მშიერი რუსეთის ეკონომიურ-პოლიტიკურ კაბალაში.

გავვარდი ტელევიზიაში და რადიოში. იქნება მოვახერხო და საქართ-ველოს ვუთხრა, რომ ეს ერის გაყიდვის ტოლფასია.

ტელევიზიაში აჩიკო გოგელიამ უარი მითხრა გამოსვლაზე, გუმბარიძეს ვერ ვაწყენინებო.

რადიოში „პიკის საათში“ ჩამწერეს ჟურნალისტებმა ნატო ონიანმა და ზვიად ქორიძემ. ბატონო რეზო, თუნდაც მომხსნან ხვალ დილით, ამას მაინც გადავცემო, ნატომ.

ვნახოთ.

3/IX 90

დილის 8 საათზე პიკის საათმა გადასცა ჩემი – „თვისტომის“ პროტესტი ხელშეკრულების მიმართ.

1 საათზე, ჩანს, ხელისუფლებამ მიიღო ზომები და რადიომ სასტიკად გამლანძღა – მიშველაძეს ამ ხელშეკრულების სიკეთე ვერ გაუგიაო.

„თბილისში“ მივიტანე „თვისტომის“ განცხადება „რა გვეჩქარებოდა“, ვამათრახებ გუმბარიძის კომპანიას.

დავბეჭდავო, მელუხამ.

ხვალ, ალბათ „ახ. ივერიელში“ იქნება ჩემი განცხადება აფხაზეთზე. ვიბრძვი კბილებით.

4/IX 90

კლუბმა „ალისფერი იალქნები“ (დავით ზოდელავა) მომწერა დეპუტა-ტად დაგასახელებთო.

თავს ვიკავებ, არ მინდა, ჯერჯერობით პოლიტიკოსებს კონკურენცია გავუწიო.

დღეს „ახალგაზრდა ივერიელში“ დაბეჭდილია აფხაზეთზე „თვისტომის“ განცხადება.

კიდევ ერთხელ ვუცხადებ „აფხაზებს“, რომ ისინი არიან ადიღეველნი და აფხაზები ჩვენა ვართ – სუფთა ქართველები.

არ იციან, რომ ჩემი დაწერილია და მირეკავენ; წაიკითხე დღეს „ივერიელში“ „თვისტომმა“ რა დღეში ჩააგდო აფსუებიო!

მიხარია.

5/IX 90

„თბილისში“ „თვისტომის“ განცხადებაა „რა გვეჩქარებოდა“.

ახლა „თბილისიდან“ ვამხილე საქართველოს ხელისუფლების საზიზღარი პოლიტიკა.

რა ეშველება იმ ქვეყანას, რომელსაც შიგნით ამდენი გამყიდველი ჰყავს.

გალაკტიონის კაბინეტისთვის უნივერსიტეტში 1 (ერთი) ოთახი მოვამატებინე – გახარებული ვარ.

სანდრო მრევლიშვილმა, მგონი „ტვირთის“ რეპეტიციები დაიწყო თავის „მეტეხის თეატრში“.

6/IX 90

დღეს კათედრის სხდომა მქონდა.

ვილაპარაკე საქართველოს ხელისუფლების გამცემლურ საქციელზე.

ზვიად გამსახურდიამ მითხრა (მწერალთა კავშირთან თავის რეზიდენციაში შედიოდა) ყოჩაღ, ვნახე გაზეთში „თვისტომის“ ბრძოლაო.

რას შვრებით, რატომ აგვიანებთ-მეთქი. ეგ ხელშეკრულება არჩევნების შემდეგ გაუქმდებაო.

შევატყვე, დიდი იმედი აქვს, რომ პრეზიდენტად აირჩევენ.

შოთა ნიშნიანიძემ დამირეკა. შევთანხმდით და 3 საათზე „მერანში“ შევხვდით ერთმანეთს.

მაჩუქა თავისი ახალი წიგნი წარწერით: „დღევანდელი საქართველოს დიდ მესიტყვეს, უპირველეს ნოველისტს“.

მინდაო, შენი გემოვნებით შევარჩიო ლექსები და ერთი „რჩეული“ ერთად შევადგინოთო.

სიამოვნებით დავთანხმდი.

7/IX 90

„ლიტ. საქართველოში“ მივიტანე ნოველა „ამერიკა, ამერიკა“.

სტამბაში ვიყავი, ჩემი წიგნის – „განაჩენის“ ბეჭდვა ჯერ არ დაუწყიათ.

საღამოს შოთა ნიშნიანიძემ დამირეკა – ცკ-ს (გუმბარიძე, გურგენიძე) თავის სადეპუტატო სიაში უნდა შემიტანოს და რას იტყვიო.

არ ვურჩიე. როგორ შეიძლება შენი სახელი კომუნისტ დეპუტატთა შორის იყოს-მეთქი. და საერთოდ, რატომ არ გამოდიხარ-მეთქი პარტიიდან.

8/IX 90

შაბათია. შოთა ნიშნიანიძის რჩეულისთვის წინასიტყვას ვწერ.

ვკითხულობ აბდაუბდა გაზეთებს.

კვლავ ანგარიშსწორება. კვლავ „ძმათა ომი„ – „ქართულ ფილმში“ და „ქართულ ქრონიკაში“ გიორგი ჭანტურია უმოწყალოდ ლანძღავს ზვიად გამსახურდიას.

საღამოს სამასკაციან ქორწილს ვუთამადე – ავლაბარში, ჭრელაშვილის შესახვევში.

ქორწილზე იჯდა კაკული ვასაძის მეგობარი, ერთი უნიჭო, თვითმარქვია პროზაიკოსი.

მისმა ნახვამ გუნება გამიფუჭა.

9/IX 90

კვირა დღე მუხაწყაროში გავატარე.

ვკითხულობდი, ვწერდი ახალ ნოველას, მაგრამ ვინ დაგაცალა.

მეზობელი მურთაზ გოგოძე „თავს დამესხა“ და შინ დამპატიჟა.

ვიპურმარილეთ. რა მშვენიერი სიტყვა გვაქვს „ვიპურმარილეთ“.

მურთაზ გოგიძე გულითადი, ალალი ქართველია.

10/IX 90

დღეს „თვისტომს“ პერმიდან ბობღიაშვილთა ოჯახი ეწვია.

საქართველოში დაბრუნება გვინდა და თუ შეიძლება, გვიშუამდგომლეთ თელავის ხელმძღვანელობასთანო.

თუშები იყვნენ. პერმში რამ წაგიყვანათ-მეთქი. „უძრაობის პერიოდში საქართველოში არც მიწა მოგვცეს და არც სამსახურიო“.

ქმარი მხატვარია, ცოლი – მასწავლებელია. ერთი მცირეწლოვანი ბიჭი ჰყავთ.

მივეცი შუამდგომლობა და დავპირდი, რომ თელავის აღმასკომის თავმჯდომარეს პირადად დავურეკავ.

„მერანში“ ნუგზარ შატაიძე შემხვდა. ინფარქტი გადაუტანია. შევწუხდი. ნიჭიერი კაცია ნუგზარი. რომ გამეგო მისი ავადმყოფობა, მივაკითხავდი.

მშვენიერ მოთხრობებს წერს.

11,12/IX 90

არაფერი საინტერესო არ მომხდარა, განსაკუთრებული.

ზვიადის „მრგვალმა მაგიდამ“ გამოაქვეყნა მემორანდუმი. მხარი დავუჭირე. ვნახოთ დაბეჭდავს თუ არა, „ახ. ივერიელი“.

მითხრეს, რომ თემურ ქორიძე ბეჭდავს „სახალხოში“ წერილს ჩემს წინააღმდეგ.

არ გამკვირვებია. ეს ის თემურ ქორიძეა...

ვამზადებ „თვისტომის“ კონფერენციას – „ქართველები საქართველოს გარეთ“.

13/IX 90

„თვისტომის“ კონფერენციაზე მომხსენებელს დავეძებ მთელი დღეა.

მწერალთა კავშირის სამდივნომ ლიტერატურულ ასოციაციათა საკოორდინაციო ცენტრი შემდეგი შემადგენლობით დაამტკიცა:

რ. მიშველაძე (თავმჯდომარე)
შ. ნიშნიანიძე
გურამ პეტრიაშვილი
ი. ქემერტელიძე
ირინე ტალიაშვილი
თ. წივწივაძე
ე. მაღრაძე

14/IX 90

„სახალხო განათლებაში“ თ. ქორიძის წერილი გამოქვეყნდა.

არ წამიკითხავს, არც წავიკითხავ.

ერთი სულიერ-ფიზიკური წყობის „მოღვაწეებს“ საკუთარი ორგანიზაცია აქვთ. „სამეული“ შეთანხმდა, რ. მიშველაძეს ჭკუა ესწავლოსო. ფიზიკური მონაცემების საერთოობაზე დამყარებული მათი კავშირი ერთი სულის შებერვით დაიშლება, მაგრამ თავს როგორ გავუყადრებ.

რა საშინელებაა, რა განუკითხაობა.

მითხრეს, თ. ქორიძის წერილში წერია, რომ რ. მიშველაძეს ჩეხოვს და დ. კლდიაშვილს ნუ ადარებთო. არ არის ამხელა მწერალიო. თუ ეს წერია და მეტი არაფერი, კიდევ არა უშავს.

მეც კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მწერალთა ურთიერთშედარების.

15/IX 90

შაბათია.

გრიგოლ ჯულუხიძეს 50 შეუსრულდა.

მე, ნათელა, შოთა ნიშნიანიძე, მისი ცოლი თამრიკო, გურამ გვერდწითელი, აჩიკო და კიდევ ორიოდე კაცი დაგვპატიჟა.

ვითამადე, ბევრი ვიცინეთ.

გრიშა ჩემი მეგობარია. წესიერი, ნიჭიერი პოეტი.

16/IX 90

კვირაა.

ყვარელში, ახალსოფელში მივემგზავრებით: შოთა ნიშნანიძე, გიორგი წერეთელი, ავთანდილ ადეიშვილი, გრიშა ჯულუხიძე და მე.

ავტობუსში პოლემიკაა პოლიტიკაზე. ყველანი პოლიტიკოსებად ვიქეცით. რა უბედურებაა.

გვიან დავბრუნდით.

დიდებულია კახეთი. უპირველესად, კახელი კაცის ფენომენით.

უცერემონიო, ალალი, იუმორით სავსე, დინჯი, გამტანი კახელი კაცი...

17/IX90

ჩემი წიგნის ბეჭდვა დამთავრდა.

ოთხშაბათს სასიგნალო მექნება.

ბენზინი ვერ ვიშოვე.

ყველაფერი ჭირს. მოქალაქენი ერთმანეთს სიგარეტის ნამწვავებს თხოვენ ქუჩაში.

ოთხშაბათს ქუთაისში მიწევს წასვლა. უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით.

18/IX – 23/IX 90

ქუთაისში ვიყავით უნივერსიტეტის და სასულიერო აკადემიის გახსნაზე.

სიტყვით გამოვედით ლევან სანიკიძე და მე უნივერსიტეტის გახსნაზე.

დიდი ზეიმები იყო.

„სახალხო განათლებაში“ რეზო ჩხარტიშვილის წერილია ქორიძის პასუხად და ჩემი მიმართვა (20 სექტემბრის ნომერში).

24/IX 90

ჩავატარე “თვისტომის“ საერთაშორისო კონფერენცია.

კარგად ჩაიარა. ამერიკელი ქართველის ბონდო კეკელიას გამოსვლამ დაამშვენა.

კარგად გამოვიდა ვახტანგ გურგენიძე.

25,26,27/IX 90

ჩვეულებრივი მუშა დღეები იყო.

ერთი დიდი განათება (ჩემთვის)! – გამოვიდა „განაჩენი“ – საქართველოს ეროვნულ მოძრაობაზე დაწერილი ნოველების კრებული.

28,29/IX 90

შოთა ნიშნიანიძის რჩეულის შედგენა და წინათქმა დავამთავრე.

30/IX 90

კვირაა.

უახლესი ლიტერატურის სწავლების პროგრამას ვადგენ. ვიცი, ეწყინება მუხრან მაჭავარიანს, მაგრამ მისი ადგილი არ ჩანს პროგრამაში. ურიგო პოეტი არ არის, მაგრამ შოთა ნიშნიანიძეს მხრებამდიც ვერ მიწვდება. მხატვრული დონით, ვერსიფიკაციული სიახლეებით.

1,2,3/X 90

რუსთაველზე, „მერანის“ მაღაზიაში იყიდება „განაჩენი“.

ალაგ-ალაგ რიგიც კი დგას.

როგორც კი მაღაზიასთან გამოვჩნდები, მკითხველები მოდიან და ავტოგრაფებს მთხოვენ.

ვაჟა აბაკელიამ მარტვილში ჭყონდიდობაზე მიმიწვია.

შეიძლება წავიდე.

დღეს საშინელი ამბავი გავიგე: ღამის 1 საათზე ზვიადის დაცვის 2 წევრი დაუხოცავთ (რა თქმა უნდა, დაცვის თუ რაზმის წევრებზეა ლაპარაკი), რა ვერ გაიყვეს? ნეტავ ჭორი აღმოჩნდებოდეს.

რა ხდება? ნუთუ თავისუფლების ღირსი არა ვართ? ნუთუ მოსეს გზა უნდა გავიაროთ და გზაში დავიხოცოთ?

4/X 90

დღეს ქალაქის პოლიციის შეფმა ტელევიზიით გამოაცხადა, რომ „თეთრი გიორგის“ წევრები ერთმანეთს დაესხნენ თავს და ერთმანეთი დახოცეს. რამდენად მართალია, ვინ იცის.

სანდრო მრევლიშვილმა დამირეკა, 13-ში ვხსნი სეზონს შენი სპექტაკლითო.

სანდრომ ჩემი ნოველის მიხედვით კარგი სპექტაკლი დადგა: „უფანდურიდ ნამღერი“.

გაბედული მოქალაქეობრივი სპექტაკლია და სწორედ ამიტომ ტელევიზიით არ გადასცეს.

5-8/X 90

მარტვილში ვიყავი ჭყონდიდელის 900 წლისთავის ზეიმზე.

ორმოცი ათასამდე კაცი მოვიდა.

როგორ ჭირდება საქართველოს დაბნეულ ხელისუფლებას და აბურდულ სახალხო მოძრაობას გიორგი ჭყონდიდელისთანა მრჩეველი და ჭკვიანი კაცი.

ადგილობრივ მთავრობას ცდა არ დაუკლია, მაგრამ ისე მაინც ვერ გაუმართავს ღონისძიება, როგორც საჭირო იყო.

ოდენ „კონცერტების“ ამარა, განა შეიძლება ამოდენა ზეიმი?

სიტყვა არავის უთქვამს. ჩანს, ხელისუფლებას შეეშინდა ეროვნული მიტინგის გამართვისა.

9-11/X 90

ჭიათურაში ვიყავით შეხვედრაზე ლევან სანიკიძე, თამაზ წივწივაძე და მე.

ჭიათურაში ბევრი კარგი მკითხველია. ქუჩაში გვაჩერებდნენ. ჩვენი თხზულებების სათაურებს გვახსენებდნენ, წიგნები მოჰქონდათ და ავტოგრაფებს გვთხოვდნენ.

მშვენიერია ზემო იმერეთი.

დიდი კულტურული ტრადიციის მქონე – აკაკის იმერეთი.

12/X 90

მივედი მარჯანიშვილის თეატრში.

შენს პიესას ვერ ვდგამთ, რაკიღა ცხრა აპრილის პრობლემა ახლა აქტუალური აღარ არისო, თემურ ჩხეიძემ.

სხვა პიესა უნდა დაგვიწეროო.

უარი მოვახსენე და ჩემი პიესა წამოვიღე.

საღამოს მცხეთაში შეხვედრა მქონდა. მასწავლებლებს შევხვდი.

დამირეკეს ტელევიზიიდან. როგორც დეპუტატობის კანდიდატი, უნდა გამოხვიდეო.

ღირდა ამ საარჩევნო კამპანიაში გასვლა?

13-14/X 90

ტელევიზიით გამოვედი და ჩემს საარჩევნო პროგრამაზე ვილაპარაკე.

ავხსენი ჩემებურად, რა უშველის საქართველოს.

რა და ეროვნული ფენომენის გაძლიერება-მეთქი.

საღამოს (14) მთელი ჩემი ჯალაბით საერო თეატრში გახლდით („საერო“ ჰქვია მეტეხის თეატრს).

სეზონი გახსნეს ჩემი განახლებული დადგმით „ტვირთი“ (უფანდუროდ ნამღერი).

მაყურებელმა, რომ იტყვიან, გულთბილად მიიღო.

15,16(X 90

დასაბეჭდად ვამზადებ წიგნს – „იღბლად გადარჩენილი ნოველები“.

ბევრმა დამირეკა ტელევიზიით გამოსვლის გამო.

კამილა კორინთელმა (მთარგმნელი) შიში გამოთქვა – ვაითუ არაქართველები მოვიმდუროთო.

ვინც მტრულად მოგვეკიდა, ისინი მომდურავებიც არიან, ჩვენს მიწაწყალს გვართმევენ ავი სტუმრები, ხოლო ქართველთმოყვარე სტუმრებს არავინ ერჩის-მეთქი.

16-ში მთელი დღე ავტოპროფილაქტიკაში გავატარე.

17/X 90

აკაკი წერეთლის საიუბილეო კომისიის სხდომა გაიმართა.

ვთქვი, იუბილის გადადება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია-მეთქი.

გუმბარიძე (რატომღაც) დამეთანხმა. საერთოდ, ხშირად ამბობდა: მიშველაძე სწორია, ბ-ნ რევაზს ვუჭერ მხარსო.

რაშია საქმე? რაღაც საშინელს მიმზადებენ. ამიტომ მისვამენ თავზე ხელს.

ამ ხელისუფლებისგან კარგს არაფერს ველი.

18-20/X 90

ინსტრუმენტალურ ქარხანაში დეპუტატებთან შეხვედრაზე დამიძახეს. მაგრამ უარი ვთქვი.

არ მიყვარს მწკრივში ჩაჯდომა და ხმებისთვის მათხოვრობა.

ჩემი სტილი არ არის.

უნივერსიტეტში სტუდენტთა სამკაციანმა ჯგუფმა შიმშილობა გამოაცხადა. საზოგადოება „სტალინი“ გაუქმდეს და არჩევნებში მონაწილეობა აეკრძალოსო.

შევედი, ვესაუბრე. ეს რა დემოკრატიაა-მეთქი, ბიჭებო, როგორ შეიძლება ერთი პარტია მეორის გაუქმებას ითხოვდეს, ბოლშევიზმისგან რითი განვსხვავდებით-მეთქი.

როგორ ფიქრობთ, შედეგი? უმაღლესმა სასამართლომ „მოშიმშილეთა დაწოლით“ უარი უთხრა „სტალინს“ არჩევნებში მონაწილეობაზე.

18-ში სიტყვა ვთქვი დიღომში სახელოვნო კოლეჯის გახსნაზე.

20-ში სიტყვა ვთქვი ბრაზილიელ მხატვართა გამოფენის გახსნაზე.

„ლიტერატურულ საქართველოში“ ჩემი ნოველაა „ამერიკა, ამერიკა“.

თეატრალური საზოგადოების სტამბას ჩავაბარე დასაბეჭდად ჩემი წიგნი „იღბლად გადარჩენილი ნოველები“. სტამბის დირექტორი ტრისტან სიდამონიძე კარგი კაცია.

ნოდარ გრიგალაშვილს ეკუთვნის ჩემი პიესების გამოცემის ინიციატივა და რედაქტორიც (კარგი რედაქტორია, ნიჭიერი კრიტიკოსი და პოეტი) თვითონ არის.

21/X 90

დავწერე ახალციხელი ჟურნალისტის კუკური თორდიასადმი მისალმების ტექსტი და ხელი მოვაწერინე კარგ ქართველ მწერლებს.

დაბადების დღეს ვულოცავთ კუკური თორდიას, რომელიც 40 წლის წინათ წავიდა და დასახლდა მესხეთ-ჯავახეთში.

ვისაც მივმართე, იმათგან ხელი არ მომიწერა მხოლოდ ერთმა – ტარიელ ჭანტურიამ.

არ ვკიცხავ. ტარიელს კოლექტიურ წერილებზე თავისი მოსაზრება აქვს. კოლექტიურ მისალმებებსაც და ნეკროლოგებსაც არ აწერს ხელს.

22/X 90

გუშინ დათო ქადაგიძე და ზაურ მეძველია იყვნენ ჩემთან და მაცნობეს, რომ ჩვენი ბლოკი პარტიიდან გასულთა სიის დაუზუსტებლობის გამო მოუხსნიათ არჩევნებიდან.

ისე, კაცმა რომ თქვას, ბევრია ჩვენს ბლოკშიც იქეთ-აქეთ რომ აწყდება. პარტიაშიც უნდა დარჩენა და ეროვნულ მოძრაობასაც მიეტმასნოს. მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ? ვინც უკვე კარგა ხანია გავედით პარტიიდან?

ვიცი, ეს რატომაც მოხდა...

23/X 90

დავურეკე აკაკი კარანაძეს; თქვენ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ხართ, განიხილეთ არჩევნებში ჩვენი ბლოკის მონაწილეობის კანონწესიერების საკითხი-მეთქი.

თუ გუმბარიძე გვეტყვის, განვიხილავთო.

მეც რას ვრეკავდი. თურმე ჩვენი „გამოყვანა“ ცეკას ხელით მომხდარა.

ასეც ვეჭვობდი.

24/X 90

სანდრო მრევლიშვილმა „ნაპრალის“ დადგმა მინდაო. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვსო.

ჩემი თავი გენაცვალოს-მეთქი. ერთადერთი სანდრო შემრჩა რეჟისორებში ერთგული.

რობერტ სტურუამ, თემურ ჩხეიძემ, მამუკა სვანაძემ და კოტე მახარაძემ პირი მიშალეს, როგორც ჩანს, დაპირება და სიტყვის გატეხვა თეატრში ჩვეულებრივი ამბავია.

25,26/X 90

„ლიტ. გაზეთში“ გაზეთ „კავკაზიდან“ გადმობეჭდილი სტატიაა. ვიღაც ჩეჩენ-ინგუშის მიერ დაწერილი მე და ფანჯიკიძეს გვაკრიტიკებს – აფსუებთან დაკავშირებით.

დავწერე მრისხანე რეპლიკა. ორშაბათს მივუტან „ლიტერატურულ საქართველოს“.

დღეს არჩევნებია.

27...30/X 90

კოლაუ ნადირაძე გარდაიცვალა.

რაინდი პოეტი.

გაუხრელი, გაუღუნავი, ფოლადისებური კოლაუ.

ლამის 100 წლისა.

დავწერე წერილი სამგლოვიარო. ხვალ იქნება „კომუნისტში“ (ნუთუ ამ გაზეთის სახელის შეცვლას ვერ ვეღირსებით?).

დღეს გურამ პეტრიაშვილი შემხვდა სახეგაბადრული. გავიმარჯვეთო, მალე ახალ მთავრობას შეადგენსო ზვიადი.

ვნახოთ რა იქნება. თუ საჭესთან ზვიადი დადგა, ძალიან უნდა იფრთხილოს. კრემლი ზვიადს გამარჯვებას არ აპატიებს.

მთავრობაც ფრთხილად, მოზომილად უნდა შეადგინოს. არ შეიძლება მისი ამქრის ყველა წევრის გამინისტრება.

ზოგ მათგანს ორ ბატსაც ვერ ჩააბარებ.

31/X 90

„კომუნისტში“ კოლაუზე ჩემი წერილია.

ხვალ საინგილოში მივდივარ, მოულოდნელად მგზავნის უნივერსიტეტი და ვწუხვარ, დაკრძალვას ვერ დავესწრები.

დათო შარაბიძე მოვიდა ჩემთან – ასპირანტი.

ხვალ შვედეთში მივდივარო.

გავატანე წერილი შალვა თევზაძესთან.

იქაური „სათვისტომოს“ უფროსია. დათო კარგი ბიჭი ჩანს.

1-4/XI 90

მანგლისში ვიყავით შეხვედრაზე მედეა კახიძე, ლევან სანიკიძე და მე.

ვიხსენებდით გზაში თამაზ წივწივაძის წერილებს გ. კარბელაშვილზე, ა. კალანდაძეზე, გ. ვარდოსანიძეზე და ხუტა ბერულავაზე დაწერილთ.

ლევანმა მითხრა, თუ გახსენდება ჩემი წიგნებიდან რამე კურიოზიო.

როგორ არა, ერთ შენს წიგნში დედა ცხრა აკვანს ერთდროულად არწევს-მეთქი.

მერე რა უჭირსო.

რა და როცა უმცროსი (ცხრათაგან) სააკვნეა, მაშინ პირველი უკვე, სულ მცირე, 16 წლის მაინც იქნება-მეთქი. თექვსმეტი წლის „ბავშვის“ აკვანში ჩაწვენა გაჭირდება-მეთქი, მაგას როინ მეტრეველი გეტყოდაო. სწორედ მან მითხრა-მეთქი.

ბევრი ვიცინეთ.

მანგლისელებს მივულოცე საბჭოთა ხელისუფლების დამხობა.

5-7/XI 90

მამაჩემს 75 შეუსრულდა.

შევიკრიბეთ შვილები. სევდაც ახლდა სუფრას. სევდა იმაზე, რომ დამიბერდა ჩემი ამაყი და ვაჟკაცი მამა.

ზვიადი გამოვიდა ტელევიზიით. ჯერაო, ჩვენ არჩევნებში არ გაგვიმარჯვნია, კომუნისტებმა ხმა გაავრცელეს, რომ ჩაგვაძინონ სიხარულისგანო.

მთავარი ბრძოლები აწი გველისო.

როგორ მინდა, ზვიადმა თავისი ამპარტავნობა და ამბიციები ჩამოიბერტყოს და სწორედ ისეთ პრეზიდენტად იქცეს, როგორიც ახლა სჭირდება საქართველოს.

8,9,10/XI 90

ხვალ ხელახალი არჩევნებია.

გუშინ „თვისტომის“ საკითხზე მინისტრთა საბჭოში მისული, შევესწარი, როგორ ჩაალაგა ნოდარ ჭითანავამ ბარგი და როგორ წავიდა შინ.

შემეცოდა. 14-ში ახალი მთავრობა მოვა.

ღმერთმა საწაღმართოდ მოიყვანოს.

11,12/XI 90

დღეს (11) ვალერი გაბელიას ბავშვის ნათლობის პურ-მარილზე შევხვდი ირაკლი წერეთელს, თორნიკე ფიფიას და სხვებს. დიდხანს ვისაურეთ. არ გეგონოთ, რომ რაკი პარლამენტი და კონგრესი გავინაღდეთ, ბრძოლა ამით დასრულდა-მეთქი. წინ უფრო დიდი ბრძოლები გველის და უნდა ვეცადოთ, თავი არ შევირცხვინოთ-მეთქი. არ იფიქროთ, თითქოს რუსეთი დათმობს საქართველოს, რა ენერგიული მიტინგებიც უნდა ჩაატაროთ-მეთქი. საჭიროა ძალთა კონსოლიდაცია და ფრთხილი, ჭკვიანური ევროპულ-აღმოსავლური პოლიტიკა-მეთქი.

დღეს (12) მუხრან მაჭავარიანმა დამიძახა და ბრძანება დამახვედრა, ბრძანებაში წერია, რომ მე დანიშნული ვარ მწერალთა კავშირის ლიტერატურულ ასოციაციათა საკოორდინაიო ცენტრის ხელმძღვანელად ხელფასით თვეში 220 მან. ეტყობა, სინდისის ქენჯნამ შეაწუხა მუხრანი...

ვიმუშავებ. ვინძლო ახაგაზრდა მწერლებისთვის სასარგებლო აღ-მოვჩნდე.

13,14/XI 90

დღეს უბედნიერესი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.

გული დამწყდა ერთადერთხელ და მე მგონი, პირველად, რომ დეპუ-ტატი არ ვიყავი და უშუალოდ არ მქონდა საშუალება მხარი დამეჭირა უზენ-აესი საბჭოს თავმჯდომარედ ზვიადის არჩევისთვის და უფრო მეტად იმისთ-ვის, რომ დღეს ეროვნულმა სესიამ გააუქმა საბჭოთა საქართველოს დროშა, გერბი, ჰიმნი და დაამტკიცა 1918 წლის დროშა, ჰიმნი და გერბი.

ესეც ასე. დამოუკიდებელ საქართველოს ვუახლოვდებით. ჯერჯერო-ბით კი გარდამავალი პერიოდი გვაქვს. მე ვფიქრობ, ეს „გარდამავლობაც“ სწორად მოიფიქრა ზვიადმა.

პირდაპირ დამოუკიდებლობა რომ გამოგვეცხადებინა, რუსეთი ხვალვე გაგვაუქმებდა და გავბითურდებოდით.

ახლა მთავარია ავტონომიების გაუქმება. ეს იქნება ჩემი ოცნების ახ-დენა.

მიმიძღვის მე, რევაზ მიშველაძეს, რაიმე წვლილი თავისუფლების დღის მოახლოვებაში?

მე მგონი მიმიძღვის.

ჩახედავს საქართველო ოდესმე მაინც ჩემს წიგნებს? ჩაუკვირდება, რას ვწერდი და როგორ ვწერდი?

15/XI 90

დღეს უზენაესმა საბჭომ მუშაობა დაამთავრა.

მიიღეს კანონები ჯარის და ამნისტიის შესახებ.

ქართველი ახალგაზრდა რუსის ჯარში აღარ წავა.

ყოჩაღ ზვიად!

ქალებს ციხიდან გამოუშვებენ.

ყოჩაღ ზვიად.

რას იტყვის რუსი!?

16,17/XI 90

მოსკოვში სესია მიმდინარეობს.

გამოდიან დეპუტატები და ზოგი პირდაპირ, ზოგი გადაკვრით, გორბა-ჩოვის გადადგომას მოითხოვენ.

გამოდის გორბაჩოვი და თითქოს აქ არაფერიაო, კვლავ თავისი ძალაუ-ფლების განმტკიცებას ცდილობს.

გაკოტრებული პრეზიდენტის მოკრძალება როდი ჩანს მის გამოსვლაში.

უტიფარი კაცია.

მოსკოვში სესიაზე გამოვიდა ზვიადის მოადგილე, ახალგაზრდა კაცი აკაკი ასათიანი.

ზეპირად, თამამად, გადაჭრით თქვა: „საქართველომ გარდამავალი პერიოდი გამოაცხადა, ოღონდ გორბაჩოვის გარდამავალი პერიოდისგან განსხვავებით,ჩვენ წინ კი არ წავალთ,არამედ უკან, დემოკრატიული საქა-ართველოსკენო. თანაც, ამთავითვე უნდა გაგიცხადოთ, საქართველო სამო-კავშირეო ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერსო.

გორბაჩოვს სიბრაზისგან ყბა მოექცა. ფერი დაკარგა შევარდნაძემ.

დასასრულ, გორბაჩოვი გამოვიდა და განუცხადა: ახალი მოდის ექსტრემისტული ხელისუფლება არ გამოხატავს საქართველოს აზრს. მე უკვე მომდის ცნობები, რომ ქართველები უკმაყოფილონი არიან რუსეთთან კავშირის გაწყვეტის იმ ქადაგებით, რითაც ახალმა პარლამენტმა თავისი ეროვნული ცხოვრება დაიწყოო.

ასეც ველოდი. რუსი აგრე იოლად არ დაგვთმობს.

საჭიროა ნაბიჯ-ნაბიჯ, გონივრულად და ფრთხილად ვიაროთ წინ.

გურამ პეტრიაშვილმა დამირეკა, შენი „განაჩენი“ წავიკითხე, აღფრთოვანებული ვარო. მართლაც განაჩენიაო. როგორაა ახლა ახალი მთავრობის საქმე-მეთქი, ვიბრძვით და შენი თანადგომის იმედიც გვაქვსო.

18/XI 90

ვზივარ და ჟურნალ „ღიმილის“ გეგმებს ვაწყობ.

სატირიკოს-იუმორისტთა ასოციაციამ მთხოვა ვუწინამძღვრო ამ ჟურნალს. იგი ორ თვეში ერთხელ გამოვა და იქნება სოლიდური ლიტერატურული ჟურნალი.

დავურეკე ფანჯიკიძეს, წივწივაძეს და პეტრიაშვილს – დამპირდნენ მასალებს მოგიტანთო.

საქმე მაკლდა?

მაგრამ ახალი სალიტერატურო ჟურნალი ურიგო საქმე არ არის.

წესიერმა კაცმა, კარგმა მწერალმა ვალერიან მამუკელაშვილმა შემაბა „ღიმილის“ რედაქტორობის ეჟვანი.

19/XI 90

ამირან კალაძე შემხვდა დღეს მწერალთა კავშირში.

ამირანი დეპუტატია. ახალ ხელისუფლებას წარმოადგენს.

ავტონომიები დროულად უნდა გაუქმდეს, ასე გადაეცი-მეთქი ზვიადს.

ოსეთს გავაუქმებთ, მაგრამ აფხაზეთს და აჭარას ვერაო.

რატომ-მეთქი?

ვერ მომცა დასაბუთებული პასუხი.

ვიცი მტკივნეული იქნება, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ავტონომიები საქართველოს მუცელში ჩადებული ის შენელებული მოქმედების ბომბებია, ბოლშევიკებმა რომ გვიანდერძეს და ადრე თუ გვიან ამოქმედდებიან, თუმცა, როგორც პროფ. გივი ჟორდანიამ მითხრა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიები ნოე ჟორდანიას შეუქმნია 1919 წელს.

20, 21,22/XI 90

21-ში მცხეთაში, ქსანში მქონდა შეხვედრა.

ვუპასუხე შეკითხვებს: რა გველის, რა გადაარჩენს საქართველოს.

დღეს (22) გაზეთებში „ახალ საქართველოსა“ და „თბილისში“ გამოქვეყნებულია საზოგადოება „თვისტომის“ მიმართვა ქართველი ერისადმი.

ცოტა არ იყოს, ხმამაღლაა დაწერილი, მაგრამ, ჩემი ფიქრით, საჭირო მიმართვაა.

რა ვქნა, მე ჩემი გზა მაქვს.

დღეს სესია გაიხსნა.

თემურ ქორიძემ თავისი კომისიის სახელით გივი გუმბარიძისა და გურამ ენუქიძის პასუხგებაში მიცემა მოითხოვა.

ამას მოჰყვა გუმბარიძის სასოწარკვეთილი გამოსვლა. ზვიად გამსახურდიამ გუმბარიძეს მიკროფონი გამოურთო.

კომუნისტები რისი ღირსიც არიან იმას იხვეჭენ, მაგრამ როგორ შეიძლება, უკვე მეორე სესიაზევე რეპრესიებისა და კონფრონტაციისკენ მოწოდება.

ქორიძემ იქვე თქვა, ქართული ხელოვნება ამ 70 წლის მანძილზე ქართული სულის წინააღმდეგი იყოო.

ვინ – გალაკტიონი, გამსახურდია, მ. ჯავახიშვილი, შ. ნიშნიანიძე, ანა კალანდაძე, ქართული სულის წინააღმდეგ მუშაობდნენ?

23/XI 90

სატირიკოს-იუმორისტთა ასოციაციამ ერთხმად ამირჩია ჟურნალ „ღიმილის“ რედაქტორად.

მაშ ასე, დაარსდა ჟურნალი, რომელსაც ჰყავს რედაქტორი, მაგრამ არა აქვს ხელფასი რედაქტორს (ეგ არაფერი), ჟურნალს არა აქვს ბინა, არ ჰყავს თანამშრომლები, არ აქვს ქაღალდი, არ აქვს სტამბა: ყველაფერი მე უნდა ვიშოვო.

24/XI 90

შაბათია.

ჩავრთე ტელევიზორი. ჩემს ფილმს „მსაჯს“ უჩვენებდნენ.

1981 წელს გადაიღო გენო ჩირაძემ.

გული ამერია, რომ ვუყურებდი.

ჩემი თავი საოცრად უნიჭო მწერლად მომეჩვენა.

კიდევ კარგი, არც ერთი სიტყვა არ არის შიგ ჩემი. მარტო სიუჟეტია აღებული.

იცოდეს ეს შთამომავლობამ.

25/XI 90

კავთისხევში, ვაჟა ხოკერაშვილის ბინაში სტუმრად მიმიწვიეს.

კარგი ქართული ოჯახია.

დამხვდნენ კავთისხევის ხელმძღვანელები, ადგილობრივი ინტელიგენცია, ფორმალებიც და არაფორმალებიც.

ვილაპარაკეთ საქართველოს პრობლემებზე.

26/XI 90

კალმიკიიდან ჩამოვიდა გიორგი ცხადაძე.

ოთხი შვილის მამა ვარო. თავის დროზე ახმეტაში მიწა არ მომცეს და კალმიკიაში წავედიო.

წაუკითხავს „თვისტომის“ შესახებ და საქართველოში დაბრუნება გადაუწყვეტია.

ვესაუბრე დიდხანს.

დავუწერე შუამდგომლობა დმანისის რაიკომის მდივან ომარ ელოშვილთან.

გახარებული, ფრთაშესხმული წავიდა.

27,28,29/XI 90

უამრავი ხალხი მოდის „თვისტომში“.

მოვიდა თელავიდან შეფიცულთა რაზმის წევრი – ვასილ კიკნაძე. გადავწყვიტეთ თელავში შევქმნათო „თვისტომის“ რეგიონალური ორგანიზაცია. ჩვენ მიგვაჩნია, „თვისტომი“ დღეს ერთ-ერთი ეროვნული სასარგებლო საზოგადოებაა.

მადლობა მოვახსენე.

დღეს, 29–ში გალაკტიონის სემინარზე მოვიწვიე ორი ბულგარელი მწერალი ვესელა (პოეტი ქალი, პროფესორი) და ივანე ბიწაძე. ივანე ბიწაძე ქაქუცას რაზმის წევრის შვილია. მოხუცია.

შეხვედრამ დიდებულად ჩაიარა.

დღეს გაზეთებში შემაძრწუნებელი ცნობაა – აფხაზეთში აფსუა ყაჩაღებმა შეურაცხყვეს კათალიკოსი ილია II.

რა საშინელებაა.

ნუთუ ყველაფერი უნდა მოვითმინოთ.

როგორ მოიქცეოდა ასეთ შემთხვევაში XII საუკუნის საქართველო – ნამდვილი საქართველო.

30/XI – 1,2/XII 90

მწერალთა კავშირში მივედი და ორი საათი ვიყეფე; ნუთუ აფსუა ყაჩაღებს ესეც უნდა ვაპატიოთ-მეთქი.

მოვიდა ლევან ხაინდრავა (70 წლის, ავადმყოფი კაცი), ისიც ჩემსავით გადარეულია.

სხვა რომ ვერა გავაწყეთ, მუხრანის კაბინეტიდან ტელეფაქსით „ამერიკის ხმის“ და „ბიბისის“ კორესპონდენტებს მოსკოვში გადავეცით ეს შემზარავი ინფორმაცია.

საღამოს მორის ფოცხიშვილს დავურეკე; რა ვქნათ, ზვიადი ამ ფაქტზე რატომ სდუმს-მეთქი.

რასაც მოიფიქრებთ, მეც თქვენთან ვარ, ჩემი გვარიც მოაწერეთო, მორისმა.

რა უნდა ჰქნას მორისმა. თანაგრძნობის და აღშფოთების მეტი რა შეუძლია.

ქალაქში დიდი შიმშილობა იწყება.

ხალხი კვლავ აღრენილია. იგრძნობა გულის გატეხვის დასაწყისი დამოუკიდებლობის მიმართ.

დამირეკა ხონელმა ჟურნალისტმა მადონა ჩხეტიანმა. თუ შეიძლება, ინტერვიუ უნდა ჩამოგართვათო.

3,4/XII 90

ოპერის ბაღში ჯაბა იოსელიანის მაშველმა რაზმმა შიმშილობა გამოაცხადა.

მივედი. ზღვა ხალხი ირევა. 4 საათზე მიტინგი დაიწყო. გამოვიდა ირაკლი წერეთელი, სოფელ მუხრანის წარმომადგენელი, მიტროპოლიტი დავითი (ცხუმ-იმერეთის)...

ირაკლი ამბობს, ზვიადი სამ დღეში დიქტატორად იქცაო. ნახეთ, რა

ამპარტავნულად უჭირავს თავიო, ნახეთ, თუ შეასრულა 1% მაინც ის, რასაც ოპოზიციაში ყოფნის დროს მოითხოვდაო. „გარდამავალი ეტაპი“, დუმილი აფხაზეთის და ოსეთის მიმართ, კადრების დაწიოკება, ცილისწამებანი კონგრესისა და მაშველთა რაზმეულის მიმართ, სსრკ კონსტიტუციის მოქმედების არ შეჩერება საქართველოში, შელამაზება-მოდელირება ამ კონსტიტუციის, ქორიძის პარპაში, უზურპაცია საინფორმაციო ორგანოებისა, რომლებიც მთლიანად მის კონტროლს დაუქვემდებარა, არაკომპეტენტური პირების დანიშვნა მინისტრებად, უარის თქმა კონგრესმენების ხაინდრავას და (გვარი ვერ გავიგონე) მიღებაზე. ყოველივე ეს აუტანელს ხდის ზვიადის პარპაშს და უნდა გადადგესო.

იგივე თქვეს სხვა ორატორებმაც. მეუფე დავითმა შერიგება მოითხოვა.

ცუდ ხასიათზე ვარ. ნუთუ გადააყენებენ ზვიადს?

ხალხი ამბობდა, თუ შიმშილობამ მასობრივი ხასიათი მიიღო, ზვიადი უნდა გადადგესო.

რა ბზიკმა გვიკბინა.

ნუთუ ძალუმად ამოქმედდება “უჩემოდ ვინ იმღერეთას“ ქართული სინდრომი, იქნებ ზვიადიმაც ზოგი რამ დათმოს, დაუყვავოს ოპოზიციას. განა გუშინ ჭანტურია-წერეთელი-ბაქრაძე-ნათაძის გვერდით არ იბრძოდა?

4/XII 90

დღეს „ახალი საქართველოს“ ახალ რედაქტორს მამუკა ფაჩუაშვილს მივუტანე წერილი „ღია წერილი ფაზილ ისკანდერს“. ვნახოთ, დაუბეჭდავს თუ არა.

ვესაუბრე კარგა ხანს. ზვიადი ზოგ რამეში ცდება და უნდა მიანიშნო-მეთქი. არ შეიძლება დიქტატორობა და ამპარტავნობა-მეთქი.

საღამოს ჟურნალისტთა კავშირში შ.ს. მინისტრს დილარ ხაბულიანს მიღება ჰქონდა. ზრდილობიანი ბიჭი ჩანს. ვნახოთ, თუ არ გაფუჭდა.

მწერალთა კაშვირში ამირან კალაძე შემხვდა. ისე საზიზღრად იქცევა ქორიძე, ლამის თავი გავანებო დეპუტატობასო.

შეთანხმებულივით იგივე გამიმეორა ირინე ტალიაშვილმაც. ირინე კარგი გოგოა.

„ახალ საქართველოში“ ინფორმაციაა „ღიმილის“ რედაქტორად ჩემი არჩევის შესახებ.

5/XII 90

ირაკლი წერეთლის გამოსვლა მოვისმინე ოპერის ბაღში.

არგუმენტირებულად, ძირითადად სწორად გააკრიტიკა უზენაესი საბჭო.

ბოლო ფრაზა არ მომეწონა: თუ ჩვენს ულტიმატუმს არ შეასრულებს, ზვიადი უნდა გადადგესო, გამოაცხადა.

ისევ ულტიმატუმი.

თამაზ წივწივაძეს დავურეკე. როგორაა საქმეები-მეთქი?

ვთხოვე, მომცეს რაიმე „ღიმილისთვის“.

საღამოს მიხეილ ქვლივიძემ დამირეკა „ღიმილისთვის“ ლექსები შეგირჩიეო.

6-13/XII 90

ისეთი დაძაბული დღეები მქონდა, მაგიდასთან ვერ მივედი და ჩემს დღიურებს სტრიქონი ვერ მივუმატე.

11 დეკემბერს „ახალგაზრდა ივერიელში“ დაბეჭდილია ჩემი „ღია წერილი ფაზილ ისკანდერს“.

ვათარგმნინებ და გავგზავნი „პრავდაში“, მაგრამ ვინ დაბეჭდავს.

11 დეკემბერს ზვიად გამსახურდიამ უზენაესი საბჭოს სხდომაზე წაიკითხა ბრწყინვალე მოხსენება და მერე სესიამ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის“ გაუქმების შესახებ“.

უბედნიერესი კაცი ვარ. პირველმა ამ დადგენილების მიღების მეორე დღესვე, 12 დეკემბერს მე დავუჭირე მხარი ზვიადს ტელევიზიით.

ძლივს ვნახე ვაუკაცური საქართველო.

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?“ 12 დეკემბერს ვიღაც ოსმა გარეწარმა 3 კაცი მოგვიკლა ქუჩაში ცხინვალში და 3 დაგვიჭრა.

ცხინვალსა და ჯავაში კომენდანტის საათია.

13 დეკემბერს „საქართველოს რესპუბლიკაში“ დავბეჭდე „თვისტომის“ გამოხმაურება.

როგორმე, როგორმე პრაქტიკულად გავატაროთ ეს დადგენილება.

გარეწარმა ბოლშევიკებმა რა საშინელი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს? რა საჭიროა სამი ავტონომია ერთი ციცქნა საქართველოში.

13, 14, 15/XII 90

„ვრემიაში“ ორჯერ გამოაცხადა მოსკოვმა, რომ საქართველოს გადაწყვეტილება ოსეთის ავტონომიის გაუქმებაზე უკანონოა და მოვუწოდებთ საქ. უზენაეს საბჭოს თვითონვე გაასწოროს შეცდომაო.

საკვირველია, ჩრდილოეთ ოსეთი შედის რსფსრ-ში, სამხრეთ ოსეთი კი ცალკე რესპუბლიკად უნდა გავიდეს და დამპყრობელმა საქართველოს მიწა უნდა წაიღოს?

რა გვეშველება? ეს თუ დავთმეთ, ახლა თუ დავმარცხდით, თავზე დაგვასხდებიან მტრები.

მზად ვარ ავტომატით ხელში ვიომო უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. უნივერსიტეტის სტუდენტებს მოვწუოდე, თუ არაფერი გამოვიდა, შეექმნათ მოხალისეთა რაზმი, მე გაგიძღვებით და წავიდეთ-მეთქი.

თითქოს ყველა დამეთანხმა, საქმე საქმეზე რომ მიდგება?

არის საერთოდ ქართველი კაცი მებრძოლი?

დავამთავრე ორი ნოველა, ერთს ჰქვია „დამცემი“, მეორეს „ჭკირჭკიტია“.

დამცემი რუსის ჯარზე და მის ზნეობრივ გახრწნილებაზეა, ჭკირჭკიტია „ძმათა ჭამის“ ქართულ თვისებაზე.

16,17/XII 90

ოსეთში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა.

გამოვიდა ზვიადი ტელევიზიით, დაბნეული ჩანდა.

გამოვიდნენ ნათაძე და ჯაბა იოსელიანი. ზვიადს აკრიტიკებენ. არ მომწონს ეს ამბავი.

ზვიადი უძალაუფლებო კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს.

18/XII 90

დღეს აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო ჩავატარეთ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ეგიდით.

შესავალი სიტყვა ვთქვი.

სიტყვებით გამოვიდნენ სოლ. ხუციშვილი, ნ. ტაბიძე, მ. ქვლივიძე, მსახიობები გიზო სიხარულიძე, თინა ელბაქიძე, მომღერალი მედეა ძიძიგური და რაც მთავარია თამარ იშხნელი, რომელსაც ცოცხალ აკაკისთან უმღერია.

19,20,21/XII 90

20-ში უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე მოხსენებით გამოვედი – აკაკი წერეთელი და თანამედროვეობა.

ყველაფერი ვთქვი, რისთვის არის საჭირო აკაკი ჩვენი თანამედროვეებისათვის.

ირინე ტალიაშვილმა დამირეკა, წავიკითხეთ „კაბადონში“ თქვენი ინტერვიუ: ზვიადს არ ესიამოვნაო.

ქალის პირობაზე ცოტა მკვახედ ველაპარაკე. როდიდან გახდით შენ და ზვიადი ჩემი აღმზრდელები-მეთქი.

რაც არ მომწონს, არ მომწონს და არც ვფარავ, რაც მომწონს, თქვენს გვერდით ვარ-მეთქი.

მოსკოვში შევარდნაძემ გადადგომა გამოაცხადა.

მთელი დეპუტატთა ყრილობა (გორბაჩოვიანად) მუხლებზე დაეცა: ნუ მიგვატოვებო.

22,23/XII 90

ვასწორებ „ღიმილის“ მასალებს.

მომიტანეს რაღაც უნიჭობანი და „თურმე“ ახლა მე უნდა ვიტირო, როგორც დიდი თავის პატრონმა.

ქაღალდი, სტამბა, კაბინეტი ყველაფერი მე უნდა ვიშოვო.

23-ში საღამოს ირაკლი აბაშიძემ დამირეკა;

ეს რა ბრწყინვალე ნოველა დაგიწერია ჩემზე, მადლობელი ვარ, ასე თუ გიყვარდი, არ მეგონაო.

„განაჩენში“ მაქვს ნოველა ირაკლიზე „ვინძლო, არ ინანოთ“. სულ აღარ მახსოვდა.

ღამით ვიღაც გარეწარმა დამირეკა: შენს შვილს – აჩიკოს მოსაკლავად დასდევენ და გაფრთხილდიო.

რატომ? რა დავაშავეთ-მეთქი. დაკიდა ყურმილი.

24, 25/XII 90

25-ში მცხეთაში მიმიწვიეს ნატახტარის საშუალო სკოლაში საშობაო დღესასწაულზე.

ჩემს სიცოცხლეში პირველად გახლდით საშობაოდ (არაკომუნისტურ) დღესასწაულზე საქართველოში.

რა მშვენიერია. პირველი საშობაო მეჯლისი.

ბავშვებს ლენინის სურათების ნაცვლად ჯვრები ეჭირათ და ლოცვებს წარმოსთქვამდნენ.

სხვა საქართველოში ვცხოვრობთ.

26,27,28,29/XII 90

იწურება 1990.

ბევრი ვიბრძოლეთ, ბევრი ვიჯანჯღარეთ, ბევრი ვითავცემეთ, დიდი ნახტომი გააკეთა საქართველომ ისტორიაში, ტარიელის სიტყვით რომ ვთქვათ, „გრძელი როქი“, დავამხვეთ კომუნისტების ტირანია, მაგრამ დამოუკიდებლობას მაინც ვერ ვეღირსეთ და ამ საუკუნეში, ალბათ, ვერც ვეღირსებით.

რუსის ჯარის გაყვანაზე ფიქრიც არ შეიძლება ამ ეტაპზე.

შევარდნაძე გამოაგდეს კრემლიდან.

უმადურად, უმადლობოდ. ნეტავ სხვას რას ელოდა; ერთგულად რომ ემსახურებოდა იმპერიას და ჩემს თხოვნაზე: ოსეთ-აფხაზეთ-აჭარის ავტონომიები გააუქმებინეთ-მეთქი, თვალები რომ გადმოკარკლა – ოსები და აფსუები ჩვენი ძმები არიანო, როგორ მოგივიდათ თავში ავტონომიების გაუქმებაო.

28 დეკემბერს ოსი მკვლელი ფუხაევი დააპატიმრეს ჩვენებმა ოსეთში, შეიარაღებულმა ოსებმა ქართულ მილიციას ალყა შემოარტყეს და მძევლად აიყვანეს 14 მილიციელი. შეშინდა კვანტალიანი. გამოაშვებინა ოსი მკვლელი და 14 მძევალიც გაათავისუფლეს ოსებმა.

აი, ასე „ვფლობთ“ ძალაუფლებას ოსეთში.

ასეთ „დახმარებას“ გვიწევს რუსის ჯარი.

ჩემი კათედრის წევრებმა ლორიამ და ნიშნიანიძემ დისერტაციები დაიცვეს.

ორივე ნიჭიერი, მცოდნე ახალგაზრდაა.

30,31/XII 90

მთელი ორი დღეა რადიო-ტელევიზიაში ცეკვა-თამაშია.

რა გვეცეკვებ-გვემღერება?

ვინ მისცა ტელევიზიას მითითება – ხალხი ამ საახალწლოდ კარგ ხასიათზე დააყენეთო?

ოსები მილიციელებს (ქართველებს) მძევლად იტოვებენ, აფსუები დედას გვაგინებენ, 31–ში მაღაზიებში პურიც კი არ იშოვებოდა, ხალხი მაწვნის, კარაქის და გაყინული ხორცის რიგში ერთმანეთს ხოცავს და ტელევიზიაში დილიდან საღამომდე რომ ცეკვა-თამაშია, ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს „იმოქმედებს“ ხალხის განწყობილებაზე?

1/I 91

ახალ წელს ჩემს ბინაში შევხვდით.

მთელი ოჯახი - და-ძმები, მშობლები.

წყნარად, მშვიდად ვიმუსაიფეთ.

მგონი პირველად შევხვდით ახალ წელს ისე, რომ სიმღერა–ცეკვა არ გაგვხსენებია.

ხალისი არ არის.

განწყობილება უნდა ყველაფერს.

საქართველო განსაცდელშია – რა მეახალწელზეიმება.

2/I 91

„ღიმილის“ პირველი ნომრის რედაქტირება დავამთავრე.

მივაკითხე ვახტანგ ესვანჯიას – ქაღალდი ექვსჯერ გაძვირდა. ქაღალდს თუ იშოვი, მარტო სტამბის ხარჯები იმდენია, რომ ვერ აუხვალო.

ქაღალდი სად გაქრა მეთქი. სადაო და მოსკოვმა 4 ქაღალდის ფაბრიკიდან 3 დაკეტა, რომ ჟურნალ-გაზეთების გამოცემა შემცირდეს და ბევრისა – შეწყდესო.

მაშ ასე, ერთი მხრივ "პრესის თავისუფლება", მეორე მხრივ ქაღალდი არ არის. რა თავში იხლი პრესის თავისუფლებას?

3,4,5,6/I 91

ვწერ წიგნს „მინაწერები სატელეფონო ცნობარზე".

ზაურ ბოლქვაძეზე, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეებზე, ანზ. აბულაშვილზე, შოთა ნიშნიანიძეზე, რაულ ჩილაჩავაზე უკვე დავწერე.

ვიცი, მტრებს გამიმრავლებს, მაგრამ ვერ შევძელი, არ დამეწერა.

ოსები კვლავ დაესხნენ (4, I 91) თავს ჩვენს მილიციას.

ჩვენ კვლავ მიმტევებლობით ვპასუხობთ.

ხვალ შობაა! 7.

7-10/I 91

გორბაჩოვმა ბრძანებით, იმპერიული მედიდურობით გაგვიუქმა ჩვენი უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება ყოფილი სამხრეთ ოსეთის შესახებ და საქართველოსკენ დაძრა სადესანტო ჯარები.

იმ წუთშივე დავწერე საზოგადოება „თვისტომის" მიმართვა – „მოვუწოდებთ ქართველ ერს!" უკვე დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაში".

9 იანვარს ტელევიზიაში ჩამწერეს – საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობისკენ მოვუწოდე. დავგმე გორბაჩოვის ანტიდემოკრატიული, დაპყრობითი პოლიტიკა, მაგრამ ეთერში არ გადასცეს. შეეშინდათ, ხალხი ამხედრდება და სისხლი დაიღვრებაო.

ზვიადმა სესია ჩაატარა და თავისი გადაწყვეტილება ოსეთზე ძალაში დატოვა.

სესიაზევე ითქვა, რომ ინტელიგენცია დუმსო.

რა დუმილია, როცა ორჯერ ჩამწერეს და არ გადასცეს.

ვიღაცის ტრადიციულ, ბოლშევიკური გონება მაინც მართავს ჩვენს ტელევიზიას.

11-14/I 91

გუშინ (10) გადასცეს ტელევიზიით ჩემი ჩანაწერი ეროვნულ დაუმორჩილებლობაზე. ბევრმა დამირეკა.

ნოდარ ადეიშვილმა, ტელევიზიით ჯერ მწერლის ასეთი მომწოდებლური და ვაჟკაცური გამოსვლა არ მომისმენიაო.

შაბათს 13-ში,მთავრობის სასახლის წინ შეკრებილებთან მივედი. შემომეხვივნენ: ბატონო რეზო, რა გვეშველებაო.

რა გვეშველება და იარაღი უნდა ავისხათ. რა გინდა ახლა აქ. ჩვენ თოფით უნდა გამოვგლიჯოთ ოსებს სამაჩაბლო-მეთქი.

ტაში დამიკრეს.

ორშაბათს მინდა წასვლა ოსეთში, თუ ათამდე კაცი მაინც ავიყოლიე.

ერთხელ დაბადებული ერთხელ უნდა მოკვდეს.

ჩვენ თუ მამულისთვის თავგანწირვის გრძნობა არ დავიბრუნეთ და სიკვდილის შიში არ დავძლიეთ, არაფერი გვიშველის.

11 იანვარს ოსები კვლავ დაესხნენ თავს ქართულ მილიციას. 3 მილიციელი მოგვიკლეს.

„ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის“.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე მიტინგებია. ერთხმად გმობს საქართველო გორბაჩოვის 7 იანვრის „საშობაო საჩუქარს“.

ამ დილით (14) რადიომ გადმოსცა, ლიტვაში სისხლისღვრის შესახებ. ტანკებით შევიდა რუსის ჯარი ლიტვაში პრეზიდენტის ბრძანებით.

გორბაჩოვმა საბოლოოდ ჩამოიგლიჯა დემოკრატის ნიღაბი და თავისი ნამდვილი სახით – ჯალათი დიქტატორის სახით წარუდგა მსოფლიოს.

14-ში საღამოს თიანეთიდან ფარნა მოსიაშვილი მოვიდა.

თიანეთში სახალხო ლაშქარს ვაგროვებთ ოსეთში წასასვლელად. თქვენ რა აზრის ხართო.

თქვენს შორის ჩავდგები და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებ-მეთქი.

გახარებული წავიდა.

15-20/I 91

16 იანვარს მიხეილ ქვლივიძის შემოქმედებითი საღამო ჩატარდა „ცოდნის“ დარბაზში.

საღამოს მე ვუწინამძღვრე.

მიშა ძალიან კმაყოფილი დარჩა. საერთოდ მიშა უაღრესად კეთილშობილი კაცია, ნამდვილი პოეტი.

მთელი გატაცებით ვწერ წიგნს „სატელეფონო წიგნზე მინაწერები“. მინდა ყველა ცოცხალი ქართველ მწერალზე მოვასწრო ჩემი აზრის თქმა.

ტელევიზიამ და რადიომ გადმოსცა „თვისტომის“ მიმართვა ჩრდილო ოსეთში მცხოვრებ ქართველთადმი და აქაური ოსების მიმართ – ურთიერთგაცვლის თაობაზე.

ხვალ 2 საათზე „ლიმილი“ სტამბას უნდა ჩავაბარო.

ვესაუბრე მამუკა ფაჩუაშვილს, წერილზე „დივერსია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ“, არა ხართ-მეთქი მართალი, არ შეიძლება ამგვარი წერილების გამოქვეყნება, რატომ კრავთ ხელს ინტელიგენციას-მეთქი.

21-26/I 91

გორბაჩოვმა ერთხელ კიდევ დასცინა ქვეყანას.

24 იანვარს გამოსცა დადგენილება საბანკო ოპერაციებზე. ეს არის ფაქტიურად ქონების კონფისკაცია და იმპერიის ყველა მოქალაქის ყაჩაღად გამოცხადება.

100 და 50 მანეთიანების გადასახურდავებლად რომ მოიტანენო, სადისტურად განაცხადა პრემიერმა პავლოვმა, ვკითხავთ, სად იშოვეთ ეს ფულიო.

წარმოგიდგენიათ ასეთი დაცინვა?

ბანკიდან თვეში მხოლოდ 500 მანეთის გამოტანა შეიძლება. რომ გაგიჭირდეს რამე, დასამარხი ფული უნდა ისესხო.

26 იანვრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემთან ვრცელი ინტერვიუა საქართველოს დღევანდელ ვითარებაზე.

27,28/I 91

დღეს გორბაჩოვმა გამოაცხადა, რომ 1 თებერვლიდან სსრკ-ს ყველა დედაქალაქში შევა ჯარი და დაიწყება პატრულირება.

ეს ფაქტიურად დიქტატურის ტრიუმფია!

ესეც შენი გორბაჩოვი. პერესტროიკის ავტორი პირსისხლიან ტირანად იქცა.

დღეს შევხვდი შვეციის სათვისტომოს თავმჯდომარის (თავ-რე გიგა თევზაძე) მოადგილეს მარინა აქსელს (ცხონდიას). ჩამოვაწერინე, რა უნდა გააკეთოს საქართველო-შვეციის ურთიერთობისთვის.

29–31/I 91

სასტუმრო „აფხაზეთში“ ვესაუბრე სამაჩაბლოდან ლტოლვილ ქართველებს. დამფრთხალ-დაშინებული კაცები გინახავთ? საშინელი სანახავია. ქალები და ბავშვები რომ გამოარიდეთ, გასაგებია, მაგრამ თქვენ რატომ იქ არა ხართ, ნუთუ სისხლით მოპოვებული სამაჩაბლო უნდა დავთმოთ-მეთქი. იარაღი არა გვაქვს და სიკვდილის გვეშინიაო.

ქართული სკოლა რომ დაგიწვეს ოსებმა, თქვენ რატომღა არ დაწვით მათი სკოლები, ამას რა იარაღი უნდოდა – ნავთი და ასანთი-მეთქი. გაჩუმდნენ. მოვუწოდე დაბრუნდნენ და იბრძოლონ. მე თვით გაგიძღვებით-მეთქი. არა, თქვენი სიკვდილიც არ გვინდაო, „მხედრიონმა“ უნდა იბრძოლოსო.

„მხედრიონმა“ 30/I-ს გამოაცხადა ერაყში გაგვიშვით საბრძოლველად ამერიკის დასახმარებლადო.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ კვლავ მოუწოდა „თვისტომმა“ ლტოლვილთ დაბრუნდნენ სამაჩაბლოში, ხოლო ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებმა ქართველებმა გაუცვალონ სახლები აქაურ ოსებს და დაბრუნდნენ სამშობლოში.

ზვიადმა საქართველოს დაყოფა „საპრეფექტოებად“ გადაწყვიტა. არ მომწონს პრეფექტი. ნუთუ ქართული „სადროშო“, „საერისთავო“, “საბჭო“, „საგამგებლო“, „საკრებულო“ არ ვარგა?

1-7/II 91

ვამზადებდი კონფერენციას „საქართველოს თანამედროვე ვითარება“.

„თვისტომის“ კონფერენცია 7 თებერვალს ჩავატარე. სამი მოხსენება იყო:

საქართველოს საგარეო ვითარება – ლევან ალექსიძე.

ადგილობრივი მმართველობის კანონი – ზაურ ჯინჯოლავა.

სამაჩაბლოს საკითხი – ვალერიან გოგოლაშვილი.

ჩემს შესავალ და შემაჯამებელ სიტყვაში, ცოტა არ იყოს, მოვცხე გამსახურდიას: ა) კამათის ეთიკის დარღვევის საკითხი, ბ) პრეფექტურის კანონის მექანიკურად გადმოღების გამო, დ) სამაჩაბლოდან ქართული მილიციის გამოყვანის გამო.

მივიღეთ მიმართვები და რეზოლუციები. ვნახოთ თუ დაბეჭდეს გაზეთებმა.

დავიწყე ორი ნოველა: „ოინი“ (სიუჟეტი ჩემმა ცოლმა ნათელამ მომაწოდა. სხვათა შორის, ცოლის ქება აუგია, მაგრამ უნდა ვაღიარო მკვირცხლი გონების და მაღალი გემოვნების, ჭკვიანი ქალია), „იერუსალიმი-თბილისი“ – ეს ნოველა ებრაელებს მივუძღვენი.

მეტი რა მექნა ამ ერთ კვირაში.

8-14/II 91

11 თებერვალს ზვიადს ვეახელ.

დიდხანს ვილაპარაკეთ. თბილად შემხვდა.

შენ, რომც აღარაფერი გააკეთო დღეიდან, მარტო იმით ხარ უკვდავი, რომ საქართველოში კომუნისტური წყობა დაამხვე-მეთქი.

მერე, მე უფლება მაქვს ნაკლზეც გითხრა-მეთქი ორიოდ სიტყვა. სამი ნაკლი ჩამოვუთვალე, სამი შეცდომა. 1) ნუ გადაცდები ეთიკის ნორმებს კამათის დროს. 2) ოსეთიდან მილიცია არ უნდა გამოგეყვანა, 3) „პრეფექტი“ დემოკრატიის პრინციპებს არ ეთანხმება. პირველი და მესამე შენიშვნა მიიღო, ვიფიქრებო, მეორეზე თქვა, ჩვენ სხვა გზა არ გვქონდაო. რუსმა ულტიმატუმი წაგვიყენაო.

დიდხანს ვილაპარაკეთ. დაღონებული, გაფითრებული მეჩვენა. მინდოდა დამოუკიდებლობამდე მიმეყვანა ქვეყანა, მაგრამ როგორც ჩანს, არ დამცალდებაო.

თვალში ცრემლი ედგა.

რუსები არ დათმობენო საქართველოს.

12-ში „თბილისმა“ კარგად დაბეჭდა „თვისტომის“ კონფერენცია.

სხვა დღეებში შრომა, წვალება, ბრძოლა.

„ღიმილის“ რეგისტრაციაში გატარებას ზოგი ფუნქციონერი გადაეღობა, მაგრამ ზვიადის დახმარებით ყველაფერი მოგვარდა.

15-20/II 91

18 თებერვალს, ღამით, შავნაბადაზე რუსის ჯარი თავს დაესხა იქ განლაგებულ „მხედრიონს“. დაიჭრა 4 რუსი და 2 ქართველი, დააპატიმრეს 20 კაცი.

ია მუხრანელი დანიშნეს „ზარიას“ („ვესტნიკ გურზიი“) რედაქტორად. მივედი „ღიმილისთვის“ – ერთი ოთახი ვთხოვე. უარი მტკიცა.

21-25/II 91

დაიჭირეს ჯაბა იოსელიანი და „მხედრიონის“ წევრთა დიდი ნაწილი.

„მხედრიონი“ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ემზადებოდაო.

არ მომწონს ეს ამბები.

საერთოდ, რეპრესიები ზვიადს არ ეკადრება.

იქნებ ვცდები? იქნებ ეს „ღონისძიებანი“ აუცილებლად საჭირო იყო?

დაველოდოთ „ხვალეს“.

უნივერსიტეტში დიდი მიტინგი ჩატარდა ზვიადის წინააღმდეგ.

მოითხოვდნენ ჯ. იოსელიანის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. თ. ქორიძე კინაღამ „განიწკნეს“ ქალებმა.

უსიამოვნო ხასიათზე დავდექი.

ვაპირებდი გამოსვლას ზვიადის პოლიტიკის დასაცავად, მაგრამ იმ წკმუტუნ-გნიასში სიტყვის თქმას აზრი აღარ ჰქონდა.

26/II – 4/III 91 წ.

გაზეთ „ულუმბოში“ დაბეჭდილია რედაქტორის – გიორგი ლეონიძის ინტერვიუ ჩემთან (28, II) – „ნუთუ ყველაზე გულჩვილნი ჩვენ უნდა აღმოვჩნდეთ?“

ცოტა არ იყოს, ცხარე ინტერვიუა – ვსაყვედურობ მილიციას, რომელმაც ვერ დაიცვა სამაჩაბლო, ვსაყვედურობ სამაჩაბლოელ ქართველ ლტოლვილებს – კურდღლებივით რომ გამოიქცნენ, ვსაყვედურობ მთელს ქართველ ერს – რომელშიც კომუნისტურ წყობას ურთიერთმიშველების, სამშობლოს დაცვის ნიჭი ჩაუკლავს.

„კაბადონიდან“ მაცნობეს, გ. ყორანაშვილს ძალიან ემცხეთა თურმე ჩემი პასუხი. დამცინისო, პასუხი უნდა დამიბეჭდოთო, გაზეთის რედაქციაში მივარდნილა.

ერაყში ომი დასრულდა.

5,6,7/III 91

6-ში ზვიად გამსახურდიამ გვიხმო მწერლები: შ. ნიშნიანიძე, მ. ლებანიძე, გ. გაჩეჩილაძე, გ. გვერდწითელი, მ. ხეთაგური, ი. ბოგომოლოვი და მე. გვთხოვა, მოსკოვში ჩაბრძანდით და იქაურებს სიმართლე უამბეთ საქართველოზეო. დელეგაციის ხელმძღვანელობა მე დამავალა. 8–ში უნდა გავფრინდეთ.

8/III – 13/III 91

მოსკოვში ვართ.

მურმან ლებანიძე და შოთა ნიშნიანიძე 20 წელია ხმას რომ არ სცემდნენ ერთმანეთს. გზაშივე შევარიგე.

ჩავედით. ჩვენს წარმომადგენლობაში ოსები დაგვხვდნენ პლაკატებით – „ქართველი ჩვენი კეთილი ძმა და მასპინძელია“ „დამნაშავეა კრემლი!“

შევხვდით მოშიმშილეებს – ვალტერ შურღაიას, გია თასოევს და ეთერ შუკვანს.

მოსკოვი, ჩვენს მიმართ დაყრუვდაო, ვ. შურღაიამ. თქვენ, მწერლები თუ გვიშველითო.

ჩვენც მაშინვე ჩავერთეთ.

დავურეკეთ მწერლებს, მოვედეთ რედაქციებს. მივედით ტელევიზიაში – განცხადებით: სანამ გაგრძელდება საქართველოზე ცილისწამებანი?

პირველი საღამო 8-შივე იმ საღამოსვე გავმართეთ საკრებულოში.

ყველანი გამოვედით.

მეორე, დიდი შეხვედრა საქართველოს კულტურის ცენტრ „მზიურში“ გავმართეთ 11 მარტს 5 საათზე.

უამრავი ხალხი მოვიდა – მწერლები, ჟურნალისტები, უცხოეთის კორესპონდენტები, უბრალოდ მოქალაქენი.

შესავალი სიტყვები მღელვარებით ვთქვი.

მერე დავწყნარდი.

პირველი სიტყვა მ. ლებანიძეს მივეცი.

მერე შოთა ნიშნიანიძე,

გოგი გაჩეჩილაძე,

გურამ გვერდწითელი,

მზია ხეთაგური,

იგორ ბოგომოლოვი...

დიდი კამათი გაიმართა.

გამოდიან ვლადიმირ სოლოუხინი,

ვლადიმირ ვოინა,
ვლადიმირ ლეონოვიჩი,
იან გოლცმანი,
ელიზბარ ანანიაშვილი,
კარგად ჩატარდა.
მე მგონი, გავარღვიეთ ინფორმაციული ბლოკადა.
მოვაქციეთ ხალხი ჩვენი სიმართლისკენ.
ბრალი დავდეთ იმპერიას.
მესამე შეხვედრა 12-ში – მოსკოველ ოსებს შევხვდით, იმავე დღეს მწერალთა კავშირში დიდი თათბირი გავმართეთ რუს მწერლებთან.
შესავალ სიტყვაში გაოცება გამოვთქვი – რატომ სდუმს-მეთქი რუსული მწერლობა.
აკი ასე განებივრებული ვიყავით-მეთქი თქვენი ყურადღებით.
მეორე შეხვედრაზე ნოდარ ნათაძე გვახლდა.
ოსეთის საკითხზე ითხოვა და მივეცი სიტყვა. ყოველ დილით და საღამოს ველაპარაკები ზვიადს ტელეფონით. ძალიან ღელავს, ძალიან ნერვიულობს. ვამშვიდებ – ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი.
მე მგონი შევასრულეთ ჩვენი ეროვნული ვალი.
13-ში გამოვფრინდით შოთა, გოგი და მე. მურმანი და გურამ გვერდწითელი დარჩნენ რაღაცა საქმეებზე.
დამავიწყდა. ზვიადმა ტელეფონში მითხრა, მანდ ნ. ნათაძეა და სიტყვა არ მისცეო (?!), ნოდარს მაინც მივეცი სიტყვა.
12-ში მოსკოვში მუხრანი ჩამოვიდა. ჩაის ვსვამდით სასტუმროში მე, შოთა ნიშნიანიძე და მურმან ლებანიძე. დაგვადგა თავზე უსალმოდ, რას მერჩი, კაცო შენო, პირდაპირ მომმართა, ვხედავ ჩემს ადგილზე გნიშნავს ზვიადი, ჩამოდი და დაჯექი ბარემო. რაზე ატყობ-მეთქი, გამეცინა, რაღა შენ დაგნიშნა დელეგაციის ხელმძღვანელადო. გავვოგნდი.

14/III – 22/III 91

ტელევიზიაში, გაზეთებში არ წყდება საუბრები მოსკოვურ შეხვედრებზე.
მეგონა, ჩემს რუსულზე გაიღიმებდა თბილისი, პირიქით, ყველამ მითხრა, რა დიდი საქმე გააკეთეთო.
გუშინ, 20-ში ვესწრებოდი სესიას. ზვიადმა მოსაწვევი ბარათი გამომიგზავნა.
რაღაც კანონების შელამაზებაზე იყო ლაპარაკი.
გავბრაზდი და ამირან კალაძეს ვუთხარი – როგორ გეკადრებათ ასეთი რამ, თქვენი სესია იმ ოთხი ქართველი ახალგაზრდის დაწვის ამბით უნდა დაწყებულიყო-მეთქი.
საშინელი, ვანდალური, კანიბალური ამბავი მოხდა.
ეს ჰიტლერსაც კი არ ჩაუდენია.
გაიქცა ამირანი და განცხადება გააკეთა.
სესია თითქოს გამოერკვა.
21-ში „საქართველოს რესპუბლიკამ“ და „ვესტნიკ გრუზიიმ“ დაბეჭდეს ჩემთან ინტერვიუები.

მთელი დღე უნივერსიტეტში ვქაქანებდი, ვყვიროდი, ვბღაოდი: წავიდეთ, ვიძიოთ შური ოთხ დამწვარ ქართველზე-მეთქი. გაგიგონია?

კამეჩებივით დაიზლაზნებოდნენ სტუდენტებიც და ჩემი კოლეგა ლექტორებიც.

23/III-31/III – 1,2/IV 91

მთელი კვირა რეფერენდუმის მზადების ნიშნით ჩატარდა.

ელცინი და გამსახურდია ყაზბეგში შეხვდნენ ერთმანეთს.

მეორე დღესვე ამის შესახებ მთელი იმპერია ალაპარაკდა.

ხელშეკრულებაში სწერია: „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.

ამან გააცოფა რსფსრ-ს პარტიული დეპუტაცია და აი შედეგიც.

რსფსრ-მ 31-ში მიიღო რეზოლუცია ოსეთის ავტონომიის აღდგენის შესახებ.

ვინ კითხავდა რსფსრ-ს.

ელცინმა გაგვყიდა. ამბობენ ზვიადი რომ არ შეეგება, ამაზედაც გაბრაზდაო.

ასეა თუ ისე; გორბაჩოვს ხელ-ფეხი გაეხსნა.

მანაც არ დააყოვნა და 1 აპრილს მიიღო დადგენილება სამაჩაბლოში საგანგებო წესების შემოღების შესახებ.

ეს იმას ნიშნავს, რომ „ოსეთი“ (?!) სამაჩაბლო – ჩვენი მიწა დავკარგეთ.

გაგიჟებული დავდივარ ქუჩებში.

კიდევ ერთხელ იზეიმა უნამუსობამ.

ვაი, მცირერიცხოვანი ერის ბრალი.

დღეს ოთარ იოსელიანმა დამირეკა გაზეთ „ცხოვრების“ რედაქტორად დამნიშნესო.

მივედი, მივულოცე, სხვათა შორის ვკითხე: შენ ხომ ვერ მომცემ-მეთქი ერთ ოთახს – „ღიმილისთვის?“

დიდი სიამოვნებითო.

მაშ ასე „ღიმილის“ რედაქციის ოთახიც ვიშოვე.

3,4/IV 91

ზვიადის მდივანმა ლალი მაისურაძემ დამირეკა, ზვიადი გიხმობსო. მივედი. სამი საათი მაცდევინა. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. ბოლოს მოიღო მოწყალება, შევედი. ფეხზე არ წამოდგა. მეგონა, მადლობის სათქმელად დამიბარა მოსკოვის ეპოპეის გამო.

შე კაი კაცო, თუ გძულდი, რატომ დამთანხმდი დელეგაციის ხელმძღვანელობაზეო, მაჯახა. ვინ გითხრათ-მეთქი. მოსკოვში მუხრანისთვის გითქვამს – რას მეტენება ეს ზვიად გამსახურდიაო. არ მინდოდა მოსკოვში წამოსვლაო. სიცრუეა-მეთქი.

მუხრანი ტყუილს არ მეტყოდაო. გავშრი. ეგ ყველაფერი მუხრანის სინდისზე იყოს-მეთქი და გამოვედი.

4 აპრილს გორბაჩოვის განკარგულებით სამაჩაბლოში რუსის ჯარი შევიდა.

ეს თითქმის ისეთივე დაპყრობა, ანექსიაა საქართველოსი, როგორიც იყო საქართველოს 1921 წლის 25 თებერვლის ანექსია.

რას ვიზამთ, დაპყრობილი ვართ ჩვენ უკვე თითქმის ორასი წელია.

მაინც რაღაც გამოგვაპარა, რაღაც დავაკელით სამაჩაბლოს პრობლემას. რა დავაკელით თქვენ ჩემზე უკეთ იცით:

არ გვაცალა რეფერენდუმის ბრწყინვალე შედეგების რეალიზება მოსკოვმა.

როგორ „ვყვარებივართ“ რუსეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს. რა ერთსულოვნად მიიღეს დადგენილება – საქართველოს ანექსიაზე. რაღაც დავაკელით-მეთქი.

ჩვენც როცა ასე ენერგიულები ვართ ერთმანეთის მიმართ ქიშპობაში, ლამის გულგრილნი აღმოვჩნდეთ ველურების მიერ ოთხი ქართველის დაწვის ფაქტის მიმართ.

ესე იგი, რაღაც გვაკლია. ესე იგი ჩვენი პასუხისმგებლობა ერისა და ისტორიის წინაშე ჯერ კიდევ შეგნებული არა გვაქვს. ესე იგი ჯერ კიდევ შორ-შორს დევს ჩვენ არსებაში ფინთიხი და მუგუზალი.

რა უნდა გავაკეთოთ?

კრემლის აგრესიას ენერგიული პროტესტი, გამოსვლები, მიტინგები საყოველთაო ზიზღი უნდა დავუპირისპიროთ.

დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდნენ ქართველი ლტოლვილები თავიანთ მშობლიურ მიწაზე.

მიწის არც ერთი მტკაველი უბრძოლველად არ უნდა დავთმოთ.

და ბოლოს ჩვენს უზენაესს საბჭოს მოვუწოდოთ, რა სასტიკადაც უნდა მოგვექცნენ და რა დიდიც უნდა იყოს კრემლის დაწოლა, არ დავუშვათ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის აღდგენა.

დღეს 4 აპრილს ტელევიზიით გამოვედი და მოვუწოდე ქართველ ხალხს: არ დავთმოთ-მეთქი არც ერთი მტკაველი ჩვენი მიწისა.

5-8/IV 91

წითელი პარასკევი! აღდგომა!

უკეთილშობილესი რელიგიის – ქრისტიანობის ულამაზესი დღესასწაული.

რა ბრძენი და დიადი, რა გაუხუნარია ქრისტე თავისი ცხოვრებითა და წამებით. როგორ სჭირდება იგი დღეს ამ არეულ კაცობრიობას სათნოებისა და უნაპირო სიკეთის ქადაგებით.

„გიყვარდეთ მტერი თქვენნი“.

ახლა ჩვენი უბედურება?

არის მითქმა-მოთქმა და მიტინგები: ზვიადმა სამაჩაბლო დაგვაკარგვინა და უნდა გადადგესო.

რასაკვირველია, სამაჩაბლო ზვიადის შეცდომაა, მაგრამ გადადგომის მოთხოვნა სისულელეა.

ახლა ალბათ, სამაჩაბლოს არდაკარგვის ერთადერთი გზაა სამაჩაბლოში დასახლდეს, რაც შეიძლება მეტი ქართველი. ლტოლვილებიც დაბრუნდნენ და სხვებიც დაემატნონ.

დავურეკავ და ვეტყვი ზვიადს, მაგრამ დამიჯერებს?

ტელევიზიამ „ღიმილის წუთები“ შემოიღო. რა მეღიმება, მაგრამ გიგა მახვილაძეს უარი ვერ ვუთხარი. ჩამწერეს. იუმორის და სატირის მახვილითაც უნდა ვიბრძოლოთ-მეთქი დამოუკიდებლობისთვის.

9 აპრილი, 1991

დღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

მწერლებიდან არადეპუტატი მხოლოდ მე ვიყავი მიწვეული სესიაზე.

ენით არ გადმოიცემა, რაც დარბაზში სუფევდა.

ვტიროდით და ვეხვეოდით ერთმანეთს.

ბედნიერი ვარ, რომ ამ დღის მომსწრე და მონაწილე ვარ.

აწი თუნდ მოვკვდე, აღარ ვინაღვლი.

ხვალიდან დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქე ვარ.

მოვკვდები, როგორც თავისუფალი საქართველოს მოქალაქე?

შეგვარჩენს მძვინვარე რუსეთი ამ ნაბიჯს?

10-13/IV 91

იმპერიამ მაშინვე გვიპასუხა – თავისუფლების ქარტიაზე.

შემოიყვანა ჯარები სამაჩაბლოში.

გაგრიდან თბილისისკენ მოემართებიან ტანკები.

ერთი ქვედანაყოფი სამაჩაბლოდან თბილისიკენ მოდის.

გაიფიცა რკინიგზა და ნავსადგურები.

ჩრდილოეთიდან მატარებლები ვერ შემოვლენ, სანამ მოსკოვი არ გაიყვანს სამაჩაბლოდან ჯარებს, გამოაცხადა ზვიადის პრესცენტრმა.

„ვრემია“ კვლავ გამაღიზიანებლად ლაპარაკობს ქართველი „ბაევიკების“ აგრესიაზე მშვიდობიანი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ მიმართ.

საქართველოს რესპუბლიკას მძიმე დღეები უდგას.

არც ერთი ნაბიჯით უკანდახევა!

ვიბრძოლებ თოფით ხელში დამოუკიდებელი საქართველოს დასაცავად.

11 აპრილს „თბილისში“ გამოვაქვეყნე ჩემი დამოკიდებულება დამოუკიდებლობის აღდგენის მიმართ სათაურით – „ახლა მთავარია“.

მსოფლიო ისევ სდუმს. საქართველოს დარბევა მსოფლიოს არ ანაღვლებს.

დღეს (13) „თავისუფლებამ“ ორი სიტყვით თქვა საქართველო გაიფიცა რუსის ჯარის სამაჩაბლოდან გაყვანის მოთხოვნითო.

ერაყიდან გამოყრილ ქურთებს მთელი მსოფლიო ეხმარება. საქართველოს არავინ.

14, 15/IV 91

ზვიადი 14 აპრილს საქართველოს პრეზიდენტად დავასახელეთ.

ამაში მე ვერ ვხედავ ამბიციურობას (როგორც სხვები ამბობენ).

პრეზიდენტობა ჩვენს პოლიტიკას უფრო დამაჯერებელს გახდის.

მსოფლიო უფრო მოუსმენს პრეზიდენტს, ვიდრე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს.

16-25/IV 91

ყელამდე ჩაფლული ვარ საქმეებში.

უამრავი მთხოვნელი მოდის „თვისტომში“. რაც შემიძლია, ვეხმარები. ზოგნი მიდიან თბილისიდან, ბრუნდებიან ქართველები.

17 აპრილს ანა კალანდაძის საიუბილეო საღამოს (60 წ.) ვუწინამძღვრე.

თვით ანამ ისურვა ასე.

24-ში მცხეთაში, წინამძღვრიანთ კარის სასწავლებელში მქონდა შეხვედრა. ძალიან საინტერესოდ წარიმართა.

დირექტორი – გივი ბადრიშვილი კარგი კაცი ჩანს.

26/IV-30/IV 91

პრეზიდენტის არჩევნები ახლოვდება. ბარე 9 კაცმა წამოაყენა კანდიდატურა.

მე, რა თქმა უნდა, ზვიადს მივცემ ხმას.

29 აპრილს მთელს საქართველოში საშინელი მიწისძვრა იყო.

განსაკუთრებით რაჭა დაინგრა, საჩხერეც! ესღა გვაკლდა.

27 აპრილს ზვიადმა მიხმო. მიდი მუხრანთან და გადაეცი, მინდა გამოჩენილმა მწერლებმა დამიჭირონ მხარი პრეზიდენტად არჩევაშიო, შენ გაუკეთე ორგანიზებაო. მივედი მუხრანთან, რატომ თვითონ არ დამირეკაო, ეწყინა. ალბას სატელეფონოდ არ მიიჩნია-მეთქი. დაწერე ტექსტიო, მთხოვა. დავწერე. ამას ფანჯიკიძე არ მოაწერსო. შევედი ფანჯიკიძესთან – მოაწერა. ახლა სხვებს მოაწერინეო. ჯერ შენ მოაწერე, შენს ხელმოწერას რომ დაინახავენ, სხვებიც მოაწერენ-მეთქი, არაო, მე ბოლოს მოვაწერო. მოვაწერინე შოთას, მურმანს... დილით „საქართველოს რესპუბლიკაში“ მხოლოდ მუხრანის ხელმოწერით დაიბეჭდა. საღამოს მანანა მირეკავს, რატომ სხვებმაც არ მოაწერესო...(?!) ყველამ მოაწერა-მეთქი. გაუკვირდა.

1/V-6/V 91

დავდივარ მეცნიერებთან, სამხედროებთან, გეოლოგებთან... ვეკითხები: შეიძლება თუ არა ტექნიკურად მიწისძვრის ხელოვნურად გამოწვევა. სსრკ-ს აქვს თუ არა ამის შესაძლებლობა. ზოგი ორჭოფულად იძლევა პასუხს, ზოგი თავს მიქნევს. თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, კრემლი არ დაგვინდობდა.

რა ვიცი, ღმერთო შეგცოდე. გორბაჩოვი ისეთი ვერაგია, საქართველოს არ დაინდობდა.

3,4 მაისის გაზეთებში „თვისტომის“ სახელით მივმართე საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველებს, გააგებინეთ მთელ მსოფლიოს ჩვენი გასაჭირი და დაგვეხმარეთ-მეთქი.

4,5 მაისს საჩხერეში გავემგზავრეთ მე და იორამ ქემერტელიძე – „ცისკრის“ რედაქტორი. ჩემი დეიდაშვილი.

შევხვდით სახლდანგრეულ ხალხს.

გავამხნევეთ, მივეფერეთ.

რაც საშუალება მქონდა ფულითაც წავაშველე ხელი ზოგიერთ მათგანს.

ხალხი შიშისგან გაოგნებულია. სახლში ვეღარ შედიან შიშით.

დავამშვიდე; მეტი აღარ იქნება-მეთქი.

რომ იქნეს?

7/V-12/V 91

ავად ვარ, ვწევარ.

მუხლის მყესის ანთება მაქვს. საჩხერეში ყოფნის დროს ნანგრევში ჩამივარდა ფეხი, უხერხულად შემოვტრიალდი და მუხლი დავიზიანე.

სამი დღე ვერ ვინძრეოდი, ახლა არა მიშავს.

მსოფლიო უღიმღამოდ გვეხმარება.

ჩანს, სომხეთი უნდა იყო, გასაჭირში (სპიტაკი) რომ მთელმა მსოფლიომ ხელი გამოგიწოდოს.

ემიგრაცია არ გვყავს და იმიტომ.

საქართველოში საპრეზიდენტო დოღია გამართული.

ზვიადს ლანძღავენ ნათაძე, ადვაძე, შენგელაია (კანდიდატები) და რომან მიმინოშვილი.

ყველა ამბობს, რა არ ვარგა, მაგრამ უკეთეს, რეალურ გზას არავინ გვთავაზობს.

მეც ვხედავ, რომ ოსეთის საკითხში ზვიადმა შეცდომა დაუშვა, მაგრამ ნუთუ ყელში უნდა ვეცეთ საქართველოს თავშეწირულ კაცს ამის გამო?

არ მომეწონა, რომ მიწისძვრის მესამე დღესვე, ზვიადმა გაფიცვა და ეროვნული დაუმორჩილებლობა შეწყვიტა.

ბევრი ამბობს, მიწისძვრა კრემლის მოწყობილიაო.

13/V-17/V 91

საპრეზიდენტო მარათონი აპოგეას აღწევს.

ზვიადის წინააღმდეგ გაერთიანდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები.

შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან.

ერთნი ამბობენ ბაჟით გავმდიდრდებითო, მეორენი საქართველო პატარ-პატარა საერისთავოებად (კუთხეების მიხედვით) დავყოთო, მესამენი – მიწა თათრებსა და სომხებს სამუდამო საკუთრებაში დავურიგოთო, მეოთხენი – რუსებს ნუ გამოვეყოფითო.

ამასწინათ მილიციამ ამხილა ერთი შემზარავი ფაქტი. ადვაძეს მოსკოვიდან 4 „კაგებეშნიკი“ ჩამოუყვანია თავის პირად დაცვად.

ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატმა მოსკოვთან ალიანსი შეკრა.

ადვაძეს კარგად ვიცნობ. განათლებული ინტელიგენტია.

თუ მართალია, რასაც მის დაცვაზე ამბობენ, ასეთ ნაბიჯს ადვაძისგან არ ველოდი.

18/V-24/V 91

21 მაისს რადიოთი გამოვედი და ვთქვი – ერთი რამ ვერ გამიგია, რატომ მოხდა, რომ ოთხივე პრეზიდენტობის კანდიდატმა პირი შეჰკრა-მეთქი ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. მ. გორბაჩოვმა 6 წელიწადში ქვეყანა ეკონომიკურად გაანადგურა, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი სიმპათიით უცქერის, ხოლო 6 თვეში უვალუტო გამსახურდია რა ხეირს დაგვაყრიდა-მეთქი. ჯერ ხომ ჩვენ, ფაქტიურად, სახელმწიფო არც კი ვართ-მეთქი.

ჩამწერეს ტელესტუდიაშიც, მაგრამ რატომღაც არ გადასცეს. ჩანს, რედაქტორმა მ. ჩომახიძემ იაქტიურა (ჩაწერის დროსაც შემნიშნა), რაკიღა მე ზვიადზეც ვთქვი პაწაწკინტელა შენიშვნა – თვითონაც მოზომოს-მეთქი ეპითეტები.

თანდათან ვრწმუნდები, რომ ზვიადი განდიდების მანიითაა შეპყრობილი. ოდნავ შენიშვნასაც ვერ იტანს, ღიზიანდება.

22 მაისს ვიყავი მასთან კაბინეტში. ვესაუბრე. ნუ აღიზიანებ ხალხს შემართული მუშტით, არც ისაა კარგი, რომ მშვილდ-ისრის სროლაშიც პირველი ადგილი მიგაღებინეს და პრიზი მოგცეს. დაანებე თავი მაო-ძედუნობას და სტალინობას-მეთქი. ცალ ყურში შეუშვა ჩემი ნათქვამი და მეორეში გამოუშვა.

ზვიადი მიყვარს და არ მინდა დამარცხდეს.

შენაო, ჩემს მტერს – ნათაძეს რატომ მიეცი სიტყვა პრესკონფერენციაზე მოსკოვშიო. ხომ იცი რომ ის ავადმყოფია, შიზოფრენიკიაო.

შენი დეპუტატი ეგ არის და მე საერთოდ არც ერთი თქვენგანის საავადმყოფო ფურცელში არ ჩამიხედავს-მეთქი. სიბრაზისგან სახე მოემგელა. უკან არ დავიხიე. არ მომწონს რადიო-ტელევიზიაში წამდაუწუმ შენს ლექსებს რომ კითხულობენ. გალაკტიონობასაც ნუ შეითავსებ, გაგიჭირდებამეთქი, კარგად ჩახედე ჩემს ლექსებს და მერე იმ შენს საყვარელ გალაკტიონსო – თვალმოჭუტვით, ზიზღით მითხრა. ერიჰაა!

25/V-27/V 91

24-ში გვიან ღამით გადასცეს ჩემი გამოსვლა ტელევიზიით. მხარი დავუჭირე ზვიადს.

დღეს (27) გამოაცხადებენ კენჭისყრის შედეგებს.

წუხელის ეროვნულ სტადიონზე ქართული გვარდიის აღლუმი იყო.

ცრემლი მომადგა. მოცუხცუხებდნენ უიარაღო ქართველი ჯარისკაცები, ეროვნული გვარდიის ორასიოდე წევრი. რა შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო ამაღელვებელი.

ვიღაცამ დაუსტვინა კიდეც ტრიბუნაზე. დიახ, გარეწარიც ბევრი გვირევია.

ახლა ვნებები დაცხრება ალბათ, ყველანი ჩვენ-ჩვენს საქმეს დავუბრუნდებით. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე საქართველოს პირველი პრეზიდენტი ჰყავს.

ვნახოთ რას იზამს ზვიადი.

მან თავისი ისტორიული მისია ნაწილობრივ უკვე შეასრულა.

არა მგონია, მომავალში უკან დაიხიოს.

28/V-5/VI 91

დღიურების დასაწერად ვერ ვიცლი.

ერთხელ კიდევ გადავიკითხე ჩემი ახალი ნოველა „დახვრეტამდე ერთი წუთი რჩება“. არაა ურიგო.

გამოვაქვეყნო? ჯერ ერთი ვერ გაბედავენ მის დაბეჭდვას და მეორეც მაშინვე გადამეკიდებიან „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“.

როგორ ვწუხვარ, რომ დემოკრატიამ განზე ჩაგვიარა.

სულ უფრო ნერვებს მიშლის ზვიადის კბილის კრაჭუნი.

სამი დღის წინ კომპოზიტორ ჯუმბერ ჯანდიერის გამოსაქომაგებელი წერილი დავწერე. კაცი უსახსროდ, უსამსახუროდაა. დადის ის წერილი ახლა წრეზე და ჯერჯერობით ჩემს „ძმებსაც“ (მ. ფოცხიშვილი, რ. ჯაფარიძე, შ. ნიშნიანიძე...) ეშინიათ ხელმოწერის.

გუშინ 4 ივნისს სანდრო მამასახლისმა უნივერსიტეტში ფოტოსურათი გადამიღო და რადიოფირზე ჩამწერა. „ისტორიისთვისო!“

დავჭირდებით ჩვენ ისტორიას?

6/VI-18/VI 91

გამეხარდა სოსო სიგუას დანიშვნა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორად. სოსო ნიჭიერი და პატიოსანი ბიჭია.

ძლივს პროფესიონალი მწერალი მოვიდა ჩვენს გაზეთში.

უკვე ერთი წელია, მწერალთა კავშირი არ ფუნქციონირებს.

პარასკევს, დილის 5 საათზე, მიწისძვრამ შეგვაბზრიალა. შიშით, არ შემშინებია, მაგრამ არასასიამოვნო გრძნობამ შემიპყრო – დგახარ უმწეოდ, ვერაფერს ცვლი.

13 ივნისს „ახალ ივერიაში“ დავბეჭდე ინტერვიუ (მესაუბრა ტარიელ სართანია). გულახდილად ვთქვი, რასაც ვფიქრობ. შეიძლება ეწყინა ზვიადს, რომ ორიოდე შენიშვნა მივეცი. რა ვქნა, მე სხვანაირად არ შემიძლია. ჩემს პრინციპს ვერ ვუღალატებ.

ახლა ისევ აღზევდება ზვიადის მიერ გაძლიერებული მაფია. ისევ დაიწყება ლაშქრობანი ჩემს წინააღმდეგ.

19/VI-1/VII 91

ცხელი ზაფხულია.

„ცხოვრებაში“ დავბეჭდე ნოველა „დახვრეტამდე ერთი წუთი რჩება“.

ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი აჟიოტაჟი მოჰყვებოდა.

ნოველა, რომელიც ეროვნულ ძალთა შერიგების იდეითაა გაჟღენთილი, მძაფრად განიცადა მთელმა საქართველომ.

გაზეთი დაიტაცეს. უამრავმა კაცმა დამირეკა. სხვათა შორის არცერთს საყვედური არ უთქვამს.

ცოტა არ იყოს, მაგრად მოხვდათ ზვიადს და სხვებსაც, რაკიღა ასე გაერთვნენ ერთმანეთის ჭამაში.

ზვიადი და ქორიძე, თურმე, კბილებს აღრჭიალებდნენ.

ნოველამ ჭეშმარიტად გამოაცოცხლა და დააფიქრა საქართველო.

გუშინწინ ზვიადმა გამოაცხადა, სომხები და ქართველები ერთი ერი ვართო და ამით მთელი თურქულენოვანი სამყარო გადაჰკიდა ქართველებს, გუშინ კანონით გააუქმა მებაღეთა ამხანაგობები და ხალხს პაწაწინა მიწის ნაკვეთები წაართვა.

28-ში ერთი მოსმენით (?!) მიიღეს კანონი მოქალაქეობის შესახებ. საქართველოს მოქალაქეობა მისცეს საქართველოში მცხოვრებ ყველა გადამთიელს. საქმეა ეეს?

აპოლონ სილაგაძე შემხვდა და მითხრა, შენზე დიდ თავდასხმას ამზადებენო.

გურამ პეტრიაშვილს ველაპარაკე დღეს (1/VII) რედაქციების შენობის წინ. რატომ არ იღებ ხმას ზვიადი რომ სისულელეს ამბობს-მეთქი. ჩამოვუთვალე, ამრეზილად შემომხედა და გამშორდა.

2/VII-16/VII 91

13 ივლისს „ცხოვრებაში“ დაიბეჭდა ჩემი დიალოგი „მოვლენათა ცხელ კვალზე“.

დიდი ამბავი ატყდა. მამუკა ფაჩუაშვილმა მითხრა – ქორიძე ცოფებს ჰყრისო.

ვერ შევძელი გაჩუმება.

ზვიადი დღითი დღე თვითონ იჭრის თავს თავისი წინდაუხედავი საქციელით.

ახლახან 7 ლექტორი გააგდეს სულხან-საბას პედინსტიტუტიდან, რექტორიც მიაყოლეს.

მაქვს მე უფლება ინტელიგენტს, არ დავიცვა ინტელიგენტები?

თუ ზვიადის რეპრესიებს წავუყრუებთ, ნელ-ნელა „გამოხშირავენ“ მთელს ინტელიგენციას.

17/VII-23/VII 91

ვიცოდი 13 ივნისის და 13 ივლისის „ცხოვრება“ უკვალოდ რომ არ ჩაივლიდა, მაგრამ ამდენ ლანძღვა-გინებას ნამდვილად არ ველოდი.

19 ივლისს „ლიტ. საქართველო“ დამესხა თავს, როგორ გაბედე და ზვიად გამსახურდიას შენიშვნა მიეციო.

ჩმახავენ რაღაცას, ცილს მწამებენ, როგორც შეუძლიათ.

პროზაიკოსი (?!) გურამ სხირტლაძე მესხმის თავს.

ახლა იხსენებენ ზვიადთან სიახლოვეს, ზვიადს მე შენიშვნები შევკადრე, მეტი არაფერი.

მუხრან მაჭავარიანი, გურამ ფანჯიკიძე, ენვერ ნიჟარაძე რაღამ გაანაწყენა? გურამმა მაინც როგორ მოაწერა ხელი წერილს ჩემს წინააღმდეგ? ზვიადს იცავენ ჩემგან?

იმ სამდივნოში ერთადერთ კაცს გურამს ვენდობი. არ მჯერა, რომ გამწირავდა.

ვუპასუხე, თუ გაბედა და დაბეჭდა სოსო სიგუამ.

24/VII 91

„საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემი წერილია.

კიდევ რამდენიმე შენიშვნას ვუმატებ ახალ ხელისუფლებას.

დღეს „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემზე აღვირახსნილი გინებაა. თემურ ქორიძე უნიჭოს, გამოგონილ მწერალს და მტრულ ბანაკში გადაბარგებულს მიწოდებს.

მივიტანე დღესვე გაზეთში განცხადება: „ხელს ვიღებ მწერლობაზე, თავზე ნაცარს ვიყრი და ვთხოვ ქორიძეს მირჩიოს – რა გზას დავადგე-მეთქი“.

შეიძლება დაბეჭდონ ეს ირონია?

ყველაზე კარგი პასუხი ეს იქნება.

აბა, ქორიძესთან სერიოზულ კამათს ხომ არ ვიკადრებ.

25/VII-1/VIII 91

24 ივლისს „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემი განცხადებაა. თ. ქორიძეს ვპასუხობ, მწერლობას თავს ვანებებ და მირჩიე, როგორ მოვიქცე-მეთქი.

ხარხარებდა მთელი საქართველო.

ამ ირონიით საკმაოდ მაგარი სილა გავაწანი ქორიძეს.

ქორიძემაც არ „დააყოვნა“ და 25 ივლისსვე „მიპასუხა“.

კარგად გადაგიწყვეტიაო.

31 ივლისს „ცხოვრებაში“ ჩემზე შალვა ამინაშვილის წერილია – „მკითხველის საპროტესტო წერილი თეიმურაზ ქორიძეს“. ჩემს დასაცავად დაწერილი ეს წერილი სასიამოვნო მოულოდნელობა იყო.

ერთი კაცი მაინც გამომიჩნდა დამცველი.

ეუბნება ქორიძეს, ოცდაჩვიდმეტი წლის კომუნისტების მეთოდებით მოქმედებთო.

30 ივლისის „საქართველოს რესპუბლიკაში“ „ღიმილის“ რეკლამაა და ჩემთან საუბარი.

მეკითხებიან, მწერლობას თავს მართლა ხომ არ ანებებთო.

როგორ გეკადრებათ-მეთქი.

2/VIII-25/VIII 91

ცხელი აგვისტო.

სამი ახალი ნოველა დავწერე. მათ შორის ერთ-ერთს – „მესამე საყვედურის მოლოდინში“ – დავარქვი: „ეს ნოველა თეიმურაზ ქორიძეს არ ეძღვნება-მეთქი“.

9-18 აგვისტოს მახინჯაურში ვიყავი. დასასვენებელ სახლ „ნარინჯში“ ლექციებს ვუკითხავდი მასწავლებლებს; როგორ უნდა ასწავლონ თანამედროვე ქართული მწერლობა.

ვიყავი ფოთის წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის გახსნაზე.

ჩემგან ათიოდე მეტრში მთავრობის ლოჟაში იჯდა ზვიადი. რასაკვირველია, თვალი ამარიდა. მეც არ წავწეულვარ...

დიდი პატივი გვცეს ფოთელმა მწერლებმა კუკური კუკულაძემ და მერაბ ასანიძემ. აღფრთოვანებით მეუბნებოდნენ: ბატონო რეზო, თქვენს მხარეს ვართო.

18-ში დავბრუნდი თბილისში და 19-ში მოსკოვში შეთქმულება მოხდა გორბაჩოვის წინააღმდეგ.

იანაევის ბანდამ აიღო ძალაუფლება.

20-ში „საქართველოს რესპუბლიკაში“ მივიტანე წერილი, სადაც ვამბობდი: კომუნისტების აღორძინება არ დავუშვათ-მეთქი. მაგრამ არ დაბეჭდეს. რატომ? რედაქტორმა ჯერ ზვიადის პოზიცია გაურკვეველიაო. ჩემი ხომ გარკვეულია-მეთქი. რატომ არ მაძლევთ თავისუფალ მწერალს ტრიბუნასმეთქი?

მოსკოვი გაერთიანდა ელცინის ირგვლივ და მოხდა სასწაული – შეთქმულება დამარცხდა. გორბაჩოვი (ბრიყვი გორბაჩოვი!) ისევ იმპერატორია. ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს.

მე ვფიქრობ, სწორად მოიქცა ზვიადი, როცა არც იანაევის მხარე დაიჭირა და არც გორბაჩოვის.

გორბაჩოვს ჩვენთვის ხეირი არ დაუყრია და მოსკოვში საიმპერატორო დუელი ჩვენ ისე უნდა აღვიქვათ, როგორც სხვა სახელმწიფოს პრობლემები.

ეჭვი მაქვს, თვით გორბაჩოვი ხომ არ იყო მე-9 შეთქმული მის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში.

ელცინმა რუსეთში შეაჩერა კომპარტიის საქმიანობა, დღეს (25/VIII) გორბაჩოვმა მოაწერა ხელი კომპარტიის საქმიანობის შეჩერებაზე მთელ

სსრკ-ში.

სწორია. აქამდე უნდა მომხდარიყო. მსოფლიოში არ არსებობს კომუნისტურზე უფრო დანაშაულებრივი პარტია.

26-ში მოსკოვშიც და თბილისშიც დანიშნულია სესიები. საინტერესო ამბები მოხდება.

26-29/VIII 91

რევოლუცია გრძელდება.

საბჭოთა კავშირი თითქმის დაიშალა.

უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

გორბაჩოვმა კომპარტია ლიკვიდირებულად გამოაცხადა და გენერალური მდივნობიდან გადადგა.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ მინისტრად შევარდნაძე მოითხოვა, მაგრამ გორბაჩოვმა და ელცინმა პანკინი დანიშნეს.

ზვიადის ავტორიტეტი დღითიდღე ეცემა.

გაირკვა, რომ შეთქმულების დღეებში მას მიუმართავს პატრიკეევისთვის (საქართველოში რუსის ჯარის სარდალი), იანაევის მხარეზე ვარო. თუ ჩვენთან ხარ, გვარდია გააუქმეო, სარდალს შეუთავაზებია, რაზეც ზვიადი დათანხმებულა.

ზვიადმა თურმე საქართველოს სხვადასხვა პარტიათა ლიდერებს ნება არ მისცა იმ დღეებში შეთქმულთა წინააღმდეგ გამოსულიყვნენ.

რა არის ეს? შიში თუ მანევრი?

ჩემი ორგვერდიანი წერილი, რომელიც 20 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკაში“ მივიტანე, რომ დაებეჭდათ, ხომ გადავრჩებოდით ამ სირცხვილს?

ხომ მქონია სწორი პოლიტიკური ალღო?

როგორ მწყდება გული, რომ ზვიადს ზოგი რამ არც თვით ესმის და არც ჭკვიანი მრჩეველი უდგას გვერდით. არადა, ზვიადის მსგავსი განათლებული პატრიოტი მეორე არ ჰყავს დღეს საქართველოს.

30/VIII-25/XIX 91

დემოკრატიული რეფორმებისთვის მებრძოლი ოპოზიციის წინააღმდეგ ზვიადმა ერთ თვეში (2 და 21 სექტემბერს) ორჯერ გამოიყენა შეიარაღებული რაზმები.

საშინელებაა, რაც თბილისში ხდება.

ზვიადმა მისდაუნებურად ქართველი ერი ორად გაყო და ერთმანეთს დაუპირისპირა.

საქართველო განსაცდელის წინაშე დადგა.

ოპოზიცია გამაგრდა უნივერსიტეტის, ცირკის, ტელევიზიისა და ფილარმონიის შენობებში.

გულუბრყვილო, პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელ მოქალაქეებს აქეზებენ, გაუსწორდით ქართულ ინტელიგენციასო.

რა ხდება?

26-30/IX 91

აიღეს შავნაბადა.

კიტოვანმა გვარდია ტელევიზიის შენობაში შეხიზნა. იქაა სიგუაც.

ახლა ოპოზიცია მხოლოდ ტელევიზიის შენობაშია.

26 სექტემბერს ირაკლი წერეთელმა დღის 1 საათზე გამოაცხადა: 4 საათზე შევიკრიბოთ და ზვიადის დასამხობად წავიდეთო.

მაშინვე ავვარდი კიტოვანთან და სიგუასთან; იქ იყო ირაკლიც, ეს არ ჩაიდინოთ, სისხლი დაიღვრება, ხომ არ გაგიჟდით-მეთქი. უზენაესი საბჭოსკენ წასულ ხალხს ტყვიას დაუშენენ და თავდამსხმელები თქვენ იქნებით-მეთქი.

დამიჯერეს და უარი თქვეს ამ ნაბიჯზე.

როგორც ვატყობ, ესენიც დაბნეულები არიან, ვერ გადაუწყვეტიათ, რა გააკეთონ.

მე მოვითხოვ ეროვნული ყრილობის ჩატარებას, იქ საბუთიან მსჯელობას.

სხვა ნაბიჯი (დამხობა, გადმოგდება) დამღუპველია.

ვურჩიე ეს ოპოზიციის ლიდერებს, თავს მიქნევდნენ, მაგრამ საქმე არ ჩანს.

ამასობაში ზვიადი ყოველ საღამოს ოპოზიციის წარმომადგენლებს ბანდიტებად აცხადებს.

გადადგომაზე არც ფიქრობს.

კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა გადადგეს?

1/X 91

ინტერვიუ მივეცი ინგლისის ტელევიზიის წარმომადგენელს.

ვთქვი, რომ პრეზიდენტის ძალით გადაყენების მომხრე არა ვარ. არ ვემხრობი ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც – ქართველი ერი შუაზე გახლიჩეს და ერთმანეთს დაუპირისპირეს-მეთქი.

ვესაუბრე ვაჟა ადამიას (რუსთაველის ძეგლის უკან მერაბ კოსტავას ეზოში), რომელსაც საქართველოს რადიო ყოველ ათ წუთში ბანდიტად აცხადებს.

თუ ძმა ხარ, პროვოკაციას არ წამოეგო, ხალხს ტყვია არ ესროლო-მეთქი.

არაო, ბატონო რეზო, მე მხოლოდ თავდაცვის მიზნით მაქვს ეს იარაღიო.

ხომ ხედავთ, მთელი ინტელიგენციის დაჭერას აპირებენო.

მანქანის მართვის მოწმობას უნდა „ფსიხოს“ – ცნობა და ქვეყნის მართვას არა? რატომ არ მოვითხოვეთ ჯანმრთელობის ცნობა, ზოგიერთს როცა ვირჩევდით?

2/X 91

გუშინ მუხრან მაჭავარიანმა მწერალთა კავშირი დაკეტა.

2 საათზე სათათბიროდ შეკრებილი მწერლები შენობაში არ შეგვიშვეს და იძულებული გავხდით, მიტინგი ქუჩაში ჩაგვეტარებინა.

გამოვედით: გ. ფანჯიკიძე, თ. წივწივაძე, მე, ნ. შატაიძე, ზ. კალანდია, თ. მაღლაფერიძე, ანზ. სალუქვაძე, ა. ვასაძე, ჯ. თითმერია, ნ. გაბრიჩიძე, დ. მჭედლური, კ. იმედაშვილი და სხვები.

დავადგინეთ: უნდობლობა გამოეცხადოს მ. მაჭავარიანს.

სასწრაფოდ დაიწყოს მოლაპარაკება დაპირისპირებულ მხარეთა შორის.

მოწვეულ იქნას ეროვნული ყრილობა, რომელიც განიხილავს საქართველოს ხელისუფლების ბოლო თვეების საქმიანობას.

მოვუწოდეთ სხვა შემოქმედებით კავშირებს, გამართონ ანალოგიური მიტინგები.

3,4,5/X 91

კიტოვანის და ადამიას ნაწილები ქალაქიდან გავიდნენ თუ არა, გამსახურდიამ მაშინვე გამოაცხადა ისინი დამარცხებულ პუტჩისტებად.

3-ში დილით პრეზიდენტის ძალებმა ალყა შემოარტყეს კიტოვანს (თბილისის ზღვაზე) და ცეცხლი დაუშინეს. ხალხი (ჩვენ) მაშინვე შევიკრიბეთ მთავრობის სახლთან და მოვითხოვეთ, გამსახურდიას შეეწყვიტა ძმათამკვლელი ომი.

გამსახურდიას აზვირთებული ხალხის შეეშინდა და ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება გასცა. ღამის 2 საათზე ხალხი რომ შეთხელდა, ვიღაც პროვოკატორმა ბრძანება გასცა, ტყვიით გამასპინძლებოდნენ რუსთაველზე მდგომ ხალხს.

სასწრაფოდ აიღეს რუსთაველზე გამართული სულელური ბარიკადები. ვინც წინააღმდეგობა გაუწია, ცხვირში ძმარი ადინეს.

დილით უნივერსიტეტთან შეიკრიბა გაგიჟებული ზღვა ხალხი.

რაღაც მიმართვას ხელი მოვაწერეთ.

შაშხანიანი გვარდიელები რუსთაველზე „ნადირობენ“ სხვის ბინებში თავშეფარებულ დემონსტრანტებზე.

მოვიდნენ დეპუტატები. ნ. ნათაძეს და ე. შენგელაიას ეკითხებიან; სად არის კიტოვანი, ხომ დაგვპირდა, როგორც კი სისხლი დაიღვრება, კვლავ შემოვალო თბილისში.

არ ვიცითო, მხრებს იჩეჩავენ.

გაგზავნეს დეპუტაცია (ე. შენგელაიას ხელმძღვანელობით) კიტოვანთან. შემოთვალა, ტყვია-წამალი არა მაქვსო.

მიტინგზე ირაკლი წერეთელი მოუწოდებდა ხალხს, დავიძრათ სასახლისკენო, მაგრამ შეშინებული ხალხი არ გაჰყვა.

დღეს (5-ში) საღამოს სესიის საგანგებო სხდომაა მოწვეული.

სესია რას გადაწყვეტს? იგი ყველა ოპოზიციონერს პუტჩისტებად გამოაცხადებს და პასუხისგებაში მისცემს.

გამთენიისას ვაჟა ადამიას მამა ვნახე.

არ ვიცი ვაჟა სად არის, ალბათ, მცირე რაზმით ტყეში გაიხიზნაო.

ის, რაც ხდება, ისტორიული დანაშაულია. არ შეიძლება, არ გვეკადრება ზვიადის დამხობა.

6-11/X 91

სესიაზე მაგრად გაიბრძოლეს „ფრაქციონერებმა“, მაგრამ მათი ხმა არავინ იღო ყურად.

ზვიადმა თავისი გაიტანა.

აკ. ასათიანი არადემოკრატიულად აწყვეტინებდა ხმას „უმცირესობას“.

დაადგინეს, სექტემბერ-ოქტომბრის მოვლენები ჩაითვალოს პუტჩად (სახელმწიფო გადატრიალების ცდად) ყველა გამომდინარე შედეგებით.

ხელისუფლებას უკვე აღარ ენდობა ბევრი, განსაკუთრებით 4-5 ოქტომბრის შემდგე, მაგრამ ძალა ჯერ კიდევ მის ხელშია. ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორივე მხარეს ქართველები დგანან. არ შეიძლება ასე. არ არიან მართლები სიგუა და კიტოვანი.

მწერლებს გვინდოდა წაღმა (ხალხისკენ) შემოგვებრუნებინა ამპარტავანი ხელისუფლება, მაგრამ დავმარცხდით. ზვიადი ზიზღით გვიცქერის.

მეო, 8 ოქტომბერს განაცხადა, რომ გადავდგე, საქართველო არსებობას შეწყვეტსო. კანალიზაცია აღარ იმუშავებსო. იქნებ მართალია, მაგრამ პრეზიდენტმა ნერვები უნდა მოთოკოს.

12/X-10/XI 91

ვერ მოვიცალე დღიურებისთვის.

თავბრუდამხვევი, გამაოგნებელი ამბები ხდება.

დეპუტატმა ავთ. რცხილაძემ თ. წივწივაძეს სასამართლოში უჩივლა.

დაინიშნა სასამართლო. მოსამართლესთან შევედით თამაზი, ნ. გრიგალაშვილი, ნ. ნათაძე, თ. ნინიძე, კ. გაბაშვილი და მე. რა ხდება-მეთქი. მწერლის სასამართლო 1906 წლის მერე (აკაკი რომ გაასამართლეს) არ ყოფილა-მეთქი.

რცხილაძეს შეეშინდა სასამართლოს წინ მოზღვავებული ხალხისა და არ გამოცხადდა. არც მომდენვო სამშაბათს მოვიდა.

სასამართლოდან მე და ირაკლი აბაშიძე ერთად წამოვედით. ბატონი ირაკლიც გულდამდუღრულია.

5 ნოემბერს ზვიადი შეხვდა „ინტელიგენციის“ წარმომადგენლებს. დარბაზში უნიჭო ფუნქციონერები და რენეგატი, ხელმოცარული მეცნიერები ისხდნენ.

ვინმე ფოჩხუამ, რეჟისორმა ლალი ნიკოლაძემ (!) გიზო კეკელიძემ ოპოზიციური ინტელიგენციის მიმართ რეპრესიები მოითხოვეს.

თვით პრეზიდენტის გამოსვლა საშინელება იყო: ნ. ნათაძე და ე. შენგელაია მანქანის ქურდობაში დაადანაშაულა.

მწერლებს, მეცნიერებს, ვინც ზვიადს ტაშს არ ვუკრავთ, ბანდიტები გვიწოდა.

ხშირად ვეკითხები ჩემს თავს: ვის მხარეს ვარ მე?

ვასკვნი, რომ არც ზვიადის მხარეს ვარ და არც ამ აქტიური, მღელვარე ინტელიგენციის. ორივე მხარეს საქართველო ძმათა ომისკენ მიჰყავს.

11/XI-20/XI 91

17 ნოემბერს გალაკტიონს ასი წელი შეუსრულდა.

რადიო-ტელევიზია ხმას არ იღებს. ხელისუფლებას, ჩანს, გალაკტიონი არ ახსოვს.

ჩამოვურეკე მწერლებს, ნაცნობებს და გავედით გალაკტიონის ძეგლთან.

ორასამდე კაცი მოგროვდა.

ირაკლი აბაშიძეს ვთხოვე; თქვენ უხუცესი ხართ და გაუძეხით-მეთქი მიტინგს. სიამოვნებითო.

ასე რომ, მიტინგი მშვენიერი შესავალი სიტყვით გახსნა ბ-ნმა ირაკლიმ.

პირველი სიტყვა მე ვთქვი. მერე გამოვიდნენ ლაშა თაბუკაშვილი, აკაკი ვასაძე, ნაირა გელაშვილი და დათო ტურაშვილი.

გამოსვლაზე უარი თქვეს ლევან სანიკიძემ, ნოდარ გურეშიძემ, ემზარ კვიტაიშვილმა, ვახტანგ ჯავახაძემ და სხვებმა.

ამ შეხვედრას ჩემთან ერთად ორგანიზატორობდა აქტიური, საქმიანი, განათლებული კობა ჯუღელი.

18 ნოემბერს უნივერსიტეტის წინ თბილისის სტუდენტობის მიტინგი გაიმართა.

ბრწყინვალე მიტინგი იყო. რა მშვენიერი იყვნენ სტუდენტები.

19 ნოემბერს მცხეთაში, სოფელ მუხრანში შეხვედრა მომიწყვეს. დირექტორი ნოდარ ბლიაძე „ორპოზიციონერი“ აღმოჩნდა.

გამომსვლელები ერთხმად აღნიშნავდნენ: პირველად მიშველაძემ გააფრთხილა საქართველო მოსალოდნელი საფრთხის – ძმათა დაპირისპირების შესახებო.

სუფრასთან დიდხანს ტკბილად ვისაუბრეთ. წვეთი არ დამილევია. იქვე მაცნობეს, დაპატიმრებულია მონარქისტი ჟორჟოლიანი.

21/XI-6/XII 91

ზვიადი კვლავ თვითნებურად იქცევა.

მის წინააღმდეგ ამხედრდნენ სტუდენტები, მაგრამ არც მათი დაჟინებული თხოვნით ათავისუფლებს პოლიტპატიმრებს.

ჩვენ, მწერლები, ორიოდე გამონაკლისის გარდა (მაჭავარიანი, კალაძე, პეტრიაშვილი) ცუდ დღეში ვართ.

არავითარი სიტყვის თავისუფლება.

5 დეკემბერს უნივერსიტეტში გალაკტიონის 100 წლის იუბილე ჩავატარეთ.

როინ მეტრეველმა კარგი შესავალი სიტყვით გახსნა.

კარგი რექტორია როინი.

მოხსენებები წავიკითხეთ რისმაგ გორდეზიანმა, კუჭუჭი დანელიამ, აკაკი ხინთიბიძემ, სოლომონ ხუციშვილმა და მე.

საღამოთი დიდი პოეზიის საღამო გავმართეთ. – ირაკლი, ზაურ ბოლქვაძე, ლია სტურუა, მიშა ქვლივიძე, ვახტანგ ჯავახაძე, ემზარ კვიტაიშვილი, გრიშა ჯულუხიძე, თემურ ჩალაბაშვილი, ნოდარ გურეშიძე, ცნობილი არტისტები – თათია ხაინდრავა, ელდინო საღარაძე, ზურაბ ცინცქალაძე და ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრები გამოვიდნენ.

პირველი სიტყვა მე ვთქვი.

კარგი საღამო გამოვიდა.

7/XII-22/XII 91

დღეს 22 დეკემბერია.

მეორე დღეა ოპოზიცია მიტინგს აწყობს მთავრობის სახლთან და ცდილობს აიღოს ავტობუსის ჯებირი, ოთხ წყებად რომ შემორკალვია უზენაესი საბჭოს შენობას.

დღეს, დილის რვა საათიდან, როგორც რადიომ გვაუწყა, ოპოზიციამ სასახლის იერიში დაიწყო.

რადიოში სროლის ხმა ისმის.

გავედი მანქანით, მაგრამ რუსთაველის ძეგლის იქეთ არ გამიშვეს და უკან დავბრუნდი.

ვრეკავ ტელეფონზე იმათთან, ვინც იქვე ახლომახლო ცხოვრობს. მეუბნებიან, რომ უზენაესი საბჭო ალყაშია, რომ ზვიადს წინადადებას აძლევენ, დატოვოს პრეზიდენტობის პოსტი და გადადგეს.

არ შეიძლებოდა ამის გაკეთება. არა ვარ მომხრე შეიარაღებული ძალით ხელისუფლების გარეკვისა.

სამაგიეროდ, ზვიადმა და კომპანიამაც ძალიან გააღიზიანა ხალხი; ქედმაღლობით, მედიდურობით, ამპარტავნობით, წამდაუწუმ „მტრების“ და „აგენტების“ ძახილით.

იქნებ როგორმე მოილაპარაკონ, იქნებ სისხლი არ დაიღვაროს? ნუთუ ასე ძვირად უღირს ზვიადს თავისი ტახტი?

მაინც ველი გონივრულ ნაბიჯს. გიზო ნიშნიანიძე მირეკავს; არიან დახოცილები და დაჭრილებიო.

ღმერთო, გვიშველე!

რა ვქნა? როცა საქმეში შაშხანა ერევა, იქ მე ვინღა მომისმენს?

23/XII-3/I 92

თურმე, რა საოცარ დროში ვცხოვრობ.

თორმეტი დღეა თბილისში ნამდვილი ომია ქართველებს შორის. იქნებ მოსკოვი ხელმძღვანელობს ამ ოპერაციას?

დაიღუპა სამასამდე და დაიჭრა ხუთასამდე კაცი.

დანგრეულია რუსთაველის პროსპექტზე ყველა ლამაზი შენობა.

დაინვა ბანკი, I სკოლა, სასტუმრო „თბილისი“, მხატვრის სახლი (ყოფილი „ინტურისტი“), კავშირგაბმულობის სახლი...

ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვს ზვიად გამსახურდიას გადადგომას.

ზვიადი ჯიუტად ებღაუჭება პრეზიდენტის სკამს.

იღუპება საქართველო.

დამნაშავე მაინც ოპოზიციაა. ზვიადს, მიუხედავად შეცდომებისა, ისტორია გაამართლებს.

თავიდან ეს ყველაფერი ომობანას თამაშს ჰგავდა, მაგრამ თვალწინ მისი დაცვიდან თვრამეტი წლის ბიჭი რომ დაეცა, გულმა როგორ გაუძლო, არ გამოსულიყო და არ ეყვირა: შეჩერდით, ბავშვებს ნუ დახოცავთ, გადავდგებიო!

გადაუდგნენ ბესიკ ქუთათელაძე, ივანე ჭელიძე, მურმან ომანიძე (!) ჯონი ხეცურიანი, ნოდარ გიორგაძე...

25 დეკემბერს გულმა აღარ მომითმინა და გავარღვიე ოპერასთან ცოცხალი ჯებირი. თეთრი პლაში გავიხადე და ავაფრიალე. უნდა მივიდე მთავრობის სახლთან და შუაში ჩავდგე. დაე, მომკლან. ოღონდ შეჩერდნენ. ძმები ერთმანეთს ნუ დახოცავენ.

ვიღაცამ ხელი მტაცა და ლამის ხელში აყვანილი უკან გამომათრია. შეიძლება ორივე მხარემ გესროლოს, რეზო, ახლა ისინი სრულ ჭკუაზე არ არიანო. ვიცანი, იურისტი კარლო გოგოტიშვილია, ჩემი სტუდენტობის მეგობარი.

რა დააშავე ასეთი, ჩემო უბედურო სამშობლოვ?!

ახალი წელი შავად გაუთენდა საქართველოს.

30-ში კგბ-ს ჯურღმულებიდან გაათავისუფლებს ჭანტურია, იოსელიანი და ხაინდრავა.

იოსელიანმა „მხედრიონი“ შეკრიბა და ოპოზიციას შეუერთდა.

ორი დღეა ტელევიზია ამუშავდა.

უჩვენებენ, როგორ ესროლა „ომონმა“ მშვიდობიან დემონსტრაციას – 2/IX, 16/IX, 21/IX, 24/IX, 5/X-ს.

დღეს გამოაცხადეს, დროებითი მთავრობა იქმნებაო.

ვნახოთ...

სად არის ახლა მუხრან მაჭავარიანი?

3/I-8/I 92

4 იანვარს, ღამით, 3 საათზე ზვიადი აიძულეს, თავისი ამალით ბუნკერიდან გაქცეულიყო.

სომხეთი, ქალაქ იჯევანში გადავიდა თავისი ამალით...

ვაი, სირცხვილო. მსოფლიოში თავი მოგვეჭრა. როგორ შეიძლებოდა პრეზიდენტის (თუნდაც ზვიადისთანა ნევრასტენიკის) გაძევება.

9/I-19/I 92

„ისევ აგორდა თვითმოძრავი ჭური“.

ზვიად გამსახურდია სომხეთიდან ჩეჩნეთში გაფრინდა.

9 იანვარს ტელევიზიით გამოვედი და ჩემი აზრი გამოვთქვი იმის შესახებ, რაც მოხდა, რატომ მოხდა, რა შეცდომები დაუშვა გამსახურდიამ და რაში შეცდა ჩვენ – ოპოზიცია.

„მხედრიონის“ ქალებმა დამირეკეს და დედა მაგინეს. ველოდი, მაგრამ მე ხომ არცერთ მხარეს არ ვამართლებ. იმთავითვე შერიგებას ვქადაგებდი.

გარდაიცვალა რევაზ ინანიშვილი, დღეს ვასაფლავებთ ირაკლი აბაშიძეს. ამ ორ უძვირფასეს ცხედარს ღირსეულად ვერ დაიტირებს სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე მდგარი, დაბნეული, ცრემლგამშრალი საქართველო.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა გავმართეთ, როგორც იქნა.

გადადგა მუხრან მაჭავარიანი, გადავაყენეთ ხუტა ბერულავა.

ავირჩიეთ კომისია 15 კაცის შემადგენლობით, რომელიც უხელმძღვანელებს მწერალთა კავშირი მოამზადებს ყრილობას. კომისიაში რატომღაც მეც დამასახელეს. თავმჯდომარეა გურამ ფანჯიკიძე. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორად თამაზ წივწივაძე ავირჩიეთ, „ცისკრიდან“ თეიმურაზ დოიაშვილი დავითხოვეთ და დათო მაღრაძე გავარედაქტორეთ, დათო ზრდილი ყმაწვილია.

რამ გააგიჟა ეს დინჯი და ჭკუადამჯდარი ერი? როგორ შეიძლება კერპად აქციო ვინმე? გადავხედოთ, ვინ მოვიდა ზვიადის ადგილას? კიტოვანი და ჯაბა. რომელია ზვიადიზე დიდი პატრიოტი?

ვისი გულისთვის იწყებენ სამოქალაქო ომს?

ჭკუასუსტია ყველა, ვინც მზადაა თავის სკამისთვის საქართველოში სისხლის გუბე დააყენოს?

თბილისის ომი ძალაუფლებისთვის ომი იყო.

ორივე მხარეს საქართველოს პირტიტველა ავტომატიანი ბიჭები ფეხებზე ეკიდა.

20/I-30/I 92

საქართველოში სამოქალაქო ომია.

ქუჩაში ავტომატიანი ბიჭი გავაჩერე.

ვის უნდა ებრძოლო, შვილო, ვის უნდა ესროლო-მეთქი. იქითაც და აქეთაც მოტყუებული ქართველები არიან-მეთქი. ნუ გეშინია, ქართველებს არ ვესვრიო. დაქირავებული რუსების და ჩეჩნების ჯინი მჭირსო.

ეროვნულმა გვარდიამ ბრძოლით აიღო სამტრედია, აბაშა (ქუთაისს წინააღმდეგობა არ გაუწევია), სენაკი. ბოლოს 27-29-ში ფოთი და ზუგდიდი „დაეცა“.

ზვიადი გროზნოში გაიქცა.

თბილისში დემონსტრაციები გრძელდება.

მოკლეს ბერდია ბერიაშვილი...

ვინ რას ერჩოდა პოეტ კაცს, რა დააშავა?

თოფით ხელში ვმორიგეობთ ჩვენი სახლის დასაცავად.

31-3/II 92

თბილისი კვლავ აბობოქრდა.

ყოველდღე მიტინგ-მანიფესტაციებს მართავენ.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო წესებია გამოცხადებული, ხალხი გააფთრებით მიიწევს დროებითი მთავრობის რეზიდენციისკენ, აწყობენ პიკეტირებას, რათა სიგუა კაბინეტში არ შეუშვან, ესვრიან ქვებს, უშვერი სიტყვებით ილანძღებიან.

1 თებერვალს სპორტის სასახლეში თბილისის მცხოვრებთა კრება გაიმართა. სიტყვით გამოვედით: მერაბ ალექსიძე, მე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გიგა ლორთქიფანიძე, ჯანსუღ კახიძე, ბუბა კიკაბიძე, ირაკლი წერეთელი...

ვთქვი: სნგ-ში შესვლის წინააღმდეგი ვარ-მეთქი, რუსის ჯარის სტატუსის შეცვლის წინააღმდეგი ვარ-მეთქი, ჩვენ დაპყრობილი, ანექსირებული ქვეყანა ვართ და რუსის ჯარს ზვიადმა სწორად მისცა ოკუპანტის სტატუსი-მეთქი. ძალადობის წინააღმდეგი ვარ-მეთქი. მე თოფით ხელში თბილისს ვდარაჯობ-მეთქი. ყველამ უნდა დავიცვათ პოლიტიკურ მაფიათაგან ჩვენი ღირსება, ჩვენი ოჯახის სიწმინდე და პატიოსნება-მეთქი. ამით ჩვენ საქართველოს დავიცავთ-მეთქი.

დარბაზს მოეწონა, მაგრამ ტელევიზიით არ გადასცეს. ჩანს, ახალი ხელისუფლების თვალსაზრისს ზვიადზე მთლად არ ვეთანხმები, და ამიტომ.

2 თებერვალს გვარდიამ დემონსტრანტებს ესროლა. მოკლა 1, დაჭრილია 20 კაცი. ცუდი ამბავია. გამოსავალი?! ესენი ზვიადზე უარესს იზამენ.

4/II-10/III 92

ათასი პრობლემა ერთად დამეცა თავზე და დღიურების საწერად ვერ მოვიცალე.

ჯერ იყო და კათედრის წევრი, სათნოებით აღსავსე ქალი, ლია შატბერაშვილი, გარდამეცვალა.

მერე 5 მარტს სატელეფონო მუქარა აღმისრულეს, მამისეული სახლი დამიწვეს. ვინ დაიდო ეს ცოდვა? გადაჭრით ვერავის დავაბრალებ. ერთი კია:

არც ზვიადისტებს ვეხატები გულზე და არც შევარდნაძისტებს.

ღამის ოთხ საათზე სახლს „გაურკვეველი მიზეზებით“ (როგორც სახანძრომ დაასკვნა) ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა ყველაფერი. ქაღალდის ნაგლეჯიც არ გადარჩა.

ალბათ, მხოლოდ განგებას შეეძლო ჩემი ბებერი მშობლების და ძმის (თავისი სამი შვილით) გამოყვანა იმ სტიქიიდან.

სახანძრო მოვიდა და უბენზინობის გამო წყალს ვერ ტუმბავდა თურმე.

რით გავამხნევო, რა ვუთხრა ჩემებს, გაფიქრებაც კი მზარავს იმისა, რომ ეს ყოველივე ჩემი მიზეზით მოხდა.

არა, ქართველი კაცი მე ასე არ გამიმეტებდა.

ჯერ ერთი, მე ნეიტრალურ პოზიციაზე ვიდექი თავიდანვე და მეორეც, რა შემატყვეს შევარდნაძისტებმა, რომ ჩემი დაშინება ეგრე „იოლად“ შეიძლება.

სახლის დაწვა რა დაშინების ან ზემოქმედების ფორმაა, ნეტავ? ნუთუ მე იმის მიხედვით შევიცვლი აზრს დიქტატორზე ან სამხედრო ხელისუფლებაზე, სახლს დამიწვავენ თუ ამიშენებენ?

9 მარტს საქართველოში შევარდნაძე დაბრუნდა.

მე არ ვეკუთვნი შევარდნაძით აღფრთოვანებულთა რიცხვს. მისი „მეფობის“ წლები საქართველოში კარგად როდი მახსოვს.

ეჭვი მღრღნის, იქნებ სულ სხვა მიზნით გამოგზავნა რუსმა შევარდნაძე?

10/III-26/III 92

25-ში მწერალთა XI ყრილობა ჩავატარეთ...

„კარვის ქალებმა “ყრილობის დაწყების წინ მოედანზე დაწვეს ჭაბუას, მორის ფოხიშვილის, შ. ნიშნიანიძის, ჩემი, ოტია იოსელიანის, გ. ფანჯიკიძის, ჯანსულის, ტ. ჭანტურიას, რ. ჭეიშვილის და სხვათა წიგნები. მათ შორის თურმე - ნ. ნათაძის რედაქტორობით გამოცემული „ვეფხისტყაოსანიც“.

ყრილობის დაწყების წინ მუხრანი განცხადებით გამოვიდა – მეო, ეს ყრილობა და საერთოდ გამსახურდიას დამხობა უსამართლობად მიმაჩნია და მომყევით, ვინც ჩვენთან ხართო.

უკან გაჰყვა 15-მდე კაცი. მათ შორის ხუტა, ელიზბარ ჯაველიძე, სოლომონ დემურხანაშვილი, თ. დოიაშვილი და სხვანი.

გამოვედი მოკლე სიტყვით; მწერლობის საქმე ახლა გახლეჩილი ერის გამთლიანებაა-მეთქი. თავმჯდომარედ გ. ფანჯიკიძე ავირჩიეთ, მოადგილედ – რ. ჭეიშვილი.

27/III-7/IV 92

ისევ აირია ქვეყანა (თუმცა როდის დაეწყო).

რადიო აცხადებს: ზუგდიდიდან დაიძრა ზვიადის მომხრეთა 500-კაციანი ლაშქარი. დაიპყრეს აბაშა, სენაკი, ხობი, ფოთი. გამოყარეს ადგილობრივი ხელისუფლება და ზვიადისეული პრეფექტები დააბრუნესო.

თბილისიდან დაიძრა გვარდია.

„აიღეს“ ფოთი, ზუგდიდი, აბაშა, ხობი... დარბეულმა ზვიადისტებმა თავი აფხაზეთს შეაფარეს. აფხაზეთმა შეიფარა ლტოლვილები და ენგურსმომდგარ გვარდიას გზა ტანკებით გადაუკეტა.

საქართველომ არ გაბედოს დამოუკიდებელი აფხაზეთის დაპყრობა, თორემ სისხლი დაიღვრება და ჩრდილოეთიდან მაშველ ძალებს ვუხმობთო, არძინბამ.

„მაშველნი“ ჩეჩნები და რუსები არიან.

ასე მოგვიწყო საქმე ჩვენმა უთავობამ.

საქართველოს ისტორიის მთელს მანძილზე პირველად ვერ შევდივართ ჩვენს მიწაზე – აფხაზეთში.

ახლა კი აშკარად ჩანს, რომ ეს ომი რუსების ინსპირირებულია.

რუსის იმედი რომ არ ჰქონდეს, არძინბა რას გაბედავდა!

8/IV-12/IV 92

ათ აპრილს მწერალთა კავშირში ედუარდ შევარდნაძე გვეწვია.

თავის გამოსვლაში სამჯერ თქვა – მწერლობა ერის საამაყო ნაწილიაო.

ეს ერთგვარი რეაბილიტაცია, ცნობა იყო ქართული მწერლობისა ამ უკანასკნელი ორი წლის ფონზე – როცა ხელისუფლება მწერლობის ლანძღვის მეტს არას აკეთებდა.

სიტყვები ვთქვით: გ. ფანჯიკიძემ, რ. ჯაფარიძემ, გ. გვერდწითელმა, მე, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ა. სულაკაურმა, რ. ჭეიშვილმა.

მე, პირადად, კმაყოფილება გამოვთქვი ხელისუფლების წარმომადგენლის მწერალთა კავშირში მოსვლის გამო და ვკითხე: რატომ არ გვცნობს რუსეთი, ხომ არ შევდივართ სნგ-ში (თანაც გავაფრთხილე, თუ სნგ-ში შევალთ, მე ასეთ მთავრობასთან არ ვითანამშრომლებ-მეთქი), რატომ აწერია ჩვენს პასპორტებს კვლავ „გრაჟდანინ სსსრ?“ რატომ არ გადის რუსის ჯარი? ნუთუ მართლა ვერ შევალთ ჩვენს ისტორიულ მიწაზე აფხაზეთში? სანამ იქნება დახლები ცარიელი? ყველა კითხვაზე პუნქტ-პუნქტად მიპასუხა. ვერ დავმალავ, დინჯად, აუჩქარებლად გამოვიდა.

ნუ ვიჩქარებთო, ჩვენ ურთულეს ეპოქაში ვცხოვრობთ და ყოველი ნაბიჯი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდესო.

11 აპრილს იმ შეხვედრის ჩანაწერი (შემოკლებით) ტელევიზიამ გადასცა. ესენგეში შესვლაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო; შევარდნაძემ, ვნახოთ, როგორ შეასრულებს დანაპირებს.

13/IV-9/V 92

საქართველოში რუსის ორგანიზება-ნაქეზებით დივერსია დივერსიაზე ხდება.

აფეთქებენ ხიდებს, წყალსადენებს, რკინიგზებს, ცეცხლს უკიდებენ დაწესებულებებს, აშინებენ მშვიდობიან მოქალაქეებს – გაფიცვას შეუერთდით, სამუშოად არ გახვიდეთ, თორემ მოგსპობთო.

თბილისში, ხელისუფლებაში განხეთქილებაა. შევარდნაძე და სიგუა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. შევარდნაძე სიგუას ადანაშაულებს უმეცრება-უმოქმედობაში და ფასების თვითნებურად ზრდაში, სიგუა კი, მე მგონი, უკმაყოფილოა იმის გამო, რომ შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ „მეორე პლანზე“ აღმოჩნდა. სინამდვილეში, შევარდნაძეს ბრალს სდებს რუსიფიკატორულ პოილტიკაში.

ჯანდაბას ყველა მთავრობა, მე იმას ვდარდობ, რომ ხალხს უჭირს. ადამიანები შიმშილით იხოცებიან. გახშირდა ბანდიტიზმი, შარაგზის ყაჩაღობა, სახლებში შევარდნა გვარდიელის ფორმაში გამოწყობილი მძარცველებისა. ავტომატიანი ლაწირაკები ქვეყანას აწიოკებენ. გამკითხველი არავინ არის.

2 მაისს წითელწყაროში (დედოფლისწყარო) მიმიწვიეს. შეხვედრაზე, რაც შემეძლო, ობიექტურად ვილაპარაკე. ახალ მთავრობასაც უკვე დავუპირისპირდი, რადგანაც ვატყობ, ქვეყანას არც ესენი შველიან-მეთქი. ვიღაც მოხუცი ქალი შეხვედრის შემდეგ ქუჩაში გამომყვა, შვილო, თავს გაუფრთხილდიო.

„საქართველომ“ ვინმე თამარ აბულაძის წერილი გამოაქვეყნა – მიშველაძეების სახლი „გაზის მოვარდნის“ გამო დაიწვაო. იძულებული გავხდი 8 მაისს გაზეთში „მეპასუხნა“ და გაზის სამმართველოდან ცნობა მომეტანა, რომ გაზის მიზეზით სახლი არ გადამწვარა, ესეც არ იყოს, მე ხომ გადაჭრით არავისთვის დამიბრალებია. ნ. გრიგალაშვილი ვაუკაცი ბიჭია, მაგრამ, ჩანს, შეცდომაში შეიყვანეს.

„ლიტერატურულმა საქართველომ“ მიკბინა, „სალაღობო კალენდარში“ (რომლის რედაქტორიც მე ვარ) რუსთაველია „ნაბურთავებიო“. 8 მაისის „ლიტ. საქართველოში“ ვუპასუხე.

საოცარი ამბავია; გგონია, საქვეყნო საქმეს აკეთებ, დიდ პრობლემებს და ერის ბედს სჯი, შენი ჭკუით. მოგეპარება ქურდულად შურიანი ფინია და კანჭზე თავის შხამიან კბილებს ჩაგასობს.

თბილისში პროკლამაციები დაყარეს – 26 მაისამდე აჯანყებას ვაპირებთ, კანონიერი პრეზიდენტი უნდა დავაბრუნოთ და შეიარაღდით, ვისაც გული გერჩითო.

ქვეყანა სამოქალაქო ომის მიჯნაზეა.

ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს.

10/V-30/V 92

25-26 მაისს თბილისში ამერიკის სახელმწიფო მდივანი ბეიკერი სტუმრობდა. თან ახლდა ნატოს ჯარების სარდალი, ამერიკაში ცნობილი გენერალი ჯონი (მალხაზ) შალიკაშვილი. ბეიკერიც შევარდნაძესავით უშიშარი აღმოჩნდა. ორივენი შიშველი ხელებით მოვიდნენ რესპუბლიკის მოედანზე. გზა გაიკვლიეს ოციათას ჭრელი ორიენტაციის ქართველთა შორის და სიტყვებით გამოვიდნენ.

ჩვენ ტაშით ვხვდებოდით ბეიკერს, მაგრამ რუსეთი გაგვინაწყენდა.

რუსეთი ხომ იმპერიის დაშლას ჯერ არ აპირებს.

როგორ გაბედა ურჩმა (ჯერ კიდევ თავისად გვთვლის) საქართველომ დამოუკიდებლად ბეიკერის მოწვევაო.

ადგა და იმ დღესვე ჩრდილოეთ ოსეთს დაავალა საქართველოსთვის გაზი გადაეკეტა.

მეხუთე დღეა უგაზოდ ვართ. ე.ი. საჭმელს ვერ ვამზადებთ, პურს ვერ ვაცხობთ. კატასტროფული რიგებია.

მოსკოვი გვემუქრება, თუ ჭკუაზე არ მოხვალთ, დენსაც გადაგიკეტავთო.

ესეც შენი „კეთილი რუსი“.

მწერალთა კავშირში გამგეობის სხდომა გვქონდა, მიგვეღო თუ არა მონაწილეობა საკავშირო მწერალთა ყრილობაში. ჭაბუამ და თამაზ ჭილაძემ განაცხადეს: უნდა მივიღოთო. მე და აკაკი ბაქრაძე კატეგორიული წინააღმდეგი წავედით.

ბოლოს გადაწყდა. მეთვალყურედ ორი კაცი გავაგზავნოთ.

საერთოდ, ერთხელ და სამუდამოდ ჩვენ მაინც გამოვიდეთ ამ მონური სტრუქტურებიდან, რაკი საქართველო ჯერ კიდევ ვერ გამოდის-მეთქი.

მოსკოვში, ლიტფონდის რესტორანში გაზრდილ რუსოფილებს აშკარად არ ესიამოვნათ ჩემი რადიკალიზმი.

რით დამთავრდება გაზის ბლოკადა? ნუთუ დააჩოქებს რუსეთი საქართველოს?

28 მაისს ზუგდიდიდან შევარდნაძის „გვარდია“ გამოაძევეს.

გვარდიაც სამარცხვინოდ იქცევა ამ ბოლო დროს.

ამბობენ, ჯარისკაცები ბანდიტობენ მაშინ, როცა ქართველი ხალხი უნდა დაიცვას გარეშე მტრებისგანო.

სოხუმში დააპატიმრეს მოლოდინაშვილი.

დავწერე ნოველა „ნეკროლოგი სიკვდილის მიზეზს არ იუწყებოდა“.

ჭირდება ვინმეს? არის ახლა ლიტერატურის დრო?

1/VI-15/VI 92

9-ში შემოქმედებითი კავშირების გაერთიანებული პლენუმი ჩავატარეთ. გ. ფანჯიკიძემ და გ. ლორთქიფანიძემ თ. სიგუა გააკრიტიკეს, თურმე სახელმწიფო საბჭოზე უთქვამს: თუ თეატრები და გამომცემლობები თავს ვერ ინახავენ, დავხუროთო.

11-ში ახალციხეს გავემგზავრეთ უნივერსიტეტის ძველი ავტობუსით. იქ პირველი საუნივერსიტეტო კონფერენცია ჩატარდა და მოხსენება წავიკითხე. „სამცხე-ჯავახეთი“ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში“. მქონდა შეხვედრები იქაურ მწერლებთან, მსახიობებთან.

კონფერენცია კარგად იყო მოწყობილი.

მესხეთის უნივერსიტეტის (ჩემი წინადადებით ახალციხის უნივერსიტეტის ნაცვლად „მესხეთის უნივერსიტეტი“ უწოდეს). ახალგაზრდა რექტორი – მერაბ ბერიძე – საქმიანი, ნიჭიერი კაცია.

11 ივნიისის გაზეთ „წიგნის სამყაროში“ ჩემი ინტერვიუ გამოქვეყნდა. მესაუბრა ჟურნალისტი მზია ნარმანია. პროტესტი გამოვთქვი ე.წ. სახელმწიფო საბჭოში მწერალთა სიჭარბის წინააღმდეგ, გავაკრიტიკე სახელმწიფო საბჭოს პოზიცია თურქი მესხების ჩამოყვანასთან დაკაშვირებით.

ვ. გოგუაძემ (საბჭოს მდივანი) თავდაჭერილად მაგრძნობინა, შევარდნაძეს არ ესიამოვნაო.

რა ვქნა. მთავრობების ცვლა ზოგიერთივით ჩემს პრინციპებს ვერ შემაცვლევინებს.

ივნისის პირველ რიცხვებში ტელევიზიით გამოვედი და ვთქვი: რატომ სდუმს ჩვენი მეგობარი დასავლეთი. რატომ არ უგზავნის ბეიკერი ნოტას რუსეთს გაზი რომ გადაგვიკეტა-მეთქი. ან ჩვენი სახელმწიფო საბჭო რატომ არ აკეთებს განცხადებას მსოფლიოს გასაგონად-მეთქი?

არც ეს ესიამოვნებოდა შევარდნაძე-სიგუას.

ახალციხეში გავიცანი ორი კარგი ქართველი – იური გელაშვილი და რაგული სამსონიძე. საქმის ხალხი. გელაშვილმა, სათევზე მინდოდა გამემართა, დავიწყე კიდეც ეს საქმე, მაგრამ იმდენი თოფიანი კაცი დამესია (ფულის გამოძალვის მიზნით), რომ იძულებული ვარ ან თავი დავანებო, ან ავტომატიანი მოყმე დავიქირავო, რათა დამიცვასო. იქვე იყო ჩემი მეგობარი პროკურორი გოჩა მარტინენკო.

მინდა, თუ მშვიდობა იქნა, ორი თვით ჩავიდე მესხეთ-ჯავახეთში და ნოველების ციკლი შევქმნა.

16/VI-23/VI 92

მწერალთა კავშირში პროზის სექციის სხდომა გაიმართა.

ფარული კენჭისყრით პროზის სექციის თავმჯდომარედ ამირჩიეს.

გეგმა შევადგინე და ნანა კანდელაკს ჩავაბარე. მინდა ახალგაზრდა მწერლებს დავეხმარო, ჩრდილში მირჩენილთ მოვეფერო და გული გავუკეთო – ერთი სიტყვით, მწერლებს შრომა გავუადვილო – თუ ღმერთმა დამაცალა.

მწერალთა კავშირი გამოცოცხლდა.

ჩავატარეთ აკაკის – 150 წლისთავის იუბილე. ისე ჩატარდა, როგორც დღევანდელ საქართველოს შეეფერებოდა; მომჭირნედ (საზღვარგარეთელი სტუმრები ვერ მოვიწვიეთ), ცოტა ნაჩქარევად (დრო ცოტა გვქონდა), მაგრამ მაინც კარგად და სასიამოვნოდ.

ხალხი შიშით იჯდა ოპერის დარბაზში. ნუთუ მართლა იუბილესთვის მოვიცალეთ, ემანდ არ აგვაფეთქონო.

აფეთქებაზე გამახსენდა: თავისი სახლის წინ მანქანა აუფეთქეს და მოკლეს „მხედრიონის“ აქტიური წევრი თამაზ ყურაშვილი („ბუღა“).

ცხინვალთან უკვე რუსებმა (პირდაპირ რუსებმა არა, – ოსების ხელით) შემოგვიტიეს ვერტმფრენებითა და ტანკებით.

შევარდნაძემ მსოფლიოს მიმართა – რუსების აგრესია დაიწყო და გვიშველეთო.

რუცკოიმ (რუსებს შევარდნაძე, მგონი, უკვე აშკარა მტრად მიაჩნიათ) შევარდნაძის განცხადებას ანტირუსული და ცინიკური უწოდა.

დამთავრდა რუსთან მელიაობის და კატა-თაგვობანას თამაშის პერიოდი, დროა საგნებს თავისი სახელი დავარქვათ: დამპყრობელია – მორჩა და გათავდა.

დამპყრობლის, აგრესორის ჯარი კი უნდა გავიდეს საქართველოდან.

რატომ სდუმს დასავლეთი?

სად არიან ჩვენი მეგობრები ბეიკერი და გენშერი?

ისევ ის ხდება, რაც 1918-21 წლებში მოხდა. მსოფლიო თავს არ გამოიდებს და ისევ ჩაგვტოვებს რუსების პირში.

„ცისკრის“ რედაქტორად რედაქციამ წამოაყენა ზაურ კალანდია. მე მხარს ვუჭერ. კარგი, ნიჭიერი, ზრდილი ყმაწვილია.

24/VI-29/VI 92

ოცდაოთხ ივნისს, დილის ექვს საათზე, ჩემმა დამ – ნათელამ დამირეკა: ვიღაცებმა ტელევიზია და ტელეანძა აიღესო.

ვეცით რადიოს. ლაპარაკობდა ვალტერ შურღაია: შევარდნაძის და

სიგუას ხუნტა დამხობილიაო. ვინც ახლა ჩვენს მხარეს გადმოვა, წარსულ შეცდომებს ვაპატიებთო. მოდით, მოგროვდით ყველა ტელევიზიასთანო.

დაახლოებით 7 საათზე რადიომ ხმა გაკმინდა, სამაგიეროდ, შევარდნაძის რადიო ჩაირთო: სიმშვიდე შეინარჩუნეთო, ბანდიტები ალყაშემორტყმულნი არიან და მალე დავაპატიმრებთო.

ვერ დავმალავ. სახლიდან გასვლის სურვილი არ გამჩენია. ანგელოზებს ვერც ერთ მხარეს ვერ ვხედავ, როგორმე უჩემოდაც აუვლენ-მეთქი ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში – იზა ორჯონიკიძის და შევარდნაძის სახელმწიფო საბჭოს დაცვის დიდი წადილი არა მაქვს. იმასაც ვერ დავმალავ, რომ მეცოდებოდა გამსახურდიას მიერ მოტყუებული ხალხი და განსაკუთრებით ვალტერ შურღაია. მოსკოვში პრესკონფერენციების გასამართავად რომ ვიყავით მწერლები, ერთ ოთახში გვეძინა მე და შურღაიას. ზრდილობით სავსე, კეთილშობილ ბიჭად დამამახსოვრდა – თანაც ფანატიკურად შეყვარებული ჩანდა ზვიადზე.

მოკლედ, პირველ საათზე გამაყრუებელი სროლა მიწყნარდა და გამოაცხადეს – ბანდიტები დავაპატიმრეთო. 5 კაცი მოკლეს, იქეთ-აქეთ. დაილეწა ტელევიზიის შენობა, დააპატიმრეს სამოცამდე.

23-ში ღამით ნანა წითელაშვილის (ჟურნალისტი) მოწვევით აკაკი ძიძიგური, გიორგი ჭანტურია და მე ტელევიზიაში გახლდით, ჩაწერა გვქონდა 12 საათზე, შუაღამისას, ერთად გამოვედით. კარებში ორ მომცრო მილიციელს ვუთხარი კიდეც: ბიჭებო, ამაღამ ტელევიზიაზე თავდასხმა რომ მოხდეს, თქვენს იმედზე ვართ-მეთქი? გაიცინეს, არა, ბატონო რევაზ, სრული სიწყნარეაო. კარგი სიწყნარე ყოფილა: ზუსტად სამი საათის შემდეგ ტელევიზია აუღიათ.

რომ იტყვიან, ერთ ფეხზე გამოვასწარი.

იმავე დღეს, 24-ში მთელ საქართველოში მოხდა თავდასხმები. ზუგდიდში, წალენჯიხაში, აბაშაში, ხობში, მარტვილში, სენაკში... აფხაზეთში თავს დაესხნენ შინაგან საქმეთა მინისტრს – ლომინაძეს. სცემეს და კაბინეტიდან გამოაგდეს.

იმავე დღეს შევარდნაძე დაგომისში გაფრინდა და ელცინს შეხვდა. მოლაპარაკება, როგორც გაზეთები იუწყებიან, საქართველოსთვის სასარგებლო იყო. არ მჯერა.

ვნახოთ, რა იქნება ხვალ.

30/VI-9/VII 92

4 ივლისს წალენჯიხაში თავს დაესხნენ სკოლის შენობაში დაბანაკებულ „მხედრიონს“. იქვე იყო ჯაბა იოსელიანი და, როგორც მერე გაირკვა, მწერალი ლაშა თაბუკაშვილიც.

ცხრა საათის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ მხედრიონელებს ტყვიაწამალი გაუთავდათ. ერთმანეთს შეჰფიცეს, ცოცხლად არ დანებებოდნენ „მტერს“ (ვაი, ასეთ საქართველოს!) და სწორედ მაშინ, როცა ყველა იმედი გადაწურული იყო, საიდანღაც გაჩნდა ქუთაისის ბატალიონი და მხედრიონელები გადაარჩინა.

ოცამდე კაცია მოკლული და სამოცამდე დაჭრილი.

იმ საღამოსვე შევარდნაძემ ზვიადს ფაშისტი, ხოლო მის მომხრეებს ფაშისტები უწოდა (ესეც შენი ნერვებდაწყობილი შევარდნაძე), იქვე განაცხადა,

ზუგდიდთან გაძარცვეს მატარებელი და ძარცვაში 1500 კაცი მონაწილეობდაო. ეს კი მთელი სამეგრელოს ყაჩაღად გამოცხადებას ნიშანვს. იქნებ 1443 კაცი იყო? როგორ შეიძლება ასე გაუჯავრდე მთელს სამეგრელოს?! არ მომწონს ეს ამბავი. არც ის მომწონს, ტელევიზიამ ყვარელში მხედრიონის წევრის დასაფლავება რომ უჩვენა და ჟურნალისტმა კომენტარი გაუკეთა – მტერმა მოგიკლათ ეს შვილი, კახელებოო.

რაო, კახეთს ვაქეზებთ სამეგრელოზე?

არც ოსეთის და აფხაზეთის მიმართ ზედმეტად დამთმობი პოლიტიკა მომწონს.

ღმერთმა ჰქნას, ვცდებოდე. იქნებ შევარდნაძე უფრო ღრმად და შორს ხედავს!

ალბათ...

10/VII-27/VII 92

ერთიმეორეზე უარესი ამბები ხდება:

წალენჯიხასთან ახლოს, თავს დაესხნენ მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილის, სანდრო კავსაძის, ავტომანქანას. მოკლეს ჩხოროწყუს გამგებელი და სამი კაცი. მძღოლი, ექიმი, თვით სანდრო კავსაძე გაიტაცეს. დღეს 27 ივლისია. სამიოდე დღის შემდეგ გამოაბრუნეს ექიმი და მძღოლი, თვით სანდრო კავსაძე დაპატიმრებული ჰყავთ.

ამბობენ, წალენჯიხის ტყეებში იმალებიანო. ზოგი იმასაც ამბობს, გროზნოში ზვიადთან წაიყვანესო.

სამეგრელოში ისევ დაუმორჩილებლობაა, სძარცვავენ მატარებლებს, თავს ესხმიან ადგილობრივ ხელისუფლებას და მილიციას.

პროტესტის ნიშნად წალენჯიხა მთლიანად დაიცალა. იქაური მცხოვრებნი ტყეს შეეხიზნენ.

შევარდნაძემ გადაწყვიტა, თავისი ამალით სამეგრელოში ჩავიდეს.

შემხვდა ვახტანგ გოგუაძე. ნუ წახვალთ-მეთქი. იქ სისხლი ახლახან უსამართლოდ დაიღვარა და არ მიგიღებენ. მე ვიცნობ მეგრელი კაცის ხასიათს-მეთქი. სამეგრელოს დარბევას თქვენ არ გაპატიებენ-მეთქი. გაეცინა, მე რა შუაში ვარო.

– არაო, წასვლა აუცილებელიაო. შევარდნაძეს ისეთი მომნუსხველი საუბარი აქვს, ნახავ, მტერსაც კი მოაქცევს და მოაბრუნებსო.

ჩემი ვარაუდი გამართლდა.

ტელევიზორში ვხედავდი, როგორ ეძახდნენ შევარდნაძეს იუდას, მკვლელს და გარეწარს. ესროდნენ ქვებს.

იძულებული იყო, შეეწყვიტა ვიზიტი და უკან გამობრუნებულიყო.

ძალიან ცუდი ფაქტია. მთელმა საზღვარგარეთმა გაიგო.

ჯერ უნდა ჩასულიყვნენ სამეგრელოში თბილისში მცხოვრები მეგრელები. დალაპარაკებოდნენ მეზობელ-ნათესავებს. მერე მილიციას უნდა დაეჭირა ბანდიტები (თუ კი ასეთები არიან), მერე სამეგრელოს უნდა ეგრძნო ეკონომიური მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლებისგან და ამის შემდეგ უ ნდა ჩასულიყო შევარდნაძე. ასე რომ, ვიზიტი, როგორც ვიწინასწარმეტყველე, მოუმზადებელი იყო და მარცხითაც დამთავრდა.

აფხაზეთის სესიამ (ქართველები არ ესწრებოდნენ) არძინბას მეთაურო-

ბით საქართველოსგან სრული გამოყოფა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შევარდნაძე ჯერჯერობით უძლურია, მას, როგორც ჩანს, არავითარი გავლენა არ აქვს არძინბაზე (ანუ შესაბამისად ელცინზე).

წავაგეთ სამაჩაბლოც. დერეფანი უნდა გაკეთებულიყო ჩრდილოეთ ოსეთსა და საქართველოს შორის და არა ცხინვალსა და საქართველოს შორის. ჩრდილოეთიდან ბრუნდებიან ოსი ლტოლვილები. ჩვენი იურისდიქცია ოსეთზე არ ვრცელდება. ეს კი, უკვე შევარდნაძის „გენიალური პოლიტიკის“ დამარცხებას ნიშნავს.

ღმერთმა ჰქნას, ვცდებოდე.

მწერლობაშიც დაძაბულობაა.

პრეზიდიუმის სხდომაზე ჭაბუამ რუსეთის პენკლუბის წერილი წაიკითხა ქართული პენკლუბისადმი.

თამაზ ჭილაძემ – ეს ხომ ფაქტიურად მაღლა მდგომის მითითებებია დაბლა მდგომისადმიო.

ჭაბუა გაცეცხლდა. ერთმანეთს უშვერი სიტყვები ჰკადრეს.

ჭაბუამ – უნიჭო ხარო.

თამაზმა – ქურდი ხარ, „დათა თუთაშხია“ მოპარული გაქვსო.

ერთი სიტყვით, შედგნენ ერთმანეთს.

ჭაბუამ სხდომა დატოვა. თ. ჭილაძემ – თუ სამაგალითოდ არ დასჯით ხულიგნობისთვის ამირეჯიბს, მე მწერალთა კავშირიდან გავალო.

დავიშალეთ, რათა ერთი კვირის შემდეგ შევკრებილიყავით და გვემსჯელა ამ საკითხზე.

ჩემი რჩევა – რა ჩვენი სამსჯელოა, ორი კაცი ერთმანეთს შეეკამათა, რა გასახმაურებელია-მეთქი, ყურად არავინ იღო.

10/VII-5/VIII 92

31 ივლისს საქართველო ერთხმად მიიღეს „გაეროში“.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩათვალეს.

ამჯერად რუსეთმაც ხმა მოგვცა.

უეჭველია, „გაეროში“ ჩვენი მიღება შევარდნაძის ავტორიტეტმა განაპირობა, მაგრამ მე სიხარულთან ერთად შიშიც მიპყრობს.

რით „დააბა“ რუსეთი შევარდნაძემ? ხომ არ დაჰპირდა ელცინს სანაცვლოდ სამაჩაბლო და აფხაზეთი?

ღმერთმა ნუ ქნას, ჩემი ეჭვი გამართლდეს.

1 აგვისტოს მწერლები ჩარგალში გავემგზავრეთ პატარა ავტობუსით („რაფს“ ეძახიან):

რ. ჭეიშვილი, დ. მჭედლური, ტ. ჭანტურია, ი. ქემერტელიძე, ლ. მრელაშვილი, გ. ბენაშვილი, ე. ღლონტი, შ. ხოდაშნელი, მე და კომპოზიტორი შალვა დავითაშვილი.

ჩარგალში მზიანი დღეა. ბევრი ხალხი მოვიდა. გვიმასპინძლა სახლ-მუზეუმის დირექტორმა – ვაჟას შვილიშვილმა – ალექსი რაზიკაშვილმა.

რ. ჭეიშვილმა, დ. მჭედლურმა და მე სიტყვები ვთქვით. ა. რაზიკაშვილმა აივანზე სუფრა გაგვიშალა. იქვე იყო ვაჟა ადამიაც.

გურამ ბენაშვილი შეზარხოშდა. მოვიდა, უსიტყვოდ გადამეხვია, გად-

ამკოცნა და მითხრა: ვიცი, რაც... მაქვს შენთან ნაჭამი, მაგრამ უნდა მაპატიოო – ხუტას და მუხრანის მეთაურობით ჩემს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას გულისხმობდა.

ვერაფერი ვუთხარი.

დღეს (5 აგვისტო) „განთიადში“ პაოლო იაშვილზე ავთ. ნიკოლეიშვილის წერილს ვკითხულობდი და ბევრი რამ მენიშნა ჩემი ბიოგრაფიიდან. პაოლოს, ლამის, მთელი მწერალთა კავშირი დაესხა თავს, მოღალატე და ჯაშუში ხარო.

მახსოვს ჩემს წინააღმდეგ მუხრან მაჭავარიანის და ხ. ბერულავას ბრძოლის კამპანია. ჯერ რედკოლეგიის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი განცხადება „ახკომში“, ხუტას და მუხრანის მეცადინეობით, უარყო გრიშა ჯულუხიძის გარდა რედკოლეგიის ყველა წევრმა – გ. გაჩეჩილაძემ, ე. კვიტაიშვილმა, გ. გვერდწითელმა, გ. ბენაშვილმა...

ტვინში სისხლი კინაღამ ჩამექცა. ნუთუ ასე ადვილად შეიძლება გაგყიდონ და უნამუსოდ იცრუონ-მეთქი შენმავე ძმაკაცებმა.

ამ „სპექტაკლის“ ბოლო წევრი – გ. ბენაშვილი ჩარგალში შემირიგდა.

რა ამაზრზენი დღეები მქონდა. მუხრანი და ხუტა „კრიტიკიდან“ რომ მაგდებდნენ. პრეზიდიუმის სხდომაზე მუხრანმა მოიწვია „კაგებეს“ აგენტი სამი მწერლუკა. უკვე გაშიფრული სუკის თანამშრომლები დარაზმა ჩემს წინააღმდეგ.

მარტო მაშინ კი არა, მერეც არაერთგზის გამოიყენა ჩემს წინააღმდეგ მუხრანმა ერთგული „სამეული“.

დრო ყველაფერს ჰკურნავს?

არა მგონია.

ახლა ვერ მერევიან, თორემ ახლაც ბალღამი აქვთ სულში. თ. წივწივაძემ მითხრა, რა დაუშავე ორ „მეგობარ“ პოეტს – თავი მოიკლეს და „ლიტერატურულ გაზეთის“ რედკოლეგიაში შენი თავი არ შემაყვანინესო. რა მოტივით-მეთქი – ეგაო, ჭკუის სწავლებას დაგვიწყებსო.

შური! როდის იყო ვინმეს ჭკუას ვარიგებდი. ჩემი ნაკლი ის არის, რომ პირში თქმა მიყვარს.

6/VIII-23/VIII 92

ზუგდიდში მოსალაპარაკებლად ჩასული შინაგან საქმეთა მინისტრი გვენცაძე და მისი თანმხლები პირნი დააპატიმრეს.

14 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნე დიდი სტატია სათაურით: „რა გადაარჩენს საქართველოს?“ სხვათა შორის, ვწერდი ახალი ხელისუფლების ღირსებებზე და ნაკლზეც.

14 აგვისტოს საქართველოს ეროვნული არმია კიტოვანის წინამძღოლობით აფხაზეთში შევიდა.

გაიმართა ბრძოლები.

იხოცება ხალხი.

მე ტელევიზიით მხარი დავუჭირე ქართული ჯარის შესვლას საქართველოში (აფხაზეთში) და ვთქვი, კი არ უნდა შესულიყო, თავიდანვე იქ უნდა მდგარიყო-მეთქი. აფხაზეთი საქართველოა და ქართული ჯარი, აბა, სად უნდა იყოს-მეთქი.

გარეწარმა არძინბამ (ორიოდე კვირის წინ აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა და დამოუკიდებლობა რომ გამოაცხადა) უკანასკნელ ღონეს მიმართა, აგვიმხედრა გულუბრყვილო, უკულტურო და უწარსულო აფსუები. თვითონ გუდაუთაში გამაგრდა.

შევარდნაძე შიშმა შეიპყრო, რაკიღა ელცინმა განაცხადა, მე კატეგორიულად მოვთხოვე შევარდნაძეს, მაგრამ არ გამოჰყავს ჯარები. ეს ნიშნავს, რომ რუსი კვლავ ვერაგობს, არ გვეხმარება ჩვენი ტერიტორიის დაცვაში, მაშინ, როცა ეს ფუნქცია მან იკისრა დაგომისის ხელშეკრულებით და თავისი წყეული ჯარები აქა ჰყავს.

ელცინის განცხადებით გულმოცემული ჩრდილოეთი კავკასია საქართველოს დასალაშქრავად ერთიანდება. „მთიელთა კონფედერაციამ“ შეკრიბა მოხალისეთა ლაშქარი და 23 აგვისტოდან საომარი მდგომარეობა გამოგვიცხადა.

ჩვენ კი ჯერ საყოველთაო მობილიზაციასაც არ ვაცხადებთ.

დავურეკე ვახტანგ გოგუაძეს: რას ელოდებით, სასწრაფოდ გამოაცხადეთ მობილიზაცია, მიმართეთ „გაეროს“, „ნატოს“ (ჯონი შალიკაშვილი), მოგვაშველონ ჯარები, თორემ რუსეთი ახლა უკვე ჩრდილოეთ კავკასიის ხელით ჩვენს დაპყრობას აპირებს-მეთქი.

ვეტყვი შენს აზრს შევარდნაძესო, დამპირდა.

უთხრა? ვინ იცის.

შედეგი არ ჩანს.

24/VIII-26/VIII 92

25 აგვისტოს რადიოში გამოვედი და ვთქვი, რატომ ბოლომდე არ ვიცით საქმის მიყვანა, რად ველოლიავებით არძინბას – მან ხომ ეს ომი წამოიწყო-მეთქი.

26-ში დილით ჩემმა ცოლმა ოდნავ გამოაღო კარი და კარზე გამობმული მავთული შენიშნა. დავუძახეთ მილიციას.

მოვიდნენ. გამზადებული ხელყუმბარა აღმოჩნდა. თუ კარს ბოლომდე გამოვწევდით, აფეთქდებოდა.

აი, ტერორიც! ეს ან ზვიადისტების გაკეთებულია, ან აფხაზი ტერორისტების, ან ჩვენი საყვარელი ხელისუფლების. არც ერთს არ ვეხატები გულზე.

მე სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ ჩემი ოჯახის წევრებს რაღას ერჩოდნენ?

26/VIII-2/IX 92

აფხაზეთში ომი დღითი დღე ფართო მასშტაბებს იძენს.

როგორც ჭრელი გველები, ისე გადმოდიან საქართველოს დასაპყრობად ჩრდილოეთკავკასიელი ბნელი, მუსლიმანური ტომები.

იღუპებიან ქართველი ბიჭები. ჩემი შვილი 31-ში დაბრუნდა გაგრიდან. ჰყვება, ათიოდე, რუსების მიერ მოწყალებად მოგდებული, ძველი თუხთუხა ტანკი გვაქვს და სამ ჯარისკაცზე ერთი ავტომატიო.

დღეს, 1 სექტემბერს, 60 ცხედარი ჩამოასვენეს ანგელოზივით ქართველი ბიჭების.

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მთელი მსოფლიო ჩვენს მოსპობას ცდილობს.

15 აგვისტოს რუსებმა 1000 ავტომატი „აჩუქეს“ აფხაზებს (გამოაცხადეს, წაგვართვესო?!) ხოლო 31 აგვისტოს გუმისთასთან რუსებმა ცეცხლი გაგვიხსნეს. სულმა წასძლიათ ქართველთა დახოცვისკენ. აქამდე აფხაზ-ჩეჩენთა ზურგს ეფარებოდნენ, ახლა ვეღარ მოითმინეს და გვესროლეს.

შევარდნაძემ ელცინს პროტესტი განუცხადა. ელცინმა ახალგამოღვიძებულის სახე მიიღო, მე არაფერი ვიცოდიო.

გუდაუთას აწი რაღას ავიღებთ. ხვალ ელცინთან შეხვედრაა. რას დაავალებენ შევარდნაძეს? რით შეუკრავენ ჩვენს არმიას ხელ-ფეხს?

2/IX-26/X 92

ისე გავიდა თვე, რომ ქაღალდს და კალამს არ გავკარებივარ.

დღედაღამ ენაგადმოგდებული დავრბივარ; საქართველოში სამამულო ომია და საომარი მდგომარეობა უნდა გამოცხადდეს, „ყველაფერი ფრონტისთვის“ – ეს ლოზუნგი ამოვიღოთ ძველი სტრატეგიული სკივრიდან-მეთქი.

ვინ გისმენს.

შევარდნაძე ყოველდღე ატარებს 5-საათიან სახელმწიფო საბჭოს სხდომებს უშედეგოდ – საბჭო, როგორც მოველოდი, მხოლოდ სალაყბოა და მეტი არაფერი.

ნერვიულობისგან კუჭის წყლული გამიმიზეზდა, მუხლის ანთებამაც შემომიტია. ჯოხით დავდივარ.

ოქტომბრის პირველ დღეებში აფსუა-ჩეჩნებმა რუსის ჯარის უშუალო დახმარებით შემოგვიტიეს და გაგრა წაგვართვეს. „ვრემიამ“ აჩვენა, რა ფართხაფურთხით გამორბოდნენ ჩვენი ბიჭები ახალი, რუსული, დისტანციური მართვის ტანკების დანახვისას.

მესამე დღეს წაგვართვეს განთიადი და ლესელიძეც.

თითქმის დავმარცხდით.

ჩვენი „გვარდია“ სოხუმისკენ გამოიქცა და აქ გამაგრდა.

ჯერჯერობით ჩეჩნები, რუსები და აფსუები სოხუმს არ უტევენ.

შევარდნაძე გაფითრებული, შეშფოთებული ლაპარაკობს: რუსებმა (ელცინმა) მოგვატყუეს, 3 სექტემბრის ხელშეკრულებით ხელები შეგვიკრეს და აფხაზებს იარაღ-ცოცხალი ძალით დაეხმარნენო.

მე ვიცი, რომ ჩვენ აფსუა-ჩეჩნებთან კი არა, რუსებთან დავმარცხდით, მაგრამ დამარცხებულის სინდრომი საშინელი ყოფილა.

აღებულ ტერიტორიაზე მტრებმა ქართველთა ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. სამასი ქართველი ერთბაშად დახვრიტეს სტადიონზე. აუპატიურებდნენ მცირეწლოვან გოგონებსაც კი. მთლიანად დახვრიტეს ქართველი ექიმები და ქართველი ავადმყოფები საავადმყოფოში. სასქესო ორგანოები დააჭრეს და ისე მოკლეს აფხაზკურორტის დირექტორი ბარამია.

აფხაზეთიდან გამოქცეულთა რიცხვმა 30 ათასს გადააჭარბა.

ჯერჯერობით ჩვენი თავზარდაცემული ჯარი სოხუმიდან ნაბიჯს ვერ დგამს წინ.

1 სექტემბერს რუსებმა 6 ტანკი დაგვიწვეს. 3 სექტემბერს შევარდნაძეს ეს ფაქტი არ უხსენებია.

11 ოქტომბერს პარლამენტის არჩევნები ჩატარდა. აირჩიეს შევარდნაძე თავმჯდომარედ.

არა და შევარდნაძის პოლიტიკამ აბსოლუტური კრახი განიცადა.

დავკარგეთ სამაჩაბლო (დაგომისის ხელშეკრულება).

დავკარგეთ აფხაზეთი (3 სექტემბრის მოსკოვის ხელშეკრულება).

უკან წავედით ეკონომიურად.

ვერ ავლაგმეთ ბანდიტები!

სად ჩანს შევარდნაძის დიდი სიბრძნე? ეს დავწერე ბორჯომის გაზეთში 10 ოქტომბერს.

ამის გამო:

კვლავ გადამიკეტეს (ეს უკვე მერამდენედ) გზა რადიო-ტელევიზიისკენ.

არ გადასცეს 9 სექტემბერს ჩანაწერი ტელევიზიით (რ. ოსეფაიშვილმა ჩაწერა).

არ გადასცეს 22 ოქტომბერს ორი ჩანაწერი (ც. შანიძემ ჩაწერა).

ესეც თქვენი დემოკრატია.

ისე არ მოვკვდებოდე, რომ აფსუა-ჩეჩენი მკვლელების დარდი ჩამყვეს სამარეში, სხვისას არას დავეძებ.

ნუთუ გაგრას ველარასოდეს დავიბრუნებთ?

ერთი თვის წინ ჩვენი ჯარი გუდაუთას მიადგა და შევარდნაძე გაჭიჭინდა – არ შეხვიდეთო!

რაშია საქმე?

27/X-5/XI 92

მცხეთაში და ლამისყანაში დავით გურამიშვილის საიუბილეო დღეები გავმართეთ. ორივეგან სიტყვით გამოვედი, ორასი წლის დავით გურამიშვილი დღესაც გვაფრთხილებს – „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი, – ყველა ჩვენი მტერია-მეთქი. გვაფრთხილებს – როგორც მამლები, ნუ დაწიწკნით ერთმანეთს-მეთქი.

3 ნოემბერს რუს-აფსუა-ჩეჩენთა გაერთიანებულმა ჯარმა სოხუმს შეუტია. რის ვაი-ვაგლახით მოიგერია ჩვენმა ჯარმა შეტევა, მაგრამ დავკარგეთ 35 კაცი და სამი ტანკი. ფაქტიურად რუსეთს ვებრძვით. 3 და 4/XI-ს რუსულმა თვითმფრინავებმა დაგვბომბეს სოხუმთან (ამის შესახებ გ. ხაინდრავამ განაცხადა), ჩვენი პარლამენტი კი უბრალო ნოტასაც არ უგზავნის რუსეთის მთავრობას.

რაშია საქმე?

ჯანრი კაშია მეწვია უნივერსიტეტში. დიდხანს ვილაპარაკეთ. ოპტიმისტია. ასე და ასეა ჩვენი საქმე, რუსი გვღუპავს-მეთქი, სამაგიეროდო, მორალური გამარჯვება ჩვენს მხარეზეაო. ევროპის პრესა კარგს წერს ჩვენზეო.

ეს რა შეღავათია-მეთქი, რატომ გვეპყრობა-მეთქი ევროპა და ამერიკა ღარიბი ნათესავივით, რატომ ქმედითად არ გვეხმარება-მეთქი. დრო მოვა – დაგვეხმარებაო.

როდის მოვა ეს დრო? სანამ პეტრე მოვიდოდეს, პავლეს ტყავს რომ გააძრობენ?

4-ში პარლამენტმა დაიწყო მუშაობა. ისევ სატელევიზიო მეტიჩრობანი, პარტიული ამბიციები, სხდომის კულტურის დაბალი დონე.

6/XI-9-XI, 92

პარლამენტის პირველმა სხდომებმა ჩემზე ამაზრზენი შთაბეჭდილება დატოვა.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა არადემოკრატიულობამ.

როცა სიგუას არჩევის საკითხი დადგა; ჯერ 7-ში უყარეს კენჭი და მერე 8-ში. 7-ში ელექტროგამომთვლელებზე ჩაფლავდა სიგუა, მაგრამ 8-ში ბიულეტენებით ხელმეორედ უყარეს კენჭი და აირჩიეს.

ეს არის უპრეცენდენტო შემთხვევა არჩევნების ისტორიაში.

აი, როგორი დემოკრატები ვართ.

მე მგონი, ეს სპეციალურად გაკეთდა.

ჯერ წყალში გადააგდეს სიგუა, მერე ამოიყვანეს, გადაარჩინეს. ამით აგრძნობინეს, პარლამენტის ყურმოჭრილი მონა იქნებიო.

თუ ხვდება ამას სიგუა?

10/XI-16/XI, 92

აფხაზეთში დაიღუპა ნუკრი ასლამაზაშვილი – ახალგაზრდა მხატვარი. გვარდიელი. ავღანეთის ომში ნაბრძოლი.

ულამაზესი, უჭკვიანესი ჭაბუკი იყო. ჩემთან მოვიდა და თავისი ნახატები მიჩვენა შარშან. მაშინვე ჩამოვატარე რედაქციები, რამდენიმე ნახატი „ღიმილში“ – დავუბეჭდე. ახლა სახლში მაქვს ჩემდამი მოძღვნილი მისი კარიკატურა - „გემრიელ კაცს – რევაზ მიშველაძეს“.

ცუდ ხასიათზე ყოფნა რას მიქვია, მკვდარი ვარ.

14-15-ში ვანში ვიყავით. გალაკტიონის იუბილე ჩავატარეთ. ნოდარ ტაბიძე არ იყო. ქუთაისიდანაც არც ერთი მწერალი არ ჩამოვიდა (?)

დღეს 16 ნოემბერია. გალაკტიონის იუბილეს ვატარებთ ოპერის თეატრში. გურამი გახსნის.

თუ მომცეს სიტყვა – მხოლოდ გალაკტიონის ცხოვრების პირად მაგალითზე ვილაპარაკებ.

17/XI-22/XI, 92

17 ნოემბერს ოპერაში გალაკტიონის ასი წლის იუბილე ჩავატარეთ.

კარგად წარიმართა.

გ. ფანჯიკიძემ გახსნა. სიტყვები გრ. აბაშიძემ, რ. ჭეიშვილმა, მე, მ. ლებანიძემ და სხვებმა ვთქვით.

შევარდნაძე ესწრებოდა.

ჩემს სიტყვაში, სხვათა შორის, აღვნიშნე, გალაკტიონმა ისიც გვასწავლა, რომ მწერალი ხელისუფლებას არ უნ და ჩაეხუტოს, ან რაც უფრო უარესია, თავი არ გაისაპნოს-მეთქი.

ბოლოს შევარდნაძე კულისებში ამოვიდა, ყველას ხელი ჩამოგვართვა და ღიმილით მითხრა: ბატონო რეზო, მართალია, გალაკტიონი მთავრობას არ ეხუტებოდა, მაგრამ პარტიაზე ბევრი ლექსი დაწერაო.

ასეთი გადაკვრითი პოლემიკა პირველი არ არის ჩვენს შორის. ჩემს ყოველ ფრაზას მტკივნეულად განიცდის და ცდილობს, სამაგიერო გადამიხადოს.

მე ჩემი გზა მაქვს.

21 ნოემბერს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნე ნოველა „საქართველო რუსის თვალით“.

რუსი ისეა გაბითურებული, როგორც იმსახურებს. ირონია თვალში საცემია, ალბათ, ბევრს არ მოეწონებოდა ზევით.

ცუდად ვარ. კუჭის წყლული მაწუხებს.

ნათელას არ მინდა ვაგრძნობინო.

23/XI-27/XII, 92

მთავრდება ეს წელიც. სევდიანი, სისხლიანი, ტკივილიანი წელი.

ჩემს სამშობლოს „სისხლი და ცხედრები“ რომ უხვად მოუტანა.

შარშან ამ დროს ოპოზიცია თბილისს ანგრევდა გამსახურდიას დასამხობად.

ახლა? რა მოგვიგია შევარდნაძის ჩამოყვანით?

ვაის გავეყარე, უის შევეყარე ხომ არ გამოგვივიდა?

ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა ისევ რუსის მონობაში საქართველოს შებრუნების პოლიტიკაა და სხვა არაფერი.

„დაგომისის“ ხელშეკრულებით სამაჩაბლო დავკარგეთ. შეიძლებოდა, სამშვიდობო ძალები ისევ ოსებისგან და რუსებისგან ყოფილიყო შედგენილი?

3 სექტემბრის ხელშეკრულებით აფხაზეთს ვკარგავთ.

ჩვენი შვილების სისხლი უმოწყალოდ იღვრება.

შიმშილი, ყაჩაღობა.

უკან-უკან მივდივართ.

ვყეფ პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში (21 დეკემბერს ხორავას სახლში საღამო გავმართე, იქაც ვთქვი): ჩვენ რუსს ვერ მოვერევით, იქნებ სჯობდეს, გაეროს და ამერიკის არხებით ვიმოქმედოთ რუსეთის იმპერიაზე-მეთქი.

ვის ესმის.

ამ განწყობილებით ვხვდები ახალ წელს.

28/XII 92-10/I – 93 წ.

უგემურად შევხვდით ახალ წელს ქართველები.

უიმედობის, მელანქოლიის ტყვე ვარ.

წერა-კითხვის ხალისი არა მაქვს.

ტელე-რადიო საშინლად მაღიზიანებს ცეკვა-თამაშის და საახალწლო ღრეჯვა-იუმორის გახშირებით.

ახალი წლის ღამეს მთელი თბილისი ზანზარებდა, ისეთი ბათქა-ბუთქი ატყდა.

თოფების, ავტომატების, ტყვიამფრქვევების ხმა ისე არეულიყო ერთმანეთში, გეგონებოდათ, ტყვიის წვიმა მოდის, ესაა ომი დაიწყოო.

რა იყო ეს? პროტესტი ხელისუფლების უნიათობის მიმართ, თუ გაფრთხილება?

იქნებ ორივე ერთად?

პარლამენტის „განცხადების“ გამო შევარდნაძე და ჩიკვაიძე ორი კვირაა თავიანთ ინტერვიუებში ბოდიშს უხდიან რუსეთს.

გუშინწინ რუსებმა სოხუმი მეათეჯერ რომ დაბომბეს, შევარდნაძე იძულებული გახდა „გაეროსთვის“ წერილი გაეგზავნა – სამშვიდობო ჯარები შემოიყვანეო, მეორე ხელით კი გოცირიძე (ვიცე-პრემიერი) აფრინა მოსკოვს – სამანეთო ზონაში ვრჩებით, თქვენი ძმა ვართო.

ასეთია შევარდნაძის „პოლიტიკა“. რა ჰქნას. ორ ცეცხლშუაა.

სამანეთო ზონაში დარჩენა ხომ სნგ-ში შესვლას ნიშნავს.

კიტოვანი აშკარად გადაუდგა შევარდნაძეს.

„იბერია სპექტრში“ ინტერვიუ დაბეჭდა: ჩვენ ძალაუფლება იმიტომ გადავეცით შევარდნაძეს, ჩვენზე გამოცდილი და სახელმწიფოს მართვაში ჩახედული გვეგონა, ეს კი პირიქით იქცევა, ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანაო.

ერთი სიტყვით, მთავრობაში განხეთქილება დაიწყო. შევარდნაძის „მესიობის“ იმედი საპნის ბუშტივით გაქრა. ხალხში უიმედობამ დაისადგურა.

მთავარია, სიმართლეს ამბობდეს მწერლობა – ეს მოუსყიდველი რაზმი, კარიერის კიბეს რომ არ ებღოტიალება და ხელისუფლებისგან მხოლოდ ერის სწორად გაძღოლას მოითხოვს.

ზუგდიდში ორი კვირაა გრძელდება მჯდომარე აქცია მოთხოვნით – შევარდნაძე გადადგეს! უკვე სტუდენტებიც შეუერთდნენ.

26 ნოემბერს სტუდენტურმა ორგანიზაციებმა შევარდნაძეს გაფრთხილების წერილი მისწერეს; რადიკალურად შეცვალე რუსებისადმი და აფსუეებისადმი შენი კომპრომისული პოლიტიკა, თორემ სტუდენტობა ერის მოღალატედ გამოგაცხადებთო.

ტელევიზიით პასუხი გასცა. ზოგი სტუდენტი ინფორმირებული არ არისო.

სოხუმს ყოველდღე ბომბავენ.

იღუპებიან ჩვენი ულამაზესი ბიჭები.

ხსნა არსით არის.

საახალწლო მილოცვაშიც („საქ. რესპუბლიკა“, 1 იანვარი) ეს განწყობილება გამოვხატე.

11/I-25/I 93

გაზეთები წერენ, რომ შარშან, 14 დეკემბერს, შევარდნაძის დავალებით ცქიტიშვილმა გუდაუთაში ხელი მოაწერა შეთანხმებას აფხაზეთიდან ქართველთა ჯარების გამოყვანის შესახებ.

ამ საიდუმლო შეთანხმებამ გაჟონა. მაშინ ნადარეიშვილმა, ნათაძემ, წერეთელმა... განგაში ატეხეს და შევარდნაძემ განაცხადა: „მე არ ვიცოდი, სამხედროები რაღაცაზე შეთანხმებულან, თუ საქართველოს არ უნდა, ნუ შევასრულებთო“.

ახლაც: 6 თუ 7 იანვარს თავდაცვის საბჭოს სხდომაზე უთქვამს: – გამოვიყვანოთ ჩვენი ჯარი აფხაზეთიდან, თორემ რუსი დაგვსჯისო.

არძინბაო? სიგუას უკთიხავს. არძინბა პოლიტიკური ფიგურაა და ჯერ-ჯერბით უნდა დარჩესო, უბრძანებია.

კიტოვანს და სიგუას პროტესტის ნიშნად სხდომა დაუტოვებიათ.

მე მითქვამს და თქვენი ნებააო, უთქვამს შევარდნაძეს. ეს ნათაძემ მითხრა.

მერე ირანში წაბრძანდა ჩვენი მეთაური. ირანის შაჰმა პატივით მიიღო, მაგრამ არცერთ კონკრეტულ ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერიათ.

რატომ ენდომება ირანს საქართველოს ეკონომიკური შველა?

მოსკოვიდან ვინმე კოვალიოვის ხელმძღვანელობით დელეგაცია ჩამოვიდა, „დიდი ხელშეკრულების“ III გადამწყვეტი რაუნდი უნდა შედგესო.

თბილისში ელცინსაც მოელიან.

დავრბივარ აფხაზეთიდან ლტოლვილთა დასაბინავებლად – ჭირს.

23 იანვარს სერგი ჭილაია დავკრძალეთ.

ბევრი ვირბინეთ მე და ფანჯიკიძემ, სახელმწიფოს ხარჯზე დაკრძალვისთვის რომ მიგვეღწია.

„თამაშიდან გასული“ სერგი აღარავის ახსოვდა.

მთავრობა პანაშვიდზეც არ მოვიდა.

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები ვთქვით: გ. ფანჯიკიძემ, გრ. აბაშიძემ, გ. ციციშვილმა, მე, გ. გვერდწითელმა და დ. მჭედლურმა.

არძინბა თავისიანებმა მოკლესო. ტელევიზიამ გვითხრა. მეორე დილით არძინბა „თავისუფლებიდან“ მოგვესალმა.

26/I-30/I 93

ირაკლი წერეთლის და ნოდარ ნათაძის თაოსნობით 26 პარტია შეიკრიბა და დაადგინეს: 1. საქართველომ, როგორც ოკუპირებულმა ქვეყანამ, ხელი არ მოაწეროს არავითარ ხელშეკრულებას რუსეთთან, სანამ რუსის ჯარი არ გავა საქართველოდან. 2. უნდობლობა გამოეცხადოს შევარდნაძის აშკარად პრორუსულ პოლიტიკას.

გაზეთები ლამის ერთხმად აკრიტიკებენ შევარდნაძეს.

გაზეთ „მიმოხილველში“ რამიშვილი მისეულ პორტრეტს ხატავს შევარდნაძისას.

უნივერსიტეტში შემომიარა მურმან ლებანიძემ (ნათესავზე მთხოვა, აფხაზეთში იბრძვის და მიშუამდგომლე – მოსამზადებლიდან არ გამირიცხონო), დავჯექით ჩემს კაბინეტში და ორ საათზე მეტ ხანს ვისაუბრეთ საქართველოს უბედურ ბედზე.

წელინადია, ლექსი არ დამიწერიაო. ძალიან გულგატეხილი ვარო, ვისზე-მეთქი, ჩემს ხალხზეო...

გულგატეხილი შეიძლება იყო ზვიადზე, შევარდნაძეზე, პარლამენტზე, მაგრამ ქართველ ხალხზე გული არ გაგიტყდეს, ჩვენ ბრწყინვალე ერი ვართ-მეთქი. როგორ შეიძლება, პოეტს თავისი ერის იმედი არ ჰქონდეს-მეთქი.

შევარდნაძეზე ჩამოვარდა სიტყვა. მე მგონია, მოვტყუვდით, ედუარდი რუსის დავალებითაა ჩამოსული და ჩვენს თავისუფლებას დაღუპავს-მეთქი.

რა ვიცი, არა მგონიაო, ედუარდი ამას არ იზამს თავის სახელს საწყევრად არ დაუგდებს შთამომავლობასო. მე მისი მჯერა და მხარს ვუჭერო.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ ნოველები გამოვაქვეყნე აფხაზეთის ომზე.

31/I-21/II 93

8 თებერვლის „თბილისში“ გამოვაქვეყნე წერილი: „ვაი, რა მწარედ ვტყუვდებით!“ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

პირდაპირ ვთქვი; რა უბედურებაც გვჭირს, რუსეთისგან გვჭირს და ჩვენს დამპყრობელთან სამეგობრო ხელშეკრულება არ უნდა დავდოთ, მიუთმეტეს, კაბალურ საწყისებზე-მეთქი.

დავინუნე ხელშეკრულების პროექტის ზოგი მუხლი.

არაა კარგად ჩვენი საქმე. ვიცეპრემიერი შახრაი ჩამოვიდა თბილისში. დაკეტილი კარის მიღმა ორი საათი ესაუბრა შევარდნაძეს.

სოხუმს ისევ ბომბავენ.

რუსმა ჯარი არ გაიყვანა აფხაზეთიდან, დაპირების მიუხედავად.

19 თებერვლის „ლიტ. გაზეთში“ ჩემს ნოველას – „ვერ მოვისვენებ“ თბილად გამოეხმაურა გიორგი ალავერდაშვილი.

21 თებერვალს ჩატარდა ეროვნული სათათბიროს II საგანგებო კონფერენცია. არც ერთი მწერალი არ ესწრებოდა ჩემს გარდა.

ირაკლი წერეთელმა კარგი მოხსენება გააკეთა.

გამოვიდნენ მ. ქურდიანი, რუსლან ღონღაძე, გურამ გოგბარიძე, თემურ ჟორჟოლიანი, ვაჟა ადამია, გია ხოშტარია, ნოდარ ნათაძე, ქართლოს ღარიბაშვილი, აკაკი ასათიანი.

წყნარად, მშვიდად, მოწოდებების, ექსცესების გარეშე საუბრობდნენ.

ყველაზე კარგი ის იყო, რომ ერთმანეთის გვერდით ვიჯექით “ზვიადისტები“ და “არაზვიადისტები“. ეს უკვე კარგი ნიშანია.

ვილაც პროვოკატორმა დარბაზში ხელყუმბარა ააფეთქა.

ვიცოდი, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. შინაგანად მზად ვიყავი. „არ შეგეშინდეთ, კარებს ნუ მიაწყდებით, ერთმანეთს არ გადაუაროთ-მეთქი!“ – ვიღრიალე.

ყველანი შედგნენ. ზოგი დარბაზში შემობრუნდა.

კონფერენცია გაგრძელდა.

22/II-8/III 93

კონფერენციის მეორე დღეს „თბილისში“ გამოვაქვეყნე ინტერვიუ: „ერთმანეთისკენ მორცხვად გავაპარეთ თვალი“. ვწერდი: ზოგმა ინტელიგენტმა თავი შეირცხვინა; ამ კონფერენციის ინიციატორები, ლამის მტრებად გამოაცხადა-მეთქი. ხელისუფლებაც ძალიან შეშინდა, დაიწყეს შემოქმედებითი ინტელიგენციის დაბარება და ხვეწნა – „გვიშველეთ“-მეთქი, მზე ჩრდილოეთიდან არასოდეს ამოვა-მეთქი. როგორც ჩანს, ეწყინა ხელისუფლებას, რადგანაც მწერალთა კავშირის ერთმა ხელმძღვანელმა შეშფოთებით მითხრა: „რას ჩააცივდი ხელისუფლებას. შევარდნაძემ კი არ დაგვიბარა, ჩვენ თვითონ მივედითო“.

უვაჟკაცო კაცია-მეთქი ამის მთქმელი, ვერ ვიტყვი, მაგრამ, ეტყობა, დაავალეს, ეს სიტყვები მოწმეთა თანდასწრებით ეთქვა ჩემთვის.

გაზეთ „ხმა ერისას“ მარტის ნომერში ინტერვიუ მაქვს. იქაც ვთქვი ჩემი სათქმელი: „დაგომისი“ და „3 სექტემბერი“ ჩვენი დიპლომატიის მარცხი იყო-მეთქი.

5 მარტს უნივერსიტეტში გავმართეთ ლიტერატურული საღამო.

როინ მეტრეველმა ქართული მწერლობის ფასი კარგად იცის. ჭეშმარიტად ეროვნული პიროვნებაა. ცოტა ენერგია როდი დახარჯა, რომ საღამო ღირსეულად ჩატარებულიყო.

მოვიწვიეთ თითქმის ყველა ცნობილი ქართველი მწერალი – ანა კალანდაძე, შოთა, გრ. აბაშიძე, მორისი, ფანჯიკიძე, რ. ჭეიშვილი... მოკლედ, უმრწემეს ქართველ მწერლებამდე.

დარბაზში ნემსი არ ჩავრდებოდა. როინმა საღამოს თავმჯდომარეობა მე დამავალა.

ეს მეორე ღონისძიება იყო როინის და ჩემს მიერ ჩაფიქრებული საქართველოს გასაერთიანებლად.

7 მარტს საღამო ტელევიზიამ მთლიანად გადასცა.

8/III-21/III 93

16, 17 მარტს რუსეთმა სასტიკად შემოუტია სოხუმს.

რუსის თვითმფრინავებმა ჯერ დაბომბეს, მერე საარტილერიო ცეცხლით იავარჰყვეს საქართველოს ეს ულამაზესი ქალაქი.

ორი ღამე ცეცხლი წვიმდა სოხუმის თავზე.

შევარდნაძე სოხუმში ჩაფრინდა.

როგორც იქნა, დარწმუნდა, რუსი გვებრძვისო და მსოფლიოს გასაგონად გამოაცხადა რუსული აგრესიის შესახებ.

სამასამდე ქართველი დაიღუპა. მათ შორის ჩემი ბიძაშვილის შვილი – ლევან თოდუა.

დაზაფრული დავდივარ.

ამ დილით (19–ში) რუსეთის თავდაცვის მინისტრმა გამოაცხადა (გრაჩოვი); ქართველებს ჩვენ არ ვებრძვით, თვითონ ბომბავენ სოხუმს და ჩვენ გვაბრალებენო.

შეიძლება, წარმოიდგინო უფრო დიდი სიგიჟე?

რუსის გონების სიმწირეს, მართლაც, რომ საზღვარი არა აქვს.

22/III-5/IV 93

1 აპრილს რუსებმა კვლავ დაბომბეს სოხუმი. 110 კაცი დაიღუპა და რვაასი საცხოვრებელი სახლი დაინგრა.

პარლამენტმა მოითხოვა, დაუყოვნებლივ ვამცნოთ ის ბარბაროსული აქტი მსოფლიოს, მივმართოთ დასავლეთს და გაეროსო.

შევარდნაძე კატეგორიულად წინააღმდეგი გამოვიდა.

რა მნიშვნელობა აქვს, გაერო მაინც არ გვეხმარებაო.

ტელევიზიას მითითებას აძლევს. ნუ გაამახვილებ ყურადღებას აფხაზეთის ომზეო.

სწორედ ესაა მიფუჩეჩების პოლიტიკა.

უფრო მეტიც, ერის ღალატი.

მეათასეჯერ ვიმეორებ: ახლა ყოველ ხუთ წუთში მსოფლიოს უნდა მივმართავდეთ.

2 აპრილს ხელოვნების მუშაკთა სახლში საზოგადოებას წარვუდგინე 5 ახალგაზრდა პოეტი: მიხეილ ღანიშაშვილი, სევარიონ ნადირაძე, ტრისტან მახაური, ზურაბ ჯაფარიძე და მურღვა არდოტელი (ნიკო ზვიადაური). ეს უკანასკნელი ვერ ჩამოვიდა ხევსურეთიდან, მაგრამ მისი ლექსები წავიკითხეთ. მიხარია-მეთქი, ვთქვი შესავალ სიტყვაში, ამ უბედურების ჟამს ლექსისთვის რომ მოიცალეთ და მობრძანდით-მეთქი. ამ ხუთ ახალგაზრდა პოეტს შემოქმედებითი პრინციპები, საქართველოსადმი სწორი დამოკიდებულება აერთიანებთ-მეთქი. ეს დღე ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ეს პოეტური დასი ორგანიზებულად პირველად გამოდის-მეთქი ასპარეზზე. გზას ვულოცავ ჩემს უმრწემეს ძმებს და შემოქმედებით გამარჯვებებს, ერის სამსახურს ვუსურვებ-მეთქი.

5 აპრილს ჭაბუა ამირეჯიბი, ლევან სანიკიძე, თამაზ წივწივაძე და მე დიდუბის სამხედრო კომისარიატს ვეწვიეთ, წვევამდელებს ვესაუბრეთ, სამშობლოს წინაშე თავიანთი მხედრული ვალი მოვაგონეთ.

6/IV-10/V

იოსებ ნონეშვილის გახსენების საღამო მოვაწყვეთ ჯერ მწერალთა კავშირში და მერე – კარდენახში (გურჯაანი).

კარდენახში, რატომღაც, სამიოდე მწერალი აღმოვჩნდით.

ეტყობა, იოსების მიმართ ქიშპობის, შურის პროცესი დღესაც გრძელდება.

მწერალთა კავშირში ერთხელ კიდევ ვცადე „ვეფხისტყაოსნისთვის“ მეშველა (ერთხელ უკვე გადავყევი ამ საქმეს), მაგრამ, როგორც ვატყობ, ახლაც ამაოდ.

შევქმნათ-მეთქი კომისია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შემსწავლელი.

მოიწვიეს გურამ კარტოზია. „ვეფხისტყაოსნის“ დამახინჯების აქტიური მონაწილე.

ჯერ მე ვილაპარაკე, მერე კარტოზიას მისცეს სიტყვა.

რა თქმა უნდა, კარტოზიას არც ერთი ფრაზა მართალი არ იყო, მაგრამ მ. ლებანიძის და გ. ფანჯიკიძის გარდა არავინ გამომექომაგა.

კომისიის შედგენა მომავალი კვირისთვის გადაიდო (?)

19-ში ჭაბუა ამირეჯიბის 70 წლისთავის იუბილე მინდა გავმართო.

ჭაბუა თანახმაა. მადლობელი ვარო, ჩემო რეზო, არ მეგონა, თუ ასე გიყვარდიო.

ჩემო ჭაბუა-მეთქი, სამოციანი წლების ქართველი კაცის ფსიქიკაზე არცერთ ნაწარმოებს იმხელა გავლენა არ მოუხდენია, „დათა თუთაშხიამ“ რომ მოახდინა-მეთქი.

ახლა საქართველოს თავზე ახალი დამოკლეს მახვილი გაჩნდა.

შევარდნაძემ კიტოვანი და იოსელიანი ფაქტიურად ჩამოიცილა.

ღმერთმა ჰქნას, აწი მაინც წაიყვანოს წაღმა საქმე.

8 მაისს ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრები სოფელ გომბორს ვაწვიე.

კარგი ლიტერატურული ბავშვები არიან: გულწრფელნი, სუფთანი: ს. ნადირაძე, მ. ღანიშაშვილი, ტ. მახაური, ქ. დოლიძე, ზ. ჯაფარიძე, ი. შიოლაშვილი და სხვანი.

11/V-20/V 93

14 მაისს მოსკოვში დაიბარა შევარდნაძე ელცინმა. დაიბარა, როგორც ვასალი, როგორც ცეკას მდივანს დაიბარებდნენ ურდოში კომუნისტური რეჟიმის დროს.

შევარდნაძეც გახარებული ეახლა პატრონს და აღუთქვა – სოხუმიდან მძიმე ტექნიკას და არტილერიას 20 მაისიდან გავიყვანო.

ეს კი მეტისმეტია.

დაგომისის ხელშეკრულებით შევარდნაძემ გასცა სამაჩაბლო, 3 სექტემბრის ხელშეკრულებით მტერს ჩააბარა გაგრა-ლესელიძე, განთიადი და ახლა მრავალტანჯულ, დანგრეულ-გაპარტახებულ სოხუმს აბარებს.

ჰაერში ღალატის სუნი ტრიალებს.

15 მაისს „შანსის“ კორესპონდენტმა, მარიამ კახაძემ, ინტერვიუ ჩამომართვა. პირდაპირ განვაცხადე: შევარდნაძის პოლიტიკამ ვერ გაამართლა, ეს კაპიტულანტური პოლიტიკაა და დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს-მექთი. დღეს ოცია. ვნახოთ, დაბეჭდავს თუ არა „შანსი“ ჩემს ინტერვიუს.

19 მაისს მწერალთა კავშირში ჭაბუა ამირეჯიბის დაბადების 70

წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო ჩავატარეთ. საღამოს ინიციატორი მე გახლდით. როგორც არ უნდა ვეთანხმებოდე ჭაბუას დღევანდელ პოზიციას, „დათა თუთაშხია“ მაინც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში უპირველესი რომანია. ბოლო ხანებში არც ერთ წიგნს არ მოუხდენია საქართველოს სულიერ ცხოვრებაზე ისე დიდი გავლენა, როგორც „დათა თუთაშხიამ“ მოახდინა.

გურამ ფანჯიკიძემ გახსნა საღამო. მოხსენება მე გავაკეთე. სიტყვები: გრიგოლ აბაშიძე, მურმან ლებანიძე, რეზო ჭეიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ელგუჯა მაღრაძე, არჩილ სულაკაური, ტარიელ ჭანტურია, გენო კალანდია, ოთარ ჭილაძე, ილია რურუა, დავით მჭედლური, გიზო გაბისკირია, ბორის დავითაია, ზაურ ბოლქვაძე. ჭაბუამ დიდი მადლობა გადაგვიხადა,

26/V-1/VI 93

26 მაისის გაზეთ „შანსში“ გამოვაქვეყნე ინტერვიუ – „შევარდნაძე დამსახურებულ პენსიაზე“.

ძალიან გახმაურდა.

ღმერთი, რჯული, შევარდნაძის დიდი იმედი მქონდა და აღარც ვაპირებდი ხელისუფლებასთან ახალ დაპირისპირებას, მაგრამ დუმილი ვერ შევძელი.

რომ არ მეთქვა, გული გამისკდებოდა.

ელცინთან შეხვედრისას ყველაფერი ნათელი გახდა.

შევარდნაძე მტრისთვის სოხუმის ჩაბარებას აპირებს.

მთელი თბილისი „შანსს“ დაეძებდა.

„ზვიადისტებმა“ ამიკლეს ქებით, „შევარდნაძისტებმა“ – გინებით.

მე არცერთ მხარეს არ მივწეპებივარ. მე ჩემი – რევაზ მიშველაძის გზა მაქვს.

გამსახურდიას პრეზიდენტად ჩამოყვანას მივესალმები, შევარდნაძე კი უსათუოდ უნდა გადადგეს-მეთქი.

31 მაისს, ორშაბათს, ტელევიზიამ ჩემზე ქება-დიდება გადასცა რუბრიკით – „წარდგენილია აკაკი წერეთლის პრემიაზე“.

გამიკვირდა.

ან არ წაუკითხავთ „შანსი“, ან კოჭი გამიგორეს.

დღეს 1 ივნისია. მწერალთა კავშირში პრეზიდიუმის სხდომა გვქონდა.

არც ერთ მწერალს კრინტი არ დაუძრავს არც „შანსზე“, არც წუხანდელ ტელეგადაცემაზე.

შური! „წუხილი სხვისა სიკეთესა ზედა“.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია: რ. მიშველაძე (თავმჯდომარე), გურამ ფანჯიკიძე, გრიგოლ აბაშიძე, ნოდარ გრიგალაშვილი, კობა იმედაშვილი, ანა კალანდაძე, ზაურ კალანდია, დავით მჭედლური, ჯანსუღ ღვინჯილია, მურმან ლებანიძე, ემზარ კვიტაიშვილი, შოთა ნიშნიანიძე, თამაზ წივწივაძე, ვახტანგ ჯავახაძე, მურმან თავდიშვილი, გრიგოლ ჯულუხიძე, ზაზა ალექსიძე.

2/VI-18/VI 93

დღეს 18 ივნისია.

12 საათზე სიტყვა ვთქვი ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველ კონფერენციაზე.

3 საათიდან ტელევიზორთან ვზივარ, პარლამენტის სესიაზე შევარდნაძის გადადგომის საკითხი დგას.

ირაკლი წერეთელი და ნოდარ ნათაძე აყენებენ შევარდნაძის გადაყენების საკითხს.

ზოგი მომხრეა, ზოგს შევარდნაძე კვლავ „ბრძენ“, „შეუცვლელ“ კაცად მიაჩნია.

ბოლოს მაინც ვერ შეთანხმდნენ.

შევარდნაძე „ცეცხლოვან“ სიტყვას ამბობს. დაპირებების კორიანტელს აყენებს. ამჯერად გადარჩა.

16 ივნისს აკაკი წერეთლის პრემიის პირველი ლაურეატი გავხდი.

არ ველოდი, სიმართლე გითხრათ.

მეწყინა, რომ შ. ნიშნიანიძე „გააშავეს“. ცხრა კანდიდატიდან ყველაზე მეტად შოთას ეკუთვნოდა ეს პრემია.

17 ივნისს უნივერსიტეტში შეხვედრა მოვუწყვე ომის მონაწილე ქართველ მწერლებს: ნანა კანდელაკს, აკაკი გეწაძეს, თეიმურაზ ჯანგულაშვილს, ვახტანგ გორგანელს, ლადო სულაბერიძეს, ვასი გვეტაძეს.

ამ დროს ზოგი ჩემი კოლეგა რადიო-გაზეთ-ტელევიზიიდან შევარდნაძეს ეხვეწება: გამკაცრდი, ნუ ხარ ასეთი გულჩვილი, დასაჯე ოპოზიციონერებიო.

19/VI-14/VII 93

ომით, ტკივილით, მტანჯველი, მოლოდინით გავიდა ეს თვე (ცხრამეტი ივნისიდან – 14 ივლისამდე).

ორ ივლისს მტერმა სასტიკად დაბომბა სოხუმი.

ტამიშთან 600-კაციანი დესანტი გადმოსხეს. ჩვენებს, როგორც ჩანს, ღრმა ძილით ეძინათ.

წაგვართვეს სოხუმთან ორი სოფელი: ახალშენი და შრომა.

ჩვენც ვუტევთ, რაც შეგვიძლია.

შევარდნაძე 10 დღეა აფხაზეთშია.

13 ივლისს თავდაცვის მინისტრმა, ყარყარაშვილმა, აფსუას მხარეს გამოუცხადა – 24 საათში თუ ბრძოლას არ შეწყვეტთ, შეტევაზე გადმოვდივართო.

შეიძლება ასე გააფრთხილო და მოამზადო მოწინააღმდეგე?

ამ განცხადებამ მთელი ჩრდილოეთ კავკასიის აღშფოთება გამოიწვია.

დღეს (14/VII) გადის ულტიმატუმის 24 საათი.

ვნახოთ, ხვალ რა იქნება.

13-ში მორის ფოცხიშვილი დავასაფლავეთ.

დავკრძალეთ სამთავროს ტაძრის ეზოში, მცხეთაში.

დავწერე ორი გამოსათხოვარი წერილი. ერთს მწერლების გვარი მოვაწერე („თბილისში“), მეორეს – ჩემი („საქართველოს რესპუბლიკაში“).

ოფიციალურ ნეკროლოგში მწერალთა კავშირს ჩემი გვარი „გამორჩენია“. არა და მორისის უახლოეს მეგობართა შორის ვითვლები.

მჭედლურმა საიდუმლოდ მითხრა, ჩანს, შეეშინდათ, შევარდნაძესთან

შენი ხელმოწერისა, იციან, რომ შევარდნაძეს არ უყვარხარო.

რაც მთავარია, მავიწყდებოდა: 8 ივლისის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნეთ (ჩემი დაწერილია) მიმართვა გამომცემლობებისადმი. ხელს ვაწერთ გ. ფანჯიკიძე, მე, ანა კალანდაძე, შოთა ნიშნიანიძე, მურმან ლებანიძე, თ. წივწივაძე, ჯ. ღვინჯილია, ვ. ჯავახაძე, ნ. გრიგალაშვილი, ე. კვიტაიშვილი...

როგორც იქნა, დაგვირგვინდა „ვეფხისტყაოსნის“ დამახინჯების წინააღმდეგ ჩემი ბრძოლა იმით, რომ გამომცემლები გავაფრთხილეთ: არ დაუშვან აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ დაშვებული შეცდომების გამეორება მასიურ გამოცემებში.

ივნისში გამოვიდა ეროვნული იდეოლოგიის პარტიის გაზეთი „მეობა“. ჩემი ვრცელი ინტერვიუა დაბეჭდილი.

ამ გაზეთში ყოფილი ზვიადისტები არიან, მაგრამ, რაც მთავარია, საშუალედო პოზიცია უჭირავს გაზეთს.

15/VII-31/VII, 93

27 ივლისს შევარდნაძის თანხმობით ვ. გოგუაძემ ხელი მოაწერა რუსეთთან და აფხაზეთთან შეთანხმებას „ცეცხლის შეწყვეტის საკითხებზე“.

სინამდვილეში, ჩემი ფიქრით, ეს არის კაპიტულაცია.

შეთანხმებაში პირდაპირ წერია: „საქართველოს შეიარაღებული ძალები 10-15 დღეში დატოვებენ აფხაზეთის ტერიტორიას“...

თითქოსდა, აფხაზეთი სხვა სახელმწიფოა. ჩვენ კი ოკუპანტები ვიყავით.

არც ერთხელ არ წამოცდა შევარდნაძეს სიმართლე, რომ ჩვენ ჩვენს მიწა-წყალს ვიცავდით რუს და აფსუა გადამთიელთაგან.

მანამდე 3-4 დღით ადრე მწერალთა კავშირში შევარდნაძე მოვიდა.

ჩემი კოლეგების მლიქვნელური სიტყვების ფონზე საკმაოდ მწვავედ გავაკრიტიკე. არ მოაწეროთ-მეთქი ხელი ამ „შეთანხმებას“, მაგრამ „შეაყარე კედელს ცერცვი“. გაძლევთ პირობას, რომ სოხუმში თოფი აღარ გავარდებაო, შევარდნაძემ. აფხაზეთის საქმეს ჩემს თავზე ვიღებო.

თუ სამაჩაბლოს ვარიანტი განმეორდა (საქმე იქითკენ მიდის), საბოლოოდ ვირწმუნებ, რომ ჩვენი პოლიტიკა, რბილად რომ ვთქვა, მცდარია.

28 ივლისს „თბილისს“ ვაახლე წერილი იმის თაობაზე, რომ არ ვეთანხმები „შეთანხმებას“, მაგრამ არ დაბეჭდეს.

ჩანს, დაბრუნდა კომუნისტური წყობა, მხოლოდ იმას ბეჭდავენ, რაც „ცკ-ს მდივანს“ ესიამოვნება.

30 ივლისს „ლიტერატურულ საქართველოში“, როგორც იქნა, დაბეჭდეს ჩემი ნოველა „ძიძგი, ძიძგი, მამალო“.

1/VIII-29/VIII 93

საქართველოში საშინელი შიმშილი მძვინვარებს.

დღითი-დღე ვრწმუნდები, რომ ეს დაგეგმილი შიმშილია.

საქართველოს დაჩოქება (ესენგეში ჩოქვით შესაყვანად) გრძელდება.

ჩემი წერილი რუსეთ-არძინბასთან კაპიტულანტური შეთანხმების დადების შესახებ არ დაბეჭდეს: „თბილისმა“, „ივერია-ექსპრესმა“, „7 დღემ“, სადაც კი ხელი მიმიწვდება, გამოვთქვამ პროტესტს, მაგრამ ვის ესმის. ვგრძნობ, რომ ვკარგავთ აფხაზეთს.

25 აგვისტოს მწერალთა კავშირში გვესტუმრა ქუთაისის მერი თემურ შაშიაშვილი.

გაგვაცნო გეგმა-მარიამობის დღესასწაულის – შერიგების დღის აღნიშვნისა 28 აგვისტოს:

ილოცებს ილია II და მერე სიტყვას იტყვის სახელმწიფოს მეთაურიო.

ეს მკვდარი ღონისძიება იქნება-მეთქი. ორსაათიანი ლიტანია ხალხს მოსწყინდება და შინ წავლენ. შევარდნაძესაც აღარავინ მოუსმენს. იგი ხომ თავის „აზრებს“ დღეში სამჯერ სატელევიზიო გამოსვლით გამოთქვამს-მეთქი. ვინ მისმინა! ჩემს წინააღმდეგ გამოიყვანეს ლიტერატორი ქალი – კივილით იცავდა ჩემგან შევარდნაძეს.

28-ში მწერალთა კავშირის ავტობუსით რ. ჭეიშვილი, ო. ჭელიძე, ვ. ჯავახაძე, ი. ბაზაძე, ნ. გრიგალაშვილი, ლ. სანიკიძე, ა. სალუქვაძე და მე ქუთაისს გავემგზავრეთ.

როგორც ვიწინასწარმეტყველე, ისე გამართლდა ყველაფერი.

ყალბი დაპირებებით თავმობეზრებული ხალხი მალე დაიშალა და წავიდ-წამოვიდა. მე და ლევანი „ამალას“ ახლოს არ გავკარებივართ.

ჩემთვის რომ დაეჯერებინა შაშიაშვილს – გამოეყვანა სამიოდე კაცი, შვილმკვდარი დედა, ახალგაზრდა, უპირველესად ისინი, ვისაც მორალური უფლება აქვს შერიგებაზე ილაპარაკოს, ეს დღე, მართლაც, ეროვნული შერიგების დღე იქნებოდა.

28 აგვისტოს, დილით, 5 საათზე, ლოთი ქობალია 300-კაციანი რაზმით სენაკში და აბაშაში შევიდა. დაამხეს იქ შევარდნაძის ხელისუფლება და სამტრედია-ფოთის ასაღებად ემზადებიან.

ვაი, ჩვენს თავს!

30/VIII-11/IX, 93

ლოთი ქობალიამ მთელი სამეგრელო დაიკავა და 6 სექტემბერს გალში შევიდა.

ზუგდიდში ჩატარდა სესია. ჩამოვიდა პრემიერ-მინისტრი გუგუშვილი და შეუდგა მოვალეობის შესრულებას.

ცხენისწყალთან კბილებამდე შეიარაღებული ქართველები ერთმანეთის პირისპირ დგანან.

საქართველო ფაქტიურად ორ ცალკე სახელმწიფოდ გაიყო.

სანამ იქნება ასე?

შევარდნაძის მხარე გაჰყვირის რადიო-ტელევიზიაში: მეგრელებმა გზა გადაკეტეს და თბილისელთა შიმშილით დახოცვა უნდათო.

სამეგრელოს მთავრობა ამტკიცებს – სიცრუეა, გზა გადაკეტილი არ არის. ჩვენ მხოლოდ სამეგრელოს მარბიელ შევარდნაძის შეიარაღებულ ლაშქარს არ შემოვუშვებთ სამეგრელოში. ეს არის და ესო.

ქობულეთში დაიწყო მოლაპარაკება ექსპრეზიდენტის წარმომადგენელსა და შევარდნაძის წარმომადგენლებს შორის ასლან აბაშიძის შუამდგომლობით.

ნუთუ ზვიადმა და შევარდნაძემ არ იციან, რომ სამოქალაქო ომის დაწყება ორივესთვის სავალალოდ დამთავრდება?

რუსმა მარიონეტები საქართველოს ესენგეში შესაყვანად გამოგზავნა.

ამავე მიზნით დაამხო რუსმა აზერბაიჯანში ელჩიბეის ხელისუფლება და იქაც ყოფილი ცეკას მდივანი ალიევი დანიშნა.

ალიევმა უკვე განაცხადა, მალე აზერბაიჯანი ესენგეში შევაო. ამასვე მალე გააკეთებსო შევარდნაძე.

ქართველთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდიუმის სხდომაზე მე და გურამ შარაძემ სასტიკად გავაკრიტიკეთ საქართველოს ხელისუფლების გამყიდველური პოლიტიკა.

კიდევ ერთი საწყენი საქმე. უეფას თასის გათამაშებიდან გამოაგდეს თბილისის „დინამო“ და ორი წლით დისკვალიფიკაცია მისცეს მსაჯს ქრთამი შეაძლიესო.

ავი ბედი გვდევს, მოსვენებას არ გვაძლევს!

რატომ არ ცხადდება საყოველთაო მობილიზაცია? რით ავხსნათ საქართველოს ტელევიზიის უმოქმედობა მტრისადმი ეროვნული ზიზღის გაღვივების და რუსეთთან ომის საერთო-საყოველთაო ომად მიჩნევის საქმეში?

12/IX-28(IX, 93

27 სექტემბერს სოჩის შეთანხმებიდან (27/VII) ზუსტად ორი თვის თავზე რუსმა, ჩეჩენმა და აფსუა მკვლელებმა სოხუმი წაგვართვეს.

სისხლისგან დაცლილმა ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია.

რით ვანუგეშო ჩემი ტანჯული ხალხი?!

რუსმა დაგვსაჯა თავისუფლების სურვილისთვის.

საქართველოს წაგლიჯა იმპერიამ საუკეთესო ისტორიული ნაწილი: ჯერ სამაჩაბლო, მერე აფხაზეთი.

დაგვრჩა 45 ათასი კვ.კმ-67-დან.

ესეც შევარდნაძის „ბრძნული“ პოლიტიკა.

მსოფლიომ ყური დაიყრუა ჩვენს უბედურებაზე.

ჩემი შვილი 15 დღეა იბრძვის აფხაზეთში. არ ვიცი, ცოცხალია თუ არა.

თუმცა ჩემი უბედურება რა მოსატანია იმასთან, რაც გვჭირს.

შევარდნაძემ 26 სექტემბერს დეპეშა გაუგზავნა ელცინს, საქართველო თანახმაა სნგ-ში შემოვიდესო, მაგრამ უკვე გვიან იყო.

რუსმა დამსჯელობითი ექსპედიცია არ შეაჩერა.

52%-დან (შვიდასი ათასამდე) არც ერთი ქართველი აღარ დარჩება აფხაზეთში.

მტერმა სისხლის ნიაღვარი დააყენა.

გუშინ დილით (27/IX) ველაპარაკე ვახტანგ გოგუაძეს, იმედის წყალი გადაწურული არ ჰქონდა. ორ საათზე კი სოხუმი დაეცა.

ახლა ნაძირალა პოლიტიკოსები ჩიფჩიფებენ; მეგრელებმა გვიღალატეს, თორემ ომს მოვიგებდითო.

ჯერ ერთი, ლოთი ქობალია, ალბათ, ვერ გადავიდა რუსის მიერ გამაგრებულ კოდორზე და მეორე, ვის მოვუგებდით ომს – რუსს?

კიდევ კარგი, კოდორსგამოღმა დარჩენილი ქართველთა ჯარის მცირე ნაწილიც რომ არ მივახოცეთ რუსის გამძვინვარებულ ჯარს.

შევარდნაძის ბოლო მიმართვა ქართველი ერისადმი ცრემლით და ტკივილითაა სავსე.

ჭეშმარიტად ტრაგიკული პიროვნებაა.
მეცოდება.
მაგრამ „სხვა ვინ არ არის ცოდო...“

29/IX-5/X, 93

3 ოქტომბერს ჩემი აჩიკო დაიღუპა.

ჩეჩენგ-აფსუას დაგებულმა ნაღმმა იმსხვერპლაო, ფაცაციამ. ოღონდ არ იცის სად და როდის. მე მგონი, სოხუმიდან გამოსვლისას დაიღუპაო, მეუბნება.

ჩემზე უბედური კაცი აღარ არის ამ დუნიაზე.

ერთადერთი შვილი, ერთადერთი იმედი.

ჩემი აჩიკო...

იქნებ შენმა სიკვდილმა წამით მაინც ჩააფიქროს, შვილო, ის, ვინც ძმათა შორის სიკვდილს თესავს.

ვის ჰქონდა უფლება ჩემთვის ერთადერთი შვილი წაერთმია.

ქუთაისში გავფრინდით მე და ნათელა აჩიკოს ჩამოსასვენებლად.

თბილისიდან ოთარ ფაცაცია და ირაკლი მენაღარიშვილი გაგვყვნენ.

თვალებში ვატყობდი ორივეს, რომ აჩიკო აღარ იყო ცოცხალი. დაჭრილიაო, ეუბნებოდნენ ჩემს ცოლს.

როგორც შაშიაშვილი ამბობს: ხონში ჩეჩენთა ტანკი შესულა. ჩეჩნებს მიუტოვებიათ ტანკი და იქვე სახლში მიმალულან. აჩიკო და მისი თანამებრძოლები ყიჟინით მივარდნიან ტანკს. ეს იყო ჩეჩნური მახე. პირველი აჩიკო შემხტარა. უსვრიათ და იქვე გადაწოლილა ტანკზე.

არ დაიჯერო, აჩიკო სოხუმიდან სასიკვდილოდ დაჭრილი ჩამოიყვანეს და ქუთაისში გარდაიცვალაო, ფაცაციამ.

9/X – შაბათი, 93

ღამის პირველი საათია.

სასტუმრო ოთახში ჩემი შვილი ყინულის საწოლში წევს.

ლამის ერთი კვირაა მდუღარე ცრემლებით, მოთქმით დავტირით.

დღეს კუბოში ჩაასვენებენ და 2 საათზე პროცესია სასაფლაო გზას გაუყვება.

მე ვერ გიყურებ კუბოში, შვილო!

გაზეთები აჭრელებულია შენი სურათებით.

თურმე, მართლა გმირი ყოფილხარ!

10/X-30/X, 93

ნუთუ, ყველაფერი დამთავრდა ჩემთვის.

ნუთუ, წელში ვერასოდეს გავიმართები.

სახლიდან გამოსვლა არ მინდა.

არა მგონია, ოდესმე კალამს მოვკიდო ხელი და ნოველები ვწერო.

ყველაფერმა აზრი დაკარგა.

ეს რა დედალგულა ვყოფილვარ.

დღედაღამ ვტირი.

მინდა, რაც შეიძლება ჩქარა გავიდეს დრო, ჩქარა დავბერდე და მოვკვდე.

აჩიკოს სიკვდილს, ალბათ, ვერ გადავიტან.

რაც დრო გადის, უარეს დღეში ვარ.

გვერდით მიდგანან ჩემი უახლოესი მეგობრები: სოსო ბუხაიძე, გივი გამსახურდია და იგორ კვესელავა, მაგრამ რაღას მიშველიან.

ნათელა რომ არ მეცოდებოდეს, თავს მოვიკლავდი.

არ მინდა მარტო დავტოვო ჩემი უბედური, ბებერი ცოლი.

მოგიკვდა ჩემი თავი, შვილო!

1/XI-23/XI, 93

მწუხარე, თალხისფერი დღეები.

ჩემი სახლი, ჩემი მთავარი საზრუნავი აჩიკოს სასაფლაოა.

თვალს ვარიდებ კედელზე მის ლამაზ სურათს.

სად გაექცევი ხსოვნას, ნივთებს... აჩიკოს დახეულ ფეხსაცმელებს, მის პერანგ-შარვლებს.

საითაც გავიხედავ, ყველაფერი აჩიკოსთან მაკავშირებს: სახლი, გარაჟი, სტადიონი, კუს ტბა...

ჩემი თავი მხოლოდ აჩიკოს გვერდით მახსოვს.

ყველაფერს მისი ხელი ატყვია, მისი ურჩი და ძლიერი ნება მმართავს ახლაც მე, დასუსტებულს და სასომიხდილს.

გაზეთები ყოველდღე ახსენებენ აჩიკოს სახელს.

ამით უფრო მემატება ცრემლი და ურვა.

რა უნდოდა შენთან სიკვდილს – ჩემო მიმინოსავით შემართულო, ფრთალაღო ბიჭო.

დიდებული ლექსები დაწერეს ჩემს დაღუპულ შვილზე შოთა ნიშნიანიძემ, გრიგოლ ჯულუხიძემ და ემზარ კვიტაიშვილმა.

საქართველოში კვლავ უბედურება ტრიალებს.

აფხაზეთი და სამაჩაბლო ისევ მტრის ხელშია.

რუსეთმა დაგვიმონა, დაგვაქცია და გაგვთელა.

გუშინ მე და ვაჟა აბაკელიამ მანქანა გავუჩერეთ მათხოვარ დედაბერს. გავესაუბრეთ, ნიკო კეცხოველის და აღმოჩნდა.

ვაჩუქეთ ცოტა ფული.

24/XI-15/XII, 93

იწურება ეს საზიზღარი წელი.

ყველაზე უბედური წელი საქართველოს ისტორიაში.

საქართველოს უბედურება ჩემზეც განაწილდა, რომ უფრო მეგრძნო საშინელება, რაც რუსეთმა თავს დაგვატეხა.

საშინელი შიმშილი და განუკითხაობა ტრიალებს ირგვლივ.

ყაჩაღობა, მკვლელობა...

დაჩოქილ საქართველოს მღვდელ გაპონივით შეუძღვა ესენგეში შევარდნაძე.

სამასი ათასი ლტოლვილი, აფხაზეთიდან რუსის ჯარის მიერ თხებივით გამორეკილი ქართველები, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მხვდებიან. მოთქვამენ... გამკითხავი არავინ არის.

მსოფლიო გაუყუჩდა ამ საუკუნის ტრაგედიას. რა დავაშავეთ?

გავედი სახლიდან. ლექციებს ვკითხულობ.

ჟურნალზეც ვზრუნავ.

მწერალთა კავშირშიც დავდივარ. სიტყვაც ვთქვი პავლე ინგოროყვას იუბილეზე, მაგრამ ამას ყველაფერს რობოტივით, მექანიკურად ვაკეთებ.

გული მაქვს ამოცლილი.

დილით რომ გავიღვიძებ, მინდა ყველაფერი სიზმარი იყოს.

მივაყურადებ, იქნებ დაბრუნდა, იქნებ ჩემი ცისფერთვალება ბიჭის ჩახველება გავიგონო.

ნათელა წავა-წამოვა ოთახში და ისევ აჩიკოზე იწყებს ლაპარაკს.

სულ აჩიკოს ხსენებაშია.

ადრე მაშინებდა აჩიკოს ტანსაცმელი, ახლა პირიქით, მინდა მისი ჩანაცვამი ჩავიცვა. ასე მგონია, ასე ურფო ახლოს მყავს გულთან.

ლამაზი სასახლე-სასაფლაო გავუკეთე ჩემს ანგელოზს.

ჩემი სასაფლაოც ეს არი.

მოვიდა აჩიკოს შეყვარებული გოგო-ნატო.

ხუთი საათი გაუჩერებლად ტიროდა.

შენც დამნაშავე ხარ, შვილო, შენც... შენ მაინც რატომ ვერ გააჩერე-მეთქი.

ყველას გაეპარა.

„სიბერეს და მომავალ ცოლ-შვილს“ გაეპარა, როგორც შოთა ნიშნიანიძემ დაწერა.

მკვდარი, ალბათ, ყველა საყვარელია, მაგრამ ვინც მხვდება, სასწაულებს ამბობს მის სიკეთეზე, ვაჟკაცობაზე, მიმნდობ ხასიათზე, სიალალე-გულუბრყვილობაზე.

თურმე, მეც არ გიცნობდი კარგად, შვილო.

რომ იცოდე, მშობელმა რა საშინელებაა შვილის სიკვდილი, ფრჩხილებით დაკაწრავდა-მოსპობდა ყველა იარაღს დედამიწაზე.

გურჯაანში ვიყავი ნათესავებთან, თვალმიხელაშვილებთან. ცრემლები მაღრჩობდა იმ ადგილებში რომ გავიარე, სადაც შარშან მე და აჩიკო ვნადირობდით.

16/XII-93 – 12/II 94

პირველ ახალწელს შევხვდით აჩიკოს გარეშე.

რომ ყოფილიყო, ნაძვისხეს მოაწყობდა, სახლს გაალამაზებდა, ბიჭებს დაუძახებდა, იქეიფებდა. შემეხვეწებოდა: ახლა ეს მოყევი, ახლა ეს იმღერეო.

იცინებდა, იხითხითებდა თავისი ლამაზი სიცილ-თვალებით.

მუმიებივით ვიჯექით მე და ჩემი ცოლი გალიგვებულ რადიატორთან.

ხანდახან ჩუმად, უსიტყვოდ გავხედავდით ერთმანეთს.

ახლა უფრო მიყვარს ჩემი ცოლი, ვიდრე ოდესმე.

მიყვარს და მეცოდება.

დამნაშავედ ვგრძნობ თავს, რომ ვერ დავიფარე, ვერ შევინარჩუნე, აჩიკო. გამოვაქვეყნე “საქართველოს რესპუბლიკაში“ აჩიკოზე ნოველა „სიზმარი“.

„ლიტერატურულ გაზეთში“ გრიგოლ ჯულუხიძის მშვენიერი, ამატირებელი ლექსია აჩიკოზე.

ოპერაში დაგვიძახეს და შევარდნაძემ დაღუპული ბიჭების 12 მშობელს ორდენები გადმოგვცა.

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი – ჩემი შვილის სიცოცხლის ფასად.

რა სასაცილოა სიამაყეც და გულზე პატრიოტულად ხელის ბრაგუნიც ახლა ჩემი მდგომარეობიდან.

ვკითხე, თქვენ ხომ იცოდით, ბატონო ედუარდ, რომ შიშველი ხელებთი (და საერთოდაც) ჩვენი შვილები რუსებს ვერ დაამარცხებდნენ, რატომ წაიყვანეთ, რატომ გასწირეთ-მეთქი.

მდუმარედ შემომაცქერდა. რა უნდა ეპასუხა.

3 თებერვალს ელცინი (იმპერატორი) თბილისს ეწვია. დიდი პატივით (როგორც მეფეს ეკადრება) მიიღეს. დაასაჩუქრეს, დაბადების დღე მიულოცეს და რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს.

რუსეთს სამხედრო ბაზების უფლება მივეცით საქართველოს ტერიტორიაზე, სამანეთო ზონაში მიღებაც ვთხოვეთ.

მოკლედ, ისევ შევბრუნდით იმპერიაში.

ამ სასაცილო პომპეზური მასპინძლობიდან სამი დღის შემდეგ (7 თებერვალს) აფსუა-ჩეჩენ-რუსთა გაერთიანებულმა ბანდამ სასტიკად დაარბია გალში დარჩენილ-დაბრუნებული ქართველობა.

რვა სოფელი გადაწვა, ორასამდე ქართველი დახვრიტა. ოთხი ათასამდე გამორეკა ამ ცივ ზამთარში და წალენჯიხის ტყეებში შეყარა, რათა ორ მეტრომდე თოვლში, ყინვაში წამებით დახოცილიყვნენ.

8,9,10 თებერვალს გაწამებული ხალხის ნაწილმა წალენჯიხაში ჩამოაღწია. თან მოჰქონდათ მკვდრები, გაყინულ ხელ-ფეხს ძლივს მოათრევდნენ.

ისევ დევნა, ისევ გოლგოთა. მეექვსეჯერ გვიმუხთლა რუსეთმა. ახლა მაინც რაღას იტყვის მეექვსეჯერ მოტყუებულ-გაცურებული შევარდნაძე?

7-ში მწერალთა კაშვირში ჯაბა იოსელიანი მოვიდა.

პრეზიდიუმს შეგვხვდა. შექმნილ ვითარებაზე გვესაუბრა.

სხვათა შორის, გულახდილად, ვაჟკაცურად ილაპარაკა. მიკიბვ-მოკიბვის და ფაქტების შელამაზების გარეშე.

ჩემს კითხვაზე – ხომ შეგვათრიეს ესენგეში, ხომ დაგვაჩოქეს საბოლოოდ, ახლა მაინც რაღა საჭირო იყო გალის დარბევა-გადაბუგვა, რატომ დუმს რუსეთი-მეთქი, გვიპასუხა: მე თვითონაც ვერ ვხვდები, რაშია საქმეო. იქნებ ელცინმა არც იცის, რაც გალში ხდებაო.

ჯაბა ისე მიამიტი კაცი არ არის, რომ მართლა სჯეროდეს, რაც გვიპასუხა.

მსოფლიო? რატომ აგვიანებს ასე საეჭვოდ გაერო რეაგირებას?

12/II-5/III 94

პირველ მარტს პარლამენტის სხდომას დავესწარი.

როგორც პრესის წარმომადგენელს („ღიმილის“ მთავარ რედაქტორს), მოსაწვევი ბარათი გამომიწერეს.

როგორ შემეძლო არ დავსწრებოდი ამ კრებას, რომელზეც საქართველოს ბედი წყდებოდა.

ეს იყო ერთ-ერთი უსაშინლესი სანახაობა, რაც ჩემს ცხოვრებაში მინახავს.

ყელის გამოღადვრამდე იხვეწებოდა, ჰყვიროდა, იმუქრებოდა ოპოზიცია (ნ. ნათაძე, თ. პაატაშვილი, მ. ურიდია, ფ. საყვარელიძე, ი. სარიშვილი, ლ.

შაკიაშვილი, ა. ბობოხიძე, ი. მელაშვილი...), როგორმე გადადებულიყო კენჭისყრა. „სამშობლოს გამყიდველებს“, „ერის მოღალატეებს“, „კომუნისტებს“ უწოდებდნენ სადისტური სიმშვიდით მხსდომ რუსეთუმეებს, პარლამენტის მორჩილ უმრავლესობას. ვაი, რომ გამყიდველთა შორის რამდენიმე მწერალ-დეპუტატიც იჯდა.

ხელისუფლებას ყველაფერი გათვლილი ჰქონდა და ამიტომაც მშვიდად იყო.

ბოლოს წყალწაღებული ოპოზიცია ხავსს ჩაეჭიდა – მოითხოვა, თანამდებობაზე დანიშნული დეპუტატები მაინც ნუ მიიღებენ მონაწილეობას კენჭისყრაში, ისინი ხომ წესდებით პარლამენტის წევრებად აღარ ითვლებიანო.

არც ამ სრულიად ბუნებრივ მოთხოვნაზე დათანხმდა სპიკერი.

შედგა კონსტიტუციურად სრულიად უკანონო კენჭისყრა და „უმრავლესობამ“ გაიმარჯვა.

საქართველო სნგ-ში შევიდა.

კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი გადაიშალა ქართველი ერის ისტორიაში.

არა და, არ არის საქართველო ამის ღირსი.

ესენგეში შესვლისთვის რომ „მოემზადებინათ“, დაამარცხეს, დაარბიეს, დაამშიეს, ხერხემალში გადატეხეს საქართველო, ერის მოაზროვნე ნაწილი (და მე მგონი, უმრავლესობაც) არ არის რუსეთის იმპერიის წიაღში შებრუნების, დამოუკიდებლობის დაკარგვის მომხრე.

პარლამენტზე მაღლა ხომ რეფერენდუმი დგას, ჩაატაროს რეფერენდუმი შევარდნაძემ და ნახავს, რა სურათსაც მიიღებს.

წყეული იყოს 1994 წლის პირველი მარტი.

იგი შავი ასოებით ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში.

ვინ იცის, კიდევ რამდენი წლით შევყავით თავი მონობის ყულფში.

იმედი! იმედი!

მთავარია, თავისუფლებისთვის ბრძოლა არ შევანელოთ. მთავარია, დამოუკიდებლობის სურვილი არ ამოვიღოთ გულიდან.

კულუარებში ვისაც კი მივწვდი, ავუხსენი, რომ ესენგეში შესვლა ჩვენი ხელით ჩვენი დამოუკიდებლობის დასამარებას ნიშნავს. ხელისუფლებიდან ერთადერთმა რ. ბერიძემ (პარლამენტის სპიკერმა) მისცა ხმა სნგ-ს წინააღმდეგ.

რა პასუხს გასცემენ შთამომავლობას საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვისთვის ხმის მიმცემი დეპუტატები?

6/III-21/III 94

უსიხარულო დღენი მიჰქრიან.

16 მარტს შევარდნაძეს შევხვდი.

დაახლოებით ერთ საათს ვიჯექით პირისპირ, მის კაბინეტში.

თბილად მიმიღო. მეუღლის ჯანმრთელობა მკითხა.

უნდა გაუძლოთო. ხომ არაფერი გიჭირთო.

მადლობა მოვახსენე, ძალიანაც რომ გვიჭირდეს, თქვენ არ შეგაწუხებთ, თქვენ ჩვენთვის სადა გცალიათ-მეთქი.

ვისაუბრეთ საქართველოს ბედზე...

ვკითხე, ესენგეში შესვლის წინააღმდეგი გახლავართ, თქვენ ეს იცით-მეთქი.

გასაგებია, ეს შენი რწმენაა, რასაც ძალიან ვაფასებო. შენ ის კაცი არა ხარ, შენი შეხედულებანი კონიუნქტურაზე ააშენოვო.

თუ გქონდათ-მეთქი ჩამოსვლის დროს განზრახული ესენგეში შესვლა?

არაო. თუ დააკვირდები, ბევრი ვეცადე, არ შევსულიყავიო.

რუსებმა ორჯერ გამწირესო – ერთხელ სოხუმში, მეორედ, გამსახურდიას სამტრედია რომ ააღებინეს და თბილისისკენ მოჰყავდათო.

თბილისთან ძალაუფლებისთვის საშინელი ხოცვა-ჟლეტა გაიმართებოდა და მთელი საქართველი დაიღუპებოდაო.

თუ გაქვთ იმედი, რომ აფხაზეთს დავიბრუნებთ-მეთქი.

ადრე მეტი იმედი მქონდა, ამერიკაში ვიზიტმა ცოტა არ იყოს, შემაფიქრიანაო.

არძინბა დასავლეთმა მხარედ აღიარა და არა საქართველოს შემადგენელი ტერიტორიის ექსტრემისტ წარმომადგენლად. ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი სიძნელეები გველისო.

თანაც, ახლა ელცინი ძალაუფლებას მთლიანად ვერ ფლობს, რუცკოი და ხაზბულატოვი ციხიდან მისი სურვილის წინააღმდეგ გამოუშვეს, პარლამენტი თვითნებობს, ასეთ შემთხვევაში, მე მგონი, წართმეული აფხაზეთის დაბრუნება გაგვიჭირდებაო.

თუ ასეა, თქვენ უნდა იზრუნოთ იმაზე, რომ თქვენი გვარი მაინც გადაარჩინოთ, თუ გინდათ აგცდეთ სერგო ორჯონიკიძის ხვედრი, თუ მარტის ბოლომდე ვერ დავიბრუნეთ აფხაზეთი, უნდა გადადგეთ და გააკეთოთ აღსარების მსგავსი განცხადება იმის შესახებ, თუ როგორ მოგატყუათ ვერაგმა რუსეთმა და როგორ დაიპყრო ამ საუკუნეში მეორედ საქართველო-მეთქი.

გაფართოვებული, ნაღვლიანი თვალებით მიმზერდა.

ვერ შევატყვე, ისულგულა თუ არა ჩემი რჩევა.

ტკბილად გამომაცილა.

22/III-29/IV 94

ვაკის პარკის გვერდით, ჩასასვლელთან, ქუჩას აჩიკოს სახელი მიანიჭეს. აჩიკოს სახელი მიანიჭეს მის მშობლიურ 54-ე სკოლასაც.

იქნება თბილისში არჩილ მიშველაძის სახელობის სკოლა და არჩილ მიშველაძის ქუჩა.

მეტი რა შეეძლო გაეკეთებინა ოცი წლის ბიჭს თავისი სამშობლოსთვის და თავისი თავისთვის.

სიცოცხლე მისცა სამშობლოს.

სამშობლო კი უბედური ბედის წყალობით კვლავ თავდაღმა მიექანება.

ოთხ ადგილას ვმუშაობ, რომ ლუკმაპური ვიშოვო და აჩიკოს საფლავის მომვლელ ქალს ორიოდე კაპიკი გადავუხადო.

მხოლოდ დიდვაჭრები და ბანდიტები ირჩენენ დღეს თავს საქართველოში.

21 აპრილს „შანსში“ ინტერვიუ მქონდა. კიდევ ერთხელ გავიმეორე: ნუ ვეძებთ ჩვენში მოღალატეებს და ჩვენს თავში ომში დამარცხების მიზეზებს.

დროა, ამ ომს თავისი ნამდვილი სახელი – რუსეთ-საქართველოს 1992-93 წლების ომი დავარქვათ-მეთქი.

ხელისუფლებას არ მოეწონა ჩემი ინტერვიუ. ვახტანგ რჩეულიშვილმა – არ გეთანხმებიო. გიგა ლორთქიფანიძემ – შენი, ინტერვიუ რომ წავიკითხე – წნევამ ამიწიაო. დავანებოთ თავი რუსის გაღიზიანებას, თორემ უარესს გვიზამსო.

29 აპრილს, პარლამენტში, დიდი შეხლა-შემოხლა, გაწევ-გამოწევა გაიმართა. ნათაძემ რჩეულიშვილს „სიყვარულით“ ნაბიჭვარი უწოდა, რჩეულიშვილმა სახეში „ბორჯომი“ შეასხა.

შეფურთხებას „ბორჯომი“, რასაკვირველია, სჯობს.

30/IV-30/V 94

14 მაისს საქართველომ აფხაზეთთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ენგურზე შეიქმნა ოცდაათკილომეტრიანი „სამშვიდობო“ ზონა. ამ ზონაში რუსის ჯარი ჩადგება. ამავე ხელშეკრულებით საქართველომ დალის ხეობიდან დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანოს პარტიზანული შენაერთები. ე.ი. „აფხაზეთის სვანეთიც“ გაიყიდა, მტერს ჩავაბარეთ.

რა შეიძლებოდა მომხდარიყო ამაზე უარესი?

თურქეთთან (სხვა სახელმწიფოსთან) ჩვენ გვაქვს ასმეტრიანი საზღვარი, ხოლო ევროპის სახელმწიფოებს ერთმანეთთან საზღვარი საერთოდ არა აქვთ. ჩვენ კი, დამპყრობელმა რუსეთმა აფხაზეთთან (ჩვენს მიწასთან) ოცდაათკილომეტრიანი საზღვარი დაგვიდო. ესე იგი, მთლიანად და სავსებით მოგვწყვიტა აფხაზეთი.

და ამ დამამცირებელ, კაპიტულანტურ ხელშეკრულებას ხელს ჩვენივე ხელისუფლება უწერს რუსეთს.

საქართველოში მაისში ორი ზეიმი ჩატარდა: 23-25 მაისს უნივერსიტეტის იუბილე, 26 მაისს – დამოუკიდებლობის 76 წლისთავი.

თუ უნივერსიტეტის იუბილეს, როგორც ცოდნის ტაძრის, ეროვნული ინტელიგენციის აღმზრდელი დაწესებულების ზეიმს, კიდევ აქვს რაღაც გამართლება, 26 მაისს თავისუფლების მოედანზე დამარცხებული ჯარის პარადის გამართვა ყოვლად გაუმართლებელია.

ტრიბუნაზე კომუნისტურად, ყელმოღერებით მდგარი ბელადები – გამარჯვებულის იერით მდგარი შევარდნაძე და გოგუაძე დამშეულ, კუპონით გაუბედურებულ ხალხს ხელისანევით ესალმებოდნენ.

რას ვზეიმობთ? დამოუკიდებლობის დაკარგვას? 30 ათასი ბიჭის წართმეულ სიცოცხლეს? 300 ათასი უსახლკარო ქართველის სიბეჩავეს თუ წაგლეჯილ 25 ათას კვადრატულ კილომეტრს?

სიბრაზისგან გული კინაღამ გამისკდა, ტელევიზორში პარადს რომ ვუცქეროდი.

25 მაისს საერთაშორისო სიმპოზიუმზე მოხსენებით გამოვედი. ვისაუბრე იმაზე, თუ როგორ „სძულდათ საუკეთესო ქართველ მწერლებს დამპყრობელი რუსეთის იმპერია. ბოლოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მეცნიერებს შენიშვნის სახით მოვახსენე – რატომ გაიმეორეს თქვენმა ქვეყნებმა 1921 წლის შეცდომა, რატომ მოხდა, რომ დასავლეთმა და ამერიკამ ერთი

საპროტესტო ნოტაც კი არ გაუგზავნეს რუსეთს, რომელმაც ასე უმოწყალოდ ფეხქვეშ გათელა-მეთქი საქართველო 1992-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომში-მეთქი.

თავები ჩაქინდრეს.

ერთმა „ფხიზელმა“ ლიტერატორმა პროტესტი გამოთქვა ჩემი მოხსენების პოლიტიკური მიმართულების გამო.

შესვენების შემდეგ შევაჩერე დერეფანში – მე მამაშენს – ელიზბარ უბილავას და შენს მეუღლეს ნიკა ანდრონიკაშვილს პატივს ვცემ და როგორ ვნანობ, რომ ასეთი შეზღუდული გონების „ლიტერატურათმცოდნე“ ყოფილხარ-მეთქი.

1/VI-22/VI 94

მამუკა წიკლაურმა და მე მუხათწყაროში ღარიბულ სუფრასთან შუაღამემდე ვისაუბრეთ.

ჯიუტი ერთგულება დასახული მიზნისადმი. შეუპოვრობა ერის მოღალატეებისადმი, მათი დაუმორჩილებლობა რუსული ალიკაპის მიმართ – ახლა ესაა მთავარი.

თავიდანვე რომ სწორი პოზიცია დაეჭირა დასავლეთის მიმართ ზვიადს, ალბათ, რუსეთი ასე უტიფრად და ულმობლად ვერ გაბედავდა ჩვენს დასჯას.

აჩიკოზე მშვენიერი ლექსები დაწერეს ჯანო ჯანელიძემ და აკაკი გეწაძემ.

სკოლამ (54-ე) და ინსტიტუტმა (აჩიკო უნივერსიტეტთან ერთად ფიზკულტურის ინსტიტუტშიც სწავლობდა) ხსოვნის საღამოები გაუმართეს ჩემს გმირ შვილს.

ლევან სანიკიძე, შოთა ნიშნიანიძე და მე ვესწრებოდით. ბევრი ვიტირე.

უჭირს საქართველოს.

მატყუარა ხელისუფლება ხელს არ ანძრევს, ქვეყანა სიდუხჭირისგან რომ იხსნას. ოთხ ინსტიტუტში ვკითხულობ ლექციებს, რომ ორი კაპიკი ვიშოვო და ოჯახი გამოვკვებო.

ჩვენი თავი ჯანდაბას, ოჯახის ახალ წევრს, შიო მიშველაძეს (უკვე 5 წლისაა), რომ მოშივდეს, სირცხვილით დავიწვები.

დიდი იმედით შეჰყურებს თავის „მწერალ ბაბუას“ შიო.

რუსეთი კვლავ დაგვცინის. ენგურთან თავის სახლში დასაბრუნებელი ქართველების გადარჩევა დაიწყეს.

აფსუს!

23/VI–20/VII 94

19 ივლისს მორის ფოცხიშვილის გარდაცვალების წლისთავი იყო.

ახალგაზრდა მსახიობებმა რუსთაველის თეატრში მორისის პოეზიის საღამო გამართეს.

შოთა ნიშნიანიძე და მე ერთად წავედით.

დუღდა და მქუხარებდა სცენაზე მორისის პოეზია.

ბევრი ლექსი, თითქოსდა, დღევანდელი დღისთვის – დღევანდელ დღეზე იყო დაწერილი.

ერთ ლექსში ბრალს სდებდა ერის მოღალატე ქართველს, რომელმაც ისევ დათვს ჩაუგდო ხელში საქართველო.

პირდაპირ ზედგამოჭრილი იყო...

მაყურებელმაც იგრძნო ეს.

დარბაზში ტაშმა იგრიალა. ფეხზე წამომდგარნი უკრავდნენ ტაშს მორისს და მსახიობებს.

20/VII-20/VIII 94

იწურება ეს ზაფხულიც.

კიდევ ერთი მწუხარე ზაფხული საქართველოსთვის.

საქართველოს მთავარი პრობლემა ისევ გადაუწყვეტელია.

„სამშვიდობო ძალებმა“ კიდევ ერთხელ მწარედ მოგვატყუეს.

უფრო სწორად, მოატყუეს შევარდნაძე, მე თავიდანვე ვიცოდი, რა სამშვიდობო ძალებს გამოგვიგზავნიდა რუსეთი.

აღარა აქვს საზღვარი საქართველოს დამცირებას.

რუსის ჯარისკაცებმა მავთულხლართები გაავლეს ზუგდიდის გასწვრივ. აფხაზეთი საბოლოოდ მოსწყვიტეს საქართველოს.

19 აგვისტოს ათი ათასამდე ქალ-ბავშვი მშვიდობიანი მსვლელობით აპირებდა გალში, თავის სახლებში დაბრუნებას.

რუსმა ჯარისკაცებმა ისინი კონდახებისა და პანღურის ცემით უკან გამოაბრუნეს.

რა საშინელებაა უღონობისა და უილაჯობის განცდა.

ახლახან ტვინში სისხლი ჩაექცა საქართველოს უბედურების გადამკიდეს – გრიგოლ აბაშიძეს.

სიონიდან გამოვასვენეთ.

რატომ მწერალთა კავშირიდან არ უნდა გამოვასვენოთ-მეთქი, ამით ხომ მწერალთა კავშირის მნიშვნელობა მცირდება, რომელი ეპისკოპოსი ან ბლაღოჩინი იყო-მეთქი გრიგოლ აბაშიძე, მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში ჩემთვის ჩავილაპარაკე, იქ იმ დროს ერთი სუკის აგენტი მწერალი იჯდა, და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გრიგოლ აბაშიძის ნეკროლოგიისათვის ჩემი გვარი არ მიეწერათ. არა და – ბ-ნი გრიგოლი უსაზღვროდ მიყვარს და კარგი მეგობრებიც გახლდით.

მაგრამ ეს არაფერი.

მე საქართველოს დარდი მკლავს. რა ბედნიერია ჩემი აჩიკო, რომ რუსის მიერ (და რუსის დაქირავებულ ქართველთა მიერ) საქართველოს განადგურებას ვერ მოესწრო.

იმპერიის აღორძინება იმაშიც ჩანს, რომ თითქმის ყველა თანამდებობაზე (რაიონებშიც გამგებლად) ყოფილი პარტიული ფუნქციონერები დასვეს.

რუხთან, ზუგდიდთან სხედან ლტოლვილები, მოშიმშილეები და მოთქვამენ – დააბრუნონ თავიანთ სახლებში.

აფხაზეთის იარაღით დაბრუნების ილუზია გაქრა. ახლა იქ რუსის მრისხანე ჯარი დგას საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწვეული და ხელდასხმული.

ბოლომდე გაიყიდა საქართველო.

ახლა, სანამ ეროვნული ძარღვი კიდევ ფეთქავს, სასწრაფოდ უნდა შეი-

კრიბოს პარლამენტი და სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს 14 მაისის ხელშეკ-რულება, გაყვანილ უნდა იქნან რუსის „სამშვიდობო ძალები“ საქართველოს ტერიტორიიდან.

რუსეთის ანექსიას ჩვენ მაინც ნუ დავეთანხმებით.

21/VIII-21/IX, 94

საქართველოში პური გააძვირეს.

ათასი კუპონიდან პური ორასიათას კუპონამდე აიყვანეს და ამას ეკო-ნომიკურ რეფორმას ეძახიან.

მწერალთა კავშირში 1924 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილი ორი საღამო გავმართეთ.

ამით მწერალთა კავშირმა თავისი პოზიცია გამოხატა.

მე და აკაკი ბაქრაძე გამოვედით.

ვთქვი – რა კეთილშობილნი ჩანან ისინი, ვინც 1924 წელს საქართ-ველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას შეეწირა და რა უბადრუკი ის ჩემი კოლეგები, ვინც საქართველოს თავისუფლების განსყიდვას, საქართველოს სნგ-ში შესვლას ხელი მოაწერა-მეთქი.

საქართველოს დამონების დაკანონება ისევ გრძელდება.

ქართული ჯარის შექმნა-გამაგრებაზე ლაპარაკიც აღარ არის.

ენგურის ხიდთან ისევ ამაოდ შიმშილობენ ლტოლვილნი.

გრაჩოვმა შევარდნაძე გუდაუთაში ჩააფრინა და არძინბასთვის ხელი ჩამოართმევინა.

მერე სოჭში, იმპერატორ ელცინთან ჩაიყვანა ორივენი, როგორც კურდ-ღლები, ელცინმა ჯერ შევარდნაძე მიიღო და მერე არძინბა.

მერე არძინბა... შევარდნაძისთვის მიცემული პირობის გასაბათილე-ბლად.

ამ შეხვედრიდან მესამე დღეს არძინბამ გამოაცხადა – არავითარი ლტოლვილების დაბრუნება, 1 ოქტომბრიდან მხოლოდ საბუთების გადასინ-ჯვას ვიწყებთო.

ასე იცის იმპერიამ.

თვითმფრინავში შევარდნაძემ განცხადება გააკეთა:

ელცინს ვკითხე, თუ ჩემი პიროვნება არ გაწყობთ, გადამაყენეთ და სხვა დანიშნეთ-მეთქი.

ნუთუ ვერ მიხვდა ამხელა გამოცდილების პოლიტიკოსი, რომ ამით მან საქართველოს დამოუკიდებლობას გადაუსვა ხაზი და მსოფლიოს ამცნო, რომ რუსის დანიშნულია?

გამწარებული ხალხი შიმშილისგან თავის დასაღწევად კვლავ ჩარჩობს, ხოცავს, ძარცვავს ერთმანეთს.

მე და ლევან სანიკიძე საბურთალოდან მოვდიოდით.

ვაკე-საბურთალოს გასასვლელში, ჯერ ავტომატის ჯერი მოგვესმა, ხუთ წუთში ზემოდან წითელი „ჟიგული“ გადმოაგდო ვიღაცამ. „ჟიგულში“ სამი დაცხრილული ბიჭი აღმოჩნდა.

ალბათ, ესეც „გაუხსნელ საქმედ“ დარჩება.

ახლოვდება ჩემი შვილის დაღუპვის წლისთავი.

შარშან ამ დროს იგი ჯერ კიდევ ცოცხალი მყავდა.

ბოლნისში „სიონობა“ დაარსდა, მწერლებიდან ლევან სანიკიძე და მე გამოვედით. ვთქვი: სადაც სიონი დგას, იქ საქართველოა, სადაც ლიხნის ტაძარი, ბიჭვინთის ტაძარი და სხვა ქართული ძეგლები დგას, იქაც საქართველოა, იცოდეს მტერმა-მეთქი.

22/IX-5/XI, 94

10-დან 17 ოქტომბრამდე ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი ჩავატარეთ.

კონგრესის თავმჯდომარე რეზო ჩხეიძეა. მე და ლევან სანიკიძე პრეზიდიუმის წევრები ვართ.

300 ემიგრანტი ქართველი ჩამოვიყვანეთ მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან. ამდენი ფული კონგრესმა ვერ მოაგროვა და რ. ჩხეიძემ შემწეობა მთავრობას სთხოვა. მთავრობამ კი, თავის მხრივ, თურმე დასაპატიჟებელთა სიაც შეაცვლევინა რ. ჩხეიძეს და თავისი პირობებიც უკარნახა: კონგრესი ხელისუფლების „ბრძნული პოლიტიკის“ აღსანიშნავ საზეიმო შეხვედრად უნდა იქცესო.

დაიწყო 10 ოქტომბერს, ფილარმონიის დიდ დარბაზში.

რ. ჩხეიძემ გახსნა. გამოდის ილია II, თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოზე ბრძნულად, მისებურად ლაპარაკობს, გამოდის შევარდნაძე. არც ერთი სიტყვა იმაზე, რომ ხელახლა დაგვიპყრო რუსეთმა და საქართველო ილუპება. გამოდიან უცხოელი ქართველები ბაგრატიონ-დედოფლები და ბურბონები, ამერიკელი პენსიონერი ზალდასტანიშვილი, ნოე ჟორდანიას ვაჟი – რეჯებ ჟორდანია და ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილი. არც ერთი სიტყვა საქართველოს უბედურებაზე. თითქოს, შარშან რუსეთთან საშინელი ომი არ გადაგვეხადოს, თითქოსდა რუსს 30 ათასი ბიჭი არ მოეკლას, 300 ათასი ქართველი სახლ-კარიდან არ გამოეყაროს და 25 კვ.კმ არ ჩამოეჭრას საქართველოსთვის.

ლამის სისხლი ჩამექცეს.

რა ხდება, ჩვენ ხომ ეს კონგრესი სხვაგვარად გვქონდა ჩაფიქრებული.

ამ დროს ჩემი გვარი მომესმა (ყოჩაღ, ბატონო რევაზ).

ახლა მე ვიცი:

ტრიბუნაზე რომ შევდექი და დარბაზს გადავხედე, საოცარი სიმშვიდე დამეუფლა.

ერთადერთი ის მაწუხებდა, ვაითუ, შემაწყვეტინონ და სათქმელი ვერ მოვასწრო-მეთქი.

მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

ვთქვი, საქართველო დღეს ოკუპირებული და ანექსირებულია-მეთქი, ვთქვი, რა გააკეთე, მსოფლიოვ, საქართველოს საშველად-მეთქი... (ჩემი სიტყვა უცვლელად ერთადერთმა გაზეთმა – „ახალგაზრდა ივერიელმა“, დაბეჭდა).

ტაშის გრიალმა გამომაფხიზლა.

სცენიდან კარგა ხანს არ გამიშვეს.

დაჯდომის დროს შევარდნაძეს შევავლე თვალი, მიტკლის ფერი ედო.

მეორე დღეს საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე მთხოვა გამოსვლა რეზო ჩხეიძემ და იქაც თითქმის იგივე გავიმეორე: აქ რუსის ტყვიით განგ-

მირულ ჩვენს შვილებს სძინავთ-მეთქი (ეს სიტყვა „ლიტერატურულმა საქართველომ“ დაბეჭდა მოგვიანებით, 4 ნოემბერს).

14 ოქტომბერს დასავლეთში გავემგზავრეთ კონგრესის წევრებთან ერთად ლევან სანიკიძე და მე.

მიხარია, რომ მე და ლევანი ამ ბოლო დროს ერთად ვართ, ყველგან ერთად გამოვდივართ.

ჩვენი აზრები ბევრწილად ემხთვევა ერთმანეთს.

კარგია, რომ მეგობარი ამავე დროს შენი თანამოაზრეც არის.

სიტყვები ვთქვით ქუთაისშიც და ბათუმშიც. მე და ლევანს საერთო საზეიმო განწყობილებაში დისონანსი შეგვქონდა რუსეთ-საქართველოს ომისა და საქართველოს ოკუპაციის ფაქტის ხაზგასმით.

ახლა სტუმრებზე; რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დაბალი დონის, არაფრის გამკეთებელი უცხოელი ქართველები იყვნენ ჩამოსულნი. საქმეზე („დედა-ენის“ წაღება, საქართველოს მდგომარეობის შესახებ სტატიის გამოქვეყნება...) რომ დაელაპარაკებოდი, სიტყვას ბანზე აგიგდებდნენ. თავიდან იცილებდნენ კონკრეტული საქმის გაკეთებას. ბოლოს, ბანკეტზე გულმა არ მომითმინა და ვთქვი, სამასი ქართველი ხართ ჩამოსული და თითოეულმა თითო კონკრეტული საქმე თუ არ დაივალეთ, ამ კონგრესს ფუჭად ჩავლილად ჩავთვლი-მეთქი. შეიშმუშნენ, არა გვყავს, არა ეროვნულად მოაზრონე დიასპორა საზღვარგარეთ.

სასაფლაოზე გამოვიდა რუსის ქალი გორიუხინა და ტირილით თქვა, ამ საფლავებს და ბატონ რევაზ მიშველაძეს რომ შევცქერი, მრცხვენია რუსეთის გამო, თქვენ ხომ რუსებმა დაგიხოცეს შვილებიო.

მადლობა ღმერთს, იშვიათად, მაგრამ ასეთი რუსებიც არსებობენ.

უნივერსიტეტში გავმართეთ ტერენტი გრანელის (აფხაზეთის უნივერსიტეტმა ითავა) და გაბრიელ ჯაბუშანურის საღამოები.

ბევრი ხალხი მოვიდა.

ახლა ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მწერლობას ისევ ნდობით შეხედოს ქართველობამ.

სამწუხაროდ, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა მწერლობის და პროგრესული ჟურნალისტიკის ხმა ჩაკლას.

წაგვართვეს ქაღალდი, სტამბები.

აღარ გამოდის „ცისკარი“, „მნათობი“, ჩემი ჟურნალიც – „ღიმილი“ შეფერხდა.

„ლიტერატურული საქართველოღა“ ფეთქავს თამაზ წივწივაძის დიდი ძალისხმევით და ისიც 100 ათასის ნაცვლად 2 ათასი იბეჭდება.

6/XI-17/XI, 94

ქუთაისში გადაიხადეს საჯარო ბიბლიოთეკის 120 წლისთავი.

თბილისიდან აკაკი ძიძიგური, ლევან სანიკიძე, რეზო ჭეიშვილი და მე მიგვიწვიეს.

წვიმდა ქუთაისში.

გასაოცარი ის გახლდათ, რომ ბიბლიოთეკის იუბილეზე უამრავი კაცი მოვიდა. იარუსებიც ვერ იტევდა მაყურებელს.

ვთქვი – ერი, რომელსაც შეუძლია ბიბლიოთეკის იუბილე იზეიმოს

და ამ შიმშილ-სიცივეში ამდენი ადამიანი მოვიდეს თეატრში, არ მოკვდე-ბა-მეთქი.

ბიბლიოთეკა-აზრის, სიბრძნის განძთსაცავია და ჩვენ მისი ფასი კარგად ვიცით-მეთქი.

ბოლოს, მინდა ის ახალგაზრდა ვახსენო ამ ტრიბუნიდან, რომელიც ხვალ პირველი შემოაღებს სამკითხველოს კარებს, ამოივლის კიბეებს და სიცივედავიწყებული წიგნს მიუჯდება-მეთქი.

სწორედ იმ საყდრულ მყუდროებაში უნდა დაიბადოს ის ღვთიური ფიქრი, ასე რომ ესაჭიროება დღეს ქართველ ერს, რომელიც რუსის მონ-ბისგან დაგვიხსნის და თავისუფალ, ჭეშმარიტად დამოუკიდებელ საქართ-ველოს მოიტანს-მეთქი.

კარგა ხანს გუგუნებდა ტანში.

ძალიან საინტერესო კაცია ბ-ნი აკაკი ძიძიგური – ეროვნული ბიბ-ლიოთეკის თავკაცი – იუმორით სავსე, მთელი ენციკლოპედიაა.

ქუთაისში არ იყო დენი წყალი, გაზი.

მაგრამ ქუთაისი მაინც ქუთაისობდა.

თავისი პენწი და მომხიბვლელობა არ დაეკარგა.

ღამის 2 საათზე წამოვედით და დილის 6 საათზე დავბრუნდით თბილისში.

18/XI-94 – 18/I 95

ისე ვიყავი დამუხტული ბოლოდროინდელი ეპოქალური კატაკლიზმე-ბით, რომ დღიურებისთვის ველარ მოვიცალე.

რუსეთმა ველარ აიტანა „დემოკრატიული სახელმწიფოს“ გრიმ-პარიკი, ნიღაბი მოისროლა და ჩეჩნეთს თავს დაესხა.

დღეს 18 იანვარია. დღესაც ბომბავენ გროზნოს. რუსეთის უძლეველი არმია უმოწყალოდ ხოცავს ჩეჩენ ქალ-ბავშვთ და მოხუცებს.

ჩეჩნები შარშანწინ საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენა რუსეთმა, საქართველო აფსუა-ჩეჩენთა დახმარებით დაიპყრო და ახლა თვით ჩეჩნეთს დაესხა თავს.

„გათიშე და იბატონე“ – იმპერიის ნაცადი ლოზუნგია.

მაგრამ ქართველები ვერც ამჯერად ჩაითრია ჩეჩნეთის წინააღმდეგ ომში.

თუმცა, ვინ დაგიმადლის. ჩრდილოეთკავკასიელ ტომებს საქართველო-სთან თავიანთი ანგარიში აქვთ. პირველი შესაძლებლობისთანავე კბილთ-აღრჭიალით წამოვლენ საქართველოზე.

ასეთია ჩვენი ბედი.

რუსეთმა ჯერ საქართველო და აზერბაიჯანი დაიპყრო, მერე მოლდოვა, ახლა ტაჯიკეთს და ჩეჩნეთს იპყრობს, „თეთრ დათვს“ თავისი ყოფილი კოლ-ონიები ახლიდან დასაპყრობად ექცა.

სანამდე დახუჭავს თვალს მსოფლიო რუსეთის – ხალხთა საპყრობილეს წინაშე?

აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება თანდათანობით აუხდენელ ოც-ნებად გვექცა.

13 იანვარს თბილისიდან კიტოვანის მეთაურობით ოცი ავტობუსი და-იძრა.

მიზანი? აფხაზეთის გასათავისუფლებლად მივდივართო.

იქნებ მართლაც მიდიოდნენ?

შევარდნაძემ უბრძანა კაგებეს და კიტოვანის მოიერიშე ლაშქარს ხაშურში გზა გადაუჭრეს.

კიტოვანი, სურგულაძე და ხუთასამდე მოლაშქრე დააპატიმრეს.

ბრალდება? თქვენ ახფაზეთის გასათავისუფლებლად კი არ მიდიოდით (რაც, სანამ საქართველოში რუსის ჯარი დგას, პრაქტიკულად შეუძლებელია), გინდოდათ, სამეგრელო აგეჯანყებინათ შევარდნაძის წინააღმდეგო.

გუშინ სიგუაც მისცეს პასუხისგებაში.

აფხაზეთის ოპერაციის ჩაშლით ფრთაშესხმული არძინბა ზეიმობს.

რატომ ვუვლით, რატომ ვინახავთ ასე სისხლისმსმელ „ბატონ არძინბას“, (შევარდნაძის გამოთქმაა) ვერ გამიგია.

თუმცა („ერთი თხისკენ და ერთი მგლისკენო“) ხუთასი კაცით და ვერც ასჯერ ხუთასით, რუსი აფხაზეთს რომ არ დაგვითმობდა, ფაქტია.

ბრძოლა კი მაინც მოგვიწევს.

უაფხაზეთობას არ უნდა შევურიგდეთ.

ნიკო ლორთქიფანიძის პატარა ნოველა „ქედუხრელნი“ მახსენდება; პატარა ბიჭი (ოციოდე წლისა) მარტო შეებრძოლა თათრებს. ციხე ვერ აიღო, მაგრამ მის კვალზე ერთი თვის შემდეგ ათასები მოვიდნენ.

ასეთია თავისუფლებისთვის ბრძოლის ლოგიკა.

... ახალ წელს სამნი შევხვდით – შიო, ნათელა და მე.

უაჩიკობა, რაც დრო გადის, უფროდაუფრო მიძნელდება.

19/I–4/VII 95

საქართველო ისევ დაპყრობილია.

რუსეთმა საქართველოს დროშა ჩამოხსნა სარფში და რუსული დროშა დაჰკიდა.

ამით საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ისევ წაიშალა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე.

რუსების სასაზღვრო ჯარების სარდალს ჟურნალისტმა ჰკითხა, რატომ ჩაიდინეთ ესო.

ნიკოლაევს (სარდალი) ეს შეკითხვა, ჩანს, არ ესიამოვნა და მკვახედ უპასუხა:

ვისაც ეს საკითხი აინტერესებს, კარგად ჩახედოს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას – ხელმოწერილს ედუარდ შევარდნაძის მიერო.

ოპოზიცია კვლავ თავდადებით იბრძვის ხელისუფლების გამყიდველური პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ.

ტერორი გრძელდება, მოკლეს სულიკო ხაბეიშვილი.

რუსეთმა „ჩეჩნეთის საშიშროების“ საბაბით საქართველოში უამრავი რუსი ჯარისკაცი შემოიყვანა.

26 მაისს კიდევ ერთხელ ჩატარდა არარსებული ქართული ჯარის პარადი ნათხოვარი რუსული ტანკებით. სამარცხვინო სურათი იყო; ჯავშნოსან მანქანებზე 20 რუსის ჯარისკაცს შორის 1 ქართველი ჯარისკაცი იჯდა.

ხაშმში შეხვედრა გვქონდა. გამოვედით ლ. სანიკიძე, მე, გურამ გოგიაშვილი, ვახტანგ ქარუმიძე, მინისტრი ავთანდილ სილაგაძე და სხვანი.

ვთქვი, საქართველო დაპყრობილია, დამოუკიდებლობის მეორე რაუნდი (ამ საუკუნეში) დასრულდა და ქართველებმა მახვილის ფერვა უნდა დავიწყოთ, ისტორია ისევ მოგვცემს შანსს მონობისგან თავი დავიხსნათ-მეთქი.

ზოგიერთებს არ ესიამოვნათ.

ქუთაისში შაშიაშვილმა და მაგალი თოდუამ (რექტორი) გელათის აკადემია დააარსეს. ლევან სანიკიძე და მე – ჩვენი პოლიტიკური ორიენტაციის გამო (შევარდნაძეს რომ ტაშს არ ვუკრავთ) არ შეგვიყვანეს აკადემიკოსებად.

კონფლიქტი მაქვს ტელემაუწყებლობასთან:

დამირეკა ცირამუამ, ბატონო რევაზ, კონსტიტუციის პროექტზე ხომ არ გამოთქვამდით თქვენს აზრს „მაცნეში“-ო.

მივედი, ჩამწერეს. არ ვეთანხმები-მეთქი სამხარეო მოწყობის პროექტს. ეს კონსტიტუცია კუთხური პარტიკულარიზმის წიაღში დაგვაბრუნებს-მეთქი.

მეორე დღეს დამირეკეს. თქვენს გამოსვლაზე უარი თქვესო.

აი, რა დემოკრატიაა ტელემაუწყებლობაში.

თუ რუსთაველის პროსპექტზე მუხლზე ეცემი, მობრძანდით ბატონო, თუ არა და მტერი ხარ საქართველოსი.

ამ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ „ალიონში“ ჩამწერეს – წავიკითხე ნოველა „ოთხი ათასი წლის ფიალა“. „ალიონის“ მთავარ რედაქტორს – ოთარ შაორშაძეს დავურეკე სამი დღის შემდეგ (თვითონ ხომ არ იკადრებდა ჩემთან დარეკვას), მიპასუხა, თქვენს ნოველას ვერ გადავცემთო (მიზეზი არ უთქვამს).

მაგრამ უკან დახევას არ ვაპირებ; ტელევიზიის ხელმძღვანელობას უნდა ვანანებინო, რომ უკვე ორი წელია, რაც ქართული მწერლობა საერთოდ გამოაძევა ტელევიზიიდან.

რატომ? გასაგებია, არ უნდა გაღვივდეს ეროვნული ცეცხლი. ქართველ ერს უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, რომ მწერალს – ეროვნულ გუშაგს – ღრმა ძილით სძინავს.

არის მეორე მიზეზიც – ჭკვიანი კაცი არ უნდა გამოჩნდეს ეკრანზე, რათა პასუხი არ გაეცეს უბრალო, მოტყუებული მოქალაქის კითხვას: ვის ხედავთ დღეს უკეთესს.

მწერალთა კაშვირში ჩვეულებრივი სიჭრელეა. ფაქტიურად, თუმცა არ ვიმჩნევთ, დაყოფილი ვართ შევარდნაძის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. თუმცა, შეხედულებათა სხვადასხვაობამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს ეროვნული საქმეების კეთებაში.

ამასწინათ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმზე ერთი კარგი საქმე გადავწყვიტეთ: დიდუბის პანთეონში ჰ. გონაშვილის და ო. კელაპტრიშვილის გადმოსვენება.

ხმები ლამის შუაზე გაიყო: ავდექი და ვთქვი: თავს ნუ მოიჭრით-მეთქი.

ჩემმა სიტყვამ ბევრს შეაცვლევინა აზრი. გამიკვირდა – მ. ლებანიძე, ა. სულაკაური და მ. ქვლივიძე – წინაამდეგნი აღმოჩნდნენ.

უცნაურია ადამიანი!

როგორც იქნა, გამოვეცი „ღიმილის“ პირველი ნომერი.

აჩიკოზე გამოვიდა კრებული – „არჩილ მიშველაძე – ოცი წლის გმირი“. ყველას მოსწონს. რამდენი რამ დაიწერა ჩემს ვაჟკაც ბიჭზე. იგი უკვდავებაში დაბინავდა. ამ წიგნის გამოცემაში ოთარ ფაცაცია დამეხმარა.

ათასი ცალი დავაბეჭდინე რის ვაინაჩრობით ჩემი ნოველების ახალი წიგნი – „სამოცდარვა ახალი ნოველა“.

5/VII-26/VIII 95

ივლისი და თითქმის აგვისტო, მუხათწყაროში გავატარე.

დავწერე ახალი ნოველები, სად დავბეჭდო, არ ვიცი.

აგვისტოს პირველ რიცხვებში ლევან სანიკიძე ტელევიზიით გამოვიდა.

სამი რამ თქვა: 1) საქართველო უნდა შეურიგდეს იმ ფაქტს, რომ ჩვენ რუსეთის არჩივი ვართო. 2) შევარდნაძემ უნდა იყაროს კენჭი პრეზიდენტობაზეო. 3) სამხარეო მოწყობაში ცუდი არაფერი არისო.

ხომ არ დამიბერდა ლევანი?

ხელისუფლება თავისას მიერეკება.

რუსეთის დავალებას ერთგულად ასრულებს.

24 აგვისტოს ჭაბუა ამირეჯიბს შევხვდი მის ბინაზე.

დიდხანს ვისაუბრეთ. „გორა მბორგალი“ მაჩუქა წარწერით; „რევაზ მიშველაძეს – ბრწყინვალე მწერალს“.

ვკითხე, „დათა თუთაშხია“ საქართველოს ბედზე ასე კარგად რომ დავწერე, როგორღა მიეცი ხმა სნგ-ში საქართველოს შესვლას-მეთქი.

სხვა გზა არა გვქონდაო.

მსოფლიოს უნდა ვუთხრათ, რომ რუსეთმა დაგვიმონა, დაგვიპყრო და სნგ-დან გამოვიდეთ-მეთქი.

რუსეთი მსოფლიოს თვალწინ კატასავით დაგვახრჩობსო.

ერთი პირი თუ გვექნა, ვერ დაგვახრჩობს, მთელი კავკასია უნდა აღდგეს ჩეჩნეთივით-მეთქი. მსოფლიოს არ უნდა დავუმალოთ, რაც გვჭირს-მეთქი.

გაჩუმდა. ჭაბუა დიდი მწერალია. ძალიან მიყვარს.

იმავე დღეს, 24 აგვისტოს, ჩვენმა პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია მიიღო.

ვესწრებოდი პარლამენტის სხდომას.

ტაში არ დამიკრავს. მე – ერთადერთს არ დამიკრავს ტაში. აჩვენეს ტელევიზიით, მარტო მე ვიდექ ხელდაშვებული.

ეს კონსტიტუციაც ხალხის მორიგი მოტყუებაა.

სახელმწიფო აღარა ვართ და რუსი ისევ გვათამაშებს დროშა-გერბობანას და კონსტიტუციობანას.

მოგეკითხებათ ყველაფერი! მოგეკითხებათ საქართველოს გაყიდვა, ოცდაათი ათასი ბიჭის სისხლი.

27/VIII-7/X 95

“შანსში“ გამოვაქვეყნე ახალი ნოველა „ტიკინები“.

ნოველის ქარგა: სასამართლო. ბრალდებულთა სკამზე საქართველოს 5 ფუნქციონერი ზის.

ბრალი ედებათ სამშობლოს ღალატში და საქართველოს დანგრევაში.

თავს იმართლებენ თავიანთი ინტელექტის და კაცობის პოზიციიდან. ნოველის პროტოტიპების ამოცნობა იოლია.

ატყდა ერთი ამბავი.

„ტიკინები“ ლიტერატურულ სენსაციად იქცა.

„შანსის“ ორი ტირაჟი ელვის სისწრაფით გაიყიდა.

საქართველოში ფოსტა არ მუშაობს. მაგრამ გაზეთს, როგორც რედაქტორმა – ნიჭიერმა, გაბედულმა ჟურნალისტმა ბონდო ქურდაძემ მითხრა, უამრავი გამოხმაურება დაუგროვდა.

მაქებენ, გაბედულებას მიწონებენ.

დამირეკა ჩემმა მეგობარმა, ისტორიკოსმა იგორ კვესელავამ, მაგარი ნოველააო, მისი მჯერა.

არ გეშინიანო? ქუჩაში მეკითხებიან.

რისი უნდა მეშინოდეს? შიშის გრძნობა აჩიკოსთან დავმარხე.

შევარდნაძეს 29 აგვისტოს თავს დაესხნენ პარლამენტის ეზოში, მანქანა აუფეთქეს, სასწაულებრივად გადარჩა. საზიზღრობაა, ლაჩრობაა ტერორისტული აქტი საერთოდ.

მეორე დღესვე დაიწყო რეპრესიები.

ყველა ტერორისტული აქტი და ეს უკანასკნელიც უშიშროების სამსახურს (იგორ გიორგაძე) და მხედრიონს (ჯაბა იოსელიანი, გიგა გელაშვილი) დააბრალეს.

უკვე სამასამდე მხედრიონელი და უშიშროების თანამშრომელი დაპატიმრებულია.

გამოაცხადეს: ტერაქტები იგორ გიორგაძის მამის – პანტელეიმონ გიორგაძის ბინაზე იგეგმებოდაო, იქ მეხუთე სართულზე პატიაშვილიც ცხოვრობს და, ალბათ, ისიც ესწრებოდა „სხდომებსო“.

გაიცა სანქცია მოსკოვში გაქცეული იგორ გიორგაძის დასაკავებლად, მაგრამ რუსეთის ხელისუფალნი გიორგაძის გადმოცემას აგვიანებენ.

ეს ხომ რუსეთ-შევარდნაძეს შორის საბოლოო კონფრონტაციას ნიშნავს.

21-27 სექტემბერს ქუთაისში ვიყავი.

დავით აღმაშენებლის ძეგლი დაიდგა და სხვაც ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა თეიმურაზ შაშიაშვილმა.

სამწუხაროდ, საქართველოს ტელევიზიამ მიაფუჩეჩა ეს დიდი ეროვნული დემონსტრაცია.

ლევან სანიკიძეს სიტყვა არ მისცეს და გულდაწყვეტილი იყო.

ჩემზე ლაპარაკიც არ ყოფილა.

სამაგიეროდ, ქუთაისის თეატრში საზეიმოდ გადმომცეს დავით კლდიაშვილის პრემია.

რუსთაველის თეატრში ჩატარდა პაოლო იაშვილის იუბილე.

სიტყვა ვთქვი.

ტელევიზიით მარტო ჩემი სიტყვა გადასცეს.

ლამარა გიორგაშვილმა, ნაზი ღლონტმა და კამპანიამ ქუთაისიდან დაბრუნებულს სიურპრიზი დამახვედრეს: ჩემი თანხმობის გარეშე „დემოკრატიული პარტიის“ თავმჯდომარედ ავურჩევივართ.

ჯერ გავბრაზდი, უარი ვთქვი, მაგრამ ბოლოს ერთი თვით დამიყაბულეს. მხოლოდ ერთი თვით.

დეპუტატობის კანდიდატადაც დამასახელეს ვაკის რაიონში.

დარწმუნებული ვარ, არ ამირჩევენ, რადგანაც ვაკეში უმეტესობა პრივილეგირებული არისტოკრატია – ამ ხელისუფლების მომხრეები ცხოვრობენ.

კატეგორიულად უარს ვამბობდი დეპუტატობაზე და პარლამენტის სკამის ხეხვაზე უკანალით, მაგრამ ამ ბოლო დროს სურვილი გამიჩნდა საქართველოს მტრებს „ჰაი“ მაინც შევძახო და ხელი ავუქშიო. იქვე, პარლამენტში.

ეს კარგად იცის ხელისუფლებამ და ყველაფერს გააკეთებს, რათა „მიშველაძე პარლამენტში არ მოხვდეს“.

ამიტომაც საარჩევნო ციებ-ცხელება დიდად არ მაღელვებს.

8/X-5/XII, 95

როგორ არ ვიცოდი, რა იქნებოდა „არჩევნები“, მაგრამ საქართველოს აბუჩად აგდებას მაინც არ ველოდი.

არჩევნები იყო არა მარტო გაყალბებული, არამედ – კორუმპირებულიც.

ჯერ, რაც ათასპროცენტიანი სიმართლეა, რაც მე გადამხდა:

ჩვენთან – დემოკრატიულ პარტიაში, საარჩევნო კომისიის თანამშრომელი ქალი მოვიდა და ქრთამად 2000 დოლარი მოვგთხოვა პარტიის საარჩევნო რეგისტრაციისთვის.

უარი რომ ვუთხარი (ქრთამი 3 კაცის თანდასწრებით მოითხოვა, ურცხვად), გამოგვიცხადა: ხვალ მოუსმინეთ „მაცნეს“ ტელევიზიით, ნახავთ, რა დღე დაადგება თქვენს პარტიასო.

რომ მითხრეს, სასაცილოდ არ მეყო, „პროვოკაცია“ მეგონა.

მართლაც, გაგვიუქმეს რეგისტრაცია ქრთამის მიუცემლობისთვის.

გავიქეცით უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაარჩია მოსამართლე დალი ხელაიამ.

მოგებული პროცესი სრულიად მოულოდნელად წაგვაგებინა.

მივედი თავმჯდომარე მინდია უგრეხელიძესთან; ღიმილით, მაგრამ უარით გამომისტუმრა.

შევედი უგრეხელიძის მოადგილე დევდარიანთან.

ბატონო რეზო, გენიოსი კაცი ხარ და ნუთუ ვერ ხვდები, შენი დეპუტატობის საქმე ჩვენს დონეზე რომ არ წყდებაო.

ვხვდებოდი მუხთლობას, მაგრამ მინდოდა საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი-მეთქი.

აი, თურმე როგორი უზენაესი სასამართლო გვქონია.

2 ნოემბერს გაზეთ „ალიას“ მივეცი ინტერვიუ.

ეს ყალბი არჩევნებია. გავა მხოლოდ 3 პარტია. სამივე შევარდნაძის მომხრეების. სულ ტყუილად ჩალიჩობენ პრეზიდენტობის კანდიდატები (ბაქრაძე, ლიპარტელიანი, ღარიბაშვილი, პატიაშვილი) მეთქი.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც მე ეს საშინელი წინათგრძნობა ამიხდა.

6-ში უკვე მირეკავდნენ: წინასწარმეტყველი ყოფილხარო.

26 ნოემბერს პრეზიდენტმა ფიცი დადო.

20-24 ნოემბერს რეზო ჩხეიძე და მე (კონგრესის პრეზიდიუმთან ერთად) საინგილოში ვიყავით.

აზერბაიჯანელმა კომუნისტებმა 1956-62 წლებში ხრუშჩოვის თანხმობით 60 ათასი ქართველი აზერბაიჯანელად ჩაწერეს – შეუცვალეს გვარი და ეროვნება.

ახლა საინგილოში 70 ათასი ქართველი ცხოვრობს. აქედან 65 ათასი გვარგადაკეთებულია. მხოლოდ 5 ათასი კაცი ატარებს ქართულ გვარს.

ახლა საჭიროა, შევარდნაძემ უთხრას ალიევს, რომ ეს უმსგავსობა გასწორდეს.

ეტყვის? ანდა თუ ეტყვის, ალიევი გააკეთებს?

მსოფლიოს თვალწინ ეს უკვე მერამდენე ქართული ტრაგედია თამაშდება.

ჩვენთვის დაყრუვდ-დამუნჯდა მსოფლიო, თორემ სხვას ყველას გამოუჩნდა პატრონი.

საინგილოში ჩვენი იქ ყოფნის დროს ერთი სასწაული მოხდა: მამა დანიელმა 57 მუსულმანი ინგილო მონათლა. ეს იყო დაუვიწყარი, სულისშემძვრელი სანახაობა.

1 დეკემბერს უნივერსიტეტში შეხვედრა მოგვიწყეს მე, მიშა ქვლივიძეს, ლევან სანიკიძეს და ზაურ ბოლქვაძეს.

გაჭედილი იყო დარბაზი, სტუდენტები ფანჯრის რაფებზე ისხდნენ.

რა მოხდა.

ხომ არ მოვბრუნდით ლიტერატურისკენ.

ჯაბა იოსელიანი დაიჭირეს.

6/XII-95 – 3/I 96

18 დეკემბერს ტელევიზიაში „პირისპირ“ (გადაცემა) ვისაუბრეთ ჭაბუა ამირეჯიბმა, ვალერი კვარაცხელიამ და მე.

ვთქვი, რასაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვამბობ:

საქართველო დაპყრობილია რუსეთის მიერ და ოკუპირებულია 1993 წლის 5 ოქტომბრიდან-მეთქი.

ჭაბუა შემედავა: არა ხარ მართალიო. ჩვენ ახლა დამოუკიდებელი ქვეყანა ვართო. როგორ ვართ დამოუკიდებელი, როცა ერთი თვის წინათ სარფში რუსებმა საქართველოს დროშა ჩამოხსნეს და რუსული დროშა გადმოჰკიდეს-მეთქი. და, საერთოდ, მწერალს უფლება არა აქვს, თავის ხალხს სიმართლეს უმალავდეს-მეთქი.

ამაზე ჭაბუა ძალიან გაცხარდა. მეო, არავის სიმართლეს არ ვუმალავო.

კიდევ კარგი, პირდაპირ ეთერში ვიყავით.

ვეღარ მოვითმინე და, ცოტა არ იყოს, მაგარ-მაგარი რაღაცეები ვთქვი საქართველოს ახლანდელ მარიონეტულ ხელისუფლებაზე, პარლამენტზე.

როცა გადაცემა დამთავრდა და გარეთ გამოვდიოდით, მითხრა – შენ მაჯობე ძმაო, იმიტომ, რომ კრიტიკა უფრო ადვილია, დაცვაა ძნელიო.

ისე, ერთი რამ გახსოვდეს, რეზო, ჩვენ უპატრონო, უნათესავო ერი ვართ, რუსი კი ისეთი ნაძირალაა, არ დაგვინდობსო. ფაქტიურად, გეთანხმები, მაგრამ ახლა სიფრთხილე გვმართებსო.

ორი დღის განმავლობაში ჩემს ბინაში ტელეფონის ზარი არ შეწყვეტილა.

არ ვიცი, რა ვთქვი ასეთი, რომ მთელი საქართველოს აღტაცება გამოვიწვიე.

შენაო, მეუბნებიან ტელეფონით, იმ სამიოდე მწერალთა შორის ხარ, ვისაც ვაჟკაცობა შერჩენია და საქართველოს მტერს არ ეპუებაო.

თურმე, ხალხმა ყველაფერი იცის.

მეორე დღეს ერთი ამბავი ატყდა.

მოქალაქეთა კავშირის ფრაქციის სხდომაზე ერთი „მოქალაქე“ გამოვიდა და „პარლამენტისა და პრეზიდენტის შეურაცხყოფისათვის“ გადაცემა „პირისპირ“-ის სასწრაფოდ დახურვა მოითხოვა.

აი, რას ჰქვია „პროვინციული ფაშიზმი“.

„პროვინციული ფაშისტები“ გამსახურდია და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები კი არ იყვნენ, პროვინციული ფაშისტები სხვაგან უნდა ვეძებოთ.

ეროვნული ხელისუფლების დამამხობელ ზოგ „ინტელიგენტს“ მეტი უფლება რომ ჰქონდეს, ნახევარ საქართველოს დახვრეტდა.

დღეს 3 იანვარია.

უხალისოდ, უქეიფოდ ვზივარ ჩემს მოწყენილ ბინაში და ვწერ ახალ ნოველას.

გარეთ ნისლიანი დღეა.

რეზო ჩხეიძემ დამირეკა და ახალი წლის მოლოცვა წელსაც დამასწრო.

დიდი კაცია რეზო ჩხეიძე. შევთანხმდით: 3 დღის შემდეგ შევხვდეთ და ერთად მივიდეთ შევარდნაძესთან, რათა კატეგორიულად დავუყენოთ საკითხი: დაურეკოს ალიევს, სთხოვოს 65 ათას ინგილოს, დაუბრუნოს ქართული გვარ-სახელი.

ორიოდე კვირის წინ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნე ნოველა – „ნათლიღება საინგილოში“ და საინგილოში ჩვენი ვიზიტის ამბები აღვწერე.

ბ-ნ რეზოს მოსწონებია ის ნოველა და მითხრა: თემურ ფალავანდიშვილს დავავალე, ამ ნოველის მიხედვით დოკუმენტური ფილმი გადაიღოსო.

ვალერი კვარაცხელიამ დამირეკა და მითხრა.: უამრავი წერილი შევიდა ტელესტუდიაში; ჩვენი გადაცემის გამეორებას მოითხოვენ, მაგრამ ხელმძღვანელობა უარზე დგასო.

4/I-4/III 96

„შანსელებმა“ მთხოვეს, ბატონო რევაზ, გვსურს ყოველ ნომერში დავბეჭდოთ თქვენი ნოველა, თუ გაუძლებთ გაზეთის ტემპს და მოგვაწვდითო. „შანსის“ რედაქტორი ბონდო ქურდაძე, გაბედული, ზრდილი ბიჭია.

ცდუნება დიდი იყო. დღეს, როცა არ გამოდის „მნათობი“ და „ცისკარი“, „ლიტერატურულ გაზეთს“ მიზერული ტირაჟი აქვს. იქნებ „შანსის“ ტრიბუნა (დიდტირაჟიანი, ზომიერი მიმართულების გაზეთია, არცერთ პარტიას არ ემხრობა, ძირითადად ოპოზიციურია...) გამოვიყენო მკითხველისთვის იმის გასაგებინებლად, რას ვაკეთებ მე.

და აი, უკვე თითქმის თვეა „შანსის“ ყოველ ნომერში ვიბეჭდები. ვწერ ორ დღეში თითო ნოველას. ამოვალაგე უბის წიგნაკები. „შანსი“ მაჩქარებს. თუ გავუძელი ამ ტეპს, ალბათ, „შანსი“ ერთ მოზრდილ წიგნს დამაწერინებს.

19 იანვრის დადგენილება (სნგ), რომელზეც შევარდნაძე დიდ იმედს ამყარებდა, ხოლო მე ვამბობდი,მორიგი სატყუარაა-მექთი, მართლაც, „ბლეფი“ აღმოჩნდა.

კიდევ ერთხელ დაგვცინა რუსეთმა.

პარლამენტმა მიიღო მიწის კანონი პირველი მოსმენით.

მწერალთა კავშირში (ფანჯიკიძე, მე, დ. მჭედლური) სასტიკად გავილაშქრეთ ამ კანონის წინააღმდეგ, ეგ საქართველოს გაყიდვას ნიშნავს-მეთქი, მაგრამ ჩვენმა „პარლამენტმა“ კანონი მაინც მიიღო.

ცუდადაა საქართველოს საქმე.

ლამის თავი მოვიკლა. ქვეყანა იღუპება და ვერაფერს ვშველი.

შ. ნიშნიანიძე, გ. გოგიაშვილი, ლ. სანიკიძე და მე მურად ჭოლოკავამ (პოეტი) გარდაბანში წაგვიყვანა. გვიჩვენა გაყიდული ქართული მიწები, რომელზეც ელვის სისწრაფით სახლდებიან მოძმე ერის წარმომადგენლები.

აი, რისთვის სურდათ მიწის კანონი.

დაძმარებულ ხასიათზე დავბრუნდით.

3 მარტს წმინდა სამების ტაძრის საძირკვლის კურთხევა ჩატარდა.

მე მორწმუნე არა ვარ, მაგრამ ეს დიდი ეროვნული საქმეა.

5/III-2/IV, 96

„შანსში“ ვაგრძელებ ნოველების ბეჭდვას.

თითქმის ყოველ მეორე დღეს ახალ ნოველას ვწერ.

ტვინი მისკდება, წნევა მიწევს ახალი სიუჟეტების მოფიქრებაში, მაგრამ დაღლას არ ვეპუები.

„შანსის“ ტირაჟი გაორმაგდა. ეს მხოლოდ ჩემი ბრალი არ არის, საერთოდ, კარგი გაზეთია.

გაზეთი ელვის სისწრაფით საღდება.

მკითხველი, მგონი, შემოვაბრუნე ლიტერატურისკენ.

საქართველო ისევ თავდაღმა მიექანება.

შევარდნაძე ელცინს ეახლა მოსკოვში.

ამჯერადაც მოატყუა იმპერატორმა: აფხაზეთში მიმავალი გემები ფოთში შემოვლენ და ქართველებმა გააკონტროლეთო.

„მოიტყუა“ თავი შევარდნაძემ და თავის მხრივ ჩვენ მოგვატყუა.

მე და ლევან სანიკიძე ქუთაისში ვიყავით.

უნივერსიტეტში ოთხი ლექცია წავიკითხეთ.

საშინელი ქარი ქროდა ქუთაისში.

როგორც იქნა, დავითანხმეთ მე და ვახტანგ გურგენიძემ გალაკტიონის ბინაში მცხოვრები ქიშვარდ ცირეკიძე, გადავიდეს სხვაგან საცხოვრებლად. დიდ ბინას მოითხოვს.

ვიყავით ქალაქის მერთან ფანჯიკიძე და მე.

დაგვპირდა; მერია შეუძენს ბინას ცირეკიძეს და გავასახლებთო.

ვნახოთ.

მე და ლევან სანიკიძე 29 აპრილს გამოვედით ქორეოგრაფთა ყრილობაზე.

30 აპრილს, შაბათს, უნივერსიტეტში იყო დიდი კრება საქართველოში (ბაზალეთის ტბასთან) თურქული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე.

გაირკვა (მალხაზ ბარამიძის სიტყვიდან), რომ თურქული უნივერსიტეტის გახსნის ინიციატორები არიან დემირელი და შევარდნაძე.

„ჭრელი“ კრება იყო. სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ადამიანები ისხდნენ დარბაზში, მაგრამ იმ დღეს პირველად ვნახე ჩვენი ინტელიგენცია ერთი იდეით დამუხტული.

გამოვედით მე, კ. დანელია, გ. ლორთქიფანიძე, მ. ბარაიმძე, ირა გოცირიძე, ჯ. ჭუმბურიძე და სხვანი.

სასტიკად დავგმეთ საქართველოში თურქული უნივერსიტეტის გახსნის იდეა.

ვნახთო, რა მოჰყვება.

2/IV-13/IV 96

უნივერსიტეტის კრებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ინტელიგენცია დაირაზმა თურქული უნივერსიტეტის წინააღმდეგ. საპროტესტო კრებები ჩატარდა მწერალთა კავშირში, აკადემიაში, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში და დაწესებულებებში.

სასწრაფოდ გვიპასუხა ტელევიზიამ. გამოიყვანეს ხელისუფლების დამქაშები და დუშეთის გამგებელიც.

გვიკვირს, რატომ ეჩვენება უკუღმა ინტელიგენციას საქართველოსთვის ეს ფრიად სასარგებლო საქმეო.

პარლამენტმა აფხაზეთის საკითხი განიხილა. კარგად გამოვიდნენ თამაზ ნადარეიშვილი, ზურაბ ერქვანია, გენო კალანდია და ჯანო ჯანელიძე.

მოითხოვეს რუსის ჯარის გაყვანა აფხაზეთიდან და აფხაზეთის ოკუპირებულ ზონად გამოცხადება.

სანამ რეზოლუციას მიიღებდნენ, შევარდნაძე გამოვიდა და პარლამენტს ცივი წყალი გადაასხა:

არავითარი რუსის ჯარის გაყვანა! არავითარი ოკუპირებულ ზონად გამოცხადებაო. ელცინი ჩვენს მხარეზეა, მაგრამ სასაზღვრო ჯარების სარდალი, ნიკოლაევი, არ უჯერებსო. მე, ამასწინათ, ტელეფონით ველაპარაკეო არძინბას.

რას ვიზამთ, ასეთია დიდი პოლიტიკა; საქართველოს პრეზიდენტი, თურმე, ღამღამობით, ჩუმჩუმად საქართველოს ნომერ პირველ მტერს ელაპარაკება. ალბათ, ასეა საჭირო. მე ვერ ვხვდები, მაგრამ, მე ვინ რას მეკითხება.

ამ დღეებში შევარდნაძე თურქეთში იყო.

მეჯლისზე სიტყვით გამოვიდა.

არც ერთი სიტყვა არ უთქვამს იმაზე, რომ თურქეთში ქართველები ცხოვრობენ. რომ დღეს თურქეთის ტერიტორიაზე უამრავი ქართული ისტორიული ძეგლია.

რას იტყოდა ტაო-კლარჯეთში მცხოვრები მილიონობით ქართველი. ნუთუ ასე ვახსოვართ, ნუთუ ასე ზრუნავენ ჩვენზე „დამოუკიდებელ საქართველოშიო“.

„შანსში“ (11 აპრილი) გამოვაქვეყნე ნოველა „სად იყავით მაშინ“. ეს არის მოტყუებულ-გაცრუებული ინტელიგენციის ღაღადისი.

ბევრმა დამირეკა.

ნოველას ასე ვამთავრებ: „შოთა სამხარაძეს (მე) ეჩვენებოდა, რომ შინისკენ შაშხანის ლულა მიაცილებდა“.

12 აპრილს ხარაგოულში შეხვედრა მოგვიწყვეს შოთა ნიშნიანიძეს, ლევან სანიკიძეს და მე.

გაღარიბებული, გაძარცვული, მოწყენილი, მშიერი, მაგრამ მაინც პეწიანია ჩემი იმერეთი.

სასიამოვნო აღმოჩენა; როგორც გავარკვიეთ, ჩვენს წიგნებს პერიფერიებში უფრო კითხულობენ, ვიდრე დედაქალაქში.

13-ში საავადმყოფოში ვინახულე ჩემი უსაყვარლესი ბიძაშვილი, ექიმი მირიან მიშველაძე. იგი, ორი ვაჟკაცის მამა – სოხუმიდან ლტოლვილი, კვდება უიმედოდ და უილაჯოდ.

მიდიან ლტოლვილები...

ძნელი ასატანია გაუთავებელი მოტყუება.

აფხაზ ლტოლვილთა ყრილობა ჩატარდა.

ერთადერთი მწერალი მივედი. მაინტერესებდა, რაზე ისაუბრებდნენ პარლამენტის შემდეგ.

ილაჯგაწყვეტილი, დადედლებული ადამიანები ისხდნენ დარბაზში და იდგნენ ტრიბუნასთან.

ზურაბ პაპასკირს სიტყვა ვთხოვე, უარი მითხრა, პროგრამა გადატვირთულიაო.

უნივერსიტეტში ქართული ენის დღე ჩავატარეთ.

სიტყვა ვთქვი.

14/IV-5/VI, 96

2-3-4-5-6 მაისს ქუთაისში ხუთდღიანი ზეიმი ჩაატარა თემურ შაშიაშვილმა.

არ ვაპირებდი წასვლას, მაგრამ გია ხურციძემ (თანაშემწე) დაჟინებით მთხოვა და ხათრი ვერ გავუტეხე.

ორი ავტობუსით ჩავედით – ბაგრატიონები, მწერლები და მეცნიერები.

თეთრ ხიდამდე მიგვიყვანეს და ბედის ანაბარა მიგვატოვეს.

მერი და ქალაქის ელიტა №1 სტუმარს (შევარდნაძეს) დასდევდა. ჩვენვის დავეკარგეთ, ვიღას ვახსოვდით.

დღენახევარი გავძელი და გამოვიპარე.

ამ ქუთაისურ ზეიმზე დავწერე ნოველა „სერობა“. „შანსში“ ვბეჭდავ.

თ. შაშიაშვილი წესიერი, ენერგიული, ნიჭიერი კაცია, მაგრამ თუ ამთავითვე არ შევნიშნე, შეიძლება მისთვისვე უარესი იყოს.

30 მაისს ვიყავით სიღნაღში: რეზო ჭეიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ლევან სანიკიძე, ტარიელ ჭანტურია და მე.

ვთქვი – მრცხვენია ამ ტრიბუნაზე რომ ვდგავარ-მეთქი – ბევრჯერ დარჩით მოტყუებული, – ვერ შეგისრულეს დანაპირები, არა გაქვთ შუქი, ბენზინი, სასუქი, შხამ-ქიმიკატები, გაზი, ხელფასი, მაგრამ გაქვთ ვაჟკაცობა და გაგიმარჯვოთ კახელებო-მეთქი.

2 ივნისს პატარძეულში ვიყავით გოგლაობაზე.

სიტყვა ვთქვით გ. ფანჯიკიძემ, ჯ. ჩარკვიანმა, მ. ქვლივიძემ, ლ. სანიკიძემ და მე.

„ოლე“ თავის დროზე კრიტიკა ვერ ამხელდა, თორემ საქართველოს სიმბოლოა-მეთქი.

„დაკიდებულ არწივს ჰგავხარ დამსხვრეული ფრთებით“ – ამბობს გოგლა და როგორ ჰგავს ოლე დღევანდელ საქართველოს-მეთქი.

„ნატვრის ხის“ ელიოზივით იყინება საქართველოს და ცის გახსნას ამაოდ ელის-მეთქი.

6/VI-1/VII 96

„შანსში“ და „გრაალში“ ერთდროულად გამოვაქვეყნე ნოველა „გაიღვიძე“, ახალგაზრდობას ვტუქსავ ეროვნული გულგრილობის და ცეკვა-თამაშით ზედმეტად გატაცების გამო.

დიდი გამოხმაურება გამოწვია. ვილაც უცნობმა ახალგაზრდამ დამირეკა – სამართლიანად გვტუქსავთ, ბატონო რევაზ, მაგრამ ჩვენიც მოისმინეთ, დაბნეულები ვართ, არ ვიცით, ვის გავყვეთო.

დაბნეულები ხართ იმიტომ, რომ დაგაბნიეს-მეთქი.

ამ ხელისუფლებამ შეგნებულად მოსპო ეროვნული ორიენტირები.

გაულანძღავ-მოუსყიდველი აღარავინ დარჩა.

ეროვნულ დაფაზე მკაფიო გვარებს შლიან, ან ინსინუაციის საბურველში ხვევენ.

პარტიებს შიგნიდან აფეთქებენ (ედპ), მწერლები ლამის მათხოვრებად გვაქციონ, მარჯანიშვილის და რუსთაველის თეატრიდან 35 მსახიობი დაითხოვეს („შანსში“ გამოვაქვეყნე მათს გამოსასარჩლებლად ნოველა „სხვა რაღა დარჩა“), ახლახან თბილისში 40 000 მასწავლებელი ქუჩაში დატოვეს...

ცოდვის გაკითხვაა.

ეკონომიკა გაყინულია. მრეწველობა არ მუშაობს და ხელისუფლება შტატების შემცირებით ცდილობს ბიუჯეტის შევსებას.

საქართველო მაინც ითმენს და ითმენს.

რუსეთში უშიშროების საბჭოს მდივნად (ელცინის მარჯვენა ხელად) დანიშნეს გენერალი ლებედი; იგი არ მალავს თავის ზიზღს საქართველოს მიმართ, პირველივე დღეს გამოაცხადა გრაჩოვი და ნადიბაიძე ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდნენო.

ჩვენი მსოფლიო პოლიტიკოსები საქართველოს დაქცევას ერთგულად განაგრძობენ.

გამკითხავი არავინ არის.

3-ში რუსეთი ახალ იმპერატორს აირჩევს.

ალბათ, ელცინს დატოვებენ. დასავლეთი იმპერიის დაქცევაში ელცინზე უკეთესს ვის მოძებნის.

2/VII-1/IX, 96

მიირწევა საქართველო დუნე, ერთფეროვანი, უხალისო ცხოვრების ტალღებზე.

არავითარი პროგრესი, არავითარი წინსვლა.

შევარდნაძე უწაუწა გააქანა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, პასტუხოვმა, ჩრდილოეთ ოსეთში და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს ჩიბიროვს შეახვედრა.

ჯერ არძინბასთვის ჩამოართმევინეს ხელი, მერე ჩიბიროვს აახლეს.

შედეგი? ნული.

ენად გაიკრიფა პრეზიდენტის პრესის სამსახური.

ესო, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების გზაზე გადადგმული მესამე დიდი ნაბიჯიაო.

პირველი ორი ნაბიჯი რომელს დაარქვეს, ნეტავ?

ამ შეხვედრამდე სამი დღით ადრე პასტუხოვმა საქართველოს ელჩი რუსეთში – ვაჟა ლორთქიფანიძე „ჩააბრძანა“ გალში.

აფსუების ერთგულმა პასტუხოვმა ამ შეხვედრის დასასრულს განაცხადა: შეხვედრის მიზანი ის იყო, რომ დავრწმუნებულიყავით, მართლა ბრუნდებიან თუ არა ქართველები გალშიო აფხაზების ნებართვის გარეშე, სტიქიურად.

დახეთ ეშმაკ პასტუხოვს; მსოფლიოს (პირველ რიგში, გაეროს დამკვირვებლებს) გააგებინა: ხომ ხედავთ, უდისციპლინო ქართველები სტიქიურად ბრუნდებიან და ყველა მოსალოდნელ შედეგზე ჩვენ (შუამავლებს) ხელი დაგვიბანიაო.

ვ. ლორთქიფანიძე წამოეგო ამ ანკესს და მთელი სერიოზულობით განაცხადა – დიახ, ერთი მესამედი ლტოლვილებისა უკვე დაბრუნდა გალშიო.

პირსისხლიანი არძინბა კი ამ დროს „პრავდაში“ ინტერვიუს აძლევს: ჩვენ ქართველებთან ერთ სახელმწიფოში ცხოვრებას არ ვაპირებთო.

30 აგვისტოს მოქალაქეთა კავშირმა ფორუმი გამართა.

ჩვეულებრივი, თითქმის კომუნისტური თავყრილობა იყო. ტყუილი დაპირებებით, საამური ცხოვრების ილუზიით.

ჟვანიამ საქართველო „გაახარა“ – ზოგიერთი მოქილიკის საპასუხოდ, თითქოსდა მილიონი სამუშაო ადგილის დაპირება არ შევარსულეთ, უნდა განვაცხადო, რომ ცხრაასი ათასი სამუშაო ადგილი უკვე მოგეცითო. სად არის მერეო, ვიღაცამ ჰკითხა. სოფლად რომ ცხრაასი ათასი კაცი საკუთარ მიწის ნაკვეთს ამუშავებს, განა იმას უმუშევარი ეთქმისო? ჟვანიამ.

სასაცილო ის იყო, რომ დარბაზში არავის გაცინებია.

ასე ატყუებენ უბედურ საქართველოს.

ელცინი, რასაკვირველია, კვლავ აირჩიეს პრეზიდენტად.

ინაუგურაციაზე სამი წინადადება ძლივს თქვა.

მეტყველების აპარატი მოშლილი აქვს. ლოთია.

შევარდნაძის შეხვედრაა დაგეგმილიო, გაჰყვიროდა. ჩვენი „მასმედია“ შევარდნაძე მართლაც, ჩავიდა მოსკოვში, მაგრამ ელცინმა, როგორც ჩანს, ამჯერად ვერ მიიღო რესპუბლიკის ხელმძღვანელი, სამაგიეროდ, ჩვენი პრეზიდენტი პასტუხოვმა მიიღო. რას ვიზამთ.

აკურთხეს პრეზიდენტად ელცინი და მეორე დღესვე ჩაწვა. აცხადებენ მოსკოვის მახლობელ სანატორიუმში ჯანმრთელობას იკაჟებსო.

სამაგიეროდ, ლებედმა ჩეჩნეთის ომი დაამთავრა. მოლაპარაკების შედეგი გაინტერესებთ?

რუსეთის ჯარმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს ჩეჩნეთი, ხოლო ჩეჩნეთის პოლიტიკური სტატუსი განიხილება მხოლოდ ათი წლის შემდეგ.

ალბათ, იმედოვნებს ეშმაკი რუსეთი, რომ ათ წელიწადში სათანადოდ დააუთოვებს ჩეჩნეთს.

ასეა თუ ისე, დღესდღეობით პატარა ჩეჩნეთმა დაამარცხა დიდი რუსეთი.

ბარაქალა, მამაცო ჩეჩენო!

2/IX-96

უღიმღამოდ ჩაიარა პირველმა სექტემბერმა.

ისე, როგორც საქართველო თვლემს.

ასე მგონია, ერთი ცხოვრება დავასრულე და სრულიად სხვა ცხოვრება დავიწყე.

თითქოსდა მე მე აღარა ვარ.

რა იყო მაინც ის ოთხი წელი (1990, 91, 92, 93)

როგორ დუღდა საქართველო. რა დრამატული იყო ყოველი დღე.

ჩაკვდა ყველაფერი.

იმედს, რწმენას ჩასცა მახვილი საქართველოს მარიონეტულმა ხელისუფლებამ.

სად არიან უთვალავი ოპოზიციური პარტიები და საზოგადოებანი. სად გაქრა მათი ცეცხლოვანი მანიფესტები და რეზოლუციები.

კიდევ რამდენ ხანს ვიქნებით რუსობაში?

დღეს რუსთაველის თეატრში აფხაზეთის დევნილი უნივერსიტეტის შეხვედრა შედგა.

რექტორმა, აკადემიკოსმა ოთარ ჟორდანიამ გახსნა.

ბ-ნი ოთარი ზრდილობით სავსე, ქველი, ნიჭიერი კაცია, ნამდვილი კოლხი.

რუსთაველის თეატრი გადაჭედილი იყო. რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა.

რექტორმა, სხვებთან ერთად, სცენაზე სანიკიძე და მე გვიხმო.

შეხვედრა სასწავლო წლის დაწყების ზეიმად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ, ეს შეხვედრა აფხაზეთზე ნოსტალგიით, სამშობლოს სევდით იყო დაღდასმული.

როცა რიგმა მომიწია, ვთქვი: 1993 წლის 27 სექტემბერს რუსმა საქართველოდან ქართველები გამოგვრეკა. ეს უპრეცენდენტო სისასტიკეა მსოფლიოს ისტორიაში-მეთქი.

დღეს „გენიოსი ქართველი პოლიტიკოსები“ აფხაზეთში ღირსეულ დაბრუნებაზე საუბრობენ, არ არსებობს ღირსეული დაბრუნება, ისე, როგორც ღირსეული გამოქცევა არ არსებობს-მეთქი. ოღონდ იცოდეთ, ჩვენი დამარცხება შეძლო მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე მრავალრიცხოვანმა რუსის ჯარმა და არა ერთმა მუჭა აფსუამ-მეთქი.

თქვენ, ვინც ამ დარბაზში სუფევთ, მსოფლიოს აჩვენეთ, როგორ უნდა იცხოვროს ერმა ლტოლვილობაში, როგორ უნდა იცხოვროს ხიზანმა მწერალმა, როგორ უნდა გაძლოს დევნილმა უნივერსიტეტმა-მეთქი. დაბრუნებულებს თქვენ უკვე კარგად გეცოდინებათ, როგორ უნდა მიეპატრონოთ თქვენს მიწას-მეთქი.

აფხაზეთის უნივერსიტეტმა რკინის გამძლეობა და სიცოცხლისუნარიანობა გამოავლინა-მეთქი.

მომავალ ახალ სასწავლო წელს ღმერთმა სოხუმში შეგახვედროთ-მეთქი.

ბოლო სიტყვა ითხოვა უნივერსიტეტის ლექტორმა ბერიამ.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების შეცდომის მსხვერპლი ვართ და მანამ ჩვენი მოთმინების ფიალა ბოლომდე არ ავსებულა, ხელისუფლებამ დროულად გამოასწოროს თავისი შეცდომაო.

მისმა სიტყვამ შეაზანზარა დარბაზი და ზეიმი მრისხანების ყიჟინამ შეცვალა.

საღამოს რეზო ჩხეიძე, ლევან სანიკიძე და მე თბილისის პოლიციის ურფოსთან ბ-ნ დემურ მიქაძესთან გახლდით ერთი ინგილო ყმაწვილის ჩაბურდული საქმის მოსაგვარებლად.

პოლიციის შეფმა ყურადღებით, პატივისცემით მიგვიღო და დაგვპირდა, რომ ინგილოს შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმარებოდა.

3-4/IX 96

დილით თბილისის ვიცემერთან – მელორ ტყეშელაშვილთან და ქალაქის მთავარ არქიტექტორთან, ოთარ არველაძესთან, ერთად ვახტანგ გურგენიძე და მე გალაკტიონის სახლ-მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებთი ქიშვარდ ცირეკიძეს ვესტუმრეთ.

ბატონი ქიშვარდი ის კაცია, რომელიც გალაკტიონის ბინაში ცხოვრობს და აგერ, ლამის, ოცდაათი წელია, საქართველოს ხელისუფლებამ ბინა ვერ გამოძებნა ცირეკიძის სხვაგან გადასაყვანად.

არა და, ვახტანგ გურგენიძეს თავის არქივში კარგა ხანია მზადა აქვს გალაკტიონის სამუზეუმო გამოფენა. შეიძლება თბილისში XX საუკუნის უპირველესი პოეტის სახლმუზეუმი არ გვქონდეს?

თუმცა, გალაკტიონის სახლ-მუზეუმი ხომ უდიდესი ფუფუნებაა იმ სიჯიუტის ფონზე, რასაც ჩვენი ხელისუფლება კულტურის მიმართ სჩადის – მე ხომ მას ათი წელია ვეხვეწები და „ვეფხისტყაოსნის“ მაღაზია ვერ გავახსნევინე.

ჩამოდიან უცხოელები, გვეკითხებიან, სად ვიშოვოთ ქართველთა ბიბლია, ქართველთა უპირველესი განძი „ვეფხისტყაოსანი“ და ჩვენ ხელებს ვასავსავებთ.

რას წაიღებს უცხოელი საქართველოდან „ვეფხისტყაოსანზე“ უკეთესს? იქნებ არტელ „შრომის“ მიერ შეკერილ შარვლებს?

მელორ ტყეშელაშვილმა დღეს, ვატყობ, გულთან მიიტანა გალაკტიონის მუზეუმის საქმე. გურგენიძის გამოფენაც დავათვალიერეთ, იქნებ დაგვადგეს საშველი.

ნაშუადღევს ქალაქის მერს – ბადრი შოშიტაიშვილს ვეახელ ისევ გალაკტიონის მუზეუმის საკითხზე.

ყურადღებიანი, თავმდაბალი კაცია. ყველაფერს გავაკეთებო, ვნახოთ.

ქალაქის მერიიდან მწერალთა კავშირში შევიარე.

ფანჯიკიძეს მწერალთა კავშირის რეორგანიზაციაზე ვესაუბრე.

ჩემთვის ყველა მწერალი ძვირფასია. ყველა უნდა გადარჩეს. ელიტარული ჯგუფის გამოყოფა მწერალთა კავშირის დაშლას გამოიწვევს-მეთქი.

თუ შიმშილია, ყველამ უნდა ვიშიმშილოთ-მეთქი.

გურამი ყურადღებით მისმენდა. როგორც ჩანს, პრეზიდიუმზე მწვავე ლაპარაკი გვექნება.

მე ამას ყველაფერს ვიტყვი.

4 სექტემბერს კასპში ვიყავი.

„დედა ენის“ გამოცემა სურს მწერალთა კავშირთან არსებულ საბავშვო გამომცემლობას და კასპის ახალ გამგებელს – ზურაბ ქარუმიძეს, შემწეობა-სპონსორობა ვთხოვეთ.

ყურადღებიანი, წესიერი ახალგაზრდა კაცია. მოგვისმინა და, შესაძლებლობისამებრ, დახმარება აღგვითქვა.

საღამოს ტელევიზიით მოვისმინე პარლამენტის სესიაზე მამუკა გიორგაძის გამოსვლა.

დავანებოთ თავი რუსეთთან ცერემონიებს და მონურ მორჩილებას, ერთხელ და სამუდამოდ დავადგინოთ სამშვიდობო ძალების გაყვანა აფხაზეთიდანო.

პარლამენტის „მოქალაქე-უმრავლესობა“ შეიშმუშნა, აშკარად დაეტყოთ, რომ რუსეთს ვერ შეელევიან.

ეს იმ დროს ხდება, როცა ჩეჩნეთიდან თავდახრილნი გადიან კუდამოძუებული, დამარცხებული რუსი დამპყრობლები.

როდის გავიღვიძებთ, როდის?

დაწოლის წინ დიდხანს ვკითხულობდი ე.წ. „ზვიადისტურ“ პრესას.

რუსეთთან დამოკიდებულებაში, საქართველოს თავისუფლების გააზრებაში დიდი სიმართლე მათს მხარეზეა.

5/IX 96

თბილისში ახლა სამი გახმაურებული სასამართლო პროცესი მიმდინარეობს.

პირველი: – ასამართლებენ კიტოვანს, სურგულაძეს და ფისუნს, ბრალად ედებათ უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა და პროვოკაციული გამგზავრება აფხაზეთის გასათავისუფლებლად.

რამდენიმე სხდომას დავესწარი. ვერა და ვერ გავიგე, რისთვის ასამართლებენ ამ სამეულს. ვთქვათ, მიდიოდნენ აფსუების წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა ზუგდიდთან მდგარი რუსის ჯარი მათ კუდით ქვას ასროლინებდა. შეიძლება თუნდაც გადარეულ პიროვნებებს ასამართლებდე იმის გამო, რომ ისინი საქართველოს მოსისხლე მტრის, არძინბას, წინააღმდეგ ბრძოლას აპირებდნენ? ხშირად მაგონდება ნიკო ლორთქიფანიძის პატარა მოთხრობის („ქედუხრელნი“) პერსონაჟი. იგი მარტოდმარტო მიუხტა ციხეს, ხუთიოდე მომხდური სიცოცხლეს გამოასალმა და თვითონაც დაიღუპა. ნ. ლორთქიფანიძემ თავისი მწერლური ლოგიკით ის ყმაწვილი გმირის შარავანდედით შემოსა, ჩვენი დემოკრატიული სასამართლოს ლოგიკით კი იგი საბრალდებო სკამზე უნდა დაესვათ, როგორც სახელმწიფო დამნაშავე.

გაგვაგებინეთ, რისთვის გვასამართლებთ, სამშობლოს სიყვარულისთვის? – კითხულობს სურგულაძე.

მე მგონი, მათ სხვა რაღაცის გამო ასამართლებენ. იმ სხვა „რაღაცას“ კი, ალბათ, ვერ ამხელს ჩვენი ხელისუფლება.

მეორე გახლავთ – ქობალია, ბოკუჩავა, ძიძიგურის სასამართლო პროცესი, ისინი ზვიადისტები არიან და ისჯებიან კანონიერი (?) ხელისუფლების ჩამოგდების მცდელობისათვის. მერედა რატომ? ასევე არ დაამხო ამ ხელისუფლებამ ზვიადი მოსკოვის დახმარებით?

ეს პროცესიც კურიოზებითაა აღსავსე.

– როდის შემდეგ გახდა კანონიერი ის „სახელმწიფო საბჭო“, რომელიც მოვიდა ყაჩაღების ხელდასმით, მას შემდეგ, რაც ბანდიტებმა მოსკოვის აგენტების წაქეზება-დახმარებით, მართლაც, რომ კანონიერი პრეზიდენტი ჩამოაგდეს და საქართველოდან გააქციესო – კითხულობს სამტრედიის ყოფილი პრეფექტი ზვიად ძიძიგური.

იბღვირებიან მოსამართლენი.

ძნელია მათთვის „ჰქმნა მართლისა“.

მათ ხომ სხვა დავალება აქვთ ზემოდან მიცემული, სიმართლე კი სრულიად სხვა მხარესაა.

მესამე პროცესი თეატრალურ ბუფონდას წააგავს; ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმია სამი ქართველი მანდილოსანი. ქართველი საზოგადოებისთვის არც თუ უცნობი სამი გრაცია – ნესტან კირთაძე, კლარა აბრამია და იზა ორჯონიკიძე. სამივე სასამართლოზე მოვასწარი დღეს თითო საათით მისვლა.

6-7/IX 96

გაზეთებში დაბეჭდილია სტუდენტთა საგანგებო კომიტეტის მიმართვა ხელისუფლების მიმართ თურქული უნივერსიტეტის თაობაზე.

მეგონა, ხელისუფლება ამ ერთს მაინც დაგვითმობდა, თურქული უნივერსიტეტის პრობლემას ქართული ინტელიგენციის სურვილისამებრ გადაწყვეტდა, მაგრამ ღრმად მოვტყუვდით. მთავრობა ჩვენი თხოვნა ფეხებზე დაიკიდა.

სტუდენტთა მიმართვაში ერთი შეცდომა მაინცაა დაშვებული, შეჩერდეს თურქული უნივერსიტეტის (ფარისევლურად შავი ზღვის ქვეყნების უნივერსიტეტს უწოდებენ) გახსნის დადგენილებაო.

სტუდენტებს კატეგორიულად უნდა მოეთხოვათ „შეჩერდეს თურქული უნივერსიტეტის ფუნქციონირებაო“, მორჩა და გათავდა.

7 სექტემბერს ჩარგალში ვიყავით მწერლები – ვაჟაობაზე.

სიტყვები ვთქვით: გურამ ფანჯიკიძემ, ოთარ ჭელიძემ, ნოდარ გურეშიძემ, მე, ჯიბო ლომაშვილმა, ზაზა ბაწელაშვილმა, ვალერი ასათიანმა და სხვებმა.

ვთქვი: მოვედით აქ, რათა ერთხელ კიდევ ჩაგვესმას ვაჟას ომახიანი, ფხიანი, მართალი სიტყვა: „ვერ მაანონებთ, კარგ ყმასა, რაც არ უჯდება ჭკვაშია“. დღეს საქართველო უარეს დღეშია, ვიდრე ვაჟას დროს იყო. ჩვენ ხშირად უნდა მოვიდეთ ვაჟასთან და მისგან უნდა ვისწავლოთ, როგორ ვუერთგულოთ ქვეყანას და რა მონოლითური რწმენით უნდა ვიაროთ სამშობლოს თავისუფლების გზაზე-მეთქი.

8,9/IX 96

მურთაზ გოგოძეს სამოცი შეუსრულდა.

მუხათწყაროში გავუმართეთ პატარა ვახშამი მეგობრებმა.

შარშან ინფარქტი გადაიტანა. სულით ძლიერი, გაუტეხელი კაცია.

მე და შიო თბილისში რომ ვბრუნდებოდით, შუახნის რუსი დაგვემგზავრა. ბნელოდა. რომ გავუჩერე, „სპასიბო“ გვტყორცნა, უკანა კარი გამოაღო და დაჯდა ისე, რომ ჩემთვის არ შემოუხედავს.

საიდან ბრძანდებით-მეთქი.

კემეროვოდან ვარ, მართლმადიდებელი რუსიო.

აქ საიდან მოხვდი-მეთქი.

თხუთმეტი წელია საქართველოში ვცხოვრობო.

სამხედრო ხართ-მეთქი?

დიახ, თადარიგის პოლკოვნიკი გახლავართო. პენსიაზე აქ გავედი და რუსეთში წასვლას აქ დასახლება ვარჩიე, კემეროვოში მკაცრი კლიმატიაო.

საქმე თითქმის არაფერი მაქვს და ყოველდღე ფეხით საშუალოდ 10-15 კილომეტრს დავდივარ ამ ტყეებშიო.

საქართველოში რაიმე თუ გაწყენინეს-მეთქი.

რაზე მეკითხებიო.

საერთოდ-მეთქი.

არაო. ძალიან შევეგუე აქაურობასო.

გაგონილი მაინც გექნებათ, 1992-93 წლებში რუსეთმა საშინელი ომი გამოგვიცხადა. მოგვიკლა 30 ათასი პატრიოტი, ქართველთა გენოციდი ჩაატარა აფხაზეთ-სამაჩაბლოში და მესამედი ტერიტორია წაგვართვა-მეთქი.

ვიციო.

რა გინდოდათ, რა დაგიშავეთ-მეთქი.

გაუგებრობას ჰქონდა ადგილიო.

კიდევ ერთი ასეთი „გაუგებრობა“ და, ხომ იცით, საქართველო არ იარსებებს-მეთქი.

მე უსაქართველოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენიაო.

მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც სამი წლის წინათ ტანკებით გადაგვიარეთ, ქუჩაში ვინმემ შეურაცხყოფა თუ მოგაყენათ, ან სადმე წარწერას თუ მოჰკარი თვალი: „რუსებო, წაეთრიეთ შინ!“-მეთქი.

არაო.

იცით თუ არა, აზერბაიჯანიდან, ბალტიისპირეთიდან, უზბეკეთიდან და ტაჯიკეთიდან პანღურით რომ გაყარეს რუსები-მეთქი.

ვიციო. ერთს გეტყვით და გთხოვთ, დამიჯეროთ, ლოთ ელცინს და „ტუპიაკ“ გრაჩოვს რუს ხალხთან ნუ გააიგივებთ, ხოლო 92-93 წლების ომი თქვენს მეთაურს დააბრალეთო.

მეთაური ხომ მსოფლიო პოლიტიკოსია და თანაც რუსული ორიენტაციის კაცი (რაც არაერთხელ გამოუხატავს), ის მაინც რატომ გაწირეთ-მეთქი.

„მსოფლიო პოლიტიკოსი“ რომ არ გყოლოდათ მეთაურად და მხოლდ ადგილობრივი მაშსტაბის, ე.ი. ქართველი პოლიტიკოსი გყოლოდათ, ეს უბედურება არ დაგემართებოდათო. სწორედ რომ მისმა „მსოფლიო პოლიტიკამ დაგლუპათ თქვენო, რაც შეეხება შევარდნაძის „რუსულ ორიენტაციას“, არც ისეა საქმე, თქვენ რომ გგონიათო. იგი ორმაგ თამაშს თამაშობს, იქეთაც არის და აქეთაც, ამიტომაც კარგა ხანია რუსეთს მისი არ სჯერაო, ესეც არ იყოს, რუსეთი შევარდნაძეს არასოდეს აპატიებს იმპერიის დაშლაში და გერმანიის გაერთიანებაში აქტიურობის გამოჩენასო. ერთმა ქართველმა – სტალინმა აგვაშენა და მეორემ – შევარდნაძემ დაგვაქციაო.

ახლა ღამეა. თქვენ დამპყრობელი ერის წარმომადგენელი ხართ და თანაც ყოფილი სამხედრო, არ გეშინიათ? ისე ჩაჯექით მანქანაში, ჩემთვის არ შემოგიხედავთ-მეთქი.

რისი უნდა მეშინოდეს. თუ ყაჩაღი ხართ, ამ ხელჯოხს და გაცვეთილ ჩექმებს უყოყმანოდ დაგითმობთ... საერთოდ კი თქვენ უაღრესად კეთილი ხალხი ხართ და მშვენივრად იცით, ვინ არის თქვენი მტერი. მოხეტიალე ივანუშკას რუსობის გამო არ მოკლავთ, გამოცდილი მყავხართ ათასგზისო.

ნუცუბიძის პლატოზე გამაჩერებინა მანქანა. ძმასავით გადამკოცნა და სიბნელეს შეერია.

9 სექტემბერს მე და ვალერიან მამუკელაშვილმა ჟურნალ „ღიმილის“ ახალი ნომერი ლილოს ბაზრობაზე წავიღეთ გასასაღებლად.

რა დრო დადგა!

ჟურნალი, წიგნი არავის უნდა.

ბაზრის დირექტორმა, ახალგაზრდა ინტელიგენტმა ლევან გაგუამ და მისმა მოადგილემ – თენგიზმა გულთბილად მიგვიღეს.

ჟურნალი დაიტოვეს. თქვენ არ შეგანუხებთ, ჩვენ თვითონვე მოვუვლითო.

10/IX 96

გაზეთ „დროს“ რედაქტორმა, სიმპათიურმა ქალბატონმა, მარინე გიგინეიშვილმა, მკითხა აზრი (საგაზეთოდ) თურქული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე.

ვუპასუხე; მეგონა ამ ერთ თხოვნას მაინც შეუსრულებდა ხელისუფლება ქართული ინტელიგენციას, მაგრამ ახლაც ცივი წყალი გადაგვასხეს და თურქული უნივერსიტეტი მისაღები გამოცდების ჩასატარებლად ემზადება. ახლა ისღა დაგვრჩენია, ჩვენი სტუდენტებიანად ქუჩაში გამოვიდეთ-მეთქი. რაც შეეხება პარლამენტს, არავითარი იმედი არა მაქვს, რომ წინ აღუდგება ხელისუფლებას. ახლანდელი პარლამენტი ქვევრს ემსგავსება; რასაც ჩასძახებენ, იმასვე ამოიძახებს-მეთქი.

სიყვარულით შეხვდა ჩვენი პრეზიდენტი ოვსთა სეპარატისტ ბელადს ჩიბიროვს ვლადიკავკაზში. გულში ჩაიკრა, მოეფერა, მაგრამ კიდევ ერთხელ მოატყუეს „მსოფლიო პოლიტიკოსი“. ჩიბიროვმა დღეს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება გამოაცხადა.

შეშფოთდა შევარდნაძე. კი მაგრამ, რას იტყვის ჩვენი შუამავალი მოსკოვიო? მოსკოვმა კი მშვიდი კომენტარით უპასუხა: ჩვენ ვთხოვეთ ჩიბიროვს, არ დაერღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ არ დაგვიჯერა და რა ვქნათ, გენაცვალე, ძალას ხომ ვერ დავატანთო. საპასუხოდ ხომ შეუძლია შევარდნაძეს დააყენოს საკითხი ოსეთიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ? დააყენებს და კარგ ჩიტსაც დაიჭერს. მაშინვე ყურს აახევს მოსკოვი. მოკლედ, „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდებიო“.

ამ საღამოს ცოტა გამომიკეთდა მოშხამული ბუნება, ჩვენმა დინამომ მოსკოვში, თავსხმა წვიმაში თავგანწირულად ითამაშა და „ტორპედოს (მრისხანე „ტორპედოს“) მოუგო.

11/IX 96

დღეს მწერალთა კავშირში სარეფორმო კომისიის სხდომა გვქონდა.

წყეულმა საბაზრო ეკონომიკამ, თურმე, დღის წესრიგში დააყენა მწერალთა კავშირის რეორგანიზაციის საკითხი.

კერძოდ, პრეზიდიუმის ზოგი წევრის აზრით, მწერალთა კაშვირში წლების განმავლობაში უამრავი არამწერალი დაგროვდა და ისინი ცოცხალ ლიტერატურულ პროცესში აღარ მონაწილეობენ. ამიტომ საიჭროა მოხდეს მწერალთა კავშირის რიგების გადახალისება, ან თვითლიკვიდაცია მოვახდინოთ და თავიდან ავირჩიოთ წევრები, ან შევქმნათ „მწერალთა აკადემიური

ასოციაცია“ (მწერალთა კავშირის ბაზაზე), რომელიც თავის რიგებში მხოლდ მოქმედ, ნამდვილ მწერლებს გააერთიანებს.

მე კატეგორიული პროტესტი განვაცხადე. თქვენ ფაქტიურად მწერალთა კავშირის წმენდა ჩაგიფიქრებიათ. ეს ოცდაჩვიდმეტში უკვე გაკეთდა-მეთქი. რა უფლება აქვს ყრილობის მიერ არჩეულ პრეზიდიუმს მწერალთა კავშირის გარეთ დატოვოს მისი ამომრჩევი მწერლები-მეთქი. ჯერ ერთი, ისინი, თქვენ რომ თამაშიდან გასულ მწერლებს ეძახით, თქვენ არ მიგიღიათ მწერალთა კავშირში. მიიღეს ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის ან შოთა ნიშნიანიძის თავმჯდომარეობის დროს და თქვენ რა უფლების ძალით წყვეტთ მწერალთა კავშირში მათი ყოფნა-არყოფნის ბედს-მეთქი.

პირიქით, ამ შიმშილობის დროს უფრო უნდა შევკავშირდეთ-მეთქი.

მაშინ, როცა მე დავგმე მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელობის საქციელი, როცა ოცდათოთხმეტი საუკეთესო მსახიობი ქუჩაში დატოვეს, რა სინდისით დავუჭერ მხარს მწერალთა კავშირის ფაქტიურ დაშლას-მეთქი. მე გთხოვთ, ამოიღოთ გულიდან ეგ სულელური ჩანაფიქრი და მტერს ერთხელ კიდევ ნუ გააცინებთ-მეთქი.

წამომესივნენ „ჰუმანისტი“ მწერლები; შენაო, სიტყვები ცოტა შეარჩიეო, მთავარია, გვეყოს გაბედულება და მწერალთა კავშირის ავგიას თავლა ერთხელ და სამუდამოდ გავწმინდოთო. ვინც არ არის მწერალი, დროა, სხვა საქმეს ეწიოსო.

ღმერთო, ღმერთო! რა დაუნდობლები ვართ ერთმანეთის მიმართ. როგორ გინდა შეატყობინო ოთხმოცი წლის მწერალს, შენ უკვე მწერალი აღარა ხარო. ხომ მაშინვე გაუსკდება გული.

ჩემს მხარეს აღმოჩნდა გურამ ფანჯიკიძე და პრეზიდიუმის სამიოდე წევრი. მართალია მიშველაძეო, ეს რეორგანიზაცია, მართლაც, წმენდას დაემსგავსებაო.

შემდეგ ოთხშაბათს კვლავ უნდა დავუბრუნდეთ ამ საკითხს.

12-15/IX 96

საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე, სადაც აჩიკო მყავს, საყდარს აშენებენ.

ყველანი, ვინც სასაფლაოს მიგვაჯაჭვა ჩვენმა ებუდერმა ბედმა, ვტრიალებთ მშენებლობაზე. რითაც შეგვიძლია, ვეხმარებით ხუროთმოძღვრებს, მაგრამ ჩვენს შორის განსაცვიფრებელია ვაჟა ტაბატაძის ენთუზიაზმი და თავდადება.

ბატონ ვაჟასაც შვილი ჰყავს აქ დაკრძალული. ოდესმე უსათუოდ უნდა დავწერო ამ უანგარო, პატრუქივით ანთებულ კაცზე.

ვაჟა ტაბატაძე დილიდან საღამომდე საყდარს დაჰფუსფუსებს. ხარაჩოებზე დგას, სამშენებლო მასალა თვითონ მოაქვს, შავ მუშადაც ხშირად მუშაობს. არ ვიცი, რა ენერგია იპოვა ამ შაოსანმა კაცმა თავის თავში და რა სიყვარულმა თუ რწმენამ აამოძრავა მისი სხეული საქვეყნო, წმინდა საქმის საკეთებლად.

აფერუმ, თქვენს ვაჟკაცობას, ვაჟა ბატონო.

დღეს, 15 სექტემბერს, ვწერდი წინათქმას გია ჭანტურიასადმი მიძღვნილ კრებულზე, რომელიც შესულია მოგონებანი საქართველოსთვის ზვარაკად შეწირულ ამ ჭეშმარიტ მამულიშვილზე.

საოცარია, 1985 წელს გიას დაუწერია ლირიკული ჩანახატი „ახალი იერემიას გოდება“, რომელშიც თითქმის იწინასწარმეტყველა თავისი სიცოცხლის საშინელი აღსასრული.

რისთვის მოჰკლეს? სამშობლოს სიყვარულისთვის.

16-17/X, 96

შევხვდი თბილისის მერს – ბადრი შოშიტაიშვილს.

დიდხანს ვისაუბრეთ.

ერუდირებული, დახვეწილი ინტელიგენტია. პატიოსანი კაცი. ამბიციისა და პატივმოყვარეობისგან თავისუფალი.

გუშინ დაბრუნდა ამერიკიდან.

ასფალტის ქარხანას, საავადმყოფოს, ნაგვისგადასამუშავებელ ფაბრიკას, დიზელ-გენერატორებს, ცეცხლმქრობ მანქანას უფასოდ, საჩუქრად გვაძლევენ. ჩვენგან არაფერი უნდათ, ოღონდ ათასში ერთხელ, სხვათა შორის, ჩაგვილაპარაკებენ – ნუ ჩამომეკიდეთ ამ რუსებს. ვიცით, ძალა აღმართს ხნავს, მაგრამ მიმიკით მაინც აგრძნობინეთ, რომ თქვენ რუსეთის კოლონიად დარჩენას არ აპირებთო.

რა უპასუხე მეთქი?

მეც მიმიკით დავეთანხმე. ხმამაღლა აზრის გამოთქმა პოლიტიკოსების საქმეა, მე კი ამერიკაში სამეურნეო საკითხის მოსაგვარებლად ვიყავიო.

18-20/IX 96

სამაჩაბლოში და აფხაზეთი საპარლამენტო არჩევნები დანიშნეს.

კიედვ ერთხელ გააცურა შევარდნაძე პასტუხოვმა.

ჩამოვიდა აფხაზეთში, იახლა ლორთქიფანიძე და მსოფლიოს ჟურნალისტების წინაშე განაცხადა – ლტოლვილების 60% უკვე დაბრუნდა გალშიო.

ეს სჭირდებოდა პასტუხოვს ნაძირალა არძინბას არჩევნების გასამართლებლად.

მერე წაიყვანა პასტუხოვმა შევარდნაძე ვლადიკავკაზში და ჩიბიროვს (?!) შეახვედრა.

სინამდვილეში ჩუმად, კარს უკან ჩიბიროვიც და არძინბაც დამოძღვრა; ჩვენ რომ ნავალთ, არჩევნები დანიშნეთო.

სეპარატისტები ასეც მოიქცნენ.

შევარდნაძე ხელებშეკრული (როგორც ყოველთვის) და პირშიჩალდაგამოვლებული დარჩა.

საქართველოში პანიკაა.

ჩაატარებენ არჩევნებს და მერე უბატონოდ ხმას ვერ გასცემ არძინბას და ჩიბიროვს.

ჟვანიამ ვეღარ მოითმინა და პარლამენტზე განაცხადა: რას გვიკეთებს სამშვიდობო რუსის ჯარი უკანონობის გარდაო. თუმცა თავისივე ხმის თვითონვე შეეშინდა და დაამატა; ჩვენ რუსეთთან კონსტრუქციული დიალოგის მომხრე ვართო.

დავით მჭედლურმა, ჯანსუღ ღვინჯილიამ და მე მწერალთა კაშვირში დიდხანს ვისაუბრეთ საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე.

დღეს საქართველოში ქართველი მხოლოდ 41%-ია.

700 000–მდე ქართველი შიმშილს გაექცა საზღვარგარეთ.

საქართველოს ხელისუფლებამ, დემოგრაფიული კატასტროფის კვალი რომ წაეშალა, შემოიღო პასპორტები, რომელშიაც ეროვნება არაა მითითებული.

ვიყავი ფოთში.

შევხვდი ფოთის მერ ნუგზარ ნადარაიას, ელგუჯა ამაშუკელს და ვახტანგ დავითაიას.

ელგუჯა და ვახტანგ დავითაია ფოთში ნადარაიას დიდი ხელშეწყობა-ძალისხმევით ცოტნე დადიანის ძეგლს დგამენ.

შემჭამესო კრიტიკან-ინტრიგანებმა, ნადარაიამ, რა დროს ძეგლია, ქვეყანა შიმშილობსო.

გამოდი ერთი, თუ კაცი ხარ, ტელევიზიით და შენი აზრი პირუთვნელად უთხარი ხალხსო.

იმ საღამოსვე გამოვედი ადგილობრივი ტელევიზიით და ვთქვი; მართალია, ჩვენ გალახულ-დაპყრობილი, მგლოვიარე ქვეყანა ვართ და მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ გაუთავებელი ზეიმ-კონცერტების, ზოგი რეგიონის ხელმძღვანელი რომ გაუტაცნია, მაგრამ საქართველოს უპირველესი ზნეობრივი გმირის, ცოტნე დადიანის, ძეგლის დადგმა სწორედ ამ დროს, როცა საქართველოს ასე სჭირდება გამხნევება, რწმენის დაბრუნება და არასრულფასოვნების კომპლექსისგან გათავისუფლება, დროულ და საჭირო საქმედ მიმაჩნია-მეთქი.

ცოტნე დადიანის ძეგლის დადგმა თავისებური პროტესტია დამპყრობელი რუსეთის მიმართ და საქვეყნო განცხადებაა იმ აზრისა, რომ ჩვენ მონობას არ შევეგუებით-მეთქი.

21-23/IX 96

ვინმე ნუგზარ მჭედლიშვილმა (ქუთაისის რეზინის ქარხნის დირექტორი) გაზეთ „კავკასიონში“ დაბეჭდა წერილი, რომელშიც აკრიტიკებს ჩემს ნოველას („სერობა“) და რაც მთავარია, წერს: ნოველაში ნახსენები ჭიმჭიმისი-ქუთაისია, პროფესორი – რევაზ მიშველაძე, ხოლო ქალაქის თავი – თემურ შაშიაშვილიო.

ჩანს, მჭედლიშვილს ერთგულების დამტკიცება სურდა შაშიაშვილისთვის და პირიქით კი გამოუვიდა.

ორიოდე სტრიქონით ვუპასუხე: ჩემი ნოველა მარტო შაშიაშვილს კი არა, მსოფლიოს ყველა იმ მოქალაქეს შეეხებოდა, ვინც დაპყრობილ ქვეყანაში შვიდდღიან ზეიმებს აწყობს-მეთქი. შაშიაშვილის გვარის ჩაწერა რომ მდომოდა, განა მე თვითონ ვერ ჩავწერდი-მეთქი. ჩემი ნოველა კონკრეტულ პიროვნებას რომ ეხებოდეს, იგი ნარკვევი იქნებოდა და არა მხატვრული ნაწარმოები-მეთქი.

რას ვიზამთ, ნუგზარ მჭედლიშვილისთანა არამკითხე მოამბეები ჯერ კიდევ არსებობენ ამ ჭრელ ქვეყანაზე.

შაშიაშვილი, ვერ დავუკარგავ, ენერგიული, ნიჭიერი, პატიოსანი კაცია, მე, როგორც მწერალი და თემურის მეგობარი, მოვალე ვარ, რაც არ მომე-

წონება, მივუთითო. ასე უფრო შევეწევი შაშიაშვილის მართალ საქმეს და ჩემს ქუთაისს. არა მგონია, ჩემი ალეგორიული მოთხრობა სწყენოდა შაშიაშვილს. თუ ცოტა გულზე მოხვდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ნოველამ მიზანს მიაღწია.

დღეს, 23 სექტემბერს, რადიოში მოვკარი ყური: შოთა ნიშნიანიძისთვის, ოთარ ჭელიძისთვის გურამ ფანჯიკიძისთვის და ჩემთვის „მესხეთის“ ლიტერატურული პრემია მოუნიჭებიათ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული ნაწარმოებებისთვის.

24-29/IX 96

წავიკითხე დავით მჭედლურის ორი წიგნი – ლექსები და წერილები.

მართალი, ნიჭიერი, მებრძოლი მწერალია.

ლევან სანიკიძე და მე ქუთაისში გახლდით.

უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებით, ნახევარ შტატზე ვმუშაობთ ქუთაისში პროფესორებად.

სიამოვნებით მივიღეთ ორივემ ეს მოწვევა, რაკიღა მიზეზი გვექნება თვეში ერთხელ ორი-სამი დღით ვეწვიოთ მშობლიურ ქუთაისს და ჩვენი ლექტორობით ახალგაზრდობას ცოტათი მაინც გამოვადგეთ.

ამჯერად, ქუთაისში ჩვენი ყოფნა შაშიაშვილის მიერ ლიბოდადებულ ქუთაისის დღეებს დაემთხვა.

მე და ლევანი ჩვენი ბოლოდროინდელი პრინციპული პოზიციის გამო არ გავკარებივართ მოზეიმეებს.

ერთი ეგ იყო: ღამის ორ საათზე ორკესტრის გრიალმა გამოგვაღვიძა. ვიკითხეთ. თეთრ ხიდთან მესამე დღეა „ბოვშებს“ აცეკვებენო.

ჩავიცვით და წავედით ზეიმის სანახავად.

საშინელება ვიხილეთ.

შუაღამეგადასულზე დაახლოებით ათასამდე 15-16 წლის ქუთაისელი, ექსტაზის, უძილობის თუ კიდევ სხვა რამის გამო გამოთაყვანებული, თავგამეტებით ცეკვავს თეთრხიდგაღმა მწერალთა სახლის წინ.

დღეს 27 სექტემბერია. რუსეთთან უთანასწორო ომში საქართველოს დამარცხების დღე, აქ კი ახალგაზრდებს ფერხული ჩაუბამთ, გრიალებს ორკესტრი, კისერგადაგდებით ცეკვავენ უმრწემესი ქუთაისელნი.

არც დარდი დაღუპული 30 ათასი თანატოლის გამო, არც სევდა გამესამედებული საქართველოს გამო.

როგორც რადიომ გადმოსცა, დღეს აფსუები ქართველ დამპყრობელთაგან (?!) გათავისუფლების მესამე წლისთავს ზეიმობენ.

არძინბას პარალელურად აქ, ქუთაისშიც, ზეიმობენ, მაგრამ რას?

თქვენი ცოდვა მიეცეთ, ასფალტზე გავეშებით მროკავო ბავშვებო, ვინც თქვენ ტვინი აგირიათ და ეროვნული საფიქრალი დაგავიწყათ.

მთელი ღამე ამაზე ვლაპარაკობდით, მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს მე და ლევან სანიკიძეს.

გათენდა თუ არა, თბილისისკენ გამოვეშურეთ.

ავთანდილ ნიკოლეიშვილმა გამოგვაცილა.

მიხარია, რომ ძლივს, ალბათ, პირველად, ქართული უნივერსიტეტის რექტორი ფილოლოგია. მწერალი, საზოგადო მოღვაწე, თავმდაბალი, წესიერი კაცი.

და რაც მთავარია, საღად, ეროვნულად მოაზროვნე

30/IX 96

ფალიაშვილის ქუჩაზე პროფესორ აკაკი თოფურიას შევხვდი.

80 წელი მივულოცე.

ოთხმოც წლამდე მოვაძაღლე წუთისოფელიო, იქნებ კიდევ მეცოცხლა ცოტახანს, მაგრამ მშიერი ვკვდებიო...

უნივერსიტეტში მუშაობისთვის თავი გაუნებებია.

პენსია თერთმეტი ლარი მაქვსო.

ახლახან მოგონებათა მშვენიერი წიგნი დაწერეთ, ჰონორარი არ გერგოთ-მეთქი? ვკითხე.

რა პირით უნდა გამოვართვა სპონსორს ჰონორარიო. კაცმა წიგნი რომ დამიბეჭდა, იმისიც დიდი მადლობელი ვარო.

საფლავში ჯავრად ჩამყვებოდა იმ წიგნის დაუბეჭდაობა. ექვსასი გვერდია. თითქმის სამი წელი თავაუღებლად ვწერდიო.

ჯიბეში „შანსში“ აღებული ოცდახუთი ლარი მქონდა. მამაშვილურად გთხოვთ, არ ითაკილოთ, გამომართვით-მეთქი.

ამაყი და ჯიუტი კაცია ბატონი აკაკი.

უარი მტკიცა.

ჰაერში განვდილი ფულიანი ხელი შემატოვა და წავიდა.

მიდის, ჯოხს მიაკაკუნებს.

რა დააშავა ასეთი ნაჯაფმა, ნიჭიერმა მწერალმა და მეცნიერმა.

რატომ დააგდო უპატრონოდ და უსახსროდ აკაკი თოფურიები ჩვენმა ხელისუფლებამ?

1/X-11/X 96

„შანსში“ გრძელდება ჩემი ნოველების ბეჭდვა.

რომ ვკითხულობ, ასე მგონია, მკითხველს ვაღიზიანებ (ან თავს ვაბეზრებ) ასე ხშირი ბეჭდვით.

3 ოქტომბერს 3 წელი შესრულდა აჩიკოს წასვლიდან.

სამი წელი. სამი წლის წინ იყო 16 სექტემბერს (16 სექტემბერს დაიწყო სოხუმის იერიში), საღამოს, გარაჟი საოცრად მილაგებულ-დაწკრიალებული რომ დამხვდა და გასაღების ჭუჭრუტანაში წერილი: „მამა, არ გეწყინოს, მე სხვანაირად არ შემეძლო“.

წავიდა და წავიდა.

რა მალე გავიდა სამი წელი.

აქამდე ქვეშეცნეულად სულ მეგონა, სადღაც წავიდა და დაბრუნდებამეთქი.

ახლა თანდათან ვიჯერებ, რომ აღარასოდეს დარუნდება.

თუ ვნახავ, მხოლოდ სიზმარში და ორიოდე ვიდეოფირზე.

ხსოვნაში არ იძირება, რაც დრო გადის, უფროდაუფრო ცხადად მახსოვს.

ყოველ ღამე, გამთენიის ოთხ საათზე ერთსა და იმავე სურათს ვხედავ: ოთარ ფაცაცია მირეკავს, ბატონო რეზო, მგონი, თქვენი შვილი დაჭრილია. ზუსტად ვერ გეტყვით, სოხუმიდან თუ სვანეთიდან ქუთაისში გადმოუფრენიათ. აეროპორტში გელოდებით. მეუღლეს ნუ შეაწუხებთ.

„მეუღლეს ნუ შეაწუხებთ“ – ზარივით რეკავს ყურებში.

გასაგებია, რაც მჭირს, მაგრამ თავს არ ვუტყდები.

არ შეიძლება ასე მოხდეს.

მე და ნათელა აეროპორტში გავრბივართ.

გზაში ერთმანეთს არ ველაპარაკებით.

ხანდახან გადავხედავთ ხოლმე ერთმანეთს, თვალებში ვცდილობთ, რაღაც ამოვიკითხოთ.

იმედს ვებღაუჭებით.

„დავიღუპეთ, თემურ?“ – ვეკითხები შაშიაშვილს.

სახე განზე მიაბრუნა.

ფაცაცია გვერდიდან არ მოგვშორებია.

აეროპორტში რომ მოასვენეს დიდი და პატარა ტიროდა.

დავაჟკაცებული, წვერმოშვებული, რაღაც უფრო დიდი მეჩვენა.

უნდა იამაყოთ, თქვენ გმირის მამა ხართო. სოხუმში ფოცხვერივით იბრძოდაო, ვიღაც სამხედროფორმიანები მეუბნებოდნენ.

ღმერთო ჩემო, რა უადგილო იყო ეს გამხნევება.

...სამი წელი გავიდა. დაკარგულ აფხაზეთს და სამაჩაბლოს მაინც ვერ ვიბრუნებთ.

წაგვართვა რუსეთმა მესამედი საქართველო, ხოლო ჩვენი ცვედანი, მარიონეტული ხელისუფლება გაუთავებლად ატყუებს ხალხს, ცოტაც მოვითმინოთ და რუსეთი სინით მოგვართმევს წართმეულ მიწებსო.

12/X-29/X 96

ლევან სანიკიძე და მე კულტურის მინისტრს, ვალერი ასათიანს, ვეახელით შუამდგომლობით – დაუშვას მერაბ კოსტავას სახელობის თეატრი რუსთავის თეატრალურ ფესტივალზე.

დაგვიანებულიაო, მინისტრმა. აფიშები დაბეჭდილიაო. ახლა, თქვენი ხათრით, მხოლოდ იმას მოვახერხებ, რომ კონკურსგარეშე დავუშვებო.

„კონკურსგარეშე“ მონაწილეობაზე თეატრმა უარი თქვა.

არა და აფსუსია, მშვენიერი სპექტაკლი დადგეს– თუშეთზე.

ჯერ ქართული თეატრის სცენაზე, რამდენადაც ვიცი, თუშეთი არ ყოფილა.

დიდებულად ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის 120 წლისთავის იუბილე.

როინ მეტრეველმა ბრწყინვალე სიტყვა თქვა – დარბაისლურად, გამართულად.

ხოვლეში მეც მომცეს სიტყვა ქართველ მწერალთა სახელით.

ჩავატარე კათედრის სამეცნიერო სესია მიძღვნილი ი. ჯავახიშვილისადმი.

წავიკითხე მოხსენება: „ივანე ჯავახიშვილი და თანამედროვე ქართული ლიტერატურა“.

მცხეთაში ახალი დრამატული თეატრი გაიხსნა.

შალვა დადიანის „გუშინდელნი“ წარმოადგინეს.

თეატრის დაბადებას ლევანი და მე ვესწრებოდით. სიტყვა ვთქვით.

ოქტომბრული ზეიმის კასკადი თბილისობით დამთავრდა.

თბილისობა 25-27 ოქტომბერს ჩატარდა.

დაახლოებით 50 000 კაცი გამოვიდა ქუჩაში.

ხელისუფლების წარმომადგენლებს ყოველ მოსახვევთან ტაშის გრიალით ეგებებოდნენ.

ხალხი!

ხალხი ბრბო ხომ არ არის?

მომეჩვენა, რომ იმ დღეებში იმ ხალხს აფხაზეთი და სამაჩაბლო ფეხებზე ეკიდა.

30/X-1/XI 96

ისევ ამაოდ დავრბივართ მე და ვახტანგ გურგენიძე გალაკტიონის სახლ-მუზეუმის გახსნაზე.

ისევ განუკითხაობის ყრუ კედელი.

ქალაქის მერიამ, თითქოსდა, მოინდომა, შეესყიდა გალაკტიონის ბინა ქიშვარდ ცირეკიძისგან, მაგრამ მერე, როგორც ჩანს, ეძვირა და თავი გაანება.

ეს მაშინ, როცა საქართველო მილიონებს ხარჯავს უსაგნო ზეიმებზე, მეჯლისებზე, გამოგონილ იუბილეებზე, განახლებულ "თბილისობაზე".

რა ვუყოთ, საქართველოს მთავრობას ჯერ გალაკტიონისთვის არ სცალია. არ უღირს დიდად გალაკტიონი.

31 ოქტომბერს რეზო ძნელაძე (უნივერსიტეტის დოცენტი, ენათმეცნიერი) და მე ბოლნისს ვეწვიეთ.

ბოლნისი და მისი შემოგარენი დაგვათვალიერებინა და გვიმასპინძლა უაღრესად განათლებულმა, პატრიოტმა კაცმა, ბოლნისის პროკურორმა თენგიზ მარჯანიშვილმა.

ყველას თითქმის, უსინდისო ფუნქციონერთა გარდა, ერთი აზრი გვაქვს საქართველოს მომავალზე.

ამოვიდა ყელში რუსეთის ცინიზმი.

რუსის ჯარმა უნდა დატოვოს საქართველოს ტერიტორია.

თბილისში გვიან ღამით დავბრუნდით.

2-3/XI

2 ნოემბერს უნივერსიტეტს ეწვია ირანის პრეზიდენტის პირველი მოადგილე. თეთრწვერა, მსუქანი, სათვალიანი, ჭკვიანური გამომეტყველების მამაკაცი – ჰასან ჰაბიბი.

დიდ საბჭოზე მივიღეთ.

როინ მეტრეველი მისებურად, დინჯად, დიპლომატიურად მიესალმა.

სტუმარმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა.

აქამდეო, სპარსეთი საბჭოთა რესპუბლიკებმა იცოდნენო, როგორც ბნელით მოცული, დესპოტური, შაჰის ტირანიის ასპარეზი, ისლამური ქვეყანა – ჰარამხანებით, შაჰის ბრწყინვალე სასახლით, ჩადრიანი ქალებით, დათრგუნვილი დემოკრატიით და მორწმუნე ფანატიკოსებით...

ყველა, ყველა და საქართველოს მაინც არ უნდა დაავიწყდეს, რომ ჩვენ კარის მეზობლები ვართ და თანაც ისეთი მეზობლები, ერთმანეთს რომ ვერ გავექცევით, გულითაც რომ გვინდოდეს, გეოგრაფიულ მდებარეობას ვეღარ შევიცვლით. ესეც არ იყოს, ჩვენს ისტორიას გარდა ომებისა (და ისტორიკოსები, რატომღაც მხოლოდ ომებს იხსენებენ), კულტურულ-სავაჭრო ურთიერთობების საუკუნეებიც ახსოვს და მოდით, უფრო ახლოდან, შიგნი-

დან შევხედოთ ერთმანეთს. ჩახედეთ ჩვენს არქივებს, თქვენი ისტორიისთვის რამდენ ძვირფას განძს იპოვით, შევხედოთ უბრალოდ კეითლი თვალით ერთმანეთს, ერთმანეთის ჰაბიტუსსაც შევავლოთ თვალი. იქნებ, გვენიშნოს ზოგი რამ და კეთილი „თეთრი დათვის“ მითიც სხვა შინაარსისა აღმოჩნდეს ბოლო წლების გადამკიდე ქართველებისთვისო.

ეს იყო ეშმაკი და ბრძენი აღმოსავლეთის ღაღადისი.

დარბაზი სავსე იყო შავწვეროსანი ლამაზი სპარსელებით, რომელთაც, ღმერთო, ვერაფრით განასხვავებდი ქართველთაგან.

გავიფიქრე ჩემთვის – აწი მაინც გვასწავლოს ჭკუა ისტორიის გაკვეთილებმა. არა! არა! არავის უბეში, არავის ქვეშევრდომად და სატელიტად აღარ უნდა დარჩეს საქართველო. ხომ ვნახეთ, რა სიკეთე დაგვმართა სკვითთან ორასწლოვანმა ჩახუტებამ. ახლა მაინც გამოვიფხიკოთ ყური...

ნატო! ნატო! ყველაზე საიმედო ნავსაყუდელი საქართველოსთვის ნატოა.

არას გვარგებს რუსი, გავაძევოთ და სამაგიეროდ თურქეთ-ირანს გავუწვეთ?

არავის რომ არ გავუწვეთ არ შეიძლება?

ჩვენ უნდა ვიყოთ ნეიტრალური, მკაცრად დამოუკიდებელი ქვეყანა თანამედროვე ცივილიზებული ევროპა-ამერიკის კოალიციაში და ნატოს სამხედრო მანქანის ფრთებსშეფარებული.

ესაა გადარჩენის ერთადერთი გზა.

3 ნოემბერი კვირაა.

შიოსთან ერთად ფეხით ავედი კუს ტბაზე.

გზაში „ვეფხისტყაოსნის“ ადგილების ზეპირად თქმაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს.

მჯობნის. ნახევარი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცის.

3-4/XI 96

გაზეთ „საქართველოში“ (ნ. გრიგალაშვილი) ჩემი ინტერვიუ დაიბეჭდა.

ვლაპარაკობ საქართველოს პარლამენტის და პრეზიდენტის მარიონეტულ პოლიტიკაზე. „როცა საქართველოს ხელისუფლებამ გულრიფშიდან ოთხმოცდაათი დამწვარი ბიჭის ცხედრების ჩამოსასვენებელი სახსრებიც ვერ გამოძებნა, რა სინდისით ატარებს მეჯლისებს და ძვირადღირებულ თბილისობა-ბანკეტებს-მეთქი“, ვამბობ.

პროფესორი თენგიზ სანიკიძე (ცნობილი ლექსიკოგრაფი) ჩემს ლექსიკონს ადგენს. გამაცნო მასალა. არ ველოდიო, მეუბნება, ბევრი სიტყვა (განმარტებით ლექსიკონში რომ არაა შეტანილი) ვიპოვე თქვენს ნოველებშიო.

თუ გამოსცა წიგნად, მაშინ ნახე მოშურნეთა დოღი.

ალბათ, თვითონ მოაგვარა ეს საქმეო, იტყვიან.

ღმერთი, რჯული, ვერც წარმოვიდგენდი, თუ ჩემს ლექსიკონს ოდესმე ვინმე შეადგენდა.

5-8/XI 96

უნივერსიტეტის გამომცემლობამ ჩემი წიგნი გამოსცა სახელწოდებით „მინაწერები სატელეფონო წიგნზე, წერილები, დიალოგები“.

თითქმის ყველა ქართველ თანამედროვე მწერალზე მითქვამს ჩემი მოკრძალებული სიტყვა.

„მინაწერები“ 1993 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა. ვახტანგ ხარჩილავამ დაბეჭდა მშვენიერი წერილი „მინაწერების“ შესახებ.

ვახტანგის გარდა, მე მგონია, მადლობელი არავინ დარჩენილა. ყველა მწერალს გენიოსი ჰგონია თავი. დარმწუნებული ვარ, ყველა ფიქრობს, მართალია, მაქებს მიშველაძე, მაგრამ მეტი ქების ღირსი ვარო.

ასეთია კრიტიკოსის ბედი.

რატომ ჰგონია პოეტს ან პროზაიკოსს, რომ კრიტიკა ლიტერატურული „მომსახურების სფეროს“ განეკუთვნება.

5 ნოემბერს მე და ლევან სანიკიძე ბათუმის ოპერის თეატრის პრემიერას ვერდის „ოტელოს“ დავესწარით. დიდებულად იმღერეს ხომერიკმა (ოტელო) და სახამბერიძემ (იაგო). საერთოდ, კარგი სპექტაკლია.

მახსოვს პირველი წასვლა ბათუმში ა. ხომერიკის დასისა.

ღალატად ჩაუთვალა ოპერის თეატრის ხელმძღვანელობამ ხომერიკს ეს ნაბიჯი და რამდენიმე მსახიობი მოხსნეს კიდეც სამსახურიდან.

მე გამოვექომაგე მაშინ მოხსნილებს, მაგრამ „ლიტერატურულმა საქართველომ“ მაშინ ჩემი რეპლიკა არ დაბეჭდა (ჯანსუღ კახიძეს მოერიდა).

განა ბათუმის ოპერის თეატრის დაბადება და „ოტელოს“ ტრიუმფი ქართული ხელოვნების გამარჯვება არ არის?

რას მიქვიან ბათუმის, ქუთაისის და თბილისის „ოპერა“ (?!) ჩვენ განა ყოველი ქართველი ხელოვანის გამარჯვება ჩვენსავე ზეიმად არ უნდა მიგვაჩნდეს?

ოჰ, ეს შური, შური... ნოემბერს უნივერსიტეტში ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა პოეტის, ზურაბ ჯაფარიძის ხსოვნის საღამო გვქონდა. მე ვთქვი შესავალი სიტყვა. კარგად გამოვიდა როინ მეტრეველი. რექტორმა გულით დაიტირა უდროოდ წასული კარგი ბიჭი.

ზურაბ ჯაფარიძე ჯიხვზე სანადიროდ წავიდა და თოვლში ჩაიჩუმქრა.

ექვსი თვის შემდეგ იპოვეს.

მახსოვს, როგორ დავრბოდით სამაშველო სამსახურებსა და თავდაცვის სამინისტროში ორჯერ ვერტმფრენიც გაგზავნეს, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს.

რა ბედნიერები იყვნენ ქეთი დოლიძე და ზურაბ ჯაფარიძე. რა ლამაზი, პოეტური ოჯახი ჰქონდათ.

რატომაა წუთისოფელი ასე შეუბრალებელი.

ოთხსაათიანი მიღება მქონდა „სტუდენტური პაემანის“ რედაქციაში.

რედაქტორი გიორგი მამაცაშვილი გაბედული, პატიოსანი, ნიჭიერი ყმაწვილია.

ბევრს რასმე აკეთებს სტუდენტი ახალგაზრდობის ეროვნულად მობილიზებისთვის.

დიდხანს, გულახდილად ვისაუბრეთ. მკითხეს ჩემი აზრი შევარდნაძეზე, ჯაბა იოსელიანზე, კვაჭანტირაძეზე, სამომავლო გეგმებზე.

9-12/XI 96

ლევან სანიკიძე, ვახტანგ ქარუმიძე და მე ხაშმში წავედით ძველი ხაშმის VII საუკუნის სამონასტრო კომპლექსის დასათვალიერებლად.

მდინარე ლაფნინწყლის პირას ვახტანგ გორგასალის დროინდელი დიდებული ძეგლი – საყდარი აღმართულა.

ერთნავიანი ბაზილიკა-საყდარი ანჩისხატის ტიპისა, ირგვლივ ათამდე ნაგებობა, ეკლესიის მსახურთა საცხოვრებლები, სატრაპეზო, „აკადემიის შენობა“, მარანი, საკუჭნაო.

ათასწლოვანი ქვევრები, ანკარა წყარო...

საოცარი სანახაობაა.

დიდხანს ვიარეთ წინაპართა ნაკვალევზე ლამის იავარქმნილ, დანგრეულ ტალანებში.

ხაშმი უძველესი, ვახტანგ მეფის მიერ დაარსებული სოფელია.

უძველესი ბუხრები, ძვალთაშესალაგი, უჯარმის ციხე-ქალაქი...

აქ დაიჭრა სასიკვდილოდ დევკაცი ვახტანგ გორგასალი.

იგი დაჭრილი მანამ იქნევდა ხმალს, სანამ სისხლისგან დაიცლებოდა და ფერლონემიხდილს საომარ არენას გამოარიდებდნენ.

უკან დაბრუნებისას ივრისპირას უზარმაზარი უდაბნოდქცეული ჭალა გადაიშალა ჩვენს თვალწინ.

მანქანა შევაჩერეთ.

აქაო, გვისხნის ბ-ნი ვახტანგი, ერთი კერძო ფირმა თევზსაშენის მოწყობას აპირებდაო, ჭალა ტრაქტორებით მოასწორა, ძველთაძველი მუხები ამოძირკვა, მერე გაარკვია, რომ წყალსაცავში წყალი „იპარებოდა“ მეჩხერი ფსკერის გამო, მიატოვა ეს გაჩანაგებული ჭალა და წავიდაო.

საშინელი სანახავია აქაურობა.

ირგვლივ ულამაზესი ფერები – უზარმაზარი ხეები, ხოხბის და დურაჯის კრიახი, ხვინჭი, კუნელი, ასკილი, ქაცვი წითელ-ყვითლად ღუის, შაშვი ლამის მხარზე დაგაფრინდეს, აქ კი ნატრაქტორალ ჭალაში, სიჩუმეს და სიკვდილს დაუსადგურებია.

რას სჩადიხარ, ადამიანო, რას?!

11 ნოემბერს ცხინვალის სეპარატისტული არჩევნების შედეგები გამოცხადდა.

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი გახდა ჩიბიროვი.

ჩვენმა პარლამენტმა მორიგი კნავილ-სხდომა ჩაატარა. კი არ გამართა, მართლაც, რომ ჩაატარა.

უკანონოდ ცნეს სამაჩაბლოს არჩევნები და დაიშალნენ.

13/XI 96

გუშინ დავკრძალეთ იორამ ჩადუნელი – ქართული დეტექტიური პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

დაკრძალვაზე რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილეებს გილიგაშვილს და ბალუაშვილს ვესაუბრე სიკვდილით დასჯის კანონზე. ვუთხარი,სანამ ჩვენთან მართლმსაჯულება არასრულყოფილია და ზოგჯერ სახელმწიფოს პირველ კაცზეა დამოკიდებული, ვინ დაიჭირონ და ვინ გაუშვან, სანამ ჯერ კიდევ ადგილი აქვს უდანაშაულო კაცის დამნაშავედ მიჩნევას და დახვრეტასაც კი, მანამ სიკდვილით დასჯის კანონი ბევრ ცოდვასთანაა დაკავშირებული და არ უნდა არსებობდეს-მეთქი.

ზოგ რამეში დამეთანხმნენ, ზოგში – არა.

მერე, სხვათაშორის ვიკითხე, თენგიზ სიგუას ირგვლივ წრე ხომ არ ვიწროვდება, დაჭერას ხომ არ უპირებთ-მეთქი. შენ როგორ ფიქრობო, კითხვა შემომიბრუნეს; ჯერჯერობით, როგორც ვხედავ, ადამიანს მეორადი დანაშაულებისათვის იჭერენ, ხოლო რისთვისაც სიგუამ პასუხი უნდა აგოს, თქვენ მას ხელს ვერ მოჰკიდებთ, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, სიგუას გვერდით სხვებიც აღმოჩნდებიან და იქნებ სიგუაზე უფრო დიდი „ღლავებიც“ მეთქი.

„შანსის“ რედაქციაში ბონდო ქურდაძეს და ვალერი კვარაცხელიას ვესაუბრე ჩვენი პარლამენტის დელეგაციის ვიზიტზე მოსკოვში.

ჩვენი დელეგაცია ზურაბ ჟვანიას თავკაცობით რუსეთის დუმის თავმჯდომარემ სელეზნიოვმა მიიღო. აფხაზეთის და ოსეთის არჩევნებზე რატომ აზრს არ გამოთქვამთო, ჟვანიამ ჰკითხა.

ეგ თქვენი საშინაო საკითხია. ჩვენ საქართველოს შინაურ საქმეებში ხომ არ ჩავერევითო, მელაკუდა სელეზნიოვმა.

ჩვენს წარმომადგენელს მაშინვე უნდა ეკითხა: თუ ჩვენს საქმეში არ ერევით, რატომ დგას რუსის ჯარი ენგურზე, რატომ არ აბრუნებთ ლტოლვილებს აფხაზეთში, რატომ აძლევთ ტრიბუნა-ასპარეზს ყაჩაღ არძინბას?

მაგრამ ეს შეკითხვები არ დასმულა, მიტომ, რომ ამ დელეგაციაში არც ერთი ჭეშმარიტი დიპლომატი არ იყო, ან ეს ვოიაჟიც თვალთმაქცობა იყო, ყალბი ფაციფუცისთვის მოგონილი.

ვაიმე, ვის ხელში ხარ, ჩემო უბედურო სამშობლოვ?

ნიჭიერ ექიმს, პროფესორ შოთა ჯაფარიძეს, 50 შეუსრულდა. შოთა, ლამის, ერთადერთი პროფესორია, ამ მგლური საბაზრო ეკონომიკის პირობებში უფასოდ რომ ჰკურნავს ავადმყოფებს.

„შანსს“ შევთავაზე ამ კარგ კაცზე, ქველმოქმედზე რაიმე დაებეჭდათ, თორემ ძალიან კბენია გაზეთად აქციეთ-მეთქი.

14-16/XI 96

16 ნოემბერს თელავში ლადო მრელაშვილის დაბადების 70 წლისთავის იუბილე გაიმართა.

ეს იყო ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე მწერალთა კაშვირის გარეთ გამართული პირველი იუბილე ცოცხალი მწერლისა.

კახეთის გამგებელმა, გია არსენიშვილმა, გახსნა. კარგი სიტყვა თქვა.

მოხსენებით მე გამოვედი.

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ ოთარ ჭელიძე, დავით მჭედლური, ლევან სანიკიძე, მედეა მეზვრიშვილი, გურამ გვერდწითელი, ანზორ აბულაშვილი, შოთა ხოდაშნელი, კარლო კობერიძე, ვალერიან მამუკელაშვილი, ფარნა რაინაული და სხვები.

მერე ვახვახიშვილების XVI საუკუნის დარბაზში გაიმართა პურობა.

ლევან სანიკიძემ ითამადა.

ამ იუბილეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ქართველი მწერლისკენ, წიგნისკენ მოახედა საქართველო.

ლადო მშვენიერი მწერალია – მართალი, უკომპრომისო, ძარღვიანი ქართული ემარჯვება.

ზოგი მწერლის წაჯექ-უკუჯექობამ და პოლიტიკურმა სალტო-მორტალემ ბევრი რამ დაგვაკლო მკითხველის თვალში მწერლებს.

ახლა, ვხედავ, ნელ-ნელა ბრუნდება ჩვენსკენ ხალხი. თეთრსა და შავს არჩევს. იცის, ვინ იბრძვის ბოლომდე საქართველოს თავისუფლებისათვის და ვინ ჰყიდის ურცხვად.

17-18/XI 96

გალაკტიონს ასხუთი შეუსრულდა.

ამაოდ ვირბინეთ მე და ვახტანგ გურგენიძემ სახელმწიფო კანცელარიისა და მერიის დერეფნებში. ვერა და ვერ მივაღწიეთ გალაკტიონის მუზეუმის გახსნას.

სახელმწრიფომ, რომელიც თბილისობის დღესასწაულზე და სახელისუფლებო დელეგაცია-მეჯლისებზე მილიონობით ლარს ხარჯავს, „სახსარი“ ვერც ამჯერად გამოძებნა გალაკტიონის ბინის გამოსათავისუფლებლად.

„ლიტერატურულ საქართველოში“ დავბეჭდე სტატია „გალაკტიონი“. გალაკტიონის ტანჯული პიროვნება, XX საუკუნის პოეზიის ზევსის ჩემეული პორტრეტი დავხატე.

მოეწონათ.

ბევრმა დამირეკა და მომილოცა. განსაკუთრებით აღფრთოვანების სიტყვები მითხრეს ყურმილში ზურაბ რატიანმა და დევი სტურუამ.

19.XI.96

დღეს კარგი დღე იყო.

უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე მცხეთას ვეწვიეთ.

ექვს საათზე თეატრის ახალ შენობაში შეხვედრა გაიმართა.

გავსებულია დარბაზი. შემეშინდა. ჩემი უმრწმესი მეგობრები შეძლებენ თითო-ოროლა ლექსის წაკითხვით ამ ხალხის დაკავებას?

თანაც თავიდანვე არ მესიამოვნა ერთი გარემოება, მავანთ საქველმოქმედო მოსაზრებით (ფული ენციკლოპედიას უნდა გადაერიცხოსო) ბილეთებიც გაუყიდიათ.

ენციკლოპედიის საწინააღმდეგოდ ენა ვის მოუბრუნდება, მაგრამ ბილეთი ხომ უფრო პრეტენზიულს ხდის ჩვენს გამოსვლას და მაყურებელიც უფრო მომთხოვნი, მკაცრი იქნება.

შესავალ სიტყვაში ვთქვი, უპირველესად თქვენ უნდა გითხრათ მადლობა; ამ ცივ თეატრში ასე ერთსულოვნად რომ მობრძანდით-მეთქი.

ჩვენგან ბევრს სანახაობრივად ნურას ელოდებით, ოღონდ ერთში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, აქ გამოსული ყველა ახალგაზრდა მწერალი იქნება დიდი დაპირება ჩვენი ხვალინდელი ლიტერატურის საამაყოდ და, თუ დააკვირდებით, თითოეული მათგანი შიგნიდან იქნება განათებული საზოგადო ვალის ღრმა შეგნებით. აქ არ იქნება სიტყვით ჟონგლიორობა. ოცდახუთი წელია მე ახალგაზრდა მწერლებს, ერის სამსახურს, ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლას ვასწავლი და ჩათვალეთ, რომ დღეს ბებერ მცხეთაში, სადაც ილია ჭავჭავაძის აჩრდილი დააბიჯებს, სცენაზე გულისკანკალით გამოდიან ილიას შვილთაშვილები და თავიანთ პირველ ლექსებს წარმოთქვამენ-მეთქი.

ჩემმა სიტყვამ დარბაზი სასიკეთოდ მონუსხა და ახალგაზრდა მწერლები გაამხნევა.

გამოვიდნენ ქეთი დოლიძე, მიხეილ ღანიშაშვილი, ხვთისო მამისიმედიშვილი, გიორგი არაბული, ბადრი პატაშური, თამარ ლომიძე, ქეთევან მეფარიშვილი, ტრისტან მახაური... და მშვენიერ ქალთა ახალშექმნილი კვარტეტი, რომელსაც "მოლოდინი" შევარქვი.

შეხვედრამ ჩემს მოლოდინს, მართლაც, რომ გადააჭარბა.

ახალგაზრდული ლექსი მცხეთამ გულთბილად მიიღო.

ტაშის გრიალი არ ცხრებოდა.

მეამაყებოდა ჩემს გაწვრთნილებს „ბისზე" რომ იძახებდნენ და ლექსებს ამეორებინებდნენ.

ჩანს, ყველაფერი არ დაკარგულა.

ჩანს, ულმობელმა საბაზრო დრომ ვერ ჩაკლა ქართველში ლექსის სიყვარული.

ბოლოს მადლობა მოვახსენეთ ქვემო ქართლის გუბერნატორს წესიერ, ენერგიულ, პატრიოტ კაცს, შალვა ობგაიძეს და მის მომხიბვლელ მეუღლეს ქეთევან შარაბიძეს, რომელთაც, მართლაც რომ დიდებული მასპინძლობა გაგვიწიეს სცენაზეც და სცენის გარეთაც-მარანში.

20.XI.96

თბილისში არსებობს ერთი ნახევრადსახელმწიფო ინსტიტუტი, რომელსაც ეკონომიკის ინსტიტუტი ჰქვია.

დღეს ამ ინსტიტუტში სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია ჩატარდა სწავლების ახალი მეთოდების საკითხებზე.

მოხსენებები წავიკითხეთ ლევან სანიკიძემ, გივი მიქელაძემ, რეზო ჭოლოშვილმა და მე.

ვთქვი: ამასწინათ ამ ინსტიტუტის პირველკურსელებთან ლექციაზე ვიკითხე, რომელ წელს იყო აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომი და ვერ მიპასუხეს-მეთქი. ახლა სხვა დროა. სხვა თაობა, სხვა ახალგაზრდები მოვიდნენ. ბევრმა ისიც არ იცის, რომელ საუკუნეში ცხოვრობს და თქვენი ვალია, მოაქციოთ ისინი აქტიურ ქართველებად, პატრიოტებად, დაპყრობილი საქართველოსთვის მებრძოლებად-მეთქი. თანაც აღარ არის ახლა მედავითნე, მოღაღადე ლექტორის დრო. ინფორმაციის საშუალებებით და საბაზრო ფეიერვერკით დაღლილ სტუდენტს დღეს კონკრეტული საუბარი სჭირდება და არტისტიზმს იგი პროვინციალიზმად აღიქვამს, ამიტომ ლექცია ჩააწერინეთ სტუდენტებს, მითუმეტეს, რომ დღეს ყველა სახელმძღვანელო მოძველებულია. თქვენ კი (ზოგიერთი) იმპერიის დროს დაწერილი სახელმძღვანელოებით უკითხავთ ლექციებს-მეთქი. არ შეიძლება პროფესორის წაკითხული ლექციებიდან ერთი პატარა რვეული მაინც არ დარჩეს სტუდენტს-მეთქი.

ძველი სკოლის პროფესორები შეიშმუშნენ.

ჩვენთან ხომ „ჭკუის მასწავლებელი" ყველას სძულს, მაგრამ ისე შევატყვე, გულში მაინც დამეთანხმნენ და მეც სხვა სურვილი არა მქონია.

21.XI.96

გორს ვეწვიეთ ანა კალანდაძე და მე.

გორის საოსტატო სემინარიას (ამჟამად მე-9 სკოლა) 150 წელი შეუსრულდა.

ანა კალანდაძე და მე მიგვიწვიეს ქართველ მწერალთაგან.

დიდებული იუბილე გადაუხადეს ამაგდარ სკოლას გორელებმა.

ამ სკოლაში ვაჟა-ფშაველა სწავლობდა და ნიკო ლომოური მასწავლებლობდა.

დარბაზი პირთამდე სავსე იყო.

დიდებულად გამოვიდა ქალბატონი ანა.

ვთქვი, ყველა ქართული სკოლა პროტესტია გარუსების, გათათრების, გასომხების წინააღმდეგ მიმართული-მეთქი.

დღეს მასწავლებლობა გმირობას ნიშნავს-მეთქი.

ვულოცავ ამ დღეს ყველას დირექტორიდან (ცირა ჯაჯანიძე) იმ პირველკლასელი მოწაფის ჩათვლით, ვინც ახლახან მიიყვანა სკოლაში დედამ გაცვეთილი ჩანთით და მისი ურფოსი ძმის ნაქონი „დედაენით“-მეთქი.

სამი ტაძარი აქვს ქვეყანას – ღვთის სახლი, სკოლა და თეატრი-მეთქი.

ერი, რომელიც სკოლას ასეთ იუბილეს გადაუხდის, უკვდავია-მეთქი.

დროა, ერთმანეთი ხელისცეცებით ვიპოვოთ იმ სიბნელეში, მარიონეტულმა ხელისუფლებამ რომ „მოგვიპოვა“ და ერთად, ხელიხელჩაჭიდებულებმა უნდა ვიაროთ ჭეშმარიტად თავისუფალი საქართველოსკენ-მეთქი.

რწმუნებული ირაკლი ბოჭორიძე ზრდილობიანი, კარგი ახალგაზრდაა.

ასეთი სუფთა ბიჭები სჭირდება დღეს საქართველოს ხელმძღვანელ პოსტებზე.

22, XI 96

დღეს აფხაზეთიდან ლტოლვილ მწერალს, ევგენი აქუბარდიას, 70 წელი შეუსრულდა.

მწერალთა კავშირში შევიკრიბეთ გენო კალანდია, ჯანო ჯანელიძე, გურამ ოდიშარია, ზაურ კალანდია, მე და, რა თქმა უნდა, ბატონი ევგენი.

ჭიქა შამპანურით მივულოცეთ 70, გამაგრება, გაძლება, გაძელქვება ვუსურვეთ.

ჩემს გვერდით იჯდა და საოცარი რამ მითხრა ევგენიმ: შენაო, ჩემზე „ბედნიერი“ ხარო. საშინელება ყოფილა მტანჯველი მოლოდინიო. შენ შვილის საფლავი მაინც გაქვს. მე საფლავი რომ მქონდეს, ერთხელ და სამუდამოდ ვირწმუნებდი და შევეგუებოდი ჩემს მდგომარეობასო. არ იცი, რა ძნელია ყოველი ლტოლვილის, ყოველი აფხაზეთში მებრძოლის თვალებში შენს შვილს რომ დაეძებო.

ევგენის ვაჟკაცი რუსეთთან ომის დროს უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ასევე არ იცის თავისი შვილის ასავალ-დასავალი ჟურნალისტმა ოთარ გაგუამ და კიდევ რამდენმა.

საღამოს ფოთის მერმა ნუგზარ ნადარაიამ დამირეკა; 24-ში ფოთში ცოტნე დადიანის ძეგლის გახსნა გვაქვს და უსათუოდ უნდა ჩამოხვიდეო.

უნდა წავიდე. ცოტნე ჩვენი უპირველესი გმირია, მრავალგანზომილებიანია მისი გმირობა.

ყველაფერთან ერთად იგი ზნეობრივი გმირიც არის.

სჭირდება დღეს საქართველოს მისი სახება.

23-25/XI 96

ფოთში „ფაზისქალაქობა“ 24 ნოემბერს ცოტნე დადიანის ძეგლის გახსნით დაგვირგვინდა.

ზღვა ხალხი მოვიდა ზეიმზე.

კოტე მახარაძემ გახსნა (?!). კითხვა-ძახილის ნიშანი იმიტომ დავსვი, რომ წესით ფოთის მერს, ნუგზარ ნადარაიას, უნდა გაეხსნა, თორემ კოტე მახარაძის საწინააღმდეგო ვის რა აქვს. კოტე მშვენიერი მსახიობი და ფეხბურთის კომენტატორია, მაგრამ იმ მაშსტაბის საზოგადო მოღვაწე არ არის, რომ ასეთ ისტორიულ ღონისძიებას უწინამძღვროს. ესეც არ იყოს, მიტინგი იმას უნდა წაეყვანა, ვინც გულის სისხლი ჩააწურა ამ ჭეშმარიტად სახალხო საქმეს და ამ შეჭირვების დროს სახსრები გამოძებნა, რათა ფოთში ამ დღეებში ცოტნე დადიანის, ივანე ჯავახიშვილის და იაკობ გოგებაშვილის ძეგლები დადგმულიყო. გახსნილიყო ფოთის ისტორიული მუზეუმი, „ფაზისის“ აკადემია და სხვ.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა ედუარდ შევარდნაძე. ხაზი გაუსვა ცოტნეს ძეგლის დადგმის დიდ მნიშვნელობას ქართველთა კონსოლიდაციის საქმეში და ჩვენი სამომავლო ცხოვრების იმედიანი კონტურებიც მოხაზა. აფხაზეთს და სამაჩაბლოს მალე დავიბრუნებთო, განაცხადა, რაზეც ლოდინით დაღლილი მასის ტაში დაიმსახურა.

გამოვიდნენ ცოტნე მირცხულავა, ვალერი ასათიანი, ლევან სანიკიძე, ნუგზარ ნადარაია...

ქართველი მწერლების სახელით მე მომცეს სიტყვა.

ვთქვი:

„ბატონებო, –

კაცი, რომელიც თავისი სიცოცხლიდან ლამის 700 წლის შემდეგ ძეგლად აღიმართა ამ მოედანზე, თავისუფალი საქართველოს ერთი შეთქმულთაგანი იყო და როცა დამპყრობელ მონღოლთა ბანაკში აბეზარ ქარ-სიცხეში თავის დასჯილ თანამოძმეთა შორის ჩავჯდა, რა თქმა უნდა, არ ფიქრობდა იმაზე, რომ დიდი ხნის შემდეგ გრძნეული მოქანდაკე საჭრეთელს აიღებდა და საუკუნეებს უამბობდა ამ ბეჭარწივოსანი გმირის უკვდავებაზე.

ცოტნე დადიანი ქართველთა უპირველესი ზნეობრივი გმირია.

შეიძლება იფიქრო კაცმა, დგანან ახლა თავიანთი წილი ცოტა მზით განათებულ მოედნებზე საუკუნეთა დელგმა-გვემას გადარჩენილი ქართველნი, რომელთაც სამშობლო თითქმის ხელში შემოეფცქვნათ და ძეგლებს დგამენო.

ეს მარტო ძეგლი არ არის, ეს ოდენ ხელოვნების ნიმუში არ გახლავთ, ეს ქართველთა გადაშენებისადმი პროტესტის ნიშნად მაღლა შემართული მუშტია. ამიტომაც მადლობის ღირსია დღეს ყველა, ვინც ეს ძეგლი შეჰქმნა, მისი დადგმა ითავა, მისი ლიბო გაამაგრა და ჩაადუღაბა.

ეს ძეგლი კი არა, კივილია, საუკუნეებს რომ გამოივლის, საქართველოს მთებში რომ წრიალებს და კოსმოსში იკარგება.

ისევ და ისევ დავით აღმაშენებლის და ცოტნე დადიანის სიბრძნე და უკვდავება გააერთიანებს და გადაარჩენს საქართველოს.

ნუ გაიხარებენ ჩვენი მტრები.

ცოტნე დადიანის გენი ისევ ფეთქავს. ცოტნე დადიანის სისხლი ისევ მიმოდის ჩვენს ძარღვებში. ცოტნე დადიანის ბრალიცაა, ამასწინათ იმპერიასთან უსამართლო ომში ჩვენი პირტიტველა ბიჭების სიკვდილთან შე-

თამაშება. დიაღ, „თამაშად და მღერად“ – როგორც რუსთაველი ბრძანებს, მიიჩნია 30 ათასმა და უფრო მეტმა გმირმა მამულისათვის სიკვდილი.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა.

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

ქართული მიწებისკენ შურით მზირალნო და გაიძვერა მოყვარენო, გეშინოდეთ ცოტნეს მხარზე მჯდომი არწივისა. იგი ხვალინდელი საქართველოა“.

26/XI 96

მწერალთა კაშვირში კარლო არსენაშვილის ახალი წიგნის განხილვა იყო.

ზურაბ ჭუმბურიძემ იმოხსენება (არ შეიძლება ვითომ „იმოხსენება“, ან „მოგვახსენა“? „გააკეთა მოხსენება“ – არ ვარგა).

სიამოვნებით დავესწარი ამ განხილვას და სიტყვაც ვთქვი („სიტყვაც ვთქვი“, არ ვარგა, სიტყვას იტყოდა, აბა, ხომ არ იმღერებდი, არც „სიტყვით გამოვედი“ ვარგა. იქნებ „შევესიტყვე“?). სიამოვნებით შევესიტყვე კარლო არსენაშვილს.

წიგნს საბავშვო აწერია, მაგრამ ისეთია, დიდებიც რომ წაიკითხავენ.

იწერება ზოგჯერ ბავშვებზე ბავშვებისთვის, ზოგჯერ ბავშვებზე დიდებისთვის, კარლოს წიგნი, უფრო ამ უკანასკნელთა რიგს მიეკუთვნება.

ჩუმი და მოკრძალებული მწერალიაო, ვიღაცამ თქვა.

ჩვენ ხშირად გვერევა ერთმანეთში ადამიანის მოქალაქეობრივი თავმდაბლობა და მისი შემოქმედებითი სახე.

რაკი მწერალი არ ბრახუნობს, სახელისთვის არ ნადირობს და პიტნასავით ცხვირში არ გვჩრის თავის ნაწერებს, ასეთ მწერალს ერთხელ და სამუდამოდ მივაკერებთ „ჩუმი“, „უპრეტენზიო“ მწერლის სახელს.

მწერლობაში ჩემი და უპრეტენზიო ადამიანები არ არსებობენ.

განხილვამ კარგად ჩაიარა (არც „ჩაიარა“ ვარგა, „ჩატარდა“ სჯობს).

საღამოს „მაცნემ“ გვამცნო, რომ 15 მხედრიონელ ყმაწვილს 10-15 წლით პატიმრობა ჩამოურიგეს. იდგნენ ისინი მოტყუებული, ხელისუფლების მიერ შეთამამებულ-გამოგონილი ყმაწვილები.

ჯერ გმირებს ეძახდნენ (როცა ჭირდებოდათ), ახლა ყაჩაღებად უხმობენ.

არ შეიძლება, არა, 700 ახალგაზრდა ყაჩაღი იყოს!

27/XI, 96

როგორც მოველოდი, ამერიკელმა და ინგლისელმა დამკვირვებლებმა სოხუმში განაცხადეს – აფხაზეთში არჩევნები უაღრესად დემოკრატიულად ჩატარდა და ლეგიტიმურად უნდა ჩაითვალოსო.

ერთ-ერთი დამკვირვებელი – ინგლისელი ლორდი, მეორე დღეს თბილისს ეწვია. თამაზ ნადარეიშვილმა მიიღო და ჰკითხა: რატომ განაცხადეთ ასეთი რამ. თქვენ ხომ იცით, რომ ინგლისი საქართველოს მთლიანობას აღიარებს, ხოლო სეპარატისტების მიერ დანიშნულ-ჩატარებული არჩევნები საქართველოს მთლიანობის ხელყოფააო – ეს იგივეა, შოტლანდიამ ინგლისისგან სრული გამოყოფა გამოაცხადოსო.

ლორდმა უპასუხა; ჯერ ერთი, ინგლისი არ დაუშვებს შოტლანდიაში ისეთი ხელისუფლების მოსვლას, რომელიც შოტლანდიის სრულ დამოუკიდებლობას გამოაცხადებს და არც ასეთი არჩევნების ჩატარების საშუალებას

მისცემსო. მეორეც, მე ვთქვი მხოლოდ, როგორც დამკვირვებელმა, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა. დანარჩენი თქვენს შუამავალს – რუსეთს მოჰკითხეთო. თქვენ არ ენდობით ამერიკას და ინგლისს. შუამავლად მაინცდამაინც რუსეთი აირჩიეთ და ახლა, რა, გინდათ უბრალო დამკვირვებლებმა თქვან ის, რასაც თქვენ თვითონ არ ეუბნებით მსოფლიოსო? თქვენ ხომ არსად არ ამბობთ, რომ რუსეთმა წაგართვათ ტერიტორიებიო. ჩვენ, დამკვირვებლები, პოლიტიკაში არ ვერევითო.

გაშრა. ხმა ვერ ამოიღო თ. ნადარეიშვილმა. რა უნდა უთხრას. მართალია კაცი. თამაზი ამბობს სათქმელს, მაგრამ თამაზი მხოლოდ აფხაზეთის ხელისუფლებაა (ისიც უიურისდიქციო), საქართველოს ხელისუფლება არ არის.

დღეს ჩემთან მოვიდა აფხაზეთიდან ლტოლვილი, ხანშიშესული კაცი ფარფალია.

ბატონო რევაზ, მშიერი ვკვდები, იქნებ დაურეკოთ პურის ქარხნის დირექტორს – კალანდაძეს, მუშად მიმიღოსო.

ვთხოვე ბიჭიკო კალანდაძეს. ყურადღებით შემხვდა. გულთანაც მიიტანა ჩემი სათხოვარი; ქარხნიდან შტატების შემცირების გამო (გაზი რომ გამოგვირთეს) გათავისუფლებული 80 მუშა აღდგენის რიგში მიდგასო. ყოველდღე ცხადდებიან ისინი და თუ რომელიმემ გააცდინა, იმის მაგივრად მუშაობენო. მოვიდეს, ოთხმოცდამეერთედ ჩავაყენებენ რიგში და როცა მოუწევს, მივიღებო.

ღმერთო, როგორ უჭირს ხალხს.

რა ვქნა, რით დავეხმარო.

28-29/XI 96

პირველ საშუალო სკოლაში, ანუ თბილისის პირველ გიმნაზიაში 29 დეკემბერს ბაბო მჭედლიძის ასი წლისთავის აღსანიშნავი საღამო გაიმართა.

მე და რევაზ ძნელაძე ნახევარი საათით ადრე მივედით. მაინტერესებდა, როგორი იყო თბილისის ომის (1991-92წწ.) დროს დანგრეულ-იავარქმნილი გიმნაზია აღდგენის შემდეგ.

დირექტორმა- ქ-ნმა ლია შეწირულმა, თავაზიანად დაგვათვალიერებინა კაბინეტ-ლაბორატორიები და საკლასო ოთახები.

სადღაა ბრწყინვალე პირველი სკოლა!

უბრალოდ, სადად, თეთრად შეღებილი ჭერ-კედლები. სადღაა მისი ძველი „კარნიზ-ჩუქურთმები“ და ულამაზესი კარები.

„დამკვრელური ტემპით“ აღუდგენიათ შენობა.

რამდენიმე ადგილას უკვე გამსკდარა კედლები.

ამ გიმნაზიაში ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე... სწავლობდნენ.

დაიწვა არქივიც დაიწვა ბიბლიოთეკაც, დაიწვა უმდიდრესი კაბინეტები...

ბაბო მჭედლიძის იუბილე მშვენივრად ჩატარდა.

გამოვიდნენ გიორგი ციციშვილი, დევი სტურუა, აკაკი ძიძიგური, ვახტანგ ტუსკია, მედეა სიხარულიძე, მე...

გავიხსენე უმშვენიერეს ქ-ნ ბაბოსთან შეხვედრის ეპიზოდები. ვთქვი,

რა გულისტკივილით მესაუბრებოდა იგი „ვეფხისტყაოსნის“ დამმახინჯებელ აკადემიურ კომისიაზე, „როგორ ვასწავლო სკოლაში: „კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც-ის“ ნაცვლად - „კაცსა შევეც, ცხენი დავეცო“.

ბოლოს ვთქვი, კიდევ კარგი, რომ ქ-ნი ბაბო ვერ მოესწრო ქართველების მიერ პირველი სკოლის დანგრევას, თორემ მისი ტანჯული გული ვერ გაუძლებდა-მეთქი.

გული ამერია, როცა ქ-ნ ბაბოზე იმ საღამოს „მგზნებარე“ სიტყვა სწორედ იმ უბადრუკმა „მწერლუკამ“ თქვა, თბილისის დამანგრევლებს გვერდით რომ ედგა დეკემბრის ჯოჯოხეთურ დღეებში.

თვალთმაქცობას და უტიფრობას ხომ ზღვარი არა აქვს.

30/XI, 96 – 1/XII 96

შაბათს (30) მთელი დღე „ღიმილის“ მასალებს ჩავკირკიტებდი.

ვურეკავ ცნობილ მწერლებს, მომაწოდეთ რამე-მეთქი, მაგრამ შოთა ნიშნიანიძის და ერთი-ორი კაცის გარდა, როგორც ირკვევა, თანამედროვეობის მწვავე პრობლემებზე არავინ არაფერს წერს.

რა მოუვიდათ ჩენ სახელოვან მწერლებს?

განა ახლა, როგორც არასდროს, არ არის საჭირო, მწერალმა თავისი ომახიანი, მართალი სიტყვა თქვას და რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ ზიზღით განაწყოს დაპყრობილი საქართველო.

აფსუს, სადღა არიან ილია, აკაკი, ვაჟა?!

სამწუხაროდ, ბევრ ჩემს კოლეგას საქართველო ფეხზე ჰკიდია თავისი 60-70-75 წლისთავის იუბილეები და თავისი „რჩეულების“ გამოცემა-დასპონსორებითაა გართული.

სპონსორობაზე გამახსენდა; ჩემს წიგნებს არ დავეძებ, ლამის მათხოვრად ვიქცე ბანკირთა და ფულიან ბიზნესმენთა წინაშე, რომ როგორმე “ღიმილი“ ვაცოცხლო, კილოგრამობით ვსესხულობ ქაღალდს, ჩემს სიმწრით ნაშოვნ კაპიკებს ვუხდი სტამბას. ხელფასზე “ღიმილიდან“ უარი ვთქვი, რა დროს ხელფასია.

სად არის შევარდნაძის მიერ ხელდასმული „კულტურის გადამრჩენი კომიტეტი?“

კვირას საგარეჯოში ექიმ შოთა ჯაფარიძის 50 წლისთავზე ვიყავით ლევან სანიკიძე და მე.

მიყვარს ექიმთა საზოგადოებაში ყოფნა. განათლებული, წიგნიერი ხალხია ექიმები.

კარგად დამამახსოვრდნენ ჯანმრთელობის მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი რამაზ ხეცურიანი, ბესიკ კილასონია, ანტონ კეკელიძე, ნოდარ ლომიძე, ვახტანგ ყიფიანი და სხვანი.

იქვე გავიცანი მეტად სიმპათიური წყვილი-ექიმი თამაზ სანებლიძე (პოეტია, მშვენიერი ლექსთა კრებული მაჩუქა) და მისი მეუღლე ქ-ნი ნანა.

დიდებული იყო (როგორც ყოველთვის) შოთას მეუღლე, ულამაზესი ქ-ნი ლალი.

2-3/XII. 96

საბერძნეთიდან დაბრუნდა ჩემი ნათლული გია.

სად იყავი, არ ჩანდი გია-მეთქი.

რვა თვეა საბერძნეთში ვარ, ნათლია, გუშინ ჩამოვედიო.

რა გინდოდა, ბიჭო, საბერძნეთში-მეთქი.

სამუშაოდ წავედით სამი ამხანაგიო.

რას აკეთებდით-მეთქი.

მშენებლობაზე ვმუშაობდით დღიურ მუშებადო.

რას გაძლევდნენ-მეთქი.

დღეში 20 დოლარსო.

სამუშაოს აქ ვერ იშოვიდი-მეთქი?

ვერ ვიშოვე, ბატონო, ვაჭრობა მე არ შემიძლია და სხვა საქმე საქართველოში კარგა ხანია, არ არსებობსო. მშენებლობა აღარ არი და ქარხნები აქ არ მუშაობსო.

ბევრნი არიან დღიურ მუშებად საბერძნეთში ქართველები-მეთქი?

ძალიან ბევრიო. იმდენად ბევრი, რომ აქამდე თუ უვიზოდ გვიშვებდნენ, ახლა თუ ვიზა ან რამენაირი მოწვევა არა გვაქვს, საზღვარზე აღარ ატარებენ ქართველსო.

მარტო ქართველზე ვრცელდება ეგ წესი-მეთქი?

მხოლოდ ქართველებზეო.

რით დავიმსახურეთ-მეთქი.

ძირითადად ქალების „დამსახურებაა“.

?!

ათენის გარეუბანში არის ომანის რაიონი, სადაც ქართველ მეძავებს ღამის მთელი კვარტალი აღებული აქვთო.

ბერძნებში ძალიან მაზანდა აქვს ქართველ გოგოებს. გვითხრეს, ტემპერამენტიანი ქალებია და ავადმყოფობასაც ნაკლებად ავრცელებენ, თანაც პოლონელ და ფრანგ ქალებთან შედარებით იაფად „მუშაობენო“.

კიდევ კარგი,რაკი ასეა, მიხარია, რომ „არ გვარცხვენენ“ ჩვენ ტემპერამენტიანი გოგოები-მეთქი.

ათენში ერთი ქალი გამოვიჭირეთ ქუჩაშიო. ბერძენად გაგვეცნო, ბერძნულს სუფთად ლაპარაკობდა. მთელი ღამით წამოგვყვა სასტუმროში, სამივეს „გაგვიმასპინძლდა“ და დილით ანგარიშსწორებაზე რომ მიდგა საქმე, ქართულად გვითხრა; არა, ბიჭებო, თქვენგან ფულს არ ავიღებ, ქართველი ვარო.

სიბრაზისგან ტუჩებს ვიჭამდი, ჩემი გია კი ჩვეულებრივად ყვებოდა საბერძნეთში ქართველ ქალთა „გმირობის“ ამბებს.

არ არის ახლა ეს სანოველო ამბავი?

4.XII 96

მწერალთა კავშირში პრეზიდიუმის სხდომა გვქონდა.

წლიური ლიტერატურული პრემიების მინიჭების საკითხი იდგა.

სხვათა შორის, კანდიდატებად წარმოდგენილი იყვნენ ელიზბარ უბილავა და შალვა ფორჩხიძე.

სანამ კენჭისყრა დაიწყებოდა, სიტყვა ვითხოვე:

მე კარგად ვიცი, რას ჰქვია ფარული კენჭისყრა. ვინც წარმოდგენილია კენჭისსაყრელად, ყველა ღირსეული კანდიდატია, ამიტომაც გთხოვთ, ნუ ვატკენთ გულს რომელიმეს და იქნებ ფანჯიკიძემ გამოძებნოს დამატებითი

სახსრები, რათა ყველა კანდიდატურას მიეცეს ეს წლიური წამახალისებელი პრემიები-მეთქი.

ატყდა დავა-კამათი.

ასე როგორ შეიძლებაო. ეს ფინანსური დახმარება როდია, ეს პრემიის მინიჭებაა და მხოლოდ ფარული კენჭისყრით უნდა მიენიჭოსო.

ვუყარეთ კენჭი ფარულად.

კაცთმოყვარე, კეთილი მწერლებისგან შემდგარმა ჟიურიმ გააშავა ელიზბარ უბილავა (80 წ.) და შალვა ფორჩხიძე (75 წ.).

რა გახარებულები იყვნენ, რა ნათელი გადასდიოდათ ჩემს კოლეგებს სახეზე.

შედეგები რომ გამოაცხადეს, კვლავ ვითხოვე სიტყვა: „უმორჩილესად გთხოვთ, დავუმატოთ პრემირებულთა სიას ელიზბარ უბილავა და შალვა ფორჩხიძე. ორივე ხანდაზმული, დამსახურებული მწერალია და ხელს ნუ ვკრავთ-მეთქი, ნუ გავატანთ სიბერეში ჯავრს მოძმე-მოკალმეთა გაუტანლობის შესახებ. არ გვეკადრება. გამოძებნოს ფანჯიკიძემ სახსრები-მეთქი.

დამეთანხმნენ გურამ ფანჯიკიძე, დავით მჭედლური, ელგუჯა მაღრაძე და მიხეილ ქვლივიძე.

კენჭი ვუყაროთო, მურმან ლებანიძემ.

რა საჭიროა კენჭისყრა, ჩვენ თვითონ შევთანხმდებით-მეთქი.

კენჭი უყარეს და ხელმეორედ გააშავეს ელიზბარ უბილავა და შალვა ფორჩხიძე.

ასეთი მლმობელი და მოწყალე გული აქვს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს.

დაძმარებულ ხასიათზე დავბრუნდი შინ.

რა მოწყენილი სახეებით დადგებიან „ჩემი მეგობრები“ ასი წლის შემდეგ ელიზბარ უბილავას და შალვა ფორჩხიძის კუბოებთან.

რა გულისამაჩუყებელ, მთრთოლვარე სიტყვებს იტყვიან ასი წლის შემდეგ ამ ორი პატიოსანი მწერლის დაკრძალვაზე.

ყველანი ჩვენმა სინდისმა გაგვასამართლოს.

5,6/XII 96

ახალციხეს ვეწვიე.

მესხეთის უნივერსიტეტის სტუდენტობამ და პროფესურამ შეხვედრა მომიწყო.

დიდი ეროვნული საქმე გაკეთდა ამ მხარეში თბილისის უნივერსიტეტის ფილიალის შექმნით.

გაცოცხლდა აქაურობა. ქუჩაში ახალგაზრდების ჟრიამული, ქართული ლაპარაკი ისმის.

უნივერსიტეტის რექტორი, მერაბ ბერიძე, პატრიოტი, ნიჭიერი კაცია. შესანიშნავი ორგანიზატორიც. სულ რაღაც შვიდ წელიწადში ფეხზე დააყენა უნივერსიტეტი. კულტურის ცენტრად, საგანმანათლებლო კერად, ეროვნულ წისქვილად აქცია.

შეხვედრამ გულთბილად ჩაიარა.

მოხსენებები, სიტყვები, საინტერესო შეკითხვები...

მეორე დღეს ჩემს მასპინძელს ვთხოვე ახალქალაქში წაყვანა. მინდოდა,

შემემოწმებინა თბილისში დარხეული ჭორი („ახალქალაქს სომხები გვართმევენ“).

რა დიდებული სანახები, რა საქართველო.

მარჯვნივ დავტოვეთ ზღაპრული ხერთვისის ციხე. აჰა, თოვლიანი ამირანმთა და ახალქალაქიც. ახალქალაქის ისტორიული ციხე. მაღლობაზე შეფენილი ქალაქი-სიმაგრე.

დავდივარ ახალქალაქის ქუჩებში.

იქნებ... იქნებ ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა?

არის ამ ქალაქში ვინმე, რომელიც იტყვით, მადლობელი ვართ, ქართველნო, საკუთარი მიწა რომ დაგვითმეთ და შეგვიფარეთ, ჩვენ კარგად ვიცით, რომ თქვენი ხიზნები ვართო?

გაფაციცებით შევყურებ თვალებში სომხებს, მინდა რომელიმე მათგანის გამოხედვაში ეს აზრი ამოვიკითხო.

თქვენც არ მომიკვდეთ, სუფთა სომხურ ქალაქად ქცეულა ჩვენი ახალქალაქი. სომხური ლაპარაკი, სომხური წარწერები, სომხური ძეგლები...

ამ უკანასკნელზე უნდა შევჩერდე.

ქალაქის ცენტრში ლენინის ძეგლის ფუნდამენტზე მესროპ მაშტოცის ძეგლი დაუდგამთ. იქვე, გვერდით რამდენიმე უშველებელი ლოდი მოუტანიათ და მოქანდაკე გამალებით მუშაობს. მოსე ხორენელის ძეგლი უკვე დამთავრებული აქვს, ალბათ, ორიოდე დღეში დადგამენ ახალქალაქის რომელიმე ქუჩაზე. მივედით ახალქალაქის ციხესთან. ციხის წინ ისტორიული სომეხი მეომრის ძეგლი დაუდგამთ. სომხური წარწერით დამშვენებული, ზედ კარიბჭესთან, მოდი და იკითხე ახლა შენ, ქართველო ისტორიკოსო, რა კავშირი აქვს სომეხს ქართულ ციხესთან-თქო.

მაშ ასე, ჯავახეთის სომხური ექსპანსია-ოკუპაცია დასასრულს უახლოვდება.

სომხური ძეგლებით მოიფინა ახალქალაქი.

სად სძინავს სამცხე-ჯავახეთის ხელმძღვანელობას?

7–12/XII 96

11 დეკემბერს უნივერსიტეტში ანა კალანდაძე გვეწვია.

გადაჭედილ დარბაზში ძვირფას სტუმარს გულთბილად შევხვდით.

რ. მეტრეველმა ბრძანა შესავალი სიტყვა.

გამოვიდნენ კ. დანელია, ა. ხინთიბიძე, მ. ლორთქიფანიძე, ნ. ამაშუკელი, ტ. კვანჭილაშვილი...

მე „დავავიწყდი“ პრეზიდიუმს, თუმცა საგანგებოდ დამირეკეს და მთხოვეს, ანა კალანდაძეს მიესალმეო.

ეგ არაფერი. გული იმაზე მწყდება, რომ ხომ შეეძლო ქ-ნ ანას ეფიქრა, რ. მიშველაძემ თავი შეიკავაო.

12 დეკემბერს პარლამენტში რუსი ფუნქციონერი სელეზნიოვი გამოვიდა და ქართველები რუსოფობიაში დაგვადანაშაულა. ეს მაშინ, როცა, მიუხედავად იმისა, რომ რუსმა 3 წლის წინ ჩვენი დამოუკიდებლობა ფეხქვეშ გათელა, თბილისში ერთი წარწერაც არ გაჩენილა: „რუსებო, წაეთრიეთ შინ!“

ახია ჩვენზე.

13-28/XII 96

„ასავალ-დასავალში“ ჩემი და ზურაბ რცხილაძის საუბარია დაბეჭდილი.

ვამბობ, რომ მომენონა პარლამენტის სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატების მიერ სელეზნიოვის გამოსვლის დროს დარბაზის დატოვება, რომ ჩვენი ხელისუფლება ამ ერთ მცირეოდენ გაბედულებას ხვალ-ზეგ გაუთავებელ ბოდიშებს მოაყოლებს.

ვაკრიტიკებ მარიონეტულ ხელისუფლებას გაუბედავობისთვის და საქართველოს ტელევიზიას ჟურნალისტური ცვედნობისთვის.

24 დეკემბერს ქუთაისის უნივერსიტეტში ლევან სანიკიძის 70 წლისთავის იუბილე გაიმართა.

რექტორმა, ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, გახსნა.

მომხსენებელი მე გახლდით.

კარგად ჩატარდა. ბატონ ლევანს დიდი სიყვარული გამოუცხადეს.

25 დეკემბერს მე და ლევან სანიკიძე ბათუმში ჩავედით.

ბათუმში დიდი დაძაბულობაა.

16 დეკემბერს ბათუმის ქუჩებში ჯავშანტექნიკა გამოჩნდა.

23-24 დეკემბერს ბათუმში შევარდნაძე ჩავიდა მრავალრიცხოვანი ამალით. 5 საათს ისაუბრეს დახურულ კარს მიღმა შევარდნაძემ და აბაშიძემ და მერე შევარდნაძე თბილისს გაფრინდა.

ჩვენი ჩასვლის დროს შევარდნაძე ბათუმში არ იყო.

შევხვდით და ვესაუბრეთ ასლან აბაშიძეს.

საუბარი ტელევიზიამ ჩაიწერა. არ ვიცი, გადასცემენ თუ არა.

შევარდნაძე-აბაშიძის ურთიერთობას კეთილსასურველს ვერ დაარქმევ.

ყველაფერი უნდა ვიღონო, რომ აჭარა კონფრონტაციის ახალ კერად არ იქცეს.

12 მკვლელი მომიგზავნესო, ასლან აბაშიძე ამბობს.

მართალია?

29.XII.96 – 1.I.97

მიიწურა ეს წელიც.

საქართველოსთვის კიდევ ერთი უღიმღამო წელი ამ საუკუნეში.

რა იყო ყველაზე ცუდი 1996-ში? უპირველესად ის, რომ ერს ეძინა.

ძარცვავდნენ, ატყუებდნენ, მიწებს ართმევდნენ, ჰყიდიდნენ და ქართველ ერს ჯიუტად ეძინა.

ვერ იქნა და ვერ გააღვიძეს ერთგული მეციხოვნის, მართალი მოყმის ამაყ ყივილზე („მოყმე ამაყად ჰყიოდა“ რუსთ.) ხანდახან თავს წამოსწევდა და ისევ მიიძინებდა.

არსაიდან ხსნა, „არსით ძახილი“...

ერთი კვირაა ჩვენი სამარცხვინო ტელევიზია 40 წლისთავის იუბილეს იხდის. თავს იქებენ და იჯილდოვებენ. ეს ის ტელევიზიაა, აფხაზეთის დაკარგვაში დიდი ღვაწლი რომ მიუძღვის. რატომ და როგორ, ეს ათასგზის მითქვამს და აღარ გავიმეორებ.

31 დეკემბერს და 1 იანვარს გაუთავებელი ცეკვა-თამაში იყო ტელევიზიაში.

„გამარჯვებული“, გამთლიანებული საქართველო“ ხბოს კუნტრუშით ხვდებოდა ახალ წელს.

რა გვეზეიმებოდა?

„ელიტა“ თასით ხელში სვამდა ერის სადღეგრძელოს.

უბედურება ის იყო, რომ უკბილო ხუმრობებზე (ე.წ. „კაფიებზე“) თვითონვე ეცინებოდათ.

დიდხანს გრძელდებოდა ის გულისამრევი კაფიობა და ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა.

ვხვდებოდით ახალ წელს და სულ არ მიხაროდა.

დამნაშავედ ვგრძნობდი თავს ყველა ლტოლვილის, შიმშილით დაოსებული, მარიონეტული ხელისუფლების მიერ ყველა გაუბედურებული კაცის წინაშე.

სროლამ, საახალწლო ბათქაბუთქმა გამომარკვია.

2.I – 14.1 97

ნინო ქუთათელაძემ დამირეკა 8 იანვარს ტელევიზიიდან, ახალ ციკლს ვიწყებ, „მწერლის ერთი დღე“ ჰქვია და უნდა ჩაგწეროთო.

რამ გაახსენა მწერალი ტელევიზიას, ნინო, რას მივაწერთო ეს სენტიმენტალობა-მეთქი, ვკითხე.

მთელი წელია თითქმის არაფერი გაგვიკეთებიაო, ტელევიზიის ხელმძღვანელობა ჩვენს რედაქციას „არ სწყალობსო“. ჩანს, ზემოდან აქვს მითითებაო. ვერც იმას გეტყვით, რომ შარშანდელი ინერციის გადამკიდე, გაუშვებენ ამ გადაცემას, მაგრამ მაინც უნდა მოვამზადო და ძალიან გთხოვთ, უარი არ მითხრათო.

მივედი, ჩამწერეს.

დაახლოებით ასე ვთქვი:

„ორმოცდაათს კარგახანია გადავშორდი და ახლაღა ვატყობ ჩემს თავს, ტყუილ-მართალის გარჩევა, როგორც იქნა, ვისწავლე.

კარგა ხანს მჯეროდა, რომ რასაც ხელისუფლება იტყოდა, წმინდა წყლის სიმართლე იყო, ახლა ვხვდები, რა უნდა დაიჯერო და რამდენად:

მაგალითად, თუ გეტყვიან, სტიქიამ ოთხი მილიონი დოლარის ზიანი მოგვაყენაო, უნდა იცოდე, რომ სინამდვილეში ერთი მილიონის ზარალი მოუყენებია.

თუ გეტყვიან, მოსახლეობას 5 მილიონი დოლარის ჰუმანიტარული დახმარება დავურიგეთო, უნდა მიხვდე, რომ ერთი მილიონი დოლარის დახმარება მაინცაა დარიგებული.

თუ გეტყვიან, სუხუმი საიმედოდაა დაცული, იქ ჩიტიც ვერ შემოფრინდებაო, უნდა მიხვდე, რომ წასულია სოხუმის საქმე.

თუ გეტყვიან, მოგვილოცავს, ბაზალეთზე თურქული უნივერსიტეტი აღარ აშენდებაო, უნდა იცოდე, რომ თურქული უნივერსიტეტი დაარსებულია და უკვე ფუნქციონირებს, სადღაც, სხვა ადგილზე.

როცა გეტყვიან, 15 იანვრიდან იწყება ლტოლვილთა დაბრუნება აფხაზეთშიო, უნდა იცოდე, რომ ეს კეთილი ტყუილია, რადგანაც 15 იანვარი ძალიან ახლოა და ტყუილის მოკლე ფეხები მალე გამოჩნდება. ბოროტი ტყუილი მაშინ იქნებოდა, რომ ეთქვათ, 15 მაისს ვბრუნდებით აფხაზეთშიო. 15 მაისი, მოგეხსენებათ, შორია და შეიძლება, მოლოდინისგან გული გაგისკდეს.

ასე უფრთხილდება ხელისუფლება ჩვენს ნერვებს.

ახლა, დაპყრობილ საქართველოში, ჩვენი ტელეგადაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გაუთავებელი ცეკვა-თამაშია. აქამდე მეგონა, რომ ამას ხელისუფლება იმიტომ აკეთედა, ცეკვა-თამაშით მთავარი საფიქრალისგან განზე გავეყვანეთ და ამით დაემალა ქვეყნის უბედურებაში თავისი დანაშაული. ახლა ვფიქრობ, ამას იმიტომ აკეთებენ, რომ წრეგადასული ზარ-ზეიმი შეგვაძულონ და მარტო დაგვტოვონ ჩვენს ვეებერთელა სევდასთან.

რაც უფრო უგემოვნო ხუმრობებს და უკბილო ანგლობებს გვთავაზობენ სცენიდან, უნდა მიხვდე, რომ ამას სპეციალურად აკეთებენ, რათა ბოლოს და ბოლოს დასერიოზულდე, ნაკლები იღადავო და მეტი იფიქრო დაქცეული ქვეყნის გადარჩენაზე.

ვზივარ ახლა ზამთრის ცივ დღეს ჩემს მაგიდასთან და ვფიქრობ იმაზე, რომ, რაც ტყუილ-მართლის საზღვარს მივაგენი, ცხოვრება უფრო საინტერესო გახდა.

თურმე ხელისუფლება კი არ გვატყუებს, არამედ ჩვენს მიმხვედრიანობას ავარჯიშებს.

და ამ დღეებში მაინც მოვიდა ჩემთან დიდი, სასურველი სიმართლე.

მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილი მეწვია და მაცნობა, რომ გალაკტიონის ნიღაბი, რომელსაც ოცდაათი წელია ვეძებდით, ნაპოვნია. იგი თვით ბატონ თენგიზს აღმოუჩენია მოქანდაკე გორგოძის (ამ უკანასკნელმა აუღო ნიღაბი გალაკტიონს გარდაცვალების მესამე დღეს) სარდაფში.

თენგიზ კიკალიშვილი ამ საჩუქარს უძღვნის ქართულ მწერლობას, თბილისის უნივერსიტეტს და, რა თქმა უნდა, მთელს საქართველოს.

იანვრის ბოლოს ნიღაბი სამუდამოდ დაიმკვიდრებს ადგილს თბილისის უნივერსიტეტის „გალაკტიონის კაბინეტში“.

ჩანაწერი (ტექნიკურად) ურიგო როდი გამოვიდა, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ირონიისმიმხვედრმა ტელევიზიის ხელმძღვანელობამ მას მწვანე გზა მისცეს.

ვნახოთ. დღეს 14 იანვარია და ტელევიზიიდან ბაიბური არ ისმის.

15.I – 18.I.97

ელცინის ავადმყოფობის გამო 17 იანვარს დანიშნული სნგ-ს მეთაურთა შეკრება გადაიდო.

ჩვენი ხელისუფლება ბრახუნობდა; რაკი აფხაზეთს და სამაჩაბლოს არ გვიბრუნებს რუსეთი, სნგ-ს შეხვედრაზე სამშვიდობო ჯარის გაყვანის საკითხს დავსვამთო.

ეს ბოლო სამი დღე კი, როგორც მოსალოდნელი იყო, „გონს მოეგნენ“ და განაცხადეს – სამშვიდობო ჯარის გასვლის კი არა, მანდატის გაფართოების საკითხს დავაყენებთო.

– არა! არა! ამათი იმედი არ უნდა გქონდეს, ქართველო ერო!

აფხაზეთი და სამაჩაბლო გაყიდულია.

ტელევიზიას, როგორც მითხრეს, გადაუცია ჩვენი ჩანაწერი („ზამთრის ერთი დღე“). ოღონდ იმ დროს გადაუცია, როდესაც ლამის მთელ საქართველოში დენი გამორთულია (თვით ტელევიზიას გენერატორი კვებავს). ასე რომ, ერთით ნულია ხელისუფლების საპროპაგანდო სამსახურის სასარგებლოდ.

სამაგიეროდ, მთელმა საქართველომ ნახა უნიჭიერესი რეჟისორის, რობერტ სტურუას მიერ გადაღებული სატელევიზიო ფილმი „მეხანძრის სიზმარი“. უფრო დიდი საშინელება არც მინახავს და არც გამიგონია, ეს იყო უნიჭობის ფეიერვერკი. ჩვენი ცნობილი, საყვარელი მსახიობები საწყალობლად დახტუნავდნენ ეკრანზე, იმანჭებოდნენ, კანში ძვრებოდნენ. რა ხდებოდა, რატომ და რისთვის, კაციშვილი ვერ გაარკვევდა. შენ, შე კაი კაცო, ცნობილი ოსტატი რომ ხარ და შენი შემოქმედების ავტორიტეტი მისხალ-მისხალ მოგიპოვებია, არ უნდა იკითხო გადაღების დროს, რობერტიჩ, რატომ გადავდივართ ამ მალაყებს, ამიხსენი, თუ ღმერთი გწამსო.

16, 17 იანვარს ლევან სანიკიძე, ვახტანგ ქარუმიძე და მე აჭარაში გახლდით.

ვნახეთ სტიქიისგან დანგრეული აჭარის სოფლები.

რეზინისჩექმებიანი ასლან აბაშიძე თვითონ ხელმძღვანელობდა სტიქიით დაზარალებულთა შველა-დაბინავებას.

იმავე საღამოს (16) მე და ლევანი აჭარის ტელევიზიით გამოვედით.

მეორე დღეს გამოსაცილებელ საუზმეზე დიდხანს ვისაუბრეთ საქართველოს ბედზე, პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე.

მე და ასლანი ცოტა მსუბუქად შევკამათდით.

მე ვეცადე დამემტკიცებინა მისთვის, რომ საქართველოს რუსეთზე დიდი და ვერაგი მტერი არც ჰყოლია და არც ახლა ჰყავს, ასლანი არ დამეთანხმა.

სამსაათიანი კამათის მერე მე ჩემს მოსაზრებაზე დავრჩი, ასლანი – თავისაზე.

უკან დაბრუნებისას რიკოთის უღელტეხილზე თოვდა.

მანქანები თოვლ-ყინულზე სრიალებდნენ. ჩვენიც მოცურდა, კინაღამ ხევში გადავეშვით.

ბოლოს ვიღაც ღვთიან-მადლიანმა საბურავის ჯაჭვები გვათხოვა და, როგორც იქნა, ავედით უღელტეხილზე. ვჩქარობთ. 2 საათზე გორში, კარგი პოეტის და კარგი კაცის, ჯემალ ინჯიას, იუბილეა დანიშნული და უნდა ჩავუსწროთ.

„არა მე მიცნო და არა მეო“, ვეხუმრებოდით ერთმანეთს გზაში მე და ლევანი.

ბოლოს გაირკვა, რომ ჩვენს მძღოლს, ვახტანგის სიძეს, კარგ ბიჭს, გელა გელაშვილს, ჯაჭვების კეთილ მთხოვებლებისთვის 15 ლარი მიუცია. თავიდან ოცს ითხოვდაო.

ესეც ჩვენი პოპულარობა! იუბილეს მაინც ვერ ჩავუსწარით.

19 – 23/I 97

20 იანვარს ისტორიული ამბავი მოხდა.

მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილმა გალაკტიონის კაბინეტს საჩუქრად გადმოსცა გალაკტიონის ნიღაბი.

ეს ნიღაბი გალაკტიონის სიკვდილის მეორე დღეს აუღო მოქანდაკე შაქრო გორგოძემ. მწერალთა კავშირმა 500 მანეთი ვერ გამოძებნა მაშინ ამ ნიღბის შესაძენად, გორგოძე გარდაიცვალა, ნიღაბი სადღაც სარდაფში მიაგდეს და დაიკარგა.

თენგიზ კიკალიშვილმა იპოვა იგი ერთი კვირის წინათ და ჩემთან მოიტანა. კულტურის სამინისტროს რომ ვაჩუქო, ვიცი, დაკარგავენო.

ეს კეთილშობილი მოქანდაკე იმდენად ღარიბია, რომ შავი ხავერდის ფულიც კი არა ჰქონდა ნიღბის ფონისთვის. ჩემი ცოლის კაბა დავჭერი და მივუტანე.

დიდი ამბავი იყო უნივერსიტეტში. ვინ არ მოვიდა ნიღბის გადმოცემის ცერემონიალზე.

ვილაპარაკე გალაკტიონისადმი ყველა ხელისუფლების გულგრილ დამოკიდებულებაზე.

ტელევიზიამაც გადაიღო.

გაზეთ „ქართულ ფილმს“ ათი წელი შეუსრულდა და 21 იანვარს ამ თარიღთან დაკავშირებით რეზო ჩხეიძის ხელმძღვანელობით საღამო გაიმართა. ლევან სანიკიძე და მეც მიგვიპატიჟეს.

22 იანვარს მსახიობის სახლში ცნობილი ფეხბურთელისა და მსხაიობის, მიხეილ ჯოჯუას, დაბადების 70 წლისთავის იუბილე გადაიხადეს.

მიშა კარგი პიროვნებაა.

ვესწრებოდი. იუბილე კარგად ჩატარდა.

სიტყვა რომ ეთხოვათ, ვიტყოდი, იქეთ აღარ მივეძალე.

24/I – 12/II 97

საქართველოს პრეზიდენტი საფრანგეთს სტუმრობდა ასკაციანი ამალით. (ასკაციანი ამალით! 95 კაცი რომ წაეყვანა, იმ 5 კაცის “ვიზიტის“ ფულით შეგვეძლო გალაკტიონის სახელის გამოსყიდვა, მაგრამ გალაკტიონის მუზეუმი ვიღას ახსოვს...).

იქ პარიზში კორესპონდენტი ეკითხება შევარდნაძეს: „ნატოს „გაფართოებას როგორ უცქერითო. ჩვენაო, ევროკავშირის გაფართოების მომხრე ვართო. „ნატოში“ რომ მიიღონ საქართველო, თანახმა ხართ თუ არაო. არაო (?!) თქვა შევადნაძემ და გაიცინა. რატომაო? სულერთია, ჩვენ მაინც არ მიგვიღებენო.

რომ ეთქვა, გვინდა „ნატოში“ შესვლაო, არ უნდოდა მერე თავის ცენტრში, ურდოში, მოსკოვში ჩასვლა? დაბნეული, შეშინებული სახე ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტს, ამას რომ ამბობდა. მე მესმის მისი.

8 თებერვალს საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურაში ჩემმა აკადემიამ („ქართული ფენომენის აკადემია“) კონფერენცია ჩაატარა თემაზე, „რა გადაარჩენს საქართველოს“.

გამოვედით და საქათველოს ხსნის გზებზე ვილაპარაკეთ: ლევან სანიკიძემ, ვახტანგ ქარუმიძემ, ოთარ ჟორდანიამ, გურამ გოგიაშვილმა, თენგიზ სანიკიძემ, ჯანგირ მამალაძემ და მე.

ბოლოს ვუთხარი კახელებს, რატომ სძინავს ქვეყანას, რატომ უცქერით „მშვიდად“ საქართველოს დაქცევას-მეთქი. „წინამძღოლი არა გვყავსო“, ვიღაცამ დაიძახა დარბაზში.

9 თებერვალს „ასავალ-დასავალისთვის“ ვრცელი ინტერვიუ მივეცი ნიჭიერ პოეტ ქალს – ბელა შალვაშვილს.

საღამოს გ. ფანჯიკიძემ დამირეკა; შენ რომ გაზეთისთვის მასალები დამიტოვე, მარტო შენი ნოველაა და იუმორი არ ჩანსო. არადა ერთად, ერთმანეთზე მიმაგრებული, ჩავაბარე. ჩანს, ვიღაცამ მაგიდიდან მოპარა.

რა მასალებია? მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ გადავწყვიტეთ, ახალი გაზეთი დავაარსოთო, გაზეთს „ქართული მწერლობა“ ერქმევა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დიდებული წერილი დაუბეჭდავს ჩემს ნოველებზე ბატონ გიორგი ნატროშვილს, თვალზე ცრემლი მომერია. ჩვენ ხომ ასე გადავეჩვიეთ ერთმანეთის მიმართ თბილ სიტყვას ამ მგლურ დროში.

სად მოიცალა 85 წლის საწოლს მიჯაჭვულმა კაცმა ჩემი ნოველებისთვის.

დიდი მადლობა, ბატონო გიორგი.

13.II – 16/II 97

14 თებერვალს სვანურ სოფელ „ლამშვენიერაში“ ვიყავით ხარძიანების დედის დაკრძალვაზე.

„ლამშვენიერა“ რუსთავს ქვემოთ, ჯანდარის ტბის ნაპირას ახალი სოფელია სვანებით დასახლებული. ავთანდილ მარგიანმა დააარსა.

რაფში ვიყავით ჩვენი საძმო-სამეგობროს წევრები: ჯაბა ონიანი, ლევან სანიკიძე, ვახტანგ ქარუმიძე, მურადი ცინცაძე, ნუგზარ ალექსიძე, იური დუმბაძე და მე.

1500 სვანი მოვიდა დაკრძალვაზე.

1500 ლომი. დათვისტორება, მაღალი, ხორხიდან სევდა-ბოღმით მოლაპარაკე, სევდიანი, მაგრამ ბრძოლის ჟინით ანთებული სვანი.

რა ვქნათო, ბატონო რევაზ, როდემდე ვიყოთ რუსის მონებიო. ჩვენ აქ უმეტესობა ლტოლვილები ვართო, მოთმინების ძაფი წუთი-წუთზე გაგვიწყდება და რაკი ქვეყნად სამართალი აღარ არსებობს, ჩვენ თვითონვე გავაჩენთ ჩვენს სამართალსო.

წინამძღოლი გვჭირდება და ერთი დაძახება, მეტი არაფერი გვინდა, ჩვენ დავანახებთ მსოფლიოს, შეგვიძლია თუ არა ომიო.

იმედმიცემული დავბრუნდი შინ.

გზაში ლევანს ვეუბნებოდი – დღეს ჩვენ, ფაქტიურად, ქართული სახალხო ლაშქარის ერთ-ერთი საიმედო და ნაცადი რაზმი ვნახეთ. წართმეული ქართული მიწის დამბრუნებელი სწორედ რომ ეს მხედრობაა და არა ნადიბაიძის ჯარი-მეთქი.

ავთანდილ მარგიანიც იქ იყო, რასაკვირველია.

ვერ გავიგე, რას მერჩიანო. ვგრძნობ, ჩემს ირგვლივ წრე ვიწროვდებაო. ჩემს ქვეყანას ვემსახურე, როგორც შემეძლო. არაფერი დამიშავებია, გარწმუნებთ, ბატონო რევაზ, კაცობაში არასოდეს ჩავჭრილვარ და არასოდეს შეგრცხვებათ ჩემთვის ხელის ჩამორთმევაო.

ახლა საქართველოში ის ტენდენცია მიდის, რომ თუ ვინმე დარჩა მოვაჟკაცო, იმასაც შიშის ქარი ჩაუყენონ მუხლებში, ან კორუფცია დააბრალონ, ან სხვა რამ მოუგონონ, რათა ყურმოჭრილ მონად აქციონ და ქვეყნისთვის ბრძოლის სურვილი დაუკარგონო.

იქნებ მართალია?

17-25/II 97

საქართველოს პრეზიდენტი აზერბაიჯანს სტუმრობდა.

ძველებურად, კომუნისტურად მიიღეს.

აეროპორტიდან ბაქომდე ქუჩაში ხალხი იყო ჩამწკრივებული.

ქუჩაშივე დაუკლეს ცხვარი ტრადიციისამებრ.

აზერბაიჯანელ ძმებს შევარდნაძე ძალიან „ნაყვარებათ“.

მაღალმა სტუმარმა თავის ვრცელ სიტყვაში ყველაფერზე ილაპარაკა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ალიევისთვის პირად საუბარში მინიშნებითაც არ უთქვამს: 1959-60 წლებში საინგილოში 60 000 ქართველს გვარ-სახელი და ეროვნება რომ შეუცვალეთ აზერბაიჯანელებმა, ახლა ხომ წყეული კომუნისტური ეპოქა აღარ არის, ხომ ძმები ვართ, დაუბრუნოთ ისევ ქართული გვარ-სახელი და ეროვნულობა ქართველებსო.

ამით როგორ შეაწუხებდა ალიევს, ვიზიტი ხომ ძირითადად მსოფლიო პრობლემების მოგვარებას ისახავდა მიზნად.

სამაგიეროდ, ბაქოდან დაბრუნებულ შევარდნაძეს აქაურმა აზერბაიჯანელებმა ულტიმატუმი დაახვედრეს, დაუყოვნებლივ დაუბრუნე მარნეულის თათრულ სოფლებს ზვიადის დროს გადარქმეული სახელებიო.

ასეა, როცა სტუმარი ხვდება, რომ შენი ინგილო ფეხებზე გკიდია, ხიზანი ცდილობს, თავისკენ მიითალოს.

კვლავ ძილი... ძილი...

საქართველოს უახლოეს ხანში გაღვიძების ნიშან-წყალი არ ეტყობა.

მოსკოვში ელცინს „ნატოს“ გაფართოების პრობლემაზე მოსათათბირებლად ამერიკის სახელმწიფო მდივანი, მადლენ ოლბრაიტი, ეწვია.

ოლბრაიტი ჩეხი ებრაელია. რუსული ბრწყინვალედ იცის.

ელცინი რუსულად ელაპარაკებოდა.

ოლბრაიტიც რუსულადვე პასუხობდა და მერე თავის თარჯიმანს უთარგმნიდა ინგლისურად.

ნოველის თემაა.

26/II – 8/III 97

პიონერთა სასახლეში ლადო ასათიანის დაბადების 80 წლისთავი აღნიშნეს.

მშვენიერი ლიტერატურული კომპოზიცია გაითამაშეს ბავშვებმა.

მამაჩემი წავიყვანე.

მამა ლადოს თანაკურსელი და მეგობარი იყო.

ქუთაისში 7 თვისა ლადოს მოვუნათლივარ.

კარგი სიტყვა თქვა მამაჩემმა.

ბოლოს ცრემლი მოადგა თვალზე. შემეშინდა, წნევამ არ აუწიოს-მეთქი.

რუსთაველის საზოგადოების ყრილობა ჩატარდა.

გურამ გეგეშიძემ მოკლე, მაგრამ საქმიან მოხსენებაში, სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ თ. სიგუას ჯიბრზე გაჩნდა რუსთაველის თვითმარქვია საზოგადოება.

ჩვენაო, ხელისუფლებამ ბანკში ანგარიში შეგვიჩერა და ვიღაცეებმა კარები აგვიჭედესო.

იძულებული გახადეს თ. სიგუა, გადამდგარიყო.

მივედი თ. სიგუასთან და ვუთხარი, მე ხმას არ მივცემ თქვენს გადადგომას, ეს გაქცევას, ღალატს ნიშნავს-მეთქი.

რა ვქნაო, მაიძულესო.

2 მარტს პარლამენტის აფხაზური ფრაქციის წევრები: გერმანე ფაცაცია, ბორის კაკუბავა, გენო კალანდია, გია გვაზავა და სხვები საშიმშილოდ დასხდნენ. მოთხოვნა: დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნას რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ჯარი აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან.

მოშიმშილეებთან 4 მარტს შოთა ნიშნიანიძე და მე მივედით.

გავამხნევეთ, მხარი დავუჭირეთ.

პარლამენტარები შიმშილობენო, დაიძრა თბილისისკენ მოსკოვიდან დუმის დელეგაცია. დელეგაციას ფეხდაფეხ მოჰყვა ადამიანის უფლებათა ცნობილი დამცველი-კოვალიოვი.

რა მოხდაო, კითხულობენ რუსები, რა ბზიკმა უკბინაო მორჩილ, ერთგულ, ქედდახრილ საქართველოს.

როცა აუხსნეს, წართმეული ტერიტორიები დაგვიბრუნეთო, აიმრიზნენ დუმელები. ჭკუას მოუხმეთ, თორემ უარესი მოგივათო.

თვით შევადრდნაძეც კი უკვე აშკარად გამოთქვამს ელცინის ხელისუფლებისადმი უკმაყოფილებას.

ვნახოთ, რა მოჰყვება ამ აქციას.

გამოვიდა ოპოზიციური გაზეთი „ბედი ქართლისა“ (რედაქტორი გია თვალავაძე).

პირველივე ნომერში ჩემი ვრცელი ინტერვიუა.

9/III-18/III 97 წ.

12 მარტს მოსწავლეთა სასახლეში ილია ჭავჭავაძის დაბადების 160 წლისთავის აღსანიშნავი ლიტერატურული საღამო გაიმართა.

საღამო ნიჭიერმა ლიტერატორმა, თინიკო გაბუნიამ, მოამზადა.

ვესწრებოდით ჯუმბერ ჭუმბურიძე, თენგიზ არჩვაძე, ლადო მინაშვილი და მე.

დარბაზი სავსე იყო ახალგაზრდებით. რაღაც სხვანაირი დრტვინვა გაისმა, როცა ერთმა დეკლამატორმა დიდი ილიას სიტყვები მოაფრქვია დარბაზს: „ოჰ, ღმერთო, ღმერთო სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება“.

მომეჩვენა, რომ ეს საღამოც საქართველოს გასაღვიძებლად იყო ჩაფიქრებული.

საღამოს დამთავრებისას მეც მომცეს სიტყვა.

„ილიას დაწყებული ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა-მეთქი, დღესაც რუსეთის კლანჭებში გმინავს საქართველო და მისი გამოხსნის საქმეზე თქვენმა თაობამ უნდა დააგვირგვინოს-მეთქი. არ დაუჯეროთ, ვინც გატყუებთ, თითქოს საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი იყოს-მეთქი“.

რას ვიტყოდი სხვას.

პარლამენტის შენობაში დეპუტატები კვლავ შიმშილობენ.

ყოველდღე დავდივარ მათთან.

ერთხელ შიოც მივიყვანე.

ხელისუფლებამ თითქმის სასიკვდილოდ გაწირა ეს ბიჭები.

გერმანე ფაცაციამ მითხრა, ხომ ხედავ, როგორ აჭიანურებენ განხილვის დაწყებას პარლამენტზე, ალბათ, ჩვენს სიკვდილს ელოდებიანო.

რუსეთი გაგულისდა და კბენა დაგვიწყო.

ჯერ გაზი გადაგვიკეტა, მერე ბათუმთან თურქ მებადურთა შხუნას ცეცხლი გაუხსნა და ერთი მებადური მოჰკლა.

ბუნებრივია, თურქები შემოგვედავენ, გაგვაგებინეთ, საქართველოა ჩვენი მესაზღვრე-მეზობელი, თუ რუსეთიო.

რუსეთმა ამ გასროლით ორი საქმე გააკეთა: ჯერ ერთი, თურქეთი მოგვამდურა, მეორეც, გვაგრძნობინა, ნუ ხტუნავთ, არავითარი სახელმწიფო თქვენ არა ხართ და არავითარი საზღვარი არა გაქვთო.

რუსეთის ამ თავგასულობამ შევარდნაძის პროტესტიც კი გამოიწვია.

ძლივს...

ზურაბ ჟვანია ქართველ პარლამენტართა „ყოჩაღი რაზმით“ ამერიკიდან დაბრუნდა.

როგორც ტელევიზიით წაიტრაბახეს – კლინტონის გარდა (კლინტონი წაიქცა და მუხლის ოპერაცია გაუკეთეს იმ დღეებში) ყველა თანამდებობის პირს (პრეზიდენტის კანცელარიაშიც და გაეროშიც) გავაგებინეთ, რომ სამშვიდობო ჯარი თავის მისიას ვერ ასრულებსო.

19-25/III 97 წ.

მოშიმშილეთა აქცია, როგორც მოსალოდნელი იყო, უშედეგოდ დამთავრდა.

თუმცა არც თუ მთლად უშედეგოდ, ამ აქციამ ნიღაბი ჩამოხადა საქართველოს მარიონეტულ ხელისუფლებას და ცხადი გახადა, რომ ამ ხელისუფლებას არ სურს აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება.

პარლამენტმა და პრეზიდენტმა ოცდაორი დღე ატყუეს განწირული მოშიმშილეები და ბოლოს ბრანწი უჩვენეს, მაინც არ მიიღეს გადაწყვეტილება აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან რუსის საოკუპაციო ჯარის გაყვანის შესახებ.

ჰელსინკში ელცინი და კლინტონი შეხვდნენ ერთმანეთს.

კლინტონმა ფაქტიურად დასტყუა რუსეთის ლოთ იმპერატორს თანხმობა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებაზე.

ქართული ფენომენის აკადემიის ეგიდით 21 მარტს დედოფლისწყაროს ვეწვიეთ შოთა ნიშნიანიძე, ლევან სანიკიძე, ვახტანგ ქარუმიძე, ჯანგირ მამალაძე, მამუკა თავხელიძე და მე.

ჩავატარეთ კონფერენცია თემაზე „რა გადაარჩენს საქართველოს“. შეხვედრა გახსნა და საინტერესო ეროვნული სიტყვა თქვა გამგებელმა თემურ მოლაშვილმა.

სამი საათის განმალვობაში სავსე დარბაზი გასუსული ისმენდა ჩვენს გამოსვლებს.

გვიან ღამით დავბრუნდით თბილისში.

23 მარტს აფხაზეთის უნივერსიტეტმა ლადო ასათიანის, სევერიან ისიანის, გიორგი ნაფეტვარიძის, მირზა გელოვანის, ალექსანდრე საჯაიას და ვლადიმერ უბილავას ხსოვნის საღამო გამართა.

გაოცებას იწვევს ამ „დევნილი უნივერსიტეტის“ სიცოცხლისუნარიანობა. რექტორი ბ-ნი ოთარ ჟორდანია, უაღრესად ნიჭიერი, იმედიანი და ენერგიული კაცია.

რუსეთის პარლამენტის დელეგაცია გვეწვია. ამჯერად გუდაურში, სუფთა ჰაერზე ინებეს ჩვენი ცხვარ-პარლამენტარების დამოძღვრა-დაშინება.

26.III-8.IV 97

კიდევ ერთხელ მოატყუეს საქართველო.

28 მარტს, როგორც იქნა, ჩატარდა სამჯერ გადადებული სამიტი.

ქართული პოლიტიკური ელიტა წამდაუწუმ გაიძახოდა, რუსეთთან შეთანხმება მიღწეულია, 28-ში სამიტი გადაწყვეტს და რუსის სამშვიდობო ჯარი ღალიძგაზე გადაინაცვლებსო.

შეურიგებელ ოპოზიციას ეს „გამარჯვება“ ეპატარავებოდა. ბარემ რაკი ზუგდიდიდან წავა რუსის ჯარი, ბარემ ფსოუმდე გადაინაცვლოსო.

ოპოზიცია ბჭობდა, შევარდნაძეს კი, ალბათ, გულში ეცინებოდა.

მოვიდა 28 მარტიც.

ყველასგან მოულოდნელად, საქართველოს პრეზიდენტს ღალიძგაზე „სამშვიდობო ჯარის“ გადანაცვლების შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს.

პირიქით, „სამშვიდობო“ რუსის ჯარის მანდატის გაფართოვება მოითხოვა.

რაც მოითხოვა, დაუმტკიცა კიდეც სამიტმა.

ამით აფხაზეთის დაბრუნების საქმეში ერთი ნაბიჯით უკან დავიხიეთ.

თუ აქამდე მხოლოდ 24 კილომეტრიან ზონაში პარპაშებდა რუსი, ახლა მთელი გალის ტერიტორია დავუთმეთ. ნებისმიერ ქართველს გააჩერებს აფსუა სეპარატისტის მოკავშირე რუსი, დააბრალებს პარტიზანობას და ადგილზე დახვრეტს.

ქართველებზე მზრუნველმა მთავრობამ სამიტზე თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა.

ახლა ფრაქცია „აფხაზეთი“ ეკითხება შევარდნაძეს, ხომ დაგვპირდი ღალიძგას, რატომ მოგვატყუეო.

შევარდნაძე პასუხს არ იძლევა.

ლტოლვილებმა, როგორც იქნა, შეაპარეს მიტინგები ფხიზელ ხელისუფლებას. „ივერიის“ წინ ყოველდღე იმართებოდა საინფორმაციო მიტინგები.

ამით შეთამამებულმა ოპოზიციამ 3 აპრილს (პარლამენტზე აფხაზეთის საკითხის განხილვის დღეს) დიდი საპროტესტო მიტინგი დაგეგმა, მაგრამ ამაოდ.

დილიდან რუსთაველის პროსპექტი ხელისუფლების დამცველთა ლეგიონებით გაივსო, წინა დღით (2 აპრილს) კი „მოქალაქეთა კაშვირმა ფილარმონიაში თბილისელთა კრება გამართა. აღარ შეიძლება უმადური ხალხის მოთმენაო, ახლა თბილისს წალეკვით ემუქრებიანო, დავირაზმოთ, თბილისელებო, მტრების დავიცვათ თბილისიო, გაჰყვიროდნენ ძირძველი თბილისელები.

„დაიცვეს“ თბილისი 3 აპრილს თბილისელებმა და ხელისუფლებამ.

რუსთაველზე მიტინგი კი არა, ერთი ოპოზიციონერიც არ გააჭაჭანეს.

ბორის კაკუბავამ უვადო შიმშილობა გამოაცხადა მოთხოვნით: „გავიდეს რუსის ჯარი საქართველოდან“.

ხელისუფლება უმალ ბორის კაკუბავას (და ძმათა მისთა) სიცოცხლეს შეელევა, ვიდრე – რუსის „სამშვიდობო ჯარს“.

რუსის ჯარი რომ გავიდეს, იცის ხელისუფლებამ, რომ იგი თავისი ხალხის პირისპირ დარჩება და პასუხის გაცემა მოუწევს უამრავ უხერხულ კითხვაზე.

6 მაისს ბათუმს გავფრინდით გურამ შარაძე, რეზო ჩხეიძე, ლევან სანიკიძე, დათო ურუშაძე და მე.

საქმე? ხვალ ბათუმში წმინდა ბარბარეს ეკლესიის გახსნა-კურთხევაა.

გახსნაზე ვერ ჩამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი, როგორც „გაირკვა“, კათალიკოს-პატრიარქს სიცხემ აუწია და ვერ აკურთხებს ღვთის სახლს, ბათუმში დილით გამოგვიცხადეს, რომ ასლან აბაშიძეს სტენოკარდიული შეტევა აქვს.

ასე რომ, ზეიმს პირველ პირთა ბრწყინვალება აკლდა, მაგრამ მაინც ლაზათიანად ჩატარდა.

დიდი საქმეა ბათუმში ქრისტიანული ეკლესიის აშენება.

იქეთობისას მე და ლევან სანიკიძემ ქუთაისში გამოვიარეთ და უნივერსიტეტში ლექციები წავიკითხეთ.

გაზეთ „დროში“ (№11, აპრილი) ჩემი ვრცელი ინტერვიუა სამიტის უშედეგო შედეგებზე და სხვა უბედურებაზეც, საქართველოს რომ სჭირს.

9/IV–10/V 97

რუსეთმა განაცხადა, სამიტის გადაწყვეტილებას სამშვიდობო ჯარის მანდატის გაფართოებაზე შევარსულებთ, თუ აფხაზეთის თანხმობაც იქნებაო.

ხომ ვამბობდი, მსოფლიოში ყველაზე მაღალი და ბოლო ინსტანცია არძინბაა-მეთქი.

ჩვენი უნიათო ხელისუფლება ამგვარი აფიორისთვის პროტესტსაც კი არ უცხადებს რუსეთს, დროის გაყვანისა და საკუთარი ხალხის მოტყუების პოლიტიკას ადგას.

რუსეთმა საქართველოს გავლით დიდძალი იარაღი მიაწოდა სომხეთს, რამაც აზერბაიჯანის აღშფოთება გამოიწვია.

რუსეთი სახელმწიფოდაც არ გვთვლის. საქართველო მისთვის უბრალოდ „გასასვლელი ეზოა“.

4,5,6 მაისს ყოველთა ქართველთა კონგრესის დელეგაცია საინგილოს ვესტუმრეთ.

იქეთობას დიდი წინააღმდეგობა გვქონდა საზღვარზე. აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა უარი გვითხრეს სახარების შეტანაზე. ბოლოს ხვეწნა-მუდარამ, ვიღაცეებთან ტელეფონით დაკავშირებამ და რეზო ჩხეიძის ავტორიტეტმა თავისი გაიტანა.

მე ჩემი აზრი მაქვს სახარების გატან-გამოტანაზე.

მსოფლიოში ოცი მილიონი ქართველია და აქედან 16 მილიონი მუსულმანია. რას ვიკლავთ თავს მაინცდამაინც ქრისტიანული ლიტერატურის პროპაგანდისათვის? განა ეროვნულობის განმსაზღვრელია ქართველისთვის, რომელ ღმერთს ემსახურება და სად ლოცულობს? რატომ ვიმდურებთ „სახარებისთვის“ ან მეზობლებს და ან მუსულმან ქართველებს?

დავურიგოთ ხალხს „ვეფხისტყაოსანი“ (ჩვენი ბიბლია), „დედა-ენა“, ქართველ მწერალთა სხვა წიგნები და სახელმძღვანელოები, არ აჯობებს?

სამი დღე დავყავით საინგილოში. კახი, ბელაქანი, ზაქათალა... ალიბეგლო-ალიაბადი... სკოლებში შეხვედრები, საუბრები გაუბედურებულ,

გვარწართმეულ ქართველებთან. ეტყობა, ჩვენი წერილი (კონგრესის) ალიევისადმი, რომელშიც ვთხოვდით აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ქართველებისთვის უკანონოდ წართმეული ქართული გვარები დაებრუნებინა, პრეზიდენტს არც გადასცა ერთმა ქართველმა ხელისუფალმა. მის სინდისზე იყოს.

ჩვენ ხომ ნიადაგ „არწყენინების და არგაღიზიანების“ პოლიტიკას უნდა ვადგეთ.

ალიბეგლოს თეატრში ინგილოებმა რეზო ჩხეიძეს 70 წლისთავის იუბილე გაუმართეს, მოხსენებით მე გამოვედი.

ეს, მე მგონი, პირველი შემთხვევაა, რომ საინგილომ ცოცხალ მოღვაწეს იუბილე გადაუხადა.

ალიბეგლოს თეატრის ხელმძღვანელი, ანზორ დოლენჯაშვილი, ნიჭიერი კაცია და, რაც მთავარია, ჭეშმარიტი პატრიოტი. შექმნა და 16 წელია ხელმძღვანელობს საინგილოს ერთადერთ ქართულ თეატრს.

უკან წამოსვლის დროს აზერბაიჯანელი მესაზღვრეები შუბლშეკრულნი დაგვხვდნენ, ეტყობა, ინფორმირებულნი იყვნენ ჩვენი „პატრიოტული ვოიაჟით“, თავიდან ფეხებამდე გაგვჩხრიკეს, ცივად გვეპყრობოდნენ.

დავდივართ მე და შოთა ნიშნიანიძე საქმოსან-დირექტორების კარდაკარ (შოთა ცოტნე დადიანის ფონდის პრეზიდენტია, მე – ვიცე-პრეზიდენტი), ვთხოვთ, ორიოდე გროში გადმოურიცხონ ფონდს, რათა შევძლოთ განსაკუთრებით გაჭირვებულ ხელოვანთ ჩევნი მხრივ დახმარების ხელი გავუწოდოთ.

მაისს რუსთავში ვიყავით. თითქმის ყველა დიდი ქარხანა მოვიარეთ. დაწესებულებათა ხელმძღვანელები ჩვენს გულისამაჩუყებელ აჯა-ხვეწნას გულთბილად ხვდებიან, მაგრამ თავის მხრივ დასძენენ, რომ ქვეყანას ძალიან უჭირს და იქნებ ახლა ზღაპრების წერის და ძეგლების დადგმის დრო არ იყოსო.

ჩვენ არ ვეთანხმებით.

მერე კამათს აღარ აგრძელებენ და კარებამდე მეგობრულად მოგვაცილებენ. გვპირდებიან, რომ პირველივე შესაძლებლობისთანავე დაგვეხმარებიან.

ვნახოთ...

11-25. 97

16 მაისს ფოთის თეატრის შენობაში შეხვედრა მქონდა.

ფოთელებმა დიდი სიყვარული გამომიცხადეს.

სამი საათის განმალვობაში სცენაზე ვიდექი.

განსაკუთრებით ამაღელვებელი სიტყვა თქვა ფოთის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა თემურ ფაჩულიამ.

ვუპასუხე უამრავ შეკითხვას. სხვათა შორის, მკითხეს, რა აზრის ბრძანდებით ფოთის ახალ მერზეო.

ნუგზარ ნადარაიას ნაცვლად ფოთში ახლახან ივანე ზოდელავა დანიშნეს, ნინო ჟვანიას ვაჟი. ნიჭიერი, ზრდილი ყმაწვილია, ბავშვობიდან ვიცნობ.

მე ვფიქრობ, ამ უძველეს კოლხურ ქალაქს ვანო ზოდელავა კარგ სამსახურს გაუწევს-მეთქი, მხარი დავუჭირე.

გაზეთ „ახალ თაობაში“ ჩემი ინტერვიუ დაიბეჭდა. რომ გადავხედე, ცოტა არ იყოს, ზედმეტად პესიმისტურია. ჩემი იმედი თავისუფალი საქართველოს ხილვისა, ნელ-ნელა ინავლება. საქართველოს საღათას ძილით სძინავს-მეთქი, ვამბობ.

23 მაისს უნივერსიტეტის 107-ე აუდიტორიაში სტუდენტებმა გამართეს კონფერენცია აფხაზეთის საკითხზე.

მომხსენებლებად სტუდენტები გამოვიდნენ.

თქვეს, დროა, სტუდენტობამ ხმა აიმაღლოსო. ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ საქართველოს დღევანდელი მარიონეტული ხელისუფლება აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამბრუნებელი არ არისო.

კონფერენციაზე უფროსი თაობიდან ოთხი პიროვნება ვიყავით მიწვეული: დოცენტი მერაბ ვაჩნაძე, დოც. ინგიშტერ ცქიტიშვილი, ქ-ნი ჯულიეტა მილდიანი და მე.

მთხოვეს სიტყვა.

მიხარია, რომ ახალგაზრდობის გაღვიძების ნიშანწყალს ვხედავ-მეთქი. ეს შეხვედრა ჩემთვის ძვირფასია, როგორც მეუდაბნოე კაცისათვის წყალი, რადგანაც ოთხი წელია თავი მოგაბეზრეთ გაუთავებელი წუწუნით იმაზე, რომ ახალგაზრდები საქართველოს ბედის მიმართ გულგრილად, ინდიფერენტულად არიან-მეთქი განწყობილნი. ახლა მთავარია, არ ჩააქროთ ნაღვერდალი, მეტი იხმაუროთ, უფრო აქტიურად გამოხატოთ თქვენი პოზიცია. იცოდეთ, აფხაზეთს და სამაჩაბლოს მხოლოდ პარტიზანული ომით დავიბრუნებთ-მეთქი. რაც შეეხება თქვენს მოხსენებებს, ძველი ლიტერატურის ტყვეობაში ხართ. ცნობილი ქართველი ისტორიკოსებისა და ენათმაცნიერების მიერ 70 წლის მანძილზე საბჭოთა სისტემის გავლენით გამოთქმული აზრების საწინააღმდეგოდ ახლახან პროფესორმა მიბჩუანმა დაამტკიცა, რომ არავითარი აფხაზი ერი, აფხაზური ენა და აფხაზური კულტურა სამყაროში არ არსებობს. აფხაზები ჩვენ ვართ – დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველები, ხოლო ისინი, ვინც დღეს თავს აფხაზებს უწოდებენ, სინამდვილეში ჩრდილოეთკავკასიელი ადიღეველი ტომებია, აფსუები არიან და ჩვენ მიწაზე სულ რაღაც 200 წლის წინათ ჩამოსახლდნენ-მეთქი.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ, ან დროულად დაადგეს აქტიური მოქმედების გზას, ან გადადგეს.

26/V–6/VII 97

26 მაისს კიდევ ერთი ყალბი ზეიმი გამართა მარიონეტულმა ხელისუფლებამ.

„ყალბს“ იმიტომ ვუწოდებ ამ ზეიმს, რომ იგი სახალხო ზეიმი არ არის. საქართველოს არეზეიმება.

ზეიმობს მხოლოდ საპარადო-საჩვენებელი ჯარი და მაფიასთან ჩახუტებული ხელისუფლება.

რას ზეიმობენ? იმას, რომ საქართველო დაპყრობილია? 26 მაისს საქართველოს ე.წ. დამოუკიდებლობის დღეს უნდა იმართებოდეს სამგლოვიარო

მიტინგები, მანამ, სანამ საქართველო კვლავ არ მოიპოვებს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას.

სხვას რას ზეიმობენ? იმას, რომ საქართველო დაცვედნებული, დადედლებული და ჩაძინებულია?

26 მაისს, საღამოს, ტელევიზიამ გადმოსცა, რომ ზეიმი ჩინებულად ჩატარდა, თუმცა ფილარმონიის შენობასთან მოხდა პატარა ინციდენტი. შუაღამით უცხოეთის საინფორმაციო საშუალებებმა გადმოსცეს, რომ ეს „პატარა ინციდენტი“ ზვიადისტების მშვიდობიანი მსვლელობის გამეტებული დარბევა აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, დემონსტრანტების ცემა დემოკრატიული საქართველოს ატრიბუტია.

...წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ ფრიდონ ხალვაშის ახალი წიგნის პრეზენტაცია გამართა. მშვენიერი შესავალი სიტყვა თქვა დევი სტურუამ.

ფრიდონ ხალვაში ნიჭიერი მწერალი და სწორი ეროვნული ორიენტაციის მქონე მოღვაწეა.

სიამოვნებით ვილაპარაკე მის პროზაულ შემოქმედებაზე.

ცნობილ სპორტსმენს, გენერალ გივი ყვარელაშვილს, ორმოცდაათი შეუსრულდა.

ხაშმში იუბილე გადავუხადეთ მეგობრებმა და გულშემატკივრებმა.

კრებები ამ ბოლო დროს, მოგეხსენებათ, იშვიათად იმართება. როგორც ჩანს, კრებაზე გადასაწყვეტი პრობლემები აღარ არსებობს.

გამონაკლისი იყო ამასწინათ ჩვენი (ფილოლოგიის) ფაკულტეტის თანაშმრომელთა კრება. კრება შტატების შემცირების მეტად მტკივნეულ საკითხს შეეხო. მთავრობამ ასეთი ბრძანება დაუშვა: ყველგან, ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში შტატები შემცირდეს ათი პროცენტით. ე.ი. ყოველი მეათე მოსამსახურე უმუშევარი რჩება (პარლამენტის თავმჯდომარე ჟვანია კი, როცა ირჩევდნენ, მილიონ სამუშაო ადგილს ჰპირდებოდა ხალხს).

გულმა არ მომითმინა ამ საშინელი უსამართლობის გამო და სიტყვით გამოვედი.

„სად წავიდეს ეს ისედაც მიზერულ ხელფასზე მყოფი ხალხი. ვისა აქვს უფლება, ქუჩაში გააგდოს ჩვენი მეცნიერების მომავალი, შემცირება ხომ ძირითადად ახალგაზრდა თაობას (ასისტენტები, ლაბორანტები) შეეხებამეთქი...

კიდევ ერთხელ დარჩა ჩემი ხმა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“.

საქართველოს პარლამენტმა დაადგინა, თუ რუსის ჯარმა თავისი სამშვიდობო ფუნქცია (ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ) არ შეასრულა, იგი 31 ივლისიდან უნდა გავიდეს აფხაზეთის ტერიტორიიდანო.

შეშფოთდა (მოჩვენებითად) დამპყრობელი. საქართველოში გახშირდა რუსი გენერლების და ჩინოვნიკების ვიზიტები. ერთ მათგანს – თავდაცვის საბჭოს მდივან ბატურინს, თბილისი და კახეთი პურ-მარილით შეეგება აეროპორტშივე (როგორც სსრკ-ს დროს იყო). არძინბასთან მოჩვენებით მოლაპარაკებებს მართავენ, მერე თბილისში ბრუნდებიან და ხელებს ასავსავებენ – „ყველაფერზე უარს ამბობს ეს კაცი, რა ვქნათ, არ ვიცითო. ვერ ერევა საწყალი რუსეთი არძინბას, რა ქნას, ძალას ხომ არ დაატანს, დემოკრატიის

ეპოქაა; ესეც არ იყოს, რუსს ხომ საერთოდ არ ახასიათებს ძალისმიერი მოქმედება“.

ასე გვატყუებენ და დრო გაჰყავთ.

არძინბამ, როგორც იქნა, ინება მოსკოვში ჩასვლა. მან, სეპარატისტთა თვალწვრილმა ატამანმა ერთ დღეში მოიარა რუსეთის პირველ პირთა კაბინეტები. ტელევიზიამ უჩვენა, სიცილ-ღიმილით რომ ელაპარაკება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს – პრიმაკოვს. არარსებული სახელმწიფოს თვითმარქვია ხელმძღვანელი დიდი პატივით მიიღეს და გააცილეს. ჩავიდა სოხუმში და განაცხადა: არავითარი ლტოლვილთა დაბრუნება, არავითარი ავტონომია საქართველოს ფარგლებში. თუ გსურთ, როგორც თანაბარ, მეზობელ სახელმწიფოს სამეზობლო ხელშეკრულებაზე მოგიწერთ ხელსო.

ასეთია რუსეთის „საშუამავლო მისია“.

ალექსანდრე შუშანაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე. დაამტკიცა: ილია რომელიმე პარტიას ან ოხრანკას არ მოუკლავს, ყაჩაღებმა მოკლეს გაძარცვის მიზნით. იქნებ მართალია? ალე პატიოსანი კაცია და ოდენ საბუთებით მსჯელობდა?

არა მგონია, ასე იყოს.

ტაბახმელაში საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა კონფერენცია ჩატარდა სანდრო ნონეშვილის თაოსნობით. საინტერესოდ წარიმართა შეხვედრა. სანდრო საქმიანი და ფრიად განათლებული ახალგაზრდაა.

ერთ-ერთ სხდომაზე გამოვედი. ორი რამაა ჯერჯერობით უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ამოცანა: 1. თქვენი მთავრობების ყურადღება მიაპყროთ იმ გარემოებას, რომ საქართველო დაპყრობილია რუსეთის მიერ და იტანჯება. 2. შეკავშირდით, ერთ მუშტად შეიკარით, რათა ეროვნული ცნობიერებით ისინიც კი დაიმუხტონ, ვისაც თავისი ქართული წარმომავლობა დაკარგული აქვს-მეთქი. არ გეწყინოთ და ჯერჯერობით არც ერთი ამ ფუნქციას არ ასრულებთ-მეთქი.

21 ივნისს სტუდენტ გიორგი მამაცაშვილის ქორწილს დავესწარით როინ მეტრეველი, თემურ ხუროძე და მე. მშვენიერი ფაქტია – უნივერსიტეტის რექტორის გამოჩენა სტუდენტთა ქორწილზე. ვის დავუმალო, როინი სტუდენტთა და თანამშრომელთა შორის მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს. სამართლიანი, ობიექტური კაცია.

ზაურ ბოლქვაძე გარდაიცვალა – ჩემი უახლოესი მეგობარი და ბრწყინვალე პოეტი.

დიდუბეში დავკრძალეთ. დაკრძალვაზე სიტყვა ვთქვით გურამ ფანჯიკიძემ, შოთა ნიშნიანიძემ, ჯანსუღ ღვინჯილიამ, მურმან ჯგუბურიამ და მე.

ზაური ყველას უყვარდა. დაკრძალვაზე ზღვა ხალხი მოვიდა.

7/VII-8/VIII, 97

„საქართველოს“ რედაქტორმა, ნოდარ გრიგალაშვილმა, დამირეკა და „მახარა“: – ბატონო რევაზ, ხვალინდელ ნომერში შენზე თემურ ქორიძის წერილი იბეჭდება და არ გეწყინოსო.

გადავშალე მეორე დღეს „საქართველო;“ და პირკატა მეცა.

პირველ გვერდზე ჩვენი (ქორიძის და ჩემი) სურათებია დაბეჭდილი და

ქორიძის სტატიის სათაური რედაქტორს დიდი სიყვარულით, გემოსჩატ-ანებით დაუბეჭდავს: „მიშველაძე ცრუობს“.

რაც შეუძლია, მლანძღავს ქორიძე; მიშველაძეო, კომუნისტების დროს კომუნისტებს აკრიტიკებდაო, ზვიადის დროს, ზვიადს, ახლა შევარდ-ნაძეს აკრიტიკებსო. სამართლებრივ სახელმწიფოში რომ ვცხოვრობდეთ, მიშველაძე კარგა ხანია საბრალდებულო სკამზე უნდა იჯდესო. მიშველაძე უნიჭო მწერალიაო. იგი თავის პასკვილებს ნოველებად ასაღებსო.

ყველაფერი ნათელია.

ფიცში ვერ ჩავიყოლებ, რედაქტორმა მითხრა: ხომ ნახე, რა წინასიტყ-ვა წავუმძღვარე ქორიძის წერილსო. რა მექნა დემოკრატი რედაქტორი (?!) ვარო, ხვალვე დავბეჭდავ გაზეთში ბოდიშსო.

მართლაც, გამოაქვეყნა მეორე დღეს ბოდიშის მსგავსი სტრიქონები, მაგრამ ეს უკან მიდევნებულ ლამპარს ჰგავს.

არ ვემდური გრიგალაშვილს. რა ქნას...

სწორედ რომ ქორიძე ამოიღო ხელისუფლებამ ნაფტალინისსუნიანი, ძველი, მტვრით სავსე პოლიტიკური სკივრიდან.

ქორიძე ხომ ერთადერთია (კინაღამ “კაცია“ წამომცდა) საქართველოში, ვისაც საპასუხოდ თავს არ გავუყადრებ.

ამას წინათ უნივერსიტეტში თურქეთის პრეზიდენტი, დემირელი, გვეწვია.

როინ მეტრეველმა მშვენიერ, მართლაც, რომ დარბაისლურ-დიპლომა-ტიური და პოლიტიკურად გამართული სიტყვით მიმართა.

დემირელი საპატიო დოქტორად ავირჩიეთ.

საინტერესო სიტყვა თქვა ედუარდ შევარდნაძემ. დემირელიო, ბძრანა, ის კაცია, რომელიც პატარა სახელმწიფოს პრეზიდენტს ზემოდან ცქერით კი არ ესაუბრება და ჭკუას კი არ არიგებს, როგორც ზოგი ჩვენი მეზობე-ლი, არამედ ხვდება, როგორც ტოლი ტოლს და თავისუფალი სახელმწიფოს ხელმძღვანელი თავისუფალ სახელმწიფოს ხელმძღვანელსო.

შეხვედრა რომ დამთავრდა, ბატონმა ედუარდმა დაცვის რკალი გამოარ-ღვია, ჩემსკენ წამოვიდა, ხელი გამომიწოდა და ირგვლივ მყოფთა გასაგონად მითხრა: ვკითხულობ, რეზო, ყველაფერს და, იცოდე, არავინ მოგატყუოს; მე არა მწყინს. შენ მართალი კაცი ხარ, ნამდვილი მწერალი ხარ და სწორედ ასე უნდა ამბობდეო.

გამაკვირვა პრეზიდენტის მოსვლამ და თბილმა სიტყვებმა.

რაც მე ამ ბოლო დროს ჩემს ინტერვიუებში და ე. შევარდნაძეს ვაკრი-ტიკებ, ასეთ შეფასებას ნამდვილად არ ველოდი.

პრეზიდენტის ჩემთან შეჩერებამ, თითქოს დიპლომატიური ეტიკეტიც კი დაარღვია. ამალა გაკვირვებული შესცქეროდა ამ სცენას. დემირელი შო-რიახლო იდგა ღარიბი ნათესავივით.

დელეგაცია რომ წავიდა, მეკითხებოდნენ ნაცნობ-მეგობრები; რა გითხრა, რატომ შეჩერდა შენთანო.

ამ შეხვედრიდან სამი დღის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი ამერი-კაში გაფრინდა.

მიიღო კლინტონმა, გამოვიდა გაეროში, შეხვდა ჯონი შალიკაშვილს...

და მაინც, ლამის უიმედოდ დაბრუნდა.

ჩანს, ამერიკაში უთხრეს: ჯერ არ დამდგარა ის დრო, რომ რუსეთს ხელი აუქნიო. მონსტრი ჯერ ისევ ძლიერია და ეცადე, არ გაგსრისოსო. ამ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ ფინანსურად და სამხედრო კონსულტაციებით შეგვიძლია დაგეხმაროთო.

უგუნებოდ დაბრუნდა შევარდნაძე ამერიკიდან.

ბრიფინგზე განაცხადა: ჯერ მზად არა ვართ, რუსის სამშვიდობო ჯარი გავიყვანოთ აფხაზეთიდან. რუსის ჩამნაცვლებელი რეალური ძალა არ ჩანს, ხოლო ცარიელ ადგილს მაშინვე ჩრდილოეთკავკასიელი მეზობელ-მოხალისენი დაიჭერენ და კავკასიური ომი დაიწყებაო.

ამ შემთხვევაში მართალი მგონია შევარდნაძე. თუმცა მისმა განცხადებამ ოპოზიციის ყალყზე შედგომა გამოიწვია და პრეზიდენტს კიდევ ერთხელ უწოდეს გამყიდველი.

ლტოლვილებში აპათიამ დაისადგურა.

ბევრმა მათგანმა სამუდამოდ დაკარგა აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნების იმედი და ქუჩაში გამოვიდნენ ტრანსპარანტებით: „ძირს გამყიდველი ხელისუფლება“.

ლტოლვილებს გაძვირებული ბაზრით გამწარებული, ილაჯგაწყვეტილი მოქალაქენიც შეუერთდნენ.

საოცარი ერთი რამ არის: ასიათასამდე ლტოლვილი ზუგდიდში ცხოვრობს და საინფორმაციო საშუალებანი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ენგურის ხიდთან სიმშვიდეა.

სად გაქრა ლტოლვილთა გულზე ხელის ბრაგუნი – თუ 31 ივლისს რუსის ჯარი აფხაზეთიდან არ გავიდა, ჩვენ გავიჩენთ სამართალს და თვით შევალთ აფხაზეთშიო.

არავინ არსად შემსვლელი არ არის, როგორც ვხედავ. ლტოლვილები როგორც გამოიქცნენ კურდღლებივით, ისეთივე კურდღლურ პოლიტიკას ადგანან დღესაც.

ელოდებიან, მე და ჩემი ცხონებული შვილი, აჩიკო მიშველაძე როდის გავუთავისუფლებთ გალს და მივართმევთ სინით.

ვინც უნდა იბრძოლოს თავისი სახლ-კარის დაბრუნებისათვის, ვინც არ უნდა დააძინოს არძინბა განუწყვეტელი პარტიზანული ომით, თბილისში სამოწყალო შუშაბანდებს შეხიზვნია და ლოდინს მისცემია.

ვაი, სირცხვილო!

ხმა გავრცელდა: ჩეჩნებმა აფხაზეთში ორასამდე „მოხალისე-ბოევიკი“ შეიყვანესო.

მართალი იქნება.

5-6 აგვისტოს საქართველოს ეწვია „სამხედრო იმედი“ – ამერიკელი გენერალი – ჯონ შალიკაშვილი.

თვითმფრინავიდან რომ ჩამოვიდა, კარგად დავაკვირდი, საკვოიაჟით ატომური ბომბი არ ჩამოუტანია თავისი დაპყრობილ-დაჩაგრული სამშობლოსთვის საჩუქრად.

ხუმრობა იქეთ იყოს და შალიკაშვილი სამხედრო კონსულტაციებით, ალბათ, გვეხმარება, მაგრამ საკითხავია, ვის უწევ კონსულტაციას? არარსებულ ქართულ არმიას?

გაისეირნ-გამოისეირნებს “თავის მამულში“ ამერიკელი გენერალი, გურჯაანში ყანწით საქართველოს სადღეგრძელოს დალევს და წავა, საიდანაც მოვიდა.

საქართველო დარჩება თავის უსაშველო სევდასთან პირისპირ.

9.VIII-9/IX 97

14 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის (1992-93) დაწყების დღეს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პრიმაკოვმა, სისხლიანი არძინბა თბილისში ჩამოიყვანა.

ეს იყო საქართველოსთვის მოულოდნელი, ამაზრზენი ფაქტი.

ამით რუსეთმა მსოფლიოს უთხრა; საქართველო ჩემი ტერიტორიაა და რაც მსურს, იმას ვაკეთებო.

შევარდნაძე იძულებული გახდა, შეხვედროდა არასასურველ სტუმარს და არა მარტო შეხვედროდა, გადახვეოდა კიდეც.

დილამდე გასტანა შევარდნაძე-არძინბას „მოლაპარაკებამ“.

დილით „ორი პრეზიდენტი“ პრესკონფერენციას მართავს: „საერთო განცხადებას მშვიდობიანი მოლაპარაკებების გაგრძელების შესახებ ხელი მოვაწერეთ, თუმცა მთავარ საკითხებზე ვერ შევთანხმდითო“. რა იყო მთავარი საკითხები? რჩება თუ არა აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში და დაბრუნდებიან თუ არა ლტოლვილები აფხაზეთში.

აფხაზეთის ქართულმა ხელმძღვანელობამ შევარდნაძე-არძინბას შეხვედრა მორიგ ფარსად მიიჩნია და თ. ნადარეიშვილმა გადადგომაზე გააკეთა განცხადება.

სასწრაფოდ ჩატარდა ლტოლვილთა ყრილობა, რომელმაც უნდობლობა გამოუცხადა საქართველოს ხელისუფლებას და რუსეთს – როგორც შუამავალს.

ბოლოს აფხაზეთის სესიამაც განიხილა არძინბას ვიზიტის საკითხი. შეხვედრაზე ვრცელი სიტყვა თქვა შევარდნაძემ.

ჩემი ლანძღვით საქმეს ვერ ვუშველითო. აბა, მითხარით, თუ გაქვთ რომელიმეს ჩემგან განსხვავებული, რამე ახალი, ჭკვიანური წინადადება აფხაზეთის დაბრუნებაზეო. ვერავინ ვერავითარი საქმიანი წინადადება ვერ წამოუყენა.

ნადარეიშვილმა უკან წაიღო თავისი განცხადება გადადგომის შესახებ.

21 აგვისტოს კომპოზიტორ ჯუმბერ ჯანდიერს ვეწვიე.

მომასმენინა ჩემს ლექსზე („დავით და კონსტანტინე“) დაწერილი მისი ახალი სიმღერა.

ძალიან მომეწონა. რექვიემის მსგავსი, მელოდიური, შთამბეჭდავი სიმღერაა. საერთოდ, ჯუმბერი უაღრესად ნიჭიერი კომპოზიტორია.

92 წლისა გარდაიცვალა საბავშვო მწერალი – ლავრენტი ჭიჭინაძე. ბატონი ლავრენტი შესანიშნავი მწერალი და პატიოსანი მოქალაქე იყო.

შოთა ნიშნიანიძე და მე ვიყავით დაკრძალვაზე.

მერე ათი დღე მუხათწყაროში გავატარე. დავამთავრე პიესა თოჯინების თეატრისთვის – „მოძღვარი მელა“. ეს პიესა თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის – ვახტანგ მაღლაფერიძის შეკვეთით დავწერე. წავუკითხე, მოეწონა. ვნახოთ, დადგამს თუ არა.

აგვისტოს ბოლოს მუხათწყაროში საშინელი ამბავი მაცნეს: ქობულეთში გურამ ფანჯიკიძე ზღვაში დამხრჩვალა.

დაუჯერებელი და შემაძრწუნებელია. გურამი ხარივით ჯანმრთელი იყო. ხშირად ერთად ვისვენებდით ქობულეთში. ბრწყინვალედ ცურავდა. ამბობენ, შეცურდა და ნაპირიდან 20-30 მეტრში ამოტრიალდა, გული გაუსკდაო.

2 სექტემბერს დავკრძალეთ. დ. მჭედლურმა წინა დღეს გამაფრთხილა, სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვა უნდა თქვაო, დაკრძალვის დღეს მოვიდა და ბოდიში მომიხადა; ლეკიშვილის დონეზე შენ და ლევან სანიკიძე სიიდან ამოგიღესო.

გამიკვირდა.

3 ოქტომბერს დილით დამირეკეს, სასწრაფოდ ტარდება პრეზიდიუმის სხდომა და 12 საათზე მწერალთა კავშირში მობრძანდითო.

ნეტავ რა ხდება-მეთქი. არ ვიცი, მდივანმა გოგონამ.

მივედით. მთელი „ოტარიდი“ იქ იყო.

თავმჯდომარე უნდა ავირჩიოთო, თქვა რეზო ჭეიშვილმა. წინადადება თუ გაქვთო.

სანამ გონს მოვიდოდით, ელგუჯა მაღრაძემ – არის აზრი, თამაზ წივწივაძემ უხელმძღვანელოს მწერალთა კავშირსო.

ჯერ მიცვალებული არ გაცივებულა, რა საჩქაროა ასე უწა-უწა თავმჯდომარის არჩევაო, ღვინჯილიამ, ციციშვილმა და კალანდიამ.

– ხომ გაგიგონიათ ფრანგული ანდაზა: „მეფე მოკვდა. გაუმარჯოს მეფეს!“ მასხრად აიგდო ჩვენი მწუხარება არჩილ სულაკაურმა.

მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

წივწივაძის წინააღმდეგი არც მე ვარ, მაგრამ სანამ ავირჩევდეთ, რამდენიმე რჩევა-სათხოვარი მექნება თამაზთან-მეთქი: პირველი – „ოტარიდმა“ ცუდი გავლენა იქონია მწერალთა კავშირის გამთლიანებაზე, ახლა, რაკი „ოტარიდის“ ხელმძღვანელს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ვირჩევთ იქნებ აჯობებდა, „ოტარიდი“ თავისი წევრებიანად მწერალთა ერთიან ოჯახს დაუბრუნდეს-მეთქი, მეორე: სასურველია, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორის კანდიდატურაზე ვიფიქროთ, რადგანაც თავმჯდომარეს საქმე ისედაც თავზე საყრელად ექნება და გაზეთის რედაქტორობას ვეღარ შეითავსებს-მეთქი.

მურმან ლებანიძემ და არჩილ სულაკაურმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. არავითარ შემთხვევაშიო, „ოტარიდი“ ოტარიდად უნდა დარჩეს, ხოლო წივწივაძე ერთდროულად თავმჯდომარეც იქნება და გაზეთის რედაქტორიცო.

კი ბატონო, თუ შეძლებს „ფიგარობას“-მეთქი და დავჯექი.

გული ამირია მხცოვან მწერალთა მელურ-მლიქვნელურმა განცხადებებმა.

ჩვენ ხომ მწერალთა კავშირი არა ვართ, ჩვენ ვართ მხოლოდ პრეზიდიუმი, იქნებ თამაზისთვის ჯერ მოვალეობის შემსრულებელი დაგვერქმიამეთქი.

არავითარ შემთხვევაშიო, დაიბუხუნა მწერალმა ელგუჯა მაღრაძემ, რას ჰქვია მოვალეობის შემსრულებელი, თავმჯდომარე უნდა ერქვას, მორჩა და გათავდაო.

ღმერთმა ქნას, წივწივაძემ კარგად გასწიოს ეს მძიმე ეროვნული უღელი.

ღმერთმა ქნას, გაამთლიანოს და შეკრას მწერალთა კავშირი, ღმერთმა ქნას, მოახედოს საქართველო ქართული მწერლობისკენ. თამაზი ჩემი მეგობარია. ნიჭიერი მწერალია და მისი გამარჯვება მხოლოდ გამიხარდება.

ხუთ სექტემბერს შოთა ნიშნიანიძე, ლევან სანიკიძე და მე გარდაბნის რაიონის სოფელ „ცხენისს“ ვესტუმრეთ. დავათვალიერეთ ეს უძველესი სოფელი, მთის კორტოხზე მდგარი თამარის ეკლესია.

კარგმა კაცმა, იუზა მაჭავარიანმა, გვიმასპინძლა.

10/IX-20/X 97

მწერალთა კავშირი, როგორც მოსალოდნელი იყო, ასოციაციებად ქუცმაცდება.

„ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა, რომ შეიქმნა „ცისკრის“, „მნათობის“ და „მერანის“ გაერთიანებანი.

ხოზე ადეიშვილსაც კი შეუქმნია თავისი გაერთიანება.

მე არცერთ გაერთიანებაში არა ვარ.

ჩანს, არავის გავახსენდი.

როინ მეტრეველის და ლევან სანიკიძის რჩევით, ჩვენ, უნივერსიტეტში და ჟურნალ „ბურჯში“ („ღიმილს“ სახელი გადავარქვი და „ბურჯი“ ვუწოდე) მომუშავე მწერლებმაც, შევქმენით გაერთიანება „ბურჯი“.

თავმჯდომარედ მე ამირჩიეს.

მიუხედავად იმისა, რომ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ „ასოციაციური სისტემისა“, იძულებული გავხდი (ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე), მე გავასოციაციებულიყავი.

სხვა გზა არ მქონდა.

ყველა წევრმა უნდა შექმნას ასოციაცია, მხოლოდ ამით შევძლებთ, ჩავშალოთ მწერალთა კავშირის წმენდის კამპანია.

თამაზ წივწივაძე არაფერ შუაშია, იგი იარაღად გამოიყენეს მწერალთ-მოძულე „მწერლებმა“.

ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი.

17 ოქტომბერს თბილისის 31-ე საავიაციო ქარხანაში მიგვიწვიეს შოთა ნიშნიანიძე, ლევან სანიკიძე და მე.

შოთა ავადმყოფობის გამო ვერ წამოვიდა.

მე და ლევანი გამოვედით ქარხნის დიდ სცენაზე.

სამსაათიანი გულახდილი საუბარი გაიმართა.

ქარხნის დირექტორმა, ავთანდილ ხოფერიამ, თავაზიანად დაგვათვალიერებინა გიგანტური ქარხანა.

კეთდება ექვსადგილიანი ახალი თვითმფრინავი „ტუ-58“.

19 ოქტომბერს, კვირას, იყალთოში შოთაობა ვიზეიმეთ.

ზინა კვერენჩხილაძე, ლევან სანიკიძე და მე საპატიო მოქალაქეებად აგვირჩიეს.

15 ოქტომბერს უნივერსიტეტში მოსე გოგიბერიძის 100 წლისთავის იუბილე ჩატარდა.

მოხსენება წავიკითხე თემაზე: „მოსე გოგიბერიძე და ქართული მწერლობა“.

გაზეთ „მაცნეში“ (13 ოქტომბერი) და „ასავალ-დასავალში“ (14 ოქტომბერი) დაბეჭდილია ჩემი ინტერვიუები.

იყალთოში მე და თ. წივწივაძემ გულახდილად, თბილად ვისაუბრეთ.

დამპირდა, „ბურჯის“ გამოცემაში ფინანსურად დაგეხმარებიო.

21/X-10/XI, 97

კიშინიოვში სნგ-ს მეთაურთა შეხვედრა გაიმართა.

შევარდნაძე გამოსულა კატეგორიული მოთხოვნით, ან დაგვიბრუნეთ აფხაზეთ-სამაჩაბლო ან გაგვიშვით სნგ-დანო.

არც ერთი შეუსრულეს და არც მეორე.

ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძეს არაერთი პრეზიდენტი მიმხრობია, პრიმაკოვს გაუტანია თავისი და რუსებს კვლავ გაუგრძელეს „სამშვიდობო ვადა“ ორი თვით.

ამასობაში ახალმა ინტრიგამ მიიპყრო ქართველი საზოგადოების ყურადღება. ბათუმის ყოფილმა მერმა, თამაზ ხარაზმა, ტელევიზიით ამხილა ზურაბ ჟვანია და როსტომ დოლიძე. ამ ზაფხულს საიდუმლოდ მიხმეს ურეკში და ასლან აბაშიძის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის მიღება შემომთავაზესო.

კვლავ გაშიშვლდა ვნებები. ახმაურდა პრესა. შევარდნაძემ პროკურატურას საქმის გამოძიება დაავალა.

„საქართველოს რესპუბლიკასა“ და „შანსში“ გამოვაქვეყნე წერილები სათაურით: „შეჩერდით“. ეს იმპერიის მორიგი პროვოკაციაა და ანკესზე არ წამოვეგოთ, თორემ აჭარას წაგვგვრიან-მეთქი.

იგივე გავუმეორეთ როინ მეტრეველმა, ლევან სანიკიძემ და მე ბათუმში მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნაზე შევარდნაძეს და ასლან აბაშიძეს.

ბათუმში ასლანმა ედუარდს ხმალი აჩუქა და თავისი ერთგულება საჯაროდ დაუდასტურა.

ინცინდენტი ჩაქრა. ჩაქრა კი?

ჩემი ინტერვიუები გამოქვეყნდა ამ დღეებში „მაცნეში“, „ასავალ-დასავალში“ და „დროში“.

ნოემბერს ყვარელში ილია ჭავჭავაძის დაბადების 160 წლისთავი აღინიშნა.

მე და ლევან სანიკიძე „პრეზიდიუმში“ აგვიწვიეს, მაგრამ სიტყვები არ მოგვცეს. გუბერნატორ გია არსენიშვილს მიჰყავდა სხდომა.

მწერლებიდან სიტყვები თქვეს თამაზ წივწივაძემ, ელგუჯა მაღრაძემ და ჯანსუღ ჩარკვიანმა.

საინტერესოდ გამოვიდა პრეზიდენტი.

11/XI-5/XII, 97

ილია ჭავჭავაძის იუბილე გაიმართა ოპერის თეატრში.

მე და ლევანს არც ოპერაში გვათქმევინეს სიტყვა.

სხდომა გადაიტვირთებაო.

რას ვიზამ, „ჩემი დრო“, როგორც ჩანს, არ დადგება. „სხდომის გადატვირთვის“ მიზეზით მეუბნებოდნენ უარს ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ნოდარ დუმბაძის და მუხრან მაჭავარიანის დროს.

მხოლოდ შოთა ნიშნიანიძის თავმჯდომარეობის დროს შემეძლო თავისუფლად გამოსვლა.

ზუგდიდში ილია ჭავჭავაძის ძეგლის გახსნაა და სიტყვა უნდა თქვაო, ზაურ კალანდიამ.

არ წავედი. ვიცოდი, იგივე განმეორდებოდა და მომზადებულ სიტყვას შემატოვებდნენ.

8 ნოემბერს საჩხერეში მომიწყვეს შეხვედრა.

შიო, ნათელა და მე წავედით.

არც ერთი მწერალი არ დავიმგზავრე, არ შევაწუხე.

საჩხერის გამგებელმა, ცეზარ ლაშხმა, გახსნა შეხვედრა.

კარგად ჩაიარა, თბილი სიტყვები მითხრეს.

საღამოს სოფელ ჭალაში, ოლეგ მაჭავარიანის სახლში გამართეს ბანკეტი.

ტბელ აბუსერიძის პრემიაზე წარადგინეს ჩემი წიგნი „მინაწერები სატელეფონო წიგნზე“. ვნახოთ, მომცემენ თუ არა პრემიას.

რუსეთმა ყაზბეგთან საზღვარი გადმოსნია 1300 მეტრით. ეს უზარმაზარი ტერიტორიის წართმევაა.

საქართველოს პრეზიდენტს ამ მეკობრეობაზე პროტესტი არ განუცხადებია. მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ – კაკაბაძემ, განაცხადა მორცხვად და ისიც გააჩუმეს.

ახალგაზრდებმა რუსეთის საელჩოსთან საპროტესტო აქცია წამოიწყეს.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებები დასცინიან აქციის მონაწილეებს. „ამაყი ქართველი ყმაწვილები საელჩოსთან სხედანო“.

მეორე დღეს ახალგაზრდების საპროტესტო დელეგაცია საზღვრის აღსადგენად ჯვრის უღელტეხილისკენ გაემგზავრა, მაგრამ რუსმა მესაზღვრეებმა გააფრთხილეს, არ მოგვიახლოვდეთ, თორემ გესვრითო. რა ექნათ ჩვენ ბიჭებს. თავს ხომ არ შეაკლავდნენ. უკან დაიხიეს და ახლომახლო ქვებზე ჩამოსხდნენ. მეორე დღეს კი თბილისში დაბრუნდნენ.

რუსეთი აშკარა ზიზღს გვიცხადებს. აფხაზეთი და სამაჩაბლო არ იკმარა, ახლა დარიალსაც გვართმევს.

ამ დროს თბილისში კედლებზე ერთი წარწერაც არ ჩანს: „რუსებო, წაეთრიეთ შინ“.

რამ დაგვადედლა ასე?

ჯაბა იოსელიანის პროცესი დაიწყო 1 დეკემბერს.

განსასჯელნი გალიებში ჩასვეს მაიმუნებივით.

გაზეთ „ახალი თაობის“ კორესპონდენტმა მკითხა, რას იტყვით ამაზეო.

ეს პროცესი ჩვენი ხელისუფლების დიდი მარცხია-მეთქი. ნუთუ ასე ეშინიათ 72 წლის ჯაბა იოსელიანის, რომელი კოტოვსკი ეგა მყავს, მესამე სართულიდან რომ გადახტეს-მეთქი.

მეორე დღესვე დაბეჭდეს ეს ჩემი შენიშვნა.

განსასჯელებმა, როგორც ტელევზიამ გამოაცხადა, უარი განაცხადეს პროცესში მონაწილეობაზე, სანამ გალიებს არ აიღებენ.

ვნახოთ, რა გამოვა.

პროკურორ რეზო ყიფიანის სამოცდაათი წლისთავის საღამოზე თამაზ ნადარეიშვილის (აფხაზეთის აქაური პრეზიდენტი) გვერდით ვიჯექი.

იმედი თითქმის გადაწურული აქვს.

რუსეთმა ფსოუსთან საზღვარი გახსნა და აფხაზეთი ფაქტიურად მიიერთაო.

პარტიზანული ომის გარდა არაფერი გვიშველის-მეთქი.

თვითონაც ამ აზრისაა.

6/XII-20/XII, 97

15 დეკემბერს „ასი ახალი ნოველის“ გამო შეხვედრა მომიწყვეს გორის იაკობ გოგებაშვილის სახელობის საშუალო სკოლაში.

შეხვედრა მშვენიერი შესავალი სიტყვით გახსნა სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ცირა ქრისტესიაშვილმა.

მოსწავლეებმა დიდებული სიტყვები წარმოთქვეს და, რაც უფრო მესიამოვნა, წარმოადგინეს სცენები ჩემი ნოველებიდან.

ქართულმა თეატრმა და კინომ ხომ ჩემთვის ვერ მოიცალა და ვერ მოიცალა.

ამ გახსენებაზე: რა ჰქნა თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ვახტანგ მაღლაფერიძემ, ამ ზაფხულს რომ საბავშვო პიესა დამაწერინა და დიდი ზარ-ზეიმით მიიღო? მისგან ბაიბური არ ისმის. ნუთუ, ვახტანგიც მატყუარა რეჟისორთა კოჰორტას დაამშვენებს?

რუსთაველის თეატრში 19 დეკემბერს „ცისკრის“ დაარსებიდან 145 და აღდგენიდან 40 წლის იუბილე გაიმართა.

მიყვარს „ცისკარი“ და სიამოვნებით დავთანხმდი რედაქტორ ზაურ კალანდიას გამოსვლაზე. აი, რა ვთქვი:

„სამოციანი წლების პარმაღზე ვინც ახალ ლიტერატურულ ჟურნალს „ცისკარი“ უწოდა, მშვენივრად იცოდა, რომ ის საქმე იყო ბოლომდე მისაყვანი, რისთვისაც გიორგი ერისთავი და ძმანი მისნი ციხეში ისხდნენ.

მართლაც, რომ ცისკარივით ამობდღვრიალდა ქართული მწერლობის კაბადონზე.

ყოველ ახალ ნომერში თითო ყუმბარა მაინც იდო დახავსებული იმპერიის ასაფეთქებლად.

თითქოსდა შეთქმულთა ჟურნალი იყო.

მიგვქონდა ხელნაწერები. ნახევარტონებით, მინიშნებებით ველაპარაკებოდით ერთმანეთს ავტორები და რედაქციის თანამშრომლები.

იქ არ იყო განდობა და გულზე მჯიღის ცემა.

არავინ გეტყოდა, „ვიცი, ვხვდები, საითაც უკაკუნებო“.

„რაკი შენც ასე ფიქრობ, მე ვალდებული ვარ, დავიცვა შენი ნაფიქრალი, რაკიღა იგი ჩვენი საერთო სევდაა, ხოლო შენ ჩვენი ამქრის წევრი ხარ“, – არ გეტყოდნენ, მაგრამ ხვდებოდი.

სია არ გვქონია-მეთქი ჩამოწერილი რეჟიმის წინააღმდეგ შეთქმულთა, მაგრამ რაღაც სასწაულებრივი მანქანებით მაშინვე დაირხეოდა განგაშის ხმა თანამზრახველთა შორის: „ცისკარი გააჩერეს“.

და იყო ბაგირის გაუთავებელი გადაქაჩვა მიამიტსახემიღებულ მწერლებსა და ცეკას შორის.

რაღა შორს წავიდე, ჩემს თავზეც ტრიალებდა მკაცრი ცენზურის წისქვილის ქვა.

დავწერდი ნოველას მძღოლზე, რომელსაც სიცოცხლე გაუმწარეს

ჩინოვნიკებმა. ცეკა ავტომანქანას ეტლად გადამაკეთებინებდა; მძღოლს – მეეტლედ, გარაჟს – თავლად, ხოლო მოქმედებას სულ მცირე ერთი საუკუნით უკან გადამაწევინებდა.

დავწერდი ნოველას ქვეყანაზე, რომელსაც გამოჩერჩეტებული ბებრები მართავენ, ხოლო მათ შორის უპირველესი დღის უმეტეს ნაწილს სურდოკამერაში ატარებს, დამიძახებდნენ და მეტყოდნენ, ხომ არ აჯობებს ეს ამბავი სადღაც შორს, კუნძულ იპიაზე, ხდებოდესო.

დავწერდი ნოველას მინისტრზე, რომლის თარჯიმანმაც გაცილებით მეტი იცის თავის უფროსზე, მირჩევდნენ, ქვეყანა, რომელზეც წერ, შეიძლება, აფრიკაში იყოს და მემუმია ერქვასო.

ეს ორთაბრძოლები ხშირად რედაქტორის ყურის აწევით მთავრდებოდა.

ახლა სხვა დროა.

ახლა ჩვენ, რედაქტორები და მწერლები, ფულიანი ბიზნესმენებისა და ბანკირებისთვის, შოთა ნიშნიანიძისა არ იყოს, „აბეზარა მათხოვრები“ ვართ და მეტი არაფერი.

ერთი მდიდარი ფირმის პრეზიდენტმა პირდაპირ მითხრა ამასწინათ: თუ გიჭირს ჟრუნალის გასაღება, სხვა უფრო სარფიან საქმეს მოკიდე ხელი. სხვა დროა ახლა, ნუ გგონია, ქვეყანა შენი ჟურნალის ახალი ნომრის მოლოდინით ათენ-აღამებსო.

ჩვენ ასეთი დროისთვის, ასეთი საქართველოსთვის არ გვიბრძოლია.

ამ მაღალი ტრიბუნიდან მადლობა მინდა ვუთხრა იმ დიდებულ, ჭეშმარიტ მკითხველს (თუკი ცოცხალი გადარჩა), მხარში რომ ედგა „ცისკარს“ და სულს უბერავდა, თანაგრძნობით და თანადგომით სიცოცხლეს უხანგრძლივებდა.

მადლობა მინდა ვუთხრა „ცისკარს“ ლამის საუკუნენახევრის განმალვობაში ეროვნული ცეცხლის გაღვივებისთვის.

მადლობა მინდა ვუთხრა „ცისკრის“ ახლანდელ რედაქტორს, ზაურ კალანდიას, ამ უმადურ ეპოქაში ჟურნალის გადარჩენისთვის.

და, რაც მთავარია, ცისკრის ყველა დროის ყოფილ რედაქტორს მივმართავ მადლობის სიტყვით, ვისაც სასმენელი ჯერ კიდევ შერჩა:

ძვირფასებო, კარგა ხანია ჩვენს გამო მიღებული ყველა საყვედური მოგეხსნათ.

აწ და მარადის თქვენი პირადი საქმე სუფთა და ნათელია.

ჩვენ ვბერდებით და რიგრიგობით გავიკრიფებით ამ წუთისოფლიდან.

„ცისკარი“ კი რჩება წყვდიადში ანთებულ ჩირაღდნად.

ასოციაცია „საქართველო და გარესამყაროს“ წევრებმა თავიანთ კონფერენციაზე მიმიწვიეს. ბატონო რეზოვო, შემომჩივლეს, ჩვენ ტაო-კლარჯეთის შესწავლით ვართ დაკავებული და ხელისუფლების მხრიდან დიდ წინააღმდეგობას ვაწყდებითო. ჩინოვნიკები გვეუბნებიან, ნუ აღიზიანებთ თურქეთს, ჩვენ ვეღარასოდეს დავიბრუნებთ ტაო-კლარჯეთს და დაანებეთ ფუჭ ოცნებას თავიო.

ვრცელი (ლამის საათიანი) სიტყვა ვთქვი. საქართველოს დაკარგული ტერიტორიების ყოველ კუთხე-კუნჭულს უნდა ვსწავლობდეთ, ყოველი კენჭის გადაადგილება უნდა აღვნუსხოთ. იმედი არ უნდა დავკარგოთ, დრო მოვა, დავიბრუნებთ წართმეულ მიწებს-მეთქი.

იწურება 1997-იც. ახალ წელს საქართველო კვლავ დაპყრობილი ხვდება და, ვინ იცის, იქნებ ახალ საუკუნესაც.

21/XII, 97-7/II 98

ახალი წლის ღამით ჩვეულებრივად თოფების ბათქაბუთქით არ შეხვდა თბილისი.

მხოლოდ ბავშვები ატკაცუნებდნენ ღია ფანჯრებში შუშხუნებს.

რაც თავი მახსოვს, საათი თორმეტს შემოჰკრავდა, „კახური მრავალჟამიერით“ გვილოცავდა ტელევიზია ახალ წელს.

წელს „რატომღაც“ ტელევიზიამ ამ ტრადიციას გადაუხვია.

ჩინოსანთა უკბილო ხუმრობები და უნიჭო ფრაზები ისმოდა მხოლოდ.

თექვსმეტ იანვარს ტელევიზიიდან მეწვივნენ სამსახურში. ბატონო რევაზ, გვითხარით, რა მოგეწონათ და რა არ მოგეწონათ 1997 წელსო.

ვთქვი გულახდილად; დასაწყისში ერთი სამი მოსაწონი რამ წარვუმძღვარე, მერე მივაყოლე, რაც არ მომეწონა. ბოლოს ვთქვი, ასე ჩაძინებული საქართველო მე კომუნისტების დროსაც არ მახსოვს-მეთქი.

ერთი კვირის მერე გადასცეს ჩემი სიტყვა – ნეტა, სულ არ გადაეცათ, სულელად, ხელისუფლების მეხოტბედ გამომიყვანეს. რაც „მომწონებია“, მხოლოდ ის დაუტოვებიათ, დანარჩენი მოუჭრიათ. ასე რომ, ერთ-ერთ ყეყეჩად ვჩანდი ეკრანზე.

შევარდნაძეს 25 იანვარს, როგორც აღნიშნეს, სამოცდაათი შესრულებია.

პრეზიდენტმა ოფიციალურ იუბილეზე უარი თქვა, ვრცელი სატელევიზიო ინტერვიუთი დაკმაყოფილდა.

შევარდნაძე ნიჭიერი კაცია, ლაპარაკი იცის, ჩამოთვალა საქართველოს „არნახული“ (მართლაც, რომ არნახული) წარმატებანი და დაგვპირდა, მომავალში უფრო უკეთ იქნება საქმეო.

ერთი იაღლიში მაინც დაუშვა; გელა ჩარკვიანის კითხვაზე, თუ გქონდათ რაიმე კონკრეტული გეგმა, საქართველოში რომ ჩამოდიოდით 1993 წელსო, უპასუხა: რასაკვირველია, მქონდა, წინასწარ ვიცოდი, რომელი ფორმირება როდის უნდა ჩამომეცილებინა სახელმწიფო საბჭოდანო.

ერიჰაა! ამას წინასწარ ჰქონია დაგეგმილი კიტოვანის და იოსელიანის დაჭერა, თენგიზ სიგუას გაგდება. მაშ, რა შუაშია აქ „ტერაქტი“? იკითხავს ჩემსავით გულუბრყვილო მკითხველი.

„ტერაქტზე“ გამახსენდა: გრძელდება „ჯაბას და კამპანიის“ სასამართლო, რომელსაც ზოგნი ირონიულად (ალბათ!) საუკუნის სასამართლოს უწოდებენ.

ხაჩიშვილი, გელაშვილი და სხვანი (ჯაბასთან ერთად ბულბულებივით გალიაში მსხდომნი) ყელის გაგლეჯამდე ამტკიცებენ, რომ უდანაშაულონი არიან, ხოლო „აღიარებები“ ძალით (ფრჩხილების დაძრობით და ბოთლზე დასმით) გამოსტყუეს.

რა ვიცი, კაცნი ვართ.

ლტოლვილები ერთმანეთს დაერივნენ. ნადარეიშვილმა და ერქვანიამ კაკუბავა არძინბას აგენტად გამოაცხადეს.

არის ასეთი მეცნიერი-ლტოლვილი ოთარ მიქიაშვილი. სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი. შემხვდა ამასწინათ და თითქოს ჩემს გულში იჯდა:

უზუსტესი ანალიზი გაუკეთა აფხაზეთ-სამაჩაბლოს საქმეს. ეს ტერიტორია რუსეთს (არც თუ ქართველთა შეწევნის გარეშე) იმპერიის დაშლის და გერმანიის გაერთიანების სანაცვლოდ აჩუქეს და ამ მიწების დაბრუნებაზე მხოლოდ ოცნება თუ შეგვიძლია (ყოველ შემთხვევაში, ამ საუკუნეშიო).

„ცისკარმა“ და „მერანმა“ რუსთაველის პრემიაზე წარადგინეს ჩემი წიგნი „ასი ახალი ნოველა“.

მურმან ლებანიძე და ტარიელ ჭანტურია (საბუთები რომ მივიტანე) თბილად შემხვდნენ, მაგრამ წყალი გადამიწურეს; გული არ დაგწყდეს, ჯერ-ჯერობით ექვსი კონკურენტი გყავს (?!) მიღებით კი, ჩვენი წინასწარი ვარაუდით, ვერცერთი ვერ მიიღებთო.

8/II-11/II 98

თებერვალს ღამით 11.15 საათზე კრწანისის რეზიდენციისკენ მიმავალ შევარდნაძის ჯავშნოსან მანქანას თავს დაესხნენ ტერორისტები.

შეიარაღებულ თავდასხმაში, როგორც ამბობენ, ოც კაცამდე მონაწილეობდა.

თხუთმეტი წუთის განმალვობაში თბილისი ზანზარებდა.

პრეზიდენტს ესროდნენ არა მარტო ავტომატის ცეცხლით, ჰაუბიცებით, ტყვიამფრქვევებით, და გრადის ტიპის ყუმბარებითაც.

მისი მანქანისგან ნამსხვრევები დარჩა. თვით კი სასწაულებრივად გადარჩა.

პრეზიდენტის დაცვის ორი წევრი დაიღუპა. თავდამსხმელთაგან კი ერთი – ეროვნებით ჩეჩენი.

მეორე დღეს 1 საათზე მწერალთა კავშირში შევიკრიბეთ.

მომხდარის გამო აღშფოთება გამოვთქვით და ტერაქტი რუსეთის მოწყობილად მივიჩნიეთ მე, ტარიელ ჭანტურიამ, თამაზ ჭილაძემ, გურამ გვერდწითელმა, რეზო ჭეიშვილმა, დავით მჭედლურმა, ლევან მალაზონიამ, ელგუჯა მაღრაძემ და სხვებმა.

ეს უკანასკნელი ამაო გაბრძოლებაა რუსეთის, რათა კავკასია დაინარჩუნოს.

ჩანს, მავრმა (შევარდნაძე) თავისი საქმე შეასრულა და მავრი უნდა წავიდეს, ასე გადაწყვიტეს კრემლში.

შევარდნაძემ ამ თავდასხმას „საერთაშორისო ტერორიზმის“ გამოვლინება უწოდა და თუმცა არა პირდაპირ, მაგრამ მინიშნებით მაინც რუსეთისკენ მიუთითა.

12/II–8/III 98

9 თებერვლის ტერაქტს 19 თებერვლის ტერაქტი მოჰყვა.

პირველი ტერაქტის შემსრულებლები უკვე დავიჭირეთო, ჩვენი პოლიცია ამბობს. ახლა დამკვეთს ვეძებთო.

ქალაქში ხმა გავარდა, რუსებმა დაგეგმეს ტერაქტი და რაკი შემსრულებლებმა (ერთი ჩეჩენი მკვდარი იპოვეს ტერაქტის ადგილას) დავალება ვერ შეასრულეს, მათი გვარები და მისამართები საქართველოს პოლიციას რუსეთმა გადასცაო.

სხვათა შორის, მართალს ჰგავს.

თებერვლის ვნებათაღელვა არ ჩამცხრალიყო, რომ 19 თებერვალს ზუგ-

დიდში გოჩა ესებუამ და სხვა თორმეტმა მებრძოლმა გაეროს „დამკვირვებლები“ მოიტაცეს.

„ტერორისტები“ (როგორც ტელევიზია უწოდებს) ჯიხაშკარში გამაგრდნენ.

ექვსი-შვიდი დღე ალყაშემორტყმულ ბიჭებთან უშიშროების წარმომადგენლები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ.

უშიშროების მინისტრის გამჭრიახობამ (ჯემალ გახოკიძე, მშვიდი, ჭკვიანი კაცია) გაჭრა და ტერაქტი უსისხლოდ დამთავრდა.

გოჩა ესებუა ორ ძმაკაცთან ერთად გააპარეს, დანარჩენებმა მძევლები გაათავისუფლეს და „ხელისუფლებას ჩაბარდნენ“.

ხელისუფლებამ მეორე დღესვე გაათავისუფლა ტერორისტები.

აშკარად დავიბენი.

თუმცა ვზივარ და ვწერ ნოველას ამ კარგ ბიჭებზე – ტერორისტებს რომ ეძახიან.

ჩემი ფიქრით, გაეროს „უსაქმურ დამკვირვებლებს“ მართლა სჭირდებოდათ შეჯანჯღარება.

რას აკეთებენ. „გაერომ“ 21 რეზოლუცია მიიღო საქართველოზე და არც ერთი არ შეასრულა.

კარგად მოიქცა შევარდნაძე, რომ ამ, მართლაც, ეროვნულ ბიჭებს დანაშაული აპატია.

რაც შეეხება 9 თებერვლის ტერაქტს, მე ვფიქრობ, ეს საშინელებაა. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე დაუცველი იყო ქალაქი.

ნუთუ შეიძლება, შუა ქალაქში ოცამდე მძიმედ შეიარაღებული ტერორისტი შემოგეპაროს და პრეზიდენტის კორტეჟს სროლა აუტეხოს.

ჟვანია, სააკაშვილი, რესპუბლიკის პროკურორი და სხვანი პრესკონფერენციებზე ხაზს უსვამენ, რომ კვალი მოსკოვში მიდის.

19 თებერვლის ტერორისტებმა სამი მოთხოვნა წამოაყენეს: რუსის ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანა საქართველოდან, პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება და შევარდნაძის შეხვედრა ძალით დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

ეს ბოლო (მესამე) პუნქტი შესრულდა. შევარდნაძე შეხვდა ყოფილ ვიცე-სპიკერს, ნემო ბურჭულაძეს, ყოფილ განათლების მინისტრს, ლია ანდღულაძეს და საქართველოს ყოფილ ელჩს რუსეთში – ჩაჩავას.

რაზე ილაპარაკეს, უცნობია.

ფაქტი ის არის, რომ ინციდენტი მშვიდობიანად დამთავრდა.

9 თებერვალს შევარდნაძის მოკვლის მცდელობა თავის თავზე აიღო ჩეჩენმა, ჯოხარ დუდაევის „მარჯვენა ხელმა“ – სალმან რადუევმა. მე ვმონაწილეობდი ამ ტერაქტში თბილისელ ზვიადისტებთან ერთადო.

რატომღაც არ დაუჯერეს.

გამოძიება გრძელდება.

მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ ნემო ბურჭულაძე კაგებეს აგენტად გამოაცხადა, ხოლო გოჩა ესებუაზე განაცხადა – „ასეთს არავის ვიცნობო“.

გაზეთებმა გამოაქვეყნეს, რომ გეგეჭკორი, ჯავახაძე და მე („ასი ახალი ნოველის“ გამო) წარდგენილი ვართ რუსთაველის პრემიაზე.

გეგეჭკორიც და ჯავახაძეც – ორივენი ჩემი მეგობრებია. ნიჭიერი პოეტები და სუფთა, პატიოსანი პიროვნებებია. მაგრამ გეგეჭკორს ბოლო ხუთ წელიწადში რომ ქვეყანა დაინგრა, ხმა არ ამოუღია, ერთი გულისმოსაფხანი სიტყვა არ უთქვამს ქართველი ერისთვის, ხოლო ჯავახაძემ ის წიგნი, რომლის გამოც წარუდგენიათ („უცნობი“), 1988 წელს დაწერა, პირველად 1990 წელს გამოაქვეყნა (მცირე მოცულობისა), მეორედ 1992 წელს – ვრცელი...

ასე რომ, მორალური უფლება კენჭის ყრისა რუსთაველის პრემიაზე ამ ჩემს ორ უსაყვარლეს პოეტებს არა აქვთ.

თუმცა მე ამ სტრიქონებს ჩემს დღიურში ვწერ და ხმამაღლა როგორ წამომცდება, ან სხვას როგორ ვეტყვი.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მე განზე დამტოვებენ და იმ ორიდან ან ორივე მიიღებს, ან – ვახტანგ ჯავახაძე.

რატომ? ორი მიზეზისა გამო; ჯერ ერთი, ჩემი ოპოზიციონერობის გამო (ის წიგნი თავიდან ბოლომდე არსებული, პოსტკომუნისტური ხელისუფლების კრიტიკაა) რუსთაველის პრემიას არ მომცემენ (შევარდნაძეს არ ესიამოვნებაო); მეორეც, ვახტანგ ჯავახაძის და გივი გეგეჭკორის მხარეზეა (ამას არც მალავს) პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე – მურმან ლებანიძე, როგორც თვითონ მითხრა.

ღმერთმა შეარგოთ!

9/III–20/III 98

საქართველოში თურქეთის პრემიერი ჩამოვიდა და გამოაცხადა: ნავთის გზა საქართველოზე გაივლისო, ამერიკის პრეზიდენტმა დაურეკა შევარდნაძეს – ამერიკა შენს გვერდით არისო, ალიევმა უარი თქვა 19 მარტს მოსკოვის სამიტში მონაწილეობის მიღებაზე.

შევარდნაძემაც განუცხადა, ჩემი უსაფრთხოება დაცული არ იქნება და თავს ვიკავებო. ის იყო მთელი საქართველო გაიძახოდა – ყოჩაღ, შევარდნაძე, ახლა კი გვეღირსება ესენგედან გამოსვლაო. რომ 17 მარტს მოულოდნელად შევარდნაძე აცხადებს: მივიღე გადაწყვეტილება, მოსკოვს გავემგზავროო.

ყველას ცივი წყალი გადაგვასხა. რატომაო? ჰკითხეს. მოსკოვს უნდა ვაჩვენო, რომ ჯანმრთელი ვარო. ეს საოცარი არ არის? ჯანმრთელი რა; მძლეოსანია, სიგრძეზე ხტება თუ სიმაღლეზე?

მოსკოვმა საპასუხოდ კიდევ ერთხელ მოიმადლიერა შევარდნაძე. დაიჭირა მოსკოვში აბსნაძე და ბურჭულაძე და ბორკილებით ჩამოუყვანა (გიორგაძეს ჯერ იტოვებს).

მთავარია, შევარდნაძის პირადი მოწინააღმდეგენი გყავდეს ციხეში, საქართველო ჯანდაბას!

რაკი რუსეთი ოპოზიციონერ-ძებნილებს გვაბარებს, ესე იგი, ხვალიდან ისევ ჩვენი ძმა და მეგობარი იქნება. სამაჩაბლო-აფხაზეთს დაგვიბრუნებს თუ არა, ვის ენაღვლება.

აი, ასეთი პოლიტიკა გვაქვს ჩვენ.

მილოცავენ რუსთაველის პრემიაზე წარდგენას.

ჩემმა საყვარელმა გაზეთმა „შანსმა“ დაწერა: მიშველაძის 100 ნოველა ასჯერ სჯობია ყველაფერს, რაც ბოლო ათ წელიწადში საქართველოში შექმნილა მწერლობაშიო.

არ გამეხარდა ეს სტრიქონი, ზოგჯერ ქება გინებაზე უარესია. ჯერ ერთი, მთლად ასე არ არის და, მეორეც, ხომ გადამეკიდა „მთელი ქართული მწერლობა“, ეგონებათ, მე წავახალისე თ. ჟღენტი ამის დასაწერად.

მოსკოვის სამიტი გადაიდო აპრილის ბოლომდე ელცინის ავადმყოფობის გამო.

კიდევ ერთი სატყუარა დაჰკიდეს საქართველოს ცაზე.

ველოდოთ, რა მოხდება აპრილის ბოლოს.

21/III–30/III 98

აჭარაში მეწყერმა ოთხმოცამდე სახლი ჩაიტანა.

თბილისიდან შინაგან საქმეთა სამინისტრომ ავტომატებით შეიარაღებული ოცი კაცი გაგზავნა სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად.

ასლან აბაშიძემ „დამხმარებლები“ აჭარაში არ შეუშვა; როდის იყო, დამეწყრილთა საშველად ხალხი ავტომატებით მოდიოდაო.

ამაზე თბილისში „სკანდალი“ ატყდა; არიქა, ასლან აბაშიძე სეპარატისტობსო.

შეხლა-შემოხლა (ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვიერი) კვლავ გრძელდება.

უჩუჩხურებენ აჭარას, რათა დაღუპულ-დაძირულ ქვეყანაში ხალხის ყურადღება აჭარაზე გადაიტანონ. ამით ხელისუფლება თავის უღიმღამო არსებობას გააგრძელებს.

პრესაში იბეჭდება წერილები ჩემს ას ნოველაზე.

განსაკუთრებით „შანსი“ „მწყალობს“.

28 მარტს გაერთიანებული სამედიცინო აკადემიის საპატიო აკადემიკოსად ამირჩიეს ექიმებზე და ავადმყოფებზე დაწერილი ნოველების გამო.

31/III-5/IV, 98

დავამთავრე სახელმძღვანელო „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია“.

ეს იქნება მეცნიერების სარბიელზე ჩემი მთავარი წიგნი.

ვცადე, ახლებურად დამეწერა. გადამეფასებინა ზოგი ლიტერატურული მოვლენა. ეროვნული პოზიციიდან დამენახა მეოცე საუკუნის მწერლობა.

გაირკვა, რომ მეოცე საუკუნის თითქმის ყველა მწერალს დამპყრობელი რუსი სძულდა.

„საბჭოთა კრიტიკა“ კი მოვლენას პირიქით წარმოაჩენდა.

მივუტანე გამომცემლობებს და სტამბებს ჩემი სახელმძღვანელო.

სულ მცირე 5000 ლარი მომთხოვეს გამოსაცემად.

მე ამხელა ფული ვინ მომაშავა.

მივედი უნივერსიტეტის რექტორთან.

ჩემო როინ, ხუთი წელი ვწერდი ამ სახელმძღვანელოს. დანარჩენი შენ იცი-მეთქი.

გამომართვა და უსიტყვოდ წააწერა:

„ნიკო ბერძენიშვილს. აუნთეთ მწვანე შუქი, საჭირო სახელმძღვანელოა“.

მიუტანე ნიკოს (გამომცემლობის დირექტორს) და გადაეცი ჩემგან, უახლოეს თვეებში გამოსცესო.

აი, ასეთი კაცია როინი.

უშურველი, მეგობრული, გამგები...

31 მარტს შევარდნაძემ პიონერთა სასახლეში გვიხმო ინტელიგენციას და პარლამენტარებს.

მწერლებიდან თ. წივწივაძე, მ. ლებანიძე, ტ. ჭანტურია, ლ. სანიკიძე და მე გახლდით.

პრეზიდენტმა დამოუკიდებლობის რეფერენდუმის დღე მოგვილოცა.

სიტყვები თქვეს ბ. შოშიტაიშვილმა, რ. მეტრეველმა და ლ. ღოღობერიძემ.

შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას სადღეგრძელო დალია. გამიკვირდა და მომეწონა.

და იმავე საღამოს ტელევიზიამ საშინელი ცნობა გადმოსცა.

სამეგრელოში, სოფელ სანორიოში, ჩვენმა მამაცმა პოლიციამ მოკლა გოჩა ესებუა – 19 თებერვლის „ტერორისტი“.

ოთხი უცხოელის გატაცებაზე ნოველა დავწერე და 28 მარტს მივიტანე „ლიტ. საქართველოში“. ნოველა გოჩა ესებუას მივუძღვენი.

იუმორით ვწერ იმაზე, რომ ქართველი კაცი ბუნებით არ არის მკვლელი და ტერორისტი, რომ ეს აქცია ბიჭებმა საქართველოს გასაღვიძებლად და მსოფლიოს ყურადღების საქართველოსკენ მისაპყრობად ჩაიფიქრეს.

მთელი ღამე არ მეძინა.

დილით უჩა შერაზადიშვილმა დამირეკა; ბატონო რეზო, გაიგებდით ესებუას სიკვდილს, როგორ მოვიქცეთ, დავბეჭდოთ თქვენი ნოველაო?

აუცილებლად დაბეჭდეთ და თან მიაწერეთ, რომ გულით დავსტირი სამშობლოსთვის დაცემული ბიჭის ცხედარს-მეთქი.

მართლაც, დაუბეჭდავთ და კარგი მინაწერიც მიუყოლებიათ: „ავტორთან ერთად ჩვენც ვუთანაგრძნობთ დაღუპულთა ოჯახსო“.

კარგი საქმე გააკეთა ამით წივწივაძემ.

ამ მინაწერთი მან საქართველოს ხელისუფლებას გააგებინა, რომ ჩვენ კაცის მოკვლის მომხრე არა ვართ, ქართველი მწერლები, და პატრიოტი კაცისა მითუმეტეს.

ზუგდიდში სამძიმრის დეპეშა გავუგზავნე გოჩა ესებუას დედას.

6/IV–20/IV 98

პრესაში იბეჭდება რეცენზიები ჩემს „ას ნოველაზე“ რუბრიკით: „წარდგენილია რუსთაველის პრემიაზე“.

წინასწარ ვიცი, რომ საქართველოს ამ უპირველეს ჯილდოს ვერ მივიღებ.

სირცხვილის გრძნობა მეუფლება, როცა რუსთაველის პრემიების კომიტეტის წევრებს ქუჩაში ვხვდები. არ იფიქრონ-მეთქი, რომ ხმას ვთხოვ და სწრაფად ვშორდები, ხან კი აშკარად თვალს ვარიდებ.

კარგად მესმის მათი, აუხსნიან ხელისუფლებას ასე სურსო და ისინიც იმას მისცემენ ხმას, ვისზეც ხელისუფლება შეაჩერებს არჩევანს.

არც იმის იმედი მაქვს, რომ ხმებს ობიექტურად დაითვლიან. არჩევნების გაყალბებაში დაოსტატებული „ვართ“.

რუსთაველის პრემია კი არა, ამას წინათ უნივერსიტეტში ქართული ენის დღე ჩატარდა (ზუსტად 14 აპრილს).

შემთხვევით გავიგე, უნივერსიტეტის ეზოში პროფესორი ვალიკო მეტრეველი შემხვდა; შეხვედრაზე რატომ არა ხარო. ქართული მწერლობის მთელი ნაღები იქ არისო.

შევედი სხდომათა დარბაზში.

რექტორს გვერდით უსხედან მურმან ლებანიძე, ტარიელ ჭანტურია, თამაზ წივწივაძე და ლადო მრელაშვილი.

ვდგავარ კედელთან. დარბაზში ადგილი არ არის. როინ მეტრეველმა შემამჩნია.

ეტყობა, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს, რაკიღა პრეზიდიუმში თანამედროვე ქართული ნოველის კლასიკოსს, რევაზ მიშველაძეს, ვერ ვხედავთო... და დიდი თავაზიანობით სცენაზე მიმიწვია.

უარი ვკადრე. მე მასპინძელთაგანი ვარ-მეთქი. არ მომეშვა. თავის გვერდით დამსვა და სიტყვაც მათქმევინა.

თხუთმეტჯერ ჩატარდა უნივერსიტეტში ქართული ენის დღე. თოთხმეტჯერ მიმიპატიჟეს. ამ ბოლო შეხვედრაზე არა.

გაირკვა, რომ ამ ღონისძიების მომწყობი და სულისჩამდგმელი ამირან გომართელი ყოფილა – ჩვენი ახალი დეკანი.

მასვე გაუფრთხილებია სტუმრები. მე, ჩანს, თვალში არ მოვუდივარ, ან „უბრალოდ“, დავავიწყდი“.

სხდომის შემდეგ ღარიბი ნათესავივით ცალყბად მიმიწვია პურ-მარილზე. რა თქმა უნდა, არ წავედი.

მიპატიებია ამირანისთვის. ახალგაზრდაა და ეტყობა, იბნევა ხოლმე „ღონისძიებების“ ჩატარებისას.

21/IV-10/V 98

საქართველოს ახალი თავდაცვის მინისტრი ჰყავს – დავით თევზაძე.

ჩემი მეგობრის, კარგი მეცნიერის, უპატიოსნესი კაცის, დავით თევზაძის შვილი – 6 შვილის მამა.

ახალი მინისტრი ეროვნული კაცია და დარწმუნებული ვარ, ეროვნულ არმიას შექმნის.

ტელევიზიით მასაუბრეს ჩემს წიგნზე - „ასი ახალი ნოველა“ – რუბრიკით „წარდგენილია რუსთაველის პრემიაზე“.

ნეტავ, თუ შეინახავენ ჩანაწერს?

მითხრეს, რომ ზოგიერთები ენერგიულად მუშაობენ კომიტეტის წევრებს შორის – გივი გეგეჭკორს და ვახტანგ ჯავახაძეს მიეცით ხმა, შევარდნაძეს არ სურს, რომ პრემია მიშველაძემ მიიღოსო.

არა მგონია, ეს შევარდნაძის აზრი იყოს.

5,6,7 მაისს რეზო ჩხეიძესთან ერთად საინგილოს ვეწვიე.

ჩავიტანეთ ქართული წიგნები, საწერ-კალმები, რვეულები, ფანქრები, საშლელები...

მეხუთე წელია, რეზო ჩხეიძემ ენერგიულად მოკიდა ხელი საინგილოს მეცენატობას, მწერალთაგან მე დავუდექი გვერდით და წელიწადში ორჯერ მაინც ჩავდივართ სერგო ორჯონიკიძის მიერ გაყიდულ ინგილოთა გასამხნევებლად, მაგრამ რაი მერე?!

ყოველ წელიწადს უარესდება ამ განწირული ქართული ტომის მდგომარეობა.

1959 წელს ძალით გვარგადაკეთებულ 10 ათასი ინგილოს გვარების დაბრუნება არ ხერხდება.

ბაქო უარს ამბობს. მე და რეზო ვარისხებთ ზარებს, მაგრამ არც ეს კმარა, საქართველოს ხელისუფლება მხარს არ გვიჭერს, აზერბაიჯანელებს ნერვებს ნუ მოვუშლითო.

შემოგვჩივლეს ინგილოებმა; უკიდურეს დღეში ვართო. სამსახურს არ გვაძლევენო. ყველანი სახლებს ვყიდით და აქედან აბარგებას ვაპირებთო.

სად მიდიხართ-მეთქი.

საქართველოშიო.

თქვე კაი ხალხო, ოთხასი წელი ბატონობდნენ არაბები საქართველოში, მაგრამ არ ავყრილვართ და არ გადავსახლებულვართ, აქედან თუ წახვალთ, საქართველო ხომ აღარ იარსებებს ამ თავის ძირძველ, ისტორიულ მიწაზე-მეთქი.

რა ვქნათო, ილაჯი გაგვიწყდაო. ალიევი გულდაგულ პატრონობს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, ჩვენ კი შარშან ბაქოში ყოფნის დროს შევარდნაძემ არც მიგვიღოო.

უკან რომ დავბრუნდით, აქაურმა გამგებელმა გვითხრა; ხომ ხედავთ, თვით შევარდნაძესაც არ მიაჩნიხართ ქართველებად იმიტომ, რომ ინგილოები აზერბაიჯანელები ხართო. თქვენი ჩამოტანილი ფანქრები და საშლელები საქმეს ვერ უშველისო. საქართველოს მთავრობა უსაშველოდ გვატყუებს, რომ ლაგოდეხში ანძაგამძლიერებს დადგამენ, რათა ინგილოებმა ქართული ტელე-რადიო გადაცემები მივიღოთო. პრესაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტიაო.

მედა რეზო ამჯერად მუსულმან ინგილოთა სოფლებში არ შეგვიშვეს. ისინი ქართველები არ არიან და თქვენი ქართული წიგნები არ უნდათო.

შარშან თუ იყვნენ და თუ უნდოდათ-მეთქი?

წელს ასეა საქმე და გირჩევთ, ნუ ეწევით ანტიაზერბაიჯანულ პროპაგანდასო.

ეს უკვე გაფრთხილებაზე ცოტა მეტი (მუქარა) იყო.

ნუ გეშინიათ, სამართალი პურს სჭამს, ასე არ დარჩებით, იქნებ 21-ე საუკუნეში ამერიკამ გადახედოს საზღვრებს და საინგილო ისევ საქართველოს დაუბრუნოს-მეთქი.

მეტი არ იქნა ჩემი მტერიო, მასწავლებელმა ანდრო ოთარაშვილმა. რა იმედით გველაპარაკებით, როცა თქვენ თვითონ საქართველოში ქართველებს პასპორტში ეროვნება „ქართველი“ არ გიწერიათო.

რა უნდა მეპასუხა. მართალი იყო ის კაცი.

8 მაისს ზაზა ფანასკერტელის ინსტიტუტში დიდი შეხვედრა მომიწყვეს.

გახსნა რექტორმა, პროფესორმა გურამ ხაჭაპურიძემ.

მოხსენება წაიკითხა პრორექტორმა გურამ ცინცაძემ.

სიტყვები თქვეს სტუდენტებმა.

რა თბილი სიტყვები, რა შედარებები, რა სურვილები...

ვიგრძენი, რომ ამაოდ არ დავმშვრალვარ.

მეც გადამიგდია ერში თავისუფლებისთვის ბრძოლის თესლი.

იგი უსათუოდ გაღვივდება.

ახალგაზრდები ჩვენს ქვეყანას რუსის მონობაში არ ჩატოვებენ.

დღეს მოსაწვევი მომიტანეს. ქუთაისი ჩვენი მშობლიური IV საშუალო სკოლის ინიციატივით თეატრში შეხვედრას გვიწყობს როინ მეტრეველს და მე.

როინი ძალიან მიყვარს. ჭეშმარიტ მოღვაწედ მიმაჩნია და მიხარია, რომ ერთად წარვუდგებით (ანგარიშით!) ჩვენს მშობლიურ ქალაქს.

რაც შეეხება 29 აპრილის „სამიტს“, ისე დამთავრდა, როგრც უნდა დამთავრებულიყო.

საქართველოს დელეგაციამ აფხაზეთში რუსის სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადის გაგრძელება მოითხოვა.

სამიტმა „შტრეიკბრეხერთა“ თხოვნა დააკმაყოფილა.

11/V–16/V 98

ათ მაისს ქალაქის მერიის მრჩეველთა საბჭოს სხდომა გვქონდა.

ვიცე-მერმა, გიგი წერეთელმა, წინადადება შემოიტანა, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას პირველი პრეზიდენტის, ნოე ჟორდანიას, სახელი ეწოდოსო.

ნოდარ ლომოურმა და ლევან სანიკიძემ სასტიკი პროტესტი გამოთქვეს.

ავდექი და ვთქვი: მოგწონთ თუ არა ნოე ჟორდანია, იგი დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი იყო და არა გვაქვს მორალური უფლება მისი სახელის იგნორირების-მეთქი. აქვე წინადადება შემომაქვს, ამავე სხდომაზე თბილისის რომელიმე ქუჩას ზვიად გამსახურდიას სახელი ვუწოდოთ. ამით შერიგების პროცესსაც დავაჩქარებთ და პირველი და მეორე პრეზიდენტის სახელსაც უკვდავყოფთ-მეთქი.

უნდა გენახათ ნოდარ ლომოურის გაწიწმატება.

თუ მსგავსი განცხადება კიდევ განმეორდება, მე დავტოვებ მრჩეველთა საბჭოსო, თანაც ბ-ნმა ნოდარმა მისი ასაკისთვის შეუფრებელი ენერგიულობით აუწია ხმას. რომ დაამთავრა, მშვიდად დავძინე, ნუ გვაშინებს ნოდარ ლომოური საბჭოს დატოვებით. ზვიად გამსახურდიას დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს წინაშე და ბედის ირონია აქ ის არის, რომ ქუჩისთვის ზვიადის სახელის დარქმევა ნოდარ ლომოურის გადასაწყვეტია-მეთქი.

იმსჯელეს და ჩემი და გიგის წინადადება ორი კვირით გადადეს. ალბათ, ქალაქის მერი შევარდნაძეს მოეთათბირება.

13 მაისს ქუთაისის თეატრში შეხვედრა მოგვიწყვეს როინ მეტრეველს და მე.

თეატრი „გადაჭედილი“ იყო.

დიდებული სიტყვები გვითხრეს.

უხერხულობისგან ყურები გვეწვოდა, დიდ ეროვნულ მოღვაწეებად რომ გამოგვაცხადეს.

მეორე დღეს, 14 მაისს, თეატრის შენობაში ქუთაისის საზოგადოებამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილე გამართა.

გამოვედით მადლობის სიტყვით რ. მეტრეველი, ლევან სანიკიძე, ოთარ ჯაფარიძე, მე...

გვიან ღამით დავბრუნდით თბილისში.

17/V–21/V 98

17 მაისს მწერალთა კავშირში რუსთაველის პრემიის კომიტეტის სხდომა გაიმართა.

რა თქმა უნდა, იქ არ მივსულვარ. თვალში ვინმეს გლახად არ შევეჩხირო-მეთქი.

გადავიკიდე ჩანთა და ფალავანთა კლუბში სავარჯიშოდ წავედი 12 საათზე.

ვატყობ, შინაგანად დაძაბული ვარ. როგორც ჩანს, ბერდები, პატივმოყვარეობის ჭია შეგჩვევია-მეთქი, დავტუქსე ჩემი თავი.

ორზე დავბრუნდი შინ. ცოლმა მომახარა – მწერალთა კავშირიდან დაგვირეკეს, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ხარო.

ეს უმაღლესი ჯილდოა. რუსთაველის პრემია მარტო მე კი არა, მთელმა ჩემმა თაობამ მიიღო.

საღამოს შევიტყვე, თ. წივწივაძეს, რ. ჭეიშვილს, ვ. ასათიანს და გ. კალანდიას უმარჯვიათ.

კომიტეტის ყველა წევრმა მომილოცა, მურმან ლებანიძის, ტარიელ ჭანტურიას, თამაზ ჭილაძის და ნოდარ გურაბანიძის გარდა.

სწორედ 4 შავი მივიღე და 29 თეთრი.

18-ში დილით ზუგდიდს გავემგზავრეთ ნათელა, შიო და მე.

ზუგდიდის უნივერსიტეტში ვახტანგ კვარაცხელიას თაოსნობით (რექტორი) დიდი შეხვედრა მომიწყვეს.

გულთბილად მომილოცეს რუსთაველის პრემია.

მეორე დღეს გოჩა ესებუას ოჯახს ვესტუმრე. ჭეშმარიტი ვაჟკაცის დაკარგვა მივუსამძიმრე გულდამდუღრულ მშობლებს.

გავედი ენგურის ხიდთან.

მოთმინებისფიალაავსებული ხალხი დრტვინავს, შფოთავს, დენთის სუნი ტრიალებს.

შორიდან სროლის ხმა ისმის. „ჩვენი პარტიზანები ისვრიან“ – მეუბნება ჭარმაგი გალელი.

მიხარია.

რასაც მთავრობა ვერ აკეთებს, ხალხმა უნდა გააკეთოს.

20-ში დავბრუნდი თბილისში.

როინ მეტრეველმა მომილოცა რუსთაველის პრემია.

როინი უშურველი კაცია. მჯერა, ნამდვილად გაეხარდა, მაღალი ჯილდო რომ მეღირსა.

21 მაისს ქალაქის მერიის მრჩეველთა საბჭოს სხდომა გვქონდა.

ისევ გაიმართა კამათი იმის შესახებ, ეწოდოს თუ არა თბილისის ერთერთ ქუჩას ნოე ჟორდანიას სახელი.

ისევ გამოვთქვი ჩემი აზრი: თუ ნოე ჟორდანიას სახელს ვარქმევთ, საქართველოს მეორე პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, სახელიც დავარქვათ-მეთქი რომელიმე ქუჩას.

გაიმართა „ცხოველი აზრთა“ გაცვლა-გამოცვლა.

რა დროს გამსახურდიაარ, შევარდნაძეს ეწყინებაო, გამსახურდია გიჟი იყო და მეტი არაფერიო...

მხარი დამიჭირეს გიგა ლორთქიფანიძემ, ვახტანგ დავითაიამ, გურამ შარაძემ, თენგიზ ჯანელიძემ, გიგა ბათიაშვილმა...

ბოლოს მაინც ჩემმა წინადადებამ გაიმარჯვა კენჭისყრით.

დღეიდან ყოფილი ლენინის პროსპექტი (მ. კოსტავას ქუჩა) ოთხად იყოფა: ერთ ნაწილს ეწოდება მერაბ კოსტავას ქუჩა, მეორე ნაწილს – ზვიად გამსახურდიას ქუჩა, მესამე ნაწილს – ნოე ჟორდანიას ქუჩა, ხოლო მეოთხე ნაწილს – ნოე რამიშვილის ქუჩა.

ღამით ტელევიზიამ გამოაცხადა: გალში აფსუებმა ორასი პოლიციელი (დამსჯელი რაზმი) შეიყვანეს და პარტიზანებმა 35 აფსუა პოლიციელი დახოცესო.

ტელევიზორში არძინბას შეშფოთებული სახეც გაკრთა.

ძლივს გავიღვიძეთ ქართველებმა.

ათასჯერ ვთქვი: არ უნდა დავაძინოთ, არ უნდა მოვასვენოთ ჩვენი მიწის დამპყრობნი.

22/V – 8/VI 98

20-24 მაისს საქართველო არაჩვეულებრივმა აღტკინებამ, საომარმა მღელვარებამ მოიცვა.

გალში მოხალისეები, პოლიციელები და ჯარის მცირე ნაწილები გაჩნდნენ..

ზუგდიდში თავდაცვის ახალი მინისტრი – თევზაძე, და შინაგან საქმეთა მინისტრი, თარგამაძე, ჩავიდნენ.

გალის ბევრ სოფელში ქართული დროშა აფრიალდა.

და ისევ ღალატი!

25 მაისს შევარდნაძემ გამოაცხადა, უკანდახევის გადაწყვეტილება მივიღე. ხუთი თითივით ვიცნობ ჩვენს ჯარს და ეკონომიკას, აფხაზეთი ფართომასშტაბიან კავკასიურ ომში გვიპირებს ჩათრევასო.

ბრძანა შევარდნაძემ და ჩვენი შემართული მებრძოლები გალიდან გამოიყვანა. მეორე დღეს „მხარეებმა“ გაგრაში ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ეს იყო მეორე კაპიტულაცია აფსუების წინაშე.

რუსებმა გვიღალატეს. გალში ტანკები და მძიმე არტილერია შემოუშვეს, აქედან (ზუგდიდიდან) კი ჩვენი ავტომატიანი ბიჭებიც არ გაატარეს.

ხელშეკრულება ახლაც დაარღვია არძინბამ, არძინბამ კი არა, რუსმა მოგვაღორა. აფსუს! არ ყოფდეს რუსი თავის დინგს, ვნახავდი, რა ჩიტს დაიჭერდა არძინბა.

ადგილს ვერ ვპოულობ.

დახოცეს რუსებმა და აფსუებმა ჩენი პარტიზანები. ორმოცი ათასი ლტოლვილი, ნიფხავპერანგისამარა გამოქცეული ხალხი დაგროვდა ზუგდიდში.

ყოველდღე ვრეკავ ზუგდიდში. ცოდვის გაკითხვაო, ჩემი სიდედრი მეუბნება. ორმოცი ათასი კაცი ენგურსგაღმა შესცქერის, როგორ იწვის მათი სახლები და კბილებით ტუჩებს იკვნეტენ, რუსი „მშვიდობისმყოფელები“ კი დასცინიან: „ვოტ ტაკ ვამ ი ნადაო“.

გაზეთ „სამსჯავროს“ ინტერვიუ მივეცი, როდის მოეღება-მეთქი ბოლო ქართველთა გენოციდ-დაცვედნების კომპანიას, რამდენჯერ შეიძლება მოტყუვდეს-მეთქი ჩვენი პრეზიდენტი.

ახლა ორი გზა რჩება-მეთქი:

გაუძღვეს წინ შევარდნაძე და პარლამენტი, მეც მათთან წამოვალ და სამშვიდობო მარშით შევბრუნდეთ-მეთქი გალში. თან გავიყოლოთ-მეთქი უცხოელი კორესპონდენტების დიდი ჯგუფი.

2.. წავიდეს-მეთქი შევარდნაძე 20 დღით უცხოეთში. ჩამოუჯდეს კიბეზე ამერიკის და სხვა ზესახელმწიფოთა პრეზიდენტებს. იქნებ რამეს მიაღწიოს, იქნებ იქედან იმოქმედოს ელცინზე, თორემ გაიძვერა არძინბასთან გარიგებებს აზრი არა აქვს-მეთქი.

იგივე (უფრო ვრცლად) გავიმეორე „ევრიკას“ სატელევიზიო არხით გამოსვლისას 6 ივნისს. მთელი საათნახევარი ვიყავით პირდაპირ ეთერში მე და შიო.

დღეს, 8 ივნისს, კულტურის მინისტრ ვალერი ასათიანს შევხვდი.

ზუგდიდიდან წუხელ დავბრუნდიო. ჯოჯოხეთი ტრიალებსო.

წარმოიდგინე ორმოცდაათი დამშეული ადამიანი.

პურს, მხოლოდ პურს გვთხოვენ და ვერ ვაძლევთო.

შემზარა ამ ხალხის საცოდაობამო.

გავედი ენგურის ხიდთან. გავცქეროდი წართმეულ საქართველოს, იქვე დააბიჯებდა რუსი და ჩემი ხალხის საშველად არ მიშვებდა. ასე უმწეოდ არასოდეს მიგრძვნია თავიო.

თანამედროვე საქართველოს ისტორიის კიდევ ერთი შავი ფურცელი გადაიშალა ჩემს წინ.

ვინ არის დამნაშავე?

ოპოზიცია შევარდნაძის დაუყოვნებლივ გადადგომას და გასამართლებას მოითხოვს.

რა შეიცვლება შევარდნაძის გადადგომით?

რაო, ელცინი საქართველოს ხელახლა დაპყრობის მისეულ გეგმაზე ხელს აიღებს?

9/VI-5/VII 98

ერთი კვირაა თამაზ წივწივაძე, მელორ ტყეშელაშვილი და მე თბილისში კარდაკარ დავდივართ, რომ გამგებლებს, მინისტრებს და ხელმომართულ ფირმებს ორიოდე კაპიკი გადმოვარიცხინოთ გალაკტიონის ფონდის ანგარიშზე.

გვსურს, ბოლოს და ბოლოს, ოცი წლისთავზე მაინც დავაყენოთ საშველი გალაკტიონის მუზეუმის საქმეს. ოცი წელია, დავრბოდით ამ საქმეზე ცხონებული ვახტანგ გურგენიძე და მე. ვახტანგი გარდაიცვალა. საფლავში ჩაჰყვა გალაკტიონის სახლ-მუზეუმის ჯავრი.

უნდა განახათ, რა ტირილით და უფულობაზე წუწუნით გვხვდებიან „ყოჩაღი ბიჭები“. ერთ საღამოს რესტორან „ევროპაში“ ათას დოლარს დაუყრიან ოფიციანტს მაგიდაზე, ხოლო გალაკტიონის მუზეუმისთვის გასამეტებელი ორასი ლარი კი არა და არ მოეძევებათ.

3 ივლისს თამაზ წივწივაძე, რეზო ჭეიშვილი, ძმები კალანდიები, სოსო არეშიძე, დემურ მიქაძე და მე ზუგდიდს გავემგზავრეთ.

საშინელების მეტი რა მინახავს, მაგრამ ზუგდიდში და ენგურისპირა სოფლებში – ორსანტიასა და განმუხურში ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მშიერი, სახლ-კარდამწვარი, გაუბედურებული, სასოწარკვეთილი ხალხი... კარვებში და გომურებში ცხოვრობენ.

შემოეხვივნენ ჩვენს მანქანებს. ჩვენი ხელით და სოსო არეშიძის დახმარებით შეგროვილი საჩუქრები ჩავუტანეთ (პური, ტანსაცმელი, წიგნები...) უნდა გენახათ, რა ზედახორა გაიმართა.

შიმშილმა ბევრს თურმე თავმოყვარეობა დააკარგვინა.

იყვნენ ჭირთამთმენიც, დარბაისლურად განზე მდგომნიც. ერთი ხეიბარი მასწავლებელი მოვიდა (ვალერი ბენია), გავძლებ უპუროდ, ბატონო რეზო, ოღონდ შენი დაწერილი თუ გაქვს რამე ჩამოყოლილი, ის მაჩუქეო. წავაწერე ჩემს წიგნს: „გამაგრდი, ვალერი ბატონო“, და გავუწოდე. იქნებ ძველი სათვალეები გაქვთ, უსათვალოდ ვართო, რამდენიმე კაცმა. ერთს ჩემი სათვალე ვაჩუქე.

ორი ქალი მომიახლოვდა – თქვენი ყოფილი სტუდენტები ვართო, ბავშვები შიმშილით გვეხოცება, როგორ იქნება ჩვენი საქმეო. დავაიმედე. მალე გამოსწორდება-მეთქი, ამოვიქექე ჯიბეები – ოცდაათ-ოცდაათი ლარი ვაჩუქე. რეზო ჭეიშვილი და თამაზ წივწივაძე იცრემლებიან.

ერთი შემაძრწუნებელი ამბავი გავიგეთ. ჩვენაო, ლტოლვილებმა, ასე მოუმზადებლად, ერთი პერანგით როგორ გამოვიქცეოდით, ბოლოს და ბოლოს ერთ ჩემოდანს მაინც წამოვიღებდით, საქონელს მაინც გამოვირეკავდით. მაგრამ მოგვატყუეს, ღალატის მსხვერპლი ვართო.

დადიოდნენ მსუბუქი მანქანებით ვიღაცეები. სუფთა ქართული, სუფთა მეგრულით გვეხმიანებოდნენ – აბა, ჩქარაო, სამი საათით გავდივართ ენგურის გაღმა. აქ ახლა ბრძოლა გაიმართება, სამი საათის შემდეგ ვბრუნდებით და მთელი გალი-ღალიძგამდე ჩვენი იქნებაო.

ენა დაგვება, პირი გაგვიშრა. რა მოხდა? ვინ ჩაიდინა ეს საშინელი ღალატი? ნუთუ ჩვენმა ხელისუფლებამ. ნუთუ ვაჩუქეთ რუსეთს აფხაზეთი და ახლა უკანასკნელი ზომა მივიღეთ ქართველებისგან ამ კუთხის საბოლოოდ გასაწმენდად?

გონებას არ სურს, არ ძალუძს, დაიჯეროს ასეთი რამ.

სად არის ქართული ჯარი? ენგურიდან თბილისამდე არსად ერთი ქართველი ჯარისკაციც არ შეგვხვედრია.

ორი ტანკი რომ გამოვიდეს ხიდზე, ისე მოვა და აიღებს ქუთაისს, ქვასაც არავინ ესვრისო, რეზო ჭეიშვილმა. ეს ხუმრობა არ გახლდათ. სიმართლე იყო.

გვიან ღამით გულმკვდარნი დავბრუნდით თბილისში.

ღამის თბილისს არაჩვეულებრივი, საზეიმო ელფერი ჰქონდა.

ღამის რესტორნებში თავდაუზოგავად ქეიფობდნენ „ბიძები“ უასაკო მეძავებით მუხლდამშვენებულნი.

იქ, ზუგდიდთან კი ამ დროს 40 000 კაცი შიმშილით კვდება.

შევარდნაძეს ვურჩიე, მშვიდობიანი სვლით, უცხოელ ჟურნალისტთა თანხლებით დავაბრუნოთ ეს ხალხი თავის მიწაზე, მეც გვერდით დაგიდგებით-მეთქი.

რჩევისთვის მადლობა მითხრა, მაგრამ ასეთი ნაბიჯისგან თავი უნდა შევიკავოთ, უსაფრთხოების გარანტია არა გვაქვსო.

ვინ მოგვცემს უსაფრთხოების გარანტიას?

დრო კი გარბის. გაივლის ზაფხული და ეს ჩაუცმელ-დაუხურავი, მიუსაფარი ხალხი დაგვეხოცება.

ვინ აგებს პასუხს?

არავინ.

6/VII-18/VIII 98

დაიძაბა ურთიერთობა თბილისსა და ბათუმს შორის.

ასლან აბაშიძემ ბათუმში აღორძინების (ფაქტიურად ყველა ოპოზიციური ძალის) ყრილობა ჩაატარა.

პრესამ ეს ამბავი აჭარის დაკარგვის ნიშნად აღიქვა. შევარდნაძე ჯერ-ჯერობით გარეგნულ სიმშვიდეს ინარჩუნებს.

„ლიტერატურულ საქართველოში“ და „ასავალ-დასავალში“ დავბეჭდე წერილები, სადაც მკითხველს ვესაუბრები გალის ტრაგედიაზე და ბრალს ვდებ საქართველოს ხელისუფლებას უმოქმედობაში, პოლიტიკურ სიბეცეში. ხოლო შევარდნაძეს ხელმოცარული პრეზიდენტი ვუწოდე.

ჩანს, ეწყინა ბატონ ედუარდს ეს „ეპითეტი“ და ამას წინათ რესპუბლიკურ თათბირზე (ფაქტიურად „აქტივის კრება“) მიპასუხა: ერთმა მწერალმა ხელმოცარული მიწოდა, მაგრამ მე დავამტკიცებ, რომ ხელმოცარული არა ვარო.

ნეტავ, მართლა დაამტკიცებდეს.

გაერომ არ სცნო გალის მოვლენები ქართველთა გენოციდად.

არა გვყავს, არა, პატრონი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ამბობს სიმართლეს იმის შესახებ, თუ ვინ ნაგვართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო.

შევარდნაძემ კვლავ გაუგრძელა რუსებს სამშვიდობო მანდატი.

ქართული ჯარის დადედლებას საზღვარი არა აქვს. ახლახან, აგვისტოს შუა რიცხვებში, 25-მა სომეხმა ახალქალაქში მანევრების ჩასატარებლად მიმავალ ქართულ ბატალიონს გზა გადაუკეტა და არ შეუშვა ახალქალაქში. შეშინებული ჩვენი ბატალიონი ფაცხაფუცხით გამოიქცა ახალციხისკენ. ამ სამარცხვინო ფაქტის გამო გუბერნატორი გიგლა ბარამიძე ამბობს, დიდი გონიერება გამოვიჩინეთ, არ ავყეყით „პრავაკაციას“ და სხვაგან ვატარებთ მანევრებსო.

ესეც ასე... შევარდნაძის ბრძნული პოლიტიკის შედეგად ჯავახეთიც დავკარგეთ. სომხებმა ახალქალაქის გზა გადაგვიკეტეს.

იმის მაგივრად, რომ ალყაში მოექციათ და შეებოჭათ ოცდახუთივე თავდამსხმელი, ჩვენ გაცლა ვამჯობინეთ.

„არსაიდან ხსნა“, როგორც პოეტი იტყოდა.

„დროს“ ორგვერდიანი ინტერვიუ მივეცი – ჟურნალისტმა დალი ჩიკვაიძემ (ლამის პირველი შემთხვევაა) ზუსტად ისე დაბეჭდა, როგორც ვილაპარაკე.

ერთი კვირა გავატარე მუხათწყაროში.

სამი ნოველა დავწერე.

რუსთაველის პრემიის მიღების შემდეგ კალამი მემძიმება ხელში. ყოველ სიტყვას ათასნაირად ვწონი და ვზომავ.

დღეს, 18 აგვისტოს, რეზო ჩხეიძის (კინოსტუდია) კაბინეტში შევი-

კრიბეთ. ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი აწყობს ექვსდღიან მოგზარუობას ტაო-კლარჯეთსა და კაბადოკიაში. სიამოვნებით დავთანხმდი დელეგაციის წევრობაზე. ოშკის, ხახულის, ხანძთას, შატბერდის, ოპიზას... ნახვა ხომ ჩემი დიდი ხნის ოცნებაა. ჯერ მწერალს ტაო-კლარჯეთში, მგონი, არ გაუვლია, უკანასკნელ ასწლეულში. ვნახავ, როგორ „უვლიან“ თურქები ქართულ ისტორიულ ძეგლებს.

გავდივართ 20 აგვისტოს.

19/VIII-3/X 98

რეზო ჩხეიძემ, არჩილ მინდიაშვილმა (სამების ტაძრის ხუროთმოძღვარი), მე და ისტორიკოსმა ქეთი აბაშიძემ მოვიარეთ ტაო-კლარჯეთი და კაბადოკია.

კაბადოკია მარშრუტს სპეციალურად დავამატეთ, თურქეთის ხელისუფლების თვალისასახვევად, რაკიღა თურქები მარტოოდენ ქართული ძეგლების დათვალიერების უფლებას არ იძლევიან. ტურისტულ-სამარშრუტო რუკაზე ტაო-კლარჯეთის მონასტრები საერთოდ არ ჩანს. თითქოს ისინი არც არსებობდნენ.

გული მომიკვდა ძველი, სახელოვანი საქართველოს ხილვით. თურქეთის მიერაა მიტაცებული დღეს ზუსტად მესამედი საქართველო. ამ მიწების დაბრუნების იმედი, ალბათ, ასიდან ორი პროცენტია, მეტი არა. ტაო-კლარჯეთს კი არა, აგერ რუსეთის მიერ გუშინ წართმეულ აფხაზეთ-სამაჩაბლოსაც ვერ ვიბრუნებთ.

ახლა კი ხახული მეჩეთადაა გადაკეთებული. იშხანი შუაზეა გატიხრული სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსოებად, ოშკზეც ტუალეტები და საწყობებია მიშენებული. ბანა მიწასთანაა გასწორებული, შატბერდში თივა ჰყრია და საქონლის სადგომადაა ქცეული. ასევე საქონლის სკორეთია სავსე გენიალური ოთხთა ეკლესიაც. ხანძთა საერთოდ იავარქმნილია.

ქართული წარწერებით დახუნძლულ ბევრ ტაძარზე სომხური აბრა გაუკრავთ და აწერია: სომხური კულტურის ძეგლიაო. თურქს ქართული ასოები დავანახე და ავუხსენი, სომხებს ამ ძეგლებთან არავითარი კავშირი არა აქვთ-მეთქი. ჩამოგლიჯა სომხური აბრა და მოისროლა. თუ თქვენი, გურჯებისაა, რატომ არავინ მოდის, არ პატრონობს, აქ სულ სომხები მოდიანო. რა დასამალია, ჩვენ სომხები უფრო გვძულს, ვიდრე ქართველებიო (ვინ უფრო უყვართ, არ უთქვამს).

დავუარე და ხელით ავაგლიჯე ოთხთა ეკლესიას ათასწლის ხავსი და ბალახი, ასე რომ მოსდებია მის წმინდა სხეულს.

უკან დაბრუნებისას რეზო ჩხეიძემ და მე ართვინში შევიარეთ.

ართვინის ვილაიეთის ხელმძღვანელს მიღება ვთხოვეთ.

მიგვიღო.

ჩვენ ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის ხელმძღვანელები ვართ, იქნებ ართვინში ქართულ წერა-კითხვის შემსწავლელი საკვირაო სკოლა გაგვეხსნა-მეთქი.

ატრიალა კრიალოსანი ხელში ეშმაკმა თურქმა. ვისთვის გინდათ ეს სკოლაო, აქ ხომ ქართველები აღარ ცხოვრობენო.

არა და ართვინის ყოველი მერე თუ არა, ყოველი მესამე მცხოვრები გურჯია.

იქნებ თურქებს გაუჩნდეთ სურვილი ქართული წერა-კითხვის შესწავლის-მეთქი.

არა მგონიაო.

ჩვენთან, თბილისში, თურქული კოლეჯი გაიხსნა და მას დემირელის კოლეჯი ჰქვია. იქნებ აქაც გაგვეხსნა საკვირაო სკოლა-მეთქი.

სხვა არა იყოს რა, უხერხულია. რასაც მე ახლა თქვენ მოგახსენებთ, შევარდნაძე-დემირელის ერთობლივ განცხადებაშია-მეთქი ჩადებული.

იფიქრა, იფიქრა, სადღაც გადარეკ-გადმორეკა და ბოლოს ღიმილით გამოგვიცხადა: თურქეთის მხარე თანახმაა, ოღონდ ამას პრეზიდენტის, საგარეო საქმეთა სამინისტროს და განათლების სამინისტროს ბარათი დაჭირდებაო.

გახარებული გამოვედით ვილაიეთის გუბერნატორის კაბინეტიდან.

მე და ბატონი რეზო სიხარულით ერთმანეთს ვეხვეოდით.

22 აგვისტო ისტორიული დღეა. ამ დღეს რეზო ჩხეიძემ და მე საფუძველი ჩავუყარეთ ქართული საკვირაო სკოლის გახსნას თურქეთში.

პირველ სექტემბერს სწავლა ჩვეულებისამებრ დავიწყეთ.

სწავლა არ დაწყებულა ზუგდიდში და მის ახლომახლო სოფლებში, რაკიღა სკოლებში ლტოლვილები ცხოვრობენ.

26 სექტემბერს ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების 150 წლისთავის იუბილე გავმართეთ ყაზბეგში.

მწერლებიდან თ. წივწივაძემ, გ. ბენაშვილმა და მე ვთქვით სიტყვები.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა შევარდნაძე.

დაპირდა მოხევეებს, ამ საუკუნის ბოლომდე აფხაზეთს და სამაჩაბლოს დავიბრუნებო.

მერე გუდაურში ათკაციან ბანკეტზე სამი საათი იჯდა ჩვენთან შევარდნაძე.

მწერლებთან მუსაიფს მონატრებული ვარო.

ბევრი ვისაუბრეთ საქართველოს ბედზე.

ვიხუმრეთ კიდეც.

შევარდნაძეს იუმორის გრძნობა აქვს.

ხშირად იცინის და სასაცილო ამბებსაც კარგად ჰყვება.

4/X – 30/X

ოცდამეთხუთმეტე შოთაობაზე ვიყავი იყალთოში.

აკადემიის რექტორმა, გოგი შათირიშვილმა, როგორც იყალთოს საპატიო მოქალაქეს, რუსთაველის პრემია მომილოცა.

კარგი ვაჟკაცია გოგი შათირიშვილი. ოცდათხუთმეტი წელია, სათავეში უდგას დიდ ეროვნულ საქმეს – იყალთოს აკადემიას. უანგაროდ, დიდი რუდუნებით, მაღალ დონეზე ატარებს სახალხო ზეიმს – შოთაობას.

წელს იყალთოს საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს ანა კალანდაძე, ლადო მრელაშვილი და ისტორიკოსი რამინ რამიშვილი.

ლევან სანიკიძეს და მე შეხვედრა გვქონდა თბილისის 124-ე საშუალო სკოლაში.

როგორც იქნა, შევაგროვეთ გალაკტიონის ბინის გამოსასყიდი თანხა და გადავეცით მოქალაქე ქიშვარდ ცირეკიძეს. დავუთქვით, ერთ თვეში უნდა დაგვიცალოს ბინა.

ოც ოქტომბერს გვაცნობეს, ბატონი ქიშვარდი ავად გახდა და საოპერაციოდ ერევანში წაიყვანესო.

ხომ ცირკი იქნება, ერევნიდან დაბრუნებულმა ქ. ცირეკიძემ გვითხრას, ერევანში თქვენი ფული შემომეხარჯა და რაკიღა ბინას ვერ ვყიდულობ, ბუნებრივია, ვერც დაგიცლით. ამიტომ განუსაზღვრელი ვადით მადროვეთო.

შეიძლება, გული გამისკდეს, ასე მგონია, წვიმაში გარეთ დარჩენილი გალაკტიონი თავის ბინაში შეშვებას მთხოვს.

19 ოქტომბერს საქართველოში შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა.

სენაკის სამხედრო ნაწილის უფროსმა, აკაკი ელიავამ, 17 ტანკი, ოცდაორი „ბეტეერი“ და სხვა საბრძოლო ტექნიკა ქუჩაში გამოიყვანა და აღმოსავლეთისაკენ დაიძრა. ამბოხებულ სამხედროთა მოთხოვნა: გადადგეს შევარდნაძე და დაბრუნებულ იქნას საქართველოს კანონიერ ხელისუფლება. აიღეს აბაშა, სამტრედია და ქუთაისს მოადგნენ. ხონთან კოლონას გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი და უშიშროების მინისტრი ჯემალ გახოკიძე გადაუდგნენ.

ხანგრძლივი მოლაპარაკება იმით დასრულდა, რომ აკაკი ელიავამ ბრძანება გასცა, უკან გაბრუნებულიყვნენ, რაკიღა მთავრობა ცეცხლის გახსნით იმუქრებოდა.

შეტრიალდნენ სენაკისკენ ტანკები და ამ დროს გაუგონარი ამბავი მოხდა: თავდაცვის მინისტრმა „ამბოხებულებს“ ცეცხლი გაუხსნა.

ელიავამ ბრძანა, დაბრუნდით სენაკშიო და თვითონ რამდენიმე თანამზრახველთან ერთად ტყეს მისცა თავი.

ასეთი „მოლაპარაკება“ ვიცით ჩვენ.

საკუთარ ხალხთან ბრძოლაში მაგრები ვართ.

ამბოხებულები ხომ შეტევაზე არ მოდიოდნენ. რა საჭირო იყო სროლა, მითუმეტეს, მოლაპარაკების შემდეგ.

თუ ასეთი მარჯვე არმია გვყავდა, რატომ გამობუნძულდნენ ზუგდიდიდან. რატომ ვერ გასცეს პასუხი აფსუა ნაძირლებს?

ნუთუ, ჩვენ ჯარი „ზვიადისტების“ დასარბევად და საკუთარი ხალხის დასახოცავად გვინდა.

ამ შეტაკებაში დაიღუპა ოთხი მეომარი. დაიწვა ოთხი ტანკი. ნუთუ, არ შეიძლებოდა ოცი წლის მოტყუებული ყმაწვილების უსისხლო განიარაღება.

„ბაქო ჯეიჰანის“ ნავთობსადენზე ხელმოწერა 29 ოქტომბერსაც ჩაიშალა.

ამბობენ, რუსებმა და სომხებმა იმოქმედეს, რათა ხელშეკრულება ჩაშლილიყო.

კიდევ ერთი კრახია ეს ჩვენი ხელისუფლების.

რომ იტყვიან, საქართველოს ბედი არ სწყალობს.

31/X-10.XII

საქართველოში შიმშილი მძვინვარებს.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხელგაწვდილი მათხოვრები დგანან.

ქუჩა სავსეა უპატრონო ბავშვებით და უასაკო მეძავებით.

დაიწყო ლარის ინფლაცია.

ხელოვნურად შეკავებულმა ლარმა, რომელსაც საქვეყნო, სასაქონლო საფუძველი არ ამაგრებდა და მატყუარა ხელისუფლებამ ლამის ლარს გაუტოლა, სადინარი იშოვა და ელვის სისწრაფით დაეშვა.

ამ გარემოებამ ყველაფრის გაძვირება გამოიწვია.

მთავრობა ქვეყანას კვლავდაკვლავ უტიფრად ატყუებს.

ცრუ იმედებით კვებავს.

რვა თვეა, ხელფასები და პენსიები არ დარიგებულა.

შეშინებული, მაგრამ ილაჯგაწყვეტილი ხალხი ქუჩაში გამოდის პატარ-პატარა ჯგუფებად. პოლიცია ათიოდე კაცს ერთად მდგარს რომ შენიშნავს, მივარდება და რეზინის ხელკეტებით თავ-პირს უსისხლიანებს.

აკრძალულია მიტინგები...

ასე იცავენ შევარდნაძის რეჟიმს, მაგრამ როდემდე?

სრული კრახი განიცადა ჩვენმა საგარეო პოლიტიკამ.

აკლებული იყო რადიო-ტელევიზია, ნოემბრის ბოლოს შევარდნაძე სოხუმში ჩავა, არძინბასთან ერთდა ხელს მოაწერს შეთანხმებას, რის საფუძველზეც ყველა ლტოლვილი თავის კერას დაუბრუნდებაო.

როგორც მოსალოდნელი იყო, 21 ნოემბერს შევარდნაძემ გამოაცხადა, არძინბასთან შეხვედრა გაურკვეველი დროით გადაიდოო.

კიდევ ერთხელ გადაესხა ცივი წყალი დაჩაგრულთა იმედებს.

დაიწყო გრძელი წვიმების პერიოდი.

ცივა.

წვიმაში ალაგ-ალაგ თოვლიც გაერევა.

ზუგდიდიდან მაცნობეს, რომ გალიდან გამოდევნილები საშინელ დღეში არიან.

წარმოიდგინეთ ამ სიცივე-სინესტეში კარავში ყოფნა.

ხელისუფლებამ ხელი დაიბანა.

ვიღაცამ ზუგდიდის საგუბერნატორო შენობა ააფეთქა, რასაც უმწეო, უპატრონო დედა-შვილი შეეწირა.

არა მგონია, იმ საცოდავი, ლტოლვილი დედა-შვილის მოსაკლავად ყოფილიყო გამიზნული ეს აფეთქება.

ჩატარდა ადგილობრივი ხელისუფლების, საკრებულოთა არჩევნები.

მიუხედავად მოქალაქეთა კავშირის ენერგიული ცდისა, ერთხელ კიდევ თვალში ნაცარი შეეყარათ ამომრჩეველთათვის, ამჯერად ხალხმა „მმართველ პარტიას“ უნდობლობა გამოუცხადა.

მოსახლეობის 62 პროცენტი არჩევნებზე საერთოდ არ გამოცხადდა.

„მოქალაქეებს“ თვით მოქალაქეთა კავშირის წევრებმა და შტრეიკბრეხერებმა მისცეს ხმა (სულ 19%).

გაიმარჯვა ოპოზიციამ.

ახლა მთავარია, ოპოზიცია ერთ მუშტად შეიკრას, რისი იმედიც არ მაქვს.

ეროვნულ მოძრაობას სძინავს.

ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა დიდი კაბინეტები გაიკეთეს და თა-

ვიანთ გაჯგიმულსახოვან სურათებს აკრავენ ღობე-კედლებზე.

ახლაო, ამბობენ, ქუჩაში გამოსვლის ("ქუჩის აქციების") დრო არ არისო.

არ „სიამოვნებთ" რეზინის ჯოხი კისერზე.

ესენი ქვეყანას ვერ უშველიან.

ახალგაზრდები?

ყველაზე სამარცხვინო დღეს საქართველოში ახალგაზრდობის დიდი ნაწილია.

გართობა, დროსტარება, ცეკვა-თამაში, ნარკოტიკი – ესაა დღეს ახალგაზრდობის მთავარი საქმე.

ვაი, ჩვენს დღეს, ასეთი ახალგაზრდობის ხელში.

ასე როგორ მოწამლეს, ასეთი რა ბანგი ასვეს ახალგაზრდობას.

ამ დღეებში ორი შეხვედრა მქონდა მკითხველებთან.

ჯერ თბილისში „მცირე აკადემიის" სტუდენტ-მასწავლებლებს შევხვდი (გ. საითიძე – დეკანი).

მერე სიღნაღის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს (გ. ნადირაშვილი – რექტორი).

გულახდილად ვუთხარი ახალგაზრდებს – თქვენს ადგილას მე შემრცხვებოდა-მეთქი.

რამ გაგიცივათ გული, რამ დაგადედლათ, რამ დაგაცვედნათ-მეთქი ასე.

ახლა აფხაზეთის გამოხსნის ლაშქრის შეგროვება რომ გამოვაცხადო მე, დარწმუნებული ვარ, თქვენგან ორი კაციც არ ჩაეწერება-მეთქი.

ისხდნენ თავჩაქინდრული.

და მაინც მჯერა, რომ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ქვეყანა „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს".

აფხაზეთი, სამაჩაბლო...

რაც დრო გადის, დღითიდღე ვშორდებით საქართველოს ამ ორ მოჭრილ ძუძუს.

კვლავ სადისტურად გვაწამებს, გვამაიმუნებს რუსეთი.

ერთადერთი ლამპარი ბჟუტავს იმედისა – პარტიზანული მოძრაობა.

ამასწინათ პარტიზანებმა სამი გალელი პოლიციელი, სადამსჯელო ექსპედიციის სამი წევრი გამოასალმეს სიცოცხლეს.

ჩვენმა ხელისუფლებამ მაშინვე „რეაგირება გააკეთა".

„საჭიროა, ქართველებმა და აფხაზებმა გაერთიანებული ძალით ვებრძოლოთ პარტიზანთა ბანდიტურ დაჯგუფებებსო".

აბა რა, არძინბას და რუსეთს ხომ არ ვაწყენინებთ.

9 დეკემბერს აფხაზეთიდან ლტოლვილთა შეკრებაზე დამიძახეს.

თამაზ ნადარეიშვილმა განაცხადა, დროა, შევქმნათ პოლიტიკური მოძრაობა: „აფხაზეთის განთავისუფლების კავშირი" და ბედნიერი ვიქნებით, თუ ბატონი რევაზ მიშველაძე ჩვენთან იქნებაო.

უყოყმანოდ დავეთანხმე.

მე, რევაზ მიშველაძე, თუ რომელიმე პარტიაში შევალ, ეს იქნება მხოლოდ „აფხაზეთის გათავისუფლების ფრონტი"-მეთქი.

მოკრძალებით შემომაპარეს, „ფრონტის" თავმჯდომარის (თ. ნადარეიშვილი) მოადგილედ გიპირებთ არჩევასო.

11/XII – 31/XII 98

ჩემი წიგნი „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია“ ერთ თვეში ათასი ცალი გაიყიდა.

მოდიან, მთხოვენ, არც ერთი ცალი აღარ დამრჩა.

თუ ღმერთმა დამაცალა, იქნებ ათასი ცალი კიდევ ჩამოვაბეჭდვინო სტამბას.

ძვირი ჯდება ქაღალდი.

არა და ძალიან მინდა, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დაინერგოს ეს წიგნი.

შევეცადე, იგი ეროვნული პოზიციით დამეწერა.

განსხვავებით სხვა სახელმძღვანელოთა ავტორებისგან, მეოცე საუკუნის ყველა მწერალს მოვუძებნე ისეთი ნაწარმოებები, რომლითაც ავტორი ეროვნული ბრძოლის მონაწილედ მოიაზრება.

სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო.

ქართველი მწერალი იმ დღიდანვე რჩება საქართველოს გათავისუფლებისთვის ბრძოლაში, რა დღიდანაც პირველი ქართული მხატვრული ნაწარმოები დაიწერა.

ჩვენი ერის ცხოვრების სტილი ხომ გამუდმებული ბრძოლაა გადადმთიელთაგან თავის დასაცავად.

მწერალი კი ერის სულიერი ბელადი და მებაირახტრეა.

ამიტომ სასაცილოდ მეჩვენება ზოგი თავგახურებული პოლიტიკანის მტკიცება, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყოო.

სინამდვილეში ფარნავაზ მეფის დროიდან დაიწყო (სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიული ხედვა უფრო იქეთ ვერ წვდება) და დღემდე გრძელდება.

თბილისის მერია ოპოზიციამ „დაიპყრო“.

ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარედ ლეიბორისტი ლადო კახაძე აირჩიეს, გამიხარდა

გაცოფებულმა მოქალაქეთა კავშირმა ქალაქის საკრებულოს სასამართლოში უჩივლა; საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა წესის დარღვევით მოხდაო.

ასე იბრძვიან „მოქალაქენი“, ასეთი ობიექტურნი და ინტელიგენტურნი არიან ისინი.

თბილისში ეროვნული ბრძოლის დროშას მანანა არჩვაძე-გამსახურდია აფრიალებს. მხოლოდ ქალბატონი მანანა თავისი მცირე რაზმით გამოდის ქუჩაში, აწყობს საპროტესტო აქციებს და ხელისუფლების რისხვასაც ეს უშიშარი ქალი თავის თავზე იღებს.

უმოწყალოდ არბევენ, ამცირებენ, სცემენ ყოველდღიურად ზვიადისტებს.

მოჰკლეს კიდეც ცემით ზვიადის ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი – ნუგზარ ლეჟავა (ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე), მოჰკლეს და მერაბ კოსტავას ეზოში დააგდეს.

მერე „გამოძიება“ დანიშნეს და „გაირკვა“, რომ თურმე ნუგზარ ლეჟავა მერაბ კოსტავას ეზოში ხიდან ჩამოვარდნილა, ეს მაშინ, როდესაც, როგორც

ამბობენ, გვამს აშკარად ეტყობოდა ცემის კვალი.

ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ხუთი წლისთავის აღსანიშნავი მიტინგის მოწყობის მცდელობისას კვლავ დაარბიეს მომიტინგენი, ავტობუსებში შეტენეს, ქალაქიდან ოცდაათ კილომეტრზე გაიყვანეს, სცემეს და თოვლიან მინდოზე დააგდეს.

ხელისუფლება კვლავ ძველებურად მიერეკება.

„იყიდება საქართველო!“ ყველაზე აქტუალური დღეს ნიკო ლორთქიფანიძის ეს სიტყვებია.

საშინელი კანონით გადამთიელებზე იყიდება ქართული მიწები. ვწერთ ამის თაობაზე კოლექტიურ განცხადებებს, მაგრამ ყურსაც არავინ იბერტყავს.

„პრივატიზაციის“ მგლური პრინციპით თითო-ოროლა ყაჩაღმა დაისაკუთრა საქართველოს მთელი სიმდიდრე: წიაღისეული, ქარხნები, შენობები...

ახლახან გაიყიდა „თელასი“. საქართველოს სინათლე გაუყიდეს.

„ასავალ-დასავალში“ რომელიღაც კახელი მასწავლებელი აცხადებს: „რატომ ხმას არ იღებთ, სადა ხართ, მუხრან მაჭავარიანო, აკაკი ბაქრაძევ და რევაზ მიშველაძევო“.

მე, ჩემდა თავად, ხმასაც ვიღებ და მეტსაც ვშვრები, მაგრამ ვის ესმის.

ახლახან ორი ვრცელი ინტერვიუ დავბეჭდე „მეოთხეში“ და „ქალი და მამაკაცში“. ვამხილე საქართველოს დამღუპველნი.

„ლიტერატურულ საქართველოში“ დავბეჭდე ნოველა „რატომ? რატომ?“ სადაც პირდაპირ ჩამოვგლიჯე ნიღაბი იმას, ვინც აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვა – რუს დამპყრობელს.

და მაინც, მგონია, რომ ეს არ არის საკმარისი.

საქართველოს უილაჯობისგან სასოწარკვეთილი თითებს ვიკვნეტ და მი და მო ვასკდები.

მთავრდება 1998. კიდევ ერთი უბედური წელი ამ მრისხანე ათასწლეულისა...

გამოდიან ტელევიზიით ხელისუფლების წარმომადგენლები და უტიფარი ღიმილით აუწყებენ ხალხს, რომ 1998 წელს ქვეყანა მათი მეცადინეობით „ჩიხიდან გამოვიდა“, რომ არაერთი სამშვიდობო მოლაპარაკება საქართველოს სასარგებლოდ დამთავრდა და 1999 ახალი გამარჯვებების წელი იქნება.

ამ დროს ორმოციათასი ლტოლვილი ზუგდიდის შემოგარენში კარვებში ათენ-აღამებს, სიცივითა და შიმშილით კვდება.

ბათუმიდან ჩამოვიდა ჩემი მეგობარი, მწერალი იური ბიბილეიშვილი.

იური ნატანჯი კაცია, კარგა ხანს კომუნისტების ციხე ახეხინეს, როგორც პოლიტიკურ პატიმარს. დღეს პარლამენტის წევრია და უარს აცხადებს „ჟვანიას პარლამენტში“ მუშაობაზე. არავითარი საღი აზრი პარლამენტში არ გადისო, მოქალაქეთა კავშირი რასაც უნდა, იმას აკეთებსო.

31 დეკემბერს შევარდნაძემ რუსთაველის პრემიის დიპლომები და სამკერდე ნიშნები გადმოგვცა.

სიტყვა მთხოვეს. დაახლოებით ათ წუთს ვილაპარაკე. ჩემს უმთავრეს ფუნქციად რუსეთის კლანჭებისგან საქართველოს გამოხსნისათვის ბრძოლა მიმაჩნია-მეთქი.

„მოამბეში“ იმ ათი წუთიდან მხოლოდ ნახევარი წუთი დატოვეს.

ეგ არაფერი.

სანამ პირში სული მიდგას, ჩემს საქმეს არ ვუღალატებ, საქართველოს გამოღვიძებისა და ეროვნული დროშის ქვეშ დარაზმისათვის სულსაც არ დავიშურებ.

მსოფლიო ჯერჯერობით სდუმს, ნაბიჯსაც არ დგამს საქართველოს გადასარჩენად.

სჯიჯგნის საქართველოს ეროვნულ სხეულს პირსისხლიანი რუსი და საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება.

რა იქნება ხვალ?

„მალე გათენდება? ღამე საზიზღარი?!“

1/I–1/II 99

საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთი გაუგონარი ღალატი ჩაიდინა. 1999 წლის 14 იანვრიდან ძალაში შევიდა პარლამენტის მიერ მიღებული და პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი კანონი, რომელიც კრძალავს ეროვნების ჩაწერას პიროვნების დამადასტურებელ საბუთებში (პასპორტი, პირადობის მოწმობა, დაბადების მოწმობა).

რაც ხუთი ათასი წლის განმავლობაში ვერ შეძლეს საქართველოს მტრებმა, რაც 70 წლის განმავლობაში ვერ მოახერხა საბჭოთა იმპერიამ „დამოუკიდებელი“ საქართველოს ხელისუფლებამ ერთი ხელის მოსმით გააკეთა – ქართველ კაცს ეროვნება დაუკარგა.

მე და გურამ შარაძე ჩავუდექით სათავეში ეროვნულ მოძრაობას „საქართველო უპირველეს ყოვლისა“.

ვატარებთ მიტინგებს, პრესკონფერენციებს, თითქმის ყოველდღე ყველა გაზეთშია ჩვენი ინტერვიუები და წერილები.

შევარდნაძემ გამოაცხადა, მეო, პარლამენტში წარვადგინე კანონპროექტი, სადაც ეროვნულობის გრაფას ყველგან ვტოვებდიო. ვინ ამოიღო პარლამენტში, არ ვიციო. ვავალებ პარლამენტს ხელახლა განიხილოს ეს კანონპროექტი. თუ არ გაასწორებენ (ე.ი. ეროვნულობის გრაფას თუ არ დააბრუნებენ) კანონს ვეტოს დავადებო.

მეგონა, შევარდნაძე თვალთმაქცობდა.

არ შეიძლება-მეთქი, გურამს ვეუბნებოდი, პრეზიდენტის დასტურის გარეშე გაესწორებინათ მისი კანოპროექტი ჟვანიას, ბურჯანაძეს, ჩიტაიას, სააკაშვილს და ლადო ჭანტურიას-მეთქი.

აღდგომა და ხვალეო, განხილვაზე გამოჩნდებაო, ამბობდა გურამი.

პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლამდე ერთი კვირით ადრე საპარლამენტო მოსმენა გაიმართა.

პარლამენტში „ელიტარული ინტელიგენციის“ მთელი ხროვა მოჯარდა.

პირაქაფებულნი გაჰკიოდა პრეზიდენტის უახლოეს მეგობართა ის კოჰორტა, ვინც გვერდით ედგა რუსს 1991 წლის ნოემბერ-დეკემბერში და ხელს უშვერდა ზვიად გამსახურდიასკენ, რად გვინდა ეროვნულობაო.

ვერც ახლა ხვდები, რომ ეს ყველაფერი პრეზიდენტის მოწყობილია და თვით პრეზიდენტია მოთავე, რომ ქართველს ქართველობა წაჰგვარონ-მეთქი, ვეუბნებოდი გურამს.

ახდა ჩემი წინათგრძნობა.

პრეზიდენტის შუამდგომლობით ხელმეორედ განხილვა გაურკვეველი დროით გადაიდო. შევარდნაძემ კიდევ ერთხელ გვიმუხთლა და მის მიერ „შეცდომით ხელმოწერილ“ კანონს ვეტო არ დაადო.

ასე რომ, 1999 წლის 14 იანვრიდან საქართველომ, როგორც ეროვნულმა სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა.

ავიკელი გაზეთები მოწოდებებით.

გამოვდივარ ტელევიზიის არასამთავრობო არხებით: მოვუწოდებ საქართველოს გაღვიძებისკენ.

აღშფოთებული ხალხი ქუჩაში მხვდება.

ყოველდღე შხამავს საქართველოს მთავრობის მიერ მოსყიდული მასმედია.

რად გვინდა ეროვნება, რა დროს ქართველობაა ევროსაბჭოში შევდივართ, ეროვნებათა ინტეგრაცია ხდებაო.

ყელის გაგლეჯამდე ვყვირი, რომ ეს ყველაფერი ერთხელ უკვე იყო, რომ სოციალ-დემოკრატებმა წამოიწყეს საუკუნის გარიჟრაჟზე ეროვნებათა წაშლის კომპანია და რომ ამ ბრძოლას შეეწირა ილია ჭავჭავაძე...

უტიფრად, უსაბუთოდ გვეკამათებიან „კოსმოპოლიტი“ ინტელიგენტები (მათ შორისაა, ჩემდა გასაოცრად, აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი), ე.წ. „თავისუფლების ინსტიტუტის“ ენერგიული, მაგრამ აბსოლუტურად უვიცი ბიჭები და განსაკუთრებით ისინი, ვისაც „ქართველობაში“ თვითონვე უჭირს.

დღედაღამ რეკავს ჩემი ტელეფონი.

საქართველოში სხვადასხვა კუთხიდან გვატყობინებენ (გურამს და მე), რომ ჩვენს გვერდით არიან, რომ ცოცხალი თავით არ დათმობენ ეროვნულობას! გვიგზავნიან ხელმოწერებს. ერთსულოვნად გვიჭერენ მხარს იმერეთი და აჭარა.

ჩემდა სამწუხაროდ, არაერთი პარტია განუდგა ილიას გზას და ეროვნულობის ხაზგასმის წინააღმდეგია. კერძოდ სახალხო პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, “ქარტია – 96“ და სხვ.

მხვდებიან იმ პარტიის ლიდერები და მორცხვად თვალს მარიდებენ, ან მათვალიერებენ როგორც მეზოზოური ერის ცხოველს.

პროვოკატორი კოსმოპოლიტები გაფუჭებული პატეფონივით იმეორებენ – რა დროს ვაჟა და ილიაა. სირცხვილია ეროვნულობაზე ლაპარაკიო.

27 თებერვალს ჩვენი მოძრაობის ყრილობა ჩავატარეთ.

ფილარმონიის დიდ დარბაზში ორი ათასამდე კაცი შეიკრიბა.

გურამმა გახსნა შთამბეჭდავი შესავალი სიტყვით.

მე მოხსენება წარმოვთქვი.

გამოვიდნენ გივი ჟორდანია, ლევან ფრუიძე, იაკობ ახუაშვილი, პაატა ცნობილაძე, სანდრო ნონეშვილი, გიორგი ივამრაშვილი, იზა ცნობილაძე, მერაბ თავაძე, ოთარ შალამბერიძე, ჯემალ ჯიქია, ომარ კვესიტაძე, მანუჩარ მაჩაიძე, იზა გოგიშვილი, ქერიმ ამოევი და სხვები.

ყრილობა ჭეშმარიტად ეროვნულ ძალთა დემონსტრაციად იქცა.

ოთხ საათს მიმდინარეობდა.

ბოლოს ჩემი წინადადებით მოძრაობის თავმჯდომარედ გურამ შარაძე ავირჩიეთ.

მუშტშემართული დარბაზი ერთხმად გუგუნებდა ახალ ჰიმნს.

თვალცრემლიან ადამიანებს შინ წასვლა არ სურდათ.

შინ მოსულს სასიამოვნო ამბავი მაცნობეს – მომენიჭა მემედ აბაშიძის პრემია.

დადგენილებას ასლან აბაშიძე აწერს ხელს.

ჩემმა მეგობარმა მწერალმა იური ბიბილეიშვილმა ჩამომიტანა ბათუმიდან ეს ცნობა.

მაშ ასე: მიღებული მაქვს საქართველოში არსებული ყველა პრემია: ნიკო ლორთქიფანიძის, დავით კლდიაშვილის, აკაკი წერეთლის, სახელმწიფო, შოთა რუსთაველის და მემედ აბაშიძის.

ამას სანეკროლოგო მასალად ვაწვდი მკითხველს და არა თავის მოსაწონებლად.

ოღონდ საქართველო მანახა მტერზე გამარჯვებული, ოღონდ საქართველო დამაბინავებინა XXI საუკუნეში თავისი ეროვნული სახით და აღარაფერს დავეძებ.

გემო დაკარგა ჩემთვის, კარგახანია, ყოველმა ლიტერატურულმა გამარჯვებამ და სახელმწიფო ჯილდომ.

2/II-25/III 99

ხელისუფლებისადმი პროტესტის ნიშნად თავი მოიკლა ნიჭიერმა რეჟისორმა ილია ჩაჩანიძემ.

დატოვა წერილი, რომელიც რამდენიმე გაზეთში დაიბეჭდა („თვალთაი“, „კვირის პალიტრა“).

იმ წერილში ცხონებული ილია პრეზიდენტს მიმართავს – გადადექი, ხომ ხედავ, ქვეყანას ველარ უძღვები. ხალხი დაამშიე და გააღატაკე. ხელოვნება აღარავის სჭირდება. მე, როგორც რეჟისორმა ფუნქცია დავკარგე. იქნებ ჩემმა, როგორც ერთი ბატკნის თავშეწირვამ ერი ცოტა ხნით მაინც გამოაფხიზლოსო.

დამენანა. ილიას კარგად ვიცნობდი, ზრდილობით სავსე, მოყვარული ყმაწვილი იყო, სადიპლომო ნამუშევრად, მახსოვს ჩემი ნოველა გადაიღო („ვინ დამეძებს“). ამ ექვსი თვის წინათაც მოვიდა ჩემთან. თუ სპონსორი ვიშოვე, თქვენი ნოველების სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღებას ვაპირებო.

თავის მოკვლა მაინც არ არის გამოსავალი.

ახალგაზრდა კაცი იყო, უნდა ებრძოლა. 1999 წლის 21 მარტს გალაკტიონის სახლ-მუზეუმი გავსხენით.

ახდა ჩემი ოცდაათწლიანი ოცნება.

დასრულდა ოცდაათწლიანი სიარული ხელისუფლების კიბეებზე და გალაკტიონის ბინის გამოსყიდვისთვის მათხოვრობა – ხელგაწვდილი დგომა მინისტრებისა და ფულიანი ბიზნესმენების კარებთან.

ბოლო ორი წლის მანძილზე ორი კაცი ამომიდგა გვერდით – თამაზ წივწივაძე და მელორ ტყეშელაშვილი.

რომ არა მათი ერთგული მცდელობა და ავტორიტეტი, ეს დიდი ეროვნული საქმე არ გაკეთდებოდა.

რა ბედნიერი ვიყავი ვერ წარმოიდგენთ, გალაკტიონის ნივთებს, ხელნაწერებს, ფოტოსურათებს რომ ვალაგებდით დამტვერილი ყუთებიდან და კედლებზე ვაკრავდით.

სახლ-მუზეუმის გახსნაზე პრეზიდენტი მოვიდა და ვრცელი სიტყვა თქვა.

გამოვედით თამაზ წივწივაძე, მე, ლია სტურუა, ნოდარ ტაბიძე, სტუდენტი გიორგი მამაცაშვილი...

გალაკტიონი თავის ბინაში დაბრუნდა ორმოცი წლის შემდეგ.

გაზეთები ჩვენს სამეულს გმირებად გვაცხადებდნენ.

პრეზიდენტმა ამ „დამსახურებისთვის“ სხვებთან ერთად ღირსების ორდენით დამაჯილდოვა.

უარის თქმა უხერხული იყო, თანაც მეტიჩრობა გამომივიდოდა.

ოცდაოთხ მარტს მივმართე ქართველ ერს. „ქართული ეროვნული სახელმწიფოს გაქრობა სამი თვეა დაკანონდა... საქართველოში უკვე იბადებიან უეროვნებო ბავშვები და ერის გაქრობის პროცესი დაწყებულია... ხელისუფლება კი ამას მშვიდად უმზერს-მეთქი.

პრეზიდენტი პარლამენტის ზოგი ეგზალტირებული წევრის ზეწოლის ქვეშ არის და ვეტოს უფლებას რატომღაც არ იყენებს-მეთქი.

გამოვფხიზლდეთ, ქართველებო, თორემ მერე გვიან იქნება „დღითიდღე ვკარგავთ ძირითადი, ავტოქტონური ერის იურიდიულ და მორალურ უფლებას-მეთქი“.

შუაღამისას “მესმის მესმის სანატრელის“ განწყობილება დამეუფლა, როცა მოვისმინე, რომ ნატომ როგორც იქნა გადადგა ნაბიჯი ბოსნიის დასაცავად სერბიის მიერ (და შესაბამისად რუსეთის) ოკუპაციისგან. სერბიაში რუსეთის სამხედრო ბაზებია.

ელცინმა კლინტონს თავისი აკანკალებული პარალიზებული თითი დაუქნია, არ გაბედო ჩვენი ბაზების დაბომბვაო, მაგრამ დაბომბვა მაინც დაიწყო.

რთულდება გაეროს მეშვიდე პუნქტი მშვიდობის ძალით დამყარების თაობაზე.

ახლა მაინც, ახლა მაინც დააჩოქებენ რუსეთს (როგორც აგრესორს) და მოფამფალებულ ისტორიულ კბილებს დააძრობენ.

რუსეთი ყოველგვარ პროვოკაციაზე წავა, მაგრამ მსოფლიო ომის დაწყებას მე მგონი, ვერ გაბედავს.

შეშინებული პრიმაკოვი ამერიკაში მიფრინავდა და შუაგზიდან უკან დაბრუნდა.

ახლა კი ჩამესახა იმედი, რომ იქნებ დავუსხლტეთ იმპერიას და აფხაზეთ-სამაჩაბლოც დავიბრუნოთ.

ვნახოთ რა მოხდება ხვალ.

26/III–12/IV 99

„ნატო“ იუგოსლავიის სამხედრო ობიექტების დაბომბვას აგრძელებს.

ბევრი იყვირა რუსეთმა, ეს აგრესიაა, ჩენ იუგოსლავ ძმებს დავეხმარებით, არ მივცემთ ამერიკას იუგოსლავიასო, მაგრამ ყური არავინ ათხოვა.

როგორც ჩანს, დასავლეთს სურს მსოფლიო ომში ჩაითრიოს რუსეთიდა სამუდამოდ დაასამაროს, მაგრამ რუსეთს ჯერჯერობით ჰყოფნის ჭკუა და ცოცხალი ძალით არ ეხმარება იუგოსლავიას. მარტო “მორალური მხარდაჭერა“ კი იუგოსლიავიას არ ჰყოფნის. “ნატოს“ ავიაციამ ყველა

სტრატეგიული ობიექტი, ყველა სამხედრო ქარხანა და ხიდი დაუბომბა იუგოსლავიას. ნატოს მოთხოვნა ერთადერთია – მოაწეროს ხელი მილოშევიჩმა სამშვიდობო ხელშეკრულებას კოსოვოსთან და შეწყვიტოს ალბანელი ხალხის გენოციდი.

ჯერჯერობით მილოშევიჩი საკუთარი სახელმწიფოს დანგრევის ხარჯზე "გმირულად" უარს ამბობს ბოსნიის გათავისუფლებაზე სერბი ოკუპანტებისგან.

ვნახოთ სანამ გაგრძელდება ასე.

საცხრააპრილო „ლიტერატურულ საქართველოში" გამოვთქვი ჩემი აზრი ცხრა აპრილის მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიაში. სხვათა შორის, იქვე გავიხსენე მწერალთა კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ რომ უარი თქვა კომუნისტური პარტიიდან გამოსვლაზე; ჩვენაო, ცკ-ს პლენუმის წევრები ვართ და მანდატებს იქ ჩავაბარებთო.

ისიც გავიხსენე, როგორ შევადგინე მანანა არჩვაძესთან ერთად ტექსტი და როგორ დავდიოდი ხელმოწერებზე ზვიად გამსახურდიას და ეროვნული მოძრაობის სხვა მოთავეთა ციხიდან გამოსახსნელად.

...მერე მათი გათავისუფლება ჩემს მეტმა ყველამ დაიბრალა.

იური ბიბილეიშვილმა „ლიტერატურულ საქართველოში" ჩემზე თბილი, საქებარი წერილი გამოაქვეყნა.

ასევე ძალიან მომეწონა „ახალ საქართველოში" დაბეჭდილი ცისანა ღლონტის რეცენზია ჩემს სახელმძღვანელოზე.

დარწმუნებული ვარ, რაც დრო გავა ამ სახელმძღვანელოს უფროდაუფრო ფასი დაედება.

სულ ათასი ცალი დაბეჭდეს. უკვე ბესტსელერად იქცა.

ოპერის თეატრში 31 მარტს ზვიად გამსახურდიას სამოცი წლისთავის იუბილე ჩატარდა.

მე არ დავსწრებივარ უმოსაწვევობის გამო.

მითხრეს ძალიან კარგად ჩატარდაო.

ვფიქრობ, „შუმი ზვიადისტების" გარდა ქალბატონ მანანას ჩემისთანა „ნეიტრალური" პირებიც უნდა დაეპატიჟნა იუბილეზე.

დისერტაცია დაიცვა ჩემმა ასპირანტმა ირინე ინანეიშვილმა.

საბჭოზე გამოსვლის დროს ხაზი გავუსვი აკაკი პაპავას შესახებ სადისერტაციო ნაშრომის შექმნის ეროვნულ მნიშვნელობას. უკვე დროა მივხედოთ ჩვენს ე.წ. ემიგრანტულ ლიტერატურას-მეთქი. ასევე უნდა დაიწეროს ნაშრომები შალვა ამირეჯიბზე, გიორგი გამყრელიძეზე, სიმონ ბერეჟიანზე, მინდია ლაშაურზე (კუჭუხიძე) და სხვებზე-მეთქი.

ჟურნალ „ცისკრის" მეორე ნომერში დაიბეჭდა ჩემი ვრცელი საყმაწვილო მოთხრობა "ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს".

ეს მოთხრობა 1959 წელს დავწერე თვრამეტი წლის ბიჭმა. წარვუდგინე „საბლიტგამს" გამოსაცემად, მაგრამ ვიღაცამ ისეთი საშინელი შინარეცენზია დაწერა, რომ გამოცემაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

ორმოცი წელი მედო უჯრაში ეს „ანტისაბჭოთა" მოთხრობა და ახლა, ზაურ კალანდიას კარგი ბიჭობით, ეღირსა დღის სინათლე, „ლიტერატურულ აჭარას" ჩემი ორი ახალი ნოველა დაუსტამბავს (№1).

ძალიან მაფიქრებს ასლან აბაშიძის და შევარდნაძის ურთიერთობა.

ამასწინათ ჩემი ინიციატივით თამაზ წივწივაძე, ლევან სანიკიძე, ლია სტურუა და მე აჭარის წარმომადგენლობას ვეწვიეთ თბილისში.

იქ ვახტანგ რაზმაძემ საოცარი რამ გვაუწყა. აჭარის ხელმძღვანელობასთან გამოცხადებულა ვინმე კედელაშვილი, რომელსაც უთქვამს, თბილისში დამავალეს ასლან აბაშიძის მოკვლა და სათანადო ანაზღაურებასაც დამპირდნენო.

მე ეს არ მჯერა.

და თუ ეს მართალია, ცუდად ყოფილა ედუარდ შევარდნაძის საქმე.

ჩემს მოწოდებას, შევარდნაძემ ვეტო დაადოს საქართველოს დამაქცევარ კანონს პირადობის საბუთებიდან ეროვნულობის გრაფის ამოღების შესახებ, შევარდნაძე დუმილით შეხვდა.

ნუთუ თვითონაც ქართველი ერის გაქრობის მომხრეა?

13.IV-26.V 99 წ.

ამერიკა იუგოსლავიას ძველებურად ბომბავს უკვე თვეზე მეტია.

გაანადგურა თითქმის მთელი სამხედრო ბაზები, სტრატეგიული ხიდებიდა ელექტროსადგურები იუგოსლავიის ტერიტორიაზე.

მილოშევიჩი უკან არ იხევს. რა ენაღვლება პრეზიდენტს უბრალო ხალხის ქონება და სისხლი.

რუსეთი და ჩინეთი აფხაკურდნენ, მაგრამ ხმა ჩაიწყვიტეს.

ნატოსი ყველას ეშინია.

ამ ვითარებაში, როცა შუა ევროპაში ომის ხანძარი მძვინვარებს, უფრო საშიშია ქართული განძის საგამოფენოდ საზღვარგარეთ გატანა და ისიც კერძო ფირმის მეპატრონე ვინმე გუროვის ეგიდით.

ამ საკითხთან დაკავშირებით სტუდენტებმა შიმშილობა გამოაცხადეს. მივდივარ მათთან, ვესაუბრები, ვუწონებ გაბედულებას.

მეწვია "ახალი თაობის" კორესპონდენტი გიორგი კვიტაშვილი. ნიჭიერი ახალგაზრდა ჩანს. პირველად ვიგრძენი მასთან საუბრისას, რომ მელაპარაკება ჟურნალისტი, რომელსაც ჩემი რაღაც მაინც აქვს წაკითხული.

საუბარი „ახალ თაობაში" დაიბეჭდა.

შოთა ნიშნიანიძემ დაბადების 70 წლისთავის იუბილე გადაიხადა მეგობართა ვიწრო წრეში.

ვითამადე. მისასალმებელი წერილიც დავწერე.

მეოცე საუკუნეში გალაკტიონის შემდეგ ქართულ პოეზიას შოთა ნიშნიანიძეზე დიდი პოეტი არა ჰყავს.

ავად არის ჩემი შოთა და გაფიქრებაც კი მზარავს იმისა, რომ შეიძლება რამე მოუვიდეს.

შოთა ნიშნიანიძე ჩემი უპირველესი მეგობარია.

ამასწინათ შოთამ „ლიტერატურული საქართველოდან" შევარდნაძეს წერილი მისწერა. მადლობას უხდის საიუბილეო თარიღის მილოცვისთვის და იქვე დასძენს: სამწუხაროდ, შენ ჩემი პრეზიდენტი კი არა ბიზნესმენების და ბანკირების პრეზიდენტი ხარო.

გურამ შარაძე და მე გორში ვიყავით.

თეატრში კარგი შეხვედრა გაგვიმართეს.

თბილისში მრჩეველთა საბჭოზე იდგა სტალინის ძეგლის აღდგენის საკითხი. როგორც მოსლაოდნელი იყო, მარიკა ლორთქიფანიძემ და სხვებმა უარი თქვეს. კენჭისყრა გაიმართა და მხოლოდ სამნი აღმოვჩნდით ძეგლის აღდგენის მომხრე, - გურამ შარაძე, თენგიზ ჯანელიძე და მე.

ამ გახსენებაზე გამოვიდა ნაპოლეონ ქარქაშაძის საინტერესო წიგნი „სტალინი“ ჩემი წინასიტყვაობით.

მომეწონა ბ-ნი ნაპოლეონის პოზიცია.

სტალინის ფენომენს ჩვენ უნდა განვიხილავდეთ როგორც მსოფლიო ფიგურის ფენომენს და მასთან ანგარიშის გასწორებას უნდა მოვეშვათ, ეს უკვე გააკეთეს რუსებმა.

სულხან-საბას უნივერსიტეტში აჩიკოს სახელობის სკოლამ (54-ე) ჩაატარა ბოცვაძეთა პედაგოგიური დინასტიის იუბილე. ფაქტიურად ნუნუ ბოცვაძის იუბილე იყო. ქ-ნი ნუნუ მართლაც დიდი პედაგოგია, ჩემმა შიომ ლექსი წაიკითხა.

იუბილის ჩატარებიდან ერთი თვის შემდეგ ნუნუ გარდაიცვალა.

გული ჩამწყვიტა მისმა გარდაცვალებამ. უნივერსიტეტის წინ უკვე გაიმართა ორი მიტინგი.

ჩანს, სტუდენტებმა გაიღვიძეს.

გურამ შარაძე და მე თელავის უნივერსიტეტმა მიგვიწვია. საინტერესო კითხვები მოგვცეს. გვიან ღამით დავბრუნდით თბილისში.

აღშფოთებული ვარ განათლების მინისტრის ალეკო კარტოზიას უზრდელობით.

დავწერე XI კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო, მივუტანე მინისტრს, რვა თვე ედო მაგიდაზე და რომ მივედი, ბოდიშმოუხდელად მკითხა, რატომ არ წარმოადგინეთ ტენდერზე სახელმძღვანელოო.

რა უნდა მექნა? უტიფარ მინისტრზე „საქართველოში“ დავწერე სტატია: „აი, რა მინისტრი გვყოლია“. სტატიას ვამთავრებ რესპუბლიკის პროკურორის გაფრთხილებით. თუ სადმე შემხვდა, ყურს ავუწევ-მეთქი.

გარდამეცვალა დედის ბიძაშვილი კლავდია წერეთელი (პოეტ იორამ ქემერტელიძის დედა).

ვესაუბრე თავდაცვის მინისტრს დავით თევზაძეს და ეს საუბარი გამოვაქვეყნე კიდეც „ასავალ-დასავალში“.

21 მაისს სიტყვა ვთქვი აფხაზეთის უნივერსიტეტის იუბილეზე.

22 მაისს უშიშროებამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ათი შეთქმული დააპატიმრა. როგორც აცხადებენ, ისინი ტერაქტს აპირებდნენ შევარდნაძის წინააღმდეგ.

არ ვიცი, რამდენად მართალია.

ეჭვი მეპარება 30 კაცი სხვადასხვა უწყებიდან იყოს ტერაქტის ჩამფიქრებელი.

ხომ არ არის ეს მორიგი წმენდა?

25 მაისს სიტყვა ვთქვი კონსერვატიულ (მონარქისტული) პარტიის ათი წლისთავის იუბილეზე.

თბილად მოვიხსენიე თემურ ჟორჟოლიანი.

დღეს 26 მაისია.

ამ სტრიქონებს დაღვრემილი ვწერ, არ მეზეიმება.

საქართველოს საქმე ამ ხელისუფლების ხელში დღითი-დღე უკან მიდის.

დაიწყო საარჩევნო დოღი და მოქალაქეთა კავშირი აცხადებს: ხმა მოგვეცით, თორემ დაიღუპებითო.

მეტს რაღას დავიღუპებით?

უარესი რა მოგვივა?

27.V – 5.VIII

10 ივნისს აჭარის წარმომადგენლობაში მიმიწივეს და საზეიმოდ გადმომცეს მემედ აბაშიძის პრემია.

ჟურნალისტის კითხვაზე, რას გავალებთ ეს პრემია, ვუპასუხე: არაფერს-მეთქი. მე პრემიის მიღების შემდეგაც ისევე ვიბრძოლებ საქართველოს მთლიანობისთვის, ისევე გამოვექომაგები აჭარას (რა თქმა უნდა, სამართლიან ბრძოლაში) როგორც აქამდე ვექომაგებოდი-მეთქი.

გაიმართა გურამ შარაძის პარტიის „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ პირველი ყრილობა.

გურამის შემდეგ მე გამოვედი და ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად შევხედე ამ პარტიის შანსს, თავისი წარმომადგენლები ჰყავდეს პარლამენტში. ეროვნული პარტია როგორ არა ხართ, მაგრამ სწორედ მაგ ეროვნულობის გამო შეეცდებიან თქვენს გაშავებას, მოქალაქეთა კავშირი თავის პოზიციას არ დათმობს, ხმებს გააყალბებს-მეთქი.

მერე ვისაუბრე ჩემსა და რუს პოეტ ევგენი ევტუშენკოს შორის მომხდარ ინციდენტზე. თბილისში მყოფ ევტუშენკოს გრიბოედოვის თეატრში ერთ-ერთ შეხვედრაზე მოვაგონე ჩვენი შვიდი წლის წინანდელი დიალოგი. მე, როგორც ქართველ მწერალთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, მოგიწვიეთ პრესკონფერენციაზე, რასაც ქართველი მწერლები ვმართავდით ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში. ამ პრესკონფერენციაზე ვაპირებდით საუბარს რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობაზე-მეთქი. თუ გახსოვთ, თქვენ გვიპასუხეთ, რომ გაწყვიტეთ ყოველგვარი ურთიერთობა საქართველოსთან, რომელიც აფხაზეთის დამპყრობელი, აგრესორი აღმოჩნდა-მეთქი, მახსოვს, მერე რა გნებავთო, უკმეხად მიპასუხა, ახლაც იმ აზრის ხართ, თუ შეიცვალეთ აზრი-მეთქი. ახლაც იმას ვფიქრობ, რომ ორივე მხარე დამნაშავეა, განსაკუთრებით კი თქვენ – ქართველებიო. რა გინდოდათ, მშვიდობიან, მშრომელ აფხაზებს თავს რომ დაესხით და დაპყრობა დაუპირეთო. ვინ გითხრათ, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის-მეთქი, თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ არავითარი ისტორიული კავშირი არა აქვს აფხაზეთს საქართველოსთანო. ვერ მოვითმინე და „მსოფლიო მაწანწალა“ ვუწოდე. საცემრად გავიწიე, მაგრამ არ გამიშვეს. გაზეთებმა კი მეორე დღეს დაწერეს, მიშველაძე რუს სტუმარს თავს დაესხაო, მესამე დღეს დილით საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა ევტუშენკო და განაცხადა, მე, შესარიგებლად ჩამოსულს, მწერალი მიშველაძე თავს დამესხა, გვიან შევიტყვე, რომ მას აფხაზეთში ერთადერთი შვილი მოუკლეს და ეს რომ მცოდნოდა, უკმეხად არ დაველაპარაკებოდიო.

ნაძირალა ევტუშენკო, თურმე მე ჩემი შვილის გამო ვარ გაცხარებული. შენ დამნაშავე ერის შვილი ხარ-მეთქი მივახალე, რუსეთის ბრალია ყველაფერი-მეთქი, მაგრამ ჩემს ნათქვამს ყური არ ათხოვა.

მურმან ლებანიძემ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა ლექსი სამეგრელოზე. ქართულთან მეგრულო ენავ, ხმა აღარ ამოგეღებაო – წერს, თქვენ, მეგრელებმა, “დუშმანს სიტყვა უქციეთ საქმედ, თქვენ სხვა აღძარით თქვენს მარტივ გლეხშიო“.

აღშფოთდა მთელი საქართველო ამ ლექსზე. დაიწერა უამრავი გამოხმაურება. მეც ვერ შევიკავე თავი და „საქართველოში“ მაგრად მოვცხე „ხელმწიფის ნავში ჩამხტარ“ მგოსანს. ამ ლექსის გამო მურმანი კოლხეთის აკადემიის წევრობიდან გარიცხეს. მურმანი მიყვარს, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლება.

„ახალ საქართველოში“ გრძელდება როსტომ ჩხეიძის ვრცელი ნარკვევი „ოტარიდზე“, როსტომ ჩხეიძე ობიექტურად, ლოგიკურად ამტკიცებს, რომ თავის დროზე „ოტარიდი“ შეიქმნა გურამ ფანჯიკიძის თავმჯდომარეობიდან გადასაყენებლად. დღეს კი, როცა ფანჯიკიძე აღარ არის ცოცხალი, რა აზრი აქვს ამ ასოციაციის არსებობასო.

მართალს ამბობს რ. ჩხეიძე. ასოციაციებად მწერალთა კავშირის დაშლა მწერალთა დაჟინებით მოხდა, ამით ანგარიში გაუსწორეს მათი აზრით, „ნაკლებადნიჭიერ“ ქართველ მწერლებს. ეს იყო დანაშაული ქართველი მწერლობის წინაშე.

ვთქვი, ნუთუ არ უნდა ამოიღოთ გულიდან მწერალთა კავშირის წმენდის ეს გულისამრევი ფიქრი-მეთქი. რა უფლებით აუქმებთ კ. გამსახრუდიას, გ. ტაბიძის და შალვა დადიანის შექმნილ მწერალთა კავშირს-მეთქი.

ლამის მთელი პრეზიდიუმი დამიპირისპირდა.

გავცხარდი და მეორედ მოვითხოვე სიტყვა ასოციაციები უნდა გაუქმდეს და ერთიანი ეროვნული მწერალთა კავშირი უნდა შეიქმნას-მეთქი.

საკითხი, როგორც მოველოდი, შემოდგომისთვის გადაიდო.

23 ივლისს შოთა ნიშნიანიძე გარდაიცვალა.

თავზარი დამეცა.

წავიდა ჩემი უპირველესი მეგობარი.

გარდაცვალების მეორე დღესვე მოვითხოვე, კატეგორიულად უნდა ვიბრძოლოთ, რომ შოთა მთაწმინდაზე დაიკრძალოს-მეთქი. ორი დღის ბჭობის შემდეგ ხელისუფლებამ დაადგინა შოთა ნიშნიანიძის დაკრძალვა დიდუბეში.

სამ გაზეთში („საქ. რესპუბლიკა“, “ლიტ. საქართველო“, „თბილისი“) დავბეჭდე გამოსათხოვარი სიტყვა და სამივეგან ვთქვი, რომ მომავლის საქართველო შოთა ნიშნიანიძეს თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს მთაწმინდაზე.

გაირკვა, მწერალთა კავშირის თანამშრომლები ამბობდნენ, რომ რამდენიმე მწერალს უთამაშია შავბნელი როლი, რათა შოთა მთაწმინდაზე არ დაეკრძალათ.

სამგლოვიარო მიტინგზე გამოვედით: მე, ვაჟა ლორთქიფანიძე, თამაზ წივწივაძე, ბაკურ გულუა, გოგი გაჩეჩილაძე და შევარდნაძე. იგი ბოლომდე ესწრებოდა მიტინგს.

გვერდით მედგა. ვისარგებლე შემთხვევით და ვუთხარი: ორი სირცხვილი დაგვემართა: 1. მთაწმინადზე რომ არ დავკრძალეთ და მეორე, ნიღაბი რომ არ ავუღეთ-მეთქი. პირველზე მიპასუხა რა ვქნა, რეზო, მე თანახმა ვიყავი, მაგრამ თქვენს შორის (მწერლებს გულისხმობდა) არ იყო ერთობაო,

მეორე ფაქტორმა გულწრფელად შეაწუხა, უხმო ირაკლი ანდრიაძეს. ირაკლი მიდგა-მოდგა, მაგრამ ბოლოს განაცხადა, უკვე გვიანიაო.

დავკრძალეთ შოთა.

ჩემი აზრით, იმის შესახებ, რომ შოთა ნიშნიანიძის სახე არ უნდა დაეკარგოს საქართველოს და საჭიროა ნიღბის აღება, ავანთე გიზო ნიშნიანიძე, გიგლა გობეჩია და თეიმურაზ ჩალაბაშვილი.

საჭირო იყო ოჯახის წევრების დათანხმება, სიძემ – ლაშამ უარი გვითხრა, მივედი თამრიკოსთან (შოთას მეუღლე), მართლაც რომ ღირსეული ცოლი ჰყოლია ჩემს შოთას, თუ ეს აუცილებელია, თანახმა ვარო.

ღამის 11 საათზე მღვდლის, ოჯახის წევრების (სიძე და სიძის ძმა) და სხვათა თანხლებით მოვიყვანეთ მოქანდაკე, მუშები და მიცვალებული ამოვასვენეთ. მოქანდაკემ ერთ საათში აუღო ნიღაბიდა კუბო ისევ ჩავასვენეთ საფლავში.

მე, ამის მომსწრეს და მოთავეს სისხლი გამეყინა ძარღვებში. გულისცემა გამიხშირდა და წნევამ ამიწია. გავგზავნე ჩემი დისშვილი –ზაზა მაღაზიაში, რამდენიმე ლიტრი არაყი მოვატანინე და ყველამ შენდობა ვთხოვეთ დიდი შოთას სულს შეწუხებისთვის.

არ ვიცი, საეკლესიო თვალსაზრისით ეს მკრეხელობაა თუ არა, მაგრამ ისტორიისთვის დიდი საქმე გაკეთდა. 4 აგვისტოს პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა შოთას ნიღაბი შინ მომიტანა. პირველ სექტემბერს წავიღებ და ამ ნიღაბს ჩემს კაბინეტში, უნივერსიტეტში დავკიდებ.

დღეს, 5 აგვისტოს თამაზ ნადარეიშვილს განვუცხადე, რაკი აფხაზეთის განთავისუფლების პარტია ბლოკში გაერთიანებას მოქალაქეთა კაშვირთან აპირებს, მე უარს ვაცხადებ ვიყარო კენჭი თქვენს პარტიის ეგიდით მოქალაქეთა კავშირთან ჩემი პრინციპული მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობის გამო-მეთქი, რატომ? მკითხა. პარტია, რომელიც ეროვნულობის დამსამარებელია, ჩემი პარტია არ იქნება-მეთქი.

6.VIII– 1.X. 99

ევგენი ევტუშენკოს ვოიაჟზე საქართველოში ნოველა დავწერე და "ლიტერატურულ საქართველოში" გამოვაქვეყნე, სხვათა შორის ვწერდი, ამ უღირს სტუმარს, რომელმაც ფეხებზე დაიკიდა საქართველოს ბედი და რუსეთისგან დაჩეხილ ჩემს სამშობლოს ერთი სიტყვითაც არ გამოექომაგა (პირიქით, ჩვენ დაგვდო ბრალი – თავისუფლება როგორ მოითხოვეთო), რამდენიმე ქართველი პოეტი ფეხქვეშ ეგებოდა-მეთქი. ეს ემცხეთა თურმე არაერთ მასპინძელს, რაკიღა ევტუშენკოს „შემძრომთა" შორის თვითონაც იყო. ერთი განაწყენებული უნიჭო პოეტი „ლიტერატურულ გაზეთში" მისი დაბალი გემოვნების შესაფერისი ლექსით გამომეპასუხა.

მწერალთა კავშირში ოცდახუთი მწერალი გვიხმეს. ესაო, წივწივაძემ, დამფუძნებელთა შეკრებააო. კიდევ ერთხელ განვაცხადე, თუ მწერალთა კავშირის ყველა წევრი წევრად არ დარჩება და თანაბარ უფლებებში არ იქნება სხვებთან, მე გავალ მწერალთა კავშირიდან-მეთქი. „გადი და ახალი მწერალთა კავშირი დააარსეო", მურმან ლებანიძემ.

გაზეთებში გამოვაქვეყნე განცხადება აფხაზეთის გათავისუფლების პარტიიდან ჩემი გასვლის შესახებ. ვწერ, ვერ ვიქნები ალიანსში მოქალაქეთა კავშირთან, რადგან ამ პარტიამ ქართველს ეროვნება წაართვა-მეთქი.

სანამ კანდიდატების წარდგენის ვადა ამოიწურებოდა, ორი დღით ადრე ჩემთან მოვიდნენ ვალერი გელბახიანი და ჯემალ გოგიტიძე. მთხოვეს, იქნებ „აღორძინებიდან“ მეყარა კენჭი. თქვენი ავტორიტეტი ძალიან გვჭირდებაო. დავთანხმდი. სიაში 39-ედ (?!) მივუწერვიართ, ვნახოთ, რა გამოვა.

შევარდნაძე ამერიკაში იყო. გაეროში სიტყვით გამოვიდა. სხვათა შორის, წინა გამოსვლებთან შედარებით გაბედული სიტყვა თქვა, გაეროს მკვდარ რეზოლუციებზე ილაპარაკა, მაგრამ რუსეთი მაინც არ ამხილა მსოფლიოს წინაშე.

ამასობაში რუსეთმა დაღესტნის კონფლიქტის მომიზეზებით ჩეჩნეთის დაბომბვა დაიწყო.

საშინელებაა. რუსული ავიაცია უმოწყალოდ ბომბავს ჩეჩნეთის სოფლებს და ქალაქებს, იხოცებიან უდანაშაულო ადამიანები. ლტოლვილებით ივსება მეზობელი ქვეყნები, ჩვენთანაც ბევრი შემოვიდა პანკისის გზით.

გამძვინვარებულ რუსს არაფრის გაგონება არ სურს. მიუხედავად მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების (აშშ, გერმანია) პროტესტისა, დაუნდობლად აგრძელებს ბომბვას და თან აცხადებს: „ნახოს ჩეჩნეთმა როგორი ომი იცის რუსმაო“. თუ ასე გაგრძელდა, ჩეჩნეთში ქვას ქვაზე დაადუღებენ.

ვიყავი ოზურგეთში. მხარი დავუჭირე მაჟორიტარად ზვიად ცეცხლაძის კანდიდატურას.

თბილისის ტელევიზია უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს ასლან აბაშიძეს.

2.X – 5.XI 99 წ.

საარჩევნო მარათონი გრძელდება.

მოქალაქეთა კავშირი შეშინებულია. სოციოლოგიური გამოკვლევა კარგს არაფეს უქადის.

შევარდნაძე პირადად ჩაუდგა სათავეში საარჩევნო კამპანიას.

ერთი გამოსვლის დროს სიტყვა გაექცა და ასეთი „სიბრძნე დაახეთქა“. თუ ხელისუფლებაში სხვა პარტია, სხვა ბლოკი მოვიდა, ეს სახელმწიფო გადატრიალებას ნიშნავსო.

ღმერთო, რა კადნიერებაა. იმის მაგივრად, პრეზიდენტს ეთქვა, ვინც გაიმარჯვებს იმასთან ვითანამშრომლებო, ასეთი „დემოკრატიული ლოზუნგი“ ისროლა.

ამით არჩევნებში მონაწილე ყველა ბლოკი საქართველოს მტრად, სახელმწიფო გადატრიალების მონაწილედ გამოაცხადა.

აჭარის მიმართ ოფიციალური მასმედია (განსაკუთრებით ტელევიზია) შხამს ანთხევს, მე „აჭარის ბლოკის“ ლიდერები შეხვედრებით მაინცდამაინც არ მაწუხებენ. როგორც ვგრძნობ, თავი ჩემზე უკეთეს ორატორებად მიაჩნიათ.

ერთადერთხელ დამიძახეს მცხეთაში. ამომრჩევლებთან შეხვედრაზე – 29 ოქტომბერს.

სიტყვები ვთქვით – აკაკი ასათიანმა, ვახტანგ ბოჭორიშვილმა, მუხრან მაჭავარიანმა, ელიზბარ ჯაველიძემ, ვახტანგ გვარამიამ და მე.

ვახტანგ რჩეულიშვილი არ გვესწრებოდა იმ საპატიო მიზეზის გამო, რომ თავი აქვს გახეთქილი და წინა ექვსი კბილი ჩამოღებული.

თვითონ და მისი ოჯახის წევრები დაბეჯითებით აცხადებენ, რომ უწყლო (?!) აუზში თავით გადახტა და დაიმტვრაო, რაც ძნელად დასაჯერებელია.

31 ოქტომბერს არჩევნები გაიმართა. ჩვენს ბლოკს ბოლომდე არ ეყო "თოფისწამალი". ვაფრთხილებდი წინასაარჩევნო ლამაზ სიტყვაობაზე უფრო აუცილებელი საარჩევნო ყუთებთან დგომა და გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლაა მეთქი საჭირო. ჩანს, არ დამიჯერეს.

თავი ქუდში ეგონათ.

მოქალაქეთა კავშირმა ყოვლად უსინდისო მეთოდებით გააყალბა არჩევნები.

ჩვენ ფაქტიურად მხოლოდ აჭარაში გავიმარჯვეთ.

ჯერ საბოლოო შედეგი არ გამოცხადებულა, მაგრამ როგორც მოლოცვათა ნიაღვრიდან ვატყობ, უკვე პარლამენტის წევრი ვარ.

წინ გამოუცნობი „ფიორდებია" (ლადო ასათიანს დავესესხები).

არ მიყვარს ცხოვრების სტილის შეცვლა, ბუნებით კონსერვატორი ვარ, მაგრამ სხვა გზა არაა, უნდა ვიბრძოლო.

მაქვს ჩემი პროგრამა მინიმუმი, – უნდა დავასრულოთ კონსტიტუცია, უნდა მივაღწიო რუსი სამხედრო ბაზების გაყვანას საქართველოდან, ორჭოფული პოლიტიკის დასრულებას და საბოლოოდ გადართვას დასავლეთის ორიენტაციაზე, ეროვნულობის აღდგენას, გუბერნატორების ინსტიტუტების გაუქმებას, უფასო საშუალო განათლებას და სამედიცინო მომსახურების შემოღებას. უნდა მივხედო ქართველი მწერლისთვის სამუშაო პირობების შექმნას.

სასტიკი წინააღმდეგი ვარ მწერალთა კავშირის დაყოფისა. ყველა წევრი თანაბარი უნდა იყოს, რაც მთავარია გარდა საბუთებში ეროვნულობის აღდგენისა, უნდა ვიბრძოლო პარლამენტმა ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადოს, ხოლო ქრისტიანობა – სახელმწიფო რელიგიად.

6.XI – 23.XI 99 წ.

თბილისს რომის პაპი – იოანე პავლე მეორე ესტუმრა.

გადაწყვეტილი იყო რიყეზე ჩაეტარებინა ლოცვა, მაგრამ სამღვდელოებამ და ზოგიერთმა „უშიშარმა" მართლმადიდებელმა პროტესტი გამოთქვა.

როგორ შეიძლება კათოლიკემ – მწვალებელმა საქართველოში და ისიც წმინდა რიყეზე ლოცვა ჩაატაროსო.

მე თავგადაკლული მორწმუნე არ გახლავართ და ამეებისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ მაინც არ მიმაჩნია სწორად ამგვარი „პროტესტი".

რომის პაპი უაღრესად ჰუმანური და განათლებული პიროვნებაა. იგი მწერალიც არის (დრამატურგი). რომის პაპის ერთი პიესა მარჯანიშვილის თეატრმაც დადგა რამდენიმე წლის წინათ. თბილისში მისი ჩამოსვლა ერთხელ კიდევ მოაპყრობს ევროპის თვალს საქართველოსკენ. რა არის ამაში ცუდი?

ბოლოს გადაწყდა პაპს ლოცვა სპორტის სასახლეში ჩაეტარებინა.

პაპთან მიღებაზე შევარდნაძემ ხუთიოდე მწერალი მოიწვია (წივწივაძე, ოთარ და თამაზ ჭილაძეები, რეზო ჭეიშვილი, მურმან ლებანიძე, მე, რასაკვირველია, მოსაწვევი არ გამომიგზავნეს.

სტამბოლში სამიტი გაიმართა.

ეუთოს ამ გრანდიოზულ შეხვედრას უდიდეს სახელმწიფოთა პირველი პირები ესწრებოდნენ.

ელცინს მოსთხოვეს ჩეჩნეთის დაბომბვა შეეწყვიტა.

მსოფლიოს პირველმა პირატმა მაგიდაზე თითის კაკუნით განაცხადა – ვინ გკითხავთ, რუსეთის საქმეში რომ ერევით, ჩეჩნეთი ჩემია და რასაც მინდა, იმას ვუზამო.

ამ თავხედურ სიტყვას მაშინვე უპასუხეს კლინტონმა და შევარდნაძემ.

ორივემ ზომიერად, ინტელიგენტურად ჭკუისკენ და მშვიდობისკენ მოუხმეს ელცინს.

განაწყენებულმა ელცინმა იმ დღესვე დატოვა სამიტი. ამ უკანასკნელმა კი თავისი საქმე განაგრძო და მიიღო გადაწყვეტილება, რუსეთმა ერთი წლის განმავლობაში გაიყვანოს ბაზები საქართველოდან.

20 ნოემბერს პარლამენტის პირველი სესია გაიმართა.

დასაწყისშივე ზოგი რამ არ მომეწონა. მაგალითად ის, რომ ოპოზიციას ცალკე მიგვიჩინეს ადგილები. რისი შეეშინდათ, რაო? ყურზე ვუკბენდით "მოქალაქეებს"?

ჩვენ ხომ ყველანი ერთი პარტიის წევრები ვართ. იმ პარტიას ახლა საქართველოს ხსნის, საქართველოს შველის პარტია ჰქვია და თუ ვერაფერი გავაკეთეთ ამ დარბაზში კეტით შემოსული ქართველი კაცი არ დაიწყებს იმის გარკვევას, ვინ რომელი თეორიული დოქტრინის მიმდევარია, ყველას ერთნაირად გაგვრეკავენ-მეთქი, განვაცხადე.

მეორეც, სიტყვა არ მისცეს მიკროფონი გამოურთეს ნოდარ გრიგალაშვილსაც.

შევარდნაძე კარგად გამოვიდა. იქნებ სურვილი გვქონდა მის გამოსვლასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმისა?

ჩქარობენ, ეშინიათ, მიგვარბენინებენ, ხომ დამთავრდა არჩევნები, რიღასი ეშინიათ?

24.XI – 25.XII – 99 წ.

ყელამდე ჩავერთე საპარლამენტო საქმიანობაში.

ამირჩიეს სამოქალაქო ინტეგრაციის (ადრე ეროვნულ საქმეთა კომიტეტი ერქვა) კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

თავმჯდომარე სიმპათიური ახალგაზრდა გელა კვარაცხელიაა. თვითონაც არ მოსწონს ზურაბ ჟვანიას და მიშა სააკაშვილის მიერ თავსმოხვეული სახელი კომიტეტისა (რას ჰქვია სამოქალაქო ინტეგრაცია? რა ვირეშმაკობაა! როგორ შეიძლება მოქალაქეთა ინტეგრაცია), მაგრამ რა ჰქნას, თავს ზევით ძალა არ არის.

თვითონაც სურს გავიტანოთ და გავაუქმოთ სამარცხვინო კანონი – საქართველოს უეროვნებო ქვეყნად გამოცხადების შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით ბიურო (ჟვანია) წინააღმდეგია. თუ ბევრს ვიყვირებთ, შეიძლება იმ კანონზე მსჯელობის უფლება ჩამოგვართვანო (თქვენ არ გეხებათო) ამბობს.

მე ჩემსას მაინც ვეცდები.

ვაძლევ გაზეთებს ინტერვიუს, სადაც მოვითხოვ ეროვნულობის რეკვიზიტის კანონის გამოტანას განსახილველად.

სიტყვით გამოვდივარ თითქმის ყოველდღე პარლამენტის სესიაზე.

მეუბნებიან, ენერგიული პარლამენტარი ხარ, მაგრამ გული არ გაგიხ-ეთქონ „მოქალაქეებმაო“.

მართლაც მე არ შემიძლია გულსგარეთ ლაპარაკი.

26.XII – 99 – 8.I 2000 წ.

ახალ საუკუნეში გადავედით.

თუმცა ესეც საკამათო გამხდარა.

პრესაში მეცნიერთა დიდი კამათია.

ერთნი ამბობენ XXI საუკუნე 2000 წლიდან იწყებაო. მეორენი – 2001 წლიდანო. ჩემი გამოანგარიშებით 2000 წლის 1 იანვარი XXI საუკუნის პირველი დღეა.

ასეა თუ ისე, მე უკვე სამოცი წლის ვარ.

1 იანვარს გავხდი სამოცის.

ბევრმა ტელეფონით მომილოცა, თურმე კალენდარში (მაგიდის) ვყოფილვარ აღნიშნული და, ალბათ, იქედან გაიგეს.

შინ მესტუმრნენ. ლევან სანიკიძე, ვახტანგ ქარუმიძე, სოსო ბუხაიძე, იგორ კვესელავა, ელგუჯა აკობია, დავით ტიგინაშვილი, ოთარ აბუთიძე, გურამ გოგიაშვილი, ვაჟა აბაკელია და სხვები.

მომილოცა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

ლამის გვერდნახევარი დაუთმო ჩემს საიუბილეო თემას „საქართველოს რესპუბლიკამ“, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ.

ტელევიზიას კრინტი არ დაუძრავს.

ტელევიზია მემდურის.

არა ვარ მე იუბილის კაცი. ვერ ვიტან ყეყეჩურად ჯდომას და ქების მოსმენას.

მითუმეტეს ახლა არ არის იუბილეების აღნიშვნის დრო.

ქვეყანა დამარცხებული და დაჩოქებულია.

ხალხი მშიერია.

მე პარლამენტში მხოლოდ იმიტომ შევედი, რომ ჩემი უბედური ხალხის სვე შემემსუბუქებინა.

რამე მაინც გამეკეთებინა მისთვის ისეთი, რითაც ქართველს მომავლის იმედს დავუბრუნებდი.

ჯერჯერობით სიტყვის გარდა ვერაფერს ვახერხებ.

ორი რამ დამამახსოვრდა სამოცი წლის პარმაღზე მძაფრად. ჯერ ცუდს ვიტყვი.

ოცდარვა დეკემბერს მწერალთა კავშირში გამგეობის სხდომა გვქონდა.

მერამდენედ ვთქვი აღარ მახსოვს (იმ დღესაც გავიმეორე) მოვეშვათ „ასოციაციობანას“ და ერთიანი ეროვნული მწერალთა კაშვირი შევქმნათ, ცალ-ცალკე მტერი ადვილად მოგვერევა, ხომ ხედავთ, ახალი ჯურის კოსმოპოლიტები ილია ჭავჭავაძეს ლანძღავენ და ჩვენი პატრიოტული პოზიციის გამო ფაშისტებს გვეძახიან-მეთქი.

სხდომის დამთავრების შემდეგ ჩემთან მოვიდა ლია სტურუა. ლიას ორმოცი წელია ვიცნობ და მასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა.

რეზო, „ლიტერატურული საქართველოდან“ უჩა შერაზადიშვილმა დამირეკა და შენს სამოცი წლისთავზე მილოცვა მთხოვაო. ვიცი, გამიგებო, მე ჯერ არც ერთ ცოცხალ მწერალზე არ მითქვამს არც კარგი და არც ცუდი სიტყვა და ჩემს პრინციპს ვერ გადავალო.

ძვირფასო ლია, ჩემთან რატომ მოხვედი ამის სათქმელად. მე ხომ შენთვის არაფერი მითხოვია-მეთქი. არაო, მაგრამ, ალბათ, გეტყვიან რომ უარი ვთქვიო. როგორც შენ გაგეხარდება ისე მოიქეცი, რაკი ასეთი „პრინციპი“ გქონია ძალიან გთხოვ არ დაარღვიო-მეთქი. გარეთ გამომყვა. მთხოვდა, მემუდარებოდა, რომ სწორად გამეგო. ახლა შენზე რომ დავწერო, მერე ტარიელ ჭანტურია მომთხოვსო, გივი გეგეჭვორი მომთხოვსო, ემზარ კვიტაიშვილი მომთხოვსო, ბესიკ ხარანაული მომთხოვსო და შენი ჭირიმე ნუ ჩამაყენებ ამ დღეშიო.

ლია, რას მელაპარაკები, ვერ გავიგე-მეთქი, ნუთუ ისეთ პატარა კაცად მიგაჩნივარ, რომ ძალიან მინდა შენი „მოსალმება“-მეთქი.

ლია-მეთქი, მაინტერესებს შენ პოეტის კარგ თვისებად მიგაჩნია, რომ სიცოცხლეში არცერთ მის თანამედროვეზე კარგი არაფერი უთქვამს-მეთქი?

დიახო. მე მაგალითად, მწერალთა კავშირის ოთხასი წევრიდან 350-ზე დამიწერია ჩემი შეხედულება, ხოლო ზოგ მათგანზე არაერთგზის-მეთქი.

შენო შენი სტილი გაქვს ცხოვრებისა, მე კი ჩემიო.

ერთი სიტყვით უსიამოვნოდ დავშორდით ერთმანეთს და, ალბათ, სამუდამოდაც.

შეიძლება ითქვას ლია სტურუამ ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ჩამაშხამა ჩემი სამოცი წელი.

რა უნდოდა, რისთვის მოვიდა, რას მიმტკიცებდა, ვერ გავიგე.

არასოდეს არ ვიყავ მის პოეზიაზე მაღალი წარმოდგენის. ხელოვნური, თითიდან გამოწოვილი, თვითმიზნურად ბუნდოვანია მისი პოეზია, მაგრამ მაინც გაფაციცებით დავეძებდი ლიას ლექსში პოეზიის საეჭვოდ გაბნეულ მარცვლებს, ახლა კი ჩემგან სამუდამოდ თავისუფალია: ლია სტურუას ლექსს სიკვდილამდე აღარ წავიკითხავ.

ეს საზიზღარი განწყობილება ერთმა კეთილშობილმა ქალბატონმა გამომიკეთა:

პროფესორ ლუარა სორდიას ჩემი სამოცი წიგნიდან ამოუკრებია შეგონებანი, გამონათქვამები, ხატოვანი თქმები, ფრაზები და დაბადების დღეს წიგნად გამოცემული მომართვა.

გულწრფელად ვუთხარი: ეს ჩემო ლუარა, იმ სამოცი წიგნის დაწერაზე უფრო მძიმე საქმეა. როდის მოასწარი ყველაფერი როგორ წაიკითხე, რამ ამოგაწერინა-მეთქი. ათი წელი ვმუშაობდი ამ წიგნზეო.

აი კეთილშობილი ქალი. არ ვიცი როგორ გადავიხდი ქალბატონი ლუარას მაღალ ყურადღებას.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ გულწრფელი თბილი სტრიქონები მომიძღვნეს რეზო ჩხეიძემ, ანზორ აბულაშვილმა, გოდერძი ჩოხელმა, იგორ ბოგომოლოვმა, ჯანსუღ ღვინჯილიამ, იური ბიბილეიშვილმა, მაყვალა გონაშვილმა, ჯანსუღ კორძაიამ, იზა ჯაჭვაძემ, მურმან ოდიშარიამ, მზია ჩხეტიანმა და თეიმურაზ ჩალაბაშვილმა.

ჩემი ფიქრი ამ ნაახალწლევს ისევ ჩემს ტანჯულ ქვეყანას დასტრიალებს.

ელცინი გადადგა და ასპარეზი საქართველოს მიმართ მასზე არანაკლებ მტრულად განწყობილ პუტინს დაუთმო.

საქართველოს მიმართ რუსეთის მუქარა არ წყდება.

პანკისის ხეობაში ცხრა ათასამდე ჩეჩენი ლტოლვილი დაგროვდა.

ამბობენ, რომ მათ შორის „ბოევიკები“ და ნარკოტიკების გამსაღებლებიც ბლომად არიან.

ჩვენი საშველი არ არის.

პანკისის ხეობა ლტოლვილებმა უკვე აიღეს, ჩეჩნები ახმეტაში და თელავშიც მედიდურობით დადიან. ხელისუფლება ზომებს არ იღებს, რომ ამდენი ლტოლვილი თურქეთს, აზერბაიჯანს და სხვა სახელმწიფოებს გადაუნაწილოს.

კვლავ უსინათლობა, უხელფასობა, მიუსაფრობა, შიმშილი.

9.I – 25. III 2000 წ.

ისე სწრაფად, თავაწყვეტით რბიან დღეები, რომ დღიურებისთვის ვეღარ მოვიცალე.

სამაგიერდ თითქმის ყოველ სესიაზე გამოვდივარ პარლამენტში.

ვქომაგობ ჩემს უბედურ ხალხს, მაგრამ ოდენ ერის კანტიკუნტ გაღვიძებას თუ ვახერხებ, მეტს ვერაფერს.

მკაცრი დიალოგი მქონდა მუხრან მაჭავარიანთან.

ამოიღე-მეთქი ხმა, ერთხელ მაინც მიდი სატელეფონო მიკროფონთან, სირცხვილია, ხალხი შემოგყურებს-მეთქი.

ჩემი საქმისა მე ვიცი.

ალბათ “თავისი საქმისა“ თვითონ იცის.

გაიშალა საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია.

სამი რეალური კანდიდატია პრეზიდენტობის: ედუარდ შევარდნაძე, ჯუმბერ პატიაშვილი და ასლან აბაშიძე.

ედუარდ შევარდნაძე აურაცხელი დაცვით და თავისი ინტელიგენციით... დადის რაიონებში და მშიერ ხალხს მორიგი ტყუილების კორიანტელში ხვევს.

ჯუმბერ პატიაშვილი თავისი შეზღუდული საშუალებებით (მჭევრმეტყველება აკლია) ალაგ-ალაგ გამოჩნდება ხოლმე, მაგრამ ლაყე კვერცხებს ესვრიან და შევარდნაძის მომხრენი სხვა „პრავაკაციასაც“ უწყობენ.

ასლან აბაშიძეს ჯერ ვერ გადაუწყვეტია, გამოვიდეს თუ არა ბათუმიდან და დანარჩენ საქართველოშიც გაიაროს. ასე რომ, ცუდადაა საქართველოს საქმე.

გამოვდივარ და ვბღავი ხან საპარლამენტო ტრიბუნიდან, ხან ინტერვიუს ფორმით რომ ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ გლობალური შეტევა მიმდინარეობს, რომ ილიას მიერ ნაანდერძევი სამი დასაცავ-საპატრონო განძიდან („მამული, სარწმუნოება, ენა“) მამული უკვე წაგვართვეს, აფხაზეთ-სამაჩაბლო წაიღეს და ქართული მიწა შაგრენის ტყავივით დაპატარავდა.

სარწმუნოებას დღედაღამ ებრძვიან სხვადასხვა რელიგიური სექტები (მათ შორის აქტიურობენ იეღოველები) და მათი მხარდამჭერი თავისუ-

ფლების ინსტიტუტის უზრდელი, უმწიფარი ბიჭები გიგა ბოკერიას წინამძღოლობით.

ენა შერყვნილი რეკლამა-აბრებით გააბინძურეს და ახლა მიადგნენ ერის უპირველეს ბურჯს – მწერლობას. საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ლევან ბერძენიშვილი თავისი ბადრიჯნისხელა ენით წამდაუწუმ ჩანს ტელეეკრანზე: ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს უნიჭო პოეტებად ნათლავს. ვინმე ზურა შათირიშვილი „ამტკიცებს“ ვაჟა-ფშაველას დრო წავიდაო. პოეტი კოტე ყუბანეიშვილი ასევე ტელევიზიით გაჰყვირის „გალაკტიონი ერთი სოფლელი ბიჭი იყო და ფერნანდო პესოას დონეზე ყოფნას ხომ ვერ მოვთხოვთ, რაც შეეხება ნიკოლოზ ბარათაშვილს – იგი უბრალოდ ცუდი პოეტიაო...

ვაი, შე უბედურო საქართველოვ, ვაი ამნაირი „ახალი ქართველების“ ხელში ერის უპირველესო ჭირისუფალო ქართულო მწერლობავ!

ბედის ირონია ის გახლავთ, რომ მთელ ამ პროცესს – ქართული ეროვნულობის დამხობა-დამცირების კამპანიას ხელმძღვანელობს საეჭვო ეროვნების პიროვნებათა ჯგუფი – ზურაბ ჟვანიას, ელენე თევდორაძის, მანანა გიგინეიშვილის, გიორგი ბარამიძის, რეზო ადამიას და სხვათა სახით. მათ დაპყრობილი აქვთ პარლამენტი და ყველაფერს აკეთებენ საქართველოს დასამხობად.

როგორც იქნა, შევატანინე პარლამენტის სხდომათა მაისის გეგმაში კანონპროექტი პიროვნების აღმნიშვნელ დოკუმენტებში ეროვნულობის გრაფის აღდგენის შესახებ, მაგრამ არავითარი იმედი არა მაქვს რომ საღი აზრი გაიმარჯვებს.

საპარლამენტო უმრავლესობას, მოქალაქეთა კავშირის წევრები წარმოადგენენ, მართალია მოქკავშირშიც არის თითო-ოროლა (მაგ. როლანდ გილიგაშვილი...) საღად მოაზროვნე კაცი, მაგრამ ისინი ამინდს ვერ ჰქმნიან.

ვნახოთ, რა პოზიციას დაიკავებს შევარდნაძე.

თუ იგი თვალთმაქცი არ არის, სულ რაღაც ერთ თვეში გამოჩნდება. კარგი ქართველის – ომარ გოცაძის ოჯახში ვიყავით – თამაზ წივწივაძე, ვაჟა ლორთქიფანიძე (პრემიერ-მინისტრი), რამაზ ხეცურიანი, რამაზ ხუროძე, მუხრან მაჭავარიანი, ზვიად ცეცხლაძე, ელიზბარ ჯაველიძე და მე.

პირველად ვიჯექი ისეთ სუფრაზე, სადაც „დაუძინებელი მტრები“ პირისპირ ისხდნენ.

ვიხუმრე, ალბათ გაგებული გაქვთ, რომ პატიაშვილი გადის პრეზიდენტად და იმიტომ დაზავდით-მეთქი.

როგორც „გემის თაგვები“ თავის გადასარჩენად დაჯარდით-მეთქი.

ისე გავიდა, ბატონო რეზო, შენი მტერი, როგორც ჯუმბერ პატიაშვილი გავა პრეზიდენტადო, ვაჟა ლორთქიფანიძემ მიპასუხა.

დიდხანს ვისაუბრეთ თბილად, უშუალოდ, სიყვარულით...

იანვარში „ლიტერატურულმა საქართველომ“ გაშლილი გვერდი მიუძღვნა ჩემს მე-60 წელს. თბილად მესალმებიან. თამაზ წივწივაძე, ანა კალანდაძე, როინ მეტრეველი, ზაურ კალანდია, ოტია იოსელიანი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი და სხვანი.

კათედრის წევრებმა გულთბილი ვახშამი გამიმართეს რესტორანში.

ყველგან უხერხულად ვგრძნობ თავს. ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ თურმე ქების მოსმენა სასტიკად არ მსიამოვნებს.

ამ ერთი კვირის წინ წინასაარჩევნო შეხვედრაზე ჯუმბერ პატიაშვილის მანქანას საბურავები დაუხვრიტეს და ავარია გააკეთებინეს. მანქანა ქალს დაეჯახა და მძიმედ დააშავა. ჯუმბერმა გულ-მკერდის დაჟეჟილობა მიიღო.

ასე ჰყვავის ჩვენში დემოკრატია. ბათუმიდან იური ბიბილეიშვილმა დამირეკა, სტამბისთვის გადაუცია 400-გვერდიანი წიგნი ჩემს შემოქმედებაზე.

დიდი მადლობის მეტი რა მეთქმის. მაინც ეჭვი მღრღნის – ღირს ამხელა ყურადღებად რევაზ მიშველაძე?

რა ბედნიერი ხართ თავდაჯერებულო მწერლებო.

როგორც იქნა (სიდედრის მიერ ზუგდიდში გაყიდული სახლის ფულით რუსთაველის და მემედ აბაშიძის პრემიების დანაზოგით) საბურთალოზე სანახევროდ მოვამთავრე სამოთახიანი კოტეჯი. ალბათ დამთავრდება ჩემი უძილო ღამეები, ამ ჩემს ბინაში (თამარაშვილის 11) რომ გამიტარებია მანქანების ღრიალ-გრიალში.

ნუთუ მეღირსება მაგიდასთან მშვიდად, სიჩუმეში მუშაობა?

არა და რამდენი რამ მაქვს საწერი და საფიქრალი.

მოვესწრები ჭეშმარიტად თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს?

26.III-1.V 2000 წ.

აზერბაიჯანიდან ჩამოვიდა მწერალი ვუგარ ალიევი და ჩამომიტანა ჩემი ნოველების კრებულის თარგმანი, ასევე მშვენიერი ყდა აზერბაიჯანული წიგნისა და ტიტული. აი, ჭეშმარიტი მთარგმნელი და კაცი, არც ვიცნობდი. მოულოდნელად შემომიყვანა უნივერსიტეტში პროფესორმა ნოდარ კეკელიძემ, გამაცნო და თან ასეთი სასიხარულო ამბავიც მახარა. რაკი სიტყვას ჩემი თარგმანების ამბავი მოჰყვა, ბარემ აქვე გავაგრძელებ, რომ ესპანეთიდან ნანა კობახიძემ დამირეკა და მაცნობა შენი წიგნი უკვე ასაწყობად მივეცი და ერთ თვეში სასიგნალო ხელთ მექნებაო.

ასლან აბაშიძემ და ვასილ პატარქალიშვილმა („მედია ჰოლდინგის“ პრეზიდენტი) გაზეთ „არგოს“ რედაქტორობა მთხოვეს. უარი ვერ ვუთხარი. საქართველოში ყველაზე დიდი – 32-გვერდიანი გაზეთია. კვირაში ერთხელ გამოდის, ცოტა გამიჭირდა დასაწყისში (ამხელა გაზეთის წაკითხვა არ გინდა?), მაგრამ მერედამერე ავაწყვე საათივით, სიამოვნებით ვთანამშრომლობ ჩემს ახალგაზრდა კოლეგებთან. თუ რაიმე შეეშლებათ, ტაქტიანად გავუსწორებ ხოლმე.

თბილისში გამაცნეს ახალგაზრდა ამერიკელი მხატვარი, რომელიც სიღნაღში ჩასულა შარშან და სიღნაღიდან ალაზნის ველისთვის რომ გადმოუხედავს უთქვამს, მორჩა, მე აქედან არსად წავალო. პირველივე შემხვედრი გოგონა ცოლად შეურთავს (ფანდურით ხელში მიდიოდა თურმე ქუჩაში და უთხოვია დაუკარიო...) და სიღნაღში დასახლებულა. ხატავს და ბედნიერია, უშუქობას და სიცივეს როგორ ეგუებით-მეთქი ვკითხე; ვეგუები კი არა, ძალიან მომწონსო, ამაზე ნოველა უნდა დავწერო უსათუოდ. საქართველო გაზარმაცების საშუალებას არ გაძლევს. თუ შეგცივდა, ტყეში უნდა გახვიდე და ფიჩხი მოაგროვო. რა შეიძლება იყოს ხრაშუნა თოვლზე ტყეში რომ ფიჩხს აგროვებ, იმაზე დიდი სიამოვნებაო.

ამ დღეებში ეუთოს საპარლამენტო ანსამბლის პრეზიდენტს ქ-ნ ჰელენ დეილს შევხვდით პარლამენტის შვიდი წევრი (მე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, როსტომ ჯაფარიძე, სოსო სიგუა, ვახტანგ გვარამია, ელიზბარ ჯაველიძე და სანდრო ბრეგვაძე). ეუთოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ქ-ნმა ჰელენ დეილ-მა იმ „ქმედით დახმარებაზე“ ილაპარაკა, რასაც ეუთო უწევს საქართველოს.

ვერ მოვითმინე და ყველას დავასწარი სიტყვის თქმა. ქალბატონო-მეთქი, ყველას ძალიან გიყვარვართ, მაგრამ ნელ-ნელა ვიძირებით, ტერიტორიებს ვკარგავთ და თქვენგან ცრემლიანი თანაგრძნობის მეტი არაფერი ჩანს-მეთქი.

რატომ გრძელდება ჩვენი უაზრო შეგულიანება, რათა კატამ – რუსეთმა საბოლოოდ მოკუნტრუშე თაგვივით შეგვახრამუნოს-მეთქი.

თქვენ სტუმარი ხართ. საქართველო კი უფრო მძიმე დღეშია, ვიდრე სტუმარს შეიძლება მოეჩვენოს-მეთქი.

თქვენ იცით, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვა რუსეთმა, მა-გრამ არ იცით, რომ ახლაც ჩეჩნეთთან ომის შემდეგ რუსმა მესაზღვრეებმა შატილთან სამი სოფელი ჩაგვიყლაპეს, არც ის იცით, რომ შარშან „სპირტის“ გახმაურებული კონფლიქტის დროს რუსმა ლარსთან ორი კილომეტრით გადმოსწია-მეთქი საზღვარი.

უფრო ქმედითი დახმარების იმედი რომ გვქონდეს თქვენგან, საქართ-ველო უფრო შებრუნდებოდა-მეთქი დასავლეთისკენ. რატომ არ შეიძლება განმეორებულიყო საქართველოში კოსოვოს მოდელი. ნუთუ ვერ ხვდებით, რომ აფხაზეთის და სამაჩაბლოს გარეშე საქართველო სახელმწიფოდ არ მოიაზრება-მეთქი.

დრო უნდა გავიდესო... ჩვენ ამის ძალა არ გვაქვსო. ეს თქვენი შინაური საქმეაო... მოკლედ, რაღაც მიკიბმოკიბა.

27 აპრილს ჩემთან პარლამენტში მოვიდა გაზეთ “დეილ ნიუსის“ კორე-სპონდენტი და თურქი მესხების საქართველოში დაბრუნების პრობლემაზე მესაუბრა. ვუთხარი, 1944 წელს ისინი საქართველოდან გაასახლეს სულ ოცი ათასამდე, ახლა კი 300 000 გვიბრუნდებიან, ოთხასი წლის წინათ საქა-რთველოდან გასახლებულმა ფერეიდნელებმა ქართული ენა (მშობლიური ენა) დღემდე შეინახეს, ხოლო ორმოცი წლის წინათ გასახლებულ „თურქ-მესხთაგან“ ქართული ერთმაც არ იცის, იმიტომ რომ ისინი ქართველები არ არიან. ჩვენ მართალია ინტერნაციონალისტები და ტოლერანტები ვართ, მაგრამ 300 000 უცხოელის ერთბაშად მიღების და დაბინავების საშუალება გაღლეტილ საქართველოს კი არა, ამერიკას არა აქვს-მეთქი. ვინც მათ შო-რის ქართველია ეროვნება ქართველს ჩაიწერს პასპორტში და პირადობის მოწმობაში, ქართულს ისწავლის და ბავშვს ქართულ სკოლაში ასწავლის, ისინი შეიძლება დაბრუნდნენ და ისიც ნაწილ-ნაწილ 10 წლის განმავლობაში, ოღონდ კომპაქტურად კი არა, ცალ-ცალკე დავასახლებთ, რათა მერე ავ-ტონომიის მოთხოვნის სურვილი არ გაუჩნდეთ-მეთქი.

კამათი გამიმართა. ეს ვიწრო ნაციონალისტური შეხედულებაააო.

თარჯიმანს ვთხოვე, აეხსნა სტუმრისთვის, რომ ის ელაპარაკება საქა-რთველოს პარლამენტის ეროვნებათა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელსაც არავითარი სურვილი და დრო არა აქვს კორესპონ-დენტთან პაექრობის-მეთქი.

როცა თარჯიმანმა უთარგმნა, კორესპონდენტი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ აუდიენცია დამთავრებულად გამოვაცხადე.

საპრეზიდენტო მარათონი დამთავრდა. საქართველოს მოსახლეობის 78%-მა, როგორც საარჩევნო კომისია (ჯუმბერ ლომინაძე) იუწყება, ხმა მისცა ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც მეორეჯერ არჩეული ოფიციალური პრეზიდენტია.

დამარცხდა ჯუმბერ პატიაშვილი, ასლან აბაშიძემ ბოლო დღეს მოხსნა თავისი კანდიდატურა. ჯუმბერთან ერთად დამარცხდნენ პატატვრანი კანდიდატები – ჯოგლიძე, ღარიბაშვილი, ჟღენტი...

აღდგომას, 30 აპრილს შედგა პრეზიდენტის ინაუგურაცია. შევარდნაძემ განსაკუთრებით კარგი სიტყვა თქვა სვეტიცხოველში. ინაუგურაციაზეც და საღამოს კრწანისში, პრეზიდენტის რეზიდენციაში გამართულ ბანკეტზეც სამი მწერალი ვიყავით მიწვეული – ჭაბუა ამირეჯიბი, მურმან ლებანიძე და მე.

წივწივაძე ვერსად შევნიშნე და ძალიან მეწყინა, ხომ არ იმოქმედა ამ ბოლო დროს წივწივაძის წინააღმდეგ გაშლილმა კამპანიამ?

ხომ არ იმარჯვებს ჟვანიას ბლოკი ქართული მწერლობის და ყოველგვარ ეროვნულობის დასათრგუნავად?

ჩვენი სამეგობრო ოთხეული – სოსო ბუხაიძე, გივი გამსახურდია, იგორ კვესელავა, მე კვლავ მტკიცეა. ჯერჯერობით ვუძლებთ.

განსაკუთრებით იგორ კვესელავა აქტიურობს. საინტერესო წერილებს წერს ეროვნულ მოძრაობაზე. "ოთხი მაიმუნის" საძმო სიყრმიდან მოდის და ერთმანეთი ძალიან გვიყვარს.

2.V – 6.X. 2000 წ.

ზაფხული ნაყოფიერი მქონდა.

დავწერე ათიოდე ახალი ნოველა.

ჯერჯერობით, მგონი, არა მიშავს. კალამი მომდევს.

სიბერის სუნთქვას ვერ ვგრძნობ.

შიო მეშვიდეშია.

მის სტუდენტობას თუ მომასწრებს უფალი, მადლობელი ვიქნები.

უმძიმესი დღეებია ჩემთვის 25 აგვისტო და 3 ოქტომბერი (აჩიკოს დაბადების და გარდაცვალების დღე).

ვწერ სახელმძღვანელოს „მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპები".

ასეთი სახელმძღვანელო დღემდე არავის დაუწერია.

ვნახოთ, რა გამოვა.

პარლამენტმა პირველი სამი თვე დამაბნია, კალაპოტიდან ამომაგდო.

სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. ვიფიქრე ჩემს მთავარ საქმეს – მწერლობას მოვცდები-მეთქი.

მერე ნელ-ნელა მოვბილიზდი, დრო გავანაწილე, ახლა ძველებურად ყველაფერს ვასწრებ და არც მაინცდამაინც, ვიღლები.

წივწივაძე და მე ჩაბმული ვართ ბრძოლაში ეროვნული ცნობიერების დასაცავად.

გვიტევენ „რეფორმატორები“ ყველა არხიდან („რუსთავი 2“, შავრაზმული გაზეთები), მაგრამ ჯერჯერობით ვიგერიებთ.

გურამ შარაძე იელოველებს თავგანნირვით ებრძვის.

19 ოქტომბერს მწერალთა ყრილობა გვაქვს.

თამაზს უნდა, მე ვყავდე პირველ მოადგილედ. ჯერ არ გადამიწყვეტია – 24 სექტემბერს ქუთაისმა 60 წლის იუბილე გადამიხადა.

გამოვიდნენ თამაზ წივწივაძე, თეიმურაზ ლანჩავა, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ლევან სანიკიძე, რეზო ჩხეიძე, ზურაბ კუხიანიძე, დოდო ჭუმბურიძე, რეზო კლდიაშვილი, ხოზე ადეიშვილი, ვაჟა ჭყონია, ნესტან კვეიძე, გონერი ჭეიშვილი...

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა თეიმურაზ შაშიაშვილმა.

ყველანი გულწრფელად, უშურველად ღრმა პატივისცემით ლაპარაკობდნენ.

ორ ოქტომბერს თბილისის ციხიდან თორმეტი პოლიტპატიმარი გაიქცა.

გვირაბი გათხარეს და გაიქცნენ.

იქნებო, ჟურნალისტები ამბობენ, ეს ხელისუფლების მიერ იყოსო მოწყობილი, რათა პოლიტპატიმრები აღარ გვყავდნენო.

ვინ იცის... მე უფლება არა მაქვს, ჭორებს ავყვე.

ამ ფაქტს ჯონი ხეცურიანი და გივი ყვარელაშვილი გადააყოლეს.

ჩვენთან ხომ არავინ არაფერზე აგებს პასუხს, რაღა ამ ორ კაცს აგებინეს პასუხი.

ამ „კაზუსის“ გამო, ალბათ, კიდევ გადაიწევს ეროვნული რეკვიზიტის საკითხის განხილვა.

იუსტიციის მინისტრად შევარდნაძე მიხეილ სააკაშვილს ნიშნავს.

გარდაიცვალა ოთარ მამფორია. თბილისში, დიდუბეში დავკრძალეთ.

უნივერსიტეტში გუჩა კვარაცხელიას სამოცი წლის იუბილეს ვუწინამძღვრე. ბათუმიდან მაცნობეს (იური ბიბილეიშვილმა), რომ ჩემი სამოცი წლის აღნიშვნა აქვთ განზრახული.

ვფიქრობ, მეტისმეტია. ერს არ იეუბილება, მაგრამ გამხნევებაც ხომ არის საჭირო.

ჰოდა, ჩემს იუბილეს გამხნევების სიტყვის სათქმელად გამოვიყენებ.

შევარდნაძე იყო უნივერსიტეტში. დიდ საბჭოზე საჯაროდ ვკითხე, თუ შევძლებთ-მეთქი თქვენი პრეზიდენტობის განმავლობაში აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებას.

რა თქმა უნდაო (აბა რას იტყოდა), მე ვფიქრობ, ვერ შევძლებთ.

უხასიათოდ ვარ.

საქართველოს საქმეები უკან-უკან მიდის.

მასწავლებლები გაიფიცნენ. ზოგ რაიონში (დუშეთი, მარტვილი, ახალციხე) სწავლა არ დაწყებულა, რაკიღა მასწავლებლებს ხელფასი არ მიუღიათ. ეს ცუდი ნიშანია.

როგორ სძინავს პრეზიდენტს?

7/X – 23/X 2000 წ.

ოპოზიციას შევთავაზე, დაარსდეს ქართული ეროვნული ცნობიერების გადარჩენის საზოგადოება.

საზოგადოების პროგრამა უკვე გამოქვეყნდა გაზეთ „ახალ ერაში“. დამფუძნებელთა ჯგუფის სახელით ხელს ვაწერთ: მე, მუხრან მაჭავარიანი, გურამ შარაძე, ამირან ნადარაია, ელიზბარ ჯაველიძე, ზურაბ ქაფიანიძე, მანუჩარ მაჩაიძე. მალე ყრილობას გავმართავთ და პრეზიდენტს ავირჩევთ.

2000 წ. 21 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს მწერალთა XX ყრილობა.

თამაზ წივწივაძემ გახსნა შესავალი სიტყვით. ყრილობას შევარდნაძე არ ესწრებოდა, მაგრამ გამოგზავნა თავისი ორი ერთგული კაცი – გია არსენიშვილი და სულხან მოლაშვილი.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ ხელისუფლება შიშობდა, მწერლებს გაუბედურებულ საქართველოზე არ დაცდენოდათ სიტყვა.

თუმცა ყრილობა შევარდნაძისადმი ერთგულების ნიშნით მიმდინარეობდა, გამოვედი და ვთქვი, ჩვენ აქ ერის ჭირისუფლები ვართ და უპირველესად საქართველოს სატკივარზე უნდა ვილაპარაკოთ-მეთქი. არ მომწონს წუწუნი მწერლების შიმშილის შესახებ-მეთქი, საქართველოს როგორც უჭირს, მწერალიც ისე უნდა ცხოვრობდეს-მეთქი. ჩვენ აქ ეროვნულ პრობლემებზე უნდა ვმსჯელობდეთ, შევარდნაძემ ამ ერთი კვირის წინ განაცხადა, რომ გუდაუთის სამხედრო ბაზა რუსის ჯარის სარეაბილიტაციო ცენტრად უნდა გადაკეთდესო. სანამ ვითმინოთ ოპორტუნისტული, დაცვედნებული ხელისუფლება, სანამ ვითმინოთ უშუქობა და უხელფასობა, რატომ ვერ აძლევს მწერალთა კავშირი გაერთიანების მაგალითს ქვეყანას. განა ჩვენი სირცხვილი არ არის რომ ყრილობას არ ესწრებიან მუხრან მაჭავარიანი, ნოდარ წულეისკირი, მიხეილ ქვლივიძე, ოთარ ჩხეიძე, ნაირა გელაშვილი, ნუგზარ შატაიძე, გოდერძი ჩოხელი და სხვანი-მეთქი. რატომ მიგაჩნიათ საქებრად რომ 5 წლის მანძილზე მწერალთა კავშირის წევრად არც ერთი ახალგაზრდა მწერალი არ მიუღიათ-მეთქი. შეწყდეს კამათი, არჩევნებზე გადავიდეთო! – იყვირა ფერდაკარგულმა არსენიშვილმა.

ჯემალ ჯაყელმა თავმჯდომარედ წივწივაძე დაასახელა. მხარი დავუჭირე. ერთი კვირის წინათ წივწივაძე შემითანხმდა, თუ ძმა ხარ, თავმჯდომარეობაში ნუ შემეცილები, მე რომ ახლა აქედან წავიდე, ჩემი მტრები გამპუტავენო. თუ იკადრებ ჩემს მოადგილეობას სიკვდილამდე დაგიმადლებო. დავთანხმდი იმ პირობით, რომ მწერალთა კავშირში დავაბრუნებდი განდგომილ „ზვიადისტ მწერლებს“ და მწერალთა კავშირს, ეროვნულ სახლად ვაქცევდით.

კალანდიამ, მოდით, ღია კენჭისყრით ავირჩიოთო. წივწივაძე ღია კენჭისყრით ერთხმად გავიდა.

მერე მოადგილის არჩევნები დაიწყო.

პირველი მე დამასახელა ლევან სანიკიძემ.

დარბაზში ტაშის გრიალი გაისმა. ფეხზე ადგომით, ოვაციით შემხვდნენ, მერე დაასახელეს ჯანსუღ ღვინჯილია. ჯანსუღ ღვინჯილიამ მოხსნა თავისი კანდიდატურა, რაკიღა აშკარად იგრძნო ყრილობის დამოკიდებულება ჩემს მიმართ. ბოლოს, ყველასგან სრულიად მოულოდნელად ზაზა აბზიანიძემ გურამ ბენაშვილის კანდიდატურა დაასახელა. დარბაზში მკვდრული სიჩუმე ჩამოვარდა.

გურამს შევხედე, მეგონა წამოდგებოდა და მოხსნიდა თავის კანდიდატურას. განა თვითონ არ იცის, რომ ხუთიოდე უნიჭო წერილის ავტორია და მწერალთა წინამძღოლობის არც მორალური უფლება აქვს და არც ნიჭი უწყობს ხელს.

თქვენც არ მომიკვდეთ, სინდისის ქენჯნაც არ უგრძვნია, ყელმოღერებით იჯდა და ჭერს ასცქეროდა.

თურმე ჩაწყობილი აქვს საქმე შევარდნაძესთან და მისი სიძე სულხან მოლაშვილიც იმიტომ მობრძანდა, რომ მავანს შეახსენოს, ხელისუფლებას ბენაშვილი სურს, ხომ ნახე, მიშველაძე ზვიადისტობისკენ იხრება, აბა შენ იცი და შენმა ბიჭობამო.

თურმე უკვე ამუშავებულა არჩევნების გამყალბებელი მანქანა, უკვე მიცემული აქვს დავალება გვერდწითელს (გამოცდილ-გამოქექილს ამ საქმეში) და მე განირული ვყავართ.

გამოაცხადეს: 5 ხმით მიშველაძეს ბენაშვილმა აჯობაო. მწერლები (ნამდვილ მწერლებზე ვამბობ) შეძრწუნებულნი სტოვებდნენ ყრილობას.

ასე რომ, კიდევ ერთი ფარსი გათამაშდა.

ჩემთვის ეს, რასაკვირველია, უკეთესი გახლავთ.

უკვე მივეცი რამდენიმე ინტერვიუ.

გავიდა ერთი კვირა და თითქოს ყრილობის მიერ მოგვრილმა ელდამაც გამიარა. მით უმეტეს, როცა ვიცი, რომ წივწივაძე ნიჭიერია. მას ჩემი მოადგილეობა ერჩია, მაგრამ ბენაშვილი მოახვიეს.

ჯანდაბას ჩემი თავი, მე ვინ ოხერი ვარ, როცა საქართველო იღუპება.

უშუქობა, შიმშილი...

ხალხი ქუჩაში გამოდის, გადაკეტილია ცენტრალური ქუჩები.

მოღალატე ხელისუფლება ქვეყანას კვლავ ტყუილი დაპირებებით კვებავს.

კვლავ ვერ შევატანინე ჟვანიას დღის წესრიგში საქართველოში ეროვნების აღდგენის საკითხი.

ახლა ჟვანია შევარდნაძეს აბრალებს, შევარდნაძე ჟვანიას. ეს ხომ მათი ცნობილი ფანდია.

გამოვედი და ვამხილე პარლამენტში ეს მაიმუნობა.

რეზო ჩხეიძის წინააღმდეგ ბრძოლა 10 წელია გრძელდება.

რაკიღა „ჯარისკაცის მამის“ ავტორს ვერაფერი მოუხერხეს, გადაწყვიტეს ზემოდან მოუარონ. რეზოს მთელი კინოსტუდია უჭერს მხარს, ელდარ შენგელაიას კი ხელისუფლება და საპარლამენტო უმრავლესობა.

გამოვედი და აშკარად დავუჭირე მხარი რეზო ჩხეიძეს. ვთქვი, კულტურის სამინისტროში „კინოცენტრი“ შექმნა კიდევ ერთი ბიუროკრატიული აპარატის შექმნას ნიშნავს-მეთქი. ეს ყველაფერი ხომ ერთი კაცის – რეზო ჩხეიძის წინააღმდეგ ხდება-მეთქი.

პარლამენტიდან რომ გამოვედი, კინოსტუდიის თანამშრომლები აღტაცება-ტაშით შემეგებნენ.

24.XI 2000 – 16.II 2001 წ.

უღიმღამოდ, გაუხარებლად დაიწყო XXI საუკუნე საქართველოსთვის.

ტელევიზიით (31-XII) შუაღამისას ლევან სანიკიძე და მე გამოვედით. მივულოცეთ ვითომ ახალი წელი გაუბედურებულ ქვეყანას. მე ვთქვი, პირველ

რიგში ფეშენებელური რესტორნების წინ მდგარ მათხოვრებს და უპატრონო ბავშვებს ვულოცავ-მეთქი ახალ წელს.

გარდამეცვალა ორი საუკეთესო მეგობარი ზურაბ კუტალეიშვილი და ხუტა ყუფარაძე. ორივე უპატიოსნესი, კეთილი, პატრიოტი, ვაჟკაცი.

ვიტირე, რაც შემეძლო დავეხმარე მათს ოჯახებს დაკრძალვაში.

„შანსში“ ინტერვიუ ჩამომართვეს. წამომცდა სიმართლე ხელისუფლების ირგვლივ შემოჯარულ ეროვნულფიქრგაცლილ მწერლებზე.

გამოვაცხადე, შეიძლება ჩვენ, ეროვნულმა მწერლებმა ცალკე, თავისუფალი მწერალთა კავშირი შევქმნათ-მეთქი, გაიმართა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან ჩემი ლანძღვა-გინების კორიანტელი. მალე დავაარსე საქართველოს მწერალთა დარბაზი, ოღონდ მწერალთა კავშირის შიგნით, კავშირიდან გაუსვლელად. ეს როგორ გაბედეო, დამესივნენ მწერალი-წრუწუნები.

ძირითადად ხელისუფლების ყურმოჭრილი მონა, უნიჭო, წკავწკავა, ფინია-მწერლები მლანძღავენ.

თურმე უნიჭო ვყოფილვარ, თურმე რუსთაველის პრემია არ მეკუთვნოდა და მოუციათ როგორც მოწყალება, თურმე განდიდების მანიით ვარ შეპყრობილი.

განსაკუთრებით აქტიურობენ: ია სულაბერიძე, კობა არაბული, გურამ ბენაშვილი, ალეკო გაბელაია, ჯემალ დავლიანიძე...

გეუბნებათ ეს გვარები რამეს, ძვირფასო მკითხველებო, თუკი ჩემს დღიურებს ოდესმე ჩახედავთ?

მე მხარში ამომიდგნენ და „ლიტერატურული საქართველოს“ ღირსეული პასუხი გასცეს.

ლევან სანიკიძემ, მერაბ ელიოზიშვილმა, სოსო სიგუამ, ვალერიან მამუკელაშვილმა და მკითხველთა დიდმა ჯგუფმა კოლექტიური წერილით.

ცილისწამების რა ნიაღვარია რომ იცოდეთ: თურმე მე ეროვნული ბრძოლა დავიბრალე, თორემ საქართველო ფეხებზე მკიდია. თურმე ჩემი უღიმღამო ნოველებით თავი მომაქვს და კლასიკოსად ჩემს გამოცხადებას, მევე ვუწყობ ხელს...

ქვეყანას რომ პატრონი არა ჰყავს, კარგახანია ვიცი, მაგრამ შევარდნაძე რომ თავზე ხელს უსვამს ზოგიერთს და მიდი, მიდი, რაც უფრო აამღვრევ წყალს, რაც უფრო გადაჰკიდებ ადამიანებს ერთმანეთს, ისინი კინკლაობით დაიღლებიან და მთავარი სამიზნე – მე დაგავიწყდებითო, ფაქტია.

ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი თუ არა, სიმართლე რომ ვთქვი და ინსუნუაციები თავს დავიტეხე, მე მგონი, სწორად მოვიქეცი, გაჟეჟილს გატეხილი სჯობია და „რაც არ უნდა კაცმა მალოს, ჭირი თავსა არ დამალავს“.

სწორად თქვა ამასწინათ მუხრან მაჭავარიანმა მწერალთა კავშირში მწერლები აღარ არიანო.

როგორ უნდა მიაწღიო კაცმა იმას, რომ მწერალთა კავშირში მწერლები აღარ იყვნენ.

არადა დიდხანს ვითმინე ეს უხამსობა. სად უნდა წავიდე, მწერალთა კავშირი ხომ ჩემთვის მშობლიური სახლია. ორმოცი წელია დავდივარ მაჩაბლის ქუჩაზე.

შეხედეთ გამომცემლობა „მერანს“, გვერდწითელმა მთელი შენობა გააქირავა და იმით თვითონაც, კარგად ითბობს ხელს.

მწერალთა კავშირში ნიჭის, დამსახურების პატივისცემა დაიკარგა.

რა კომიტეტია პრემიების ის კომიტეტი ოტია იოსელიანს და ლევან სანიკიძეს რომ გააშავებენ და ლია სტურუას მისცემენ რუსთაველის პრემიას.

ამ სირცხვილს, ამ სულიერ დისკომფორტს ვერ გაუძელი შენ რევაზ მიშველაძემ და ამიტომ აჯანყდი.

ახლა უფრო მომწონს ჩემი თავი.

არ დავბერებულვარ, არ ჩამკვდარა ჩემშის პროტესტის გრძნობა.

საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ვისაც ვექომაგები ესენი პირველნი აწევენ ხელს მიშველაძე მწერალთა კავშირიდან გაირიცხოსო.

გარიცხული არა ვარ?! მე ხომ სანამ მედროვეთა პარპაში არ დამთავრდება, იქ ფეხს აღარ შევდგამ.

ოტია იოსელიანი იყო ჩამოსული გვიშტიბიდან.

დამირეკა. მივჯექით ერთ პატარა რესტორანში და ლამის 6 საათი ვისაუბრეთ.

გაგიჟებულია, მავანთა თავხედობა არ მიკვირს, ეგ მათი ხელობაა, მაგათ თუ არ ითავხედეს, აბუჩად აიგდებენ, მე შენ გეტყვი ლიტერატურული ქმნილებებით სავსე ხურჯინი აქვთ მხარზე მოგდებული, მე უფრო მწერლების დუმილი და შევარდნაძის ხუშტურებზე ტაშის დაკვრა მიკვირსო, ოტიამ.

დავშორდით იმ იმედით, რომ ნამდვილ მწერალთა კავშირში შევხვდებით ერთმანეთს..იქნება? ყოველ შემთხვევაში შევარდნაძის ხელში არა.

17.II – 31.III – 2001 წ.

სამტრედიაში გრიგოლ ჯულუხიძის 60 წლისთავის იუბილე ჩატარდა.

ჩავედი, რასაკვირველია.

გრიშა უაღრესად პატიოსანი კაცი და ნიჭიერი პოეტია.

მთავარი მოხსენება გრიგოლ ჯულუხიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მე დამაკისრეს.

მოვეფერეთ გრიშას.

თეატრის შენობაში ციოდა. გრიშას ხალვათად ეცვა. სცენაზევე გავიხადე ჩემი „სვიტერი“ და ჩავაცვი.

ტაში დასცხეს.

რა იყო სატაშო? მე ხომ ეს ტაშისთვის არ გამიკეთებია. მე პალტო მეცვა და არ გავცივდებოდი.

ირანის ელჩმა მიგვიწვია (მე, ვახტანგ შამილაძე, ზურაბ ქაფიანიძე და კიდევ რამდენიმე პარლამენტარი).

ჩვენთანო ქართული მწერლობა თითქმის არ ითარგმნება სპარსულ ენაზეო, მოგვიბოდიშა.

აგერაა ნოვალისტი რევაზ მიშველაძე და თარგმნეთო, შეაგება ბ-ნმა ვახტანგ შამილაძემ.

ელჩმა დაუქნია თავი და ჩემი გვარი ჩაიწერა, მაგრამ მეტი არ იქნა ჩემი მტერი...

ჯაბა იოსელიანმა და კომპანიამ მეომრის დღე დააწესეს – 25 მარტი. მიმიწვიეს როგორც სამშობლოსთვის დაღუპული გმირის მამა.

დითირამბები მითხრეს.

აჩიკოს საფლავთან ჯაბამ მუხლი მოიყარა.

ჭადრაკის სასახლეში სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა მიწის საკითხებზე. გამოვედი და ვთქვი: მიწა მარტო ჩვენ კი არა, 30-ე საუკუნის ქართველსაც ეკუთვნის. ამიტომ ნუ მივყიდით გადამთიელს, ნუ გავასხვისებთ, თორემ შთამომავლობა შეგვაჩვენებს-მეთქი.

ზვიადისტების მიტინგზე წავედით პარლამენტიდან მე, ანზორ აბრალავა, ზურაბ ქაფიანიძე, ნოდარ მოდებაძე და სხვები.

შეუთანხმებლად გამომაცხადეს – სიტყვა ეკუთვნის ჩვენს სახელოვან მწერალს რევაზ მიშველაძესო.

გამოვედი. ოპოზიციის სახელით მომიტინგეების გაერთიანებისაკენ.

ხელისუფლების დამხობისკენ მოვუწოდე. თანაც ვუსაყვედურე მიტინგის ხალხმცირობა.

მიმიწვიეს კინოსერიალში "ძილსი წინ".

უარი არ მითქვამს.

იმედო კახიანთან ერთად ერთი სცენა გავითამაშეთ.

მე ჩემი სათქმელი ვთქვი.

ნიკო ლეკიშვილმა ლუარა სორდიას მიერ ჩემზე დაწერილი წიგნის გამოცემა დაასპონსორა. მადლობა მოვახსენე.

ჟურნალისტთა კავშირში ზურაბ ნინუამ პრესკონფერენცია ჩაატარა.

ისაუბრა იმაზე, თუ როგორ გააგდეს თეატრიდან სრულიად უსაბუთოდ და უმიზეზოდ.

როგორ უმტრეს მართალ კაცს მერაბ კოსტავას და ზვიადის ერთგულების გამო.

როგორ გააუქმეს ავლაბარში ქართული თეატრი და როგორ გახსნეს შიგ ჯიხურები და სამორინო დახლები.

მხარი დავუჭირე მის მართალ მოთხოვნას – დააბრუნონ თეატრში.

მეორე დღეს იგივე განვაცხადე პარლამენტის სხდომაზე.

ზურაბ ნინუა თვითმკვლელობით იმუქრება, თუ თეატრში არ დააბრუნებთ.

მისმა შვილმა პოეტმა რატი ნინუამ ამ ხუთიოდე თვის წინათ ამავე მიზეზით მოიკლა-მეთქი თავი.

სახეზე შევატყვე პარლამენტის წევრებს რომ აბსოლუტურად ფეხებზე დაიკიდეს ჩემი გაფრთხილებაც და ზურაბ ნინუას სასოწარკვეთაც.

მე აღარ ვკითხულობ, მაგრამ როგორც მეუბნებიან, ძველებურად მთათხავს „ლიტერატურული საქართველო".

ახია ჩემზე და ქართველ მწერლებზე საერთოდ.

ვიყავი შევარდნაძესთან 30 მარტს.

ორი საათის განმალვობაში ვკამათობდით ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ჩემი ვიზიტის მიზანი პრეზიდენტთან იყო ეროვნების გრაფის შეტანა საბუთებში.

მე, ხომ გამოვგზავნე კანონპროექტი. არ გააქვს ჟვანიას განსახილველად და რა ვქნა მეო.

ვინ დაგიჯერებს მაგ ნათქვამს-მეთქი.

ხალხი ამბობს, ერთი ხელით გაგზავნა ხოლო მეორე ხელით თვითონვე ამუხრუჭებს-მეთქი.

არ ელოდა ასეთ პირშიმთქმელობას.

უკან დაიხია.

რა ვქნაო. რა და ვიკამათოთ მე და შენ, როგორც ქვეყნისთვის, ქართველი ერის მომავლისთვის აჯობებს, ისე მოვიქცეთ-მეთქი.

ბოლოს, როგორც იქნა, შევთანხმდით: დაბადების მოწმობაში ჩაიწერება:

„ეროვნება (მოქალაქეობა) – ქართული და სურვილისამებრ ფრჩხილებში ეროვნული უმცირესობის ეროვნება (სომეხი) ან სხვა. გამონაკლისი პრეზიდენტის დაჟინებით იქნება მხოლოდ აფხაზეთისთვის ეროვნება (მოქალაქეობა) აფხაზი ან აფხაზური.

რომ გამოვედი, ჟვანიას ვუამბე შევარდნაძესთან ვიზიტის შესახებ. ძალიან გაეხარდა რომ ეროვნული რეკვიზიტის საკითხში ჩემსა და პრეზიდენტს შორის მიღწეულია შეთანხმება, ახლაო, მითხრა, ამ საკითხის გატანას წინ აღარაფერი დაუდგებაო.

ვნახოთ, რას იზამს.

ვეჭვობ, ახალ მიზეზს გამოძებნიან და კვლავ ითვალთმაქცებენ ორივენი.

აღარ მჯერა ხელისუფალთა გულწრფელობის.

1/IV – 15/IX 2001 წ.

აპრილში ირანში მომიწია წასვლამ (16.IV-19.IV). პარლამენტის დელეგაცია სტუმრობდა ირანს. ოთხნი ვიყავით: ზურაბ ჟვანია, მე, გივი შუღაროვი, პეტრე ცისკარიშვილი.

თეირანი... ისპაჰანი... ფერეიდანი.

ფერეიდნელმა ქართველებმა დაუვიწყარი შეხვედრა გაგვიმართეს.

ვტიროდით სტუმრებიც და მასპინძლებიც.

სპარსეთში გამოცემული ჩემი წიგნი თითქმის მთლიანად ფერეიდანში დავარიგე.

გარდაიცვალა ჩემი მეგობარი გურამ ზედგინიძე.

სიმონ ბალახაძემ დამირეკა და მაცნობა ლიტერატურული გაზეთის „მთაწმინდის“ გამოცემა მინდა და უნდა დამეხმაროო.

ნოველა მივეცი, პარლამენტში სპონსორიც მოვუძებნე, ერთი ნომერი გამოსცა და გაჩერდა. ეტყობა ვერ „გაქაჩა“.

საინგილოში ვიყავით რეზო ჩხეიძე, მე და კამპანია.

გავამხნევეთ გულგატეხილი ინგილოები, წიგნები ჩავიტანეთ... ქურმუხობას დავესწარით.

აჭარაში დაბადების 60 წლისთავის დიდი იუბილე გამიმართეს – ივნისში.

29-ში "მწვანე კონცხზე" სასოფლო ინსტიტუტში, 30-ში უნივერსიტეტში (1 საათზე) და 5 საათზე თეატრში ჩატარდა ჩემი საიუბილეო დღეები...

გრანდიოზული საღამო გაიმართა თეატრში. გამოვიდნენ: ჯ. ჯაყელი, ს. სიგუა, ი. ბიბილეიშვილი, ა. აბრალავა, გ. ჟორდანია...

23 ივლისს ხობში გადამიხადეს 60 წლისთავი.

ეს იყო სრულიად სამეგრელოს მიერ გადახდილი იუბილე.

უღრმესი და უძვირფასესი დაფასება ჩემი მწერლობის და საზოგადო ღვაწლისა.

იუბილეს ჩეჩნეთის დელეგაციაც დაესწრო.

თეთრი ნაბადი და ქამარ-ხანჯალი მაჩუქეს ჩეჩნებმა – ხიზრი ალდამოვის ხელით.

17 ივლისს მერაბ ელიოზიშვილმა კინოს სახლში სიმღერის საღამო გამართა.

მღეროდა ჩემი მერაბი – რა ალალი, რა საყვარელი, რა თვინიერი იყო.

ზაფხულმა უღიმღამოდ ჩაიარა.

შიო ათი დღით ზღვაზე მყავდა და ყურის ანთებით გამიხდა ავად.

თბილისში წამოსვლისას ოტია იოსელიანს გამოვუარეთ მე და შიომ.

ოტია იჯდა თავის მღვიმე-ტაძარში მარტოხელა, ჩაკირულ-ჩაბოლილი, გამხდარი, შეუცვლელი...

მუშაობდა.

დამინახა თუ არა, არც კი გაკვირებია, თითქოს მელოდა, თითქოს იმ დილით ვყავდი ნანახი.

სად ხარ, რეზოია, შენ ამდენხანსო, ორი საათი მქონდა დრო, აჩქარებული ტემპით ვლაპარაკობდით.

რა დიდებული მოსაუბრე და რა მართალი მწერალია ოტია.

დაიწყო პარლამენტის „ცეცხლოვანი“ დღეები.

11 სექტემბერს ვრცელი სიტყვით გამოვედი და ბრალი დავდე საქართველოს ხელისუფლებას ერის გახლეჩაში.

ხალხს გული მოვფხანე, მაგრამ რად გინდა, კვლავ მგლური კანონით, კვლავ კორუფციის ბოგინით ცხოვრობს საქართველო.

ოტია ჩემი ჟურნალის რედკოლეგიაში შევიყვანე.

„მწერალთა დარბაზის“ (თავისუფალ მწერალთა კავშირის) იდეა ფრთებს შლის, ნამდვილი მწერლები ჩვენს მხარეს არიან მურმანი, ოტია, მ. ელიოზიშვილი, ნ. წულეისკირი...

მალე, ალბათ, ჩვენს ლიტერატურულ გაზეთს – „მწერალი“ (ან სხვა სათაური) გამოვცემთ.

7 სექტემბერს ზ. ჟვანია, ნ. ბურჯანაძე, მ. სააკაშვილი და მე ეროვნული რეკვიზიტის საკითზე შევარდნაძესთან მივედით. გაირკვა, რომ ეროვნების ჩანერის წინააღმდეგი მამაცი „სამეულია“, შევარდნაძე თურმე არაფერ შუაშია.

16.IX – 12.XI 2001 წ.

29 ოქტომბერს მწერალთა საერთო კრება შედგა. 169 მწერალი ესწრებოდა, მათგან მწერალთა კავშირის წევრი – 127.

შეგვეძლო ყრილობა დაგვერქმია, მაგრამ არ ვქენი. არ მინდა მწერალთა კავშირი დაიშალოს, ამიტომაც მწერალთა კავშირის წიაღშივე შევქმენით გაერთიანება „საქართველოს მწერალთა დარბაზი“.

მწერალთა დარბაზის ამოცანა მე გავაცანი კრებას:

უნდა ჩამოყალიბდეს ხელისუფლებისგან დამოუკიდებელ, თავისუფალ, ეროვნულ მწერალთა გაერთიანებად.

მწერალთა კაშვირიდან 1992 წელს გასულ მწერალთა დაბრუნებით შერიგების მაგალითი მისცეს საქართველოს.

გაუქმდეს სამდივნო-პრეზიდიუმი და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მხოლოდ 2 წლით იქნას არჩეული.

მიეცეს ფართო ასპარეზი ახალგაზრდობას. მოიშალოს ხელოვნური ბარიერები კავშირში მიღებისა. ახალი წევრი აირჩიოს კრებამ დამსწრეთა უმრავლესობით.

მწერალთა დარბაზის თავმჯდომარედ მე ამირჩიეს.

გამოვეცით სალიტერატურო გაზეთი - „მწერლის გაზეთი“, რედაქტორობა სოსო სიგუამ იკისრა.

სოსო ნიჭიერი და წესიერი კაცია.

ფორმალურად შევძელი ეროვნულ მწერალთა შეთანხმება-შერიგება.

„ლიტერატურულ საქართველოში“ გამოუქვეყნებიათ განცხადება – მიშველაძე მწერალთა კავშირიდან უნდა გავრიცხოთო.

ჩვენმა გაზეთმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია. „მწერლის გაზეთის“ პირველი ნომრის ავტორები არიან – რევაზ მიშველაძე, ლევან სანიკიძე, გოდერძი ჩოხელი, თამაზ ჩხენკელი, სოსო სიგუა, ოტია იოსელიანი და სხვები...

მწერალთა დარბაზის დელეგაცია – 40 მწერალი ბათუმს ვაწვიე, უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიალზე სიტყვით გამოვედი.

აღფრთოვანებულები დარჩნენ.

9 ნოემბერს, პარასკევს აფხაზეთის აკადემიის პრეზიდენტის შოთა მისაბიშვილის წინადადებით, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად ამირჩიეს.

პარლამენტი ძველებურად არაეროვნული ცხოვრებით ცხოვრობს, თუმცა ახალგაზრდებმა ხელისუფლება გვარიანად შეაჯანჯღარეს:

ამ ოცი დღის წინათ გაიმართა ხუთდღიანი მიტინგი პარლამენტის წინ ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით.

შევარდნაძემ (შემკრთალმა) ყველა მინისტრი გადააყენა.

გადადგა ჟვანიაც.

ორი კვირა საქართველოში სახელისუფლებო ვაკუუმის დღეები იყო.

ბოლოს ნინო ბურჯანაძე „ავირჩიეთ“ პარლამენტის თავმჯდომარედ.

ვნახოთ რას იზამს.

„თეთრმა მელამ“ მოქნილი პოლიტიკით კიდევ ერთხელ გადაირჩინა თავი.

აფხაზეთის საკითხების შუამავლად ასლან აბაშიძე დანიშნა.

ასლანი არძინბასთან ურიგოდ არ არის და ვინ იცის, იქნებ დაიყოლიოს ფართო ავტონომიის სტატუსზე.

მეტი არაა ჩემი მტერი.

საერთოდ საქართველოში “საინტერესო დღეები“ იწყება.

მალე მინისტრობაზე გაიმართება დოღი!

ქვეყნის დარდი ვის ანუხებს: მთავარია მინისტრობა!

13/XI 2001 – 1.IV 2002 წ.

2001 წლის ოქტომბერში მწერალთა კავშირიდან გამრიცხეს. გამგეობის 40 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 15. ვინც არ ესწრებოდა, როგორც მითხრეს, მეორე დღეს ჩამოუარეს, მაგრამ ზოგიერთებმა უარი უთხრეს;

მწერლის გარიცხვაში მხარს ვერ დაგიჭერთო. აი ისინიც, ვინც ხმა მისცა ჩემს გარიცხვას:

თ. წივწივაძე, გ. ბენაშვილი, ლია სტურუა, გენო კალანდია, ზაურ კალანდია, ტაგუ მებურიშვილი, ჯანო ჯანელიძე, შოთა ქავთარაძე, მურმან ჯგუბურია, ივანე ამირხანაშვილი, ია სულაბერიძე, შადიმან შამანაძე, კობა არაბული, ემზარ კვიტაიშვილი, ირაკლი სამსონაძე, ლალი ჯაფარაშვილი.

მოგვიანებით ლია სტურამ, შადიმან შამანაძემ, გენო და ზაურ კალანდიებმა უარყვეს დანაშაული. ჩვენ გარიცხვაზე თანხმობა არ მიგვიციაო. მოკლედ ორმოციდან 11 „მწერალი“ მომხრეა ჩემი გარიცხვის. ეს იმას ნიშნავს, რომ გარიცხვა უკანონოა. მაგრამ სადაა კანონი.

გამგეობის სხდომაზე ვიღაცას უკითხავს ეს ამბავი შევარდნაძემ თუ იცისო. იქნებ გარიცხვა ნამეტანია 1937 წლის მერეო.

რაც კ. გამსახურდია, ტიციანი, მიხეილ ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა და პაოლო იაშვილი გარიცხეს, მწერალთა კავშირიდან არავინ გარიცხულაო.

ჩვენ შევარდნაძესთან შეუთანხმებლად ნაბიჯს არ ვდგამთო, უპასუხნიათ. აიძულეს მწერალთა კავშირი დაეტოვებინათ: აკაკი გაწერელიას, აკაკი ბაქრაძეს, ლევან სანიკიძეს, მუხრან მაჭავარიანს, ნოდარ წულეისკირს, ოთარ ჩხეიძეს, როსტომ ჩხეიძეს, მიხეილ ქვლივიძეს, ვახუშტი კოტეტიშვილს, სოსო სიგუას, დილარ ივარდავას, ელიზბარ ჯაველიძეს, ნუგზარ შატაიძეს, დავით მაღრაძეს, ნაირა გელაშვილს... ბოლოს მე გამრიცხეს...

ასეთი „დემოკრატიაა“ საქართველოში, რაკიღა მე შევქმენი ეროვნულ მწერალთა ასოციაცია. რაკიღა ვცადე კომუნისტური, დამსჯელობითი ფუნქციისგან გამეთავისუფლებინა მწერალთა კავშირი და გარდამექმნა იგი ჭეშმარიტ შემოქმედებით კავშირად, თანასწორთა კავშირად და რაკიღა მოვინდომე მწერალთა კავშირში დამებრუნებინა მუხრან მაჭავარიანი, ნოდარ წულეისკირი, ელიზბარ ჯაველიძე, სოსო სიგუა და სხვა ე.წ. „ზვიადისტი“ მწერლები, ეს არ მაპატიეს.

საქართველოს მწერალთა დარბაზის თავმჯდომარეობა დიდი პატივია ჩემთვის და დიდ სიამოვნებას მანიჭებს ის გარემოება, რომ ჩვენი რიგები დღითი-დღე იზრდება.

უკვე ორასზე მეტი ნამდვილი მწერალი გაწევრიანდა „დარბაზში“.

გაზეთს მე და სოსო სიგუა ვუძღვებით. უამრავი ლექსი, მოთხრობა, წერილი გვაქვს სარედაქციო პორთფელში.

„მწერლის გაზეთი“ მართლაც რომ ეროვნული გაზეთია – ილიას გზით მავალი.

ავტორთა სიას რომ გადახედოთ, გული გაგინათდებათ, პატიოსანი ეროვნული მწერლები იბეჭდებიან. ჩვენთან დაუზარებლად თანამშრომლობენ მუხრანი, ოტია იოსელიანი, მერაბ ელიოზიშვილი, გოდერძი ჩოხელი, ნოდარ წულეისკირი, თინათინ მღვდლიაშვილი, უნიჭიერესი ახალგაზრდა პოეტები...

გაზეთის ტირაჟმა 2000-ს გადააჭარბა.

ჩავატარეთ გალაკტიონის, ლადო ასათიანის, მერაბ ელიოზიშვილის საღამოები.

პარლამენტი, უნივერსიტეტი, გაზეთი, საწერი მაგიდა – ამ ოთხ „ვეშაპს“ დიდი დრო და ენერგია მიაქვს.

წერითაც ბევრს ვწერ, ახალი ნოველები დამიგროვდა.

სიხარულს განვიცდი, როცა ჩემს გაზეთს და ჩემს ჟურნალს („ნუგეში“) ავიღებ ხელში.

მე მხოლოდ იმიტომ წამოვიწყე ეს ბრძოლა, რომ გვერდით უნდა დავდგომოდი ათი წლის მანძილზე გაწამებულ ე.წ. „ზვიადისტ მწერლებს“.

მე ხომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ეროვნულ მოძრაობას ვუთანაგრძნობდი.

სანამ ფეხზე ვდგავარ და პირში სული მიდგას, საქართველოს დაცვედნებას, შევარდნაძის რეჟიმს არ შევურიგდები.

უკვე კოდორის ხეობაც ჩააბარა მტერს შევარდნაძემ.

ეროვნება ისევ გაუქმებულია, ვბღავით პარლამენტში მე და გურამ შარაძე, მაგრამ „ქარავანი თავისი გზით მიდის“.

„გაიპე გულო! რაკი ენა უნდა დადუმდეს“ (შექსპირი).

2002 წლის თებერვალში პარლამენტის დელეგაცია (ნინო, მე, ლ. თედიაშვილი, მამედ მამედოვი) აზერბაიჯანში ვიყავით. გეიდარ ალიევთან შეხვედრაზე ვთქვი – ქართველებს რომ 1964 წელს ეროვნება და ქართული გვარები წაართვეს საინგილოში უნდა დაუბრუნოთ-მეთქი, ალიევმა თანხმობა განაცხადა, თურმე მოგვატყუა.

2.IV 2002 – 12.X.2002

ინგილოები მოვიდნენ ჩემთან პარლამენტში მიღებაზე და შემომჩივლეს, რა სიხარულით მივიღეთ ბატონი რეზო, თქვენი შეთანხმება ალიევთან ჩვენთვის გვარების დაბრუნების თაობაზე, მაგრამ ზაქათალას გამგებელმა წყალი გადაგვასხა. ჩვენი განცხადებები უკან დაგვიბრუნა და სამი თითის კომბინაცია გვიჩვენაო.

წავიყვანე ინგილო სტუდენტები, მარნეულელი პარლამენტარი მამედ მამედოვი და წავედით საინგილოში. ზაქათალის გამგებელმა ცივად მიგვიღო. ავუხსენი, ჩვენ პარლამენტარები გახლავართ, ალიევი დაგვპირდა, რომ ქართველებს (ინგილოებს) თავიანთ ისტორიულ გვარებს დაუბრუნებენ-მეთქი. მერედა ვინ გითხრათ, რომ აზერბაიჯანში ქართველები ცხოვრობენო. თქვენ ინგილოები მართლა ქართველები ხომ არ გგონიათო, ეს არის აზერბაიჯანული ტომი და ქართულის ცოდნა არაფერს ნიშნავს, ბევრმა აზერბაიჯანელმა ინგლისურიც კარგად იცისო. თავი ვერ შევიკავე და მეც მაგრად დავხვდი, ბოლოს მოვახსენე: თქვენთან კამათს არ ვაპირებ, ისევ ალიევთან მივალ და ვეტყვი როგორ უშლით ხელს თქვენსავე პრეზიდენტს საქართველოსთან მეგობრობაში-მეთქი.

გამგებელმა ჩვეულ სიცბიერეს მიმართა. ნუ ღელავთ, თუ ალიევმა თქვა, ყველაფერი მოგვარდება, უბრალოდ, ორიოდე კვირა მომეცით, ბაქოს შევუთანხმდეო.

დღეს 10 ოქტომბერია, ლამის ხუთი თვე გავიდა, მაგრამ ქართველებს საინგილოში კვლავ ჯიუტად ეუბნებიან უარს თავიანთი გვარების დაბრუნებაზე.

ნინო ბურჯანაძე მეუბნება, რა ვქნა ბატონო რეზო, მე არა მაქვს უფლება აზერბაიჯანის პრეზიდენტს დავურეკო, ბატონ ედუარდთან მიდიო.

მივედი შევარდნაძესთან. როგორც იქნა, ოცდამეცხრე დარეკვაზე მიმიღო.

ჯერ ეროვნულ რეკვიზიტზე ვესაუბრე.

უაზროდ შემომცქერის:

ეს საკითხი კიდევ არ გადაწყდაო?

ვითომ არ იცის, რომ არ გადაწყდა.

მერე ქართული ენის კანონის გატანას ვერ მივაღწიეთ მე და შარაძემ-მეთქი, ვუთხარი.

– რა უშლის ხელსო.

– თქვენი თანხმობა-მეთქი.

რა ჩემი თანხმობა უნდა, პარლამენტარები თქვენ ხართ, გაიტანეთ და დაამტკიცეთო.

ისევ თვალთმაქცობა (ზაქათალის გამგებელს რას ვერჩი).

თქვენ უნდა უთხრათ, ნინოს-მეთქი.

გაიცინა, ნინო მე არ მემორჩილებაო.

13.X 2002 – 1.I.2003

ეს ერთი წელიც ბარდება ისტორიას.

„მწერლის გაზეთია“ ჩემი უმთავრესი საზრუნავი.

გაზეთს საოცარი „ჩათრევა“ სცოდნია..

ლექსები ბევრი გვაქვს, პროზა ნაკლებად შემოდის, ჩანს საქართველოში ნოველას მხოლოდ მე და ოტია ვწერთ. ოტია გვიშტიბიდან ამ ბოლო დროს მხოლოდ ლექსებს გვიგზავნის და იძულებული ვარ „მწერლის გაზეთი“ ოდენ ჩემი ნოველებით შევავსო.

გაზეთი დღითიდღე უფრო პოპულარული ხდება, ტირაჟი გავზარდეთ, მაგრამ ორ დღეში მთლიანად საღდება.

ხალხს, ჩანს, აინტერესებს ეროვნული, ოპოზიციური ლიტერატურა.

ამერიკის თანადგომამ, ცოტა არ იყოს, წელში გაგვმართა.

პანკისის ხეობაში ამერიკის მხარდაჭერით შევედით და იქ საქართველოს ხელისუფლება აღვადგინეთ.

ამისთვის საქართველოს დასაბომბად გამზადებული პუტინისთვის ბუშს თითის დაქნევა დაჭირდა.

„თეთრი დათვი“ შეშინდა და უკან დაიხია, ნეტა ასე დაგვითმობდეს აფხაზეთ-სამაჩაბლოსაც.

პარლამენტში კვლავინდებურად ვიბრძვი საქართველოში ეროვნება ქართველის აღდგენისათვის.

ჩემმა კომიტეტმა (ეროვნულ საქმეთა კომიტეტი) გადაწყვიტა რომ ყველაზე სწორი ფორმულირება ამ ეტაპზე ის იქნება, რომ საბუთებში საქართველოს ყველა მოქალაქეს ჩაეწეროს „ეროვნება (მოქალაქეობა) ქართული“.

ნინო ბურჯანაძეც ამ აზრისაა.

ამ ევროპული წესით საქართველოში ქართულ ეროვნებასაც აღვადგენთ და სეპარატიზმის ახალი ავტონომიებით მოთხოვნასაც აღმოვფხვრით.

თითქოსდა ყველაფერი კარგად მიდის. დავაგროვე ხელმოწერები, კომიტეტების დადებითი გამოხმაურებები... გული მაინც ცუდს მიგრძნობს და აი, 25 დეკემბერს მეძახის ნინო ბურჯანაძე.

ბატონო რეზო, ამ დილით შევარდნაძემ დამირეკა და მთხოვა, ცოტა ხნით გაზაფხულამდე გადავდოთ ეროვნული რეკვიზიტის კანონის კენჭისყრაო.

გული კინაღამ გამიჩერდა, წნევამ ამიწია. ნინო, მეოთხე წელია საქართველოში გაუქმებული ეროვნების აღდგენას ვცდილობ, ნუთუ ყველას – შენც და შევარდნაძესაც ჩემი სიკვდილი გინდათ-მეთქი.

შემატყო, რომ ადამიანისფერი აღარ მედო, დამიყვავა, კიდევ მოველაპარაკებიო.

4 საათზე დაიწყო პარლამენტის სხდომა.

5 საათზე შევარდნაძის მდივანი მირეკავს, შევარდნაძე გთხოვთ 6 საათზე მობრძანდეთო.

მივედი. უფრო დაბერებული, დაღლილი, შეშუპებული სახე აქვს. თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ხელი ჩამომართვა და გადამეხვია.

შენს ნოველებს ვკითხულობო, ხანდახან მლანძღავ, მაგრამ არა უშავსო.

ხმას არ ვიღებ.

ერთი დიდი სათხოვარი მაქვს და უნდა შემისრულოო. გაზაფხულამდე გადავდოთ ეროვნების აღდგენაო.

ამ საკითხზე უკვე მეხუთეჯერ გხვდებით, ნუთუ არ მოგბეზრდათ-მეთქი, ნუთუ უხერხულობას არ გგვრით რომ უეროვნებო სახელმწიფოს პრეზიდენტი ხართ-მეთქი.

მირჩევნია, ეროვნება ქართველი გამქრალი იყოს, მირჩევნია მთელი ტალახი ჩემს საფლავს დაატყდეს, ვიდრე ახლა საქართველო აირიოს და ქვეყანა დაგვეშალოსო.

რა დაშლის-მეთქი.

ჩვენაო, სომხები და აზერბაიჯანელები მოგვერევიანო, არ იცი შენ, რომ ჯერ კიდევ სახელმწიფო არა ვართო.

აბა რა ვართ-მეთქი, ამერიკამ ჩვენი გულისთვის რუსი ლამის მოიმდუროს და სომხებს და აზერბაიჯანელებს როგორ შეაჭმევს ჩვენს თავს-მეთქი. სწორედ ამერიკა გვთხოვს, რომ გაეროს მიერ დამტკიცებულ პროექტი მივიღოთ და ყველას ავტოქტონური ერის ეროვნება ჩავუწეროთ-მეთქი.

არაო, მე სანამ პრეზიდენტი ვარ, ამას არ დავუშვებო. გთხოვ, კაცურად გამიგეო.

ჩვენ ეროვნებას არავის ვართმევთ, მე ეროვნება „ქართველის“ აღსადგენად ვიბრძვი-მეთქი.

კარგი, რაკი ვერ შევთანხმდით, გაზაფხულამდე მაინც მეცი პატივი და ნუ გაიტან. მარტში კი პირველსავე კვირას უყარეთ კენჭიო.

პირგამშრალი წამოვედი.

მარტიც მოვა.

რა შეიცვლება? ნუთუ შევარდნაძე იზრუნებს რომ მარტამდე რამე ისეთი მომიწყოს, რომ ეროვნების აღდგენის თავი აღარ მქონდეს.

1.I 2003 – 3,I 2003

ახალ წელს მამაჩემთან და დედაჩემთან ერთად შევხვდი მამაპაპეულ სახლში – ჩემი უმცროსი ძმის ბორისის ოჯახში.

მამაჩემი 88 წლისაა, დედაჩემი – 83-ს.

რა ბედნიერებაა, რომ ისინი ცოცხლები არიან. ორივეს მშვენიერი მეხსიერება აქვს, აზროვნებენ სხარტად, სწორად, ბრძნულადაც კი.

მთელი ცხოვრება ჭკუას მარიგებენ, ნუ ებრძვი ხელისუფლებას, დაანებე თავი დონკიხოტობას, ქვეყანას შენ ვერ გაასწორებ და მოგკლავენ ან დაგასახიჩრებენო.

ძვირფასებო-მეთქი, ვპასუხობ, სამოცდასამისა ვხდები. აწი ველარ შევიცვლები. რაც მოსახდენია მოხდეს, ჩემი საქმე გაკეთებული მაქვს. რაც შემეძლო სინდისიანად ვემსახურე ქვეყანას, მწერალიც ურიგო არ უნდა ვიყო, სიკვდილამდე ვერ გავჩუმდები და ვერც უკან დავიხევ-მეთქი.

2003 წელსაც მოვესწარი.

რა ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემი აჩიკო რომ გვერდით მყავდეს.

შიო – წყნარი, ფიქრიანი ნიჭიერი ბიჭია. მე არ მიჩვენებს, მაგრამ ბებია-მიმა მითხრა, ჩუმჩუმად ლექსებსაც წერსო.

1 იანვარს – ჩემი დაბადების დღეს ჩემთან იყვნენ ნათელა, ბორისი, გოგი თავიანთი შვილებით. სოსო ბუხაიძე, იგორ კვესელავა, სოსო სიგუა და მურმან თავდიშვილი. აგრეთვე ჩემი კათედრის წევრები თამუნა პაიჭაძე, მაია სულაბერიძე და ნინო მინდიაშვილი.

გამოვეცი „მწერლის გაზეთის“ საახალწლო ნომერი.

მუხრან მაჭავარიანის ლექსებთან ერთად ოტია იოსელიანის კარგი მოთხრობაა დაბეჭდილი.

გარდაიცვალა ჩვენი დარბაზის წევრი, შესანიშნავი პოეტი ქიშვარდ ისაკაძე, 31-ში დავკრძალეთ.

დაკრძალვაზე ზვიადის ქვრივი – მანანა არჩვაძეც იყო. ცივად მივესალმეთ ერთმანეთს.

უსულგულოდ შევყურებდი ტელევიზორს იმ დღეებში. გაუთავებელი ცეკვა-თამაში. რა უხარია ამ დამარცხებულ, ტერიტორიებდაკარგულ ქვეყანას, ვერა და ვერ გამიგია.

თუ ვინმე დაიბადა 1 იანვარს ყველა ახსენა და ყველას მიულოცა პირველმა არხმა. მე, რასაკვირველია არავის გავხსენებივარ. ჩანს, მოდიდან გავედი, როგორც მწერალი. ახლა ლაშა ბუღაძეების, რატი ამაღლობლების, კოტე ყუბანეიშვილების და დათო ტურაშვილების დროა.

ღმერთმა ხელი მოუმართოთ. მე გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ თავიანთ „რთულ“ სტრიქნებში ხანდახან დაავიწყდებათ, გაებნევათ ხოლმე

ყველა შემოქმედის მთავარი საფიქრალი და საზრუნავი – საქართველო.

2003!

„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

ნეტავ 3003 წელს თუ ვინმე გამიხსენებს. თუ ვინმე წამიკითხავს. საერთოდ საქართველო იქნება?

ოღონდ საქართველომ იარსებოს და ჩემი თავი ჯანდაბას.

4.I 2003 – 9.IV 2003

8 იანვარს მე და შიო ბაკურიანს ვესტუმრეთ, ათი წელია არ ვყოფილვარ ბაკურიანში, რომ არა ზვიად ცეცხლაძე, შეიძლება კიდევ კარგა ხნით გადამედო იქ ჩასვლა. ცხოვრება გაძვირდა, ბაკურიანში სასტუმროს ცეცხლის ფასი აქვს და ჩემისთანა ხელმოკლე კაცი ვერ მისცემდა თავს ასეთი

ფუფუნების უფლებას. ზვიადმა ყოველგვარი თხოვნის გარეშე (ან როგორ გავუბედავდი) მომიტანა საგზური და წინ დამიდო. ვიცი, შენ ბაკურიანი გიყვარს, წაიყვანე შვილიშვილი და დაისვენეო. დავხედე ფასს, 700 დოლარი გადაუხდია. ორი კაცი არ მეგულება დღეს საქართველოში ამხელა პატივს რომ გცემს, მადლობის სათქმელი ენა გამიშრა. გადამეხადოს-მეთქი. ენას ვიმტვრევ, როგორ გადავუხადო.

ბაკურიანი დიდებულია, როგორ ყოველთვის, პირველ დღესვე დავდექი თხილამურებზე, არ დამვიწყნია. შიოს აჩიკოს თხილამურები მოვარგე. ვასწავლი, სხვათა შორის, ადვილად აითვისა, მეორე დღეს ისე გავთამამდი, რომ კოხტის კლდესაც შევბედე. საკმაოდ გამიჭირდა. მაგრამ დავეშვი მშვიდობიანად. ქვემოთ ტელევიზიის ჟურნალისტები დამხვდნენ, იქვე ვახტანგ რჩეულიშვილიც, რომელიც დამწყები მოთხილამურეა, მაგრამ ისე დაჯერებულად დგას თოვლყინულზე, ნეტა ასე მარჯვედ პოლიტიკაშიც ვიდგეთ ორივენი.

გვიან საღამოთი ჩემმა ძმამ – ბორისმა თბილისიდან დამირეკა. რას ხეთქავ ამ შენს მტრებს გულზე, ახლა ტელევიზიამ „მოამბეში“ აჩვენა შენი სრიალი და განაცხადა, მწერალი მიშველაძე გინესის წიგნშია შესატანი, სამოცდასამი წლისა კოხტაზე ჯერ არავინ დაშვებულაო.

ბონდო მაცაბერიძემ დამირეკა, შენი რჩეულის აწყობას მალე მოვრჩებით და იმ კვირაში საკორექტუროდ გამოგიგზავნითო.

დავურეკე ოტიას 14 იანვარს. ძველით ახალი წელი მივულოცე. ძალიან გაეხარდა. რას შობი, ტელევიზორში გნახე, სრიალი დაგიწყიაო. ამ უბედური საქართველოს შემყურე, ჩვენ ყინულზე ვდგავართ ისედაც, ნამეტანი არ მოსრიალდე „მითქვია“ შენთვისო.

გამოსაცემად ვამზადებ წერილების კრებულს სათაურით – „არ უნდა მეთქვა?“

ამ ბოლო სამი წლის მანძილზე რაც „არამხატვრული“ დამიწერია, უნდა შევიტანო.

ინტერვიუები არ შემაქვს.

ვჭოჭმანობ: შევიტანო თუ არა „წივწივაძე-ბენაშვილის“ ეპოპეა.

სამწუხაროზე სამწუხარო ამბავი შემემთხვა, მამაჩემს – 88 წლის კაცს ტვინში სისხლი ჩაექცა. ექიმებმა მწვავე ინსულტი დაუდგინეს, მეტყველება და ცნობიერება წაერთვა. ვერაფერს ვშველოდით და ვიტანჯებოდით შვილები. დედაჩემი 83 წლის თინა გველესიანი სასთუმალთან უზის, რა ჰქნას, ტირილი და ცრემლისღვრაა ჩვენს ოჯახში.

პროფესორმა რომა შაქარაშვილმა დაუწყო მკურნალობა. ჩვენც, რაც შეგვეძლო შევეშველეთ წამლების შოვნაში და მოხდა სასწაული. თვენახევრის შემდეგ მამაჩემს ცნობიერება ნელ-ნელა უბრუნდება, ლაპარაკს სწავლობს. ადრე თუ ვკითხავდით რამდენი შვილი გყავსო და ვერ ამბობდა, ახლა ეცინება ამაზე, ოღონდ ერთია – რა მომივიდა, კითხულობს, ერთბაშად დაბნელდაო. თითქოს დავყრუვდი, თითქოს წარსული დაიკარგა. ყველაფერი ერთმანეთში აირია. ვგრძნობდი, რომ სიტყვებს ვისროდი და მიკვირდა, თქვენ რატომ ვერ გაგებინებდითო.

პარლამენტში წინასაარჩენვო ციებ-ცხელება დაიწყო, საზიზღრად იქცევა ჩემი ფრაქციის ზოგიერთი წევრი. სახე მოემგელათ. დასმენით, სხვა-

თა ზურგსუკან ლანძღვით, წამდაუწუმ პრესკონფერენციების ჩატარებით და ბათუმში სირბილით სურთ მიიპყრონ ასლან აბაშიძის ყურადღება.

მე ჩუმად ვარ, ბათუმში რვა თვეა არ ვყოფილვარ. ვიქნები თუ არა მომავალ პარლამენტში, სულაც არ მანაღვლებს. ამ ოთხმა წელმა ძალიან დამღალა, თუ მთხოვს ასლან აბაშიძე, ალბათ დავეთანხმები, თუ არა და იქეთ არ ვიაქტიურებ, გულს მირევს „საარჩევნო აქტიურობა“.

სადაც უნდა ვიყო, მე თბილისსა და ბათუმს შორის ურთიერთობის ნორმალიზებისთვის ვიბრძოლებ.

წარმოუდგენელი ამბები ხდება ე.წ. ტრადიციულ მწერალთა კავშირში.

როგორც ვწინასწარმეტყველებდი, წივწივაძე და ბენაშვილი ერთმანეთს შეებნენ.

გაზეთებში უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ ერთიმეორეს.

„ლიტ. საქართველოში“ თამაზ წივწივაძემ გამოაქვეყნა ბრძანება, რომლის ძალითაც მან გააუქმა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის შტატი და ბენაშვილი მოხსნა.

როგორც მითხრეს, ბენაშვილი თავისი მომხრეებით მივარდა მწერალთა კავშირში, კაბინეტის დაკეტილი კარი შეამტვრია და თავის სავარძელში ჩასკუპდა.

ახლა გაშმაგებით ებრძვიან ერთმანეთს.

რომ მკითხონ, წივწივაძე მირჩევნია იმ დაცვედნებულ-დადედლებულ მწერლებს, რომლებმაც პირში წყალი ჩაიგუბეს, როცა რევაზ მიშველაძე უსინდისოდ გარიცხეს მწერალთა კავშირიდან.

დათო ტაკიძის 50 წლისთავის საღამო გავმართეთ მწერალთა დარბაზის სახელით.

მწერალთა კავშირში 2 აპრილს ზაურ ბოლქვაძის 70 წლისთავის მოსაგონარი საღამო გაიმართა.

დამირეკა ზაურის უსათნოესმა მეუღლემ ნანა დარჩიამ, მთხოვა შენ ზაურს განსაკუთრებით უყვარდი და უნდა მოხვიდეო.

უარს როგორ ვკადრებდი.

გარიცხვის შემდეგ (2001 წლის ნოემბერი), მწერალთა კავშირის შენობაში ფეხი არ შემიდგამს.

გამოაცხადა თუ არა წივწივაძემ, სიტყვა რევაზ მიშველაძეს ეკუთვნისო, დარბაზში ტაში დაირხა...

ვთქვი, ზაურ ბოლქვაძის ვაჟკაცობის, მისი სიკეთის, მისი მაღალი ზნეობის კამერტონზე უნდა გავწმინდოთ დამტვერილი ნერვები ყველა ქართველმა მწერალმა-მეთქი. კარგა ხანს ვილაპარაკე, ზაურზე სათქმელს რა გამომილევდა.

ოთხი მეგობარი მყავდა მწერლობაში – ლევან სანიკიძე, შოთა ნიშნიანიძე, მორის ფოცხიშვილი და ზაურ ბოლქვაძე. ახლა ოთხივე იქეთ, იმ დიდ სოფელშია და ველი როდის მიხმობენ-მეთქი.

სიტყვა რომ დავამთავრე, დარბაზში ზოგის თვალში ცრემლი აკიაფდა.

მწერალთა კავშირის თანამშრომლები დერეფანში გამოსულს მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ, რეზო როდის დაბრუნდები, შენი გამოჩენით დღეს განათ-

და აქაურობა. ვერ წარმოიდგენ რა ხდება, მწერლები მწერალთა კავშირში აღარ დადიანო.

ოტიამ დამირეკა წყალტუბოდან, სათოთხმეტაპრილოდ სამ ლექსს გიგზავნიო.

ჩამოვიდა გრიგოლ ჯულუხიძე სამტრედიიდან, ავად ვარ, გული და თირკმელები მტკივაო.

მივიყვანე შესანიშნავ ექიმ მამანტი როგავასთან. იგი, სხვათა შორის, ტერენტი გრანელის დის შვილიშვილია და მწერლები ძალიან უყვარს.

გადავუხადე ჩემს გრიშას ანალიზების წამლების, მკურნალობის ფული. 100 ლარი (ხელფასი ახალი აღებული მქონდა), ჯიბის ფულად მივეცი.

გახარებული წავიდა, ამით მიწას მოვახვნევინებ და სათესლე სიმინდის ვიყიდიო.

უპატიოსნესი, სანთელივით კაცია გრიშა ჯულუხიძე, კარგი პოეტი და ჩემი უღალატო მეგობარი.

ხვალ ცხრა აპრილია.

ცხრა აპრილს დაღვრილმა სისხლმა ერთ მუშტად შეკრა საქართველო.

10.IV 2003-1/VI 2003

მეოთხე თვეა ავად ვარ.

ჯერ იყო და გრიპი მქონდა. არ „ჩავუწექი“ და როგორც გამოირკვა, უსიცხო ფილტვების ანთებაში გადამეზარდა, როცა ძალიან დავსუსტდი, „ვიკადრე“ ექიმებთან მისვლა. დამჩხვლიტეს ნემსებით, გამჭყიპეს ანტიბიოტიკებით, ხუთი დღე საავადმყოფოში მჯიჯგნეს (დიღომი) და გამომიშვეს.

გამომიშვეს, მაგრამ ლადო ასათიანისა არ იყოს, „ფილტვების მხრივ არავითარი გაუმჯობესება არ მიმიღია“.

უკვე მაისია. თებერვლიდან ავად ვარ. მახველებს და ღამღამობით მაოფლიანებს, საქართველოში ჩემი მომრჩენი ექიმი, ჩანს, არ მოიძებნება, ვერ მომიხსნეს გრიპოზული მდგომარეობა და ოფლიანობა-ხველება, ხან ანთების ნარჩენი მოვლენებიაო, ხანაც ალერგიას დააბრალეს. წამლები კეთილსინდისიერად ვსვი, მაგრამ ამაოდ. დღეიდან ყველა წამალი გადავყარე. გადავასუფთავე ჩემი მაგიდა. მარტო სუფთა ქაღალდები დავტოვე და შევუდექი უწამლო ცხოვრებას. ვნახოთ როგორ წავა საქმე. სიკვდილისა სულაც არ მეშინია. მაგრამ არა მგონია, სიკდვილი ჩემთან ასე გველურად, მოპარვით მოვიდეს.

ჩემი ავადმყოფობა რა მოსატანია, მამაჩემია ძალიან ცუდად. ორი თვის წინ ოთხმოცდარვა წლის კაცს ინსულტი დაემართა. სისხლის ჩაქცევამ დამბლა გამოიწვია. ცნობიერებაც დაებინდა. თავის ოთხი შვილის ჩამოთვლა უჭირდა. იტყოდა: ნათელა, რეზო... და გაჩერდებოდა, გოგი და ბორისი აღარ ახსოვდა. დავახვიეთ ექიმები. განსაკუთრებული პატივი რომა შაქარაშვილმა მცა. ამ ათიოდე დღის წინ, როგორც იქნა, გამოვაბრუნეთ, ფეხზეც წამოვაყენეთ, მაგრამ რომელიღაც ანტიბიოტიკმა კვინკეს შეშუპება დამართა და უმძიმეს დღეში ჩავარდა.

მერე ყელი შეუშუპდა და ნერწყვსაც ვეღარ ყლაპავს.

ასე რომ, 2003 წელი ძალიან ცუდად დაიწყო ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის.

კონსტანტინე გამსახურდიას 110 წლისთავი ვიზეიმეთ. „მწერლის გაზეთის“ სპეციალური ნომერი მივუძღვენით.

პარლამენტში ისევ რიარიაა, ეროვნული რეკვიზიტის კანონზე მე და გურამ შარაძე ერთმანეთს დავეჯახეთ. ვერ დავარწმუნე, რომ თუ ევროპული მოდელი (ყველას ავტოქტონური ერის ეროვნება ჩავუწეროთ) არ მივიღეთ, საქართველო სეპარატისტთა საიერიშოდ გადაიქცევა.

23 მაისს თამაზ წივწივაძემ გამოაცხადა რევაზ მიშველაძე მწერალთა კავშირის წევრად აღდგენილიაო.

შევრიგდით, როგორც იქნა. ინიციატივა ჩემგან წამოვიდა „ქიშპი და გათიშულობა არას მოგვიტანს, მწერლებმა უნდა მივცეთ საქართველოს გაერთიანების მაგალითი-მეთქი“. დავწერე ჩემს გაზეთში, აიტაცა თამაზმა და მწერალთა კავშირს ჩამოარეცხა ის სირცხვილი, რაც დამართა ზოგმა სულსწრაფმა კოლეგამ ჩემს გარიცხვას რომ ხელი აუწია.

მაშ ასე, გამრიცხეს 2001 წლის 1 ნოემბერს და აღმადგინეს 2003 წლის 23 მაისს.

ჩემი გამრიცხავები „მილოცავენ“. მიპატიებია მათთვის. ისეთივე ენერგიულობით აღმადგინეს თურმე, როგორი ენერგიულობითაც გამრიცხეს.

უცნაურია ბუნება კაცთა.

„დარბაზი“ რასაკვირველია, თავის სიცოცხლეს გააგრძელებს. იგი იქნება ერთგვარი „საბაზო“ კავშირი მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირისათვის.

საერთოდ კი, მწერლობა ერთ მუშტად უნდა შეიკრას საქართველოს საშველად, თუმცა ერთი პირი ვინ მოგვცა, თითქმის ორი წელი გარიცხული ვიყავი მწერალთა კავშირიდან და ერთი (თუნდაც ხუთი მწერლის ხელმოწერით) განცხადებაც არსად დაბეჭდილა. რისთვის გარიცხეთ რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ნომერი პირველი ნოველისტი თანამედროვე საქართველოშიო.

ახლა ერთმა-ორმა დამირეკა, რატომ შეურიგდიო. კუდით ქვა ვასროლინე.

სეირის ნახვა სურდათ, მეტი არაფერი.

რაც მეტად დავკორტნიდით და დავასუსტებდით მე და წივწივაძე ერთმანეთს, მათთვის როგორც ჩანს, მეტი სიამოვნება იყო.

ასეა, არასრულყოფილი არსებაა ადამიანი.

არასრულყოფილი რომ არ იყოს, რა აყურებინებს ხარისა და ადამიანის ორთაბრძოლისთვის ტორეადორის არენაზე.

2/VI – 15/VII 2003

გრიპმა, როგორც იქნა, უკვალოდ გამიარა.

ომარ გოცაძემ (წივწივაძის მეგობარი) თავის ოჯახში ჩვენი შერიგების პურ-მარილი გაშალა.

სუფრას ვუსხედით: მუხრან მაჭავარიანი, როინ მეტრეველი, რამაზ ხუროძე, თამაზ წივწივაძე, თემურ ხუროძე, ელიზბარ ჯაველიძე, როლანდ გილიგაშვილი, რამაზ ხეცურიანი, გურამ ქარქაშაძე და მე.

კეთილი, ვაჟკაცი, უანგარო კაცია ომარ გოცაძე.

მწერალთა კავშირის თანამშრომლები ჩემს გამოჩენას ცრემლით და სიხარულით შეხვდნენ.

ყველას შევურიგდები ერთის გარდა: ჯემალ დავლიანიძე ჩემს ბარობაზე ფეხს ვერასოდეს დაადგამს.

სოსო სიგუას ვაჟის – არჩილის ქორწილზე ვითამადე.

23 ივნისიდან 27 ივნისამდე საქართველოს პარლამენტის დელეგაციის წევრის სტატუსით ისრაელს გახლდით.

დელეგაცია: ნინო ბრუჯანაძე (ხელმძღვანელი), წევრები მაია ნადირაძე, გია ბარამიძე, რევაზ მიშველაძე, ჯემალ აჯიაშვილი.

ისრაელი – ისტორიულ ადგილთა მონახულების ჩემი უკანასკნელი ოცნება იყო.

სამი რელიგიის სამშობლო – იერუსალიმი საოცრებაა თავისი მიწისქვეშა და მიწისზედა ტაძარ-მეჩეთებით.

ჯვრის მონასტერში რუსთაველის ფრესკას ვემთხვიე.

იოანე დამასკელის და მაქსიმე აღმსარებლის ფეხებთან „მოკალათებულა“ შოთა რუსთაველი – უპირველესი მწერალი დედამიწის ზურგზე და პირველი ნომერი ქართველი.

თავისი თავი თვითონვე მიუხატავს გენიალურ მოხუცს კედელზე.

2 მილიარდად შეაფასეს ბერძნებმა ქართველთა მონასტერი.

მოგვეცით 2 მილიარდი დოლარი და თქვენი იყოსო, გვითხრეს.

გაფცქვნილ საქართველოს 2 მილიარდი ვინ მიაშავა.

28 ივნისს დავბრუნდი იერუსალიმიდან და 4 ივლისს მამა გარდამეცვალა.

წავიდა... ჩემს ხელებში დალია სული 88 წლის ჩემმა მამიკომ – ავქსენტი მიშველაძემ.

სუფთად, ვაჟკაცურად იცხოვრა.

აჩიკოს ტრაგედია რომ არა, უბედნიერესი კაცი იყო.

ნიჭიერი, ლამაზი, მსმელი – მოქეიფე და მოარშიყე. მეტი რა უნდა კაცს?

10 ივლისს დავკრძალეთ.

„არაგვში“ ქელეხზე ზღვა ხალხი მოვიდა.

ახლა ვიგრძენი ობლობა 63 წლის ბებერმა.

მე ხომ მამაჩემს მივურბენინებდი ყოველთვის ჩემს პირველ წიგნს.

ჭარმაგ კაცსაც მამაჩემი მარიგებდა და მამხნევებდა.

ახლა – 83 წლის დედაჩემი უფრო მეცოდება.

წუხელისო, მამაჩემის გარდაცვალების მეორე დღეს გვითხრა, მთელი ღამე ჩამესმოდა აქვსენტის ხმაო. „თინა, თინა! რამ დაგაძინა შე ქალო! წყალი მომაწოდე, გამიშრა პირიო!“

შევარდნაძემ თანაგრძნობის ბარათი გამომიგზავნა მამის გარდაცვალების გამო.

დაკრძალვაზე ჩვენს სახლთან სიცხის მიუხედავად, როგორც მითხრეს, დიდი რიგი იდგა. არ დამავიწყდეს:

მსახიობმა პავლე ნოზაძემ და მე „ქართული ნოველის თეატრი“ დავაარსეთ.

თეატრმა პირველი წარმოდგენა მცხეთაში გამართა.

სპექტაკლს ერქვა „საუკუნის კაცის აღსარება“, ჩემი რამდენიმე ნოველა ერთ მძივზე ავაგე და შევეცადე მაყურებლისთვის მომეთხრო XX საუკუნეში ქართველი კაცის ცხოვრების შესახებ.

სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა.

ესწრებოდნენ კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე, გუბერნატორი არმაზ შამანაური, მცხეთის მაჟორიტარი ბადრი ხატიძე, რომან რურუა, თამაზ გიორგაძე და სხვები.

ტელევიზიამ და პრესამ ფართოდ გააშუქა სპექტაკლი.

ეს მოხდა 3 ივლისს, ხოლო 4 ივლისს მამა გარდამეცვალა.

ასე ჩამმწარდა ახალი თეატრის დაბადების სიხარული.

16.VII – 1.IX 2003

19 ივლისს ბათუმს ვესტუმრე.

ჩემი მეგობარი იური ბიბილეიშვილი დამხვდა.

დიდი პატივი მცა.

იმ საღამოსვე ასლან აბაშიძემ მიმიღო.

მადლობა მითხრა, იური ბიბილეიშვილს წიგნზე „ლიდერი“ - წინასიტყვაობის დაწერისთვის.

რა მშვენიერი წინასიტყვაობაა, მე ამდენი ქების ღირსი არა ვარო.

შევბედე ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სათხოვარი ხელფასების მომატების შესახებ.

მაშინვე გასცა განკარგულება და 117 მეცნიერ მუშაკს ხელფასი გაუსამმაგა.

გაგიჟდა იური სიხარულით, შენაო, ყოვლისშემძლე ყოფილხარო. მე ცხრაჯერ ვთხოვე, მაგრამ არ გააკეთაო.

ღამის ორ საათამდე სასტუმრო „კორტების“ აივანზე ვისხედით. მაგულის იგონებდა და თან ცრემლს ღვრიდა.

არ მეგონა, თუ ასლანი ასეთი სენტიმენტალური იყო.

სალფეთქებზე დაწერილი ჩემი წერილებიც კი („მაგული, დღეს დამაგვიანდება, სადილად არ მელოდო“) შეუნახავსო.

ნეტავ ერთი ლექსი მის სიცოცხლეში დამეწერაო.

ვერ მოვუარეო.

ეგ იყო ჩემი გამწონასწორებელი, თორემ მე ბრაზიანი ვარო.

ცხვირსახოცი ამოიღო, ეს მაგულის მიერ გაუთავებული ბოლო ცხვირსახოციაო და იტირა.

25 ივლისს მწერალთა კავშირში ლაშა გახარიას წიგნის პრეზენტაცია ჩავატარეთ.

სამოცს მიტანებულმა ლაშამ, რომელსაც ყელის კიბო აქვს (ღმერთმა გადაარჩინოს), როგორც იქნა, პირველი წიგნი გამოსცა.

ჭეშმარიტი, ხალასი პოეტია.

სიტყვა შევაწიეთ წივწივაძემ, ვალერი ასათიანმა, ტაგუ მებურიშვილმა, ლია ნადარეიშვილმა, მზია ხეთაგურმა... და მე.

მწერალთა ბაღში ჩატარდა პრეზენტაცია.

უეცრად საშინელი თქეში დააცხრა თბილისს.

წვიმდა კოკისპირულად.

ესეც პოეტური იყო.

7 აგვისტოს წყნეთში პოეზიის დღესასწაული გაიმართა.

ორმოცამდე გამოჩენილმა პოეტმა მიიღო მონაწილეობა.

დღესასწაულის ორგანიზატორებმა მთხოვეს, მწერალთა კავშირის სახელით მე გამეხსნა ეს დღესასწაული.

აფიშაზე ასეც დააწერეს: „საღამოზე შესავალ სიტყვას წარმოთქვამს რუსთაველის პრემიის ლაურეატი რევაზ მიშველაძე“.

კარგად ჩაიარა.

დღესასწაულის მონაწილეებს ჩემი სამტომეული გადავეცი საჩუქრად.

ორმოცდაათი სამტომეული წავიღე მანქანით, მაგრამ მაინც არ მეყო.

მოდიოდნენ, მთხოვდნენ; ბატონი რეზო მე არ შემხვდაო.

კიდევ კარგი, რომ ჩემი წიგნები ვიღაცას უნდა ამ დაქცეულ საქართველოში. წიგნზე გამახსენდა: გამოვეცი ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილების კრებული „არ უნდა მეთქვა?“

უკანასკნელი 2-3 წლის განმალვობაში დაწერილ წერილებს მოვუყარე თავი.

პოლემიკა, რასაკვირველია, არ შევიტანე.

ვცდილობ სამუდამოდ დავივიწყო ის საშინელი სიზმარი, რასაც წივწივაძესთან ჩემი პაექრობა – ომი ერქვა.

რა სულმდაბლები, რა მშიშრები, რა პატარა კაცუნები ყოფილან მწერლები (თითო-ოროლა გამონაკლისს არ ვგულისხმობ).

სისხლის გეში რომ აიღეს, როგორ დაჯარდნენ და დაირაზმნენ ჩემს წინააღმდეგ.

ასე მოხდა 37-შიც.

ტიციანი, პაოლო, ჯავახიშვილი – მწერალთა შურმა და ბეზღმა დაღუპა.

ნუ ცდილობენ ისტორიკოსნი ყველაფრის ბერიაზე გადაბრალებას.

მხვდებიან ახლა მწერალთა კავშირში ჩემი გულნამცეცა მტრები.

ზოგი „ცალყბად“ მილოცავს დაბრუნებას. ზოგი სახეს შეაბრუნებს, ვითომ ვერ დამინახა.

რა პირით უნდა ჩამომართვან ხელი.

შიო ცეკავშირის სახელმწიფო ინსტიტუტის კოლეჯში ჩარიცხეს.

კარგი ინსტიტუტია – მკაცრი დისციპლინით. ვფიქრობ, კარგად ისწავლის.

ამ წელს დასვენება ვერ მოვახერხე.

მუხაწყაროში ვიყავით ერთი კვირა – ეს იყო და ეს.

შიო ჩემზე მაღალია. მომესწრო.

მანქანის მართვას ვასწავლი, ნელ-ნელა შიგა და შიგ.

პარლამენტის სხდომები მთელი ზაფხული გრძელდებოდა.

მთავარი საკითხი ბიუჯეტის სეკვესტრი და საარჩევნო კოდექსის დამტკიცება იყო.

სეკვესტრს, რასაკვირველია, მხარი არ დავუჭირეთ.

ამის გამო შევარდნაძემ და ჯორბენაძემ „მაგრად ათრიეს“ პარლამენტი.

ნინო ბურჯანაძე საბოლოოდ გადავიდა ოპოზიციაში და, როგორც მოსალოდნელი იყო, ჟვანიასთან გაერთიანდა.

რაც შეეხება საარჩევნო კოდექსს, დავამტკიცეთ, მაგრამ ფრიად ნაკლულოვანია.

მაგალითად, ახალი საარჩევნო კოდექსით ამ არჩევნებში (2003 წლის 2 ნოემბერი) აუცილებელი არ არის საქართველოს პარლამენტის წევრმა ქართული ენა იცოდეს.

ბევრი ვიყეფე პლენარულ სხდომებზე: მითხარით აბა, სად, რომელ ქვეყანაში აირჩევენ პარლამენტის წევრად მოქალაქეს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის-მეთქი, მაგრამ ყური არავინ მათხოვა.

მაინც ისე დაამტკიცეს, როგორც სურდათ.

აგვისტო მიიწურა და ჯერ კიდევ არავინ იცის, ვინ იქნება „აღორძინების“ სიაში მომავალი პარლამენტის წერვობის კანდიდატად. გასაიდუმლოებულია.

ჩემს საქმედ მიმაჩნია ცენტრსა და აჭარას შორის ურთიერთობის დათბობისთვის ხელისშეწყობა. რასაც, როგორც შემეძლო, ვაკეთებდი ამ ოთხი წლის განმავლობაში.

ვიქნები თუ არა მომავალ პარლამენტში დიდად არ მანაღვლებს.

რევაზ მიშველაძეს თავისი ბეჭედი, თავისი სახელი და გვარი აქვს, რაც ყველგან თან გაჰყვება.

საამქვეყნო სახელისუფლებო პატივი დიდად არ მეპიტნავება.

სხვათა შორის, ის უფრო მიკლავს გულს, რომ პარლამენტის წევრი ვარ და ბევრს ვერაფერს ვშველი ამ ქვეყანას.

შევარდნაძემ თავისი მაინც ჰქნა – რუსეთს კვლავ დაუმონა საქართველო.

გაზი და ელექტროენერგია რუსეთის ფირმებს დაუქვემდებარა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ენერგიის საჭე რუსეთის ხელშია. მცირე „ურჩობის“ გამომჟღავნების შემთხვევაში გამოგითიშავს რუსი გაზს და სინათლეს.

ეს კი, რასაც ნიშანვს, ყველას კარგად მოეხსენება.

ვიყვირე პარლამენტში: რას ჩადიხართ? ეს ხომ დამოუკიდებლობის დაკარგვაა-მეთქი, მაგრამ ყური არავინ გაიბერტყა.

არავითარი დემონსტრაციები... არავითარი პროკლამაციები, საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის გამო...

ქვეყანას კვლავ სძინავს.

9 აგვისტოს მამაჩემის ორმოცი გვქონდა.

დედაც ძალიან ცუდად მყავს...

2.IX – 26. X. 2003 წ.

საქართველოში საარჩევნო ციებ-ცხელებაა.

ქართული ფენომენი არ იცნობს საარჩევნო მარათონს.

ისტორიულად ჩვენთან არჩევნები არ ტარდებოდა, მეფე განაგებდა ყველაფერს.

მეოთხეჯერ ვატარებთ პარლამენტის არჩევნებს და, რაც დრო გადის, უფროდაუფრო ველურ ფორმას იღებს.

თითქოსდა მთელ საქართველოს პარლამენტში უნდა მოხვედრა.

თავ-პირს ალეწავენ ერთმანეთს „მოქიშპე“ პარტიათა „ყოჩაღი ბიჭები“.

ქართველები ქართველებს ისე გამეტებით ურტყამენ, ისე „ერთგულად“ რომ აფხაზეთში გვებრძოლა, სამარცხვინოდ არ დავმარცხდებოდით.

მითხრეს, პარლამენტის წევრობა 200 ათასი დოლარი ღირსო.

სრულიად ბუნებრივია, მე უკაპეიკო (კიდეც ისედაც რომ მქონდეს, ვინ

გამიბედავს ფული მომეციო და ან რად მინდა ფულით ნაყიდი პარლამენტარობა) არავითარი პრეტენზია არა მქონდა ხელმეორედ არჩევის.

არ დავმალავ, თუ ამირჩევდნენ, უარს თუნდაც იმიტომ არ ვიტყოდი, რომ დაწყებული საქმეები მსურდა ბოლომდე მიმეყვანა. როგორმე გამეტანა ეროვნული კანონები (ეროვნული რეკივზიტის, რელიგიის, ქართული ენის და ა.შ.).

განსაკუთრებით ენერგიულობდნენ „აღორძინების“ სიის შედგენის დროს ჩემი პაწაწინა მტრები.

რევაზ მიშველაძის ყოფან პარლამენტში მათ ხელს არ აძლევდა. ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ძნელად აღსაზრდელი ვარ და ამ ორი პირწავარდნილი კარიერისტის ბნელ საქმეებში არ ვმონაწილეობ.

მითხრეს, შეადგინეს წინასწარი სია და ქუჩიდან თავიანთი სუფრის თანამეინახენი (პოლიტიკასთან რომ არავითარი შეხება არა აქვთ) შეიყვანეს და კიდევ ერთი-ორი ის „ფულის ტომარა“, ვისგანაც ხელიც გვარიანად მოითბესო.

ასეთ მგლურ ვითარებაში ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, როცა „აღორძინების“ დეპუტატობის კანდიდატთა შორის აღმოვჩნდი და ისიც გამსვლელ მე-16 ნომრად.

როგორც მითხრეს, ასლან აბაშიძეს უმარჯვია. უთქვამს მიშველაძე სხვა კაცია, მის სიტყვას ფასი და წონა აქვს, ამიტომ უსათოუდ უნდა დარჩეს პარლამენტშიო.

შემოეყრებოდათ გულზე ჩემს „მეგობრებს“.

ხარაგაულში ჩავედი. უამრავი ამომრჩეველი დიდი სიყვარულთი შემხვდა.

ვერ წარმოვიდგენდი, ასე თუ ვუყვარდი ხარაგაულს.

დავარიგე ჩემი წიგნები და ყველა სკოლას საჩუქარიც მივართვი ქართველ კლასიკოსთა სურათები.

ეს იყო ის მცირე ნობათი, რაც გამაჩნდა.

...ბათუმში ახალგაზრდები ჩავიდნენ ტრანსპარანტებით ხელში „აჭარა უასლანაბაშიძეოდ“.

როგორც ტელევიზიამ უჩვენა, „აღორძინების“ აქტივისტებმა ცხვირპირი დაალეწეს დავითაშვილს და ბერძენიშვილს.

საერთოდ მე პოლიტიკაში ცემა-ტყეპნის მომხრე არა ვარ და ორივე მხარეს ვამტყუნებ.

არც სტუმრად მოსული კაცის გამეტება შეიძლება და სტუმარმაც უნდა იცოდეს, რომ მასპინძლის შეურაცხყოფა არ უნდა იკადროს.

27.X – 18.XI. 2003 წ.

ქუთაისში ავთანდილ ნიკოლეიშვილის ინიციატივით ლიტერატურისმცოდნეთა პირველი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის თემა იყო „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება“. თბილისიდან ვმონაწილეობდით ამირან გომართელი და მე.

კიდევ ერთხელ მოვიხილე და მოვისიყვარულე ჩემი ქუთაისი, გალაკტიონის ჭყვიში რიონისპირა პატარა ქოხი, სადაც მეოცე საუკუნის უპირველესი პოეტი დაიბადა. 2 ნოემბერს კვლავ ამირჩიეს პარლამენტის წევრად.

3 ნოემბრიდან თბილისში და მთელ საქართველოში ერთდროულად დაი-

წყო ხელისუფლების საწინააღმდეგო დემონსტრაცია-აქცია ლოზუნგით „გადადგეს შევარდნაძე!“

გამუდმებულ მიტინგებს ხელმძღვანეობდნენ სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე.

ოცდაათი ათასზე მეტი შევარდნაძეზე განაწყენებული მოქალაქე გამოვიდა რუსთაველის პროსპექტზე.

ეს ხომ ერთხელ უკვე იყო.

გარედან მართულმა ეგზალტირებულმა ბრბომ დაამხო ზვიად გამსახურდია, რასაც საქართველოს დაქცევა მოჰყვა.

ის იარა ერს ჯერკიდევ ვერ მოუშუშებია და აი, ახალი სამოქალაქო ომის საფრთხი სწინაშე ვდგავართ.

მალე ერთმანეთს დაჭამენ პრეზიდენტის სკამისთვის.

არ შეიძლება მიტინგით პრეზიდენტის გადაგდება.

არავითარი სურვილი არა მაქვს ჩამომხრჩვალი (როგორც ჩაუშესკუ) შევარდნაძე ან ფეხით გათელილი ჟვანია ვიხილო.

არ შეიძლება ქართველები პოლიტიკური ამბიციების გამო ერთმანეთს დავერიოთ.

19.XI – 23.XI

ჩემი შიში გამართლდა, 21 ნოემბერს ქუთაისში გახლდით. უნივერსიტეტში ლექცია წავიკითხე და თბილისში რომ ვბრუნდებოდი, სურამის უღელტეხილთან წამოვეწიე, დაახლოებით ოციათასკაციან მსვლელობას (ავტობუსებით, მიკროავტობუსებით, მსუბუქი მანქანებით).

ეს იყო ლაშქრობა თბილისისაკენ შევარდნაძის დასამხობად.

იმსახურებს თუ არა შევარნაძე გადაგდებას?

რასაკვირველია, იმსახურებს.

ამ პრეზიდენტის გზა დანაშაულებით არის სავსე.

დაამხო ეროვნული ხელისუფლება (ზ. გამსახურდია).

წამოიწყო პროვოკაციული ომი და სამარცხვინოდ წააგო.

საქართველოს დააკარგვინა აფხაზეთი და სამაჩაბლო (24 ათასი კვ.კმ.) და მერე თითი-თითზე არ დააკარა აფხაზეთის და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად.

გააბატონა თავისი ნათესაობა და საქართველო დატოვა 14 ლარი პენსიის იმედად.

ხალხს დააკარგვინა სახელმწიფო ბანკში შეტანილი ანაბრები და ფულის ანაზღაურებაზე სამი თითის კომბინაცია უჩვენა.

წამოიწყო სულელური პოლიტიკა ნახევრადპრორუსული და ნახევრადპროამერიკული, რითაც ვერც ამერიკის გული მოიგო და ვერც რუსეთის.

საქართველო გადააქცია ე.წ. „ინტერნაციონალურ ლაბორატორიად“, სადაც გაუქმებულია ეროვნება „ქართველი“ და ყოველ მხრივ ხელი შეუწყო უცხო თესლის მომრავლებას ქვეყანაში, რის გამოც დღეს საქართველოში ქართველი (ანუ ავტოქტონური) ერი მხოლოდ 46 პროცენტია.

ამ ბოლო დროს საქართველოს ენერგორესურსები რუსეთს მიჰყიდა და ენერგოსისტემის მართვა რუსეთს ჩააბარა.

ქვეყანა ჩაიფლო კორუფციის ჭაობში და რაკიღა კორუფციას ძირითადად მისი კლანის ბობოლები ეწევიან ქვეყანაში დაამკვიდრა დაუსჯელობის სინდრომი.

საქართველო აღარ არის სამართლებრივი სახელმწიფო, არავინ არაფერზე პასუხს არ აგებს.

და ბოლოს უსინდისოდ გააყალბა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები. ხმის მიცემის უფლება წაართვა ათიათასობით მოქალაქეს საარჩევნო სიაში შეუტანლობით.

ყოველივე ამისთვის შევარდნაძე ღირსია დაატოვებინონ პრეზიდენტის პოსტი, ეს არის ჩემი ღრმა რწმენა, მაგრამ იმაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველა რევოლუციას ნგრევა და ქაოსი მოაქვს.

22 ნოემბერს ახალარჩეული პარლამენტის წევრები გამოვცხადდით პირველ სესიაზე.

ჯერ კვორუმი არ შედგა. ხუთის ნახევარზე მოვიდნენ „ახალი მემარჯვენეები“ და სესია დაიწყო.

როგორც მოსაოდნელი იყო, არ ესწრებიან მხოლოდ „ნაციონალისტები“ და „ბურჯანაძე-დემოკრატები“.

შემოსასვლელში პირველი არხის ტელევიზიას ინტერვიუ მივეცი. ვთქვი, რომ ვშიშობ, არ გაჩაღდეს ახალი სამოქალაქო ომი, ამიტომაც ჩემს პირველივე სიტყვაში საქართველოს შერიგებისკენ და გამთლიანებისკენ უნდა მოვუწოდო-მეთქი.

მანამდე ორჯერ გამოვედი პარლამენტის წინ მიტინგზე და ვთქვი: არ შეიძლება პარლამენტის წინ გაუთავებელი მიტინგები, მოვუწოდებ პოზიციას და ოპოზიციას შეწყვიტოთ ცენტრალურ მოედანზე სერობა და მიტინგები გადავიტანოთ იპოდრომზე, ან დინამოს სტადიონზე-მეთქი, ამ გამოსვლის გამო ორივე მხარე მაკრიტიკებდა.

ვის უნდა თურმე დამშვიდდეს და დაწყნარდეს თბილისი.

რა გვინდა იპოდრომზეო, გაჰყვიროდნენ ექსტაზში შესული მომიტინგენი.

სანამ სესია დაიწყებოდა, „რუსთავი-2“-მა უჩვენა როგორ შეცვივიდნენ სახელმწიფო კანცელარიის მოედანზე მომიტინგენი.

სესია რომ დაიწყო, ჩემს გვერდით მჯდომ ჰამლეტ ჯიპაშვილს ჩავულაპარაკე თხუთმეტ წუთში ამ დარბაზშიც შემოიჭრებიან, ნეტავ შერიგების ორიოდე სიტყვის თქმას მაინც მოვასწრებდე-მეთქი.

ჰამლეტს გაელიმა. რა გულუბრყვილო ხართ, ბატონო რეზო, პარლამენტის სხდომაზე შემოჭრას ჯერ ერთი სახელმწიფო დაცვა არ დაუშვებს. ეს ხომ სისხლის სამართლის დანაშაულიაო.

ზუსტად იმ ვადაში, რაც მე ვთქვი, შემოსასვლელთან ჩოჩქოლი ატყდა და უეცრად ქარიშხალივით შემოიჭრნენ მომიტინგეები. პრეზიდენტი მაინც განაგრძობდა გამოსვლას.

მივედი და შევძახე: შენი ბრალია ეს ყველაფერი, ბატონო პრეზიდენტო, არ შეწყვიტო სიტყვა-მეთქი.

შემომხედა და თავი დამიქნია.

შემეცოდა ადამიანურად.

პრეზიდენტი, მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა, დაცვამ ხელში აყვანილი გააშორა ტრიბუნას.

მალე ტრიბუნაზე აიჭრა ნინო ბურჯანაძე და გამოაცხადა, რომ კონსტიტუციის თანახმად ხელში იღებს ძალაუფლებას.

ზოგიერთ პარლამენტარს მაგრადაც მოხვდა, განსაკუთრებით აგრესიას ამჟღავნებდნენ მომხვდურნი რჩეულიშვილის, გოგიტიძის და სხვათა მიმართ.

ჩემზე ხელის აღმართვა არავის უკადრებია. შეშინებული ჩემი ცოლი პარლამენტში მოვარდა ჩემს გადასარჩენად. ყოჩაღ ნათელა!

მშვიდად გამოვედი პარლამენტის შენობიდან და შინ დავბრუნდი.

შევარდნაძე კრწანისის რეზიდენციაში დაბრუნდა და საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

გვიან ღამით თბილისში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ივანოვი ჩამოვიდა.

იგი შეხვდა ექსტრემისტ ლიდერებს.

ორი საათი ესაუბრა მათ და მერე უკომენტაროდ დატოვა პარლამენტის შენობა.

23 ნოემბერი. გიორგობის დღესასწაული.

სააკაშვილი დილიდანვე მოუწოდებს მომიტინგეებს, რომ პირველ საათზე მთელი საქართველო უნდა მოგროვდეს პარლამენტის წინ, რადგანც 23 ნოემბერი რევოლუციის გამარჯვების გადამწყვეტი დღეა.

აჯანყებულებმა წუხელის გვიან ღამით აიღეს სახელმწიფო კანცელარია, გამოიტანეს და დაწვეს შევარდნაძის სავარძელი.

ვიმეორებ, ქაოსისა და ნგრევის მომხრე არ ვარ, მაგრამ შინაგანად, ჩემი პოზიციით აშკარად სააკაშვილის მხარეს ვარ.

მიტინგზე აცხადებენ, რომ პოლიციელები და შინაგანი ჯარის მეთაურები ერთიმეორის მიყოლებით გადადიან მეამბოხეთა მხარეს, რაც შევარდნაძეს საშუალებას არ მისცემს განახორციელოს საგანგებო მდგომარეობა.

პირველ საათზე სააკაშვილმა გამოაცხადა, რომ შევარდნაძემ სააკაშვილის, ჟვანიას და ბურჯანაძის დაპატიმრების სანქცია გასცა.

შევარდნაძეს გადაუდგა პირველი არხი. შევარდნაძემ საგანგებო მდგომარეობა გააუქმა.

ორ საათზე პარლამენტის წევრებს დაგვირეკეს, რომ კრწანისის რეზიდენციაში მოწვეულია ახალარჩეული პარლამენტის საგანგებო სხდომა.

მისვლაზე ცივი უარი განვაცხადე, დამრეკავს ვუპასუხე, რომ მე ვარ საქართველოს პარლამენტის წევრი და სხდომაზე მივალ მხოლოდ პარლამენტის შენობაში. არავითარი სურვილი არა მაქვს შევარდნაძის დაცვის კამპანიაში მივიღო-მეთქი მონაწილეობა.

მოგვიანებით მირეკავს ნინო ბურჯანაძის სახელით დათო შანიძე.

ბატონო რევაზ, თქვენ თანამედროვე ლიტერატურის კლასიკოსი ბრძანდებით და ქ-ნ ნინოს თქვენი მხარდაჭერის იმედი აქვსო.

ვუპასუხე, გადაეცით ნინოს ჩემი სალამი და კეთილგანწყობა, ნინო ქუთაისში ჩემს თვალწინ გაიზარდა. ვიცი მისი ღრმა განსწავლულობა და ობიექტურობა. მე მას როგორც პარლამენტის წევრი ვახლდი აზერბაიჯანში და ისრაელში და არაერთგზის ვთქვი (და დავწერე კიდეც) რომ ნინო დიდი ნაოსნობისთვის მზად მყოფი პოლიტიკოსია-მეთქი,

მაგრამ აქვე ვთხოვ, არ დაუშვას ნგრევა და ანარქია.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ორჯერ წავიდ-წამოვიდა კრწანისის რეზიდენციასა ად პარლამენტს შორის, ასრულებდა თითქოსდა შუამავლის

როლს, ბოლოს, საღამოს სააკაშვილს და ჟვანიას შეუძღვა შევარდნაძესთან, დატოვა ისინი შევარდნაძის კაბინეტში, თვით კი ბათუმს გაფრინდა.

ორი საათის შემდეგ შევარდნაძემ გამოაცხადა, რომ ოპოზიციის ლიდერებთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტა გადადგეს პრეზიდენტის პოსტიდან.

მეო, შემეძლო თავი დამეცვა, ჩემს ხელთ არსებული ყველა საშუალებით, მაგრამ ამას არ ვაკეთებ, რადგანაც სისხლი დაიღვრებაო.

შევარდნაძის ამ ნაბიჯმა მისადმი სიბრალულით განაწყო პრეზიდენტისადმი სიძულვილით განმსჭვალული სააკაშვილი და ჟვანიაც კი.

ორივემ განაცხადა, რომ მიესალმებიან პრეზიდენტის ამ გონივრულ ნაბიჯს და მისცემენ მას რა უსაფრთხოების გარანტიას, შეუქმნიან ყოველგვარ პირობებს, რომ თავისუფლად იცხოვროს და იმუშაოს საქართველოში.

პრეზიდენტის გადადგომიდან ხუთი წუთის შემდეგ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება ხელთ აიღო ნინო ბურჯანაძემ და გამოაცხადა, რომ 45 დღის განმავლობაში ვალდებულია დანიშნოს პარლამენტის ხელახალი და პრეზიდენტის არჩევნები.

მთელი ღამე ზეიმ-ბრაციბრუცობდა პარლამენტის წინ შეკრებილი ხალხი.

ყველა დარწმუნებულია, რომ ზეგიდან დავიბრუნებთ აფხაზეთს და სამაჩაბლოს, ხოლო მაზეგ ქუჩებში დაზვავდება დოვლათი, ხოლო ონკანიდან წყლის ნაცვლად რძე წამოვა.

სამწუხაროდ, არ მოხდება ასე.

ჟვანიამ მიტინგს რომ განუცხადა, ჩვენი მიზანი მიღწეულია და ახლა დაუბრუნდით თქვენს სახლებს, იცხოვრეთ თქვენთვის ჩვეული წესითო, ხალხი შეცბა და შეჩოჩქოლდა. ადგილიდან არავინ დაძრულა.

როგორ, სულ ესაა, რაც შევარდნაძის გადაგდების შედეგად მივიღეთო?

ჩემთვის პირადად მთელს ამ ორომტრიალში ყველაზე სასიამოვნო ის გახლავთ, რომ შევარდნაძე, კაცი, რომელიც ყელში ამოუვიდა მთელს საქართველოს, რომელმაც დანგრევამდე მიიყვანა ქვეყანა, როგორც იქნა მოშორდა სახელმწიფოს სკამს და მეორე: საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია ორ სკამზე ერთდროულად ჯდომას ასცილდება და დაადგება ჩემთვის ფრიად სასურველ კურსს.

შიში რისი მაქვს? ქვეყანაში არ დაიწყოს რევოლუციის შედეგების გამო გულგატეხილთა ახალი მოძრაობა. არ გაჩაღდეს ანარქია, დაცემა, ქურდობა. არ დაიწყოს ანგარიშსწორებანი, რაც საპასხუო რეაქციას გამოიწვევს და რაც მთავარია, არ დავკარგოთ აჭარა.

ეჭვი მეპარება, რომ ასლან აბაშიძე, სააკაშვილთან ითანამშრომლებს, რამაც შეიძლება ჩოლოქთან საზღვრის ჩაკეტვა და აჭარის იზოლირება გამოიწვიოს. ცუდად მენიშნა ის გარემოებაც, რომ იგორ ივანოვი ბათუმში გაფრინდა.

ვნახოთ, რა მოხდება. მე როგორც მწერალი და როგორც პარლამენტარი, ძველებურად ჩემს საქმეს ვუერთგულებ. როგორც აქამდე ვიბრძოლებ ორივე ნაპირის შესარიგებლად, ვიბრძოლებ საქართველოს გამთლიანებისთვის და ეროვნული ცნობიერების გადარჩენისთვის.

ღმერთმა ქნას, ერის ნებამ გაიმარჯვოს, ღმერთმა ჰქნას, რომ „ჭინჭრაქამ კვერცხი დადოს არწივისა“ (როგორც სულკურთხეული აკაკი იტყოდა).

24.XI – 24.XII 2003 წ.

მოხდენილი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ პარლამენტის ე.წ. თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ აიღო ხელში პრეზიდენტობა და რაკი ახალი პრეზიდენტის არჩევამდე მისი უფლებები შეზღუდულია, ოსტატურად იცილებს თავიდან „სამეულისთვის“ არასასურველ თანამდებობის პირებს.

„კმარა“ არ უფიქრდება იმ ფაქტს, რომ მისმა პატრონებმა ძალით აიღეს ხელში ძალაუფლება და თუ ადრე და მალე სასამართლოს წინაშე არა, უფლისა და ისტორიის წინაშე, როცა იქნება, მაინც წარსდგებიან.

ნინოს დიდი საკადრო ცვლილებების გატარების უფლება არა აქვს, რაკი, მცირე შანტაჟი და, მსხვერპლი „თავისი ნებით“ სტოვებს თანამდებობას.

ასე გაათავისუფლეს (გააგდეს) თითქმის ყველა მინისტრი და ახლა უნივერსიტეტის რექტორს მიადგნენ.

რექტორმა დიდი სამეცნიერო საბჭო შეგვკრიბა და გადადგომა გამოაცხადა. ჩვენ უარი ვთქვით... ნუგზარ ფოფხაძემ თქვა, რომ რექტორის გადადგომა აშკარა ზეწოლის ქვეშ მოხდა.

აჭარამ საზღვრები ჩაკეტა და უარი განაცხადა „სამეულთან“ თანამშრომლობაზე. ეს საშინელებაა. ვინ მისცა ასლანს ამის უფლება.

მომიტინგეებთან მიშა სააკაშვილი მობრძანდა უნივერსიტეტში.

ჯერ რიხით დაიწყო: რა იყო, რაზე შეიკრიბეთო. მე თქვენი ყვირილის არ მეშინიაო, თქვენ თუ 20 ათასი მოხვედით, მე- 100 ათას კაცს მოვიყვან ხვალვეო!

მეო, აქ იმიტომ მოვედი, რომ გამოგიცხადოთ, უნივერსიტეტი დამოუკიდებელია და ბუზსაც ვერავინ აგიფრენთო. მე თვითონვე ვეახლები ამ წუთში რექტორს და დავითანხმებ დაბრუნდესო.

მართლაც, ნახევარი საათის შემდეგ ორივენი (მიშა და როინი) მომიტინგეთა წინაშე გამოვიდნენ და მიტინგიც დაიშალა.

ამასობაში „კონტრრევოლუცია“ გააქტიურდა.

შევარდნაძე გონს მოეგო. დასავლეთის ზოგი გაზეთი წერს – პრეზიდენტს გადადგომის აქტზე ხელი არ მოუწერია, ასე რომ კვლავ პრეზიდენტად ითვლებაო.

საქართველოში ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა პარტიამ – „ლეიბორისტებმა“, რომელსაც შალვა ნათელავშილი ხელმძღვანელობს, უარი განაცხადა „სამეულთან“ თანამშრომლობაზე.

შალვამ სამეულს „პოლიტიკური ბანდა“ უწოდა, ხოლო მომხდარს „სახელმიფო კარის“ გადატრიალება.

„ეროვნულ-დემოკრატებმა“ (ირინა სარიშვილი) განაცხადეს, რომ ისინი არ ცნობენ ნინო ბურჯანაძეს, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, რადგანაც ახალი პარლამენტი თავის პირველ სხდომაზე უკვე შეიკრიბა, ხოლო კონსტიტუციის მიხედვით ახალის შეკრებისთანავე ძველი ავტომატურად წყვეტს არსებობას, ასე რომ ნინო ბურჯანაძე 22 ნოემბრის 4 საათიდან უკვე აღარ იყო პარლამენტის თავმჯდომარე.

ასლან აბაშიძემ განაცხადა, რომ ურთიერთობას წყვეტს ხელისუფლებასთან და „აღორძინების“ სიით არჩეული დეპუტატები გაგვინვია პარლამენტიდან.

სად ვარ მე, - რევაზ მიშველაძე ამ უმძიმეს სიტუაციაში?

რასაკვირველია, არცერთ რევოლუცია-კონტრრევოლუციაში არ ვმონაწილეობდი და არ ვმონაწილეობ!

მე ეროვნული პოზიციის მწერალი ვარ და საქართველოს არსებობის გაგრძელებისთვის ვიბრძვი.

შევეცდები ჩემი ავტორიტეტით, ჩემი ცოდნა-გამოცდილებით ხელი შევუწყო ახალი ხელისუფლების აღზრდას ქვეყნის სასიკეთოდ.

ახლა მთავარზე მთავარია – აჭარა არ დავკარგოთ.

ასლანი მოსკოვშია და ალბათ, სრულიად ბუნებრივია – აჭარის უსაფრთხოების რუსული გარანტიისთვის იბრძვის.

შევხვდი ნინო ბურჯანაძეს.

ნინომ მთხოვა, ბატონო რეზო, გევედრები იქნებ აჭარასთან ურთიერთობის დარეგულირებაში გვიშველოო.

ასლანი გონიერი კაცია. ვფიქრობ ნინოსთან და ზურაბთან ურთიერთობაზე უარს არ იტყვის.

ვნახოთ რა მოხდება.

არასწორად მიმაჩნია პარლამენტისადმი ჩვენი ბოიკოტი. ჩვენ („აღორძინების დეპუტატები“) სწორედ რომ პარლამენტში უნდა შევიდეთ და პარლამენტის მიკროფონიდან ვამცნოთ რა მოხდა და რა გადაარჩენს საქართველოს.

ოთხმა პალამენტარმა (სიგუა, ქაფიანიძე, მაჭავარიანი, ნადირაძე) ფრაქცია XXI საუკუნიდან გასვლა გამოაცხადა. ისინი, სრულიად ბუნებრივია, განაწყენებული იყვნენ იმის გამო, რომ არ აღმოჩნდნენ ახალი პარლამენტის წევრთა სიაში.

ჟურნალისტები ქვეყანას აფრთხილებენ, რომ მოსალოდნელია რევანშისტთა გამოსვლა. შეიძლება „გადამდგართა“ პროტესტს ტერაქტების სერიაც მოჰყვესო...

ამერიკელები უკვე აღარ მალავენ რომ „სამეულმა“ მათი ფინანსურ-მორალური დახმარებით მოახდინა რევოლუცია. ჯერ იყო და ბუშმა დაურეკა ნინოს, მერე ნიდერლანდებში ამერიკის სახელმწიფო მდივანმა კოლდინ პაუელმა სპეციალურად მიიწვია ნინო და ერთი საათი დახურულ კარს მიღმა ესაუბრა. 6 დეკემბერს ამერიკის თავდაცვის მინისტრი ჩამოვიდა თბილისში და საქართველოს ხელისუფლებას სამხედრო თანადგომა გამოუცხადა. აქვე მან მოუწოდა რუსეთს გაიყვანოს თავისი სამხედრო ბაზები საქართველოდან.

დიდი ამბები ხდება.

თუ მართლა ამოაკვეთინეს საქართველოდან რუსეთს ფეხი და აფხაზეთ-სამაჩაბლო დავიბრუნეთ, ისედაც ვარ, მაგრამ ახლა უყოყმანოდ დავდექი „სამეულის“ მხარეზე, თუმცა ეჭვი მეპარება, რომ ეს ასე მოხდება.

ვაი თუ, ამერიკამ და რუსეთმა საქართველო დაინაწილონ: აფხაზეთი-აჭარა-სამაჩაბლო – რუსეთს, დანარჩენი კი ამერიკას..

ეს იქნება ყველაზე დიდი უბედურება საქართველოსთვის, რაც საფლავშიც გადამატრიალებს.

25.XII 2003 – 3.I. 2004 წ.

ასლან აბაშიძესთან მორიგეობით ჩადიან ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ჟვანია და ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი. სურთ, როგორმე დაითანხმონ ასლან აბაშიძე, რომ აჭარამ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა.

რიჩარდ მაილსი ისე მონდომებულია, რომ უკვე აშკარაა, საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება ამერიკამ მოახდინა.

ასლანი ჯერჯერობით უარზეა. იგი არ ენდობა ძალადობით მოსულ ხელისუფლებას და აცხადებს, რომ პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები არაკონსტიტუციურია.

ჩავედით აჭარაში ჰამლეტ ჭიპაშვილი, მიხეილ ოსაძე და მე. შევხვდით ასლან აბაშიძეს.

სამივემ ვურჩიეთ რომ არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა ნიშნავს აჭარის საქართველოს საზღვრებსგარეთ მოქცევას, რასაც ისტორია არ გვაპატიებს. თანაც არა მგონია დღესდღეობით გონივრული იყოს აშშ-თან დაპირისპირება. ამერიკას ისეთი „უჩინარი“ ძალები აქვს, რომ სამიოდე საათში გადმოიტანს თბილისიდან აჭარაში რევოლუციას და თვით „აჭარის მოსახლეობას“ დაამხობინებს ადგილობრივ ხელისუფლებას.

როგორც ჩანს, ჩიტი ხელის აქნევას ელოდა, რაკიღა ბატონი ასლანი იოლად დაგვთანხმდა.

მაშ ასე: არჩევნები ჩატარდება აჭარაში, გაიხსნება საარჩევნო უბნები, ხალხი აირჩევს (ან არ აირჩევს პრეზიდენტს), მაგრამ თვით პარტია „აღორძინება“ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს.

„მე პარტიის ამგვარ „ერთსულოვნებას“ არ ვეთანხმები. რა მოხდა, „აღორძინებასაც“ ჰქონდეს თავისუფალი არჩევის უფლება.

გუშინ სააკაშვილი უნივერსიტეტში გვეწვია. დიდ საბჭოზე ვრცელი სიტყვა თქვა.

სხვათა შორის, განაცხადა: მეო, 36 წლის კაცი ვარ და გაძლევთ პირობას, თუ ამირჩიეს, მეორე ვადით კენჭს არ ვიყრიო, ახლა ხშირად მაკრიტიკებენო, რჩევას ყველასგან არ მივიღებო! რჩევას და შენიშვნას ისეთი პატიოსანი კაცისგან მივიღებ, როგორიც რევაზ მიშველაძეაო. გამიკვირდა. საბჭოდან გამოსულს დერეფანში მიშას ცოლი სანდრა გადამეხვია. მეო, ბატონო რეზო, ძალიან მიყვარხართო, დავუდეთ მიშიკოს შენი სტატია და ვუთხარი, ასე, ეს კაცია შენი კეთილისმსურველი, სწორად გაკრიტიკებს და დაუჯერეო.

ახალ წელს შინ შევხვდით, მე, ჩემი ცოლი, შიო და სოსო ბუხაიძე ვუჯექით სუფრას.

თორმეტი რომ შესრულდა, დედაჩემს მივულოცეთ.

ცუდად არის დედა.

წელს პირველად შევხვდი ახალ წელს უმამაჩემოდ.

ცრემლი გვანვებოდა მთელ ოჯახს ყელში, მაგრამ ძალით ვიმხიარულებდით თავს.

სიმღერა და ცეკვა-თამაში, რასაკვირველია, არ გაგვიმართავს.

პირველ იანვარს მეწვივნენ მურმან თავდიშვილი, სოსო სიგუა, გრიშა ჯულუხიძე მეუღლით, ჩემი ძმა ბორისი, ძმისშვილი შავლეგო, მეზობლები – სერგი მელაძე, თამაზ ჩიხლაძე და თენგიზ ქუთათელაძე, ვახტანგ ქარუმიძე ოჯახით... ჩემი კათედრის ორი წევრი – მაია და თამუნა.

დაბადების დღეს არასოდეს არ ვიხდი და არც არავის ვპატიჟებ. ვისაც გავახსენდები ყველაზე ახლო მეგობართაგან – მოდის. არ მიყვარს ქების სადღეგრძელოები.

1 იანვარს სამოცდაოთხი წლის გავხდი.

თუ ესაა სიბერე, არც თუ ისე საშიში ყოფილა, რადგანაც დაძაბუნებას ვერ ვატყობ ჯერ თავს.

მკლავიც ძველებურად მერჩის და მე მგონი გონებაც.

საახალწლოდ აჭარის წარმომადგენლობაში მიღება გაიმართა.

ჰამლეტ ჭიპაშვილმა აჭარის დეპუტაციიდან მხოლოდ სამი გოჩა პაიჭაძე, მიხეილ ოსაძე და მე დაგვპატიჟა.

საქართველო პატარაა, ყველამ ყველაფერი იცის.

ახლახან გამოვეცი წიგნი „ოთხი საპარლამენტო წელი“. სტენოგრაფისტებს ამოვაღებინე ჩემი გამოსვლები. პარლამენტში 1999 წლის 1 ნოემბრიდან 2003 წლის 1 ნოემბრამდე, ჯერჯერობით სხვათა აზრი არ ვიცი, მაგრამ მე თვითონ რომ წავიკითხე, კმაყოფილი დავრჩი. ოთხი წლის განმავლობაში ყველა ჩემი გამოსვლა მხოლოდდამხოლდ ეროვნული ცნობიერების ლოცვაგანმტკიცებისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ, გაჭირვებული ხალხისთვის ქმედითი სახელმწიფოებრივი დახმარების აღმოჩენისკენ არის მიმართული.

2 იანვარს მიშა სააკაშვილს ოპერაში ამომრჩევლები შეხვდნენ.

გულით მსურდა მისვლა, მაგრამ რომ გამოვჩენილიყავი ოპერაში, მაშინვე აცნობებდნენ ასლან აბაშიძეს - „მიშველაძემ გვიღალატა, სააკაშვილს ჩაეხუტაო“. რაკი „აღორძინება“ ბოიკოტს უცხადებს სააკაშვილს, მოვერიდე ოპერაში მისვლას, მაინც ვუჭერ მხარს მიშიკოს. იქნებ მართლა უშველოს ქვეყანას.

მუხრან მაჭავარიანმა თქვა პირველი სიტყვა პრეზიდენტობის კანდიდატთან შეხვედრაზე. სააკავილი ნამდვილი გმირიაო, მან ერთადერთმა შეძლო შეუძლებელი, შევარდნაძე უსისხლოდ გადააგდოო.

როგორც იქნა გადავხურეთ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც ჩემი სახლიდან (დელისის III შესახვევი, №35) ორასიოდე მეტრში, შესანიშნავ, მზიურ, მყუდრო ადგილას ავაშენეთ. ეს არის ულამაზესი ერთნავიანი ბაზილიკა. ჯერ უპერანგოდ დგას, მაგრამ ღვთის შეწევნით დავამთავრებთ. ეს საქმე ჩემი ინიციატივა-წინადადებით განვახორციელეთ მეზობელთა ოთხეულმა (რევაზ მიშველაძე, სერგო მელაძე, თენგიზ ქუთათელაძე და თამაზ ჩიხლაძე), საქმიანად დაგვეხმარნენ სერგოს ბიჭები – გიორგი და მიხეილ მელაძეები. ამოვიქექეთ ჯიბეები, არ დავზოგეთ უკანასკნელი კაპიკები და ბედნიერი ვარ, რომ ყოველ დილით ჩემი ფანჯრიდან ვხედავ ჩვენი საერთო რუდუნების პირმშოს – ღვთის სახლს. უკეთესს რას გავაკეთებდი, ხვალინდელი თუ დღევანდელი საქართველოსთვის. უკეთესს რა ძეგლს დავუდგამდი სამშობლოსთვის თავდადებულ ჩემს გმირ შვილს – არჩილ მიშველაძეს.

4.I, 2004 – 26.I 2004

საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს.

საარჩევნო ყუთების დახურვამდე 5 საათით ადრე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ჭიაბერაშვილი უკვე ულოცავდა სააკაშვილს „ბრწყინვალე გამარჯვებას“.

მეორე დღეს სააკაშვილი უცხოელ დიპოლმატებს ხვდებოდა, როგორც უკვე არჩეული პრეზიდენტი და მასმედიის აზრით მთელ მსოფლიოს აუწყებდა რომ საქართველოში ყოველგვარი დარღვევის გარეშე ჩატარდა სამაგალითო, თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები.

ასეა თუ ისე, ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს ფაქტიურ ხელისუფლებას და მთელი დასავლეთი მიესალმება საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

25 იანვარს საქართველო მოიცვა პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაციამ.

საზეიმო ცერემონიალს, რომელმაც ორ დღეს გასტანა, 25 ქვეყნის დელეგაცია ესწრებოდა.

აშშ-დან თვით სახელმწიფო მდივანი კელდინ პაუელი ჩამოვიდა.

24 იანვარს სააკაშვილი პრეზიდენტად აკურთხა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. პრეზიდენტის ხელდასხმა ჩატარდა გელათის მონასტერში, დავით აღმაშენებლის საფლავს შეჰფიცა სააკაშვილმა, რომ ერთგული იქნება იმ პრინციპებისა, რითაც დავით აღმაშენებელი ხელმძღვანეოლბდა.

მეორე დღეს პარლამენტის შენობის წინ პრეზიდენტმა საქართველოს კონსტიტუციაზე ხელდადებით ფიცი დადო.

ინაუგურაციის ცერემონიალი მართლაც რომ მომხიბვლელად ჩატარდა.

მე, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრი, თავიდან ბოლომდე ვესწრებოდი ამ ცერემონიას.

მთავრობისა და პარლამენტის წევრები VI სექტორში განვთავსდით, V და IV სექტორები უცხოეთის ელჩებმა და დელეგაციებმა დაიკავეს, პირველ რიგში იდგნენ ამერიკის სახელმწიფო მდივანი კელდინ პაუელი და რუსეთის ელჩი ივანოვი.

ამ ორ პიროვნებაზე უფრო სწორედ მათ მთავრობებზეა დამოკიდებული ამჟამად საქართველოს ბედი.

სააკაშვილმა შთამბეჭდავი სიტყვა თქვა.

სანამ ინაუგურაცია დაიწყებოდა, სააკაშვილმა მოასწრო ორი აღლუმი მიეღო ბათუმში (8:00) და ფოთში – 9:00 საათზე.

ფიცის დადების შემდეგ 3:30-ზე რუსთაველის პროსპექტზე ჯარების პარადი გაიმართა.

მერე ოპერაში კონცერტი, 20:30 საათზე მერიაში თბილისის ინტელიგენციასთან შეხვედრა 9 საათზე მიღება პარლამენტში, ხოლო 10:30 საათზე საზეიმო ბანკეტი მეტეხი-პალასში.

ძალიან დამღლელი დღე იყო, მაგრამ უაღრესად კმაყოფილი ვარ, რომ ჩემს სამშობლოში ახალმა სიომ დაჰბერა.

ოპოზიციამ ბათუმიდან სააკაშვილის გამოფრენისთანავე ასლანის საწინააღმდეგო უზარმაზარი მიტინგი გამართა. აპირებდნენ მეთაურის რეზი-

დენციის შტურმით აღებას, მაგრამ ვერ შეძლეს, ასლანმა შენობას პოლიციის კორდონი შემოავლო.

23 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისერტაცია დაიცვა ქ-ნმა ინგა შამილიშვილმა თემაზე - „ეროვნული თემატიკა რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში“.

ეს იყო პირველი შემთხვევა უნივერსიტეტის ისტორიაში, რომ დისერტაცია იქნა დაცული უნივერსიტეტის მოქმედ, ცოცხალ პროფესორზე. დაცვამ ბრწყინვალედ ჩაიარა. ძალიან მრცხვენოდა, იმდენს მაქებდნენ დისერტანტი, ოპონენტები (ავთო ნიკოლეიშვილი, დავით კოტორაშვილი) და დისერტანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი სოსო სიგუა.

დაცვა რომ დამთავრდა, ჯუმბერ ჭუმბურიძემ მითხრა: ნუ ხარ ზედმეტად თავმდაბალი, აბა, რა შენი ბრალია, რომ ცოცხალი კლასიკოსი ხარო.

30 იანვარს „მწერლის გაზეთსა“ და „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნე ნოველა „ხავერდოვანი რევოლუცია“. ეს არის პირველი მხატვრული ნაწარმოები –„ხავერდოვან რევოლუციაზე“.

„ბადეში“ უკვე მოხვდნენ აკაკი ჩხაიძე, ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ჟორდანია, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი მირცხულავა, ეძებენ დასაჭერად ქვემო ქართლის ყოფილ გუბერნატორს მამალაძეს და ა.შ.

ხელისუფლების რკინის ხელს კრიმინალური სამყარო გააქტიურებით პასხუობს. გახშირდა მკვლელობები, ყაჩაღობები და ა.შ.

რა დაალაგებს ამ ქვეყანას.

27.I – 27.II 2004 წ.

დავბერდი კაცი და ერთი რამ ვერა და ვერ ვისწავლე – უსამართლობასთან შეგუება, თვალის დახუჭვა საქვეყნო უბედურებაზე, განზე გადგომა ჩემთვის წყნარად ყოფნა, ღმერთმა მაშოროს.

პარლამენტში თითქმის ყოველდღე გამოვდივარ.

არ მომწონს ბოლო ხანებში პარლამენტის მიერ მიღებული კანონები – „დასმენის ინსტიტუტის შემოღების“, “დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის“, “საარჩევნო კანონში ცვლილებების შესახებ“.

კარგია რომ დამნაშავეებს იჭერენ, მაგრამ ცუდია, რომ ზოგი ჩინოვნიკი ეროვნულ ცნობიერებას არ იცავს, საარჩევნო კანონში პირდაპირ სწერია, რომ პარლამენტის წევრისთვის სახელმწიფო (ე.ი. ქართული) ენის ცოდნა აუცილებელი არ არის.

სააკაშვილი იყო მოსკოვში პუტინთან, ესტუმრა ამერიკის პრეზიდენტს ბუშს, მაგრამ საქართველოს მთავარი საქმე – აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება ერთი ნაბიჯითაც კი წინ არ წაწეულა. ეს რა თქმა უნდა, სააკაშვილის ბრალი არ არის.

პარლამენტმა 25 თებერვალს მუშაობა დაამთავრა, დილის სხდომაზე შევახსენე პარლამენტს (თავმჯდომარე ბურჯანაძეს რასაკვირველია, დაავიწყდა), რომ 25 თებერვალი საქართველოს უბედურების დღეა, რომ ამ დღეს წითელმა XI არმიამ – რუსეთმა დაიპყრო საქართველო და პატივი ვცეთ-მეთქი საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირების ხსოვნას.

მინდოდა საბოლოო განცხადება გამეკეთებინა – მინდოდა ჩამომეთ-

ვალა, რა იყო ამ პარლამენტის ნაკლი და რა ნუდა გააკეთოს ახალმა პარლა-მენტმა, მაგრამ სიტყვა არ მომცეს.

იცოდა, ნინო ბურჯანაძემ რასაც ვიტყოდი და „განცხადებებისთვის დრო აღარ დარჩაო“, მომიბოდიშა.

ახალი პარლამენტისთვის საარჩევნო მარათონი უკვე დაიწყო.

ნინო ბურჯანაძე, რომელმაც ავტორიტეტი ხალხში სანახევროდ მაინც დაჰკარგა, ცდილობს კანდიდატთა ისეთი სია შეადგინოს და ისეთი არჩევ-ნები ჩაატაროს, რომ ერთპარტიული პარლამენტი მივიღოთ.

ასლან აბაშიძემ საარჩევნო კომისიაში ახალი სია წარმოადგინა – მე, როგორც მითხრეს, მე-14 ადგილზე ვარ.

ეჭვი მეპარება, რომ ახალ პარლამენტში მოვხვდე.

კაცმა რომ თქვას, დიდი სურვილი არც მაქვს.

27 თებერვალს საქართველოს მწერალთა ყრილობა ჩატარდა თავმჯდო-მარედ მაყვალა გონაშვილი აირჩიეს.

მოადგილეებად – რეზო ჭეიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი და რევაზ მიშველაძე.

იქნებ (თუ ხელი ძალიან არ შემიშალეს) გავაცოცხლო მწერალთა კავ-შირი.

ჯერჯერობით ის მოვახერხე, რომ მწერალთა კავშირი მწერალთა ფედ-ერაციულ კავშირად გადავაკეთე და ყველა ასოციაციის სახლად ვაქციე.

ამერიკიდან მოწვევა მომივიდა, შეხვედრას გიწყობთ მანჰეტენზე ერთ-ერთ თეატრში, როგორც გამოჩენილ ნოველისტსო“, მაგრამ წასვლაზე უარი უნდა ვთქვა. დედაჩემია ძალიან ცუდად და ჩემი თბილისიდან გასვლა არ ეგების.

27.II 2004 – 29.III 2004

მიხეილ სააკაშვილმა ამერიკა და ევროპა მოიარა.

უცხოეთში თბილად ხვდებიან. ჩანს, თვითონაც კომუნიკაბელური ყმაწ-ვილია, ენები იცის და თამამია (რაც ამერიკულ ხასიათს ეთანწყობება).

„აღორძინებამ“ საარჩევნო სია (პარლამენტის წევრთა კანდიდატურების) გამოაქვეყნა. მე მე-14 ნომრად ვწერივარ,გული დამწყდა. დავაპირე საერ-თოდ უარის თქმა კენჭისყრაზე, მაგრამ ჰამლეტ ჭიპაშვილმა და თემურ მე-გრელიშვილმა გამაჩერეს. გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენესო ასლანი, ხომ იცი შურთო შენი. ყველაფერს აკეთებენ, რომ როგორმე თავზე გად-აგახტნენო“.

ამასობაში შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა, აჭარაში ასლან აბაშიძემ მიხ-ეილ სააკაშვილი არ შეუშვა. გაბრუნდა, ფოთში დაბანაკდა.

იმ დღეს მეორეჯერაც სცადა აჭარის დაპყრობა, მაგრამ კვლავ უშედე-გოდ.

ამასობაში სიტუაცია უაღრესად გამწვავდა.

მივედი ზაზა შენგელიასთან, რათა ორივე მხარისთვის ტელევიზიით კეთილგონიერებისკენ მომეწოდებინა, მაგრამ არ გამომიყვანეს.

ამასობაში პრეზიდენტი თბილისში დაბრუნდა (ჟვანია ფოთში დატოვა) და ნინო ბურჯანაძე გაგზავნა ბათუმში, გაიგე ერთი, აჭარა მემორჩილება თუ არაო.

როგორ არ ვემორჩილებიო, ასლანმა, მაგრამ რაც მას სურს (ვარდების რევოლუციის ექსკორტი ბათუმში) არ ეწყინოს და ვერ დავუშვებო. რამდენჯერმე მომიწია გაზეთებ-ტელევიზიაში გამოსვლამ მოწოდებით - "რას ჩადიხართ?"

საქმეში უცხოეთის ელჩები (რ. მაილსი...) და ევროკავშირი (შვიმერი) ჩაერივნენ. მოსკოვიდან ლუჟკოვი ჩამოვიდა და ასლან აბაშიძეს გვერდით დაუდგა.

რატომ უნდა ჩაიგდოს ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში ასლანმა თავი?

ამასობაში პარლამენტის არჩევნების დღე – 28 მარტიც მოვიდა.

სააკაშვილმა ჟვანია და ყველა მინისტრი აჭარაში აფრინა – რადაც უნდა დაგიჯდეთ აჭარაში ჩვენმა პარტიამ არჩევნები უნდა მოიგოსო.

რა არ დააბრალა ზურაბ ჭიაბერაშვილმა აჭარას, 7 საათზე ისიც კი გამოაცხადა, ასლან აბაშიძის განკარგულებით აჭარაში საარჩევნო უბნების დარბევა დაიწყოო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. აღორძინებამ გაიმარჯვა.

დღეს 29 მარტია. საარჩევნო ხმების რაოდენობით აჭარა მეორე ადგილზეა (8,2 პროცენტი(, მაგრამ მეეჭვება, რომ ჭიაბერაშვილი აჭარის გამარჯვებას შეეგუოს. მას ჰსურს, აჭარას საერთოდ არ ჰყავდეს წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში.

ვერც კი ფიქრობს იმაზე, რომ ავტონომიის წარმომადგენელთა გარეშე საქართველოს პარლამენტი სრული ვერ იქნება.

ვნახოთ, რა მოხდება.

მწერალთა კაშვირში უამრავი საქმე მაქვს.

ჯერ ერთი თვეც არ არი, რაც ამირჩიეს და შეიძლება ითქვას, რომ გავაცოცხლე მწერალთა კავშირი.

იგი უკვე აღარ არის მიტოვებული აკლდამა.

ჩავატარე: შოთა ნიშნიანიძის 75 წლისთავის იუბილე, ტარას შევჩენკოს დღე, ოტია იოსელიანთან შეხვედრა, ახალგაზრდა მწერალთა ლიტერატურული საღამო და 29 მარტს ზვიად გამსახურდიას დაბადების 65 წლისთავი. ჩემი წინადადებით ზვიად გამსახურდია სიკვდილის შემდეგ აღდგენილ იქნა მწერალთა კავშირის წევრად.

30.III-14.V 2004

არჩევნები იმით დამთავრდა, რომ 8,2%-ით გასულ აჭარის დეპუტაციას სააკაშვილმა უარი უთხრა პარლამენტში შესვლაზე.

ზურაბ ჭიაბერაშვილმა უკვე გამოცხადებული 8,2% მეორე დღესვე 6,5%-მდე ჩამოუწია. აჭარას საქართველოს პარლამენტში თავისი წარმომადგენლები არ ეყოლება.

მაშ ასე, პარლამენტში არ შეუშვეს მუხრან მაჭავარიანი. პარლამენტში აღარ ვიქნებთი მე და გურამ შარაძე. ვინ იბრძოლებს იმისთვის, რომ პიროვნების დამადასტურებელ საბუთებში ეროვნება "ქართველი" ჩაიწეროს, რომ საქართველოში ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდეს, რომ შეიქმნას ეროვნული სკოლა და ა.შ.

ინტერვიუ მივეცი ამერიკაში გამომავალი (ინგლისურად და ქართულად) გაზეთის – „ივერიის" კორესპონდენტს.

ასლან აბაშიძემ დაუშვა საბედისწერო შეცდომა და აჭარაში შესასვლელი ყველა ხიდი ააფეთქა.

ამ უგუნურმა ნაბიჯმა აჭარის მოსახლეობის უმეტესობა ასლანის წინააღმდეგ განაწყო. ხალხს მოეჩვენა, რომ ასლან აბაშიძე აჭარის საქართველოდან გამოყოფას აპირებს.

უნივერსიტეტის წინ გაიმართა ასლანის საწინააღმდეგო მიტინგი. მოსკოვიდან ჩამოსულ იგორ ივანოვს რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ასლან აბაშიძე და მისი შვილი გიორგი მოსკოვში გაჰყვნენ. ასლანს სხვა გზა აღარ ჰქონდა, მას უსათუოდ დააპატიმრებდნენ.

დაარბიეს ასლანის აპარტამენტები, ბინა, აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს ასლან აბაშიძის პირადი ნივთები.

მთელ აჭარაში დაიწყო დევნა. რამდენიმე გაზეთს, მათ შორის „ალიას“ მივეცი ინტერვიუ,

იქვე არ დამიმალავს ასლანის პიროვნული ნაკლი – ამპარტავნობა და განდიდების მანია.

აჭარაში ახალი ცხოვრება დაიწყო.

თუ ასეთივე იერიშს სააკაშვილი აფხაზეთ-სამაჩაბლოზე მიიტანს, უყოყმანოდ მის გვერდით დავდგები.

12 მაისს დედა გარდამეცვალა.

ჩემი კეთილი, ლამაზი დედიკო აღარ არის.

ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ ჩემი უსათნოესი დედა სიკვდილის წინ ისე გაწამდა, რომ კინაღამ დავკარგე ყოველგვარი რწმენა უფლისადმი.

ნუთუ ასე უსამართლოა გამჩენი? ჯერ ოცი წლის აჩიკო წამართვა (1993), ერთი წლის განმავლობაში დედა და მამა (2003-2004).

არა უშავს. მაინც ვერ დავგმობ ღმერთს. ჩემი შერყეული რწმენა ალბათ აღმიდგება, მაინც ბოლომდე მივყვები ჩემს გაძაღლებულ წუთისოფელს, რომელმაც ასატანზე მეტი სამსალა მასვა.

15.V – 15.VI – 2004 წ.

მთლიანად მწერალთა კავშირით ვარ დაკავებული.

27 მაისს პოეტ იზა ჯაჭვაძის შემოქმედებითი საღამო ჩავატარე.

2 ივნისს – ნოდარ ხუნდაძის დაბადების 75-ე წლისთავი აღვნიშნეთ.

6 ივნისს მე და მერაბ ელიოზიშვილი ქალთა კოლონიას ვეწვიეთ.

პატიმარ ქალებთან გულთბილი საუბარი გაიმართა.

ზოგი, მართლაც უდანაშაულოდ ზის.

7 ივნისს მწერალთა კაშვირში პავლე ინგოროყვას დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსაგონარი საღამო გავმართეთ.

შესავალი სიტყვა მე ვთქვი. მოხსენება რეზო კვერენჩხილაძემ გააკეთა.

9 ივნისს ქეთი დოლიძის შემოქმედებითი საღამო გვქონდა.

10 ივნისს ნატო ვაჩნაძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნატოს საფლავზე შევიკრიბეთ.

ქართველი მწერლების სახელით სიტყვა ვთქვი პირველ ქართველ კინოვარსკვლავზე.

უნივერსიტეტში ლადო ასათიანის გარდაცვალების 60 წლისთავის სამეცნიერო სესია ჩავატარეთ.

12 ივნისს მუხრან მაჭავარიანის დაბადების 75-ე წლისთავის აღსანიშნავ სუფრას ვუთამადე.

მუხრანმა დიდი სიყვარული გამომიცხადა: – დღეს ქართულ მწერლობაში შენზე დიდი პროზაიკოსი არ მეგულებაო.

ბოლოს მუხრანმა, წივწივაძემ, როინმა, ძმებმა ხუროძეებმა, მე, ომარ გოცაძემ, ვაჟა ლორთქიფანიძემ და სხვებმა სამახსოვრო სურათი გადავიღეთ.

სააკაშვილი ცხინვალში ვარდების რევოლუციის მოხდენას აპირებდა, მაგრამ როგორც ჩანს, რუსი არ აპირებს ჩვენთვის შიდა ქართლის დაბრუნებას.

ცხინვალის თვითმარქვია მმართველმა კოკოითმა გამოაცხადა, საქართველოსთან ყოველგვარ ურთიერთობას ვწყვეტო.

რუსმა გამთენიისას 60 ტანკი შემოიყვანა როკის გვირაბიდან და საქართველოს საზღვრის (რატომ ღმერთი არ გაიცინებს) გასწვრივ განალაგა.

ესეც შენი კეთილი პუტინი.

არ გვიბრუნებს, არა, დამპყრობელი რუსის მიტაცებულ ტერიტორიებს.

12 ივნისს ქართულ სოფელ თამარაშენში ოსმა ნაძირალებმა ქართველი მსხაიობები, სპორტსმენები, განათლების და კულტურის მინისტრები არ შეუშვეს.

სააკაშვილმა ტელევიზიით განაცხადა, რაღაც გაუგებრობაა, ახლავე პუტინს გადავურეკავო.

ასე „ხშირად“ ურეკავდა შევარდნაძე ელცინს 1993 წელს, რუსმა ჯალათებმა კი ლამის ნახევარი საქართველო დაიპყრეს და ჩამოგვაჭრეს.

რასა იქმს ამერიკა?

ნუთუ ხელი დაიბანა ძია სემმა საქართველოზე?

„მარტოკამ უნდა ვიომო“...

18 ივნისს ოტია იოსელიანი, მაყვალა გონაშვილი, მე, ლადო მრელაშვილი და ვაჟა ოთარაშვილი კულტურის მინისტრს გოკა გაბაშვილს ვეახლეთ.

ორი მთავარი სათხოვარი გვქონდა: 1) მწერლებს სტიპენდია 92 ლარი შეუწყვიტეს და მიზეზი უნდა გვეკითხა მწერლობის “მოყვარული“ მინისტრისათვის; 2) ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაგვეგებინებინა მინისტრისთვის რომ, ქართველი მწერლები მაჩაბლის 11-ში რუსთაველის მუზეუმის გახსნას ვაპირებთ და რესტორან “ფიროსმანს“ არ გავახსნევინებთ.

ორსაათიანი ცხარე კამათის შედეგად აი რას მივაღწიეთ: 65 წელს გადაშორებული მწერლები მიიღებენ სტიპენდიას თვეში 50 ლარის რაოდენობით.

მაჩაბლის 11-ში გაიხსნება რუსთაველის მუზეუმი და ხელისუფლება შეწყვეტს ამ შენობის სახელისუფლებო ბაგირით გადაქაჩვას.

ეს ყველაფერი ჯერჯერობით მინისტრთან მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმებაა.

მწერალთა კავშირის შენობაში წვიმა ჩამოდის. ოტია ჭერზე ავიდა. მტვერში ამოგანგლული ჩამოვიდა და თან 1 კრამიტი ჩამოიტანა. გვიხსნის: კრამიტი ალაგ-ალაგ გამოსაცვლელია; ჩავალ გვიშტიბში, ვიშოვი ასეთ კრამიტს და მე თვითონ გადავხურავო.

ასეთია ოტია, ეს დაპირება, რასაკვირველია, ტყუილია (აზნაურ ტიმოთე დახუნდარელის დაპირებას ჰგავს), მაგრამ ოტიასებურია და იმედიანი.

16.VI – 25.VIII – 2004 წ.

ოტიამ, როგორც მოველოდი, დანაპირები არ შეასრულა, დაავიწყდა, ალბათ.

მწერალთა კავშირის მთელი საქმეები მე დამაწვა კისერზე. რეზო ჭეიშვილი განაწყენებულია, რატომ თავმჯდომარედ არ ამირჩიესო და ქუთაისიდან თითქმის არ ჩამოდის.

ივნისის შუა რიცხვებში სომხეთში მიმიწვიეს. სიტყვა ვთქვი სომეხ მწერალთა მსოფლიო ფორუმზე და სომხეთის მწერალთა კავშირის 70 წლისთავის იუბილეზე.

სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ლევან ანანიანთან ქართველ და სომეხ მწერლებს შორის არაერთი სამეგობრო ღონისძიება დავგეგმე.

კულტურის მინისტრმა თავი შეირცხვინა. არც დანაპირები 50 ლარიანი პენსია დაუნიშნა მხცოვან მწერლებს და არც მწერალთა კაშვირის აპარატი დაგვიფინანსა.

ერთი სიტყვით, დაგვაგდო ბედის ანაბარა.

22 ივლისს თბილისში კოკისპირული წვიმა მოვიდა. წვიმამ მწერალთა კავშირის სახურავი ჩამოანგრია, კაბინეტები, კლუბი დატბორა. წყალი ჩავიდა ბიბლიოთეკაში.

შევატყვე,რომ ჩემს მეტი თითის გამძრევი არავინ იყო, ჩავიცვი რკინის ქალამნები და მივუვარდი მთავრობას, მერიას, მთაწმინდა-კრწანისის გამგეობას. არ გრცხვენიათ-მეთქი? ამ შენობაში აკაკის, გალაკტიონის, მიხეილ ჯავახიშვილის, გამსახურდიას სული ტრიალებს და როგორ ბედავთ, რომ ამ ისტორიულ სასახლეს ყურადღებას არ აქცევთ-მეთქი.

კეთილი ინებეს და გამოგზავნეს ინჟინრები. დადგინდა, რომ მთლიანადაა გადასახურავი.

ვეახელი ქალაქის პრემიერს ბრეგაძეს – თუ ხარ ამ ქვეყნის პატრიოტი,უნდა გვიშველო-მეთქი.

დაგვპირდა რამეს მოვახერხებო.

მე მგონი, გვეშველება.

თუ არა და უნდა ჩამოვისპონსორ-ჩამოვიმათხვორო და როგორმე წვიმების დაწყებამდე შენობა გადავახურინო.

გარდაიცვალა გივი ინწკირველი.

24 ივლისს დავკრძალეთ.

21-ში მწერალთა სასახლეში გურამ გოგიაშვილს 70 წლისთავის იუბილე გავუმართეთ...

24 ივნისს მწერალთა კაშვირის მიმღები კომისიის სხდომა გვქონდა.

60 ახალი წევრი მივიღეთ.

კარგია, გაძლიერდა საქართველოს მწერალთა კავშირი, ძირითადად მივიღეთ ახალგაზრდები, ჩემი დაჟინებული თხოვნით, როგორც იქნა მივაღწიე იმას, რომ მწერალთა კაშვირი აღარ არის ბებერ მწერალთა საკრებულო.

სადაც ახალგაზრდობა არ არის, იქ სიკვდილი იწყება.

უნივერსიტეტის რექტორს როინ მეტრეველს გაზეთებმა კვლავ დასდეს ბრალი კორუმპირებულობაში.

„კმარამ“ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. როინის წინააღმდეგ სტუდენტები განუწყვეტლივ აწყობენ აქციებს. დაპატიმრებები გრძელდება.

დააპატიმრეს სასოფლოს ყოფილი რექტორი ნაპოლეონ ქარქაშაძე.

ძალიან მეწყინა.

25 ივლისს ქალაქის საკრებულოში ქართულ-ოსურ დიალოგში მივიღე მონაწილეობა.

განვაცხადე: ყველაფერი რუსის ბრალია-მეთქი.

იგივე აზრი გამოვთვქი მწერლის გაზეთის მე-13 (მეასე) ნომერშიც.

ახლა ჩემი მთავარი საქმე მწერალთა კავშირის შენობის გადახურვაა.

მუშებს თავზე ვადგავარ. დილით ყველაზე ადრე მე მივდივარ. ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს.

რაც ვერ გააკეთა (ან არ გააკეთა) ვერცერთმა თავმჯდომარემ, მე შევძელი.

მაჩაბლის 11-ში ჩემი განკარგულებით გავხსენით კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების მემორიალური ნივთების მუზეუმი და მანანა არჩვაძე-გამსახურდია ჩავუყენეთ სათავეში.

მანანა კაბინეტში მეწვია და 3 საათის განმავლობაში მელაპარაკა, შენ ზვიადს ძალიან უყვარდი და ყველაზე მეტად გენდობოდაო, შენსა და ზვიადს შორის ურთიერთობის გაფუჭება მუხრანის ბრალიაო.

ეჭვი აიღო, თითქოს ზვიადი შენ გნიშნავდა თავმჯდომარედ და ამიტომ გადაგეკიდაო.

ასეც ვიცოდი.

მაჩაბლის 11-ში პირველ რიგში უნდა გავხსნა რუსთაველის მუზეუმი. ამით ჩემი დიდი ხნის ოცნება უნდა ავიხდინო. ახლა გაზეთში უნდა გამოვაცხადო, რათა მწერალთა კავშირში შეგროვდეს “ვეფხისტყაოსნის“ ყველა ძველი გამოცემა. ასევე ხელნაწერები და გამოცემები სხვადასხვა ენაზე.

მწერალთა კაშვირის შენობის გადახურვაზე კიდევ ერთი წინააღმდეგობა შემხვდა, ვიღაც გარეწარმა მაყვალას უჩურჩულა – ფასადის (მაჩაბლის ქ.) მხარეს კრამიტი თუნუქით არ შეცვალოთ, თორემ შენობა დაზიანდებაო. მაყვალა ნიჭიერი, ეროვნული, საღად მოაზროვნე ქალია, მაგრამ მაინც შეყოყმანდა.

გავვარდი კულტურის სამინისტროში და დავადგენინე შენობის მთელი სახურავის გამოცვლა.

მივაღწიე ჩემსას.

აწი შემიძლია მშვიდად ვიყო, მწერალთა კავშირის სასახლის ჭერიდან წყალი აღარ ჩამოვა.

26.VIII-1.IX.2004

ათ დღეეზ მეტია ფაქტიურად ომში ჩავებით.

რუსებმა (ოსებთან ერთად) ქართულ სოფლებს ცეცხლი დაუშინეს.

თამარაშენში და ერედვში ათამდე კაცი მოკლეს, ორმოცზე მეტი დაჭრილია.

თითქმის ყველა სახლი დანგრეულია.

სააკაშვილი და ბარამიძე მოსკოვში სამშვიდობო ხელშეკრულებებს დებენ, მაგრამ როგორც 12 წლის წინათ აფხაზეთში, ვერაგი რუსი ახლაც არღვევს, "ხელშეკრულებებს" და ცეცხლს გვიხსნის.

ამაოა გაეროს, ეუთოს, ამერიკის ადმინისტრაციის მიმართვები რუსეთისადმი შეეშვას საქართველოს.

ამერიკის თავდაცვის მინისტრი დონალდ რასფელდი სპეციალურად ჩადის რუსეთში და თავდაცვის მინისტრ ივანოვს ხვდება. ივანოვი უმტკიცებს, ჩვენ არ ვისვრითო და კინაღამ ოსებთან მოსალაპარაკებლად გზავნის ამერიკის თავდაცვის მინისტრს.

დუმა საქართველოსადმი ზიზღით გამსჭვალულ დადგენილებას იღებს.

„ნენავიჟუ კავკაზ" მთელი მსოფლიოს გასაგონად აცხადებს ჟირინოვსკი და მას დუმაში ერთი კაციც არ ეკამათება.

მოკლედ, შავ დღეში ვართ.

ლამის გული გამისკდეს. ვურეკავ მწერლებს, წავიდეთ, ჩვენ ვიბრძოლოთ-მეთქი!

უგულოდ მეხმაურებიან.

ალბათ, წავალ და რუს დამპყრობელს თავს შევაკლავ, თუ უახლოეს დღეებში "პოლიტიკოსებმა ურთიერთობა არ დაარეგულირეს".

ნინო ბურჯანაძე ცხინვალში არ შეუშვეს.

ლტოლვილთა განუწყვეტელი ნაკადი მოედინება ქართული სოფლებიდან.

ესეც "ახალი ლტოლვილები"...

მუხანყაროში ერთი კვირით ავედი, მაგრამ ომი რომ დაიწყო, დასვენება შევწყვიტე და ჩამოვთბილისდი.

ოთხიოდე ნოველა დამიწერია ამ ზაფხულს.

არაფერი არ მინდა.

წერაც უაზრობა მგონია.

რა საშინელებაა, პატარა უმწეო საქართველოს რუსი ორას წელზე მეტია მსოფლიოს თვალწინ თავში უჩაჩქუნებს და ჩვენი პატრონი არავინ არის.

კონდოლიზა რაისს (აშშ) ურეკავს სააკაშვილი, მაგრამ ამერიკელი ლედი საქართველოსთვის ვერ იცლის, რომ ბუშს მოახსენოს საქმის ვითარება.

2.IX-10.IX 2004

ბოლოს ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ველოდი.

კიდევ ერთხელ გვიმუხთლა რუსმა.

პუტინმა სააკაშვილს გაუღიმა მზაკვრულად – ჩვენ არ ჩავერევით, შედი ცხინვალში, შენი ტერიტორიაა და გააკონტროლეო.

სააკაშვილმა გადადგა ერთი ნაბიჯი სამაჩაბლოს შემოსაერთებლად და რუსსი არტილერიამაც არ დააყოვნა.

დაგვამარცხეს სასტიკად. მოგვიკლეს 30 ჯარისკაცი. ახლა ქართულ სოფლებშიც აღარ გვიშვებენ. თავზე დაგვალეწეს ჩვენი სახელდახელოდ მოწყობილი საგუშაგოები.

ამერიკა? ხმა არ გაიღო. სიტყვითაც არ წამოგვეშველა.

„თავში ქვა იეც და ისა ჰქენიო".

სააკაშვილის იმიჯმა ერთბაშად აიწია ერის თვალში.

2 სექტემბერს ჩეჩნებმა ჩრდილოეთ ოსეთში – ბესლანში სკოლის შენობა დაიკავეს მოთხოვნით – გავიდეს რუსი ჩეჩნეთიდან!

რუსებმა არ დაინდეს სკოლაში მისული 500 ბავშვი და მათი მშობელ-მასწავლებლები, „ჰაუბიცები“ ესროლეს სკოლას და 15 ჩეჩენ-ტერორისტთან ერთად 400 უდანაშაულო მოსწავლე გაანადგურეს.

ასეთია რუსი. ასეთი პრეზიდენტი ჰყავს დღეს რუსებს.

ზიზღი დამპყრობელი რუსის მიმართ მთელს კავკასიაში მძვინვარებს.

სომხის გარდა რუსი აქ არავის უყვარს.

ახლა შიგ საქართველოში რა ხდება.

ფინანსთა მინისტრ ზ. ნოღაიდელთან მივედი, რატომ არ გვაძლევ “მწერლის გაზეთისთვის“ ბიუჯეტის მიერ გამოგზავნილ ფულს, რომ გაზეთი არ დაიხუროს-მეთქი.

არ გაძლევთ, წადიდა გვიჩივლეო.

8 სექტემბერს მაყვალამ, მე და ვაჟამ მწერალთა კავშირში პრესკონფერენცია გავმართეთ მწერალთა კავშირის შენობის წართმევის წინააღმდეგ.

ვთქვი: გითხრათ სიმართლე, ეს ყველაფერი ეკონომიკის სამინისტროს მიერ მწერალთა კავშირის კუთვნილი ისტორიული შენობის წართმევა ხუმრობა მგონია-მეთქი.

თავს ვირწმუნებ იმაში, რომ ხელისუფლება ვერ გაბედავს (მით უმეტეს რევოლუციით მოსული ხელისუფლება) შემოეწყოს ამ შენობას და ქუჩაში გაყაროს ჭაბუა ამირეჯიბი, ანა კალანდაძე, ოტია იოსელიანი, ნოდარ წულეისკირი, მერაბ ელიოზიშვილი, რეზო ჭეიშვილი, მაყვალა გონაშვილი, რევაზ მიშველაძე და სხვანი.

მოუშალოს ქართულ მწერლობას ეს ერთადერთი ისტორიული ბუდე.

11.X – 8.XI. 2004

პრესკონფერენციას შედეგად ის მოჰყვა, რომ 15 სექტემბერს კულტურის მინისტრის – გოკა გაბაშვილის ხელმოწერით წერილი მივიღეთ – დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ მწერალთა სასახლეო.

ჩვენ, რასაკვირველია, ცოცხალი თავით არ ვაპირებთ დავთმოთ.

ვუჩივლეთ სასამართლოში ჟვანიას და კამპანიას (კახა ბენდუქიძეს და გოკა გაბაშვილს) მოსამართლე ტარიელ ზამბახიძე (აწ გარდაცვლილი კრიტიკოსის – ვლადიმერ ზამბახიძის ძმისშვილი) ჟვანიას ზეწოლის ქვეშ იმყოფება და სასამართლო აშკარად ტენდენციურად მიჰყავს; თანაც გვაგრძნობინებს, რა ვქნა, თქვენი გულისთვის მოსამართლის მუნდირს ვერ დავკარგავო.

მწერალთა სასახლეში ამდენი მწერალი არასოდეს მოსულა. ჩემი კაბინეტი სკასავით ბზუის. გამოვეცით “მწერლის გაზეთის“ სპეციალური ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ყველა სახელიანი მწერლის საპროტესტო წერილი.

ამას წინათ სამეგრელოში ნათესავი გარდამეცვალა და გული მომიკვდა ამ მშვენიერი კუთხის ხილვით – საშინელი სიღარიბე, მიტოვებული, გაძარცვული სახლები, აბსოლუტური უშუქობა, წყვდიადს მოუცავს მთელი საქართველო.

აიძულეს როინ მეტრეველი რექტორობიდან გადამდგარიყო. შეშინებული როინი სულ „მადლობის ძახილით“ წავიდა. განათლების მინისტრმა ლომაიამ კანონპროექტი გააშანშალა – 65 წლის ზედა ასაკის თანამშრომელი არ

დავინახო უნივერსიტეტშიო. ამ კანონით უნივერსიტეტიდან 9 000 თანამშრომელი და მათ შორის 2000 პროფესორი ქუჩაში რჩება – უსახსროდ და უილაჯოდ.

რექტორის კანდიდატურად წარმოგვიდგინეს რუსუდან ლორთქიფანიძე, რომელსაც ერთი დღეც არ უმსახურია უნივერსიტეტში, როგორც ამბობენ, იგი რომში მოდების ატელიეში მუშაობდა დიზაინერად, მერე ცოტა ხანს ელჩად დააწინაურეს და ახლა რექტორად უპირებენ დასმას.

ჩემთან დელეგაცია დელეგაციაზე მოდის. უნივერსიტეტი ამ სირცხვილს უნდა გადაარჩინო და რექტორობაზე კენჭი უნდა იყაროო.

ამ „მოძრაობას“ ყური მოჰკრა ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, მომეცნიერო ჩინოვნიკმა ამირან გომართელმა და ხუთშაბათს 4 ნოემბერს თავის კაბინეტში მიხმო. იქ დამახვედრა (იცოდა მარტო რომ ყოფილიყო, ყურს ავახევდი) კახა ჭეიშვილი, გია ალიბეგაშვილი, ტარიელ სიხარულიძე და კიდევ ორიოდე თანამშრომელი.

ჩვენი კოლექტიური თხოვნაა, ამირანმა არ იყარო კენჭი რექტორობაზეო. შენო, ოპოზიციონერი ხარ და ამ საქმეს ეროვნული ელფერი მიეცემაო. რაც ლომაიას კიდევ უფრო გააბრაზებს. იგი შეურიგებლად გადაეკიდება მთელს უნივერსიტეტს და განსაკუთრებით ჩვენს ფაკულტეტსო.

კი, მაგრამ ვინ მოგავლინა, ამირან, შენ ჩემს აღმზრდელად, მე შენ თვალში ხომ არ გეპატარავები. თუ ვიყრი კენჭს მადლობას უნდა მეუბნებოდე, რადგანაც მე მსხვერპლს ვიღებ, რომ უნივერსიტეტის ეროვნული პრესტიჟი გადავარჩინო-მეთქი.

დეკანმა ამაზე ვეღარაფერი თქვა და მოდი ყველაფერი საბჭომ გადაწყვიტოსო, საბჭო კი 10 ნოემბრისთვის დაინიშნა.

ვიცი: გომართელი ყველაფერს გააკეთებს, რომ 10-ში საბჭო არ შეიკრიბოს, ხოლო თუ შეიკრიბა, ჩემი კანდიდატურა არ გავიდეს რექტორობაზე კენჭის საყრელად.

ვნახოთ.

ვაჟკაცურად უჭირავს თავი თამაზ წივწივაძეს.

მართალია, მწერალთა კავშირში წივწივაძის საქმეების შესასწავლად თვეზე მეტია პროკურატურაა შემოსული, მაგრამ წივწივაძე არ შემკრთალა.

ამ ორიოდე კვირის წინ გოკა გაბაშვილს “ჯორჯიან ტაიმსის“ ფურცლებიდან საკმაოდ მკაცრი წერილი მივწერე, რამდენიმე გაზეთმა გადაბეჭდა.

როგორც მითხრეს იმ „ღია წერილმა“ მამა-შვილი გაბაშვილები გაანაწყენა.

ვნახოთ, ახლა მათი რიგია, რას მოჩმახავენ და რას მიხიმანებენ.

9.XI – 27.XI 2004

10 ნოემბერს სწორედ ის მოხდა, რასაც მოველოდი.

ფილოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დეკანმა, ამირან გომართელმა განაცხადა:

მოგეხსენებათ, პრეზიდენტს და პარლამენტს რუსუდან ლორთქიფანიძე უნდათ რექტორად. არ ღირს ხელისუფლების გადაკიდება, გონივრული იქნება, თუ ჩვენი ფაკულტეტი არ წარადგენს კანდიდატს, როგორც ეს ისტორიის ფაკულტეტმა გააკეთაო.

გადავხედე საბჭოს წევრებს, ყველამ პირში წყალი დაიგუბა, აუტკივარი თავის ატკივება არავის სურს, ისევ მე უნდა ვიხსნა ფაკულტეტის საბჭო სირცხვილისგან.

ბატონებო, ნუთუ უნივერსიტეტის უპირველესმა, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტმა მხარი უნდა დაუჭიროს იტალიიდან ჩამოყვანილ არამეცნიერს, არაპედაგოგს, რომელსაც ერთი დღეც არ უმუშავია უნივერსიტეტში. რა ქვეყანა დაიქცევა ჩვენი რიგებიდან რომ შევარჩიოთ ალტერნატიული კანდიდატურა, შიშსა და დუმილს გვაპატიებენ? ჩვენი დიდებული წინაპრები აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობადვა, გიორგი ახვლედიანი და სხვანი-მეთქი?

თქვენ ვის დაასახელებდითო, დეკანმა.

ხომ ვერ ვიტყოდი, ჩემს თავს-მეთქი.

ნებისმიერი ჩვენი საბჭოს წევრი გამოდგებოდა რექტორად, თუ გნებავთ მიხეილ ქურდიანი-მეთქი.

კიდევ თუ არის კანდიდატურაო, დეკანმა.

სამარისებური სიჩუმე.

ასეთები არიან ადამიანები.

სანამ საბჭო დაიწყებოდა, მოსაცდელში თითქმის ყველა საბჭოს წევრმა მითხრა: შენზე უკეთეს სარექტორო კაცს ვერ ვხედავთ საქართველოში, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ხარ, პარლამენტში იყავი, დიდი მწერალი და მეცნიერი ხარ, საზოგადო მოღვაწე ხარ და ხალხს უყვარხარო.

ახლა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, არავინ მასახელებს.

ფარულად ვუყაროთ კენჭი ქურდიანსო.

რა საჭიროა ფარული კენჭისყრა, ერთი კანდიდატურაა. ღიად მივცეთ ხმა და გავათავოთ-მეთქი.

არაო, ფარულადო, გაჭირვეულდა დეკანი და დეკანის მომხრეთა „კოჰორტა“.

ჩემი გავიტანე. ახალგაზრდა (52 წლისაა, მგონი) ნიჭიერი კაცი მიხეილ ქურდიანი წარვადგინეთ რექტორის კანდიდატად.

დამთავრდა სხდომა და რამდენიმე პროფესორი ამედევნა:

შენ უნდა გეყარა კენჭი. მიშას არავინ აირჩევს. ავტორიტეტი არა აქვს, შენ უთუოდ გახვიდოდიო.

ზიზღით გავხედე ამ კაცუნებს.

23 ნოემბერს სამების გრანდიოზული ტაძარი აკურთხეს, ეს დიდი მადლია, ქართველი ერის დიდი გამარჯვებაა.

24 ნოემბერს „ხულიგნობის“ მუხლით დააპატიმრეს გურამ შარაძე. მიუსაჯეს 15 დღე პატიმრობა და 2400 დოლარის გადახდა, ვიღაც პოლონელი პიდარასტის ნახატები ჩამოხიაო.

28.XI – 26.XII – 2004

შარაძე 15 დღიანი პატიმრობიდან მოტეხილი, განერვიულებული გამოვიდა.

დამირეკა და საყვედური მითხრა, რატომ არ ამოიღეთ ხმაო.

ვუპასუხე; შენ ვიღაცამ გაგაგულისა, თორემ ჩემთან ამ თემაზე საუბარი არ უნდა გაგებედა-მეთქი.

შენი დაპატიმრებისთანავე გავვარდი შინაგან საქმეთა სამინისტროში,

მივედი პროკურატურაშიც, მეორე დღესვე „მწერლის გაზეთში“ შენი დაპატ-ირების გამო საპროტესტო განცხადებაც გამოვაქვეყნე („მწერლის გაზეთი“, 1-15 დეკ.) და მწერალთა კავშირის გამგეობის სხდომაზეც დავადგინე (იხ. ოქმი №11), რომ შენი დაკავება გოკა გაბაშვილის ანგარისწორება იყო. შენ კი ეს ჩანს, არაფერი არ იცი და რაღაცას მიედ-მოედები-მეთქი.

მოკლედ, მწარე-მწარე სიტყვები ვუთხარით ერთმანეთს.

აი, რა შეუძლია დასმენას.

13 დეკემბერს უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ ახალი რექტორი – რუსუ-დან ლორთქიფანიძე აირჩია.

„მწერლის გაზეთის“ ახალ ნომერში მწვავე მოწინავე გამოვაქვეყნე იმის შესახებ, რაც ქვეყანაში ხდება.

გამოვაქვეყნე აგრეთვე ამონარიდები (ბოდვები... მკრეხელობა...) ლიტ-ერატურულ ნაძირალათა წიგნებიდან.

გაზეთი მაშინვე დაიტაცეს.

მწერალთა კავშირში მორიგეობა კვლავ გრძელდება.

მურმან ჯგუბურიამ ჩემზე მშვენიერი წერილი გამოაქვეყნა.

ღრუბლიანი დღეებია... სულშიც ღრუბელი, უიმედობა ისადგურებს.

კულტურის სამინისტრომ ანა კალანდაძის იუბილე (80 წ.) გამართა ოპე-რის თეატრში.

ჩვენთვის, მწერალთა კაშვირისთვის არაფერი უკითხავს. ამით კიდევ ერთხელ გამოგვიცხადა ზიზღი, იგნორირება.

იუბილე, როგორც მოველოდი, ულიმლამოდ ჩატარდა.

მშრალი, ოფიციალური სიტყვები ითქვა.

პირზე მადგა თბილი, ლირიკული სიტყვა, სიტყვის მოცემა კი არა, მო-საწვევიც რომ გამომიგზავნეს, გამიკვირდა. ამფითეატრის ბოლო რიგზე, მარტო ვიჯექი.

იწურება კიდევ ერთი კოშმარივით მძიმე, საშინელი წელი (2004) საქა-რთველოსთვის.

კარგს აღარაფერს ველი.

1 იანვარს 65 წლის ვხდები, ამისთვისაც გმადლობ, უფალო!

გუშინ შევიტყვე, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორს პატიოსან, უნიჭიერეს ავთო ნიკოლეიშვილს სტუდენტები აუმხედრეს და გადააყენეს.

27.XII – 31.XII 2004 წ.

გამომცემლობა “დიდოსტატმა“ ამ წინასაახალწლოდ გამახარა.

გამოსცა ჩემია ხალი ნოველების წიგნი სახელწოდებით „რას მერჩოდი“, წიგნში 2003-2004 წლებში დაწერილი ნოველები შევიდა.

ზაურ იობაია ფუტკარივით კაცია. სწორედ მან ირბინა სტამბაში, რომ წიგნი 65 წლისთავისთვის მომსწრებოდა.

საახალწლოდ პრემიები მივანიჭეთ მწერლებს: ილია ჭავჭავაძის პრემია – ანა კალანდაძდეს, აკაკი წერეთლის – მერაბ ელიოზიშვილს, გალაკტიო-ნის – ოთარ შალამბერიძეს, ჭოლა ლომთათიძისა – შალვა მჭედლიშვილს (ანა კალანდაძის ყოფილი ქმარი, უპატიოსნესი პიროვნება, ციხე-გულაგებში ნათრევ-ნაგვემი სამშობლოს სიყვარულის გამო).

მართალია, ფულს ვერ ვაძლევთ მწერლებს, მაგრამ პრემიებით ძალიან გაიხარეს.

შვიდი წელია მწერალთა კავშირში ლიტერატურული მოღვაწეობისთვის არავინ წაუხალისებიათ.

მერედა ვარგა ასე?

მე ყველა მიყვარს. ეგ კი არა თავს დამნაშვედ ვგრძნობ გაჭირვებულ მწერალს, რომ ვერაფრით ვეხმარები. თუ ორიოდე კაპიკი მოვიხელთე, 10-10 ლარად ვურიგებ მწერლებს.

ჩემმა უმცროსმა მეგობარმა ბონდო მაცაბერიძემ სახელმწიფო პრემია მიიღო. ძალიან გამეხარდა.

უნივერსიტეტში პოლიკარპე კაკაბაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია ჩავატარე. კარგი მოხსენებები წაიკითხეს ჩემმა კათედრის წევრებმა.

უკრაინაში პრეზიდენტად იაშჩენკო აირჩიეს. ეს იმას ნიშნავს, რომ უკრაინა რუსეთს ხელიდან გამოგლიჯა ამერიკამ. რუსი გააფთრებით უჭერდა მხარს იანუკოვიჩს.

ამ ამბით აღფრთოვანებული ჩვენი პრეზიდენტი კიევს გაფრინდა და ალბათ, იქ შეხვდება ახალ წელს.

შევარდნაძის ინტერვიუა „ჯორჯიან ტაიმსში“, არავითარი ვარდების რევოლუცია არ მომხდარაო, ამბობს, ეს იყო ძალადობრივი დამხობა ხელისუფლებისო. ცალ ხელში ვარდები ეჭირათ და მეორე ხელში ავტომატებიო. სააკაშვილის ხელისუფლება დანაშაულებრივი ხელისუფლებაო. მარტო სახელმწიფო რეკეტი ეყოფათ დანაშაულადო. თუმცა ახლა ვერ ვხედავ საქართველოში ამათ გადამგდებ რევოლუციურ ძალასო. აშკარად თვალთმაქცობს შევარდნაძე.

გუშინ პარლამენტში, როგორც იქნა, ითქვა, იმათი გვარები, ვინც ხალხს ანაბრები შეუჭამა.

ზვიად ძიძიგურმა თქვა – დავუბრუნოთ მეანაბრეებს თავიანთი ფულიო.

გამოვარდა მაია ნადირაძე და ჩვენს იმედს ცივი წყალი გადაასხა.

ჩვენი ხალხი შეგნებულიაო, უარს იტყვის ამ ფულზეო. მით უმეტეს, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო გვაქვს დასაბრუნებელიო.

არა და ზოგმა უკანასკნელი კაპიკები, დასამარხი ფული შეიტანა სახელმწიფო სალაროში და უნამუსოდ წაართვა შევარდნაძის ბანდამ.

მე ბოლო რვა წიგნის ფული მქონდა სალაროში და კაპიკი არ დაუბრუნებიათ.

ასეთი ყაჩაღების ხელში ვიყავით, როგორც ირკვევა.

რუსი ისევ დაგვცინის და გვტკვირავს, ამასწინათ შევხვდი რუსეთის საელჩოს მთავრ მრჩეველს – ვინმე ვასილ სემიონოვიჩს.

რატომ არ გვიბრუნებთ ჩვენს ტერიტორიებს-მეთქი.

ვინ გართმევთო. ჩვენ რა შუაში ვართო,თუ თქვენს ტერიტორიად მიგაჩნიათ შებრძანდით და გააკონტროლეთო.

თუ ჩვენია, რუსის ჯარი რატომ დგას-მეთქი?

რუსეთის ბაზები თქვენთანაც არის – ბათუმსა და ახალქალაქში. მანამ არ გავიყვანთ, სანამ რუსეთის სამხრეთიდან საშიშროება ემუქრებაო.

აი, რუსული იმპერიული აზროვნება!

ამერიკა?

ჯერჯერობით ტერიტორიების დაბრუნების ხაზით ვერაფერს გვეხმარება.

1.I – 20.I 2005 წ.

სამოცდახუთი შემისრულდა, არავინ მომილოცა. როგორც ამბობენ, სიბერეა. მე ვერაფერს ვგრძნობ-მეთქი რომ დავიტრაბახო, არ ვიქნები მართალი.

მუხლები ძველებურად აღარ მემორჩილება. კიბეზე ასვლა მიჭირს.

ვარჯიშით ჩვეულებისამებრ ვვარჯიშობ ურითი და ჰანტელებით. ცოტას დავრბივარ კიდეც, მაგრამ თხილამურებზე ალბათ ვეღარასოდეს დავდგები და გული მწყდება.

ჩემი ახალი წიგნი ბევრს ვაჩუქე, ახლა წიგნს თითქმის აღარავინ ყიდულობს.

თუ არ მატყუებენ, ძალიან მოსწონთ.

მე, პირადად კი ამ ახალი წიგნიდან განსაკუთრებით მიყვარს ორი ნოველა: „ლომი“ და “რას მერჩოდი“.

სადაა კინო, თორემ ორივე გამზადებული სცენარია.

7 იანვარს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს 100 წელი შეუსრულდა.

მწერალთა კაშვირის ინიციატივით მარჯანიშვილის თეატრის გვერდით (გალაკტიონის სახლთან) სადაც ბ-ნი კონსტანტინე ადრე ცხოვრობდა, მემორიალური დაფა გავხსენით.

სიტყვა ვთქვი:

კონსტანტინე კარგი მწერალი იყო. მხატვარმა ზურაბ წერეთელმა (ნათესავი ყოფილა) კარგი ბანკეტი გადაუხადა.

მოვიგონეთ კონსტანტინე.

ტერიტორიების (აფხაზეთი, სამაჩაბლო) დაბრუნების საქმე კვლავინდებურად შავადაა.

სააკაშვილმა სტრასბურგში ევროსაბჭოს სესიაზე განაცხადა: მზად ვარ საქართველო გადავაკეთო ფედერაციად, მზად ვარ, აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს მივცე ლამის სრული დამოუკიდებლობა (ოღონდ ფორმალურად საქართველოს საზღვრებშიო)...

რუსეთმა (ბაღაფშის და კოკოითის პირით) სასტიკი უარი განაცხადა.

რატომ ვერ გაიგეს ქართველებმა, რომ ჩვენ (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) დამოუკიდებელი სახელმწიფოები ვართ და საქართველოში არასოდეს დავბრუნდებითო, განაცხადეს თვითმარქვია პრეზიდენტებმა – ბაღაფშმა და კოკოითმა.

მსოფლიო დუმს.

ჩვენს ძმა ამერიკას ამაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

ჩანს, რუსეთის ამერიკასაც ეშინია (თუ ჩვენ იმდენად არ ვუღირვართ, რომ თავი აიტკიოს).

რჩება ასე, დამცირებული და დამარცხებული საქართველო 2005 წელსაც.

ჩემი საქმე რომ იყოს, რაკი დღისით მზისით აშკარად გვართმევენ ჩვენს მიწა-წყალს, უფრო ქმედით ღონისძიებებს მივმართავდი.

ხომ ვერ დააჩოქა რუსმა ჩეჩნეთი?!

ახლა საჭიროა მწერლებმა ერი შევანჯღრიოთ და შიშის, არასრულფასოვნების სინდრომი განვდევნოთ მისი არსებიდან.

ამ პრობლემის შესახებ ამ დღეებში დავწერე ნოველა „ქართველები“ რომელსაც თებერვლის პირველ რიცხვებში „მწერლის გაზეთში“ გამოვაქვეყნებ.

26 იანვარს ლევან სანიკიძის ოთხმოცი წლისთავი შესრულდა.

გავედით საფლავზე ოჯახის წევრები და პირადი მეგობრები, სულ ოციოდე კაცი (მწერლებიდან მარტო მე ვიყავი). არ იყვნენ როინ მეტრეველი, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, ისტორიკოსები დეკანი მერაბ ვაჩნაძე. იყვნენ: ვახტანგ გოგუაძე, ვალერი კვარაცხელია, პაატა კოღუაშვილი, კაკო ასათიანი (ოჯახით) და რამდენიმე ნათესავი (რასაკვირველია შვილი – გუბაზი, მეუღლე ლალი, რძალი – ირმა და შვილიშვილები).

ლევანი ჩემი უპირველესი მეგობარი იყო. ძალიან მაკლია.

ო, რა დღეში იქნებოდა, ახლა ცოცხალი რომ ყოფილიყო.

გაზეთებში გამოვაქვეყნე ლევანის 80 წლისთავზე წერილები.

სხვას არავის გახსენებია. ლევანის ფასი ჯერ საქართველომ არ იცის, როგორც ჩანს.

21.I-2005 – 15.III-2005

რუსუდან ლორთქიფანიძემ (თსუ ახალი რექტორი) დამიბარა და მითხრა ხომ შეასრულა სააკაშვილმა ჩემთვის მოცემული პირობა, ხომ აღარ ართმევენ მწერლებს კუთვნილ შენობასო.

ჯერჯერობით სიწყნარეა და აწი არ ვიცი როგორ იქნება-მეთქი.

მწერალთა კავშირის ერთადერთი გაზეთი “მწერლის გაზეთი“ რომ სულს ღაფავს, თუ იცის პრეზიდენტმა, ან ის თუ მოეხსენება, კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი რომ პორნოგრაფიულ ჟურნალ-გაზეთებს აფინანსებს, ხოლო მწერლებზე გამწყრალია-მეთქი.

როცა საშუალება მექნება, ვეტყვი, რომ „მწერლის გაზეთს“ მიხედოსო, რუსიკომ.

სხვათა შორის, სასიამოვნო მოსაუბრე, ინტელიგენტური, ყურადღებიანი ქალია.

განათლების რეფორმა (უკვე პარალმენტის მიერ დაკანონებული) გრძელდება.

აკრედიტაციაზე უარი უთხრეს 270 უმაღლესი სასწავლებლიდან – 200-ს.

გაუქმების საშიშროება ემუქრება ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს (?!!) და ცხინვალის უნივერსიტეტს.

3 თებერვალს თბილისში, საბურთალოს ქუჩა №53-ში, გამთენიისას დაქირავებულ ოროთახიან ბინაში რაულ უსუპოვთან ერთად მკვდარი აღმოაჩინეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია.

საშინელებაა! სამარცხვინო საშინელება.

მე რომ დამეპატიჟებინა სახლში არც ბურჯანაძე მოვიდოდა და არც ჟვანია.

ეგ კი არა, ექვსი თვეა მიღებას ვითხოვ როგორც მწერალთა კავშირის მდივანი და ჟვანიამ „დრო ვერ გამოძებნა“.

ოფიციალურად აცხადებენ, გაზით გაიგუდნენო.

ალბათ, მართლაც გაიგუდნენ, მაგრამ როგორ, რა ვითარებაში?

თუ ეძინათ? რატომ და რისთვის, როცა ჟვანიას სახლი იქვე 200 მეტროში იყო, თავის ცოლ-შვილთან ვერ მივიდა?

თუ ჩაცმულები იყვნენ, საუბრობდნენ ე.წ. სამსახურებრივი "საიდუმლო სერობა" ჰქონდათ (რაც ძალიან საეჭვოა) რა საიდუმლო სალაპარაკო უნდა ჰქონოდათ, რაც სახელმწიფო კანცელარიაში არ შეიძლებოდა? იქ ხომ ჟვანიას რამდენიმე ოთახი აქვს და მის საუბარს არავინ იწერს.

ხოლო ზურაბ ჟვანია ხომ სააკაშვილის უპირველესი მეგობარი და ბრძენი მრჩეველი იყო, ხომ გამორიცხულია რომ, იგი შეთქმულებას აწყობდა სააკაშვილის წინააღმდეგ და ამისთვის ჰყავდა არალეგალურ შეხვედრაზე ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე, 25 წლის ლამაზი თათრის ბიჭი?

მეგობარი იყოო, აცხადებენ, პრემიერ მინისტრის პირად მეგობრებს ასე თუ ისე იცნობს საზოგადოება და მათ შორის უსუპოვი არასოდეს დასახელებულა. დაცვის წევრებმაც, რაკი 12-დან 5 საათამდე ჟვანია ტელეფონს არ იღებდა, ფანჯარა შეამტვრიეს და შევიდნენო, ესეც ძალიან საეჭვოა.

დაცვა პრემიერ-მინისტრისთვის როგორც არ უნდა დააგვიანდეს, მის ფანჯრის ჩატეხვას ვერ გაბედავს.

თუ არ ეძინათ, გაზი ხომ ხუთ წუთში არ ჰკლავს, ვერ გაიგებდნენ?

ამ საეჭვო კითხვებს უნდა გაეცეს პასუხი.

ამიტომაც ნაჩქარევად მიმაჩნია ჟვანიას დიდუბის პანთეონში დასაფლავება.

„დიდუბის პანთეონი" ხომ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონია. დღემდე ასე იყო. რომელი ხელმძღვანელი პირია იქ დასაფლავებული, – მახარაძე, ცხაკაია? ჩარკვიანი? მგელაძე? მჟავანაძე? ჯავახიშვილი? პატარიძე?

ჯერ გაირკვეს ჟვანიას დამსახურება ქართველი ერის წინაშე და მერე მიგვეღო გადაწყვეტილება მისი დიდუბით უკვდავყოფის შესახებ.

განა უკეთესი არ არის დიდუბეში გადავასვენოთ, ვიდრე დიდუბის პანთეონდან გადმოვასვენოთ?

დაასაფლავეს ჟვანია მთელი პომპეზურობით და ატყდა ჩვენს ზედმეტად პოლიტიზირებულ მასმედიაში ჭორის ზვავი: „ჟვანია მოკლულია პოლიტიკურ-ქიშპურ ნიადაგზეო."

ულიმლამოდ ასეთი ჭორიც გაკეთდა: ჟვანია ეროვნულმა ძალებმა მოაშთვეს თავისი სომხურ-ებრაული წარმოშობის გამოო.

მე პირადად ორივე ჭორი სისულელედ მიმაჩნია.

მოსამართლე ტარიელ ზამბახიძემ 6 თებერვალს განაჩენი გამოგვიგზავნა მწერალთა კავშირში.

განაჩენში გარკვევით სწერია მწერალთა კავშირის სასახლე (მაჩაბლის 13) ჩამოერთვას და კულტურის სამინისტროს გადაეცესო.

ტყუილი აღმოჩნდა „აღშფოთება" – ვინ ართმევს შენობას მწერლებსო".

9 თებერვალს პრეზიდენტი პარლამენტში საანგარიშო სიტყვით გამოვიდა. სისულელეები ილაპარაკა.

ავთანდილ ნიკოლეიშვილის ვაჟმა ოთარმა საკანდიდატო დისერტაცია

დაიცვა. ვითამადე. სუფრასთან გამოჩენილი ისტორიკოსები და ფილოლოგები ისხდნენ – რასაკვირველია, ყველა ჩვენგანის საზრუნავი საქართველოს მდგომარეობაა.

პრემიერ-მინისტრად ფინანსთა მინისტრი კაცთმოძულე ზურაბ ნოღაიდელი დაინიშნა ააკაშვილმა.

„ფერი ფერსო“, – ნათქვამია.

„კალმასობამ“ (გ. ბენაშვილი, თ. დოიაშვილი, ნ. დარბაისელი, ლ. ბრეგაძე) ტარიელ ჭანტურია და ლია სტურუა ააბურთავა. ორივენი სასტიკად გააკრიტიკეს. მართალია, ტარიელის და ლიას „მცირეპოეტობა“ მაშინ გაახსენდათ, როცა ზემოთ ჩამოთვლილმა გულნამცეცა ლიტერატორებმა სახელმწიფო პრემია ვერ მიიღეს, მაგრამ თუ მიზეზი ამაზრზენია, სამაგიეროდ რასაც სწერენ – სიმართლეა.

როცა ლია სტურუა რუსთაველის პრემიაზე წარადგინეს, მე დავწერე „მწერლის გაზეთში“ თუ ამ პოეტის თუნდაც ერთი ლექსის სათაურს ვინმე დაასახელებს მკითხველთაგან, მარჯვენა მომჭერით-მეთქი, მაგრამ ვინ მისმინა.

მე თუ არ ვითავე, არც მწერლებს ახსოვს და არც მეცნიერებს ლევანი, შოთა, მორისი, ზაურ ბოლქვაძე, მწერლობაში ეს ოთხი უახლოესი მეგობარი მყავდა. ოთხივენი „გაღმა სოფელში“ არიან. თითქმის მარტო დავრჩი.

ჭეშმარიტ მეგობრობას მიწევენ იგორ კვესელავა, სოსო სიგუა, იური ბიბილეიშვილი, გივი გამსახურდია და მურმან თავდიშვილი. ამ ბოლო დროს დამიძმაკაცდა მურმან ჯგუბურია.

ესაა სულ.

სხვათა იმედი არა მაქვს.

ლევანს მე თუ არ ვუპატრონე, სხვა არავინაა მისი პატრონი.

„მწერლის გაზეთში“ და „საქართველოს რესპუბლიკაში“ ლევანის 80 წლისთავს გამოვეხმაურე.

მოვძებნე აწ გარდაცვლილი ცოლ-ქმრის – ნათელა ონაშვილის და გურამ პაპინაშვილის ბინა.

გურამმა, მახსოვდა, ლევანის ბიუსტი გააკეთა (პორტრეტი).

სანამ 200 ლარი არ გადავუხადე, გურამის ქალიშვილს – მაიას, ბიუსტი არ გამომიჩინა.

თან გაბრაზებით მითხრა, ორი წელია ვურეკავ სანიკიძეებს, მაგრამ არა თუ ფულის გადახდა, არც დაინტერესდნენ ბიუსტითო.

ასე რომ, ჩემი მწირი შესაძლებლობით გამოვისყიდე ლევანის ბიუსტი და უნივერსიტეტში ჩემს კაბინეტში სამუდამოდ მივუჩინე ბინა.

თითქოსდა ტვირთი მომეხსნა. დიდ სულიერ კმაყოფილებას ვგრძნობ.

11 მარტს უნივერსიტეტში ლევან სანიკიძის იუბილე მოვაწყვე.

რექტორს – რუსუდან ლორთქიფანიძეს გავახსნევინე. მე მოხსენებით გამოვედი. სიტყვები თქვეს: მარიკა ლორთქიფანიძემ, როინ მეტრეველმა, ოთარ ჯაფარიძემ, გრანი ქავთარიამ, გოგი გოგოლაშვილმა და სხვებმა.

16.III – 1.IV – 2005

მწერალთა კავშირში ლევან სანიკიძეს დაბადების 80 წლისთავის იუბილე გადავუხადე.

მაყვალამ გახსნა. მე მოხსენებით გამოვედი.

ასე რომ, ლევანის წინაშე ჩემი მეგობრული ვალი ამჯერადაც მოვიხადე: ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოვუწყვე იუბილე, მერე მწერალთა კავშირში.

ძალიან მაკლია ლევანი.

ორმოცი წელი ძმებივით მხარდამხარ ვვიდოდით.

„მწერლის გაზეთში“ და „ჯორჯიან ტაიმსში“ გამოვაქვეყნე პუბლიცისტური წერილების სერია „20 რჩევა პრეზიდენტს“.

26 მარტს ჩემთან იყო სილოვან ნარიმანიძე.

ბატონ სილოვანს 80 წელი შეუსრულდა. დავპირდი, რომ გაზეთშიც მივცემ საიუბილეო გვერდს და მწერალთა კავშირის შენობაშიც გადავუხდი საიუბილეო საღამოს.

28 მარტს ფრიდონ ხალვაში მეწვია კაბინეტში.

ნიჭიერი, დამსახურებული, პატრიოტი კაცია.

ამ ორმოცდაათი წლის წინ სწორედ მან დააყენა მწერალთა ყრილობაზე გონივრული წინადადება – რა საჭიროა აჭარის ავტონომია, ავდგეთ და გავაუქმოთო.

ამით აჭარის ხელმძღვანელობაც გადაიკიდა და „ცენტრიც“.

რა ვქნათ მაისში რომ 80 გისრულდება-მეთქი, ვკითხე.

შენს იმედზე ვარო. იქნებ მთავრობაში მიხვიდე და შეახსენოო. საერთოდ შენ როგორ გესახება ეს თარიღიო.

მე-მეთქი, ჩემო ფრიდონ, ვფიქრობ ოპერის თეატრში უნდა გადავიხადოთ შენი იუბილე. ეს საჭიროა საქართველოსთვის, აჭარის და დანარჩენი საქართველოს გამთლიანებისთვის, აჭარელის გამხნევებისთვის-მეთქი.

ცრემლი მოერია.

მართალი ხარო. მე აწი 4 ფიცრის მეტი არაფერი მჭირდება, მაგრამ იქნებ „აჭარელი პოეტის“ დაფასებამ კარგი როლი შეასრულოსო.

მივალ, როგორც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი მთავრობაში.

თუ არაფერი გამოვიდა, ჩვენი ძალებით და სახსრებით გადავიხდით ფრიდონის იუბილეს.

27 მარტს რუსთაველის პროსპექტზე და მერიის წინ ხელისუფლების საწინააღმდეგო დიდი მიტინგი მოეწყო.

„ცხოვრება უფრო გაუსაძლისი გახდა“, „ვშიმშილობთ“, არა გვაქვს დენი და გაზი“, გაჰყვიროდნენ მომიტინგენი.

მათ ზუგდიდიდან და წალენჯიხიდან ჩამოსული გაჭირვებულებიც შეუერთდნენ.

იყაყანეს და დაიშალნენ.

იმ ადგილას, სადაც რუსთაველზე, კავშირგაბმულობის სახლის წინ 1956 წლის 9 მარტს მომიტინგენი დახვრიტეს, მემორიალური დაფა გაიხსნა.

ავტორია ვახტანგ დავითაია, მართლაც, მშვენიერი დაფაა – ტყვიებით დახვრეტილი.

სიტყვა ვთქვი. ეს იყოს-მეთქი გაფრთხილება ხელისუფლების მიმართ, რომ საკუთარ ხალხს არასოდეს, არცერთმა ხელისუფლებამ ტყვია არ ესროლოს-მეთქი.

ამ დღეებში დავწერე ლიბრეტო ამირან შალიკაშვილის პანტომიმის თეატრისათვის.

ამირანი ძალიან საინტერესო და ნიჭიერი კაცია.

ქართული თეატრი პანტომიმისა, რომელიც მან შექმნა, ბრწყინვალე თეატრია.

არაერთგზის იყო ჩემთან მწერალთა კაშვირში, შენი ნოველები, ისე პოლიტიკურია, იქნებ რამე დამიწერო ჩემი თეატრისთვისო.

თეატრი საერთოდ, ისეთი წმინდა რამაა ჩემთვის, რომ რეჟისორს როგორ გავაწბილებ (მითუმეტეს თუ ნიჭიერია).

ვიფიქრე, ვიფიქრე და ტერენტი გრანელზე შევჩერდი.

საქართველოს თავისუფლების დაკარგვა (21 წლის 25 თებერვალი), მარო მაყაშვილი და ტერენტი გრანელი დავუკავშირე ერთმანეთს.

ტერენტი იმ დროს სამჯერ დააპატიმრეს და ჩეკამ გაგიჟებამდე მიიყვანა.

დავწერე ლიბრეტო 2 საათში (ერთი დღე ვიფიქრე...).

მივუტანე ამირანს.

დასის წინ ხმამაღლა წაიკითხა.

უნდა გენახათ რა სიხარული, რა ცრემლისღვრა იყო თეატრში.

ყველას (განსაკუთრებთი ამირანს) ძალიან მოეწონა.

უსათუოდ ჩავუშვებ უახლოეს დღეებში და სექტემბერში, პრემიერას ვითამაშებო.

ვნახოთ, რას იზამს.

2.IV 2005 – 8. IV. 2005

ბონდო მაცაბერიძემ („ბაკმი“) კიდევ ერთხელ გამახარა: ბულგარეთში დასტამბული ჩემი ნოველების რჩეული („ჩემი დარდი და სიყვარული“) მომიტანა.

ეს ჩემთვის დიდი, დიდი სიხარულია.

საერთოდ წიგნის გამოცემას შვილის დაბადებასავით განვიცდი.

ჩემთან სახლში ბონდომ, რუსუდანმა (გამომცემლობის რედაქტორი) ჩემმა მეზობელმა სერგო მელაძემ და მე აღვნიშნეთ წიგნის გამოსვლა.

ბრწყინვალე გამოცემაა.

7 აპრილს მწერლები და მეცნიერები მარტყოფს ვეწვიეთ, მარტყოფის ბრძოლის 380 წლისთავის აღსანიშნავ შეკრებაზე.

სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ მიმართული აჯანყების და ამ ბრძოლაში გიორგი სააკაძის მიერ გამოჩენილი საარაკო გმირობის შესახებ ვილაპარაკეთ მე, გივი ჯამბურიამ, ბადრი ქუთათელაძემ, დევი კაჭარავამ, სილოვან ნარიმანიძემ, აკაკი მათიაშვილმა, ბონდო კოპაძემ, ნუგზარ ნადარაიამ, ზურაბ ანთაძემ და სხვებმა.

სოფლის ყრილობას წინადადებით მივმართე დაწესდეს ეროვნული სახალხო დღესასწაული „მარტყოფობა“.

სოფელმა ერთხმად მიიღო ჩემი წინადადება.

ამრიგად აწ და მარადის მარტყოფში, 7 აპრილს, ხარება დღეს ყოველწლიურად გაიმართება მარტყოფობა და ამ დღესასწაულის დაარსებაში მცირედი წვლილი მეც მიმიძღვის.

9.IV – 20.V – 2005

წიგნად გამოვეცი „20 რჩევა პრეზიდენტს“. ელვისსისწრაფით გაიყიდა, გამომცემელ იობაიას ვუთხარი, შემოსავალი, მე კაპიკი არ მინდა, იქნებ გაზეთის ორი ნომრის ფული მაინც დავაგროვოთ-მეთქი.

გაზეთის ერთი ნომერი 240 ლარი გვიჯდება. მე და სოსო სიგუა ხელფასს მთლიანად გაზეთს ვახარჯავთ! სოსომ მითხრა, ეს რომ გაიგოს ჩემმა ცოლმა, თავს ჩამოიხრჩობსო.

მწერალთა კაშვირში ტიციან ტაბიძის 110 წლისთავის იუბილეზე ქართული პოლიტიკის „ახალი ვარსკვლავი“ გია მაისაშვილი მოვიდა. მშვიდი, ნიჭიერი, გაწონასწორებული ყმაწვილია.

მეო, მითხრა, ბატონო რეზო, თქვენი ყველაფერი წაკითხული მაქვსო. ამერიკაში მიმქონდა თქვენი წიგნები და იქ ვუთარგმნიდი ჩემს მეგობრებსო, სიცილით იხოცებოდნენ და მეუბნებოდნენ; მარკ ტვენი თქვენ საქართველოში გყოლიათო.

გვიან ღამემდე ვისხედით მწერალთა კავშირის ბაღში.

მომეწონა მისი პროგრამა.

მაისის 10-ში საქართველოში ამერიკის პრეზიდენტი ბუში ჩამოვიდა.

მომეწონა მისი უცერემონიობა. ორთაჭალის აბანოებთან მოცეკვავეებს ცეკვაშიც კი აჰყვა.

თქვენს გვერდით გვიგულეთო, დაგვპირდა.

სააკაშვილი ჩვეულებისამებრ ემოციურად გამოვიდა.

ბუშს ერთი კონკრეტული საკითხი არ დაუსვამს. არც რაიმე ხელშეკრულებაზე ყოფილა ლაპარაკი. ეს ვიზიტი არაოფიციალური ვიზიტი – გამოსეირნება იყო.

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი პარადი ჩატარდა.

მოდიოდნენ ავტომატჩაბღაუჭული ჩვენი ჯარისკაცები და დიქტორი გაჰყვიროდა:

„ეს ის ჯარისკაცებია, ვინც შარშან ცხინვალის საბრძოლო ოპერაციებში დავალება ბრწყინვალედ შეასრულესო.

არადა ჩვენ ხომ ვიცით, როგორ გამოაბუნძულეს ჩვენი „მამაცი მეომრები“ ცხინვალიდან.

25 მაისს პირველ საშუალო სკოლაში მიმიწვიეს მარჯორი და ოლივერ უორდროპების ხსოვნის საღამოზე.

იყვნენ ინგლისის ელჩი, მისი მეუღლე და 21 წლის ვაჟიშვილი.

თავი მოიკლა დავით მჭედლურმა.

დავასაფლავეთ 29 მაისს.

მე დავურეკე დავითის მეუღლეს და ვთხოვე, მწერალთა სასახლის შენობიდან გამოვასვენოთ-მეთქი. უარი თქვა.

ბოლო დროს დეპრესიაში იყო, ასეთ ნაბიჯს ველოდითო, ცოლმა.

ორი წერილი დაუტოვებია.

ერთი მეუღლისადმი, მეორე – გივი ალხაზიშვილისადმი.

ბოლო დროს „მერანში“ გივი ალხაზიშვილის მოადგილედ მუშაობდა.

რას წერს-მეთქი, გივის ვკითხე, დაკრძალვაზე იყო მოსული.

პირადად უბედური კაცი ვარო. შვილმა, ვაჟს გულისხმობდა, ვიღაცას

თოფი ესროლა და სამი ოპერაციის ფული დათოს გადასახდელი შეიქნა, მაპატიეთ, ყველას ბოდიშს გიხდითო...

ასე მიამბო გივი ალხაზიშვილმა ორივე წერილის მოკლე შინაარსი.

ერთი სიტყვით ნიჭიერი, პატიოსანი პოეტი დავით მჭედლური აღარა გვყავს.

თავის მოკვლას მე, რასაკვირველია, ვერ გავამართლებ, მაგრამ რატომ უნდა მიიყვანო მწერალი, მოღვაწე, ხელოვანი იქამდე?

იყო კაცი და აღარ არის კაცი.

გაზეთად („ასავალ-დასავალის" დამატებად) გადაკეთდა „ცისკარი", დაიხურა ჟურნალი „მნათობი".

15 ივნისს უმაღლესი სასამართლო კიდევ ერთ ფარსს მოაწყობს და, ალბათ, მწერალთა კავშირის შენობას სამუდამოდ წაგვართმევს.

მწერალთა კაშვირში დ. მჭედლურის გამოსათხოვარ მიტინგზე ვთქვი, რომ დ. მჭედლურის უკანასკნელი გასროლა გაფრთხილებაა ყველასთვის-მეთქი.

იგი ვაჟკაცი იყო და ბოროტებას ვერ დაუზავდა-მეთქი.

21.V – 2005 – 12.VII. 2005

მწერალთა კავშირში ქურთი პოეტის ჯარდოე ისკოს 75 წლის საღამო გავმართეთ.

თვით პოეტი გარდაცვლილია, ბევრი ქურთი მოვიდა.

მე გავხსენი საღამო.

სიტყვა თქვა ქერიმ ამოევმა – ქურთულ-ქართულად.

საღამომ თბილად ჩაიარა.

მთელ საქართველოში ნიაღვრებია. დაიტბორა ნათესები, ჩაინგრა ხიდები, წყალმა წაიღო სახლები. ამბობენ, რომ მსგავსი სტიქიური უბედურება საქართველოს, კარგახანია, არ სწვევია.

თბილისიც კი მეწყერების ზონად გამოცხადდა. მთაწმინდისა და მადათოვის კალთები ჩამოინგრა, დაიტანა სახლები, ადამიანთა მსხვერპლი თბილისში ჯერჯერობით არ არის.

17 ივნისს თბილისში გიორგი სააკაძისადმი მიძღვნილი ახალდაარსებული დღესასწაული „სააკაძეობა" დაიწყო.

გიორგი სააკაძის ძეგლთან ზღვა ხალხი შეიკრიბა, გამოვედით თამაზ გამყრელიძე, მე, ნოდარ ასათიანი, კაკო მათიაშვილი, ზურაბ ქაფიანიძე, ბონდო კობაძე და სხვანი.

18 ივნისს ზეიმი კასპში გაგრძელდა. 3 ავტობუსით გავემგზავრეთ თბილისიდან.

ვიყავით სააკაძის საგვარეულო-სამფლობელო სოფელ ნოსტეში. ბრწყინვალე ადგილას დგას სააკაძის საგვარეულო კოშკი. მთელს ქართლს გადაჰყურებს.

ერთაწმინდის დიდებულ ტაძარში ვილოცეთ გიორგის და პაატას სულებისთვის. იქ ხომ პაატაა დაკრძალული. მამულს ზვარაკად შეწირული 17 წლის ბიჭი.

ოთხ საუკუნეზე მეტია მოსძახის საქართველოს გიორგი სააკაძის მგზნებარე სული ნუ „გათათრდების" და ნუ გასპარსდების გამაფრთხილებელი ძახილით.

საღამოს კასპის კულტურის სახლში დიდი ზეიმი მოეწყო.

პირველი სიტყვა მე მომცეს. გამოვიდნენ აგრეთვე როინ მეტრეველი, მაყვალა გონაშვილი, დიმა ჯაიანი, ჯემალ ღაღანიძე, დავით ტაკიძე, თემურ ჩალაბაშვილი და სხვები.

მწერალთა კაშვირში 20 ივნისს მწერალთა სასახლის აშენებიდან 100 წლის აღსანიშნავი საღამო გავმართეთ.

ვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ გვიანდერძა ეს შენობა სულკურთხეულმა დავით სარაჯიშვილმა, როგორ დაგვიკანონა შალვა ელიავამ (რევკომი) 1991 წლის 28 თებერვალს და როგორ გვართმევს ახლა ეკონომიკის სამინისტრო.

23 ივნისს მწერალთა კავშირში ოტია იოსელიანის დაბადების 75 წლისთავის იუბილე გავმართეთ.

მაყვალამ გახსნა. მე მოხსენება გავაკეთე.

გამოვიდნენ გიგა ლორთქიფანიძე, გივი ბერიკაშვილი, სოსო სიგუა, მურმან თავდიშვილი, დათო ტაკიძე, მიხეილ მახარაძე, გიზო ზარნაძე, მურმან ჯგუბურია და სხვები.

ოტიამ გრძელი, საინტერესო სიტყვა თქვა. მიყვარს ოტია. მწერალი, რა თქმა უნდა, საშუალოა, მაგრამ მოქალაქეა სამაგალითო; ჩაკირული, ტკბილმწარე სიტყვიანი, უცერემონიო იმერელია, გლეხის ნიღაბი აქვს, მაგრამ საკმაოდ განათლებულია, და რაც მთავარია, პატრიოტია. ყოველთვის მხარში მედგა. ეროვნულობის აღდგენისთვის ბრძოლა რომ წამოვიწყე, ყოველთვის მეხმარებოდა წყალტუბოდან. ვერ იტყვი მასზე ხელისუფლებას გუნდრუკს უკმევსო. ქართული მწერლობის „ოთარაანთ ქვრივი“ შევარქვი და ასეც მოვიხსენიე მოხსენებაში.

ბოლოს ჩემს კაბინეტში ავედით 5-6 კაცი: მეუფე თადეოზი, ოტია, მაყვალა, მე, გიზო ზარნაძე, სოსო სიგუა, ზაურ იობაია (მერიქიფობდა). გვიან ღამემდე ვისაუბრეთ თითო ჭიქაზე და ღარიბულ პურმარილზე, ვისაუბრეთ საქართველოს სვეზე. სხვა რა გვქონდა სალაპარაკო.

უნივერსიტეტში „რეფორმა“ კვლავ გრძელდება.

საათების ახალი განრიგით (6-8-12) უნივერსიტეტის თანამშრომელთა 60% ქუჩაში რჩება. როგორმე 4-6-10-ს უნდა მივაღწიოთ.

25 ივნისს რუისობას დავესწარი.

ქართლში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია. შემოვუარე მე-7 საუკუნეში აშენებულ რუისის ტაძარს. სანთლები ავანთე ჩვენი მიცვალებულების სახელზე. საქართველოს გადარჩენა შევავედრე უფალს.

ეს ის რუისია, სადაც დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის ისტორიული საეკლესიო კრება ჩაატარა. ამ კრებამ ბევრად განსაზღვრა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საერთო მიმართულება და სამოციქულო ეკლესიის ადგილი ცენტრალიზებულ სახელმწიფოში.

დავლიე წყალი ტაძრის წინ მდებარე იმ უძველესი წყაროდან, საიდანაც წყალს სვამდა დავით აღმაშენებელი. საოცარი გრძნობა დამეუფლა. რა ახლოს ვართ ერთმანეთთან გუშინდელი და დღევანდელი საქართველო.

რუისობა ბოლო წლებში ამ სოფლის უდროოდ დაღუპული ახალგაზრდების ხსოვნას დაუკაშვირდა და „რუისობას“ მეორე სახელად ხალხ-

მა ახალგაზრდა პოეტის რატი (ტატო) ნინუას პატივსაცემად „ტატოობა“ დაარქვა. რატი ნინუამ თავი მოიკლა უნივერსიტეტის შენობაში 2001 წელს. გამოვედით: მე, მაყვალა გონაშვილი, ვახტანგ გოგუაძე, ვაჟა ოთარაშვილი, ვალერი კვარაცხელია, გიზო ზარნაძე, რუსუდან ჭანტურიშვილი, გივი სიხარულიძე, ტრისტან მახაური...

28 ივნისს გალაკტიონის მუზეუმში გიგა ლორთქიფანიძეს მოვუწყვეთ შეხვედრა.

„დათა თუთაშხიას“ ავტორი ბრწყინვალე რეჟისორია და ბატონი გიგა ჩემს სულიერ ძმად მიმაჩნია.

თბილი, ლირიული შეხვედრა იყო.

გამოვედით – რეზო ჩხეიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, მე, მაყვალა გონაშვილი, ამირან გომართელი და სხვანი.

შეხვედრაზე უნივერსიტეტიდან მივედი.

მთელი დღე საპროტესტო აქციებით ტორტმანებდა უნივერსიტეტი.

750 თანამშრომელი ქუჩაში გამოყარა ლომაიამ.

საშინელებაა!

დაიხურა რუსთაველის, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, გამსახურდიას კაბინეტები და ყველა სამეცნიერო ლაბორატორია.

ხვალ კათედრებს გააუქმებენ და ჩვენც ქუჩაში მოგვისვრიან.

9 ივლისს სილოვან ნარიმანიძის 80 წლისთავის იუბილე გავმართეთ მწერალთა კავშირში. მოხსენებით გამოვედი და ვუთამადე კიდეც სილოვანს.

6 ივლისს დანიშნული იყო უზენაესი სასამართლო მწერალთა კავშირის შენობის კუთვნადობის საკითხთან დაკავშირებით.

12 საათზე ჩავატარეთ დიდი საპროტესტო მიტინგი მწერალთა სასახლის წართმევის მცდელობასთან დაკავშირებით.

ათასამდე კაცი დაესწრო.

მერე კოლექტიური სვლით გავეშურეთ სასამართლოსკენ.

სასამართლო 3 საათზე დაიწყო.

მოსამართლე ნინო ქადაგიძემ პროცესი გახსნა და მაშინვე გადადო მოტივით – ორივე მხარეს მოლაპარაკებისთვის 20 სექტემბრამდე დროს ვაძლევთო.

10 ივლისს მწერალთა სასახლეში რუსულენოვან თბილისელთა ინიციატივით ლერმონტოვის საღამო გაიმართა.

რუსულად გამოვედი და მივესალმე: ასეთ ღონისძიებებს ჩვენს შენობაში უფრო დიდი ენთუზიაზმით შევხვდებოდით, რუსეთი აფხაზეთს და სამაჩაბლოს რომ დაგვიბრუნებდეს-მეთქი.

დღეს 12 ივლისია. დილით მე და სვეტამ შიო ეროვნულ გამოცდაზე წავიყვანეთ.

მახსენდება 1990 წელს აჩიკო რომ წავიყვანეთ პირველ გამოცდაზე.

დღეს შიო აბარებს უმაღლესში.

უკვე დავაჟკაცდა, ლამაზი, ჭკვიანი ბიჭი დადგა.

ცრემლი მომადგა გპი-ს პირველი კორპუსის ხახაში ათას ბავშვთან ერთად რომ გაუჩინარდა.

ვნახოთ, რას იზამს.

13.VII – 05 – 12.VIII 05

ამირან შალიკაშვილი მოვიდა ჩემთან მწერალთა კავშირში და მომიტანა დაწვრილებითი გეგმა სპექტაკლისა, რომელსაც დგამს პანტომიმის თეატრში. ჩემს ლიბრეტოში სახოვნად, კონკრეტულად იყო ნაჩვენები პანტომიმის ენით, თუ როგორ მიიყვანა ხელისუფლებამ წამდაუწუმი დაჭერებით ტერენტი გრანელი გაგიჟებამდე. ბოლო სცენა – 1921 წელს იუნკრების ბრძოლა XI არმიის წინააღმდეგ და ტერენტის მიერ მარო მაყაშვილის ცხედრის ხელში აყვანაც. თითქმის მიჩქმალულია. რასაკვირველია, არ მომეწონა რეჟისორის "თვითშემოქმედება", მაგრამ ხომ არ ვეტყოდი, ვნახოთ, როგორი გამოვა სპექტაკლი. ერთი კი მწარედ შევნიშნე, თუ შენს სპექტაკლში არ გამოჩნდა ტერენტი გრანელი როგორც პოეტი, მე უარს ვიტყვი-მეთქი, ლიბრეტოს ავტორობაზე და ჩავამატებინე სცენები. ცოტა მოიღუშა, მაგრამ სხვა გზა არა ჰქონდა და დამთანხმდა.

ესეც ერთი გაკვეთილი. იმის დასტურად, თუ რატომ გავურბივარ რეჟისორებს და თეატრს საერთოდ. ისე გადაგიკეთებენ შენს ნახელავს, რომ შენვე ვერ იცნობ და ყოყმანი გიპყრობს, მოაწერო თუ არა შენი გვარი.

შიომ მესამე გამოცდა ჩააბარა.

სიტყვაძვირია, როგორ ჩააბარე ბაბუ, რა დაწერე, ხომ არ გაგიჭირდა-მეთქი, ისე, რაო...

უნივერსიტეტიდან ისევ ერეკებიან თანამშრომლებს.

„ძველი სახე" თითქმის აღარ დარჩა, ლექტორ-მეცნიერებს რომ თავი გავანებოთ, სამეურნეო სამსახურის თანამშრომლებიც კი გამოცვალეს და დაითხოვეს.

დილით გამოცხადდება კაცი სამსახურში და მის სკამზე სხვა ხვდება.

ზიზღს უცხადებს კახა ლომაია უნივერსიტეტის უკლებლივ ყველა თანამშრომელს.

ჯერ პირადად მე არავინ მეუბნება წადიო, მაგრამ თუ კათედრას წამართმევენ, ჩემს მიერ აღზრდილ კათედრის წევრებს ქუჩაში გამოყრიან, ეს ჩემს გაგდებასაც არ ნიშნავს? ძაღლუმადურად ვითვლებოდე ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტში ერთ-ერთ პინგვინ-ემერიტუსად?

16 ივლისს მწერალთა კაშვირში ქართული დეტექტიური ჟანრის ფუძემდებლის ორდე დგებუაძის დაბადების 100 წლისთავი აღვნიშნეთ.

გახსნა მაყვალა გონაშვილმა.

მოხსენებით მე გამოვედი.

სიტყვები: ვაჟა ოთარაშვილი, ლადო მრელაშვილი, ფრიდონ ხალვაში, თენგიზ სიგუა, შოთა დგებუაძე და ჯუმბერ თითმერია.

მანამდე, 15 ივლისს გრიშა ჟვანიამ მიმიწვია თავისი დაბადების 90 წლისთავის იუბილეზე, რომელიც მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა, სიტყვით მივმართე. გავამხნევე. იუბილის სულისჩამდგმელია იგორ კვესელავა.

ამასწინათ ამერიკის ელჩი საქართველოში „ვარდების რევოლუციის" რეჟისორი რიჩარდ მაილსი გაიწვიეს საქართველოდან. ახალი ელჩი ჯერ სააკაშვილს არც შეხვედრია.

თითქმის დაიხურა აფხაზეთის და სამაჩაბლოს თემა. დარჩა საქართველო აფხაზეთის და სამაჩაბლოს გარეშე. ამასწინათ ოსებმა ცხინვალთან ოთხი ქართველი გაიტაცეს და დახოცეს. გამკითხავი არავინაა.

მიხეილ ქვლივიძე გარდაიცვალა. 23 ივლისს დავკრძალეთ. მე და მაყვალამ ოჯახს ვთხოვეთ მწერალთა სასახლიდან გამოგვესვენებინა, მაგრამ მეუღლემ უარი განაცხადა; რატომ? ჩავეკითხეთ და გვიპასუხა, სიცოცხლეში რომ არც ერთი პრემია არ მიუციათ, ამაზე იყო გაბრაზებულიო.

არადა, ახლა სხვა მწერალთა კავშირია.

21 ივნისს საქართველოს მწერალთა სასახლეში ოფიციალურად გაიხსნა ლიტერატურული თეატრი "მონოლოგი" და ქართველ ხელოვნების საუკეთესო ქმნილებათა მუდმივმოქმედი გამოფენა „ლაზარე" (ინიციატორები საქ. მწერალთა კავშირი, ფირმა „ლაზარე").

გამოფენას უხელმძღვანელებს მიხეილ ადეიშვილი, თეატრს – მაია მაჩაბელი.

გამოვედით: მაყვალა გონაშვილი, მე, ვაჟა ოთარაშვილი, მაია მაჩაბელი, მზია ხეთაგური და მიხეილ ადეიშვილი.

გახსნას დაესწრო ქალაქის ახალარჩეული მერი გიგი უგულავა.

ჩემს გვერდით გიგის დგომით ვისარგებლე და ვუთხარი როგორ იქნება, გიგი, ამ შენობის საქმე, ხომ იცი, 100 წელია ქართველ მწერლებს გვეკუთვნის ეს შენობა და ცოცხალი თავით არ დავთმობთ-მეთქი.

არაო, ბატონო, რეზო, მშვიდად იყავითო, ვინ სულელს მოუვა თავში ამ შენობის წართმევაო.

22 ივლისს რეპრესირებულ და ომში დაღუპულ მწერალთა ხსოვნის დღე ჩავატარეთ.

აღვუთქვი მწერლებს, სანამ ცოცხალი ვარ, ვერავინ გაბედავს მწერალთა დევნას-მეთქი და სამუდამოდ გავაუქმე ჩვენს წესდებაში საზიზღარი მუხლი მწერლის კავშირიდან გარიცხვის შესაძლებლობის შესახებ-მეთქი.

13.VIII, 2005 – 3.X. 2005

10 სექტემბერს ჩარგალში ვაჟაობა ჩატარდა.

20 ვაჟაობას მიანც დავსწრებივარ და ყოველთვის (კომუნისტების მძვინვარების დროსაც) ტარდებოდა ისე, როგორც უნდა ჩატარებულიყო: პოეზიის ზეიმს წარმართავდნენ მწერლები. გამოდიოდნენ, ამბობდნენ ვაჟას და საკუთარ ლექსებს, ლაპარაკობდნენ გენიოს პოეტზე...

ეს ვაჟაობა კი მის ორგანიზატორებს – გუბერნატორ ვასიკო მაღლაფერიძეს და მის მოადგილეს – ყოფილ დრამატურგ შადიმან შამანაძეს მლიქვნელობის გამომჟაღვნების ტრიბუნად უქცევიათ.

ვაჟა ფეხებზე ეკიდა ყველა გამომსვლელს.

იყო მარტოოდენ კონცერტი. მიჰყავდა იგი ყოფილ ტელედიქტორს ზაზა ალექსიძეს.

არც ერთი მწერლისთვის სიტყვა არ მიუციათ.

ყველაზე სამარცხვინო ვაჟაობა იყო რაც ჩემს სიცოცხლეში მინახავს.

კონცერტი რომ მთავრდებოდა, თითქმის ძალით აიჭრა სცენაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი და საკმაოდ მაგარ-მაგარი სიტყვები თქვა.

ეს ვაჟაობა კი არა, საზეიმო კონცერტიაო, რა უფლება გქონდათ აქ ჩამოსული მწერლებისა და პოეტებისთვის სიტყვა არ მიგეცათო.

გულშემღვრეული დავბრუნდი თბილისში.

17 სექტემბერს მწერალთა სასახლეში გაიხსნა მონოლოგის თეატრი.

თეატრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა პირველი სპექტაკლი ყოფილიყო „რევაზ მიშველაძე“.

ბილეთი 10 ლარი ღირდა.

თეატრის დაბადებას უამრავი მაყურებელი დაესწრო.

ახალი თეატრის დაბადება საზოგადოებას მიულოცეს გიგა ლორთქიფანიძემ და მაია მაჩაბელმა (თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი).

ორი საათი ლამის გაუნძრევლად ვიდექი სცენაზე.

ვლაპარაკობდი ჩემს დამოკიდებულებაზე მწერლობასთან, როგორ იწერება ნოველა. რა მიმაჩნია ჭეშმარიტ მწერლობად. ვუპასუხე უამრავ კითხვას, გავიხსენე კურიოზები.

რომ დავამთავრე, ტაში კარგახანს არ დამცხრალა.

როგორც მითხრეს, ეს იყო მხატვრული სიტყვის და არტისტიზმის ზეიმი.

ტელევიზიამ ფართოდ გააშუქა („იმედი“, „მზე“).

გაზეთებშიც არაერთი სტატია დაიბეჭდა („ასავალ-დასავალი“, „ახალი თაობა“).

ერთი სიტყვით, მწერალთა სასახლემ ახალი ფუნქცია შეიძინა. იქ უკვე თეატრიც არსებობს.

მწერლები მილოცავენ და მეუბნებიან შენ შენი დიდი მწერლური სახელით და ორგანიზატორული ნიჭით ჩვენი გადამრჩენი ხარო.

შიომ ეროვნული გამოცდები ჩააბარა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის („სმუ“) სტუდენტი გახდა.

უნივერსიტეტში რეფორმა გრძელდება.

ეს ფაქტიურად „წმენდაა“.

უკვე დაითხოვეს („ახალი კონკურსი ვერ გაიარაო“) ნოდარ ტაბიძე, ნიკო ლეონიძე, დიანა ტყებუჩავა, ლია ფერაძე, ვალერი ლორია, ზაურ წულაია, რომან შენგელია და სხვები).

ნოემბერში ჩემი ჯერიც დგება.

ეჭვი არ მეპარება, რომ უსათუოდ გამაგდებენ.

თუ უნივერსიტეტს ამ ეტაპზე მსხვერპლი სჭირდება, დე, მე ვიყო.

როგორ ლამაზადაც მოვედი და ვემსახურე თეთრ ტაძარს 40 წლის მანძილზე, ისე ლამაზად წავალ.

20 სექტემბერს მწერალთა კავშირის გამგეობის სხდომაზე გამგეობის წევრებმა მწერალთა ახალი „შევსება“ დავამტკიცეთ.

120 ახალი წევრი შეემატა მწერალთა კავშირს, ესეც თქვენ მწერალთა კავშირის დაშლის მოსურნენო.

19 სექტემბერს ქალაქის პრივატიზაციის უფროსმა ვინმე დ. ჭედიამ მოულოდნელად მწერალთა კავშირის პოლიკლინიკის საჯარო გაყიდვა გამოაცხადა.

მივედით მე და მაყვალა. ვევედრეთ არ მოუშალოთ მწერლებს პოლიკლინიკა-მეთქი,მ აგრამ ვინ შეისმინა.

თქვენ შეისყიდეთო, ვინ გიშლითო, ცინიკურად გამოგვიცხადა.

ჩვენ ფული ვინ მოგვაშავა.

ასე რომ, გაგვიყიდეს.

ოტია იოსელიანმა დამირეკა: 4 სექტემბერს წყალტუბოში, ჩუნეშში, ნიკო ლორთქიფანიძის სახლში იქნებ შევიკრიბოთ, მწერლის სახლ-მუზეუმი პარტახდება და იქნებ ვუშველოთო.

წელს ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების 125 წლის იუბილე გვაქვს დაგეგმილი, მაგრამ რით, რა სახსრებით გადავიხადოთ?

გადასახდელი გვაქვს სოლომონ დოდაშვილის, გრიგოლ რობაქიძის, აკაკი წერეთლის, დავით გურამიშვილის... საიუბილეო თარიღები.

როგორ, არ ეკუთვნის საქართველოს ამ ღირსეულ მამებს იუბილეები ოპერის ან რუსთაველის თეატრებში.

რექტორატმა უარი მითხრა კათედრის დეპარტამენტად გადაკეთებაზე.

არა და მთელ მსოფლიოში არსებობს თანამედროვე ლიტერატურის დეპარტამენტი.

კონკრეტულად შემეწინააღმდეგა რისმაგ გორდეზიანის ავადმყოფი ბიჭი ლევან გორდეზიანი, რომელიც ე.წ. პრორექტორადაა დანიშნული.

ყველაფერი მზადდება იმისთვის, რომ მე, პირადად, უნივერსიტეტიდან გამიშვან.

წელს, 2005 წელს, 40 წელი შესრულდა, რაც უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობ.

გაზეთ „ახალი თაობის“ ინტერვიუში ვთქვი, ადრე თუ გვიან „რეფორმა“ ჩემამდეც მოვა, მაგრამ გააჩნია, ვინ გამაგდებს უნივერსიტეტიდან;

თუმცა... ნიჭიერთათვის ფეხის დამდებები უნივერსიტეტშიც ხომ ბლომად არიან.

არაფერი გამიკვირდება იმის შემდეგ, რაც 2001 წელს მწერალთა კავშირიდან ჩემს გარიცხვას მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

დღეს, დილით, თეიმურაზ მაღლაფერიძის წიგნს: „მარადი აწმყო“ ვკითხულობდი. როცა მიხეილ ჯავახიშვილზე ლაპარაკობს, ერთგან წერს: ოცდაჩვიდმეტი წელია. მწერალთა კაშვირში კრებაა. მიხეილ ჯავახიშვილის პოზიცია უნდა შეაფასონ. თავმჯდომარე დ. დემეტრაძე კითხულობს: ვინ არის მომხრე რომ მიხეილ ჯავახიშვილი ფიზიკურად იქნას განადგურებულიო.

ყველანი ხელს სწევენ თანხმობის ნიშნად.

ერთადერთი – გერონტი ქიქოძე უხმოდ დგება და გადის.

ასე მოხდა და ასე მოხდება ჩემთან დაკავშირებითაც.

თავს არავინ გამოიდებს. მერე რა, რომ 25 ასპირანტი მყავს გაზრდილი და 5 დოქტორანტი.

მერე რა, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტზე ყველა სახელმძღვანელო ჩემი დაწერილია, მერე რა, რომ რუსთაველის პრემიის ლაურეატი ვარ.

ამას ყველაფერს ფეხებზე დაიკიდებენ. საკონკურსო კომისია „იხელმძღვანელებს“ მხოლოდდამხოლოდ კახა ლომაიას და გიგი თევზაძის მითითებით. იმათი მითითება კი ასეთი იქნება: „ეროვნულ პოზიციაზე მდგომი პროფესორი რევაზ მიშველაძე უნდა წავიდეს უნივერსიტეტიდან“.

... და გამაგდებენ.

4.X.2005 – 12.XI-05

„რეფორმატორები“ რომ უნივერსიტეტში ჩემს წინააღმდეგ იბრძვიან და

ჩემს გასაგდებად ამხედრებულან, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი 15 ოქტომბერს.

კათედრის გამგეები შეგვკრიბა დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ვინმე გოჩა ჯაფარიძემ.

ახალი კონკურსისთვის უნივერსიტეტის თანამშრომელთა ქულა-კრიტერიუმებზე იყო საუბარი.

სხვათა შორის, დეკანმა თქვა სახელმწიფო პრემიის ლაურეატს 20 ქულა უნდა დაეწეროსო და მე მკითხა:

რომელ წელს მიიღეთ სახელმწიფო პრემიაო.

1987 წელს-მეთქი. ასეც ვიცოდითო. სახე გაებადრა. ჩვენი წესდების მიხედვით სახელმწიფო პრემია ბოლო 10 წლის განმავლობაში უნდა გქონდეს მიღებულიო.

კეთილი, მაგრამ 1998 წელს რუსთაველის პრემია მაქვს-მეთქი მიღებული.

რუსთაველის პრემია სახელმწიფო პრემია არ არის და ამიტომ ქულა არ დაგეწერებათო.

როგორ? რუსთაველის პრემია საქართველოს უმაღლესი პრემიაა, ვინ გითხრათ, რომ სახელმწიფო პრემია არ არის-მეთქი.

ამირან გომართელი წამოდგა და ამბობს: „ცრუობს მიშველაძე, რუსთაველის პრემია უბრალო, დარგობრივი პრემიაა, უმაღლესია სახელმწიფო პრემია, ამიტომ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მიშველაძეს რუსთაველის პრემიაში ქულა დაეწეროს, მითუმეტეს რომ რუსთაველის პრემია არცერთ ცნობილ მეცნიერს არ მიულიაო“ - თქვა გომართელმა.

მეორე დღეს დეკანს მივუტანე ცნობა, რომ რუსთაველის პრემია არის „შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია“ და იგი 1975 წელს მიღებული აქვს ნიკო კეცხოველს, ხოლო 1987 წელს აკაკი შანიძეს...

მაგრამ „რეფორმისტებს“ (ე.ი. ჩემს მტრებს) გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდათ და სამწუხაროდ დაიგვიანეო, დეკანმა.

ასეთი „ლოგიკა“ აქვს რევოლუცია-რეფორმას.

სააკაშვილის „გიჟობებს“ დასასრული არა აქვს.

ახლახან საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გააგდო სალომე ზურაბიშვილი – ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილი, რომელმაც დიპლომატის ისეთი ნიჭი გამოიჩინა, რომ რუსეთი აიძულა სამხედრო ბაზების გაყვანა დაეწყო.

რას ნიშნავს ეს?

უარს ხომ არ ვამბობთ დასავლეთზე და ისევ რუსეთის ყულფში ხომ არ ვყოფთ თავს?

ასეთი ფუსფუსი საქართველოში უკვე იგრძნობა.

არ გრცხვენიათ? თქვენ, ვინც რუსის ჩექმის მოწინააღმდეგენი იყავით, ახლა რუსის ხელითვე აპირებთ საქართველოს ხელისუფლების შეცვლას-მეთქი? – ვუთხარი რუსეთუმეთა ერთ ჯგუფს.

მე მირჩევნია, მე თვითონ აღვზარდო სააკაშვილი ჩემი რჩევებით და როგორმე კაცობისკენ შემოვაბრუნო, ვიდრე რუსს გავურიგდე და რუსის მარიონეტული ხელისუფლება მოვიყვანო, ეს ერთხელ უკვე გამოსცადა-მეთქი უბედურმა საქართველომ.

არა და... არც სააკაშვილის მოჭკვიანებას ადგას საშველი.

ახლა ქართულ ფენომენზე ახალი შეტევა წამოიწყო:

დავით აღმაშენებლის ძეგლი ქალაქის ცენტრიდან გარეუბანში უნდა გადავიტანოთო.

არ შეიძლება ეროვნული ძეგლებით და ეროვნული ატრიბუტებით დავტვირთოთ ქალაქი. მსოფლიოს თვალში ეს პროვინციალიზმიაო.

ამაზე მეტ სისულელეს წარმოიდგენს კაცი?

დარაჯობენ ახლა ჭეშმარიტი, თავგანწირული პატრიოტები (ორჯერ მეც გავედი) დავით აღმაშენებლის ძეგლს გაჰყვირიან; როგორ შეიძლება წმინდანის ძეგლის ხელყოფაო, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს.

მწერალთა კავშირში სოლომონ დოდაშვილის დაბადების 200 წლისთავის იუბილე ჩავატარეთ.

მოხსენებაში გამოვთქვი სურვილი, რომ დავაყენოთ მწერალთა სახელით საკითხი, კათალიკოს-პატრიარქის და წმინდა სინოდის წინაშე, რათა სოლომონ დოდაშვილი წმინდანად იქნას-მეთქი შერაცხული.

მხარი დამიჭირეს.

„გლობუსის“ თეატრმა ჩემი პიესის პრემიერა წარმოადგინა – „ჩემი გოლგოთა“, მთავარ როლს პალიკო ნოზაძე თამაშობს.

მალე პანტომიმის თეატრი წარმოადგენს „ტერენტი გრანელს“.

გამოვიდა ჩემი ახალი სახელმძღვანელო „თანამედროვე ქართული მწერლობის პრობლემები“.

მწერალთა სასახლეში მონოლოგის თეატრი ფრთებს შლის.

ჩემს შემდეგ ოტია იოსელიანი და სოფიკო ჭიაურელი წარუდგნენ მაყურებელს, 30 ოქტომბერს კი მერაბ ელიოზიშვილი.

ყველა სპექტაკლის წინ შესავალ სიტყვას ვამბობ და მაყურებელს წარვუდგენ სპექტაკლის გმირს.

ასე, რომ, უკვე ორი თეატრის დაარსება მოვასწარი. ქართული ნოველის თეატრისა (2001 წელს) და მონოლოგის თეატრისა (2005 წელს).

13.XI.05 – 12.XII. 05

გრძელი წვიმები დაიწყო.

ცა მოქუფრულია, როგორც პატრიოტი ქართულის გული დღეს.

რამ უნდა გაგვახაროს.

რესპუბლიკის მოედნიდან დავით აღმაშენებლის ძეგლი აიღეს.

არავითარი ეროვნული არ უნდა ჭაჭანებდეს საქართველოში – ასეთია სოროსის ნება.

ქართველს არაფერი არ უნდა შეახსენებდეს, რომ ის ქართველია – აი, როგორ აზროვნებს ახალი ხელისუფლება.

აიღეს უპირველესი მეფის ძეგლი ხალხის თვალწინ, სპეცნაზის მეთვალყურეობით.

დავით აღმაშენებლის ძეგლს დედაქალაქიდან ჩვენი ცრემლები მიაცილებდა.

მეორე დღეს სააკაშვილმა გამოაცხადა რესპუბლიკის მოედანს ვარდების რევოლუციის მოედანი უნდა დაერქვასო.

აი, თურმე რისთვის სჭირდებოდათ დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანა.

ქალაქის შემოსასვლელში ერთ მთავარ მოედანს ზურაბ ჟვანიას მოედანი დაარქვეს.

მალე სააკაშვილის, ოქრუაშვილის, მერაბიშვილის სახელებსაც უკვდავჰყოფენ.

მისაღები გამოცდებიდან თსუ ისტორიის ფაკულტეტზეც კი ამოიღეს საქართველოს ისტორია.

ემზადებიან ვარდების რევოლუციის 2 წლისთავის გრანდიოზული ზეიმისათვის.

მწერალთა დაჟინებული თხოვნით კახეთის გამგებლებმა ყვარელში ილიაობა გამართეს. სააკაშვილი, რასაკვირველია, არ მოვიდა.

ჩავედით მაყვალა, მე და ლადო მრელაშვილი.

სამმა სატელევიზიო არხმა ჩამწერა, ვთქვი (რას ვიტყოდი) საქართველოში ილიას გზას არ უნდა გადაუხვიოს-მეთქი.

არცერთმა არხმა არ გადასცა.

13.XII.05 – 14.I.06

საზოგადოების ყველა ფენა – დაწყებული მეწვრილმანე-მებაზრეებით – გათავებული აკადემიკოსებით დაირაზმა ხელისუფლების წინააღმდეგ.

იქმნება და იქმნება ახალ-ახალი ოპოზიციური პარტიები და საპროტესტო დაჯგუფებანი.

მწერალთა კავშირში „განთიადს“ 30 წლისთვის იუბილე გავუმართეთ.

გამოდიოდნენ მწერლები და ლაპარაკობდნენ „ცისკარი“ და „მნათობი“ დაიხურა და ერთადერთი „განთიადიღა“ ბჟუტავს, რა დღეში ვართ, ამას რას მოვესწარითო.

ხელისუფლება პენსიების შემცირებასაც აპირებს. ყველა დაწესებულებაში გრძელდება წმენდის კამპანია.

ე.წ. „ხანდაზმულებს“ ბედის ანაბარა ჰყრიან ქუჩაში.

პანტომიმის თეატრმა (ამირან შალიკაშვილი) დადგა ჩემი პიესა „ტერენტი გრანელი“.

16 დეკემბერს იყო პრემიერა.

სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა.

ხელისუფლება, რა თქმა უნდა, არ მოვიდა.

ისინი თეატრებში არდადიან. სომხეთიდან მივიღე ჟურნალ „გარუნის“ 2005 წლის 7-8 ნომერი.

დაბეჭდილია ჩემი სამი ნოველა („ბოლო“, „დეპეშა“ და „სექსუალური ნოველა“), აგრეთვე შალვა ამინაშვილის ნოველა „ელო, შევიდეთ გომურში“, უთარგმნია ცნობილ სომეხ მთარგმნელს ჰრაჩია ბარიამიანს. მწერს, რომ ჩემი ნოველების წიგნი სომხურად მალე გამოვა და სარჩევსაც მიგზავნის, განსაკუთრებით შალვას თარგმანის დაბეჭდვა გამეხარდა.

13 იანვარს ვეახელი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დედას ქ-ნ გიული ალასანიას, იგი შავი ზღვის უნივერსიტეტის პრორექტორია, მითხრეს, საერთოდ არავის ღებულობსო, მაგრამ დავურეკე თუ არა, მაშინვე მიპასუხა. მობრძანდითო.

თავაზიანად მიმიღო და გულისყურით მომისმინა. საუბარი მწერალთა კავშირის შენობის წართმევას შეეხებოდა, თქვენს შვილს ეს ერთი ისტორი-

ული დანაშაული მაინც ააცილეთ-მეთქი. იცოდეთ მწერლები: დავით სარაჯიშვილის დანატოვარ ამ შენობას არ დავთმობთ ცოცხალი თავით, სისხლი დაიღვრება და პასუხისმგებელი თქვენი შვილი იქნება-მეთქი. 10 იანვარსაა დანიშნული სასამართლო და იქნებ ჩაერიოთ, მოახსენოთ პრეზიდენტს ქართველ მწერალთა გულისტკივილი-მეთქი.

მეო, ჩემი შვილისგან საერთოდ აკრძალული მაქვს მის ყოველგვარ საქმიანობაში ჩარევა, მაგრამ იმდენად უეჭვოდ მიმაჩნია თქვენი სათხოვარი, რომ გარწმუნებთ უსათუოდ ვეტყვიო. იმას კი ვერ დაგპირდებით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პრეზიდენტიო.

მადლობა მოვახსენე და წამოვედი. მაყვალას დავურეკე, ძალიან გაეხარდა.

15.I. 06 – 5.III. 06

18 იანვარს მწერალთა კავშირში ინტელიგენციის დიდი მიტინგი გავმართეთ, ეს იყო საპროტესტო აქცია მწერალთა კავშირის შენობის დასაცავად.

გამოვედით მაყვალა, მე, ვაჟა, ნესტან კირთაძე და სხვები.

მერე კოლექტიურად გავეშურეთ უზენაესი სასამართლოსკენ, სადაც 3 საათზე დაიწყო პროცესი.

პროცესზე ვრცელი სიტყვა ვთქვი. ათასი წელიც რომ გავიდეს, ამ შენობას მწერალთა სახლად მოიხსენიებენ და რა უფლება აქვს მასონურ ტალღაზე მოსულ ხელისუფლებას, მწერლებს ეს შენობა წაართვას-მეთქი. ამ ხელისუფლებას რომ ხალხი პანღურისკვრით გარეკავს, მერე რაღა ვქნათ, როგორ დავიბრუნოთ გოკა გაბაშვილის მიერ გაყიდული შენობა-მეთქი.

სასამართლოზე უამრავი მწერალი მობრძანდა, მათ შორის ლადო მრელაშვილი, ოტია იოსელიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ანზორ აბულაშვილი, დათო ტაკიძე, შალვა მჭედლიშვილი და სხვები.

მოსამართლეს პროცესი ცუდად როდი მიჰყავდა, მაგრამ სწორედ ეს მენიშნა ცუდად, ზოგჯერ მოსამართლე, ვითომ ობიექტურად აჩვენებს დარბაზს თავს და მერე განაჩენი ისეთი გამოაქვს, როგორსაც ზემოდან უკარნახებენ.

სასამართლო სამ საათში შეწყდა და გადაიდო 15 თებერვლის 3 საათისთვის.

რას ნიშნავს ეს გადადება?

იქნებ მართლა მიიღო რაიმე ზომები ქ-ნმა გიული ალასანიამ?

ღმერთმა ქნას, ასე იყოს.

ღამით „კურიერში“ გოკა გაბაშვილი გამოჩნდა და განაცხადა: ჩვენ ამ პროცესს მაინც მოვიგებთ და მწერალთა კავშირს – მაყვალა გონაშვილს და რევაზ მიშველაძის მეთაურობით გამოვაძევებთ იმ შენობიდანო.

20 იანვარს, ღამით ინგა გრიგოლიამ „იმედში“ მიგვიწვია პირდაპირ ეთერში. ერთ მხარეს ვიჯექით – მაყვალა, ოტია იოსელიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გოჩა ფიფია და მე. მეორე მხარეს – ლაშა ბუღაძე, ლაშა ბაქრაძე, ბასა ჯანიკაშვილი და მამუკა ხერხეულიძე.

მეგონა კულტურის მინისტრთან ან პრემიერ-მინისტრთან მოგვიწევდა კამათი, თორემ არავითარ შემთხვევაში არ მივიდოდი. რა გვექნა, ჩავებით.

ჯერ იყო და ლაშა ბუღაძემ ოტიას ლაპარაკი არ აცალა. შენ უზრდელი, უტიფარი ბავშვი ყოფილხარო, იყვირა ოტიამ, წამოხტა და გაიქცა.

ვთქვი: რა გვაქვს გასაყოფი ან ამ ბავშვებთან საჩხუბარი-მეთქი. ამ ხელისუფლებას მხოლოდ 2 ერთგული „მწერალი“ შერჩა, დანარჩენები ე.წ. წვიმის რევოლუციის მწერლები უკვე დარწმუნდნენ, რომ არაეროვნული ხელისუფლება გვყავს და ჩვენსკენ, ოპოზიციაში გადმოვიდნენ-მეთქი, აქ იმიტომ არ ჩანს არც ერთი მინისტრი, რომ კარგად იციან, სათქმელი არაფერი აქვთ. შენობის წართმევა მხოლოდ საბაბია, მათ საერთოდ შემოქმედებითი კავშირების გაუქმება აქვთ განზრახული, რადგანაც სძულთ ის შემოქმედებითი ინტელიგენცია, ვინც გვერდით არ უდგას და თავიანთ ბინძურ საქმეზე კვერს არ უკრავს-მეთქი.

რასაკვირველია „მოწინააღმდეგე ბანაკმაც“ მიიღო ზომები და ჩვენ თუ ვარდების რევოლუციის მხარეს ვართ, თქვენ ასლან აბაშიძის მხარეს იყავითო. მისი სიით მოხვდით პარლამენტშიო. ვუპასუხე, კი მაგრამ თქვენი ბელადი მიშა სააკაშვილი თუ გახსოვთ, ვის გუნდში იყო, განა შევარდნაძის ერთგული მოწაფე და დღესაც მისი იდეების გამტარებელი არ არის-მეთქი?

საერთოდ, ცუდ გუნებაზე დამაყენა იმ გადაცემამ, იმდენად ცუდ გუნებაზე, რომ წნევამ ამიწია და ღამით კინაღამ სისხლი ჩამექცა. მთელი ღამე არ მიძინია.

ქალბატონმა გიული ალასანიამ, როგორც ჩანს, თავისი სიტყვა შეასრულა, მწერალთა კავშირის შენობის სასამართლო 15 თებერვალს 15 მარტისთვის გადაიდო.

არ ვიცი, რა მოხდება 15 მარტს.

„მწერლის გაზეთში“ გამოვაქვეყნე ნოველა „ზამთარია, მათოვს, მაწვიმს“. ნოველა ეხება ჩვენს გაუსაძლის ყოფას, ქათმის გრიპს, ცივ ზამთარს (უგაზო, უშუქო) და უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებელთა დევნას.

ბევრს მოეწონა.

ოცდახუთ თებერვალს გარდამეცვალა სიდედრი ხუტა ჯიქია. გულწრფელად დავიტირე. ორმოცი წელი ერთად ვცხოვრობდით. ზუგდიდიდან უამრავი ნაცნობ-მეზობელი ჩამოვიდა.

დავწერე საუნივერსიტეტო რეფერენდუმის მოთხოვნა, დადის ეს ქაღალდი უნივერსიტეტში და ჯერჯერობით მხოლოლდ ოცმა პროცენტმა მოაწერა ხელი. ზოგი ქვეშეფრია პროფესორი (მათ შორის ელგუჯა ხინთიბიძე) თავს იკავებს. გაიხსენეთ ჩეხოვის „კაცი ფუტლიარში“. დიახ, ბევრი ბელიკოვი გვყავს უნივერსიტეტში „კაკ ბი ჩევო ნე ვიშლო“. ამ ყოყმანმა და შიშმა დაღუპა უნივერსიტეტიც და საქართველოც.

პარლამენტის შენობასთან პერმანენტული მიტინგი მიმდინარეობს სააკაშვილის წინააღმდეგ.

პრეზიდენტის ბრძანებით დასავლეთ საქართველოდან ავტობუსებით წამოსული ხალხი გორთან შეაჩერეს და გზის გაგრძელების უფლება არ მისცეს.

იცის სააკაშვილმა, რას ნიშნავს თბილისში ავტობუსებით ლაშქრობა.

იგი დოყლაპია შევარდნაძის შეცდომას არ დაუშვებს.

თუ გაჭირდა, ესვრის კიდეც ოპოზიციას.

ჭადრაკის სასახლეში ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა თათბირი გაიმართა.

გამოვედი და ვთქვი, მე რუსული ორიენტაციის მომხრე ვერ ვიქნები და მოეშვით იგორ გიორგაძის ჩამოყვანაზე ფიქრს-მეთქი.

„რუსეთუმეებს“, ალბათ, არ მოეწონებოდათ.

რა ვქნა; მე 1832 წლის შეთქმულთა, ილიას და აკაკის გზას ვერ ვუღალატებ.

პანტომიმის თეატრის თხოვნით დავწერე პიესა-სცენარი სპექტაკლისა „წმინდა გიორგი“.

ამირან შალიკაშვილს ძალიან მოეწონა, მსურდა ამომეცნო რატომ გააღმერთეს ქართველებმა წმინდა გიორგი. რატომაა იგი ჩვენში მიჩნეული უპირველეს ღვთაება-წმინდანად და რით აიხსნება რომ არცერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არის წმინდა გიორგის სახელობის იმდენი ეკლესია (366) რამდენიც საქართველოში.

მე მგონი, ამირან შალიკაშვილი შეძლებს ამ მასალაზე კარგი სპექტაკლის გაკეთებას, თუ უწმინდურის მხრიდან წახალისება, ლოცვა-კურთხევა და თუნდაც სიმბოლური ფინანსური მხარდაჭერა ექნა.

მწერალთა კავშირში ყრილობისთვის მზადება მიმდინარეობს.

მაყვალამ მითხრა, ბატონო რეზო, თუ გნებავთ თქვენ იყარეთ კენჭი თავმჯდომარეობაზე და მე მოადგილე ვიქნებიო. უარი ვუთხარი. არ მინდა რისიმე ფინანსური პასუხისმგებელი ვიყო. ეს ჩემი საქმე არ არის, მე ამ ორ წელიწადში შევძელი გამეცოცხლებინა მწერალთა კავშირი ანი გაგრძელებას ყველა შეძლებს.

დავიღალე, ესეც არ იყოს, მაყვალა წესიერი, ნიჭიერი, ენერგიული ქალია და მასთან მუშაობა არ მიჭირს.

6.III.06 – 16.IV.06 წ.

15 მარტს უზენაეს სასამართლოში ერთხელ კიდევ შევიკრიბეთ მწერლები.

ამჯერად სამართალმა პური ჭამა, უზენაესმა სასამართლომ საქმე დაშალა და გამოძიებას დაუბრუნა.

სასამართლოს ტაში დავუკარით.

იქიდანვე მაყვალას, ვაჟას, ლადო მრელაშვილის და ანზორ აბულაშვილის თანდასწრებით დავურეკე პრეზიდენტის დედას, ქ-ნ გიული ალასანიას და მწერლების სახელით მადლობა მოვახსენე.

გაუხარდა, აშკარაა, მე რომ არ მივსულიყავი და არ მეთხოვა, უთხარი შენს შვილს ნუ ჩაიდენს საშვილიშვილო ცოდვას, ნუ წაართმევს მნერლებს ისტორიულ შენობას-მეთქი, ეს შენობა ახლა ჩვენი არ იქნებოდა.

თუმცა ამ ჩვენმა გამარჯვებამ ქართული ეროვნული ცნობიერების მტრები უფრო გააცოფა და სოროებიდან ამოიყვანა.

„მზეზე“ იმავე საღამოს გამოჩნდა კომიტეტის თავმჯდომარე და აცხადებს: ნუ ზეიმობენ მიშველაძე და ძმანი მისნი, არც ისეა საქმე. ჩვენ მწერალთა კავშირს ახლა პარლამენტიდან შევუტევთ და მაინც დავშლითო.

30 მარტს მას მართლაც დაუბარებია მწერალთა კავშირიდან გასული 50–მდე მწერალი პარლამენტში და ეს ახალი კანონპროექტი შეუთავაზებია: დაიშალოს მწერალთა კავშირი პატარ-პატარა ასოციაციებად და ჯგუფებადო.

აი, მზაკვრული გეგმა!

ვინ კითხავს პარლამენტს მწერალთა კავშირის დაშლას.

ამგვარი ტირანული ხელისუფლება არაერთი ახსოვს მწერალთა კავშირს.

მთავრობები იცვლებოდნენ: მწერალთა კაშვირი რჩებოდა.

რაკი შენობა ვერწაგვართვეს,ახლა სხვა მხრიდან მოგვიარეს.

1 აპრილს მწერალთა კავშირში ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გავმართეთ.

ესწრებოდა შემოქმედებითი კავშირის ყველა ხელმძღვანელი.

კანონპროექტი, რომელიც პარლამენტს შეუმუშავებია, დიქტატურას საბოლოოდ ამკვიდრებს საქართველოში:

უქმდება ყველა შემოქმედებითი კავშირი და მის ნაცვლად იქმნება ფონდები, რომელთაც პირდაპირ გადაეცემა შემოქმედებითი კავშირების მთელი ქონება.

ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ხელოვნების მუშაკები ერთად აღარ შეიკრიბონ და ერთი პირი აღარ ჰქონდეთ.

ეს არის აშკარა ფაშიზმი.

აღშფოთება გამოვთქვით: გიგა ლორთქიფანიძემ, მაყვალა გონაშვილმა, ვაჟა აზარაშვილმა, გია ჯანბერიძემ, რევაზ მიშველაძემ, ვაჟა ოთარაშვილმა და სხვებმა.

მივიღეთ ერთობლივი რეზოლუცია, რომელიც გაზეთებში გამოვაქვეყნეთ, მაგრამ არ ვიცი, რა შედეგი მოჰყვება.

ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა!

არ გვასვენებს სააკაშვილი!

რამ შეაძულა ასე საკუთარი სამშობლო.

კიბოთი დაავადდა „მწერლის გაზეთის“ პასუხისმგებელი მდივანი, უანგარო პატიოსანი კაცი ზაურ იობაია?

როგორც ექიმები ამბობენ, დღეები დათვლილი აქვს.

ძალიან მწყდება გული.

უზაუროდ, მე და სოსომ გამოვეცით „მწერლის გაზეთის“ ახალი ნომერი.

14 აპრილს უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს პატრიარქის ილია მეორის ფინანსური დახმარებით აღდგენილ იქნა ჟურნალი „ცისკარი“, სიტყვით გამოვედით თვით კათოლიკოს-პატრიარქი, გიორგი ანდრიაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ დოჩანაშვილი, თამაზ ჭილაძე, ზაურ კალანდია და მე.

ამ ხელისუფლების მიერ „ცისკრის“ და „მნათობის“ დახურვამ შემაძრწუნა, მაგრამ გაკვირვებით არ გამკვირვებია-მეთქი. რა თქმა უნდა, ის ხელისუფლება, რომლეიც ეროვნულ ცნობიერებას ებრძვის, ილია ჭავჭავაძის ხაზის გამგრძელებელ ჟურნალს უსათუოდ დახურავდა-მეთქი. ბედნიერია “ცისკარი“, რომ მისი მკვდრეთით ადღგომა სწორედ უნეტარესის სახელს დაუკავშირდა-მეთქი.

დარბაზში არც ერთი ბიზნესმენი არ იჯდა. ეს გარემოება უწმინდესმაც აღნიშნა.

ილია II-ს ოპოზიციად მოიაზრებს სააკაშვილის არაეროვნული ხელისუფლება.

ყოველ ნომერში გაზეთის "ოცდაოთხი საათი", რომელიც ხელისუფლების ლაქიაა, მედროვე ჟურნალისტები ლანძღავენ ილია მეორეს.

ცინიზმი უფრო შორს ვერ წავა.

არ ვიცი, რა სასწაულებით დგას ფეხზე ჯერ კიდევ „ვარდების ხელისუფლება".

ინტელიგენცია მხარს არ უჭერს (ჭეშმარიტ, ეროვნულ ინტელიგენციაზე ვამბობ), საშუალო და უმაღლესი სკოლა ერთხმად ეწინააღმდეგება, ბიზნესმენები გადაუდგნენ, მწერლები ვებრძვით, წვრილი მოვაჭრეები გადაიკიდეს. რა მალე შეაძულეს საქართველოს თავი და მიანც უტიფრად გაჰყვირიან: ჩვენ, ხალხის მხარდაჭერა გვაქვსო, რომელი ხალხის? ოკეანისგაღმელ ხალხს (აშშ) თუ გულისხმობენ, თორემ საქართველოში ამათი ავტორიტეტი ნულის ტოლია.

ჩემი პატარა მტრები ისევ ფუთფუთებენ. შური კვალდაკვალ მდევს.

ზეინაბ სარიამ 14 აპრილს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. 10 წლის განმავლობაში ვუწევდი მეცნიერულ კონსულტაციებს. დისერტაციის 4 ეგზემპლარი რომ წარმოადგინა, ეწერა "კონსულტანტი რევაზ მიშველაძე". დაცვის დროს აღმოვაჩინე, რომ ავტორეფერატს ჩემი გვარი არ ეწერა. ვკითხე დისერტანტს, ტირილით მაცნობა, ელგუჯა ხინთიბიძემ წამაშლევინა თქვენი გვარიო.

ვკითხე ელგუჯას: მსგავსი არაფერი მომხდარაო. ლაპარაკიც კი არ გვქონია ამის შესახებო.

რასაკვირველია ელგუჯას ნავირეშმაკალია.

რაკი ხმა გავარდა, მიშველაძეს ყველაზე მეტი დისერტაციის ხელმძღვანელობა უგროვდებაო (საკონკურსოდ), პატარა მელა ე. ხინთიბიძე შურმა შეაწუხა და ცოტა შემამუხრუჭა.

ამას ჰქვია პატარა კაცობა, გავუბრაზდი სარიას და მისი დისერტაციის ბანკეტზეც, რასაკვირველია, არ წავსულვარ, თუმცა ღვთის წინაშე ხვეწნამუდარა არ დაუკლია.

სანამ შეიძლება გაგრძელდეს ასე?

მეცინება ელგუჯა ხინთიბიძის გულნამცეცობაზე.

ნუთუ "ბაყაყი და ხარის" იგავი არ წაუკითხავს?

ნუთუ არ იცის, რომ რაც უნდა გაიბეროს, კოჭებამდე ვერ მომწვდება?

ჩვენი „უსაყვარლესი ძმა" რუსეთი საქართველოსადმი ზიზღს ძველებურად აფრქვევს. ერთი კვირაა, რაც რუსეთმა გამოაცხადა: ქართული ღვინო და ქართული ბორჯომი (კიდევ სადაურია ბორჯომი?) უხარისხოა და რუსეთის ბაზარზე აიკრძალოს შემოტანაო.

საქართველო პანიკამ მოიცვა.

წარმოიდგინეთ, საქართველოს ექსპორტი მხოლოდ ღვინო და ბორჯომია, ვყიდით მხოლოდ რუსეთში. რუსეთმა რაკი უარი გვითხრა, უნდა შეჩერდეს ღვინის და ბორჯომის წარმოება.

10 დღეში საქართველომ მილიონობით ზარალი ნახა.

სააკაშვილი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. სასწრაფოდ გავარდა ჩინეთში, იქნებ ჩინეთში გავასაღო რუსეთის დაწუნებული ღვინო და ბორჯომიო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

ჩინეთმა მე თვითონ მიჭირს ჩემი ღვინის და ჩაის გასაღებაო.

ირგვლივ ყველგან მარცხს მარცხზე განვიცდით.

ესეც სააკაშვილის ბრძნული პოლიტიკა.

უნივერსიტეტში ახალი რექტორი გვყავს – გია ხუბუა.

ვიცნობ.

ალტერნატიულმა საბჭომ: კარები დავუკეტოთ და არ შემოვუშვათო.

მე არ დავეთანხმე. არ შეიძლება უნივერსიტეტში ქუჩის და მიტინგის მეთოდები დავნერგოთ-მეთქი.

გურამ შარაძე კარებში დახვდა რექტორს და სულ „ნაბიჭვარი“ და „ქურდი“ ეძახა.

ამისთვის დაიჭირეს და 15 დღით ჩასვეს.

ეს უკვე მეორე ჩაჯდომაა გურამ შარაძის.

აღვშფოთდი, ორ გაზეთს ინტერვიუ მივეცი, ეს პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. კაცს ცოლი მძიმე ავადმყოფი ჰგავს, ნუთუ ამის საღირალი არაფერი გაუკეთებია საქართველოსთვის, რომ ხულიგნებთან და რეციდივისტებთან 15 დღით არ ჩასვათ-მეთქი:

ვინ გათხოვა ყური.

17.IV – 6.VI. 2006

20 აპრილს, ხუთშაბათს, ფილოლოგიის ყოფილი ფაკულტეტის 9 ყოფილი კათედრის გამგე ამჟამად ჰუმანიტარული ფაკულტეტის რიგითი პროფესორები (მალე, ალბათ, ესეც აღარ ვიქნებით) რექტორის მოვალეობის ახალ შემსრულებელს – გია ხუბუას შევხვდით. თურმე, რუსიკო ლორთქიფანიძე სანატრელი გაგვიხდა, მართალია, ქ-ნ რუსიკოს თვითონ უნდა ეთქვა უარი რექტორობაზე, რაკიღა ხვდებოდა, რომ მისი დამნიშნავები ამით ზიზღს უცხადებენ უნივერსიტეტს და აქაოდა 5000 პროფესორ-მასწავლებელში ვერ ავარჩიეთ სარექტორო კაცი და გარედან მოგვყავს რექტორიო, მაგრამ ალღოიანი ქალია, თანაც ლორთქიფანიძეობასაც, ჩანს, დიდი მნიშვნელობა აქვს. ბოლო ხანებში რუსიკო ლორთქიფანიძე აღარ იყო ლომაიას დრაკონული სურვილის ბრმად შემსრულებელი. აღარ ანგრევდა უნივერსიტეტს, ამბობდა, რომ კათედრები და ასპირანტურა გააუქმებინეს, თავაზიანი, მომსმენი და დამთმობიც გახდა, მე ყოველთვის იმას ვაბმობ და ვწერ, რაც ვიცი და ერთ მაგალითს მოგახსენებთ, მარტის დასაწყისში შევედი პირადად და ავუხსენი, რომ კახას საშტატო განრიგით უამრავი უნივერსიტეტი უსამსახუროდ რჩებოდა. რა ვქნაო, მკითხა, რა და, დაამატე ფილოლოგიის ფაკულტეტს 6 პროფესორის ადგილი-მეთქი საკონკურსოდ. დამეთანხმა და მაშინვე დაწერა ბრძანება.

ახლა ხუბუამ (უფრო სწორად, იმან, ვინც ხუბუა დანიშნა), ხელაღებით გააუქმა თითქმის ყველა ბრძანება რუსუდან ლორთქიფანიძის მიერ ხელმოწერილი, ამით კახა ლომაიას შხამის გადმონთხევას კვერი დაუკრა პატარა ბიჭმა ხუბუამ, და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არავითარი ინდივიდუალურობა მას, როგორც რექტორს, არ გააჩნია.

ერთი სიტყვით, მიგვიღო 20 აპრილს: მე ჯუმბერ ჭუმბურიძე, თენგიზ კიკაჩეიშვილი, ლადო მინაშვილი, იუზა ევგენიძე, სოსო სიგუა და სხვები.

5 სათხოვარი ვთხოვეთ:

ა) გააცოცხლე კაბინეტები (რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, ივანე ჯავახიშვილის, გამსახურდიას, აკაკი შანიძის...). არაა ბევრი კაბინეტი, მე-5 თვეა უხელფასოდ დადიან უნივერსიტეტში ამ კაბინეტის თანამშრომლები. დანიშნე თითო კაბინეტში სამი მეცნიერ-თანამშრომელი, თუნდაც მიზერული 100-80 ლარით თვეში, ამით საზოგადოებრივი აზრის სიმპათიას დაიმსახურებ, მე მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვარ, გაზეთი მაქვს, ჩემს ნათქვამს საქართველო უსმენს და ამ შენს საქციელს ყველას გავაგებინებ-მეთქი.

კატეგორიული, უიმედო უარი გვტკიცა. სურვილის შემთხვევაშიც კი (განათლების სამინისტროსკენ გაიხედა) მე ამის კომპეტენცია არა მაქვსო.

შე კაი კაცო, ამის სახსრებს უნივერსიტეტშივე გამოძებნი. დამატებით სახსრები არ გინდა, შენს მრავალრიცხოვან უაზრო ხარჯებს შეამცირებ და ყველაფერი რიგზე იქნება-მეთქი.

შეაყარე კედელს ცერცვი.

მეორე სათხოვარი ყბადაღებულ საკონკურსო კომისიებს შეეხებოდა.

ნუ დაარღვევთ პრეზიდენტის ბრძანებას შენ და ლომაია, ახალ თანამდებობაზე პირდაპირ გადაიყვანე თანამშრომლები. არა აქვს უფლება 9-კაციან, სადაც რომელიმე დარგის (ვთქვათ, ახალი ქართული ლიტერატურის) სპეციალისტი მხოლოდ ერთი იქნება, კომისიამ გადაწყვიტოსო მეცნიერის ადგილი უნივერსიტეტში. თანაც არც ლექციებზე დასწრებაა გათვალისწინებული და არც გამოქვეყნებული შრომების ხარისხის შემოწმება ხერხდება-მეთქი, არაო, ლომაიას დავალებით კონკურსი უნდა ჩავატაროო.

რა უფლება გაქვთ, უკვე არჩეულ პროფესორს რომ ხელახლა ირჩევთ, მაშინ ის 120-კაციანი უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭო დამნაშავე საბჭოდ გამოაცხადეთ, გააუქმეთ მისი ყველა დადგენილება და დააპატიმრეთ ყველანი-მეთქი, მრავალმნიშვნელოვნად კი არა, ერთმნიშვნელოვნად გაიღიმა.

მესამე სათხოვარი წამოვიწყეთ, თუმცა ვხედავდით, რომ სათხოვრების გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა.

ის საკონკურსო კომისია, იქნებ საქმისმცოდნე ობიექტური, ნიჭიერი პროფესიონალებით – უნივერსიტეტის თანამშრომლებით დაგეკომპლექტებინათ-მეთქი.

არაო, ეს ლომაიამ კატეგორიულად აგვიკრძალაო.

მეოთხე სათხოვრად კათედრის და ასპირანტურის აღდგენა ვთხოვეთ.

ახლა და შარშან ამთავრებენ ნიჭიერი ახალგაზრდები და რა ფორმით დავტოვოთ უნივერსიტეტში, თქვენ ხომ ასპირანტურაც და მინიმუმის ჩაბარებაც გააუქმეთ-მეთქი.

უარი გვითხრა.

მეხუთე სათხოვარი მაინც ვთქვი, წყალწაღებულივით ხავსს ჩავებღაუჭეთ, ჩვენ 60-ს გადაცილებული ღვაწლმოსილი პროფესორები ვართ, იქნებ არაოფიციალურად ჩვენგან შექმნათ საკონსულტაციო საბჭო. კათედრის

ყველა წევრი ჩვენი გაზრდილია და იქნებ ჩვენ გვერჩია – ვინ იმსახურებს ასოცირებულ პროფესორობას და ვინ თქვენს მიერ ამოჩემებულ ასისტენტ პროფესორობას-მეთქი.

ამის შემდეგ გადავეცით უნივერსიტეტის რეფერენდუმის მოთხოვნები სათანადო ხელმოწერებით. გავეცნობი და თქვენს ფაკულტეტის თანამშრომლებთან შეხვედრაზე გიპასუხებთო. ხუთიოდე დღის წინ შეხვდა პროფესორ-მასწავლებლებს, მაგრამ რეფერენდუმის მოთხოვნებზე კრინტიც არ დაუძრავს.

მე მასთან შეხვედრაზე აღარ მივალ.

ახლა მაინც ხომ უნდა გამოიბერტყოთ ყურები დუმის მოყვარულო კოლეგებო.

ახლა მიანც ნულარ დაემსგავსებით თქვენი დუმილით. ცხვარს, რომელსაც პარსავენ და ხმას არ იღებს.

7 მაისს ხორავას სახლში ჩავატარეთ მწერალთა კავშირის XXII ყრილობა.

მაყვალა გონაშვილმა, მე და ვაჟა ოთარაშვილმა საანგარიშო მოხსენებები გავაკეთეთ.

დიდი კამათი ატყდა, ხელისუფლებას ყველა გამომსვლელი აკრიტიკებდა.

განსაკუთრებით პარლამენტის საზიზღარი კანონპროექტი გავაკრიტიკეთ, სადაც მწერალთა კავშირის ლიკვიდაციაზეა ლაპარაკი.

ხელახლა აგვირჩიეს. მაყვალა (თავმჯდომარედ), მე და ვაჟა მოადგილეებად. მდივნად დავით ტაკიძე.

„მწერლის გაზეთის“ გამოსაცემი ფული კვლავ არა გვაქვს. მე და სოსო მწერალთა კავშირის ხელფასს მთლიანად ვდებთ, რომ გაზეთი არ მოკვდეს.

უნივერსიტეტში დიდი საბჭოს სხდომები განვაახლეთ.

მოვიყვანეთ იურისტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პრეზიდენტს დიდი საბჭო არ გაუუქმებია, უბრალოდ შეაჩერა მისი სხდომები (რისი უფლებაც არ ჰქონდა), ამიტომაც შეგიძლიათ სხდომები ჩაატაროთო.

ასე რომ, ამჯერად უნივერსიტეტში ორხელისუფლებიანობაა.

ჩავატარეთ მიტინგი უნივერსიტეტის წინ 24 მაისს. გამოვედი და ვთქვი: თქვენ უნივერსიტეტის ნანგრევებზე დგახართ, ფაქტიურად ლომაიამ და კამპანიამ გააუქმეს-მეთქი უნივერსიტეტი, ბრალი დავდე პრეზიდენტსაც და ქართულ ინტელიგენციასაც.

ჩემი გამოსვლა მთლიანად დაბეჭდა „ასავალ-დასავალმა“.

საქართველოს საქმე ცუდადაა.

რუსეთმა უარი გვითხრა თავის ბაზარზე ყოველგვარი ქართული პროდუქციის შეტანაზე. ვეღარ გავყიდით ღვინოს, ბორჯომს, ციტრუსებს, ნაბეღლავს, ჩაის, ვაშლს, ეს ნიშნავს ქართული ეკონომიკის დანგრევას, რადგანაც როგორც გაირკვა, ჩვენი იმპორტი მხოლოდ რუსეთისკენაა.

სააკაშვილმა ახლა კი მოიხარა ქედი და პუტინს (რომელსაც აქამდე „ლილიპუტს“ ეძახდა), მიღება სთხოვა.

13 ივნისს უნდა შეხვდნენ ერთმანეთს.

1-4 ივნისს ქართველ მწერალთა დელეგაცია სომხეთს ვეწვიეთ.

„ქართული ლიტერატურის დღეები სომხეთში“ ჩემმა მეგობარმა სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ლევონ ანანიანმა ჩაიფიქრა.

არნახული მიღება მოგვიწყვეს.

ვინც ირგვლივ გვეხვია, ყველა ამ ორი ხალხის ძმობაზე და მეგობრობაზე ლაპარაკობდა.

2 ივნისს მწერალთა კავშირში ჩემი ახალი სომხური წიგნის პრეზენტაცია გაიმართა, ქება-დიდებით გამოვიდნენ სომხური პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მოხუცი, დარბაისელი სომხები - „ვარპეტნი“.

ჩვენო ასეთი დონის ნოველისტი ამჟამად მსოფლიოში არ გვეგულებაო.

პრესამ და ტელევიზიამ ფართოდ გააშუქა ჩვენი ლიტერატურის დღეები.

ჩვენ დელეგაციაში შედიოდნენ: მაყვალა გონაშვილი, მე, ტარიელ ხარხელაური, ვახტანგ ღლონტი, გურამ ოდიშარია, გივი შაჰნაზარი და ანაიდა ბოედსტანჯიანი.

სხვათა შორის, ერევნის უნივერსიტეტშიც გვქონდა შეხვედრა. იქაურმა რექტორმა მითხრა – რეფორმა ჩვენც ჩავატარეთ, მაგრამ უნივერსიტეტიდან არც ერთი თანამშრომელი არ გაგვიშვიაო.

„შტატების შემცირება“ – რასაც თქვენი ხელმძღვანელები ქადაგებენ, მოგონილია, „ბოლონიის“ პროცესი ამას არ ითვალისწინებსო.

ჩამოვედი და მოვახსენე ყოველივე აქაურ რექტორს, მაგრამ ყურად არ იღო. მე დავალებული მაქვს 3200 თანამშრომელი 800-ზე დავიყვანოო.

სადიზმი და ულმობლობა გაამეფეს უნივერსიტეტში სააკაშვილმა და ლომაიამ.

7.VI – 31.VIII – 2006 წ.

უნივერსიტეტში ისევ რიარიაა.

მინისტრმა კახა ლომაიამ 1 ივლისს უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი გაგვათავისუფლა. ეს იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი აღარ არსებობს. ერთი ხელის მოსმით დაგვითხოვა ყველა – პროფესორიც და ლაბორანტიც.

3 ივლისს შევიკრიბეთ დიდი საბჭოს წევრები. დავგმეთ ლომაია-ხუბუას საქციელი, გამოვაცხადეთ უნივერსიტეტის ავტონომია და რექტორად ჯემალ მებონია ავირჩიეთ.

მერე ყველანი მივადექით რექტორის მოვალეობის შემსრულებელს და განვუცხადეთ ჩვენი გადაწყვეტილება.

ხუბუამ ჩვეულებისამებრ შემოგვიღრინა. მე საბჭოს არ ვემორჩილები, მე აქ ლომაიამ დამაყენაო და პოლიციას გამოუძახა.

ეს უკვე მესამედ შემოვარდა უნივერსიტეტში 500 კაციანი რაზმი და დაარბია უნივერსიტეტის პროფესურა.

პირდაპირ იმ ჯგლეთაში მოვხვდი. არ ინდობდნენ ქალებს, მოხუცებს, ძირს ცვიოდა პორტფელები, სათვალეები...

ეს იყო საშინელი სანახაობა. რამდენიმეს გული შეუწუხდა.

სიბრაზისგან ხელები მიცახცახებდა.

პოლიციელებს ვეუბნები – თქვენ ხომ ქართველები, ჩვენი შვილები ხართ, არ გრცხვენიათ, პროფესორებს რომ დაერიეთ-მეთქი?

ვინ გისმინა.

გამძვინვარებული სახეები ჰქონდათ პოლიციელებს.

ისე გვიყურებდნენ, როგორ უსაზიზღრეს არსებებს, ჩვენი გასრესვა სურდათ.

წნევამ ამიწია და კედელს მივეყრდენი, რომ არ წავქცეულიყავი.

რექტორის კაბინეტიდან ცემით გამოდევნილი პროფესორ-მასწავლებლები სააქტო დარბაზს შევეფარეთ.

ჩანს მიხვდნენ ჯალათები, რომ აქ შემოსულებს ჩვენი ქალები სახეებს ჩამოაკაწრავდნენ შეურაცხყოფისთვის და კლუბში არ შემოსულან.

სამაგიეროდ, უფრო საშინელ ფანდს მიმართეს, კარები ჩაგვიკეტეს.

არ გაჭრა ხვენნა-მუდარამ, დილამდე არც წყალი მიაწოდეს და არც ტუალეტში გასვლის ნება დართეს „ამბოხებულებს“.

შუაღამისას ბევრს გული შეუღონდა.

მხოლოდ დილის 10 საათზე გადაწყვიტა ლომაიამ დატყვევებულებისთვის ბადრაგის თანხლებით ტუალეტში გასვლის ნება მიეცა.

მეორე დღეს ჟურნალისტები და პარტიების წარმომადგენლები შეუშვეს სააქტო დარბაზში გამაგრებულებთან.

პრესკონფერენცია ჩავატარეთ.

ცეცხლოვანი სიტყვები "გვტყორცნეს" პარტიების ბელადებმა და წავიდნენ.

ჩვენი პატრონი არავინაა.

უნივერსიტეტში 500-მდე პოლიციელია.

პროფესორებს შენობაში აღარ გვიშვებენ.

შემოიღეს რაღაც „მწვანე საშვი“, იმ საშვით შედიან მხოლოდ ხუბუას ერთგული თანამშრომლები.

მივედი კარებთან.

გამოცდა მაქვს და შემიშვით, 45 წელია ამ შენობაში ვმუშაობ-მეთქი.

ძალიან დიდხანს გიმუშავიაო, დამცინა კადრების განყოფილების ახალმა გამგემ.

ახლა უკვე აღარ მუშაობ და ველარ შეგიშვებთო.

12 ივლისს რექტორმა (გ. ხუბუა) მიხმო: ბატონო რეზო, პროგრამაზე მუშაობა უნდა შემოგთავაზოთო. კი მაგრამ, მოხსენი ყველა თანამშრომელი და ვის შევუდგინოთ პროგრამა-მექთი. ესაო, დროებითიაო, ახალი წესით, კონკურსამდე ყველა უნდა გათავისუფლდესო. ისინი ხომ ტექნიკური მუშაკები არიან-მეთქი. კონკურსი ყველამ უნად გაიაროსო. არ შეგიძლია? ასე გამომწვევად, ასე ხისტად არ ელაპარაკო, დიდ სამეცნიერო საბჭოს. იქნებ დასწრებოდი მის სხდომებს, მოგველაპარაკა, რაღაცას შენც დათმობდი, ჩვენც და საქმეს (ანუ უნივერსიტეტს) ეშველებოდა-მეთქი. როგორ შემიძლია არალეგიტიმურ საბჭოსთან ვითანამშრომლოო. უკვე გასაგებია, რისთვისაც მოგიყვანეს უნივერსიტეტში, ჩემგან იოტისოდენა თანაგრძნობოის იმედიც ნუ გექნება-მეთქი. ვწყვეტ შენთან ყოველგვარ კავშირს და მეორედ არ გაბედო ჩემი „გამოძახება“-მეთქი.

მეგობრების და კათედრის წევრების რჩევით შევიტანე საბუთები საკონკურსო კომისიაში ე.წ. სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად.

ამის შესახებ გაზ. "ასავალ-დასავალისთვის" მიცემულ ინტერვიუში განვაცხადე, – რა თქმა უნდა, კონკურსი არასამართლიანად მიმაჩნია, მხარს არ ვუჭერ, მაგრამ საკონკურსოდ საბუთები იმიტომ წარვადგინე, რომ საქართველოს ვუჩვენო იმ ხელისუფლების უსინდისობა. მე რომელსაც მთელს უნივერსიტეტში გამოქვეყნებული შრომების, ასპირანტების რაოდენობით კოჭებამდეც ვერავინ მომწვდება, დარწმუნებული ვარ, "გამაშავებენ", რადგანაც გადაწყვეტილებას მიიღებენ მხოლოდ პოლიტიკურს-მეთქი.

26 ივლისს გამოცხადდა კონკურსის შედეგები. ჩემი კათედრის 27 წევრიდან დატოვეს მხოლოდ 3. თანაც სამივე ყველაზე უნიჭო და უპერსპექტივო, ოღონდ ამ ხელისუფლების მხარდამჭერნი. მე, რასაკვირველია, „ქულები არ მეყო".

არ დარჩენილა მეცნიერ-ფილოლოგი, რომ არ დაერეკოს.

ზოგი მეუბნება: „ნაძირალა ზურა კიკნაძისგან სხვას რას მოელოდიო. ზოგი მარწმუნებს, შენზე ლომაიამ პირადად დაავალა ბელა წიფურიას, რადაც უნდა დაგიჯდეს, არ მოხდეს, რომ რევაზ მიშველაძე უნივერსიტეტში დარჩესო.

ასე და ამგვარად, 2006 წლის 26 ივლისიდან აღარ ვარ უნივერსიტეტის თანამშრომელი.

45 წელი მოვათიე უნივერსიტეტში.

ბოლოს უბოდიშოდ, უსაბუთოდ გამოვგრეკეს, მარტო მე კი არა, თითქმის (3-4 შტრეიბეხერის გარდა) მთელი დიდი სამეცნიერო საბჭო.

"ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია".

15 აგვისტოს დამირეკა დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ვინმე ჩიქოვანმა: ბატონო რეზო, დამატებით კონკურსს ვაცხადებთ (რამდენიმე ვაკანსია დარჩა) და ხომ არ მიიღებთ მონაწილეობასო.

ერთხელ ხომ "გამაშავეთ" და მეორეჯერ ჩემი "გაშავების" სიამოვნებას ვერ მოგანიჭებთ-მეთქი.

ისე მაინტერესებს რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდით – თუ ქულებს ობიექტურად დათვლიდით ხინთიბიძე და გორდეზიანი ჩემს ნახევარ ქულასაც ვერ მოაგროვებდნენ, ნუთუ ჩემი დანაშაული ის არის, რომ მათ უყვართ სააკაშვილი, მე კი არ მიყვარს-მეთქი.

თქვენი გადასაწყვეტია, მე კი მოვალე ვარ გირჩიოთო, ჩიქოვანმა.

გარეწრები, რომლებმაც უნივერსიტეტი დაამხვეს „ობიექტურობას" მეთამაშებიან.

რასაკვირველია, არ ვითანამშრომლებ მათთან.

ხვალ 1 სექტემბერია.

პირველად პირველ სექტემბერს არ ვიქნები ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტში.

გულდაწყვეტილი იმის გამო როდი ვარ, რომ საქართველოს გამყიდველმა ხელისუფლებამ, ქვეყნის დაუძინებელმა მტრებმა ჩვენ, უნივერსიტეტის ამაგდარი პროფესორები ქუჩაში გამოგვრეკა; გული იმაზე მწყდება, რომ არც ერთი სტუდენტი არ დაგვიდგა გვერდთი და ჩვენს მიმართ თანაგრძნობა არ გამოხატა.

არ მიყვარს ასეთი სტუდენტობა, აღარ მინდა ასეთი საქართველო.

1.IX-11.XI 2006 წ.

პირველ სექტემბერს გარდაიცვალა ჩემი სიძე – ლადო მრელავშილი. ძალიან მეწყინა. ლადო დიდი მწერალი იყო. იგი ცხოვრებაში და შემოქმედებაში ზოგიერთივით არ დაბნეულა, ყოველთვის ეროვნულ პოზიციაზე იდგა.

ამ ბოლო დროს თავისი რობაიებით მამაცურად გამოხატა თავისი დამოკიდებულება საქართველოს გამყიდველი ხელისუფლების მიმართ.

ჩემთვის უმძიმესი ტვირთი ისაა, რომ მე მომიწია ლადოს ნეკროლოგის დაწერა და მის ქელეხზე თამადობა.

გუშინ პანაშვიდზე მაყვალა გონაშვილმა მითხრა, რომ რუსთაველის პრემიების კომიტეტი გაუუქმებია ამ ხელისუფლებას. კულტურის უმწიფარ მინისტრს გოკა გაბაშვილს უთქვამს უახლოეს ათ წელიწადში ვერავის ვხედავ ისეთს, რომ რუსთაველის პრემიის ღირსი იყოსო. მაშ ასე, კიდევ ერთი ეროვნული წისქვილი გააუქმეს. არ გამიკვირდება, თუ ჩვენ რუსთაველის პრემიის ლაურეატებს ამ ტიტულს ჩამოგვართმევენ.

ლადოს დაკრძალვაზე ბევრი ნაცნობ-მეგობარი მოვიდა.

სამგლოვიარო მიტინგი მაყვალამ გახსნა. სიყტვები ვთქვით მე, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ვაჟა ოთარაშვილმა, მერაბ ელიოზიშვილმა, შოთა ხოდაშნელმა, ბერდია ნანობაშვილმა, დავით ტაკიძემ...

დავკრძალეთ 5 სექტემბერს ვერის სასაფლაოზე.

გერმანიიდან ჩემი ნოველების საარბრიუკნში გამოცემული წიგნი მივიღე, თარგმნა ჰაინც ფენრიხმა, კარგი გამოცემაა.

ოქტომბრის პირველ დეკადაში თბილისში ჩავატარეთ სომხური პოეზიის დღეები.

ჯერ მწერალთა სასახლეში გავმართეთ სომხური პოეზიის დიდი საღამო, მერე სტუმრები გვყავდა კახეთში, ქუთაისში და ბათუმში. სომეხი პოეტები კითხულობდნენ სომეხ-ქართველთა მრავალსაუკუნოვან ძმობაზე, სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ლევონ ანანიანმა რამდენჯერმე წაიკითხა ჩემდამი მოძღვნილი ლექსი, რომელიც შესანიშნავად თარგმნა მაყვალა გონაშვილმა და დაიბეჭდა "მწერლის გაზეთში".

სომხები რომ გავაცილეთ, მაყვალას ვუთხარი; მე მგონი არანაკლები სითბო და სიყვარულთი ვუმასპინძლეთ სომხებს, მაგრამ თუ ატყობ, მაყვალა ხელისუფლების მიერ ტელესტუდიებისთვის მიცემულმა დირექტივამ აქაც გვინია. არცერთმა არხმა ინფორმაციაც კი არ მისცა ამ საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებაზე-მეთქი.

მეც მაგ საკითხზე ვფიქრობდიო, მაყვალამ, არა და ხომ გახსოვთ, სომხეთში ყოფნის დროს ყოველდღე ტელევიზორში ვჩანდით, ხოლო თქვენი წიგნის პრეზენტაცია თავიდან ბოლომდე გადაიცაო.

გვეგონა, მოგვაშორა ხელისუფლებამ ავი თვალი, მაგრამ შევმცდარვართ:

მაყვალას გააცვნეს პარლამენტში შეტანილი კანონპროექტი იმის შესახებ, რომ შემოქმედებით კავშირებს ყოველგვარი საკუთრება უნდა ჩამოერთვას და კულტურის სამინისტროს გადაეცეს. გიგა ლორთქიფანიძემ მითხრა, ელდარ შენგელაიას დავურეკე, ნუთუ მართლა ქუჩაში გაგვყრიან შემოქმედებით ინტელიგენციას-მეთქი და იცით რა მიპასუხა?

ნამდვილად ასე იქნება, ეგ უკვე გადაწყვეტილი გვაქვსო.

კი მაგრამ რა კანონის ძალით-მეთქი, ვკითხე ელდარსო გიგამ.

მიპასუხა: რევოლუცია კანონს არ ემორჩილებაო.

აი, რა დემოკრატია დაამკვიდრა ვარდების რევოლუციამ.

არ უნდათ არა, არავითარი ეროვნული უწყება არ უნდათ.

უნივერსიტეტი სამუდამოდ დასამარდა.

შეკვეცილ-კასტრირებულ მეხუთედუნივერსიტეტში უნიჭო ახალგაზრდები გააჯეჯილეს.

დამატებით კონკურსში ხუბუას და ჩიქოვანის თხოვნით მქონდა საბუთში შეტანილი, რათა ლომაიას გარეწრობაში საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი.

27 ოქტომბერს მიბარებს ბელა წიფურია (მინისტრის მოადგილე) და მეუბნება, ბატონო რეზო, გთხოვთ დათანხმდეთ ხელშეკრულებაზეო.

მაგრამ მე ხომ კონკურსში ვმონაწილეობ, იქნებ სრულ პროფესორად გავდივარ-მეთქი, არაო სათქმელად არ გეუბნებით, მაგრამ სრული პროფესორის მხოლოდ ერთი ადგილი გვაქვს და ზურაბ კიკნაძე უნდა გავიყვანოთო.

თუ ასეა, რატომ დამიძახა და რატომ მთხოვა გ. ხუბუამ კონკურსში მონაწილეობის მიღება-მეთქი. რაა, რატომ მეთამაშებით კონკურსობანას. შენ ხომ იცი, ბელა, რომ 200 ქულით ვუსწრებ უნიჭო ზურაბ კიკნაძეს-მეთქი.

კიო, ნამდვილად ეგრეაო, მაგრამ ლომაია პირადად ვერ გიტანთ და ხელშეკრულებაზეც ძლივს დავითანხმეთო. საერთოდ აპირებდა თქვენს გაძევებას უნივერსიტეტიდანო. გამოტანა საბუთების უხერხულია, თუ ვერ გავიმარჯვე, მაშინ დამიდევით ხელშეკრულება-მეთქი.

როგორც გენებოთო, ცივად მითხრა.

5 ნოემბერს გია ხუბუა მირეკავს. კვირაა.

ბატონო რეზო, ჩემი რჩევაა ხვალვე დაუყოვნებლივ გაიტანოთ თქვენი საბუთები საკონკურსო კომისიიდან, თორემ მერე ნუღარაფერში დამემდურებითო.

რატომ-მეთქი? ასეა საჭირო. ტელეფონში მეტს ვერაფერს გეტყვით, ახლა გერმანიაში მივფრინავ და რომ ჩამოვალ ხელშეკრულებას გაგიფორმებთო.

გაოგნებული დავრჩი.

როგორ გაბედა ხუბუამ ასე პირდაპირ ეთქვა ის, რაც მითხრა.

ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ არავითარი კონკურსი არ არსებობს. დაინახეს, რა, რომ ზ. კიკნაძეზე ბევრად მეტი ქულა გამოდიოდა, ასეთ ვერაგობას მიმართეს. ეს ხომ პირდაპირი ძალადობაა.

რა მექნა? ავდექი და მეორე დღესვე 6 ნოემბერს მივუტანე განცხადება ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანს დარეჯან თვალთვაძეს:

„გთხოვთ მიიღოთ ცნობად, რომ ახალგაზრდობის სასარგებლოდ ჩემი ნებით ვწყვეტ საუნივერსიტეტო დამატებით კონკურსში მონაწილეობას და ვთანხმდები უნივერსიტეტთან ხელშეკრულებით თანამშრომლობის შემოთავაზებულ წინადადებაზე-მეთქი“.

იოლი სამსახურია, ბატონო რეზო, ამას დღესვე გადავცემ საკონკურსო კომისიასო, მითხრა ქ-ნმა დარეჯანმა და ჩემს განცხადებას პატარა ყვითელი ქაღალდი მიაწება სათანადო რეზოლუციით.

წამოვედი და ეს ამბავი უნივერსიტეტის კიბესთან შეხვედრილ ნოდარ ტაბიძეს ვუამბე.

ცნობილი ხელწერააო, ნოდარმა, მაგრამ ეს განცხადება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგეწერა. შენი მონაცემებით ესენი ხაფანგში იყვნენ გაბმულნი თაგვებივითო. ზ. კიკნაძის გაყვანით იმიტომ არიან დაინტერესებულნი, რომ ზურაბმა დიდი სამსახური გაუწიათ. მისი ხელით მოხდა უნივერსიტეტის წმენდაო.

დღეს 11 ნოემბერია. ჩემი „კონტრაქტი“ ჯერ კიდევ ხელმოუწერელია. ლომაიასა და ხუბუასაგან ახალ ვერაგობას ველი, შეიძლება რაკი კონკურსიდან მომიშორეს, კონტრაქტზეც უარი მითხრან.

ვერ გაბედავენო, სოსო სიგუა მეუბნება. ესენი რომ ვერ გაბედავენ ასეთი რამ არ არსებობს.

6 ნოემბერს მწერალთა კავშირში რამაზ პატარიძეს შევხვდით, ვრცლად ვილაპარაკე ამ ბრწყინვალე მეცნიერის დამსახურებაზე. საინტერესოდ ისაუბრეს მურმან ჯგუბურიამ, ავთო ჩხაიძემ, რენე კალანდიამ და სხვებმა, რამაზ პატარიძეც უსახსროდ დატოვეს.

12.XI – 30.XII 2006

17 ნოემბერს მწერალთა სასახლეში გალაკტიონის დაბადების 115 წლისთავის იუბილე აღვნიშნეთ.

მოხსენება მე გავაკეთე და საღამოს მე ვუწინამძღვრე.

გამოვიდნენ: ფრიდონ ხალვაში, მურმან ჯგუბურია, ტაგუ მებურიშვილი, დავით ტაკიძე, ბელა შალვაშვილი, ხათუნა ჟორდანია, ბადრი ქუთათელაძე, გიზო ჭელიძე, შალვა საბაშვილი და სხვები.

ხელისუფლებამ, რასაკვირველია, გალაკტიონისთვის ვერ მოიცალა, ტელეარხებიდან მხოლოდ „იმედი“ მოვიდა.

ირაკლი ოქრუაშვილი გადადგა. სააკაშვილის რაზმს ერთი ღონიერი ბურჯი გამოეცალა. ჩანს, ირაკლიმ დაინახა ამ ხელისუფლების სრული უპერსპექტივობა და გაეცალა.

25 დეკემბერს ვალიკო მამუკელავშილს 80 წელი შეუსრულდა. საიუბილეო ბანკეტი გაუმართეს შვილებმა. 100-მდე სტუმარი ჰყავდა. ვითამადე. კარგი კაცია ვალიკო.

27 დეკემბერს ზაურ ბოლქვაძის წიგნის პრეზენტაცია იყო გამომცემლობა „ინტელექტში“. ზაურის “100 ლექსი“ გამოსცა ინტელექტმა ჩემი წინასიტყვით. ზაური ჩემი უსაყვარლესი მეგობარი იყო. მისი სურათი ჩემს მაგიდაზე (მინის ქვემოთ) მაქვს და ყოველდღე დავხედავ ხოლმე. კაცური კაციობის, პატიოსნების, ნიჭიერების განსახიერება იყო ზაური. გიგი ხორნაულმა მომიტანა „ნიანგი“, რომელშიც ზაური 50 წელს მილოცავს (1990 წლის ნომერია). რა თბილი, რა გამამხნევებელი ლექსი დაუწერია.

გამოვიდა წიგნი „ვინ, ვინ არის?“ ჩემი ბიოგრაფიული მონაცემები საკმაოდ ვრცლად შეუტანიათ.

ზაურ ბოლქვაძის წიგნის პრეზენტაციაზე გამოვედით მე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ჭანტურია, როინ მეტრეველი, ვილენ მარდალეიშვილი, ანზორ ბურჯანაძე, დალი ფანჯიკიძე, ემზარ კვიტაიშვილი, კახმეგ კუდავა (გამომცემელი), მედეა ნონეშვილი, ნანა დარჩია (ზაურის მეუღლე) და ზაურის ქალიშვილი, სახელგანთქმული პიანისტი – ელისო.

20 დეკემბერს მწერალთა სასახლეში რეზო ინანიშვილის დაბადების 80 წლისთავის იუბილე გავმართეთ.

გამოვედით მაყვალა გონაშვილი, ოტია იოსელიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ფრიდონ ხალვაში, მე, ბელა შალვაშვილი და სხვები.

20 დეკემბერს გია ხუბუამ მოწყალება მოიღო და ხელშეკრულებაზე ხელი მომაწერინა, ეს იმას ნიშნავს, რომ მცირე ძაფით კვლავ ვიქნები დაკავშირებული უნივერსიტეტთან. მან გამაფრთხილა: უმორჩილესად გთხოვთ, ეს ამბავი არავის უთხრა. ლომაიას ყურამდე რომ მიმივდეს იმ წამსვე გამაგდებსო. პირადად გამაფრთხილა – მიშველაძე არ გააკარო უნივერსიტეტსო.

ასეთი ამბავი ხდება. უნივერსიტეტის დიდი საბჭოს 235 წევრიდან მხოლოდ 5 დატოვეს პროფესორად, 7-ოდე ხელშეკრულებით აგვიყვანეს, უნივერსიტეტში, სადაც 40 წელი ვიმუშავე, ვერავის ვცნობ, საპროფესოროში უცნობი ადამიანები სხედან, სხედან მკაცრი, გამტკნარებული სახეებით, თვითონვე გრძნობენ, რომ სხვის ადგილზე არიან მოყვანილნი („გოდრებით ჩამოდგმულნი“ კინაღამ წამომცდა).

1.I. 2007 – 31.III. 07

საახალწლოდ სააკაშვილმა რიყეზე გააკეთებინა 2 ტონა საცივი, 23 მეტრი ხაჭაპური და 17 მეტრი გოზინაყი, დაპატიჟა (რა თქმა უნდა, წინასწარ შედგენილი სიით) რიყეზე „თბილისელები“.

ეს იყო სამარცხვინო სანახაობა, გათოშილი ხალხი გაუსაძლის ყინვაში ერთი ნაჭერი ხაჭაპურის რიგში იდგა დამცირებული, გათელილი. ცრემლები მომაწვა ამ „სანახაობას“ ტელევიზორის ეკრანზე რომ შევცქეროდი.

ღმერთო, სანამდე მიიყვანეს ადამიანი...

მერე იყო გაუთავებელი “ბრაციბრუცი“ თავისუფლების მოედანზე.

ხოლო მეორე დღეს გაძვირებული გაზი, შიმშილი, უპენსიობა, ქუჩაში გამოყრილი შრომისუნარიანი ხალხი და მაიმუნადქცეული მოქალაქენი“.

შენს კისერზე იყოს, ამერიკავ, ჩვენი ცოდვა.

1 იანვარს ჩემი დაბადების დღეზე (რატომ არ დაიწვა) მეწვივნენ დაძმები, სოსო სიგუა, მურმან თავდიშვილი, ბორის დარჩია და ორი მეზობელი.

2 იანვარს გარდაიცვალა ჯუმბერ თითმერია. კრიტიკოსი და მთარგმნელი იყო. პატარ-პატარა წკიპურტებსაც წერდა.

ჯერ მწერალთა კავშირის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მუშაობდა. მერე უღალატა პროფესიონალურ მწერლობას, პოლიციასთან თანამშრომლობა დაიწყო და კარგა ხანს შინაგან საქმეთა სამინისტროს გაზეთს რედაქტორობდა.

ზვიად გამსახურდიას დაუძინებელი მტერი იყო.

5 იანვარს ჩემს შვილიშვილს შიოს 18 წელი შეუსრულდა. დაბადების დღე გადავუხადე და ვუთამადე კიდეც.

შიო ნიჭიერი, ჭკვიანი, დამჯერე ბიჭია.

5 იანვარს უნივერსიტეტის მარიონეტულმა 12 წევრიანმა საბჭომ რექტორად ერთხმად აირჩია უალტერნატივო კანდიდატი, უნივერსიტეტის ყველა რექტორზე სამარცხვინო გია ხუბუა.

უნივერსიტეტში ხელშეკრულებით ვკითხულობ 2 საგანს –თანამედროვე ქართულ პროზას მაგისტრატებთან და მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპებს. სადღაა ის უნივერსიტეტი მე რომ მიყვარდა და 40 წელი ვემსახურე. ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაცვის მუშაკები დგანან. რექტორის კაბინეტს

3 სამხედროფორმიანი, იარაღიანი ტუტუცი დარაჯობს. უნივერსიტეტში აღარ არის დისერტაციების დაცვა, გაუქმებულია ასპირანტურა. ჩემი ასპირანტები მიმოიფანტნენ. აღარავინ ითხოვს სამეცნიერო თემების შესრულებას, სხვა დროს ხომ მთელი 2 თვე ვანდომებდით სამეცნიერო შრომების კითხვას. აღარ ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ სილაბუსი მომთხოვა, როგორც დამწყებ ლექტორს სთხოვენ, მივუტანე. წაიკითხა და ლექცია „ეროვნული საკითხი ქართულ პროზაში“ წამიშალა. არ გირჩევთ ამ საკითხის შეტანასო.

სიტყვა „ქართული“ და „ეროვნული“ არ უნდა ჭაჭანებდეს უნივერსიტეტში. ასეთი მითითება აქვს და რა ქნას დარეჯანმა.

მეზიზღება შესვლა უნივერსიტეტში, შევდივარ როგორც უცხო გარემოში, თითქმის არავინაა ნაცნობი, რომ მიესალმო. გარბი-გამორბიან უცხოეთიდან ჩამოყვანილი თითქმის ქართულის არმცოდნე „ლექტორები“. ეს უნივერსიტეტი არ არის, ეს კოლეჯია. სადღაა ეროვნული უნივერსიტეტი.

სამიოდე სტუდენტი ავანთე; მისწერეთ სააკაშვილს გაუქმებული კაბინეტები აღადგინოს-მეთქი. მისწერეს. მთელ ფაკულტეტზე მხოლოდ შვიდმა სტუდენტმა მოაწერა ხელი. სააკაშვილისგან, როგორც მოველოდით, პასუხი არ ჩანს.

ხელისუფლებამ კიდევ ერთი საშინელება დაატეხა თავს ქვეყანას, გამოაცხადეს, რომ თითქმის ყველა საავადმყოფო პრივატიზაციას უნდა დაექვემდებაროს და უნდა გაიყიდოს.

სად უნდა იმუშაოს ამდენმა ექიმმა.

თბილისში დარჩება 2-3 საავადმყოფო, სადაც 1 დღე მკურნალობა 100 დოლარამდე ეღირება, ვინ გადაიხდის? ქურდი.

მოკლედ ავადმყოფობის უფლებასაც გვართმევენ.

პარლამენტს მიაღებინეს კანონი სახელმწიფო საჭიროებისთვის მოქალაქის პირადი ქონების ჩამორთმევის შესახებ.

ამ კანონით ხელგახსნილი ხელისუფლება იბარებს „საეჭვო პოლიტიკური ორიენტაციის“ მოქალაქეებს და სახლ-კარს უცერემონიოდ ართმევს.

რატომო, რომ ეკითხება მოქალაქე, პასუხობენ ამ ადგილას 30 წლის შემდეგ პარკი უნდა გაშენდესო.

არავითარი ანაზღაურება, „კომუნისტების დროს მიცემული ბინის ორდერები წაართვეს და ქუჩაში გამოყარეს ოპოზიციურად მოაზროვნენი, ჭაბუა ამირეჯიბი, ნინელი ჭანკვეტაძე, რამაზ იოსელიანი, ჯუმბერ ლეჟავა, ბუხუტი გურგენიძე, ზაზა კოლელიშვილი და სხვები...

ერთმა ფუნქციონერმა ტელევიზიით განაცხადა – ქუჩებისთვის სახელოვანი ადამიანების სახელის დარქმევა უნდა გაუქმდესო. რა საჭიროა თბილისში გიორგი ლეონიძის ქუჩაო. ნიუ-იორკში ავენიუებს მხოლოდ ნომრები აქვსო.

უნივერსიტეტის ნგრევის პოლიტიკამ ამ დღეებში კიდევ ორი „გაძევებული“ პროფესორი შეიწირა – დევი კაჭარავა და ზაურ წულაია.

15 თებერვალს მარჯანიშვილის თეატრში ლადო ასათიანის 90 წლისთავის იუბილე გაიმართა. ეს იუბილე ჩვენ წამოვიწყეთ, იდეა ჩვენი იყო. მივწერეთ კულტურის სამინისტროს, რომ რომელიმე თეატრი დაექი-

რავებინა. ჩანს, კულტურის სამინისტრომ თავის თავზე აიღო ღონისძიების ორგანიზება. ჩვენ – მწერალთა კავშირი გაგვინაპირა და თვითონ ჩაატარა უღიმღამოზე უღიმღამო იუბილე, უნიჭო მსხაიობები კითხულობდნენ ლადოს ლექსებს. რა იქნებოდა საღამო, სადაც არც ერთი ნიჭიერი მწერალი არ გამოსულა და სიტყვები თქვეს – გურამ ბენაშვილმა, ზაზა აბზიანიძემ და იზა ორჯონიკიძემ. მე – ლადო ასათიანის ნათლულს და მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს – მაყვალა გონაშვილს სიტყვა არ მოგვცეს.

18 თებერვალს დავკრძალეთ მწერალი ზურაბ რცხილაძე – პატიოსანი კაცი.

21 თებერვალს მარჯანიშვილის თეატრში პანტომიმის თეატრმა ჩემი „ტერენტი გრანელი“ წარმოადგინა.

თეატრი სავსე იყო.

ბოლოს ნოდარ გურაბანიძე და ვასო კიკნაძე ამოვიდნენ კულისებში აღფრთოვანებულები. მოგვილოცეს მე და ამირან შალიკაშვილს.

სადღეისო სპექტაკლიაო, ვასომ, ტერენტის დროსაც ისევე ექცეოდნენ ხელოვნებას, როგორც დღეს ექცევიანო.

დღეს უარესიაო, ნოდარ გურაბანიძემ.

ათი დღეა ვზივარ და ვწერ წიგნს „დოკუმენტური ნოველები“.

„დოკუმენტურობა“ თვით ცხოვრებამ მიკარნახა.

თანამედროვე მკითხველი დოკუმენტურ პროზას უფრო ეტანება, ვიდრე ფანტაზიით შექმნილს.

ჩვენი დრამატული ეპოქა კი ისე საინტერესოა, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაწვდის საინტერესო სიუჟეტებს.

ვნახოთ, რა გამოვა.

წიგნში ზოგ ადრეგამოქვეყნებულ დოკუმენტურ ნოველასაც შევიტან.

18 მარტს შოთა ნიშნიანიძის საფლავთან შევიკრიბეთ პოეტის მეგობრები და ოჯახი სწევრები.

ვუამბე, როგორ ავუღეთ ნიღაბი დასაფლავებულ შოთა ნიშნიანიძეს.

შოთა ძალიან მაკლია.

22 მარტს ამირან შალიკაშვილის დაბადების დღე აღვნიშნეთ მის ნახევრადდანგრეულ, მაგრამ უაღრესად ცოცხალ და საინტერესო თეატრში.

შემომჩივლა ამირანმა, დავიწყე რეპეტიციები შენი “წმინდა გიორგის“ მაგრამ უსახსრობის გამო ვეღარ ვაგრძელებ დადგმას. დაფინანსება გამინახევრეს. მსახიობებს ხელფასსაც ვეღარ ვაძლევო.

უნდა მივიდე მერიაში, იქნებ გადავარჩინო თეატრი.

17 მარტს გალაკტიონის მუზეუმში ჩავატარე სამეცნიერო სესია.

მოხსენებები წავიკითხეთ: ნოდარ ტაბიძემ, ვახტანგ ჯავახაძემ, მე, ლია სტურუამ და ლადო მინაშვილმა.

მწერალთა კავშირში მირზა გელოვანის დაბადების 90 წლისთავის იუბილე აღვნიშნეთ. სხდომას მე ვუძღვებოდი.

29 მარტს ვახტანგ გოგუაძემ დამირეკა. ხვალ წიგნის მოყვარულთა საზოგადოებაში ჩემი წიგნის „სტალინი – საშინელი სამსჯავრო“ პრეზენტაციაა და თუ მოხვალ ძალიან გამეხარდებაო.

მივედი და კარგი სიტყვაც ვუთხარი.

ვახტანგი ნიჭიერი კაცია.

გამოვიდა „მწერლის გაზეთი“, რომელშიც დაბეჭდილია ჩემი „ღია წერილი ვლადიმერ პუტინს“.

იქვეა ჩემი მეორე წერილი „ეროვნული შერიგება – უმთავრესი პრობლემა“.

შერიგების, ჰუმანურობის, ობიექტურობის მომხრე ვიყავი ყოველთვის და ახლაც ამას ვქადაგებ.

ჩემი დევიზია კარგზე კარგი ვთქვა, ცუდზე – ცუდი.

რადიკალიზმის (ასე რომ ბოგინობს ჩვენში) მომხრე არა ვარ.

1.IV.07 – 29.V.07

1 აპრილს მთაწმინდაზე მერაბ კოსტავას და ქაქუცა ჩოლოყაშვილის გვერდით დაკრძალეს ზვიად გამსახურდია.

დიდი ბატალიები უძღოდა ამ მოვლენას.

ჯერ იყო და საფლავი ვერ იპოვეს. რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს იავარქმნილიაო, გამოაცხადეს – მოგვიანებით დუდაევის დაცვის ყოფილმა წევრმა აღნიშნა – ომი რომ დაიწყო, ჯოხარის განკარგულებით სხვა ადგილზე გადავასვენეთ და ის ადგილი მარტო მე ვიციო.

დაიწყეს გათხრა.

პრეზიდენტის ცხედარი იქედანაც გადასვენებული აღმოჩნდა.

ბოლოს შემთხვევით წააწყდნენ ერთი დანგრეული შენობის კედელთან უპატრონო, საიდუმლო საფლავს.

ზვიადის ბიჭმა ცოტნემ საათზე იცნო მიცვალებული.

ნეშთი საბოლოოდ ამოსაცნობად როსტოვში წაიღეს. ორ კვირაში საექსპერტო კომისიამ დაადასტურა, რომ ცხედარი ნამდვილად ზვიად გამსახურდიასი იყო.

28 მარტს ჩამოასვენეს საქართველოში, ორი დღე კოლხურ კოშკში იყო პანაშვიდი.

31-ში სვეტიცხოველში დაასვენეს.

1–ში კი თბილისში ჩამოასვენეს, ნახევარი საათი პარლამენტის წინ დაასვენეს, მერე – მთაწმინდაზე.

14 წლის შემდეგ ზვიად გამსახურდია თავის ქვეყანას, მშობლიურ მიწას დაუბრუნდა.

მართალია, დაბრუნდა ცხედრად, მაგრამ ქართველი ერის შეკავშირების, მისი თავისუფალი სულის შემოწმების თვალსაზრისით მკვდარმაც დიდი საქმე გააკეთა.

ზღვა ხალხი მოვიდა პანაშვიდებზე და დაკრძალვაზე.

„ახალი თაობისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ვთქვი, რომ დღევანდელი ხელისუფალნი ვერ ეღირსებიან ასეთ პატივს და დიდებას.

ეს უზარმაზარი პროცესია არა მარტო ზვიადს დასტირის, იგი პროტესტიცაა დათრგუნვილი დემოკრატიის, ძალადობის, ეროვნული ცნობიერების ჩაწიხლვის წინააღმდეგ.

ეს სამგლოვიარო პროცესია კი არა, ეროვნული დემონსტრაცია იყო.

მგლოვიარე საქართველო ამ დღეს აფრიალებდა მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს ულამაზეს შინდისფერ-თეთრ-შავ დროშას.

გადავეხვიე ზვიადის ბიჭებს... ამ დღემ, მე მგონი, შეარიგა კოკო და მანანა.

დაკრძალვის ორგანიზებაში თავი გამოიჩინა კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა კობა სუბელიანმა.

მივედი და მადლობა მოვახსენე – ყოჩაღ, კარგი ბიჭი ყოფილხარ-მეთქი.

წავიკითხე ჩემი ახალი წიგნის კორექტურა.

მე მგონი აპრილში გამოვცემ, 16 აპრილს მწერალთა სასახლეში გაზ. „ლიტერატურული მესხეთის“ მე-100 ნომრის აღსანიშნავი შეხვედრა გავმართეთ.

კარგი საქმე გაკეთდა ამ მრავალტანჯულ კუთხეში სამწერლო გაზეთის გამოცემით.

17 აპრილს დავით მჭედლურს 60 შეუსრულდებოდა.

მწერალთა კავშირში საიუბილეო-მოსაგონარი საღამო გავუმართეთ.

დათო პატიოსანი, ნიჭიერი კაცი იყო. სამწუხაროდ, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ვთქვი, რომ ჩემი შეხედულება თვითმკვლელობაზე, ქრისტიანულისგან რამდენადმე განსხვავებულია.

თვითმკვლელობა ყოველთვის ცოდვად არ უნდა ჩაითვალოს.

კაცმა არ იცის ადამიანს როდის რა განცდა დაეუფლება და რას გადაწყვეტს.

ამ დღეებში თავი მოიკლა პოეტმა ტაგუ მებურიშვილმა.

ყველას დაგვწყვიტა გული ტაგუმ.

ერთ წელიწადში ეს მესამე თვითმკვლელობაა – დ. მჭედლური, გიორგი სანადირაძე, ტაგუ მებურიშვილი, განა ეს შემთხვევითია?

არ უნდა ლაპარაკი თვითმკვლელობები გაგვიმრავლდა გაუსაძლისი ყოფის გამო.

ხელისუფლება ყოველ ფეხის ნაბიჯზე ავიწროვებს, ზიზღს უცხადებს ხელოვანთ, მწერლებს, მსახიობებს.

19 აპრილს მწერალთა კაშვირში ვახტანგ ჭელიძის დაბადების 90 წლისთავის საიუბილეო საღამო გავმართეთ.

ვახტანგი ჭეშმარიტი ინტელიგენტი, პატრიოტი, პროფესიონალი ლიტერატორი იყო.

ვრცელი შესავალი სიტყვა ვთქვი. გამოვიდნენ გურამ დოჩანაშვილი, ნუგზარ შატაიძე და სხვები.

25 აპრილს მე და მაყვალა ქუთაისში ჩავედით და თეიმურაზ ლანჩავას 60 წლისთავის იუბილეს დავესწარით.

თეიმურაზი ნიჭიერი, მწერლებზე მზრუნველი, საქმიანი ბიჭია, გამეხარდა, რომ განსხვავებით ხელისუფლების ოფიციალური გზისგან და სხვა გუბერნატორებისგან ქუთაისის გუბერნატორმა კაკო ბობოხიძემ ეროვნული პოზიცია დაიჭირა. მხარი დაუჭირა მწერლის იუბილეს.

29 აპრილს თენგიზ სვანიძის სამოცდაათი წლისთავი აღვნიშნეთ მწერალთა კავშირში.

31 აპრილს ლეგენდარული შალვა მჭედლიშვილის ოთხმოცდახუთი წლისთავის საიუბილეო საღამო გვქონდა.

ოცი წლის იყო შალვა დისიდენტური ლექსისთვის რომ დაიჭირეს და 15 წელი ციმბირის გულაგებში "იხდიდა სასჯელს".

3 მაისს ანზორ აბულაშვილს შეუსრულდა 75, ანზორს მისი მართალი პოეზიისთვის (განსაკუთრებით „მახარობელი" - „წუხელის ბიჭი დაბადებულა"...) დიდ პატივს ვცემ.

გავუძეხი ამ იუბილესაც.

ამასწინათ ზურაბ მამულაშვილის შემოქმედი საღამოც გავმართეთ.

15 მაისს მშვენიერი შემოქმედებითი საღამო გავუმართეთ ვაჟა ეგრისელს.

ვაჟა, ცოტა არ იყოს, განდიდების მანიითაა შეპყრობილი (ვინ არ არის...), მაგრამ ნიჭიერი პოეტია და მხარს ვუჭერ.

20 მაისს თავზარდამცემი ამბავი მოხდა: თბილისში მელიქიშვილის ქუჩაზე, საღამოს 8 საათზე მუხანათურად, მხეცურად მოკლეს გურამ შარაძე.

„მკვლელი" მაშინვე დაიჭირა ჩვენმა „ჩაუქმა პოლიციამ".

იგი აღმოჩნდა ვინმე გიორგი ბარათელი, გურამის ვაჟის გიორგის ყოფილი მეგობარი, რომელიც ბოლო 7 წლის მანძილზე უბრად იყო შარაძეების ოჯახთან.

ახლა გამოძიება ცდილობს საუკუნის მკვლელობა (გურამი ჭეშმარიტი მამულიშვილი და ეროვნული მოღვაწე იყო) ყოფით კინკლაობას დაუკავშიროს.

დღისით, მზისით, შუა ქუჩაზე კაცს მხოლოდ ის მკვლელი მოჰკლავს, რომელსაც „დაჭერის" (ამ სიტყვის საბოლოო მნიშვნელობით) არ ეშინია.

მოაბეზრა თავი, როგორც ჩანს თავისი ცოტნეიდური გაბედულებით გურამმა ხელისუფლებას და იგი გაწირეს.

გურამი ჩემი თანაკურსელი, მეგობარი და თანამებრძოლი იყო.

ჩვენ ერთად დავაარსეთ მოძრაობა „ენა, მამული, სარწმუნოება" ამ 15 წლის წინათ.

მართალია ხანდახან შევკამათდებოდით ცხარედაც, მაგრამ ორიოდე თვეში ისევ შევრიგდებოდით.

საერთო მიზანი, საერთო საბრძოლო ამოცანა გვარიგებდა.

ბოლოს იმაზე წავლაპარაკდით; რა გინდა გიორგაძის დაფინანსებულ პარტიაში გურამ, მთელი ცხოვრება რუსეთის წინააღმდეგ ვიბრძოდით და ნუთუ ჩვენი ცხოვრების აზრზე (ილიას გზა – რუსეთისგან საქართველოს გამოხსნა...) უარი თქვი-მეთქი, გაეცინა. იმდენად მძულან ესენი, რომ ამათ დასამხობად რუსს კი არა, ეშმაკსაც შევეკვრებიო, იხუმრა.

მერე სერიოზულად მითხრა, დიდი იმედი მქონდა ამერიკის, მაგრამ ხომ ხედავ, ვერ გვპატრონობსო.

ამ საუბრიდან ერთი კვირის თავზე შინ მომიტანა მშვენივრად გამოცემული სურათებიანი ალბომის – „აკაკი წერეთელი" – მესამე ტომი.

დიდხანს ვისაუბრეთ, ცოტა დავლიეთ. ეს იყო მისი ბოლო სტუმრობა ჩემს ოჯახში. 12 თუ 13 მაისს გახლდათ.

20-ში მოკლეს.

21 მაისს „იმედის" არხით (ეკა ხოფერია) გამოვედით, ვერის სასაფლაოზე დავკრძალეთ.

დაკრძალვაზე არც ისე ბევრი მოქალაქე ჩანდა.

ვერ მოვკარი თვალი ხელისუფლების წარმომადგენლებს და თქვენ წარმოიდგინეთ არც ჩვენი „სახელოვანი“, 9 გვამში გამოვლილი, ინტელიგენციის წარმომადგენლები ჩანდნენ.

შეეშინდათ, ალბათ 28 მაისს 4-6 საათზე თავის კაბინეტში მხეცურად დაახრჩვეს (სკოჩებით შეკრეს და თავზე ცელოფანი ჩამოამხვეს, გაგუდეს) ზვიად ცეცხლაძე.

პარლამენტში ერთად ვიყავით.

მართლაც უანგარო, ყველასთვის ხელის გამმართავი და შემწე, უაღრესად გულისხმიერი კაცი იყო ზვიადი.

ვის რა დაუშავა?

რასაკვირველია, ეს მკვლელობაც გაუხსნელი დარჩება.

ასე ჩამოყალიბდა საქართველო განგსტერების საპარპაშო ქვეყნად.

დამშეული ხალხი აქეთ-იქით აწყდება.

15-16 წლის ბავშვები ერთმანეთს ხოცავენ.

ყოველდღე კვდება თანატოლის ხელით 1-2 მოზარდი.

პომპეზური ზეიმებით და შადრევნებით ცდილობენ ამოავსონ თანამედროვე ქართველის სულის სიცარიელე და უსაბუთო დაპირებებით დაათრონ – გაართონ, როგორმე მორიგ არჩევნებამდე.

გამოვიდა ჩემი „დოკუმენტური ნოველები“, აღარაფერი მიხარია.

30.V. 2007-2.VIII.2007 წ.

2 ივნისს დავკრძალეთ ზვიად ცეცხლაძე საბურთალოს სასაფლაოზე.

პოლიციამ გამოაცხადა, რომ მკვლელები დააპატიმრეს.

ზვიადის მკვლელი „აღმოჩნდა“ 17-18 წლის ახალგაზრდებისგან შემდგარი ბანდა. ნარკომანები ძირითადად. სულ 6 ნაძირალა დაასახელეს. 5 დაიჭირეს. 1 გაექცათ.

ფულის გამოძალვის მიზნით „სკოჩებით“ შევკარითო. მერე გაგვახსენდა, რომ ასთმა ჰქონდა და ხელში შემოგვაკვდაო.

მართლა ასე იყო?

ვინ იცის.

1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურთან მუხანათურად მოკლეს ილია ჭავჭავაძე.

წელს ილიას დაბადებიდან 170 წელი და გარდაცვალებიდან 100 წელი სრულდება.

ეს წელი ილიას წელია.

მწერალთა კავშირმა ადრიდანვე დაიჭირა თადარიგი.

ბონდო კობაძემ რის ვაივაგლახით, ჩამომათხოვრებული ფულით დააბეჭდვინა აფიშები და ბუკლეტები...

მოსაწვევი ბარათი გვაუწყებს, რომ 7 ივნისს წიწამურთან 5 საათზე ობელისკს ყვავილებით შევამკობთ და სამგლოვიარო მიტინგს გავმართავთ, 6:30 საათზე წმიდა ილია მართლის სახელობის ეკლესიაში ილიას სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გაიმართება, 7 საათზე ილიას სახლ-მუზეუმთან ხალხმრავალი მიტინგი. 8 ივნისს 5 საათზე მთაწმინდაზე ილიას საფლავს მოვინახულებთ, ხოლო 9 ივნისს ყვარლისკენ გავემგზავრებით.

7 ივნისს ორი ავტობუსით გავემგზავრეთ საგურამოსკენ.

წიწამურთან კაციშვილი არ ჭაჭანებს.

ამ ორი ავტობუსის მგზავრებმა საკმაო ლოდინის შემდეგ წიწამურთან სამგლოვიარო მიტინგი გავმართეთ.

გამოვიდნენ: რევაზ მიშველაძე, რევაზ ჩხეიძე, როინ მეტრეველი, ბადრი ქუთათელაძე...

მერე წავედით საგურამოს სახლ-მუზეუმისკენ.

წვიმს.

ილიას სახლ-მუზეუმი დაკეტილია.

გაძლიერებული დაცვა დგას კარებთან.

რა ხდება-მეთქი ვეკითხები დაცვის უფროსს.

კითხვა შემომიბრუნა.

როგორ? თქვენ არ იცით, რომ დღეს ილიას საიუბილეო დღეები დაიწყო. ყველგან აფიშებია გამოკრული-მეთქი.

ვინ ატარებსო, მეკითხება.

მწერალთა კაშვირი, მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ და საერთოდ, მთელი საქართველო-მეთქი.

ჩვენ არაფერი ვიცითო, იცრუა.

ყველამ კარგად იცოდა, მცხეთის ხელმძღვანელებს სათითაოდ დავურეკეთ.

რეზო ჩხეიძემ, ფრიდონ თოდუამ (აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა) და მე-მეთქი ცხრაჯერ გავუმეორე.

ჩვენაო, ნაბრძანები გვაქვს მუზეუმის ეზოში არავინ შევუშვათ და არავითარი საიუბილეო მიტინგი არ ჩაგატარებინოთო.

აი, თურმე რატომ დაიმალნენ გუბერნატორი (ვასიკო მაღლაფერიძე, ვიცე-გუბერნატორი (შადიმან შამანაძე), მცხეთის გამგებელი (ვახტანგ ყიფშიძე) და სხვანი მრავალნი...

ჩვენ ვაიძულეთ და სახლ-მუზეუმის ეზოში ილია ჭავჭავაძის დაბადების 170 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი მაინც ჩავატარეთ.

ჩავატარეთ პოლიციელთა გარემოცვაში, ჩავატარეთ სევდიანად. დამცირებულებმა, შეურაცხყოფილებმა...

არ გვახლდა ტელევიზია.

არავინ ჩანდა ე.წ. „ოფიციალურ პირთაგან“. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მინისტრს და თვით სააკაშვილ-ნოღაიდელ-ბურჯანაძესაც გაეგზავნა მოსაწვევი ბარათები.

საოცარი ამბავია: თითქოსდა ორი საქართველო არსებობს.

ერთს უნდა ეროვნული თარიღები აღნიშნოს. ქართული სული გააძლიეროს... მეორეს სურს არ ახსენოს ეროვნული ნიშანსვეტები, არ გაიხსენოს, რომ ქართველია...

მეორე მხარეს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება წარმოადგენს.

რა ძნელი მიხვედრა უნდოდა, სწორედ თბილისიდან მიცემული ზარის გამო არ გაგვეკარა მცხეთის ხელმძღვანელობა. არ შეკრიბა ხალხი, დაგვიკეტა ილიას სახლის კარები ჩვენ – ქართველ მწერლებს და მეცნიერებს.

ილიას მაინც რას ერჩოდნენ?

სანამ შეიძლება ამის მოთმენა, ქართველო ხალხო?

„ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა გურამ შარაძის ქალიშვილის რუსუდან შარაძის წერილი „ბარათელს გურამი არ მოუკლავს“, ამტკიცებს რუსიკო სხვადასხვა წყაროებზე და თვითმხილველებზე დაყრდნობით. მას უნახავს „ალდაგის“ ჩანაწერი ფირი, რომელზეც აშკარად ჩანს, რომ გურამს უკან მიჰყვება და ესვრის მაღალი, თმიანი მამაკაცი, მერე კადრში შემოდის მეორე, ასევე თმიანი ათლეტი, რომელიც წაქცეულ გურამს საკონტროლო ტყვიას დაახლის. ასე რომ, გურამის მოკვლის ოპერაციაში მონაწილეობდა მინიმუმ ორი კაცი. პოლიციის მიერ მკვლელად გამოცხადებული გიორგი ბარათელი კი დაბალია და მელოტი. იგი კადრებში ახლომახლოც კი არ ჩანს.

ახლა რაღას იტყვიან, თავს რით იმართლებენ გურამ შარაძის ჭეშმარიტი მკვლელები?

23-30-31 ივლისს ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი აჭარას ეწვია.

ამ ლიტერატურული სტუმრობის მიზანი იყო აჭარაში შექმნილი სოციალ-პოლიტიკური ვითარების გაცნობა და მკითხველებთან შეხვედრა.

აჭარის მწერალთა ორგანიზაციის (თავმჯდომარე დავით თედორაძე) და ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით მწერლებმა ლამის მთელი აჭარა შემოიარეს.

გულახდილი დიალოგი გაიმართა ბათუმის, ხულოს, ქედის და შუახევის მცხოვრებლებთან.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ როგორც იქნა ნავსი გატყდა და პოლიტიკური ბატალიებით დაღლილმა აჭარლებმა პირადად იხილეს თავიანთი სულის მესაიდუმლენი – მწერლები. უშუალოდ მათგან მოისმინეს კომპეტენტური აზრების შესახებ იმისა, თუ რა ხდება საქართველოში და საით მიაქანებს ისტორიული ვითარება რუსთაველის ქვეყანას.

მსმენელნი კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ ამგვარი შეხვედრები საჭირო და დროულია, რომ ხელისუფლებას ხეირს როდი დააყრის მწერლობის სრულიად აუხსნელი იგნორირება, რაიც ამ ბოლო დროს აშკარად თვალშისაცემია.

ეს სტუმრობა იმედს გვაძლევს რომ მთავრობა გონს მოეგოს და როგორც ჩანს, დაისაჭიროვა მწერალი, როგორც ბრძენი მრჩეველი და ერის მებაირახტრე.

მწერალთა დელეგაციაში შედიოდნენ: მაყვალა გონაშვილი (თავმჯდომარე), რევაზ მიშველაძე, ვაჟა ოთარაშვილი, თეიმურაზ ლანჩავა, გენო კალანდია, ზაურ კალანდია, ჯანო ჯანელიძე, თემურ ამყოლაძე, ელგუჯა თავბერიძე, დავით ტაკიძე (შემოქმედელი), ავთანდილ ბერიძე, ჯემალ ინჯია და სომეხი პოეტი გაგიკ დავთიანი.

მასპინძელთა მხრიდან გამოირჩეოდნენ დავით თედორაძე, სანდრო ბერიძე, იური ბიბილეიშვილი, ვახტანგ ღლონტი, ფრიდონ ხალვაში, ჯემალ ჯაყელი, შოთა ზოიძე, რამაზ სურმანიძე, ამირან ხაბაზი, ანა დუნდუა, ვახტანგ ახვლედიანი, თეიმურაზ კომახიძე, ანზორ კუდბა და სხვები.

შეხვედრებში აქტიურად მონაწილეობდა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, პროფესორი მიხეილ მახარაძე.

ახალგაზრდა კინორეჟისორმა დავარ გიგინეიშვილმა ჩემი ნოველა „მახე“ მოკლემეტრაჟიან ფილმად გადაიღო და პრეზენტაციაზე სენაკში მიმიწვია.

ფილმი ურიგო როდია, მაგრამ მსახიობები მოიკოჭლებენ.

2 აგვისტოს ასანა ნადირაძის ორმოცზე ვიყავი. ასანას გული გაუსკდა იმის გამო, რომ უნივერსიტეტიდან გააგდეს.

ეს უკვე მე-17 პროფესორია კახა ლომაიას კისერზე. გული უსკდება უმიზეზოდ გაგდებულ პროფესურას.

ორმოცზე გურამ დოჩანაშვილი შემხვდა. შენი დოკუმენტური ნოველები ძალიან მომეწონა. „შოთა ნიშნიანიძის ნიღაბმა“ ისე ამაფორიაქა, მთელი ღამე ვერ დავიძინეო.

3.VIII – 28.VIII. 2007

მიმართვა ქართველ მწერლებს

ბატონებო!

21 აგვისტოს, დილის 4 საათზე, საქართველოს ხელისუფლებამ მწერალთა კავშირი დაარბია.

გამთენიისას ნიღბიანი სპეცნაზელები შეიჭრნენ მწერალთა სასახლეში და გაუგონარი ცინიზმით იავარქმნეს მწერალთა თავშესაფარი.

ენით გამოუთქმელი უმაგალითო ამბავი მოხდა.

მსგავსი რამ ფაშისტებსაც არ მოსვლიათ აზრად.

ისტორიამ იცის მაგალითები, რომ სიმართლის თქმისთვის დაეტუსაღებინოს ესა თუ ის მწერალი, დაეხვრიტოს კიდეც კაენის სულის აღზევების ეპოქაში, მაგრამ ხელისუფლებას ერთბაშად ამოეშანთოს 475 მწერლის ბუდე, მოეშალოს მათთვის ტრიბუნა და ამით მოესპოს, მწერლებისთვის თავშეყრის საშუალება, აეკრძალოს მათთვის საჯაროდ აზრის გამოთქმა, დედამინაზე ჯერ არ მომხდარა.

აღსრულდა ის, რისიც ყველაზე მეტად გვეშინოდა, გაღიზიანებულმა ხელისუფლებამ წაგვართვა ისტორიული სასახლე და ამით თავისი სახე გამოაჩინა.

ამ ვანდალური საქციელით ხელისუფლებამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ საქართველოს სათავეში მოვიდნენ ჩვენი ეროვნულობის დაუძინებელი მტრები, მაგრამ თუ ფაშიზმი გერმანელთა ნაციონალურ ნიშნებს ასე თუ ისე პატივს სცემდნენ, ამ ხელისუფლებას ჩვენი ნაციონალური სახე არ დაენახვება და არც გაეგონება.

ქუჩაში მოისროლეს ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის წიგნები და პორტრეტები.

შეურაცხყვეს კლასიკოსთა ხსოვნა და შენობიდან განდევნეს მათი წმინდა აჩრდილები.

რუსთაველის სახლი დაარბიეს, ბატონებო.

ნუ გაიხარებენ საქართველოს დაუძინებელი მტრები.

საქართველოს მწერალთა კავშირი არსებობას წამითაც არ შეწყვეტს და მეტი მონდომებით და გაბედულებით ეტყვის ქართველ ერს მისთვის ესოდენ აუცილებელ, გულისმოსაფხან სიტყვას.

მწერლებო!

ისტორიამ დიდი გამოცდა მოგვიწყო.

ახლა ჩვენი ვალია, მთელ მსოფლიოს გავაგებინოთ, რომ ის რაც საქართველოში ხდება, ხელისუფლების ფაფხურია ქართული ეროვნული ცნობიერების ამოსაშთანავად.

ეს საქართველოს მოსასპობად გადადგმული ყველაზე ამაზრზენი ნაბიჯია.

ამ სავალალო ფაქტზე საუკუნეები ილაპარაკებენ.

არ შევუნახოთ ნამუსი გარეწრებს, დაუნდობლად ვამხილოთ ისინი ჩვენს ნაწერებში.

„უკვდავჰყოთ“ სისხლიანი ხელისუფლების წრეგადასული თავხედობა.

ჩვენ ვცოცხლობთ!

მრავალჭირგამოვლილ ქართულ მწერლობას, თავისუფალ ქართულ სიტყვას ასე იოლად ვერ მოერევიან.

საქართველოს მწერალთა კავშირი.

29.VIII. 2007 – 30.IX. 2007

ეს მიმართვა ცხელ გულზე დავწერე.

მწერალთა კავშირს ალყა შემოარტყეს სპეცრაზმელებმა და რაც იყო შენობაში, ქუჩაში გამოყარეს.

ასეთი რამ დედამიწაზე არ მომხდარა.

475 მწერალს ხელისუფლება ერთბაშად გაუსწორდა.

სიბრაზისგან პირი მიშრება.

დავურეკე პრეზიდენტის დედას, ქ-ნ გიული ალასანიას, ნუთუ შენი შვილის დასტურით ხდება ეს საშინელება-მეთქი.

არა მგონიაო. ალბათ, ვიღაცეები ჩემს შვილს უწყობენ ასეთ სცენებს, რომ ქართველ ერს შეაძულონო.

ვყვირით, თმებს ვიგლეჯთ, მაგრამ გამკითხავი არავინ არის.

იცით თუ არა, რას ჩადიხართ, რას ერჩით ილიას, აკაკის, ვაჟას წიგნებს, ქუჩაში რატომ გამოაგდეთ გამსახურდიას სავარძელი, გალაკტიონის მოტანილი კარადა-მეთქი... ვინ ხართ, სად გაიზარდე-მეთქი.

ჩვენ რაც გვიბრძანეს, იმას ვაკეთებთო, სპეცნაზელებმა.

ორი წუთით მაინც შემიშვით ჩემს კაბინეტში, გაზეთის მასალებს, წიგნებს, პირად ნივთებს მაინც გამოვიტან-მეთქი.

ხვალ დილითო, დიდუბის ნაგავსაყრელზე იპოვი ყველაფერსო, ცინიკურად მიპასუხეს.

დანა რომ დამისვა სისხლი არ გამომივა.

ამ ყაჩაღობისადმი ჩემი დამოკიდებულება სახელდახელოდ გამოვაქვეყნე „ასავალ-დასავალის“ ინტერვიუში.

საზოგადოება, მასმედია აღშფოთებულია.

ჩემს ბინაში ტელეფონის ზარი არ წყდება.

რას აპირებთო, მეკითხებიან მწერლები.

იქნებ საშიმშილოდ დავჯდეთო.

ამათ გულს ვერაფრით აუჩუყებ და თავსაც ვერ შეაცოდებ.

მეორედ მოსვლაა საქართველოს თავზე.

„ახალ თაობაში“ და “ქრონიკაში“ დაბეჭდილია ჩემი ინტერვიუები. საა-კაშვილის ხელისუფლებას გამყიდველებად ვაცხადებ.

ყოველდღე დავდივარ და 3 საათი ვდგავარ მწერალთა კავშირის წინ მაჩაბლის ქუჩაზე.

ჯერჯერობით არც რემონტი დაუწყიათ და არც არავინ შეუსახლებიათ.

როგორც ნოდარ გრიგალაშვილმა მითხრა დიდი ბრძოლები მიდის კულ-ტურის სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროებს შორის:

კულტურის სამინისტროს სურს ჩვენი სასახლე „მწერლის სახლად“ გამოაცხადოს და შიგ შეასახლოს თბილისში არსებული ხელისუფლების მომხრე ლიტერატურული გაერთიანებანი, ხოლო ეკონომიკის სამინისტროს სურს შენობა სარფიან ფასად გაყიდოს. როგორც ჩანსო, პრეზიდენტი ეკო-ნომიკის სამინისტროს უჭერსო მხარს.

თუ ასეა, მთლად დაღუპულია ჩვენი საქმე.

გამოვუშვი „მწერლის გაზეთის“ საგანგებო ნომერი.

ეს გაზეთი ისტორიას შემოუნახავს უტყუარ საბუთს იმის შესახებ, თუ რა მოხდა 2007 წლის 21 აგვისტოს.

2 სექტემბერს პოლიციელებს დიდხანს ვესაუბრე.

რას სჩადით-მეთქი, ბიჭებო, სად გაიზარდეთ, ნუთუ ჩემგან, რუსთაველ-ის პრემიის ლაურეატ რევაზ მიშველაძისგან იცავთ მწერალთა სასახლეს-მეთქი?

არაო, ბატონო რეზო, შენ კარგად გიცნობთ და ძალიანაც გვიყვარხ-ართო, იმ ღამით ჩვენ გვითხრეს, რომ ვიღაცეებმა ძალით დაიკავეს მწერ-ალთა კავშირის შენობა და უნდა გამოვიყვანოთო – ჩვენ გვითხრეს, რომ მწერალთა შენობაში ლტოლვილები არიან შეჭრილიო. ახლა ხომ ხვდებით, რა ცოდვა ჩაგადენინეს-მექთი, ახლა ვხვდებით, მაგრამ უკვე გვიანიაო. ისე ჩვენიც უნდა გაიგოთო, ცრემლმომდგარმა პოლიციელმა მითხრა, ბრძანება რომ არ შევასრულოთ სამსახურს დავკარგავთ და ხომ იცით რა ძნელია დღეს სამსახურის შოვნაო.

შემეცოდა ბიჭები. მერე მთხოვეს, თუ შეიძლება, თქვენთან სურათის გადაღება გვინდაო. გადავიღეთ სურათი.

ორი საათის მერე ისევ მივადექი პოლიციელებს. მივიტანე განცხადება:

„ყურადღება

ამ ოთახში 2 თვე ცხოვრობდა აკაკი წერეთელი.

იგი მემორიალური, ისტორიული ოთახია და რემონტს არ ექვემდებარე-ბა.

გთხოვთ შთამომავლობისთვის დაიცვათ ამ ოთახში არსებული ისტო-რიული ნივთები“.

თუ შეიძლება ეს განცხადება ჩემს კაბინეტის კარზე გააკრათ-მეთქი. ცოტა შეყოყმანდნენ და ბოლოს დამთანხმდნენ.

მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია კვლავ ქუჩაშია.

არავითარი იმედი ამ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისა არ არსებობს.

მივედი კულტურისა და ეკონომიკის მინისტრებთან.

მე, 67 წლის (მათ მამებზე ასაკით უფროსი) კაცი 4-4 საათი მალოდინეს

კარებთან ორივემ. ბოლოს (არც გამოსულან კაბინეტიდან ბოდიში მაინც რომ მოეხადათ) მდივნის პირით გამომიცხადეს:

არ გვცალია და ვერ მიგიღებთო.

არც უთქვამთ, როდის მოვიდე, ან მოვიდე თუ არა საერთოდ.

ასეთი ხელისუფლება ჰყავს საქართველოს.

ეს გაუზრდელი მინისტრები, ეს ცინიკოსები დაიმსახურა ჩემმა ქვეყანამ?

„მწერლის გაზეთის“ ორი ნომრის გამოცემა მოვახერხეთ მე და სოსო სიგუამ.

თითქმის ყველა ცნობილი ქართველი მწერლის პოზიციაა გამოხატული ამ გაზეთში (გარდა გურამ დოჩანაშვილისა).

გურამმა – მე პოლიტიკაში არ ვერევიო.

პოლიტიკაში ნუ ჩაერევი, მწერალთა სასახლის წართმევაზე შენი აზრი არ გაგაჩნია-მეთქი? ვკითხე.

არ გამაჩნიაო!

რა უნდა ელაპარაკო. „კლასიკოს გურამ დოჩანაშვილს“ არ ანაღვლებს მწერალთა კავშირის ბედი.

25 სექტემბერს პოლიტიკურ ასპარეზზე კვლავ გამოჩნდა ირაკლი ოქრუაშვილი.

ირაკლიმ დააფუძნა პოლიტიკური მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“ და გამოაცხადა, რომ აპირებს არსებული, დესპოტური, დამნაშავე, კრიმინალი ხელისუფლების დამხობას.

იმავე საღამოს ინგა გრიგოლიამ „იმედის“ ეთერში მიიწვია ირაკლი ოქრუაშვილი, ირაკლის საოცარი გულახდილობით განაცხადა, რომ სააკაშვილი არის მკვლელი, მხდალი ბანდიტი და საქართველოს დაუძინებელი მტერი. მან ჩამოთვალა ბრალდებათა წყება, კერძოდ:

სააკაშვილმა მოაკვლევინა ჟვანია და საბურთალოს 53-ში გვამი მიიტანესო.

სააკაშვილმა მე დამავალა ბ. პატარკაციშვილის მოკვლა, რაც არ შევასრულე და ამის გამო ამითვალწუნაო.

სააკაშვილმა მისსავე კაბინეტში ჩემს თვალწინ დაავალა მერაბიშვილს – პარლამენტარ ვალერი გელაშვილს მოკვლით ნუ მოჰკლავთ, მაგრამ ისე სცემეთ, რომ კაცად აღარ ივარგოსო.

სააკაშვილი დაჟინებით მოითხოვდა ჩემგან, მაკომპრომეტირებელი საბუთების შეგროვებას ეკლესიის უმაღლეს პირებზეო.

ფულის გამოძალვისთვის (200 000 დოლარი) დავაკავე სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია. მაგრამ 10 წუთში დამირეკა თვით სააკაშვილმა და გამაშვებინაო.

სააკაშვილს სძულს სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენცია. იგი მათ ყველას, განურჩევლად ნიჭიერებისა, „ჩასარეცხებს“ ეძახისო.

გარდა ამისა, სააკაშვილი საერთოდ ვერ იტანს ქართველს 40 წლის ზემოთ. ყველას კორუმპირებულს და დამნაშავეს ეძახისო.

იარაღის ძირითადი შემსყიდველი (ექსპორტიორი) საქართველოში არის სააკაშვილის დეიდაშვილი ნიკა ალასანია, რომელიც თავდაცვის სამინისტროდან მილიონებს იღებს და იჯიბავსო.

შარშანწინ თითქმის შემოერთებული გვქონდა ცხინვალის რეგიონი, სპეცოპერაციის შედეგად ფაქტიურად შესული ვიყავით ცხინვალში, მაგრამ სააკაშვილის სიმხდალის, სილაჩრის, სკამის დაკარგვის შიშის მიზეზით უკან დავიხიეთ და ვინ იცის ისტორია ასეთ შანსს მოგვცემს თუ არაო.

სააკაშვილის ნათესაობა ე.ი. თავად სააკაშვილი მომხვეჭელია და მისი ქონება რამდენიმე მილიარდით განისაზღვრებაო.

ეს და სხვა ბრალდებები წაუყენა ოქრუაშვილმა ღია ეთერში პრეზიდენტს. სააკაშვილი ამ დროს ნიუ-იორკში იმყოფებოდა.

უკან დაბრუნებულ პრეზიდენტს გზაში (ვენაში) შეეგებნენ მერაბიშვილი და უგულავა და გადაცემის ჩანაწერი ჩაუტანეს.

გაანჩხლებულმა სააკაშვილმა გზაშივე გასცა განკარგულება ოქრუაშვილის დაპატიმრების შესახებ.

ამრიგად, ოქრუაშვილის ბრალდებებს მან კონტრარგუმენტები კი არ დაუპირისპირა, არამედ ხელაღებით დააპატიმრა ოქრუაშვილი, რითაც ფაქტიურად აღიარა, რომ ოქრუაშვილი სიმართლეს ამბობდა.

ოქრუაშვილის დაპატიმრებამ აღაშფოთა ისედაც მოთმინების ფიალაავსილი ხალხი.

28 სექტემბერს, ოქრუაშვილის დაპატიმრების მეორე დღეს რუსთაველზე პარლამენტის წინ სააკაშვილის საწინააღმდეგო გრანდიოზული მიტინგი გაიმართა. ჩემი შეხედულებით ოქრუაშვილიც საკმაო დამნაშავეა და გამიკვირდა, რომ მიტინგს დაახლოებით 30 000 კაცი დაესწრო.

სიტყვებით გამოვიდნენ და სააკაშვილის უპირობო გადადგომა მოითხოვეს: გია თორთლაძემ (მიტინგის წამყვანი), თინა ხიდაშელმა, შალვა ნათელაშვილმა, კოკა გუნცაძემ, მერაბ კაციტაძემ, გია ცაგარეიშვილმა, კობა დავითაშვილმა, მოკლული რობაქიძის მამამ და სხვებმა.

მიტინგზე გადაწყდა შეიქმნას წინააღმდეგობის ფრონტი, – ოპოზიციურ ძალთა გაერთიანება. უახლოეს დღეებში სააკაშვილის დასამხობად.

ამასობაში საზღვარგარეთიდან დაბრუნებული სააკაშვილი ცოფებს ჰყრის.

დაიწყო ოპოზიციონერთა დაპატიმრების გაფაციცებული კომპანია.

ციხეები პოლიტიკურ პატიმრებს ვერ იტევს.

ოქრუაშივლის ადვოკატმა ეკა ბესელიამ ციხიდან პატიმარ ოქრუაშვილის წერილი გამოიტანა, რომელშიც იგი გატანჯულ ქართველ ერს გაერთიანებისკენ მოუწოდებს.

სააკაშვილის იმიჯი მსოფლიოში კატასტროფულად ეცემა.

თვითონ იხტიბარს არ იტეხს და ტელევიზორში ძველებურად იღიმება.

ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს.

29 სექტემბერს შაბათს წყალტუბოს ვესტუმრეთ მე და სოსო სიგუა.

ჩუნეშში ნიკო ლორთქიფანიძის სამეცნიერო სესია ჩავატარეთ, ოტია იოსელიანს დიდხანს ვესაუბრე საქართველოს უბედო ბედზე და პრეზიდენტზე.

ჩვენი აზრები, როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაფერში ემთხვევა ერთმანეთს.

სოფელ ჯორჯიაშვილიდან შალვა ამონაშვილმა გამომიგზავნა მის მიერ დაწერილი მშვენიერი წიგნი „ხიბლი რევაზ მიშველაძის ნოველებისა“.

1.X.2007 – 1.XI.2007

2 ოქტომბერს გამოვეცი „მწერლის გაზეთი“, რომელშიც გამოვაქვეყნე ოტია იოსელიანის ლექსი „იყიდება საქართველო“ და ჩემი ნოველა „შულავერის ომი“.

გაზეთი სწრაფად გაიყიდა.

8 ოქტომბერს ტელევიზიამ საშინელი სურათი გადმოსცა:

იჯდა დაბნეული, გატეხილი, გაბრუებული, თვალებმიბნედილი ირაკლი ოქრუაშვილი და რაც 25 სექტემბერს ილაპარაკა, ყველაფერს უარყოფდა.

რაც ვთქვი, ყველაფერი მოგონილია და სიმართლეს არ შეეფერებაო, სააკაშვილზე გაბრაზებული ვიყავი და ამიტომ მოვუგონეო.

შეძრწუნდა მთელი საქართველო.

ხალხმა მაინც გაუგო გატეხილ ირაკლის.

იმავე ღამით ტელეგამოკითხვაში 65-მა პროცენტმა უთანაგრძნო; აშკარად ეტყობოდა, რომ ფსიქოლოგიური და ნარკოზული ზემოქმედების ქვეშ იყოო.

ასე აქცია სააკაშვილმა ოქრუაშვილი პოლიტიკურ ლეშად, მაგრამ მხოლოდ დროებით.

ვაჟა ოთარაშვილი, რომელმაც თავისი გამომცემლობისთვის („ეროვნული მწერლობა“) დიდებული სასახლე შეიძინა, ფეხს ითრევს, რათა მწერალთა კავშირს თავშესაფარი შეუძინოს.

არა და ამის საშუალება აქვს. რუსთაველის პროსპექტზე ყოფილი „მერანი“ გაიყიდა და მწერალთა კავშირს 25%-ის წილი მგონი 800 000 დოლარამდე შეხვდა.

ამ ფულს ვაჟა ოთარაშვილი დაეპატრონა და ხელიდან არ უშვებს.

სხვათა შორის, ამდენივე ფული ცალ-ცალკე მიიღეს მწერალთა კავშირის და „მერანის“ სხვა ხელმძღვანელებმა. რ. ჭეიშვილმა, ვინმე გამეზარდაშვილმა, გივი ალხაზიშვილმა და გურამ გვერდწითელმა.

რა თქმა უნდა, ისე თამამად მიითვალეს ფული,რომ 450 მწერალი არც გახსენებიათ.

მივედი ოთარაშვილთან, იქ იყვნენ სოსო სიგუა, ბადრი ქუთათელაძე, დათო ტაკიძე და ზაზა ქინქლაძე.

შენ გამომცემლობისთვის მშვენიერი “ვილლა“ გაქვს და მწერალთა კავშირისთვის თუნდაც სამოთახიანი თავშესაფრის ყიდვას რატომ აჭიანურებ, ჩემო ვაჟა-მეთქი, ვკითხე.

ვაჟამ მიკიბვ-მოკიბვა დაიწყო.

სოსო სიგუამ ჩემი მხარე დაიჭირა.

წამოხტა მოპოეტო ზაზა ქინქლაძე და ვაჟას გამოექომაგა. თურმე იგი წინა დღეს ვაჟა ოთარაშვილს სამსახურში მიუღია და ერთგულება დაუმტკიცა.

რას ერჩით ვაჟასო. ბოლოს და ბოლოს ფული მისია და როგორც უნდა ისე განკარგავსო.

შენ, ჩემო ზაზა, კუს მიერ ფეხის გამოყოფასავით მოგდის. რას ჰქვია ფული ვაჟასია, იმ გამომცელმობის დამფუძნებელი ხომ მწერალთა კავშირია-მეთქი.

ერთი სიტყვით ცხარედ შევლაპარაკდით.

11 ოქტომბერს ჩხოროწყუში სოფელ მუხურს ვეწვიეთ „შემოქმედებითი ინტელიგენციის“ რამდენიმე წარმომადგენელი.

ლაშა გახარიას 60 შეუსრულდა და მის მშობლიურ მუხურში გავიხსენეთ.

სახელდახელო ხსოვნის საღამოზე წინადადება შემოვიტანე მუხურის საშუალო სკოლას ეწოდოს ლაშა გახარიას სახელი და სახლში, სადაც პოეტი დაიბადა, გაიხსნას სახლ-მუზეუმი.

სოფელი მოწონებით შეხვდა ჩემს წინადადებას.

საინტერესო ამბები ხდება: ირაკლი ოქრუაშვილის ჩაფლავებამ ვერ შეაკრთო ოპოზიცია.

ხალხი აზვირთდა.

2 ნოემბერს დანიშნულია გრანდიოზული მიტინგი, სადაც ილაჯ-გაწყვეტილი და სასოწარკვეთილი ოპოზიცია ერთხმად მოითხოვს ხელისუ-ფლების გადადგომას.

„ასავალ-დასავალმა“ თითქმის მთლიანად გადაბეჭდა „მწერლის გაზეთი-დან“ ჩემი ნაწერები.

14 ოქტომბერს ავთანდილ ადეიშვილი დავასაფლავეთ.

გვინდოდა მწერალთა სასახლიდან გამოგვესვენებინა, მაგრამ ეკონომი-კის მინისტრმა გიორგი არველაძემ უარი გვითხრა.

20 ოქტომბერს საჩხერეში „აკაკის დღე“ აღვნიშნეთ.

პირველი სიტყვა მე მომცა გამგებელმა.

სხვათა შორის, ისევ ილია და აკაკი მიგვიძღვებიან ეროვნული ფენო-მენის დასაცავად გამართულ ომში-მეთქი – ვთქვი.

აკაკის სახლ-მუზეუმის ერთმა თანამშრომელმა აკაკის ეზოში მიჩურ-ჩულა – სააკაშვილი ამ ბოლო დროს სამჯერ იყო საჩხერეში, მაგრამ აკაკის სახლ-მუზეუმისკენ არც გაუხედავსო.

22 ოქტომბერს მწერალთა სასახლის წინ ხელისუფლების საწინააღმ-დეგო მიტინგი გავმართეთ.

გამოვედით მაყვალა, მე, ოთარაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვაჟა აზ-არაშვილი, ნუკრი ქანთარია, მარინე ცხვედიაშვილი და სხვები.

23 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ განაახლა მწერალ-თა სასახლის საქმის განხილვა.

ეკონომიკის სამინისტრომ ვერ წარმოადგინა საბუთი, თუ რის საფუძ-ველზე გადაიფორმა ქურდულად მწერლების კუთვნილი შენობა.

ბოლოს მოსამართლე ნათია ჯორბენაძემ ორივე მხარეს წინადადება მოგვცა ურთიერთშეთანხმებით გადაგვეწყვიტა დავა.

ეს გადაწყვეტილება იმედს გვისახავს, რომ შეიძლება მწერალთა სა-სახლე დავიბრუნოთ.

მივიღეთ მსოფლიოს 15 ქვეყნის მწერალთა კავშირების ერთობლივი განცხადება, რომელშიც იაპონელი, ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, პო-ლონელი, რუსი, უკრაინელი, იტალიელი, ესპანელი მწერლები გმობენ მწერ-ალთა კავშირის მიმართ ჩადენილ ყაჩაღობას და სააკაშვილს მოუწოდებენ სასწრაფოდ დაუბრუნოს მწერლებს კუთვნილი შენობა.

ოპოზიციის მიტინგები იმართება მთელს საქართველოში.

ვნახოთ, რა მოხდება 2 ნოემბერს.

„ასავალ-დასავალს“ ვრცელი ინტერვიუ მივეცი, სადაც მთელს ინტელი-გენციას მოვწუოდე 2 ნოემბერს დადგეს რუსთაველის პროსპექტზე.

2.XI.2007 – 24.XI. 2007

2 ნოემბერს 100 ათასი დამშეული, გაუბედურებული, შეურაცხყოფილი კაცი დადგა რუსთაველის პროსპექტზე.

ოპოზიციის ხელმძღვანელებმა თორთლაძემ, ზურაბიშვილმა, ხაინდრავამ, დავითაშვილმა, ლ. გაჩეჩილაძემ, კახა კუკავამ, ლევან ბერძენიშვილმა და სხვებმა ხელისუფლებას იოლადგადასაწყვეტი, ცოტა არ იყოს უკბილო მოთხოვნები წაუყენეს. მთავარი იმ ოთხიდან იყო არჩევნების თარიღის გადმოწევა – დეკემბრის ნაცვლად აპრილში ჩატარება.

მე და სოსო სიგუა ერთად მივედით მიტინგზე. ტელეარხცმა „იმედმა“ ინტერვიუ მთხოვა.

ვთქვი:

მე აქ მოვედი ჩემი პროგრამით. მაქვს სამი მოთხოვნა.

პირველი – გადადგეს პრეზიდენტი.

მეორე – შეიქმნას კოალიციური მთავრობა (9X9)

მესამე – დაინიშნოს არჩევნები აპრილში, ამის გარეშე ვერ გადაწყდება ამ 100 000 კაცის და მთელი საქართველოს პრობლემები-მეთქი.

ჩვენაო, პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნას არ ვაყენებთო, მითხრა „იმედის“ კორესპონდენტმა (ნათია ერქვა) და გავიფიქრე, რომ ჩემი ინტერვიუ არ გადაიცემოდა.

მართლაც არ გადასცეს.

მივხვდი, რომ ოპოზიციის ბელადები აუტკივარი თავის პოლიტიკას ადგენენ და მართლაც ასე მოხდა.

შეიყოლიეს ხალხი ლამაზი სიტყვებით და რევოლუციას არ მისცეს ლოგიკური დასასრული.

ლოგიკური დასასრული კი ის იყო, ისე აეღოთ ხელში ძალაუფლება, როგორც სააკაშვილმა და მისმია გუნდმა აიღო 2003 წლის 23 ნოემბერს.

ვერ ჩაავლო ხარს რქაზე ხელი ოპოზიციამ.

დაღამდა.

ხალხი წავიდ-წამოვიდა.

მეორე დღეს პარლამენტის წინ რუსთაველზე მესამედიც არ მოვიდა.

ვთქვი: რევოლუციური მიტინგი ოპოზიციის ლიდერებმა დიდ სახალხო სეირნობად, კონცერტად გადააქციეს-მეთქი.

მე ჩემი სათქმელი მაინც ვთქვი ამ დღეებში გაზეთ „ასავალ-დასავალის“ და „რუსთავი 2“-ის (3 ნოემბერს) საშუალებით, მიტინგზეც ყოველდღე დავდივარ, მაგრამ ერთ-ერთ მობღავლე-გამომსვლელად არ მოვევლინე იქ შეკრებილ საზოგადოებას, იმიტომ, რომ კარგად ვხედავ – ეს ოპოზიცია უძლურია.

7 ნოემბერს სააკაშვილმა კაცობრიობის წინაშე გაუგონარი დანაშაული ჩაიდინა.

მეისტორიევ, დაიმახსოვრე 2007 წლის 7 ნოემბერი.დილის 8 საათზე პოლიციამ ჯერ პარლამენტის წინ მოშიმშილეთა აქცია (30 მოშიმშილე) დაარბია და მერე როცა 1 საათზე უამრავი ხალხი მოგროვდა რუსთაველზე ამ ვანდალური ფაქტის გამო პროტესტის გამოსაცხადებლად, სააკაშვილმა სპეცრაზმი – ნიღბიანი, კბილებამდე შეიარაღებული მანქურთები მიუსია

უდანაშაულო ხალხს. მომწამლავი გაზით, წყლის ჭავლით, უმოწყალო ცეცმით „გაათავისუფლეს რუსთაველის „პროსპექტი“. ქაშუეთის ეკლესიაში თავის გადასარჩენად შევარდნილ მომიტინგეებს ფეხდაფეხ შეჰყვნენ, ტაძარში ლოცვად შემდგარ მღვდლებსაც არ მოერიდნენ, ჯერ ოტებულთ სცემეს და მერე მომწამლავი გაზის ყუმბარა შეაგდეს ქაშუეთში.

ტაძარში და მთელს რუსთაველის პროსპექტზე სისხილს გუბე იდგა.

სასწრაფო დახმარების მანქანები დაჭრილთა და მოწამლულთა საავადმყოფოებში გადაყვანას ვერ აუდიოდნენ.

გადარჩენილები ქვევით, ბარათაშვილის ხიდისკენ დაეშვნენ და რიყის მოედანზე კვლავ განახლდა მიტინგი.

სადამსჯელო ექსპედიციამ ხალხს რიყეზეც ჩააკითხა.

ოთხივე მხრიდან ალყა შემოარტყეს 10 ათასამდე მომიტინგეს.

გამძვინვარებული წესრიგის დამცველები ღვინის აღმართისკენ გაქცეულთ დაედევნენ და გამეტებით სცემდნენ. არ ინდობდნენ ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს.

ქალაქში პანიკა მძვინვარებდა.

ტელევიზიით გამოვიდა პრეზიდენტი და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს დიდგორის ომი მოეგოს, „არავის არ დავინდობთ, ოპოზიციას მისხალს არ დავუთმობთ“. ისმოდა მისი გამოსვლის ქვეტექსტიდან.

„ღმერთი არ გაგიწყრეთ“... „სულს ამოგაძრობთ“ – უტიფრად აცხადებდნენ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

საღამოს დაარბიეს ტელეარხები „იმედი“ და „კავკასია“.

ოპოზიციურმა ტელევიზიამ რადიომაუწყებლობა შეწყვიტა.

შუაღამისას სააკაშვილმა მთელ საქართველოში 15 დღით საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

7 ნოემბერსვე ღამის 12 საათზე მოვასწარი და ტელეარხ „მზის“ საშუალებით ქვეყანას ვაუწყე ჩემი დამოკიდებულება ხელისუფლების მიერ ჩადენილი ისტორიული დანაშაულისადმი.

ვთქვი, რომ რუსთაველზე არ ყოფილა პარლამენტში ან კანცელარიაში შევარდნის მცდელობა. მომიტინგეებს არაფერი ისეთი არ ჩაუდენიათ, რაც სახელმწიფო აპარატს საშიროებას შეუქმნიდა და რისთვისაც საჭირო გახდებოდა სპეცრაზმის საშუალებით მიტინგის დარბევა.

სწორედ მაშინ, როცა ოთხი წლის წინ სააკაშვილი და მისი რაზმელები კანცელარიაში შევარდნენ, შევარდნაძეს ასეთი რადიკალური ზომებისთვის არ მიუმართავს-მეთქი.

რომელ დემოკრატიაზე ლაპარაკობთ-მეთქი.

ნუთუ იმედი აქვს სააკაშვილს, რომ ეს გალახული, მოწამლული, დარბეული ხალხი ოდესმე აპატიებს მას და შეურიგდება-მეთქი.

ყველაზე საშინელი ჩემთვის, როგორც მწერლისთვის იყო ის შეუბრალებლობა, რითაც ეპყრობოდა სპეცრაზმი თავის თვისტომს, თავის მოძმეს-მეთქი.

მთელი მსოფლიო აღაშფოთა სააკაშვილის მიერ 7 ნოემბერს ჩადენილმა დანაშაულმა.

როგორც გაზეთები უწყებიან, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა სააკაშვილს დაურეკა:

– შენ აშკარად უღალატე დემოკრატიულ პრინციპებს და პრეზიდენტად ყოფნის მორალური უფლება არა გაქვსო.

დასავლეთის აშკარა საყვედურმა გაჭრა და 9 ნოემბერს სააკაშვილმა განაცხადა 25 ნოემბერს გადავდგები და 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნებს ვნიშნავ, იმ დღესვე ვნიშნავ პლებიცისტს, თუ როდის ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნებიო.

აშკარაა, რომ რუსთაველზე შეკრებილი დაჩაგრული ხალხის ნებამ გაიმარჯვა, მაგრამ ჩვენმა პრეზიდენტმა თავისი თავი კვლავ წამოაყენა პრეზიდენტობის კანდიდატად.

რასაკვირველია, მას საქართველოს მოსახლეობის 3%-იც არ უჭერს მხარს, მაგრამ როგორც სჩვევია, არჩევნებს გააყალბებს და ხალხს თვალში ნაცარს შეაყრის.

ოპოზიცია ამ „გამარჯვებამ“ დააბნია და ერთდროულად პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატი დაასახელა:

დავით გამყრელიძე, ლევან გაჩეჩილაძე, ბადრი პატარკაციშვილი, შალვა ნათელაშვილი და სხვები.

ოპოზიცია აშკარად არასახარბიელო მდგომარეობაშია ამ საპრეზიდენტო მარათონში.

სააკაშვილის ხელშია პოლიცია, გუბერნატორები, ჯარი, ტელევიზია და ა.შ. ოპოზიციის მთავარი არხიტ „იმედი“ დახურულია. ერთადერთი „კავკასია“ ფეთქავს და მისი მაუწყებლობა თბილისს არ შორდება.

პრეზიდენტმა 23 ნოემბერს ნაციონალისტთა ყრილობა ჩაატარა, ჩაატარა კომუნისტურად ჩამორეკილი „დეპუტატებით“ აპლოდისმენტებით და ფეიერვერკებით, საშინელი სანახაობა იყო. შუბლზე ჰიტლერივით თმაჩამოშლილი ქართველი ფიურერი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდა.

16-დან 21 ნოემბრამდე სომხეთში ქართული ლიტერატურის დღეები ჩატარდა. სომხებმა დიდ სიყვარულით მიგვიღეს. თითქმის მთელი სომხეთი მოვიარეთ. დღეში 3-4 გამოსვლა გვქონდა. დელეგაცია მაყვალამ შეადგინა.

ჩვენი დელეგაცია ასე გამოიყურებოდა: მაყვალა გონაშვილი, რევაზ მიშველაძე, დათო ტაკიძე, მზია ხეთაგური, ბადრი ქუთათელაძე, ბელა ქებურია, მარინე ცხვედიაშვილი და ვლადიმერ სარიშვილი.

გამოვედით ერევანში, გორისში, კაპანაში და სხვა ქალაქებში, თუ დაბებში.

განსაკუთრებით მოწონებით ლაპარაკობდნენ მასპინძლები ჩემს წიგნზე, რომლეიც სომხურად ჰრახჩია ბაირამიანმა თარგმნა.

მომანიჭეს დიდი სომეხი პროზაიკოსის აკსელ ბაკუნცის პრემია და გადმომცეს ოქროს მედალი.

ასევე ამირჩიეს ქალაქ გორისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

დახეთ, ბედის ირონიას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გამომაგდეს ხუბუამ და ლომაიამ და სომხეთმა საპატიო დოქტორად ამირჩია.

აქვე, რომ არ დამავიწყდეს, მოწვევა მივიღე. პეტერბურგის უნივერსიტეტიდან – მიწვევენ ქართველოლოგიური განყოფილების პროფესორად ორი წლის ვადით, რა თქმა უნდა, უარი უნდა ვთქვა, მწერალთა კავშირს და გაზეთს ვერ მივატოვებ.

25.XI. 2007 – 12.I. 2008

პრეზიდენტობისთვის ბრძოლის კომპანია გრძელდება.

სააკაშვილის ავტობუსებით დაჰყავს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დაქირავებული ამომრჩევლები, უკან დასდევს ტელევიზია და სამიოდე უნიჭო მომღერალი – ლექსსენი, ზუმბა, ლელა წურწუმია, ორიოდე უნიჭო მსახიობი – ზვიო ბლიაძე, ოთარ კობერიძე და გურამ საღარაძე... ო, ამგვარი ამალით დადის სააკაშვილი და საქართველოს თვალში ნაცარს აყრის – ხომ ხედავთ, როგორ ვუყვარვართ და როგორ მხვდებიანო.

სააკაშვილის გვერდით არ არის არც ერთი ცნობილი ნიჭიერი ინტელიგენტი.

14 დეკემბერს ხელოვნების მუშაკთა სახლში ილია ჭავჭავაძის დაბადების 170 და გარდაცვალების 100 წლისთავი აღვნიშნეთ.

მაყვალამ გახსნა. მოხსენებთი მე გამოვედი. სიტყვები წარმოსთქვეს ჯანსუღ ჩარკვიანმა, ზინა კვერენჩხილაძემ, ვაჟა ოთარაშვილმა, დავით ტაკიძემ, ელდინო საღარაძემ, ი. კინწურაშვილმა და სხვებმა.

მზისა ნავროზაშვილის მეუღლის პანაშვიდზე ბადრი ბიწაძე შემხვდა. იგი ნინო ბურჯანაძის ქმარია. მივედი და ვუთხარი – ბადრი, შენი ცოლი ახლა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელია, იქნებ უთხრა მწერალთა სასახლის შენობა დაგვიბრუნოს-მეთქი. ვეტყვიო, დამპირდა, მაგრამ წინასწარ ვიცი, სურვილის შემთხვევაშიც ვერ გააკეთებსო. შენ მართლა პრეზიდენტი ხომ არ გგონია ნინო, მიშას პრეზიდენტობის სადავეები ხელიდან ერთი წუთითაც არ გაუშვიაო.

ჯუბა ჯანდიერის ვაჟის ქორწილზე ვითამადე.

კარგი ხალხია ჯუბა და ზურიკო, ნიჭიერები, პატიოსნები.

23 დეკემბერს ხელოვნების მუშაკთა სახლში ოთარ ურუშაძის წიგნის პრეზენტაციას დავესწარი და სიტყვა ვთქვი.

სააკაშვილი წინასაარჩევნოდ თვალთმაქცურად კეთილია, მაგრამ მწერალთა სასახლის დაბრუნებაზე კრინტსაც არ სძრავს.

როგორც ჩანს, მწერლობა ჭირივით სძულს და თანაც სარაჯიშვილისეული სასახლე მისთვის მსუყე ლუკმაა.

მაყვალა და მე მივედით გიორგი არველაძესთან – ეკონომიკის მინისტრია. კატეგორიულად მოვთხოვეთ – მოეხსნა ალყა მწერალთა სახლისთვის და მწერლებისთვის გადმოეცა. ვერა და ვერ მოვულბეთ გული პატარა გათამამებულ ყმაწვილს, იმასაც კი არ შეგვპირდა, სააკაშვილს მოველაპარაკებიო, ჯერ არჩევნები დამთარვდეს და როგორ ხასიათზეც ვიქნებით, იმის მიხედვით გადავწყვეტ თქვენს საკითხსო.

ამასობაში ახალი წელიც მოვიდა.

გოგია უიშვილისებურად შეხვდა ახალ წელს გალახული, დამცირებული, შეურაცხყოფილი საქართველო.

საახალწლო ღარიბულ სუფრასთან ჩემს სახლში ახალ წელს ჩემი ცოლი ნათელა, შვილიშვილი შიო, სოსო ბუხაიძე და მე ვიჯექით.

1 იანვარს ჩემი დაბადების დღეს შავი დღისთვის შემონახული ორიოდე გროშით პატარა წვეულება გავმართე. 68 წლის შესრულება მომილოცეს სოსო სიგუამ, მურმან თავდიშვილმა, სერგო და გიორგი მელაძეებმა, ჩემმა დამ – ნათელამ და უმცროსმა ძმამ – ბორისმა.

არც რადიო-ტელევიზიას და არც რომელიმე გაზეთს არ გახსენებია ჩემი დაბადების დღე.

ასეც ველოდი.

მე ხომ ხელისუფლებისგან შერისხული რევაზ მიშველაძე ვარ.

გამიკვირდა, რომ არც ჩემი ყოფილი კათედრის წევრებს – გავახსენდი.

სწორედ იმათ, ვინც მე გამოვიგონე, ვისი მეცნიერ-ხელმძღვანელიც გახლდით, უნივერსიტეტიდან სააკაშვილ-ლომაია-ხუბუას მიერ გამოძევებული რევაზ მიშველაძე არ გავხსენებივარ.

ბედის ირონიაა, ისინი ხომ ფეხქვეშ მეგებოდნენ და არ იცოდნენ როგორ გამოეხატათ ჩემი სიყვარული.

ერთმანეთს ასწრებდნენ, რომ ჩემთან შემოერბინათ (ან დაერეკათ) და დაბადების დღე მოელოცათ.

ორი ჩემი მოწაფე – მგლისგან თამარ პაიჭაძისგან და რუსუდან ნიშნიანიძისგან (ერთგული „მიშისტები“) სასიკეთოს არას ველოდი, მაგრამ სხვებმა, ნუთუ სხვებს ასე ჩქარა დავავიწყდი?

ასეთი ყოფილა ცხოვრების ულმობელი კანონი.

მაგრამ მე? მე ხომ არ ვიყავი ასეთი უმადური ჩემი მასწავლებლების მიმართ – მე ხომ სიცოცხლის ბოლომდე გულში ვიხუტებდი ყველა მათგანს – გიორგი ნატრიაშვილს, სერგი ჭილაიას, აკაკი თოფურიას, შალვა რადიანს, ირაკლი აბაშიძეს და სხვებს.

საგანგებო წერილით ვეხმაურებოდი ხოლმე მათი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღებს.

26 დეკემბერს მოსკოვის უნივერსიტეტიდან დამირეკეს და შემმოთავაზეს პროფესორის თანამდებობა. ერთოთახიან ბინას მოგცემთ მოსკოვის ცენტრში და 600 ევროს ხელფასად. ვიცით, რომ ასეთი სახელოვანი მწერალი და მეცნიერი საქართველოში იდევნებით და გთხოვთ უარი არ გვითხრათო. დიდი მადლობა მოვახსენე, მაგრამ 68 წლის გახლავართ და გამიჭირდება თქვენს თავაზიან შემოთავაზებაზე დაყაბულება. ესეც არ იყოს, საქართველოს ამ პოლიტიკურად ცხელ დღეებში ვერ მივატოვებ-მეთქი.

მოგვიანებთი შევიტყვე, რომ მოსკოვში სამუშაო ადგილით ჩემს უზრუნველყოფაზე იზრუნა ჩემმა მეგობარმა, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მთავარმა რედაქტორმა, ჩემი წიგნების რუსულად მთარგმნელმა ალექსანდრე ებანოიძემ. საშა ამ სიკეთეს ისე აკეთებდა, რომ მე არ მიმხელდა. სურდა მეფიქრა, რომ ჩემი ცხოვრების მძიმე დღეებში მე სწორედ მოსკოვს გავახსენდი. ესაა ნამდვილი სიკეთე. ისევ შენიანი, შენი მეგობარი თუ გაგიხსენებს, თორემ ვის დაჰკარგვიხარ, „ვინ დაგეძებს... ვინ გეძახის“...

5 იანვარს საქართველომ ახალი პრეზიდენტი აირჩია, თბილისში თითქმის ყველა ოლქში ლევან გაჩეჩილაძემ გაიმარჯვა, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, სააკაშვილმა თვალწინ ააფცქვნა გამარჯვება გაჩეჩილაძეს.

თუმცა... იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ თბილისში არჩევნები პირწმინდად წააგო, სამაგიეროდ 100%-ით მოიგო მარნეულში, წალკაში და ახალქალაქში.

დიახ, თათრებს და სომხებს გადაუწყვეტიათ, ვინ იყოს საქართველოს პრეზიდენტი.

აი, რატომ ვწუხდი, რატომ ვყვიროდი მთელი სიცოცხლის განმავლობაში, არიქა, გამრავლების საქმეს მივხედოთ, თორემ სტუმარი ერები კურდღლებივით მრავლდებიან და მალე ჩვენ, ჩვენსავე ქვეყანაში უმცირესობა აღმოვჩნდებით-მეთქი.

არცერთმა ხელისუფლებამ ჩემს ყვირილზე ყურიც არ შეიბერტყა და აი, შედეგიც.

დღეს აზერბაიჯანში არ ცხოვრობს არც ერთი სომეხი, სომხეთში არ ცხოვრობს არც ერთი აზერბაიჯანელი, საქართველოში კი 400 000 სომეხი და 500 000 აზერბაიჯანელი ცხოვრობს. შეიძლება სამმილიონიან სახელმწიფოში მილიონამდე სტუმარი ერის წარმომადგენელი ცხოვრობდეს?

ღმერთმა დამიფაროს გადავუხვიო ტრადიციულ ქართულ ტოლერანტობას და სტუმართმოყვარეობას, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ქართულ ენას, „ვეფხისტყაოსანს“ და ვარძიას... ჩვენს ეროვნულ ატრიბუტებს ქართველივით სხვა ვერ მოუვლის?

მე ვამტკიცებ, რომ 49% უცხოტომელს, არაავტოქტონურ მოსახლეობას ვერ აიტანს საქართველო. თუ სომხეთი და აზერბაიჯანი ბოლო ოც წელინადში სუფთა ეთნიკურ, ეროვნულ სახელმწიფოებად იქცნენ, ჩვენ რა დავაშავეთ?

მისცეს ხმა არაქართველებმა იმ კაცს, ვინც ქართული ეროვნული ფენომენის დაუძინებელი მტერია, ვინც საბუთებიდან გააქრო ეროვნება „ქართველი“, ვინც წინააღმდეგ დიპლომატიის ელემენტარულ ნორმებისა საზღვარგარეთ, საერთაშორისო შეხვედრებზე ინგლისურად ჭიკჭიკებს, ვინც დაანგრია და იავარჰყო ყველა ეროვნული დაწესებულება – მწერალთა კავშირი, უნივერსიტეტი, აკადემია.

დიახ, უცხოტომელს ხელს არ აძლევს ეროვნული კულტურის დომინანტი საქართველოში.

ტელევიზია ყოველ წამს აცხადებს, რომ სააკაშვილმა მიიღო 53,21%, ხოლ ლევან გაჩეჩილაძემ 25,21%.

იმართება მიტინგები, პრესკონფერენციები... ოპოზიცია აფრიალებს გაყალბებულ ოქმებს, ამტკიცებს, რომ ბევრგან ხმა აქვთ მიცემული გარდაცვლილებს, ზოგი ოქმი პირდაპირაა ჩასწორებული. თუ სააკაშვილს ქობულეთში ერთ უბანში მიღებული აქვს 327 ხმა, თბილისში 327-სთვის წინ 1 მიუწერიათ და გამოვიდა 1327 ხმა. ასეთი მანიპულაციები განუცდია თითქმის ყველა ოქმს, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი.

საარჩენვო კომისიის თავმჯდომარე ლევან მღებრიშვილი, აშკარა თაღლითია, იგი სადისტური ღიმილით ხვდება გამწარებულ ოპოზიციონერებს და დაპატიმრებით ემუქრება.

ასე რომ, ჯერჯერობით ხსნა არსით არის. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და ევროსაბჭო, აგრეთვე საქეიფოდ ჩამოსული დამკვირვებლები „ამტკიცებენ“ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა და ოპოზიციამ ერთი ადგილის ქნევას თავი გაანებოსო.

მხოლოდ რუსეთმა არ ცნო საქართველოში ჩატარებული „პრეზიდენტის არჩევნები“.

ოპოზიცია ხმების ხელახლა დათვლას და მეორე ტურის გამართვას ითხოვს.

„გამარჯვებული“ სააკაშვილი ზეიმობს და ეიფორიაში მყოფი ოპოზიციას სამი თითის კომბინაციას უჩვენებს.

13 იანვარს რესპუბლიკის მოედანზე ოპოზიციის დიდი მიტინგია დანიშნული. ვნახოთ რა მოხდება, თბილისში თოვლია და საშინლად ჰყინავს.

13.I.2008-5.IV. 2008

21 იანვარს ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა და 26 იანვარს ქუთაისში დავკრძალეთ ჩემი საუკეთესო მეგობარი, უნივერსიტეტის პროფესორი სოსო ბუხაიძე.

ვერ გაუძლო სოსომ ლომაიას რეპრესიებს:

იგი ხომ უნივერსიტეტით ცოცხლობდა, უნივერსიტეტს შეჰხაროდა, მისთვის იღვწოდა.

სხვებთან ერთად გამოაძევეს რეფორმისტებმა.

სოსო კიდევ ერთი მსხვერპლია სააკაშვილის და ლომაიას ბინძური პოლიტიკის.

13 თებერვალს ლონდონში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ბადრი პატარკაციშვილი.

მაშინვე ვუკარნახე გაზეთ „ალიას“ მწერალთა კავშირის განცხადება:

„საქართველოს მწერალთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 13 თებერვალს საქართველო სხელისუფლების მიერ მისი პიროვნების წინააღმდეგ გაჩაღებული ცილისმწამებლური, უსამართლო, უმადური თავდასხმების შედეგად გარდაიცვალა ბადრი პატარკაციშვილი.

გამოვაქვეყნე სამი ბიბლიური ნოველა, მწერლებს ძალიან მოეწონათ.

მურმან ჯგუბურიამ მითხრა, მსგავსი არაფერი წამიკითხავსო. უსათუოდ ამ სამ ნოველაზე წერილი უნდა დავწეროვო.

წერილზე გამახსენდა; შალვა ამონაშვილმა გამოცსა წიგნი “ხიბლი რევაზ მიშველაძის ნოველებისა“, ძალიან მომეწონა, ეს, თუ არ ვცდები, ჩემს შემოქმედებაზე დაწერილი მეხუთე წიგნია. თუმცა... რა მნიშვნელობა აქვს...

დღეს ლიტერატურა აღარავის აინტერესებს.

მკითხველსა და მწერალს შორის მიხეილ სააკაშვილმა გულგრილობის კედელი აღმართა.

ალბათ, არასოდეს არცერთ მმართველს არ სძულებია ისე მშობლიური ხელოვნება, როგორც მიხეილ სააკაშვილს სძულს!

27 ებერვალს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მწერლები მიგვიწვია.

მწერლებს დიდი მისია გაქვთო, უნეტარესმა, თქვენ უნდა შეაღვიძოთ დაბნეული ერი და ჭეშმარიტებისკენ გზა უნდა უჩვენოთო.

მაყვალას შემდეგ მე ვთქვი სიტყვა. ვთხოვე, ეშუამდგომლა პრეზიდენტთან, რათა ჩვენთვის დაებრუნებინა წართმეული სასახლე.

კათალიკოსმა აღგითქვა, უსათუოდ მივწერო, „წმინდა გიორგის“ დადგმის იდეა შევახსენე, მოიწონა.

იმ დღესვე მივუტანე წერილის ტექსტი, რომ კათოლიკოსისთვის საქმე გამეადვილებინა.

29 თებერვალს გაუგზავნა, დღეს 10 მარტია, მაგრამ პრეზიდენტისგან ბაიბური არ ისმის.

მეორე მაგალითი: 4 მარტს გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ შიმშილობა დაიწყო ჟურნალისტმა გიორგი მამაცაშვილმა.

ექვსი დღე იშიმშილა გიორგიმ.

ყოველდღე მივდიოდი მასთან და თან ვამხნევებდი, თან ვურჩევდი შიმშილობა შეეწყვიტა.

უნდა იშიმშილო-მეთქი, შვილო, იმის წინ, ვისაც ცოტათი მაინც ეცოდები, ვისაც შენი სიკვდილი დაენანება-მეთქი.

გამართლდა ჩემი ვარაუდი.

„ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტ გიორგი მამაცაშვილთან სააკაშვილი კი არა ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ გამოჩენილა. მეშვიდე დღეს დასუსტებული, ჯანმრთელობაშერყეული გიორგი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

9 მარტს ოპოზიციამ პარლამენტის წინ შიმშილობა გამოაცხადა.

თავიდან ხუთნი შიმშილობდნენ: ძიძიგური, თორთლაძე, გუჯაბიძე, მოლაშვილი და დავითაშვილი, მერე სხვებიც შეემატნენ და მეორე დღეს მათი რიცხვი ოცდაათამდე ავიდა.

პარალელურად ნინო ბურჯანაძის კაბინეტთან „ახალი მემარჯვენეები“ დასხდნენ საშიმშილოდ.

10-ში 2 საათზე მივედი მოშიმშილეებთან, უკან არ დაიხიოთ, მალე მთელი საქართველო შემოგიერთდებათ-მეთქი.

ვნახოთ, რა მოხდება.

10 მარტის ნომერში „ასავალ-დასავალმა“ ჩემი ნოველა „იუდა“ გადაბეჭდა „მწერლის გაზეთიდან“.

7 მარტს სააკაშვილი მასწავლებლებს შეხვდა და მიწასთან გაასწორა ლომაიას განათლების რეფორმა.

არა და ამ რეფორმამ დაანგრია ქართული სკოლა და ქართული უნივერსიტეტი.

ლომაიას კი ჩვენი გაუბედურებისთვის პასუხს არავინ თხოვს. იგი მშვენივრადაა მოყუჩებული უშიშროების საბჭოს მდივნის თბილ ადგილზე.

ნუთუ იქამდე ვერ ვიცოცხლებ, რომ მთელი ეს დამნაშავეთა ბანდა გისოსებს მიღმა ვიხილო?

10 მარტს ანა კალანდაძე გარდაიცვალა.

დიდი პოეტი წავიდა ჩვენგან.

ღირსეული პატივი უნდა მივაგოთ.

მაგრამ რითი? რანაირად?

მაშინვე გავვარდი ეკონომიკის სამინისტროში.

4 საათი მალოდინა მოსაცდელში პატარა გოგომ – ეკა შარაშიძემ – ეკონომიკის მინისტრმა.

რას ითხოვსო, თავის თანაშემწეს დააბარა – ხათუნას.

რას ვითხოვდი? ნება დაგვრთოს ხელისუფლებამ ანა კალანდაძე მწერალთა სასახლის შენობიდან გამოვასვენოთ.

თანაშემწე მინისტრთან შებრუნდა, იცით, რა, ამ საკითხს მინისტრი ვერ გადაწყვეტსო.

ჩვენ ხომ მწერალთა კავშირის შენობის დაბრუნებას არ ვითხოვთ,

უბრალოდ მიცვალებულის იქედან გამოსვენების უფლება მოგვცეს-მეთქი.

ესაო, სააკაშვილმა უნდა გადაწყვიტოსო.

ჰკითხოს-მეთქი.

სააკაშვილი მობილურს არ პასუხობსო.

კაბინეტში არ შემიშვა თანაშემწემ.

გენაცვალე, გაზეთში განცხადება უნდა მივცე-მეთქი.

მითხარით ან თანხმობა ან უარი-მეთქი.

მხრებს იჩეჩავენ. ჩვენ პატარა ხალხი ვართო.

ხედავთ? რა ქვეყანაში ვცხოვრობთ?

გულგახეთქილმა დავრეკე საპატრიარქოში.

კათალიკოსს მოვახსენებთ, რომ ანა კალანდაძე გარდაიცვალა და პრეზიდენტი მწერალთა კავშირიდან გამოსვენების უფლებას არ გვაძლევს-მეთქი.

ნახევარ საათში დარეკეო.

ნახევარ საათში მიპასუხეს, კათალიკოსის გადაწყვეტილებით ანა კალანდაძეს სამების ტაძრიდან გამოასვენებენო.

შვებით ამოვისუნთქე.

შაბათს, 3 საათზე გამოვასვენეთ სამების ტაძრიდან ანა და დავკრძალეთ მთაწმინდის პანთეონში – 15 მარტს, 11 მარტს მოსამართლე ნათია ჯორბენაძემ ისევ გადადო მწერალთა სასახლის საკითხის განხილვა.

სამართლის კარზე მისულ 50 მწერალს წყალი გადაგვასხა – 8 აპრილს 1 საათზე მობრძანდითო.

როგორც ჩანს სააკაშვილი ჩვენთვის მწერალთა სასახლის დაბრუნებას არ აპირებს.

13 მარტს მწერალთა სასახლის წინ საპროტესტო აქცია გავმართეთ.

გამოვედით მაყვალა, მე და ვაჟა ოთარაშვილი.

3 საათზე პარლამენტის წინ გავაგრძელეთ მიტინგი და მოშიმშილეებს თანადომა გამოვუცხადეთ.

კარვებში შევედი და ვესაუბრე გია თორთლაძეს, გია ცაგარეიშვილს, კობა დავითაშვილს, ზვიად ძიძიგურს, ირაკლი მოლაშვილს...

ყურებჩამოყრილი არიან.

რა შანსი გავუშვით ხელიდან სააკაშვილის ჩამოგდებისო.

აწი, ხალხი ძნელად გვენდობაო.

ისევ თქვენი – მწერლების ავტორიტეტი თუ გადაგვარჩენსო.

4 აპრილს რუსთავში ჩავედით და მწერალთა რუსთავის ქვეგანყოფილების შენობის წინ ხელისუფლების საპროტესტო მიტინგი ჩავატარეთ.

გამოვედით მაყვალა, მე, დათო ტაკიძე, მარინე ცხვედიაშვილი, ვანო ცინცაძე, ზაურ გაბესკირია, ალექსანდერ თოდუა და სხვები. მიტინგის მიზეზი ის გახლდათ, რომ სააკაშვილის განკარგულებით ჩატარებული სპეცოპერაცია მარტო დედაქალაქში კი არა, პერიფერიებშიც ჩატარდა. 5 დღის შემდეგ რუსთავის მწერალთა სახლიდანაც გამოყარეს მწერლები.

აფიორა აღმოჩნდა ტელევიზიებში გაჟღერებული ხმა მწერლებს შენობებს ვუბრუნებთო. სანამ საქართველოში სააკაშვილის პოლიტიკური რეჟიმი მძვინვარებს, ჩვენი საშველი არ იქნება.

2 აპრილს საქართველოს და უკრაინას უარი უთხრა ნატომ მიღებაზე, პუტინი უკანალით კაკალს ამტვრევდა, ნატო თითს უქნევდა; თუ საქართველოს და უკრაინას ნატოში მიიღებთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჯარს შევიყვან და ევროპას გაზს შევუწყვეტო. შეშინდა ევროპა და კიდევ ერთხელ უარი გვითხრა. ერთხელ კიდევ გაგვყიდა.

სამების ტაძარში ანა კალანდაძის დასაფლავებაზე მე თვითონ გადავეცი პანაშვიდზე შემოსულ ნინო ბურჯანაძეს მწერალთა კავშირის თხოვნა შენობის დაბრუნების შესახებ, მაგრამ, როგორც ველოდით, პასუხის ღირსიც არ გაგვხადა.

სახალხო დამცველის შენობის (ეს შენობა – ბერიას სახლი, ყოფილი კომკავშირის ცკ-ს რეზიდენცია ზვიად გამსახურდიამ მწერალთა კავშირს გადასცა თავის დროზე) წინ ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი შიმშილობას განაგრძობდა. მივედი, ვინახულე, გავამხნევე, თავს ნუ შეაკლავ-მეთქი მალხაზ ამ ძალლთაპირებს, ხომ ხედავ, ესენი არავის ინდობენ-მეთქი, ნუ ელი-მეთქი ამათგან მისხალ კომპრომისს და შეწყალებას.

6.IV.2008 – 3.VI. 2008

11 აპრილს პანტომიმის თეატრის მთავარმა რეჟისორმა ამირან შალიკაშვილმა დამირეკა, შუადღისას საპატრიარქოდან სტუმრები გვეყოლება და თეატრში შემოიარეო.

მივედი, ამირანი ჩემი პიესის მიხედვით ამზადებს სპექტაკლს – „წმინდა გიორგი“. რეპეტიციას სამჯერ დავესწარი.

ჩემი აზრით, ბრწყინვალე სპექტაკლი გამოვა. თეატრს გადაწყვეტილი აქვს პრემიერა მაისში ითამაშოს მარჯანიშვილის თეატრში.

სამნი მოვიდნენ, ანაფორიანი მღვდელი მამა დავითად გაგვეცნო. ორნი სამოქალაქო ტანსაცმელში, ახალგაზრდები იყვნენ.

მამა დავითმა დაიწყო. ჩვენამდე ხმამ მოაღწია, რომ თქვენ წმინდა გიორგიზე სპექტაკლს დგამთო. უნდა გითხრათ, რომ ეკლესია საერთოდ უარყოფს თეატრს, ხოლო წმინდანებზე სპექტაკლის დადგმა პირდაპირ მკრეხელობაა. ახლავე ხელი აიღეთ ამ განზრახვაზე და შეწყვიტეთ რეპეტიციები თორემო...

თორემ რა-მეთქი...

რა და თუ თქვენსას არ დაიშლით, იცოდეთ პრემიერის დღეს თეატრთან მრევლს მოვიყვანთ და სპექტაკლს ჩაგიშლითო.

სიბრაზისგან თითები გამეყინა.

თქვენ ინკვიზიცია ხართ, საპატრიარქოს კგბ, თუ ახალი მოდის ცენზურა-მეთქი? ვერ მოვითმინე, როგორც გინდათ ისე იფიქრეთო და წასვლა დააპირეს.

ახლა ჩვენი პოზიცია მოისმინეთ:

თქვენ, როგორც ჩანს, ისე დაყრუვდით და დაბრმავდით, რომ არ გინახავთ ქრისტეზე გადაღებული ბრწყინვალე ფილმები... არც მოსე წინასწარმეტყველზე. ჯერ დაესწარით რეპეტიციას და თუ რასმე მკრეხელურს იპოვით, მერე ვილაპარაკოთ-მეთქი. როგორ გეკადრებათო, ჩვენ თეატრში არ დავდივართო. მე ერთადერთხელ 4 წლისა წამიყვანეს თეატრში და მერე ახლოსაც არ გავკარებივარო.

გაიხურეს კარი და წავიდნენ. მაშინვე დავურეკე საპატრიარქოში მამა გიორგი ზვიადაძეს. ასე იყვნენ თქვენგან და ასეთი დიალოგი გვქონდა-მეთქი.

მამა დავითს ვიცნობ, მაგრამ ესენი ჩვენ – საპატრიარქოს არ გამოგვიგზავნია, როგორც ჩანს, თავიანთი ინიციატივით მოვიდნენო.

არ შეწყვიტოთ რეპეტიციები, და პრემიერაზე შევეცდები თვით პატრიარქი მოვიყვანოო.

მამა დავითის „საიდუმლო სტუმრობაზე“ მაშინვე გამოვაქვეყნე წერილი „ასავალ-დასავალში“.

აწრიალდნენ „ბნელეთის მოციქულები“.

ესაო, პატრიარქის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯიაო. პირიქით, მე უწმინდესის მხარეზე ვარ, თქვენ კი, თქვენი არამკითხე მოამბეობით მას სახელს უტეხთ-მეთქი.

ვნახოთ, რა იქნება პრემიერაზე. ჯერჯერობით რეპეტიციები გრძელდება.

სხვადასხვა ოპოზიციურმა პარტიამ და მოძრაობამ მთხოვა მათი სიით მეყარა კენჭი პარლამენტში, მაგრამ ყველას მადლობით უარი ვუთხარი.

ჯერ ერთი, არც ერთი პარტიის წევრი არა ვარ და მეორეც, უკვე 68 წლის ვხდები და რაღა დროს ჩემი დეპუტატობაა-მეთქი.

ბოლოს მაინც დამითანხმა შალვა ნათელაშვილმა.

შალვას პარტია („ლეიბორისტები“) მართლაც რომ ეროვნული პარტიაა. ესეც არ იყოს, შალვა ქვეყნისთვის თავდადებული, შეურცხვენელი კაცია, სუფთა, ღარიბი პარტიაა ლეიბორისტული პარტია, „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“ ბევრი შეცდომა დაუშვა, ლეიბორისტები მტკიცედ ადგანან თავის გზას, ამიტომაც გამიწია გულმა მათკენ.

გაზეთებიდან შევიტყვე რომ სიით მე-15 ვარ და თბილისის ჩუღურეთის რაიონში ვიყრი კენჭს მაჟორიტარად.

გუშინ, 25 აპრილს, შევხვდი შალვა ნათელაშვილს.

გულის უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ მხნედ, იმედიანად გამოიყურება.

რომ იტყვიან, ბრძოლისთვის მზად არის.

ვნახოთ რას მოგვიტანს ეს განწირულის სულისკვეთება.

მე გამარჯვების იმედი არა მაქვს.

შალვა უფრო ოპტიმისტურადაა.

დიდხანს ვისაუბრეთ.

ნააღდგომევს დავიწყებ შეხვედრებს ჩუღურეთში, ასე ვთქვათ, წინასაარჩევნო კამპანიას.

ხალხს დავპირდები, რომ სააკაშვილის მიერ გაუქმებულ ეროვნებას დავაბრუნებ საბუთებში, პირქვედამხობილ აკადემია-უნივერსიტეტებს და საერთოდ ლომაიას საშინელი რეფორმით გაუქმებულ განათლების სისტემას ავაღორძინებ.

მივხედავ შემოქმედებით კავშირებს, სამუშაო პირობებს შევუქმნი ჟურნალისტიკას.

რაც შეეხება ეკონომიკას და წართმეული ტერიტორიების დაბრუნებას, თავს არ დავზოგავ, რომ ქართველი შიმშილით სიკვდილისგან ვიხსნა და წართმეული ტერიტორიები დავიბრუნო.

მარჯანიშვილის თეატრში ჩემი „წმინდა გიორგი“ 13-14 მაისშია დაგეგმილი.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

3 მაისს საპატრიარქოში დაგვიბარეს მე და ამირანი.

ჩემდა გასაოცრად მთავარ დამბარებელს მეუფე თეოდორეს გვერდით მამა გიორგი ზვიადაძე იჯდა.

მამა დავითის ფრაზები მენიშნა წმინდა მამათა სიტყვებში.

გთხოვთ, ყურად იღოთ ჩვენი შეგონება და ამოიღოთ გულიდან წმინდა გიორგიზე სპექტაკლის შექმნის განზრახვაო, გვირჩიეს.

ბოლოს სიტყვის მასალად დასძინეს:

ჩვენ, რასაკვირველია, სპექტაკლს არ ავკრძალავთ, ჩვენ მხოლოდ გირჩევთო.

ამ უკანასკნელ ფრაზას ჩავებღაუჭეთ და რეპეტიციები ცოცხალმკვდრებმა გავაგრძელეთ.

უნდა გენახათ 8 მაისს ჩვენი გაოცება, როცა „რუსთავი 2“-ის ეკრანზე გამოჩნდა ძვირფასი მამა გიორგი, რომელმაც საქვეყნოდ განაცხადა:

საერთოდ წმინდანებზე სპექტაკლის შექმნას სჯულის კანონი და საეკლესიო ტრადიცია კრძალავს. როგორ შეიძლება ცოდვილმა მსახიობებმა წმინდანის როლი შეასრულოსო.

ღმერთო შეგცოდე!

მამა გიორგი, მაშ ანათემას გადავცეთ ყველა მსახიობი ვინც კინოში ქრისტე და მარიამ ღვთისმშობელი განასახიერა?

ავკრძალოთ ფილმები და სპექტაკლები ქეთევან წამებულზე, დავით აღმაშენებელზე, თამარ მეფეზე, ილია მართალზე?

სად, რომელ საღვთო სჯულში წერია ასეთი რამ?

შენ იცი და მე არ ვიცი ეს ამბავი მამაო გიორგი? მე, რომელმაც ოთხივე სახარება თითქმის ზეპირად ვიცი?

ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ წმინდა გიორგიზე რომ სპექტაკლის დადგმა არ შეიძლება, როდის გაიგე ეს ამბავი, მამაო?

რატომ არ მითხარი შარშან სასულიერო აკადემიაში ეს განზრახვა რომ გაგანდე, ან რატომ არ გაგვიმხილე მაშინ, როცა მე და ამირანმა წმინდა გიორგის სცენარი მოგართვით?

დამერმწუნე, მიუხედავად იმისა, რომ გული სამუდამოდ მატკინე, ახლაც დიდ პატივს გცემ, მამაო გიორგი, როგორც ღრმადმორწმუნეს, კეთილშობილ კაცს და ჩემი კარგი სტუდენტის მამას.

ეგ არის, ვერ ამიხსნია შენი საქციელი.

მაშინ, როცა ჩვენს განზრახვას „წმინდა გიორგიზე“ კურთხევას აძლევს თვით პატრიარქი, რას მივაწერო თქვენი თავგანწირული კვეთება ქართული თეატრის ისტორიას ლაქად შერჩეს თქვენი გაუაზრებელი ნაბიჯი?

ვერ დავიჯერებ, რომ იმ დღეს ტელევიზორის ეკრანიდან შენ, მამაო გიორგი, შენს სათქმელს ამბობდი, შენს გულისთქმას გამოხატავდი.

ხომ არ გაცდუნეს ბნელმა ძალებმა, მამაო გიორგი?

ხომ არ იჩინა თავი ამ საქციელში იმ თითო-ოროლა მედავითნის ახირებამ, ჩადგნენ საპატრიარქოსა და ქართულ თეატრს შორის?

იქნებ იმ ძალების გამოა, რომ დღემდე ზვიად გამსახურდიას მოძღვარს, ჭირგამოვლილ მამა ამბროსის სალოცავად ერთი საყდარიც არ აღირსეს და დიაკვანი მამა ელიოზი (მწერალი მერაბ ელიოზიშვილი) მღვდლად არა და არ აკურთხეს?

14 მაისს პანტომიმის თეატრში „წმინდა გიორგის“ დახურული ჩვენება გაიმართა.

რაკილა 13-14 მაისს დანიშნული პრემიერა საპატრიარქოს საიდუმლო, ხელმოუწერელი წერილით მოიხსნა მე და ამირანმა გადავწყვიტეთ დახურული ჩვენება გაგვემართა.

როგორც ჩანს, საპატრიარქოდან მამა გიორგი ზვიადაძემ იაქტიურა. მან ტელევიზიითაც განაცხადა, რომ წმინდანებზე ფილმის ან სპექტაკლის დადგმა სჯულის კანონის და საეკლესიო ტრადიციის თანახმად მიზანშეუწონელია.

გონების სიბეცე უფრო შორს ვერ წავა.

სპექტაკლს დაესწრნენ გიგა ლორთქიფანიძე, მისი მეუღლე ქეთევანი, სანდრო მრევლიშვილი, ვახტანგ დავითაია, მაყვალა გონაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, შალვა დავითაშვილი, სოსო სიგუა, დავით კობახიძე, თამაზ ანთაძე, გოგი ჩლაიძე და სხვები.

სპექტაკლ „წმინდა გიორგით“ ყველა აღფრთოვანებული დარჩა.

მართლაც ბრწყინვალე წარმოდგენაა. შევთავაზეთ რეჟისორებს და მწერლებს, პატრიარქთან მივიდეთ და სპექტაკლის გარჩევის ნებართვა, ეკლესიურად კურთხევა ვთხოვოთ-მეთქი.

ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, გიგამ უკან დაიხია და მერე სხვებიც აჰყვნენ.

შეიძლება პატრიარქი შეშინდესო, გიგამ, საპატრიარქოში არსებობს საიდუმლო სამღვდელო სამსახური, რომელსაც პატრიარქიც ემორჩილებაო. რაკი იმ „სამსახურმა“ ეს სპექტაკლი (უნახავად! ღმერთო ჩემო!) მკრეხელურად მონათლა, უმჯობესია სახელი შევუცვალოთ და ერთი თვის მერე ახლა სხვა სპექტაკლად წარმოვაჩინოთო.

მერედა სად არის ღმერთი?

ესაა გამოსავალი?

რა უფლება აქვს ეკლესიის ბნელ ძალებს ხელოვნებაში ჩარევის?

მთელი ღამე არ მეძინა. თეატრის მცირე, ტრადიციულ ტრაპეზზეც არ დავრჩი.

ერთადერთი მე ვიყავი, პრემიერის გადადების წინააღმდეგი.

რატომღაც მჯეროდა, რომ კათოლიკოსი გაგვიგებდა.

თუმცა... მარტო ხომ ვერ მივალ, ან ვინ მიმიშვებს.

გზას გადამიკეტავენ.

ხომ იციან, რაზე უნდა მივიდე.

ძლივს „მთავლიტი“ მოვიშორეთ და თურმე მისი ადგილი საეკლესიო საიდუმლო „პოლიციამ“ დაიკავა.

ეს ქართული ეკლესიის ისტორიის სამარცხვინო თარიღია – 13, 14 მაისი.

21 მაისის არჩევნები სააკაშვილმა, როგორც მოველოდი, გააყალბა.

თანაც გაყალბებაც არის და გაყალბებაც; თუ 5 იანვარს თბილისში ყველა რაიონში წააგო არჩევნები, ახლა 21 მაისს ყველა რაიონში (ვაკის გარდა) მოიგო. ეს იყო გაყალბების „ზეიმი“.

რამდენჯერმე გამოვედი ტელევიზიით როგორც დეპუტატობის კანდიდატი ლეიბორისტული პარტიიდან და ვამხილე საარჩევნო კომისია, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი.

სააკაშვილს ამერიკა უჭერს მხარს და ორივენი საქართველოს ფეხქვეშ თელავენ.

მართალია, ნინო ბურჯანაძე ნაციონალისტებს გაეცალა (კენჭისყრაზე უარი თქვა), მაგრამ ოპოზიციაში ჯერ არ გადმოსულა.

ლეიბორისტულმა პარტიამ სასწაულებრივად გადალახა 5%-იანი ბარიერი – 7,5% აიღო, მაგრამ მე პარლამენტს გარეთ დავრჩი. 10% რომ აეღო მოვხვდებოდი, რადგანაც ლეიბორისტთა სიაში მე-14 ნომერი გახლდით.

ოპოზიციამ საერთოდ უარი თქვა პარლამენტში შესვლაზე.

150 ადგილიდან ოპოზიციას მხოლოდ 29 ადგილი დაუტოვეს.

კვლავ ერთპარტიული პარლამენტი მივიღეთ.

ოპოზიცია 10 ივნისს გრანდიოზული მიტინგის გამართვას აპირებს და პარლამენტის პიკეტირებას.

ვნახოთ, რა გამოვა.

სხვა გზა აღარ დარჩა.

როგორც თვითონ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება პარლამენტში შევარდნით, ისე უნდა წაართვა.

10-ში სამწუხაროდ, თბილისში არ ვიქნები, საბერძნეთში მივდივარ მწერალთა მსოფლიო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად.

2 ივნისს გარდაიცვალა მარი აბრამიშვილი. შესანიშნავი პოეტი, ეროვნული მოძრაობის მონაწილე, ნაციმბირალ-ნაგულაგარი. ოთხმოცსგადაშორებული იყო, მაგრამ მხნე და მებრძოლი.

2 ივნისს პანტომიმის თეატრში „წმინდა გიორგის“ პრემიერა გავმართეთ.

პრემიერა გაუხმაურებლად, უტელევიზიოდ ჩავატარეთ, რადგანაც გვეშინოდა მამა გიორგი ზვიადაძეს და საპატრიარქოს რაზმს თეატრი არ დაერბია.

სპექტაკლმა არნახული წარმატებით ჩაიარა.

ხანგრძლივი ტაშის მერე მაყურებლის წინაშე აღფრთოვანების სიტყვები წარმოსთქვეს ჯანსუღ ჩარკვიანმა, მამა ბასილ კობახიძემ, გურამ გოგიაშვილმა, რეზო ესაძემ, ალიკო ასლანიშვილმა, დათო ტაკიძემ, ნომადი ბართაიამ, ნელი გურგენიძემ, შალვა დავითაშვილმა, ვაჟა აზარაშვილმა, ჯუმბერ ჯანდიერმა, იგორ კვესელავამ და ქალაქის მერიის კულტურისა და სოცუზრნუველყოფის სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ.

მე მგონი ამის შემდეგ სპექტაკლს მწვანე გზა ექნება.

საქმე ისაა, რომ პატრიარქს მე და ამირან შალიკაშვილმა ერთად მივუტანეთ ლიბრეტო. მოიწონა და კურთხევა მოგვცა. „ბნელმა ძალებმა“ ისარგებლეს, მიუტანეს წერილი სპექტაკლის აკრძალვაზე და ხელი მოაწერინეს.

ეს უპრეცენდენტო შემთხვევაა ქართული თეატრის ისტორიაში, თუმცა... მე საერთოდ რისთვის მიმიღწევია იოლად. ასეთი ბედი მაქვს...

4.VI.2008 – 6.VIII.2008

5 ივნისიდან 19 ივნისამდე საბერძნეთში ვიყავი.

როდოსში ევროპის მწერალთა ასამბლეაზე სიტყვით გამოვედი. ვილაპარაკე იმაზე, რომ დღეს მთელ მსოფლიოში შემცირდა წიგნის მკითხველი, რომ საქართველო ტრადიციულად ლიტერატურის ქვეყანაა. რომ საქართველო რუსთაველის სამშობლოა და ამ დარბაზში მყოფ ევროპის სახელგანთქმულ მწერალთა უმეტესობას „ვეფხისტყაოსანი“ წაკითხული არა გაქვთ. მაშინ, როცა გაჭირვებული ქართველი მწერლები მსოფლიო ლიტერატურას ფეხს ვაყოლებთ და ჩვენი მთარგმნელები თითქმის ყველაფერს ღირებულს თარგმნიან უცხოურიდან – რატომღაც ევროპის და ამერიკის ქვეყნებში თანამედროვე ქართულ მწერლობას „არ სწყალობენ“. შეიძლება მე ნაკლებად მქონდეს საწუწუნო; ჩემი ნოველები მსოფლიოს 14 ენაზეა ცალკე წიგნებად გამოცემული, მაგრამ რა დააშავა თანამედროვე ნიჭიერმა პოეტმა ან რომანისტმა „საკუთარ ქონში რომ იხრაკება საკუთარ ტაფაზე“ და ევროპაში ვერა და ვერ გააღწია-მეთქი. ესეც არ იყოს, ევროპა გვიცქერის როგორც ღარიბ ნათესავს და ხმას არ იღებს, მაშინ როცა დამპყრობელმა რუსმა აფხაზეთში ჯარი შეიყვანა, არც მაპის მოცემაზე (ნატოში მიღება) შეიწუხა ევროპამ თავი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პატარა საქართველოს ბედი ევროპას ტრადიციულად არ ანაღვლებს-მეთქი.

რატომ ტრადიციულადო, ვიღაცამ გვითხრა, იმიტომ, რომ 1921 წელსაც ასე შეგვაქციეთ ზურგი და რუსეთის წითელი ვეშაპის პირისპირ მარტო დაგვტოვეთ-მეთქი.

მომეჩვენა, რომ დარბაზში აქა-იქ ზოგმა ევროპელმა „გენიოსმა“ თავი ჩაღუნა. თავის ჩაღუნვა თანაგრძნობად მივიჩნიე და გავაგრძელე. რატომ არ იღებთ ხმას იმ ვანდალურ ფაქტზე, რომ 2007 წლის 21 აგვისტოს ღამის 4 საათზე მწერალთა სასახლე დაარბიეს და მწერლებს დღეს თბილისში თავშესაფარი არ გაგვაჩნია-მეთქი.

„რა საშინელებაა“-ო, „ეს როგორ გაბედესო“, ამიოხრეს და მორიგ გამომსვლელამდე არ მიჰყოლიათ ჩემი გასაჭირი. ესაა ევროპა. 15 ივნისს როდოსიდან ათენში ჩამოვფრინდი. ქართული კულტურის ცენტრში მე და მაყვალას დიდი შეხვედრა მოგვიწყვეს. შეხვედრის ორგანიზატორი იყო ცენტრის ხელმძღვანელი, ცნობილი მეცნიერი და დიპლომატი ავთანდილ მიქაბერიძე. საერთოდ ა. მიქაბერიძე უაღრესად განათლებული კაცია, ჭეშმარიტი მამულიშვილი, მან ერთ მუშტად შეჰკრა საბერძნეთში სამუშაოდ ჩასული ქართველობა. რაც ავთომ გააკეთა, სამაგალითოა. შექმნა ქართული საკვირაო სკოლა, ქართული ინსტიტუტი, უფასო სამედიცინო მომსახურება და ეს ყველაფერი საკუთარი სახსრებით თავის სამეცნიერო შრომებში აღებული ორიოდე გროშით, ცრემლმორეული ლაპარაკობდა იმაზე, რომ რუსთაველის სამშობლოში დღეს ქართველი მწერალი და მეცნიერი იდევნება. ათენში ყოფნის 3 დღის განმავლობაში ნაბიჯზე არ მოგვშორებია. ბოლო დღეს პადაგრა (ჩემი მოურჩენელი, ერთგული ავადმყოფობა) გამირთულდა და

ძლივს დავაბიჯებდი,მაგრამ ავთოსთვის არ მიგრძნობინებია, პართენონზე აუტანელი ტკივილით ავედი. აკროპოლზე ადრეც ვყოფილვარ, მაგრამ ავთოს ვუთხარი, პირველად ვარ-მეთქი და ისიც წარმოუდგენელი სიხალისით მიხსნიდა მსოფლიოს მე-8 საოცრების სიდიადეს. გამომშვიდობებისას აეროპორტში გამომაცილა და მისი ცენტრის მიერ გამოცემული ბრწყინვალე წიგნები მაჩუქა.

19 ივნისს დავბრუნდი თბილისში, „ოპოზიცია“ თითქმის ჩამკვდარი დამხვდა.

პარლამენტის პიკეტირებას 10-ში რომ აპირებდნენ, დაუსწრიათ და 7-ში დილის 7 საათზე ჩაუტარებიათ პარლამენტის პირველი სხდომა. ნაციონალ-პარლამენტარები საიდუმლო ხვრელით შეუყვანიათ პარლამენტის შენობაში.

ოპოზიციამ დილით რომ გაიღვიძა, ტელევიზიით უკვე პარლამენტის სხდომას გადმოსცემდნენ.

ამ გარემოებამ ოპოზიციის ნგრევა გამოიწვია.

გ. თორთლაძემ, გ. ცაგარეიშვილმა და ჯონდი ბაღათურიამ პარლამენტში შესვლა გადაწყვიტეს. ასევე, როგორც მოველოდი, გია თარგამაძის პარტიამ პარლამენტში დურთა თავი.

15-მა პარლამენტარმა (გამყრელიძემ, ნათელაშვილმა, გაჩეჩილაძემ, ბესელიამ...) უარი თქვეს პარლამენტარობაზე და დახიეს მანდატები, მაგრამ სააკაშვილს ამაზე დიდად არ უნაღვლია. მას უკვე ჰყავს პარლამენტში თავისი „ცხვარი ოპოზიცია“, რაც იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილის პარლამენტი ერთპარტიული აღარ არის.

საშინელ ხასიათზე ვარ.

ახლა ოპოზიციონერი მამლაყინწები ქართველ ერს ადებენ ბრალს, - ზოგმა ფული აიღო და სააკაშვილს მიეყიდაო. ერი არაფერ შუაშია. თვითონ აღმოჩნდნენ „ბელადები“ მშიშრები და უნიათონი.

3 ივლისს პანტომიმის თეატრში ოფიციალურად გაიმართა „წმინდა გიორგის“ პრემიერა. სპექტაკლს ამჯერადაც ზღვა მაყურებელი ჰყავდა. მობრძანდნენ ედუარდ შევარდნაძე, როინ მეტერველი, პროფესორი ოთარ ჟორდანია, პროფესორი მედეა როგავა და სხვები. პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა – ეს მსოფლიო მნიშვნელობის სპექტაკლია და მთელმა მსოფლიომ უნდა ნახოსო.

სპექტაკლის დაწყებამდე ქუჩაში იდგა ოთხიოდე ბნელეთის მოციქული ტრანსპარანტით ხელში „არ შეხვიდეთ, ამ წარმოდგენის ნახვა ცოდვად ჩაგეთვლებათ“. საპატრიარქოს ერთი ნანილის ამ ნაბიჯმა სიხარული გამინახევრა. ვერ გამიგია, რა ხდება, ხმას რატომ არ იღებს პატრიარქი. ნუთუ თვითონაც ამ აზრისაა. ჩემი მეგობარი, მხცოვანი რეჟისორი რეზო ჩხეიძე შეშინდა და სპექტაკლზე არ მოვიდა. ვაი თუ პატრიარქს ჩემი მისვლა ეწყინოსო.

7.VIII – 12. IX. 2008

7 აგვისტოს ცხინვალი რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო.

ეს არის რუსეთთან მეორე ომი ბოლო თხუთმეტი წლის განმალვობაში.

ბევრს ტრაბახობდა სააკაშვილი რუსეთის პროვოკაციაზე არ წამოვეგებიო, მაგრამ მაინც წამოეგო.

იმდენი უჩხიკინეს კოკოითმა და კომპანიამ, რომ ჩვენი პრეზიდენტი საბოლოოდ გააბრაზეს.

ომის დაწყების მეორე დღესვე მივეცი ინტერვიუ „ასავალ-დასავალის“ კორესპონდენტს და ვარაუდი გამოვთქვი; როგორც ვხედავ, ყველაფერი ამ ომში 1993 წლის სცენარით მიდის და თუ გაერომ მე-7 პუნქტი არ აამუშავა (მშვიდობის ძალით დამყარება) ან ამერიკის ინიციატივით ევროკაშვირმა და ნატომ დაუყოვნებლივ საერთაშორისო ცისფერჩაფხუტიანები არ გამოგზავნეს, საქართველო სასტიკად დამარცხდება და ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგება-მეთქი.

„ევროპაში ყველაზე ძლიერმა და ყველაზე კარგად შეიარაღებულმა“ (როგორც სააკაშვილი ტრაბახობდა) ქართულმა ჯარმა ერთ დღეში ცხინვალი აიღო და ჯავისკენ გაიწია, მაგრამ რად გინდა, მეორე დღეს როკის გვირაბიდან რუსეთმა 2000 ტანკი შემოიყვანა და ჩვენმა „მამაცმა მეომრებმა“ (აქ შეიძლება კაცი მოვკდესო), სააკაშვილისვე ბრძანებით მიატოვეს საომარი ტექნიკა, ავტომატები... და ფაცხაფუცხით გამოიქცნენ. ასე რომ, ამერიკელების გაწვრთნილ ჩვენს ჯარს საბრძოლო მზადყოფნა მხოლოდ ორი დღე ეყო. სააკაშვილის ტელევიზია რომ გაჰყვიროდა ცხინვალს ვაკონტროლებთო, მაშინ ჩვენი ჯარისკაცები უკვე შინ იყვნენ ფარდებდაშვებულ ბინა-ქოხებში ტელევიზორს შეჰყურებდნენ. ე მანდ არსად გამოგვაჩინონ, როგორ მოვძუნძულებთ გორისკენო.

რუსი აფხაზეთ-სამაჩაბლოს წართმევით (როგორც 1993 წელს) ამჯერად არ დაკმაყოფილდა. ჯერ იყო და გორამდე შემოსდია ქართულ ჯარს, მერე მეორე ფრონტი გაგვიხსნა აფხაზეთში და კოდორის ხეობა დაიკავა („დაუმორჩილებელი“ „ამაყი“ სვანები ერთმანეთს ისე ასწრებდნენ კოდორის ხეობიდან, რომ ერთი თოფიც არ გაუსვრიათ) ბოლოს კი, რაკი საბოლოოდ დარმწუნდა, რომ აზრი ქართული ჯარის სიძლიერის შესახებ მტკნარი სიცრუე და მითი იყო, რუსმა აგრესორმა მთელი საქართველოს დაპყრობა გადაწყვიტა.

დაიძრნენ რუსის ტანკები ერთდროულად საქართველოს ყველა სოფლისა და ქალაქისაკენ. რუსული ავიაცია ბომბავს სრულიად საქართველოს და პირველ რიგში ჩვენს სანაქებო სამხედრო ბაზებს.

ააფეთქეს ყველა სამხედრო კატარღა, ყველა აეროპორტი (გარდა თბილისის აეროპორტისა) თავის თვითმფრინავებიანად.

სადაა ჩვენი ძმა ამერიკა? რატომ არ გადაგვაფარა თავისი მფარველი კალთა.

ბუშმა და მისმა შოკოლადისფერმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განცხადებით კი განაცხადეს, რაც ხდება, აღმაშფოთებელია, და დროა, რუსეთმა შეწყვიტოს აგრესიაო, მაგრამ რუსეთის ფიურერმა პუტინმა ამერიკის პირველი პირების ნათქვამი ერთ ადგილზე დაიკიდა.

მთელი საქართველო ცეცხლში იწვის, რუსული ვერტმფრენები ტყეებს ცეცხლს უჩენენ.

განმკითხავი არავინ არის.

ბოლოს საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ იმარჯვა, ჩაფრინდა მოსკოვში და რუსეთის პრეზიდენტ მედვედევს ცეცხლის შეწყვეტაზე ხელი

მოაწერინა. მერე თბილისში ჩამოფრინდა და ახლა სააკაშვილს მოაწერინა ხელი.

თითქოსდა ყველაფერი შეთანხმებულია, მაგრამ რუსის ჯარი არ გადის საქართველოდან.

ისევ გრძელდება მკვლელობები, ძარცვა, გაუპატიურება...

თბილისი გაივსო ლტოლვილებით.

ვინც გამოასწრო შიდა ქართლიდან (150 000-მდე ქართველი) თბილისში ცხელ ასფალტზე ათევს ღამეს...

ვინც ვერა, სახლები გადაუწვეს და იქვე ჩახოცეს.

ამბობენ რომ მკვდრებითაა მოფენილი შიდა ქართლიო.

მწერლებმა რაც შეგვეძლო (შინ რაც გვებადა: ჩასაცმელი, დასახურავი, საკვები, ლეიბ-საბანი), შევაგროვეთ და 18 აგვისტოს მივუტანეთ ლტოლვილებს, უნდა გენახათ რა ზედახორა გაიმართა. მეხუთე დღეა აქ ვყრივართ და ჩვენთვის არავის სცალიაო.

დამწვა მათმა საცოდაობამ.

მთელი ღამე ვერ დავიძინე.

19 აგვისტოს მწერლებმა პრესკონფერენცია გავმართეთ. გამოვედით ჯანსუღ ჩარკვიანი, მე, მაყვალა გონაშვილი, ვაჟა ოთარაშვილი და გურამ გოგიაშვილი.

„რუსთავი 2“-მა პაწაწკინტელა სიუჟეტი გადასცა.

12 აგვისტოს სააკაშვილმა თავისი მომხრეების სამარცხვინო მიტინგი გამართა რუსთაველზე.

ინტელიგენციის არც ერთი გონიერი წარმომადგენელი იქ არ მისულა. ორად-ორი არტისტი გურამ საღარაძე და ოთარ კობერიძე ყელყელაობდნენ.

რუსეთმა, როგორც მოსალოდნელი იყო, არ შეასრულა მსოფლიოს თვალწინ დადებული ხელშეკრულება ომის შეწყვეტისა და საქართველოდან ჯარის გაყვანის შესახებ.

ამერიკამ და ნატომ შავი ზღვის ევპატორიაში (ვითომდა ჰუმანიტარული ტვირთი გამოგვაქვსო) 3 სამხედრო ხომალდი შემოიყვანეს, მაგრამ რუსი მიანც ვერ შეაშინეს.

რუსებმა ტანკები მოსაჩვენებლად გაიყვანეს გორიდან და მთავარი სამანქანო მაგისტრალი გაათავისუფლეს, მაგრამ მძიმე ტექნიკა და არტილერია ტყეებში გადამალეს და ისევ აქ არიან. თითქმის ყველა სოფელში დგას 2 ტანკი და რამდენიმე ჯავშნიანი მანქანა.

რუსებს დაკავებული აქვთ საქართველოს ყველა სამხედრო ბაზა, ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფოთის ნავსადგური და ა.შ.

რუსმა, ჩანს, ისე მაგრად ჩაგვასო ბრჭყალები, რომ ადრე და მალე არ მოგვეშვება.

25 აგვისტოს რუსეთის დუმამ ყველასთვის მოულოდნელად სცნო აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა.

მეორე დღესვე, 26 აგვისტოს მედვედევმა ხელი მოაწერა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დადგენილებას.

მაშ ასე, აფხაზეთი და სამაჩაბლო სამუდამოდ ჩამოგვაჭრა რუსეთმა.

ჩვენი ტელევიზია გაჰყვირის მსოფლიო რუსეთს ამ „პროვოკაციას არ აპატიებს!“... ნახავთ რუსეთი მალე სრულ იზოლაციაში მოექცევაო.

ვნახოთ.

მე კი ერთი რამ ვიცი, რომ ჩემი სამშობლო დაშლის პირასაა.

ახლა შეიძლება ჯავახეთში მცხოვრებმა სომხებმაც წამოყონ თავი. რუსმა ნაძირალებმა იქნებ აჭარასაც მოათხოვნინონ საქართველოდან გამოყოფა.

როგორ შეიძლებოდა ომში ჩაბმა რუსეთის წინააღმდეგ.

ნუთუ ასე ძნელი მისახვედრი იყო, რომ რუსეთი დაგვამარცხებდა და ამ საუკუნეში მესამედ დაგვიპყრობდა?

უგუნურმა პოლიტიკამ საქართველო ილია ჭავჭავაძის საქართველოში დააბრუნა.

საქართველო კვლავ დაპყრობილია და კვლავ რუსული ჩექმა დაბრახუნობს ქვეყანაში.

ახლა ისევ თავიდან უნდა დავიწყოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

25 აგვისტოს გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ დიტო ჩუბინიძე მეინტერვიუება, ვყვები ჩვენს უბედურებაზე, ვლანძღავ სააკაშვილს, მაგრამ მერე რა...

გულს ვიოხებ და მეტი არაფერი.

ასეთ უმწეო მდგომარეობაში არასოდეს ვყოფილვარ.

გამოვეცი „მწერლის გაზეთის“ ახალი ნომერი. თაივდან ბოლომდე რუსეთის და ამ ხელისუფლების მიმართ პროტესტითაა გაჯერებული.

ვეკითხები მწერლებს – ჩვენ, ამ ომში დავმარცხდით, თუ გავიმარჯვეთ?

აბსოლუტურად ყველა ჭკუათმყოფელი მწერალი გვპასუხობს, რომ დავმარცხდით.

სააკაშვილი კი ოკუპირებულ საქართველოში გამარჯვებას ზეიმობს.

29 აგვისტოს მწერალთა კავშირის შენობაში, რომელსაც ერთი წელია პოლიციელები მწერლებისგან იცავენ, ეკონომიკის სამინისტრომ ავეჯი შეიტანა.

30 აგვისტოს მწერალთა კავშირის წინ მიტინგი გავმართეთ.

გახსნა მაყვალა გონაშვილმა.

გამოვედით: ჯანსუღ ჩარკვიანი, მე, ვაჟა ოთარაშვილი, გენო კალანდია, ჯანო ჯანელიძე და სხვები.

1 სექტემბერს ევროკავშირის სამიტი გაიმართა.

ბევრი იმსჯელეს ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებმა სარკოზის (საფრანგეთის პრეზიდენტი) ხელმძღვანელობით, სიტყვიერად მხარი დაგვიჭირეს, მაგრამ რუსეთისათვის სანქციების დაწესება ვერ გაბედეს.

გავეშებული „თეთრი დათვისა“ მთელ მსოფლიოს ეშინია.

რუსს კიდევ ერთხელ მისცეს რჩევა ჯარი გაიყვანოს საქართველოდან, მაგრამ მედვედევი და პუტინი ევროპის „თხოვნას“ ყურადღებას არ აქცევენ.

პირველ სექტემბერს დამარცხებულმა საქართველომ „ცოცხალი ჯაჭვის“ თეატრალური სანახაობა მოაწყო.

ეს სასაცილოზე-სასაცილო ღონისძიება იყო, მითუმეტეს იმ ფონზე, რომ ოკუპანტ რუსებს შუბლზე სინდისის ერთი პაწაწინა ძარღვიც არ შერხევიათ.

რასაკვირველია, ამ „სახალო ზეიმში“ (სახალხო გლოვის ნაცვლად რომ ჩატარდა) მონაწილეობა არ მიმიღია.

2 სექტემბერს მაყვალა გონაშვილის ინიციატივით მწერალთა კავშირის საპრემიო კომისიამ ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ილია ჭავჭავაძის პრემია მომანიჭა.

არ გამეხარდა-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ დაპყრობილი საქართველოს სავალალო მდგომარეობამ დიდი ილიას სახელობის პრემიის მიღების სიხარული გამინელა.

8 სექტემბერს საფრანგეთის პრეზიდენტი და ნატოს გენერალური მდივანი მოსკოვში ჩავიდნენ და მედვედევს კიდევ ერთხელ მოთხოვეს თავისივე ხელმოწერილი ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების შესრულება.

გაზეთები (ევროპის) სწერენ, რომ შეხვედრა დაგეგმილი 1 საათის ნაცვლად 4 საათს გაგრძელდა, ბოლოს როგორც იქნა გატეხეს მედვედევი და დაითანხმეს (სასწაული მოხდა!), რომ ჯარი 10 დღის განმავლობაში უნდა გაიყვანო საქართველოდანო.

მართლაც მეორე დღეს, თურმე ჯარისკაცებმა დაიწყეს მავთულხლართების აკეცვა-დახვევა და ტანკების ამოყვანა სანგრებიდან ზოგ ადგილას.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს.

სამწუხაროდ, იმავე საღამოს მედვედევმა (ჩანს პუტინთან მოლაპარაკების შემდეგ) დააზუსტა, ჩვენ ფოთიდან და სენაკიდან გავიყვანთ ჯარს, მაგრამ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში პირიქით, გავზრდით რუსულ შეიარაღებულ ძალებსო. თანაც ევროკაშვირმა თავისი შეიარაღებული ძალები განალაგოს საქართველოს ტერიტორიაზე და არა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომლებიც უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოებიაო.

ისევ აყვირდა სარკოზი, მედვედევმა ამჯერადაც მოგვატყუაო.

13.IX – 24.XI 2008

საქართველო რუსეთთან მოულოდნელმა მოუმზადებელმა ომმა ცოცხალ მსხვერპლს თავი რომ გავანებოთ, ეკონომიურად გააჩანაგა. იზრდება ფასები, მატულობს უმუშევრობა, რუსეთის ბაზარი აბსოლუტურად დაკეტილია საქართველოსთვის. რუსეთთან შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობა და რუსეთის ელჩი დაითხოვეს საქართველოდან.

სააკაშვილმა განაცხადა, რაც იყო იყო, ახლა დემოკრატიის მეორე ტალღას ვიწყებო. შექმნა ანტიკრიზისული საბჭო, რომელსაც სათავეში ჩემი კარგი ნაცნობი, ცნობილი ალპინისტი (ამჟამად პარლამენტის წევრი) ნახევრადოპოზიციონერი გია თორთლაძე ჩაუყენა. მივედი გიასთან. უთხარი პრეზიდენტს, ახლა მაინც დაგვიბრუნოს მწერლებს მწერალთა სასახლე-მექთი. მესამე დღეს გიამ პარლამენტში განაცხადა; ანტიკრიზისული საბჭოს სახელით პრეზიდენტს უნდა მოველაპარაკო, რომ მწერალთა სასახლე მწერლებს დაუბრუნდესო.

როგორ თუ გია თორთლაძე გასაყიდად გამზადებულ სასახლეს გვართმევს და მწერლებს უბრუნებსო, პირკატა ეცათ ეკონომიკის სამინისტროს მესვეურებს. გამოვარდნენ ტელევიზიით და განაცხადეს: ჩვენ „მწერალთა კავშირს“ – ასეთ დაწესებულებას არ ვიცნობთ. სასახლე ჩვენს განკარგულებაში დარჩებაო. აბა მწერლებმა რა ჰქნანო, ჰკითხა ჟურნალისტმა – თავში ქვა იცენ და ისა ჰქნანო, უპასუხეს სააკაშვილის ერთგულმა ლაქიებმა.

ასე რომ, ბრძოლას ვაგრძელებთ.

რუსები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ჯარის გაყვანას არ აპირებენ.

ყეფს ამერიკა, ყეფს ევროკავშირი, მაგრამ დამპყრობელი რუსის ქარავანი მიდის.

ამ ბოლო ომის შედეგად აფხაზეთის და სამაჩაბლოს გარდა წართმეულია კოდორის ხეობა, ახალგორის რაიონი და საჩხერის რაიონის ზედა ზონა – სოფელი პერევი.

როგორც ჩანს, ევროპა დაღალა ჩვენმა მამიდობამ და დაცხრა, პრეზიდენტი კი ძველებურად გაჰყვირის – ჩვენ გავიმარჯვეთო.

10-15 ოქტომბერს ერევანში ვიყავი მწერალთა და მთარგმნელთა მსოფლიო კონფერენციაზე. ვთქვი, რომ ასეთი ოფიციალურ-საზეიმო შეხვედრები არაფერს მოგვიტანს, რომ ჩვენი „კამათი“ ყრუ-მუნჯთა საუბარს ჰგავს. ყველა თავისას მიერეკება და წინა გამომსვლელს არ უსმენს, რომ წიგნის გამოცემა და მისი თარგმნა თვითდინებაზეა მიშვებული, ვინც უფრო მოხერხებულია (ხოლო მოხერხებულები ძირითადად უნიჭოები არიან) ის „იმარჯვებს“. არავინ არ ზრუნავს მთარგმნელთა ახალი თაობის აღზრდაზე. მხატვრული ნაწარმოების თარგმნაზე სოციალური დაკვეთა არ არსებობს და ამიტომაც ჩაკვდა ეს საქმე. სხვაც ბევრი რამ ვთქვი: უწიგნური პოლიტიკოსები მწერლის კეთილი ნების ხმას არ უსმენენ და ამიტომაც ერები გაუტურამგელდნენ-მეთქი ერთმანეთს.

ვთქვი... მაგრამ რა?

სხვათა შორის, „რუსულენოვანმა“ ქართველმა მწერალმა ალექსანდრე ებანოიძემ მხარი დამიჭირა; ერთადერთი საქმიანი გამოსვლა რევაზ მიშველაძისა იყოვო.

სომხეთში, როგორც ყოველთვის, ქართველებს განსაკუთრებული სიყვარულით და ყურადღებით გვეპყრობიან. მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ლევან ანანიანმა გამოსათხოვარ ბანკეტზე თანადგომა მთხოვა. თან ბოდიშის მოხდით დასძინა, რუსი მწერლები რომ მოვიყვანო, ხომ არ გეწყინებაო. ვერ გეტყვი, რომ ძალიან გამეხარდება, მაგრამ რა უფლება მაქვს შენს სტუმრებს ბღვერა დავუწყო-მეთქი. რომ არ გავაგრძელო, ვითამადე როგორც შემეძლო. რაც მთავარია, რუსებს ვუთხარი, ნუთუ იმდენად არ გიღირვართ ქართველები, რომ ერთ მწერალსაც კი არ გასჩენია პროტესტის გრძნობა თქვენმა პრეზიდენტმა რომ ტანკებით გადაგვიარა-მეთქი, შერცხვათ და თავი ჩაქინდრეს.

3 ნოემბერს მე, მაყვალა გონაშვილმა და გიორგი გიგაურმა აკაკი გეწაძე ვინახულეთ, მძიმე ოპერაცია გადაიტანა (ყელის კიბო აქვს), თავს ყოჩაღად გრძნობდა, ერთი კვირის შემდეგ მისმა ქალიშვილმა – ხათუნამ დამირეკა – გარდაიცვალაო. გაზეთში ნეკროლოგი რომ მიგვეცა, ბ-ნი აკაკის ბიოგრაფიული მონაცემები გვჭირდებოდა. პოლიციამ მწერალთა კავშირის შენობაში არ შეგვიშვა, რომ აკაკის პირადი საქმე გამოგვეტანა, აი, ასეთი პრეზიდენტი ჰყავს საქართველოს. რაც დრო გადის, ვითარება უფროდაუფრო აუტანელი ხდება. გავსებულია ციხეები პოლიტპატიმრებით, ტელევიზიებს დირექტივა აქვთ მიცემული – არც ერთი ეროვნული მოღვაწე ეკრანზე არ გამოაჩინონ.

მაინც მივაღწიე აკაკი გეწაძის დასაფლავებას დიდუბეში.

6 ნოემბერს ხელოვნების მუშაკთა სასახლეში მიხმეს, რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შემაჯამებელი კონკურსის ღონისძიებაზე.

საშა ებანოიძე, მე და გივი შაჰნაზარი გამარჯვებულად გამოგვაცხადეს, სიგელები და ფასიანი საჩუქრები ჩამოგვირიგეს.

13 ნოემბერს სამების ტაძარში გოდერძი ჩოხელის საღამო გავმართეთ.

მაყვალა, რეზო ჩხეიძე, მე, პაატა ნაცვლიშვილი და მეუფე თადეოზი გამოვედით.

22 ნოემბერს ხელისუფლებამ მწერალთა კავშირის კიდევ ერთხელ ოკუპირება სცადა, ოღონდ ამჯერად ეს ბნელი საქმე „შტრეიკბეხერი“ მწერლების ხელით სურდა გაეკეთებინა, ჩუმად, ქურდულად შეაპარა სასახლეში ხელისუფლების ერთგული შვიდი მწერალი და სურდა გაეხსნა ე.წ. “მწერლის სახლი“, რომელსაც ეყოლებოდა ხელისუფლების მიერ დანიშნული „წითელი კომისარი“ დირექტორად, ხოლო მწერალთა კავშირის წევრებს მოწყალებას მოიღებდნენ და ნებას დაგვრთავდნენ ბიბლიოთეკით გვესარგებლა. მესაკუთრე მწერალთა სასახლისა, რასაკვირველია, ეკონომიკის სამინისტრო იქნებოდა და არა მწერალთა კავშირი.

ჩემს დაძახილზე მწერალთა სასახლესთან 200 კაცი გაჩნდა. დავიწყე მიტინგი და ვთქვი, რომ ბნელი განზრახვა ფრთებს ისხამს. ქართველ მწერლებს სამუდამოდ ართმევენ კუთვნილ შენობას.

მიტინგზე მოულოდნელად კულტურის მინისტრი გრიგოლ ვაშაძე გამოჩნდა. სიტყვა მთხოვა, რასაკვირველია, დავუთმე მიკროფონი. ჩემთვისო, სიტყვა ასე დაიწყო: საქართველოში ჭაბუა ამირეჯიბზე, რევაზ მიშველაძეზე და გიგა ლორთქიფანიძეზე უფრო ძვირფასი და ავტორიტეტული ადამიანები არ არსებობენო. ვინ ჰკითხავს სხვას ამ საკითხის გადაწყვეტასო, 25 ნოემბერს, 12 საათზე გთხოვთ ჩემთან მობრძანდეთ (10-კაციანი დელეგაცია) და მოვილაპარაკოთო.

მივედით: გიგა ლორთქიფანიძე (ჭაბუამ წერილი გამოგზავნა), მე, მაყვალა, დავით შემოქმედელი, სოსო სიგუა, გოგი ქავთარაძე, სანდრო მრევლიშვილი, ნუკრი ქანთარია, ჯუმბერ ჯანდიერი, ჯანსუღ ჩარკვიანი და გურამ ბათიაშვილი.

კარგად მიგვიღო. დაგვამშვიდა, დაგვიყვავა, მოგვეფერა და დაგვპირდა: თუ ათ დღეში სასახლე ვერ დაგიბრუნეთ გაძლევთ პირობას მინისტრობიდან გადავდგებიო. ვნახოთ, რას იზამს.

25.XI.2008 – 31.XI 2008

ერთი კვრის თავზე ისევ გვიხმო კულტურის მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ, მივედით მ. გონაშვილი, მე, ვაჟა ოთარაშვილი, დავით ტაკიძე და გენო კალანდია.

არ დაგვიმალა, დიდ წინააღმდეგობას ვაწყდებიო. პრეზიდენტს მწერალთა კავშირის გაგონებაც არ სურსო. იქნებ ასე შევთანხმდეთ: ფორმალურად სასახლე ეკონომიკის სამინისტროს საკუთრება იქნება, მოსაჩვენებლად (მეტი დემოკრატიულობა რომ მივანიჭოთ) „მწერალთა სახლს“ დავარქმევთ, ფაქტიურად კი თქვენს განკარგულებაში იქნებაო.

ჩართევას ჩაყოლა ვამჯობინეთ და დავთანხმდით.

გადაგვკოცნა, გამოგვაცილა, ხვალ განკარგულებას დავწერ და ზეგ შეგიძლიათ შეხვიდეთ მწერალთა სასახლეშიო.

ეს იყო ორშაბათს, 8 დეკემბერს, მოვედით სახლში გახარებულები და საღამოს ტელევიზიამ გამოაცხადა, კულტურის მინისტრი სააკაშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრად გადაიყვანაო.

დავურეკე, მივულოცე და ცრემლმომდგარმა ვკითხე, როგორ იქნებამეთქი ჩვენი საქმე?

რა ვქნა, ბატონო რეზო, თქვენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ ახალ მინისტრთან უნდა მიბრძანდეთო. არ კითხავთ ახალი მინისტრი ვინ არის? პარალმენტის წევრი, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა.

გაზეთ „რეზონანსში“ დაიბეჭდა ცნობა, 23 ოქტომბერს პრეზიდენტს მოუწერია ხელი №505 განკარგულებაზე, რომლის ძალითაც მწერალთა სასახლის ბაზაზე შეიქმნა “მწერალთა სახლი“. ასე რომ, თვალთმაქცობა იყო მინისტრთან (ორკვირიან მინისტრთან) ჩვენი შეხვედრები და დისკუსიები.

დავკრძალეთ მწერალი შუშანა მგელაძე.

4 დეკემბერს სამების ტაძარში სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 350 წლისთავის იუბილე გავმართეთ.

მაყვალამ გახსნა. მოხსენებით მე გამოვედი.

ვილაპარაკე ჩვენი ბრძენი პაპის უზადო მწერლობაზე, მის ენციკოლპედიურ “სიტყვის კონაზე“, ბოლოს ჩვენს უმადურობასაც გავუსვი ხაზი, საქართველოს გადასარჩენად კაცმა მთელი ევროპა მოიარა, ჩვენ კი ფოთში ჩამოსული გავძარცვეთ და მეორე დღეს სვეტიცხოვლის გარშემო წვერით ვათრიეთ.

8 დეკემბერს მიხეილ თუმანიშვილის თეატრში მიხეილ ვაშაძის 100 წლის იუბილე გავმართეთ.

გამოვედით: გიგა ლორთქიფანიძე, მე, ელდარ შენგელაია, რეზო ჩხეიძე, რეზო ესაძე, დათო ჯანელიძე, ზურაბ ქაფიანიძე, კახი კავსაძე და სხვები.

საღამო გოგი დოლიძეს მიჰყავდა.

გვიან ღამით ბატონი მიხეილის ვაჟმა თამაზ ვაშაძემ ბანკეტზე მიგვიწვია.

1 დეკემბერს არაგვისპირას რესტორანში ომარ გოცაძემ გვიმასპინძლა.

სუფრას უსხდნენ როინ მეტრეველი, მუხრან მაჭავარიანი (მეუღლითურთ), ელიზბარ ჯაველიძე, ძმები ხუროძეები, თამაზ წივწივაძე, რამაზ ხეცურიანი და სხვები.

თამადობა მე მთხოვეს.

პირველი სადღეგრძელო, რა თქმა უნდა, საქართველოს მივუძღვენი და ალავერდი მუხრანთან გადავედი.

მუხრანმა საქართველოს სადღეგრძელო კი არა, ჩემო რეზო, საქართველოს შესანდობარი უნდა დავლიოთო. საქართველო, როგორც სახელმწიფო, რუსეთთან ამ უკანასკნელი ომის შემდეგ ფაქტიურად აღარ არსებობსო.

თუ გახსოვს მუხრან, ოპერის თეატრში საქართველოს რომ წარუდგინე

სააკაშვილი პრეზიდენტად და საქართველოს გადამრჩენელი უწოდე-მეთქი. თავი ჩაქინდრა; მაგაზე დიდი შეცდომა ჩემს ცხოვრებაში არ დამიშვიაო.

სააკაშვილს ამ ბოლო ხანს თითქმის ყველა მისი ერთგული თანამებრძოლი გადაუდგა. ჯერ ოქრუაშვილმა დატოვა სააკაშვილის „მატარებელი“, ოქრუაშვილს ნინო ბურჯანაძე მიჰყვა, ბურჯანაძეს ვარდების რევოლუციის ერთი ბურჯთაგანი – ეროსი კიწმარიშვილი, მალე ყოფილი პრემიერი ნოღაიდელი გადავიდა ოპოზიციაში და ახლახან საქართველოს ელჩი ამერიკაში ირაკლი ალასანია განუდგა. ყველა აქ დასახელებული „მიშისტი“ ერთხმად აცხადებს, რომ პრეზიდენტი „არაადეკვატურია“ და მკურნალობას საჭიროებს.

მიშიკო კი თითქოს აქ არაფერიო, იხტიბარს არ იტეხს. კვლავ იღიმება და შეცდომას შეცდომაზე უშვებს.

6 დეკემბერს, შაბათს მეუფე ამბროსი (ქათამაძე) დავკრძალეთ.

იგი ზვიად გამსახურდიას პირადი მოძღვარი იყო. ზვიადს განდევნისას გროზნოში წაჰყვა. მანამდე რაჭა-ლეჩხუმის მთავარეპისკოპოსი იყო ზვიადის დროს.

როგორც ზვიადისტი ქართულმა ეკლესიამ მოიკვეთა (ილია II-ის ყველაზე დიდი შეცდომა) და მეუფის ტიტულიც ჩამოართვა.

ბოლო თვეებში განსაკუთრებით დამიახლოვდა. მწერალთა კავშირის ყველა ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა, მგზნებარე სიტყვა-ლოცვით გამოდიოდა.

მთხოვა, იქნებ უწმინდესთან მიშუამდგომლო, არ მინდა ესპიკოპოსობა, სადმე ერთი პატარა ეკლესია მომცენ და მადობელი ვიქნები, ჩემთვის ვილოცებო.

ავანთე რეზო ჩხეიძე და გიგა ლორთქიფანიძე. ერთ კვირაში უნდა მივსულიყავით უწმინდესთან ამ თხოვნით, მაგრამ მეუფე ამბროსი უეცრად გარდაიცვალა. ამბობენ, მეუფე სტეფანესთან (კათალიკოსის ერთ-ერთი მოადგილე) შელაპარაკება მოსვლია, როცა ამ უკანასკნელს ზვიადი აუგად მოუხსენებიაო.

დაბრუნდა შინ მეუფე ამბროსი და გული გაუსკდა.

სადა ხარ ღმერთო, არ გათავდა ზვიად გამსახურდიას დევნა?

12 დეკემბერს ხელოვნების მუშაკთა სახლში ცხინვალელ ლტოლვილებთან შეხვედრაზე მწერალთა კავშირის სახელით სიტყვით გამოვედი.

ვთქვი, რომ რუს-ოსთა გაერთიანებულმა ჯარმა ქართველებს სახლები გადაუწვა, სამაჩაბლოში სისხლის კალო დაატრიალა, სამაჩაბლოს გარეთ საქართველოში 80 000 ოსი მშვიდად ცხოვრობს. აბა, აგვისტოს ომის შემდეგ თუ რომელიმე მათგანისთვის მიუყენებია ქართველს შეურაცხყოფა-მეთქი. თუ რომელიმესთვის მოგვითხოვა საქართველოდან აბარგება-მეთქი.

ტიროდნენ გაუბედურებული სამაჩაბლოელი ქართველები.

გარდაიცვალა სრულიად რუსეთის კათალიკოს-პატრიარქი.

დაკრძალვაზე უწმინდესი და უნეტარესი ილია II გაემგზავრა.

დაკრძალვაზე პრეზიდენტ მედვედევს შეხვდა. ჩამოსვლისას აეროპორტში განაცხადა: მედვედევს შევხვდი და წინადადება მომცა: საქართველო-აფხაზეთ-ოსეთის კონფედერაციულ საწყისებზე გაერთიანების მომხრე

თუ ხართო. მე დავთანხმდი, იმიტომ, რომ სხვა გზა არა გვაქვსო, პატრიარქმა.

რასაკვირველია, ფედერაცია ჯობდა, მაგარმ დასაწყისისთვის არც ესაა ცუდი.

კათალიკოსის ჩამოსვლის მეორე დღეს პერევიდან (საჩხერე) რუსის ჯარი გავიდა.

იმ საღამოსვე სააკაშვილმა განაცხადა – რუსეთს ჩვენი შეეშინდა და საქართველოდან გარბისო.

იმ საღამოსვე, რუსის ტანკები ისევ შემობრუნდნენ პერევში.

ასე ჩაშალა პრეზიდენტმა კათალიკოსის მიერ მედვედევთან მიღწეული შეთანხმება.

14 დეკემბერს სააკაშვილს მიუღია ხელისუფლების პოლიტიკის მომხრე, საქართველოს მწერალთა კავშირიდან განმდგარი მწერლები: გივი ალხაზიშვილი, ლია სტურუა, როსტომ ჩხეიძე, გივი შაჰნაზარი, ტარიელ ჭანტურია, ლაშა იმედაშვილი და რეზო ჭეიშვილი.

სტუმრებმა თურმე ერთგულება შეჰფიცეს მასპინძელს და მადლობა მოახსენეს იმისათვის, რომ პრეზიდენტი თანმიმდევრულად, ენერგიულად იბრძვის მწერალთა კავშირის წინააღმდეგ, ჩვენაო, ძალიან ვწუხვართო, რომ მწერალთა კავშირს ჯერ კიედვ შემორჩნენ ნიჭიერი მწერლებიო.

– ვინო? – უკითხავს სააკაშვილს.

– მაგალითად, ჭაბუა ამირეჯიბი, ოტია იოსელიანი, რევაზ მიშველაძე, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, მერაბ ელიოზიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი და სხვებიო, უპასუხნიათ.

ეგენი რა მწერლები არიან, ნამდვილი მწერლები თქვენ ხართო – ჩაიქირქილა თურმე სააკაშვილმა.

ასე ღუპავს საქართველოს შინაური შუღლი, შური და ღალატი.

15 დეკემბერს მოსწავლეთა სასახლეში (ნოე ჟორდანიას რეზიდენცია) ჩოხოსან რაინდთა კორპუსმა ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა წარმომადგენელთა შეხვედრა გამართა. შეხვედრას ჩოხოსანთა მეთაური გოგი დოლიძე წარმართავდა.

გამოვედით მარიკა ლორთქიფანიძე, რეზო ჩხეიძე, მე, ჯემალ ჭკუასელი, ქეთი კიკნაძე და სხვები.

დარბაზში ერის გულშემატკივართა „კოცონი“ აგიზგიზდა, ეს თაობათა ესტაფეტის, თაობათა შეფიცვის დემონსტრაცია იყო.

22 დეკემბერს „მწიგნობრის“ დარბაზში რეზო ჩხეიძის 80 წლისთავი აღნიშნეს.

გიგა ლორთქიფანიძემ თქვა შესავალი სიტყვა.

გამოვედით მე, ჯუმბერ ლომინაძე, კახი კავსაძე, რეზო ესაძე, რეზო ბალანჩივაძე, გუგული მგელაძე და სხვები.

საღამომ კარგად, გულთბილად ჩაიარა.

წინადადება დავაყენე: ძველი კინოსტუდიის წინ რეზო ჩხეიძის ვარსკვლავი გაიხსნას-მეთქი. ყველა ტაშისკვრით დამეთანხმა.

23 დეკემბერს საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე – ნათია ჯორბენაძე) ჩაიდინა კიდევ ერთი დანაშაული ქართული ეროვნული მწერლობის წინაშე;

ჩამოგვართვა მწერალთა სასახლე და ოფიციალურად გადასცა სახელმწიფოს.

ამით დაამთავრა სააკაშვილმა თავისი „დემოკრატიული დამოკიდებულება“ ქართული მწერლობის მიმართ.

ვწერ ამ სტრიქონებს და თითები მეყინება.

ალბათ გული გამისკდება. ვალიდოლი დავიდე ენის ქვეშ, მაგრამ სუნთქვა მაინც მიჭირს.

ირგვლივ საშინელი წყვდიადია და იმედის ნიშანწყალიც არ ჩანს.

სანამ პირში სული მიდგას ბრძოლას არ შევწყვეტ ჩემი ქვეყნის გადასარჩენად.

გამოვეცი „მწერლის გაზეთის“ საახალწლო მრისხანე ნომერი, რომელშიც გამოვაქვეყნე წერილი ირმა რატიანის „შემოქმედებაზე“ “მერებუსე ვაიმეცნიერი“.

მკითხველს ვუამბობ იმის შესახებ, თუ როგორ მიათრევენ გლობალიზაციის სოროსულ ჭაობში საქართველოს კახა ლომაია, გიგი თევზაძე, გია ხუბუა, ირმა რატიანი, ბელა წიფურია, რუსუდან ნიშნიანიძე, თამარ პაიჭაძე და მათი მსგავსნი.

30 დეკემბერს მარიკა ბარათაშვილი დავკრძალეთ. ნერვები დამაგლიჯეს, რომ ქ-ნი მარიკას დიდუბეში დასაფლავების ნებართვისთვის მიმეღწია. 100 წლამდის ჯერ არცერთ ქართველ პოტს არ მიუღწევია, სხვა რომ არაფერი, თუნდაც ამისთვის ეკუთვნის, თქვე უღმერთოებო, დიდუბეში დაკრძალვამეთქი, ვყვიროდი და მერიის ჩარევის შემდეგ კეთილი ინებეს და დაგვრთეს ნება.

სამგლოვიარო მიტინგზე გამოვედით მაყვალა გონაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, მარიკა ლორთქიფანიძე, ჯანო ჯანელიძე და მე.

მერე ქელეხზეც მომიწია თამადობამ.

ხვალ ახალი წელია.

„ჯორჯიან თაიმსმა“ ინტერვიუ ჩამომართვა, სადაც ვამბობ, რომ ასე დამარცხებული, დაბნეული, დამცირებული და პირქვედამხობილი საქართველო ჯერ ახალ წელს არ შეხვედრია.

„იმედმა“ და „პირველმა არხმა“ დამირეკეს: 1 იანვარს ხართ დაბადებული და უნდა ჩაგწეროთო.

რა ბზიკმა უკბინათ, რამ გაახსენათ ჩემი თავი?

1.I. 2009 – 20.III 2009

ნაახალწლევს ჩემს ცხოვრებაში პირველად მარცხენა მხარი ამტკივდა. ტკივილი ისე ძლიერ მაწუხებს, რომ მარცხენა ხელს თავს ზემოთ ვერ ვწევ.

ურროს რომ ვატრიალებდი, იმას ვაბრალებ. ჩანს, სახსრები გაცვდა, დაიღალა, არ შეიძლება დიდი დატვირთვა.

არა და მე ხომ უვარჯიშოდ ვერ გავძლებ.

ახლა ურროს ტრიალი კი არა, ჩაის დასხმაც მიჭირს.

ვზივარ შინ, მოწყენილი.

ვასო კიკნაძის მოგონებების კარგ წიგნს ვკითხულობ და გულს ვაყოლებ.

ჩემი დაუძინებელი მტერი ლომაია რომ ამერიკაში გადაიყვანეს, მეგონა რექტორი გია ხუბუა დამიძახებდა და უნივერსიტეტში დამაბრუნებდა. თქვენც არ მომიკვდეთ.

არა და, მე როგორ ვიკადრებ, ხუბუას ვეახლო და უნივერსიტეტში დაბრუნება ვთხოვო.

ყველაზე მძიმედ უნივერსიტეტიდან გაძევებას განვიცდი. თითქოსდა ფუნქცია დავკარგე.

ერთბაშად ასი წლით დავბერდი.

უბედურება ისაა, რომ ჩემს დღეშია ყველა ეროვნულად მოაზროვნე პროფესორი.

სოროსულმა ხელისუფლებამ ფაქტიურად გააუქმა უნივერსიტეტი.

ნუთუ შერჩება ეს ყოველივე სააკაშვილს?

ნუთუ არ მოჰკითხავს ამ დანაშაულს ქართველი ერი?

ღმერთის იმედი კარგახანია აღარა მაქვს.

ღმერთმა რომ ხელი აგვაღო საბოლოოდ 2008 წლის აგვისტოში დავრწმუნდი.

როგორ ათარეშა ღმერთმა დამპყრობელი რუსის ტანკები საქართველოში?!

14 იანვარს თეატრალურმა საზოგადოებამ თეატრის დღესთან დაკავშირებით პრემიები მოგვანიჭა.

მე 2008 წლის საუკეთესო დრამატული ნაწარმოებების შექმნისათვის (კერძოდ, სცენარებისთვის "ტერენტი გრანელი" და „წმინდა გიორგი").

ამირან შალიკაშვილს „ტერენტი გრანელის" და „წმინდა გიორგის" დადგმისთვის მიანიჭეს სანდრო ახმეტელის პრემია.

ძალიან გამეხარდა.

ამირანმა უკვე დაიწყო „ქრისტეს" რეპეტიციები.

ვეუბნები, არ იჩქარო, ამ სცენარს დიდი რუდუნებით ვწერდი, წარმოდგენა "წმინდა გიორგის" არ უნდა ჰგავდეს-მეთქი.

გიგა ლორთქიფანიძემ 14 იანვარს ბრძანა, დღესდღეობით არ ვიცი მეორე შემთხვევა, რომ მწერალი თეატრს ისე ქომაგობდეს და პატრონობდეს, როგორც რევაზ მიშველაძე პანტომიმის თეატრს უდგას გვერდითო.

აკაკი ბრეგვაძის გაზეთ „ციცინათელას" ვკითხულობდი 3 თებერვალს, პროფესორი რეზო ჟორდანია აკაკი შანიძის ამბებს იგონებს, ვიქტორ კუპრაძის (თსუ რექტორი იყო) მოსაცდელში აკაკი შანიძეს გალაკტიონი დაუნახავს. აქ რას აკეთებო, უკითხავს. რექტორს ველოდებიო, უთქვამს გალაკტიონს, რას ჰქვია ელოდებიო, შევარდნილა აკაკი ვიქტორ კუპრაძის კაბინეტში და იმ წუთში ხელგაშლილი კუპრაძე გამოგებებია გალაკტიონს, თან მდივნისთვის საყვედური უთქვამს რატომ არ მითხარით, გალაკტიონი რომ მობრძანდაო.

ახლა ჩვენს დროში გადმოვინაცვლოთ.

ბარე შვიდჯერ მივედით 5 პროფესორი (ჯ. ჭუმბურიძე, მე, თენგიზ კიკაჩეიშვილი, ლადო მინაშვილი, სოსო სიგუა, იუზა ევგენიძე) რექტორ ხუბუასთან, მაგრამ მხოლოდ მეშვიდე მისვლაზე მიგვიღო. არ მცალიაო, გვპასხუობდა.

ასე თავხედია სააკაშვილის მთელი რაზმი და თვით სააკაშვილი.

არავის არ ღებულობენ, თანაც უსირცხვილოდ იმალებიან. ტელეფონს არ იღებენ – სააკაშვილის ლაწირაკი ბიჭუნა მინისტრები.

ოპოზიცია 9 აპრილისთვის ემზადება, ტელევიზიითაც კი („კავკასია“, “მაესტრო“) ხმამაღლა აცხადებენ რომ 9 აპრილს დაწყებული მიტინგი არ დამთავრდება სანამ სააკაშვილი არ გადადგებაო.

სააკაშვილს აშკარად ეტყობა, რომ შეცბუნებულია, შეშინებულია, შინაგანად ამღვრეულია.

8 მარტს მიტევების დღეს კათოლიკოს-პატრიარქს გვერდით ამოუდგა და ქართველ ერს ჩადენილი მცირე შეცდომებისთვის პატიება სთხოვა.

არ იკითხავთ რა “მცირე შეცდომები“ ჩაუდენია? გაანადგურა ეროვნული ფენომენი, ზიზღი გამოუცხადა ყოველივე ქართულს, გაუყიდა ჩვენს შვილებს მიწა-წყალი, წიაღისეული, ნავსადგურები, საავადმყოფოები, 30%-ით შეამცირა სკოლები, დაამხო უნივერსიტეტი, გააუქმა მეცნიერებათა აკადემია, დაარბია მწერალთა კავშირი, ჟურნალისტთა კორპუსი, მეპატრონეს (ბადრი პატარკაშვილის ოჯახი) ძალით წაართვა „იმედი“ და ვიღაც არაბს (?!) მიჰყიდა, ხელოვნების მუზეუმიდან გაიტანა ფიროსმანის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ნახატი „გიორგობა ბოლნისში“...

და ამის შემდეგ ჰყოფნის თავხედობა ერს პატიება სთხოვოს.

კულტურის ახალმა მინისტრმა რურუამ დაგვიბარა მე და მაყვალა მწერალთა სასახლის თაობაზე.

სადაც უნდა იჩივლოთ, არაფერი გამოგივათო, ხომ იცით, კანონიც ჩვენ ვართ და სამართალიცო. სასახლის 27 ოთახიდან მხოლოდ 3 ოთახს გამოგიყოფთ, თუ გაჭირვეულდებით არც ამას მოგცემთო. სააკაშვილი საერთოდ წინააღმდეგია, ამ 3 ოთახს ჩემს თავზე ვიღებო.

გადავხედეთ ერთმანეთს და დავთანხმდით ორი მიზეზის გამო. გადავარჩენთ განადგურების პირას მისულ მწერალთა კავშირის არქივს და ჩვენ რომ შევალთ. ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილის დამქაში მწერლები ძველებურად ვერ იპარპაშებენ.

რაკი შევთანხმდით, განკარგულებას დავწერ და ორ დღეში მოგართმევთო, მინისტრმა. 10 დღე გავიდა და არავინ გვეძახის. იამზე გვათუას (სასამართლოს უფროსი) ვურეკავ და ჩემთვის არაფერი უთქვამსო.

1 მარტს მ. ბერძენიშვილის სასახლეში მაყვალა გონაშვილის 50 წლის იუბილე ჩავატარეთ.

პირველი სიტყვა მე ვთქვი და ილია ჭავჭავაძის პრემია გადავეცი. მაყვალა ნიჭიერი პოეტი და რაც მთავარია, მებრძოლი, შეუპოვარი, ეროვნული ქალია.

6 მარტს მაყვალას მშობლიურ დედოფლისწყაროში (წითელწყარო) მიგვიწვიეს. იქაც გულთბილი შეხვედრა ჩატარდა. მაყვალას მივესალმეთ მე, ფრიდონ ხალვაში, გიორგი გიგაური, ბადრი ქუთათელაძე, ტარიელ ხარხელაური, ზურაბ ქაფიანიძე და სხვები.

გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა თბილისში. ხეხილის და ვენახის გასხვლას მოვრჩით მე და შიო.

19 მარტს მე და მაყვალა კიდევ ერთხელ გვიხმო კულტურის ახალმა მინისტრმა ნიკა რურუამ.

მინისტრის მისაღებში დაგვხვდნენ რეზო ჭეიშვილი, ბესიკ ხარანაული და ლაშა იმედაშვილი.

შევედით მინისტრთან.

ხელისუფლება ასე სვამს საკითხს: არსებობს მწერალთა კავშირი და არსებობს მეორე მხარე ანუ ის მწერლები, ვისაც არ სურს მწერალთა კავშირში გაერთიანება, როგორ მოვიქცეთ, იმათაც ხომ უნდათ თავშესაფარიო, მინისტრმა.

ვინ არიან და სად არიან მწერალთა კავშირის ეს „დაუძინებეილ მტრები"-მეთქი მინისტრს ვეკითხები.

აგერ სხედანო, ლაშას გარდა აქ ყველანი მწერალთა კავშირის წევრები მზივართ-მეთქი. ნუთუ ამ ორს (და კიდევ შვიდიოდე მწერლობაზე გაბრაზებულს) უნდათ მწერალთა 450-წევრიანი კავშირის გაუქმება-მეთქი. „მტრები" თავჩაქინდრულნი სხედან, ხმას არ იღებენ.

ვკამათობთ. მინისტრი და პარლამენტის წევრი გია თორთლაძე ამბობენ, ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, შენობა დაგიბრუნოთ, მაგრამ „მწერალთა კავშირი" მოძველებული ერთობა ხომ არ არისო, ესაო ბევრს აღიზიანებსო. პირდაპირ არ ამბობენ, რომ სააკაშვილი ვერ გვიტანს (თანაც განსაკუთრებით მე და მაყვალა ვძულვართ), მაგრამ მიგვანიშნებენ.

ბოლოს „შევთანხმდით". რასაკვირველია ეს იყო ზუსტად ის მომენტი, ჩათრევას რომ ჩაყოლა სჯობია:

მწერალთა კავშირის სასახლეს (მაჩაბლის 13) დაერქმევა „მწერლის სახლი", სასახლეში განთავსდება მწერალთა კავშირის სამი კომისია: კლასიკური მემკვიდრეობის კომისია, ლიტერატურული დაოსტატების სალონი და ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის კომისია, „მწერლის გაზეთის", „მნათობის" და „ცისკრის" რედაქციები, აგრეთვე ლიტერატურული ფონდი.

ახლა, თუ შეგვიძლია, ხვალიდანვე შევიდეთ შენობაში-მეთქი, არაო, მინისტრმა, ჯერ გავარემონტებთ და, ალბათ, სექტემბერში შეხვალთო. იქნებ რამე დოკუმენტი გავაფორმოთ, თორემ საქმე ისე მიდის, შეიძლება ცხრა აპრილის მერე თქვენი ხელისუფლება აღარ იყოს და მერე ვისთან ვარკვიოთ-მეთქი სამართალი. ჩვენაო, ნიკა რურუამ არსად წასვლას არ ვაპირებთო. თქვენ თუ აპირებთ წასვლას, სხვა საკითხიაო. ეგ იმან იცის-მეთქი, თითი მაღლა ავიშვირე.

მე ვფიქრობ, ეს „შეთანხმება" ხელისუფლების ფანდია, სატყუარაა, „პირბადეა" საცხრააპრილოდ გადმოგდებული. მებრძოლი მწერლები რომ გაგვაჩუმონ. იქნებ ხელშეკრულება დღესვე გავაფორმოთ-მეთქი, მინისტრს რომ ვუთხარი, რა საჩქაროაო, ნუთუ სიტყვაზე არ გვენდობითო.

ახლაო, გვთხოვა, ტელევიზიას განუცხადეთ, რომ შევთანხმდითო.

აი, თურმე რისთვის იყო საჭირო ჩვენი „სერობა".

გამოვედით და დამხვდა უამრავი „კამერა".

მე ვთქვი: თუ ესეც მორიგი ტყუილი არ აღმოჩნდა, როგორც ჩანს, ხელისუფლება ნანობს 2007 წლის 21 აგვისტოს მწერალთა კავშირის დარბევის შემზარავ დანაშაულს და მისი „გამოსწორება" გადაუწყვეტია-მეთქი. მწერალთა კავშირს მის კუთვნილ შენობაში ჯერჯერობით მხოლოდ სამი ოთახი გამოგვიყვეს, დანარჩენ 22 ოთახს კულტურის სამინისტრო იტოვებს-მეთქი.

ჩემთვის მთავარია, რომ ამ ისტორიულ სასახლეს „მწერლის სახლი“ დაერქმევა და იგი აღრა გაიყიდება-მეთქი.

არავის ეგონოს, რომ მე და რეზო ჭეიშვილი ერთმანეთს დავჭამთ; ვინ დაჯდება ფანჯარასთან-მეთქი. ჩვენ უფრო დიდი საქმეები გვაქვს, ვიდრე „ფანჯარასთან დაჯდომა“ და კაბინეტში ყოფნაა. საქართველო უნდა გადავარჩინოთ-მეთქი.

ყველა ჭეშმარიტი მწერალი ერთმანეთის ძმა და მეგობარია და რას მიქვიან მწერალთა კავშირის წევრობა. მე არასოდეს განმისხვავებია მწერალი იმის მიხედვით, უდევს თუ არა ჯიბეში „წევრობის წიგნაკი“ მეთქი.

რასაკვირველია, ტელევიზიებმა ჩემი ნათქვამი დაჩეხეს და სამიოდე წინადადება დატოვეს.

18 მარტს შოთა ნიშნიანიძის საფლავთან მოვგროვდით შოთას მეგობრები, ოჯახის წევრები, მოსწავლეებიც მოვიდნენ ყვავილებით ხელში. მინისტრს ვთხოვე, 12 მაისს მარჯანიშვილის თეატრში შოთა ნიშნიანიძის 80 წლისთავის იუბილე ჩავატაროთ-მეთქი. დაგვეთანხმა.

18 მარტს კონსერვატორიაში ნიჭიერი კომპოზიტორის გოგი ჩლაიძის საავტორო საღამოს დავესწარი.

21.III. 2009 – 8.IV. 2009

„საქართველოს რესპუბლიკა“-ში გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ მწერალთა კავშირის შენობასთან დაკავშირებით, ვთქვი, 27 ოთახიდან 3 ოთახი უნდა მოგვეცეს და თანაც გახარებული უნდა ვიყოთ-მეთქი. ხელთ არავითარი დოკუმენტი არა გვაქვს და მეშინია, ესეც ხელისუფლების საცხრააპრილო მორიგი სატყუარა არ იყოს-მეთქი.

22 მარტს პანტომიმის თეატრში ამირან შალიკაშვილის 70 წლისთავის იუბილე ჩატარდა.

წარმოადგინეს ჩემი „ტერენტი გრანელი“, მერე ამირან შალიკაშვილის შესრულებით „პანტომიმური ნოველები“ და ბოლოს იუბილარს მივესალმეთ: გიგა ლორთქიფანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, მე, მაყვალა გონაშვილი, დავით ტაკიძე, ვაჟა აზარაშვილი, ზურაბ ქაფიანიძე, შალვა დავითაშვილი, ომარ მხეიძე, რეზო ადამია, ტარიელ ხავთასი და სხვები.

გულწრფელი, ლამაზი იუბილე შედგა. ამირანი უნიჭიერესი კაცია და ყოველგვარი სიკეთის ღირსია. საიუბილეო ბანკეტს მე ვუთამადე.

25 მარტს სამების ტაძარში მარინე ცხვედიაშვილის და ჯემალ კუხალაშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

ორივენი ნიჭიერი ახალგაზრდები არიან. ჯემალი საყოველთაოდ ცნობილი მხატვარია, მარინე ორიგინალური პოეტი.

დამირეკა სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ლევონ ანანიანმა. შვილის ქორწილი მაქვს და ერევანში ქორწილის თამადად გეპატიჟებიო. ვერ მივდივარ. ჯერ ერთი 27-ში ოთარ ბაქანიძის 80 წლისთავს უნდა წარვუძღვე, ხოლო 28-ში ჩემი მეგობრის ბადრი ქუთათელაძის დაბადების დღეა (60-ის ხდება) და ვერ ვუღალატებ.

სააკაშვილმა რეპრესიები დაიწყო, რა თქმა უნდა, ველოდით, დაპატიმრებულია ნინო ბურჯანაძის პარტიის 10 წევრი და რაც მთავარია ნიჭიერი

ოპოზიციონერი ჟურნალისტი მალხაზ გველუკაშვილი. ტელევიზია ყოველ-დღე ფარულ ჩანაწერებს უჩვენებს ოპოზიციონერებზე, როგორც ირკვევა, ყველას გვისმენენ და გვითვალთვალებენ. ჭეშმარიტად პოლიციურ სახ-ელმწიფოში ვცხოვრობთ და მიუხედავად ამისა, არ უნდა შეგვეშინდეს და ყველანი უნდა გავიდეთ 9 აპრილს სააკაშვილის საპროტესტო მიტინგზე (რა-საკვირველია, ვინც დაჭერას გადავურჩებით).

31 მარტს უნივერსიტეტის VIII კორპუსში (გურამ შარაძის სახელობის მუზეუმში) ზვიად გამსახურდიას ხსოვნის დღე აღვნიშნეთ, ზვიადი 70-ის გახდა, კოკო გამსახურდიას შემდეგ სიტყვა მე მომცეს. მოვიგონე ჩვენი სტუდენტობა. გავიხსენე 1974 წელს ზვიადმა რომ კონსტანტინე გამსახ-ურდიასთან წარმადგინა, მასთან უკანასკნელი დიალოგი რომ ჩავიწერე და გამოვაქვეყნე „განთიადში“, ვთქვი, საქართველოს დღეს რაც ჭირს, იმის გამო ჭირს, რომ ერს ზვიად გამსახურდიას გზიდან გადაახვევინეს-მეთქი. მეცინება მიშიკო ზვიადს რომ ფრთებს ატოლებს-მეთქი, კატა და ლომი უფრო ჰგვანან ერთმანეთს, ვიდრე ზვიადი და სააკაშვილი-მეთქი.

„რუსთავი 2“-მა ჩამწერა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ გადასცეს.

იმავე დღეს, 31-ში 2 საათზე სრულიად საქართველოს ეროვნულ ყრი-ოლბას დავესწარი როგორც სრულუფლებიანი დელეგატი. მწერლებიდან მხოლდ 3 – მე, ჯანსუღ ჩარკვიანი და სოსო სიგუა ვესწრებოდით. გახსნა კაკო ასათიანმა, გამოვიდნენ კოკო გამსახურდია, გუბაზ სანიკიძე, სალომე ზურაბაშვილი, გია მაისაშვილი და სხვები. დროებითი მთავრობის არჩევა გადადეს, მივიღეთ რეზოლუცია, რომ მხარი დავუჭიროთ 9 აპრილის აქციას.

1 აპრილს შალვა დავითაშვილის შემოქმედებით საღამოზე ვთქვი სი-ტყვა – სამების ტაძარში.

თეთრიწყაროდან შალვა ამირანაშვილის ქალიშვილი ქეთინო მესტუმ-რა და მაგიდაზე დამიდო 400-გვერდიანი ხელნაწერი. გადავშალე, აწერია “XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარი და რევაზ მიშველაძის შემოქმედება“. გაოცებისგან პირი დავაღე. შალვამ შარშან გამოსცა წიგნი „ხიბლი რევაზ მიშველაძის ნოველებისა“, ეს როდის დაწერა, როდის მოასწრო. რა კეთილ-შობილი უნდა იყოს კაცი, რომ ამხელა მოულოდნელობის წინაშე დაგაყენოს. შალვა სოფელში ცხოვრობს. სოფელს ჯორჯიაშვილი ჰქვია. დღისით მიწას ეჭირდება, ღამით ლამპის შუქზე წერს ბრწყინვალე ნოველებს, ესეებს და კრიტიკულ წერილებს. თუ ვინმეა უანგარო და კეთილშობილი, სწორედ შალ-ვაზე ითქმის.

7 აპრილს მარიკა ბარათაშვილის სურათების გამოფენა მოეწყო ხელ-ნაწერთა მუზეუმში. კედლებზე 100 წლის პოეტის საოჯახო ალბომი იყო გამოფენილი. მისმა ულამაზესმა შვილიშვილმა – ნანულის გოგომ (მგონი ირმა ჰქვია) მაჩუქა ბრწყინვალედ გამოცემული მარიკას მოგონებების წიგ-ნი „ასი წლის გადასახედიდან“. სიტყვები ვთქვით მაყვალამ, ჯანსუღმა, მე, დოდო იორდანიშვილმა და სხვებმა.

იმავე დღეს საღამოს მაყვალამ და მე თბილისის მეხუთე საავადმყოფში (31-ე ქარხნის ტერიტორია) ოტია იოსელიანი მოვინახულეთ.

ოტია იოსელიანი დღეს ჩამოიყვანეს გერმანიიდან ნაოპერაციევი და მისი სურვილით ქალაქის ყველაზე განაპირა საავადმყოფოში მოათავსეს.

საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ავთო გულიაშვილმა გვითხრა, მდგომარეობა უიმედოაო. წინამდებარე ჯირკვლის კიბოს მეტასტაზები მთელ სხეულზეაო მოდებული.

ოტია გარეგნულად მხნედ, ყინჩად გვესაუბრა, მაგრამ მის თვალებში ამოვიკითხე, რომ ყველაფერი იცის.

ასეთ დროს მიღებული ყალბი გულისგაკეთებით დავიწყე:

– ოტია, შენი ავადმყოფობა რავა შეიძლება, შენი მედი აქვს საქართველოს.

– რაცხა ვერ ვატყობ, რო საქართველო ჩემ იმედზე იყოს.

– ყველას უყვარხარ, ოჯახი არ არის საქართველოში შენი წიგნი რო არ იდოს.

– შენ ჩემზე ნაკლებად არ იცი, რეზო, რო წიგნს დადება კი არა, წაკითხვა უნდა.

– არც მკითხველები გაკლია.

– არ დეიჯერო მაგ ამბავი, ჩვენ თავს ვიტყუებთ ეს ოცი წელიწადია, თვარა ვის ჭირდები, ვინ მიგდებს ყურს. მაგენს რომ მწერლისთვის ყური დაეგდოთ, ქვეყანა ასე დაქცეული არ იქნებოდა.

– ასე უიმედოდაა ვითომ საქმე?

– ვერ ხედავ, მოთავებულია საქართველოს ამბავი. დევედით თხლეზე. ამ გიჟმა მთლად მოგვიღო ბოლო.

– მითხრეს, ოპერაციამ კარგად ჩაიარაო, – ვცადე სხვა არხზე გადამერთო საუბარი, მაგრამ თვითონ აქეთ გადმომქაჩა.

– რას დევეძებ ოპერაციას. კაი იყო თავიდან არ მივსულიყავი ექიმთან. რავა შეიძლება რეზო, მაყვალასთან ბოდიში მომიხდია, პროსტატაზე დანის მიკარება. შენ სხვა მითხარი, ქვეყნის საქმე როა უიმედოთ, იმაზე ვიტიროთ, თვარა ჩემი თავი ჯანდაბას.

– შენნაირები მოურჩენიათ ქირურგებს? ახლა სხვათა შორის, მაგ ოპერაციას შეუცთომლად აკეთებენ.

– კი... აბა, კონსტანტინე გამსახურდია, შოთა ნიშნიანიძე და ლევან სანიკიძე ხო მოარჩინეს. ქე არიან ახლა იმ ქვეყნად საიმედოდ დაბინავებულები.

– კაი, თუ კაცი ხარ, იმათ სხვა რამ სჭირდათ.

– დავანებოთ მაგას თავი. რუსთაველი ამბობს „რაცა ღმერთსა არა სწადდეს არა საქმე არ იქნების“. შენ იცი, მე დიდი მორწმუნე არ ვარ, მარა რუსთაველის ნამდვილად მწამს, რას შობით ზეგ?

– შევიკრიბებით რუსთაველზე და თუ ხალხის ნება იქნა გავუშვებთ ამ ხელისუფლებას.

– არაა მაგი მთლად იოლი საქმე. სააკაშვილი შევარდნაძე არაა, იცოდე შენ, იმას ეშმაკობა არ აკლდა, მარა სიბრძნეც ჰქონდა. ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობდა. ამას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, შიშველი გადარეულია და რას მოიმოქმედებს მისი ამღვრეული გონება კაცმა არ იცის.

– ერთი ნაბიჯი არ გადმოდგა ხალხისკენ. ერთი ნაბიჯით არ დაიხია საქართველოს განადგურების გზიდან. ამ ცხელ დღეებში ჰაერში რო რევოლუციის სუნი ტრიალებს, იმას მაინც გავაკეთებდი, რომ ეროვნების და მამის სახელის გრაფას აღვადგენდი საბუთებში, უნივერსიტეტს გავაცოცხლებდი,

მეცნიერებათა აკადემიას ავაღორძინებდი, ფიზკულტურის აკადემიას დავუბრუნებდი ქვეყანას, მწერლებს და ჟურნალისტებს თავის სახლში დავაბრუნებდი.

– აპა, დაგვიბრუნეს მწერალთა კავშირის შენობაო?

– შენც არ მომიკვდე, აგერაა მაყვალა, დაგვიბარა მინისტრმა და გამოგვიცხადა 27 ოთახიდან 3 ოთახს მწერალთა კავშირს დაგიბრუნებთო.

– დანარჩენი?

– დანარჩენი ჩვენი იქნებაო. დაწერე განკარგულება-მეთქი. ვიცოდი, რომ ამათი სიტყვის ნდობა არ შეიძლება.

– რა გეჩქარებათო. სიტყვაზე არ გვენდობითო? ტკბილი ღიმილით გამოვგისტუმრა – თქვა მაყვალამ.

– ამაზეც ფეხი აითრია. ყოველდღე ვურეკავ მინისტრის თანაშემწეს და მეუქნება, მინისტრმა თქვა, ჯერ ვერ მოვიცალეო. რემონტის ამბავს გავარკვევ და მერე დავწერ ბრძანებასო, – დავამატე.

– რას გეტყვით, იცით? შეცდომა დაგიშვიათ, რა გქონდათ მაგენის სამათხოვრო. რას ჰქვია ოცდაშვიდი ოთახიდან სამს გიბრუნებთო. რა გვჭირს მაგენის სამოწყალო, შენობა მთლიანად ჩვენია.

– სადაა სამართალი, ჩემო ოტია. სულ არაობას სამი ოთახი ვარჩიეთ. ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინეთ. ორი წელია ქუჩაში ვართ. პატრიარქს სამების ტაძარში რომ არ შევეფარებინეთ, ვერცერთ იუბილეს, შემოქმედებით საღამოს ვერ გავმართავდით. სხვა ქვეყნებიდან სტუმრები რომ ჩამოგვდიან, არ ვიცით, სად მივიღოთ, ვატყუებთ მწერალთა კავშირში რემონტი გვაქვსო და სახლში მიგვყავს.

– რატო, რატო არ ეუბნებით სიმართლეს. რას უნახავთ ნამუსს ამ უნამუსოებს. უთხარით, რომ ყაჩაღმა მთავრობამ საკუთარი შენობიდან ხუთასი ქართველი მწერალი გამორეკა.

– ისედაც ყველამ ყველაფერი იცის. ნამუსს ვუნახავთ კი არა, ორ კვირაში ერთხელ მწერალთა კავშირის შენობის წინ მიტინგს ვმართავთ.

– მერე?

– შეაყარე კედელს ცერცვი. ამათ არაფრის რცხვენიათ. გულს რომ მოვიოხებთ სიტყვით, ფანჯრებს გააღებენ მწერალთა კავშირში ჩაბუდებული პოლიციელები და ნაღვლიანი თვალებით შემოგვცქერიან.

– რას ამბობენ?

– რაო და ჩვენ პატარა ხალხი ვართო, დაგვავალეს ცოცხალი თავით თავის სახლში მწერლები არ შეუშვათო და ჩვენც ვასრულებთ ბრძანებასო.

– სანამ აპირებთ ამ დღეში ყოფნას.

– მინისტრს ვთხოვეთ მე და მაყვალამ, ერთი საშვი მაინც გამოგვიწერე, რომ შენობაში დამლაგებელი შევუშვათ, მწერლების პირად საქმეებზე მტვერი რომ გადაწმინდოს. ორი წელია ნადგურდება არქივი.

– რა გიპასუხათ?

– არაო.

– ქუჩაში რო ნივთები გადაყარეს, რა ბედი ეწია?

– ვანის ქუჩაზე 1937 წელს აშენებულ საკონფისკაციო არქივში იატაკზე დაყარეს, ნახევარი პირწმინდად დაკარგულია. მაგალითად, გალაკტიონის

მიერ მოტანილი წიგნების კარადა და უამრავი მემორიალური ნივთი არსად ჩანს.

– კონსტანტინე გამსახურდიას სავარძელი იდგა სარკესთან მარჯვენა მხარეს.

– იმ სავარძელს, მწერალთა კავშირის დარბევის დღეს ვსტაცე ხელი და ჩემს სამუშაო კაბინეტში ავიტანე, ქუჩაში რომ არ გადაეგდოთ, ახლა აღარ ვიცი, იქ არის თუ არა. არ მიშვებენ და როგორ უნდა გავიგო.

– სადმე, რომელიმე ქვეყანაში თუ გნებავთ, გერმანიაში ჰიტლერის დროს თუ მომხდარა ასეთი საძაგლობა, თუ იცით ამნაირი მაგალითი.

– არსად, ოტია, მწერალთა კავშირის დარბევა-დაწიოკება არცერთ დიქტატორს არ მოსვლია თავში.

– მეც ასე ვიცი. ამას რა ჭირი და სნება შეეყარა ამნაირი. ასე რამ შეაძულა მწერალი.

– მარტო მწერალი კი არა, საკუთარი სამშობლო, ჩემო ოტია...

ექიმი შემოვიდა და ბოდიშით გვაუწყა – გადასხმა უნდა დავიწყოთო.

გამომშვიდობებისას ოტიამ ძველებურად ვერა, მაგრამ ხელზე-ხელი მოგვიჭირა და დაგვამუნათა:

– ჭკუით იყავით, ჭკუით. გველეშაპს მხოლოდ ჭკუით ამარცხებენ.

ზეგ 9 აპრილია.

რასაკვირველია, ყველა საღად მოაზროვნე მწერალი რუსთაველზე დავდგებით საქართველოს გადასარჩენად.

9.IV.2009 – 25.V.09

ცხრა აპრილს თბილისში გრანდიოზული მიტინგების სერია დაიწყო სააკაშვილის დიქტატორული, ანტიეროვნული რეჟიმის წინააღმდეგ.

პირველ დღეს (9 აპრილს) რუსთაველის პროსპექტზე ნახევარ მილიონამდე კაცი გამოვიდა. პარლამენტის წინ სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ოპოზიციის ლიდერები: ლევან გაჩეჩილაძე, გუბაზ სანიკიძე, დავით გამყრელიძე, კახა შარტავა, გოგა ხაინდრავა, კახა კუკავა, შალვა ნათელაშვილი, ნინო ბურჯანაძე, სალომე ზურაბიშვილი, ირაკლი მოლაშვილი, ირაკლი ალასანია და სხვანი.

მართალია ლიდერები სხვადასხვა პარტიას წარმოადგენენ და საქართველოს მომავალ პოლიტიკურ მოწყობაზეც განსხვავებული აზრები აქვთ, მაგრამ ჩემთვის ფრიად სასიამოვნოა, რომ დღეს ისინი მხარდამხარ დგანან ერთი სურვილით ანთებულნი – უპირობოდ გადადგეს მიხეილ სააკაშვილი და დაინიშნოს ახალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები.

მე და სოსო სიგუა, რა თქმა უნდა, წინა რიგებში ვდგავართ. რუსთაველზე დიდი სივიწროვეა და პატარა პანიკა რომ ატყდეს, ან პროვოკატორმა ჰაერში გაისროლოს, შეიძლება ჭყლეტვაში ადამიანებმა ერთმანეთი გადათელონ.

9 აპრილის მიტინგი გვიან ღამით დამთავრდა, მაგრამ ლიდერებმა გამოაცხადეს – ჩვენ სააკაშვილის გადადგომამდე დაშლას არ ვაპირებთ, ყოველ დღე პარლამენტთან მიტინგი 3 საათზე განახლდებაო.

მომდევნო დღეებში ოპოზიციამ ბრძოლის ფორმები გაამრავალფეროვ-

ნა, პარლამენტთან, ტელევიზიასთან და პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან ამბოხებულებმა კარვები დასცეს და საკნები დადგეს. ამით ზემოთ ხსენებული 3 შენობა თითქმის პარალიზებული გახადეს.

რაც შემიძლია ვმონაწილეობ ამ საერთო სახალხო რევოლუციაში. საერთოდ, მეამაყება, რომ ქართველი მწერლები ახლაც ბრძოლის ავანგარდში ვართ.

მიტინგები მიჰყავს დათო მაღრაძეს (სააკაშვილის ჰიმნის ავტორს) და პრეზიდენტის რაზმის ყოფილ წევრს, რომელიც დროულად მიხვდა, რომ სააკაშვილის ანტიეროვნული პოლიტიკა დამღუპველია ქვეყნისათვის. აგრეთვე პოეტ ლია ნაროუშვილს.

მიტინგებზე უკვე გამოვედით: ჯანსუღ ჩარკვიანი, რევაზ მიშველაძე, მაყვალა გონაშვილი, დავით შემოქმედელი, ვაჟა ოთარაშვილი, ნანა წითელაშვილი, ნათია ავსაჯანიშვილი და სხვები.

ტრიბუნაზე დგომის დროს 15 აპრილს ლევან გაჩეჩილაძეს, გუბაზ სანიკიძეს და გოგა ხაინდრავას გავესაუბრე: უფრო აქტიურად უნდა ვიმოქმედოთ, სახელმწიფო კანცელარიას და პარლამენტს ალყა უნდა შემოვარტყათ-მეთქი. ვერ ამიხსნია-მეთქი თქვენი ყოყმანი. თუ 2003 წლის 22 ნოემბერს პარლამენტში სააკაშვილის შემოვარდნა კანონიერი იყო, ახლა რატომაა ოპოზიციის მიერ იგივე საქციელი არაკონსტიტუციური-მეთქი. მიპასუხეს, ბატონო რეზო, ყველაფერი დაგეგმილი გვაქვსო, თუ გაჭირდა, მაგ ნაბიჯსაც გადავდგამთო. ისე თუ მშვიდობიანად გინდათ სააკაშვილის გაშვება, ზვიადის უზენაესი საბოჭ და 2003 წლის პარლამენტი უნდა შევიკრიბოთ და რაკიღა ორივე პარლამენტი რეპრესირებულია და ამავე დროს კანონიერად არჩეული, იქნებ ამ გაერთიანებულმა პარლამენტმა განახორციელოს-მეთქი სააკაშვილის იმპიჩმენტი და ახალი არჩევნების დანიშვნა. ეგაო, ჭკვიანური აზრიაო, მაგრამ რაღა დროს ზვიადის პარლამენტიაო. ეგ რო გავაკეთოთ, ისინი იმ დროინდელი მთავრობის აღდგენასაც მოგვთხოვენ და მანანა არჩვაძეს შემოგვთავაზებენ პრეზიდენტადო.

ერთი სიტყვით, ვნახოთ რა გამოვა.

მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ლიდერებს დაღლას ვერ ვატყობ.

ეს მარტო თბილისის რევოლუცია არ არის-მეთქი, ვუთხარი გუბაზ სანიკიძეს, რაიონებში უნდა გახვიდეთ და როგორც სააკაშვილმა ჩამოიყვანა ხალხი ავტობუსებით, თქვენც ისე უნდა გააკეთოთ-მეთქი.

კიო, გუბაზმა, ნააღდგომევს ორშაბათს გავდივართ რაიონებშიო.

ინტერვიუები ბრძოლის ბოლომდე გაგრძელების და სააკაშვილის საძაგელი რეჟიმის წინააღმდეგ უკვე გამოვაქვეყნე გაზეთებში: „ალია“, “საქართველო და მსოფლიო“, ჟურნალებში „რეიტინგი“ და „გუმბათი“, გაზეთ „რეზონანსში“ დავბეჭდე „რევოლუციური ჩანახატი“.

გული მწყდება, რომ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელები თამაზ გამყრელიძე და როინ მეტრეველი ჩირგვებში იმალებიან და სხვისი ხელით ნარის გლეჯვის პოლიტიკას ადგანან.

ასევე გული მწყდება, რომ ამ სახალხო რევოლუციაში ირაკლი წერეთელი არ მონაწილეობს.

სად არის ირაკლი?

როგორ შეიძლება ირაკლის უგულვებელყოფა? ჩემამდე ხმა მოვიდა, რომ ოპოზიციის ლიდერებმა იგი გაანაწყენეს, ურბინეს, წინა რიგებში არ ჩაიყენეს.

დღეები დღეებს მისდევს. სამწუხაროდ, რუსთაველზე (ესე იგი მთელს საქართველოში) არაფერი იცვლება.

ყოველდღიურად 5 საათზე იწყება მიტინგი. მოდის თბილისის ყოველი კუთხიდან 10 ათასამდე კაცი. რევლუციის ლიდერები ყოველდღე სხვადასხვა სიტყვებით ლანძღავენ სააკაშვილს, მაგრამ ამის იქით საქმე არ მიდის.

სააკაშვილი თავდაპირველად შეშინებული იყო, როცა დარწმუნდა, რომ ეს მარტოოდენ ვეგეტარიანული რევოლუციაა, შეტევაზე გადმოვიდა. ჯერ იყო და რუსთაველზე სახელდახელოდ მოწყობილ საკნებს (ერთი საკანი №21 მწერლებისაა, რომელშიც მორიგეობით ვათევთ ღამეს მწერლები) გადაცმული კგბ-შნიკები მიუსია. თითქოსდა „მშვიდობიანი მოქალაქეები“ არიან და გზის გადაკეტვას აპროტესტებენო, ეს „მშვიდობიანი მოქალაქეები“ მუშტიკრივზე გადმოვიდნენ და ჩვენგანაც მაგრად მოხვდათ ცხვირში.

6 მაისს პოლიციამ სამ ოპოზიციონერ ყმაწვილს ტელევიზიის წინ პროვოკაცია მოუწყო და დააპატიმრა ხულიგნობის ბრალდებით. იმ დღესვე დაახლოებით 5 ათასი კაცი გია გაჩეჩილაძის წინამძღოლობით გავემართეთ დიღომში, პოლიციის სამმართველოსკენ. ვითხოვდით 3 არასრულწლოვანი პოლიტპატიმრის გათავისუფლებას.

პოლიცია ხელკეტებით და რეზინის ტყვიებით „გაგვიმასპინძლდა“. ორ კაცს რეზინის ტყვიით თვალი ამოუგდეს, სასტიკად სცემეს გია გაჩეჩილაძე, ხოლო ლევან გაჩეჩილაძეს, ზვიად ძიძიგურს, გია მაისაშვილს, შალვა ობგაიძეს და სხვებს შუბლში მოარტყეს ტყვიები (რეზინის) დამიზნებით. სისხლი გვადინეს, მაგრამ რაკი დაინახეს, რომ უკან დახევას არ ვაპირებდით შეეშინდა სააკაშვილს და იმ სამი ყმაწვილი გამოაშვებინა. ეს იყო ამ 5 წლის განმალვობაში პირველი უკანდახევა პრეზიდენტის.

12 მაისს მარჯანიშვილის თეატრში შოთა ნიშნიანიძის 80 წლისთავის იუბილე ჩავატარეთ. ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი, კულტურის მინისტრიც კი არ მოვიდა. ამირან შალიკაშვილის თეატრი პოლონეთში თეატრალურ ფესტივალზე უნდა წასულიყო. მინისტრმა უარი უთხრა დაფინანსებაზე. დავურეკე მინისტრის მოადგილეს და ვუთხარი, ხვალ დილით ყველა გაზეთში იქნება, როგორ სამარცხვინოდ იქცევით-მეთქი, შეეშინდათ და რაღაც კაპიკები გამოუყვეს თეატრს.

17 მაისს აჭარაში, მაღალმთიან სოფელ გეგელიძეებში ფრიდონობაზე მიგვიწვიეს. მაყვალა, მე, თეიმურაზ ლანჩავა, სოსო სიგუა და სხვები ვიყავით, კარგად ჩაიარა.

20 მაისს სამების ტაძარში გურამ შარაძის გარდაცვალების 2 წლისთავი აღვნიშნეთ. პირველი სიტყვა მე ვთქვი.

15 მაისს აბაშის გამგებელმა გურამ გუნავამ აბაშაში კონსტანტინეობაზე მიგვიწვია მე და სოსო სიგუა. ზეიმი მანანა არჩვაძემ (ზვიად გამსახურდიას ცოლი) ჩაგვაშხამა, მე და სოსოს გვითხრა, რატომ ებრძვითო სააკაშვილს, იგი მშვენიერი პრეზიდენტიაო. მანანა არჩვაძე თუ ასეთი სულგრძელი აღმოჩნდებოდა, ვერ ვიფიქრებდი. თურმე საქმე ის არის, რომ სააკაშვილს მა-

ნანასთვის – როგორც პრეზიდენტის ქვრივისთვის პენსია დაუნიშნავს, ხოლო მისი შვილი გიორგი გამსახურდია აფხაზეთის შსს-ს მინისტრის მოადგილედ დაუნიშნავს ... და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ზვიადის ცოლი სოროსელ სააკაშვილის მომხრედ ქცეულიყო.

ხვალ 26 მაისია, საქართველოს დაბადების დღე. თუ ხვალ არ დამთავრდა სააკაშვილი, მერე მისი გადაშენება კარგა ხნით გადაიდება.

დღეს გაზეთ „ქრონიკაში“ ჩემი და რამაზ კლიმიაშვილის წერილებია. ორივენი თითქმის ერთი აზრისა ვართ, იმის შესახებ, რომ ოპოზიცია შიშის გამო აჭიანურებს იმგვარი შეტევის განხორიელებას, პარლამენტზე და სახელმწიფო კანცელარიაზე რომ ჩაატარა 2003 წლის 22 ნოემბერს.

დამატებით რამაზ კლიმიაშვილი აცხადებს მოკვლით მემუქრებიან და ალბათ ორ დღეში ბოლოს მომიღებენო...

ამ დილით ვიღაც ნაძირალებმა ტელეარხ „მაესტროს“ ხელყუმბარა ესროლეს ზუსტად 3:00 საათზე.

იერიშზე გადმოდის სოროსელი გარეწარი.

ერთი წამითაც არ მეშინია, მაგათი ხელობა ხომ სიკვდილია.

ოპოზიციის ლიდერთა ერთი ნაწილი, როგორც დამპირდნენ, დასავლეთ საქართველოში გავიდა. უცნობის – გია გაჩეჩილაძის წინამძღოლობით მოიარეს ბათუმი, ზუგდიდი, ლანჩხუთი, ქუთაისი, სახელდახელო საპროტესტო მიტინგებს უამრავი კაცი დაესწრო, 25-ში დილით დემონსტრაციას გია გაჩეჩილაძე თბილისისკენ გამოუძღვა, ამაღამ მცხეთაში გაათევენ ღამეს და ხვალ – 26-ში თბილისში შემოვლენ.

ვნახოთ, რა იქნება ხვალ!

26.V.09 – 21.VII.09

დღეს 26 მაისია.

ოპოზიციის ლიდერებმა ეროვნულ სტადიონზე შეგვკრიბეს.

მოვედით ქართველები, ერთგულად უღალატოდ. სტადიონი გადაიჭედა. დაახლოებით 80 000 კაცი მოვიდა.

მიუხედავად ლევან გაჩეჩილაძის დაპირებისა, ეს შეხვედრა მიტინგად არ გადაიქცევაო, ეროვნულ ყრილობას ჩავატარებთ და სააკაშვილის გადაყენებას დავადგენთო, 80 000 გაუბედურებული ქართველი მაინც მოტყუებული დარჩა.

როგორც მოველოდი, ოპოზიციამ „ცეცხლოვანი“ გამოსვლებით შეიყოლია ხალხი, თითქმის ყველა ლიდერი გამოვიდა შალვა ნათელაშვილის გარდა.

წუხელის გვიან ღამით „მაესტრომ“ გვაუწყა „უცნობი“ პატრიარქს შეხვდაო. გულმა რეჩხი მიყო. რაღაცაშია საქმე, თორემ დასავლეთ საქართველოდან ფეხით ჩამოსულ, ცოცხალ-მკვდარ გია გაჩეჩილაძეს პატრიარქთან რა მიარბენინებდა-მეთქი.

„გრანდიოზული მიტინგი“ დასასრულს უახლოვდება. სულ ველი, აი, ახლა უყრიან კენჭს სააკაშვილის გადაგდებას, ან გამოაცხადებენ სამად გავიყოთ და დავიკავოთ პარლამენტი, სახელმწიფო კანცელარია და პრეზიდენტის რეზიდენციაო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. ესტრადა – ფიცარ-

ნაგზე ძლივს აათრიეს „უცნობი“, რომელმაც გამოაცხადა, ახლა ყველანი სამების ტაძარში მივიდეთ და პატრიარქთან ერთად ვილოცოთო.

ლოცვა მინდა მეე?

ხალხი გაოგნდა, მოღალატეებო! დაიძახა ვიღაცამ.

– არ დავიძრათ! – იყვირა მეორემ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მოტყუებული, გაბითურებული დამცირებული ხალხი გასასვლელისკენ მიეშურებოდა.

მთელი სხეული მიცახცახებს შეურაცხყოფისგან.

აღარ მახსოვს როგორ მოვედი შინ.

კიდევ ერთხელ გამართლდა ჩემი ავი წინათგრძნობა.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ოპოზიციის ბელადებთან კი არა, სააკაშვილის მორჩილ ოპოზიციასთან გვაქვს საქმე.

საღამოს სამების ტაძრიდან ოტებული, გაწბილებული ხალხი კვლავ რუსთაველის პროსპექტს მოადგა.

სალომე ზურაბიშვილმა გაბედა ხალხისთვის ტყუილების ახალი კასკადი დაეფრქვია თავზე, მაგრამ ხალხმა სტვენა დაუწყო. „მატყუარებო“, „თვალთმაქცებო“, „გარეწრებო“, ისმოდა შეძახილები. გამოვიდა „ტრიუმფატორი“ გია გაჩეჩილაძე და რომ უსტვინეს, ტირილი დაიწყო, უცებ დაჩიავდა, დაპატარავდა კაცი, რომელიც დილით 12 საათზე ხელში აყვანილი, ვაშა-ურათი მიიყვანეს სტადიონზე, ასეა: მასხარას თავისი ადგილი აქვს... მასხარამ ბელადობა არ უნდა მოინდომოს, თორემ აუცილებლად დამარცხდება, საერთოდ კი „ბელადობიდან“ არარაობად ქცევამდე ერთი ნაბიჯია. ვინც აღგაზევა, იგივე დაგამხობს.

„მეო, მღვდელი გაპონი არა ვარო, გიამ, „მე თქვენთვის არ მიღალატიაო. პატრიარქი ხელისუფლებამ ორი საათით დააპატიმრაო. წუხელი პატრიარქი დამპირდა, რომ თქვენ სამების ტაძარში მიმეყვანეთ, სადაც პატრიარქი გამოაცხადებდა, რომ ურჩევს სააკაშვილს გადადგესო.

ასე შევთანხმდითო. უეცრად ტაძარში მერაბიშვილი და უგულავა შემოიჭრნენ და პატრიარქს საკურთხეველში შეუვარდნენო. პატრიარქს შეეშინდა და თავისი დანაპირები ვერ შეასრულაო.

სინამდვილეში პატრიარქმა 180%-ით შეატრიალა თავისი „დაპირება“. პირიქით ხალხს უთხრა, სააკაშვილის გადაყენება არ გაბედოთ, ხომ ნახეთ, ერთხელ პრეზიდენტის გადაგდებამ რა შედეგი მოგვიტანაო.

ასე, ცივი წყალი გადაასხა პატრიარქმა ხალხის სამართლიან რევოლუციურ აღტკინებას. გაჩეჩილაძეები კუდამოძუებულნი გაილალნენ მიტინგიდან.

იმ ღამეს გამყრელიძემ აქოჩრილი ხალხის დასაშოშმინებლად 2 საათით რკინიგზის მაგისტრალი გადაკეტა.

27 მაისს 5 საათზე ისევ განახლდა მიტინგი, მაგრამ ძალიან ცოტა ხალხი მოვიდა. ხელისუფლება ზეიმობს; ოპოზიცია ფაქტიურად დაიშალაო, ამის ნიშნები მართლაც არის. კოკო გამსახურდიამ გამოაცხადა, მე საკუთარი გზით ვივლი და ოპოზიციის აქციებში მონაწილეობას აღარ მივიღებო. ალასანია ადრევე აცხადებდა ქუჩის აქციებს ვემიჯნებიო. ყველაზე სავალალო ის იყო, რომ გუბაზ სანიკიძემ გამოაცხადა, ჩვენმა სამიტინგო მოძრაობამ არ

გაამართლა, ფორუმი ცალკე გადის და რაიონებში მივდივარ, რათა მთელი საქართველო ფეხით შემოვიაროო. მართლაც, შეტორტმანდა ჩვენი რევოლუცია. დავრბივარ, ვხვდები ოპოზიციის ლიდერებს. მინდა დაშლის პირას მისული მოძრაობა ისევ შევაკოწიწო. შეიძლება რამე გამოვიდეს.

მწერალთა ყრილობის სამზადისში ვართ. ყრილობა 15 ივნისს უნდა გაიმართოს. ზოგი მწერალი მოდის და მთხოვს (ანზორ აბულაშვილი, ნოდარ კობერიძე, მურმან თავდიშვილი, ზაურ კალანდია...) თავმჯდომარეობაზე ვიყარო კენჭი. მე უარს ვამბობ, არ მინდა საბუღალტრო საქმეები ჩემს თავზე გადმოვიწერო. უწყისთან და ფულთან ურთიერთობა ყოველთვის მძულდა და ახლაც მძულს. ესეც არ იყოს, მაყვალა არაა ცუდი თავმჯდომარე, კოლეგიალურია. თუ ისევ ამირჩევენ მოადგილედ, თანახმა ვარ; უნივერსიტეტიდან საბოლოოდ ამომიკვეთეს ფეხი სააკაშვილმა და მისმა ბანდამ და მწერალთა კავშირში მაინც ვიმუშავებ. ჯერ კიდევ არ უნდა ვიყო მთლად დაბერებულ-დაჩაჩანაკებული...

ვნახოთ, რა იქნება.

მწერალთა ყრილობა 15 ივნისს მსახიობის სახლში 12 საათზე დაიწყო. ყრილობას 256 მწერალი დაესწრო, კრების თავმჯდომარედ გურამ გოგიაშვილი დაასახელეს. მეორე კანდიდატურად დავით თედორაძე. გურამმა 200 ხმა მიიღო, თედორაძემ – 3.

მერე მოხსენებები წავიკითხეთ მაყვალამ, მე და ოთარაშვილმა.

გამოვიდნენ: მეუფე თადეოზი, თეიმურაზ ლანჩავა, ზურაბ თორია, დათო თედორაძე, ფრიდონ ხალვაში, ვასო გვეტაძე, ვალერიან მამუკელაშვილი, ზაურ კალანდია, გენო კალანდია, ფარნა რაინაული, ბაღათერ არაბული და სხვები.

ბოლოს წაიკითხეს ჭაბუა ამირეჯიბის და ჯანსუღ ჩარკვიანის წერილები იმის შესახებ, რომ ისინი მხარს უჭერენ სამეულის (მაყვალა, მე, ვაჟა) ხელახლა არჩევას, რადგანაც მათ დაშლას გადაარჩინეს თავშესაფარწართმეული მწერალთა კავშირიო.

გურამმა კენჭი უყარა: ღიად იყოს კენჭისყრა თუ დახურულადო. ყველამ ღიას დაუჭირა მხარი.

მერე სათითაოდ გვიყარეს კენჭი და ჩვენ ორნი (მაყვალა და მე) ზარზეიმით აგვირჩიეს. ოთარაშვილს მოკრძალებულმა რაოდენობამ, მაგრამ მაინც უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

ბოლოს მიკროფონთან მივარდნენ „რევოლუციონერები“ ვახტანგ ხარჩილავა, ზაურ კალანდია, შარლოტა კვანტალიანი და სხვები. ზოგი ჰყვიროდა ჩვენ მიშველაძის არჩევა გვინდოდაო, ზოგი იძახდა ხმები არ დათვლილა თორემ მაყვალა ვერ გადიოდაო.

არ იყვნენ მართალნი. ხმები დაითვალეს... საერთოდ ღია კენჭისყრის პრინციპი ასეთია. გურამს რომ ეთქვა: დავასახელოთ თავმჯდომარეობის სხვა კანდიდატურებიცო, დიდი შეხლა-შემოხლა და სათავმჯდომარო მარათონი გაიმართებოდა, მაგრამ გურამს თავმჯდომარედ სხვა კანდიდატურა არ დაუყენებია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მე თვითონ არ მსურდა თავმჯდომარეობა, მე ვხელმძღვანელობ მწერალთა კავშირის შემოქმედებით მხარეს. სხვა რამეები არ მაინტერესებს, ესაა სულ.

ასე რომ აგვირჩიეს მაყვალა (თავმჯდომარედ), მოადგილეებად: მე, ვაჟა ოთარაშვილი და ბაღათერ არაბული, მდივნად დავით ტაკიძე.

28.VII.09 – 20.VIII.09

ცხელა თბილისში.

პატარა აგარაკი მაქვს მუხაწყაროში, მაგრამ არ ავდივარ, რომ უნებლიედ ჩემთვის (და მთელი საქართველოსთვის) საძულველ ორ ნაციონალისტს, ორ პარლამენტარს, ორ სოროსელს ხათუნა ოჩიაურს და ნუგზარ წიკლაურს არ შევეფეთო და „გამარჯობის“ თქმამ არ მომიწიოს. ორივენი იქვე, მეზობლად ცხოვრობენ და თავგადაკლული „მიშისტები“ არიან.

16 ივლისს ქალაქის მერიამ დაგვიძახა მწერლები და ხელოვნების მოღვაწენი. სპორტის სასახლის წინ შევიკრიბოთ და წინანდალში წავიდეთო, ხელოვნების მდგომარეობაზე ვისაუბროთო. რა თქმა უნდა, უარს ვიტყოდი, მაგრამ დამირეკა მამუკა ქაცარავამ. ანგელოზივით სუფთა ბიჭმა, რომელიც ქალაქის კულტურის სამსახურის უფროსია, თუმცა სააკაშვილის ხროვასთან საქმე არა აქვს.

წავედით წინანდალში. მოულოდნელად გამოგვიცხადეს: რამდენიმე გამოჩენილი მწერალი, მუსიკოსი, მხატვარი და მსახიობი "კულტურის ამაგდარის“ მედლით უნდა დაგაჯილდოვოთო. მწერლებიდან ჭაბუა, ოტია, მე, ფრიდონ ხალვაში და გურამ გოგიაშვილი დაგვაჯილდოვეს. უარის თქმა გვიანი იყო. იქედან წაგვიყვანეს თელავში. გიგი უგულავამ 400-კაციანი ბანკეტის თამადობა მთხოვა. უარმა არ გაჭრა. ვითამადე. როცა ერთმანეთს ვშორდებოდით, გიგის და მამუკას ვუთხარი: არ იფიქროთ, რომ რეზო მიშველაძე ხელისუფლებასთან ურთიერთობის დათბობას აპირებს-მეთქი. მე სააკაშვილს საქართველოს გაყიდვას, ეროვნული ფენომენის ფეხქვეშ გათელვას 1000 წელი არ ვაპატიებ და არასოდეს შევურიგდები-მეთქი.

20 ივლისს სააკაშვილი პარლამენტის წინაშე წარსდგა. გამოვიდა ისე, როგორც მოველოდი: ზოგადად, პომპეზურ-სულელურად გამარჯვებულის იერი გადაჰკრავდა სახეზე.

მაგრად გააკრიტიკეს გია თარგამაძემ, გიორგი ახვლედიანმა და მაგდა ანიკაშვილმა. სააკაშვილს სიტყვა არ დასცდენია (არც საბოლოო გამოსვლის დროს) სამუშაო ადგილებზე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზებზე, მწერალთა კავშირისთვის შენობის დაბრუნებაზე უნივერსიტეტზე, სპორტზე, მეცნიერებაზე.

მოკლედ, სამარცხვინოზე სამარცხვინო პრეზიდენტი გვყავს.

გამოვეცი „მოგონებანი გალაკტიონზე“, მე, მხოლოდ მე შევადგინე და ჩემი მუზეუმელი კოლეგების – ნატო გაბისონიას (დირექტორი) და ნოდარ ტაბიძის გვარებიც მოვაწერე. „ალიაში“ და „ჯორჯიან თაიმსში“ მკაცრი ინტერვიუები გამოვაქვეყნე არაფრისმაქნის ოპოზიციის „ლიდერებზე“.

თბილისში ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი ჩამოვიდა. სააკაშვილმა იგი თავის ახალაშენებულ ბრწყინვალე რეზიდენციაში (მე ამ შენობას რამდენიმე თვის წინათ რაიხსტაგი ვუწოდე) მიიღო. სამარცხვინო, პომპეზური მიღება იყო. ბაიდენმა მხოლოდ და მხოლოდ ის განაცხადა, რომ ამერიკა კვლავაც დაუჭერსო მხარს საქართველოს. ეს იყო და ეს. კონკრეტულად

ამ ვიზიტს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, არც რეზოლუცია გამოქვეყნებულა, არც კომუნიკე. ისიც კი ვერავინ (ამერიკა, ევროკავშირი) გაუბედა რუსეთს ახალგორი და პერევი მაინც დაუბრუნე საქართველოსო.

გათავხედებული რუსეთი ბაიდენის ვიზიტის კვალდაკვალ თრუსოს ხეობას და მამისონის უღელტეხილს ართმევს საქართველოს.

ჩემმა უერთგულესმა მეგობარმა იური ბიბილეიშვილმა დაამთავრა წიგნი „რევაზ მიშველაძე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში". წიგნი ოთარაშვილმა უნდა გამოსცეს. წარადგინა იურიმ და მითხრა: რაღაც წაიღმიჭაო. ეს რა დიდი წიგნი დაგიწერიაო. ვნახოთ, რას იზამს. ყოველ შემთხვევაში მე ოთარაშვილს თავს არ გავუყადრებ და არ ვთხოვ, ჩემზე წიგნი გამოეციმეთქი.

21.VIII.09 – 22.X.09

27 აგვისტოდან 31 აგვისტომდე ქართველ მწერალთა და ხელოვანთა ექსპედიცია ტაო-კლარჯეთს გვასტუმრა თბილისის მერიამ.

რაკიღა ჩვენ, ეროვნულად მოაზროვნე, კალმისა და ყალმის ოსტატები, ხელისუფლებისგან სრულ იგნორირებას და ჩვენი ოპოზიციური განწყობილების გამო დევნა-შევიწროვებას ვართ მიჩვეულნი, გითხრათ სიმართლე, მოულოდნელი იყო უგულავასგან ასეთი ქველმოქმედება.

გზაში გავარკვიეთ, რომ სააკაშვილთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს უგულავას მისთვის უთქვამს – არც ერთი ავტორიტეტული მწერალი და ხელოვანი ჩვენს გვერდით არ არის, პირდაპირ სამარცხვინო მდგომარეობაა. მე მაგათთან საპირფერო არაფერი მაქვს, არ არიან იმიტომ რომ ვძულვართ, ხოლო ვძულვართ იმიტომ რომ ბეცი „პოლიტიკოსები" არიანო. მე ამაზე სხვა აზრისა ვარო, შეუბედავს უგულავას.

და აი შედეგი, სააკაშვილ-უგულავას დაპირისპირების გამო ჩვენ 45 ხელოვანი ტაო-კლარჯეთის „ექსკურსიით" დაგვაჯილდოვეს.

ჩემმა მკითხველებმა იციან, რომ მე და რეზო ჩხეიძე (კინორეჟისორი) ათიოდე წლის წინათ უკვე გახლდით ტაო-კლარჯეთში და ამის შესახებ ვწერდი კიდეც „ლიტერატურულ საქართველოში". ახლა ვისარგებლე შემთხვევით, უარს როგორ ვიტყვი ერთხელ კიდევ ვიხილო საქართველოს მოჭრილი ძუძუ, ჩვენი დიდების ნაშთი.

მოვიარეთ დოლისყანა, პარხალი, ოშკი, ხახული, ხანძთა, იშხანი, ოთხთა...

ისევ იგივე სავალალო სურათია.

ღვთის ანაბარაა მიტოვებული ჩვენი ზღაპრული ციხე-კოშკები და ეკლესია-მონასტრები.

რა დაგიშავეთ ასეთი, ღმერთო.

ინგრევა, ნადგურდება ათასწლოვანი ეკლესია-მონასტრები.

ვერც "იუნესკომ" გვიშველა და ვერც თურქეთთან სამეგობრო ხელშეკრულებამ.

ხახული და პარხალი მეჩეთებადაა გადაკეთებული. ხახულში არ შეგვიშვეს, მოლას სძინავს და ვერ გავაღვიძებთო. პარხალში მხოლდ 5 წუთით შეგვახედეს, დანარჩენ ტაძრებში შეშვებით შეგვიშვეს, მაგრამ სან-

თლების დანთების და გალობის უფლება არ მოგვცეს. როგორც კი სანთლები დავანთეთ, მოვარდნენ თურქები, სანთლები ხელიდან გამოგვგლიჯეს და ჩვენს თვალწინ ფეხქვეშ გათელეს.

ოშკის სიახლოვეს ერთი შუახნის თურქი (დაწყებით სკოლის მასწავლებელი ვარო) „გამოვიჭირე“ სასაუბროდ. ცოტა ინგლისური ესმოდა. რა იცით ამ ეკლესია-მონასტრების შესახებ, როგორ ფიქრობთ, თუ აქ საქართველო არ იყო, საიდან გაჩნდა ისინი ტაო-კლარჯეთში-მეთქი.

ჯერ ერთი, არავითარი ტაო-კლარჯეთი არ გამიგონიაო. ეს თქვენი მოგონილი სახელიაო. მეორეც VIII საუკუნეში თქვენ, ქართველები თავს დაგვესხით მშვიდობიან თურქეთს და დაგვამარცხეთ, რის შედეგადაც ოკუპირება გაუკეთეთ ამ მხარესო. ოთხი საუკუნის განმალვობაში როგორც აგრესორები ბატონობდით ჩვენს მიწაზე, გვხოცავდით მუსულმანებს და აშენებდით ქრისტიანულ მონასტრებსო. მე-13 საუკუნეში ჩვენ გავძლიერდით და გაგრეკეთ ჩვენი ტერიტორიიდანო. მადლობელი იყავით რომ ეს ეკლესია-მონასტრები არ გავანადგურეთ, მაგრამ ჩვენ მათ არ ვანგრევთ, მხოლოდ როგორც თვალსაჩინო ფაქტს დამპყრობლის დანაშაულებრივი ქმედებისასო. ერიჰაა, საქართველო აგრესორი, დამპყრობელი... და თურმე გრიგოლ ხანძთელს თურქების დასასჯელად აუგია ეკლესია-მონასტრები. არც დავით და ბაგრატ კუროპალატები გაუგია ამ თურქს, არც დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე... კი მაგრამ, ჩემო კარგო, რა გინდოდათ თქვენ IX-X-XI საუკუნეში ამ მიწაზე, თქვენ ხომ მე-16 საუკუნეში შემოხვედით წინა აზიაში და მანამდე სახელმწიფოც არ გაგაჩნდათ-მეთქი. იქნებ სახელმწიფო, როგორც ასეთი, არ გაგვაჩნდა, მაგრამ ცხოვრებით აქ ვცხოვრობდითო. საქართველოს ისტორიისა რომ არაფერი გაგეგება ვხედავ, მაგრამ თურქეთის ისტორია ხომ მაინც უნდა იცოდე, შე კაი კაცო, მასწავლებელმა-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი, თურქი მაინც თავის „აზრზე“ დარჩა.

რაც შეეხება ჩვენი უძვირფასესი საუნჯის – თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მოვლას, ასეთი სურათია, ჭოროხის ხეობაში ვულკანური წარმოშობის ოქროსფერ გრანდიოზულ კლდოვან მთებს შორის თურქები 15 ჰიდროელექტროსადგურს აშენებენ, გზები გაჰყავთ და კაშხლებს აგებენ. ამ გრანდიოზულმა მშენებლობამ უკვე შეიწირა ჩვენი ორი ტაძარი – სწორუპოვარი ოპიზა და ულამაზესი ტბეთი. ამ მონასტრებს თურქებმა სპეციალურად ახალი გზები დაუპირისპირეს და ააფეთქეს, ამ საშინელ ვანდალიზმზე არც საქართველოს ხელისუფლება და არც იუნესკო ხმას არ იღებენ. რა ვქნათო, ძალა აღმართს ხნავსო.

კიდევ ერთი სამარცხვინო ფაქტი; თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის დასარიგებლად 200–მდე ქართული წიგნი („დედა-ენა“, „ვეფხისტყაოსანი“, ჩვენი წიგნები, ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“), წავიღეთ, მაგრამ არცერთ ქართველს არ შეგვახვედრეს, არ ვიცი ამაზე ვინ იზრუნა, მასპინძლებმა თუ ჩვენს რიგებში მყოფმა ზედმეტად ფრთხილმა ჩინოვნიკმა, ასე რომ, ის წიგნები და ჟურნალები უკან წამოვიღეთ. რა მოხდებოდა-მეთქი, ვუსაყვედურე ჩვენს "ექსკურსიამძღოლს“, ართვინში, სადაც 80 პროცენტი ქართველი ცხოვრობს, თუნდაც ერთი წამით შეგვეჩერებინა ავტობუსი,

პირველივე შემხვედრი ნებისმიერი ქართველისათვის დაგვეტოვებინა ეს 200 წიგნი, რათა მერე თვითონვე დაერიგებინა თავისი თანამემამულეებისთვის-მეთქი. ჩვენ ხომ დედა-ენა ჩავიტანეთ და არა თურქეთის ხელისუფლების საწინააღმდეგო პროკლამაციები-მეთქი.

არ შეიძლებაო, ასეთ რამეს თურქეთის კანონმდებლობა კრძალავსო, ჩვენ რომ წიგნები დაგვერიგებინა, ამას თურქები ქართულ პროპაგანდისტულ დივერსიად ჩაგვითვლიდნენ და შეიძლება ტაო-კლარჯეთის მარშრუტი სულ ამოელოთ ტურისტული რუკიდანო. არ შეიძლება თურქების განაწყენება ისედაც ამრეზით გვიყურებენო.

კი მაგრამ ჩვენ რა, ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ სხვანაირად ვექცევით. ძმობა ცალმხრივი ხომ არ შეიძლება-მეთქი, განა თურქებმა არ იციან რომ დღეს თურქეთში 11 მილიონამდე ქართველი ცხოვრობს-მეთქი. აი, ამას რომ წერთ ქართულ პრესაში ეს აღიზიანებთ ყველაზე მეტადო. ესენი თვლიან, რომ თურქეთში არც ერთი ქართველი არ ცხოვრობსო. სამართალი არ არის? ღმერთი ხომ ხედავს, რომ საქართველოში 2 თურქული უნივერსიტეტი და 5 თურქული კოლეჯია, თურქეთში კი ერთი ქართული საკვირაო სკოლაც არ არის-მეთქი.

მაგას ბატონო რეზო, თურქეთის მხარეს ნუ დავაბრალებთ, ეგ ჩვენი ხელისუფლების ბედოვლათობის ბრალიაო, ჩაილაპარაკა ჩვენი დელეგაციის ერთმა სახელოვანმა წევრმა და იგი ყელამდე მართალი იყო.

12-13 სექტემბერს ქუთაისში გახლდით.

ჩემი ძმისშვილის – თათიას ლომისტორება 5 თვის ბიჭი მოვნათლეთ გელათის მონასტერში.

გული მოვიოხე ჩემი მშობლიური ქუთაისის ხილვით. ვეწვიე გელათს, ბაგრატის ტაძარს... დავათვალიერე თითქმის განახლებული ქუთაისის ცენტრი, გავიარე თეთრ ხიდზე. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეწევა თავისკენ ქუთაისი.

მერე კარგი, ქუთაისური ლხინი გაიმართა თათიას მამამთილის თემურ ტაბიძის ოჯახში.

14 სექტემბერს საჩხერეში მუხრან მაჭავარიანის 80 წლის იუბილე გაიმართა. რატომღაც კულტურის სასახლე ვერ გაავსო ხალხმა. ეს, ალბათ, იმის ბრალიცაა ამ ორი კვირის წინ მუხრან მაჭავარიანს სააკაშვილი რომ „ესტუმრა“ და მუხრანმა გულში ჩაიხუტა, ასეთი რამეები „სახალხო პოეტს“ არ უნდა შეგეშალოს.

პირველი სიტყვა მე ვთქვი. ჩემს შემდეგ გამოვიდნენ ფრიდონ ხალვაში, გენო კალანდია, თამაზ ვაშაძე, მეუფე დანიელი, ნიკოლოზ კურტანიძე, ელდარ ნადირაძე და სხვები. წაიკითხეს ედუარდ შევარდნაძის მილოცვა, მერე დაიწყეს მსახიობებმა მუხრანის საშუალო დონის, ოლონდ პუბლიცისტურად მახვილი ლექსების კითხვა. შუა იუბილეზე მუხრანი წამოდგა და გარეთ გავიდა: გავყევით მე, ცეზარ ლაშხი, ომარ გოცაძე და სხვანი, მეო, აიჩემა, სახლში უნდა წავიდეთო, შენ ხომ არ გაგიჟდი, ეს ხომ შეურაცხოფაა ამ ხალხის-მეთქი. მეო, ის არ მეკუთვნოდაო, რომ საჩხერეში ჩემს ხალხს ეს პატარა დარბაზი მაინც გაევსოო? მერე რა ჩიფჩიფითაა ეს უნიჭო მსახიობები ჩემს ლექსებს რომ კითხულობენო.

სიბერის მარაზმი მორევია მუხრანს. ხომ არ ვეტყოდი, ეს ყველაფერი სააკაშვილის ვიზიტის ბრალია-მეთქი. რა ვუყოთ, ხალხს წვიმამ შეუშალა ხელი, არც გალაკტიონთან შეხვედრებზე იყო გადაჭედილი დარბაზები-მეთქი, დავამშვიდე და შევაბრუნე დარბაზში. უფრო სწორად საბოლოო სიტყვა ვათქმევინე, თორემ შერცხვებოდა მუხრანი მთელი საქართველოს წინაშე.

გარდაიცვალა ოთარ ჭილაძე.

ერთ-ერთი კარგი მწერალი წაგვივიდა.

მკვდარს, როგორც ეს საქართველოში ხდება „ენერგიულები“ დაეპატრონენ.

მისი უნიჭო ძმის – თამაზ ჭილაძის მეცადინეობით ოთარი არც მეტი, არც ნაკლები სამების ტაძრიდან გამოასვენეს და მთაწმინდაზე დაკრძალეს.

მანამდე ერთი თვით ადრე ნოდარ დუმბაძე გადაასვენეს მთაწმინდაზე.

ერთიც და მეორეც, ჩემი მოკრძალებული აზრით, შეცდომა იყო.

მაშინ როცა შოთა ნიშნიანიძე დიდუბეში ასაფლავია, რაო დიდუბე ეცოტავათ ნოდარისთვის და ოთარისთვის?

ასეა თუ ისე 5 ოქტომბერს ოთარ ჭილაძე მთაწმინდაზე დავკრძალეთ.

მე ჩემი ვალი მოვიხადე. ტელევიზიითაც მივუსამძიმრე საქართველოს ოთარის წასვლა და „საქართველოს რესპუბლიკასა“ და „მწერლის გაზეთშიც“ დავბეჭდე გამოსათხოვარი.

ამაზრზენი ის არის, რომ ხელისუფლებამ მწერალთა კავშირს არაფერი გვკითხა ოთარის დაკრძალვის ადგილის შესახებ. უფრო მეტიც, მაყვალას ოთარის სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვაც არ მისცეს. სამგლოვიარო მიტინგს როინ მეტრეველი უძღვებოდა.

როცა თამაზ გამყრელიძემ მწერალი აკადემიკოსის ადგილი გააუქმა, მეცნიერებათა აკადემიაში ერთი ამბავი ავტეხე. როგორ ბედავთ ამას-მეთქი. თამაზმა მითხრა- გავაუქმეთ იმიტომ, რომ დღეს ვერავის ვხედავთ მწერლებში აკადემიკოსობის ღირსადო. ჭაბუა, მუხრანი ან ოთარ ჭილაძე-მეთქი? შეფიქრიანდა. თქვენ მაიმუნობას თავი გაანებეთ, თორემ „მწერლის გაზეთში“ გამოგარჭიანებთ, როგორც ქართული მწერლობის მტრებს-მეთქი.

ჩანს შეეშინდათ და ჩუმად ქურდულად გამოუცხადებიათ პოეტ აკადემიკოსის ერთი ვაკანსია სააკადემიკოსოდ. კანდიდატურაზეც თვითონ უზრუნვიათ, მუხრან მაჭავარიანი წარუდგენიათ – აქაც მწერალთა კავშირის გვერდის ავლით.

ამასწინათ ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, ჩემი სიყრმის მეგობრის, იგორ კვესელავას შვილის – უჩას ქორწილზე ვითამადე.

უნივერსიტეტის ღირსეული რექტორი (დიდი ივერი ფრანგიშვილის შვილი) არჩილ ფრანგიშვილი მეუბნება – ბატონო რეზო, როგორ შეიძლება თქვენნაირი ორატორი და მეცნიერი ლექციებს არ კითხულობდესო. ჩემო არჩილ, სააკაშვილმა გამომაგდო უნივერსიტეტიდან-მეთქი. თუ იკადრებთ, ჩვენთან მოგიწვევთ სრულ პროფესორადო.

მეორე დღეს კვესელავამ დამირეკა და თხოვნა გამიმეორა, მცირე ყოყმანის შემდეგ დავთანხმდი.

ვკითხულობ ლექციებს გეპეიში (ასე ერქვა ძველად), ვნახოთ როდის მიწვდება ეს ყველაფერი სააკაშვილის ფხიზელ ყურს და როდის გამომაგდებენ.

ისე... პატარ-პატარა „აღზრდის გაკვეთილები“ უკვე დამიწყეს.

მაყვალამ სერგო კაკალაშვილის დახმარებით ჟურნალი “გრაალი“ გამოსცა. კარგი ნომერია. ჩემი ნოველაც დაუბეჭდავს და რედკოლეგიაშიც შევუყვანივარ.

გაზეთებს ინტერვიუებს კვლავ ვაძლევ, ვლანძღავ ე.წ. დანიშნულ, თვინიერ ოპოზიციას, რომელმაც ხალხს უღალატა, ხალხი მოატყუა, გადამწყვეტ მომენტში შეშინდა და ნაბიჯი არ გადადგა.

12 ოქტომბერს ჩემთან სიმპათიური გოგონა მოვიდა. მეო, ჟურნალისტი თამარ დარახველიძე ვარო. ახალი არხი შევქმენითო ახალგაზრდა ჟურნალისტებმა „რეალ-ტივი“ ჰქვიაო. გვინდა, რომ როგორც ყველაზე სახელოვანმა მწერალმა და აქტიურმა პოლიტიკოსმა თქვენ თქვათ პირველი სიტყვა და თქვენ ჩაგწეროთ პირველებმა. რა პოლიტიკური ორიენტაცია გაქვთ-მეთქი; ნეიტრალური ტელევიზია ვართო.

ვენდე, მომატყუეს. სინამდვილეში ხელისუფლების ყოფილა. თუმცა ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. მე არასოდეს დავცქერი მიკროფონს რომელი არხია. მთავარია რას იტყვი და არა ვის ეტყვი.

მოკლედ ჩამწერეს, დავიწყე სიტყვა ობიექტურად, როგორც მჩვევია. მე მწერალი ვარ, ე.ი. შუაკაცი ვარ. არცერთ პოლიტიკურ მოძრაობას არ ვეკუთვნი. ყველაფერს ობიექტურად ვაფასებ და მიკერძოებული ვერ ვიქნები-მეთქი, სააკაშვილმა მართლაც გააკეთა გზები, მოიყვანა პატრული, რომელიც „მილიციაზე“ უფრო წესიერია, შემოიღო ეროვნული გამოცდები, მაგრამ მე სააკაშვილს ვერასოდეს ვაპატიებ, რომ იგი ეროვნული ფენომენის მტერია, რომ გაყიდა საქართველოს მიწა-წყალი, რომ სახსრებში მოშალა აკადემია და დაარბია მწერალთა კავშირი და უნივერსიტეტი-მეთქი. რაც შეეხება იმას, რომ იგი პირველი მიუხტა რუსებს ცხინვალში, მე ამაში ვერ დავადანაშაულებ. მტერს, რომელიც შენს მიწაზეა შემოსული, დიაღაც შენ უნდა შეებრძოლო-მეთქი.

ამდგარან „რეალ-ტიველები“ და ჩემი ჩანაწერი ისე დაუმონტაჟებიათ, რომ სააკაშვილის მეხოტბედ გამომიყვანეს. „მაგრამ“-ის შემდეგ რაც ვთქვი ყველაფერი წაუშლიათ. ჩემს გამოსვლაზე გამომეხმაურნენ თემურ შაშიაშვილი და სოსო რობაქიძე. ეს რა ჰქენი, სააკაშვილის მხარეს გადახვედიო? სააკაშვილის მხარეს დადგა “ტიფა“, როგორ მკადრებთ ასეთ რამეს, ნუთუ არ იცით სულგაყიდული ჟურნალისტები როგორ ამონტაჟებენ მასალასმეთქი? ძლივს დავამშვიდე.

ახალციხეში “შოთაობა“ ჩატარდა, რუსთველოლოგიაში შეტანილი წვლილისათვის საგანგებო პრემია მომანიჭეს.

23.X.09 – 31.XII.09

გუშინწინ კინოს სახლში ინტელიგენციის შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრის ორგანიზატორი იყო „ჯორჯიან ტაიმსის“ დამფუძნებელი მალხაზ გულაშვილი.

დარბაზმა ხალხი ვერ დაიტია, მე, სოსო სიგუა და იგორ კვესელავა ერთად ვიჯექით. მალხაზმა გახსნა. დღესო, თქვა თეა თუთბერიძის მიერ საიტზე განთავსებულ ცილისწამებაზე უნდა ვიმსჯელოთო. საქმე კათოლიკოს-პატრიარქის შეურაცხყოფას შეეხებაო.

გამოვედით რეზო ამაშუკელი, ჯანსუღ ჩარკვიანი, მე, გოგი ქავთარაძე, გოგი გაჩეჩილაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები.

გოგი გაჩეჩილაძემ პრეზიდენტი დაიცვა და ამით მთელ დარბაზს დაუპირისპირდა. გოგი ქავთარაძემ თავის სეხნიას სულ „პრავაკატორი“ და „პრეზიდენტის ლაქია“ ეძახა. მაგარი ის იყო, რომ გოგი იდგა და იღიმებოდა. მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი, გული გამისკდებოდა.

ქუთაისიდან ავთო ნიკოლეიშვილი ჩამოვიდა და მითხრა, შენი 70 წელი ახლოვდება, ქუთაისში დიდი იუბილე გვინდა ჩაგიტაროთ და რას იტყვიო. რა უნდა ვთქვა-მეთქი, ქუთაისი ჩემი სამშობლოა, თუ რამედ ვუღირვარ ქუთაისს, კი ბატონო, თანახმა ვარ, ოღონდ ხალხს ნუ შეაწუხებთ, წინასწარ ნუ მოემზადებით, როცა მიხმობთ ჩამოვალ და თბილად, ტკბილად ყოველგვარი ოფიციალობის გარეშე ვისაუბროთ-მეთქი.

21 ოქტომბერს, ოთხშაბათს სამების ტაძარში მერაბ ელიოზიშვილის 75-ე წლისთავის იუბილე გავმართეთ. პირველი სიტყვა მე ვთქვი. გამოვიდნენ: დავით შემოქმედელი, ლამზირა ჩხაიძე (მსახიობი), გოჩა ხარანაული, ნინო სიხარულიძე, თემურ ჩალაბაშვილი და სხვები. ბოლოს მერაბმა ცრემლით სავსე სიტყვა თქვა და იგალობა კიდეც (იგი ხომ დიაკვანია – „მამა ელიოზი“).

5 ნოემბერს მწერალთა კავშირში გამგეობის სხდომა გვქონდა.

ჯერ ზურაბ ხონელიძემ (დიპლომატი) ილაპარაკა: საქართველოს სახელმწიფოებრიობა გაქრობის პირასაა, ერთადერთ საშველს ვხედავ; სამი რესპუბლიკის – საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის კონფედერაცია უნდა შევქმნათ, თორემ სომხეთიც და აზერბაიჯანიც (რუსს რომ თავი გავანებოთ) ჩვენს წინააღმდეგ ირაზმებიანო.

მერე მწერლობას მოვუბრუნდით, ავდექი და ვთქვი: ჩვენ ყოველ წელიწადს „ეროვნულ მწერლობას“ ვუდგენთ გეგმას, მაგრამ ვაჟა ოთარაშვილი ამ გეგმას არ ასრულებს. მაგ. 2009 წლის გეგმიდან (24 წიგნი) მხოლოდ 1 წიგნი გამოსცა-მეთქი. თუ გამომცემლობა არ ფუნქციონირებს, რისთვის ვაცდენთ მწერალთა კავშირის ფულით ნაყიდ ამ ნახევარმილიონიან შენობას, გავყიდოთ ან გავაქირავოთ და ფული მწერლებს მოვახმაროთ-მეთქი. აყეფდა ვაჟა ოთარაშვილი. რაკი ასეა და შენიშვნას არ ღებულობ, უნდა ვთქვა, რომ შენ მწერლებს ფულს სძალავ. მაგ. წიგნის გამოცემაში 700 ლარი ზოია ვაშაკიძეს წაართვი, 800 ლარი ფრიდონ ხალვაშს. ეს ხომ მწერლების ძარცვას ნიშნავს-მეთქი. უფრო აპეტელდა ოთარაშვილი.

აქ მხილებას არ ელოდა. შემეძლო გავჩუმებულიყავი, მაგრამ ვერ დავაჭირე ენას კბილი, მხოლდ ერთი მიზეზის გამო – რაკი მწერალთა კავშირში ვმუშაობ, ხომ უნდა გამოვექომაგო დაჩაგრულ მწერლებს, ახლა მწერლების „ვაჟკაცობა“ ნახეთ. ცალ-ცალკე რომ ჩემთან შემოდიოდნენ და მაქებებდნენ; აუტანელი გახდა ოთარაშვილის უნამუსობა და ყველამ ერთად ხმა ამოვიღოთო, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ყველამ ენა გადაყლაპა, პირში წყალი ჩაიგუბეს. არ გრცხვენიათ? ვაჟა ოთარაშვილმა ასე როგორ დაგაშინათ-მეთქი ხმამაღლა მივმართე ჩემს „მეგობრებს“.

ასე დამთავრდა გამგეობის სხდომა.

მე 70 წლის კაცს წნევამ ამიწია, „მწერლებმა“ კი საყელოში ნიკაპები ჩარგეს და გაიძურწნენ.

რაც დრო გადის, უფრო და უფრო მიპყრობს ნერვიულობა, იმის გამო, რომ ჩემი საიუბილეო თარიღი ახლოვდება, ხომ არავინ დაიჯერებს, რომ არ მინდა, მართლა არ მინდა არავითარი საიუბილეო საღამო. მძულს ტაში, რომელსაც დამიკრავენ, დიახ, წინასწარ მძულს, ხომ ვიცი, რომ 100 კაციდან მხოლოდ 5 იქნება გულწრფელი. მხოლოდ 5 იქნება ვისაც ჩემი ნაწერები წაუკითხავს. დანარჩენებს წარმოდგენა არ ექნებათ, ვინაა რევაზ მიშველაძე. ჟურნალისტებმა ამ ბოლო დროს ინტერვიუებში დაიწყეს ჩემზე, როგორც ცოცხალ კლასიკოსზე მითითება. ერთი „მწერალი“ მეუბნება ხომ იცი, რომ კარგი მინდა შენთვის. ძალიან გთხოვ, აუკრძალო ჟურნალისტებს „ცოცხალ კლასიკოსად“ შენი მოხსენიებაო, მართლაც დავურეკე დიტოს და გელას და ვთხოვე, თუ ძმა ხარ, ჩემთან მიმართებაში „კლასიკოსი“ აღარ იხმაროთ-მეთქი, რატომო? გაუკვირდათ, ჩვენ მართლა ასე მიგვაჩნიაო.

რა იყო იმ მწერლის მინიშნება? შური, სიხარბე – სხვა არაფერი.

მურმან თავდიშვილმა მშვენიერი „ესე“ დაწერა ჩემზე. ასევე შემაქო გულწრფელად ნოდარ კობერიძემ.

პარასკევს, 4 დეკემბერს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში ახალგაზრდა პოეტთა კონკურსში გამარჯვებულებს პრემიები და სიგელები გადავეცით. კონკურსის ჩატარებაში დიდი დახმარება გაგვიწია თბილისის მერიამ, გიგი უგულავამ გამოყო სახსრები და თვითონაც მიიღო მონაწილეობა საზეიმო ცერემონიაში, ჩემთვის ამ კონკურსის განსაკუთრებული ღირებულება ის გახლავთ, რომ 170-მა ახალგაზრდა პოეტმა მიიღო მონაწილეობა, სიხარულს ვერ ვმალავ, ეს იმის ნიშანია, რომ ლიტერატურა არ მოკვდება, ლექსი და მოთხრობა თავის დიდ მნიშვნელობას (ესთეტიკურს, შემეცნებითს) არ დაკარგავს. ცერემონიალის შემდეგ გიგი უგულავამ მკითხა, ბატონო რეზო, თქვენი იუბილე ახლოვდება, ხომ არაფერში ვარ საჭიროვო? მადლობა მოვახსენე, იუბილეს არ ვაპირებ-მეთქი. რატომო? ხალხს არ ეიუბილევება-მეთქი. არაო, პირიქით, თქვენი იუბილე ხალხის გასამხნევებლადაა საჭირო და უარი არ თქვათო.

5 დეკემბერს, შაბათს ბადრი სირაძემ დუშეთში მიმიწვია. დიდი სიყვარულით შემხვდნენ, თან წავიღე 30 წიგნი ჩემი სამტომეულისა, წიგნები ჩამოგიტანეთ-მეთქი რომ გამოვაცხადე, სიჩუმე ჩამოვარდა. დარბაზიდან ერთმა მორცხვად იკითხა: რა ღირსო. არაფერიც არ ღირს, უფასოდ, საჩუქრად ჩამოგიტანეთ-მეთქი, უფასოდო?! დაიძრა დარბაზი... ყველას ხომ ვერ გაწვდებოდა, ვინანე, რომ მეტი არ წამოვიღე, თურმე, სიტყვა „უფასოდ“ დუშეთში კარგა ხანია აღარ იხმარება, „მწერლები ჩამოდიან და წიგნში 15 ლარს გვთხოვენ, სად აქვს საწყალ დუშელს 15 ლარიო“, გამგებელმა, ახლა თქვენს სიკეთეზე მთელი წელი ილაპარაკებენო.

რა დღეში ხარ უბედურო საქართველოვ, თუმცა... რა ჰქნას იმ მწერალმაც, ჭამა ხომ უნდა.

13 დეკემბერს „ალიაში“ დიტო ჩუბინიძემ ინტერვიუ ჩამომართვა. მუხრან მაჭავარიანი რომ პოეტ-აკადემიკოსად აირჩიეს და ოთარ ჭილაძეს კ. გამსახურდიას პრემია მიანიჭეს, ეს ხელისუფლების მიერ ინტელიგენციის მოქრთამვას ხომ არ ნიშნავსო.

ჯერ ერთი-მეთქი, ვპასუხობ, გამსახურდიას პრემიის მინიჭება მწერალთა კავშირის პრეროგატივაა და აკადემია როგორც ჩანს, მწერალთა კავშირის ფუნქციებსაც ითავსებს, ვინ ჰკითხავს აკადემიას გამსახურდიას პრემიის მინიჭებას-მეთქი. მეორეც, როცა ანა კალანდაძე გარდაიცვალა, მე კატეგორიულად მოვთხოვე თამაზ გამყრელიძეს პოეტი-აკადემიკოსის ადგილი შეევსო სხვა პოეტით, მაგრამ მიპასუხა, ანას შემდეგ მე მწერალ აკადემიკოსად მისაღებს ვერ ვხედავო, გამიკვირდა: ჭაბუა, მუხრანი ან ოთარ ჭილაძე არ არიან აკადემიკოსობის ღირსი-მეთქი? მაშინ არაფერი მიპასუხა, მერე, როგორც ჩანს, დაფიქრდა და აი მუხრანი მიიღეს, რასაც მივესალმები-მეთქი.

14 დეკემბერს ტელევიზიის პირველი არხით გამოვედი, დისპუტი სამღვდელოებისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებაზე იყო.

ჩვენ ორნი – პაატა ზაქარეიშვილი და მე ვიყავით საპატრიარქოს დამცველნი, დანარჩენი კი 19 კაცი საპატრიარქოს მოწინააღმდეგენი იყვნენ.

ვთქვი, არსად დედამიწაზე ეკლესიის საქმეებში ისე ურცხვად არავინ ერევა, როგორც საქართველოში-მეთქი, ამაში ცოტა საპატრიარქოც არის დამნაშავე, ხელისუფლების დუდუკზე წამდაუწუმ რომ დატრიალდებამეთქი. როგორ შეიძლება პრეზიდენტი სამების ტაძარში პოლიტიკურ სიტყვას წარმოთქვამდეს ან პატრიარქი მას საითაც ხელს დაუქნევენ, იქეთ მიჰყვებოდეს-მეთქი.

1.I.2010 – 29.II.2010

1 იანვარს სამოცდაათი შემისრულდა. ტრადიციისამებრ შინ პატარა სუფრა გავმართე. იყვნენ ჩემი დედმამიშვილები და გივი გამსახურდია, იგორ კვესელავა, სოსო სიგუა, მურმან თავდიშვილი, ანზორ აბრალავა (მეუღლით), თენგიზ ქუთათელაძე (მეზობელი) სულ 15-16 კაცი.

9 იანვარს რადიომ (ვანო ჯაფარიძე) ერთსაათიანი გადაცემა მომიძღვნა.

ტელევიზიის არცერთ არხს ერთი სიტყვა არ დასცდენია იმაზე, რომ ერთი ქართველი მწერალი რევაზ მიშველაძე 70 წლის გახდა. ასე აქვს საქმე დაყენებული მიხეილ სააკაშვილს. მისი სიძულვილი მწერლობისადმი ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ამ ბოლო დროს მთლად გაუტია, ხალხი შიმშილით გვეხოცება და ყოველდღე მილიონიან კონცერტებს ატარებს. საახალწლო შოუ-კონცერტი ბათუმში 4 მილიონი დაუჯდა. წარმადგინეს დავით აღმაშენებლის პრემიაზე, ეს პრემიაო, მითხრეს ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესმა დააფუძნაო. პრემიის მინიჭების დრო რომ მოახლოვდა ჩემთან მოვიდა ქალბატონი ჭყოიძე და მითხრა, მეო კონკურსის კოორდინატორი ვარო, რეცენზიების მიხედვით დავით აღმაშენებლის პირველ პრემიას თქვენ განიჭებთ და უარს ხომ არ ამბობთო. უარი რატომ უნდა ვთქვა-მეთქი, იქნებ გეუხერხულებათ რომ ჩვენი დამფინანსებელი პეტერბურგში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი პუტინის მეგობარი ალექსანდრე ებრალიძეაო.

რატომ თავიდან ან მითხარით-მეთქი, ესე იგი ამ პრემიას ებრალიძე გვანიჭებს ქართველ მწერლებს.

მეორე დღესვე გაზეთებში („ასავალ-დასავალი“, „კვირის ქრონიკა“) და ტელევიიით („რტვ“) გავაკეთე ასეთი განცხადება: „ვინაიდან საქართველო დაპყრობილი და ანექსირებულია რუსეთის მიერ და ვინაიდან პრეზიდენ-

ტი მედვედევი უტიფრად აცხადებს, რომ იგი არ აპირებს გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის შესახებ, მე ვერ მივიღებ ალექსანდრე ებრალიძის მიერ დაფინანსებულ დავით აღმაშენებლის პრემიას. აქვე ვაცხადებ, რომ ასევე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ საქართველოს გამალებული ამერიკანიზაციის. ჩემი სამშობლოსთვის სულერთია მგელი შემჭამს თუ მგლისფერი ტურა. ჩემს მერე ასევე უარი თქვა ჭაბუა ამირეჯიბმაც.

ამირან შალიკაშვილმა იანვარში ორი სპექტაკლი („ტერენტი“, „წმინდა გიორგი“) სპეციალურად ჩემს იუბილეს მიუძღვნა.

როგორც მაყვალამ მაცნობა, 22 თებერვალს 4 საათზე მარჯანიშვილის თეატრში გაიმართება ჩემი საიუბილეო საღამო. მე პირადად ეჭვი მეპარება, რომ ეს საღამო გაიმართოს, რატომ?

თითქმის ყოველ მეორე დღეს ვაძლევ გაზეთებს ინტერვიუს და ვამხელ სააკაშვილის გამყიდველურ პოლიტიკას. სააკაშვილის ზიზღი ქართველი ერის მიმართ იქამდე მივიდა, რომ ქუთაისში მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი დიდების მემორიალი ააფეთქა, რასაც დედა-შვილის სიცოცხლე ემსხვერპლა. შემეძლო ამაზე გაჩუმება?

იქნებო, იუბილემდე მაინც არ აგინოთ სააკაშვილსო, მირჩევენ ჩემი კეთილისმსურველები, თუ ჩემი იუბილის გამართვა სააკაშვილის „ნებაზეა“ დამოკიდებული, უარს ვამბობ ყოველგვარ იუბილეზე-მეთქი. განვაცხადე, ასეთია ჩემი დამოკიდებულება იუბილის მიმართ, რა მეიუბილეება ამ პირქვედამხობილ, დამარცხებულ საქართველოში.

23 იანვარს პანტომიმის თეატრმა ჩემდა „საბედნიეროდ“ მაყურებელს „წმინდა გიორგი“ უჩვენა. მაყურებლით გაჭედილ დარბაზს ჯერ ამირან შალიკაშვილმა მიმართა და „ახალი დროის ილია ჭავჭავაძე“ მიწოდა. მერე მე მომცა სიტყვა – მადლობელი ვარ ბატონი ამირანის, მაგრამ მან ილიას კი არ შემადარა, ილიას კვალზე დადგომისკენ მომიწოდა-მეთქი.

რაც შეეხება ამ თეატრთან ჩემს მეგობრობას ქართულ თეატრში მოლაპარაკე მსახიობი აღარ დარჩა და ამიტომაც უსიტყვო თეატრს მოვაშურე-მეთქი, ვიხუმრე. მერე მთელი თეატრი დავპატიჟე 22 თებერვალს ჩემს იუბილეზე. სპექტაკლის მერე აღფრთოვანება გამოთქვა გოგი გაჩეჩილაძემ, მეო, მსგავსი არაფერი მინახავსო. ესაო მარტო წმინდა გიორგი კი არა, მთელი საქართველოს ისტორიაო.

24 იანვარს გიგა ლორთქიფანიძემ დამირეკა. აი, ახლა ხელში მიჭირავს შენი „რჩეული“ და ცრემლი ღაპაღუპით ჩამომდისო. ეს რა გენიალური ნოველისტი ყოფილხარ, აქამდე როგორ არ გიცნობდი გენიოსადო. მე ერთი რიგითი კარგი მწერალი მეგონე, შენ მსოფლიოს უპირველესი ნოველისტი ყოფილხარო.

გამეხარდა. ესეც ერთი ნიშანი იმისა, რომ გულდასმით არავინ არავის კითხულობს. ჩანს, ეპოქაა ასეთი. ჩანს, მევე უნდა მეზრუნა ჩემი სახელის გახმაურებაზე. მეტი რა მექნა? საქართველოში არსებული ყველა პრემია მიღებული მაქვს. სკანდალები არ დამკლებია, როგორც ჩანს, ციხეში უნდა ვმჯდარიყავი მინიმუმ 5 წელი მაინც...

გიგა ჩემთვის უსაყვარლესი მოქალაქე და დიდი რეჟისორია.

1 იანვარს სოსო სიგუას თაოსნობით „მწერლის გაზეთის“ ჩემდამი მოძღვნილი საიუბილეო ნომერი გამოვიდა. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი სახელოვანი მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე, რომ არ მომსალმებოდა. შემრცხვა, ისეთი ქების კორიანტელი დამატეხეს თავზე. ვუსაყვედურე სოსოს, მაგრამ უკვე გვიან იყო.

22 თებერვალს მარჯანიშვილის თეატრში გრანდიოზული იუბილე გამიმართეს. იუბილე, როგორც მაყვალამ მითხრა, თბილისის მერიის და კულტურის სამინისტროს ინიციატივით და დახმარებით მოეწყო.

მაყვალამ გახსნა თბილი ტკბილი სიტყვით. გამოვიდნენ. სოსო სიგუა, ფრიდონ ხალვაში, გიორგი გიგაური, ვაჟა აზარაშვილი, დავით შემოქმედელი, თეიმურაზ ლანჩავა, იური ბიბილეიშვილი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, თენგიზ უთმელიძე, ომარ მხეიძე, ჩოხოსნები (მერაბ კირკიტაძის თაოსნობით) თენგიზ სვანიძე, ბადრი ქუთათელაძე, ჯემალ ინჯია და სხვები. ბოლოს პანტომიმის თეატრმა წარმოადგინა ჩემი სცენარით დადგმული პრემიერა „ქრისტე“.

როგორც ამბობენ, ბოლო 20 წლის მანძილზე ეს იყო ერთადერთი ეროვნული იუბილე. ზღვა ხალხი დაესწრო. როგორც მითხრეს, უადგილობის გამო უამრავი უკან გაბრუნდა.

ბოლო სიტყვა ხელისუფლების მიმართ ცოტა არ იყოს ქვეტექსტებიანი სიმწვავით გამომივიდა. დავამთავრე შექსპირით, ეს ფრაზა ჩემს დღევანდელ განწყობილებას შეესაბამება-მეთქი: „როგორ დაბნელდა, სული მეხუთება, შემიხსენი საკინძე კორდელია!“

იქუხა ტაშმა და მომეჩვენა, რომ მთელი 10 წუთი მიკრავდნენ ტაშს.

მერე პატარა (100 კაციანი) ბანკეტი მქონდა „ლორდში“.

იუბილე ჩამამწარა მესამე დღეს ჩემი მეგობრის გივი გამსახურდიას შვილის კახას სიკვდილმა.

ამის გამო წნევამ ამიწია და მთელი კვირა ვერავითარი წამლით ვერ დამიწიეს.

30.II.2010 – 20.IX.2010

თბილისში მარტიც ზამთრის თვეა.

იუბილის მეორე დღესვე კვლავ ჩავები საქმეების ორომტრიალში.

ცივა.

მეორეჯერ წავიკითხე ჩემი პირველი რომანის კორექტურა. „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი „10 წელი ვწერდი, არავის ვუმხელდი რომ პრესაში აჟიოტაჟი არ ამტყდარიყო. კარგი ბიჭი და უანგარო გამომცემელი ლევან ფოფხაძე მპირდება, რომ რომანს მაისის პირველ ნახევარში ჩამაბარებს.

დიდი ენთუზიაზმით ვმუშაობ ტექნიკურ უნივერსიტეტში (რაც ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტიდან გამომაგდეს, მე ხომ ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ვარ) კულტუროლოგიის სახელმძღვანელოზე. კრებულში შეტანილი 12 თავიდან 6 თავის ავტორი მე ვარ. რედაქტორობაც მე დამავალა ჩემმა მეგობარმა იგორ კვესელავამ, რომელიც დეპარტამენტის თავმჯდომარეა. 3-ჯერ წავიკითხე კორექტურა, „ფილოსოფოსებს“ წავუშალე ყველა უცხოური ტერმინი. რატომ გავიწყდებათ, ბატონებო, რომ ეს

სახელმძღვანელო სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი და როგორ შეიძლება ამდენი უცხო სიტყვით ტვინი ვუღრძოთ ბავშვებს-მეთქი. „პროფესორები“ ჩუმჩუმად მოდიოდნენ იგორთან და თავიანთ (ჩემს მიერ ჩასწორებულ) თავებს კითხულობდნენ. როგორც ჩანს, არ მოეწონათ მათი „ფილოსოფიური ტერმინების ჩემს მიერ გაქართულება და რექტორთან მიჩივლეს, რევაზ მიშველაძემ სტატიები „დაგვიჩეხაო“. რექტორ ფრანგიშვილს დაუბარებია იგორი და უთქვამს, იქნებ, რაკი რევაზ მიშველაძე ავტორიცაა, რედაქტორად სხვა შეარჩიოო. იგორმა ეს ამბავი მოკრძალებით შემომაპარა, მიმიფურთხებია თქვენი „სახელმძღვანელოსთვის“-მეთქი, იგორს ვუთხარი. მე სიკეთე გაგიკეთეთ, ამათ ნაწერზე თავი ვიმტვრიე და თუ არ გინდათ ბეჭდეთ რებუსური სტატიები, მე კი მაგ სახელმძღვანელოსკენ აღარ გავიხედავ-მეთქი, ისე ამიცრუვდა გული, რომ შეიძლება წამოვიდე საერთოდ ტექნიკური უნივერსიტეტიდან. იქედან, საიდანაც ჩემს ჩაყენებას რიგით პროფესორთა ასეულში ცდილობენ. ამჟამადაც რექტორმა და იგორმა დამიცვეს.

2 აპრილს „ქუთაისობაზე“ მიგვიწვეს. გავიხარე ჩემი ქუთაისით. ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლის გახსნაზე სიტყვები ვთქვით გილაურმა (პრემიერ მინისტრი), ქუთაისის გამგებელმა, რეზო ჭეიშვილმა, მე და ოტია იოსელიანმა. ოტიამ თავისი სიტყვა ასე დაასურლა: ქე გავხსენით დიდი ექვთიმეს ძეგლი აქანა, მარა რათ გინდა, მოვა l გადარეული (ალბათ პრეზიდენტი იგულისხმა) და დაანგრევსო.

გზაში მე და რეზო ჭეიშვილი შევკამათდით: მე ვამტკიცებდი შოთა რუსთაველი მსოფლიოში უდიდესი მწერალია-მეთქი, რეზო „ამტკიცებდა“ სუსტი მწერალიაო...

5 მაისს პანტომიმის თეატრს ვახლდი საჩხერეში. წარმოადგინეს (კულტურის სახლში) ჩემი სცენარის მიხედვით დადგმული „წმინდა გიორგი“. ვერ წარმოიდგენთ რა ხდებოდა, გაჭედილ დარბაზში წამდაუწუმ ტაში გაისმოდა. ბოლოს ისეთი ოვაციები გაიმართა, ამირან შალიკაშვილი ეხვეწებოდა ხალხს, ოღონდ ახლა გამიშვით და მალე ისევ ჩამოვალთო.

7 აპრილს სამწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ შევედით მწერალთა სასახლეში. ქალაქის მერიის (გიგი უგულავა, მამუკა ქაცარავა) თაოსნობით მგონი დაგვიბრუნეს სასახლე. რემონტი დაიწყე,ს ჩვენ სიხარულით გაბრუებულებმა სასახლის ეზოში ზეიმი გავმართეთ. ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ზეიმზე გამოცხადდა კულტურის სამინისტროს და მერიის ჟიურის გადაწყვეტილება.

„ქართული პროზის რაინდის“ წოდება მიენიჭოს 3 პროზაიკოსს – ჭაბუა ამირეჯიბს, რევაზ მიშველაძეს და ოტია იოსელიანს, ხოლო „ქართული პოეზიის რაინდისა“ – ფრიდონ ხალვაშს, ანზორ აბულაშვილს და ჯანსუღ ჩარკვიანს.

ჩემს მობილურში (877 42 54 72) ზარი არ წყდება. გვილოცავენ მწერალთა სასახლეში დაბრუნებას. დიახ, სააკაშვილის ხელისუფლება იძულებული გახდა ჩვენთვის შენობა დაებრუნებინა, თუ კიდევ რაიმე ორიგინალური აზრი მოუვათ თავში და ისევ არ წაგვართვეს. ჩემი შიში გამართლდა. მეორე დღეს აღარ შეგვიშვეს მწერალთა კავშირში სააკაშვილის განკარგულებით.

ცხრა აპრილს გამარჯვების დღესასწაულებს დავესწარი სამგორში

და მცხეთაში. მოვეფერე 90-ს მიღწეულ ნაომარ მოხუცებს, ისინი ხომ სასიკვდილოდ განირა სააკაშვილმა. ყოველგვარი დახმარება მოუსპეს.

10 მაისს კარგი მხატვრის – რეზო ადამიას გამოფენის გახსნაზე გახლდით. იმავე დღეს კინოსახლში ახალგაზრდების დისპუტი იყო, მაგრამ „პარტიული მიმართულება“ დავყნოსე და წამოვედი. არ მინდა რომელიმე რევანშისტული პარტიის გვერდით დავდგე.

12 მაისს სამების ტაძარში ვაჟა ეგრისელის დაბადების 70-ე წლისთავს წარვუძეხი. ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს. ვაჟა ნიჭიერი პოეტია, მაგრამ თვითონ უშლის ხელს უფრო მეტად სახელის განთქმას. ზედმეტად თავმდაბალიაო, გაიფიქრებთ, პირიქით არის... თუმცა სიცოცხლეში პოეტს ეს ყველაფერი ეპატიება. წეროს მშვენიერი ლექსები და იძახოს ხანგამოშვებით „გენიოსი ვარო“, რას ვიზამთ, ბუნებაა, ხასიათია.

13 მაისს „ქალდეას“ აკადემიაში (პუშკინის 7) 70 წლისთავის იუბილე გადამიხადეს.

გამოვიდნენ: მაყვალა გონაშვილი, დავით შემოქმედელი ვაჟა ეგრისელი, თამაზ ვაშაძე (მერობის კანდიდატი), ჯონი აფაქიძე, (აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორი), ლუარა სორდია, რეზო ადამია, ტიტე მოსია, გიზო ჭელიძე, იგორ კვესელავა, გივი გამსახურდია, ჯემალ ჯიქია, ციალა მესხია, სიმონ ზაქარაია, გულნაზ ხარაიშვილი, გივი კილასონია, გიული ჩქარეული, შოთა ხოჭავა-ეგრისპირელი, ვანო მეგრელი, ემირ ბურჯანაძე... და სხვები.

თბილი, გულწრფელი სიტყვები მითხრეს, მაგრამ ძალიან დავიღალე. იუბილე 4 საათს გაგრძელდა. არ შეიძლება-მეთქი ასე, ბოლოს ვთქვი, ხალხი შევაწუხეთ-მეთქი, რას ვიზამთ, ქართული ამბავია.

15 მაისს ფრიდონ ხალვაშმა დამირეკა; ჩემო რეზო, შენ უნდა დამადგა თავი, ჩემმა იუბილემ შენი კაი კაცობის ეგიდით უნდა ჩაიაროსო. ყველაფრისთვის მზად ვარ ჩემო ფრიდონ-მეთქი, კონკრეტულად რას მავალებ-მეთქი 85 წლის ლომო, სიტყვაც უნდა მითხრა და საიუბილეო სუფრაზეც უნდა მითამადოო. უარს როგორ ვეტყოდი, ფრიდონი ძალიან მიყვარს. მწერლობიდან 3 კაცი უნდა გამოხვიდეთო, მაყვალა, მუხრანი და შენო. დანარჩენს რუსთაველის თეატრის მსახიობები გააკეთებენო.

17 მაისია, ექვსის ნახევარზე მივედი რუსთაველის თეატრში. ფრიდონი ვესტიბიულში დგას და ტელეიუპიტერების შუქზე სტუმრებს ეგებება. ხომ არ ნერვიულობ-მეთქი, ვკითხე. შენ როცა აქ მყავხარ, სანერვიულო რა მაქვსო, მიპასუხა. ცოტა ხანში მუხრანიც მოვიდა თავისი ცოლით და ქალიშვილით.

გადავეხვიეთ ერთმანეთს. კარგა ხანია არ მინახავხარ-მეთქი, კარგად გამოიყურები-მეთქი. 82 წლის კაცის პირობაზე არა მიშავსო. ისე ამ თბილისმა ძალიან დამღალა, ახლა წავალ არგვეთში და 3 თვეს აქეთ პირს არ ვიზამო.

დაიწყო საიუბილეო საღამო 7-ის 20 წუთზე. პირველი სიტყვა მაყვალამ თქვა. მერე ფრიდონმა წაიკითხა თავისი „თბილისო, მე რომ შენთან მოვედი“ და საიუბილეო სავარძელში ჩაჯდა. მეორე სიტყვა მუხრანს მისცეს. მუხრანის შემდეგ თქვენ გამოხვალთო, მაყვალამ მიჩურჩულა.

მუხრანი მხნე ნაბიჯებით ავიდა სცენაზე. ჯერ ფრიდონს გადაეხვია, მართალია, 85-ის გახდი, ჩემო ფრიდონ, მაგრამ არც მე ვარ პატარა, 82 მალე შემისრულდებაო.

მიკროფონთან მივიდა და დაიწყო:

ჩემო ფრიდონ, შემეძლო ზეპირად მეთქვა, მაგრამ თუ ნებას დამრთავ, დაწერილს წავიკითხავო. ასე მირჩევნიაო. სხვათა შორის, ჩემს ცხოვრებაში პირველად გამოვდივარ დაწერილი სიტყვითო. გაკეცილი ქაღალდები ამოიღო ჯიბიდან და დაიწყო კითხვა მისებურად, რიხიანად.

ჯერ ცნობილი „თბილისო მე რომ შენთან მოვედი“ თქვა, პირველი სტროფი, მერე გააგრძელა: „ყველა ჭეშმარიტი პოეტის უპირველესი საზრუნავი საქართველოში სამშობლო იყო. სამშობლოზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს, ასეა ჩვენი ფრიდონიც“, ეს თქვა, ხელიდან ქაღალდები გაუცვივდა და ჩაიკეცა. რბილად წაიქცა. თავი იატაკზე არ დაურტყამს. პირველ რიგში ვიჯექით მე, ჯანსუღი, მაყვალა, დავით ტაკიძე... წამოვცვივდით ყველანი, თვალები ღია ჰქონდა.

მუხრან! მუხრან! ნუ გეშინია! ჩავძახით ყველანი, თვალები გადაატრიალა, შემოგვხედა და მომეჩვენა, რომ ხელიც ჩაიქნია.

– სასწრაფო! სასწრაფო! ვყვირით ყველანი, დარეკილიაო ვიღაცამ.

სცენაზე ამოვარდა კობა ამირხანაშვილის მეუღლე – ექიმი. რაც იმან იბრძოლა, ხან ენა ამოუქაჩა, ხან პირში სული უბერა.

ამასობაში (წაქცევიდან 15-20 წუთში) სასწრაფოც მოვიდა. ოთხი ქალიშვილი გადმოხტა მანქანიდან, მე მგონი სტუდენტები უნდა ყოფილიყვნენ. კი მაგრამ, ვინმე გამოცდილი კარდიოლოგი ვერ გამოიყოლეთ-მეთქი? ვიყვირე. ჩვენ ვართ მორიგეებიო, გოგონებმა, სასწრაფო პირდაპირ სცენაზე შემოვიდა.

დაიწყეს ბრძოლა ექიმებმა სიცოცხლისათვის, ელექტროშოკის ნემსები, მასაჟი, გადასხმა... ღვთის წინაშე არაფერი დაუკლიათ. თუმცა ერთმა მათგანმა შემოსვლისთანავე მაჯაზე ხელი რომ მოკიდა, თქვა – უკვე მიცვალებულია, არაფერი ეშველებაო.

ერთი საათი გაგრძელდა ბრძოლა მუხრანის სიცოცხლისთვის, მაგრამ იგი უკვე აღარ იყო ამქვეყნად.

ნახევრადმკვდარი მოვედი შინ, მთელი ღამე არ მიძინია. ფრიდონი საწყალობლად ქვითინებდა.

22 მაისს დავასაფლავეთ მუხრანი. მთაწმინდის პანთეონი, სადაც ნიკო ნიკოლაძის საფლავის გვერდით გაიჭრა მუხრან მაჭავარიანის საფლავი, ხალხით გაივსო.

სამგლოვიარო მიტინგი მაყვალა გონაშვილმა გახსნა. სიტყვები მე და გუჩა კვარაცხელიამ ვთქვით. ქელეხს გოგი გოგოლაშვილი თამადობდა. ქელეხზე მე არ შემინიშნავს, ერთი ინციდენტი მომხდარა: იმედო ჯახუასა და რეზო ამაშუკელს შორის.

7 ივნისიდან 12 ივნისამდე ერევანში ვიყავით 5 მწერალი, სომხეთში ქართული ლიტერატურის დღეები გაიმართა. დიდებულად ჩაიარა ქართული პროზის ანთოლოგიის (ჩემი შედგენილია) და მაყვალა გონაშვილის სომხური ლექსების წიგნის პრეზენტაციებმა.

ჩემთვის სრულიად მოულოდნელად მომანიჭეს ავეტიკ ისააკიანის პრემია – უკანასკნელ წლებში შექმნილი მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწარმოებებისთვის და სომეხ-ქართველთა ძმობის განმტკიცებისთვის.

ერთი სიტყვით, სომხებმა დიდი პატივი გვცეს და ეს უპირველეს ყოვლისა სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ლევონ ანანიანის დამსახურებაა.

15 ივნისს ტექნიკურ უნივერსიტეტში 70 წლისთავის იუბილე გადამიხადეს.

შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა.

საიუბილეო ადრესი წაიკითხა ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა რუსუდან ქუთათელაძემ.

საღამოს წარუძღვა დეპარტამენტის თავმჯდომარე იგორ კვესელავა.

გამოვიდნენ: სოსო სიგუა (მომხსენებელი), თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი, ოთარ აბუთიძე, ანზორ აბრალავა, გივი გამსახურდია, დავით შემოქმედელი, მურმან პაპაშვილი, ზურაბ ხასაია, ნომადი ბართაია, მურმან თავდიშვილი, ნოდარ კობერიძე, თემურ ჩალაბაშვილი, თამაზ ებანოიძე.

გულთბილი საღამო იყო.

მომეჩვენა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც სულ რვა თვეა ვმუშაობ, გაცილებით უკეთ იციან ჩემი ფასი, ვიდრე იმ უნივერსიტეტში, რომელსაც სიცოცხლე შევწირე.

როცა სააკაშვილმა, ლომაიამ და ხუბუამ უნივერსიტეტიდან გამომაგდეს არც კოლეგებში, არც ასპირანტ-დოქტორანტებში და არც სტუდენტებში ორი კაციც არ აღმოჩნდა დაეწერა და თუნდაც რომელიმე პაწაწკინტელა გაზეთში გამოექვეყნებინა, რატომ გააგდეთ რევაზ მიშველაძე უნივერსიტეტიდანო.

ასეთი უმადური აღმოჩნდა თსუ („ალმა მატერ!“) ჩემს მიმართ.

სწორედ ამიტომ უნივერსიტეტისკენ გახედვაც კი მეზიზღება.

ივნისის ბოლო და ივლისის ნახევარი ტექნიკურ უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო შრომების დაცვას ვხელმძღვანელობდი.

19 ივლისს ჭაბუა ამირეჯიბს ვესტუმრე.

თამარაშვილის მე-8 კორპუსში ცხოვრობს ბოლო სართულზე.

კარი ჭაბუას დიდებულმა მეუღლემ თამარ ჯავახიშვილმა გამიღო და ჭაბუას კაბინეტ-საწოლში შემიძღვა.

ჭაბუა ზის მახვშის სავარძელში, ფეხებზე პლედი აქვს გადაფარებული, წელზევით შიშველია.

საოცარია, ოთხმოცდაათს მიტანებულ კაცს ისევ ისეთი განიერი მკერდი და ღონიერი მხარ-მკლავი აქვს, როგორც მახსოვს გაგრაში ამ ორმოცი წლის წინათ ერთმანეთს ცურვაში რომ ვეჯიბრებოდით.

ერთი ნაოჭი და სიბერის ლაქა არ ჩანს მის მკერდ-მკლავებზე.

გაუხარდა ჩემი დანახვა. გადამკოცნა, ყურში აპარატი გაიკეთა და საწერი დაფა მოიმარჯვა.

კარგად ყოფილხარ-მეთქი, დიდოსტატო.

რაღა კარგად, ყურში არ მესმის და ვერ ვლაპარაკობო, დამიწერა.

სამაგიეროდ, შენი დუმილი მთელ საქართველოს ესმის-მეთქი.

უნდა გავძლოთ, რეზო, როგორც ჩანს ადამიანის უპირველესი ნიჭი გაძლების ნიჭიაო, დამიწერა.

ყველაზე უფრო რა გაწუხებს-მეთქი.

საქართველოს უილაჯო მდგომარეობაო, დამიწერა. ესენი ვინ მოვიდნენ. ეს სისხლის სიმართლის დამნაშავეებიო.

საქართველოს დაცვედნება აქვთ დავალებული-მეთქი, ახლა მე დავუწერე, გამყიდველი ხელისუფლება სააკაშვილის ხელმძღვანელობით არ მიკვირს ჭაბუა, ეს ხელისუფლება არაქართული ხელისუფლებაა და ადრე თუ გვიან გადაშენდება, მე უფრო ჩვენი ხალხის დადედლება მაოცებს-მეთქი.

მართალი ხარო, დამიწერა, ასე პირქვედამხობილი ქართველი ერი მე საქართველოს ისტორიიდან არ მახსოვსო, დამიწერა.

სწორედ თანამედროვე საქართველოს დაცემაზე დავწერე ეს რომანი და პირველივე ეგზემპლარი შენ მოგიტანე-მეთქი და წიგნი გავუწოდე.

გამომართვა, წარწერა წაიკითხა:

„დიდოსტატო ჭაბუა, ამ რომანის დასაწერად შენ შემაგულიანე და აი, მოგართვი როგორც ჩემს მასწავლებელს“, წაიკითხა და ცრემლი მოადგა.

ყოჩაღ, გილოცავ, ერთი სული მაქვს, სანამ წავიკითხავო, დამიწერა. რაზეა რომანიო?

ჩვენს დღეებზე, ჩვენს ცხოვრებაზე, ჩვენს უილაჯო ყოფაზე და რაც მთავარია, ჩვენი უბედურების მიზეზთ-მიზეზზე დამპყრობელ რუსეთზეა-მეთქი.

ცერა თითით მანიშნა, კარგი გიქნიაო.

რომანის ბოლო გვერდი გადაშალა და წაიკითხა ის ადგილი, სადაც გელა კირთაძე რუსთა ოცეულს აფეთქებს და თავისი თავშეწირვით ჩაძინებული საქართველოს გაღვიძებას ცდილობს.

დამიწერა: რეზო ორი რამ უკვე შემიძლია გითხრა – გენიალური სათაური შეგირჩევია და ფინალი ძალიან შთამბეჭდავიაო. ხომ გახსოვს, 70 წლის იუბილეზე მოგწერე, შენ უსათუოდ უნდა დაწერო რომანი-მეთქი, მადლობელი ვარ, რომ ჩემი რჩევა გაითვალისწინეო.

ჭაბუა, თუ მუშაობ-მეთქი, ვკითხე.

გითხრა სიმართლე, ბოლო წლები ძალიან დავსუსტდი და მუშაობას ვერ ვახერხებდი, ძალიან მომიხდა „კამელინი“ რომელსაც რვა თვეა დღეში ორჯერ ვსვამ, ძალიან მომიხდა, შეიძლება ითქვას საიქიოდან მომაბრუნა. შენც გირჩევ დალიო, ყველაფერს უხდება, ახლა ისე ვარ, შეიძლება ახალი რომანის წერა დავიწყოო, დამიწერა.

თამრიკომ მაგიდიდან „კამელინის“ ყუთი გამომიწოდა. დავხედე, ფარმაცევტული რეცეპტი წავიკითხე, მართლაც დიდებული წამალი ჩანს.

წიგნს – ახალს რას ველოდით-მეთქი, ჩემო ჭაბუა.

ახლა გამოვა ახალი კრებული (უფრო პუბლიცისტური), რომელსაც „ბოლოსწინა“ ერქმევა, ხოლო 90 წლის იუბილისთვის გამოვა ეპოპეა „ჩემი დროის საქართველო“ (თუკი წიგნის გამართვა-მონტაჟი ღმერთმა დამაცალაო) დამიწერა.

ახლა ნოემბერში 89 წლის ხდება, ხოლო 2011 წლის ნოემბერში 90 უსრულდებაო, თამრიკომ.

ჭაბუა-მეთქი, მივუბრუნდი, შენი დაბადების 70-ე, 75-ე, მე-80 წლისთავის იუბილეებზე მწერალთა კავშირში მომხსენებელი მე ვიყავი, შენი

90 წლისთავის გრანდიოზულ იუბილეზეც პირველ სიტყვას არავის დავუთმობ-მეთქი.

თვალებში შუქი ჩაუდგა.

შევთანხმდითო, დამიწერა.

რას ფიქრობ ოპოზიციაზე-მეთქი.

არაფერსო, დამიწერა და ხელი ჩაიქნია, ოპოზიცია ამ ხელისუფლებაზე უარესიაო, მიაწერა დაფას.

ცამდე მართალი ხარ-მეთქი ჩემის მხრივ მივაწერე.

რეზო, იცოდე, საქართველოს მოსპობას ესენი ვერ შეძლებენ, საქართველო ისეთი მაგარი კაკალია, რომელმაც იმპერიები მოინელა და ლამის ისტორია დაამარცხაო, დამიწერა.

დაიმედებული, კმაყოფილი მივდივარ-მეთქი ჩემო ჭაბუა, მიხარია რომ მხნედ გხედავ, იცოდე, მთელი საქართველო შენ შემოგყურებს, თანამედროვე საქართველოს უპირველესი კაცი ხარ-მეთქი.

პირველობის რა მოგახსენო, მაგრამ ვცდილობდი ჩემი ხალხის წინაშე თავი არ შემერცხვინაო, ალბათ ამდენხანსაც საქართველოს სიყვარულმა გამაძლებინაო, დამიწერა.

წყალი მოსვა, ჰაერმწმენდს ხელისგულები მიუშვირა, მერე დაფაზე სიტყვები წაშალა და დააწერა: მწერალთა კავშირის შენობაზე რას ამბობენო.

არემონტებენ, ალბათ დაგვიბრუნებენ-მეთქი.

ფხიზლად იყავით, სააკაშვილისგან ყველაფერია მოსალოდნელიო, დამიწერა.

არ დაგვიბრუნებენ და ისევ გამოვუწერთ ამ ხელისუფლებას ყოველკვირიან მიტინგებს, მწერალთა კავშირის შენობის წინ-მეთქი.

ამათ ილიას ძეგლის აღებისა არ შერცხვათ და მწერალთა კავშირის შენობის წართმევა შერცხვებათო? დამიწერა.

წამოვდექი.

აღარ წაგართმევ დიდოსტატო მეტ დროს, ღმერთმა შენი თავი დიდხანს უმყოფოს-მეთქი საქართველოს და გადავეხვიე.

სამჯერ ვაკოცე: შუბლზე, ლოყაზე, მხარზე.

ხელზე მინდოდა მეკოცნა და არ დამანება.

თამრიკო ჩემი ძველი დანჯღრეული აპარატით სურათს გვიღებდა.

რომ გამოვდიოდი, ერთხელაც მოვიხედე.

ხელთ ჩემი რომანი ეჭირა.

თითები გაუტკაცუნა ყდას, მერე გაიღიმა და ცერის აწევით ერთხელ კიდევ მომილოცა.

აღარ მახსოვს, მეცხრე სართულიდან როგორ დაეშვა ლიფტი მიწაზე.

12 სექტემბერს მაყვალა გონაშვილმა, დავით შემოქმედელმა და მე თბილისში, ლეონიძის ქუჩაზე №15 საავადმყოფოდან ახალგამოსული ოტია იოსელიანი ვინახულეთ.

ოტია მხნედ დაგვხვდა.

ჩამომიყვანესო შესამოწმებლად, აბა რა მდგომარეობაა გერმანიაში გაკეთებული ოპერაციის შემდეგო. მითხრესო, რომ ყველაფერი კარგად არისო. ცოტა ბუასილი გაწუხებს, თორემ წინამდებარე ჯირკვლის და სადინარის მიმართულებით არავითარი საშიშროება არ გემუქრებაო.

მე პროსტატის მეშინოდა, თორემ გომორეას გავუძლებ როგორმეო.

დიდხანს იმონოლოგა. ჩვენ სიტყვის ჩაგდების საშუალება არ მოგვცა.

რას შობით, ხო ხედავთ დააქცია ამ გიჟმა ქვეყანაო. შენ მაინც რამ გაგაჩუმა რეზოვო, მომიბრუნდა.

გაჩუმებული არ ვარ, ოტია, თუ წაიკითხე, ამ ერთი კვირის წინ ტყავი გავაძრე ხელისუფლებას "ალიაში"-მეთქი.

მე ფეხზე ადგომა და მანქანის მართვა მიჭირს და გაზეთს ვინ მომიტანსო, დაიჩივლა, სამი შვილი მყავს, მარა რათ გინდა, წყალშია სამივე გადასაყრელიო.

ამგენის გაზრდას სამი გოჭი რო გემეზარდა, უკეთესი იყოვო, დასძინა ნახევრადხუმრობით.

80 წლის იუბილის რუსთაველის თეატრში ჩატარებაზე უარი გვითხრა. თუ მაინცდამაინც არ დაიშლით, სადმე ერთი პატარა კლუბი მოვძებნოთ და იქ გადამიხადეთ, ოღონდ ტაში-ტუშის და ზეიმის გარეშე, ქვეყანაზე მუსაიფის ფორმით (ახლა რომ „რეჟიმს" ეძახიან), ჩავატაროთ იუბილეო.

გადავეცით "ქართული პროზის რაინდის" სიგელი, რომელიც ამ ერთი თვის წინ კულტურის სამინისტრომ და მერიამ სამ პროზაიკოსს (ჭაბუა ამირეჯიბი, ოტია იოსელიანი, რევაზ მიშველაძე) მოგვანიჭა.

გაეხარდა, მაგრამ იქვე დასძინა, ამ სატყუარათი მე ეგენი ვერ შემირიგებენო.

შენ, რეზო, ამათ ხანდახან რო დაუყვავებ ხოლმე მართალი ხარ, ეგება ტკბილი სიტყვით ამ ჯიბგირებს მწერალთა კავშირის შენობა გამოვტყუოთო.

გარეთ გამოსვლისას ოტიას მდივანმა თამუნამ თვალზე ცრემლმომდგარმა გვითხრა – არ იცის, თორემ თვენახევრის სიცოცხლე აქვს დარჩენილი, გუშინ ფრიდონ თოდუამ წყალი გადაგვიწურაო.

ცრემლგამშრალნი დავბრუნდით მწერალთა კავშირში.

ეჰ, ჩემო ოტიავ, ქართული მწერლობის ოთარაანთ ქვრივო, ნუთუ ეს შენთან ბოლო შეხვედრა იყო?

17 სექტემბერს ურეკთან, აგარაკ შეკვეთილში ჯემალ გახოკიძის 60 წლისთავი აღვნიშნეთ.

ჯემალი წესიერი კაცია, თავმდაბალი და გულისხმიერი.

იუბილე ვიწრო წრეში აღინიშნა, სუფრასთან ვისხედით: ფრიდონ თოდუა, როინ მეტრეველი, იგორ კვესელავა, ჯემალ ჯანაშია, ჯუმბერ სურმავა, შოთა შანიძე (მხატვარი), და კიდევ რამდენიმე ჩემთვის უცნობი კაცი.

20 სექტემბერს სწავლა დაიწყო და ორმოცდამეთხუთმეტეჯერ შევაღე სტუდენტური აუდიტორიის კარი როგორც ლექტორმა.

არ დამავიწყდეს, ჯავახიშვილს ან უკვე იავარქმნილ, ძლივსმფექთავ უნივერსიტეტს ნაძირალა ხუბუა მოაშორეს (სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან წიგნების ქურდობაში ამხილეს), ასე რომ ღვინის ქურდი მთხლეს გადააყოლეს.

ჩემი რომანი ძალიან მოსწონთ.

წიგნს უკვე აღფრთოვანებული რეცენზიები უძღვნეს – სოსო სიგუამ, იური ბიბილეიშვილმა, თენგიზ ჩხეიძემ, მურმან თავდიშვილმა და სხვებმა.

21.IX-2010 წ. – 31.XII-2010 წ.

სექტემბერი და ოქტომბერი ფრიად დატვირთული მქონდა.

მწერალთა კავშირის შენობის რემონტის საქმეზე დავრბივარ მერიაში და კულტურის სამინისტროში.

ფეხს ითრევენ. ორივე უწყებას სურს დაგვიბრუნდეს შენობა, მაგრამ ფეხს ითრევენ.

არ უნდათ აწყენინონ ქართული მწერლობის და საერთოდ ქართული ფენომენის მოძულე სააკაშვილს.

სააკაშვილი სასტიკი წინააღმდეგია ყოველგვარი ეროვნული ღონისძიების ჩატარებისა.

ვიბრძვით ჩვენ – მწერლები და სამღვდელოება. ჩვენს მომზადებულ ღონისძიებებს კრძალავს სააკაშვილი.

ასე აკრძალა მან ქუთაისში აკაკის იუბილეს გამართვა, თუმცა საჩხერეში მაინც ჩავატარეთ.

გამოვედი სიტყვით სხვიტორში და მოვუწოდე ჩაძინებულ საქართველოს გაღვიძებისკენ.

ჩვენი და ეკლესიის რუდუნებით მარტვილში გავმართეთ ჭყონდიდელობა, რომელსაც ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ დასწრებია.

24 ოქტომბერს ჭიათურაში გავმართეთ „ჭიათურობა“ და იმავე დღეს აღვნიშნეთ ორი დიდი არტისტის მიხეილ ვაშაძის და გრიგოლ ყიფშიძის 100-100 წლისთავი.

30 ოქტომბერს კიდევ ერთხელ ვიძალეთ და მესხეთ-ჯავახეთში ჩავატარეთ ტრადიციული “შოთაობა“. უამრავი ხალხი დაგვესწრო.

ყველგან გამოვდივარ სიტყვით და ხალხს მოვუწოდებ რუსეთის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლისკენ.

რაკი ამერიკა და ევროკავშირი ვერაფერს გვშველიან, რუს დამპყრობელს პარტიზანული ომი უნდა გამოვუცხადოთ, არ შევეგუოთ მონობას. ამას გვასწავლის-მეთქი ჩვენი კლასიკური მწერლობა.

ჩემი რომანი „ჩურჩულს გადაჩვეული კაციც“ ხომ ამ მოწოდებითაა გაჟღენთილი.

ქალაქის საკრებულოს ლადო მრელაშვილის დიდუბეში გადმოსვენება დავადგენინე როგორც იქნა. ლადო დიდი მწერალი იყო და გული მწყდება, რომ სიცოცხლეში ვერ დავაფასეთ, როგორც ეკუთვნოდა.

აცივდა. ალბათ მთებზე მალე მოთოვს.

მცხეთის გამგეობა ურიასავით მაწვალებს, რომ 17 წლის წინათ თხინვალის საერთო კრების მიერ გამოყოფილი ხელისგულისოდენა ნაკვეთი რეესტრში არ გამიტარონ.

შენაო, შიგადაშიგ ინტერვიუებში სააკაშვილს ლანძღავ და რომ გაგვიგოს, ყველას გაგვყრის სამსახურიდანო.

მათიც მესმის.

ვის ხელში ხარ, უბედურო საქართველოვ!

20 ოქტომბერს სამების ტაძარში ჩემი ინიციატივით გრიგოლ რობაქიძის ხსოვნის საღამო გავმართეთ.

პირველი სიტყვა მე ვთქვი.

28 ოქტომბერს „რადიო პირველით“ გამოვედი.

კარგმა ჟურნალისტმა თათა ჩხეიძემ მიმიწვია და პირდაპირ ეთერში დამსვა საღამოს 10 საათიდან დილის 7 საათამდე.

წარმოგიდგენიათ 9 საათი პირდაპირ ეთერში ყოფნა?

როგორც თათამ მითხრა, გადაცემა ინტერნეტით გადიოდა და ჩემი ხმა მთელ მსოფლიოს ესმოდა.

ყველაფერზე ვილაპარაკე: მწერლობაზე, ხელოვნებაზე, საქართველოს გადარჩენის გზებზე. ემიგრანტებს მივმართე, დაბრუნდით და, ქვეყანას რომელიც ხელიდან გვეცლება, მიხედეთ-მეთქი.

პირდაპირ ეთერში მეხმიანებოდნენ ქართველები მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

3 ნოემბერს ხორავას სახლში ოტია იოსელიანის 80 წლისთავის იუბილე გავმართეთ.

პირველი სიტყვა მე ვთქვი. გამოვიდნენ მაყვალა, გოგი ქავთარაძე, დავით შემოქმედელი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გივი ბერიკაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, გოგი დოლიძე და სხვები.

ბოლოს ოტიამ მისებურად, გლეხურად ყოველგვარი რევერანსების გარეშე განაცხადა: რა დროს იუბილეა ქვეყანა გვეღუპებაო.

არც არავისთვის მადლობა უთქვამს, არც როგორც იუბილარს მთავრობა დაუნდვია.

ასეთია ოტია.

ფრიდონ თოდუამ მითხრა, III სტადიის კიბო აქვს, თვეების სიცოცხლე აქვს დარჩენილიო.

შინ მოვდიოდი და ვტიროდი. კიდევ ერთი კარგი ქართველი, საშუალო მწერალი, მაგრამ ეროვნული ფენომენის დამცველი გვეცლება ხელიდან.

4 ნოემბერს ტანძიაში მივიწყებული საბაობა გავაცოლცხლეთ მე და გოგი დოლიძემ.

ჩავედით, ხალხი შევანჯღრიეთ, შევაღვიძეთ, გულის მოსაფხანი სიტყვა ვუთხარით.

5 ნოემბერს თელავში ჩემი 70 წლის იუბილე აღნიშნეს.

იუბილე ქალაქის მერიის და კახეთის სამწერლო ორგანიზაციის ხელმძღვანელების ფარნა რაინაულის და აკაკი დაუშვილის ინიციატივით გაიმართა.

დიდებული სიტყვები გვითხრეს – ფარნამ, აკაკიმ, ნიკო გოგოჭურმა, მარიამ კოზმანაშვილმა, ნუნუ ძამუკაშვილმა, ირმა ჭაბაშვილმა, ნანა რჩეულიშვილმა, ნათია ბოტკოველმა, ცისანა თვალიაშვილმა და სხვებმა.

კვირას, 7 ნოემბერს ყვარელში ილიაობის ტრადიციული დღესასწაული გაიმართა.

მე, მაყვალა და ბადრი ქუთათელაძე ჩავედით.

დღესასწაული მართლაც სახალხო იყო.

მე და მაყვალამ ათასამდე კაცს სიტყვით მივმართეთ.

დღესასწაულზე, როგორც გუბერნატორმა გიორგი ჯავახიშვილმა გვითხრა, პრეზიდენტ სააკაშვილს ელოდნენ, მაგრამ არ ჩამოვიდა. აბა კუტუნიოს ან მერაია ქერის კონცერტი ყოფილიყო, თუ არ ჩამოვიდოდა.

18 ნოემბერს აჭარამ ჩემი 70 წლისთავი აღნიშნა.

იუბილე ბათუმის უნივერსიტეტის უზარმაზარ სააქტო დარბაზში გაიმართა, რადგანაც თეატრი თურმე მსურველთ ვერ დაიტევდა.

იუბილე უშუალოდ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მიხეილ მახარაძის და აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის დავით თედორაძის ხელმძღვანელობით გაიმართა.

ეს გახლდათ ყველაზე გრანდიოზული იუბილე საქართველოში (მარჯანიშვილის თეატრში გამართული იუბილეს შემდეგ), რაც ჩემი შემოქმედების პატივსაცემად გაიმართა.

შესავალი სიტყვით დათო თედორაძემ გახსნა.

მოხსენება იური ბიბილეიშვილმა გააკეთა.

მისალმებებით გამოვიდნენ:

უნივერსიტეტის რექტორი – ალიოშა ბაკურაძე.

მიხეილ მახარაძე (უზენაესი საბჭოს თავ-რე).

შოთა ზოიძე – პოეტი.

იგორ კვესელავა – აკადემიკოსი, ისტორიკოსი.

ვახტანგ შამილაძე – აკადემიკოსი .

ნომადი ბართაია – პოეტი.

ინგა შამილაშვილი – პროფესორი.

ნათია თვალაბაშვილი – სტუდენტი და სხვები.

იუბილეს თან ახლდა დიდი კონცერტი.

სანამ იუბილე დაიწყებოდა, უნივერსიტეტის ეზოში 500–მდე სტუდენტი და პროფესორი ხანგრძლივი ტაშით შემეგება.

სააქტო დარბაზმა ხალხი ვერ დაიტია.ბევრი ფეხზე იდგა.

მერე დიდებული ბანკეტი გამიმართეს.

ღამის 11 საათზე აჭარის ტელევიზიამ ერთსაათიანი ინტერვიუ ჩამომართვა.

ბათუმში რომ მივდიოდი, რადიომ გადმოსცა – 100 000 ქართველი მოწამის შესახებ სიუჟეტი. არაბებმა 100 000 თბილისელს (?!) ქრისტიანობის ერთგულებისთვის თავი რომ მოჰკვეთეს და მტკვარში გადაყარეს.

შემზარა ამ ფაქტმა. ჯერ ერთი, თბილისში სად იყო იმ დროს 100 000 კაცი, მეორეც ასე როგორ დაუდო 100 000-მა მორწმუნემ თავი ჯალათს მოსაკვეთად რომ ერთმა კაცმაც არ გაუწია წინააღმდეგობა.

არ მომასვენა ამ ამბავმა და თბილისში ჩამოსვლისთანავე დავწერე ნოველა "თავების ჭრა ძნელი საქმეა". დავბეჭდავ „მწერლის გაზეთის" დეკემბრის ნომერში. ვიცი, თავს დამესხმიან „ბრმად მორწმუნენი", მაგრამ შეგუებული ვარ.

ეს ნოველა დაცვედნებულ პირქვედაცემულ, ცხვარივით მორჩილ თანამედროვე საქართველოს ეძღვნება.

20 ნოემბერს ნატოს ლისაბონის სამიტი გაიმართა.

სამიტზე ჩასულმა პრეზიდენტმა ობამამ დიდი აჯა-თხოვნის შემდეგ, როგორც იქნა მიიღო სააკაშვილი და 15 წუთის განმავლობაში ესაუბრა.

საუბრის ტექსტი არსად დაბეჭდილა, მაგრამ როგორც სააკაშვილმა წაიტრაბახა, ობამამ მოუწონა საქმიანობა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ამ შეფასებით ფრთებშესხმული სააკაშვილი ნატოს სამიტზე გამოვიდა და თავისი "რეფორმები" მაგალითად დაუსახა მთელ მსოფლიოს. იქვე პირობა დადო, რომ არასოდეს იფიქრებს წართმეული ტერიტორიების დაბრუნებაზე სამხედრო საშუალებით. რაკი მთელი მსოფლიო უძლურია რუსეთს ჩვენთვის წართმეული მიწები დაათმობინოს, სააკაშვილის გამოსვლა იმას ნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა საბოლოოდ უარი თქვა წართმეული ტერიტორიების დაბრუნებაზე და თითქოსდა ბაბუამისის დანატოვარი ყოფილიყო, აჩუქა იგი ოკუპანტს.

მართალია, ისე, ზრდილობისთვის სამიტის რეზოლუციაში ჩაიწერა საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებული არისო, მაგრამ ნატოს რეზოლუციაში კატეგორიული ტონის ნატამალიც კი არ ჩანდა, რომ რუსეთმა საქართველოს დეოკუპაცია მოახდინოს. სამაგიეროდ, ნატო ტაშისკვრით შეხვდა პრეზიდენტ მედვედევს და სთხოვა მას ითანამშრომლოს ნატოსთან.

ესეც შენი "ნატო".

როგორც მოსალოდნელი იყო, არც მაპი მოგვცეს და არც "აი, პაპი". ასე რომ კვლავ დაგვაგდეს თეთრი დათვის საჯიჯგნად.

25 ნოემბერს თბილისში „სახალხო კრება" გაიმართა.

„ოპოზიციონერებს" კრებისთვის არც ერთი დარბაზი არ დაუთმეს და ამიტომ კრება ქუჩაში, პარლამენტის წინ ჩატარდა.

სახალხო კრების ლიდერები (ნონა გაფრინდაშვილი, ნინო ბურჯანაძე, გოგი ქავთარაძე, გია ბურჯანაძე, რეზო ესაძე, გუბაზ სანიკიძე, ეკა ბესელია...) კრების წინა დღეებში ხალხს მოუწოდებდნენ „ფიცით გითხრობთ" დაშლა და სახლში გაშვება არ იქნება, დღედაღამ თქვენს გვერდით ვიქნებით სანამ სააკაშვილს არ გადავაყენებთო, მაგრამ მათმა „სიმტკიცემ" მხოლოდ 3 საათი გასტანა.

მიიღეს ტაშის გრიალში რეზოლუცია სააკაშვილის გადაყენების შესახებ და როცა პრაქტიკული საქმე იყო საჭირო (პარლამენტის, სახელმწიფო კანცელარიის დაკავება...) ჩვენმა მოწონებულმა „ბელადებმა" ნაქებარი ძაღლივით ნიახურს გადააფსეს, საათზე დაიხედეს და ხალხს გამოუცხადეს, წაით ახლა კუტუნიებო სახლში და როცა საჭირო იქნება, კვლავ დაგიძახებთო.

ვიცოდი რა რომ „ოპოზიცია" ხალხს ატყუებდა, 25-ში სახლიდან არ გავსულვარ.

როგორც მითხრეს, ხალხი სახალხო კრების ინიციატორებისადმი დედის გინებით და ქვების სროლით დაიშალა.

1 დეკემბერს ასტანაში (ყაზახეთი) ეუთოს მორიგი სამიტი გაიმართა.

ეუთოს სამიტი 1999 წლის სტამბულის სამიტის შემდეგ არ გამართულა.

54 ქვეყნის პირველმა თუ მეორე პირებმა (რუსეთის გარდა) ერთხმად აღიარეს, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიების 20 %, რომ რუსეთმა ამ მიტაცებულ ტერიტორიებზე განახორციელა ეთნოწმენდა და ეუთოს მთავარ ამოცანად მიიჩნიეს რუსეთმა გაიყვანოს ჯარი საქართველოდან.

გამოვიდა მედვედევი და თითქოს არ მოუსმენიაო მისი წინამორბედის გამოსვლები, ისევ „პირველ ჩვენებას" დააწვა:

საქართველომ დაბომბა სამხრეთ ოსეთი და ჩვენ დავსაჯეთ აგრესორი საქართველო ამისთვის, ესაა სულ საქართველოს კონფლიქტის გეოგრაფიაო. ხოლო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს (თბილისელ სომეხს) რომ ჰკითხეს რა აზრის ხართ სააკაშვილის წინადადებაზე, რომ მედვედევ-სააკაშვილის მოლაპარაკება შედგესო, ლავროვმა (?) უპასუხა: ეს უკვე დაგვიანებულიაო.

აი, გათავხედებული რუსეთის სახე!

17 ნოემბერს გალაკტიონის დაბადების დღეს ტელევიზიის პირველ არხზე დილის გადაცემაში მიმიწვიეს. ვილაპარაკე.: როგორ გავხსენი გალაკტიონის კაბინეტი უნივერსიტეტში და როგორ გააუქმეს იგი სააკაშვილმა, ლომაიამ და ხუბუამ... როგორ ვიწვალე, რათა თბილისში გალაკტიონის სახლ-მუზეუმი გამეხსნა. როგორ დავრჩი გაოგნებული როცა შევიტყვე, რომ გალაკტიონის „ოჯახის წევრებს“ ნინო კვირიკაძეს და ნოდარ ტაბიძეს გალაკტიონის ყველა პირადი ნივთი სანაგვეზე გადაუყრიათ. მერე როგორ გავხსენი გალაკტიონის მუზეუმი (შევარდნაძის დახმარებით) და როგორ აღმოვაჩინე გალაკტიონის ნიღაბი, გალაკტიონის კოსტუმი, გალაკტიონის ჩანთა და გალაკტიონის ჭილოფის ქუდი, რაც ახლა მუზეუმში ინახება. ბევრმა დამირეკა, ეს არ ვიცოდითო.

14 დეკემბერს სამტრედიამ გადამიხადა 70 წლისთავის იუბილე.

თეატრის 300 ადგილიანი დარბაზი სავსე იყო. ბევრი ფეხზე იდგა.

იუბილის ორგანიზატორები იყვნენ ქალაქის გამგებელი და სამტრედიის მწერალთა გაერთიანების თავმჯდომარე, მწერალთა კავშირის წევრი თემურ ჯულაყიძე.

შეხვედრამ გულთბილად, საინტერესოდ ჩაიარა.

გამოვიდნენ თემურ ჯულაყიძე, გულიკო ჩაბრაძე, ილია ლეკვეიშვილი, აკაკი თევზაძე, თამარ რაზმაძე და სხვანი!

სამტრედიის სამხატვრო ძალებით წარმოადგინეს ნაწყვეტები ჩემი ნოველებიდან.

უარღესად კმაყოფილი დავრჩი.

ჩამოსვლისთანავე ჟურნალმა „რეიტინგმა“ ინტერვიუ ჩამომართვა და იქ გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება საერთოდ იუბილეების მიმართ, მართალია ქვეყანას უჭირს, მაგრამ იუბილეები მაინც უნდა გაიმართოს, იგი მწერლის ავტორიტეტს ზრდის და საზოგადოებას წიგნისკენ მოახედებს-მეთქი.

28 დეკემბერს ქუთაისის დიდ თეატრში ჩემი 70 წლის იუბილე გაიმართა.

ქუთაისი ჩემი სიყრმის ქალაქია და ჩემი შემოქმედების ამოურწყავი წყაროც. ქუთაისის და საერთოდ იმერეთის სიუჟეტებით, პასაჟებით, თემებითაა გაჯერებული ჩემი ნოველების დიდი ნაწილი.

მაგრამ ამ ტოტალური უწიგნურობის ეპოქაში იცის ეს ქუთაისმა?

მაშინ როდესაც ხელისუფლების პოლიტიკა მწერლის იგნორირებისკენ, მწერლის მთავარი საზრუნავის ეროვნული ფენომენის გაცამტვერებისკენაა მიმართული, მაშინ როცა წიგნის კითხვისკენ კი არა ლუკმა-პურის შოვნისკენაა მიბრუნებული ჩემი საყვარელი ქუთაისელის გულისყური, ვიგრძნობ მე ჩემი ქუთაისელი მკითხველისაგან იმ სიყვარულის მეათედს, რა სიყვარულითაც მე მიყვარს ქუთაისი?

იუბილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

იგი მართლაც რომ დიდებულად ჩატარდა.

2 საათზე დაიწყო. თბილისიდან მახლდნენ მხოლოდ იგორ კვესელავა და სოსო სიგუა.

თავდაპირველად ჩემი ნოველების მიხედვით დადგმული სპექტაკლი წარმოადგინეს ქუთაისის თეატრის მსახიობებმა (რეჟიტსორი თორნიკე მარჯანიშვილი).

იუბილე შესავალი სიტყვით თეიმურაზ ლანჩავამ გახსნა.

გამოვიდნენ: ავთანდილ ნიკოლეიშვილი, სიმონ არველაძე, ოთარ ჭუმბურიძე, იგორ კვესელავა, სოსო სიგუა, იური ბიბილეიშვილი, თემურ ჯულაყიძე, ავთანდილ ყურაშვილი, ზაალ ებანოიძე, მაცაცო ლოსაბერიძე...

ბოლოს მადლობა გადავუხადე იუბილის ორგანიზატორებს (განსაკუთრებით თ. ლანჩავას) და ვილაპარაკე ჩემს დამოკიდებულებაზე თანამედროვე საქართველოს პრობლემების მიმართ.

ამით ჩამთავრდა ჩემი 70 წლისთავის საიუბილეო კვირა, მადლობელი ვარ ჩემი ხალხის, რომ ჩემი მოკრძალებული შრომა ასე დიდად შეაფასა.

მიიწურა 2010.

ჩემთვის ეს წელი იმით იყო ძვირფასი, რომ ჩემი პირველი რომანი "ჩურჩულს გადაჩვეული კაცი" გამოვაქვეყნე.

ამ წიგნით შევეცადე ჩემი ამღვრეული ეპოქა დამეხატა და ისტორიის ოკეანის საბედისწერო ღელვაში ლამის უიალქნო ნავივით მი და მო მცურავი ჩემი უბედური სამშობლო.

რა იყო საქართველოსთვის 2010?

კიდევ ერთი მძიმე წელი.

გაძლების წელი.

საქართველოს ტერიტორიის 25% ჩემი ქვეყნის უპირველეს მტერს – რუსეთს აქვს მიტაცებული.

რუსი სამხედრო ბაზებს აშენებს ოკუპირებულ ქართულ მიწებზე და დაშინებულ, დადედლებულ მსოფლიოს, თავის გაერო-ეუთო-ევროკავშირიანად რომ რუსის წინაშე შიშით კანკალებს, უტიფრად ენას უყოფს, ხოლო მსოფლიოს ვეგეტარიანულ დიპლომატიურ ინსტიტუტებს ხანდახან მიკნავლებული ხმით რომ ამოიკვნესებენ – რუსეთო დაუბრუნე საქართველოს წართმეული მიწებიო, გალიფრებული რუსი სამი თითის კომბინაციას უჩვენებს.

არსაიდან ხსნა...

ჩვენი ხელისუფლება კვლავ თავისას მიერეკება, ევროკავშირის და ამერიკის ფულით საქართველოში სასტუმროებს და საბაგირო გზებს აშენებს.

საქართველოში მოსახლეობის 70 პროცენტი უმუშევარია.

მოსახლეობის 40% შიმშილობს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

კატასტროფულად იზრდება ფასები პროდუქტებზე.

მატულობს ინფლაცია.

საბოლოოდ დამარცხებული და ნიღაბჩამოგლეჯილი მატყუარა ოპოზიცია ცხენს რომ ვერაფერს აკლებს, უნაგირს ეჯაჯგურება.

პოლიტიკური პარტიების ლიდერები ერთმანეთის ლანძღვა-მხილებით

ისე გაერთვნენ, რომ საქართველო დაავიწყდათ.

თუმცა, მე მგონი, არც არასდროს ახსოვდათ.

ერთი სიტყვით, მძიმე დღეშია ჩემი სამშობლო.

ვნახოთ რას მოიტანს 2011.

დღეს 31 დეკემბერია.

ტელევიზიის ყველა არხზე საახალწლო ბრაციბრუცია.

გული ამირია ამ ყალბმა ხელოვნურმა უნიჭო ზეიმომანიამ.

რუსთაველი ტარიელზე და ავთანდილზე ერთგან წერს:

"თხა მოკლეს და მიითრიეს იქვე მისხდეს ხისა ძირსა,

სვეს და ჭამეს, რაც რომ ჭამა შეჰფეროდა მათსა ჭირსა"

ცხოვრობს თანამედროვე საქართველო თავისი ჭირის, თავისი დარდის შესაფერისად?

ჭკუამხიარულმა ხელისუფლებამ ხალხიც ხომ არ გააჭკუამხიარულა?

...საახალწლო ღარიბულ ტაბლას სამნი ვუზივართ:

მე, ჩემი ცოლი ნათელა და შვილიშვილი შიო.

სადაცაა 12 დარეკავს.

1/I-2011 – 11/II-2011

პირველი იანვარი ჩემი დაბადების დღეა. მეწვივნენ ჩემი უახლოესი მეგობრები და ნათესავები.

ათიოდე კაცი დაესწრო მე-8 ათწლეულში ჩემი გადასვლის აღსანიშნავ ვახშამს:

და – ნათელა, დისშვილი, ზაზა მრელაშვილი მეუღლითურთ.

მეგობრები: იგორ კვესელავა (მეუღლითურთ), მერაბ თავდიშვილი (მეუღლითურთ), სოსო სიგუა (უმეუღლეოდ), ჯემალ გახოკიძე (მეუღლი-თურთ)...

იგორ კვესელავამ ბრწყინვალედ ითამადა.

7 იანვარს მწერალთა კავშირის გამგეობის სხდომა გვქონდა.

გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის" დირექტორად ახალგაზრდა პოეტი ჰენრი დოლიძე ავირჩიეთ.

ვნახოთ, გაამართლებს თუ არა. სამეურვეო საბჭოს (ბაღათერ არაბუ-ლი, გურამ გოგიაშვილი, მურმან თავდიშვილი, სოსო სიგუა, ზურაბ თორია) თავმჯდომარეობა გურამ გოგიაშვილს დავავალეთ. იქნებ აწი მაინც არავინ დააბრკოლოს მწერლები წიგნის გამოცემის გოლგოთის გზაზე?

იქნებ აწ მაინც გაუქმდეს მოგონილი ბარიერები?

მტრებმა მეორე ფრონტიც გამიხსნეს.

ჩემს ნოველას „თავების ჭრა ძნელი საქმეა" („მწერლის გაზეთი", დე-კემბერი, 2010) დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ნოველაში 100 000 მოწამის გაქილიკების ნიშნები „აღმოაჩინეს". გარდა ამისა ერთ-ერთ ჩემს ინტერ-ვიუში ნათქვამი: დიდგორის ველზე მტრის ჯარი ნახევარ მილიონზე ბევრად ნაკლები იყო და ნუ ვაზვიადებთ"... ხელზე დაიხვიეს და ვისაც არ ეზარება, ჩემს აღზრდას ცდილობს.

ჯერ რეზო ამაშუკელმა მარიგა ჭკუა, მერე მარიკა ლორთქიფანიძე და როინ მეტრეველი შემეკამათნენ, მოზომილად, თბილად, არასაწყენად.

ბოლოს, 25 იანვარს საპატრიარქოში მიმიწვიეს სხვა მწერლებთან ერთად. პატრიარქმა ასეთი ზოგადი ფრაზა ბრძანა: ზოგ მწერალს ეჭვი ნუ შეაქვს ასი ათასი მოწამის არსებობაშიო, ნურც დიდგორის ბრძოლაში მოპირდაპირე ჯარების რაოდენობის გადასინჯვას ეცდება რომელიმე თქვენგანიო.

რა მექნა, ხომ არ ავდგებოდი და უწმინდესს კამათს ხომ არ დავუწყებდი. ხომ არ ვეტყოდი: თქვენ ჩემი ნოველა არ წაგიკითხავთ, იმ ნოველაში სრულიადაც არ არის ლაპარაკი ჯალალედინის ეპოქაზე და ასიათას მოწამეზე. მე ვწერ არაბების ბატონობის ხანაზე, ე.ი. ჯალალედინამდე 4 საუკუნის წინანდელ ამბავზე. თანაც ნოველაში სიუჟეტის საკვანძო ფრთა ასეთი გახლავთ: თბილისის ამირა ამბობს:

– განქარდა არაბთა უძლეველობის მითი, ათასისთავო.

– გისმენთ მბრძანებელო?!

– ქართველებმა ამ სიკვდილით დაგვამარცხეს“.

სწორედ ეს ქრისტესმიერი ჭეშმარიტება გახლავთ ჩემი ნოველის დედააზრი – სიკვდილით სიკვდილის დამარცხება“.

ნოველა თანამედროვე ქართველის შესაღვიძებლადაა დაწერილი. ნუ დავუდებთ რუსეთს თავს საჯალათო კუნძზე, მტერს მტრულად უნდა დავხვდეთ, როგორც ამას დავით აღმაშენებელი და გიორგი სააკაძე გვასწავლიან და არა ტოტალური მორჩილებით-მეთქი. ესაა სულ.

რა იციან სოსო ჯაჭვლიანმა და ირინა სარიშვილმა რა წერია ჩემს ნოველაში. არ ვაპირებდი თქმას, მაგრამ სირცხვილით ვიწვოდი სვანურ ანეკდოტებზე „დაფუძნებული“ სოსო ჯაჭვლიანის „მაიტა ნასოსი“ რომ ვნახე. თურმე თანამედროვე სვანები მხოლოდ და მხოლოდ ან უკბილოდ ღადაობენ, ან თავების დაჯახების ჩემპიონატს ატარებენ. არა და მე თვითონ ნახევრად სვანი ვარ (დედა გველესიანი მყავდა) და საქართველოს ბედზე მჭმუნვარე უამრავ სერიოზულ სვანს ვიცნობ. არც ერთი მინიშნება თანამედროვე საქართველოს უბედურ სვეზე არც ერთი დამაფიქრებელი, ლირიული სცენა მთელ ფილმში არ არის, თუ თავში რკინის ურუოს ჩარტყმის სულელურ პასაჟს არ მივილებთ მხედველობაში. და აი, ამ ფილმის ავტორი მე ჭკუას მასწავლის.

ჩვენთან მომრავლდნენ ინტერვიუს რაინდები. ერთ-ერთ ინტერვიუში ამასწინათ სვანეთის ერთ ფრიად სამწუხარო შემთხვევაზე სოსომ მკითხველს დასკვნის გაკეთების მომენტი 50 წლით გადაუწია. არა, სოსო სვანეთი უფრო ღრმაა ვიდრე შენ გგონია, სვანეთი ის არ არის მესტიაში უკრაინელ გოგონებს ტაშს რომ უკრავდა, გირჩევნია ამაზე იფიქრო და შენი მომავალი ფილმიც ქვეყნის სატკივარზე შექმნა. რაც შემეხება მე, ჩემზე საუბრის დროს ჭკუას მოუხმე და სიტყვები მოზომე, შიშით რეზო მიშველაძეს შენი დაბერილი მკლავების კი არა, მამალი მგლის არ ეშინია.

ქალაქის მერიამ (მამუკა ქაცარავა) ნება დაგვრთო მწერალთა კავშირის ძველ შენობაში დავბრუნდეთ.

სამი დღის განმავლობაში მწერალთა კავშირის ყველა თანამშრომელი და დამლაგებელი ვასუფთავებდით სამი წლის წინ წართმეულ გავერანებულ შენობას.

23 იანვარს დილით მწერალთა სასახლის კარებთან პატრული დაგვხვდა: ნაბრძანები გვაქვს შენობაში არ შეგიშვათო.

რა მოხდა? ნუთუ პირი გვიშალეს?

დავურეკე მამუკა ქაცარავას. დღეს საქართველოში ოფიციალურ პირთაგან ქაცარავას გარდა ტელეფონს არავინ იღებს, შეწუხებული ხმა ჰქონდა, ბატონო რეზო, მწერალთა კავშირში შესვლა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო რამდენიმე დღით გადაიდო, მაგრამ მე მგონი ყველაფერი კარგად დამთავრდებაო. ეჰ, ჩემო მამუკა, შენზე რომ იყოს დამოკიდებული ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, მაგრამ მწერალთა კავშირის შენობის დაბრუნების გზაზე სხვა გველეშაპი წევს.

იმ დროს როცა ქართულ ინტელიგენციას ათასი მტერი ჰყავს, თუ ქართული ტელევიზიის (უკლებლივ ყველა არხი) და თუ სოროსულ-გლობალისტური ხელისუფლების სახით ჩვენ ქართველები ერთმანეთს ვჭამთ. ხელისუფლებას რომ ვერაფერი დავაკლოთ ერთმანეთზე ვიყრით ჯავრს.

არაერთმა დამირეკა და მართალიც გამოდგა: რეზო ეს „კონფლიქტი მწერალთა კავშირში“ ხელისუფლებამ იმისთვის ააგორა და მასმედიამ იმისთვის აიტაცა, რომ მწერალთა სასახლის დაბრუნებაზე უარი გითხრანო. მე გულუბრყვილო კაცი არა ვარ, მაგრამ ასეთ მზაკვრობას ვერ წარმოვიდგენდი. მგონი მართალია.

ვის დავუმალო, მე არ ვღებულობ თანამდეროვე დაცვედნებულ-დადედლებულ საქართველოს. ჩემი ყოველი სტრიქონით ჩემს ხალხს გაღვიძებისკენ, მტრის მიმართ შეურიგებლობისკენ მოვუწოდებ. ამაზეა დაწერილი ჩემი რომანი „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ (რომელშიც ილაჯგაწყვეტილი და იმედგადაწურული მწერალი რუს ოკუპანტ-ჯარისკაცთა შორის მოკალათდება, თავს აიფეთქებს და ოცდაათ დამპყრობელსაც თან გაიყოლებს.

ამ პათოსითაა გაჟღენთილი ჩემი ბოლო პატარა ნოველა „თავების ჭრა ძნელი საქმეა“. არავითარი ასი ათასი მოწამე, არავითარი ჯალალედინის ეპოქა იმ ნოველაში მინიშნებითაც კი არ არის ნახსენები და ჩემმა „აღმზრდელებმა“ რა მკრეხელობა დაინახეს დღემდე ვერ გამიგია (მთელი უბედურება იმაშია, რომ ჩემმა „მეგობრებმა“ პატრიარქიც კი შეიყვანეს შეცდომაში) და როცა ერთ-ერთმა გაზეთმა პატრიარქის ზოგად ფრაზაში მე არ დამინახა, აღშფოთდნენ, ეს რა ხდებაო, მაშ ჩვენ ეს შეხვედრა რისთვის მოვაწყეთ, თუ მიშველაძისკენ არ გაიშვერენ ხელსო.

ათასჯერ ვიმეორებ: მე ალთას ვარ, ესენი ბალთას არიან. მე ნოველა IX საუკუნის თბილისზე დავწერე, დიდმა ისტორიკოსებმა გინდა თუ არა XIII საუკუნეს გულისხმობდიო.

ერთმა ჩემთვის სათაყვანებელმა ქალბატონმა (რომლის „უტყუარმა“ ისტორიულმა თხზულებებმა საბჭოთა ეპოქაში აფსუების ავტოქტონურობის დამტკიცებით ქართულ ისტორიოგრაფიას დათვური სამსახური გაუწია) განაცხადა, ასი ათასი ქართველი რიგში კი არ ჩადგა, რეზოს ვენაცვალე, მთელ საქართველოში მოაგროვეს (რაკი თბილისში იმ დროს 100 000 მცხოვრები არ ცხოვრობდა) და ხელფეხშეკრული ჩამოიყვანეს თბილისშიო.

სად დაატიეს ძვირფასო, მარიკა მერე ეს 100 000 დაბორკილი ქართველი? მტრის მთავარი მოთხოვნა ხომ ის იყო, რომ ქართველებს ჯვარ-ხატები ფეხით გაეთელათ, ცოტა უხერხული ხომ არ არის ხელფეხშეკრულისთვის ამ როლის შესრულება? ან იქნებ ორიოდე წუთით შეუხსნიდნენ ხელ-ფეხს და მერე ისევ შეუკრავდნენ?

როდის იყო ჩვენში თავიანთი აკადემიური პერსონის გარდა სხვა მიეჩნიათ ავტორიტეტად, მაგრამ იქნებ ერთი წამით მოვიცალოთ და სამხედრო საქმის, სამხედრო პოლიტიკის სპეციალისტს თამაზ მიქაუტიძესაც მოვუსმინოთ:

„ჯალალედინი თბილისში 3000 კაცით შემოვიდა... ჯალალი ხიდზე ალაგებინებს ხატებს... ვინც ხატებს არ დააბიჯებს, თავს მოჰკვეთენ.

100 000 თბილისელი, 1226 წელი...

დააყენეთ რიგში 100 000 კაცი და თქვენ მიიღებთ ასკილომეტრიან რიგს თავით ხიდზე, ბოლოთი გურჯაანში...

ჯალათებს რომ ეს „სამუშაო“ (თავების კვეთა, რ.მ.) შეესრულებინათ დაჭირდებოდა 40 დღე და მეტიც...

რატომ ასაცოდავებ „შენსავე მოდგმას, რაში გჭირდება ეს?“ („საერთო გაზეთი“, 12.I.2011 წ.).

მეათასეჯერ ვიმეორებ ჩემს ნოველას ჯალალედინის ეპოქასთან (მითუმეტეს 100 000 მოწამესთან, რ.მ.) საერთო არა აქვს, მაგრამ ხომ არსებულა განსხვავებული აზრი სპეციალისტთა შორის (აღარას ვამბობ ჩემს ტელეფონზე დამრეკავთა შეხედულებაზე: „აგაშენა ღმერთმა, ასი ათასი ჩვენც გადაჭარბებულად გვეჩვენებოდაო“).

ახლა მეორე ამბავი: ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი: ქართველებს გაზვიადება გვიყვარს, მე მგონი დიდგორის ომში რომ 60 ათასმა ქართველმა 500 000 თურქ-სელჯუკი დაამარცხა ესეც ცოტა გაზვიადებულია-მეთქი.

როგორ თუ გაზვიადებულიაო, ქოში უკულმა ჰყარეს ნაფიცმა ისტორიკოსებმა. დაიცხრეთ ამპარტავნობა ბატონებო და ყური მიაპყარით თქვენსავე კოლეგას სამხედრო ისტორიკოსს, პროფესორ სოსო მარგიშვილს:

„ილ-ღაზის არმია იყო ნამდვილად უზარმაზარი და ბევრად აღემატებოდა ქართულ არმიას, მაგრამ მისი წარმოდგენა 300 ათასად ან თუნდაც 100 ათასად ისტორიული რეალობის დარღვევაა... მოგონილი და გაზვიადებული ციფრი არაფრით ამაღლებს დიდგორში მოპოვებული გამარჯვების მნიშვნელობას, პირიქით, მას ზღაპრულ და დაუჯერებელ ელფერს აძლევს, შესაძლოა ესეც იყოს მიზეზი იმისა, რომ სამხედრო ხელოვნების ისტორიაში დიდგორის ბრძოლა სხვა ცნობილი მებრძოლების გვერდით არსად განიხილება“ (ჟურნალი „თბილისელები“, 19 თებერვალი, 2007 წ.).

მე, რევაზ მიშველაძე ვფიქრობ, რომ ჩვენ ახლა წარსულის და თანამედროვეობის სწორი, ბრძნული შეფასება გვჭირდება. არასოდეს არც ერთ ეპოქაში არ შეგუებია ქართველი დამპყრობელს, როგორც ახლა წაუწვა და შეეგუა. ეს იცით რისი ბრალია? თურმე ჩვენ 2008 წელს ომი ფაქტიურად მოგვიგია, თურმე არც 1993 წელს დავმარცხებულვართ... მაგ სიმართლით იაროს იმან, ვინც ჩემს ტანჯულ ხალხს რომანტიკულ სიყალბეებში აცხოვრებს და დღედაღამ ჩაუძახოს: ჩვენ ყველაზე მაგრები ვართო.

თუ ჩემი პოზიცია გაინტერესებთ, მე ორ ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკური მოლაპარაკების გზით წართმეული ტერიტორიების დაბრუნების და პარტიზანული ბრძოლის მომხრე ვარ. არ უნდა მოვასვენოთ, არ უნდა დავაძინოთ ჩვენს მიწაზე დამპყრობელი. როგორ შეიძლება კოდორში და ახალგორში დღეს ერთი წარწერაც არსად იყოს. რუსებო წაეთრიეთ საქართ-

ველოდან!“ როგორ შეიძლება ცხინვალის მოედანზე უყოყმანოდ დაჩოქილ 50 ახალგაზრდას შორის ერთიც არ აღმოჩენილიყო – არ დავიჩოქებო, რომ ეყვირა?

ხალხი შიმშილით კვდება, ინფლაციამ ლამის სული ამოხადოს ქვეყანას და ამ დროს ჩვენ თურმე იმიტომ ვშიმშილობთ, რომ ჩინელებმა ჭამა დაიწყეს, თურმე 8 მილიონს იმიტომ ვაძლევთ იტალიელ მომღერალს ერთ კონცერტში, რომ ამით უცხოელი ტურისტები მოვიზიდოთ (?!), თურმე სამხედრო ვეტერანებს იმიტომ ვერეკებით შიმშილობის ველიდან რომ „დემოკრატია“ ისტორიული ძეგლის სიახლოვეს მოშარდვას არ ჰქვია („დემოკრატია“ ისტორიული ძეგლის აფეთქებაა დღისით, მზისით), თურმე უმადურმა რუსეთმა არ დაგვიფასა რომ ჩვენ რუსს (შევარდნაძისგან განსხვავებით) ჩეჩნეთის დამორჩილებაში დავეხმარეთ, არ დაიჯეროთ ეს მტკნარი სიცრუე, ძმებო, ჩეჩნებო!

მე ხშირად ვლანძღავ, გაყიდულ ოპოზიციას და თუ რატომაა იგი გაყიდული თქვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ დაგიმტკიცებიათ.

ვის მოუვა აზრად, რომ მე რაკი ოპოზიცია ვერ შევიყვარე, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას მივუჩოჩდი.

ნურას უკაცრავად!

მე ის რევაზ მიშველაძე ვარ, რომელიც ხელისუფლებას ოდესმე აპატიებს 2007 წლის 7 ნოემბერს? მწერალთა სასახლის უმოწყალო დარბევას? უნივერსიტეტის და აკადემიის ფაქტიურ განადგურებას? საჯიშე ყმაწვილების ქუჩაში დახვრეტას? გამწარებული ლტოლვილების და ომის ვეტერანების გაუთავებელ დევნას და აბუჩად აგდებას?

არა ბატონებო, მე რევაზ მიშველაძე ისევ იქა ვარ, სადაც ვიდექი და ისევ იმას ვაკეთებ, რასაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვაკეთებდი.

დიახ, ყველა იმ ნამდვილ ოპოზიციურ (და არა თეატრალურ) მიტინგზე მივალ, სადაც ოპოზიციის ბელადები ლამაზსიტყვაობით და გულზე ხელის ბრაგუნით ასე დაგვაბოლებენ და მერე გამტკნარებული სახით არ გვეტყვიან: წაით ახლა, კუტუნიებო, სახლებშიო.

იქნებ ცნობილ ქართველ მწერალთა აზრმაც დააინტერესოს ჩემი არამკითხე მამიდები?

აი რას წერს ნოდარ კობერიძე:

„რატომ არ ვუფიქრდებით, იქნებ ამიტომაც ვართ ამდენი ხანი ასეთ დღეში, იქნებ ამიტომ გახდა ჩვენი მეგზური დამარცხება, იქნებ ამიტომ იკარგება ქართული ძირძველი ტერიტორიები, იქნებ ამიტომ დაგვეუფლა ათასი ჭირი და კვნესა, რომ დაჩოქება, თავჩაქინდრვა, ხელების ძაბუნად ჩამოყრა, დანებება, ცხოვრების წესად გაგვიხდია და ამ სინდრომმა ლამის ერთიანად წალეკოს ერი თუ ბერი?! რატომ არ ვუფიქრდებით, იქნებ სწორედ ამას (და ეს ასეც არის) გვსაყვედურობს გულდათუთქული მწერალი თავისი ცრემლიან-ტკივილიან ნოველაში. მე კი ეს დავინახე და თქვენი არ ვიცი. ამ ამოძახილისკენ მიბიძგა ამ ნოველამ და მადლობასაც ვეუბნები რევაზ მიშველაძეს მისი შექმნისთვის“ („მწერლის გაზეთი“, 25 იანვარი, 2011 წ.).

ახლა მიხეილ ჩაჩუას მოვუსმინოთ:

„რევაზ მიშველაძე ამ ნოველაში არც 100 ათასს ახსენებს და არც ეპოქას აკონკრეტებს. პირიქით, იგი სიკვდილით ქართველთა გამარჯვებაზეც მიანიშნებს.

...დავუშვათ, რომ მართლა მოკვეთეს თავი ასი ათას ქართველს, რა არის ქართველებო საამაყო ამაში? ის რომ იმ ასიათასში ერთი ქართველიც ხომ არ აღმოჩნდა ისეთი, გმირობას ვინ ჩივის, წინააღმდეგობის მაგვარი რაღაც ქმედება ჩაედინა? თქვენც არ მომიკვდეთ.

... განა ჩვენი დროის დიდმა ნოველისტმა რევაზ მიშველაძემ ამ ნოველით ზუსტი დიაგნოზი არ დაუსვა მართლაცდა საღათას ძილით შეპყრობილ, პირქვედამხობილ, დაცვედნებულ-დამარცხებულ საქართველოს?“ („მწერლის გაზეთი“, 25.I.2011).

მართლად სჯიან ჩემი კოლეგები, მე წამებული სულის შეწუხებაზე არც მიფიქრია, მე თანამედროვე დადედლებულ საქართველოსთან მქონდა საქმე და ჩემი კალმით ერში გმირულის სულის წინააღმდეგობის უნარის აღზრდას ვცდილობ.

აი, რატომ არ მწყინს ზოგიერთი ჩასაფრებული ოპონენტის გაწიწმატება.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემმა ნოველამ გაიმარჯვა, არაა ადვილი დღეს მხატვრული ნაწარმოებით ელდაცემული, დამშეული, ილაჯგაწყვეტილი მკითხველი აალაპარაკო.

როცა ილია ჭავჭავაძემ „ბედნიერი ერი“ დაწერა და თავის სათაყვანებელ ერს „ყველა ყრუი... ყველა ცრუი“ უწოდა ან აკაკიმ რომ „ფურთხის ღირსი ხარ, შენ საქართველოვ“, დაწერა, გულარხეინობის ყურბალიშზე მთვლემარე, ნირვანაში მყოფ საქართველოს დიდ ნაწილს, რასაკვირველია, არ მოეწონებოდა ეს მკვახე შეძახილი. ძვირფასო „მოსამართლენო“, თქვენ საქართველო ილიაზე და აკაკიზე მეტად გიყვართ?!

ერთი ქართული ანდაზა ამბობს: „სვავი სანამ ძვალს გადაყლაპავდეს ჯერ კისერს დააზომებსო“.

12.II.2011 – 18.III. 2011

12 თებერვალს პრეზიდენტი პარლამენტში წლიური ანგარიშით გამოვიდა.

ჩვეულებრივი ტრაბახის შემდეგ განაცხადა, რა დაგიმალოთ, ყველაფერზე ფასები იზრდება, ქვეყანაში დაწყებულია ლარის სწრაფი ინფლაცია და მე ვერაფერს გიშველითო.

არც ერთი სიტყვა მეცნიერებაზე, არც ერთი სიტყვა ხელოვნებაზე, არც ერთი სიტყვა სპორტზე, არც ერთი სიტყვა უმაღლესი განათლების პრობლემებზე.

რა საოცარია, რამ შეაძულა ამ კაცს ასე ეროვნული მწერლობა, ეროვნული ფენომენი.

ქრისტიან-დემოკრატებმა (ახვლედიანი, თარგამაძე) გააკრიტიკეს, მაგრამ რად გინდა, შეაყარე კედელს ცერცვი.

შემაჯამებელ სიტყვაში აშკარად ჩანდა რომ არც ერთი რჩევა, არც ერთი შენიშვნა არ მიიღო.

პრესა-ტელევიზიებში ისევ გრძელდება მწერალთა კავშირის და მისი ხელმძღვანელობის ლანძღვა. აშკარაა რომ მავანთ გადაწყვეტილი აქვთ მწერლების დამცირება, რათა ის ავტორიტეტი მოგვეშალოს, რითაც ჯერ კიდევ ვსარგებლობთ.

„ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან ყველას ერთად ვუპასუხე და განვაცხადე, აღარა მაქვს სურვილი ამ სულელურ კამათში ჩავერიო-მეთქი.

ახლახან დავამთავრე ნოველა „ტაბახმელა“. იგი 1921 წლის 25 თებერვალს დაღუპულ გმირ იუნკრებს მივუძღვენი. ნოველაში გამოყენებული მაქვს ადგილი რეზო გაბაშვილის მოგონებიდან იმის შესახებ, თუ როგორ ვერ შეგროვდა თბილისში 34 მოხალისეზე მეტი, რათა ტაბახმელასთან მებრძოლ იუნკრებს მიხმარებოდნენ.

ახლა ამაზე ატყდება ერთი ამბავი, ნახეთ როგორ დაამცირა მიშველაძემ თბილისის მოქალაქენიო. ხელისუფლება კვლავ კატა-თაგვობანას გვეთამაშება. ჩვენს მიერ გაწმენდილ-გასუფთავებულ მწერალთა კავშირის შენობაში კვლავ აღარ გვიშვებენ. რომ გვეგონა ხელისუფლებამ როგორც იქნა გაისიგრძეგანა რომ 2007 წლის 21 აგვისტოს მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინა მწერალთა კავშირის დარბევით და ასწორებს თავის შეცდომასო, თურმე შემცდარვართ.

18 თებერვალს, პარასკევს, ტელეარხ „მაესტროზე“ გამოვედით მე, ჯანსულ ჩარკვიანი, სოსო სიგუა და დავით ტაკიძე, ვილაპარაკეთ იმაზე, თუ ერთხელ კიდევ როგორ მოგვატყუა ხელისუფლებამ.

ცოტა ხანს კიდევ მოვიცდით მამუკა ქაცარავას და გიგი უგულავას ხათრით, რადგანაც მხოლოდ ეს უკანასკნელნი არიან მწერალთა კავშირის მხარეზე და თუ არაფერი გამოვიდა, განვაახლებთ მიტინგებს მწერალთა კავშირის შენობის წინ.

11 მარტს იაპონიას გაუგონარი ტრაგედია დაატყდა თავს:

ცხრა ბალიანმა მიწისძვრამ გაანადგურა თითქმის მთელი ჩრდილოეთ იაპონია. მიწისძვრას ცუნამი მოჰყვა. ოცდაათი მეტრის ტალღებმა მოლოკა ოკეანის სანაპირო, წალეკა ყველაფერი და ლამის ტოკიომდე მოაღწია.

საშინელი სანახაობა იყო. ასანთის კოლოფებივით ტივტივებდნენ ტალღებზე სახლები, გემები, მანქანები... უკანასკნელი მონაცემებით დაიღუპა 14 ათასი ადამიანი და ერთი ამდენი უგზოუკვლოდაა დაკარგული.

მთავარი უბედურება ის არის, რომ სტიქიამ ატომური ელექტროსადგურები დაანგრია და რადიაციამ გაჟონა.

რადიაციული კატასტროფა კი მარტო იაპონიას კი არა მთელ დედამიწას ემუქრება.

მსოფლიო შეშფოთებულია. მიმდინარეობს ღონისძიებები, რათა იაპონია მთლიანად დაიცალოს და მოსახლეობა მთელ მსოფლიოში გადანაწილდეს თუ ატომური ელსადგურების კონსერვაცია ვერ მოხერხდა.

გაოგნებული ვარ, ადგილს ვერ ვპოულობ, მე ხომ იქ ნამყოფი ვარ, რა საათივით აწყობილი, რა მაღალი კულტურის ქვეყანა იყო. მსოფლიო ვერ შველის კოპწია იაპონიას, ჩვენ უძლურნი ვართ დაღუპვისაგან ვიხსნათ აკუტაგავას ქვეყანა.

რა მოხდა? ნუთუ ღმერთი ერთხელ და სამუდამოდ გაუწყრა კაცო-

ბრიობას და წარღვნა მოუვლინა, მე შორს ვარ ნოეს კიდობნის ზღაპრის დაჯერებისგან, მაგრამ წარღვნის მსგავსი რაღაც რომ ხდება აღმოსავლეთში, ფაქტია.

ჩვენი პრეზიდენტი 25 დღეა ამერიკაშია.

15 მარტს სენატორების წინაშე გამოვიდა და თავის რევოლუციურ გამოცდილებაზე ილაპარაკა. ვარდების რევოლუციის მეორე დღესვე მე და ჩემმა გუნდმა მტკიცედ გადავწყვიტეთ ქვეყანა უფროსი თაობის ადამიანებისგან გაგვეწმინდაო, საოცარი ის არის, რომ ამას მშვიდად უსმენდნენ ამერიკელი სენატორები (მათ შორის ჯონ მაკკეინიც), ხედავთ რა უბედურება სჭირს საქართველოს? კაცი ხმამაღლა აცხადებს ჩემი მშობლებისგან ვწმენდ ქვეყანასო და პროტესტიც კი არავინ გამოთქვა. თურმე ჩვენ, ძველი თაობა, ყველანი საბჭოთა ეპოქაში ვცხოვრობდით და ამიტომაც საბჭოთა მენტალიტეტის ვყოფილვართ, ვინ ვართ, საბჭოთა მენტალიტეტის მე და ჭაბუა ამირეჯიბი, ვინც მთელი ცხოვრება საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ბრძოლას შევალიეთ?

საქართველოში დღეს მართლაც მომწიფებულია რევოლუციური სიტუაცია და სააკაშვილი იმიტომაც აყოვნებს სამშობლოში დაბრუნებას. კატასტროფულად იზრდება ფასები. გრძელდება ინფლაცია. ბენზინის ფასმა უკვე 2 ლარს მიაღწია. ქვეყანა შიმშილობს, გაუსაძლისი ვითარებაა.

მწერალთა კავშირის შენობაში კვლავ ჯიუტად არ გვიშვებენ მწერლებს.

კულტურის მინისტრმა რურუამ უკვე დანიშნა მწერალთა სახლის დირექტორი ნატო ლომოური. რემონტი რომ დამთავრდებაო, შეიძლება მწერალთა კავშირს 3 ოთახი მოგცეთო, თქვენსავე შენობაში, ისიც მაშინ თუ ჭკვიანად მოიქცევითო.

აღარ დამთავრდა ჩვენი აღზრდა-დაუთოვება.

ბოლშევიკური ხელისუფლება, თუ ოდესმე ჰყავდა, სწორედ ახლა ჰყავს საქართველოს.

ყოველ შემთხვევაში, არც სტალინს და არც ბერიას არ უთქვამთ, უფროსი თაობისგან უნდა გავთავისუფლდეთო.

17 მარტს, სასახლეში (მოსწავლეთა სასახლე) ახალგაზრდა პროზაიკოსთა კონკურსის შედეგები შევაჯამეთ.

ჟიურის თავმჯდომარე მე გახლდით.

ასზე მეტმა პროზაიკოსმა (35 წლამდე) მიიღო მონაწილეობა, მოვიდნენ საინტერესო პროზაიკოსები. მიხარია, რომ კარგი ცვლა გვეზრდება.

17 მარტსვე, საღამოს ისევ გამოვედი „მაესტროზე“ და ვაკრიტიკე კულტურის მინისტრი რურუა მწერალთა კავშირის შენობის აწ უკვე საბოლოოდ წართმევის გამო.

19.III.2011 – 19.V. 2011 წ.

დიდი გატაცებით ვკითხულობ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კულტუროლოგიის კურსს და ვხელმძღვანელობ კულტუროლოგიის მიმართულებას.

სიამოვნებით უნდა გავუსვა ხაზი, რომ სტუდენტთა ახლანდელი თაობა ფრიად განსხვავდება 5 და 10 წლის წინანდელი თაობებისაგან.

ჯერ ერთი ლექციაზე უკლებლივ ყველა მესწრება. მერედა გაფაციცებით იწერენ რასაც ვუყვები. პირველ სართულზე წიგნის მაღაზიაში ყიდულობენ ჩემს წიგნებს და ხელს მაწერინებენ. ლამის სიხარულისგან ავტირდე: ნუთუ შემობრუნდა წიგნისკენ ჩვენი ახალგაზრდობა?

როცა გამოვაცხადე, ვის სურს კულტუროლოგიის ხაზით მეცნიერულ საქმიანობაში ჩაებას (მაგისტრატურა, დოქტორანტურა-მეთქი), 75 სტუდენტიდან 70-მა აწია ხელი.

სახელისუფლებო ტელევიზიამ გადმოსცა ცნობა ერთი უსიამოვნო ფაქტის შესახებ.

ქუთაისში ჩასულან მწერლები (ახალგაზრდა მწერლებს მათ უკვე ველარ დაარქმევ, იმიტომ, რომ სამივენი ორმოცს გადაშორდნენ) დათო ტურაშვილი, ბესო ხვედელიძე და ზაზა ბურჭულაძე.

თურმე ნუ იტყვით, „გაუგონარი ამბავი“ უნდა აცნობონ ქუთაისს, ევროპაში ქართული პროზის ანთოლოგია გამოსულა.

რაკიღა თეატრში ცოტა ხალხი შეიკრიბა და ქუთაისმა ეს ცნობა დიდ სიახლედ არ მიიღო (აგერ მიდევს მაგიდაზე, მანამდე გამოცემული 5 ანთოლოგია) ჩემი უმრწემესი კოლეგები გაბრაზებულან, ხოლო ერთ მათგანს ზაზა ბურჭულაძეს ხალხის გასაჩუმებლად ლოზუნგი წამოუსროლია: „სიცოცხლე ქურდებს, სიკვდილი ბოზებს!“

ამ უხამსობაზე დარბაზი ორმოცდაათამდე ქუთაისელს დაუტოვებია და აღშფოთებულნი გარეთ გამოსულან.

ამ „აღმაშფოთებელ ფაქტზე“ პრეზიდენტმა იმ საღამოსვე თვითმფრინავში კომენტარი გააკეთა: ეს მწერლები როგორც ჩანს, გასულ საუკუნეში ჩარჩენილანო.

ერთი კვირა ეს ჰქონდა ჩვენს მასმედიას სალაპარაკოდ.

კი მაგრამ, პრეზიდენტი რომელსაც არ აღელვებს ქუჩაში გამოყრილი მწერლების ბედი, რომელსაც ერთხელ არ აუვლია ჭაბუა ამირეჯიბის კიბეები, რათა ოთხმოცდაათი წლის მწერალი მოენახულებინა, ზაზა ბურჭულაძის უკბილო ხუმრობამ ააღელვა?

რა დღეში ხარ, უბედურო საქართველოვ!

პრეზიდენტს ის ემცხეთა, რომ მისმა ფავორიტმა მწერლებმა საქებარი ძაღლივით „ნიახურს გადააფსეს“.

31 მარტს ზვიად გამსახურდიას და ჩემი უახლოესი მეგობრის იგორ კვესელავას დაბადების დღე იყო.

სახელდახელო სუფრაზე შევიკრიბეთ იგორის მეგობრები, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები. იყო უნივერსიტეტის ახალგაზრდა რექტორი, ბრწყინვალე მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე არჩილ ფრანგიშვილი.

პირველი სადღეგრძელო თვით იგორის სურვილით ზვიად გამსხაურდიას ხსოვნისა შევსვი.

მერე იგორის მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობაზე ვილაპარაკე. იგორი მართლაც რომ სამაგალითო კაცია. თანამედროვე ისტორიკოსთაგან არავის დაუწერია ბოლო ოცწლეულის საქართველოს პოლიტიკური ისტორია ისე სრულად, როგორც იგორ კვესელავამ დაწერა. ესეც არ იყოს, იგი ბრწყინვალე ლექტორი და უანგარო, სპეტაკი მოქალაქეა.

სუფრა ლაზათიანად, ძმობის, ერთგულების ნიშნით ჩავატარე.

დიდებული სიტყვა თქვა არჩილ ფრანგიშვილმა უნივერსიტეტის ამოცანების შესახებ.

იაპონიის კატასტროფა მთელ მსოფლიოზე ვრცელდება.

რადიაციის მომატება იგრძნობა ამერიკაშიც, ინგლისშიც და რასაკვირველია რუსეთშიც.

ხომ არ მოვიდა მსოფლიოს აღსასრულის ჟამი?

კაცობრიობას ძილი გაუტყდა, მშფოთვარებით ვუსმენთ უკანასკნელ ცნობებს.

2 აპრილს ნიჭიერმა პუბლიცისტმა დემიკო ლოლაძემ იგორი, სოსო სიგუა, ჯემალ გახოკიძე და მე შინ მიგვიწვია. დაგვათვალიერებინა თავისი უმდიდრესი ფოტოკოლექცია. დემიკო დიდ საქმეს აკეთებს, იგი საქართველოს უქმნის და უნახავს უნიკალურ ფოტომატიანეს.

დემიკოს ოჯახში დაგვხვდა ნიჭიერი კარიკატურისტი ზაალ სულაკაური (ჩემი უნივერსიტეტელი მეგობრის ვალიკო სულაკაურის ბიჭი), სახელდახელოდ იქვე ზაალმა დახატა ჩვენი პორტრეტ-კარიკატურები და გვაჩუქა.

20.V. 2011 – 28.V.2011

ქალაქის მერმა გიგი უგულავამ 5 მწერალი – რუსთაველის პრემიის ლაურეატები – ჯანსუღ ჩარკვიანი, ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, მე და რეზო ჭეიშვილი შეგვარჩია ისრაელის დელეგაციის წევრებად. უნდა გავფრინდეთ 26 მაისს და დავბრუნდეთ 3 ივნისს.

მე და რეზო ჭეიშვილმა მერს მდალობა მოვახსენეთ ყურადღებისთვის, ხოლო ისრაელში წასვლაზე უარი ვთქვით.

რეზოს წაუსვლელობას ალბათ თავისი მიზეზი ჰქონდა, მე კი უარი შემდეგი გარემოების გამო ვთქვი:

უპირველეს ყოვლისა, გაბრაზებული ვარ იმის გამო, რომ ხელისუფლება 500 ქართველ მწერალს მასხრად გვიგდებს და მწერალთა კავშირის სასახლის დაბრუნებაზე კატა-თაგვობანას გვეთამაშება. ამ ორიოდე კვირის წინათ მეხუთედ (უნამუსოდ) გვიშალა პირი და ჯიუტად არ გვიშვებს ჩვენს სახლში.

მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ არ მინდა ჩემმა კოლეგებმა და ენაჭარტალა გაზეთებმა იყიპყიპონ; აქაოდა ხომ ხედავთ, ხელისუფლებამ რუსთაველის პრემიის ლაურეატები მოისყიდაო.

მესამე: ჩემმა ძვირფასმა ებრაელებმა, ასე ბევრს და გულწრფელად რომ ლაპარაკობენ; საქართველო ძალიან გვიყვარს, რადგანაც 26 საუკუნის წინათ ნაბუქოდონოსორისგან დაფეთებულნი სწორედ საქართველომ შეგვიფარაო, იმდენი ვერ მოახერხეს, რუსთაველის ფრესკა დაეცვათ და გარეწართა ხელყოფისაგან დაეფარათ, მე ნერვები არ მეყოფოდა თვალებდათხრილი რუსთაველი მენახა ჯვრის მონასტერში და ამიტომ ვთქვი უარი ისრაელში წასვლაზე.

იერუსალიმში სულ ოცდაათამდე ქართული მონასტერია, რა მოხდებოდა ერთი მათგანი მაინც დაებრუნებია ისრაელს საქართველოსთვის და ერთ ქართულ მონასტერში მაინც ქართული წირვა-ლოცვა ყოფილიყო.

ვიცი, ჩვენთვის ძნელია, ბერძნებთან საქმის მოგვარება-დაგვიბრუნოს ჯვრის მონასტერი, მაგრამ როცა ამ საკითხს ისრაელი დააყენებს, არ შეი-

ძლება საბერძნეთმა ეს ერთი მონასტერი მაინც არ დათმოს. ბოლოს და ბოლოს მონასტერი ისრაელის ტერიტორიაზეა.

საქართველოში გაჰყვირიან მოახლოებულ რევოლუციაზე. დათბა და ჩვენ ხომ ურევოლუციოდ სწრაფდა მოვიწყენთ ხოლმე.

ორი მოძრაობა – პარტია აპირებს უახლოეს დღეებში სააკაშვილის ხელისუფლების დამხობას:

1.ე.წ. „სახალხო კრება“ ნონა გაფრინდაშვილის და ნინო ბურჯანაძის თაოსნობით. კრებაში შედიან: გოგი ქავთარაძე, გია ბურჯანაძე, ელიზბარ ჯაველიძე, ირაკლი ბათიაშვილი, რეზო ესაძე და სხვა.

2. „ქართული პარტია“ – ოქრუაშვილის, ეროსი კიწმარიშვილის და სოზარ სუბარის სარდლობით. ოქრუაშვილს დაპატიმრების ეშინია და არ ჩამოდის. იგი ალბათ დისტანციური მართვის პულტით უხელმძღვანელებს რევოლუციას.

რაც შეეხება სააკაშვილს, გარეგნულად ისე ჩანს, რომ იგი არხეინადაა, არ იმჩნევს მოახლოებულ საშიშროებას, ძველებური ღიმილი დასთამაშებს სახეზე. თანდათანობით აშკარა ხდება, რომ სურთ წაშალონ საქართველო როგორც ეროვნული სახელმწიფო მსოფლიო რუკიდან და გადააქციონ იგი დასასვენებელ, საკურორტო-ტურისტულ ზონად. ახლახან კიდევ ერთი დარტყმა მიაყენეს ქართულ ენას: აკრძალეს უცხოური კინოფილმების ქართულად გახმოვანება. დასაშვებია მხოლოდ ტიტრით (კადრების ქვეშ წარწერებით) გაუშვან ფილმები. ვისაც ინგლისური არ ესმის ან წარწერის წაკითხვას ვერ ასწრებს, აუცილებელი არ არის უყუროს კინოსურათსო, განაცხადა ერთმა მაღალჩინოსანმა.

14 აპრილს უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე წავიკითხე მოხსენება – „ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვა 1978 წლის 14 აპრილს“.

17 მაისს სატელევიზიო არხ „რეალ ტვ“-ით გამოვედი:

ვთქვი, რომ ოპოზიციის გაერთიანება ვერ მოხერხდა, ბურჯანაძე და ოქრუაშვილი კრილოვის იგავის „გმირების“ მსგავსად ტვირთს სხვადასხვა მხარეს ეზიდებიან-მეთქი.

ესეც არ იყოს, ოპოზიციონერ ბელადთა უმეტესობა სააკაშვილის ყოფილი თანამებრძოლია და პრეზიდენტზე დროებით განაწყენებული, ეჭვი მეპარება, რომ ეს მილიონერი ყოფილი ჩინოსნები უბრალო მოქალაქეების ინტერესებს დაიცავენ-მეთქი.

არცერთ ოპოზიციურ პარტიას არ გამოუქვეყნებია რაიმე რეალური გეგმა, თუ როგორ აპირებენ ისინი გამარჯვების შემთხვევაში ქვეყნის მართვას-მეთქი.

საერთოდ, რუსეთისკენ მზირალი პარტიული პოლიტიკოსების არ მჯერა. ის ოპოზიციონერი რა ოპოზიციონერია, რომელიც რუსეთის ოკუპანტობას არ აღიარებს-მეთქი.

ასე რომ, მე მწერალი რევაზ მიშველაძე ვერ ვხედავ ჩემს ადგილს ამ ე.წ. გამოცხადებულ რევოლუციაში. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია დინჯად შევაფასო მოვლენები და ერს გონივრული რჩევა მივცე. ტრიბუნაზე ჩახვალ და გულზე ხელის ბრაგუნი მაშინ, როცა გულზე ხელის ბრაგუნი გულზე ხელის

ბრაგუნად დარჩება და რაიმე რეალური შედეგი არ მოჰყვება, კიდევ ერთხელ ხალხის მოტყუებაა. რაც საბოლოო იმედგაცრუებას გამოიწვევს-მეთქი.

18 მაისს რუსეთმა კიდევ ერთი პროვოკაცია მოუწყო საქართველოს:

რუსმა ოკუპანტებმა საჩხერის მახლობლად ტყეში ჯონჯოლის შესაგროვებლად შესულ ქართველ ბიჭებს სროლა აუტეხეს, 5 ახალგაზრდა ქართველიდან მძიმედ დაიჭრა ორი.

საქართველოს პარლამენტმა, ამერიკის საელჩომ და სხვა საელჩოებმა აღშფოთება გამოთქვეს ამ „ვანდალური აქტის“ გამო. აღშფოთება უშველის გაუბედურებულ, სამუდამოდ დახეიბრებულ ორ ყმაწვილს (გადარჩებიან თუ არა, ესეც ჯერჯერობით კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება)?

18 მაისს დღის მეორე ნახევარში ქუთაისს ვეწვიე. სიმონ არველაძის 90 წლისთავის იუბილეს დავესწარი. დამსახურებულ მწერალს უანგარო, სპეტაკ მოღვაწეს ბატონ სიმონს მწერალთა კავშირის „ადრესი“ და აკაკი წერეთლის პრემიის მინიჭების საბუთი გადავეცი. საიუბილეო ბანკეტზე მიუხედავად ქუთათურთა თხოვნისა, ვერ დავრჩი. იმავე ღამით დავბრუნდი თბილისში.

21 მაისს სახალხო კრების აქცია 3:30-ზე დაიწყო.

მოვიდა დაახლოებით ოცი ათასამდე კაცი.

მანქანაზე გამართული ტრიბუნა სახალხო კრების ლიდერებმა დაიკავეს, აქ არიან ნონა გაფრინდაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ირაკლი მათიაშვილი, გია ბურჯანაძე, გოგი ქავთარაძე, რეზო ესაძე, გია კობახიძე და სხვები.

მიტინგი მიჰყავს გია ბურჯანაძეს.

სათითაოდ გამოდიან ზემოთ ჩამოთვლილი ლიდერები და აცხადებენ, რომ აქცია არ დაიშლება, მანამ სანამ მიხეილ სააკაშვილი არ დატოვებს საქართველოს.

საღამოს 6 საათზე ირაკლი ბათიაშვილმა მიტინგს მოუწოდა, ყველანი წავიდნენ „საზოგადოებრივი მაუწყებლისკენ“ და აიძულონ გია ჭანტურია, არხის პირდაპირ ეთერში გადასცეს აქცია...

გაისმა უკმაყოფილო შეძახილები: „ამისთვის მოგვიყვანეთ?! „ეს ხომ ფაქტიურად დაშლას ნიშნავს“.

...მაგრამ ბოლოს მაინც წავიდნენ და გარსშემოეწყვნენ ტელევიზიას.

I არხი შეშინდა და პირდაპირ ეთერში დაიწყო მიტინგის გადაცემა.

ეს იყო სახალხო კრების პირველი გამარჯვება.

ღამით მომიტინგენი წავიდ-წამოვიდნენ და დარჩა მცირე ჯგუფი.

სწორედ იმ მცირე ჯგუფის დაპატიმრება გადაწყვიტა პოლიციამ და დილის 7 საათზე თავს დაესხნენ მთელი ღამის უძინარ, გაწამებულ მომიტინგეებს, ატყდა სროლა, ცემა-ტყეპა, წივილ-კივილი... მომიტინგენი ხელკეტებით დახვდნენ მოძალადე პოლიციელებს და უკუაქციეს. პოლიციამ შეძლო მხოლოდ ერთადერთი „ოპოზიციონერის“ გია უჩავას „გატაცება“.

22 მაისს 12 საათიდან დაიწყო ხალხმა დენა კოსტავას ქუჩისკენ.

დაიწყო მიტინგი, უეცრად ტაშის გრიალი ატყდა. მომიტინგეთა შორის გამოჩნდნენ ქართული პარტიის ლიდერები – ლევან გაჩეჩილაძე, ეროსი კიწმარიშვილი, გია გაჩეჩილაძე, სოზარ სუბარი და სხვები.

ლევან გაჩეჩილაძემ განაცხადა: რაკი ამ დილით ხელისუფლებამ საბოლოოდ ჩამოიხადა ნიღაბი და დაიწყო მშვიდობიანი მოქალაქეების რბევა,

„ქართულმა პარტიამ“ გადაწყვიტა შეუერთდეს სახალხო კრებას და ერთად დავამხოთ სააკაშვილიო.

ეროსი კიწმარიშვილმა თქვა: 25 მაისს 2 საათზე ავლაბრის მოედანზე უნდა შეიკრიბოს მთელი საქართველო და გპირდებით, რომ ეს იქნება სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო დღეო.

ტელეარხმა „მაესტრომ“ გაავრცელა პარიზში მყოფი ოქრუაშვილის განცხადება; ყოფილი თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ 25 მაისს საქართველოში იქნება და დაამთავრებს სააკაშვილის ხელისუფლებას.

22 მაისსაც ცეცხლოვანი მიტინგი ჩატარდა, მაგრამ საქმე, როგორც მოველოდი არ ჩანს.

ჯერჯერობით მხოლოდ ლაპარაკია, ლაილაით კი რევოულცია არ კეთდება.

22 მაისის მიტინგი გია კობახიძეს მიჰყავს.

ხალხი აქვითინდა, როცა „მოსისხლე მტრები“ ნინო ბურჯანაძე და ლევან გაჩეჩილაძე ერთმანეთს ჩაეხვივნენ და ერთმანეთი გადაკოცნეს.

ვნახოთ რა იქნება ხვალ.

მიხეილ სააკაშვილი, როგორც თქვენს, გუშინ უნგრეთს გაფრინდა, ხოლო სახელმწიფოს მეორე კაცი – პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური პარიზში.

პარლამენტის სპიკერი ბაქრაძე თბილისშია, თუმცა ბაქრაძეს ვინღა იკითხავს.

ერთადერთი რამ მადარდებს.

რა თქმა უნდა, სააკაშვილი დამნაშავეა და უნდა დაემხოს, მაგრამ ვაი თუ ამით ისარგებლოს რუსეთმა და ტანკები შემოიყვანოს საქართველოში.

მე მხოლოდ ამ შიშის გამო არ გავედი სამიტინგოდ, ღმერთმა ნუ ქნას რუსეთის შემოსვლა.

სააკაშვილს არ გადავაყოლოთ ქართველებო საქართველოს დამოუკიდებლობა!...

ეს სიმწრით მოპოვებული, ნახევრადხეიბარი დამოუკიდებლობა არ დავკარგოთ და კვლავ რუსის ჩექმა არ შევიდგათ მხარზე.

24 მაისს საღამოს გავრცელდა განცხადება, რომ ოქრუაშვილმა უარი თქვა საქართველოში ჩამოსვლაზე.

ოქრუაშვილის „მოადგილეები“ კიწმარიშვილი და სოზარ სუბარი ტელევიზიით აცხადებენ, რომ სწორედ მათ ურჩიეს ოქრუაშვილს არ ჩამოსულიყო, რადგანაც საქართველოს ხელისუფლება მას აეროპორტშივე დააპატიმრებდა.

ოქრუაშვილისგან მე რასაკვირველია ველოდი, რომ იგი შეშინდებოდა და არ ჩამოვიდოდა, თუმცა გულის სიღრმეში დარწმუნებული ვარ, რომ ოქრუაშვილის ჩამოუსვლელობა ამერიკის და რუსეთის პრეზიდენტების დონეზე გადაწყდა.

ოპერაცია 25 მაისს რუსის ჯარის მიერ საქართველოს სრულ ოკუპაციას ითვალისწინებდა.

როგორც ჩანს, ამის შესახებ მედვედევმა ყოველი შემთხვევისთვის ობამას აცნობა. რაკი შენ (და ნატო) ლიბიაში შეხვედით მე საქართველოში შევდივარო;

ოქრუაშვილი ჩამოვიდოდა, მოხდებოდა პატარა შეხლა-შემოხლა და ოქრუაშვილს შემოჰყვებოდა რუსის ჯარი, ირკვევა, რომ თავის მხრივ საა-კაშვილმაც მიიღო ზომები და ობამამ კატეგორიული უარი უთხრა რუსეთს საქართველოში შესვლაზე.

ოქრუაშვილის დემარშმა „სახალხო კრების“ მრისხანება გამოიწვია. ნინო ბურჯანაძემ ოქრუაშვილს და მის პარტიას მშიშრების ხროვა უწოდა. „ქართული პარტია“ ისევ გამოეყო სახალხო კრებას, თუმცა ლევან გაჩეჩი-ლაძემ და მისმა ძმამ გია გაჩეჩილაძემ განაცხადეს, რომ ისინი ნინოს გვერ-დით დარჩებიან.

25 მაისს 2 საათზე ტელემაუწყებლობის წინ დაბანაკებული დემონ-სტრანტები ნონა გაფრინდაშვილის და ნინო ბურჯანაძის წინამძღოლო-ბით რუსთაველის პროსპექტისკენ დაიძრნენ. მიტინგი პარლამენტის წინ გაგრძელდა, მომიტინგენი აცხადებდნენ, რომ ისინი ფეხს არ მოიცვლიდნენ და არ მისცემდნენ უფლებას “თვითმარქვია პრეზიდენტს“ სააკაშვილს 26 მაისს მიეღო პარადი.

ხელისუფლებამ კატეგორიულად მოსთხოვა ოპოზიციას გაეთავისუ-ფლებინათ რუსთაველის პროსპექტი.

„სახალხო კრებამ“ რუსთაველიდან გადაადგილებაზე სასტიკი უარი გა-ნაცხადა.

და მოხდა ის, რასაც ველოდი.

26 მაისს ღამის პირველის ნახევარზე ხელისუფლებამ მომიტინგეებს (ამჟამად 3 ათასამდე ოპოზიციონერი იდგა რუსთაველზე) ოთხი მხრიდან ალყა შემოარტყა.

პოლიციელები ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევენ. კბილებამდე შეიარაღებული „წესრიგის დამცველები“ უიარაღო, მშვიდობიან დემონსტრანტებს ზიზღით, აგრესიულად, თავგამეტებით ესხმიან თავს.

დაიწყო უთანასწორო კვეთება, პოლიციელები წაქცეულ მოხუცებს, ქა-ლებს და ბავშვებს ფეხით თელავენ, ჯგლეთა, ცემა, წივილ-კივილი ერთ უიარაღო ოპოზიციონერს ხუთი მკლავშიშველი, კუნთებმაგარი პოლიციელი გამეტებით ურტყამს.

ერთ საათში პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია გაწმენდილია.

ასფალტზე დაჭრილი და დახოცილი ადამიანები ჰყრია.

მიმოჰქრიან „სასწრაფოები“.

საშინლად წვიმს.

9 აპრილის შემდეგ რუსთაველი კიდევ ერთხელ მოირწყო სისხლით.

„მაესტროზე“ გამოსული ოპოზიციის ლიდერები განწირული ხმით ჰყ-ვირიან, რომ ასეთი სასტიკები 9 აპრილს რუსებიც არ ყოფილან.

პოლიციამ ხალხს გასასვლელი დერეფანიც არ დაუტოვა.

ერთადერთი ტელეარხი „მაესტრო“ პირდაპირ ეთერში გადასცემს მომხ-დარს.

როგორც ირკვევა, დააპატიმრეს გოგი ქავთარაძე, ლუკა კურტანიძე, დიმა ჯაიანი, გია ბურჯანაძე, ლევან გაჩეჩილაძე, ნინო ბურჯანაძის ბიჭი – ანზორი და სხვები.

გვიან ტელეეკრანზე ნინო ბურჯანაძე გამოჩნდა და განაცხადა, რომ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ გამოხატა სიძულვილი ქართველი ხალხის მიმართ და მას მორალური უფლება აღარა აქვს თავს პრეზიდენტი უწოდოს.

შინაგან საქმეთა პრესცენტრის განცხადებით დარბევის დროს ორი ადამიანი (ერთი პოლიციელი და ერთი მომიტინგე) – ცხადაძე-ჭანტურაშვილი... გარდაიცვალა.

გაურკვეველია სად იმყოფებიან ნონა გაფრინდაშვილი, მურმან დუმბაძე, მსახიობი პაპუაშვილი, გია ბურჯანაძე, რეზო ესაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები.

დაპატიმრებულია 200-მდე მოქალაქე.

საავადმყოფოები სავსეა დაჭრილებით და დასახიჩრებულებით.

ტელევიზია წამდაუწუმ აცხადებს უგზოუკვლოდ დაკარგულთა გვარებს.

როგორც იქნა, გათენდა.

რუსთაველზე სისხლი გადარეცხილია, სააკაშვილმა განკარგულება გასცა; 11 საათზე ჩატარდება პარადი, რომელსაც მე – მთავარსარდალი ჩავიბარებო.

ასე „მხიარულად“ შევხვდით 2011 წლის 26 მაისს.

გამოაცხადეს, რომ სასტიკად არიან ნაცემი თემურ შაშიაშვილი, ლუკა კურტანიძე, ლევან გაჩეჩილაძე, ანზორ ბინაძე და სხვები.

27 მაისს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს კიდევ 3 მიცვალებული, ერთ მათგანს ხელებზე და ფეხებზე ბორკილები ედო. აშკარაა, პოლიციას ისინი ცემის დროს შემოაკვდა და კვალის დასაფარავად იქვე დატოვეს მოსწავლეთა სასახლის ეზოში.

ამრიგად, მსხვერპლთა რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა. მსოფლიოს პრესა და ტელევიზია ერთხმად აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს.

სუხიშვილის ანსამბლმა განაცხადა, რომ უარი თქვა 26 მაისის ზეიმზე რუსთაველზე ეცეკვა ხორუმი.

მარჯანიშვილის თეატრში ღონისძიებაზე მისულ სააკაშვილს ერთმა ახალგაზრდა მსხაიობმა „მკვლელი“ უწოდა. იგი მაშინვე დააპატიმრეს.

სააკაშვილი თითქოს არაფერი მომხდარაო, ძველებურად ყელყელაობს.

ეკრანიდან იღიმება და უკრაინის ტელევიზიის კითხვაზე მიტინგის დაშლის დროს ხომ არ გადაამლაშეთო, პასხუობს, თქვენ ვინ გკითხავთ, ამერიკის ელჩმა ეს საქციელი მომიწონაო.

ვაი ასეთ ქვეყანას და ვაი ასეთ ამერიკის ელჩს.

ირაკლი ბათიაშვილი 28 მაისს გამოჩნდა, კინო „რუსთაველის“ სხვენზე ვიმალებოდიო.

28 მაისს რუსთაველის ძეგლთან 5-ათასიანი მდუმარე აქცია გაიმართა სააკაშვილის წინააღმდეგ.

29.V.2011 – 28.VI.2011

2 ივნისს ხელისუფლებამ რუსთაველის კინოთეატრში მისთვის ჩვეული „შოუ“ მოაწყო.

ჩამოიყვანა ჰოლივუდის მსხაიობები: შერონ სტოუნი და ენდი გარსია, აგრეთვე რეჟისორი ფილმისა „აგვისტოს 5 დღე“, დაახვედრა თავისი მომხრე (მაგრამ უნიჭო) დასი და გამართა ჩვენება აგვისტოს ომზე გადაღებული ფილმისა.

ფილმის ჩვენებამდე რეჟისორი გამოვიდა და მისდაუნებურად ახადა ფარდა ფილმის შექმნის ისტორას.

მაშინ როდესაც მასმედიამ აგვიკლო: აგვისტოს ომით, ე.ი. რუსეთის აგრესიით ჰოლივუდი დაინტერესდაო, აგერ რეჟისორმა განაცხადა: ჰოლივუდში ჩემთან მოვიდა ვინმე ნაყოფია და დიდი ფული შემომთავაზა, რათა რუსეთ-საქართველოს ომზე ფილმი გადამეღოო, მე, რასაკვირველია, დავთანხმდი, თუმცა მანამდე არც ამ ომის შესახებ ვიცოდი რამე და გითხრათ სიმართლე, არც საქართველო გამეგონაო.

აი, ასე გამოაშკარავდა სიმართლე, თურმე ნუ იტყვით, საქართველოს გატყავებით ნაშოვნი ფულით გადააღებინეს ფილმი „ძლევამოსილი“ ომის შესახებ.

სამთავრობო ტელევიზიები გაჰყივროდნენ, ფილმი ცნობადმა სახეებმა – მწერლებმა, მხატვრებმა, მსახიობებმა და მუსიკოსებმა ნახესო.

როგორც გაირკვა, არც ერთი ცნობილი, ეროვნულად ღირებული პიროვნება ამ „შოუს“ არ ესწრებოდა.

რაც შეეხება ფილმს, ეს არის ჩვეულებრივი ამერიკული „ვესტერნი“ იაფფასიანი ტრიუკებით სავსე საომარ-მალაყებიანი ფილმი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს საქართველოს ტრაგედიასთან.

მაშინ, როცა ქართველი რეჟისორები და მსახიობები შიმშილით იხოცებიან, უცნაურია გვერდი აუარო თვისტომთ და ჰოლივუდს მიაშურო, განა ქართველმა მსახიობმა და რეჟისორმა უკეთ არ იცის, რა დაგვემართა?

5 ივნისს მთელ საქართველოში კოკისპირული წვიმა მოვიდა.

ნიაღვარმა და მეწყერებმა როგორც ტელევიზია აცხადებს ქვეყანას 14 მილიონის ზარალი მიაყენა.

14 მილიონს ვინ ჩივის, დაიღუპნენ ადამიანები. ჯერჯერობით 7 კაცია დაღუპული, მათგან 4 ნაპოვნია, 3-ს უშედეგოდ ეძებენ.

ჩაინგრა გზები, დაინგრა ახალაშენებული დასასვენებელი სახლები და რესტორნები.

ტელევიზიით გამოვიდა ეკოლოგიის ყოფილი მინისტრი ჩხობაძე და გასაყეყეჩებელი რამ განაცხადა:

ოთხი წლის წინ გაუქმდაო სეისმური მდგრადობის და გეოლოგიური დასკვნის გამცემი სამსახურები, ახლა შენობის ასაშენებლად საჭირო აღარ არისო გეოლოგების დასკვნა, მრავალსართულიანი სახლები შენდებაო ჰაიჰარად, ზოგი მათგანი მეწყერულ ზონაშია აშენებული (სვანეთი, რაჭა, იმერეთი, სამეგრელო...) ზოგი კი პირდაპირ ქვიშაზეო (ბათუმი, ანაკლია), ამიტომაც ამ შენობებზე და გზებზე დახარჯული ფული წყალში გადაყრილია. ისინი პირველივე სტიქიური უბედურების დროს დაინგრევაო.

აკი ინგრევა კიდეც.

საქართველოს ტრაგედიას დასასრული არ უჩანს.

დღემდე გრძელდება 26 მაისის აქციის მონაწილეთა დევნა-დაპატიმრე-

ბა. დღემდე ციხეში სხედან სოსო ჯაჭვლიანი, ლუკა კურტანიძე, გია ბურ-ჯანაძე და სხვანი.

იბარებენ და აპატიმრებენ ყველას, ვინც იმ დღეს თუნდაც შემთხვევით რუსთაველზე გაიარა.

ძებნაა გამოცხადებული ნინო ბურჯანაძის ქმარზე ბადრი ბიწაძეზე, რომელიც გაქცეულია.

28 ივნისს დავურეკე ჩემს უძვირფასეს მეგობრებს ჭაბუა ამირეჯიბს და ოტია იოსელიანს.

ჭაბუას ჯანმრთელობა, როგორც მისმა თანამეცხედრემ ქ-ნ თამარმა მითხრა, სამი თვეა საგრძნობლად გაუარესდა, თებერვალში გაგვიცივდა და მაღალი სიცხეები ჰქონდაო, ახლა ფეხზე ვეღარ დგება და ძალიან დასუს-ტებულიაო.

გადაეცი-მეთქი თამრიკო, რომ როგორც არაერთხელ აჯობა სენს, დარ-წმუნებული ვარ ახლაც აჯობებ ჩემო ჭაბუა-თქო. გამაგრდი, გამხნევდი, ჯერ კიდევ დიდი გზა გვიძევს ნამდვილ, ნორმალურ, მთლიან საქართველოს უნდა მოვესწროთ-მეთქი.

მოგეხსენებათ ჭაბუას უკვე 20 წელია ლაპარაკი არ შეუძლია და, რასაც ვეუბნებოდი, დაფაზე უწერდა თამრიკო.

ოტია იოსელიანიც ვერაა კარგად.

მითხრა, ვწევარო, ვუძალიანდები სიკვდილს, სანამ შემიძლიაო.

ახლა შეიძლება იქეთ ყოფნა სჯობდეს, აქეთ ყოფნასო.

მე მგონია არ მკითხავ, რატომაო.

არ გეკითხები ჩემო ოტია-მეთქი, ქვეყანა თავზე რო გვემხობა და ვე-რაფერს ვშველი ეს მკლავს, თვარა ავადმყოფობა ვერაფერს დამაკლებდა მეო.

ამ მთავრობამ ხალხს სამშობლო შეაძულაო. ვინც ახლა საქართველოს გარეთ ცხოვრობს, იმ მილიონიდან 5 პროცენტს თუ ენატრება საქართ-ველოო.

21-ში გაქცეული ემიგრაციის 47 პროცენტი ნოსტალგიით მოკვდა, დღე-ვანდელმა ემიგრაციამ არ იცის ასეთი ავადმყოფობაო.

ახლახან ავსტრიიდან დავბრუნდი და ვინც ვნახე იქ, ქართველი, არ-ცერთს არ ჩამოუგდია ლაპარაკი შინ დაბრუნებაზეო.

რას შობით მაქანა, ხო ხედავთ, აბუჩად გვიგდებენ, ამეიღეთ ხმა ან თავი დეიწვით „თავისუფლების მოედანზეო“. ო, დოუმშვენდათ ცხვირი რავარი მშვენიერი თავისუფლებაც ჩვენ მოგვიტანეს, ოკეანის გაღმელებმაო.

გათახსირებულ „ახალ ქართველებზე“ მაქვს ლაპარაკი, თვარა ამერიკე-ლი დამპყრობელია და დამპყრობელივით მეიქცევა, აბა რას იზამსო.

რა უნდა მეთქვა, ოტიას პირით ჭეშმარიტება ღაღადებდა და კვერი დავუკარი.

28 ივნისს საღამოს ტელევიზიამ („არტ“) აზრი მკითხა „საბას“ პრემიის გაცემაზე.

ვუპასუხე, საერთოდ კონკურსი უმადური საქმეა, თუმცა რომ მას ობიექტურის სახე ჰქონდეს, პირველ რიგში ავტორიტეტიანი ჟიური უნდა ჰყავდეს-მეთქი. მეორეც, ეჭვი მეპარება ჟიურის გემოვნებაში და სჯობს,

თუ ფული აქვს, პირდაპირ დაურიგოს ნიჭიერ და ხელმოკლე მწერლებს-მეთქი.

ვნახე 10 საათზე „საინფორმაციო გამოშვება“. ჩემი ათწუთიანი ნაამბობიდან, როგორც მოველოდი, მხოლოდ ერთი ფრაზა დაუტოვებიათ.

ეს „ტელევიზიონშჩიკები“ სახლში არ უნდა შემოუშვას კაცმა.

„რეიტინგში“ ჯერჯერობით გრძელდება ჩემ დღიურების („ოცი მრისხანე წელი“) ბეჭდვა.

ზოგს მოსწონს, უფრო მეტი იბღვირება, მიზეზი? მეო, ცოტა არ იყოს აგდებულად მიხსენიებო...

მეორენი ბრაზდებიან იმის გამო, რატომ არ მახსენებო საერთოდ.

29.VI.2011-8.VIII.2011 წ.

7 ივლისს ზურაბ ქაფიანიძე დავკრძალეთ დიდუბის პანთეონში.

ქაშუეთიდან გამოვასვენეთ.

ზურაბი დიდი ქართველი იყო. მოღვაწე... მსახიობი. ჭეშმარიტად ქართული სახეები შესძინა ქართულ კინოს და თეატრს.

მახსოვს, ჩემი ნოველებისგან პიესა რომ ჩამოქნა და ქუთაისის თეატრში დადგა.

ზურაბის დაკრძალვაზე ზღვა ხალხი მოვიდა.

არც ერთი „პირი“ საქართველოს ხელისუფლებიდან არ გამოჩენილა.

რატომ? ზურაბ ქაფიანიძე ხომ ოპოზიციონერი იყო და „ოპოზიციონერი მსხაიობი ხომ არ შეიძლება კარგი მსახიობი იყოს“.

სამარცხვინოა ასეთი საქართველო.

მკვდარს ანგარიში გაუსწორეს.

სიტყვა არ მისცეს ზურაბის ახლო მეგობარ არტისტებს: თენგიზ არჩვაძეს, გივი ბერიკაშვილს...

რა იყო ეს? გამოუცდელობა თუ ცოტა იმაზე მეტი? რაღა ზურაბ ქაფიანიძის დაკრძალვა აირჩია ზოგმა თავის გამოჩენის ასპარეზად?

საღამოს ტელევიზიით შევიტყვე, რომ სააკაშვილის პრესცენტრიდან 4 ფოტოგრაფი დაუპატიმრებიათ, ბრალდება? ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდნენო. ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის „მაკომპრომეტირებელ“ ფოტოებს აწვდიდნენ მტრულ სახელმწიფოებსო. „ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელში“ ალბათ სააკაშვილი იგულისხმება, „მტრულ სახელმწიფოში“ რაესაკვირველია „რუსეთი“. ალბათ რამდენიმე „უხერხული“ ფოტო ჩვენი პრეზიდენტის „გაყიდეს“ ფოტოგრაფებმა და ამისთვის ისინი ჯაშუშებად გამოაცხადეს.

პატიმრობა 8 და 15 წლამდე შეეფარდებათო, გამოაცხადა გახარებულმა დიქტორმა.

ჟურნალ „გზის“ კორესპონდენტმა დამირეკა ფოტოგრაფების დაპატიმრებაზე რას იტყვითო?

რაც მოვისმინე, ყურით მოთრეული ბრალდებებია. ფოტოგრაფის მოვალეობაა სურათის გადაღება. თუ „მონტაჟია“ გაკეთებული და რეალური არ არის პრეზიდენტს სახელი რომ გაუტეხონ, მაშინ შეიძლება ბრალი დასდონ თორემ როგორ შეიძლება ფოტოგრაფს ჯაშუშობა დააბრალო-მეთქი. ნუ

გააკეთებს სისულელეებს ის, ვისაც სურათს უღებენ და ფოტოგრაფიც არ გადაიღებს-მეთქი. ერთი სიტყვით, რომ გითხრათ, არ მჯერა ფოტოგრაფების დანაშაული-მეთქი, დაახლოებით ასე დაუბეჭდავს კორესპონდენტს ჟურნალში და ქვემოთ მიუწერია; ვისაც დავურეკე, ისეა ხალხი შეშინებული, რომ ყველამ უარი მითხრა კომენტარზე, გარდა ერთი ორი გაბედული პირისაო.

ოთხშაბათს, 13 ივლისს გარდაიცვალა ოტია იოსელიანი.

ყოველდღე ველოდი ამ ცნობას.

უკანასკნელად 21 ივნისს ველაპარაკე ჩემს ოტიას ტელეფონით, მითხრა ვწევარო, მაგრამ მძიმედ ვარო არ უთქვამს. საერთოდ ოტიას წუწუნი და კვნესა არ სჩვეოდა. ამ დღეებში გინახულებ-მეთქი, მაგრამ, ვაგლახ, აღარ დამცალდა.

წავიდა „ქართული ლიტერატურის ოთარაანთ ქვრივი“, ასე ვუწოდე მას 80 წლისთავის საიუბილეო მოხსენებაში.

სად დაიკრძალოს?

მე პირადად მიმაჩნია, რომ უნდა დაიკრძალოს მთაწმინდაზე. ამ აზრისაა ზოგი (არა ყველა) ქართველი მწერალიც.

მივმართე მერიას. გულისხმიერმა ყურადღებიანმა მამუკა ქაცარავამ ქალაქის მერთან შეთანხმებით მაცნობა, რომ დიდუბის პანთეონში დკრძალვა გადავწყვიტეთო.

მთაწმინდა-მეთქი?

მთაწმინდაო – პატრიარქის და პრეზიდენტის გადასაწყვეტიაო.

საპატრიარქოში შორენასთან (პატრიარქის თანაშემწე) მივედი.

სამი საათის შემდეგ შორენამ მითხრა (მე პატრიარქთან არ შემიშვეს) პატრიარქის კურთხევაა დიდუბეში დაიკრძალოსო.

დავურეკე ოტიას ბიჭს – დაჩის.

დაჩიმ, რაკი მთაწმინდა არ ხერხდება, იქნებ ბაგრატის ან გელათის ტაძრების ეზოში დავკრძალოთო.

მივბრუნდი საპატრიარქოში.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ამაზეც უარი მივიღე.

შორენამ მიმანიშნა, პატრიარქს ოტია ძალიან უყვარდა, მაგრამ თქვენ მიხვდებით, ბატონო რეზო, რომ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ მისგან არ მოდისო.

ერთი სიტყვით რჩება დიდუბე.

მერიიდან მამუკა ისევ მირეკავს, იქნებ შეათანხმოთ ოჯახთან, ბატონო რეზო, უკვე ტელევიზიით გადაწყვეტილება უნდა გამოვაცხადოთო.

ვურეკავ ისევ დაჩის, დიდი მადლობელი ვართ, ბატონო რეზო შენი და მერიის, მაგრამ აქ ოჯახმა მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მამაჩემი აქ, წყალტუბოში თავის ეზოში დაიკრძალოსო.

ამ თემაზე ჩემი კომენტარი ასეთია: ამ ბოლო 10 წლის განმავლობაში არაერთგზის დაირღვა მინისტრთა საბჭოს დადგენილება მთაწმინდაზე გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ დაკრძალვის შესახებ. რაღა ახლა გახდნენ პრინციპულები პრეზიდენტი და საპატრიარქო? ყველა ყველა და მე ხომ ვიცი, რომ ოტიას (მკვდარს) ანგარიში გაუსწორეს თავისი ოპოზიციონერობის გამო. უკომპრომისო, მებრძოლი კაცი იყო ოტია. მე რომ მკითხოთ

უკანასკნელ წლებში დაკრძალულთაგან იგი ყველაზე მეტად იყო მთაწმინდის ღირსი.

16 ივლისს თამრიკო და სოსო ცინცაძეებმა თავიანთ ახალ ვილაში მხატვარ ედიშერ ბარამიძის ნახატები გამოფინეს.

კარგი, მაგრამ დაუფასებელი მხატვარი იყო ედიშერი და მომეწონა მისადმი გამოჩენილი ყურადღება მხატვრის სიკვდილის შემდეგ.

გამოფენაზე გამაცნეს ჩინეთის საელჩოს პირველი მდივანი.

ვისაუბრეთ.

მომწონს-მეთქი ამ ბოლო დროს ჩინეთის აქტიურობა საერთაშორისო ასპარეზზე. კარგი იყო, რომ ხელი არ მოაწერეთ ნატოს გადაწყვეტილებას ლიბიის დაბომბვის შესახებ-მეთქი.

თქვენგან უფრო მეტს ველით-მეთქი.

ჩინეთი გიგანტი სახელმწიფოა და მომავალი მას ეკუთვნის, იქნებ მიანიშნოთ რუსეთს, დავგიბრუნოს წართმეული ტერიტორიებ-მეთქი.

თავს მიქნევდა მისებური ჩინური ღიმილით.

19 ივლისს დილის 9 საათზე გავემგზავრეთ წყალტუბოში ოტია იოსელიანის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად. თხუთკმეტკაციან ავტობუსში ვსხედვართ: მე, მირონ ხერგიანი, დავით ტაკიძე, ბაღათერ არაბული, ლიდა სტვილია, მზია არველაძე, გურამ ბათიაშვილი, ზაალ ბოტკოველი, მზისა ნავროზაშვილი, ვილენ მარდალეიშვილი, მამუკა შვანგირაძე, ვაჟა აზარაშვილი, ლალი ბრეგვაძე, რეზო ადამია.

გელათში ჩავედით პირველ საათზე.

ტაძარში შუა ადგილას, საკურთხეველთან ახლოს ასვენია ოტია.

დავცქერი მის ცვილისფერ სახეს ფერკმრთალ, დამჭკნარ ხელებს, მისი განუყრელი ახალუხი აცვია და სვანური ქუდი ახურავს.

ახალუხის ჯიბეში ოტიას გრძელი მუნდშტუკები ჩანს.

სამოქალაქო პანაშვიდი თერთმეტი საათიდან დაიწყო.

ხალხის ნაკადი არ წყდება.

კუბოსთან დგანან ოტიას შვილები: ქალიშვილი ქ-ნი მანანა, ბაჩი და დაჩი. მდივანი – თამუნა.

მე, მაყვალა ტაკიძე და ბაღათერი გვერდით ვუდგევართ ჭირისუფლებს და სამიძმარს ვღებულობთ.

მწერლებიდან თვალი მოვკარი გურამ დოჩანაშვილს, თეიმურაზ ლანჩავას, ზაალ ებანოიძეს, ავთო ნიკოლეიშვილს, ოთარ ჭუმბურიძეს, დათო თედორაძეს, იური ბიბილეიშვილს, შოთა ზოიძეს...

აქვე არიან სახელგანთქმული ჩოხოსნები და საპატიო ყარაულში დგანან.

გამოჩნდნენ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები: შალვა ნათელაშვილი, გოგა ხაინდრავა, ირინა სარიშვილი...

მსახიობები: გივი ბერიკაშვილი, მალხაზ მებურიშვილი, დათო დვალიშვილი და სხვები.

არ ჩანან ხელისუფლების წარმომადგენლები. ქუთაისის გუბერნატორი სადაა?

ამბობენ რომ კათალიკოსი აპირებდა ჩამოსვლას, მაგრამ გადააფიქრებინესო.

სამ საათზე ოტია გამოვასვენეთ გელათის ტაძრიდან და წამოვასვენეთ წყალტუბოში.

ოტიას ეზოში მისთვის გაჭრილ საფლავთან, ოტიას ცხედართან სამგლოვიარო მიტინგი გაიმართა.

მიტინგის გაძღოლა მე მთხოვეს. ვთქვი, რომ ოტიას მთელი საქართველო დასტირის. ვთქვი, რომ ჩვენ გამოგვაკლდა ერთი ერთგული გუშაგი, ჭეშმარიტი ქომაგი ერისა და შეუდრეკელი მეციხოვნე. დღეიდან ქართველი ხალხი გაწალდავს გზას ოტიას საფლავისკენ. თაობები მოვლენ ოტიასთან სათათბიროდ და მისგან ისწავლიან ეროვნული ფენომენის დაცვას, ქვეყნის ღირსების დაცვას, სამშობლოს სიყვარულს.

სამგლოვიარო მიტინგზე გამოვიდნენ: მაყვალა გონაშვილი, დავით ტაკიძე, ვაჟა აზარაშვილი, თეიმურაზ ლანჩავა, შოთა ზოიძე, კახაბერ კახაბრიშვილი, ზურაბ სამუშია და სხვები.

სამგლოვიარო სადილი (ქელეხი) სოფელ ფარცხანაყანევთან, რესტორან „ნატახტარში“ გაიმართა. თამადობდა რეზო ჭეიშვილი.

თბილისში ღამის 11 საათზე დავბრუნდით.

ივლისი უმძიმესი თვე გამოდგა ქართული ეროვნული ინტელიგენციისთვის.

26 ივლისს მცხეთაში ორი მწერალი დავკრძალეთ ნოდარ კეკელიძე და გიორგი გიგაური.

თხელდება ჩვენი რიგები.

ვინ იცის, ვის როდის უხმობს არსთაგამრიგე.

ნორვეგიაში, ოსლოში საზარელი ტრაგედია გათამაშდა:

ჯერ იყო და ამ მშვიდი ქვეყნის ცენტრში დედაქალაქ ოსლოში ნაღმი აფეთქდა, რამაც დიდი ნგრევა გამოიწვია და შვიდი ადამიანი იმსხვერპლა, სამი დღის შემდეგ ტერორისტმა – 30 წლის მარტოხელა მკვლელმა ოსლოსთან ახლოს კუნძულზე ახალგაზრდების საერთაშორისო ბანაკში ოთხმოცამდე ახალგაზრდა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი ავტომატით დახოცა. ერთი საათის განმავლობაში იგი ნადირობდა შიშისგან აცახცახებულ, ბუჩქებში მიმალულ ახალგაზრდებზე და უმოწყალოდ ხოცავდა.

ერთი საათის განმავლობაში ვერავინ შეაჩერა გავეშებული მკვლელი.

ბოლოს თვითონ ჩაბარდა პოლიციას.

ერთ კვირაში გაასამართლეს, ორივე დანაშაული აღიარა.

მოტივი? ეს იყო ჩემი პროტესტი გაუთავებელი მიგრაციის წინააღმდეგო. ევროპა წალეკეს მუსულმანებმა და ლტოლვილებმაო. ჩვენ უკვე მალე ეროვნული სახელმწიფო აღარ ვიქნებითო. ახლა მალე ნორვეგიელები უმცირესობა გავხდებით საკუთარ ქვეყანაშიო.

ახალგაზრდები რატომ დახოცეო, რომ ჰკითხეს, უპასუხა ბევრი ვწერე ამ საკითხზე, მაგრამ მსოფლიოს პოლიტიკოსების ყურადღება ვერა და ვერ მივიპყარიო. სანამ პირში სული მიდგას, არ დავინდობ ნორვეგიის დამპყრობელ მუსულმანებს და სხვა ჯურის წარმომადგენლებსო.

სასამართლომ 87 კაცის მკვლელს 21 წლის პატიმრობა მიუსაჯა.

21 წელი? ესაა სულ სასჯელი დედამიწაზე ამ უსასტიკეის დანაშაულისთვის?

ხომ არ არის ეს ნორვეგიის სასამართლოს უსიტყვო, ირიბი თანაგრძნობა „ეროვნული მკვლელის“ მიმართ?

რა ხდება მსოფლიოში?

ეს ბოლო დღეები ბევრს ვფიქრობ ამ პრობლემაზე. ხომ არაა საჭირო დაფიქრდეს მსოფლიო იმაზე, თუ როგორ შეინარჩუნოს ცალკეული ნაკლებადგამრავლებადი ერები და მაღალცივილიზებული სახელმწიფოები სწრაფგამრავლებადი ერების შემოსევისაგან?

განა ამ დღეში არ არის ჩემი სამშობლო საქართველო?

რა თქმა უნდა, მასობრივი მკვლელის უმკაცრესი დასჯა (მე პირადად მის კოცონზე დანვასაც მოვითხოვდი) აუცილებელია; მაგრამ არც პრობლემის მიფუჩეჩება შეიძლება.

ამ ბოლო თვეებში მსოფლიო უფრო მკაცრი გახდა.

ხომ არ დაიბნა XXI საუკუნის ადამიანი?

ნახეთ რა ხდება ლიბიაში, ეგვიპტეში, სირიაში, ერაყში, ავღანეთში.

ამერიკულ-რუსულ ექსპანსიას რომ თავი გავანებოთ, რა სისასტიკით ებრძვიან თვისტომნი ერთმანეთს.

ახლახან ტრაპიზონში შავი ზღვის ქვეყნების მწერალთა თათბირ-სემინარზე მიმიწვიეს.

ვფიქრობ – წავიდე არ წავიდე?

თუ წავალ მხოლოდ ერთადერთი მიზნით, იქნებ ჩემი რომანის თარგმნით დავაინტერესო ვინმე. 8 აგვისტოს უნდა გავფრინდე ტრაპიზონში.

ჭირივით მეზარება ფრენა.

როდოსზე რომ გავფრინდი, ვთქვი, თუ მშვიდობით დავბრუნდი ეს ჩემი უკანასკნელი ფრენა იქნება-მეთქი, მაგრამ როგორც ჩანს, არ ყოფილა.

ნათქვამია, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

საერთოდ, მეშინია, სანამ თვითმფრინავში ჩავჯდებოდე.

სავარძელში რომ მოვკალათდები და უსაფრთხოების ქამარს შემოვიჭერ, ვმშვიდდები, რადგანაც ვიცი, რომ ვერაფერს შევცვლი.

4 აგვისტოს ორმა ქართველმა ჟურნალისტმა სოჭში ინტერვიუ აიღო რუსეთის პრეზიდენტ მედვედევისგან.

რა ცინიკურად, რა ამაზრზენად, ქართველებისადმი რა ზიზღით ლაპარაკობდა რუსი.

ჩვენაო, ე.ი. რუსეთი ვინც უნდა მოვიდეს პრეზიდენტად ჩემს შემდეგ, თუნდაც ათასი წლის განმავლობაში არ გავაუქმებთ აფხაზეთის და ოსეთის დამოუკიდებლობასო.

ასე რომ „ამაყო ქართველებო“ ამოიღეთ გულიდან ფიქრი საქართველოს ე.წ. გამთლიანებაზეო.

სააკაშვილი, როგორც დამნაშავე საერთაშორისო სასამართლომ უნდა გაასამართლოსო.

საერთოდ კი სააკაშვილი მე უნდა მიმადლოდეს, რომ რუსეთის ტანკები თბილისიდან 25 კილომეტრში შევაბრუნე, თორემ დღეს თქვენი პრეზიდენტი სხვა იქნებოდაო.

სწორად მოვიქეცი 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოში ტანკები რომ შემოვიყვანე, სააკაშვილი ამერიკაში (კონდოლიზა რაისმა) შეაგულიანა, თო-

რემ ვერ გაბედავდა ცხინვალზე თავდასხმასო. ახლა რომ სენატმა რეზოლუცია მიიღო, არ მაინტერესებს ბებერი სენატორების აზრი, რუსეთზეო. ამით მე კავკასიაში მშვიდობა დავამყარე. ეს ფაქტი (ანუ საქართველოს დასჯა) სომხეთისთვის და აზერბაიჯანისთვის ჭკუის სასწავლებელი აღმოჩნდაო.

საღამოს ნინო ბურჯანაძეს მოვუსმინე II არხზე.

მეგონა 26 მაისიდან რამე დასკვნებს გააკეთებდა ქალი, რომელმაც თავისი ამალით მოკურცხლა, ისე ლაპარაკობდა, როგორც მესია, როგორც ტრიუმფატორი.

ჩემი დაცვის წევრები და ჩემი ექსკორტის მძღოლები დააპატიმრესო, წუწუნებდა, ამ დანაშაულს (ჩემი დაცვის დაწიოკებას) ძვირად დავუსვამ საა-კაშვილსო. ღმერთო, რა სამარცხვინო სურათია. შენ, ნინო ახლა ხომ აღარა ხარ, პარლამენტის თავმჯდომარე ან პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ერთი რიგითი უპერსპექტივო ოპოზიციონერი ხარ, მაშ საიდან ეს დაცვა, ან 5-მანქანიანი ექსკორტი?

თავგაჩეხილ, ღირსებაშელახულ მომიტინგეებს უნდა გადაფარებოდი ნინო, ახლაც მათ უნდა ექომაგებოდე და არა შენი პირადი დაცვის წევრებს.

ასეთი ოპოზიცია გვყავს ჩვენ!

9.VIII – 26.X. 2011 წ.

6 აგვისტოს ქუთაისში ნორვეგიის კუნძულ უტოიაზე დაღუპული თამთა ლიპარტელიანი დაკრძალეს.

თამთა ერთ-ერთი იყო იმ ორი ქართველი გოგონა და, რომელიც ტერორისტის ტყვიამ იმსხვერპლა ნორვეგიაში. მეორე გოგონა – ჩხეტიანი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა.

დაკრძალვაზე პრეზიდენტი სააკაშვილიც მივიდა და უნდა ვთქვა, კარგი სიტყვით ანუგეშა გარდაცვლილის მშობლები.

სააკაშვილს ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი.

მაინც რა ხდება ვერაფრით ამიხსნია.

საქართველოს მაინც რატომ უნდა გაეღო ამოდენა მსხვერპლი?

სამედიცინო ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ ნორვეგიელი მკვლელი შეურაცხადი არ არის.

კაცმა 81 ადამიანი ჩიტებივით დახოცა და შეურაცხადი არ არის?

„დიდება შენდა, ღმერთო“.

9 აგვისტოს რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს რობერტ სტურუა.

მიზეზი? ქსენოფობიური განცხადებები გააკეთაო.

ბაია ამაშუკელთან ერთ-ერთ ინტერვიუში რობიკომ თქვა – „სააკაშვილი სომეხიაო“, მერე დააზუსტა: მე სომხების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ არ მსურს საქართველოს პრეზიდენტი არაქართველი იყოსო.

ეს ყოფილა სულ მისი „ქსენოფობია“.

„მოუზომავი განცხადებისთვის“ შეიძლება გააკრიტიკო, უსაყვედურო („გააკრიტიკეს კიდეც) დიდ რეჟისორს, მაგრამ მისი მოხსნა რა შუაშია?

ნუთუ იმდენი არ იცის კულტურის მინისტრმა, რომ ამით მან კიდევ უფრო გაამძაფრა ეს თემა.

რობერტ სტურუას „გათავისუფლებას“ რუსთაველის თეატრის პროტესტი მოჰყვა. მითხრეს, რომ გურამ საღარაძის გარდა ყველა მსხაიობმა მოაწერა ხელი საპროტესტო წერილს, რომელიც თეატრის წინ, აქციაზე წაიკითხეს.

შედეგი? არავითარი, გამოცხადდა, რომ რობერტ სტურუა უკვე დათანხმდა გადავიდეს მოსკოვში ერთ-ერთი თეატრის ხელმძღვანელად.:

ვარგა ასე? რატომ ვიმეორებთ მარჯანიშვილის, ახმეტელის, დოდო ალექსიძის, თუმანიშვილის მიმართ დაშვებულ შეცდომებს?

ხომ ხედავთ, ჩვენ მიერ შერისხული მოსკოვმა (ჩვენმა დაუძინებელმა მტერმა) გულში ჩაიხუტა. სხვა მორალური მხარეა რობიკოს ნაჩქარევი გადაწყვეტილება გადარუსეთდეს.

მე, როცა უნივერსიტეტიდან ჩემი პოლიტიკური ორიენტაციის გამო გამომაძევა ხელისუფლებამ, მაშინვე მივიღე მოსკოვის უნივერსიტეტიდან შემოთავაზება. ჩვენთა გადმოდი სრულ პროფესორობას გთავაზობთო, მაგრამ კატეგორიული უარი შევუთვალე.

კაცია და გუნება.

22 აგვისტოს პრეზიდენტმა ოფიციალურად გახსნა ანაკლია, როგორც ახალი საკურორტო ქალაქი. თქვა, შავი ზღვისპირეთში ანაკლიაში ყველაზე კარგი კლიმატური პირობებიაო.

თუ ასეა, ამას რა სჯობს.

31 აგვისტოს კალათბურთში ევროპის ჩემპიონატი დაიწყო.

საქართველოს ნაკრები მთელი თავისი არსებობის მანძილზე პირველად მონაწილეობს ამ ჩემპიონატში.

პირველი შეხვედრა კლაიპედაში (ლიტვა) ბელგიის ნაკრებთან გავმართეთ.

თბილისიდან 2000 გულშემატკივარი გაემგზავრა პრეზიდენტიანად.

მოვუგეთ ბელგიას.

ჭეშმარიტად სახალხო ზეიმი იყო.

მეორე დღეს 1 სექტემბერს რუსეთის ნაკრებს შევხვდით.

ჩვენმა ბიჭებმა რაც შეეძლოთ მოინდომეს თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე რუსები მხოლოდ 2 ქულით იყვნენ წინ, მაგრამ არა და არ გაგვიმართლა.

წავაგეთ.

ჩვენს კაპიტანს ზაზა ფაჩულიას, რომ იტყვიან „თამაში არ წაუვიდა“.

ერთი ნაბიჯი იყო გამარჯვებამდე და ის ერთი ნაბიჯი ვერ გადავდგით.

რას ვიზამთ, ბედია.

2 სექტემბერს ჩვენი საფეხბურთო ნაკრები (მწვრთნელი თემურ ქეცბაია) ლატვიის ნაკრებთან 1-0 დამარცხდა ევროპის პირველობაზე და ჯგუფიდან გასვლის იმედი სამუდამოდ დაკარგა.

სამარცხვინო იყო გარემარბი მარცვალაძე. მწვრთნელი რომ ვიყო, მას სამუდამოდ დავითხოვდი ნაკრებიდან.

მოსკოვიდან ჩამოვიდა ჩემი მეგობარი უნიჭიერესი ესეისტი მურმან ჯგუბურია.

3 წელი უფასოდ ცხოვრობდა პერედელკინოში, ასე რომ მოსკოვის მწერალთა კაშვირმა დიდი პატივი სცა.

მოწყენილია, საეჭვოდ გამხდარია ჩემი მურმანი, ღმერთმა კარგად მიმყოფოს.

31 აგვისტოს მესტუმრა ნიჭიერი მწერალი ვახტანგ ჭანკოტაძე.

მე იშვიათად შემხვედრია ასეთი კეთილშობილი კაცი და, რაც მთავარია, ღრმა პროფესიონალი.

მისი რამდენიმე კარგი წიგნი ადრეც მქონდა წაკითხული, მაგრამ ახლა გამაოცა იმით, რომ მომიტანა ორი რვეული შენიშვნებით სავსე.

სტრიქონ-სტრიქონ წაუკითხავს ჩემი რომანი „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ და „მწერალი და მოგზაური ზურგჩანთა“ – დამჯდარა და ყველა გრამატიკულ-ორთოგრაფიული შეცდომა, ყველა კორექტურა ამოუწერია, ვინ გაგიწევს დღეს ასეთ დიდებულ სამსახურს. ამ უანგარო კაცს არ ვიცი, როგორ გადავუხადო მადლობა, 80 პროცენტი ამ შენიშვნებისა სწორია, რასაც უსათუოდ გავითვალისწინებ წიგნების შემდგომი გამოცემის დროს.

აგაშენა ღმერთმა, ჩემო ვახტანგ.

15 სექტემბერს გალაკტიონის მუზეუმში ოლია ოკუჯავას დახვრეტის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გავმართეთ.

მომხსენებელმა ექიმმა ხუტა პაჭკორიამ დოკუმენტალურად გაგვაცნო გალაკტიონის მეუღლის დახვრეტის მთელი ისტორია.

ბერია სტალინს წერს: სადაცაა ორიოლში გერმანელები შემოვლენ, იქ პოლიტპატიმრების ციხეა და გთხოვთ თქვენს განკარგულებას, რათა ყველა პოლიტპატიმარი დახვრიტონ, რადგანაც ისინი რომ ჰიტლერელებს ჩაუვარდეს ხელში შეიძლება ჩვენი საწინააღმდეგო პროპაგანდისთვის გამოიყენონო, 1942 წელია.

სტალინი თანხმობის ნიშნად ხელს აწერს. სტალინის ქვემოთ ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, კალინინის, ბუდიონის და სხვათა ხელმოწერებია.

პოლიტიკურ პატიმართა შორის იყო ოლღა ოკუჯავაც.

და ისინი დახვრიტეს, დახვრიტეს სულ 233 პატიმარი და იქვე საძმო საფლავში ჩაფლეს, ზედ ტრაქტორით მიწა მიაყარეს რომ კვალი წაშლილიყო.

სხდომა მე მიმყავდა. გამოვიდნენ ნატო გაბისონია, ვახტანგ ჯავახაძე, ნოდარ ტაბიძე, გიზო ზარნაძე, გია ხოფერია, არჩილ მიქელაძე, ბონდო კოპაძე და სხვები.

საღამო ფრიად შთამბეჭდავი გახლდათ. ტელევიზიამ, რასაკვირველია, არ გადაიღო. ასეთი რამეები ტელევიზიას არ აინტერესებს.

16 სექტემბერს ამირან შალიკაშვილმა სეზონი გახსნა. მშვენიერი სპექტაკლია „კრიმანჭული“.

იქვე საღამოზე საბოლოო სიტყვაში ვთქვი: სანამ ცოცხალი ვარ ათასჯერ უნდა გავიმეორო, რომ ნაწყენი ვარ გალაკტიონის ბოლო ცოლზე – ნინო კვირიკაძეზე და თვით ნოდარ ტაბიძეზე-მეთქი. როგორ გაანადგურეს და გადაყარეს ისე გალაკტიონის პირადი ნივთები, რომ მე მიხდება გალაკტიონის პორთფელის ყიდვა 200 დოლარად ვიღაც სომხისგან და ვახტანგ გურგენიძის არქივიდან გალაკტიონის კოსტუმის დიდი ვაინაჩრობით მოპოვება-მეთქი.

ნოდარ ტაბიძემ თავი ჩაქინდრა.

ბონდო კოპაძემ მაჩუქა გალაკტიონის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, გაკეთებულია გემოვნებით, ტექნიკურად სრულყოფილად, ოღონდ რედაქტორი გურამ ბენაშვილია.

ჯანსუღ ჩარკვიანს 80 წელი შეუსრულდა.

ჯანსუღი ნიჭიერი, დაუღალავი და ფუტკარივით მოფუსფუსე პოეტია.

მისი ლექსები „მწყურვალისათვის“, „ბეთანია“, “მე ვიცი ძმაო“, “სოლტრამონტო – მზის ჩასვლა“, და კიდევ რამდენიმე – ზეპირად ვიცი.

დიდხანს „ცისკრის“ რედაქტორი იყო და მისი მთავარი დამსახურებაა „დათა თუთაშხიას“ გამოქვეყნება.

ჩემთვის ჯანსუღი გარდა მისი პოეტური თუ საზოგადო მოღვაწეობისა, იმითაც არის ღირებული, რომ უსაყვარლესი ირმა ჩხეიძის მეუღლეა, უნიჭიერესი თამუნა და მამუკა ჩარკვიანების მამაა და გასაოცარი დაუჯერებლი ირმა გაგნიძის ბაბუაა.

19 სექტემბერს გარდაიცვალა გიზო ნიშნიანიძე. გიზოს იუმორის გრძნობა ჰქონდა. წერდა ფელეტონებს და ლექსებსაც, თბილისის კოლორიტი თუ ვინმეზე ითქმის ცოცხლად დარჩენილთაგან, სწორედ რომ გიზო იყო. კარგად მღეროდა. ხშირად გვიმღერია ერთად. საკანდიდატო დისერტაცია რომ დაიცვა, მისი ოპონენტი გახლდით. პირველი წიგნის „სიცილის სამყაროში“ წინასიტყვაობაც დავუწერე, გულიანი კაცი იყო გიზო. მშვენიერი ლიტერატურული მონტაჟი შეადგინა, სახელწოდებით „პაემანი ვერაზე“. საჩხერეში, სუფრაზე ლექსს ამბობდა და უცებ წაქცეულაო, მითხრა მისმა დისშვილმა რამაზ ხუროძემ. „მწერლის გაზეთი“, რომელიც უკვე იბეჭდებოდა, გავაჩერე და სამგლოვიარო განცხადება გამოვაქვეყნე მწერალთა კავშირის სახელით, ძალიან მეწყინა გიზოს წინსვლა.

20 სექტემბერს მურმან ჯგუბურია მესტუმრა. დიდხანს ვისაუბრეთ ჩვენი ქვეყნის უბედო ბედზე და ლიტერატურაზე, რომელიც ხელიდან გვეცლება. წამიკითხა თავისი რამდენიმე ესე. მაღალი გემოვნების მქონე, ჭეშმარიტი პროფესიონალია მურმანი. ძალიან მიქო ჩემი “ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“, გამხდარია, თავს სუსტად ვგრძნობო. სამ ჭიქაზე მეტი არ დალია. უბინაოდაა. სადღაც ბინა დავიგირავეთო, მითხრა.

28 სექტემბერს სამების ტაძარში ჯანსუღ ჩარკვიანის 80 წლისთავის იუბილე ჩატარდა.

80 წლის ჯანსუღი კარგად ვაჟკაცურად გამოიყურება.

მაყვალამ პირველი სიტყვა მე მომცა.

ვთქვი: ჯანსუღმა ისეთი პოლიტიკური ლაბირინთები გამოიარა, რომ მის ადგილზე სხვა შეიძლება დაბნეულიყო, მაგრამ ჯანსუღმა კარგად იცოდა, რომ “მთავარი მაინც მამული არი“.

ჩვენ, ჩემო ჯანსუღ, დამარცხებული მწერლები ვარ-თმექთი, რადგანაც ჩვენს ერს ვერ მოვუტანეთ ნანატრი დამოუკიდებლობა, ვერ დავიბრუნეთ წართმეული ტერიტორიები და ისიც ვერ შევძელით, რომ ჩაძინებული ერი გამოგვეღვიძებინა და ერთ მუშტად შეგვეკრა-მეთქი.

მაგრამ ის მიანც მოვახერხეთ, რომ ილიასგან და აკაკისგან მემკვიდრეობით გადმოცემული თავისუფლების წყურვილი შეგვენარჩუნებინა ჩვენი ერისთვის-მეთქი.

ჯანსუღ, როცა უნდა შეგხვდე და გკითხო, როგორა ხარ, შენ ყოველთვის მპასუხობ – „ცუდად“. დიახ, ჩვენ ცუდად ვართ-მეთქი, და ჩვენი ცუდად ყოფნის მიზეზი კარგად მოგეხსენებათ-მეთქი!

ჩვენ ახლა ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომ ამ ეპოქისთვის ტიპიურია „მაესტროში“ ხშირად გამეორებული კლიპი, როცა ჟურნალისტი გოგონა მობრუნდება და მის უკან შეჩერებულ საეჭვო ჩრდილებს მიმართავს. რა გინდა, რას მომსდევ, რა გინდა, რატომ მომსდევ?

იუბილეს დაესწრო უწმინდესი და უნეტარესი, მან დალოცა ჯანსუღი და მისი პოეზია.

ფრიად ამაღელვებელი საღამო იყო.

ჩემს გარდა გამოვიდნენ: როინ მეტრეველი, რეზო ამაშუკელი, დათო ტაკიძე, ვაჟა აზარაშვილი, გენო კალანდია და სხვები.

მეორე დღეს ჯანსუღმა დამირეკა, დიდი მადლობა, დიდებული სიტყვა მითხარი, არ მეგონა, თუ ასე გიყვარდიო.

გარდამეცვალა მამაჩემის მკვიდრი ბიძაშვილი აპოლონ (ჟორა) მიშველაძე.

91 წლის გახლდათ. ბოლო რვა წელი ბრმა იყო და საწოლზე მიჯაჭვული.

ჟორა ბიძია 1941-45 წლების მსოფლიო ომის მონაწილე, უამრავი მედლის და ორდენის კავალერი, მთელი სიცოცხლის მანძილზე მასწავლებლობდა. თარგამეულის (ჩვენი მშობლიური სოფელი) და გურძემის საშუალო სკოლებში გეოგრაფიას ასწავლიდა. უაღრესად განათლებული და ენამოსწრებული კაცი იყო, იუმორის გრძნობით სავსე. ცოლი ადრე გარდაეცვალა, 3 ვაჟი დარჩა. ერთი ცოლშვილიანია, 2 უცოლშვილო.

ჩავედით დაკრძალვაზე ოთხივე დედმამიშვილი (ნათელა, მე, გოგი, ბორისი).

კარგა ხანია არ ვყოფილვარ თარგამეულში და ჩემი ბავშვობის სანახების ხილვამ ცრემლი მომგვარა. თარგამეული ულამაზესი სოფელია – მწვანე ხუჭუჭა მთებით, ლურჯი წყალ-ჭალით, ეკლესიებით და უძველესი ციხე-გოჯით (აქაურები „ჯიხას“ ეძახიან). სოფელს შუაზე ყოფს ლაჟვარდისფერი სარკესავით გამჭვირვალე მდინარე ტეხური (და არა „ტეხურა“, როგორც ზოგიერთები შეცდომით ეძახიან). გული მომიკლა გაღარიბებული, ლამის გაპარტახებული სოფლის ხილვამ, დაცლილია სოფელი თითქმის. ბალახს გადაუვლია ეზოებზე. სოფლის გამგებელმა მიწის ნაკვეთის საკუთრების მოწმობა გადმომცა.

თურმე (მე არ ვიცოდი) 70 რომ შემისრულდა, მარტვილის გამგეობას ჩემთვის, როგორც ძირძველი მარტვილელისთვის, გამოუყვია მიწის ნაკვეთი და საბუთი ახლა გადმომცეს, ორი წლის შემდეგ ჩემმა ბიძაშვილებმა. სადაა საშუალება თორემ ბედნიერი ვიქნებოდი, ერთი პატარა ფაცხა ჩამადგმევინა მამა-პაპის ნაფუძარზე.

7 ოქტომბერს თბილისში საფრანგეთის პრეზიდენტი ჩამოვიდა, აღტაცებულ „ბედნიერ ქართველობას“ სარკოზიმ ფრანგული დიპლომატიით დაზუზღული სიტყვებით მიმართა. რა კარგიაო რომ პრეზიდენტი და მისი მეუღლე სანდრა ფრანგულად ლაპარაკობენო, მეო ვადასტურებ ჩემს მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართო.

რაც შეეხება რუსეთს, საფრანგეთი რუსეთს მეგობრად მიიჩნევს და მოვუწოდებ საქართველოს პრეზიდენტს გამოძებნოს რუსეთთან საერთო სამეგობრო ენაო. ჩვენ და გერმანია მტრები ვიყავით, მაგრამ დე გოლის და ადენაუერის ძალისხმევით დღეს მეგობრები ვართო.

ერთი სიტყვა არ უთქვამს იმაზე, რომ რუსი ოკუპანტია, სასურველიაო, რომ აფხაზეთში და სამაჩაბლოში ევროპელი დამკვირვებლები შევიდნენო, ასევე ლტოლვილებს უფლება უნდა მივცეთ დაბრუნდნენ თავიანთ სახლებშიო...

არავითარი კატეგორიული მოთხოვნა: რუსმა ჯარისკაცმა დატოვოს საქართველოს ტერიტორია, არავითარი იმედის მიცემა, რომ საქართველო უახლოეს ხანში გახდება ევროკავშირის ან ნატოს წევრი – სარკოზის მხრიდან არ ყოფილა, იგი გველაპარაკა ისე, როგორც მდიდარი, გალაღებული კაცი თავის ღარიბ ნათესავს დაელაპარაკება.

ამ დღეებში გამოცხადდა რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოდისო. იგი ქმნის პოლიტიკურ პარტიას და აპირებს იბრძოლოს პარლამენტში შესასვლელად და აქედან პარლამენტის თავმჯდომარის ან პრემიერ მინისტრის პოსტისთვის.

მირეკავენ ჟურნალისტები, რა აზრის ხარო.

ბიძინამ დაამტკიცა თავისი მოღვაწეობით, რომ ეროვნული კაცია, მან არაერთი დიდი საქმე გაუკეთა ქვეყანას, ამიტომ მის მოსვლას ხელისუფლებაში მე პირადად მივესალმები-მეთქი, ვპასუხობ.

მე, პირადად, გულის სიღრმეში მაინც შიშით ვუცქერი ამ ამბავს.

რა მოხდა? 7 მილიარდის მქონე კაცმა, რომელიც უზრუნველად ცხოვრობდა, ერთბაშად სასწორზე რატომ დადო თავისი ქონება, მდგომარეობა და სახელი?

მან ხომ ყველაფერი კარგად იცის. მან ხომ ისიც კარგად მოეხსენება, რომ საქართველოში ობიექტური, გაუყალბებელი არჩევნები კიდევ 100 წელი არ ჩატარდება.

იგი ვინმესთან მოუთათბირებლად, პოლიტიკური გარანტიების გარეშე ამ ნაბიჯს არ გადადგამდა.

მისი განცხადება აბსოლუტურად რადიკალურია.

მიაჩნია, რომ საკაშვილი დაღუპვისკენ მიაქანებს საქართველოს.

ნუთუ ბიძინამ თავისი ხელით დაწერა ეს განცხადება? არ ეშინია რომ პატარკაციშვილის გზას გაუყენებენ? დიდი გაბედულებაა მისი გამოსვლა.

7,8,9 ოქტომბერს „თბილისობა“ ჩატარდა.

ამაიმუნებენ, აპაპუასებენ ხალხს.

ბრაცაბრუცი, ცეკვა-თამაში, მანჭვა-გრეხა, ბედნიერი ცხოვრების ილუზია...

გულისამრევია საწნახელში ჩამდგარ, ყურძნისმწურავ ჩინოვნიკთა უსირცხვილოდ მომღიმარი სახეების ყურება. გარეთ, ქუჩაში როგორ გავიდოდი.

ნეტავ, ტელევიზორიც არ ჩამერთო.

22 ოქტომბერს რამაზ ჩხიკვაძე დავკრძალეთ დიდუბის პანთეონში.

რამაზი დიდი არტისტი იყო.

ვერიკოს, ხორავას, ვასაძის, ზაქარიაძის, გომიაშვილის, უშანგი ჩხეიძის მასშტაბის არტისტი რამაზ ჩხიკვაძე 60 წლის მანძილზე ამშვენებდა ქართულ თეატრს.

მისი აზდაკი („კავკასიური ცარცის წრე“) სცენური ხელოვნების შედევრია.

ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, როგორც მოველოდი, პროვოკაციები დაიწყო.

აშკარა, ღია ომი გამოუცხადეს ცნობილ ქველმოქმედს – ჯერ მოქალაქეობა წაართვეს (?!), მერე დაცვა განუიარაღეს, მერე ბანკი „ქართუ“ საიდანაც მთელი ქართული ინტელიგენცია სულს ითქვამდა, დღისით, მზისით დაუყაჩაღეს.

კაცი, რომელმაც სამების ტაძარი ააშენა, 300 ეკლესია-მონასტერი გაარემონტა, ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, რუსთაველის თეატრი, მარჯანიშვილის თეატრი, საჯარო ბიბლიოთეკა დანგრევას, იავარქმნას გადაარჩინა, კანონგარეშე გამოაცხადეს და საქართველოდან გაძევებას უპირებენ.

26 ოქტომბერს პრეზიდენტმა თავის მომხრეთა თათბირი გამართა ბათუმში და ბიზნესმენებს დაავალა, ჩვენ რომ უფროსი თაობის წარმომადგენლები პანლურის ცემით გავაგდეთ დაწესებულებებიდან, კეთილი ვინებოთ, ბოდიში მოვუხადოთ და დავასაქმოთო.

„მამათა რბევიდან“ 8 წელი გავიდა, დამსახურებულ ადამიანთა დიდი ნაწილი ცოცხალი აღარ არის, ზოგი შიმშილით მოკვდა და ზოგს შეურაცხყოფის გამო გული გაუსკდა.

კარგი დროა, თქვენ არ მომიკვდეთ, სინანულის თითზე კბენისთვის.

ხომ არ ჰგავს ეს „უკან მიდევნებული ლამპარი“ იმ მოლას იგავს, შიმშილით რომ მოკლეს და მერე უკანალში ბრინჯს ატენიდნენ.

ამ დღეებში აჯანყებულებმა მოკლეს ლიბიის პრეზიდენტი კადაფი. გვიჩვენეს რა ჟინით და ხარხარით კლავდნენ ადამიანები კაცს, ვინც 42 წელი მართავდა ლიბიას, არა, არა ადამიანი ჯერ კიდევ სისხლისმსმელი ცხოველია.

27.X.2011 – 1.I.2012

1 ნოემბერს ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენცია ჩაატარა.

იჯდა 200 ჟურნალისტის წინაშე გამხდარი, ფერგაცრეცილი საჩხერელი კაცი. სულ არ ჰგავდა მილიარდელ „მაგნატ-ურჩხულს“, როგორც ხატავენ ამ ბოლო დროს, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო რომ პოლიტიკაში ჩაერთო.

აშკარად ღელავდა, ცოტა შეშინებულიც იყო, მაგრამ მის პასუხებში იგრძნობოდა ძლიერი ნებისყოფა და თვითრწმენა, მეო, თქვა, პოლიტიკაში ჩავერთე ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, არ ვაპირებდი ამ ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა დამანახა, რომ სამშობლო ხელიდან მეცლებოდაო.

წამოესივნენ ბიძინას „რუსთავი 2“-ის, „იმედის“ და I არხის ჟურნალისტები წინასწარმომზადებული პროვოკაციული კითხვებით: „რა საერთო გაქვთ კრიმინალურ სამყაროსთანო“.

„ხართ თუ არა რუსეთის აგენტიო“.

“რატომ აფინანსებდით სისხლისმსხმელ ლებედსო“

(რა თქმა უნდა, არავის უკითხავს, რატომ აფინანსებდი სააკაშვილსო).

ყველა კითხვას დამაჯერებლად, არგუმენტების მოშველიებით უპასუხა.

მერე სახელისუფლებო არხების წარმომადგენლები ლამის ხელჩართულ ჩხუბზე გადავიდნენ.

მიკროფონის ხელში ჩასაგდებად გამართული ზედახორით სურდათ პრესკონფრეენციის ჩაშლა, მაგრამ ველარ მოახერხეს.

აღმოვაჩინე, რომ ბიძინას იუმორის და ირონიის გრძნობაც საკმაოდ აქვს.

საოცრად უხდება ღიმილი და სიცილი.

რომ გაიცინებდა, სახე რაღაცნაირი, შინაგანი შუქით უნათდებოდა ხოლმე.

მე, შეიძლება, მის ადგილას სიცილს საერთოდ გადავეჩვეოდი, ისე უტიფრად ესხმის თავს რეჟიმი ყოველდღიურად.

წაართვეს მოქალაქეობა, დაუყაჩაღეს ბანკი „ქართუ“, აუკრძალეს მეცნიერებისთვის და ხელოვნების მუშაკებისთვის ფინანსური დახმარება, განუიარაღეს დაცვა და ა.შ.

მწერალთა განცხადება ბ. ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის შესახებ „ასავალ-დასავალის“ 7 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა. რედაქციის მინაწერით: „ხელმოწერები გრძელდება“.

არ შეიძლება ქვეყნის ჭირისუფლად მიგაჩნდეს თავი და დღეს ბიძინა ივანიშვილს გვერდით არ დაუდგე.

ბიძინას ქარიზმა მის უბრალოებაშია.

ოცდაათი წლის განმალვობაში ეწეოდა იგი განსაცვიფრებელ ქველმოქმედებას (მარტო სამების ტაძრის აშენება რად ღირს) და ყველას კატეგორიულად უკრძალავდა მისი სახელის გახმაურებას, ჩრდილში დგომას არჩევდა. განა ეს თავმდაბლობა სამაგალითო საქციელი არ არის სხვათა კეკლუცობის და ტელეპრანჭიობის ფონზე?

5 ნოემბერს დავკრძალეთ დიდებული კომპოზიტორი, სამაგალითო მოქალაქე შალვა დავითაშვილი.

უნივერსიტეტში 27 ოქტომბერს საერთაშორისო ურთიერთობების IV კურსის სტუდენტებთან ლექცია ჩავატარე მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე და სხვათა შორის, ვკითხე: „როგორ აფასებთ მუამარ კადაფის მოკვლას აჯანყებულთა მიერ-მეთქი“.

42 სტუდენტიდან ერთის გარდა ყველამ გულწრფელად განაცხადა: ეს საზიზღარი სანახაობა იყოვო, ტელევიზიით სისხლიანი კადაფი რომ გვიჩვენეს, გული შეგვეკუმშაო.

მხოლოდ ერთმა გოგონამ განაცხადა – ძალიანაც კარგი ფაქტია, მომეწონა, რაც დაიმსახურა ის მიიღოვო.

შემაძრწუნა სტუდენტი გოგონას ამ პასუხმა.

საიდან მოვიდა მის არსებაში ჩაბუდებული ეს სადიზმი?

მე ვთქვი, სტუდენტებო, ცრემლი მომადგა სისხლში მოსვრილ კადაფს რომ ვუყურებდი-მეთქი.

როგორ შეიძლება ლინჩის წესით გასამართლება მოვიწონოთ-მეთქი.

დამეთანხმნენ.

ბიძინას ერთ-ერთ ნაკლად იმასაც უძებნიან, რომ ქველმოქმედება ქველმოქედებად, მაგრამ მრეწველობა რატომ არ ააღორძინაო, სოფლის მეურნეობას რატომ არ უშველაო. თურმე ყველაფერი ბიძინას უნდა გაეკეთებინა და სხვებს მარტო უნდა ეზეიმა, ექეიფათ და ეგრიალათ. ივანიშვილის მიერ გაკეთებულზე მხოლოდ ლენტები უნდა გაეჭრათ.

ერთი ჭკვიანური კითხვა დასვა ეკა კვესიტაძემ: ბიძინა ივანიშვილი ბიზნესმენია – მმართველია, მენეჯერია სხვების ერთპიროვნული დამქირავებელია და როგორ მოხდება მისი „გადაკეთება“ საჯარო მოსამსახურედო.

პრეზიდენტი იქნება თუ პრემიერ-მინისტრი, ხომ თვითონ იქნება ხალხის მიერ დაქირავებული და იქაც ხომ არ გაყვება კატეგორიულობა და ერთპიროვნული მმართველის თვისებებიო?

ერთპიროვნული მმართველის და უზურპატორის თვისებები სხვას რომ აქვს ისეთი უნდა. ბიძინას კი კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ პროფესიონალი პოლიტიკოსი არ არის და შეიძლება ზოგი რამ შეეშალოს, ამიტომაც მისთვის ზოგჯერ შეცდომის აღიარება და უკანდახევაც არაა უცხო. მაგალითად, მან უკან დაიხია თავის პირველ წერილში „მაესტროსა“ და „კავკასიის“ მიმართ გამოთქმული შენიშვნების გამო. ამ შემთხვევაში გადავაჭარბეო, აღნიშნა.

რაც მთავარია ბიძინა ტელევიზიაზე, თავის გამოჩენაზე დახარბებული კაცი არ არის.

ერთსაც შენიშნავენ ოპონენტები ბიძინას: არ შეიძლება ერის გახლეჩვა. რა ნიშნის გამო არჩია მან ყველაზე მხდალი და უპრინციპო პარტია – რესპუბლიკელებიო.

მეც ასე ვფიქრობ; სჯობდა ეთქვა ყველა პატრიოტთან, სამშობლოს გადარჩენის მსურველ ყველა ოპოზიციურ ძალასთან ვითანამშრომლებო. ამ ბოლოს ამ „გაქცეული სიტყვის“ გამოსწორებაც სცადა.

ასე რომ ბიძინა მესია არ არის. იგი ერთი ჩვეულებრივი ქართული ფენომენის მოყვარული კაცია და ღრმად ვარ დარწმუნებული ერის „გონებას და სინდისს“ ინტელიგენციას არ დააწიოკებს სააკაშვილივით, მწერლობას, ხელოვნებას დაეხმარება ისე, როგორც შეძლებს.

9 ნოემბერს ოთარ რამიშვილის ქვრივმა გულნაზიმ დამირეკა. ტიროდა. შენაო ოთარს განსაკუთრებით უყვარდიო. მახსოვს პირველად დისიდენტობის დროს შენ უწინამძღვრე მის საღამოს ფილარმონიის თეატრშიო. პირველი წიგნის წინასიტყვაობაც შენ დაუწერეო. 14 ნოემბერს ორმოცი გვაქვს და უნდა მოხვიდეო.

როგორ არ მივალ.

12 ნოემბერს თ. ჩალაბაშვილი მართავს თავის შემოქმედებით საღამოს. თუ ფეხზე ვიქენი მოვალ-მეთქი, დავპირდი.

ნოემბერი იუბილეების თვეა: 16 ნოემბერს სამების ტაძარში ჭაბუა ამირეჯიბის 90 წლისთვის იუბილეს ვმართავთ. ბიძინა ივანიშვილი დავპატიჟე. არ ვიცი, მოვა თუ არა. სიტყვის თქმა უნდა ვთხოვო ჯანსუღს, ანზორ აბულაშვილს, როინ მეტრეველს, ლია სტურუას და სხვებს.

17-ში გალაკტიონის 120 წლისთავის იუბილეა.

ნოემბრის ბოლოს ვაჟას 150 წელი უნდა აღვნიშნოთ.

კულტურის სამინისტრომ არც ერთი კაპიკი არ გამოგვიყო.

16 ნოემბერს სამების ტაძარში ჭაბუა ამირეჯიბის 90 წლისთავის იუბილე გავმართეთ.

საღამოს 7 საათზე დავიწყეთ, სიცივის და ღამის მიუხედავად ბევრი კაცი დაესწრო იუბილეს.

მაყვალამ გახსნა.

მოხსენებით გამოსვლამ მე მომიწია.

ვთქვი, რომ მიუხედავად მუდმივი დევნა-თვალთვალისა ჭაბუამ სუფთად გამოიარა ეს ზიგზაგებიანი წუთისოფელი.

იგი დღესაც ეროვნული ლაშქრის მთავარსარდალია.

დღეს ჭაბუა – ბერი დავითი თავის სახლშია. სამების ტაძარი მისი სახლიც გახლავთ. ლოცულობს 90 წლის ბერი დავითი თავის სენაკში საქართველოსთვის.

ღმერთმა ინებოს და აუსრულოს მას ოცნება – მოასწროს ჭეშმარიტად თავისუფალ, მთლიან ერთ მუშტად შეკრულ საქართველოს.

გამოვიდნენ ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გიზო გაბისკირია, მურმან ჯგუბურია, ბადრი ქუთათელაძე, როინ მეტრეველი, გენო კალანდია, რეზო ადამია, ელგუჯა ლებანიძე, ჯემალ აჯიაშვილი, ნათია ავსაჯანიშვილი, დავით ჩხეიძე და სხვები.

ბოლოს ჭაბუას თანამეცხედრე, დიდებული თამარ ჯავახიშვილი გამოვიდა და წაიკითხა ჭაბუას სამადლობელი სიტყვა.

ინფორმაცია იუბილის შესახებ არცერთმა არხმა არ მისცა „მაესტროს“ გარდა.

როგორც იქნა, ღვთის შეწევნით გავხსენით ჩემს სახლთან მდებარე ეკლესია რომლის პროექტიც ამ ხუთი წლის წინ მე თვითონ დავხაზე და მშენებლობასაც რაც შემეძლო ვეხმარებოდი.

19 ნოემბერს ახალგაზრდა მღვდელმა იოანემ პირველი პარაკლისი გადაიხადა და დალოცა ეკლესია.

უნდა გენახათ ჩემი მეზობლები რა ერთსულოვნად გამოცხადდნენ წირვაზე, იდგნენ ისინი გაცისკროვნებული სახეებით და წამდაუწუმ პირჯვარს იწერდნენ იმის მოსანანიებლად ხომ არა, რომ მიუხედავად ჩემი მრავალგზისი თხოვნისა სერგო და გიორგი მელაძეების გარდა არცერთმა კაპიკი არ გაიღო, რათა მშენებარე ეკლესიას შეწეოდა.

წირვის დასასრულ მამა იოანემ გამოაცხადა: ღვთის სახელით მადლობა მინდა ვუთხრა რევაზ მიშველაძეს და მამა-შვილ მელაძეებს, რომლებიც ყოველდღიურად გვეხმარებოდნენ და გვამხნევებდნენო.

გახსნის დღეს მე, ჩემი მხრივ, წმინდა გიორგის ხატი შევწირე ეკლესიას ასეთი წარწერით:

სულიერო მამაო, იოანე,

სულიერო დანო და ძმანო,

სულიერო შვილებო

მე, ცოდვილი რევაზ მიშველაძე, წმინდა გიორგის ამ ხატს შემოვწირავ

ჩვენს ახალგახსნილ ეკლესიას, რათა წამებული რაინდი მეოხ გვეყოს ჩვენ და ილოცვიდეს სულისა ჩვენისათვის“.

ზვიად გამსახურდიას დროის გენერალურ პროკურორს ვაჟა აბაკელიას 60 შეუსრულდა.

ვაჟა ჩემი ახლობელია. ჩვენი მამები მარტვილში, სოფელ თარგამეულში დაიბადნენ და გაიზარდნენ ულამაზესი ტეხურის პირას. გარდა ამისა ჩვენ ნათელმირონითაც ვართ ერთმანეთთან დაკავშირებული. ვაჟა ნიჭიერი იურისტია და უანგარო, პატიოსანი მოქალაქე. სწორედ ეს უკანასკნელი გახდა მიზეზი იმისა, რომ იგი ახალმა ხელისუფლებამ არ დაისაჭიროვა. ვაჟასგან არ გაკეთდებოდა ყურმოჭრილი მოსამართლე და იგი ცნობილი წმენდის დროს (2004-05 წწ. შემცირებაში მოაყოლეს.

27 ნოემბერს ვაჟა აბაკელიამ ახლობლების და მეგობრების ოცდაათკაციანი ჯგუფი რესტორან „ლორდში“ გვიხმო.

მშვენიერი ინტელიგენცია შეიკრიბა. „ჩარეცხილები“ ძალიან სიმპატიური ადამიანები აღმოჩნდნენ. სიამოვნებით ვითამადე. სამსაათნახევარი ისე გავიდა, არ გამიგია.

მართალია ჩემს თავს მკაცრად ავუკრძალე თამადობაში პოლიტიკა არ გამერია, მაგრამ მაინც „გამექცა სიტყვა“ და გამოვთქვი „გაკვირვება“ იმის გამო, რომ ჩემს საყვარელ სამშობლოში უცნაური (რბილად რომ ვთქვა) ამბები ხდება. თბილისში დავით აღმაშენებლის ძეგლი აიღეს და ველოსიპედის ძეგლი დადგეს, ბათუმში ილია ჭავჭავაძის ძეგლი აიღეს და „შლოპანცების“ ძეგლი დადგეს, ქუთაისში დავით აღმაშენებლის ძეგლი აიღეს და შადრევანს დგამენ.

რა გვჭირს ჩემო უბედურო საქართველოვ?

ნუთუ ვერ ხედავ, რომ დაგცინიან, შენს წმინდა ადგილებს გიბილწავენ.

8 დეკემბრის გაზეთ „რეზონანს“-ში მეკითხებიან, რამდენად არისო დაცული ადამიანის უფლებები საქართველოში?

სიტყვასიტყვით ასე ვპასუხობ:

„ადამიანის უფლებების დაცვის კოეფიციენტი რომ საქართველოში დაბალია, ეს საყოველთაოდაა ცნობილი.

საკითხი ასე უნდა დაისვას:

ყველას უფლებებზეა ლაპარაკი, თუ გამორჩეულად იმათ უფლებებზე, ვის გონებაშიც ხელისუფლების საწინააღმდეგო აზრი გაკრთება.

ადამიანის უფლებათა დაცვა არასოდეს არ ყოფილა ასე დიფერენცირებული. თუ შენ ხელისუფლების ტაშის დამკვრელთა სიაში არ ხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩაწიხლისთვის ხარ განწირული. განსაკუთრებით იმ სფეროში, რაშიც მე მიხდება საქმიანობა, კატასტროფული განუკითხაობაა.

შედგენილია სია და ნიჭიერია მხოლოდ ის მხატვარი, ის მწერალი, ის მსხაიობი და ის კომპოზიტორი, რომელიც ხმამაღლა აცხადებს, რა დიდებული საქმე გავაკეთეთ, როდესაც დავით აღმაშენებლის ძეგლი ავიღეთ და მის ადგილას ველოსიპედის ძეგლი დავდგითო. რა მშვენიერია ილია ჭავჭავაძის ძეგლის ნაცვლად კვერცხებზე დადებული „შლოპანცის“ ძეგლის აღმართვაო.

დრო გავა. ეროვნული ქართული სახელმწიფო ქარს გაატანს ამ უსაგნო ექსპერიმენტებს, მაგრამ რა ეშველება ნიჭიერი, მოაზროვნე კაცის

ჩაწიხლულ სულს. სანამ ასე იქნება დაყოფილი ხელისუფლების ერი მის მომხრეებად და მის მტრებად, ქვეყანას არაფერი ეშველება. ამიტომ, ჩემი აზრით, დღეს საქართველოში ყველაზე მეტად ადამიანთა თანასწორობის უფლებაა დარღვეული.

8 დეკემბერს საღამოს 6 საათზე რეზო ჩხეიძემ თავის 85-ე წლისთავის საიუბილეო ბანკეტზე გვიხმო მეგობრები და ახლობლები.

საღამო რესტორან „ლორდში“ გაიმართა.

ორას კაცამდე შევიკრიბეთ, თამადობდა გოგი დოლიძე.

ბატონი რეზო ყველას გვიყვარს და უაღრესად მესიამოვნა დარბაზის ერთსულოვნება და ქართული კინოს პატრიარქის მიმართ ნათქვამი გულიდან წამოსული სიტყვები.

საღამოს ვესწრებოდით: თენგიზ არჩვაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თემურ ჭკუასელი, გურამ ხურცილავა, ვალერი კვარაცხელია, ზაზა დავითაია, ბადრი ვადაჭკორია, რეზო ამაშუკელი, დიმა ჯაიანი, ნუცა ჩხეიძე, ეკა ბესელია (არ ჩანდნენ ოთარ მეღვინეთუხუცესი და მისი ცოლი(?!), ჯუმბერ ლომინაძე, მაყვალა გონაშვილი, ელდარ შენგელაია, გოგა ხაინდრავა, რეზოს ოჯახის წევრები...

ხუთშაბათს, 15 დეკემბერს, ტექნიკურ უნივერსიტეტში სადაც მე, ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან სააკაშვილის მიერ გამოძევებული კულტურულოგიის მიმართულებას ვხელმძღვანელობ, ჟურნალ „პარალელის“ პირველი და მეორე ნომრების პრეზენტაცია გაიმართა.

„პარალელის“ რედაქტორობა და მწერალთა საუნივერსიტეტო გაერთიანების ხელმძღვანელობა ვიტვირთე იმიტომ, რომ ჩემი შინაგანი მოთხოვნილებაა – სადაც უნდა ვიყო შემოვიკრიბო ირგვლივ ნიჭიერი ახალგაზრდები და მათ გზა გავუწალდო.

პრეზენტაცია იგორ კვესელავამ გახსნა და შესავალ სიტყვაში უნივერსიტეტში ჩემი მოსვლის შემდეგ მიმდინარე კულტურული ძვრები დაახასიათა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, პრეზენტაცია ჩემი ქების საღამოდ იქცა.

რაც მთავარია გამოდიოდნენ სტუდენტები და ამბობდნენ, ჩვენ რევაზ მიშველაძის ხათრით მოვდივართ ლექციებზე. ვამთავრებთ უნივერსიტეტს და ასეთი მაღალი პროფესიონალი, ტკბილმოუბარი ლექტორი ჯერ ჩვენთან არ შემოსულაო.

შემრცხვა, მაგრამ ერთი მხრივ მესიამოვნა, რომ ჯერ კიდევ შემოგვრჩნენ სწავლისთვის მონდომებული, გემოვნებიანი ახალგაზრდები.

ამ დღეებში ბელა შალვაშვილმა დამირეკა, ჩემთან გამოიარე „შაჰნამე“ გამოვიდა და უნდა გაჩუქოო.

გადმომცა ბელამ უზარმაზარი წიგნი (ქართულად ამხელა წიგნი არ მინახავს) ფირდოუსის „შაჰნამეს“ თარგმანი.

40 წლის განმავლობაში თარგმნიდა ბელა შალვაშვილი ამ წიგნს, რაც ახლა გამოისცა (სპარსეთის საელჩოს დახმარებით). მხოლოდ მესამედია შაჰნამეს 2/3 აწი უნდა თარგმნოს.

დავიწყე კითხვა, ბრწყინვალე თარგმანია. ალაგ-ალაგ პასაჟები ჰგავს „ვეფხისტყაოსნისას“, მაგრამ ვფიქრობ სარაინდო რომანის საერთო სტილუ-

რი ნიშნებია მხოლოდ და მხოლოდ, რაც უფრო ღრმად ვეცნობი თარგმანს მით უფრო საცნაური და დასაფასებელი ხდება ჩემთვის მურმან თავდიშვილის მშვენიერი წიგნი „ფირდოუსი და რუსთაველი“.

22 დეკემბერს ფილარმონიის დიდ დარბაზში ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებითი საღამო ჩატარდა.

ვაჟას შემოქმედებას ასე თუ ისე ვიცნობდი, მაგრამ ასე ერთად თავმოყრილმა მისმა მრავალჟანროვანმა მუსიკამ კიდევ უფრო დამარწმუნა იმაში, რომ ვაჟა აზარაშვილის სახით საქართველოს დიდი, ძალიან დიდი კომპოზიტორი ჰყავს.

23 დეკემბერს ილიას უნივერსიტეტის (წინანდლის 9) სტუდენტებმა ვაჟა-ფშაველას 150 წლისთავის საღამოზე მიმიწვიეს.

ჯერ პოეტმა შოთა ტოგონიძემ წაიკითხა ვაჟასადმი მიძღვნილი მშვენიერი ლექსები და მერე მსხაიობმა ლეო ანთაძემ თავიდან ბოლომდე ზეპირად წარმოსთქვა ვაჟას უკვდავი პოემა „ბახტრიონი“. „წარმოთქვა“ ის სიტყვა არ არის, ითამაშა აჯობებს.

ასე ოსტატურად, მაღალპროფესიულად წაკითხული ვაჟა მე არ მომისმენია.

შოთაც და ლეოც – ორივენი ვაჟა-ფშაველას პრემიით დავაჯილდოვე და იქვე გადავეცი დიპლომები.

აზერბაიჯანის კულტურის ცენტრში რეზო ინანიშვილის აზერბაიჯანული წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. სიამოვნებით მივედი ჯერ ერთი იმიტომ, რომ მე და რეზო მეგობრები ვიყავით. იგი ბავშვივით სუფთა ხალასი ბუნების კაცი იყო. რამდენჯერმე ერთად ვიყავით სასტუმროში და მახსოვს მისი კეთილი, ბრძნული საუბრები. ქვეყნის ბედზე წუხილ-ჩივილში ხშირად თავზე დაგვთენებია. მეორეც: რეზო დიდი მწერალი იყო. იუველირივით ეპყრობოდა სიტყვას და ელოლიავებოდა თითოეულ სტრიქონს.

მირზა მამედოღლის უთარგმნია რეზოს ნოველები. კარგი საღამო გამოვიდა. მე და მაყვალამ ვილაპარაკეთ ქართველთა და აზერბაიჯანელთა ძმობის აუცილებლობაზე. ბოლოს რეზოს მეუღლემ – ქალბატონმა როზამ ბრძანა თბილი, მადლიერებით აღსავსე სიტყვა.

24 დეკემბერს იმედო ჯახუა დავკრძალეთ. ბრწყინვალე პოეტი წავიდა ჩვენგან. სამგლოვიარო მიტინგზე ვთქვი, რომ საქართველომ არ იცის, რომ დეკემბრის ამ ცივ, მოწყენილ დღეს ვასაფლავებთ მის უანგარო ჭირისუფალს და ელვარე ნიჭის პოეტს.

იმედო ჩემი ახალგაზრდა მეგობარი იყო. რაც შემეძლო პატივს ვცემდი, რაკიღა კარგად ვიცოდი მისი ფასი. შარშან წრუწუნა ლიტერატორებმა რომ შემომიტიეს, მოვიდა. მთვრალი იყო. შენო ამათ თავი არ გაუყადრო, არ გეკადრებაო. ლექსიც მომიძღვნა ასეთი სტროფით:

„დარჩი რაინდად და მგოსნად,
მართალი ხარ მისხლივ მისხლით,
შენს მტრებს შენი შურიც მოსრავს,
შენ ხელს სისხლში ნუ გაისვრი!“

გულით დავიტირე იმედო ჯახუა.

ინურება 2011.

ერთი კვირაა ჩემს ტომეულებს ვაკომპლექტებ.

რაღაცნაირ სულიერ წრიალს ვგრძნობ.

ასე მგონია, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერია.

ჩემი ქვეყნის უილაჯობამ და უპერსპექტივობამ აპათია დამმართა.

თითქოსდა სიცოცხლე მომბეზრდა.

მოვძებნე ჩემი სამოცდაათი წიგნი, დავუმატე დაუბეჭდავი თხზულებებიც... ბევრი გამოვაკელი და გადავდე.

ასე რომ დაახლოებით ორმოცი ტომიდან შევადგინე ჩემი რჩეული თხზულებების ოცდახუთტომეული.

ოცდახუთი ტომი!

რამდენი მიწვალია, რამდენი ღამე გამითევია...

არა მგონია ბევრ თანამედროვე ქართველ მწერალს დაუგროვდეს 25 ტომი.

ჩავალაგე საქაღალდეებში და დავდე კედელთან.

ამ ტომეულების გამოცემას რასაკვირველია, სიცოცხლეში ვერ შევძლებ.

ჩემმა მეგობრებმა ჭაბუა ამირეჯიბმა (ხუთტომეული) და ოტია იოსელიანმა (თორმეტტომეული) მოახერხეს სიცოცხლეში თავიანთი შემოქმედების მრავალტომეულებში „დაბინავება“. ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

მათ, ორივეს ბიძინა ივანიშვილი ჰყავდათ.

მე არავინ არა მყავს.

არა მგონია, ბიძინას ჩემი რაიმე ჰქონდეს წაკითხული. ან სხვა რომელიმე დიდფულიან ბიზნესმენს. მე კი ოლიგარქებთან მისასვლელი გზები არ გამიწალდავს და ამას არც არასოდეს ვიკადრებ.

ერთადერთხელ „მწერლის გაზეთის“ გამოცემის დასპონსორება ვთხოვეთ მე და სოსო სიგუამ ერთ ბიზნესმენს და იმაზეც დაბადების დღე ვიწყევლე. ჯერ იყო და ქედმაღლურად, ქშენით გველაპარაკა და, რაც მთავარია, ჩვენი თხოვნა სრულიად უპასუხოდ დატოვა. პასუხს დაგირეკავთო და არ დაგვირეკა.

მოვიდა 31 დეკემბერიც, ტელევიზია „ობიექტივიდან“ ვართო ორი ტელეჟურნალისტი მეწვია. როგორ შეაფასებთ 2011 წელს და რას უსურვებთ საქართველოსო.

ვუპასუხე: ოთხი მთავარი პრობლემა საქართველოსი ვერ მოგვარდა, ასე რომ გასულ წელს უიღბლო წლად ვთვლი, თუმცა ჩვენი ხელისუფლება სახეგაბრწყინებული საუბრობს „არნახულ“ (მართლაც „არნახული“) მიღწევებზე-მეთქი. ერთი პრობლემა მაინც რომ მოგვარებულიყო 2011 წელს უბედურ წლად არ ჩავთვლიდი-მეთქი.

რა პრობლემებს გულისხმობთო ჟურნალისტმა.

ჩამოვუთვალე: 1. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა 2. გაყინული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა 3. უმუშევრობა 4. ჩაწიხლული ერვონული ფენომენი (ყოველივე ქართველის ენერგიული დევნა).

ტელეჟურნალისტები წავიდნენ, მაგრამ დიდხანს ვფიქრობდი, ნეტავ არ გადასცემდნენ, ღირს კი ჩემი ერისთვის ამ უიმედო ინტერვიუთი გულისგატეხვა?

მაგრამ მე ხომ სხვანაირად არ შემიძლია. სხვა შემთხვევაში ხომ მე მე არ ვიქნებოდი.

ამიტომაცაა, რომ არც ამ საახალწლოდ ვახსოვარ ვინმეს.

გაბრაზებულ, მოუსყიდველ, ძნელად აღსაზრდელ კაცად მიცნობს პოზიციაც და ოპოზიციაც, პირველი იმიტომ, რომ დაუნდობლად ვამხელ, მეორე იმიტომ, რომ უმოქმედობაში, დროის გაყვანის პოლიტიკაში ვდებ ბრალს.

„გაიპე გულო, რაკი ენა უნდა დადუმდეს“ (შექსპირი).

* * *

ამით ვამთავრებ ჩემი სიცოცხლის ერთი დრამატული პერიოდის აღწერას.

ჩემთვის რომ ფრიად საგულისხმო იყო მკითხველი (თუ ბოლომდე გამომყვა) ადვილად მიხვდება, მე ვინ ოხერი ვარ ჩემი ტკივილ-ფათერაკებით, რაც მთავარია ჩემმა სამშობლომ სწორედ ამ ოცწლეულში ისტორიაში დიდი როლი გააკეთა და დამოუკიდებლობა მოიპოვა.

საქართველო ახლაც, ამ სტრიქონებს რომ ვწერ, ცეცხლზე შედგმული ქვაბივით თუხთუხებს და ქშინავს.

იგი ეროვნული პარლამენტის და დინჯი გასწონასწორებული, ჭკუადამჯდარი, გამჭრიახი წინამძღოლის ძიებაშია; ისეთი წინამძღოლისა, თავის ენას აბუჩად რომ არ აიგდებს და გლობალიზაციის ოკეანეში უმწეოდ შეცურებულ სამშობლოს მცირე ერების მომსპობ „ძია სემს“ არ შეატენის.

რას ვიზამთ, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი; ნიადაგ ძიება და აღუვსებელი სასწაულის ხვედრი... ვინ იცის, იქნებ ამ დაუცხრომლობაშია ჩვენი გადარჩენის საიდუმლო.

რაც შემეხება მე, როგორც ჩანს, ღმერთმა სამოცდაათის მერეც გამოიმეტა ჩემთვის ორიოდე პარასკევი და ამ დროსაც ჩემებურ ქიჩმაჩში გავხარჯავ ერთადერთი განზრახვით; იქნებ ჩემი ნაფიქრ-ნარჩევი ქვეყანას რამეში წაადგეს-მეთქი.

ერთს კი დაგპირდებით: სანამ ფეხზე ვდგავარ, მარტოობის კოშკში არ გავნაპირდები და საქვეყნო ყაყანს ზურგს არ შევაქცევ.

ჩემგან კრიალოსნის ბერიკაცი არ გაკეთდება.

მირჩევნია, ფეხზე მდგარი ლექციის კითხვის დროს მოვკვდე, ან ჩემს მაგიდას მიმჯდარს, კალამმმარჯვებულს მეწვიოს სიკვდილი, ვიდრე წინამდებარე ჯირკვლის თუ სწორი ნაწლავის კიბოთი, გაწამებული თეთრ საწოლში მივიცვალო.

თუმცა, სხვა რა ნატვრა შეუსრულებია ჩემთვის არსთგამრიგეს, ეს რომ შემისრულოს... ორმოცდაათი წლის კაცს ერთადერთი შვილი წამართვა და მთელი დარჩენილი სიცოცხლე ნელ ცეცხლზე საწვავად გამწირა.

გარდა ჩემი სალოცავი ქვეყნის გადარჩენა-ხსნისა, რისთვისაც ყოველ წამს მზად ვარ თავი გავწირო, ერთი სათავისო სურვილიც მაქვს:

მინდა დარჩენილ სიცოცხლეში ჩემი რჩეული თხზულებების ოცდახუთტომეული გამოვცე და მოკრძალებით დავდო ლიტერატურის თაროზე იმ იმედით, რომ მომავალი თაობები გადაშლიან და თვალს ჩააყოლებენ.

„დარჩენილ სიცოცხლეში-მეთქი“ იმიტომ ვამბობ, რომ უაღრესად საშიში, მგლურ-ბაზრული, ავტორიტეტთა წამლეკავი დრო მოდის და ჩემი სიკვდილის ჩემს ხელნაწერებს შემდეგ მათ არავინ მიხედავს.

თუმცა... კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

სხვა მხრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

1. I. 2012 – 1. II 2012

გათენდა ახალი წლის უთოვლო დილა თბილისში.

მადლობა ღმერთს 2012-საც რომ მომასწრო.

72 წლისა შევსრულდი 1 იანვარს.

ახალ წელს შიო, ნათელა და მე შევხვდით. ტელეფონი განუწყვეტლივ რეკავდა. ნაცნობ-მეგობრების და ნათესავების გარდა, არაერთმა უცნობმაც მომილოცა.

ახალი წელი „ბედნიერმა საქართველომ“, თუ ტელევიზიას დავუჯერებთ, სააკაშვილის სტილში იზეიმა.

ოთხი სამთავრობო არხი ერთდროულად 4 საახალწლო კონცერტს გადმოსცემდა – თბილისიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან და ანაკლიიდან.

ჩვეულებისამებრ, ამ „ყრუ არამუსიკალური, ჩამორჩენილი მომღერალთა დეფიციტით გულდამდუღრული საქართველოს“ გასაბედნიერებლად პენსიონერი ევროპელი მომღერალი ეგლესიასი ჩამოიყვანეს. ამ „ძვირფასმა“ სტუმარმა ხუთიოდე გაცვეთილი ჩამოწერილი სიმღერა „გვაჩუქა“, გაივსო ჯიბე 2 მილიონი დოლარით და დაგვემშვიდობა.

ასე უყვარს სააკაშვილს მშობლიური ხალხი და მშობლიური ხელოვნება.

ჩემს ღარიბულ სუფრაზე 1 იანვარს დაბადების დღე და ახალი წელი მომილოცეს, ჩემმა ძმებმა გოგიამ და ბორისმა, ძმისშვილებმა – ეკამ, შავლეგომ და ასიკომ (ოჯახებით). უახლოესმა მეგობრებმა იგორ კვესელავამ (თამადა), მურმან თავდიშვილმა, ცოლისძმამ – ვაჟა გოგორიშვილმა...

საახლწლო მილოცვა და საჩუქარი (ტკბილეული, შამპანური) გამომიგზავნეს „ავერსის“ ვიცე-პრეზიდენტმა ნიკო კურტანიძემ (საინტერესო პოეტია) და თბილისის მერმა გიგი უგულავამ.

ლამის ოთხი საათი დავყავით სუფრასთან.

მიუხედავად უჟამო ჟამისა ვცდილობდით ერთმანეთი გაგვემხნევებინა, ვიხუმრეთ და ვიმღერეთ კიდეც.

შიომ მშვენიერი მწვადები შეგვიწვა, ღვინო გურჯაანიდან ჩემმა ნათლიმამამ ნუგზარ თვალმიხელაშვილმა გამომიგზავნა.

დაიწყო 2012 წელი და ერთმანეთს წაეწყო ორი სამწუხარო ამბავი:

4 იანვარს დავკრძალეთ პოეტი ოთარ შალამბერიძე, ხოლო 8 იანვარს პროზაიკოსი მერაბ ელიოზიშვილი.

შობას, 7 იანვარს, ქალაქის მერიამ რესტორან „სოლოლაკის კარში“ ორმოციოდე მწერალს ბანკეტი გაგვიმართა.

გულახდილი, არაპომპეზური შეხვედრა შედგა. სიამოვნებით ვითამადე, რადგანაც ხელისუფლებიდან სამი ჩემთვის სასურველი, პატიოსანი კაცი იჯდა სუფრასთან – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ახვლედიანი, მერიის სოციალური და კულტურული სამმართველოს უფროსი

მამუკა ქაცარავა და მერიის კულტურის განყოფილების გამგე, შოთა მაღ-ლაკელიძე.

სამივენი სწორედ რომ ისეთი პიროვნებები გახლავან, ვისთვისაც არაერთგზის მიგვიმართავს მაყვალას და მე მწერლთა საჭირბოროტო საკითხებზე და ყოველთვის გვიგრძვნია მათგან ადამიანური ყურადღება, რასაც ვერ ვიტყვი სხვა ჩინოვნიკებზე.

12 იანვარს დავამთავრე ნოველა „ახლა კი დროა“. მკითხველი როცა წაიკითხავს მიხვდება, რომ ეს ნოველა ჩემს მეგობარს, საქართველოსთვის თავშეწირულ გურამ შარაძეს და მის მოწამებრივ სიკვდილს ეხება.

ისტორია ოდესმე მაინც იტყვის სიმართლეს სააკაშვილის მმართველო-ბის ტრაგიკული წლების შესახებ. კაცი, რომელმაც უარი თქვა 40 წლის ზე-ვით აბსოლუტურად ყველა მოქალაქეზე თავის მშობლების გარდა, რომელ-მაც გაანადგურა, სამეცნიერო აკადემია და უნივერსიტეტი, რომელმაც დაამხო ქართული თეატრი და კინო (იგი 8 წლის განმავლობაში თეატრში არ შესულა), რომელიც სასტიკად გაუსწორდა ყველა სხვაგვარად მოაზროვნეს, მოაშთო ოპოზიცია (მოქალაქეობა წაართვა ბიძინა ივანიშვილს პარლამენ-ტში კენჭისყრის სურვილის გამო) აბუჩად აიგდო ქართული ენა (არც ერთ საერთაშორისო ტრიბუნაზე არ ლაპარაკობს ქართულად) რასაკვირველია საქართველოს ისტორიაში შავბნელ პიროვნებად შევა.

13 იანვარს სომეხმა პოეტმა და მთარგმნელმა ანაიდა ბოსტანჯიანმა გადმომცა სომხურად გამოცემული ჩემი ნოველების წიგნი „ცრემლიც რომ გათავდა“. კარგადაა გამოცემული. სომხურ ენაზე ეს ჩემი მესამე წიგნია; დიდი მადლობა ქ-ნ ანაიდას, რომ ამ მძიმე დროში, თავისი ქესატური ჯიბის გადამკიდემ შეძლო ეთარგმნა და გამოეცა ჩემი ნოველები, რითაც მან კიდევ ერთი დროული ხიდი გასდო სომხურ და ქართულ კულტურას შორის.

19 იანვარს ჩემი მეგობრის – პროფესორ იგორ კვესელავას დედის და-კრძალვაზე გავემგზავრეთ მე, მურმან თავდიშვილი, გივი გამსახურდია, ნო-მადი ბართაია და რეზო რუხაძე.

ხვავრიელად თოვდა მარტვილში.

კუბო ეზოში რომ გამოვიტანეთ, სუნთქვა შემეკრა.

93 წლის ქალბატონ შოზეფინას უკანასკნელად ათოვდა სახეზე.

წარმოვიდგინე, რომ ყველა ჩვენგანის დედა წავიდა იმქვეყნად.

ცივ საფლავში ჩავუშვით კუბო და დამნაშავეებივით გამოვბრუნდით, დანა პირს არ გვიხსნიდა.

დავაბინავეთ ადამიანი იქ, სადაც ყველანი წავალთ და სადაც ცოცხ-ლებს აკრძალული გვაქვს შესვლა.

იქეთ და აქეთ თოვლ-ყინულიან გზაზე მე მომიწია რეზო რუხაძის „ჯი-პის“ მართვამ. მიუხედავად იმისა, რომ ქელეხზე ვითამადე, საჭე ვერავის ვანდე და მშვიდობით ჩამოვედით თბილისში.

20 იანვარს სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ლევონ ანა-ნიანმა დამირეკა: თბილისში მოვდივარ ოვანეს თუმანიანის სახლ-მუზეუმის პრობლემასთან დაკავშირებით და სომხეთის მხარის სურვილია, მოლაპარა-კებას როგორც ჩვენთვის დიდი ავტორიტეტი და ობიექტური კაცი შენ ეს-წრებოდეო.

ჩამოვიდნენ. მივედით დავითაშვილის 18-ში – ოვანესის ყოფილ სახლში. იქ დაგვხვდა ბინის ახლანდელი პატრონი არჩილ ლეჟავა, რომელმაც როგორც გაირკვა 2002 წელს შეიძინა აღნიშნული ბინა.

სხვათა შორის არჩილი ზრდილი და გულისხმიერი კაცი აღმოჩნდა. ავუხსენი რომ ოვანეს თუმანიანი არა მარტო დიდი სომეხი მწერალი, არამედ ქართველების მოყვარული და თბილისისათვის ფრიად გარჯილი მოღვაწე ბრძანდებოდა. მისი მემორიალური მუზეუმის გახსნა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა და ვფიქრობ ხელი უნდა შევუწყოთ-მეთქი. დიდი ხვეწნა (როგორც ერთ დროს გალაკტიონის ბინის მეპატრონესთან დამჭირდა) ამჯერად არ დაგვჭირვებია.

კი, ბატონო, შემიძინოს სომხეთმა ამავე რაიონში შესაბამისი ფართობის ბინა და თანახმა ვარო. ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს. სომხეთის დელეგაციაც კმაყოფილი დარჩა ამ გარიგებით და მე ფრიად მესიამოვნა რომ ჩემმა შუამდგომლობამ შედეგი გამოიღო.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ინტერვიუ მივეცი სომხეთის ტელევიზიას, „ამით უნდა დამთავრდეს-მეთქი ზოგი ენაჭარტალა ჟურნალისტის ცილისწამება. თითქოს ქართველები წინააღმდეგნი ვართ თბილისში ოვანეს თუმანიანის სახლ-მუზეუმის არსებობის-მეთქი.

ჩვენი ორი ხალხის ძმობას და კულტურულ ურთიერთობას უფრო მტკიცე ბალავარი აქვს, ვიდრე ზოგიერთ თავგახურებულ ისტორიკოსს ან ჟურნალისტს ჰგონია-მეთქი.

21 იანვარს სომხური კულტურის ცენტრში ჩემი ახალგამოცემული სომხური წიგნის („ცრემლი რომ გათავდა“, მთარგმნელ-გამომცემელი ანაიდა ბოსტანჯიანი) პრეზენტაცია გაიმართა.

ხალხით გადაჭედილ დარბაზში დიდებული სიტყვები მითხრეს – თბილისის სომხური ეკლესიის მთავარეპისკოპოსმა ვაზგენმა, სომხეთის ელჩმა ოვანესმა, პრეზიდენტის მრჩეველმა ვან ბაიბურთმა, სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ლევონ ანანიანმა, სომხურ-ქართული საზოგადოების თავმჯდომარემ, მაყვალა გონაშვილმა, ბადრი ქუთათელაძემ და თვითონ, წიგნის მთარგმნელმა ქ-ნმა ანაიდა ბოსტანჯიანმა.

ბოლოს დიდი მადლობა მოვახსენე ყველას და ვილაპარაკე სომხურ-ქართულ კულტურულ ურთიერთობებზე.

ძვირფასმა ლევონმა გამაოცა იმით, რომ სომხეთის კონიაკის ქარხანაში ჩემს სახელზე ჩამოსხმული კონიაკი მომართვა. ეტიკეტზე ჩემი სახელი და გვარი და ჩემი ფოტოა.

24 იანვარს „ლიტერატურულ პალიტრას“ ვეწვიე. ექვსი ნოველა დავწერე ერთი თვის განმავლობაში და, როგორც არასდროს, მომინდა ისინი სწრაფად დამებეჭდა. მივიხედ-მოვიხედე და „აღმოვაჩინე“ რომ „ლიტ. პალიტრა“ ერთადერთი ჟურნალია, რომელიც რეგულარულად გამოდის და მართალია, მხოლოდ ახალი ქართული ლიტერატურის წარმომადგენლებს (ლაშა ბუღაძე, აკა მორჩილაძე, დავით ქართველიშვილი, ბასა ჯანიკაშვილი, რატი ამაღლობელი...) ბეჭდავს, მაგრამ ზოგჯერ ჩვენც, გასული საუკუნის (ყავლგასულ, ბებერ) მწერლებსაც გადმოგვხედავს მოწყალე თვალით. იმის შემდეგ, რაც სააკაშვილმა შერისხა ქართუ-

ლი ლიტერატურული პრესა და ზიზღი გამოუცხადა ნამდვილ მწერლებს ერთი მეორის მიყოლებით, დაიხურა თითქმის ყველა ლიტერატურული ორგანო. მხოლოდ „ლიტ. პალიტრა“ ფეთქავს და როგორც არ უნდა მომწონდეს მისი დონე (სკარბეზულობა, განუკითხავად ყველაფრის ბეჭდვა) იძულებული ვარ მასთან ვითანამშრომლო, რომ მკითხველს ჩემი სახელი და გვარი სულ არ დაავიწყდეს. რედაქტორი არ დამხვდა, ნოველები რედაქტორის მოადგილეს ჩემს ძველ, უნივერსიტეტელ მეგობარს, გემოვნებიან ქალბატონს გავუწოდე. დიდად გაეხარდა ჩემი სტუმრობა. დაგვიტოვე, განვიხილავთო, მითხრა.

ვერ გავიგე რა ხდება; ახლა თითქმის ყველა გაზეთი დამატების სახით ბეჭდავს ქართველ მწერალთა წიგნებს რუბრიკებით: „თანამედროვე კლასიკა“, ქართული პროზის საგანძური“, „ახალი ქართული მწერლობა“... ჯერ არც ერთ გამომცემელ-რედაქტორს („დამატებებს“ ვგულისხმობ) არ მოუმართავს ჩემთვის. ვაი ამათ პატრონს უბედურს და ვაი ჩემს თავს, რომ თურმე ჩიტირეკია, უნიჭო ჟურნალიტს უნდა დაველოდო, როდის ინებებს და შემამჩნევს მისი მაღალგემოვნებითკეთილშობილება,

ჩემი გაზეთი „მწერლის გაზეთი“ უკვე სულს ღაფავს. მერიამ შარშან დაგვიფინანსა და წელს უარი გვითხრა.

ჩემს ხელფასს პირიწმინდად ვდებ გაზეთის გამოსაცემად, მაგრამ არ ჰყოფნის, არ ვიცი, რა ვიღონო.

ცალკე გაზეთის, ცალკე ჩემი 25-ტომიანი რჩეულის სპონსორის მოძიება... არა, არა გაზულუქებული ყაჩაღ-მილიონერების კარებთან მათხოვრად ვერ დავდგები.

30 დეკემბერს მიხეილ სააკაშვილი ოვალურ კაბინეტში მიიღო ამერიკის პრეზიდენტმა ობამამ. პრეზიდენტებმა დახურულ კარს მიღმა მხოლოდ 16 წუთი ისაუბრეს, დაუხურავ კარებში კი ორმოცი წუთი. შეხვედრის ბოლოს გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა საქართველოს ხელმძღვანელს იმისთვის, რომ მას 1700 ქართველი ჯარისკაცი ჰყავს გაგზავნილი ავღანეთის სასაკლაოზე. თანაც იქვე დასძინა, მალე საქართველოში დემოკრატიული არჩევნები გაიმართება და სააკაშვილი ხელისუფლებას ფორმალურად გადააბარებსო.

მიხეილ სააკაშვილი როცა ობამას კაბინეტიდან გამოვიდა, სახეგაბადრული ამბობდა, უაღრესად კმაყოფილი ვარ ამ შეხვედრითო. მე ვერ გავიგე ამ აღტაცების მიზეზი. ობამამ ვერც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედი მოგვცა და ვერც ნატოში შესვლის გარანტია. მუხრანის თქმისა არ იყოს „მაშ რა გიხარია შე კაი კაცო“.

თბილისში პოზიციასა და ოპოზიციას შორის დიდი დავა გამოიწვია ობამას ფრაზამ „ხელისუფლების ფორმალური გადაბარების“ შესახებ. ეს იმას ნიშნავს რომ ობამამ ისე მოიწონა ჩვენი საქმიანობა, რომ ხელისუფლების მოჩვენებითი, ანუ ფიქტიური (არა რეალური) გადაბარების უფლება დაგვრთოო, თქვა გოკა გაბაშვილმა და ოპოზიციას ცივი წყალი გადაასხა. ხელისუფლების ამ უტიფრობის გამო ქოში უკუღმა ჰყარა ირაკლი ალასანიამ, „ამერიკულად ფორმალური გადაბარება“ „ფაქტიურ გადაბარებას ნიშნავსო“ გაჰყვიროდა ირაკლი.

ვაი შენ ჩაძინებულო, დადედლებულო საქართველოვ, ამერიკამ რომ უნდა გადამიწყვიტოს კიდევ რვა წლით დაგვიტოვოს თუ არა ილია ჭავჭავაძის ძეგლის ამღები და შლოპანც-კვერცხების ძეგლის დამდგმელი პრეზიდენტი.

კალიფორნიაში და მსოფლიო ბანკში გამოსვლების დროს სააკაშვილმა ერთხელ კიდევ „დაიტრაბახა“ – პრეზიდენტად რომ ამირჩიეს, გადავწყვიტე ქვეყანა გამეთავისუფლებია 40 წლის ზევით ყველა სამსახურში დაკავებული მოქალაქისგანო.

ერთი კაციც არ აღმოჩნდა ამერიკაში რომ ეთქვა – ეს რა სიგიჟე ჩაგიდენია, კი მაგრამ არ იფიქრე იმაზე, რომ შენ მიერ შერისხული ადამიანების უკან ოჯახის წევრები იდგნენო. ასე როგორ შელახე დამსახურებული ადამიანების ღირსება და თავმოყვარეობაო, პირიქით, თავს უქნევდნენ ეს რა კარგად მოგიფიქრებიაო.

2. II. 2012–25. III. 2012

თებერვალი თითქმის მთელი მსოფლიოსთვის თოვლიან-სუსხიანი აღმოჩნდა.

დიდი ყინვების და ქარბუქის გამო ადამიანები იყინებიან ამერიკაში, ევროპაში...

გაიყინა ევროპის წყალუხვი მდინარეები, შავი ზღვა, მტკვარი...

თბილისში გამუდმებით თოვს და ათ გრადუსამდე ყინვაა.

მეშინია, ყინვამ ვაზი და ხეები არ გამიყინოს.

ეზოში გავიტანე დიდი ვარცლი და ყოველ დილით ჩემს ჩიტებს (კაჭკაჭები, ჩხიკვები, მტრედები, ბელურები) საკენკს ვუყრი, რომ შიმშილით არ დამეხოცონ.

მოვშორდები თუ არა გობს, მაშინვე მოფრინდებიან და ზედახორა იმართება. მე კი არა, კატასაც აღარ ეპუებიან, კატა იქვე ზის და კბილების კაწკაწით შეჰყურებს ჩიტთა სერობას, თავდასხმას ჯერჯერობით ვერ ბედავს.

11 თებერვალს მოსწავლეთა სასახლეში რეზო ადამიას წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი დაწერილია პარიზში – ლუვრსა და ვერსალში გამოფენილი მსოფლიო ხელოვნების შედევრთა დათვალიერებით მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

საინტერესო წიგნია, თვითონ რეზო ადამია ნიჭიერი მხატვარი და ჭეშმარიტი მამულიშვილია, სიამოვნებით მივედი პრეზენტაციაზე და სიტყვა ვთქვი.

ჯანსუღ ჩარკვიანის ნახვა გამეხარდა, ოთხმოცი წლის ჯანსუღი მშვენიერ გაზეთს რედაქტორობს („ქართული სიტყვა“) და ძველებურად დაუზარელია. სიტყვას არავის ამადლის, ხელჯოხით მოვიდა, საერთოდ არამიშავს მაგრამ ფეხი მღალატობსო, მუხლებში სისუტეს ვგრძნობო. წნევას როგორ შველი-მეთქი, ვკითხე, მე მაღალი წნევა მაქვს და ვერაფერს ვუხერხებ-მეთქი.

რამდენი გაქვსო, მკითხა.

170-95-ზე მეთქი.

ცოტა მაღალია, მაგრამ არ შეგეშინდესო. სამი წელია „ნოლიპრელს“ ვსვამო, ყოველ დილით, უზმოზე, შენც გირჩევო.

ჩემი საქმე ცოტა სხვაგვარადაა-მეთქი, ჩემო ჯანსულ, მე წნევის გარდა კიდევ ერთი უბედური ავადმყოფობა მაქვს – „პადაგრა“. წნევის წამალი პადაგრის გამიზეზებას იწვევს, პადაგრის წამალი („ალეპურინოლი“, „კოლხიცინი“) კი წნევის მომატებას-მეთქი. მე შენ ადგილას რაკი ასეა, ორივე წამალს გადავაგდებდიო, ჯანსულმა. ბაბუაჩემს მთელი სიცოცხლის განმავლობაში არც ერთი წამალი არ დაულევია, მაგრამ 88 წელი იცხოვრაო.

სხვათა შორის ჭკუაში დამიჯდა ჯანსულის რჩევა.

28 თებერვალს საღმოს 8 საათზე პრეზიდენტი სააკაშვილი პარლამენტში მიბრძანდა და ერთსაათიანი საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა.

სეირი მოხსენების მერე დაიწყო.

გიორგი თარგამაძემ, გიორგი ახვლედიანმა, გიორგი ცაგარეიშვილმა და ჯონდი ბაღათურიამ... სააკაშვილს ბრალი დასდეს არა მარტო ხელისუფლების უზურპაციაში, არამედ კორუმპირებულობაში.

შენაო, უთხრეს, რვა წლის წინ ერთი ღარიბი იურისტი იყავი ახლა მილიარდერი ხარო.

ჩამოუთვალეს, რა ქონებას ფლობს თვითონ და მისი ოჯახი. თვალწინ აუფრიალეს მისი მინისტრების სასახლეების სურათები.

სააკაშვილი ჯერ შეცბა, წამოხტა და დარბაზიდან გაიქცა, მაგრამ როგორც ჩანს, „კულისებში“ დატუქსეს და ისევ შემობრუნდა. შემობრუნდა ზიზღით და ცინიზმით სავსე. კუთხეში მიმწყვდეული მგელივით იკბინებოდა. ჯერ შეურაცხყოფების კორიანტელი დააყარა ოპოზიციას, მერე ცაგარეიშვილის მიერ მიწოდებული სურათები გადაყარა და ბოლოს ნერვული ცახცახით დაემუქრა ცაგარეიშვილს და ბაღათურიას: ახლა მანდატურებს ვუბრძანებ, გაგიყვანენ, ტალახში გაგორავებენ და მაგრად დაგზილავენო.

საშინელება ხდებოდა დარბაზში. უამრავლესობის წევრები, შემოდგომის ბუზებივით იკბინებოდნენ, ხოლო სააკაშვილმა გიორგი ახვლედიანის კითხვაზე გვითხარით ვადის გასვლის შემდეგ აპირებთ თუ არა პრემიერ-მინისტრად დარჩენასო, უტიფრული ღიმილით განაცხადა: სანამ ლაზიკას არ ავაშენებ, არსად წასვლას არ ვაპირებო.

ქართული ოცნების ლანძღვითაც იჯერეს გული ნაციონალებმა.

მოკლედ უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციაა საქართველოში.

ღრმად ვარ დარწმუნებული რომ მმართველი პარტია ყველაფერს გააკეთებს რომ როგორმე ქვეყნის მართვის სადავეები ხელიდან არ გაუშვას.

ცხელი შემოდგომა გვექნება.

4 მარტს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ჯორჯიაშვილში მწერალი შალვა ამინაშვილი დავკრძალეთ.

დაკრძალვას მე, სოსო სიგუა და მურმან თავდიშვილი ვესწრებოდით.

ცხოვრობდა ბატონი შალვა თავის მშობლიურ სოფელში, დღისით გუთანს ედგა, ბარავდა, თოხნიდა. კარტოფილი და კომბოსტო მოჰყავდა, ხეხილს და ვაზს სხლავდა. რომ ჩაივლიდა მეზობლების სახლების წინ ბარით და თოხით მხარზე, თითქმის არავინ იცოდა, რომ ეს ტყაპუჭიანი გლეხი ჩინებული მწერალი იყო.

ღამით ლამპის შუქზე წერდა. წერდა ძალიან კარგად „ალგეთისპირულ ნოველებს“, რომანებს, ესეებს, კრიტიკულ წერილებს, მაღალპროფესიონალი მწერალი გახლდათ.

82 წლისა მაისში უნდა შესრულებულიყო. ძალიან მიყვარდა შალვა ამინაშვილი.

სამგლოვიარო მიტინგზე გაიხსენეს, როგორ ვუყიდე ხბო (უშობელი) და როგორ ჩავუყვანე სოფელში. ახალაც მახსოვს მისი გაოცებული სახე, ამხელა სიკეთე ჩემთვის არავის გაუკეთებიაო.

მივაბარეთ მიწას ერთგული თანამეცხედრის ქ-ნი ეთერის გვერდით თავის სამშობლოზე გულატკივებული, მისთვის დამაშვრალი კაცი.

5 მარტს დილით ტელევიზიამ გამოაცხადა რომ პუტინმა არჩევნებში 63%-ით გაიმარჯვა და იგი რუსეთის პრეზიდენტად დაბრუნდა. პირველსავე ინტერვიუში საქართველოზე ჰკითხეს, თუ დაუბრუნებ საქართველოს წართმეულ ტერიტორიებსო. არავითარ შემთხვევაშიო, ამაყად განაცხადა. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოებია და მე რა უფლება მაქვს მათ დამოუკიდებლობა წავართვაო.

26.III. 2012 – 15. IV. 2012

საოცარი ამბები ხდება.

ნაცმოძრაობა გამამაც-გათავხედდა.

პარლამენტმა ერთმანეთის მიყოლებით მიიღო კანონები, რომელთა ძალითაც კერძო პირს მეორე კერძო პირის ფინანსური დახმარება ეკრძალება.

ეს დედამიწაზე გაუგონარი ამბავია.

არც ერთ დიქტატორს მსგავსი რამ თავში არ მოსვლია.

დიდი მიხვედრა არ უნდა იმ ფაქტს, რომ ეს კანონები ბიძინა ივანიშვილის და მის მიერ გადარჩენილი შიმშილისგან სიკვდილის ზღვარზე მყოფი ადამიანების წინააღმდეგაა მიმართული. „შენ ივანიშვილო არ დაეხმარო 90 წლის ჭაბუა ამირეჯიბს და 85 წლის გიგა ლორთქიფანიძეს თორემ სამი წლით ციხეში ჩაგსვამო“, აშინებს ხელისუფლება ბიძინას.

რა ცინიზმია: მთავარია ბიძინამ ამ ქველმოქმედებით ამომრჩევლები არ მიიმხროს, თორემ ნაცმოძრაობას ფეხებზე ჰკიდია რომ ჭაბუა „დათა თუთაშხიას“ ავტორია, ხოლო გიგა ლორთქიფანიძე სწორუპოვარი რეჟისორი.

ახლახან კონტროლის პალატას დაავალეს შეისწავლე ვინ ვის ეხმარება, და სასამართლოს გადაეციო; როგორც გაზეთები სწერენ კონტროლის პალატა „დავალებას“ ერთგულად ასრულებს, არადა როგორ მენანება ლევან ბეჟაშვილი ასეთი „შავი სამუშაოსთვის“, იგი ჩემი აჩიკოს თანაკურსელია.

ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმა განაცხადა საქართველოს საარჩევნო უფლებები ირღვევაო, როგორ შეიძლება კონტროლის პალატას ისეთი რამ დაევალოს, რაც მის უფლებებს აღემატებაო.

ამაზე, ჩანს, გაცხარდა ჩვენი დინჯი პრეზიდენტი და... საელჩოებმა თავის ჩაოხრებულ საქმეებს მიხედონო. ის როგორია, უბრალო მოქალაქეებს რომ რიგში აყენებენ ვიზებისთვისო. პრეზიდენტს პარლამენტარი კაკო ბობოხიძეც აჰყვა. „ვინ მისცა უფლება ამერიკის ელჩს საქართველოს ხელისუფლებას დირექტივებს აძლევდესო“.

ეს ყველაფერი უბრალო ენაზე „ნიშნავს“ გვაცალეთ უცხოელო დიპ-ლომატებო, ჩვენ კარგად ვიცით როგორ ვუტიროთ დედა საქართველოსო.

ეს პირველი შემთხვევაა სააკაშვილის პოლიტიკოსობის ოცი წლის მანძილზე რომ მან ამერიკის ელჩის (და შესაბამისად ამერიკის) წინაღმ-დეგ ხმა ამოიღო. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ „ძია სემმა“ გადაწყვიტა საქართველოს პრეზიდენტის რვაწლიან გრიალს ბოლო მოუღოს.

ამერიკაში საქართველოს ახალი ელჩობის კანდიდატმა სენატორების წინაშე განაცხადა – მივდივარ საქართველოში და პირობას გაძლევთ იქ მმართველი წრეების მიერ ჩადენილ უკანონობებს არ შევეგუებიო. ნუთუ ჩვენ საქართველოს იმისთვის ვეხმარებით რომ იქ ოპოზიციონერს მოქა-ლაქეობა წაართვან და ქვეყანაში ქველმოქმედება აკრძალონო.

ეს უკვე მეხის გავარდნას ჰგავდა. ნაცთა ბანაკი აშკარა პანიკამ მოიცვა – ხალხს აბუჩად იგდებენ, უკანონობას უკანონობაზე სჩადიან.

21 მარტს ირაკლი ალასანიამ განაცხადა: ნაცმოძრაობა სამეგრელო-ში შეიარაღებულ დაჯგუფებებს („ბანდფორმირებებს“) ჰქმნის, რათა ავ-ტომატიანი „მოხალისეები“ ამომრჩეველთა და მომიტინგეთა წინააღმდეგ გამოიყენონო.

ამ განცხადებამაც აღშფოთების ახალი ტალღა გამოიწვია ნაცთა მხრიდან.

თავდაცვის მინისტრმა განაცხადა: ჩვენ კი არ ვქმნით შეიარაღებულ დაჯგუფებებს, ადამიანები თავიანთი სურვილით ეწერებიან, რათა სახ-ელმწიფოში უსაფრთხოება დაიცვანო.

ეს იმას ნიშნავს, რომ ალასანია მართალი ყოფილა.

ვშიშობ, ნაცმოძრაობა ისევ დრჩება ხელისუფლებაში. არჩევნებს ის-ეთი პირი უჩანს, უსათუოდ გაყალბდება. ივანიშვილის რაზმი მხოლოდ „თეორიული დებატებითაა გართული და პრაქტიკულად ვერაფერს აკეთებს. ჩემო ბიძინა, საქმეს სააკაშვილის მხილება ვერ უშველის. ნაცა-დი გამყალბებლები შენს საარჩევნო ხუხულას თავზე დაგამხობენ და ჩხ-უბის დამთავრების მერე მუშტების ქნევა ვერაფერს გიშველის.

ტექნიკურ უნივერსიტეტში სრულ პროფესორად ხელახლა ამირჩიეს. სანამ შემიძლია უნდა ვიკითხო ლექციები და ახალგაზრდა მეცნიერებს ცხოვრებაში გზა გავუწალდო. ეს ჩემი მოწოდებაა და ამ ხნის კაცს დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

ესეც არ იყოს არჩილ ფრანგიშვილს და იგორ კვესელავას ვერ ვუღა-ლატებ. ეს მათი ძალისხმევით მოხდა ჩემი უკან დაბრუნება პედაგოგიურ ასპარეზზე.

გატაცებით ვმუშაობ კულტუროლოგიაში. იგი რექტორის თანად-გომით საუნივერსიტეტო საგნად გამოცხადდა.

გამოვეცი სახელმძღვანელო „კულტურა და თანამედროვეობა“. ვფიქრობ, ჩემი ერთ-ერთი წარმატებული ნაშრომია.

25 მარტს დიდუბეში დავკრძალეთ სცენარისტი ერლომ ახვლედიანი.

პატიოსანი კაცი იყო.

წლევანდელი ზამთარი გაჭიანურდა.

თოვლი, როგორც იქნა, ალაგდა, მაგრამ ჯერ ისევ ცივა. არ იქნა და არ „ჩადგა ხეში წყალი“.

მაინც მოვიმარჯვე სასხლავი და გავედი ბაღში.

ყინვას ვენახი ისე დაუზარალებია, რომ ხელის მიკარებისთანავე ძირს ცვივა „რქები“.

შევწუხდი.

რა ვქნა, რით გიშველო ჩემო ნაფერებ-ნალოლიავებო ვენახო.

10 აპრილს მარცხენა ხელი მოვიტეხე. უფრო ზუსტად, იდაყვის ძვალია ჩამოტეხილი.

დილით ვენახს ვსხლავდი. „ხეივნის“ გასხვლას რომ მოვრჩი, კიბე დავკეცე და ხელ-პირი დავიბანე. მერეღა შევნიშნე, რომ წინა ვაზის მიბმა დამვიწყებოდა. კიბის გაშლა დამეზარა და პლასტმასის სკამი მივიდგი. შევდექი თუ არა სკამზე, ნაწილ-ნაწილად დაიშალა და ფილაქანზე ზღართანი მოვადინე. რომ ვეცემოდი, გავიფიქრე თავი არ დავარტყა-მეთქი, თავი გადავარჩინე და იდაყვით დავეცი. იდაყვი, რასაკვირველია, მოვიტეხე. მაქვს ახლა თაბაშირში ჩასმული. ეს რა საშინელება ყოფილა. ტკივილს რომ თავი გავანებო ცალი ხელით პირის დაბანა, ცალი ხელით თოხნა (მე ხომ უსაქმოდ ყოფნა არ შემიძლია) არ გინდა? ღამე ვერ ვიძინებ, ასე მგონია ასი ფუთი მკიდია მარცხენა მხარეს, კიდევ კარგი მარცხენა ხელია, თორემ ამ დღიურსაც ვერ დავწერდი.

რა ვქნა უნდა შევეგუო, სხვა გზა არა მაქვს.

დღეს 15 აპრილია – ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული.

ქრისტე აღსდგა, ჩემო საქართველოვ!

16. IV. 2012 – 15. V. 2012

გამოვიდა ჩემი ოცდახუთტომეულის პირველი ტომი.

დიდი მღელვარებით ველოდი მის გამოსვლას. თუ ჩემს სიცოცხლეში მოვასწარი მისი ჩამობეჭდვა (25-ივე ტომს ვგულისხმობ) უბედნიერეს კაცად ჩავთვლი თავს.

დაიდება ეს ტომეულები ქართველი მკითხველის წიგნის თაროზე, და მე მგონი, არ შეარცხვენს არც ავტორს და არც ქართულ მწერლობას.

უანგარო გამომცემელმა ლევან ფოფხაძემ, სანამ ტომეულების რედაქტირებას დაიწყებდა, მითხრა: ბატონო რეზო შენამდე გამოვეცი ოტია იოსელიანის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, თამაზ ჭილაძის და რეზო ინანიშვილის ტომეულები, ჩვენ შორის დარჩეს და გამომცემლობა საშინელ ვალში ჩააგდო ამ წიგნებმა, რადგანაც მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობა გაიყიდაო. იქნებ დამდოთ პატივი და ხელმოწერები შეაგროვოთ, რათა გარანტირებული ვიყოთ, რომ სტამბის ხარჯებს მაინც ავინაზღაურებთო.

მე თვითონ ამ „მარიფათ-ორგანიზების“ მიმართულებით მკვდარი ვარ, არ გამომდის „საგამომცემლო აქტიურობა“ და მრცხვენია კიდეც, მაგრამ მაინც გავიწყვიტე შუბლის ძარღვი და ოთხიოდე უახლოეს მეგობარს დავურეკე. შეგროვდა ორასამდე ხელმოწერა – ეს სია წარვუდგინე წიგნის მაღაზია „სამშობლოს“. იქ მითხრეს, რომ პარლამენტის ახალი კანონით, ავტორებს

წიგნით ვაჭრობა აეკრძალათ, თუ საგადასახადოში არ გაფორმდებიან მიკრობიზნესმენებადო. ეს ნიშნავს კიდევ ერთ ნაბიჯს, რომ წიგნი აიკრძალოს საერთოდ. ლომაიას ლოზუნგი – „ახალგაზრდების ხელში წიგნი არ დავინახოო“ და ახლახან პრეზიდენტის ინიციატივით საზოგადოება „ცოდნას“ რომ სახელი შეუცვალეს და „კომპიუტერის გამავრცელებელი საზოგადოება“ დაარქვეს, ძალაში შედის.

ჩავდექი უსაშველო რიგში საგადასახადოში. წარმოუდგენელი დამცირების ფასად როგორც იქნა მომცეს „მიკროსაქმოსნობის სერთიფიკატი“, რომელიც წარვადგინე მაღაზიაში.

ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ხელისმომწერთა თითქმის ნახევარმა უარი თქვა წიგნის შეძენაზე. ჩვენ გვეგონა, ბატონი რეზო ამ ტომეულებს უფასოდ გვაძლევდა და ამიტომაც სიამოვნებით მოვაწერეთო ხელი.

ღმერთი, რჯული! რომ მქონდეს საშუალება ყველას (ნაცნობს თუ უცნობს) უფასოდ დავურიგებდი ჩემს წიგნებს, მაგრამ ჩვენ შორის რომ გამომცემლობა დგას? რა ქნას გამომცემლობის დირექტორმა, თუ წიგნი არ გაყიდა, როგორ გადაიხადოს ქაღალდის და სტამბის ვალი?

ერთი სიტყვით „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდების“ მდგომარეობაში ვარ.

ხელი როგორც იქნა მომირჩა. „მორჩენას“ ვეძახი თაბაშირი რომ ამხსნეს. თითქოს ხელახლა დავიბადე. მართალია, იდაყვი ღამღამობით ისევ „მტეხავს“, მაგრამ ამას დავეძებ? რაც მთავარია ორივე ხელით შემიძლია პირის დაბანა.

16. V.2012 – 5. VII . 2012

ოცდაერთიდან 26 მაისამდე მე და მაყვალა სომხეთს ვესტუმრეთ. თან გვახლდა ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლების ჯგუფი: ჰენრი დოლიძე, ნიკი ქვრივიშვილი, ირაკლი შამათავა, უჩა ბლუაშვილი და მამა პეტრე.

სომხეთმა, როგორც ყოველთვის, დიდი სიყვარულით მიგვიღო. მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გვერდიდან არ მოგვშორებია. სომხეთში ამჯერად ორი დიდი ღონისძიება ჩატარდა: თბილისში ქართულად გამოცემული სომხური პროზის ანთოლოგიის პრეზენტაცია და ახალგაზრდა მწერალთა საერთაშორისო თათბირ-სემინარი. განსაკუთრებით სასიამოვნოდ დამრჩა, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა თავი გამოიჩინეს, სადაც კი გამოვიდნენ ყველგან სიყვარული და ინტერესი დაიმსახურეს. მიხარია, რომ კარგი ლიტერატურული ცვლა გვეზრდება.

ლევონ ანანიანმა მთხოვა, ახალგაზრდა მწერლებისთვის ე. წ. „მასტერკლასი“ ჩამეტარებინა. უნდა გამოვტყდე რომ „მასტერკლასი“ ჯერ არასოდეს ჩამიტარებია და მით უმეტეს რუსულად. მართალია, ოცდაათი წლის განმავლობაში უნივერსიტეტში ახალგაზრდა მწერალთა წრეს (რომელიც ახლახან გააუქმა წერა-კითხვის მცირემცოდნე „რექტორმა“ სანდრო კვიტაშვილმა) ვხელმძღვანელობდი, მაგრამ არასოდეს ფიქრად არ მომსვლია ახალგაზრდა მწერლებთან მელაპარაკა იმაზე, თუ როგორ იწერება მხატვრული ნაწარმოები, „რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი“... ახლა კი პირდაპირ ასეთი ამოცანა დამისახეს, უარი არ გაეწყობოდა.

რაც შემეძლო, გავწიე. ორ საათს გაგრძელდა ჩემი გამოსვლა, იმის მერე რაც მრავალრიცხოვან მსმენელთ (მწერლები, ჟურნალისტები...) ჩემი მოსაზრებები გავაცანი ჭეშმარიტ ლიტერატურაზე (1 საათი). დამისვეს შეკითხვები. არც ერთ შეკითხვას არ გავქცევივარ და არ მიმიფუჩეჩებია. როგორც იმ დილის სომხური პრესა და ტელევიზია აღნიშნავდა, „მასტერკლასი მაღალ პროფესიონალურ დონეზე“ ჩამიტარებია.

ერთი რამ უნდა აღვნიშნო და გაფუჭებული გრამაფონივით სულ ვიმეორებ: მაშინ, როცა ჩვენს ხელისუფლებას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ეზიზღება მწერლობა, სომხეთში პირიქით ხდება. რა პროექტიც უნდა მივიტანო სახელმწიფო კანცელარიაში მუდმივად მწვანე გზა აქვსო, მაშინვე გამოყოფენ სახსრებს და ყოველმხრივ ცდილობენ ხელი შემინყონო, ლევონმა.

ჩვენ რა სიკვდილი დაგვემართა, რუსთაველის ქვეყანაში რატომ გამოაცხადეს ლიტერატურა კანონგარეშედ? ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის ბრალია, რომ სააკაშვილს ვძულვართ მწერლები. ვერ იქნა, ვერ შეიგნო ამ კაცმა, რომ მწერლობა ერის კულტურის უპირველესი გამოხატულებაა. თუ ჩვენ არ გვიჯერებს, ილია ჭავჭავაძეს მაინც დაუჯეროს: „თუ კაცს სურს შეიტყოს დიდება და ღირსება ერისა, ყოველთ უწინარეს იმას იკითხავს, რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო“. თუმცა ჩემგან მიშიკოსთვის ამის თქმა ხომ მგლის თავზე სახარების კითხვის ტოლფასია. მას ხომ ილია ჭავჭავაძის სურათი თავის კაბინეტში მოსაჩვენებლად, ფარსად, არაგულწრფელად უკიდია.

საქართველოში წინასაარჩევნო ფაციფუცია, „ნაციონალური მოძრაობა“ (რატომ ღმერთი არ გაიცინებს, რა აქვს ამ მოძრაობას ნაციონალური) ყოვლის ღონისძიებით ცდილობს ხალხს თვალში ნაცარი შეაყაროს. ტელევიზიები საამური ცხოვრების ილუზიას ჰქმნიან იმ ქვეყანაში, სადაც 78% უმუშევარია. ყოველდღე გამოდის ტელევიზიით პრეზიდენტი და ტყუილების გუდას ბერტყავს. ამაზრზენია მისი უტიფრობა, სირცხვილის ნატამალიც კი არ ჩანს მის გამოსვლაში. ქართველი ერი მას, როგორც ჩანს, ბრიყვი ჰგონია. ლაპარაკობს 2015 წლის პროექტებზე, მაშინ როცა საპრეზიდენტო ვადა 2013 წელს ეწურება.

სახელისუფლებო მასმედია, რამდენადაც მოუხერხდება, თავს ლაფს ასხამს ბიძინა ივანიშვილს. რას აღარ აბრალებენ მას და მისი გუნდის წევრებს. კაცმა მილიარდები დაახარჯა სააკაშვილის მიერ ჩაწიხლული ქართული ფენომენის და ეკლესიის გადარჩენას და, გინდა თუ არა, რუსეთის კაციაო, გამყიდველიაო, მისი ქველმოქმედება თვალთმაქცობაოო...

27 მაისს საქართველოში მოულოდნელი რამ მოხდა,

წინა დღეს, 26 მაისს სააკაშვილმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ზეიმი ქუთაისში ჩაატარა. იქვე გამართა პირველად პარლამენტის სხდომა.

ჩემი ქუთაისი ტაშისცემით შეეგება კაცს, რომელმაც დავით აღმაშენებლის ძეგლი აიღო და შადრევანი გამართა. ამაზე დიდი შეურაცხყოფა რა უნდა ყოფილიყო ქუთაისისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ქუთაისი ის ქუთაისი აღარ არის, მე რომ ჩემი შემოქმედების დიდი ნაწილი მივუძღვენი.

ახლა თბილისში გადმოვინაცვლოთ, იმ თბილისში, რომელსაც უსირცხვილოდ დაუპირისპირა პრეზიდენტმა ქუთაისი. დედაქალაქის იდეის ჩამოყალიბებას ერის ფსიქიკაში ათასწლეულები სჭირდება, თბილისზე გაბრაზებულმა მიხეილ სააკაშვილმა კი ეს ერთი ხელის მოსმით გააკეთა, აქაოდა რას ჰქვია მე თბილისში „გრეჩიხამ“ მომიგო არჩევნებიო, ადგა და დედაქალაქი ქუთაისში გადაიტანა.

ღმერთო, ნუთუ სიგიჟეს ზღვარი არა აქვს? ნუთუ ავადმყოფი კაცის ყვანცალს უნდა აჰყვეს ეს დინჯი და ბრძენი საქართველო?

აკი არ აჰყვა.

27 ივნისს თბილისში ანტისახელისუფლებო მიტინგზე 200 000 კაცი გამოვიდა. ეს იყო გონიერი საქართველოს დემონსტრაცია. მიტინგზე ბიძინა გამოვიდა დინჯად, ადამიანურად, თმის ჩამოშლის, ხელების ქნევის და ყვირილის გარეშე.

ღმერთო, ძლივს ხელისუფლებაში ჭკუადამჯდარი, სერიოზული კაცი მოდის-მეთქი, გავიფიქრე. ეს მიტინგი ბიძინა ივანიშვილის მომხრეთა გამარჯვების ნიშანი იყო, მაგრამ ოპოზიცია თვითდამშვიდებას ნუ მიეცემა.

„ნაციონალური მოძრაობა“ ჯერ კიდევ კუდს მოიქნევს. ოცდაათი წლის „მილიონერი ბიჭუნები“ ხელისუფლებას ასე იოლად არ დათმობენ. ისინი ახლა საქართველოში მრავლად მცხოვრებ „ნაციონალურ უმცირესობაზე“ გაამახვილებენ ყურადღებას და მათ მოსყიდვას შეეცდებიან.

4 ივნისს თბილისში ამერიკის სახელმწიფო მდივანი – კლინტონი ჩამოვიდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მან განაცხადა, საქართველო სწორი გზით მიდის, ჩვენ სააკაშვილის რეფორმებს მხარს ვუჭერთ და ასე განაგრძეთო. რა ენაღვლება ამერიკას. საქართველოში რაც უფრო არაეროვნული პრეზიდენტი იქნება, ეს ხომ მის წისქვილზე ასხამს წყალს. ერთი ჩვენ გვკითხოს.

ჩემი რჩეულის სამი ტომი უკვე გამოვიდა. ხელისმომწერლებს, როგორც გამომცემლობის დირექტორმა მაცნობა, ზოზინით, ნელ-ნელა („ყოყმანით“ კინაღამ დავწერე), მაგრამ მაინც მიაქვთ წიგნები. იქნებ თქვენ დაურეკოთო, მთხოვა. რა ვქნა, მე ვერავის დავურეკავ, ჩემი წიგნი იყიდე-მეთქი, ჩემგან ეს დიდ სირცხვილად მიმაჩნია. რაც იქნება იქნება პერანგს გავყიდი და მაინც გამოვცემ ამ ოცდახუთტომეულს.

დანარჩენი საქართველომ თვითონ იცის...

5 ივნისს ჩემი ულამაზესი, უსაყვარლესი დაიკოს – ნათელას დაბადების დღეზე შევიკრიბეთ, 75 შეუსრულდა.

სუფრას თხუთმეტიოდე უახლოესი ნათესავი ვუსხედით. ვიხუმრეთ, ვიმღერეთ, გული მოვიოხეთ, ნათელას ქმარი – დიდებული მწერალი ლადო მრელაშვილი მოვიგონეთ.

რა მოკლეა წუთისოფელი, რა სწრაფად გარბის დრო. როგორც ჩანს, ისე ჩავალ საფლავში რომ აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებას ვერ მოვესწრები.

აფსუს, ჩემო უბედურო საქართველოვ...

დღეს 7 ივნისია.

ნუგზარ წერეთელმა თავისი ლექსების წიგნი გამომიგზავნა, სულ-მოუთქმელად წავიკითხე. ნუგზარი ჩემი სიყრმის მეგობარია. ნიჭიერი, სუფთა კაცი. როგორ მოუარა გურამ რჩეულიშვილს.

დატეხილია შენი ანძები,
დაფლეთილია თეთრი აფრები,
დგას საშინელი ჟამი გაძლების,
ველარ ისვენებ ისე აფთრდები.

ცხოვრებამ ხშირად ცრემლით გატირა,
ვერ შეეგუე ყოფას ახლებურს
და თავს უყურებ როგორც პატიმარს
სხვა სამყაროში გადასახლებულს.

გამომყვა ეს ლექსი ნუგზარის წიგნიდან, ამედევნა, სულში ჩამისახლდა, იმიტომ ხომ არა რომ ჩემ განწყობილებას მიუსადაგ-მიესალბუნა?

ჟურნალ „რეიტინგის“ ახალი ნომერი (4 ივნისი, №23) მომიტანეს, სანამ ჩემი მოგონებების გაგრძელებას წავიკითხავდი, რეზო ჩხეიძის ინტერვიუს გადავაწყდი. დიდი ქართველი კინორეჟისორი ქართული კინოს, თეატრის, საერთოდ ხელოვნების უმწეო მდგომარეობას ხელისუფლების მიერ ქართული ფენომენის წინააღმდეგ მიმართულ დივერსიას უწოდებს და ცამდე მართალია. იქვე, სხვათა შორის, წერს: „ვფიქრობ, რომ დღეს ყველაზე დიდი კლასიკოსი რეზო მიშველაძეა, ახლა ის ქართული ლიტერატურის ყველაზე დიდი ნათებაა“ (გვ. 47). თითქოსდა სულზე მომისწრო, გამხნევების სული შთამბერა ბატონი რეზოს ამ გამონათაქვამმა, რომ შემხვდება, დიდი მადლობა უნდა ვუთხრა.

10 ივნისს მოძრაობა „ქართულმა ოცნებამ“ ქუთაისში გამართა აქცია. აქცია ჩაფიქრებული იყო როგორც ბიძინა ივანიშვილის მომხრეთა მიტინგი-დათვალიერება.

სადგურის წინ კიბეებზე და მთელ რუსთაველის ქუჩაზე ზღვა ხალხი შეგროვდა, როგორც გაზეთები სწერენ 50 000-მდე სააკაშვილის რეჟიმის მოწინააღმდეგე მოვიდა მიტინგზე.

ბიძინა ივანიშვილმა შერეული საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა. ილ-აპარაკა თმების ჩამოშლისა და ყვირილის გარეშე. როცა სააკაშვილი გამ-დის მეჩვენება რომ ჩქარობს, ნერვიულობს, გაჰყვირის. ალბათ ეშინია, ვინმე უკნიდან არ წამოეპაროს, ამ ტყუილებისთვის მიკროფონი თავზე არ დააფშვნას და პანღური არ ამოსცხოს. წინასაარჩევნო დაპირებებს ბიძინაც იძლეოდა, მაგრამ არაფერს ამბობდა შეუსრულებადს და ცრუქაქუნას.

კარგად გამოვიდა გუბაზ სანიკიძეც.

პარლამენტის ახალი შენობა (რა უნდა ქუთაისში პარლამენტს?!) თავი-დანვე დათარსულ-დაწყევლილი აღმოჩნდა. ჯერ იყო და შარშანწინ მერაბ ბერძენიშვილის მშვენიერი მემორიალი („შინ მოუსვლელნი“) ბარბაროსულად რომ ააფეთქეს დედა-შვილი იმსხვერპლა ამ აფეთქებამ, ახლახან კი პარლა-მენტის შენობის სათავსო ჩამოინგრა და ოცი კაცი მოჰყვა. მათგან ერთი უკვე გარდაიცვალა.

ქუთაისის გადადგომამ პანიკა გამოიწვია მიშას ბანაკში, შეძრწუნებული სახეებით დადიან. შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან. 12 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ბიძინა ივანიშვილი 250 მილიონი ლარით დააჯარიმა. აქაოდა საკუთარი სახსრებით ქუთაისის მიტინგი დააფინანსა, რისი უფლებაც არ ჰქონდაო!

განა სახელმწიფო სახსრებით არ ატარებს სააკაშვილი ყოველ პიარაქციას?

ნაციონალებისგან მე არაფერი მიკვირს, მიკვირს მხოლოდ ის, რომ მსოფლიო ხმას არ იღებს ამ უმსგავსობათა წინააღმდეგ. ნუთუ ბიძინა ივანიშვილის მომხრე საქართველოს თითქმის 2/3-ს დამცველი და ქომაგი აღარავინ ჰყავს არც ამერიკაში და არც ევროპაში ოფიციალური წრეებიდან. რატომ გაგვწირეს ისე, რომ კვლავ ამ თავზეხელაღებული, ქართველთმოძულე სააკაშვილის ხელში გვიპირებენ ჩატოვებას?

„მწერლის გაზეთში“ გამოვაქვეყნე ნოველა „ახია“. იგი უსამართლოდ დაპატიმრებული ფოტოგრაფების გამოსარჩლებას წარმოადგენს.

გაზეთის ამავე ნომერში გრძელდება მურმან ჯგუბურიას მშვენიერი ლექსების ციკლის – „მინაწერები რევაზ მიშველაძის ნოველებზე“ ბეჭდვა. საოცარი კაცია მურმანი. ერთგული, უშურველი, უღალატო და რაც მთავარია, დიდი პროფესიონალი, მაღალი გემოვნების ესეისტი.

სოსო სიგუამ თავისი ახალი წიგნი „კულტუროლოგიის საფუძვლები“ (II წიგნი) მომიტანა, მაშინვე წავიკითხე. უაღრესად საინტერესოა, სოსოს რომ ეკადრება ისეთი წიგნია. დაფუძნებულია თანამედროვე კულტუროლოგიის მსოფლიო მიღწევებზე.

მონატეხი მკლავი ღამღამობით ცოტათი მაწუხებს, მაგრამ ვარჯიში დავიწყე და ნელ-ნელა ვდგები, რომ იტყვიან, ფორმაში. დავრბივარ, რგოლებს ვეკიდები, ჰანტელებს ვიქნევ, ძიგძიგის ტრენაჟორს ვირგებ კისერზე და წელზე. რა ვქნა... ასე მგონია დავარდნის და დაძაბუნების უფლება არა მაქვს, ჩემი მთავარი მოსასწრები საქმე 25 ტომეულის გამოცემაა. მერე მშვიდად მოვკვდები, ბოლოს და ბოლოს ცას ხომ არ გამოვეკერები.

18 ივნისს პანტომიმის თეატრთან ერთად იაპონიის ელჩმა დარბაზობაზე მიგვიწვია.

განაცხადა, რომ ერთადერთი თეატრი, ვისაც იგი დაუმეგობრდა თავისი ელჩობის ერთი წლის განმავლობაში, ეს პანტომიმის თეატრია. ამირან შალიკაშვილი იაპონიას რომ ჰყავდეს ხელისგულზე ვატარებდითო. მე ჩემი ყველა იაპონელი სტუმარი პანტომიმის თეატრის სპექტაკლზე მიმყავდა, რადგანაც პანტომიმის ენა ყველასთვის გასაგებიაო.

მერე ხუმრობით დასძინა: ჩამონგრეულკედლებიან, გაურემონტებელ კედლებს რომ შეხედავდნენ ჩემი იაპონელი მეგობრები, ეგონათ რომ ეს დეკორაციის ნაწილი იყო და ბუნებრივ მოვლენად აღიქვამდნენ. მერე კი ვერაფრით ვარწმუნებდი რომ ეს თეატრი ნანგრევებში ხელისუფლების უყურადღებობის შედეგიაო.

მე ჩემი მხრივ, მადლობა მოვახსენე ელჩს მისი მეგობრობისათვის ღვთისა და კაცისაგან მიტოვებულ ამირან შალიკაშვილის თეატრთან.

გამომშვიდობებისას იაპონიის ელჩმა გამოგვიცხადა, რომ ორ კვირაში შეგიძენთ ორმოცდაათკაციან ახალ ავტობუსს და ეს იქნება იპონიის, საჩუქარი პანტომიმის თეატრისთვისო.

ყველას გული აგვიჩუყდა. დასის წევრები და ამირანი სიხარულის ცრემლებს ვერ მალავდნენ.

იაპონელებმა მცირე ტყუილები იციან, მაგრამ არა მგონია 30 კაცის წინაშე იაპონელ დიპლომატს ტყუილი ეთქვა, თუმცა... აღდგომა და ხვალეო. ორი კვირაც მალე გაივლის.

19 ივნისს ანზორ აბულაშვილს დავურეკე და 80 წელი მივულოცე. თითქმის 40 წუთი ვისაუბრეთ საქართველოს უბედო ბედზე.

სუფთა კაცი და ბრწყინვალე პოეტია ჩემი ანზორი.

იმ დღესვე, აფხაზეთის უნივერსიტეტში ოთარ ჭურღულიას ხსოვნის საღამოს დავესწარით მე და სოსო სიგუა.

მშვენიერი საღამო იყო.

დასასრულ რექტორმა ჯონი აფაქიძემ თავის კაბინეტში შემიპატიჟა.

მაჩუქა გერმანიაში გამოცემული თავისი არქეოლოგიური გამოკვლევების სამი ტომი. აგრეთვე უნივერსიტეტის შრომების VIII ტომი.

აღმაფრთოვანა ლტოლვილი უნივერსიტეტის მეცნიერულმა წარმატებამ.

ჯონი აფაქიძე უაღრესად ნიჭიერი, უანგარო და გულისხმიერი ახალგაზრდა კაცია.

20 ივნისს ბაღათერ არაბულმა დამირეკა; ბატონო რეზო, მწერლების სახელით ივანიშვილის მხარდამჭერი წერილი მინდა „ასავალ-დასავალში“ გამოვაქვეყნო და ხელს ხომ არ მოაწერო. მაგას რა კითხვა უნდა, წაუკითხავად მოაწერე ჩემი გვარი-მეთქი. მაინც წამიკითხა ტელეფონში.

იმავე საღამოს სამთავრობო ტელევიზიამ გამოაცხადა რეჟისორი ქეთი დოლიძე სასამართლომ 5 000 დოლარით დააჯარიმაო. აშკარაა, ბიძინას მხარდაჭერის გამო.

21 ივნისს „იმედმა“ ორმოცწუთიანი გადაცემა მიუძღვნა ბიძინა ივანიშვილის მომხრე ფეხბურთელ კახი კალაძეს. ირკვევა რომ კახი გარიგებულ თამაშებშია გარეული და მის საქმეს იტალიის პოლიცია იძიებსო, სიხარულს ვერ მალავდა გადაცემის წამყვანი.

კიდევ კარგი რომ იტალიის პოლიცია იძიებს და არა ჩვენი, თორემ კახი აქამდე ციხეში იქნებოდა.

ჩვენთან სააკაშვილის ჯიბის სასამართლო განუკითხავად ივანიშვილის ყველა მომხრეს ციხეში აგზავნის მიუხედავად იმისა, არის თუ არა დამნაშავე.

20 ივნისის „რეზონანსში“ ვამბობ: „ვოცნებობ იმ დროზე როცა საქართველოს ისეთი პრეზიდენტი ეყოლება, რომელიც ორი ვადის გასვლის მერე იტყვის: „მე წავედი, აწი ახალმოსულმა ვინძლო ჩემზე უკეთ იმუშაოსო“.

გაოცებული ვარ, რა გამორჩენა ახლავს პრეზიდენტობას ისეთი, რომ ადამიანები გააფრთებით ებღაუჭებიან მის შენარჩუნებას-მეთქი.

ასიათასიანი მიტინგი ჯერ კიდევ არ ნიშნავს არჩევნების მოგებას. ჩემთან მოვიდნენ „კარდაკარის“ წარმომადგენლები და თმა ყალყზე დამიდგა,

როცა გამომიცხადეს, რომ ჩემს კუთვნილ ბინაში ჩემს გარდა 5 ჩემთვის სრულიად უცნობი ადამიანია ჩაწერილიო.

ასე გაყალბებით, „მიწერებით“ მკვდარი სულებით მოიგო სააკაშვილმა წინა პარლამენტის არჩევნები და ახლაც ასე იზამს.

6.VII.2012– 22.VIII.2012

3 ივლისს „მაესტროს“ ჯგუფმა მომაკითხა: ბატონო, რეზო, რატომ არ აკეთებს მწერალთა კავშირი ივანიშვილის მხარდამჭერ განცხადებასო.

ვუპასუხე: ეტყობა თქვენ გაზეთებს არ კითხულობთ, თორემ გეცოდინებოდათ, რომ ამ ექვსი თვის წინ როცა ხელისუფლებამ ბიძინას სრულიად უკანონოდ მოქალაქეობა ჩამოართვა, ჩვენ „ასავალ-დასავალში“ გამოვაქვეყნეთ საპროტესტო განცხადება, ხელს ვაწერდით – ჭაბუა ამირეჯიბი, მე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, რეზო ჭეიშვილი და სხვებიმეთქი. ახლაც ზუსტად ერთი კვირის წინათ მწერალთა დიდმა ჯგუფმა დავგმეთ ივანიშვილის მიმართ განხორციელებული რეპრესია-მეთქი (ისევ „ასავალ-დასავალში“), რაც შეეხება განცხადებას საერთოდ „მწერალთა კავშირის“ როგორც უწყების სახელით, მწერალთა კავშირი 600-მწერლიანი თავისუფალი შემოქმედებითი კავშირია: ზოგი სააკაშვილს ემხრობა, უმრავლესი ივანიშვილს და მცირე ჯგუფი შეიძლება სირიის პრეზიდენტსაც კი ემხრობოდეს. რა უფლება გვაქვს ჩვენ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებს ყველას სახელით განცხადება გავაკეთოთ-მეთქი. რაც შეეხება პირადად მე – ივანიშვილის მხარეს ვარ და ამას თითქმის ყოველდღიურად ვამტკიცებ-მეთქი. ჩემი ამ საუბრიდან „მაესტროს“ ჟურნალისტთან მხოლოდ ორი წინადადება დაუტოვებიათ. ჩემი ბრალია უფრო გაბედულად უნდა უთხრა უარი აბეზარ ჟურნალისტს, რომელსაც ჭეშმარიტება კი არ აინტერესებს, არამედ უნდა მისი წინასწარ ჩაფიქრებული „სიუჟეტისთვის“ რაიმე წამოგაცდენინოს.

4 ივლისს „კავკასიის“ ეთერით პეტრე მამრაძე გამოვიდა. ეს გახლდათ უაღრესად განათლებული, ჭეშმარიტად ბრძენი ინტელიგენტის, ათას ბრძოლაში გამობრძმედილი პოლიტიკოსის უაღრესად მართალი გამოსვლა. ბედნიერი ვიყავი რომ ვუსმენდი. მიხაროდა რომ საქართველოში ასეთი ნათელი გონების ადამიანები კიდევ არსებობენ.

ოთხმოცდათოთხმეტი წლის პოეტმა ვასილ გვეტაძემ პატრიარქისადმი მიძღვნილი ლექსების წიგნის ხელნაწერი გამომიგზავნა, მინდა შენ იყო რედაქტორი, ჩემო რეზო, და იქნებ პატარა წინათქმაც წარუმძღვაროო.

წავიკითხე, მომეწონა, წინათქმაც გავამზადე და საპატრიარქოში შორენას წერილიც მივწერე, იქნებ საპატრიარქოს გამომცემლობამ გამოსცეს-მეთქი.

ვნახოთ, რას იზამს შორენა.

5 ივნისს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ეგიდით ქუთაისის „ტორპედო“ ყაზახეთის ნაკრებს ეთამაშა. ბოლომდე შემართებით ვერ იბრძოლეს ქუთაისელმა ფეხბურთელებმა და თამაში 1:1 დამთავრდა. ქუთაისის მწვრთნელი უნიჭიერესი გია გეგუჩაძეა – ჩემი მეგობარი. ძალიან მინდა ჩემი ქუთაისის და გიას წარმატება. ვნახოთ რა გამოუვა.

7 ივლისს გრიშა შონიას ველაპარაკე. თბილისის პოლიციის ყოფილი უფროსი დახვეწილი ინტელიგენტი და თანამედროვე პოლიტიკაში უაღრესად გარკვეული კაცია. კარგა ხანს ვილაპარაკეთ ტელეფონით. ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგავს. გრიშა მშვენიერ რომანებს და მოთხრობებს წერს. ჩემი რეკომენდაციით მწერალთა კავშირის წევრად მივიღეთ. შენი მეოთხე ტომი ხომ არ გამოსულაო მკითხა. ერთ კვირაში გამოვა-მეთქი. პირველი სამი ტომი სულმოუთქმელად წავიკითხეო. გამეხარდა.

დავურეკე გრიგოლ ჯულუხიძეს.

ძლივს მელაპარაკა, შეუძლოდ ვარო, ვწევარო. ღმერთო კარგად მიმყოფე.

13 ივლისს ლიტერატურის მუზეუმის კლუბში ჯუმბერ გოგრიჭიანის შემოქმედებით საღამოს დავესწარი.

კარგი პოეტი და კარგი პიროვნებაა. მივესალმე მის შემოსვლას ქართულ მწერლობაში.

ივლისი მძიმე გამოდგა ჩემთვის. ჯერ იყო და შიო გამიხდა ავად, კუჭის წყლული აღმოაჩნდა და დროზე რომ არ გვეშველა კუჭი გაუსკდებოდაო, ექიმმა. წამლებით ვჭყიპეთ.

მერე ბათუმიდან შევიტყვე ჩემთვის უაღრესად სამწუხარო ამბავი; ჩემს მეგობარს, უნიჭიერეს კრიტიკოს იური ბიბილეიშვილს ტვინში სისხლი ჩაექცა. დროულად მიუსწრეს, საავადმყოფოში მოათავსეს და როგორც მისმა მეუღლემ ქ-ნმა ელიკომ მითხრა, ჯერჯერობით მკურალობას ექვემდებარება, რამდენჯერმე დავურეკე, ცოტა ენას უკიდებს, თორემ საერთოდ მხნედ არის.

17 ივლისს კახეთს არნახული ქარიშხალი დაატყდა თავს. დაანგრია სახლები, ძირფესვიანად მოთხარა ხეები, გააოხრა მოსავალი. დგანან და ტირიან ჩემი საყვარელი კახელები. რა ვქნა, რით ვუშველო. ძველებურად მუხლი რომ მიჭრიდეს წავიდოდი და ფიზიკურად ვიმუშავებდი, კვერცხისოდენმა სეტყვამ ვენახები ისე გაანადგურა, 4 წელიწადს ყურძნის მოსავალი არ იქნებაო, ამბობენ გლეხები.

რას იზამ ახლა გარეწარო ხელისუფლებავ. რომელიმე პარტია ან ბიზნესმენი გაუბედურებულ გლეხს რომ მიეხმაროს ეს ხომ ამომრჩევლის მოსყიდვას ნიშნავს და პარლამენტის მიერ ახლახან მიღებული დრაკონული კანონით სასტიკად ისჯება დამხმარეც და დახმარების მიმღებიც.

გაგიგონიათ სადმე დედამიწაზე ქველმოქმედების აკრძალვა?

რა დღეში ხარ, ჩემო უბედურო საქართველოვ.

ერისკაცმა ბიძინა ივანიშვილმა გამოსავალი მაინც იპოვა: ათი მილიონი გადაურიცხა მთავრობას და მკაცრად მოსთხოვა, ყველა კაპიკი უბედურების ზონაში მოსახლეობის დასახმარებლად დაიხარჯოს. ვნახოთ, რას იზამს ხელისუფლება. მეშინია რაღაც ნაწილი იმ ათი მილიონიდან თავისთვის არ „მოიტეხოს“.

15 ივლისს ტელეარხ (იგი ამავე დროს რადიოარხიც არის) „ობიექტივით“ გამოვედით მე და ვალერი კვარაცხელია. ერთი საათზე მეტი ვილაპარაკეთ საქართველოს პრობლემებზე.

სხვათა შორის ვიხუმრე, ახლა რომ ნაცმოძრაობამ დეკლარაცია შეიმუშავა ამომრჩევლის მოსყიდვის წინააღმდეგ, არ ვეთანხმები-მეთქი. პირიქით დაშვებულ იქნას ამომრჩევლის მოსყიდვა, იქნებ ამ საარჩევნო სამ თვეში მაინც ამოისუნთქოს ხალხმა-მეთქი. ზოგი პარტია ფქვილს მიუტანს, ზოგი მაცივარს, ზოგი სატელევიზიო თეფშს და გაუმჯობესდება გაღატაკებული ქართველი კაცის ცხოვრება-მეთქი. ბევრი იცინა ვალერიმ, მაგ ხუმრობაში, ბატონო რეზო, ნახევარი სიმართლეაო.

საერთოდ კი, დროა საარჩევნო მარათონში ჩაბმულმა პარტიებმა თავი გაანებონ მაიმუნობას და პოლიტიკურ ჟონგლიორობას-მეთქი, ქართველი ერი არცთუ დაუნი ერია რომ საჩუქრებით და წითელი ბაფთებით მისი მოსყიდვა შეიძლებოდეს-მეთქი.

ვალერის შეკითხვას, ამ ბოლო დროს რატომ არ ჩანხართო, ვუპასუხე: სამწუხაროდ, ჩემი გამოჩენა ტელევიზიებზეა დამოკიდებული, ტელევიზიას კი, არც ერთ არხს (არც ოპოზიციურს და არც სახელისუფლებოს) მწერლის აზრი საერთოდ არ აინტერესებს-მეთქი.

27 ივლისს ნიკო კურტანიძემ სვანეთში წამიყვანა, კვირიკობასაც დავესწრებით და სვანეთსაც თვალს შევავლებთო.

უარს როგორ ვეტყოდი.

მესტიამდე გზა ურიგო არ არის, მაგრამ თბილისიდან მანქანას ცხრა საათი მაინც დაჭირდა.

ჰონდა-ჯიპში მძღოლის გარდა ვისხედით: ნიკო კურტანიძე, „ავერსის“ მმართველი, კარგი პოეტი და მოღვაწე, თავმდაბალი, მოკრძალებული კაცი, პოეტი ერეკლე საღლიანი, წიქაროსანი ზურაბ კურტანიძე (ნიკოს ნათესავი), ნიკოს ორი თხუთმეტ-თექვსმეტიოდე წლის შვილიშვილი – გვანცა და მარიამი, საპატრიარქოს ჟურნალისტი და ოპერატორი.

მესტიამდე ოცი კილომეტრილა გვქონდა დარჩენილი თავზე რომ დაგვადგა უშბა მთელი თავისი დიდებულებით.

მომნუსხველია უშბა. იგი ცაში აღმართული მუშტია. უშბის კლდის ტანზე თოვლი არ ჩერდება. უშბა გაიძულებს მისი ნახვიდან ორ საათს მაინც მხოლოდ უშბაზე ილაპარაკო. ორმოცდაათი წლის წინათ გახლდით სვანეთში. ოცი წლის ბიჭი ოტია იოსელიანმა ამომიყვანა და მთელი სვანეთი შემომატარა. რა ყოფილა ადამიანი; ეს მოხუცი კაცი ახლაც იმ ყმაწვილის თვალით ვუყურებ სვანეთს. ახლა შევამჩნიე რომ სვანეთი – საქართველოს ლამაზი ჭერი ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე თან მდევდა, ერთი დღითაც არ წასულა ჩემგან.

მესტიის ათასწლოვანი მდუმარება, მისი არქაული სახე უმოწყალოდ და უგემოვნოდ დაურღვევია ხელისუფლებას.

სადღაა ის ძველი მესტია დიდი ველი თეთნულდის ჩრდილქვეშ და ველს შეფენილი ულამაზესი სვანური კოშკები, კოშკებს მიშენებული მაჩუბებით და სამლოცველოებით.

რომელიღაც უცხოელ არქიტექტორს ეროვნულ ტრადიციასთან და ლანდშაფტთან სრულიად მოურგებლად პოლიციის და სასტუმროს ტალღოვან-არქიტექტურული ისეთი სიმახინჯეები დაუდგამს, რომ საერთო ხედიდან, იმ მესტიური გამმიდან რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, სრულიად ამოვარდნილია.

მოუკირწყლავ ქუჩებში მტვრის ბუღი დგას.

წინასაარჩევნოდ ხელისუფლებამ მესტიაში ყოველგვარი მშენებლობა შეაჩერა და ჩვენ თითო-ოროლა „თავგანწირულ“ ტურისტიანად მტვერში ვიხრჩობითო, მითხრეს სვანებმა.

პოლიტიკა რისი პოლიტიკაა სვანეთში რომ არ დაგვხვედროდა.

სასტუმროში სანამ დავბინავდებოდით სტვენა-ღრიანცელი მოგვესმა:

მესტიის მტვრიან მოედანზე ბიძინა ივანიშვილი მიტინგს ატარებდა. „წადი! წადი! მიშა მაგარია!“ ყვიროდა მიტინგს აფარებული წითელპერანგოსან ადამიანთა დიდი ჯგუფი.

ეტყობა აქ ივანიშვილი არ უყვართ-მეთქი, შევეხმიანე სასტუმროს თანამშრომელს.

არა ბატონო, პირიქით, ძალიან უყვართო, მიპასუხა, ისინი ვინც ბიძინას საწინააღმდეგო ლოზუნგებს გაჰყვირიან, არც ერთი სვანი არ არის, ბარიდან ერთი საათის წინ ავტობუსებით ამოიყვანესო.

რას არ ჩაგადენინებს თურმე კაცს ეს საარჩევნო მარათონი.

საღამოს ერეკლემ მიხეილ ხერგიანის სახლ-მუზეუმი დაგვათვალიერებინა და მესტიაში დიდი ლიტერატურული საღამო გავმართეთ.

ბატონმა ნიკომ და ერეკლემ მშვენიერი ლექსები წაიკითხეს, მე საქართველოს გასაჭირზე ვილაპარაკე.

საღამოს სული და გული გახლდათ ქუთაისიდან ამოსული ნიკო კურტანიძის სახელობის ლიტერატურული კლუბი.

მოსწავლე-პოეტები და ნორჩი დეკლამატორები დიდებულად კითხულობდნენ ლექსებს.

ეს კლუბი ლამის ერთადერთია საქართველოში და ნიკო კურტანიძის რუდუნებით დიდ საქმეს აკეთებს – მოზარდ თაობას აყვარებს ლიტერატურას და მშობლიური ენის სილბოს ძვალ-რბილში განუმტკიცებს. კლუბს უანგაროდ ხელმძღვანელობენ ალეკო მესხორიძე, რეჟისორი თორნიკე მარჯანიშვილი და მისი მომხიბვლელი მეუღლე ქ-ნი მარინე.

მეორე დღეს კვირიკობის დღესასწაულს დავესწარით და უშგულისკენ ავიღეთ გეზი.

საშინელი გზაა მესტიიდან უშგულამდე. ოცდაშვიდი კილომეტრის გავლას ლამის სამი საათი მოვანდომეთ.

ამ ორმოცდაათი წლის წინათ გაცილებით უკეთესი გზა იყო.

ჩავედით უშგულში და გული მომიკვდა. ათასწლოვანი კოშკების და მაჩუბების გენიალური ანსამბლი, ეს გასაოცარი ცოცხალი მუზეუმი ღია ცის ქვეშ, ეს გენიალური არქაული დეკორაცია უგუნურ ხელისუფლებას შეურყვნია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით:

სამიოდე სახლი თუნუქით გადაუხურავთ და უშგულის შესასვლელთან თეთრად აბრჭყვიალებული სათბური დაუდგამთ.

სადღაა უშგულის ძველთაძველი სილამაზე.

დაუყოვნებლივ უნდა გადახადონ ამ სახლებს თუნუქის სახურავი და მაჩუბების მსგავსად ფიქალით უნდა გადახურონ, დღესვე უნდა აიღონ ეს სამარცხვინო „სათბური“ და სხვაგან გადაიტანონ-მეთქი, ლამის ვიყვირე ინტერვიუში, თავაზიანმა ჟურნალისტმა ბავშვებმა უშგულში, რომ

ჩამომართვეს მაგრამ რად გინდა: 29 ივლისს ვნახე „ჩვენი“ სიუჟეტი საპატრიარქოს არხზე და წინდახედულ ცენზურას (რა უბედურებაა ეს ცენზურა ვერ მოვიშორეთ) ჩემი ათწუთიანი სიტყვა-ღაღადისიდან მხოლოდ ერთი წინადადება დაუტოვებია: „ბედნიერი ვარ რომ ორმოცდაათი წლის შემდეგ ისევ დავუბრუნდი ულამაზეს სვანეთს“... ასეთია ჩვენი ჟურნალისტიკა.

16 აგვისტოს გურიის გუბერნატორს ვალერი ჩიტაიშვილს მივმართე განცხადებით; თუ მოსახერხებელია, სოფელ გრიგოლეთში გამომიყავით 150 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომ პატარა ქოხი ჩავდგა და ზაფხულობით მშვიდ გარემოში ვიმუშაო-მეთქი.

თბილად, თავაზიანად მიმიღო, ყურადღებით ჩაიკითხა ჩემი განცხადება და დახმარება აღმითქვა, ვნახოთ, რა გამოვა. მე რომ ვიყო ჩინელი, ყაზახი ან სომეხი, ვინ მეტყოდა უარს. მთელი სანაპირო გაყიდულია, მაგრამ მე ქართველი მწერალი ვარ (თანაც უფულო) და ხელისგულისოდენ მიწას გამოიმეტებს ვითომ ჩემთვის ეს ხელისუფლება?

23. VIII. 2012 – 30. IX. 2012

28 აგვისტოს საქართველოს საინფორმაციო საშუალებებმა გამოაცხადეს, რომ კახეთში, სოფელ ლაფანყურთან ჩვენი მამაცი პოლიცია და საჯარისო შენაერთები „აწარმოებენ ტერორისტების დევნის ოპერაციას“.

საღამოს გამოაცხადეს რომ „ლიკვიდირებულია 11 კბილებამდე შეიარაღებული ტერორისტი, ხოლო ჩვენი მხრივ დაიღუპა სამი ოფიცერი – ერთი სამხედრო ექიმი და ორი პოლიციელი“. სახელისუფლებო საინფორმაციო არხებმა ყოველივე ამას „დასძინეს“, რომ დაღუპულ ტერორისტთაგან არც ერთი არ არის საქართველოს მოქალაქე!“

რა ჩაიდინეს ტერორისტებმა?

მთავრობას ამაზეც „ზუსტი“ პასუხი აქვს, თურმე ტერორისტებმა ტყიდან იქ საქეიფოდ შესული მშვიდობიანი ახალგაზრდა მძევლად აიყვანეს.

ცნობისმოყვარეობამ მომკლა კინაღამ: ვინ იყვნენ, რა რჯულისა იყვნენ ტერორისტები, რუსები, ჩეჩნები თუ დაღესტნელები?

„გამოხსნილი“ ხუთი ლაფანყურელი „მოქეიფეები“ ჯერ „ამტკიცებდნენ“, მძევლად აგვიყვანესო, მერე „დააზუტეს“: არავითარი მძევლად აყვანა არ ყოფილა უბრალოდ ქეიფის დროს შემოგვესწრნენო. მეო, ერთმა, ფეხზე „ტაპოჩკები“ მეცვა და ახალთახალი „ბატინკები“ მაჩუქესო, ჩვენი „გამოხსნის ოპერაციაც“ არ ჩატარებულა, უბრალოდ როცა მოგვეხასიათა, ავდექით და წამოვედითო.

კი მაგრამ, თუ ასე იყო, რაღაზე დახოცეს 11 კაცი ჩვენმა „მამაცმა“ მებრძოლებმა?

მესამე დღეს მოეფინა ნაწილობრივ ნათელი ამ სავალალო ისტორიას. თურმე თერთმეტი დაღუპული „გადამთიელიდან“ ორი ამოიცვნეს და ისინი არც მეტი არც ნაკლები პანკისის ხეობის სოფელ დუისის მცხოვრებნი ყოფილან.

დუისში გაიჭრა ექვსი სამარე და საქართველოს მისამართით გაისმა ჩრდილოკავკასიელთა (განსაკუთრებით ჩეჩენთა) მუქარა. ჩვენ აუცილებლად შურს ვიძიებთო. ჩვენი დაღუპული შვილებისათვის სისხლს ავიღებთო.

ესეც ახალი შარი ჩვენი უგუნური ხელისუფლებისაგან.

გვინდოდა ჩრდილოკავკასიელთა გადაკიდება?

ჯერ გაარკვიე, მამაცო ქართველო მეციხოვნევ, ვინ არიან, სად მიდიან, გიშავებენ თუ არა რაიმეს შენ პირადად „ტერორისტები“, რა ხელი გექავება შე კაი კაცო, რატომ ჩქარობ, რატომ წინამასწარობ.

კაცია ადამიანისშვილია, კურდღელი ხომ არ არის?

მოკლედ, კიდევ ერთხელ გაგვიჩინა უამრავი კითხვა ხელისუფლების ამ მოუზომავმა ნაბიჯმა.

2 სექტემბერს პატრიარქთან მივყევი ჩვენ მხცოვან პოეტს ვასო გვეტაძეს. 94 წლის ბატონმა ვასომ დაწერა მშვენიერი წიგნი ჩვენს პატრიარქზე (ლექსების კრებულში) და მთხოვა, მეშუამდგომლა საქართველოს სულიერ მამასთან, რათა წიგნი საპატრიარქოს გამომცემლობას დაებეჭდა და პატრიარქის დაბადების 80 წლისთავის იუბილესთვის გამოსულიყო.

ქ-ნ შორენას დავურკე და პატრირქმა მაშინვე მიგვიღო.

თბილად, ტკბილად, მისებურად გვესაუბრა.

მე მოახლოებული 80 მივულოცე და ჩემი 25-ტომეულის ორი ტომი ვუსახსოვრე.

დიდი მადლობით მიიღო და დანარჩენ ტომებს დაველოდებიო, ბრძანა უწმინდესმა.

მერე ვასო გვეტაძეზე მოვახსენე ორიოდე სიტყვა.

თანამედროვე ქართული პოეზიის პატრიარქია-მეთქი ბატონი ვასო, ას წელს მიახლოებული პოეტი მეორე არ გვყავს-მეთქი საქართველოში.

ენდეთ ჩემს გემოვნებას, ჭეშმარიტი პოეზიით სუნთქავს თქვენდამი მოძღვნილი ეს წიგნი და მოკრძალებით გთხოვთ გამოცემაში თანადგომას-მეთქი.

ამის შემდეგ ბატომა ვასომ წარმოთქვა გულში ჩამწვდომი სიტყვა, თქვენს იმედზეაო საქართველო, თქვენი ლოცვა-კურთხევით გვიდგასო სული.

უწმინდესმა იქვე დაავალა ქ-ნ შორენას ბ-ნი ვასოს წიგნის დროულად და ხარისხიანად გამოცემა და მერე მე მომიბრუნდა; ბატონო რეზო, თუ გცალიათ სამების ტაძარში ერთ კარგ ღონისძიებაზე წამომყევითო.

რასაკვირველია, თანხმობა მოვახსენე. დიდი პატივია-მეთქი ჩემთვის თქვენს გვერდით ყოფნა.

ჩამსვა თავის შავ, ულამაზეს „ჯიპში“ და ხუთიოდე წუთში სამებაში მივგრიალდით.

მრევლით გაჭედილი დარბაზი პატრიარქის მობრძანებას ელოდა. პირჯვრის წერით, ტაშითა და ხელზე კოცნით შეეგებნენ. პატრიარქის გვერდით ვზივართ მე, რამდენიმე მღვდელთმთავარი, მინისტრის მოადგილე კარბელაშვილი და მამა პეტრე.

პატრიარქმა დაიწყო: დღეს ტერენტი გრანელზე სასაუბროდ შეგკრიბეთო. ეს წამებული პოეტი მართლაც რომ ღირსია წმინდანად რომ შევრაცხოთო. მოდით, ვიმსჯელოთ და ვიფიქროთ დღეს ერთადო. რა თქმა უნდა, ყოველივე წმინდა სინოდმა უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ ტერნეტი გრანელის ფასი რევაზ მიშველაძეზე უკეთ ვის ეცოდინებაო. მივცეთო მას სიტყვა.

ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ეს სერობა, მაგრამ რაღაცას მე

მგონია, მოვაბი თავი. ტერენტი გრანელის ჩემეული პორტრეტი წარვუდგინე საზოგადოებას და ბოლოს მუხლმოყრით მოვახსენე უწმინდესს მადლობა ქართულ მწერლობაზე, ესოდენი ზრუნვისათვის. უწმინდესმა წამომაყენა და ხელზე მაკოცა.

ჭეშმარიტად დიდებული სულიერი მამა ჰყავს საქართველოს.

5 სექტემბერს საბურთალოს სასაფლაოზე დავკრძალეთ პროფესორი რეზო სირაძე, ქობულეთში გაზის ბალონის გაჟონვის გამო საკუთარ აგარაკზე აფეთქდა ძალიან მეწყინა მისი სიკვდილი. რეზო სააკაშვილის მიერ უნივერსიტეტიდან გაძევებულ 500 პროფესორთაგან ერთ-ერთი იყო. ნუთუ საქართველო აპატიებს თავგასულ პრეზიდენტს ეროვნული ინტელიგენციის წინაშე ჩადენილ დანაშაულს?

არჩევნები ახლოვდება, პარტიები ერთმანეთს ლანძღავენ და კრაზანებივით იკბინებიან.

მეეჭვება ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვოს. სააკაშვილის გუნდი ყოველ ღონეს (მათ შორის აკრძალულ ილეთებსაც) ხმარობს, რათა პარლამენტში „ნაციონალები“ კვლავ უმრავლესობით მოვიდნენ. დასავლეთიც, როგორც ჩანს, მხარს უჭერს.

16 სექტემბერს ქუთაისში ბაგრატის განახლებული ტაძარი აკურთხეს. მე, გულახდილად რომ ვთქვა, ტაძრის განახლების, გადახურვის და მოქმედ ტაძრად ქცევის მომხრე ვარ, მაგრამ ვერ მოვიწონებ ნაჩქარევად აღდგენას, ლიფტის დადგმას და მწვანე ფერის თუნუქით ტაძრის გადახურვას. ამას, ყველაფერს თანდათანობით მოევლება და რაც მთავარი იყო – გაკეთდა. ბაგრატ მეფის მიერ საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ აგებულმა ტაძარმა ახალი სიცოცხლე დაიწყო.

7 სექტემბერს შინ მესტუმრა ნაციონალების მაისურიანი სიმპათიური ქალი. მეო, შრომითი მოწყობის სამინისტროდან ვარო. ვიცი რომ თქვენ ცნობილი მწერალი ბრძანდებითო, ისიც ვიცი რომ ამ ხუთი წლის წინათ უნივერსიტეტიდან პოლიტიკური პოზიციის გამო გამოგაძევესო. ახლა ჩვენი სამინისტრო უკლებლივ ყველას პირდება სამსახურს და იქნებ ჩამაწერინოთ სად და რა თანამდებობაზე გსურთ მუშაობის დაწყებაო.

ამ მისდაუნებურად მატყუარადქცეულ ქალს რას ვერჩოდი, მაგრამ ნაციონალთა ამ უტიფრობამ ხუმრობის ხასიათზე დამაყენა.

კეთილი და პატიოსანი-მეთქი, ოთხი სავარაუდო ადგილი მეგულება და თუ ერთ-ერთ ადგილზე მაინც დამნიშნავთ ფრიად დაგიმადლებთ-მეთქი.

კალამი მოიმარჯვა და ყურადღებად იქცა.

პირველი: ახალგაზრდობაში პარაშუტით მხტომელი გახლდით. ეს საქმე (პარაშუტით ხტომა) მეხერხება ძალიან და იქნებ გამამწესოს ჩვენმა ხელისუფლებამ საპარაშუტო სკოლაში მწვრთნელ-ინსტრუქტორად-მეთქი.

მეორე: მთელი ცხოვრება სირაქლემას მოშენებაზე ვოცნებობდი. ამისათვის სპეციალურად ავსტრალიაში მესირაქლემობის კურსებიც კი გავიარე, მაგრამ საბჭოთა ეპოქაში უსახსრობის გამო ჩემს ოცნებას ფრთები ვერ შევასხი. ახლა როგორც ვიცი სააკაშვილი სირაქლემის ფერმის გახსნას აპირებს, გთხოვთ იმ ფერმაში მეკვერცხედ დამნიშნოთ-მეთქი.

მეკვერცხე რას ნიშნავსო, მკითხა.

მზის სინათლეზე რომ გავხედავ სირაქლემას კვერცხს, უშეცდომოდ ვხვდები, რომელია ნამამლი და რომელი არა-მეთქი.

გულდასმით იწერს ყველაფერს.

მესამე: ფოსტაში მინდა ვიმუშაო მოენედ-მეთქი.

წამით შეყოვნდა.

თავი ასწია.

როგორ, თქვენ ამ ხნის კაცი ენის მიმტან-მომტანად იმუშავებთო?

ვერ გამიგეთ, „მოენეობა ფოსტაში სრულიად სხვა საქმეა. დღეში 4 საათი (ნახევარ შტატზე) ენა მექნება გამოყოფილი და ფოსტის თანამშრომლები საფოსტო გზავნილების მარკებს ჩემს ენაზე დაასველებენ-მეთქი.

მეოთხე: თუ ზემოთ ჩამოთვლილი სამი სურვილის შესრულება გაგიჭირდებათ, მაშინ ოპერაში დამნიშნონ კულისების გამგედ-მეთქი.

კულისების გამგეს რა ევალებაო, მკითხა.

კულისების გამგეობა მაინცდამაინც ინტელექტუალური სამსახური არ გახლავთ, მაგრამ ცოტა არ იყოს სახალისო საქმეა.

კულისების გამგე სპექტაკლის ნორმალურ მსვლელობას უზრუნველყოფს: მაგალითად, მესამე ზარის შემდეგ ჭორაობით გართულ ბალერინებს ტაკუნებზე ხელის ალერსიანი მიტყაპუნებით მოუწოდებს: ნუ აგვიანებენ და სწრაფად შევიდნენ სცენაზე-მეთქი.

რამდენადაც ვახერხებდი, სერიოზულად ველაპარაკებოდი შრომითი მოწყობის სამინისტროს წარმომადგენელს ჩემი სასამსახურო სურვილ-პრეტენზიების შესახებ, მაგრამ სასაცილო ის იყო, რომ ჩემს სტუმარს ერთხელაც არ გაღიმებია.

ჩაიწერა ეს ყველაფერი, დახმარება აღმითქვა და დამემშვიდობა.

ნეტავ თუ მიიტანა ჩემი სურვილები სამინისტროს ხელმძღვანელობამდე და თუ მიიტანა რა სახე მიიღეს იუმორის გრძნობით დაჯილდოებულმა შრომითმომწყობებმა?

უფრო საფიქრებელია, რომ ჩემი „ოცნებები“ იმ პატიოსანი ქალის გარდა არავის შეუტყვია.

1. X. 2012 – 22. X. 2012

პირველ ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებზე, ვერ დავმალავ, იმედშეფერთხილი წავედი.

არჩევნების წინა ღამით ტელერადიოარხ „ობიექტივის“ საშუალებით რეზო ჩხეიძემ და მე მივმართეთ ქართველ ერს, რომ „ქართული ოცნებისთვის“ მიეცა ხმა ყველას ვისაც საქართველოს მომავალი სწამდა და სჯეროდა.

იქვე გამოვთქვი შიში იმის გამო, რომ სააკაშვილი მიმართავდა ყოველგვარ „პრავაკაციას“, შანტაჟს, მაქინაციას, მუჯლუგუნს... რათა ძალაუფლება შეენარჩუნებინა. საარჩევნო უბანთან ამომრჩეველთა შორის რიგში ჩამდგარს რწმენა დამიბრუნდა, ერთი კაციც არ იდგა რიგში სააკაშვილის მომხრე. ჩემ ირგვლივ წრე შეიკრა, მეკითხებიან: როგორ ფიქრობთ, ბატონო რეზო, გავთავისუფლდებით ამ სატანისაგან?

ჩვენი ხმების დაცვას თუ შევძლებთ, გავთავისუფლდებით-მეთქი.

რა უნდა გავაკეთოთო.

რა და ხმის მიცემის შემდეგ სახლებში ნუ გაიქცევით, აქ დავრჩეთ, რომ უნამუსო „ნაციონალებს“ კარუსელი არ დავატრიალებინოთ, ყალბი პირადობის მოწმობებით არავინ შეიპაროს ხმის მისაცემად და საერთოდ უცხოელ დამკვირვებლებსაც დავანახოთ, რომ საქართველო ბიძინა ივანიშვილის გვერდით დგას-მეთქი.

მე პირადად, საღამოს რვა საათამდე ჩემს უბანთან (კანდელაკის 3, უბანი №84) ვიდექი ისე, რომ ფეხი არ მომიცვლია და ჭიქა წყალიც არ დამილევია. ხმის მიცემა რომ დამთავრდა და ბიულეტენების დათვლა დაიწყეს, პატრულმა ეზოდან გამოგვრეკა.

სამი საათის შემდეგ დაიწყო საარჩევნო „ცივი ომი“. სამთავრობო ტელევიზიები აცხადებდნენ, რომ „ჯერჯერობით ნაციონალები იმარჯვებენ“, ოპოზიციური არხები კი მეორად ბიულეტენებზე დაყრდნობით დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ ქართული ოცნება წინ არის.

ასე, 12 საათზე „ეგზიტპოლის“ შედეგები გამოცხადდა და შვებით ამოვისუნთქე, პირველად ქართული არჩევნების ისტორიაში (ამ ბოლო 9 წლის მანძილზე) ეგზიტპოლი ამცნობს მსოფლიოს რომ იმარჯვებს „ქართული ოცნება“.

ღამის 3 საათზე ეგზიტპოლის შედეგები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამაც დაადასტურა.

გააფთრებით იბრძვის პრეზიდენტი სააკაშვილი. შეატყო რა, რომ მარცხდება, ყველა რაიონში (თბილისის გარეთ) დაგზავნა პოლიციის რაზმები და დაავალა – სასწრაფოდ მიიღეთ ყოველგვარი ზომები, ჩემი ხელისუფლების გადასარჩენადო.

ოპოზიციის ტელევიზიები უჩვენებენ, როგორ მიარბენინებენ უკუნეთ ღამეში ურნებს და ბიულეტენებით სავსე ტომრებს, აირია მონასტერი, არის უბნებთან ერთი ღრიანცელი და ბაგირის გადაქაჩვა. უკვე გვიან არის! საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეთა დიდ ნაწილს უკვე მოუსწრია საარჩევნო ოქმების თბილისში გადმოგზავნა. პოლიციამ მაინც მოახერხა მუქარითა და ძალის გამოყენებით (ერთ-ერთი უბნის თავმჯდომარეს შუბლზე რევოლვერი დაადეს და გაყალბებულ ოქმზე ხელი მოაწერინეს) რამდენიმე მაჟორიტარულ ოლქში ნაცების კანდიდატისთვის საკმარისი ხმების მოპოვება, რასაც „ოცნების“ მხრიდან სასამართლოს კარამდე მისვლა მოჰყვა, მაგრამ სადაა სასამართლო. მოსამართლეთა 100 პროცენტი ხომ ჯერ კიდევ „მიშისტია“.

დილის 10 საათზე მიხეილ სააკაშვილი ტელევიზორთა ეკრანებზე გამოჩნდა და საგანგებო განცხადებით გამოვიდა. მეო, ვაღიარებ დამარცხებას. გაიმარჯვა ქართულმა ოცნებამ, რასაც ვადასტურებ და ჩემი პარტიით – ნაციონალური მოძრაობით ოპოზიციაში გადავდივარო.

მაშ ასე, გული სიხარულისგან ლამის ბუდიდან ამომივარდეს – დამთავრდა სააკაშვილის ტირანული ბატონყმობის შავბნელი პერიოდი და საქართველოს ისტორიაში ახალი ერა დაიწყო.

არ ვიცი, შეიძლება თუ არა პრეზიდენტი ოპოზიციაში იყოს. იგი ხომ საქართველოს პრეზიდენტია, მაშ, ვის უდგას ოპოზიციაში – საქართველოს?

ჩემი ფიქრით, დემოკრატიული არჩევნები ბიძინა ივანიშვილმა მარტო ტირან სააკაშვილს კი არა მთელ დასავლურ სამყაროს გამოგლიჯა.

სააკაშვილის დამარცხებას არც ამერიკა ელოდა და არც ევროკავშირი. გაიხსენეთ თბილისში დასავლეთის პოლიტიკოსთა გახშირებული არჩევნებისწინა ვიზიტები, რა სიტყვებით ამკობდნენ სააკაშვილს. კლინტომა პირდაპირ განაცხადა: საკაშვილზე უკეთესს ვის მისცემთ, ქართველებო ხმასო.

1 ოქტომბერი სილის გაწვნა იყო ეროვნულობის ყოველგვარი გამოვლინების დაუძინებელი მტრებისთვის. რასაკვირველია, ხელს აძლევდა დასავლეთს სააკაშვლის დარჩენა. სწორედ ამიტომ იყო, რომ 3 ოქტომბერს როცა ბიძინამ ურჩია „მოქმედ პრეზიდენტს“ გადამდგარიყო და საპრეზიდენტო არჩევნები დაენიშნა, მთელი დასავლეთი აიფოფრა და გადაეფარა სააკაშვილს. ბიძინას კი თითი დაუქნიეს – არ გაბედო სააკაშვილისთვის მსგავსი რჩევების მიცემაო.

სწორედ ეს „დასავლური ზურგი“ გახლავთ მიზეზი იმისა, რომ „ნაცები“ ისევ ყელყელაობენ და დიდ გულზე არიან.

საკვირველია ღმერთმანი. 2003 წლის ნოემბერში სააკაშვილმა უკანონოდ, ქუჩურ-ხულიგნურად გარეკა ხალხის მიერ კანონიერად არჩეული პარლამენტი, დაამხო შევარდნაძის ხელისუფლება და დემოკრატიულმა დასავლეთმა ეს ყოველივე მოუწონა თავზეხელაღებულ პოლიტიკურ ყაჩაღს, ხოლო ახლა როცა არჩევნებში გამარჯვებული მხარე ურჩევს (მხოლოდ ურჩევს) სააკაშვილს გადადგომას ამერიკა და ევროპა აყაყანდნენ: „ხელები შორს სააკაშვილისგანო“. აი, როგორ დემოკრატები არიან ისინი.

ამასობაში ბიძინამ მინისტრთა კანდიდატები დაასახელა.

ბრწყინვალე კანდიდატურებია, ყოველ შემთხვევაში პათოლოგიური, ფიზიკურად და სულიერად მახინჯი უმწიფარი ახალგაზრდები აღარ ჩანან მომავალ მთავრობაში, მარტო ეს რად ღირს.

ჩვენს დარგს – კულტურას ნიჭიერი, სუფთა კაცი, ცნობილი მწერალი, აფხაზეთიდან ლტოლვილი გურამ ოდიშარია უხელმძღვანელებს. რომ იცოდეთ, როგორ გამახარა ამ ამბავმა, რურუას „მეურვეობისგან“ როგორც იქნა გავთავისუფლდით, დარწმუნებული ვარ, გურამი დაგვიბრუნებს მწერალთა კავშირის სააკაშვილ-რურუას მიერ წართმეულ შენობას.

დავურეკე გურამს. თანაშემწემ მიპასუხა, ბოდიშს გიხდით, ახლა ჟურნალისტებს ინტერვიუს აძლევს და ვერ დაგელაპარაკებათო.

კარგი, როცა მოიცლის, მაშინ დავრეკავ-მეთქი.

სამიოდე წუთში თვითონ დარეკა გურამმა. ბატონო რეზო, ბოდიშს ვიხდი, ჟურნალისტები მყავდაო, გისმენთო ყურადღებით.

ა, ზრდილობიანი კაცი. იზამდა ამას რურუა? გაბღენძილი, გათამამებული, გატუტუცებული ნაცმენი?

არ იზამდა.

გილოცავ-მეთქი, ჩემო გურამ მინისტრობას. შენ ნიჭიერი და უანგარო მამულიშვილი, მართლაც რომ ღირსი ხარ-მეთქი ამ სავარძლის.

დიდი მადლობაო. ბატონო რეზო როცა მოიცლით იქნებ შემოიაროთ და ერთად მოვილაპარაკოთ ჩვენი მწერლობის პრობლემებზეო. აი, ასე სასიამოვნოდ დაიწყო ჩემთვის ახალი ეპოქა, ჯერ კიდევ ბევრი რამ გასარკვევია, გველეშაპი ისევ ქშინავს და სიმყრალეს აფრქვევს.

სააკაშვილს კვლავ პრეზიდენტი ჰგონია თავი და დატკეპნილ-დატერორებულ-დამათხოვრებული თბილისელებისთვის დღესასწაულის მოსალოცად გავიდა.

მართალია, ჭკვიანმა თბილისელებმა ზიზღით ზურგი შეაქციეს, მაგრამ მაინც მოიძებნა ერთი-ორი სულით მონა ხელზე რომ დაეკონა გაბითურებულ პრეზიდენტს.

კვლავ ამერიკის რკინის ხელი იგრძნობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ბიძინას რომ უკან წააღებინეს პრეზიდენტისთვის გადადგომის რჩევის მიცემა, შინგან საქმეთა მომავალ მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსაც აგრძნობინეს შენი განცხადება ნაადრევიაო. ასევე ჯანმრთელობის მომავალი მინისტრის გამყრელიძის სურვილსაც – უმუშევართათვის კომპენსაციის გაცემის შესახებ, სწრაფად შეაკვეცეს ფრთები – საქართველოს ამის ფუფუნების საშუალება არა აქვსო.

რას იზამს ბიძინა. იგი ჭკვიანი კაცია და კარგად იცის დსავლეთთან ხუმრობა არ შეიძლება. დინების საწინააღმდეგოდ სვლამ, ხომ გახსოვთ რა დამართა ზვიად გამსახურდიას.

შვიდი ხელმწიფის წასვლას მოვესწარი: მჟავანაძის, შევარდნაძის, პატიაშვილის, გუმბარიძის, ზვიად გამსახურდიას, ისევ შევარდნაძის და მიხეილ სააკაშვილის.

იმის თქმა მინდა, რომ ყოველთვის გულის დაწყვეტის, ნოსტალგიის მსგავსი ახლდა „პირველი კაცების“ წასვლას, რადგან თითოეულ მათგანთან პირადი ურთიერთობა მქონდა ჩემი ამ განზოგადებული, უბედური პროფესიის, მწერლობის გამო, ისეთი სიხარულის განცდა, დღეს რომ მაქვს, არ მქონია. ამ განცდას ნეკისოდენა სინანული და გულისდაწყვეტაც არ ახლავს. როგორ მოახერხე, 45 წლის პატარა ბიჭო, ასე შეგეძულებინა თავი მარტო რეზო მიშველაძისთვის კი არა, თითქმის მთელი საქართველოსთვის. ამაში კიდევ ერთხელ საარჩევნო უბანთან რიგში დავრწმუნდი, ზოგიც მინიშნებებით და ზოგიც პირდაპირ ერთმანეთს ეკითხებოდა, როგორ ფიქრობთ, გავთავისუფლდებით ამ სატანისგანო? მას მერე რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, საქართველოში ხელისუფლება არჩევნების გზით არ წასულა. ყოველთვის იყო თავში ჩაჩქუნი, ჩხუბში გადასული საარჩევნო ჯაგა-ჯუგი და ამას რომ შედეგი არ მოჰყვებოდა, იყო რევოლუცია. ისტორიული შეცდომა დაუშვით, როცა რევოლუციით გავაძევეთ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება, როცა რევოლუციით გარეკა პარლამენტი და მოაშთო შევარდნაძის ხელისუფლება სააკაშვილმა. გაუტკბათ ბიჭებს ძალაუფლება, ამიტომაც ვთქვი ჩემს ერთ-ერთ ბოლო სატალევიზიო გამოსვლაში, რომ ძალიან მეშინია, ესენი ძალაუფლებას არ დათმობენ და სისხლსაც კი დაღვრიან მის შესანარჩუნებლად-მეთქი. მადლობა ღმერთს, ასე არ მოხდა.

ბიძინა იანიშვილმა საარჩევნო კამპანია საოცარი მოთმინებით და გაწონასწორებული სულიერი მდგომარეობით ჩაატარა. არ ვიცი, ამ საჩხერელ კაცს, რომელსაც დიდი გამოცდილება არ ჰქონია პოლიტიკაში, საიდან ეყო ნერვები. წაართვეს ბანკის მანქანა, სადაც მილიონობით დოლარი იდო. ამის შემდეგ სხვადასხვა დროს თითქმის 200 მილიონით დააჯარიმეს და ამით დაიფინანსა სააკაშვილმა თავისი საარჩევნო კამპანია, კაცი ჯვარს აცვეს და ნერვები მაინც შერჩა. ეს მაფიქრებინებს, რომ იგი საქართველოს მშვენიერი ხელმძღვანელი იქნება, რა რანგშიც უნდა მოგვევლინოს. მის ადგილზე ნებისმიერი სულიერად დაეცემოდა. სირცხვილი არ არის, მოქალაქეობას ართმევ კაცს, რომელმაც სამების საკათედრო ტაძარი აგიშენა, საქართველოს ყველა თეატრი დანგრევასა და განადგურებას გადაარჩინა, მთელი ინტელიგენცია შიმშილით სიკვდილისგან იხსნა. ეს არის კაცი, რომელსაც სიცილის დროს ნათელი გადასდის სახეზე. იშვიათად მინახავს ადამიანი, ასე უხდებოდეს სიცილი, სიკეთე გამოსჭვივის მისი სიცილისგან.

სააკაშვილი კი ამაზრზენად იცინის, სააკაშვილი კი არ იცინის, ყივის თან მისი ყველა სიტყვა არაგულწრფელია. არ გჭირდება დიდი თავის მტვრევა, ყალბი ინტონაციები რომ დაიჭირო მის ნათქვამში. წარმოუდგენლად გულგრილი კაცია. თვალწინ რომ გაუტყავო, ცოცხლად კაცი, თვალს არ დაახამხამებს. მახსენდება, როგორ გაუსწორდა არა მარტო თავის ოპონენტებს, არამედ სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდებს. თავისი ზონდერბრიგადების მიერ ნაცემი ადამიანები რომ ნახა, სახეწაშლილები, ერთი წუთით მაინც ხომ უნდა ეფიქრა, რომ ოდესმე შეიძლებოდა თვითონაც აღმოჩენილიყო მსგავს მდგომარეობაში. ამაზრზენი იყო სააკაშვილი განსაკუთრებით ბოლო პერიოდში წინასაარჩევნო გამოსვლებზე. როგორ მოაბიჯებდა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო. და ჩემი უბედური დები და ძმები მას „მიშა, მიშას“ ძახილით ხვდებოდნენ. არც გავიკცხავ ამის გამო პოლიტიკური ტრადიციის არმქონე საქართველოს. გახსოვთ, ბოლოს სტადიონზე როგორ მოაბიჯებდა, როგორ ართმევდა ხალხს ხელს წაღმა-უკუღმა ეს მკვლელი, ბელადივით!

– ჩვენი გამარჯვების მიზეზი ფსიქოლოგიურად მომზადებული ერი და დასავლეთის დიდი მხარდაჭერაა. სანდო წყაროდან ვიცი, ბიძინა როცა მიხვდა, მარტო ვერ გაუმკლავდებოდა სააკაშვილის დინჯ მრისხანებას, დასავლეთს მიმართა დახმარებისთვის. დღედაღამ ტელფონთან იჯდა და რეკავდა, ჩამოდითო. არ გეგონოთ, რომ მარტო ციხის ამბებმა გადაწყვიტა სააკაშვილის ბედი. უამრავი უკმაყოფილო ადამიანი გაიჩინა ამ ხელისუფლებამ. ჯერ კიდევ 36 წლის იყო, როცა 15-16 წლის ბავშვები ჯვარს აცვა, რომლებმაც სამედიცინო კოლეჯი დაამთავრეს და სამედიცინო ინსტიტუტში უნდა ჩარიცხულიყვნენ. გახსოვთ ის საპროტესტო აქციები ყველას, მაგრამ სააკაშვილმა თავისი პრინციპულობა გაიტანა და ბოლომდე ეს სტილი შეინარჩუნა. უკან არ დავიხევ, თუნდაც დაწყდით ერთ დღესო. ამას მოჰყვა ახალგაზრდების ჩახოცვა ქუჩებში, მისი განცხადება „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში“. 2007 წელს მეც გავხდი მისი დაუნდობლობის მსხვერპლი. ღამის 4 საათზე

მოვარდა მისი ზონდერბრიგადა და მწერალთა კავშირის შენობიდან გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის პირადი ნივთები ქუჩაში გადმოყარა. ეს შენობა პრეზიდენტის ბრძანებით უნდა გავათავისუფლოთო. რა დაგიშავეს ასეთი მწერლებმა, რომ სარაჯიშვილის ნაჩუქარ შენობას ართმევ და ქუჩაში აგდებ. ჯანსუღ ჩარკვიანს, ჭაბუა ამირეჯიბს, ანა კალანდაძეს, ოტია იოსელიანს, რეზო მიშველაძეს?! – არვითარი პასუხი. ამის შემდეგ 5 წელი გავიდა. 5 წელია მწერალთა კავშირი ქუჩაშია. პატრიარქს რომ მივმართეთ და მოვუყევით, რა დღეში ჩაგვაგდეს, სამების საკათედრო ტაძარი დაგვითმო მწერლების იუბილეების აღსანიშნავად. იუბილე ვანო მაჩაბელსა და ილია ჭავჭავაძეს კი არ სჭირდებათ, ილია ჭავჭავაძისა და ვანო მაჩაბელის იუბილე სჭირდება ქართველ ერს, რომ ეროვნულობის სულიერი ჯაჭვი არ გაწყდეს. 9 წლის განმავლობაში სააკაშვილის კაბინეტში კაცი არ შესულა თხოვნით. შევარდნაძე რომ შევარდნაძეა, მასთან მოახერხებდი შესვლას თვეში ერთხელ მაინც. წარმოიდგინეთ, როგორ დასცინოდა მთელ საქართველოს. აეროპორტში გაცნობილი გოგონები დასვა მინისტრებად და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 400 პროფესორი ერთ დღეში გამოყარა. უკმაყოფილება რომ გამოვხატეთ ერთ-ერთ კლუბში, გარედან დაგვიკეტეს კარი კლუბში შესულებს და დილმდე იქ გვამყოფეს, დილით 500 რეფორმაგავლილი პოლიციელი შემოვარდა და პანღურის კვრით გამოგვყარეს გარეთ. ამას თავი დავანებოთ, „კავკასიური ცარცის წრის“ თეატრი გააუქმა და რობიკო სტურუას ქსენოფობია დააბრალა. საქართველოს მოსპობა უნდა, გაბრაზებულია ქართველებზე.

რა თქმა უნდა, ჯერ ნაადრევია ზეიმი. იმ დღეს ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციას ვუსმენდი და ნასიამოვნები დავრჩი. არსად სიტყვა არ გამრუდებია, კაცი ქართულად მეტყველებს, სააკაშვილივით ღარიბი ლექსიკა კი არ აქვს, „მაგარიას“ მეტი რომ არაფერი იცის.

საერთოდ, ალბათ დამთავრდა პოლიტიკა ნაცმოძრაობისთვის და იმ პარტიისთვის, რომელიც არც ხორცი იყო და არც ძვალი, არც წყალი იყო და არც ღვინო და ნაცმოძრაობის მარაოს ქროლვაზე იყო დამოკიდებული, თუ ჭკუა აქვთ, ყველანი თავ-თავის საქმეს უნდა ეწიონ. მშვენიერი ჟურნალისტები არიან თარგამაძეც, ვეფხვაძეც, ახვლედიანიც, ანიკაშვილიც. უნდა მოეშვან პოლიტიკას და თავიანთი საქმე აკეთონ.

მე ყველგან ჩემი კალმით დავდივარ. იმასაც ამბობენ, მარკირების სითხეც ფალსიფიცირებული იყოო, მარამ ახლა რაღას დაამტკიცებ. მთავარი ისაა, რომ ქვეყანამ ამოისუნთქა, ამაღამ მშვიდად დავიძინებ. ურჩხული, საქართველოს უდიდესი მტერი, ქართველებისთვის ეროვნების წამართმევი დავამარცხეთ. ჩვენი უსაყვარლესი მეგობარი, ოტია იოსელიანი რომ დამირეკავდა, მისას რომ ვბეჭდავდი რამეს გაზეთში, მეტყოდა, რეზო, სააკაშვილის ჯიბრზე მიაწერე, თუ კაცი ხარ, ოტია შალვას ძე იოსელიანიო. კაცო, შენ შეიძლება არ გიყვარს მამაშენი, მაგრამ მე რატომ მიკარგავ მამის სახელს, რატომ წამიშალე მამის სახელი პასპორტში, ეროვნებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ! თავიდან ბიძინამ რომ თქვა, შევეცდები ვითანამშრომლოო, ცოტა არ იყოს, შემეშინდა, ვისთან უნდა ითანამშრომლოს,

სისხლის სამართლის დამნაშავესთან, მკვლელთან?! გაიხსენეთ მისი გარე-მოცვის ხალხი როგორ გაასაღა, მაგრამ ის ხომ ვიცი, მისი ბრძანებით როგორ ექცეოდნენ პატიმრებს, 2004 წელს, სამი თვის არჩეული იყო მიშა პრეზიდენტად, წიგნი რომ გამოვეცი, „20 რჩევა პრეზიდენტს“, რომელსაც ასეთი ფრაზა წავუმძღვარე: „გულსუსტებს, ნერვებმოშლილ, კერპთაყვა-ნისმცემლებს, მონებად დაბადებულებს, მოზარდებს 16 წლამდე და საპარ-ლამენტო უმრავლესობის წევრებს ვთხოვ ნუ წაიკითხავენ“. ამ წიგნში მას 20 რჩევა მივეცი. არც ერთი მათგანი არ გაითვალისწინა. მეტიც, დაიდო წინ ეს წიგნი და ერთხელ თავის გამოსვლაში კარგა გვარიანად მლანძღა კიდეც. ზოგიერთი ბრძენი რჩევებს მაძლევს, ვის უნდა ამ ჩარეცხილების და მუმიების რჩევებიო... მას ახლა კიდე უფრო შესძულდა თბილისი, თავისი ხალხი. დარწმუნებული ვარ, სხედან ახლა თვითონ და მისი ბანდის წევრები და ლაპარაკობენ, ვის შევწირეთ ეს ენერგია ცხრა წლის განმავლობაში, ამ უღირს ქართველ ხალხს, აი, როგორ დაგვიფასესო. ახლა ყველა სასხ-ლავივით აილესავს ენას, დამხობილო კაცზე აუგის თქმა ადვილია, მაგრამ მე გელაპარაკებით, ის რეზო მიშველაძე, რომელმაც გაპრეზიდენტებიდან სამი თვის შემდეგ მას ზემოხსენებული წიგნით მივმართე. ერთ სტრიქონს ვერ მომიძებნით ამ წიგნის შემდეგ, რომ მე პრეზიდენტი მექოს, მისთვის კოჭი გამეგორებინოს. არც ერთი რჩევა არ გაითვალისწინა და იქნებ ბი-ძინა ივანიშვილის რჩევა მაინც გაითვალისწინოს და დანიშნოს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები. ეს მისთვის საუკეთესო გამოსავალი იქნება, მისთვისაც და ქართველი ხალხისთვისაც. თუ ნებას მომცემთ, დასასრულ, ივანიშვილსაც მინდა მივცე სამი რჩევა. პირველი – ჩემო ბიძინა, თუ გინდა სამართლიანი კაცის სახელი გქონდეს, უფლება არ გაქვს დამნაშავეების მიმართ აუხსნელი ტოლერანტობა გამოიჩინო. მეორე – იყავი ყურადღები-ანი თითოეული ქართველის მიმართ, არ შემოივლო ღობე შენ ირგვლივ და არ გაამართლო ანდაზა, „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“, თვეში ერთხელ შენს კაბინეტში ცხოვრებისგან გამწარებული ათი კაცი მაინც მიიღე და მესამე – შენ გენიოსი ხარ მენეჯმენტსა და ეკონომიკაში, ვიცი, ყველაფერს გაა-კეთებ, რასაც ქართველ ხალხს დაჰპირდი, მაგრამ ერთი რამ დაიწერე გუ-ლის ფიცარზე საქართველოს შიმშილის მოთმენა შეუძლია, ზოგჯერ ავად-მყოფობის მოთმენაც შეუძლია, მაგრამ ქართული სულიერების, ეროვნული გენეტიკის ჩაკვლა ცუდად მოქმედებს ქართველზე... სიმართლე გითხრათ, ვნანობ, ამდენი რომ ვილაპარაკე სააკაშვილზე და ასე ცოტა ივანიშვილ-ზე. სააკაშვილი კლინიკური შემთხვევაა, მას მკურნალობა სჭირდება სას-წრაფოდ.

ურჩი ავადმყოფი იქნება, მაგრამ ძალით უნდა ვუმკურნალოთ. იქ უნდა ვუმკურნალოთ, სადაც ძალით მკურნალობენ.

* * *

21 ოქტომბერს ქუთაისის დაუმთავრებელ პარლამენტის შენობაში ახა-ლი პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართა.

საქართველომ სცნო ბიძინა ივანიშვილის ანუ „ქართული ოცნების“ პარ-ლამენტის უფლებამოსილება.

ეს საქართველოს გადარჩენას ნიშნავს.

ნირშეცვლილი, იხტიბარგატეხილი სააკაშვილი ღობე-ყორეს ედება.

აქაოდა, შემომხედეთ, რა დემოკრატი ვარო, ეს მე ჩავატარე დემოკრატიული არჩევნებიო.

მართლა მაგან ჩაატარაო? ჰკითხეს ბიძინას უცხოელმა ელჩებმა.

არ დაიჯეროთ ეგ ამბავიო, ბიძინამ, – პირიქით ყველაფერი გააკეთა არჩევნების გასაყალბებლადო.

ვერ წარმოიდგენთ, რა გახარებულია ხალხი, რომ ტირანი მოვიშორეთ.

სააკაშვილის დესპოტიზმი უსიამოვნო მოგონებად შერჩება საქართველოს ისტორიას.

ეს იყო ლამის ყველაზე სამარცხვინო ეპოქა, რაც საქართველოს მთელი თავისი არსებობის მანძილზე განუცდია.

თბილისში დიდი მოძრაობაა. სააკაშვილის მიერ უსამართლოდ ციხეში ჩაყრილები თავისუფლდებიან. ქონებაწართმეულები თავიანთ ნაოფლარ-ნასიმწარევს იბრუნებენ.

ჩვენ მწერლებსაც გაგვიჩნდა იმედი, რომ ბიძინა ივანიშვილი მწერალთა კავშირის კუთვნილ შენობას დაგვიბრუნებს.

შიში წაიშალა ადამიანთა სახეებიდან.

მოსმენების, ჩაშვებების, ნარკოტიკ-ავტომატების „ჩადებების“ ცილისწამებების დრო დამთავრდა.

პარლამენტის შესასვლელთან პარლამენტარ-ნაციონალებს ხალხმა სირცხვილის დერეფანი გაუკეთა და სტვენით შეაცილა კარებში.

ბაჭია-სააკაშვილი დაუთავებულ-კასტრირებულად გამოიყურება.

წამდაუწუმ იმეორებს ჩვენ ოპოზიციამ და პოზიციამ უნდა ვითანამშრომლოთო. ნუ გავიყოფითო, ორივე მხარეს ხომ ქართველები ვართო.

იმედი მაქვს გამარჯვებული მხარე ჩვენზე შურისძიებას არ დაიწყებსო. რა თქმა უნდა, პოლიტიკური შურისძიების მომხრე არც მე ვარ, მაგრამ დანაშაულზე ყველამ პასუხი უნდა აგოს.

ამისთვის საჭიროა, პირველ რიგში სასამართლო გათავისუფლდეს ხელისუფლების დიქტატისაგან.

ციხის სუნი იყნოსეს „მამალმა დამნაშავეებმა“ და გაილალნენ საქართველოდან.

წავიდნენ, გაიპარნენ ახალაიები, კალმახელიძეები, შაშკინები, ადეიშვილები და სხვანი მრავალნი...

ცხრა წლის განმავლობაში კირთების ქვეშ მყოფი ქართველი დაუყოვნებლივ ითხოვს სამართალს.

„უკან მიდევნებული ლამპარი ვერაფერი ნუგეშია შვილებმოკლული, დამშეული, დაბეჩავებული საქართველოსთვის.

ქართველმა ერმა თავისი სიტყვა თქვა.

აღმონერწყვა სააკაშვილის ბინძური ხელისუფლება. ახლა სიტყვა შენზეა ბიძინა ივანიშვილო, გამრუდებული საქმის გასწორებას, დაჩაგრულთა ქომაგობას ხალხი შენგან ელის...

სხვა მხრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

23. X. 2012 – 4. I. 2013

ვერ იქნა და ვერ დამშვიდდა საქართველო. მიუხედავად არჩევნებში დამარცხებისა, ნაცები კვლავ ყელყელაობენ. ნერვების მომშლელად დემაგოგიურად გამოდიან პარლამენტში და გაღმა შედავების პოლიტიკას ადგანან, რათა ამ სისხლის სამართლის დამნაშავეებმა თავი გადაირჩინონ.

დამარცხებული და ყოვლის მხრივ ავტორიტეტდაკარგული პრეზიდენტი კვლავ თავის „რაიხსტაგში“ ზის და გადადგომას არ აპირებს.

ამერიკა და ევროკავშირი ბიძინას, რაც შეუძლიათ, ხელ-ფეხს უბორკავენ. ყოველ კვირას ჩამოდიან სააკაშვილისგან შეგულიანებული დასავლეთის ემისრები და ბიძინას მოძღვრავენ: ნაცმოძრაობის მიმართ რეპრესიებს მოეშვიო. არა და რა იგულისხმება თუ იცით „რეპრესიებში“? თურმე ნუ იტყვით, ქართულმა ოცნებამ სადისტი ნაციონალი ჩინოვნიკები რომ დააპატიმრა კონკრეტულ დანაშაულზე კონკრეტული ბრალდებებით, ეს თურმე, შურისძიებაა ახალი ხელისფლების მხრიდან. სხედან დილამდე სააკაშვილის კაბინეტში თაგვებივით შეშინებული „ყოფილნი“ და გამუდმებით ურეკავენ ობამას, კლინტონს, რასმუსენს... არიქა, გვიშველეთ, ჩვენზე გამოძიება მუშაობს, საქმეებს გვიდგენენ, თუ დროზე არ მოგვეშველეთ, საქართველოში დემოკრატია დაიღუპებაო. საოცარი ის არის, რომ ამ ჩვენი შეშლილი, ცრუპენტელა პრეზიდენტისა დასავლეთში ზოგიერთებს კიდევ სჯერათ.

პოლიტიკურ არაკაცობას საზღვარი არა აქვს. ჯერ ორი თვეა გასული რაც „ოცნებამ“ გაიმარჯვა და ნაციონალთა „ბელადები“ საქვეყნოდ ჩხავიან: ხომ ხედავთ, ხალხნო, მოგატყუათ ბიძინამ, სად არის ტარიფების განახევრება, სად არის მომატებული პენსიები, სად არის გადასახადების შემცირება, სად არის უფასო უმაღლესი განათლება, სად არის მილიარდიანი დახმარება სოფლის მეურნეობას, სად არის დაპირებული სამუშაო ადგილები და ლტოლვილთა ბინებით დაკმაყოფილება?!

თითქოსდა, რაც თვითონ ცხრა წლის განმავლობაში არ გააკეთეს, ბიძინამ ჯადოსნური ჯოხის დარტყმით უნდა შეძლოს.

მეშინია ამ გარეწრებმა ჭეშმარიტ ქართველს, სუფთა სინდისის და სუფთა ხელების პატრონ ბიძინა ივანიშვილს რამე არ უხიმანონ. ჯერჯერობით აშკარაა, რომ ბიძინას რაზმს უჭირს ძალაუფლების ხელში აღება. ავანტიურისტმა სააკაშვილმა 2003 წლის 22 ნოემბრის რევოლუციის მეორე დღესვე სრულიად საქართველოს ყველა რგოლში შეძლო თავისი ბატონობის დამყარება, ბიბლიოთეკათა გამგეებიც კი გამოცვალა. ბიძინას ეს ჯერჯერობით არ გამოსდის ან ვერ ახერხებს.

შევხვდი კულტურის მინისტრს გურამ ოდიშარიას და განათლების მინისტრს გიორგი მარგველაშვილს. რას შვრებით ბიჭებო, რატომ აგვიანებთ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას-მეთქი. რა ვქნათო? შემომაჩერდნენ, რა და დაუყოვნებლივ დაგვიბრუნე, გურამ, მწერალთა სასახლე და გიორგი დაუყოვნებლივ დააბრუნე ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან შეურაცხადი სააკაშვილის მიერ გამოყრილი პროფესორები-მეთქი. ორივემ მრავალმნიშვნელოვნად დამიქნია თავი; ცოტა ხანს გვაცალეო.

რა მოცდა უნდა ამ საქმეს, ამას ხომ ფული არ სჭირდება-მეთქი. ყოყმანის პოლიტიკა კარგს არაფერს დამართებს ბიძინას ხელისუფლებას. საჭიროა ქმედითი, ქმედითი და კიდევ ქმედითი ნაბიჯები.

26 ნოემბერს გამთენიისას გარდაიცვალა ჩემი სიყრმის მეგობარი გივი გამსახურდია – ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, უნიჭიერესი და უსპეტაკესი კაცი.

ორი წლის წინათ გივის ოდაჩვიდმეტი წლის ვაჟკაცი – კახა დაეღუპა. შვილის მოულოდნელმა სიკვდილმა მამა წელში გატეხა. ორი წელი გაუძლო გივის გულმა ამ საშინელ ტრაგედიას, მეტი ვერა.

თავზარდაცემული დავაბიჯებ წინ და უკან. ორმოცდაათი წლის განმავლობაში ერთად მივაბიჯებდით, მივაბიჯებდით ოთხი განუყრელი მეგობარი (სოსო ბუხაიძე, გივი გამსახურდია, იგორ კვესელავა და მე) წუთისოფელის ოღროჩოღრო ბილიკებზე. ახლა ორნიღა დავრჩით – იგორი და მე.

15 დეკემბერს ბიძინა ივანიშვილს წერილი მივწერე. ეს წერილი მეორე დღესვე „მწერლის გაზეთში“ გამოვაქვეყნე სათაურით „ღია წერილი ბიძინა ივანიშვილს“. თანადგომას ვუცხადებ საქართველოს პრემიერ-მინისტრს და 18 რჩევას ვაძლევ: ჩემო ბიძინა შენ ნაცების მიერ სახსრებში მოშლილი ქართული ეროვნული სახელმწიფო უნდა ააღორძინო-მეთქი. ვინძლო საქართველო არ აქციო არც ამერიკის და არც რუსეთის ვასალად, რადგანაც საქართველოსთვის სულერთია მგელი შეჭამს თუ მგლისფერი ტურა-მეთქი. უნდა გარდაქმნა-მეთქი სააკაშვილისაგან ჩაწიხლული განათლების და სამედიცინო სტრუქტურები ხალხის სასარგებლოდ. სწრაფად უნდა დაბრუნდეს სახელმძღვანელოებში ნაცების მიერ ამოღებული პატრიოტული ნაწარმოებები-მეთქი. უნდა დააბრუნოთ უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოდევნილი პროფესორ-მასწავლებლები და უნდა აღადგინოთ ჯავახიშვილის უნივერსიტეტში გაუქმებული რუსთაველის, ილიას, აკაკის, გალაკტიონის და გამსახურდიას კაბინეტები-მეთქი. მიხედე შემოქმედებით კავშირებს, თეატრებს, კინოსტუდიას, მუზეუმებს – იცოდე ეს სახელოვნო სტრუქტურები ინარჩუნებენ-მეთქი. ჩვენს ეროვნულ ფენომენს და ბოლოს კიდევ ერთხელ გთხოვ, რუსთაველის პროსპექტზე გავხსნათ „რუსთაველის სახლი“, რომელშიც განთავსდება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, ლიტერატურა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და რაც მთავარია, სხვადასხვა ენაზე გაიყიდება რუსთაველის გენიალური პოემა-მეთქი.

წერილიც და გაზეთიც გავუგზავნეთ ადრესატს.

ამასობაში გრძელდება პროკურატურის მიერ სამართლიანი დაკითხვა-დაპატიმრებანი ნაცისტი დამნაშავეებისა და სასამართლოს მიერ (რომელსაც 100 პროცენტით სააკაშვილი აკონტროლებს) მათი სამარცხვინო გათავისუფლება ე. წ. გირაოთი. პროკურატურაში, როგორც ჩანს, უმწიფარი გამომძიებლები ჰყავთ (ან შეგნებულად იქცევიან ასე) და სასამართლოში გზავნიან დაუმთავრებელ საქმეებს: სადისტად მიჩნეული ბაჩო ახალაიას მთავარი დანაშაული ის ყოფილა რომ მან თურმე ერთხელ ვაშლის თლის დროს თავის ადიუტანტს თავში დანის ტარი ჩაუკაკუნა (?!),

თავისი უხეშობით განთქმული ბიწაძის დანაშაული ის ყოფილა რომ მას ერთხელ, 5 წლის წინ ერთ-ერთ სუფრაზე სუფრის წევრთან წალაპარაკება მოსვლია (?!), გენერალური შტაბის დამნაშავე ხელმძღვანელს სხვა დანაშაული ვერ მოუძებნეს, გარდა იმისა რომ მას ერთ-ერთი ჯარისკაცისთვის უხეშად მიუმართავს, ხოლო იუსტიციის ყოფილი მინისტრის ძირითადი დანაშაული ის აღმოჩნდა, რომ მას თავისი სამსახურისთვის ტელეფონით მოსმენის უფლება მიუცია, ხოლო პოლიციის მაღალჩინოსან გუნავას თურმე ბენზინი არასამსახურებრივი მიზნისთვის დაუხარჯავს.

მე ვფიქრობ ამას წინასწარგანზრახვით აკეთებენ, რათა ღვინის ქურდები მთხლეს გადააყოლონ თან სასამართლოს მათი გათავისუფლების საქმე გაუადვილონ და ამით ნაცდეპუტატებს საშუალება მისცენ ერთხელ კიდევ დასცინონ ახალ ხელისუფლებას.

31 დეკემბერს სააკაშვილი ტელევიზიით გამოვიდა და ბიძინა ივანიშვილს ხუთპუნქტიანი ულტიმატუმი შესთავაზა. მათ შორის პირველი იყო, ნაცისტების დაკითხვა-დაპატიმრებების დაუყოვნებლივი შეწყვეტა...

1 დეკემბერს ბიძინა ივანიშვილმა შეტევაზე გადმოსული პრეზიდენტის ულტიმატუმს საყოველთაო შერიგების გამოცხადებით უპასუხა.

ბ. ივანიშვილის ამ დემარშმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთნი ამბობენ, რომ ივანიშვილი შეშინდა, ვერ გაუძლო ამერიკის და ევროკავშირის ზეწოლას და უკან დაიხია. მეორეთა აზრით (და მეც ამ მეორე აზრს ვიზიარებ) ბიძინამ ტაქტიკური ნაბიჯი გადადგა, მისი დემარში დროს მოგებით იყო გაპირობებული. მან კარგად იცის, რომ 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში ნაცმოძრაობა სასტიკად დამარცხდება და მერე პოლიტიკურად განახლებულ საქართველოში გააჩენს სამართალს. სინამდვილეში ბიძინას ნაცისტი დამნაშავეებისთვის არაფერი უპატიებია და ამას რამდნიმე თვეში დავინახავთ.

ამასობაში მიინურა დრამატული და მღელვარე 2012 წელი.

1 იანვარს ჩემს სახლში (გაზაფხულის 5) ღარიბულ ტაბლასთან ექვსიოდე სტუმარს ვუმასპინძლე: იგორ კვესელავას, სოსო სიგუას, მურმან თავდიშვილს და ჩემს დას – ნათელას, დისშვილს ზაზა მრელაშვილს.

ვისხედით, მოწყენილნი, ჩვენს მოწყენას ორი სერიოზული მიზეზი ასაზრდოვებდა.

პირველი საქართველოს ამჟამინდელი გაურკვეველი მდგომარეობა, სავალალო ორხელისუფლებიანობა და მეორე – ჩემი ძვირფასი მეგობრის პროფესორ გივი გამსახურდიას გარდაცვალება.

1 იანვარს 73 შემისრულდა

იწყება სიბერის გრძელი ღამეები.

ვნახოთ, რას იტყვის 2013 წელი.

მიუხედავად იმისა, რომ „ახალი ვითარება“ ნელა მკვიდრდება, ჯერ არც მწერალთა სასახლე დაგვიბრუნდა და არც დამნაშავე რექტორები გაათავისუფლა ბიძინამ, ვერც ნაცისტთა პარპაში აღკვეთა და ვერც თავისუფალი სასამართლო ააღორძინა...

მე მაინც მჯერა ბიძინა ივანიშვილის.

5. I. 2013 – 1. II. 2013

7 იანვარს გარდაიცვალა ნიჭიერი მთარგმნელი ჯემალ აჯიაშვილი. იგი ისრაელში გარდაიცვალა და მისივე ანდერძის თანახმად ისრაელში დაკრძალეს.

რვა იანვარს მწერალთა სასახლეში ჯემალ აჯიაშვილის სამოქალაქო პანაშვიდი შედგა.

მოვიდა ბიძინა ივანიშვილი და სამგლოვიარო წიგნში ჩანაწერი გააკეთა. მადლობა მოვახსენე საქართველოს პრემიერ-მინისტრს ქართველ მწერალთა მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის. კერძოდ ვთქვი:

6 წელია ეს მწერალთა კუთვნილი სასახლე დაკეტილი იყო ჩვენთვის.

ჩვენ არ მოგვცეს ამ სასახლიდან ანა კალანდაძის, ოთარ ჭილაძის, ლევან სანიკიძის, ოტია იოსელიანის გამოსვენების უფლება. დღეს პირველად გაიღო ეს კარები ჩვენთვის და ბიძინა ივანიშვილი შემოგვიძღვა, რათა პატივი მივაგოთ ჯემალ აჯიაშვილს.

თქვენ დაინახეთ, რა დიდხანს და გულმოდგინედ წერდა იგი სამგლოვიარო წიგნში სამძიმარს, იმიტომ რომ იგი პატივს სცემს ქართულ სიტყვას, მან იცის მწერლის ფასი და ადგილი ერის სულიერი წრთობის საშვილიშვილო საქმეში“ და ა.შ.

მიტინგის დამთავრების შემდეგ რომ ვაცილებდით, ბიძინა მომიბრუნდა და მითხრა: რეზო, ნახე ერთი თუ ძმა ხარ, ჩემს ჩანაწერში რამე გრამატიკული შეცდომა ხომ არ დავუშვი, ხომ იცი, ყველაზე მეტად შენი მეშინიაო.

არხეინად იყავი ბიძინა ბატონო, შენ, არაფერი გეშლება-მეთქი, ხუმრობითვე მივუგე.

ასეთი უბრალო და უცერემონიო კაცია საქართველოს ახალი მმართველი გადარეული სააკაშვილისგან განსხვავებით.

10 იანვარს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეხვედრა მომიწყო. გადაჭედილი იყო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი. სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების გარდა გორის ინტელიგენციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

შეხვედრა ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი სოსიაშვილმა. აქვე უნდა ვთქვა რომ იგი ნიჭიერი მწერალია, მისი არაერთი მოთხრობა წამიკითხავს.

იმოხსენება სოსო სიგუამ. სოსოს მოხსენება, როგორც ყოველთვის საინტერესო და მაღალპროფესიონალური იყო.

სიტყვებით გამოვიდნენ შოთა ქურდაძე (84 წლის პროფესორი), ჯემალ ინჯია (გორის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე), პროფ. მარინე გიგაშვილი, ვახტანგ ჭანკოტაძე (მწერალი), დავით ახლოური (მწერალი), სტუდენტები: ნინო მახათაძე, ხატია ტეტუნაშვილი, მარიამ შატაკიშვილი, ნინო გომართელი და სხვები.

ბოლოს დიდი მადლობა მოვახსენე შეხვედრის ორგანიზატორებს, ვილაპარაკე მწერლობის თანამედროვე პრობლემებზე, საქართველოს სავალალო ვითარებაზე და ვუპასუხე შეკითხვებს.

ეს იყო ერთ-ერთი უშესანიშნავესი შეხვედრა, რაც ჩემთან შეხვედრები მახსოვს.

ბოლოს გიორგი სოსიაშვილმა გამოაცხადა, რომ გორის უნივრსიტეტში დაარსდა რევაზ მიშველაძის სახელობის სტიპენდია.

ჩემი მხრივ ოცდახუთტომეულის 10 ტომი საჩუქრად გადავეცი გორის უნივერსიტეტს და სამომავლო მეგობრობა-თანამშრომლობასაც დავპირდი.

საინფორმაციო სააგენტო „ივერონის“ დირექტორად გამოცდილი ჟურნალისტი და ლიტერატორი, ვალერი კვარაცხელია დანიშნეს. ვალერი ნიჭიერი კაცია და გამჭრიახი პოლიტიკოსიც. იგი წლების განმავლობაში თანმიმდევრულად ქადაგებს, რომ ჩრდილოელ მეზობელთან საომარი მდგომარეობა კარგს არაფერს მოგვიტანს, რომ რუსეთის ნაჯახურ პოლიტიკას მოთმინება უნდა დავუპირისპიროთ.

ვალერიმ „ივერონის“ საიტზე ჩემთან საუბარიც დადო. ვამბობ, რომ ზურაბ აბაშიძის დანიშვნამ რუსებთან ურთიერთობის რწმუნებულად უკვე გამოიღო შედეგი და ქართული ღვინო და ბორჯომი დაბრუნდა რუსულ ბაზარზე. ვამბობ, რომ ქართველებმა ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 25 პროცენტი აქვს ოკუპირებული, მაგრამ ეს ხელს როდი უშლის ჩვენ შორის ურთიერთობის გარკვევას სამომავლოდ რუსთისგან გარანტია მაინც რომ მივიღოთ, რომ იგი თავს აღარ დაგვესხას. ესეც საქმეა ჩვენი ავი მეზობლისგან-მეთქი. ვერ გამიგია რატომ გააკრიტიკეს „ნაცებმა“ საქართველოს პატრიარქი იმის გამო, რომ იგი რუსეთის პატრიარქის მიწვევით ეწვია მოსკოვს და პუტინს ხელი ჩამოართვა. განა სჯობია პატრიარქის კეთილ ღიმილს და შერიგებისკენ მოწოდებას რუსეთის მიმართ ბღვერის პოლიტიკა? ბღვერამ რაც მოგვიტანა ხომ დავინახეთ, რუსმა 2008 წელს 180 ქართული სოფელი წაგვართვა-მეთქი.

სხვათა შორის, როგორც ვალერიმ მითხრა, ჩემს ამ განცხადებას დადებითი გამოხმაურებანი მოჰყვა.

26 იანვარს მაცნობეს რომ მომენიჭა დავით აღმაშენებლის პრემია ჩემი ოცდახუთტომეულის პირველი 5 ტომისთვის. ძალიან გამეხარდა.

გრძელდება ნაცმოძრაობის საბოტაჟი ბიძინა ივანიშვილის მიმართ.

სააკაშვილი და მისი პრესა დღეს არ გამოტოვებენ რომ საქართველოს ასაღორძინებლად მოწოდებულ „ქართულ ოცნებას“ რაიმე არ უხიმანონ, ჩირქი არ მოცხონ, ქვეყნის მოტყუებაში არ დასწამონ ცილი.

სტრასბურგში ევროსაბჭოს ასამბლეაზე გამოვიდა სააკაშვილი და მიწასთან გაასწორა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკა. დროა აღვიმაღლოთ ხმა თორემ საქართველო ხელიდან გვეცლებაო. ქვეყნის მტრები ციხიდან გამოუშვესო, რუსეთს ფეხქვეშ ეგებიანო, აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენას აპირებენ და ჩემს თანამებრძოლებს დაპატიმრებით ემუქრებიანო!

ვუსმენდი და გულზე დარდი მაწვებოდა.

ევროსაბჭოს ტრიბუნაზე იდგა თავის სამშობლოზე გამწყრალი საკუთარი ერის მოძულე, გაბრაზებული ფეოდალი სააკაშვილის სახით.

ერთხელ კიდევ დავრწმუნდი რომ „კოჰაბიტაცია“, ანუ მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ორივე მხარეს პატრიოტები დგანან და მათ შეიძლება განსხვავებული ხედვა ჰქონდეთ ზოგი ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოვლენის მიმართ.

დღეს საქართველოში კოჰაბიტაცია შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ ერთ მხარეს დგას ბიძინა ივანიშვილის ეროვნული პარტია, ხოლო მეორე მხარეს მიხეილ სააკაშვილის დამნაშავე პარტია. ამ პარტიამ ჯერ სამართლის წინაშე უნდა აგოს პასუხი იმ გაუგონარი თვითნებობების და სულელურ, ექსპერიმენტებისათვის, რაც რვა წლის განმავლობაში ჩაიდინა,

„ნაცები“ და „ოცნების ბიჭები“ ერის გადარჩენის ბოგირს სხვადასხვა მხარეს ექაჩებიან.

ღმერთო, როდის დამთავრდება ეს დიდი ღამე.

როდის დაისვენებს ჩემი ქვეყანა არამკითხე „ნაცთა“ უტიფრული „მამიდობისაგან“.

ნუთუ შეუძლებელია, თანამედროვე მსოფლიოში ისეთმა პატარა, მაგრამ დიდი წარსულისა და დიდი კულტურის ქვეყანამ როგორიც საქართველოა უცხოეთიდან მოგზავნილი სოროსელების გარეშე თვითონ განაგოს თავისი ბედი?

შარშან პირველ ოქტომბერს ჩვენივე ნებით გამოანათა საქართველოს ბედის ვარსკვლავმა და ქვეყნის „ერთგულ მტერთა“ დაუცხრომელი მეცადინეობით მისი კაშკაში ჯერ ბოლომდე ვერ წვდება და ვერ ათბობს მრავალტანჯულ საქართველოს.

რა დავაშავეთ ასეთი?

ყველამ, თითოეულმა ქართველმა ხელისგულზე დამაგრებული სანთელის მსგავსად ქარის მხრიდან უნდა მოვეფაროთ „ქართულ ოცნებას“ რომ ხელში არ ჩაგვაქვრეს.

იმედს, იმედს ჩავებღაუჭოთ!

РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ

ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

в 25 томах

ТОМ XV

Издательство „Сакартвелос Мацне“
Тбилиси 2013